ვახტანგ ჯავახაძე

<u>უ ც ნ ო ბ ი</u>

აპოლოგია გალაკტიონ ტაბიძისა

თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ

მე ვიცნობდი გალაკტიონ ტაბიძეს!

უკანასკნელ ორ წელიწადს ხშირად ვხვდებოდი: მახსოვს საქმიანი დიალოგი, როდესაც რჩეულს ვადგენდით, მხიარული საუბარი, როდესაც აწეულ ხასიათზე ბრძანდებოდა, სერიოზული მონოლოგი, როცა საინტერესო ამბავს ყვებოდა.

ტელეფონითაც გვისაუბრია.

აღტაცებულიც მინახავს და გაბრაზებულიც.

ხშირად მოდიოდა გამომცემლობაში. ვყოფილვარ მასთან სახლში, შევხვედრივარ მწერალთა კავშირში, სტამბაში, უფრო ხშირად კი _ ქუჩაში, რადგან იქვე ცხოვრობდა, წიგნის სასახლის წინ, და ქუჩაში ხეტიალი უყვარდა.

დიახ, მეც ვიცნობდი... მაგრამ ფრთხილად, მკითხველო! ნუ აჩქარდები, ნუ შეგშურდება ჩემი, განსაკუთრებით _ ჩემზე ახალგაზრდა მკითხველო!

გალაკტიონი იმდენად მარტოსული გახლდათ, იმდენად თავისებური და განსხვავებული, _ მასთან დაახლოება და გაშინაურება, მისი გაცნობა და შეცნობა შეუძლებელი იყო.

ჩაუწერია კიდეც:

_ თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარო.

აკაკიმ დაასწრო, თორემ ეს გაფრთხილება გალაკტიონის პიროვნებას უფრო შეეფერება, და ამიტომაც დაესესხა და გაიმეორა.

სიყმაწვილიდანვე მარტო დარჩა. ყველგან და ყოველთვის მარტო იყო. ვეება მხრებით დაატარებდა საკუთარ მარტოობას და ისე გაუცხოვდა, თავისი ბუნებრივი ხმით არც კი გველაპარაკებოდა.

უბრალოდ ჩაცმული _ ყველასაგან გამოირჩეოდა, შიგნიდან ანათებდა და ამდიდრებდა გარემოს, და არა მარტო ფიზიკურად იდგა მთელი თავით მაღლა.

ერთი შეხედვითაც შეატყობდით: სხვა კაცი იყო.

როდესაც გესაუბრებოდათ, თითქოს სხვაგან იმყოფებოდა და ეს «სხვაგან» იყო მისი მთავარი სავანე.

უმეგობროდ იცხოვრა. მეგობრობა გულისხმობს მსგავსი გემოვნებისა და მსგავსი ტემპერამენტის (ალბათ, მსგავსივე ნიჭის) პარტნიორთა ურთიერთობას. ამდენად უხერხულიცაა თავი გამოიდო გალაკტიონის მეგობრობაზე.

მას არ გააჩნდა პრაქტიკული ცხოვრების უმნიშვნელო უნარიც კი, უჭირდა სხვასთან დაკავშირება და დაახლოება, თვითონაც გრძნობდა და წუხდა:

_ მე ხომ სრულიად ლაპარაკი არ ვიცი.

_ მე იმდენად არ ვიცი ლაპარაკი, რომ კაცს ხშირად ვერ ვაგებინებ.

_ ეს ფუსფუსი პატარა-პატარა ხალხის ჩემთვის სრულიად გაუგებარია.

ეტყობა, პოეტურმა ტალანტმა ისე ამოწურა და მიისაკუთრა მთელი მისი ადამიანური შესაძლებლობა, რომ კომპენსაციის არავითარი საშუალება აღარ დაუტოვა.

თითქმის ყოვლისშემძლე ხდებოდა, როდესაც კალამს აიღებდა ხელში და უსუსური ჩანდა, როგორც კი ქაღალდს გაშორდებოდა.

_ ამხანაგთან მშვენიერი დამოკიდებულება მაქვს: გულღია, ამხანაგური, ჩემს კაცად ვთვლი. მაგრამ მექნება თუ არა მასთან რაიმე სერიოზული საქმე, უცბად დავიბნევი, დავთარი ამებნევა. არ ვიცი, საიდან დავიწყო ლაპარაკი. დავიწყებ «თქვენობით», ოფიციალურად და... ისიც ისეთ უარსა მტკეცს, _ თვით მევე შემცხვება და გავწითლდები.

ცდილობდა და ვერ ახერხებდა, თუნდაც უახლოესი ადამიანებისათვის მაინც გაეღო გულისკარი, და ეს იყო მისი დიდი ტრაგედიის ერთი ნიშანი.

იმდენად მარტოსული გახლდათ, რომ მეუღლე, რომელიც თავდავიწყებით უყვარდა, რასაც პირადი წერილებიც ადასტურებს, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ეჭვიანობდა:

_ შენ დამივიწყე... მაგრამ არ გამტყუნებ, რაკი არ გიყვარვარ...

მე ვიცნობდი... თუმცა სჯობია დავაზუსტოთ: მეც ვიცნობდი... რადგან იგი მთელი საქართველოს რჩეული ნაცნობი იყო და ყოველი თბილისელის განუყრელი თანამგზავრი. ყოველთვის ჩვენთან იყო, ჩვენს გვერდით, როგორც რუსთაველის ძეგლი და გამზირი, როგორც მტკვარი, როგორც მთაწმინდა.

მეც თბილისის ქუჩებიდან ვიცნობდი.

ბევრჯერ შევხვედრივარ და ავდევნებივარ:

_ სტუდენტები კვალდაკვალ დამდევდნენ. ვგრძნობდი.

როგორც პატარა ბავშვი ვეებერთელა მონასტერს, ისე ვუვლიდი გარშემო, და რაკი მონასტერს კარი ვერ ვუპოვნე, ფეხისწვერებზე ვდგებოდი, რათა მაღალი სარკმლიდან მაინც მომეკრა თვალი, რა ხდებოდა კედლებს იქით...

ერთ მშვენიერ დღეს კი ამ ტაძარში აღმოვჩნდი და ეკლესიაში პირველად შესული ბიჭივით დავიბენი. როდესაც დავმშვიდდი და თვალი კედლებსა და თაღებს შევაჩვიე, გავოცდი: კვლავ ტაძრის წინ ვიდექი, ტაძარში ტაძარი დამხვდა, და ეს ტაძარი მეტი იდუმალებით იყო მოცული, რადგან არც კარი გააჩნდა, არც სარკმელი და შიგ ფეხი არავის დაედგა:

_ მე აღვაგე ტაძარი, ტაძარი ჩემის ტანჯვა-წამების, რომელშიც შესვლა არ შეუძლია, ჩემს გარდა, არავის.

დიდი წიგნი

ხშირად და სამართლიანად ამაყობდა შემოქმედებითი ნაყოფიერებითაც:

_ ჩემ მიერ დაწერილია არა ასი, არა ორასი, არა ათასი, _ არამედ შვიდი ათასი ლექსი და პოემა.

_ 15 000 ლექსი, 23 200 სალიტერატურო საღამო, 1 500 000 მსმენელი, 100 ქართული პერიოდული გამოცემა. ო, ეს მთელი ისტორიაა, და არა მხოლოდ ლამაზი სიტყვები.

სიცოცხლეში რვა ტომი გამოსცა. ბევრი ტომებს გარეთ დარჩა _ სრულიად გამოუქვეყნებელიც: ორი ტომი ლექსები და რვაათასსტრიქონიანი პოემა.

გაუჩნდა იდეა, რომლის განხორციელებაც შესაძლებელი ჩანდა: სურდა ლექსებისა და პოემების სრული კრებული გამოეცა ერთ წიგნად.

რამდენიმეჯერ სცადა. ამაოდ.

იმედი იმდენჯერ გაუცრუვდა, რომ დიდ წიგნს გულგრილად ვეღარ უყურებდა:

_ გამსახურდიას «ვაზის ყვავილობა» 600 გვერდია! (ვაჰ, ვაჰ, ვაჰ).

აკადემიის სამკითხველოში თვალი მოჰკრა:

_ რას ნიშნავს ეს უზარმაზარი წიგნი? შეიძლება ეს მთელი წლის ძველი რომელიმე ჟურნალია? ძალიან დამამშვიდებლად კი დევს მაგიდაზე. რამდენიმე დღეა მისი მკითხველი არ მოსულა.

ერთხელ მთელი თავისი ავლა-დიდება შეკრიბა, მუშას აჰკიდა და ისე მიადგა რედაქტორს.

1956 წლის დეკემბერში მოსკოვის გამომცემლობას ეწვია:

_ დეევის კაბინეტში მოსამსახურეს შეაქვს ჯერ ჩემი ხელნაწერებით სავსე ჩემოდანი და მას შევყევი მეც. დეევი მომესალმა, მაგრამ ჩემოდანმა, შევატყვე, თავზარი დასცა.

მოუმზადებია:

_ ორი ჩემოდანი და ერთი დიდი ტომარა _ სავსენი პწკარედებით და მზამასალებით.

1943 წლის 28 ოქტომბერს სახელგამის დირექტორს ესაუბრა:

_ ის მეუბნება: მე თქვენს წიგნზე ასეთი წარმოდგენა მაქვს: უნდა გამოიცეს თქვენი რჩეულ ნაწარმოებთა წიგნიო.

მე გავოცდი:

_ რჩეული არ ვიცი რა არის-მეთქი, ვისაც რჩეული ჰგონია, შემდეგ ის რჩეული არ გამოდის. მე საკითხი დავსვი სრული აკადემიური კრებულის გამოცემის შესახებ-მეთქი.

1947 წელს რესპუბლიკის ხელმძღვანელს მისწერა:

_ 1933 წ. მთავრობის დადგენილება ჩემი ნაწარმოებების აკადემიური გამოცემის შესახებ დღემდის შეუსრულებელია. მოვახერხოთ როგორმე ჩემი ნაწერების ერთ ტომად გამოცემა: ქრონოლოგიური წესის დაცვით, უაღრესად საჭირო კომენტარებით, რომლებიც გაარკვევენ მთელ განვლილ გზას. ეხლა ამნაირი გამოცემა შესაძლებელია ჩვენი აკადემიის საშუალებით. გვყავს საამისო ძალები და წიგნიც უაღრესად საჭიროა.

1952 წლის 24 მარტს ჩაუწერია _ «საუბარი ბესო ჟღენტთან»:

_ კარგი. ეს ასე იყოს. ეხლა იცი თუ არა ჩემი ამბავი. დასრულდა ჩემი შვიდტომეულის გამოცემა.

_ დიდი საქმეა. ეხლანდელს არავის არა აქვს შვიდი ტომი. არც წარსულ საუკუნეში სიცოცხლეში არ ღირსებიათ შვიდი ტომის გამოცემა არავის. მე მგონიაო, ძალიან კარგი იქნებაო იუბილესთან დაკავშირებით ყველა შვიდი ტომი ერთ ტომად გამოიცემოდესო, ან და ხელახლა გამოიცემოდეს ყველა ტომი (მითუმეტეს, არსად წინად გამოცემული ტომები ეხლა აღარ მოიპოება, სულ გაყიდულია).

_ არა, ბესო, თქვენი წინანდელი აზრი სჯობია, ყველა ტომების ერთ ტომად გამოცემა.

1958 წლისათვის სრული ერთტომეულის ჩანაფიქრს დაუბრუნდა:

_ გასაკეთებელია «დიდი ერთტომეული».

_ ვზივარ და ვფიქრობ, დამუშავდება თუ არა დიდი ერთტომეული სახელგამისათვის... მუშაობა საჭიროა შინ და გარეთ... ოჯახის ორგანიზება... ჯანმრთელობის აღდგენა...

სამუშაო გეგმა შეუდგენია:

«დ ა ს ა მ ზ ა დ ე ბ ე ლ ი ა: 1. სრული ერთტომეული, რომელიც წარედგინება სახელგამს განცხადებასთან ერთად. 2. დახმარება აკადემიას _ აკადემიური გამოცემისათვის (უკვე არის დადგენილება).

რაა საჭირო? ყველა ხელნაწერის გადახედვა. მასალების დალაგება ქრონოლოგიურად. ამჟამად საჭიროა 1908-1917 წლების მასალები (მასალები პირველი ტომისათვის). აქ გამოგვადგება: 1. ქუთაისში გამოცემული წიგნი. 2. პირველი ტომი გამოცემული სახელგამის მიერ. 3. რჩეული გამოცემული 1927 წ. 4. რჩეული გამოცემული 1944 წ. 5. რჩეული გამოცემული 1954 წ.

უნდა გადაიხედოს ყველა ტომები _ V, VI, VII, VIII ტ.ტ.».

შეუდგა კიდეც საქმეს:

«30 სექტ. 1957. 1. ყოველდღე აკადემიაში. 2. გადმოვიტანე მწერალთა კავშირიდან II, III, IV, V და VII ტომების ანაბეჭდები. აკლია VI (რატომ?), სადაა VI? ნუთუ არ წარმიდგენია? ნუთუ ამოიღეს? 3. საჭიროა მოტანილ იქნას აკადემიაში ყველა სტამბაში დაბეჭდილი ტომები და შედარდეს, რათა ნათელი გახდეს: რა მასალები უნდა დაიბეჭდოს ხელახლა, რომ შეიკრას მომავალი წიგნი. 4. დალაგდეს პოემები წყნეთში, რომ შემდეგში შეუერთდეს იმ დიდ წიგნს. 5. საჭიროა გადაბეჭდილი ტომებიც, რომლებიც ინახებიან მარჯანიშვილის ქუჩაზე. 6. ე.ი. აკადემიური გამოცემისა და არააკადემიური გამოცემის ყველა მასალები დაგროვდება აქ...

P.შ. არ დაგვავიწყდეს წყნეთის პოემები. მიეცეს ლექსები გადასაბეჭდათ ხვალ: I ტ., VI ტ., VIII ტ».

გააგრძელა:

_ 1957. 2 ოქტომბერი. აკადემიის ბიბლიოთეკიდან მომიტანეს II, III, IV და VII ტომები. აკლია I, V და VI ტომები. ჰმ! ჰმ! პირველი ტომი სადღაცა მქონდა მანქანაზე გადაბეჭდილი. მეხუთე? მეექვსე?

მალე მეექვსეც უპოვნია:

_ მოძებნილია მეექვსე ტომი. იგი მიემატება აკადემიის სამკ.

ერთი თვის შემდეგ ერთი ტომიღა დარჩენია მოსატანი თუ მოსაპოვებელი:

_ 1957. 2 ნოემბერი. რა მშვენიერი მაგიდა მაქვს აკადემიაში. უნდა ვისარგებლო, თორემ რა? აქა მაქვს ყველა ტომები, გარდა პირველი ტომისა.

_ 1957. 10 ნოემბერი. მეორე ტომი ამჟამად მაქვს აკადემიაში. წამოვიღებ ხვალ, 11 ნოემბერს. მაშა, მაშა, მაშა? რა გინდებიენ თქვენ?

როგორც იყო, შეკრიბა რვატომეულის მასალა, დაუმატა «მშვიდობის წიგნის» სრული ტექსტი (რადგან მერვე ტომში მხოლოდ ფრაგმენტები დაუბეჭდეს) და თან დაურთო ადრე სანიმუშოდ დამზადებული ენციკლოპედიის ფორმატის მაკეტი:

_ გამოცემულ იქნას დიდი ფორმატის წიგნი, დაახლოვებით 500 გვ., იმგვარად, როგორც ეს წარმოდგენილია ჩემს მიერ სახელგამში.

ეს უნდა ყოფილიყო თითქმის ასთაბახიანი «სრული ერთტომეული», რომელშიც ალბათ თანამიმდევრობით აწყობილი ლექსები და პოემები ორ სვეტად დაიბეჭდებოდა:

_ ამ წიგნის გამოცემით თქვენ დიდად გაახარებთ ხალხს, რომელიც მოწყურებულია თვალით დაინახოს ყველა ჩემი ნაწერები ერთ ტომში.

რამდენიმეჯერ გადაწერა და სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორს დაზუსტებული განცხადება წარუდგინა:

_ მომავალ 1958 წელს, შემოდგომაზე, სრულდება ჩემი სალიტერატურო ასპარეზზე მუშაობის 50 წელი. ამ თარიღის აღსანიშნავად მე გამოსაცემად მოვამზადე ჩემი ნაწერების სრული ერთტომეული. ამ ერთტომეულში შედის თითქმის ყველა წიგნი გამოცემული სახელგამის მიერ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში (I, II, III, IV, V, VI, VII და VIII ტომები) და შეიცავს დაახლოებით 60 ათას სტრიქონს. გთხოვთ შეიტანოთ ამ წიგნის გამოცემა მომავალ 1958 წლის გეგმაში. 1957. 9 ნოემბერი.

ჩაუნიშნავს კიდეც:

_ 13 ნოემბერი. 1957. დირექტორს სახელგამისას წარედგინა ერთტომეულზე განცხადება. პასუხი იქნება შუა დეკემბერში (დაახლოებით ერთი თვის შემდეგ). გათვალისწინებულია I, II, III, IV, V, VI, VII, VIII ტომების გასინჯული მასალების გამოცემა ერთ წიგნად... 20 ნოემბერს ჩემს საღამოზე გამოვა ფატი ნიშნიანიძე... ვათქმევინოთ მას, რომ აუცილებელია ყველა 8 ტომის ერთ წიგნად გამოცემა.

იმავე წლის 18 დეკემბერს დაუმთავრებია დედნის მომზადება და დანომრვა: 2 784 გვერდი. სტრიქონებიც შეუჯამებია ცხრა ტომის მიხედვით (მეცხრეს, ცხადია, «მშვიდობის წიგნს» გულისხმობდა):

	სტრიქონების რიცხვი	
I ტ.		7 500
II ტ.		11 549
III ტ.	4 456	
IV ტ.	5 000	
V ტ.		3 904
VI ტ.	6 232	
VII ტ.	6 104	
VIII ტ.	3 284	
IX ტ.	8 800	
		56 829

_ ჩაიბარებს წიგნს სახელგამი. მაგრამ როდის?

_ სახელგამმა წიგნი არ მიიღო: ოთახებში რემონტი აქვს. სულ ერთია, ჯერჯერობით თქვენთან იყოს, აგერ პირდაპირ ცხოვრობთო.

_ წიგნს ჯერჯერობით არ იბარებენ: სადმე გაგვებნევაო. ჩვენთან სრული ანარქიააო.

21 დეკემბერი:

_ ვინ იქნება რედაქტორი? _ როდის დაიდება ხელშეკრულება? _ როგორც კი დაიდება ხელშეკრულება, წიგნიც ჩაბარდება. _ შემდეგ თავისუფლად ამოვისუნთქავთ. _ თუ დროზე არ გადავეცი წიგნი, მერე მეტყვიან: ეხლა გვიანიაო. ჩაიბაროს წიგნი ვინმემ, ა?

25 დეკემბერი:

_ წიგნი არ მიიღეს. ამბობენ: ადგილი არა გვაქვს, ვერსად შევინახავთო, ჰმ! ისე ვიცითო, ც.კ.-ს განკარგულებაა. წიგნს დავბეჭდავთო.

26 დეკემბერი:

_ ძველ პოზიციაზე დგანან: წიგნს არ იღებენ. არა და არა. რა უფლება აქვთ? არავითარი! მაგრამ...

1 იანვარი:

_ ჩვენ ვიბრძვით: გამოვიდეს დიდი ერთტომეული სახელგამში.

3 იანვარი:

_ სახელგამის დირექტორი _ 3-67-62 (ჰმ! ჰმ! ჰმ!).

მართლაც: 1957 წლის ბოლოს რეორგანიზაცია ჩატარდა: გამომცემლობას სახელწოდება შეეცვალა, შტატები გადახალისდა, ხელფასები გაიზარდა. რემონტიც გახანგრძლივდა.

ამასობაში ახალი წელიც დადგა და, როგორც იყო, დედანი ჩაიბარეს:

_ ჩაბარდა «ერთტომეული» 3 იანვარს 1958 წ.

დედანთან ერთად მაკეტიც მოიტანა და ჩანაწერებში გაჩნდა ტრადიციული:

_ სახელგამის წიგნის პრობლემა.

_ საგამომცემლო ხელშეკრულება.

_ საჭიროა სათაურების შედგენა დიდი წიგნისათვის.

_ დიდი ერთტომეულის პრობლემა.

26 მარტს ჩაუწერია:

_ დღეს მოსკოვის რადიოთი ყოფილა გადმოცემა ჩემთან საუბრის შესახებ, რომ სრულდება 50 წელი ჩემი ლიტერატურული მუშაობის, რომ გამოდის ნაწარმოებთა სრული კრებული... ვაშა! 50 წელი გამოცხადებულია! სრული კრებული გამოცხადებულია!.. მოსკოვის რადიო-გადაცემას უუდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის.

სამწუხაროდ, აღტაცება ნაადრევი აღმოჩნდა: პოეტის სურვილი ვერც ამჯერად განხორციელდა. შესთავაზეს ოცთაბახიანი რჩეული _ თოთხმეტი ათასი სტრიქონი, ნაცვლად წარმოდგენილი ორმოცდაჩვიდმეტი ათასისა:

_ 20 ფორმას მაძლევენ.

საჭირო გახდა ახალი რჩეულის შედგენა.

_ გამოიყოფა სარედაქციო კოლეგია. დაინიშნება რედაქტორი.

სარედაქციო კოლეგია არ გამოუყვიათ. რჩეულის შედგენა და რედაქტირება კი მე დამევალა _ გამომცემლობის ახალბედა რედაქტორს.

თურაშაულის პატრონი

ყოველი რჩეულის შედგენა საპასუხისმგებლოა და სახიფათო, განსაკუთრებით _ ცოცხალი კლასიკოსისა.

ყოველი რჩეული ათეული წლების მანძილზე უნდა დაიხვეწოს და დაიწმინდოს.

ჩვენს წარმოდგენაში უკვე ჩამოყალიბებულია აკაკისა და ვაჟას რჩეულები. ბარათაშვილსა და ილიას შედგენაც არ სჭირდებათ, იმდენად ცოტაა და თანაბარი. რუსთაველმა და გურამიშვილმა თითო წიგნი დაგვიტოვეს.

გალაკტიონის შემოქმედება დიდია და მრავალფეროვანი. მისი ნაირწახნაგოვანი პოეტური სამყარო საოცარი იდუმალებითაა გარემოცული და აზრთა სხვაობას იწვევდა და იწვევს. ყველას თავისი გალაკტიონი ჰყავს, ყოველი თაობა და პიროვნება თავისებურად კითხულობს და აღიქვამს, ხსნის და ამართლებს. თვითონაც საერთო აზრისგან განსხვავებულად აფასებდა ზოგიერთ ლექსსა თუ პოემას. აზრთა სხვაობა შეინიშნება კრიტიკოსებსა და პოეტებს შორისაც.

ეს პროცესი დღესაც გრძელდება (ათზე მეტი შემდგენელი უკვე გამოუჩნდა პოეტის რჩეულს).

განირჩევა ქრესტომათიული გალაკტიონიც. უპირატესად პოპულარულია ისეთი ლექსები, რომელთა ავტორი შეიძლებოდა სხვაც ყოფილიყო.

ამავე დროს თვითონაც განიცდიდა უკუგავლენას და პოპულარობის მიხედვით გამოარჩევდა ხოლმე საკუთარ ნაწარმოებებს. ჭეშმარიტ შედევრებს არ გამოჰყოფდა და ვითარებით განპირობებულ ჩვეულებრივებზე ამახვილებდა ყურადღებას:

_ «გეტყვიან უცხო სიტყვას რომელნი?» _ იშვიათი ლექსია. გამგები გაიგებს.

_ «არცერთი ომი არ წაგვიგია» _ გენიალური ლექსია.

_ «ცხენის ჭიხვინი» _ შედევრია.

_ «სინათლის ყვავილი» რომ სხვისი ნაწარმოები იყოს და არა ჩემი, უყოყმანოდ ვიტყოდი, რომ ის ლიტერატურული შედევრია. მაგრამ რა უნდა თქვას კაცმა თავის თავზე?

ესეც გარკვეულ დამატებით სიძნელეს უქმნის შემდგენელს.

ამიტომაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მისი რჩეულები.

თვითონაც აღიარებს:

_ სხვადასხვა დროს გამოცემული კრებულიდან ჩემი რჩეული ლექსების ამოკრების დროს ვიგრძენი, რომ ასეთ შემთხვევაში, მრავალ ტეხნიკურ სიძნელეთა დაძლევასთან ერთად, პოეტს წინ ეღობება დილემა: როგორ უნდა შეარჩიოს მან თავისი ლექსები ისე, რომ მართლა რჩეული გამოვიდეს? ხომ ცნობილია, რომ თვითონ პოეტისთვის ბევრ შემთხვევაში თვითეული მისი ლექსი რჩეულია?

მეც შემიძლია გავიმეორო: სხვადასხვა კრებულებიდან გალაკტიონის რჩეული ლექსების ამოკრებისას ვიგრძენი, რომ მრავალი სიძნელის დაძლევა მომიხდებოდა.

ოცი თაბახი! ასიდან ოცი!

არსებობს მარტივი ხერხიც: მთელი მასალა იატაკზე უნდა გაშალო, ზემოდან დახედო და ისე შეარჩიო.

გალაკტიონის ათასეულებს გონების თვალიც ვერ გასწვდა.

გამოცემული იყო რამდენიმე რჩეული.

1927 წლის «ზარნიშიანი წიგნი» (როგორც თვითონ ეძახდა და გასარკვევია _ რატომ ეძახდა) ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა:

_ საკმარისია მხოლოდ სათაურები 1927 წელს გამოცემულ წიგნში მოთავსებული ლექსებისა.

«ასმანეთიანი» გალაკტიონი ჩემი თაობის პირველი სიყვარული იყო. 1954 წლის გამოცემა ნიმუშად ვერ გამოდგებოდა.

სიყვარულითა და ინტერესით, შიშითა და მოკრძალებით შევუდექი შერჩევას. ცხრა ტომის მასალიდან ერთტომეულის ამოკრეფა და გალაკტიონისათვის მოსაწონი ვარიანტის შედგენა განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვდა...

ასე გავიცანი. პირველად ძმისშვილი მოჰყვა: ჩემი მეგობარი ნოდარი, ჩემი სტუდენტობის მეგობარი, უფროსკურსელი.

ყოველთვის მშურდა მისი _ ბიძის გამო.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, უკანასკნელ საათებამდე მხარში ედგა (ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით). ხშირად დღიურებშიც გაიელვებს:

_ ნოდარი დაიწყებს ჩემთან მუშაობას წიგნზე. _ ნოდარი გვატყობინებს. _ მე და ნოდარი გავექანეთ დამატებითი ქაღალდის შესაძენად. _ ნოდარს მიეცა მისამართი. _ როდის დაამაგრებს ნოდარი პირველ წიგნს? _ აქ დაგვეხმარება ნოდარი. _ თუ ნოდარიც დაეხმარა, უკეთესად წავა საქმე... რა თქმა უნდა, ნოდარი თანახმაა. ეხმარება. _ რას შვრება სტენდები (მე და ნოდარი). _ პალტოს პრობლემა (ნოდარი და მე). _ ნოდარი ავადაა. _ ნოდარი ასპირანტურაში. _ ნოდარს ფლური.

ერთადერთი, უსაყვარლესი ძმის შვილი, ძმისა, რომლის სიკვდილიც ყველა ტკივილზე მძაფრად განიცადა («შენ ერთადერთი ადამიანი ხარ, რომელთანაც შემიძლია გულწრფელად ლაპარაკიო»).

სურათიც გადაუღია ნოდართან ერთად: ათასიდან ყველაზე ბედნიერი ამ ფოტოზეა.

ასეთი ეპიზოდიც ჩაუწერია 1940 წლის 7 აპრილს:

«პატარა ნოდარი ქუჩაზე გადადიოდა თურმე და ერთი დიდი კაცი წამოედო. იმ კაცს ეგონა ბავშვი წავაქციეო. რომ მოიხედა, ჰკითხა: რა გვარი ხარო.

_ ტაბიძე, _ უპასუხნია ნოდარს.

_ გალაკტიონი ხომ არ გაგიგონიაო.

_ გამიგონია კი არა, ბიძაა ჩემიო, _ ამაყად უპასუხნია ნოდარს.

ახლა იმ ვიღაცა კაცის პასუხი ნახეთ:

_ გალაკტიონს მეც ვიცნობო, ჩემი დიდი მეგობარი არისო. რამდენჯერ ღვინო ერთად დაგვილევიაო და სხვა».

ახლა გალაკტიონის გაოცებაც ვნახოთ:

_ საინტერესოა, ვინ ოხერი იყო?

მახსოვს: ვერის ხიდზე ხელკავით მიჰყავს ძმისშვილი, აჩერებს, წინ დაუდგება და რაღაცას ედავება თუ რაღაცაში არწმუნებს. მერე ისევ ხელკავით მიჰყავს, ისევ აჩერებს და ისევ ეკამათება. ნოდარი დუმს...

ერთად მოვიდნენ: ნოდარმა გააცნო ჩემი თავი.

შემდეგ თითქმის ყოველდღე მაკითხავდა. როგორც ვთქვი, იქვე ცხოვრობდა, გამომცემლობის პირდაპირ: ჩვენი შენობა ხუთი ნომერია, მისი _ ოთხი იყო. სვენებ-სვენებით ამოივლიდა სამი სართულის მაღალ კიბეებს, სართულებს შორის შეყოვნდებოდა, შემოვიდოდა რედაქციაში, ჯერ მანდილოსნებს ჩამოართმევდა ხელს და მოიკითხავდა, მერე მე მომიბრუნდებოდა.

წიგნი იმავე წელს უნდა გამოსულიყო. მაჩქარებდა: მარცხენას წვერზე გადაისვამდა, მარჯვენას წელზე დაიდებდა და ავადმყოფობას იმიზეზებდა, თითქოს თავსაც მაცოდებდა:

_ დამიჩქარე, ძამიკო, და მე ვიცი შენი პატივისცემაო!

მე ისევ ვფრთხილობდი. ნოდარსაც ვეკითხებოდი.

მთელი მასალის ნაბეჭდ წყაროებთან შედარება დამჭირდა: ლექსებს ზოგან სტრიქონები აკლდა, ზოგან _ სტროფებიც. რემინგტონზე გადაბეჭდვის დროსაც საკმაო კორექტურა გაპარულიყო, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ «გასინჯული მასალები» უწოდა.

პირველი და მეორე ტომები პაპიროსის თხელ ქაღალდზე იყო გადაბეჭდილი ორ სვეტად, მიყოლებით: ქაღალდიც ჭირდა და გადაბეჭდვაც ძვირი ჯდებოდა:

_ დიდი ეკონომიაა საჭირო.

თუმცა არც მომჭირნეობა უმართლებდა ყოველთვის:

_ უკეთესი არ იქნებოდა გამოცდილი მემანქანისათვის მიმეცა ეს ლექსები გადასაბეჭდავად?! რა ვუყოთ, რომ ცოტა მეტს წაიღებდენ ხელფასს (გვერდის გადაბეჭდვაში 3 მანეთს აიღებდენ), სამაგიეროთ უშეცდომოდ და კარგად გადაბეჭდავდენ. მე კი შევცდი. იაფად აკეთებენ (2 მანეთი გვ.), მაგრამ ცუდათ. იაფი არაფერი არ ვარგა.

რაკი ყოველ გვერდზე რამდენიმე ლექსი იყო მოთავსებული, შერჩეულების ამოჭრა და ახალ ფურცელზე დაწებება მომიხდა.

_ აღმოჩნდა მანქანაზე _ კარგ ქაღალდზე გადაბეჭდილი ტომი, ამით შეიძლება შეცვლილი იქნას პაპირუსის ქაღალდზე გადაბეჭდილი წარსადგენი ორიგინალი.

არ შეუცვლია. «პაპირუსის» თუ პაპიროსის ქაღალდის აპლიკაციას მოვრჩი. მთელი მასალა ამოვკრიბე და გადავათვალიერე. შევამჩნიე: რამდენიმე ცნობილი ლექსი აკლდა, ისეთები, ზეპირადაც რომ ვიცოდი. თავდაპირველად «სასაფლაონი» მოვისაკლისე, შემდეგ სხვები და სხვები...

წარმოდგენილი მასალა ძირითადად რვატომეულიდან იყო ამობეჭდილი. როგორც გამოირკვა, რვატომეულში მრავალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია გამორჩენილი თუ გამოტოვებული.

«სასაფლაონი» 1925 წელს დაიბეჭდა «მნათობის» მეათე ნომერში ას ლექსთან ერთად, შემდეგ _ 1927 წლის კრებულში, მერე _ 1944 და 1954 წლების რჩეულებშიც, რვატომეულში კი ვერ მოხვდა.

საინტერესოა ამ თვალსაზრისით პოეტის საუბარი «მნათობის» მაშინდელ პასუხისმგებელ მდივანთან მოსე გოგიბერიძესთან:

_ ასი ლექსი? _ წამოიძახა მოსემ, _ ბრავო! რამ დაგაწერია, შე კაცო, ასი ლექსი... ამას ხომ ჟურნალის ასი გვერდი მოუნდება... არა, შენ ამბობ, რომ მხოლოდ თორმეტი გვერდი იქნებაო... ძალიან კარგი... რანაირად მოახაზირე ახლა შენ მაი... ა?

_ მოვახაზირე სულ უბრალოდ: ოთხ-ოთხი სტრიქონი ერთ სტრიქონად გადავაქციე.

_ მერე რეიზა ჰქენი მაი საქმე... დარჩენილიყო ოთხ-ოთხ სტრიქონად... მე შენს ადგილზე ასე მოვიქცეოდი: ნელ-ნელა ვბეჭდავდი თითო ლექსს თითო ნომერში: ესეც შენი ასი ნომერი «მნათობის». ეხლა კი ასი ლექსია _ და ჰონორარს კი მიიღებ ერთი ლექსისას. რეიზა შობი ახლა მაგ საქმეს, ა?

_ იმისთვის, ჩემო მოსე, რომ ჩემთვის უმჯობესია ლექსები დაიბეჭდოს ეხლავე, თორემ სულერთია, დამეკარგება, ან დამავიწყდება.

მაინც ბევრი დაეკარგა, გაებნა და გადაავიწყდა კიდეც!

როგორც ჩანს, ნაწილი გარკვეული მოსაზრებით არ შეიტანა ტომებში. არქივში შემონახულ ერთ ფურცელზე დაუსათაურებია _ «ლექსები, რომლებიც სხვადასხვა მოსაზრებათა გამო არ შემიტანია არც პირველ და არც მეორე ტომში», _ მაგრამ აღარაფერი მიუწერია თუ ვეღარ დაუზუსტებია გამოტოვებულთა სია. ყოველ შემთხვევაში, ძნელი დასაჯერებელია, მისი მდგომარეობის და პირობების კაცს ყველა აღერიცხა და დაეძებნა.

«დაკარგული ხელნაწერები» _ ასეთი ჩანაწერიც გვხვდება:

_ 50 ახალი ლექსი დაიკარგა წაღვერში 1925 წ.

1925 წლის 50 ლექსი! ეს ხომ ოქროს ხანა იყო, ყველაზე ნაყოფიერი!

ერთგან აღნიშნავს:

_ დიდი უმრავლესობა დაბეჭდილი ლექსებისა არც ერთ წიგნში შეტანილი არ არის.

მეორეგან უფრო ზუსტია:

_ წიგნის გადათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ ამ წიგნიდან _ სახელგამის მიერ გამოცემულ მეორე ტომში (1935) შეტანილი არ არის 83 ლექსამდე.

ამიტომ რვატომეულში გამორჩეული ეს მეორე ტომიც არ მოსწონდა მთლიანად:

_ ამ ტომში (მეორე ტომში) მოთავსებულია ლექსები, დაწერილი 1917-1927 წ.წ. არ შეიძლება ითქვას, რომ მასში შეტანილია ყველა მასალები, რაც ჩემთვის ძვირფასია.

პირველი ტომიც დაუანგარიშებია და შეუდარებია (შეშლია კიდეც ერთი ათეული):

_ გამოვიანგარიშე რიცხვი ლექსებისა ამ ტომისათვის. ჯერჯერობით იგი უდრის 297-ს (მეორე ტომში კი არის 360). მაშასადამე, აკლია კიდევ 29 ლექსი.

1950 წლის 26 თებერვალს 20 ლექსის სათაური ჩამოუწერია:

_ რა დაშავდებოდა, რომ ყველა ეს ლექსები მოთავსებული ყოფილიყვნენ მაგ., III ტომში? რედაქტორის უტვინო თავმა ბევრი მავნო.

უფრო დაწვრილებითაც მოგვახსენებს:

_ III ტომში სხვადასხვა მიზეზების გამო ციკლში «მოგონებები ევროპაზე» _ შეტანილია სულ 58 ლექსი _ ნაცვლად 184-სა, რომლებიც წარდგენილი მქონდა. რედაქტორი მოითხოვდა მხოლოდ ლირიკულს, ყოველგვარ პოლიტიკის გარეშე მდგარ ლექსებს. ეს, რა თქმა უნდა, არ მოხერხდა იმ 58 ლექსშიაც, რომელიც მან მოათავსა III ტომში. გარდა ამისა, რედაქტორი გაურბოდა ყოველ ნაწარმოებს, რაც გერმანიას ეხებოდა, ვინაიდან მაშინ (1940 წ.) ჩვენ გერმანიასთან ერთგვარ კარგ დამოკიდებულებაში ვიყავით _ წინააღმდეგ ინგლის-საფრანგეთის ინტერესებისა.

«IV ტ-ში არშეტანილი ლექსები» _ დაუსათაურებია და ოთხმოცდაოთხი დაუსახელებია.

_ სამივე პოემა წიგნში «ოქროს ლაჟვარდში» დამაკმაყოფილებელია. შეიძლება VII ტომში შეტანა (რა ტყვილა სუსტები მეგონა). _ გადაუწყვეტია მოგვიანებით.

1955 წლის 12 იანვარს კედლის კალენდარზე მიუწერია:

_ «რჩეულში» არის რიგი ლექსებისა, რომლებიც ტომებში შესულნი არ არიან.

ასი ლექსიდან (უფრო ზუსტად: ოთხმოცდათვრამეტიდან) ოცდათხუთმეტი რვატომეულში არ შესულა. «სასაფლაონი» რომ ვერ ვიპოვნე დედანში, ხელახლა გადავათვალიერე ტომები. იქაც ვერ აღმოვაჩინე. ადრეულ რჩეულებში დავძებნე და დამატებით ამოვბეჭდე აგრეთვე: «მე ერთადერთი მქონდა წუხილი», «უბინაო ბავშვები»,

«რუს პოეტს», «ლაჟვარდ ცაზე დღეა თეთრი კრავების», «სიხარული ბრძოლაში», «კაცი, რომელმაც გაბედა».

აქვე აღვნიშნავთ: ასი ლექსის ციკლიდან წარმოდგენილ დედანში არ ირიცხებოდა და, მაშასადამე, არც რვატომეულში დაბეჭდილა: «არ ღირს ერთ ცრემლად», «ქაჯები, ალები, ჭინკები», «ორად გაიპო წითელი კლდე», «ადრიანი გაზაფხული», «იარე, კაცი შენ აღარ გქვიან», «მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით», «წამი წამს ეზიდება», «როდესაც მთვარე ანათებს დღისით» და ასე შემდეგ.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ესეც აღვნიშნოთ: «ასი ლექსი» პოეტური კრებულების ზოგად სათაურად დამკვიდრდა: გამოიცა თვითონ გალაკტიონის ასი, დაიბეჭდა და იბეჭდება სხვათა და სხვათა.

ერთიც უნდა აღინიშნოს: როგორც ზემოთციტირებული ჩანაწერიდან ჩანს, სტრიქონები შეაერთა, რათა ჟურნალში ასივე ჩატეულიყო. 1927 წლისა და შემდგომი წლების გამოცემებში აღადგინა ძველი სტრუქტურა, მაგრამ რამდენიმე ისევე დარჩა. იგივე «სასაფლაონი» ათმარცვლიანი საზომითაა დაწერილი, წიგნებში კი ამჟამადაც ოცმარცვლიანად იბეჭდება, ხოლო პირველი სტრიქონი ოცდახუთმარცვლოვანია. ამიტომ თითქმის ყველა გამოცემაში ტყდება, ვერცერთ სტანდარტულ ფორმატში ვერ თავსდება. უნდა დაიყოს, უნდა დაუბრუნდეს პირვანდელი სახე, როგორც ორთავე ავტოგრაფშია წარმოდგენილი.

ამავე თვალსაზრისით შესაცვლელია გრაფიკა ლექსებისა: «მაინც დავიმსახურე», «ბრძოლა ღმერთთან», «სულ ადვილია რწმენა», «სიხარული ბრძოლაში» და «არ ღირს ერთ ცრემლად». ხუთივეში უნდა დანაწევრდეს ტაეპები, როგორც ავტოგრაფებშია. განსაკუთრებით აუცილებელია ეს ბოლო ლექსისთვის, რომელიც ნაცვლად თორმეტისა _ ოცდაოთხმარცვლად იბეჭდება და ყოველთვის ტყდება.

_ სტრიქონების შეერთებაო? ყოვლად შეუძლებელია. არ მოხერხდება. არცაა ხელსაყრელი თქვენთვის. მაშინ ორად ვერ გაიყოფა და უამრავი ადგილი ტყვილა დაიკარგება. არა, შეერთება არ შეიძლება. მაშინაც მივქარე «ეპოქაში».

გადასამოწმებელია საპირისპირო შემთხვევებიც: ზოგიერთი ტომის ორიგინალი იმდენად შეუმცირეს, ლექსები და პოემები დატეხა, რათა დაგეგმილი მოცულობა შეევსო და ფინანსურად მაინც არ დაზარალებულიყო.:

_ როდესაც წიგნი მიჩვენეს, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: 11 ათასი სტრიქონის მაგიერ სულ ორი ათასი სტრიქონი დაუტოვებია რედაკტორს. დანარჩენები ტყვილა, ისე, აგდებულად გადაეხაზა კარანდაშით. პირველად ვიფიქრე, ამ საკითხს ცეკაში დავსვამ-მეთქი. მერე ვთქვი, ვირია და ვირისგან წიხლი არ უნდა გეწყინოს-მეთქი. აქ კიდევ შეიძლება გააჭიანურონ, ისევ სხვა ხერხი უნდა ვიღონო. «კარგი-მეთქი, _ შევუთვალე, _ ეგრე იყოს». თან გულში ვფიქრობ: ცინიკოსობა მაგრე არ უნდა-მეთქი. ავიღე და კარგა შემჭიდროებული ლექსები გავშალე: იმ ორი ათასი სტრიქონიდან გავაკეთე 5 200 სტრიქონი! წიგნი ხელახლა გადავაბეჭდვინე მანქანაზე: 700 მანეთი «ფლური» დამიჯდა, მაგრამ ეგ არაფერია.

_ რაც არ უნდა მშვენიერი იყოს სახლი, ვიდრე იმის სილამაზეზე შეჩერდებოდეს, მზერა სახლის სიგრძე-სიგანეს ამჩნევს. ლიტერატურაც ასეა: რაც არ უნდა ფასდაუდებელ მატერიებს წარმოგვიდგენდეს, მაინც სტრიქონთა რაოდენობით იზომება (შარლ ბოდლერი).

გარდა ასი ლექსის ციკლისა, სხვებიც მრავლად აკლდა ორიგინალს, ვინაიდან რვატომეულში ნაწილი გამორჩა, ნაწილი კი ვერ შეიტანა.

ზოგიერთი სულ დაეკარგა: ვერცერთ კრებულში და ვერცერთ ტომში ვერ მოხვდა. ორიგინალური ფორმის «ვილანელი» 1922 წელს გამოაქვეყნა ჟურნალ «კანდელში» და მერე აღარსად გამოჩენილა. მხოლოდ ორმოცდაოთხი წლის შემდეგ დაიბეჭდა თორმეტტომეულის მეორე ტომში.

იმავე წელს «გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის» პირველ ნომერში დაბეჭდა მშვენიერი გაზელა _ «არა ზეცა, არა ლანდი, არა ფერია...». იგი ერთვის გალაკტიონისავე წერილს გაზელას შესახებ, როგორც სპარსულიდან თარგმნილი ნიმუში. ეს გაზელა თორმეტტომეულში ვერ მოხვდა და როგორღაც მირზა გელოვანის კრებულში აღმოჩნდა შეცვლილი სათაურით _ «ირანული მოტივებიდან».

«ვილანელის» და «გაზელას» ბედი სხვებმაც გაიზიარეს: «შენი ღიმილი», «კოშკი», «ქალის ქანდაკება»...

_ ღამის თორმეტი საათიდან 3 საათამდე გადავალაგე IX ტომის მასალები სიათა მიხედვით. აკლია მცირე მასალა პირველ სამ სიას, ხოლო უკანასკნელ მეოთხეს კი _ მთლიანად თითქმის. სადაა ეს მასალები?! კვლევა-ძიებანი ხვალისთვის გადავდვათ. _ შეყოვნებულა 1957 წლის 8 მარტს.

_ მონახულ იქნას ლექსი «ინტეგრალები» და ადგილები «საუბარი ლირიკის შესახებ».

_ მონახულ იქნას «ლექსი, დაწერილი ავადმყოფობის დროს».

_ «სინათლის ყვავილი» მოინახოს.

_ ძველი ხელნაწერებიდან მოვნახე 70 ლექსი.

_ აღმოვაჩინე 3 ლექსი.

_ მიემატა: ახლად აღმოჩენილი ლექსები პარიზის კონგრესზე.

_ არის პოემები: I. «ოთხი დღე». II. «ამირანი». III. «აფეთქება». აღმოაჩინა ნინამ.

_ არის თუ არა სადმე? _ მიუწერია ერთ სტროფზე.

_ «ცეცხლი ფიქრიანია» არის თუ არა II ტომში?

_ «ეფემერა» დაკარგულია.

_ «ოცნებაო ჩემო ძველო», მგონი, არც ერთ ტომში არაა.

_ «უნაზესი ხელნაწერი» ორჯერაა?

_ პოემები სადღაა?

_ «ქიტესა» (მგონი დაბეჭდილია), _ ჩაუნიშნავს დაეჭვებულს.

_ შესულია თუ არა ეს ლექსი მეხუთე ტომში? _ ესეც «ქიტესას» ავტოგრაფზე მიუწერია.

_ ყველა დღეზე უფრო საშინელი დღე: დავკარგე პორთფელი ლექსებით (1 500 სტრ.), _ ეს სამწუხარო ინფორმაცია 1940 წლის 4 თებერვლის კალენდრის ფურცელზე დაგვიტოვა.

რუსულად თარგმნილის ორიგინალებიც დაჰკარგვია და სათაურები რუსულადვე ჩამოუწერია 1949 წელს _ «ჩემი ლექსები, რომლებიც ქართულ ენაზე არ მოიპოვებიან»:

_ 1. Два берега. 2. Освобожденным братьям. 3. Первое мая. 4. О Джон Риде. 5. Спутник. 6. Пушкину.

ეს, თუ არ ვცდები, სავალალო შემთხვევა უნდა იყოს: საკუთარი ლექსების თარგმანებს ვერ სცნობს. მაგრამ, როგორც მალე შევიტყობთ, სულ არ-თარგმნას _ მაინც ცუდად თარგმნა ერჩია.

ბევრი ხელნაწერებში გაებნა: «ელეგია», «შეხვედრა», «არ მეგონა თუ ოდესმე დასჭკნებოდა ვარდი», «ისევ ერთად მივალთ მთვრალი მე და ჩემი ძველი დარდი», «ქარი დაცხრა სიბობოქრის», «მახსოვს ხორაგაულის სევდიანი სადგური», «მე მივდიოდი ერთი», «ქვეყანა გაცვდა, ვით ძველი გროში», «დღეს მეზიზღება მყუდრო ნაპირი», «საუბარი ტალღებთან», «ასპინძა», «ერთხელ შენ დაჰხვენ ჩემგან კარები», «შარშან ჩვენი სახლის წინ იდგა ოთხი აფთარი», «უძილო ღამეები»...

ერთიც ჩვენ დაგვიტოვა დასამთავრებლად: «რარიგ კარგია, სამშობლოვ, შენი მტკვარი და რიონი, შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა...».

ასე რომ, რიგითი ბიბლიოგრაფი შედევრებით გამდიდრებულ ორიოდე ტომსაც შეუდგენდა.

სხვათაშორის, რვატომეულში რამდენიმე პოემაც არ შეიტანა თუ ვერ შეიტანა, თუ გამორჩა.

სამაგიეროდ ზოგიერთი ლექსი ორჯერ დაიბეჭდა: მესამე ტომის «ო, მაინც რომ ვერ...» მეშვიდეშიც გვხვდება შეცვლილი სათაურით: «მონ-მარტრში». «ქალს მთებიდან» პირველშიც დაიბეჭდა და მეხუთეშიც, ასევე «ოქროს ნავი» _ მეოთხეში და მეხუთეში.

შეგნებულადაც იმეორებდა: მეოთხეში თანამიმდევრობით დაბეჭდილი ხუთი ლექსი _ «ახალი წელი», «დილა გამარჯვებისა», «დიდება», «მშობლიურ ჩანგებს დაუგდე ყური» და «მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა» _ ამავე თანამიმდევრობით გააერთიანა ციკლში «ცხრა მაისი სანაპიროზე», სათაურები მოაცილა და ხელახლა შეიტანა მეექვსეში. ერთი შესავალი სტროფი დაუმატა და ამავე ტომში გაიმეორა იმავე მეოთხეში გამოქვეყნებული «მამულო, სიცოცხლეო». მეშვიდეშიც შეიტანა მეოთხეში დაბეჭდილი «მშობლიურო ჩემო მიწავ», ქვესათაური დაუმატა: ვარიანტი, და ამით გაამართლა.

პარადოქსია: ასობით ბრწყინვალე ლექსი რვატომეულს გარეთ დარჩა და ვარიანტებს იმეორებდა: «თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასა».

ახლა, როცა ასე თუ ისე გამოცემულია თორმეტტომეული ვარიანტებითა და შენიშვნებით, რომელსაც ლექსებისა და პოემების ანბანური საძიებელიც ერთვის, შედარებით ადვილია საერთო სურათის წარმოდგენა და ყველაფრის აღრიცხვა. მაშინ ავტორსაც უჭირდა და შემდგენელსაც...

შორს წავედით. საჭიროა მთავარ სათქმელს მივუბრუნდეთ. ნუ დაგვავიწყდება: სულმოუთქმელად გველოდება გალაკტიონი, წიგნიც ეჩქარება და ჰონორარიც.

მომილოცავს, ძამიკო!

ყოველი რჩეულის შედგენისას, მითუმეტეს _ ოცთაბახიანი რჩეულის შედგენისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წიგნის სტრუქტურას.

«პოეტმა უნდა გადასწყვიტოს ორი პრინციპიალური ხასიათის მთავარი საკითხი: 1. რომელი არის მის შემოქმედებაში საუკეთესო ლექსი და 2. როგორ უნდა დაალაგოს მან ამის შემდეგ ეს ლექსები?

როგორც პირველი, ისე მეორე საკითხის გადაწყვეტა პოეტისაგან მოითხოვს დიდს სიფრთხილეს; პირველი საკითხის გამორკვევის დროს სრულიად ადვილია მრავალი შეცდომის დაშვება, მითუმეტეს, რომ ყველა, რაც კი დაუწერია, ლექსი, თვითონ პოეტისათვის რჩეული და საყვარელია, როგორც შემოქმედება. მეორე საკითხისთვისაც არსებობს მთელი რიგი ჩვეულებათა: 1. შეიძლება გადარჩეული ლექსები დაიბეჭდოს სრულიად დაულაგებლად, როგორც მიღებულია დღემდე. 2. შეიძლება დაალაგო ისე, რომ უმთავრესი ყურადღება მკითხველისა მიქცეულ იქნას ავტორის შემოქმედების ევოლუციაზე. 3. შეიძლება უბრალო ქრონოლოგიური წესით და მრავალი სხვა».

ასე მსჯელობდა თვითონ.

მე გადავწყვიტე კრებული რამდენიმე თემატურ-ქრონოლოგიურ კარად დამეყო. ექვსივე მისი სტრიქონებით დავასათაურე: _ ელოდნენ რევოლუციას. დროშები ჩქარა! ახალი ქვეყანა შენდება. შორი გზები მოვიარე. იდიდე, სამშობლოვ! სხვანი და სხვანი.

ყურადღებით გადავიკითხე საბოლოო ვარიანტი. ნახევარსაუკუნოვანი თარიღი რომ დამრგვალებულიყო, 1958 წლის ლექსი ამოვბეჭდე გაზეთ «კომუნისტიდან» _ «მაისის დროშები», გადავაადგილე ზოგიერთი ლექსი, ნოდარსაც მოვესაუბრე, ჩავინიშნე შესათანხმებელი საკითხები და განაჩენის გამოცხადებასავით დაველოდე ავტორთან შეხვედრას.

ეს დღეც გათენდა. თავდაპირველად წიგნის შედგენილობა გავაცანი. თანხმობისა და მოწონების ნიშნად თავი დამიკრა. როცა პირველი ციკლის სათაური წავუკითხე, მოულოდნელად ფეხზე წამოდგა და მარჯვენა გამომიწოდა:

_ მომილოცავს, ძამიკო!

გაოცებულმა ფრთხილად ჩამოვართვი ხელი. მეორე და მესამე შემთხვევაშიც იგივე განმეორდა. ექვსჯერვე მომილოცა.

გამიკვირდა: ღმერთმა მაპატიოს და, ერთი გაფიქრება ისიც გავიფიქრე, ხომ არ დამცინის-მეთქი. მაგრამ მაშინვე გადავიფიქრე და მაინც გაოცებულმა შვებით ამოვისუნთქე. დავრწმუნდი: აბსოლუტურად არ აინტერესებდა. არც ის აინტერესებდა, რა შევიტანე წიგნში და არც ის, რომელიმე მნიშვნელოვანი ხომ არ გამომრჩა. ყველაფერ ამას ცოტა მოგვიანებით მივხვდი. მაშინ კი მეტად უჩვეულოდ მომეჩვენა მისი რეაქცია. არადა, სწორედ ჩემს მიერ შედგენილ რჩეულზე ჩაუწერია:

_ თავიდანვე მეუბნებოდენ, ჩემზე უკეთესად ამ წიგნს ვერავინ შეადგენდა.

ხოლო 1957 წლის 22 იანვარს დაწერილი განცხადებისათვის ასეთი თხოვნაც დაურთავს:

_ წიგნის ბეჭდვის დროს გთხოვთ ნება დამრთოთ ერთხელ კიდევ გადავხედო მასალებს.

ტიტულიც მოუმზადებია ცალკე ფურცელზე:

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ტ ა ბ ი ძ ე

საქართველოს სახალხო პოეტი

რ ჩ ე უ ლ ი

1908-1958

1958

ლექსების განლაგებისას საჭირო გახდა ქრონოლოგიის გათვალისწინება. დედანში დიდი ნაწილი უთარიღოდ იყო წარმოდგენილი. როცა საეჭვო თარიღების

დასაზუსტებლად მივმართე, შევატყვე, ამასაც არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა და ყოველგვარ ვარაუდზე მეთანხმებოდა. ზოგჯერ კი ნებისმიერ წელს მკარნახობდა, თანაც ხშირად კრიტიკოსების მიერ მექანიკურად დაყოფილ პერიოდებს ითვალისწინებდა, თუმცა ყოველთვის აღიზიანებდა ეს პერიოდები:

_ რა საჭიროა პერიოდები? მაინც პერიოდები?

აშკარად ოციანი წლების რამდენიმე ლექსისთვის რომ ოცი წლით ადრინდელი თარიღი შემომთავაზა, დავრწმუნდი, ჩემი მცდელობა ამაო იყო და შეკითხვებით აღარ შემიწუხებია. ქრონოლოგია ისევე დავტოვე, როგორც წარმოადგინა. ლექსების დიდი ნაწილი უთარიღოდ დარჩა. რჩეულის ქრონოლოგია, ისევე როგორც მთელი მისი მემკვიდრეობა, პირობითია:

_ ქრონოლოგიური წესით გამოცემული წიგნი უმთავრესად ლიტერატურული მკვლევარების ვიწრო წრისთვისაა დანიშნული, მაგრამ მკითხველი მასსისთვის ის ხშირად სრულიად არაფერს არ წარმოადგენს. მას უმთავრესად აინტერესებს საყვარელი ავტორის ესა თუ ის ელეგია, მაგალითად, «მე და ღამე», «მერი» ან «ლურჯა ცხენები».

თარიღების მტერი იყო, თითქმის დასცინოდა, თითქოს განგებ ურევდა.

შეგნებულადაც აყალბებდა: 1954 წლის 14 იანვარს დაუწერია უსათაურო «ჩემს გაჭირვებას დღეს ხედავს ყველა...», ასეც დაუთარიღებია. მეორე ვარიანტს კი უკვე სხვა თარიღი უზის _ სათაურის შესაბამისი: 1909, 14 იანვარი!

საკუთარი დაბადების წელიც ეშლებოდა, თუმცა ავტობიოგრაფიებს ხშირად წერდა. მეხსიერებაც ღალატობდა:

_ რომელ წელს ეკუთვნის ლექსი «დღევანდელი დღის თვალი და ფიქრი?»

1931 წელს გაახსენდა:

_ ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ!

მერე ისევ გადაავიწყდა:

_ რაკი ქრონოლოგიური წესი დაცული არ არის, წაიშალოს თარიღები, სადაც კი მოიპოვებიან.

1945 წლის 11 ივლისს გამომცემლობას განუცხადა:

_ ჩემის აზრით, უმჯობესია ლექსები უთარიღოდ დაიბეჭდოს. ქრონოლოგიის დაცვა არ ხერხდება: მიახლოებითაც კი ძნელი დასაზუსტებელია, როდის დაიწერა ესა თუ ის ლექსი.

ხანდახან პირიქით _ ზედმეტ სიზუსტესაც იჩენდა: დღესაც აწერდა და დროსაც მიუთითებდა, არც მისამართი ავიწყდებოდა:

_ 9 სექტემბერი, 1925 წ., ღამე, ტფილისი. ჩემი ბინა _ ხელოვნების სასახლე.

წუთებსაც კი აღნიშნავდა:

_ 1946 წ., 30 ოკტომბერი, დილის 6 საათი და 15 წუთი.

აჭარბებდა კიდეც: 1956 წლის 20 იანვარი და თავისი ფაქსიმილე ხუთჯერ მიუწერია «უძილო ღამეების» ხუთივე სტროფის შემდეგ.

ერთი ჩანაწერის დასაწყისში დაწვრილებით აღრიცხავს:

_ 1947, 19 ენკენისთვე (თორმეტის თექვსმეტი წუთია).

ერთ-ერთი საერთო რვეულის სატიტულო ფურცელი მხოლოდ თარიღით დაუსათაურებია:

_ 1946, 16 ივლისი, 11 საათის 9 წუთი.

1935 წლის 19 ივნისს პარიზში:

_ გამომეღვიძა ექვსის ათ წუთზე.

1948 წლის 2 ოქტომბერს თბილისში:

_ პირველის ორ წუთზე ღამით გარდაიცვალა აბესალომი.

სხვა დროს კიდევ უფრო ზუსტია:

_ 1941 წ. 19 აპრილი. გამოვედი რადიოთი. დაიწყო 21 ს. 30 წ. დამთავრდა 21 ს. 58 წ. _ სულ 28 წამი.

_ ტფილისის სადგური, 11 საათის 11 წუთი, 1946, 24 ოქტომბერი.

_ 28 აგვისტო. 1955 წ. დილა. 10-ს უკლია 5 წუთი. «მასსაჩუზეტი».

საგანგებო საერთო რვეული აუღია და ყდაზე წაუწერია: «ზუსტი თარიღებისათვის. 1948, სამშაბათი, 27 აპრილი».

«მშვიდობის წიგნის ყოველი ასი სტრიქონის შემდეგ თარიღი მიუწერია:

_ 100 სტრ. 20 IV. 45 წ.

_ 200 სტრ. 21 IV. 45 წ.

_ 300 სტრ. 21 IV. 45 წ.

_ 400 სტრ. 22 IV. 45 წ.

_ 500 სტრ. 23 IV. 45 წ.

_ 600 სტრ. 24 IV. 45 წ.

ერთგან საათსა და წუთს მიუთითებს, თვე და დღე კი ავიწყდება:

_ 1935. სტოლპცი _ ნეგორელოე. 6 ს. 45 წუთი. საღამო.

მეორეგან და მესამეგან წელიწადი არ ახსენდება:

_ 11 იანვარი. 5-ს აკლია 11 წუთი.

_ 1 ნოემბერს დილით ათ საათზე ლექსი გადავეცი გაზეთ «Труд»-ის წარმომადგენელს.

საერთოდ, ნებსით თუ უნებლიეთ, შეცდომით ათარიღებდა ნაწარმოებებს და თვით აკადემიურ გამოცემაშიც კი ვერ მოხერხდა ჯერჯერობით ზუსტი ქრონოლოგიის აღდგენა და დადგენა...

ისევ შორს წავედით. გალაკტიონი გველოდება. ჩქარობს და მაჩქარებს: დედნის სტამბაში გაგზავნა აინტერესებს, რადგან, სამწუხაროდ, მხოლოდ მას შემდეგ გაუფორმებენ სათანადო ხელშეკრულებას და გადაურიცხავენ კუთვნილი ჰონორარის ნაწილს:

_ ისე ჰონორარზე უარს არიან. «ვიდრემდის წიგნი სტამბაში არ გადავა, ჰონორარი არავის მიეცემაო» _ განცხადებაა გაკრული.

თავსაც ამიტომ მაბრალებდა. მე კი მაკვირვებდა მისი გულგრილობა და პასიურობა, წიგნის შედგენილობის დაზუსტებისას, თითქოს რომ მეუბნებოდა: რაც არ უნდა ეცადო, ცუდი რჩეული მაინც არ გამოვაო...

რამდენიმე აუცილებელი მოსაზრება მაინც შევუთანხმე.

სამწუხაროდ, ეს იყო ჯენტლმენური შეთანხმება.

საკმარისია მხოლოდ სათაურები

სათაურებს ხშირად იმეორებს. ეს აშკარად ჩანს რვატომეულისა და თორმეტტომეულის ანბანურ საძიებელში.

მეორდება თემატურები: ელეგია, ეფემერა, იავნანა, რომანსი, სტანსები, ფრაგმენტი, ხალხური მოტივებიდან, მგზავრის სიმღერა...

ემთხვევა დროის აღმნიშვნელები: გაზაფხულის ღამე, შემოდგომის დღე, დგება შემოდგომა, მაისი, პირველი მაისი...

ემსგავსება სხვებიც: გახსოვს? დღემ გაიარა, მრავალ ახალ წელს, რისთვის? როგორც სიზმარი, ქალი და ხელოვნება, ყვითელი ფოთოლი, შერიგება...

ზოგი ორჯერ მეორდება, ზოგი სამჯერ, რამდენიმე _ ოთხჯერაც. მაგრამ არცერთი ამათგანი ერთსა და იმავე წელს არაა დაწერილი, არც ერთდროულად არ გამოქვეყნებულა.

არის ერთადერთი გამონაკლისი: «შენ და შემოდგომა». ორივე ერთდროულადაა დაწერილი და ერთად დაიბეჭდა გაზეთ «ერთობაში» 1920 წლის 21 სექტემბერს. ავტოგრაფები არ შემონახულა.

სათაური პირველის ორგანული ნაწილია: ოთხჯერ მეორდება თორმეტ სტრიქონში. მეორეში კი შემოდგომა ნახსენებიც არაა, «ზამთრის მწუხარება» კი გაიელვებს.

საერთოდ შემოდგომის მოტივებზე ხშირად წერდა. ციკლიც მონიშნა: «შემოდგომები».

იმავე გაზეთში მესამე ლექსიცაა დაბეჭდილი _ «დგება შემოდგომა». სამივე ერთი ციკლისაა. შეიძლება მეორის სათაურშიც შემოდგომა იყო ნახსენები და კორექტურის ჩასწორებისას პირველი სათაური მეორეშიც ჩასვეს შეცდომით: პოლიგრაფიაში ხშირია მსგავსი შემთხვევა.

სხვა მაგალითებითაც დავრწმუნდებით: პირველ პუბლიკაციაში გაპარული უზუსტობანი ბოლომდე შეუმჩნეველი და გაუსწორებელი რჩებოდა.

ასე იყო თუ ისე, ჩემი მოსაზრება უყოყმანოდ (ალბათ ანგარიშმიუცემლად) გაიზიარა: მეორე ლექსი უსათაუროდ დაიბეჭდა: შენს სიყმაწვილეს ახსოვს მხოლოდ ზუზუნი ქარის...

«ქარი არხევდა ი ტ ა ლ ი ა ნ უ რ შობის ხეს ტრიპოლისში» _ ი ტ ა- ლ ი უ რ ა დ გადავაკეთეთ.

იგივე ტაქტით გასწორდა და დაიბეჭდა: რევოლუციონურ საქართველოს _ რევოლუციურ საქართველოს, რევოლუციონურად _ რევოლუციურად, რევოლუციონური _ რევოლუციური და ასე შემდეგ. უფრო ადრე იყო: რევოლიუცია, რევოლიუციონური... 1939 წლის 20 ივნისის «ლიტერატურული საქართველოს» არეზე მიუწერია:

_ უნდა, მართლაც, რევოლიუციონური და არა რევოლუციური. უნივერსიტეტის რუსულ-ქართულ ლექსიკონში კი არის რევოლიუციური. საჭიროა მასალების შეკრება ამ საკითხზე.

მეხსიერება ატყუებს: მითითებულ ლექსიკონში არის მართებული ფორმა: რევოლუციური...

პოემებიდან «საუბარი ლირიკის შესახებ» და «აკაკი წერეთელი» მხოლოდ ნაწყვეტები შევიტანეთ.

ცხადია, «მშვიდობის წიგნი» მთლიანად ვერ მოთავსდებოდა. მერვე ტომში დაბეჭდილი, საგრძნობლად შემცირებული ვარიანტი შევიდა მცირეოდენი

ცვლილებებით (ეს ცვლილებანი აღრიცხულია მეთერთმეტე ტომში). სტრიქონები შევაერთეთ ტევადობის გაზრდის მიზნით.

ამავე მოსაზრებით ლექსებშიც ზოგან სტრიქონების შეერთებაზე შევთანხმდით. გავითვალისწინეთ რამდენიმე კონიუნქტურაც. ყველა შემთხვევაში და ყოველ შენიშვნაზე უყოყმანოდ მეთანხმებოდა.

აქ დროული იქნება დავიმოწმოთ 1945 წლის 3 ივლისის ჩანაწერი, რომელიც იმავე წელიწადს გამოცემულ რჩეულს ეხება:

_ ელიკომა სთქვა: გამომიძახა შარიამო. დიდხანს მელაპარაკა შენს წიგნზედ და შენზედო. სთქვაო, რომ ასეთი პოეტი ეხლა რუსეთშიაც არ არისო. მხოლოდ ეს არისო, რომ მას ბევრი ისეთი რამ შეუტანია წიგნში, რომელთა შეტანის აუცილებლობა არ იყოვო(?). «მას შეუტანიაო» (თითქო არ იცის, რომ მე ამ წიგნის არა ვიცი რა. რაც რედაქტორს გადავეცი, კორეკტურაც კი არ წამიკითხავს. ბევრი რამ ჩაუმატეს და ეხლა მე უნდა ვაგო პასუხი).

აქვე უნდა გავიხსენოთ «საქმიანი შენიშვნები» (აკაკი შანიძე უსწორებს ლექსს):

«აკაკი გულდასმით სწავლობს ლექსს, რამდენჯერმე კითხულობს თავისთვის. ასწორებს კიდეც. მაგრამ კარგად ასწორებს. მე ეს მახარებს.

_ «სიმღერა პირველი მაისისა» ... არა სჯობია, რომ იყოს «სიმღერა 1 მაისს?»

_ რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, სჯობია. ეს «ექსპრომტია» და...

_ შემდეგ, «მაისი დამფარველი ფრთით ეფერება?» თქვენ გაქვთ «ეფერება». არ აჯობებს, რომ იყოს «ეფარება?». «ჩვენი მაისი დამფარველი ფრთით ეფარება». რას იტყვით?

_ ოო, როგორ არ აჯობებს? «დამფარველი ფრთით ეფარება». ეს მშვენიერი სახეა, უკეთესი.

და კიდევ რამდენი ასეთი შენიშვნა, მეტად ძვირფასი».

დააკვირდით: დაუყოვნებლივ ეთანხმება, აღტაცებულიცაა. არადა, ავტორისეული ვარიანტი უკეთესია, აშკარად უკეთესი. ეს ლექსი მეშვიდე ტომში შეიტანა 1950 წელს. სათაური შეამოკლა: «პირველი მაისი». სამწუხაროდ, შანიძისეული სწორებანი დატოვა თუ დარჩა.

ამიტომ მთელი მისი ტექსტი კრიტიკულადაა შესასწავლი, ყველა ვარიანტი _ გადასასინჯი, ყოველი შემდგომი სწორება _ საეჭვო.

ეს უნდა გაითვალისწინონ მომავლის ტექსტოლოგებმა.

აქ ბევრია ჩემი პატრიოტი

წიგნის სასახლის ხშირი სტუმარი გახლდათ.

კაცმა რომ თქვას, სტუმარი არც ეთქმოდა.

მე განვიარე მანძილი იმა დღისა და ღამისა
და შემოვაღე კარები, კარები სახელგამისა.

სახელგამი _ ყოველი მისი დღის წესრიგის ძირითად და უპირველეს საკითხს წარმოადგენდა. იშვიათად შეხვდებით საქმიან ჩანაწერს, ეს გამომცემლობა რომ არ იყოს ნახსენები.

1927 წლის 31 მაისს ძმა სწერს:

_ ეს მეორე წერილია, რომ ვწერ, პირველი სახელგამში გამოვაგზავნე შენდა გადმოსაცემად.

1936 წლის 1 თებერვლის დღიურში კი თვითონ ჩაუწერია:

_ სახელგამში ბარათი არ არის.

მთელი ცხოვრება სახელგამთან იყო დაკავშირებული. აქ გამოსცა რვა ტომი და ყველა რჩეული. იქვე ცხოვრობდა და თავისუფალ დროსაც შემოივლიდა ხოლმე. თავისუფალი დრო კი, მოგეხსენებათ, თავზე საყრელი ჰქონდა.

სახელოვანი მეზობელი აქ თავს შინაურ კაცად გრძნობდა.

_ ვიყავი სახელგამში... აქ ბევრია ჩემი პატრიოტი.

_ სახელგამის თანამშრომლები ჩემს მხარეზეა.

შემოსვლისთანავე ყურადღების ცენტრში და თანამშრომელთა წრეში მოექცეოდა. შეჩვეული და შეხუმრებული იყო რედაქტორებთან, კორექტორებთან, პოლიგაფისტებთან, ბევრი მათგანის მეხსიერებას შემორჩა მისი ხშირი სტუმრობა და ხუმრობა, მასთან ოფიციალური და არაოფიციალური შეხვედრები, მისი წიგნების მომზადებისა და გამოცემის დაუვიწყარი ეპიზოდები, პოეტის ექსპრომტები და ეპიგრამები.

ვინ იცის, იქნებ ამ კედლებში გატარებულმა დღეებმა შთააგონეს მონუმენტური «მშვიდობის წიგნი», ანდა _ «გამოგონება», რომელსაც «წიგნების პოემას» უწოდებდა?!

მრავალი საინტერესო და საგულისხმო ფაქტი აღინიშნა დღიურებსა და ჩანაწერებში. 1953 წლის 19 დეკემბერს წიგნის სასახლის სასადილოდან ვერის აღმართისათვის მიუპყრია მზერა:

_ მბეჭდავთა კომბინატის სასადილო. ვერის აღმართი. საუცხოოდ სჩანს ვერის ხიდიც, ვერის ძველი ეკლესია და სასაფლაო, იოსელიანისა და ანანოვის სახლი, ჯავახიშვილისა და რადიანის კერა, ძველი ცირკის ბაღი, ვარაზის ხევის შერთვა, ანანოვების მამული. იქიდან იცქირებიან დ. პავლიაშვილი, საგანელი, თამარ ყანჩელი, ლავრენტი არდაზიანი თუ დანიელ ჭონქაძე და მრავალი, მრავალი ვინმე.

1949 წლის 6 მაისს ლურჯი და წითელი ფანქრებით ორი ფერადი სურათი ჩაუხატავს ბლოკნოტში: ერთგან ზურგშექცეული მამაკაცი ზის და წიგნს კითხულობს. ქვევით მიუწერია: 6 მაისი, 1949, სახელგამი. იქვე მეორე ნახატია: კარაბადინივით დიდი გადაშლილი წიგნი, ერთტომეულის მაკეტი რომ მოგვიტანა, ისეთი, საოცნებო. ესეც დაუთარიღებია: სახელგამი, 6/V _ 49... ოცნებად ჰქონდა გადაქცეული დიდი ერთტომეული. ხატავდა და წერდა: იმავე 1949 წლის ერთი ლექსის («ბუხართან») ერთ-ერთი ვარიანტი ასე დაუმთავრებია: «მალე გამოვა ჩემი უზარმაზარი წიგნი». შემდეგ გადაუხაზავს ეს ორი სტრიქონი, რადგან ოცნება სინამდვილედ ვერ აქცია.

ერთ ოჯახში შემონახულია უცნობი პირის მიერ სახელგამის ბლანკზე გადაწერილი სალაღობო ექსპრომტი «სვინტრი». 1954 წლის 13 ივლისს გამომცემლობის რომელიღაც რედაქციაში შეუტყვია: მწერალმა არისტო ჭუმბაძემ განმარტა _ სვინტრი ბალახია იმერეთშიო. საპასუხოდ იქვე დაუწერია (თუმცა მთლად ექსპრომტად დაწერილს არ ჰგავს: ლიტერატურულ მუზეუმში ლექსის ნასწორები ვარიანტიც ინახება):

არც დვალეთში, არც ქიზიყში, არც ჰერეთში,
არც დღეის დღეს, არც ხვალეთში, არც მერეთში,
არც ბოხოხში, არც ცილინდრში, არც ბერეტში,

სვინტრი იგი ხარობს მხოლოდ იმერეთში.
უნდა შუბლით ფიქრთა ნისლი გამერეკა,
მსურდა სწრაფად მსოფლიოსთვის დამერეკა,
რომ აღმოჩნდა, რომ აღმოჩნდა ამერიკა
და რომ სვინტრი ბალახია იმერეთში.

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი, 1954 წ. სახელგამი.

იმ წელსაც რჩეული იბეჭდებოდა და, ეტყობა, ხშირად მოდიოდა...

ახლაც თითქმის ყოველდღე გვაკითხავდა. შემოაღებდა კარებს, ჯერ მანდილოსნებს მოიკითხავდა... ჩაუნიშნავს კიდეც ორი კოლეგა-რედაქტორის სახელი და გვარი საკუთარი წიგნებით თუ ფოტოპორტრეტით დასასაჩუქრებლად:

_ სახელგამში ლია ელიოზიშვილი. 1 ეკზემპლიარი. ცეცილია ბუაჩიძე.

ერთხელ პორთფელიდან ლიტერატურული გაზეთი ამოიღო და პატარა ინფორმაცია წაგვიკითხა: სომხურად ეთარგმნათ და დაებეჭდათ ქართველი პოეტების ლექსები.

_ სახალხო პოეტი სადაა, ძამიკო, სახალხო პოეტი? _ გვეკითხებოდა ცოტა განაწყენებული.

იგივე წყენა ადრეც უგემნია და თავისი გულისტკივილი 1953 წლის 18 ოქტომბრის გაზეთ «კომუნისტის» პირველ გვერდზე მიუწერია სახელდახელოდ:

_ განა ეს შეგნებული, წინასწარ მიზნად დასახული მავნებლობა არ არის? ამ ნომერში მოთავსებულია წერილი «შემოქმედებითი თანამეგობრობა». წერილში ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი რაიმე იმის შესახებ, თუ რატომ არაა სომხური ჟურნალის იმ ნომერში, რომელშიც ყველა (დაახლოებით) ქართველი პოეტების თარგმანებია მოთავსებული, გალაკტიონ ტაბიძე. განა ეს შეგნებული მავნებლობა არ არის?

დასკვნა კი, კიდევ უფრო ადრე, წინასწარ გამოუტანია. _ 1945 წლის დღიურში:

_ საერთოდ ნათელია, რომ სომხები მე გვერდს მივლიან.

ლიტერატურულ საკითხებზე იშვიათად გვესაუბრებოდა. საინტერესოებსა და სასაცილოებს კი გვიამბობდა. ორი დამამახსოვრდა:

I. მეგრელი გურულს ესტუმრა. ეზოში შესულ სტუმარს ძაღლი გამოედევნა. მეგრელმა ქვას დაავლო ხელი, მაგრამ მიწიდან ვერ დასძრა და გამწარებულმა დაიყვირა:

_ შეგარცხვინა ღმერთმა, გურულო, ძაღლი აგიშვია და ქვა დაგიბამსო.

II. ერთხელ საქართველში რომელიღაც ეპიდემია გავრცელდა. ავადმყოფი ექიმთან მივიდა. ექიმმა გურიაში გამგზავრება ურჩია.

_ გურიაში რა მინდა, ექიმო? _ ჰკითხა გაოცებულმა ავადმყოფმა.

_ შენს ავადმყოფობას სიცილი უხდება, _ უპასუხა ექიმმა, _ გურიაში კი ნაბიჯს ვერ გადადგამ, რაიმე სასაცილო რომ არ გაიგონოო.

პირველი სიუჟეტი დღიურში ჰქონდა ჩაწერილი 1936 წლის 23 აპრილს, ხოლო მეორის გამოძახილია 1947 წლის ორსტროფიანი უსათაურო:

მე რომ მკითხონ: _ რა გვინდა, რომ ბედნიერი გახდეს კაცი?
ვუპასუხებ: _ საქართველოს ეს ბუნება თვალწარმტაცი!
კვლავ რომ მკითხონ: _ რა უნდა, რომ გაქრეს დარდი გულამკლები?
ვეტყვი: _ სულ თვე მგზავრობისა, არც მეტი და არც ნაკლები.

ჩანაწერიც აღმოჩნდა 1954 წლის 12 ივლისისა:

_ გურიაში რატომ უნდა იმოგზაურო? _ გაჯანმრთელების მიზნით. იქ ბევრს იცინი, ენამოსწრებული ხალხია.

ერთიც მახსენდება გალაკტიონის ნაამბობიდან: ერეკლე მეფეს რომ ათი შვილის მამამ შეჰნატრა: ნეტავი ერთი მყავდეს და შენისთანაო. ესეც ჩაწერილი ჰქონია 1949 წლის დღიურში:

«სახელგამში აკაკი შანიძეს შევჩივლე:

_ აი, ლიტერატურის სახელმძღვანელო VIII კლასისათვის. პოეტების ათ-ათი ლექსია შიგ და ჩემი კი მხოლოდ ერთი-მეთქი.

_ ეგ სრულებით არაფერია, _ მიპასუხა აკაკიმ, _ ერთხელ ირაკლი მეფე გლეხის ოჯახში იყო. ამ გლეხს ათი ვაჟი ჰყავდა. ირაკლიმ უთხრა მასპინძელს, რა ბედნიერი ხარ, რომ ათი შვილი გყავსო. მასპინძელმა უპასუხა ამოოხვრით: ეჰ, დიდო ბატონო, ნეტავი ერთი შვილი მყავდეს და თქვენისთანაო».

ეს დიალოგიც სახელგამში შემდგარა. იმჯერად მეექვსე ტომს ადგა თავზე და მეშვიდესაც ამზადებდა...

სახელგამის ძველი თანამშრომლები უფრო შეთამამებულნი იყვნენ სახელოვან მეზობელთან:

_ შენ დააქციე ეს ქვეყანა, თორემ მას რა უჭირდაო, _ ხუმრობით მინამ წიგნი მთხოვა.

ერთხელ მეორე სართულის ვესტიბიულში ვიდექით (მაშინ ეს ვესტიბიული ღია იყო და ვრცელი). მოლარე შემოგვიერთდა _ მინა ჩხიკვაძე და გაეხუმრა: ახლა სახალხო პოეტის წოდება მავანმა უნდა მიიღოსო (ერთი პოეტის გვარი დაუსახელა):

_ რითი, ძამიკო, რითი უნდა მიიღოს? _ ქირქილებდა და გრძნობდა, რომ ეხუმრებოდნენ.

ეს ის მოლარე მინა გახლავთ, რომლის სახელიც ფინანსური თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესო მთავარი ბუღალტრის პინა გოლეთიანის სახელს გაურითმა და პატარა კალამბური დაწერა _ «პინა და მინა»:

პინამ
მინას,
მინამ
პინას
ფულის
ნაცვლად
ქინა-
ქინა
უძღვნა
შინა.

ერთი ექსპრომტი მაშინდელი საკორექტოროს გამგესაც მიუძღვნა:

არობელიძით შურათი იწყება ხვალის სურათი,
არ მითარგმნია ტოლსტოის «ომი», არც «ხაჯი მურატი»,
მე მხოლოდ მერვე ტომის მსურს მიყვანა კორექტურამდი.

იმავე ვესტიბიულში ერთხელ პაპიროსი მომაწოდა, აწეულ ხასიათზე ბრძანდებოდა. არ ვეწევი-მეთქი, _ მოკრძალებით შევკადრე.

_ ჩემი ხათრით მოწიეო, _ დამაძალა.

ავიღე და შევინახე ერთი ღერი: დღესაც გალაკტიონის ნაჩუქარ რუსულ წიგნში მიდევს _ Курортные. Т.Ф. №2. Тбилиси.

ეს წიგნი ლექსებისა და პოემების ყველაზე დიდი რუსული კრებულია. იგი მოსკოვში გამოიცა 1958 წელს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის გამო:

_ საბრძოლო ასპარეზი გადაიტანეს დეკადისათვის მოსკოვში.

_ უნდა გავიმარჯვოთ დეკადაზე.

როცა თარიღებს ვაზუსტებდით, ტელეფონით საუბრისას მითხრა: ახლახან მოსკოვში გამოცემული წიგნი გამოგვადგებაო, და სახლში მიმიწვია. ადრეც ვიყავი: რჩეულის შედგენის შემდეგ დიდი მასალა დარჩა _ ცხრა საქაღალდე. ცხრა საქაღალდე და სრული კრებულის განუხორციელებელი მაკეტი ერთად გადავიტანეთ (ამჟამად ლიტერატურის მუზეუმში, პოეტის არქივში ინახება ეს გადაბეჭდილები, ჩემს მიერ დაჭრილი ფურცლების ნარჩენებიც, ჩემი ფანქრით მინაწერებიც, ისევე უცვლელად და ხელუხლებლად, როგორც დავაწყვე ოცდაშვიდი წლის წინათ).

ამოღლიავებული საქაღალდეებით ავედით მეორე სართულზე. კარები გარედან გააღო და მისაღებიდან გასძახა:

_ ნინა, ქალო, ნინა, სტუმარი მოგიყვანე!

მეუღლე გამაცნო: დედნის მომზადებაში მეხმარებოდაო:

_ დღეს ნინომ მითხრა, რომ სამშაბათიდან დამეხმარება ხელნაწერების გადარჩევაში.

_ საღამოთი წყნარად დავჯექით და ვიანგარიშეთ მე და ნინამ. დაახლოებით 6 000 სტრიქონია. ცოტა კიდევ უნდა მიემატოს.

_ მე, ნინამ, ირმამ: დავამზადეთ საიუბილეო გამოცემაში შესატანი მერვე ტომი. დაიშალა სტამბაში დაბეჭდილი წიგნი, ლექსები გადაეკრა უმეორეგვერდო ფურცლებს და ამგვარად მზადაა 127 გვერდი.

_ შევკონეთ რჩეული. გამოვიდა 2 784 გვერდი. დავალაგეთ სამ წყებად: I-II ტ.ტ., III, IV, V ტ.ტ., VI-VII-VIII-IX ტ.ტ. მზადაა. ხვალ გადაეცემა სახელგამს. ნინო დამეხმარა.

ეს უკვე ის მასალებია, რომლის დიდი ნაწილიც იმ დღეს უკანვე გადავიტანეთ.

კაბინეტში შემიძღვა. სამუშაო ოთახი სადად, თითქმის ღარიბულად გამოიყურებოდა (ასეც მოველოდი), დაულაგებელი ჩანდა (ასეც ვფიქრობდი), წიგნები შედარებით ცოტა მომეჩვენა (ეს კი გამიკვირდა, თუმცა მკაცრი გემოვნებით შერჩეული პირადი ბიბლიოთეკა აღმოჩნდა, როგორც გვიან დავრწმუნდი, არქივის გაცნობის შემდეგ).

_ სამწუხაროა, რომ ბროკგაუზი და ეფრონი არა მაქვს.

_ ენციკლოპედიის საკითხი. საჭიროა შეძენილ იქნას უსათუოდ.

დამამახსოვრდა: საწერ მაგიდაზე თაბაშირის ბიუსტი საშუალო ასაკის პოეტისა და კედელზე გაკრული გრძელი მთავრული ანაბეჭდი: გალაკტიონოლოგია.

აგრეთვე: ბაგრატის ტაძრის ჩუქურთმის ნატეხი:

_ ბეგლარ ახოსპირელს ვთხოვე ჩამოეტანა ჩემთვის ძველი ჩვენი ტაძრის ნანგრევიდან რაიმე ორნამენტი. მან თხოვნა შემისრულა: მომიტანა დროთა სვლისაგან ხავსმოდებული ორნამენტი, რომელიც ყურძნის მტევანს გამოსახავდა... მას მერე ბევრმა ხანმა გაიარა, ბევრი რამ დავკარგე, მაგრამ ის ქვა, ის ორნამენტი არ დამიკარგავს, დღესაც ჩემს სამუშაო მაგიდაზე მიდევს.

კარამდე მომაცილა და მომიბოდიშა: მე ვიცი, ძამიკო, შენი პატივისცემა, წიგნი რომ გამოვაო...

მეორე სტუმრობისას ახლად გამოცემული რუსული წიგნი მაჩუქა. დიდხანს ეძება საწერი კალამი. ბოლოს, როგორც იყო, ფანქარი იპოვა (ფანრითაა ნაწერი და ნასწორები მისი ხელნაწერების უმეტესობა) და სატიტულო ფურცელზე წამიწერა:

_ ვახტანგ ჯავახაძეს, ნიშნად უღრმესი პატივისცემის, 1958, 23 ივლისი, გ. ტაბიძე.

გადავათვალიერე თითქმის ხუთასგვერდიანი კრებულის სარჩევი და სინანულმა შემიპყრო: აქა-იქ ჩანდა ნაცნობი გვარები მთარგმნელებისა. საერთო დონის განსაზღვრისათვის კი ერთი ფაქტის აღნიშვნაც კმარა: «ჯონ რიდის» ათას სტრიქონზე მეტი ვერლიბრი თარგმნილია (უფრო ზუსტად: გადაკეთებულია) ასოთხმოცსტრიქონიან რითმიან ლექსად. თარიღიც მცდარი უზის _ 1918, ნაცვლად 1924 წლისა.

რამდენიმე წლით ადრე იმავე საკავშირო გამომცემლობის მიერ დაბეჭდილ ავეტიქ ისააკიანის რუსული რჩეულის მთარგმნელებს რომ გადახედოთ, გულწრფელად შეგშურდებათ: ვალერი ბრიუსოვი, ალექსანდრ ბლოკი, ანა ახმატოვა, ბორის პასტერნაკი...

_ წარმოგიდგენია, დეევმა, მოსკოველმა გამომცემელმა, მითხრა: შენი კი არა, ავეტიკ ისააკიანის წიგნი ვერ გამოგვიციაო.

კი უნდა წარმოედგინა: მის მიერ პოეტების მეფედ აღიარებული და მწარედ დატირებული ალექსანდრ ბლოკი ჯერ კიდევ 1916 წლის 28 იანვარს სწერდა ერთ-ერთ ადრესატს:

_ Поэт Исаакиан _ первоклассный; может быть, такого свежего и непосредственного таланта теперь во всей Европе нет.

სომეხმა ხალხმა სამაგალითოდ მოუარა თავის საყვარელ «ვარპეტსა» და მის შემოქმედებას და ამიტომაც არც მთარგმნელთა და გამომცემელთა ყურადღება დაჰკლებია.

_ სომხებს ბედი უღიმის. გაზეთებში ყოველდღე მათზეა წერილი. ყველგან თავისი ხალხი ჰყავთ. ჩვენ რა გვეშველება, რომ არსაიდან იმედი არაა. საკუთარი ხელით უნდა გავაკეთოთ ყველაფერი. _ Своею собственной рукой.

საქართველოს სახალხო პოეტის ნაჩქარევად ნათარგმნი და სახელდახელოდ შედგენილი წიგნი ფაქტობრივ შეცდომებსაც შეიცავს: ევროპის ციკლის ერთი ლექსი _ «მოგონება მშობლიური მხარის» _ ორჯერაა წარმოდგენილი _ სათაურით და უსათაუროდ, ორი სხვადასხვა მთარგმნელის _ მ. ტალოვისა და ე. ანანიაშვილის _ მიერ თარგმნილი, როგორც ორი დამოუკიდებელი ლექსი (262 გვერდზე და 281 გვერდზე), თანაც პირველად 1935 წლითაა დათარიღებული, მეორედ კი _ 1936 წლით. ორივე თარგმანი შვიდსტროფიანია, ორიგინალი _ ექვსიანი.

როცა ამის შესახებ ვაუწყე, გამომცემლებს დაემუქრა: ჩავალ მოსკოვში და შავ დღეს დავაყრიო:

_ Деев Аркадий Димитриевич... ᲐᲛ!

_ Рябинина Александра Петровна... ᲝᲐ!

_ Хитарова София Моисеевна... საიდან სად გამოპროწიალდა???

არ დასცალდა...

თუმცა, დამნაშავენი უფრო ახლოს მოიძებნებოდა. ამიტომ არც გამკვირვებია, 1958 წლის დღიურში რომ ამოვიკითხე:

_ მოსკოვში დეკადისათვის გამოსულ ჩემს წიგნში 277 ლექსი და პოემაა მოთავსებული. წიგნი შეიცავს 475 გვერდს. თარგმნის ლექსებს 34 პოეტი... ყველანი უგულითადესი მადლობის ღირსნი არიან ასეთი მშვენიერი წიგნის გამოცემისათვის.

ცხადია, არც «ასეთი მშვენიერი წიგნის» თარიღები აღმოჩნდა ზუსტი და სანდო.

ლექსები ჩემი ვალიუტაა

_ დედა, რაც შეეხება ჩემს ეხლა ჩამოსვლას, ჩემთვის ძალიან ძნელია. დედიკო! რა ვქნა, სწორედ ეხლა იბეჭდება, დედიკო, ჩემი ოთხი წიგნი... წიგნების დაბეჭდვის შემდეგ მე შენთან ვარ.

წიგნის მომზადება და გამოცემა უპირველეს საზრუნავსა და საარსებო წყაროს წარმოადგენდა:

_ დედის მძიმე ავადმყოფობის გამო დღეს მივდივარ იმერეთში სწრაფი მატარებლით. წიგნის ბეჭდვას ნუ შეაჩერებთ. თუ არის რაიმე გაუგებარი, ამოიღეთ სტრიქონი, ტაეპი, მთელი ლექსი, მხოლოდ წიგნის ბეჭდვას ნუ შეაჩერებთ.

მთავარი არასოდეს ავიწყდებოდა:

_ ეხლა იწყება გორის ეპოპეა! მეშინია ამ საღამოებმა არ გადამახვევინოს გზიდან: წიგნების დამზადებიდან... საცაა, შეიძლება დაამტკიცონ გეგმები, მე კი წიგნები მზად არ მექნება. ისე უნდა მოეწყოს მუშაობა, რომ ერთმა საქმემ მეორეს არ შეუშალოს ხელი.

არც თანამიმდევრობა ეშლებოდა:

_ სახელს იძლევა წიგნი. ჯერჯერობით საჭირო არაა საღამოები.

ბოლომდე პროფესიონალის ცხოვრებით იცხოვრა და ჰონორარზე იყო დამოკიდებული:

_ წიგნის დაბეჭდვამდე ცოტა იოლად უნდა წავიდე.

სხვა პრაქტიკული საქმეებისაგან და პირადი კონტაქტებისაგან თავისთავად მოცლილს _ მთელი ყურადღება აქეთ ჰქონდა მოპყრობილი. თუმცა, როგორც საერთოდ ცხოვრებაში, რეალიზმის გრძნობა აქაც ღალატობდა, სიტუაციებს ობიექტურად ვერ აფასებდა, ყველაფერს ვერ ითვალისწინებდა. თვითონაც აღნიშნავდა და ხაზს უსვამდა თავის მეოცნებე ხასიათს: ორი ავტოპორტრეტი დაუხატავს ერთად და მიუწერია: «Романтик», სასკოლო რვეულის ყდა ბეჯით მოწაფესავით შეუვსია: «რომანტიკოსთა სკოლის პირველი კლასის მოსწავლე გალაკტიონ ტაბიძე». თუკი ვაღიარებთ, რომ ქართველი კაცი ბუნებით უფრო რომანტიკოსია, ვიდრე რეალისტი, გალაკტიონი ორგზის რომანტიკოსად უნდა გამოვაცხადოთ და მეტი გაგებითა და თანაგრძნობით განვსაჯოთ.

რამდენად მდიდარი უნდა ყოფილიყო, რვა ტომი პოეზია გამოეცა და ტომებში არ შეეტანა: «მზეო თიბათვისა», «ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი», «ხელები», «დედოფალა», «დომინო», «შადრევნების ვედრება», «მე მძინარე ვარ», «ლურჯი ხომალდი», «შიში», «ბაწარზე», «ქარი დაცხრა სიბობოქრის», «ჩემო იარალი» და სხვანი და სხვანი. და რამდენად დაულაგებელი ცხოვრება უნდა ჰქონოდა, მსგავსი შედეგები გაბნეოდა?!

გრძნობდა, რომ ბევრი გამორჩა, ამიტომ ყოველი ტომის შედგენისას დაეძებდა:

_ ძებნა ხელნაწერების ერთი საათის ან მეტის განმავლობაში.

1950 წლის 1 მარტს საუზმის შემდეგ დაუგეგმია:

_ საუზმე. ახალი მასალების აღმოჩენა VII ტომისთვის.

აღმოსაჩენი, იცოცხლე, ბევრი ჰქონდა და ბევრი დარჩა!

_ აღმოსაჩენია ლექსები: 1. ტყის აშრიალდა ფოთოლი. 2. კლდეში ხმალი გადუნახავთ. 3. ის ერთი, ის ერთი შეხება ნიავის. 4. ცხრა თებერვალი. 5. მთელი საათია.

_ აღმოჩნდა მესამე ეგზემპლარიც. გვაკლია: შვიდი ნაწარმოები.

ტექსტების მომზადება, გადაბეჭდვა, შედარება, ჩასწორება, რედაქციებთან და გამომცემლობებთან მოლაპარაკება, სტამბებში მიკითხვა, მოცულობის განსაზღვრა, ხელშეკრულების გაფორმება, ჰონორარის გადარიცხვა, _ აი რაზე ზრუნავდა, როცა არ წერდა და არ სვამდა.

_ საჭიროა გათვალისწინება და შესწავლა ბრიუსოვის მიერ გამოცემული პუშკინისა და ილ. ჭავჭავაძისა (ინგოროყვას რედაქციით).

_ დღეს მივიღე აკადემიის გამოცემები _ პუშკინის ორი ტომი. აქ გუშინ ვადარებდი «არზრუმის მოგზაურობის» დაბეჭდილსა და ხელნაწერ ტექსტებს. საინტერესო სამუშაოა.

_ ხვალ გადათვალიერება აკადემიური გამოცემებისა: 1) ილია ჭავჭავაძე, 2) პუშკინი. შენიშვნათა წყება.

1958 წლის 8 მარტს მეცხრე ტომზე მუშაობდა. ამ დროს მე უკვე ჩვენს რჩეულს ვადგენდი. ეტყობა, პარალელურად ამზადებდა მორიგ ტომს, რომელსაც გამოცემა არ ეწერა:

_ ღამის თორმეტი საათიდან 3 საათამდე გადავალაგე IX ტ. მასალები.

ჩვენს რჩეულთან ერთად აკადემიურ გამოცემაზეც ზრუნავდა:

_ 1957. 30 დეკემბერი. აკადემიაში. ლეონიძემ გადახედა გამოცემათა გეგმებს. სთქვა: გალაკტიონის აკადემიური გამოცემა ამ წელს უნდა მოთავდესო. სოლომონ ყუბანეიშვილს დავალებული აქვს წიგნის დამუშავება. მან სთქვა: დავიხმაროთ ნოდარი (ჟურნალისტიკოსი). მხოლოდ როდის ჩამაბარებთ წიგნსო. ვუთხარი, წიგნს ნაახალწლევს ჩაგაბარებთ-მეთქი. მაშასადამე, წიგნის გამოცემა უთუო საქმეა, თუ ის დამზადდა! დამზადდეს უნდა!

ხშირად და მტკივნეულად იდგა ხოლმე მოცულობის საკითხი: მოთხოვნილება ყოველთვის აჭარბებდა და დიდად აჭარბებდა შემოთავაზებულს:

_ 20 ფორმა არ კმარა. წიგნი წარმოდგენილია 56 ფორმით. იგი არაფრით არ ჩაეტევა 20 ფორმაში. 40 ფორმა კიდევ ხო.

_ 7 000 სტრიქონი რა არის? 35 000 მაინც!

_ 50 форм. 20 ფორმა?????

_ გაიძვერა ყოფილა: მითხრა 20 ფორმა, მერე _ 10 ფორმა. ცეკაში _ 25 ფორმა. აშკარად ეტობათ, რომ ქრთამი უნდათ, რაც მაგათ ვერ მიართვეს.

_ რვა ტომი! მაშასადამე, რვა ტომი და არა ცხრა და არა ათი!

ოღონდაც მოცულობა არ შეემცირებინათ და დათმობაზე მიდიოდა:

_ За подстрочники свыше 4.000 строк плачу я. _ За произведения свыше 4.000 строк лично я отказываюсь от гонорара.

ყველაზე მტკივნეული პირველი ნაბიჯის გადადგმა გახლდათ:

_ დამტკიცებულია გეგმა. ბევრი ამოუღიათ (სახელგამის გეგმა). ვარ თუ არა მე?

_ გეგმაში შეტანილი ყოფილა მხოლოდ პატარა წიგნი _ «პოეტის ბიბლიოთეკა» (ჰმ).

_ სახელგამი ადგენს მომავალი წლის საგამომცემლო გეგმას. ჩემი წიგნის საკითხი ღიათაა ან, უკეთ ვთქვათ, უარყოფითად. სდუმან სახელგამიც და სხვაგანაც.

_ შეიძლება სულ ამოაგდონ ჩემი წიგნები, მაგრამ მთლად არა მგონია _ ორი, ან უკიდურეს შემთხვევაში, ერთი მაინც დარჩება.

სამი კურდღლის დაჭერას ლამობს, თუმცა ორის იმედიც არა აქვს და, მგონი, არც ერთის შანსი:

_ ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერს. დავკმაყოფილდეთ ერთი კურდღლით, «საბჭოთა მწერლით». შიში იმისი, რომ მისი გამოცემული წიგნი არ ივარგებს, არ შეიძლება: ხვალინდელი დღის შიშით დღევანდელი დღე ვის უარუყვია?!

საუბარი მოსკოვის გამომცემლობებს შეეხება. შესაძლო ვარიანტები თბილისში უნდა გაითვალოს:

_ კორნეევი მოელაპარაკება ლესიუჩევსკის. ორივენი უხერხულ მდგომარეობაში იგრძნობენ თავს ანანიაშვილის წინაშე. ანანიაშვილი გამოაცხადებს პროტესტს, რომ თავს ანებებს რედაქტორობას. კორნეევი, ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი, განაცხადებს, რომ სულ არ გამოსცემს წიგნს, მითუმეტეს, რომ «გოსლიტიზდატი» სცემს. წიგნის გამოცემა შეჩერდება «საბჭოთა მწერალში». «გოსლიტიზდატში» კი წიგნი მზად არ ექნებათ. ყოველ შემთხვევაში, მე არა ვიცი რა. «გოსლიტიზდატის» წიგნს დააგვიანდება («საბჭოთა მწერალში» კი შეიძლება არ დააგვიანდეს).

საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ვადების დაზუსტება:

_ ანანიაშვილის წერილს (ავიოთი) ასეთი დატები აქვს _ ფოსტის ბეჭედზე: Москва 19.12.55. Тбилиси 21.12.55. ე.ი. გამოგზავნილია 19 დეკემბერს _ მოსკოვიდან. მიღებულია 21 დეკემბერს _ ტფილისში. ჩემი საპასუხო წერილის (ავიოთივე) კვიტანციის ბეჭედზე ასეთი თარიღია: 23.12.55. თბილისი. ე.ი. მიპასუხნია 23 დეკემბერს 1955 წ. ის მიიღებდა _ 25 დეკემბერს. დღეს 6 იანვარია 1956 წლისა. თორმეტი დღე გავიდა და ანანიაშვილისაგან პასუხი არაა (მე ვითხოვდი პასუხს სასწრაფოდ).

ვარაუდები და ფაქტები შეაჯერა და გადაწყვიტა:

_ ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერს. დეე, განაგრძოს მუშაობა ანანიაშვილმა.

ჩააბარებდა დედანს გამომცემლობას და სტრატეგიულ გეგმას შეადგენდა:

«ს ა ხ ე ლ გ ა მ ი

I. რა მდგომარეობაშია წიგნის საქმე: 1. ვისა აქვს ხელში. 2. როდის გადაეცემა საწარმოებს. 3. რა აბრკოლებს. 4. შესაძლებელია თუ არა დაძლეულ იქნას ეს დაბრკოლება. 5. ხელშეკრულება.

II. რა მდგომარეობაშია ფულის გადარიცხვის საქმე: 1. როდის გადაირიცხება. 2. «მნათობის» ჰონორარი. 3. ახალი გადარიცხვა».

ხელშეკრულების გაფორმება ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი გახლდათ:

_ გეგმაში შეტანილი ვარ. რაც ავჩქარდები, უფრო არ წახდეს საქმე. მთავარია ხელშეკრულება.

_ რას მაძლევს სტრიქონში არ ვიცი, _ ხელშეკრულება დადებული არა მაქვს.

_ მეშინია, რომ წიგნის გადათვალიერების პერიოდმა არ გააჭიანუროს ხელშეკრულების დადების ვადა.

_ არ ვიცი რითი გათავდება სახელგამთან ხელშეკრულების დადების საქმე. ყოველ შემთხვევაში, ეს გარემოება მე ვერ შემაშინებს, თუ ხელშეკრულების დადება ვერ მოხერხდა.

_ სახელგამთან ხელშეკრულება დაიდება 5 აგვისტოს. ცეკას ჩარევა საჭირო არ იქნება, ვინაიდან დადგენილება არის ცაკის ჯერ კიდევ 1933 წლისა.

რედაქტორთან დედნის დაყოვნება ანერვიულებდა:

_ 22 ივნისი, 1954 წელი. წიგნი ჯერ კიდევ გადაშლილი არ არის.

სამი წლის შემდეგ უფრო გააქტიურებულა:

_ 1957. 16 ივლისი. შევძლებ თუ არა დღეს გავაკეთო შემდეგი საქმეები: 1. მივხედო სახელგამს და მის სტამბას, რათა დროზე გამოვიდეს ჩემი VIII ტომი. 2. დავბეჭდოთ პორტრეტები, რაკი მზადაა ყველაფერი.

მერვე ტომი სამი თვის შემდეგ დაიბეჭდა, ეს კი პორტრეტებს აჩქარებს. პორტრეტი საერთოდ ვერ დაბეჭდა და ისე გამოვიდა ბოლო ტომი _ ერთადერთი უპორტრეტო ტომი.

ორიგინალი რომ სტამბამდე მიაღწევდა, სამუშაო მაგიდასთან დედნისა და ანაბეჭდების მოძრაობის გრაფიკს გაიკრავდა და ისე ადევნებდა თვალს.:

_ ვთხოვ გამომცემლობას ნება დამრთოს პირადათ ვადევნო თვალყური ჩემი ნაწერების კრებულის კორეკტურასა და ბეჭდვას.

_ შეიძლება თუ არა კორეკტურას გადავხედო (გასწორებით არაფერს არ გავასწორებ, მაგრამ თავიდანვე სჯობია).

შეკითხვას შეკითხვა მოსდევდა:

_ ხვალვე შეუდგებიან თუ არა ფორმების შეკვრას? _ კორეკტურა გასწორებულია თუ არა? _ შეიძლება თუ არა სახლში გამოიგზავნოს კორეკტურა? _ რამდენი ასოთამწყობი აწყობს? ა? ქრთამი ხომ არ უნდებიენ?

ჩანაწერებში ასეთი თემატიკა გამოირჩევა: წიგნის გარშემო. _ ორდენოსანი წიგნის შესახებ. _ ჩემი ახალი წიგნის გარშემო. _ მშვიდობის წიგნზე. _ მშვიდობის წიგნის თავგადასავალი. _ აკადემიური გამოცემის შესახებ.

საკუთარ წიგნებს ხშირად ათვალიერებდა, ახასიათებდა, აფასებდა, ერთმანეთს ადარებდა, შეცდომებს აღნუსხავდა, სტრიქონთა რაოდენობას აღრიცხავდა, ზოგჯერ ტექსტსაც ასწორებდა სამომავლოდ:

«1. გულდასმით გადათვალიერებულ იქნა 1914 წელს გამოცემული ლექსების წიგნი. მასში აღმოჩენილია 47 ლექსი, რომლებიც შეტანილი არ ყოფილა არც 1927 წლის, არც 1937 წლის კრებულებში. ყველა ეს ლექსები გადავათვალიერე, გავასწორე იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია მთლიანი კრებულისათვის. ყველა ეს ლექსები ძალიან დამახასიათებელია ჩემი იმ დროინდელი შემოქმედებისათვის. ყველა ეს ლექსები აღინუსხა.

2. ამგვარადვე შემოწმებულ იქნა 1927 წლის გამოცემა. წიგნში აღმოჩნდა უამრავი კორეკტურული შეცდომები. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ ბევრი ლექსი _ ამ წიგნიდან შეტანილი არ არის 1937 წლის გამოცემაში (პირველ ტომში).

3. 1937 წლის გამოცემის გულდასმით გადათვალიერებამ ცხადჰყო, რომ ყველა ლექსები ამ წიგნისა ამოკრეფილია 1927 წლის წიგნიდან, ზოგი მათგანი შესწორებულია. კორეკტურული შეცდომები ამ წიგნში უფრო ნაკლებადაა, მაგრამ ამ წიგნს არა აქვს ის დიდი ღირსება, რომელიც 1927 წლის გამოცემას ახასიათებს, სახელდობრ: დიდ წიგნში (1927 წ.) ლექსები დალაგებულია თემატიური განხრით, რაიც ეფეკტს მატებს წიგნს, მაშინ, როცა 1937 წ. გამოცემაში ლექსები უსისტემოდაა განლაგებული. მომავალი გამოცემისათვის ჩვენ ვიღებთ 1927 წლის გამოცემის სისტემას თემატიურად დალაგებისა იმ შესწორებით, რომელსაც იძლევა 1937 წლის წიგნი».

წიგნი, გამომცემლობა, რედაქტორი, სტამბა _ მისი დღიურების მთავარი ობიექტებია.

_ ერთი საქმეა წიგნის დაწერა, წიგნის შექმნა, მეორე კი (და უმთავრესი ჩვენს დროში) იმ წიგნის ხალხში გატანა. გაძღოლა უნდა წიგნს. წიგნი სულიერ არსებად უნდა აქციო. წიგნი რომ ფეხის ადგმას იწყებს, სანამდე თვით ივლიდეს, ის შენ უნდა წაიყვანო, რომ არ წაიქცეს, როგორც ეს ემართება ახლად ფეხადგმულ ბავშვს. დიდი სიფრთხილეა საჭირო, დიდი გულმოდგინება, დიდი ყურადღება, აქ მარტო ავტორი ვერას გახდება: საჭიროა ყურადღება ორგანიზებული მასისა, თვით იმ მასის, ვისთვისაც შექმნილია წიგნი.

ეს მცირე შეგონება ორმოქმედებიან ლიბრეტოში ჩაურთავს, რომელსაც «წიგნი» ეწოდება და რომელიც 1949 წელს დაწერა. ამ წელს სახელგამმა მეექვსე ტომი გამოუცა. «წიგნი» ორიგინალური ფორმის უდიალოგო დრამატული ნაწარმოებია. პირველ შემთხვევაში ჯერ წიგნისა და განათლების მნიშვნელობაზე გვესაუბრება. მოჰყავს ვაჟასა და გრიბოედოვის ციტატები:

_ «რაც უფრო განათლებულია ადამიანი, მით უფრო სასარგებლოა იგი თავისი სამშობლოსათვის», _ ამბობს ა. გრიბოედოვი. აქედან: რაც უფრო გაუნათლებელია კაცი, მით უფრო მეტი ზიანი მოაქვს სამშობლოსათვის. «ან უნდა გავნათლდეთ, ან უნდა გავმრავლდეთო», _ სწერდა ვაჟა-ფშაველა, _ «და თუ ორივე ერთად იქნება _ ამას რაღა აჯობებსო?» უნდა გავნათლდეთ, რა თქმა უნდა!

ამ მცირე ექსკურსსა და ექსპოზიციას მოსდევს ლირიკული ციტატები და შემდეგ _ სასიამოვნო ინფორმაცია:

_ და აი, გადავეცი სახელმწიფო გამომცემლობას ჩემთა თხზულებათა VI ტომი.

ვითარდება მოქმედება, რომელშიც რეალური პიროვნებანი მონაწილეობენ: გამომცემლობის დირექტორი, ტომის გარეშე რედაქტორი, კალკულატორი, საწარმოო განყოფილების გამგე და, რაც მთავარია, _ თვითონ ავტორი. მეორე მოქმედებაში მოქმედ პირებს ემატება გამომშვები, სტამბის გამგე, კორექტორები... მაგრამ ვერც ამ სიუჟეტისათვის დაუდევს გული ბოლომდე და ვერ დაუმთავრებია.

ეს განუსაზღვრელი ჟანრის ნაწარმოები ორიგინალურად გაუფორმებია, შიგადაშიგ მართკუთხედებში ჩაუსვამს ფრაზები და საკუთარი სტროფებითაც დაუმშვენებია:

მღელვარებაა გარეთ, თუ სიმშვიდეა შიგნით,
ყველგან, სადაც კი მიხვალ, უნდა მიხვიდე წიგნით.

სხვა დროს ექვსი საკითხი დაუზუსტებია და დაუსათაურებია _ «როგორ უნდა გავუძღვეთ წიგნს».

სალაღობო ექსპრომტიც დაუწერია:

კორექტურა გადავდევი, ზედ დავადე კლიშე,
ჰონორარი მიგიღია, მოდი, დამპატიჟე.

1952 წლის აპრილში ორი თანამდებობის პირის შეხვედრაზე ზრუნავდა _ აკადემიური გამოცემის გამო:

_ უნდა შევახვედროთ ერთმანეთს... თუ ერთმანეთს არ შეხვდენ, ერთმანეთის არა გაიგეს რა, რა გამოვა ისე? წყალს ნაყვა არ აშორდება, მაგრამ ნაყვითაც არა დააკლდება რა, როდესაც ადამიანი წყალს ნაყავს. ო, ამაზე მთელი დისერტაცია დაიწერება!

ჩანაწერებმა შემოგვინახეს 1954 წლის 12 ივლისის ფიქრები დირექტორის მისაღებში:

_ შედი დირექტორთან! _ თუ გინდა დირექტორთან საქმე გააკეთო, მომენტი უნდა შეურჩიო _ რა ხასიათზეა. _ ბოლოს და ბოლოს შევაღებ კარებს და შევალ... სულ ერთია, მაინც ვიღუპები! _ ამდენ ხანში მოთმინება კი არა, ფული არ გეყოფა კაცს. _ რომ გაგიჭირდება, თავის ჩამოსახრჩობ თოკსაც ვეღარ იშოვნიო. _ მე აბეზარი ავტორი არა ვარ.

თითქოს ამ მონოლოგს აგრძელებს სხვა დროის სხვა ჩანაწერი:

_ Не входить=

_ შედი რაღა, ჰეეეი! _ ძირს გაუბედავობა! _ შედი რაღა! შედი რაღა!

სამი წლის შემდეგ კი ჩვენს დირექტორთან უსიამოვნო საუბრის შემდეგ წამოსცდა:

_ ავანგრევ ქვეყანას და ხელახლა შევქმნი!

ერთხელაც გათამამებულა:

«როდესაც რედაქტორები გამოვიდნენ სახელგამის დირექტორის კაბინეტიდან (თათბირი ჰქონდათ) და ვიგრძენი რა, რომ შესაძლებელია დირექტორთან საუბარი, მე პირდაპირ შევედი. მასთან იჯდა მხოლოდ ერთი სახელგამელი.

_ დაბრძანდითო, _ მითხრა, თან მდივანს მიმართა, _ რა ამბავია, რომ დამესევიან ხოლმე და შემოცვივდებიანო (არავინ ჩემს მეტი მის კაბინეტში არ შესულა. ეს ჩემს შესახებ იყო ყველაფერი). ასეთი შეურაცხმყოფელი ტონით მომეგება. ძალზე იბერება, თავი დიდ ვინმედ წარმოუდგენია. ან უნდა მომაჩვენოს, რომ მე მასზე ვარ დამოკიდებული მთლიანად.

_ რატომ არ წაიკითხეთ?

_ ორადაა გაყოფილი წამკითხველები: ზოგს მოსწონს, ზოგს არა.

_ ამ წელიწადში მაინც ვერ გამოვსცემთ.

_ მე ვკითხულობო, სამი დღის შემდეგ პასუხს მოგცემთო.

_ შეიძლება სულაც ვერ დავბეჭდოთ.

_ აპრილში მოგვეცით ხომ?

(მე ვუთხარი, რომ მარტში გადავეცით ნაწარმოები).

ერთი სიტყვით, არ უნდათ წიგნის გამოცემა!

მე საზოგადოთ არასდროს წიგნი წინასწარ არ წამიკითხავს მწერალთა კავშირში _ ან ვინ კითხულობს იქ სახელგამში გამოსაცემ წიგნებს? არავინ. რაღაც არ მახსოვს. რაღა ჩემზე მოიგონა ეს კითხვა???».

ეს გაურკვეველი და უსიამოვნო საუბარი ეხება «მშვიდობის წიგნს», რომელსაც ათ წელიწადს წერდა და დიდად ეიმედებოდა. მეტად რთული ვერსიფიკაციული არჩევანი დასძლია, პოემა გაასრულა, გადაწერა და გადამბეჭდავებს რომ გადასცა, შვებით ამოისუნთქა:

_ «მშვიდობის წიგნი» ფრთხილად, მორიდებულად, წყნარად გავიდა ჩემი კაბინეტიდან. წყნარადვე გაიხურა დერეფნის კარები, ფეხაკრეფით ჩაიარა ცემენტის

კიბის საფეხურები, მიიხედ-მოიხედა _ «ხომ არავინ დამინახაო» და სწრაფად მივარდა ავტომობილს, კარებთან რომ იდგა. მიიხურა კაბინის კარები და გაეშურა მემანქანეებთან ჭავჭავაძის ქუჩაზე. რა ელის მას შემდეგში?

სამწუხაროდ, ავტორის ქვეცნობიერი შიში გამართლდა და პოეტს ცივი წყალი გადაასხეს: პოემას არც გამომცემლობამ შეხედა კეთილი თვალით და არც ჟურნალის რედაქციამ:

_ პატივცემულო გალაკტიონ! თქვენ ბრძანდებით ჩვენი საყვარელი სახალხო პოეტი, დიდი სახელის მქონე, ხალხის მომღერალი. თქვენი ბრწყინვალე ლირიკული ლექსები ქართველი ხალხის სულიერი კულტურის სიფაქიზისა და სიმდიდრის მაჩვენებელია. ჩვენ, ყველანი, აღტაცებული ვართ თქვენი შემოქმედებით. მაგრამ თქვენს მიერ წარმოდგენილი პოემა «მშვიდობის წიგნი» ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ამ პოემის ამ სახით გამოქვეყნება მხოლოდ ჩრდილს მიაყენებს თქვენს დიდ სახელს. ნუ გაგვინაწყენდებით. ხსენებული პოემიდან რედაქცია შეარჩევს ცალკეულ ნაწყვეტებს და «მნათობის» მორიგ ნომერში გამოაქვეყნებს. ხოლო მთელი პოემის დაბეჭდვა ჩვენს ჟურნალში ვერ მოხერხდება.

რედაქტორმა თანამშრომლებს განუცხადა:

_ პოემის მთლიანად დაბეჭდვით დათვურ სამსახურს გავუწევთ დიდ პოეტს. თანაც, ჟურნალის ყოველი ნომრის გამოსვლა დღესასწაულს უნდა ჰგავდეს. ამხელა პოემის გაგრძელებებით ბეჭდვა კი დღესასწაულს ჩაგვიშლის.

გავიხსენოთ: «მნათობის» დამაარსებლად თვლიდა თავს და იყო მისი უმთავრესი ავტორი დღიდან დაარსებისა. ამაყად აცხადებდა:

_ «მნათობი» ჩემია!

დავიმოწმოთ: 1950 წლის 14 თებერვალს ტრამვაიში შემთხვევით შეხვდა არქიტექტორ მიხეილ ჩხიკვაძეს («რომელიც აშენებდა რუსთაველის ძეგლის პირდაპირ დიდ შენობას»), მისამართი და ტელეფონის ნომერი ჩაინიშნა და იქვე მიუწერა:

_ 1924 წელს მას გავაკეთებინე «მნათობის»ყდა.

გამომცემლობამ უფრო დაუგვიანა უარი. გამომცემლობის რედაქტორის სახელით პირობა დაწერა:

_ 12 ივნისისათვის (ხუთ დღეში) მზად მექნება «მშვიდობის წიგნი».

გამომცემლობის რედაქტორს ხელწერილი ჩამოართვა:

_ ვეცდები შევასრულო პატივცემული გალაკტიონის სურვილი.

გამომცემლობის რედაქტორმა დაპირება პირნათლად შეასრულა:

_ რეზომ გაცილებით ადრე ჩააბარა წიგნი დირექტორს _ 10 ივნისს.

გადამწყვეტი სიტყვა გამომცემლობის დირექტორმა უნდა თქვას:

_ წიგნი მოითხოვა სახელგამის დირექტორმა. მან მითხრა, რომ პასუხს მომცემს 25 ივნისს. ასე ჭიანურდება საქმე. წიგნი კი ჩავაბარე ჯერ ისევ იანვარში, თუ არა ვცდები. რას აკეთებენ ამდენხანს?

გამომცემლობის დირექტორის გაურკვეველ პასუხს ჩვენ უკვე ვიცნობთ.

შორიდან მოუარა: მოსკოვში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს შეხვდა და თავი შეაბრალა:

_ დიდი ხანია რაც სახელგამს გადავეცი VIII ტომი. გამოდის ჩემი მერვე ტომი, დიდი პოემა, რომელსაც 15 წლის განმავლობაში ვსწერდი. იცით ჩვენი მუშაობა რა ძნელია,

გონებრივი მუშაობა. წიგნი დამთავრებულია, მოწონებულია, გეგმაში შეტანილია, ხელშეკრულებას კი არ მიდებენ.

შეიპირა და ახლად გამოსული წიგნი გაუმზადა საჩუქრად:

_ მ.ლ. ჩუბინიძეს _ ნიშნად უღრმესზე უღრმესი პატივისცემისა მიართმევს ამ წიგნს _ ბედისაგან დაჩაგრული _ თავისი ნაწერების VIII ტომის გამოსვლის მოუთმენლად მომლოდინე _ გალაკტიონ ტაბიძე _ საქართველოს სახალხო პოეტი.

ამ ხერხმა არ გაამართლა და სხვა ხერხს მიმართა: 8 სტრიქონიანი სტროფები 4 სტრიქონიანად გააერთიანა:

_ «მშვიდობის წიგნი» შეიცავს 1 101 თავს _ 8 808 სტრიქონს. გაერთიანებული სახით (4 სტრიქონი _ 8 სტრიქონის მაგიერ) _ 4 404 სტრ.

არც ამ ხერხმა გასჭრა და უკიდურეს საშუალებას მიმართა: კიდევ შეაერთა და ორსტრიქონიანი სტროფებით გააწყო მთელი პოემა:

_ «მშვიდობის წიგნი» შეიცავს 2 000-ზე ცოტა მეტ სტრიქონს. გამოვსცეთ «მშვიდობის წიგნი» შეუმოკლებლად, 2 000 სტრიქონის რაოდენობით, სათანადო ილუსტრაციებით, ფაქსიმილეთი.

ხავსს მოეჭიდა:

_ დღეს, როდესაც ჩვენს აკადემიაში მივედი, ჩემი პოემის «მშვიდობის წიგნის» თარგმნის პროცესის შესახებ ამბის გასაგებად, ჩემი ყურადღება მიიქცია თექვსმეტმა დროშამ, რომლებიც აშვენებდნენ აკადემიის ახლო მდებარე ბაღს. თექვსმეტი დროშა! ისინი შრიალებენ, ისინი მოელიან «მშვიდობის წიგნს!» თექვსმეტი დროშის მფარველობის ქვეშ _ რა დიდად მეჩვენება მომავალი იმ წიგნისა, რომელსაც ჰქვია «მშვიდობის წიგნი». გაუმარჯოს «მშვიდობის წიგნს!».

თავი გაიმხნევა:

_ ჩვენ არ გვეშინია მტრების, რომლებიც პოემას თავს ესხმიან.

და ნაწილობრივ დათმობაზე წავიდა: გადაწყვიტა მხოლოდ 300 ეგზემპლარი დაებეჭდა ჰექტოგრაფზე საავტორო უფლებით და საჯარო განხილვა მოეწყო:

_ წიგნის შესწორების მიზნით, იმ მიზნით, რომ ნათელი გახდეს წიგნის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომ ავტორს შეეძლოს ამხანაგების მითითებით შეასწოროს ესა თუ ის ადგილი.

ვრცლად მიმოიხილა პოემის მხატვრული და იდეური ღირსებები, რუსთაველიც დაიმოწმა და პოემის ყოველ თავზე ცალკე მომხსენებლის მოწვევა გაითვალისწინა, თითოეულ პერსონაჟზე _ კიდევ ცალკე მომხსენებლისა:

_ ჩვენ არ გვეშინია სიახლის! ჩვენ არ გვეშინია წარსულზე საუბრის! ჩვენ არ გვეშინია პოემის სიდიდის! არ გვეშინია განმეორებების! არ გვეშინია მრავალსიტყვაობის! ხმამაღლა! ხმამაღლა!

როგორც მოსალოდნელი იყო, ვერც სამასი ეგზემპლარი დაბეჭდა და ვერც მომხსენებელთა ათეულები შეკრიბა.

მისმა გმირებმა გადაარჩინეს მშვიდობის წიგნი, თვითონ კი ვერასგზით ვერ უშველა და ვერც წყენა დაივიწყა:

_ იყვნენ აკადემიაში ინგოროყვა და სახელგამის ყოფილი დირექტორი (ჩემი მოსისხლე მტერი VIII ტომის საქმეში).

გადიოდნენ წლები და ჩანაწერებში იცვლებოდა დირექტორების გვარები და სახელები, ტელეფონების ნომრები, ეპითეტები და შორისდებულები. ათეული წლების მანძილზე მისი ფანჯრები მეორე სართულის თანაბარ დონეზე დამიზნებული ჭოგრიტივით შემოჰყურებდნენ სახელგამის დირექტორის ფანჯრებს. ძალაუნებურად, დღისითაც და ღამითაც, აქეთ იყო მოპყრობილი მთელი მისი გულისყური.

_ 11 დეკემბერი. 1956. უეცრად ელექტრონი ჩაჰქრა. ხომ არ გადაიწვა-მეთქი, გავიფიქრე. ასანთს მივვარდი. გავკარი. მის შუქზე კარებთან მიველ, დარაბა გავაღე _ გარედაც თუ სიბნელეა-მეთქი. მართლაც ქუჩაშიაც ბნელოდა. «აჰ, მაშ საერთოდ გამოუთიშავთ-მეთქი». ისევ საწოლს მივაშურე. გავეხვიე თუ არა საბანში, ელექტრონი უცებ ისევ აენთო და გააჩაღა ჩემი ოთახი. ღამის ოთხი საათი იქნებოდა. სულ ვფიქრობ, არ მეძინება. ვფიქრობ წიგნზე.

ახალ წიგნს ყველაზე დიდი სიხარული მოჰქონდა:

_ დღეს გამოდის ჩემი წიგნი. იყოს განწყობილება აწეული სულისა.

1935 წელს დაიწყო ტომეულების გამოცემა. გამოვიდა მეორე ტომი (ეს პირველი წიგნი იყო: ჯერ მეორე ტომი დაიბეჭდა და ორი წლის შემდეგ _ პირველი). ამ მნიშვნელოვან თარიღს მიუძღვნა ცნობილი ლექსი «ჩანგო, ბევრი კარგი დრო ერთად გვიტარებია», რომელსაც ადრე ერქვა _ «სიმღერა წიგნის გამოსვლის გამო».

მკითხველები მიიწვია მწერალთა სასახლეში:

_ გალაკტიონ ტაბიძის ახალი წიგნის გამოსვლის გამო კვირას 1 ივლისს დილით და 2 ივლისს საღამოთი გაიმართება შეხვედრები სახალხო პოეტთან.

მეოთხე ტომის გამოსვლა კი ასე აღინიშნა:

_ 1 ივლისი. 1947 წ. ორ-სამ დღეში მზად იქნება ჩემი IV ტომი _ ასი ცალი. მაგრამ დავაფუძნოთ დღედ წიგნისა გამოსვლისა 9 ივლისი (ოთხშაბათი).

თუ არ გაგეღიმებათ, ერთ განცხადება-განზრახვასაც წაგაკითხებთ:

_ მწერალთა კავშირი გთხოვთ დაგვეთმოს სახელმწიფოს ოპერის თეატრი ა.წ. 7 მარტისათვის საქართველოს სახალხო პოეტის, აკადემიკოსის გალაკტიონ ტაბიძის საღამოს მოსაწყობად, მისი შვიდტომეულის გამოცემის დასრულების 5 წლისთავის აღსანიშნავად.

ათობით წიგნის ავტორი წიგნის გამოცემის ტემპს მიახლოებითაც ვერ განსაზღვრავდა:

_ შესაძლებელია თუ არა წიგნი აიწყოს და გამოიცეს ორ თვეში? _ სამში?

წიგნის დაგვიანებას ხომ განიცდიდა და განიცდიდა:

_ როდის იქნება წიგნი, როდის?

_ დღეიდანვე: წიგნი! აგვიანდება! აგვიანდება! აგვიანდება!

_ ო, რა საინტერესო თავგადასავალი აქვს ამ ჩემს წიგნს.

_ წიგნი ჯერ სდუმს.

მაგრამ დაგვიანებაც არის და დაგვიანებაც: 1955 წლის 14 სექტემბერს კედლის კალენდრის ფურცელზე მიუწერია:

_ 14 სექტემბერს 1950 წ. დასაბეჭდათ ხელმოწერილია ჩემი ნაწერების VII ტომი. ა.წ. 14 სეკტემბერს სრულდება 5 წელი ამ ხელმოწერიდან. _ და იქვე ლექსად გაუგრძელებია:

უმტკიცესი ბეჭედათ სიტყვა გაითალოს,
აქ ნისლი ბეჯითად გადასერილია,

წიგნი დაბეჭდილად უნდა ჩაითვალოს,
როცა დასაბეჭდად ხელმოწერილია.

თანახმად საგამომცემლო დებულებისა და საავტორო ხელშეკრულებისა _ როდესაც ანაბეჭდებს რედაქტორი ხელს მოაწერს დასაბეჭდად, გამომცემლობას უფლება აქვს და ვალდებულიცაა საბოლოო ანგარიში გაუსწოროს ავტორს. სწორედ ეს იურიდიულად გამართლებული პრეტენზია და პირადი საწუხარია გამოხატული ამ სტრიქონებში. მეშვიდე ტომი 1950 წელს გამოცემულად ითვლება და ეს თარიღი აწერია ტიტულზე. ეტყობა, 1950 წელს ხელმოწერილი თაბახები რამდენიმე წლის შემდეგ დაიბეჭდა ან აიკინძა. ყოველ შემთხვევაში, ავტორისათვის დარჩენილი კუთვნილი ჰონორარი ხუთი წლის შემდეგაც არ ჩაურიცხავთ.

ჩვეულებრივთა გვერდით იდგა. ხშირად უკანაც. ძნელია თანაგრძნობის გარეშე წაიკითხოთ 1945 წლის ერთი განცხადება და მის მიერვე ხაზგასმული სიტყვები:

_ გთხოვთ ჩემი წიგნის «რჩეული»-ს გამოცემასთან დაკავშირებით გასწორებული იქნას ჩემთან საბოლოო ანგარიში. თქვენის გამოანგარიშებით წიგნში არის 15 492 სტრიქონი. სტრიქონში მე ვთხოულობ 15 მანეთს, როგორც ამას იღებენ სხვა პოეტები თქვენგან. მითუმეტეს, რომ ჩემი წიგნი იბეჭდება თითქმის სამი წლის განმავლობაში და აღებული მაქვს 80 000 მანეთამდე... აღარაფერი მრჩება. ასეთ წიგნს კი ყოველთვის ვერ დავწერ (სახელგამი მე მაძლევს სტრიქონში 10 მანეთს).

ალბათ იცანით: ასმანეთიან რჩეულზეა საუბარი. ამ წიგნის ხელშეკრულება 1943 წლის 13 ნოემბერს გაუფორმებია და, როგორც სჩვეოდა, შეუნახავს. სტრიქონში ათი მანეთია განსაზღვრული, მაგრამ გამოცემათა რიგის შესაბამისად პროცენტები დაექვითებოდა და საშუალოდ ხუთ მანეთს მიიღებდა ხელზე. სურათი რომ უფრო ნათელი გახდეს, განვმარტოთ: პოეტური ნაწარმოებისათვის სტრიქონში მაქსიმალური განაკვეთი 20 მანეთი იყო და გალაკტიონის თანამედროვე პოეტს ეს მაქსიმუმი მიუღია:

თითზე ვთვლიდით ნამდვილ პოეტს, ეხლა კი გვყავს მილიონი,
არ არიან ილიანი, გაგვიმრავლდნენ ალიონი.

აქვე დავსძენთ: სახალხო პოეტს არასოდეს ღირსებია შვიდი ათასზე მაღალი ტირაჟი, რაც ორმაგი ჰონორარის უფლებას იძლეოდა, იმავე თანამედროვეს კი _ კი!

რამდენიმე წლით ადრე გულისწყრომა ვერ დამალა:

_ P.S. მე და თქვენ ხომ ძველი მეგობრები ვართ. თქვენი გულისხმიერება ავტორებისადმი ცნობილია და ამიტომ მაოცებს: გრიშაშვილი «ბარაშკაში» იღებს 20 მანეთს და ჩემი შედევრები კი...

თვითონ მხოლოდ ლიტერატურის ინტერესებით და ლიტერატურული ინტერესებით ცხოვრობდა. სხვა მიზანი და მისწრაფება არასოდეს ჰქონია. ამიტომ გული უკვდებოდა, როდესაც სხვები აკრძალულ ხერხებს იყენებდნენ, უკადრისს კადრულობდნენ, არაშემოქმედებითი და ანტიშემოქმედებითი ზრახვებით იღწვოდნენ.

თუნდაც მშიერი _ პოეზია, თუნდაც ტიტველი,
მუდამ იმარჯვებს, თუ ის არის მოუსყიდველი.
მაგრამ მავანის პოეზია _ მდიდრად დიდგული _
მაინც იმარჯვებს, თუმც ყალბია და მოსყიდული.

აღშფოთებდა ალფაბეტით მოპოვებული უპირატესობა:

_ ჯერჯერობით მისი დასაყრდენი უფრო ალფაბეტია.

_ ჯერჯერობით აქა-იქ იმარჯვებს მხოლოდ ალფაბეტი.

_ წიგნის ალფაბეტით განრიგება უფრო მეტად აბნელებს თანამედროვე პოეზიის მდგომარეობას.

_ ალფაბეტი არის ხელოვნებისადმი ფორმალური მიდგომა ერთი მხრით, გარყვნა ხელოვნების აზრის მეორე მხრით, პროვოკაცია მესამე მხრით, თავის განდიდება მეოთხე მხრით, შეცდომაში შეყვანა მკითხველებისა მეხუთე მხრით, მასალის არასამართლიანად განაწილება მეექვსე მხრით.

ახლა ცოტა გულუბრყვილო და სასაცილოც კი სჩანს ასეთი დაპირისპირება:

_ მთელი წელიწადია, რაც მოსკოვშია. იგი აქ აკეთებს მხოლოდ თავის საქმეს. გარდა ამისა აფუჭებს ჩვენს საქმესაც... _ მოვიდეს მიუდგომელი კაცი და გაარჩიოს, თანამედროვეობის თვალსაზრისით, მაგისი ლექსები სჯობია _ თუ ჩემი. ან მე ან ის!

1929 წელს, მწერლობის აქტიური პოლიტიზირებისას, იკითხა:

_ მითხარი, ეს პოეზიაა თუ საჯარო ვაჭრობა?

მომავალ წელს გულისტკივილით ბრძანა:

_ პარტიული ჯერ და პოეტი შემდეგ... პოეზიაა რაღა!

ათი წლის შემდეგ კი ასეთი ზუსტი და მკაცრი ფორმულა ჩამოაყალიბა:

_ ეხლა არა პოეზია _ არამედ ვინ ვის!

ხოლო თხუთმეტი წლის შემდეგ ქართულ ანბანს გაერიდა და კიდევ უფრო შეამოკლა:

_ Хачахи сджобиа хочахс!

1941 წელს თბილისში გამოიცა თანამედროვე ქართველი პოეტების ლექსები რუსულ ენაზე. დაიბეჭდა წიგნის რედაქტორის ექვსი ლექსი და გალაკტიონის სამი:

_ მწერალთა კავშირში სუფევს სრული გულგრილობა ყველასა და ყველაფრისადმი... შეუძლებელი შესძლეს!.. თავშეყრილია შანტრაპა-მთარგმნელები.

უღირსთა აღზევებას ადრე და ადრეც არანაკლები გულისტკივილით განიცდიდა და გამოხატავდა. ყურადღებას იპყრობს 1927 წლის 21 ივლისის ჩანაწერი. მაშინ სახელგამი ერთადერთ გამომცემლობას წარმოადგენდა და მთელი ქართული მწერლობა აქ იკრიბებოდა. მწერლებს ორ ჯგუფად ჰყოფს, მეორეს უფრო დაწვრილებით ახასიათებს, მესამე პირიდან მეორეზე გადადის და ამით გვაგრძნობინებს _ მეც ამათ შორის მიგულისხმეთო:

_ ათი დღის წინად მე მივიტანე წიგნები სახელმწიფო გამომცემლობაში. ეს არის დაწესებულება, რომლის წინ თავს იყრის ქართველი მწერლების უმრავლესობა: ყველა დარგის, ყოველნაირი მიმართულების. ფაკტიურად კი მხოლოდ ორი ჯგუფია: ერთი, 300-500 მანეთს რომ იღებს თვეში, მეორე, რომელსაც არავითარი საარსებო წყარო არ აქვს, რომელთა სახეზე და ტანსაცმელზე სწერია სიღარიბე, საშინელი, აუტანელი, წელში გამწყვეტი სიღარიბე. ასეთი სიღარიბე ყოველთვის დამამცირებელი და მართლაც საშინელი რამეა, ხანდახან თავისთავისადმი პატივისცემასაც უკარგავს ადამიანს, არათუ შეაზიზღებს მთელს კაცობრიობას. ეს ნამდვილი წყევლაა. იმის მაგიერ, რომ თავისუფლად და დამოუკიდებლად იცხოვრო, იძულებული ხარ, მიყრუებული ქუჩებით იარო. ადამიანი თავისთავად ხდება შურიანი, ბოროტი.

მოგვიანებით სტრიქონებად დაულაგებია:

მაგრამ რამდენს მაძლევდა
სახელგამი სტრიქონში, _

სასაცილო გონორარს.

1მ. 20.

ასე ცხოვრობდა _ ჰონორარიდან ჰონორარამდე:

_ ეს ლექსები ხომ ჩემი ვალიუტაა.

ფინანსების სკალა ხასიათივით სწრაფად ეცვლებოდა.

_ გუნება-განწყობილების ხშირი ცვალებადობა ახასიათებ-დაო. _ პირადი მკურნალიც დაგვიდასტურებს უკანასკნელ თუ პირველ დღესვე.

ფულიანი დღეებიც ბევრჯერ გაუთენდა და უფულოებიც ბევრჯერ დაუღამდა:

_ ჩემი ცხოვრება ხომ ყოველთვის სავსეა მოულოდნელობით: ხან უეცარი სიმდიდრე, ხან აუტანელი სიღარიბე.

მახსოვს: სახელგამის მესამე სართულის კიბეებზე ჩამოდიოდნენ და წითელი ასმანეთიანებით გატენილი გულისჯიბიდან გასამრჯელო გადაუთვალა პირად მდივანს:

ხმელეთით გინდ ყელს ჩააბი თოკი, არ ჩამოგყვება ხომალდში ზოგი,
მე და შენ კი ზღვის არ გვეშინია, რას იტყვი ამის შესახებ, გოგი?

ისიც მახსოვს: გროშებს ესესხებოდა ავანსად მორიგ ჰონორარამდე მინა-მოლარეს.

1959 წლის 17 მარტს კი ჯიბეში 281 მანეთი, ანუ ეხლანდელი კურსით _ 28 მანეთი და 10 კაპიკი ედო და შემნახველ სალაროში დღევანდელი ანგარიშით 2 629 მანეთი და 46 კაპიკი ერიცხებოდა (ალბათ, ჩვენი რჩეულის ჰონორარიდან).

ყაირათიანი მხარჯველი ვერ იყო და ვერც იქნებოდა.

ამიტომ უფულო დღეები სჭარბობდნენ ფულიანებს:

_ ფული აღარა მაქვს სრულიად, იმედიც არავისა და არაფრისა. კატასტროფიული მდგომარეობაა.

რა თქმა უნდა, სხვა მილიარდები იგულისხმება და შეიძლება მხოლოდ გაიღიმოთ ამ ორი სტრიქონის წაკითხვის შემდეგ:

საუკუნეში ათასში ერთხელ ჩემგვარ გენიით ბრწყინავს პარტერი,
საუკუნეში მხოლოდ ერთია ქვეყნად ჩემგვარი მილიარდერი.

_ არაფრად არ ღირს შენი ცხოვრება, თუ შენ არ იქმენი მილიარდერი. შენ გიხსნის შენი მომავალი წიგნი, რომელიც ათასობით უნდა დაიბეჭდოს და გასაღდეს, სხვა მხრით შენი ხსნა წარმოუდგენელია.

რეალური სურათი კი ასეთი გახლდათ:

«4 მარტი. 1955. დღეს დილით, როცა გამომეღვიძა, ძალზე მექავებოდა ხელის გული, როგორც არასოდეს მთელ ჩემს სიცოცხლეში. ვიფიქრე, თუ რას უნდა ნიშნავდეს-მეთქი, და სიხარულის ჟრუანტელმა დამიარა, როდესაც გავიფიქრე, რომ... და ვიკითხე სახელგამში:

_ რამდენი მაქვს მიღებული?

_ მიღებული გაქვს 59 052 მ.

_ რამდენი მერგება?

_ გერგება 187 896 მანეთი.

გამოაკელი 59 052... დარჩება 128 844. ვნახოთ, როგორ წავა ეს საქმე?».

მისი დღიურების ლექსიკაში ყველაზე პოპულარულია: ჰონორარი, ხელშეკრულება, ბუღალტერია და ბუღალტერი, მოლარე და სალარო, განცხადება, მინდობილობა, სესხი,

ავანსი, პენსია, ლიტფონდი, ბიუჯეტი, ლომბარდი და, რა თქმა უნდა, ფული, ფული, ფული, ანუ «ფლური», როგორც მწარედ ხუმრობდა ხოლმე:

_ ფლური, ფული, ეს წყეული ფული! _ ყველაფერს უნდა ხარჯთაღრიცხვა, ე.ი. «ფლური». _ ფლურს დიდი ეკონომია სჭირდება. _ არის თუ არა აკადემიაში ფლური?

პოეზიაშიც ფ-ს და ბ-ს
აღარ განარჩევს ბულბული,
მღერის: სულ ფულ-ფულ,
ფულ-ფულ-ფულ, ფულ-ფული!

ერთგან სინანულით კითხულობს:

_ სირცხვილი არ არის, მე ფული არ მქონდეს?

ერთხელაც ვრცელი სტრატეგიული გეგმა შეუდგენია და დაუსათაურებია:

_ სად შეიძლება ვიშოვოთ 10 000 მანეთი?

მეორედ სერიოზულადაა შეწუხებული:

_ შუადღემდე დამეხარჯა 9 მანეთი... ეს ჩემს ბიუჯეტს ყირამალა აყენებს.

მესამედ მოსკოვში ჩაუწერია:

_ ...აქაური ლიტფონდი? უკანასკნელი ჩემი იმედი ესაა... მხოლოდ გროშებიღა დამრჩა. სესხი ლიტფონდიდან. უკიდურეს შემთხვევაში ჩვენი წარმომადგენლობიდან (მაგრამ ეს უხერხულია).

მეოთხედ ისევ უცხო ქალაქში მიუწერია:

_ დასაფარავი რა არის, მე რომ აქ ჩამოვედი, სულ მქონდა სამი მანეთი. ორი დღეა საჭმელი არ მიჭამია, იმიტომ, რომ სულ მაქვს აბაზი. მეშინია დახარჯვა.

მეხუთედ და მეექვსედ კატეგორიულად ასკვნის და რითმავს კიდეც:

_ საუბარი ფულის შესახებ: ფული სწყვეტს ყველაფერს.

_ ფული?! ვაჰ, ფული მალია, _ ამოღებული ხმალია.

მეშვიდეს ჯერიც მოვიდა და უკვე აღშფოთებულია:

_ არა, ეხლავე მოყაჭონ ჰონორარი: სულს ამოვხდი, დავახრჩობ მაგ ხალხს. გააჩინონ ჰონორარი, საიდანაც უნდათ! ჩემი საქმე არ არის! აჰ, ქრთამი უნდათ შეიძლება? უკაცრავად, მე ქრთამს არ ვიძლევი!

ამრავლებდა და აჯამებდა სტრიქონებსა და თაბახებს, ლექსებისა და გვერდების რაოდენობას, ანგარიშობდა და ანაწილებდა კუთვნილ თანხას და პროცენტებს, იწერდა და იმახსოვრებდა ბუღალტერთა და მოლარეთა გვარებსა და სახელებს, ტელეფონის ნომრებს.

ასონიშნებსაც კი ითვლიდა წიგნებში, არათუ სტრიქონებს:

_ ტიპოგრაფიული ნიშნების რიცხვი ასეთია: მოსკოვის გამოცემაში 189 312 ტიპ. ნიშანი, ტფილისისაში კი _ 353 512 ტ.ნ.

წადილი ყოველთვის აღმატებული ჰქონდა რომანტიკოსსა და მეოცნებეს:

_ გალაკტიონ ტაბიძის ნაწერები იცემა 15 ტომად. პირველ ხუთ ტომში მოთავსებულია ნაწერები 1908-1914 წლამდე, მეორე ხუთ ტომში _ 1914-1917 წლამდე, მესამეში _ 1917-1925 წლამდე.

მოეწონა და გაუტია:

_ წიგნები უნდა გამოვიდეს 25 ტომად. თვითეულ ტომში დაახლოვებით იქნება 150-200 გვერდამდე, ფორმატი საშუალო. გამოცემას ექნება სახელი.

ტომები უნდა დაბეჭდილიყო მაღალი ხარისხის ქაღალდზე. თითოეულ ტომს 15-25 ილუსტრაცია უნდა დართვოდა.

_ საერთო ზედამხედველობა წიგნის გარეგნობისთვის მეკუთვნის მე, აგრეთვე შერჩევა მხატვრებისა, შერჩევა შრიფტის, დალაგება მასალების და სხვ. შეადგენს ჩემს მოვალეობას... დაბეჭდვის შემდეგ უნდა დამეთმოს 100 კომპლექტი გამოცემისა.

ანაზღაურების საკითხი ცალკე გამოუყვია:

_ ჰონორარი უნდა იქნეს 40% მთელი შემოსავლისა. ყოველგვარი ხარჯების გამოცემისათვის გაწევა, წიგნის შემოსავლის გარეშე, გამომცემელს ეკისრება. ჰონორარის მიღება ჩემმიერ უნდა მოხდეს ასეთი წესით: გადახდა მოხდება სამ ჯერად: 1. ერთი მესამედი ჰონორარისა _ წიგნების დაბეჭდვის დაწყებისთანავე. 2. მეორე მესამედი _ დაბეჭდვის გათავებისთანავე და 3. წიგნის დაბეჭდვიდან ორი თვის გასვლისთანავე. შეიძლება ასეთი კომბინაცია: ნახევარი ჰონორარისა _ წიგნის დაბეჭდვის დაწყებისთანავე, ხოლო მეორე ნახევარი _ წიგნის გამოსვლიდან ორი თვის შემდეგ. ყოველივე ამის შესახებ უნდა დაწერილ იქნას სათანადო გარანტიები.

ტომების რაოდენობაზე კიდევ უფრო მეტად გამოცემის ვადა გვაოცებს (ოცდახუთივე _ ერთ თვეში ანუ დღეში თითო ტომი!):

_ სტამბას გადაეცემა მასალები არა უგვიანეს 15 აპრილისა. მიღებულ იქნას ზომები _ ყოველ მიზეზის გარეშე _ წიგნების 15 მაისამდე გამოცემისათვის.

ოლიასაც გაუმხნევებია 1925 წლის 9 დეკემბერს:

_ 25 год пусть закончится 25-ю твоих томов. Сегодня мы вдвоем и в мыслях 25. Пусть обед в этом истрепанном ресторане будет залогом собрания 25-ти.

საბოლოოდ 609 ლექსი ერთ ყდაში მოაქცია და მომავალ წელს «ზარნიშიანი წიგნი» დაბეჭდა.

რაც შეეხება ოცდახუთტომეულს, თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი თამამი ოცნებაც რეალური ხდება!

მოვლენებს წინ უსწრებდა, სასურველს სინამდვილედ წარმოიდგენდა: 1954 წლის 29 დეკემბერს მოსკოვ-თბილისის მატარებელში წერს ლექსს «ცხრა ტომი» («ძეგლად აღვმართე ჩემი ცხრა ტომი») და ამ დროს მხოლოდ შვიდი ტომი აქვს გამოცემული. მეცხრე ვერც მოასწრო, ვერ შესძლო, ვერ მოახერხა!

წინასიტყვაობით მხოლოდ ორჯერ გამოსცა წიგნი. მეორეც პირველის ავტორს ეკუთვნის და ცოტა გავრცობილი ვარიანტია მხოლოდ. ხშირად კი განიზრახავდა, მაგრამ ვეღარ ელოდებოდა. თავიდან, იცოცხლე, გულუხვად ვარაუდობდა:

_ მხოლოდ ერთი წინასიტყვაობა არ კმარა. ერთი უნდა იყოს საერთო მიმოხილვის მსგავსი, ერთი _ რადიანის, მეორე _ აბზიანიძის, მესამე _ ბენაშვილის, მეოთხე _ გაწერელიას.

1953 წელს კოლეგამ წინასიტყვაობა დაუგვიანა, მაგრამ არ ინანა, ვინაიდან ადრეულ პუბლიკაციებში გაღმა შედავების მცდელობა აღმოუჩინა:

_ ჩემზე სხვების გავლენის აღწერით _ ათავისუფლებს სხვა პოეტებს, რომელნიც ჩემი გავლენითა სწერენ.

ხშირად წერს და მსჯელობს ამა თუ იმ წიგნის შედგენის, რედაქტირებისა და დაბეჭდვის შესახებ, გამოთქვამს თავის მოსაზრებას, უკმაყოფილებასაც:

_ ჩემის აზრით, წიგნის განსაზღვრული ეგზემპლარი უნად დაიბეჭდოს კარგ ქაღალდზე. დანარჩენი, რა გაეწყობა, დეე, დაიბეჭდოს «ნიკოს იშხიმზე». მხოლოდ რომ არ მინახავს, რას წარმოადგენს «ნიკოს იშხიმი», ეგ ვერაა კარგი საქმე. რას ჩავაცივდი ამ იშხიმის ქაღალდს. ფორმატს წიგნისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეხლა პირდაპირ ფუჭდება წიგნი. ავიღოთ სხვა ქაღალდი, უკიდურეს შემთხვევაში, გაზეთის ქაღალდი ავიღოთ.

_ წიგნის საქმე მაინც წინ მიდის, იგი კრეისერივით მისრიალებს ზღვის ტალღებზე.

_ უნაკლო წიგნის გამოცემას მე კი არა, რუსთაველი ვერ ეღირსა.

_ სახელგამში ყველაფერი მზად უნდა გექნეს (იქ არავინ არაფრის გამკეთებელი არ არის).

_ წიგნის საქმე თავზარდამცემია.

_ ნეტარ არიან მორწმუნენი! იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი გავიდა, დღეს 22 ივნისია და წიგნი კი ახლად გადაცემულია სახელგამში. ასე გავიდა თითქმის ნახევარი წელიწადი.

_ ყოველგვარი ღონე აქვთ მიღებული, რომ წიგნი იყოს არა ჩემი, არამედ მათი, რედაქტორების (რომელთაც მოხვდებათ მაგრად).

_ წიგნმა განვლო პერიოდი პირველი წეწვა-დამახინჯებისა (ე.ი. დამახინჯებისა იმგვარად, რომ ლამის სახეც დაეკარგა) და ასეთი სახით, როგორც იქნა, გადავიდა მეორე პერიოდში. ხელნაწერი გადაეცა ტექნიკურ რედაქტორს სტამბაში გასაგზავნად.

_ დღევანდელი დღის უმთავრესი მიღწევა: წიგნი ჩაბარდა სტამბას.

_ დღეს გადაეცა წიგნი წარმოებას. დღეიდან შეუდგებიან აწყობას! აჰა, როგორც იქნა! გავწვალდი კი ეს წელიწადნახევარია.

_ მივიტანე იერიში სახელგამზე: დღეს საღამოთი გამოირკვევა _ იქნება თუ არა ამ კვირაში გადარიცხვა.

_ სახელგამის დირეკტორს ალბად თავისი საკუთარი კონსტიტუციის N მუხლის ძალით ჰგონია, რომ არ უნდა ემორჩილებოდეს მთავრობას.

ინატრა:

_ მე რომ მქონდეს ქაღალდი სიგრძით 1 000 კილომეტრის?

იკითხა:

_ სახელგამს შეუძლია იშუამდგომლოს ცეკას წინაშე, რომ ნება დართონ რიგგარეშე გამოსცენ წიგნი. რაა ამისთვის საჭირო?

უპასუხა:

_ მწერალთა კავშირი შეათანხმებს ცეკასთან.

იგულისხმა:

_ ალბად შეთანხმებულია ცეკასთან.

ივარაუდა:

_ ცეკაში მე არა ვარ დაახლოვებული, მართალია, მაგრამ ალბად არიან ისეთები, რომელთაც ესმით ჩემი ხელოვნების მნიშვნელობა.

ყველა გზა რომში მიდის:

_ წარდგენილია დასამტკიცებლად ც.კ.-ში. _ მწერალთა კავშირმა უნდა იშუამდგომლოს ცეკასთან. _ ცეკასგან გეგმის დამტკიცებას ველიო. _ ცეკამ უნდა დაამტკიცოსო. _ 30-მდე ცეკა დაამტკიცებსო ახალ გეგმებს. _ ჯერ კიდევ არაა

დამტკიცებული გეგმები ცეკას მიერ. _ საჭიროა ც.კ. დასტური. _ ცეკადან თუ იქნება განკარგულება. _ ცეკას შეუძლია პირდაპირ გადასწყვიტოს. _ ცეკამ უკვე გადასწყვიტა ჩემი წიგნის გამოცემა.

ეს იყო ბუქი, ლურჯი, ცისფერი,
ხან შრე, ხან მუქი, ხან იისფერი,
ფურცლების ღვარი, ფურცლების ღვარი,
ფურცლების ღვარი, ცეკასმიერი.

ცეკაში არც ისე ცუდად იყო საქმე:

_ გამომიძახა შარიამო. დიდხანს მელაპარაკა შენს წიგნზედ და შენზედო. სთქვაო, რომ ასეთი პოეტი ეხლა რუსეთშიაც არ არისო... ბევრი კარგი ილაპარაკა შენზე როგორც პიროვნებაზეო.

წიგნის გასაღებაზეც თვითონ ზრუნავდა:

_ როგორაა წიგნის გავრცელების საქმე? ამაზე დიდადაა დამოკიდებული შემდეგი ტომების ბედ-იღბალი.

ვაჭრებთან ლაპარაკი უჭირდა. მაინც აქტიურად უტევდა:

_ წიგნი ბაზარზე არ გამოსულა, ისე შეისყიდა მთლიანად თქვენმა მაღაზიამ. ფული (1 500 მან.) უნდა გადახდილი ყოფილიყო ორი თვის განმავლობაში, დეკემბრის დამლევამდის, მიუხედავად იმისა, წიგნი გაიყიდებოდა ამ ხნის განმავლობაში თუ არა. მაგრამ გადის ხანი და მე მიღებული მაქვს მხოლოდ 200 მან. თუ რაღაც. ეხლა საკითხი სხვაგვარად არის თქვენს მიერ დასმული, თითქო მე ფული უნდა ავიღო იმისდა მიხედვით, თუ რამდენი გაიყიდება წიგნი ან საზოგადოთ გაიყიდება თუ არა. ეს რომ ასე ყოფილიყო, მე რატომ მოგცემდით თქვენ წიგნს. მე დაინტერესებული ვიყავი, რაც შეიძლება სწრაფად გამეყიდა წიგნები და ამიტომ ერთის ხელში დავაგროვე ისინი, თორემ მე თვითონ გავყიდიდი. მაშასადამე საკითხის ასე დასმა არ შეიძლება...

ზოგჯერ უკიდურეს გადაწყვეტილებასაც ღებულობდა:

_ ვინაიდან ჩვენს შორის სადავო საკითხში ჩამოვარდნილ უთანხმოებას ბოლო არ ეღება, მე კი ეს საკითხი მიმაჩნია მხოლოდ და მხოლოდ ჩემი და რედაკტორის საქმედ, იძულებული ვარ ავკრძალო ჩემი წიგნის (IV ტომის) თქვენ მიერ გამოცემა.

_ ვინაიდან ჩვენ საერთო ენას ვერ ვპოულობთ სულ უბრალო საკითხშიც კი, მე იძულებული ვარ უარი ვთქვა თქვენს მიერ ჩემი წიგნის გამოცემაზე. ჩემთვის, ავტორისათვის, არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს წიგნის იმ სახით გამოცემა, როგორც ეს თქვენ გსურთ. წიგნი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოვიდეს. ჩემთვის მოცემული გონორარი უკანვე დაგიბრუნდებათ ჩემ მიერ.

ზოგჯერ ზედმეტად გაბოროტდებოდა ხოლმე:

_ რედაქციებში თითქო განგებ შერჩეული კრეტინები სხედან.

_ სახელგამს. ძვირფასო მეგობრებო! შეაგროვეთ ყველა თქვენი გამოცემები და დასწვით.

გაივლი და ჩერჩეტ სახელგამს შესძახებ!
წიგნები ქართველი ქალების შესახებ
სადაა? არა გაქვს სინდისი ერცახე?

1957 წლის 25 იანვარს ჩაუწერია:

დღეს სახელგამს გადავეცი წიგნი მეცხრე ტომი,

არ იქნა და არ დამთავრდა სახელგამთან ომი.

იმავე წლის 31 იანვარს:

_ გეგმიდან ამოვუღივართ! გეგმაში არა ვართ, წიგნი კი წინ უდევთ 1955 წლიდან.

8 თებერვალს კი:

_ შოთა რუსთაველს შეიტანდით თუ არა გეგმაში? ა? ა? ა?

ცხადია აჭარბებს. აქაც მისი ხასიათი ჩანს: ორ უკიდურესობას შორის მერყევი. მაგრამ ეს მაინც სიმართლეა, მწარე სიმართლე!

რა უნდა ვქნა?

ცოტახნით არქივში გადავიხედოთ:

«სადმე მეათე სართულს ზევით, ბნელზე ბნელ ოთახში ცხოვრობს ღარიბზე უღარიბესი სტუდენტი. ცხოვრობს, მაგრამ რაა ცხოვრება გახვრეტილი ჯიბით. მშიერი, ძალღონეგამოლეული, დაქანცული, ის ტახტზე მიგდებულა და ეძნელება მოძრაობა. ის მშიერია რამდენიმე დღეა.

_ Старый одеж... _ ისმის ეზოში. მეძველე ჰყიდულობს ძველს ტანსაცმელს.

«გავყიდი პიჯაკს» _ გაუელვა თავში სტუდენტს. ძლივსძლივობით წამოდგა, ჩამოიღო კედლიდან პიჯაკი, ფანჯარა გააღო და მეძველეს ჩასძახა:

_ მანდ დამიცა!

ძლივსძლივობით ჩაიარა კიბე, მივიდა მეძველესთან, გადასცა პიჯაკი, თან ეუბნება:

_ შეხედე. ახალია, სრულიად ახალი პიჯაკი.

მეძველემ არა უპასუხა რა. სტუდენტი განაგრძობს:

_ ახალთ-ახალი პიჯაკია. ვაჰ, რა ახალი პიჯაკი...

დიდხანს ატრიალა მეძველემ პიჯაკი, მერე კალთის ერთი ნახვრეტიდან საჩვენებელი თითი გამოყო და ნიშნისგებით უთხრა სტუდენტს:

_ რაო? ეგ არის ახალი? _ თან თითი რამდენჯერმე დაატრიალა ნახვრეტში.

_ არა... ეგ არის ახალი? _ ამბობდა მეძველე და მეორე კალთის მეორე ნახვრეტიდან მეორე საჩვენებელ თითს აჩვენებდა.

სტუდენტს ხმა ჩაუვარდა.

_ აი, თუნდაც ეს... ეს არის ახალი? _ მეძველემ ეხლა უკვე ცერი ამოჰყო სახელოს ერთს მეტისმეტად დაზიანებულ ადგილას.

სწორედ ამაზეა ნათქვამი: მეძველე სწორედ იქ ამოყოფს ცერს, სადაც გარღვეულია ჩოხაო.

ძალიან მაგონებენ იმ მეძველეებს ზოგიერთი ჩემი წიგნების შემდგენლები... ო, როგორ მაგონებენ. რომ არ მინდა, სწორედ ისეთი ლექსები შეაქვთ კრებულებში. რა უნდა ვქნა?».

ეს მინიატურა 1954 წლის მიწურულს დაიწერა მოსკოვში. იმ წელიწადს სხვა რჩეული დაუბეჭდა სახელგამმა, სხვისი შედგენილი, _ მაგრამ დიდი ვერაფერი შეღავათია!

არა პოეზია, არამედ _ ვინ ვის!

მთელი აქტიური შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე აქტიური და თანამიმდევრული ოპოზიცია ჰყავდა:

_ ისინი ჩემი ლიტერატურული მტრები არიან.

_ გთხოვთ იმსჯელოთ იმის შესახებ, სწორი იყო თუ არა ჩემი ხაზი საერთოდ. თუ არ იყო სწორი, რა მხრით? («შენ გენაცვალე»). მართალია თუ არა მთავრობა ჩემთან ბრძოლაში (იზოლიაცია, შიმშილი, წყურვილი, დევნა, უბინაობა, უჟურნალობა, უგაზეთობა).

პერმანენტული დევნა ძალიან ადრე იწყება და სიკვდილის შემდეგაც გრძელდება. ისეთი სამწუხარო შემთხვევაც შეინიშნება, როცა მამა იწყებს და შვილს გადასცემს ესტაფეტას (ამ ოჯახის ისტორია საკმაოდ ვრცლად მიმოიხილა და გაგვაცნო: «ოჯახი თავიდანვე ცნობილი იყო განსაკუთრებული გულღრძუობით, ყველასადმი რაღაც უბოროტესი გრძნობებით, უმადურობით, გაუტანლობით»).

დუმილი ზოგჯერ აშკარა დაპირისპირებაზე უარესია: ელიტა «არტისტულ ყვავილებს» (1919) გაუჩუმდა («ათეული წლების განმავლობაში ყოვლად გაუმართლებელი დუმილი»), მასისთვის მით უფრო მოულოდნელი აღმოჩნდა უეცარი სიახლე: ორი წლის შემდეგაც კი ტირაჟის მეოთხედი გაუყიდავი დარჩენია: ბოლშევიკების რეჟიმმა მოუსწრო და ბედმა დასცინა: 1921 წლის 9 აპრილს უცებ გარუსებული დაწესებულების _ გრუკავროსტას გამგეს _ ვინმე ბოგდატიევს სთხოვს _ შედევრები გამასაღებინეო:

_ ჩემი წიგნი (ლექსები ტ. II) დაბეჭდილ იქნა ჩემმიერ 2 000 ეგზემპლიარი. იგი დაჯდა (მაისში 1919 წ.) 25 000 მანეთი (ქაღალდი, აწყობა, დაბეჭდვა და სხვ.). ნაწილი ამ წიგნებისა მე უფასოდ დავარიგე სალიტერატურო საღამოებზე, პოეტებში და სხვ. უფრო მეტი ნაწილი წაიღეს აგენტებმა და შემდეგ არ დაუბრუნებიათ არც წიგნები და არც ფული. ამნაირად მე არ მიმიღია არათუ საავტორო ჰონორარი, არამედ გამოცემის ხარჯებიც კი არ გამისწორებია. 500 წიგნი, რომელიც შენახული მქონდა, გთხოვთ იყიდოთ ჩემგან _ ეგზემპლიარი ათას მანეთად, თუ არა, გთხოვთ დამიბრუნოთ.

ახლა «პოეტების მეფის» ერთ-ერთი ამომრჩევლის კომენტარიც მოვისმინოთ _ იმავე 1921 წლის 25 იანვარს დაწერილი:

_ მგოსანთა მეფის არჩევა ჯერ უდროოდ მიმაჩნია. ვერც ერთი თანამედროვე მგოსანი ვერ შესწვდა უმაღლეს წერტილს. ჩვენს მგოსანთა შორის სამი უფროა ამ სახელის ტარების ღირსი. გალაქტიონ ტაბიძე, ალ. შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი _ ეს სამება ერთ მთლიანს რომ შეადგენდეს, ჭეშმარიტი მეფე მგოსანიც მაშინ აირჩეოდა. სამი სხვადასხვა სახე ერთ მთლიანს ჰქმნიან. და თუ ამათ შორის არჩევანს მომახდენინებთ, ოქროს კალამს გალაქტიონ ტაბიძეს მივართმევ, როგორც მსოფლიო ჰანგთა მატარებელს. მაგრამ ვშიშობ, ეს კალამი ა. შანშიაშვილმა არ ჩამოართვას. იოსებ იმედაშვილი.

ელიტამ ვერც «ზარნიშიანი წიგნი» შეამჩნია («ვერ შეამჩნიეს ჩემში ტიტანი და პოეზიის მძლავრი მესსია»).

_ გაზეთებს ყოველდღე ვათვალიერებ და ვკვირობ, შენზე სიტყვაც არაა! ამ დღეებში იყო მოთავსებული «საუბარი ბარონ ბიბინეიშვილთან». ჩამოთვლილია, თუ რა წიგნები გამოუცია სახელგამს და რის გამოცემას ფიქრობს ამ მოკლე ხანად და შენი წიგნის შესახებ კი არაფერი უთქვამს. ყველაფერი მოსალოდნელია! ნურც იგი გაგიკვირდება, რომ წიგნი არ გამოვიდეს! _ სწერს აბესალომი 1927 წლის 2 იანვარს.

მოგვიანებით შევიტყობთ: ამ დროისათვის ზარნიშიანი წიგნი დიდიხნის დაბეჭდილია. არქივში ორენოვანი განაცხადიც ვიპოვნეთ სწორედ ბარონ ბიბინეიშვილის სახელზე (ამ რუსული მაქსიმას ქართულ ვარიანტს კი უკვე ვიცნობთ):

_ ამხ. ბარონ. საქმე აი რაშია. წიგნი დაბეჭდილია, მაგრამ როგორც მოგეხსენებათ, одно дело издать книгу, а главное, уже повести эту книгу так, как следует. დიდი წიგნია, კარგი წიგნია, მაგრამ ცოტა ძვირია. ამიტომ საჭიროებს ცოტა მეტ ყურადღებას, უმთავრესად რეკლამას.

მაგრამ სახელმწიფო გამომცემლობის გამგე პოეტის სამართლიან თხოვნას ანგარიშს არ უწევს და ოფიციალურ ინტერვიუშიც კი არ ასახელებს საუკუნის წიგნს.

სდუმან, სდუმან, კიდევ სდუმან, «ჰაი გიდი, აბასთუმან!»
ისტორიას სად წაუვა, თუნდ უხდიდეს აბაზს თუმანს!

ერთხელ ექვსი მწერლის გვარი, სახელი, მამისახელი, მისამართი და ტელეფონის ნომერი ჩამოწერა და ოთხ მათგანს უსაყვედურა:

_ სდუმს! სდუმს! სდუმს! სდუმს!

«დუმილით შეთქმულებაც» არ აკმარეს:

_ ცისფერყანწელების შეშფოთება წიგნის გამოსვლის გამო (ქართულ კლუბში რომ საღამო იყო და პაოლომ რომ სთქვა: დაიკავოს ეს უზარმაზარი წიგნი ხელში და პირდაპირ თავში დაარტყას აუდიტორიასო).

აღრიცხავდა და კიცხავდა და რისხავდა თავის ლიტერატურულ მტრებს. დაუნდობელ ეპითეტებს უსადაგებდა, სახელსა და გვარს უმახინჯებდა და უბითურებდა, ეპიგრამებს უწერდა, კარიკატურებს უხატავდა.

_ რად ხმაურობენ საცოდავი ჩემი მტრები?

ამაოდ არ ებრალებოდა საკუთარი მტრები: სიკეთისაკენ მოუხმობდა და ავტორიტეტს იშველიებდა:

_ რა სამწუხაროა, რომ ბუნებამ შენგან შექმნა მხოლოდ ერთი ადამიანი, ვინაიდან შენში მასალა იყო ღირსეული კაცისთვისაც და გაიძვერასათვისაც (იოჰან ჰერდერი).

1946 წლის 3 სექტემბერს გეგმების სამი ციკლი შეუდგენია. მასალები საქაღალდეებისათვის გადაუნაწილებია. მესამე ციკლის მეთვრამეტეს ეწოდება _ «საქაღალდე მტერთა».

ხუთი წლის შემდეგ _ 1951 წლის დეკემბერში _ აფორიზმივით დაუხვეწავს:

მტერი სახალხო პოეტის _
ქართველი ხალხის მტერია!

კიდევ ხუთი წლის შემდეგ, 1956 წლის 27 ივნისს კიდევ ერთი გეგმა დაუზუსტებია და მეცამეტე _ «მტრული გამოსვლების რვეული», ხოლო მეცხრამეტე _ «ჩემს წინააღმდეგ ომების ისტორია» დაუსათაურებია.

სხვა დროს გაუშიფრავს:

_ ისტორია ღალატის. ისტორია მოტყუების. ისტორია მუქარის. ისტორია პროვოკაციის. ისტორია დაცინვის და ცინიკობის. ისტორია გაბითურების.

აღშფოთებდა:

_ ორ სკამზე მჯდომარეთა თაღლითობა.

ნომრავდა:

_ ჟულიკობა N1, ჟულიკობა N2, ჟულიკობა N3.

აჯგუფებდა:

_ ეს ოთხი ჟულიკი განაგრძობენ ჟულიკობას.

ნათლავდა: «კვაჭები».

ამბობდა: პოეტი რომ მოკლა, ამისთვის ტყვია არ არის საჭირო, პოეტს სიტყვა კლავს და სიტყვა აცოცხლებსო.

«რამდენიმე კარგი ლექსის ავტორი» უწოდეს 1922 წელს «არტისტული ყვავილების» ავტორს და პატრონს, «საბჭოთა ეპოქის ცნობილი პოეტი» _ 1948 წელს.

1917 წლის 2 იანვარს, როდესაც წინა წელიწადს ცისფერყანწელთა ჟურნალ «ცისფერი ყანწების» პირველ ნომერში უკვე გამოქვეყნებულია «ლურჯა ცხენები», _ ერთი ცისფერყანწელი სწერს მეორე ცისფერყანწელს მოსკოვიდან:

_ გალაკტიონის საღამომ როგორ ჩაიარა. «მეგობარში» წავიკითხე რეცენზია, თითქო საინტერესოა, მაგრამ გიტარის რომანსები, იმის გარდა, რომ პროვინციის სუნი უდის, ისედაც მიუღებელია.

თითქოს ტანმა უგრძნო: თვრამეტი დღით ადრე, 1916 წლის 15 დეკემბერს, სწორედ ამ ოპონენტის შესახებ ატყობინებს ოლიას მოსკოვში:

_ თურმე აქ ჩემზე ცოტათი ირონიულ წერილებს იწერება... _ და იქვე დასძენს:

_Finita la commedia!

ეგევე კოლეგა ერთი წლით ადრე წერდა:

_ გალაკტიოინ ტაბიძის ლამაზი შედარებანი და მეტაფორები უბრუნებენ ქართულ მწერლობას ბრწყინვალე პერიოდს... ეს პრელიუდიებია მომავალი დიდებული ორატორიებისა.

მაგრამ დაიბეჭდა «ლურჯა ცხენები» და... საშიში მეტოქე დაინახეს! სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და დიდებული ორატორიების ბრწყინვალებამ თვალი მოსჭრათ! თორემ ყოვლად წარმოუდგენელია, «ლურჯა ცხენების» მუსიკა მოისმინო და გიტარა გაგახსენდეს, თავისთავად მშვენიერი გიტარა, და შედევრის ავტორს პროვინციელობა დასწამო!

მეორე კოლეგამ ერთი წლის შემდეგ დაწერა:

_ Со скорбью приходится отметить молчание Галактиона Табидзе. Его "Синие кони" _ прекрасная творческая тайна, которая ждет новых двойников.

მაგრამ ორი წლის შემდეგ გამოვიდა «არტისტული ყვავილები» და _ ისევ ყოვლად გაუმართლებელი დუმილი^^:

_ Молчат. _ Непобедимое молчание!

_ დუმილი დაურღვეველი!

ვინც იყო და როგორც წერდა, ნამდვილად კარგად იცოდნენ:

_ ის გალაკტიონის დამცირებასაც ხშირად ცდილობდა, რათა ყანწელების ავტორიტეტი აემაღლებია, თუმცა ძალიან კარგად გრძნობდა, რა დიდი პოეტი იყო გალაკტიონი. ტიციანი გალაკტიონის შეფასებაში მაინც თანმიმდევრული არ იყო, ხან მის ლექსებს ზეპირად ამბობდა და აღტაცებას გამოთქვამდა, ხან აგინებდა. _ იგონებს გრიგოლ ცეცხლაძე (უნებლიედ გვაგონდება ციცერონი: «შენგან დავალებული _ შენი მეგობარი ვერ იქნება» და ჰაფეზიც გვაგონდება: «ვისაც სროლა ვასწავლე, ყველამ მე დამიმიზნაო». თვითონ კი _ საკუთარი ძაღლების მიერ გამეტებული აქტეონი მოაგონდა...).

ცისფერყანწელთა ორდენის ერთი აქტიური წევრი ვალერიან გაფრინდაშვილი საკმაო წარმატებით თარგმნიდა გალაკტიონს რუსულ ენაზე, ხოლო მათმა იდეურმა ლიდერმა გრიგოლ რობაქიძემ შესანიშნავი ესსე უძღვნა «ნიკორწმინდას», ოღონდ _ 1962 წელს!

ვინც ყველაზე უკეთ იცოდა მისი ფასი, სწორედ ისინი გაუჩუმდნენ და დუმილით ებრძოდნენ. მაგრამ «თუნდაც ყველა თანამედროვე დაადუმოს შურმა, მაინც მოვლენ ისინი, რომელნიც მიუკერძოებლად განსჯიან» (სენეკა).

ისე ცისფერყანწელები დროულად შეიცნო და დროულად გადასწყვიტა: კომედია დამთავრებულიაო.

მერე თითქოს შეედავა კიდეც, გაეხუმრა კიდეც («მე და ისინი»):

«მ ე: ჩვენ ხომ ვიცნობდით ერთმანეთს?

ი ს ი ნ ი: ვიცნობდით.

მ ე: თქვენ ხომ გამოეცით «ცისფერი ყანწები»?

ი ს ი ნ ი: გამოვეცით.

მ ე: მე ხომ მოგეცით ლექსი დასაბეჭდათ?

ი ს ი ნ ი: მოგვეცით.

მ ე: თქვენ ხომ წაიღეთ იგი?

ი ს ი ნ ი: წავიღეთ.

მ ე: სადაა ეხლა იგი?

ი ს ი ნ ი: რა სადაა?

მ ე: ლექსი.

ი ს ი ნ ი: რომელი ლექსი?

მ ე: აა ჰ. ჩვენ ხომ ვიცნობდით ერთმანეთს?

ი ს ი ნ ი: ვიცნობდით!

მ ე: თქვენ ხომ გამოეცით «ცისფერი ყანწები»?

ი ს ი ნ ი: გამოვეცით.

მ ე: ხომ მოგეცით ლექსი?

ი ს ი ნ ი: მოგვეცით.

მ ე: თქვენ ხომ წაიღეთ იგი?

ი ს ი ნ ი: წავიღეთ.

მ ე: მერე სადაა ეხლა?

ი ს ი ნ ი: რა სადაა?

მ ე: ლექსი.

ი ს ი ნ ი: რომელი ლექსი?

და სხვ. და ასე დაუსრულებლად».

1920 წელს ჟურნალმა «შვილდოსანმა» «არტისტული ყვავილები» ასე შეუფასა (ავტორის «სტილი» დაცულია):

_ მთელი წიგნის მიღება გასაჭირია: აქ არ არის დაცული ესთეტიკური კულტურა და მხატვრული სისწორე... არის სასტიკი ადგილებიც, უმხატვრო, ყალბი «ბუტაფორიის შეხლა». ჩვენ ამას თამამად ვამბობთ... ზოგიერთი შედარებები თარგმანია ჩვეულებრივ რუსულ სახეებისა.

ჟურნალმა «ლეილამ» იმავე წელს აშკარა განსხვავებაც ვერ შეამჩნია:

_ როგორც მის პირველ ტომში, ისე აქაც მხოლოდ რამდენიმე ლექსია კარგი და ავტორის დამახასიათებელი.

არადა, სამართლიანი საპირისპირო პრეტენზიები ჰქონდა:

_ მე უკვე მზადა მაქვს მეორე წიგნი, რომლითაც ყალყზე დავაყენებ მთელ საქართველოს.

1921 წლის 25 იანვარს «პოეტების მეფედ» აირჩიეს:

_ 25 января литературная молодежь Грузии провела выборы "Короля поэтов". Пожизнено возведён в это почетное звание самый достойный из поэтов _ Галактион Табидзе, имеющий громадное влияние на всю современную поэзию Грузии... Галактион Табидзе был избран единогласно ("Борьба", 29 января 1921 г.).

სამი დღის შემდეგ გაზეთის რედაქციამ მოიბოდიშა:

_ Редакция выражает сожаление, что в номере от 29 января, в отделе хроники по недосмотру прошло сообщение: `Избрание Короля поэтов". Известие это, как нам сообщают из Союза писателей, не соответствует действительности ("Борьба", 2 февраля 1921 г.).

რაც უფრო აქტიურად უტევდნენ, მით უფრო შეუპოვრად იგერიებდა: 1921 წლის აპრილში ოპტიმისტური მოწოდებებით გაიმხნევა თავი:

_ თანდათან ვრწმუნდები, რომ არცერთს მათგანს არა აქვს ჩემდენი დაფარული პოეტური ენერგია. ეს ენერგია თავისთავად უჩემოდ იკვლევს გზას და სადმე დაგუბებული ვულკანისებური ცეცხლით ამოხეთქავს. იგი გაანადგურებს ყოველივეს, რაც კი წინ დახვდება! გაანადგურებს, დალეწავს, დაანგრევს! გაუმარჯოს მომავალ ბრწყინვალებას და მეფეს ქართველი პოეტებისას! შორს არაა ის დრო, როცა კიდევ იგრიალებენ გაზეთები, ქუჩები, თეატრები. ამ ხმას აჰყვება მსოფლიო. გაუმარჯოს მსოფლიო რეზონანსს!

1922 წლის ივნისში «პოეტების მეფის» პირველივე აფიშირებული საღამო ჩაუშალეს:

_ ქართულ მწერლობას და განსაკუთრებით პოეზიას ახსოვს მნათობელთა მაღალი სახელები, რომელნიც უგვირგვინოდ ჩასულან საფლავს და ისტორიას არ მოსვლია აზრად ასეთი აბსურდი, რომ მისთვის მეფობის მარკა მიეცა (ს. ფაშალიშვილი).

_ ტაბიძიანთ გვარში აღმოჩნდა რაინდი, რომელმაც განაცხადა სურვილი სამეფო ტახტზე ასვლისა გალაკტიონ პირველის სახელით... გალაკტიონის უმცროს «ძმას» ტიციანს შეშურდა თავისი უფროსი «ძმის» ბედნიერება და მოიწადინა მისი განადგურება (ს. თოდრია).

23 ივნისს მწერალთა კავშირის საბჭოს საგანგებო სხდომამ ერთადერთი საკითხი განიხილა და დაადგინა:

_ მოისმინა რა გალაკტიონ ტაბიძის საღამოს აფიშების შინაარსი, სადაც გ. ტაბიძე თავის თავს პოეტების მეფედ აღიარებს, საბჭოს სრულიად შეუფერებლად მიაჩნია ასეთი საქციელი საბჭოს წევრისა და პოეტის სახელისათვის და უცხადებს მას საყვედურს, მით უმეტეს, რომ გ. ტაბიძე არც ერთი ორგანიზაციის ან საზოგადოების მიერ არ არის არჩეული პოეტების მეფედ.

ოთხი დღის შემდეგ კი გაზეთ «ტრიბუნაში» დაიბეჭდა:

_ წერილი რედაქციის მიმართ. ვინაიდან საზოგადოებაში ხმა დადის, თითქოს გალაკტიონ ტაბიძის საღამო (რომელიც იმართება დღეს საოპერო თეატრში) ეწყობა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს მონაწილეობით, საბჭო იძულებულია განაცხადოს, რომ მას არავითარი დამოკიდებულება არ აქვს ამ საღამოსთან. საღამო იმართება კერძოდ გ. ტაბიძის ინიციატივით.

ხოლო ერთმა კოლეგა-პოეტმა მწერალთა კავშირის საბჭოს დაუნდობელი შეკითხვა დაუსვა პრესის ფურცლებიდან:

_ თუ ეს შანტაჟი კერძო, უპასუხისმგებლო პირისაგან ხდება, რა ზომას იღებს მწერალთა კავშირის საბჭო თავისი შეურაცხყოფილი სახელის აღსადგენად და ასეთი კრიმინალური ტიპის თავის წრიდან განსადევნად?

ამ ინციდენტის პასუხად მცირე დიალოგი დაუწერია _ «მეფე პოეტების»:

«გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ტ ა ბ ი ძ ე. ქიმერა, რასა მალავ?

ქ ი მ ე რ ა. არაფერს, ხელმწიფეო.

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი. რასა მალავ-მეთქი!

ქ ი მ ე რ ა (შიშით ამოიღებს უამრავ გაზეთებს და პოეტს გადასცემს) თქვენ მტრები... ძალიან ბევრი მტერი გყავთ.

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი (ისვრის ფანჯარაში გაზეთებს) ქიმერა, ერთხელ და უკანასკნელად გეუბნები: მე გაზეთებს რომ ავყოლოდი, დღემდე ათასჯერ უნა მომეკლა თავი».

ცოტა ადრე კი _ იმავე წლის 13 თებერვალს ლექსად გამოეპასუხა მოშურნე ოპონენტებს:

... და შურიანი პოეტების გაბმული ყეფა
დეე ისმოდეს _ რისთვისაა პოეტი მეფე!
ჩემს მაღალ წარსულს თქვენი ყეფის არ ეშინია!

1922 წელსვე ბრალმდებლებს, რომლებიც ევროპული პოეზიის მიმბაძველობას უკიჟინებდნენ, შედევრით შეედავა:

წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული,
ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის.

1922 წლის 7 იანვარს ცისფერყანწელების გაზეთმა «ბარრიკადმა» ჟურნალ «ლომისში» დაბეჭდილი ლექსიც გაულანძღა და წერილიც:

_ ეს ლექსი გადამღერებაა ნადსონის მოტივების, რომელსაც ეხლა მარტო კუხარკები კითხულობენ ცრემლებით. კუხარკების მოვალეობას ჩვენში ბევრი ასრულებს. მაგრამ ეს არაფერს შემატებს გ. ტაბიძის სახელს. ალბათ ამაში თვითონ მალე დარწმუნდება, რადგან მას არ აქვს პოეტური კონცეფცია და სახე და ტემპერამენტით კი ჩამორჩება თავის მეტოქეს გ. საგანელს. მაგრამ ეს ავტორი უფრო გათავხედებულია, როცა ქართულ პოეზიას ეხება. კარგია, რასაკვირველია, როცა სამოუჩკები ამბობენ _ «გავხდით ერუდიტები»-ო, რომ ეს გამასხარავება არ იყოს. შეიძლება საქართველოში მართლა დაიჯეროს ვინმემ მისი «ერუდიტობა», მაგრამ საკმარისია ამ წერილის ტერმინოლოგიით გარჩევა, რომ გამოვა კონფუზი.

წაუკითხავს ეს «კონფუზი» და სათანადო დასკვნაც დაურთავს:

_ თურმე გალაკტიონ ტაბიძე ისეთი პოეტი ყოფილა, რომელიც მხოლოდ კუხარკების გულის ასაჩვილებლად თუ დასწერს რაიმეს.

გაზეთ «ბარრიკადს» გაზეთმა «ტრიბუნამ» მისცა ბანი იმავე წლის 24 დეკემბერს:

_ გალაკტიონ ტაბიძე მეტის-მეტად სეზონის პოეტი გამოდგა: იგი მაშხალისებურად ავარდა ჩვენი პოეზიის ჰორიზონტზე და ნაადრევათ დაცხრა. მარტო ის ფაქტი, რომ ის დღეს ათი წლის წინათ დაწერილ ლექსებს კითხულობს საღამოებზე, უდიდესი დაეჭვებაა წინსვლასა და გამარჯვებაზე. დღეს იგი თავის ძველი ლექსების გადამღერებას უნდება.

1924 წელს ჟურნალმა «H_2SO_4»-მა გაკენწლა:

_ ორივე ძმებმა ტაბიძეებმა ისარგებლეს ნადსონით. თუ გალაკტიონმა პირველი სტადია დაიწყო, მეორე დაასრულა ტიტემ. აქ ალბათ სისხლით ნათესაობასაც ჰქონდა მნიშვნელობა... ამიერიდან ყურადღება უნდა მიექცეს ხელოვნების ანტისანიტარულ მდგომარეობას და დაწყებული გალტაბ ტიტტაბიდან კასრაძეთი გათავებული გარეკილ იქნენ შემოქმედებითს არენიდან.

სწორედ 1924 წლის 23 ივლისს მისწერა ოლიას:

_ ისევ გაიღვიძა გულში ძლიერმა და გამოუსავლობის მქონე გრძნობამ: რათაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა დავანგრიო ეს ყოვლად საზიზღარი და გაუტანელი დაწესებულება სერგიევის ქუჩაზე: ხელოვნების სასახლე, კერძოდ _ მწერალთა კავშირი. ისინი განაგრძობენ ჩემს წინააღმდეგ კომპანიას, მიუხედავად იმისა, რომ აღარა აქვთ არავითარი დასაყრდენი ადგილი... ეხლა მხოლოდ სიტყვით, ცარიელი სიტყვით, ინსინუაციით, გაიძვერობით განაგრძობენ თავიანთ საზიზღარ საქმეს და ვის წინააღმდეგ? მხოლოდ ჩემს წინააღმდეგ. ეხლა კი დროა, გავასწოროთ ანგარიშები.

და რომ არა ამგვარი გამოწვევები, შეიძლება ეს სტრიქონებიც არ დაეწერა:»როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი», და არც ასე მწარედ არ ეხუმრა: რა საჭიროაო, ძამიკო, ერთი მწერლის კავშირი?!

უცებ აენთებოდა და უცებ დაცხრებოდა. ზრუნავდა, ფუსფუსებდა, ყველაფერს აღრიცხავდა, ამოწმებდა, ინიშნავდა. საკუთარ თავს არიგებდა:

_ დიპლომატია! დიპლომატია! დიპლომატია!

_ არავის შეურაცხყოფა არ უნდა მივაყენოთ. მტრები ისედაც საკმარისია!

_ არ მინდა გავამწვავო დამოკიდებულება.

_ დავუშვი ერთი დიდი შეცდომა... არ უნდა გადამედგა ჯერჯერობით ასეთი ნაბიჯი.

_ ერთი დიდი შეცდომა დავუშვი: გავამხილე.

_ სულ დავიბენი. რა ეშველება ამ საქმეს? _ არ უნდა დავიბნე.

_ საჭირო არაა ამ საქმეში ნერვიულობა. დამშვიდებით! წყნარად! _ ნერვიულობიდან არა გამოდის რა.

_ ახალგაზრდობას ყოველთვის ახასიათებდა ეგზალტაცია. ეს გადამედო, მგონია, მეც. არ ვარგა. _ საჭიროა დიდი თავის დაჭერა, სანამ საქმე დასრულდებოდეს.

_ მომენტით უნდა ვისარგებლო.

_ რა საჭიროა ამ ხალხთან თავის გამოდება?

_ ყოველ წამს უნდა ელოდე რაიმე კვანტს, ფრთხილად!

_ აშკარად იერიშზე გადმოსვლას ჯერ ვერ ბედავენ, მაგრამ ემზადებიან კი.

_ მე წყნარადა ვარ, ჩუმადა ვარ, არა გამიგია რა.

_ უნაყოფო ბრძოლა საჭირო არაა, მითუმეტეს არ იცი _ ვისთან გაქვს საქმე.

_ ამ შემთხვევაში სრულიად გულგრილად უნდა შევხვდე ყოველნაირ ჩემს წინააღმდეგ გამოსვლას.

მოძალადეს მაინც ეურჩებოდა:

_ მიყვარს ყველაფერი, რაც ძალდაუტანებლად ხდება. ძალადობაზე საზიზღარი არა არის რა! რას იზამ! ძალადობას მეტი ძალადობით უნდა უპასუხო, თუ სხვა გზა არ არის და არაფერი სჭრის! ბუნებრივობაა საქმე, ბატონო, ბუნებრივობა! მარა ზოგისთვის ძალადობაც ბუნებრივია.

1932 წლის 9 ნოემბერს დაუკონკრეტებია:

_ დიდი ხნის გამოცდილებიდან ვიცი, ვინ არის მტერი და ვინ მოყვარე. ამ მოყვრებს ერიდებათ თუ ეშინიათ, მაგრამ მათ ხმა უნდა ამოიღონ. ეხლა ნეიტრალიტეტის დრო არ არის! «ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია!».

1941 წლის 17 იანვარს საკუთარ თავს შეეკითხა:

_ ვნახოთ _ რითი დამთავრდება ეს დუელი! _ დუელი ჩემსა და მათ შორის!

ოდნავი სინანულით შენიშნა:

_ Под этим небесным сводом, под которым творится так много злодеяний, есть один только честный человек. Это я.

თუ მეცნიერებს დავუჯერებთ, გენიოსის პრაქტიკული ნიჭი შემოქმედებითი ნიჭის უკუპროპორციულია (ჩეზარე ლომბროზო). ამიტომ თანდათან უფრო მძაფრად გრძნობდა და განიცდიდა საკუთარ უმწეობას. მეტი და მეტი ყურადღება გადაჰქონდა ტაქტიკასა და სტრატეგიაზე, თეორეტიკოსი ჩაგრავდა პრაქტიკოსს, სიტყვა _ საქმეს. 1930 წლის 10 ოქტომბერს ქებათა-ქება აღუვლენია:

_ დიპლომატია! ვინ გამოზომა სიძლიერე შენი? უშველებელი კალთით მიგაქვს ბედნიერება მასთან, ვინც კი შენით კარგად ისარგებლებს. შენ ახდენ სასწაულებს, რომლითაც განცვიფრებაში მოგყავს ყველა. შენა, სწორედ შენა ხარ მსოფლიო დირიჟორი. ვერავითარი ორგანიზაცია ვერაფერს გააწყობს, თუ შენ მას არ დაეხმარე. დიპლომატია, შენ ბრმას დაანახვებ დღის სინათლეს, კუტს ფეხს აადგმევინებ, მუნჯს აალაპარაკებ, მკვდარს აღადგენ. ვინ გამოზომა სიძლიერე, შენი, დიპლომატია? კაცი უნდა ხერხი იყოს, კაცი უნდა გამომგონებელი იყოს, კაცს სწრაფი თვალი და საღი მოსაზრება უნდა ჰქონდეს მოქმედების დროს, მოქნილობა ხერხემლის, _ აი, რა არის თავი და თავი.

ლიტერატურულ ბრძოლებშიც მარტო გახლდათ. მარტოკაცი კი, მოგეხსენებათ, ჭამაშიც ბრალიაო, არათუ ბრძოლაში. არცერთ დაჯგუფებაში არ მონაწილეობდა. არც სხვები იწვევდნენ, არც თვითონ ეძალებოდა. იმდენს კი ხვდებოდა და ცდილობდა, ბრმა იარაღად არავის გამოეყენებინა:

_ პროლეტმწერლები მიყენებენ ყანწელების წინააღმდეგ, ყანწელები კიდევ პროლეტმწერლების წინააღმდეგ... _ ვიცნობ მე კარგად ამ საზოგადოებას... მათ სურთ ჩემსა და ყანწელებს შორის არსებული ომით თავიანთი საქმის გაკეთება, ჩემი გამოყენება ამ მიზნისათვის (ჩემს წინააღმდეგ კიდევ მათ, ყანწელებს იყენებენ).

_ ცისფერი ყანწელების ნაშთები ახერხებენ ფუტურისტებთან საერთო ენის მონახვას. მათ სხვა ყველა პოზიციები დასტოვეს, მხოლოდ ჩემ წინააღმდეგ ძველ პოზიციებზე დგანან.

პატარა მტრები დიდი «მტრის» შიშმა შეაკავშირა:

_ ჭეშმარიტი გენიოსი თუნდაც იმით შეიცნობა, ყველა რეგვენი რომ მის წინააღმდეგ გაერთიანდება (ჯონათან სვიფტი).

_ ჭეშმარიტ გენიოსს მაშინვე გამოიცნობთ, რაკიღა უნიჭოები გამოჩენისთანავე მოუწყობენ შეთქმულებას (რალფ უოლდოუ ემერსონი).

არ შემიძლია კიდევ ერთი ავტორიტეტი არ გადმოვაქართულო:

_ სწავლულთა რესპუბლიკაში თითოეული საკუთარი ღირსების გაზვიადებას ცდილობს და ყველა ერთ საკითხში თანხმდება: არ გაუშვან წინ ჭეშმარიტად ღირსეული, თუკი იგი თანაბრად საშიშია ყველასათვის (ართურ შოპენჰაუერი).

მარტოობაც დანაშაულად ჩაუთვალეს:

_ ადამიანებს მხოლოდ ერთი რამ აეჭვიანებთ: მარტოობა. მხოლოდ ერთ რამეს არ გაპატიებენ: მარტოობას. მხოლოდ ერთ რამეზე იძიებენ შურს: მარტოობაზე. როგორ გაბედე და მარტო ხარ! (მარინა ცვეტაევა).

მარტოდარჩენილს, უფრო ზუსტად კი _ განმარტოებულს ხანგამოშვებით უტევდნენ ერთმანეთთან დაპირისპირებულები:

_ უპირველეს ყოვლისა გამოსარკვევია საკითხი ჩემი დამოკიდებულებისა «პრ. მწ. კავშირთან»! იყო მთელი ეს ისტორია ჩემი «ყინულზე გაცურების» ცდა თუ გულწრფელი დაახლოვების სურვილი? გამოვარკვევ ყველაფერს. კმარა ორაზროვნება!

_ ხელოვნების სასახლეში, როგორც ჩანს, სურთ ჩემი დისკრედიტაცია პროლეტ. მწერლების სასარგებლოდ. ამას ბოლო უნდა მოეღოს.

_ მტრებს მეორე ბანაკიდან (ცისფერელები, ფედერალისტები, არიფიონელები) ალბად სიხარული აქვთ: აჰა, ესეც შენაო! რა ნაადრევი სიხარულია! ყოველ შემთხვევაში, საჭიროა თვალყურის დევნება მათზე.

_ Finita la commedia! _ ლათინურად გამოაცხადა 1916 წლის 15 დეკემბერს და ქართულად გააგრძელა 1930 წლის 10 ოქტომბერს: _ ყანწელებს კი მე არასდროს არ შევურიგდები, რადგან მაგათი საქმეა მხოლოდ თავის თავის პირველ ადგილას დაყენება და სხვისი აბუჩად აგდება.

დამეთანხმებით, საკმაოდ მძიმე ბრალდებაა. ხომ არ აჭარბებს?

თანამედროვენი დავიმოწმოთ:

მოწმე N1. ქართველი მწერალი:

_ თავისი გენიოსობის საკითხში შეთანხმებული ეს პოეტები და მწერლები ერთიანი ფრონტით უტევდნენ (ალექსანდრე ქუთათელი).

მოწმე N2. ქართველი პოეტი:

_ ტიციანს არ სიამოვნებდა, რომ ყანწელების გარდა სხვა ვინმე ექოთ (გრიგოლ ცეცხლაძე).

მოწმე N3. ქართველი პუბლიცისტი:

_ ვერ გამიგია, რატომ აქებენ ეს დაძმობილებული პოეტები ერთმანეთს? რატომ უწოდებენ ერთმანეთს გენიოსებს? (ვასილ წერეთელი).

მოწმე N4. ქართველი მწერალი:

_ მე არ ვეთანხმები, რა თქმა უნდა, მომხსენებელს (ვალერიან გაფრინდაშვილს), თითქოს მარტო «ყანწელები» ყოფილიყვნენ ნოვატორები. ეს არ არის სწორი (კონსტანტინე გამსახურდია).

მოწმე N5. ქართველი მწერალი:

_ «მე მინდა თავადი გავხდე» _ აი ოცნება და სიცოცხლის პროგრამა ტიციან ტაბიძესი. «მე უკვე დიდი თავადი ვარ» _ ეს უკვე ფაქტია გრიგოლ რობაქიძისთვის (მიხეილ ჯავახიშვილი).

მოწმე N6. რუსი პოეტი (ყანწელების პირველი მთარგმნელი):

_ "Голубые роги" почитаются в Грузии верховными судьями в области художественной, но самим им Бог судья (Осип Мандельштам).

მოწმე N7. რუსი პოეტი (რომლის ერთი ლექსიც ტიციან ტაბიძემ თარგმნა):

_ Символисты в своем "манифесте" объявили: "все дороги в будущее нами заняты". Несомненно, что от ближайшего подзатыльника эта пробка выскочит (Игорь Терентьев).

განაჩენი ახალ ბრალდებას შეიცავს:

_ «ცისფერელებს» უნდა ვუყუროთ არა თვალებში, არამედ _ ხელებში... ტიციან ტაბიძე ვერ მოისვენებს _ სანამ გალაკტიონ ტაბიძე არსებობს... მისი დემონია გალაკტიონი (გალაკტიონ ტაბიძე).

და თუკი სრულიად გულწრფელები ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ: ცისფერყანწელთა ალიანსი გახლდათ გაუცნობიერებელი შეთქმულება გალაკტიონის წინააღმდეგ, ვინაიდან უკანასკნელმა უკანასკნელთა იდილია დაარღვია.

განზე იდგა და ყველას ერიდებოდა. არც თანამდებობას ეცილებოდა ვინმეს. მაგრამ, ეტყობა, ბრძოლის ჟინი ხანდახან მაინც შეიპყრობდა და ოცნებით ჩაერთვებოდა დაპირისპირებულთა შეტევების ცალკეულ პერიპეტიებში.

_ მოსალოდნელია აქა-იქ მცირე თავდასხმები. ისინი დროით უნდა იქნას მოგერიებული.

_ სულერთია, რომელი დღიდან დაიწყება ლიტერატურული გამოსვლა: უმთავრესია მომზადებულად, აწონილ-დაწონილად, დეტალების გათვალისწინებით, დინჯად, დაჯერებით, აუცილებელი გამარჯვების თავიდანვე გათვალისწინებით გამოსვლა.

_ ამ ხალხმა უნდა იგრძნოს, რომ ყალთაბანდობა ჩვენთან არ გაუვათ.

_ კარგია პირველი ზარის დარეკვა, ინიციატივის ხელში ჩაგდება, რომელიც ყოველთვის გამარჯვებით დაგვირგვინდება.

_ ალბად დადგა ანგარიშების გასწორების დრო!

_ ცხადია, გამარჯვება მე დამრჩება, თუ არ მიღალატა სიდინჯემ.

ძალთა თანაფარდობას განსაზღვრავდა, ცდილობდა თავის სასარგებლოდ შეეცვალა:

_ მწერალთა კავშირის წევრთა მთელი მესამედი არა სიტყვიერად, არამედ ლიტერატურულად _ სდგას ჩემს მხარეზე, ამბობს თავის კომპეტენტურ სიტყვას. ორი მესამედი ჯერჯერობით განზე სდგას. რა ეშველება ამ ორ მესამედს? მათში ბევრი სავსებით უიმედოდ უნდა ჩაითვალოს, ბევრისგან კი შეიძლება გამოვიდეს რამე... თუ ამ 30 კაცის ხმა მიემატა წინანდელს, საქმე გამარჯვებულად უნდა იქნას ჩათვლილი.

არ ჩქარობდა. არც დროებითი წარუმატებლობისა ეშინოდა:

_ გვახსოვდეს: 15 ნოემბრიდან 25 ნოემბრამდე _ თავდაცვის დეკადაა.

_ მე ანკესს არ წამოვეგები, ერთბაშად არ გადავალ შეტევაზე, სანამ სარწმუნო ნიადაგს არ ვიგრძნობ ფეხქვეშ.

_ უნდა ვიპოვო ახალი გზები, უნდა გამოვნახო, უნდა ვცადო. არ გამოდგება ერთი, დავადგები მეორეს. გზები ხომ შეკრული არ არის.

ახალ გზებს ეძებდა, ახალ ხერხებს, ციხის შიგნიდან გატეხვას იზრახავდა, მოწინააღმდეგის ზურგში პარტიზანული ლაშქრობის წამოწყებას აპირებდა. პირდაპირ დაუსათაურებია _ «ლიტერატურული გამოსვლისათვის პარტიზანული ტაქტიკა». როგორი სტრატეგიც გახლდათ, ტაქტიკაც ისეთი გამოსვლია _ ზოგადი და არარეალური, გულუბრყვილო და სასაცილო:

«ლიტერატურული პარტიზანული ომი სწარმოებს: 1. მწერალთა ძალებისგან გამოყოფილი ჯგუფების საშუალებით. 2. ჯგუფებით, რომელთაც უშუალო კავშირი არა აქვთ მწერლობასთან და მოქმედებენ საკუთარი ინიციატივით. ამნაირ პარტიზანულ ლიტ. გამოსვლებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ლიტერატურის ეხლანდელ მდგომარეობაში, რომელიც უფრო სამოქალაქო ომის პერიოდს ჰგავს, ვინემ მშვიდობიან ხანას.

თავის ქვეყანაში მოქმედების დროს გამბედავ პარტიზანულ გამოსვლებს წინ არ ეღობება ბევრი დაბრკოლებები, მაგრამ მოწინააღმდეგის ქვეყანაში მოქმედების დროს ამგვარი ომის ორგანიზაცია მეტად ძნელი საქმეა, მაგრამ მაინც შესაძლებელი...

მოქმედებას ასეთი ლიტერ. ჯგუფებისას უნდა ექნეს ხასიათი თავდასხმის, იერიშის და არა თავდაცვის. ისინი უნდა მოქმედებდენ გაბედულად, გადამწყვეტი ხაზით, სწრაფად, და ერთი წამითაც არ უნდა მისცენ მოწინააღმდეგეს მოსვენება.

მიზნები: 1. დაპყრობა მოწინააღმდეგის იზოლიაციაქმნილი ნაწილების. 2. დაპყრობა ლიტერატურის საეტაპო პუნქტების, ლიტერატურული ტრანსპორტის, ლიტერატურული რკინისგზების, ლიტერატურული აეროდრომების, ლიტ. გარნიზონების, ლიტერატურული შტაბების, ლიტერატურული კურიერების და სხვ.».

ოცდაათიანი წლებიდან გაცხოველდა რუს მწერლებთან ნაცნობობა და თანამშრომლობა. ქართული პოეზიის თარგმნას ძირითადად პირადი ურთიერთობანი განაპირობებდნენ. უმეგობრო და მარტოსული კი ძნელად ამყარებდა კონტაქტს კოლეგებთან. ცხადია, მისთვის არავის მოუწერია:

_ Да! Спасибо за целый бассейн этого дивного напитка!

სხვებს საკუთარი საზრუნავი აფიქრებდათ და ამიტომ სახალხო პოეტის შემოქმედება მაშინდელი პირველხარისხოვანი მთარგმნელების ყურადღების გარეშე დარჩა. ფაქტიურად იგი დაუმალეს რუსულ პოეზიას და ამდენად _ მთელს ევროპას.

რა უნდა უთხრა პოეტების დაკარგულ სინდისს:
ყურს არვინ უგდებს, ვის სცალია, რა დროს ჩანგია.

მოგვიანებით გავეცნობით საგულისხმო ჩანაწერს: 1924 წლის აგვისტოში რუსთაველზე შენიშნა მისკენ მომავალი მაიაკოვსკი, რომელსაც ქართველი მწერლები მოაცილებდნენ. თვითონ მოერიდა, თანამგზავრებმა კი, როგორც მოსალოდნელი იყო, «ვერ შეამჩნიეს»:

_ სულ რამდენიმე ნაბიჯი და ჩვენ შევხვდებოდით.

მარშრუტი ერთმა თანამგზავრთაგანმა გააგრძელა და დააზუსტა:

_ გეზი პუშკინის ქუჩისაკენ ავიღეთ. პუშკინის ქუჩაზე მაშინ ორი სარდაფი-სასადილო არსებობდა (სიმონ ჩიქოვანი).

1941 წლის 22 მარტის დღიურს ასე იწყებს:

_ მწერალთა სასახლეში შევხვდი წყალტუბოდან დაბრუნებულთ: იანკა კუპალას და იაკობ კოლასს. უნდა სადილად ერთად ვყოფილიყავით, მაგრამ არ მოხერხდა. იანკამა სთქვა: «ძლიერ კარგი იქნება შევხვდებოდეთ ერთად სადილად». «რა თქმა უნდა, უამისობა როგორ იქნება». _ ვუპასუხე. მაგრამ არ მოხერხდა... ამ სადილიდან ამ საღამოთი მთვრალები დაბრუნდნენ...

ბორის პასტერნაკის მოგონებებმა და პირადმა წერილებმა, რომლებიც მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა და ითარგმნება, ბევრი უცხოელ მთარგმნელი და

ლიტერატურათმცოდნე დააინტერესა, მოიყვანა ქართველ სიმბოლისტებამდე, ჩამოიყვანა საქართველოში. პასტერნაკი იხსენიებს (და თარგმნიდა კიდეც) მეტ-ნაკლებად ცნობილ მრავალ ქართველ პოეტს. მაგრამ ბორის ბასტერნაკი იშვიათად ასახელებს გალაკტიონ ტაბიძეს, თუმცა პარიზში ერთად იყვნენ 1935 წელს, თუმცა გალაკტიონი ასეთ ფაქტსაც აღრიცხავს:

_ ტიჩინამ მშვენივრად იცის ზეპირად ჩემი ლექსები. გემზე ის უკითხავდა ჩემს ლექსებს შჩერბაკოვსა და პასტერნაკს. პასტერნაკს უკვირდა.

პასტერნაკმა კი თავის მხრივ ტიციან ტაბიძეს მოსწერა 1935 წლის 6 სექტემბერს:

_ Щербакову, с которым я разделял каюту по пути из Лондона в Ленинград, я много рассказывал о Вас.

ოციანი წლების დასაწყისში რუსულ ენაზე მთარგმნელთა სია შეუდგენია _ «ვის შეუძლიან გააკეთოს თარგმანები»: ქართველი მთარგმნელებისა ცალკე (რადგან ქართველები უფრო აქტიურად თარგმნიდნენ) და რუსებისა ცალკე. მეორე ჯგუფში პირველ ნომრად ასახელებს პასტერნაკს. ლექსიც მოუნიშნავს:

_ «ტყემ წამიყვანა» _ პასტერნაკს.

1933 წელსაც შეჰყავს სავარაუდო მთარგმნელთა სიაში.

1934 წელს დაკვალიანებულა: "Пастернак Борис Леонидович. Волховка 14. кв.9".

1935 წელს პარიზში გაურითმავს: კვერნაკი _ პასტერნაკი.

1936 წლის ბლოკნოტში _ საფრანგეთის შთაბეჭდილებათა ჩანაწერებშიც იხსენებს და ახასიათებს: «პასტერნაკი _ «გრანდ პოეტ».

ერთხელაც თავის თავს საყვედურობს: ამაოდ ვერიდებოდი ადამიანებსო. იქვე მტკიცე გადაწყვეტილებას ღებულობს: უნდა დავუკავშირდეო და ათ რუს მწერალს შორის ასახელებს.

1946 წელს ერთხელ კიდევ იხსენიებს:

_ თვალთვალძემ მართალი თქვა: პასტერნაკი და სხვები ჩაებმებიან თარგმნით მუშაობაში და ისინი გამოყენებულნი უნდა იქნას.

ადრე პასტერნაკი მხოლოდ იმ ევროპული ენებიდან თარგმნიდა, რომლებიც იცოდა, და თვითონ აკეთებდა არჩევანს. ამჯერად კი სხვებს მიენდო: 1933 წლის 6 ოქტომბერს თბილისის რუსული გამომცემლობის მთავარ რედაქტორს ბესო ჟღენტს სთხოვა:

_ Я приступил к переводу современных поэтов Грузии... Просьба о подготовке материала относится не только к Чиковани, а ко всем поэтам, список которых установите вместе с Тицианом и Чиковани.

არ ვიცით რა სია შეუდგინეს ამ ორმა სახელოვანმა, რომელთა ლექსებიც ყველაზე მრავლად და უკეთ თარგმნა პასტერნაკმა, მაგრამ ფაქტია, პასტერნაკს გალაკტიონის პწკარედისთვის ხელი არასოდეს უხლია, მიუხედავად იმისა, რომ იმავე 1933 წლის ოქტომბრის 23 რიცხვში პირადად მოსწერა ტიციანს:

_ Я хотел перевести Важа-Пшавелу, Паоло, Вас, Гаприндашвили, Леонидзе, Надирадзе (Мицишвили, если он пишет стихи), Чиковани и еще дать переводы из Галактиона Табидзе.

1934 წლის 18 იანვარს ოლიას ჩაუწერია:

_ ვიყიდეთ გაზეთი «ნა რუბეჟე». გაზეთში დაბეჭდილია პოეტ პასტერნაკთან საუბარი, რომელშიც მან განაცხადა, რომ სურს თარგმნოს გალაკტიონის ლექსების კრებული რუსულად.

თვითონ მოგვიანებით 1933 წლის საიუბილეო პრესის ვრცელი ბიბლიოგრაფია შეადგინა და სამგზის მოიხსენია პასტერნაკის ეს განზრახვა-განცხადება.

მაშასადამე, არსებობდა ავტორის სურვილი და მთარგმნელის თანხმობა. მიუხედავად ამისა, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე არ მოხერხდა არცერთი სტრიქონის თარგმნა.

_ რაშია საქმე? _ პოეტთან ერთად იკითხავს დაინტერესებული მკითხველი.

«წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა!».

ბორის პასტერნაკი ხანგრძლივად და ნაყოფიერად თარგმნიდა უკანასკნელი ორი საუკუნის ყველა თაობის ქართველ პოეტებს. თარგმნა ყველაზე მეტი ავტორი და ყველაზე მეტად ლირიკული ლექსი თუ პოემა ქართულიდან და მაინც პასტერნაკის ანთოლოგიაში გალაკტიონი ვერ მოხვდა.

ერთხელ პარიზში _ ნობელის პრემიის მაძიებელმა _ მიხეილ შოლოხოვმა თავისი აშკარა კონკურენტი _ ბორის პასტერნაკი ასე «დაახასიათა»:

_ Это великолепный переводчик: грузинские поэты, в числе прочих, обязаны ему тем, что их знают во всем Советском Союзе.

1946 წელს მოსკოვში გამოიცა პასტერნაკის «ქართველი პოეტები»: ბარათაშვილი, აკაკი, ვაჟა და მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარე. თავდაპირველად წიგნს ერქვა «სამი ქართველი პოეტი», მაგრამ სულ ბოლოს დაემატა... აკაკი წერეთელი! არადა, როგორ გამოასწორებდა ამ ლიტერატურულ კურიოზს მოსალოდნელი ოთხეული: ბარათაშვილი, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი?! თუმცა არც პასტერნაკის არჩევანი უნდა გაგვიკვირდეს:

_ Я его считаю одним из интереснейших поэтов современного мира. _ წერდა პირად წერილში პასტერნაკი, რომელიც არც ისე გულუხვად არიგებდა ეპითეტებს, ნაჩუქარ წიგნზე კი წაუწერა:

_ Одному из интереснейших людей и лучших поэтов современного мира.

თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე საინტერესო და ყველაზე საუკეთესო პოეტებს პასტერნაკი მშობლიურ ენებზე კითხულობდა და თარგმნიდა, ქართველებს კი პწკარედის საშუალებით ეცნობოდა და მიხვდა კიდეც:

_ Очевидно, мне больше нельзя переводить по подстрочникам.

პასტერნაკმა 1941 წლის 12 სექტემბერს მეუGღლეს მისწერა:

_ Я за два дня нахлопал несколько страниц посредственнейших переводов для Литературки, из второстепенных латышей и грузин без всякого труда и боли, и мне вдруг дали по 10 р. за строку, за эту дребедень.

1946 წლის 21 დეკემბერს კი მოიბოდიშა:

_ Ещё более беспорядочны и несистематичны, чем наши замечания, наши случайные переводы. В них зияет, например, такой сразу бросающийся в глаза пробел, как совершенное отсутствие Галактиона Табидзе, справедливой гордости текущей поэтической литературы.

თუმცა ამ მობოდიშების შემდეგ პასტერნაკმა თოთხმეტი გრძელი წელიწადი იცოცხლა და ქართველი პოეტების თარგმნაც აქტიურად გააგრძელა, აღნიშნული «ხარვეზის» გამოსწორება არ უცდია.

გალაკტიონმა კი თავისი უკმაყოფილება მოიარებით გამოხატა 1941 წლის 26 მარტს:

_ პასტერნაკს არაფერს არ უბეჭდავდენ. მან ასეთი ხერხი იხმარა: დაიწყო ქართველი პოეტების თარგმნა, და სულ თავისი საუკეთესო ლექსები, რისი დაბეჭდვაც ვერ მოახერხა, შეიტანა ქართველი პოეტების თარგმანში და გამოვიდა დიდებული. ქართველ პოეტებს ეს ძალიან გაუხარდათ და თავს იწონებდენ: შეხედეთ, როგორი პოეტები ვართო. პასტერნაკი კი ჩუმჩუმად იცინოდა.

ბორის პასტერნაკის ცხოვრების უკანასკნელი წლების უახლოესმა მეგობარმა ოლღა ივინსკაიამ ორმოცდაათიან წლებში გალაკტიონის ოცდაათზე მეტი ლექსი თარგმნა. პოლიტიკური პატიმრობიდან დაბრუნებულ მეგობარ ქალს გამომცემლობამ პასტერნაკის რეკომენდაციით შეუკვეთა თარგმანები. პასტერნაკი იმავდროულად იყო ივინსკაიას მრჩეველი და მოძღვარი, თარგმნის ოსტატობის გაკვეთილებს უტარებდა შედარებით ახალგაზრდა პოეტესას, უსწორებდა და წერილობით შენიშვნებსაც აძლევდა. შემორჩენილია ქართველი და არაქართველი პოეტების ერთობლივი თარგმანების ხელნაწერებიც. ცხადია, გალაკტიონის პწკარედებზე მუშაობის დროსაც ოლღა ივინსკაიას კონსულტანტი ბორის პასტერნაკი იქნებოდა, მაგრამ მას ხელი არ წასცდენია და პირადად გალაკტიონის ერთი ლექსიც არ გადაურუსულებია.

ყოველივე ამის შემდეგ მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა ის სამი აბზაცი, რომელიც 1999 წელს მოსკოვში გადმოცემულ გრიგოლ ჩხატარაშვილის წიგნში ("Писатель и самоубийство") ამოვიკითხეთ:

_ Для Цветаевой пыткой была жизнь в эвакуации, где оказались миллионы ее соотечественников, а для Галактиона Табидзе предательством _ подпись под письмом в осуждение Пастернака, хотя для многих собратьев по цеху это была пустая формальность.

_ Но в больницах окна обыкновенные, чем и воспользовался Галактион Табидзе. Старый поэт упал на асфальт, прямо под ноги мучителям, которые требовали, чтобы он подписал письмо, клеймящее Пастернака.

_ Рассказывают, что Табидзе был доведен до самоубийства комсомольскими функционерами, желавшими непременно привлечь грузинского классика к кампании по травле Б. Пастернака. Табидзе выбросился из окна, не пожелав предавать своего друга и переводчика.

ეს არის და ეს. თურმე გალაკტიონ ტაბიძეს ამქვეყნად მხოლოდ იმიტომ უცხოვრია, რომ ბოლოს და ბოლოს პასტერნაკის შეურაცხყოფა ვერ აეტანა და ასეთი საბედისწერო ნაბიჯი გადაედგა. თითქოს საკუთარი ტრაგედია არ ჰყოფნიდა!

ამ სამ აბზაცს თუ დავუჯერებთ და ქრონოლოგიურ თანმიმდევრობასაც გადავიანგარიშებთ, _ გალაკტიონს ხუთი თვე კი აუტანია გაკიცხვა "своего друга и переводчика", ხუთი თვის შემდეგ კი თავი ვეღარ შეუკავებია და "выбросился из окна".

ბორის პასტერნაკი არც მეგობარი გახლდათ გალაკტიონისა და არც მთარგმნელი. რუსი პოეტი ქართველი კოლეგისაგან საყვედურს უფრო იმსახურებდა, ვიდრე გამოქომაგებას და მით უფრო _ თავის განწირვას. როგორც გვახსოვს, ამას თვითონ მიხვდა და აღიარა.

ამ სამი აბზაცის ერთიდაიგივე ინფორმაცია არა მარტო ყალბია. იგი უკიდურესი ცინიზმითაა პროვოცირებული. ეს იგივეა, რომელიმე ჭკუათმყოფელმა არათუ იმის მტკიცება დაიწყოს _ პუშკინი დანტესს არ მოუკლავსო, არამედ უფრო გათავხედდეს: პუშკინმა მოკლა დანტესიო.

ვიდრე ჩვენ დიდი სიფრთხილით ვადგენთ და ვაზუსტებთ გალაკტიონის თვითმკვლელობის მიზეზს და საბაბს, ვიდრე ვარაუდებს და ფაქტებს ვამოწმებთ, დაკითხვის ოქმებსა და მოწმეთა ჩვენებებს ვაანალიზებთ, პოეტის უკანასკნელი ჩანაწერების ტექსტებისა და ქვეტექსტების ამოკითხვას ვცდილობთ, _ მოსკოვმა ორმოცი წლისთავზე მეტად მარტივი განაჩენი გამოგვიტანა.

გალაკტიონის საიდუმლოს ამგვარი გაუბრალოება აშკარა შეურაცხყოფაა პოეტის ხსოვნისა და მთელი მეოცე საუკუნის ქართული პოეზიისა.

ბოლოს და ბოლოს თვითონ პასტერნაკს არ მოუკლავს თავი თავისი განკითხვისა და განკიცხვისათვის და, საბედნიეროდ, ერთი წამითაც არ უფიქრია თვითმკვლელობაზე.

როგორც ვხედავთ, ორი პოეტის სახელი და გვარი, ნებსით თუ უნებლიეთ, მაინც დაწყვილდა. არადა, პირისპირ გალაკტიონი პასტერნაკს ერთხელ შეხვდა პარიზში 1935 წელს და ერთხელ კიდევ გაჩნდა რეალური შანსი მათი უკანასკნელი შეხვედრისა თბილისში იმ საბედისწერო წელიწადს: 1959 წლის თებერვალში მოსკოვს ინგლისის პრემიერ-მინისტრი ჰაროლდ მაკმილანი ესტუმრა. ნობელის პრემიის მინიჭების შემდეგ პასტერნაკი მკაცრად დაადანაშაულეს და ოფიციალურად აუკრძალეს უცხოელებთან შეხვედრა. ამჯერად კი შესთავაზეს დაეტოვებინა დედაქალაქი: ვაითუ, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა მოიკითხოს შერისხული მწერალიო. პასტერნაკმა თავის უახლოეს ოჯახს შეაფარა თავი: 20 თებერვალს თბილისში ჩამოვიდა _ ნინო ტაბიძესთან.

_ Я приехал молчать и скрываться, провожаемый общественным проклятием... Очевидно сюда дали знать писателям как вести себя со мной, тихо, сдержанно, без банкетов и я живу у Нины в совершенной глухоте и неизвестности.

სხვათაშორის, იმ დღეებში გამომცემლობის რედაქციაში, სადაც ტიციან ტაბიძის «რჩეულს» ვამზადებდით, ნინო ტაბიძემ გვიამბო: სვეტიცხოვლის ეზოში ერთმა ლენინგრადელმა ტურისტმა იცნო პასტერნაკი და გახარებულმა რუსული ჩვეულებისამებრ სახელითა და მამის სახელით მიმართა, _ პასტერნაკი კი გაერიდა: თქვენ გეშლებათ, მე ბორის ლეონიდოვიჩი არა ვარო...

_ Что я тут делаю? Главным образом _ скрываюсь... Хожу по городу, чтобы не засиживать ноги... Я хожу по Тифлису не так, как ходил по нему в прошлые свои наезды...

დააბიჯებდა იძულებით განმარტოებული პასტერნაკი თბილისის ქუჩებში. მისი მარშრუტი რუსთაველის პროსპექტზე იწყებოდა და თითქმის ემთხვეოდა გალაკტიონისას. შეუძლებელიც კია მათი გზები ერთმანეთს ასცდენოდნენ, მით უფრო _ ამჯერად რუს პოეტს ქართველი მწერლები ვეღარ მოაცილებდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საბედისწერო წლის 19 იანვრიდან 6 მარტამდე გალაკტიონი სამკურნალო კომბინატში იწვა. ბორის პასტერნაკი კი სწორედ 6 მარტს გაფრინდა მოსკოვს. გალაკტიონს თერთმეტი დღე დარჩენოდა, პასტერნაკს _ თოთხმეტი თვე...

რატომღაც მათი შეხვედრა თავიდანვე დაინავსა:

_ Борис Пастернак и Виктор Гольцев очень сожалеют, что предполагавшаяся встреча с Вами вчерашнего дня _ не состоялась, _ ჯერ კიდევ 1933 წლის 28 ნოემბერს შეატყობინა

ნიკოლოზ ტიხონოვმა და ახალი პაემანი დაუნიშნა. ხოლო ერთი თვის შემდეგ პასტერნაკმა განაცხადა, გალაკტიონის ლექსების თარგმნას ვაპირებო, კიდევ რამდენიმე თვის შემდეგ კი საკავშირო ყრილობის დღეებში, გაზეთმა «ვეჩერნაია მოსკვამ» ასეთი მცდარი ინფორმაცია დაბეჭდა:

_ Б. Пастернак прочел блестящие переводы лучшего грузинского поэта, не сумевшего приехать на съезд _ Галактиона Табидзе.

მარტის ტრაგედიის შემდეგ ბორის პასტერნაკის ბიოგრაფიის სახელთა საძიებელში ერთხელ კიდევ გაიელვა გალაკტიონ ტაბიძის სახელმა და გვარმა:

_ Сестра покойного Серг. Третьякова просит меня узнать адрес жены Галактиона Табидзе, Ольги, уроженки Эстонии. Если Вы его знаете, сообщите этот адрес мне или ей, _ სთხოვა ბორის პასტერნაკმა ნინო ტაბიძეს 1959 წლის 7 ნოემბერს.

არ ვიცით, შეიტყო და შეატყობინა თუ არა ქალბატონმა ნინომ თავისი ოჯახის უპირველეს მეგობარს გალაკტიონის მეორე მეუღლის _ ოლღა იურის ასული დარიუსის მისამართი. ერთი ცხადია: ამით ამოიწურა პასტერნაკის ურთიერთობა გალაკტიონთან.

ურთიერთობანი კი უპირატესად ვარაუდების დონეზე წყდებოდა, შეხვედრებიც სასურველ ხასიათს ატარებდა:

_ 23/IV _ 35. ჩამოსულია აქ ნ. ასეევი. ის ამბობს, ნეტავ შემახვედრა გალაკტიონსო (იმას არაჩვეულებრივად ვუყვარვარ თურმე. ეს მითხრეს ჯერ ისევ შარშანდელი ყრილობის დელეგატებმა).

ეს «შარშანდელი» _ მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობა გახლავთ. ახლა ძნელი ასახსნელია ასეთი ფაქტი: საქართველოს ერთადერთი სახალხო პოეტი არ აირჩიეს საბჭოთა კავშირის მწერლების პირველი ყრილობის დელეგატად (1934 წლის აგვისტო-სექტემბერი):

_ შემხვდა ფოტოგრაფი. მოიგონა სტალინთან შეხვედრა მწერლებისა. «А где Галактион?". ლენინის ორდენი კი გამომიგზავნა.

_ აღსაბაძის ცოლი ყვება: თქვენ ძალიან უყვარხართო ბელადს. როდესაც მას უთხრეს, გალაკტიონს შრომის დროშის ორდენი უნდა მისცეთო, ბელადმა სთქვაო: «Нет, надо дать ему орден Ленина".

პირველ საკავშირო ყრილობას საქართველოდან ოცდაათი დელეგატი დაესწრო, «უკაცრავად პასუხია» პროლეტარულ მწერლებთან ერთად _ ყველა ცნობილი და გამოჩენილი დაესწრო, გარდა გალაკტიონისა. წინა წელიწადს სახალხო პოეტის წოდება უბოძეს და საკმარისად ჩათვალეს თუ არ აპატიეს. დაინტერესებული კი ყოფილა:

_ Тифлис, улица Мачабели тринадцать. Деметрадзе, Жгенти. Прошу телеграфировать числюсь ли делегатом всесоюзного съезда. Ленинград, до востребования. Галактиону Табидзе.

გარანტიებიც მოუპოვებია:

_ დავანებოთ თავი ამ ხუთი დღის განმავლობაში ლექსებს. ლექსები არსად გაიქცევა. უმთავრესია: ყურადღება საბჭოთა მწერლების ყრილობას... არის შანსები გამგზავრების: დემეტრაძის დაპირება, ჟღენტის დაპირება, ტოროშელიძის დაპირება. ხელახლა დავსვამ საკითხს.

დაეჭვებულა, მაგრამ იმედი არ დაუკარგავს:

_ ვინ და ვინ მიდის? ვის აქვს სია? როდის მიდიან? ყანწელები იგზავნებიან თუ არა? ხომ არ იქნება დღეს, ასე ვთქვათ, ფორმალური გამოცხადება დელეგატებისა? რა მხრით და როგორ შეიძლება საქმის გამოკეთება?

არც ფარ-ხმალი დაუყრია:

_ არ უნდა შენელდეს ბრძოლა! დღეს უნდა დაისვას საკითხი «ребром!"

_ Быть во всеоружии к съезду!

ყრილობა 1 სექტემბერს დაიხურა, 4 სექტემბერს კი, ცხელ კვალზე, სახელგამში მწერალთა საპროტესტო საუბრის სტენოგრამა გაუშიფრავს:

_ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ იქ გალაკტიონ ტაბიძე არ იქნებოდა... ჩვენ ეს ვერ წარმოგვედგინა. განა გალაკტიონისთანა პოეტი არის რუსეთში? დიდი უსინდისობაა! ეგ არ უნდა მომხდარიყო.

ოცდაერთი წლის შემდეგ კი გაიხსენა და გაალამაზა:

_ მე მინდა გავიხსენო ერთი მომენტი პირველი ყრილობის ამბებიდან, ე.ი. ოცი წლის წინანდელი ამბავი მინდა მოგახსენოთ. როცა ჩვენი მწერლების დელეგაცია გაემგზავრა მოსკოვში, მე იმ დელეგაციაში მონაწილეობას არ ვიღებდი ავადმყოფობის გამო. ჩვენი დელეგაცია ესტუმრა ამხანაგ სტალინს. ამხანაგები მოუთმენლად ელოდენ დარბაზში ამხანაგ სტალინთან შეხვედრას. გაიღო კარი, შემოვიდა ამხანაგი სტალინი, მიიხედ-მოიხედა და იკითხა _ სად არის გალაკტიონიო?..

ეს სიტყვები მწერალთა გამგეობის პლენუმზე წარმოსთქვა 1955 წლის 26 იანვარს და იქვე დასძინა:

_ მეორე ყრილობაზე განწყობილება ჩემდამი ოდნავ სხვანაირი იყო, მას რაღაც შესუსტებული ხასიათი ჰქონდა, ვერ იყო ისეთი, როგორიც შეეფერება საქართველოს სახალხო პოეტს.

ამ მეორე საკავშირო ყრილობაზე დელეგატად კი წაიყვანეს, მაგრამ ყრილობის პრეზიდიუმის სიიდან ამოიღეს: ქართველმა კოლეგამ რუსი კოლეგები გააფრთხილა:

_ Галактиона нельзя ни в коем случае пускать в президиум, потому что он непременно придёт пьяный...

მეორე ყრილობიდან დაბრუნებისას, 1954 წლის 31 დეკემბერს, ახალი წლის წინადღეს, მატარებელში იკითხა:

_ როდის მოხდება მესამე ყრილობა?

მესამე ყრილობა ხუთი წლის შემდეგ ჩატარდა. 1959 წლის მაისში. ყრილობის 25 დელეგატი 20 იანვარს აირჩიეს საქართველოს მწერალთა მეხუთე ყრილობაზე. მათ შორის გალაკტიონი არ ირიცხებოდა (თუმცა ყრილობას ვერც მოესწრო და ვერც დაესწრებოდა). დელეგატები უკვე არჩეულია და:

_ 1959. 6 თებერვალი. თოვს. მწერალთა კავშირში. როდისაა ყრილობა? იმ ოცდახუთ კაცში ვიქნები თუ არა? (დელეგატები).

_ 7 თებერვალი. ისევ თოვს. მწერალთა კავშირში. როდისაა ყრილობა?

_ 8 თებერვალი. მზიანი ამიდია! მონოგრაფია მოსკოვში მწერალთა ყრილობაზე იქნებაო. ჰმ! ჰმ!

ეს გახლავთ მისი უკანასკნელი დღიურის უკანასკნელი სტრიქონები, უკანასკნელი ჰმ და ჰმ, უკანასკნელი გულისტკივილი...

წინა წელიწადს მოსკოვში საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა ჩატარდა:

ჭინჭარ-ეკალი, იფქლი, დეკა და
ღვია: აი რა არის დეკადა.
სირცხვილი, კრთომა, კრძალვა, დრეკა და
შიში: აი რა არის დეკადა.

მწერალთა კავშირმა დეკადის მონაწილეთა სია დააზუსტა და ცენტრალურ კომიტეტს წარუდგინა. დეკადის მონაწილენი პირველმა მდივანმა მიიწვია, წარდგენილი გრძელი სია ჩაიკითხა და დაინტერესდა. გაკვირვებულმა ხელახლა ჩაიკითხა ეტრატი. მერე მიიხედ-მოიხედა და მწერალთა თავკაცს მიუბრუნდა: სად არისო გალაკტიონი? თავკაცმა ჩუმად განუმარტა («აბაშიძე ატყუებს მჟავანაძეს»!). პირველმა თავი გადაიქნია და საკუთარი ხელით მიაწერა გალაკტიონ ტაბიძის სახელი და გვარი (ამჯერად ვერ მოატყუა!):

_ ყველა მოსკოვს მიემგზავრება. ჰმ! ჰმ! ჰმ!

ვერ დამაფრთხობთ ელვით, მეხით,
მეც მოსკოვში ჩავალ ფეხით.

ნაცნობი სინტაგმა ირონიულად გაამრავალმნიშვნელოვანა:

_ მწერალთა კავშირში შვიდი განყოფილებაა. შეიძლება ამ დანაყოფებს სექციები ვუწოდოთ, მაგრამ არა... 1. «მწერვალთა კავშირი» _ გულისხმობს ლიტერატურულ მწვერვალებს... ისინი ძალიან ცოტანი არიან, მწერვალები. 2. მწერალთა კავშირი _ გულისხმობს მწერლებს. 3. მწერელთა კავშირი _ გულისხმობს არამწერლებს მწერალთა კავშირში. 4. გადამწერელთა კავშირი _ გულისხმობს კრიტიკოსების სექციას... გასაგებია რატომ. 5. მიმომწერელთა კავშირი _ გულისხმობს კანცელარიის მუშაკებს _ მწერლებს. 6. ჩამომწერელთა კავშირი _ გულისხმობს მეგონორარეებს. 7. მწერთა კავშირი _ გულისხმობს მწერებს და სხვადასხვა პარაზიტებს _ გასაგებია, მგონი.

ირონიულადვე გაგრძელა და დაასრულა:

მწერთა კავშირის ჩოთქმა
ასე დაიწყო მოთქმა:
შენ გაწყვიტეო, ღმერთო,
პროზაიკოსთა მოდგმა.
თანამედროვე პროზას
თუ გამოვაკლებთ «ოზა»-ს,
დარჩება მხოლოდ «პრ» და
წუნსაც შერჩევა უნდა:
თუ მივუმატებთ «პრ»-ს წუნს,
მივიღებთ პრუწუნ-პრუწუნს.
ასე შეამკო ჩოთქმა
პროზაიკოსთა მოდგმა.

ბოლოდროს ხშირად ესმოდა ხმები პროზის უპირატესობის შესახებ («ჩვენი წამყვანი დეკადაზე პროზა იქნებაო»), რასაც, ეტყობა, მტკივნეულად განიცდიდა და პირად შეურაცხყოფად ღებულობდა. ეს კალამბურიც ამ გულისტკივილის გამოძახილია. მერე ეს ლირიკული რებუსი უფრო გაამარტივა:

პროზა ყოველთვის წყალია,
ლექსი კი _ ღვინო-შარბათი.
სიცოცხლე წარმავალია,
ხელოვნება კი მარადი.

რაღაი მიხეილ ჯავახიშვილი და გრიგოლ რობაქიძე აკრძალულები გახლდათ, ნიკო ლორთქიფანიძე და კონსტანტინე გამსახურდია კი _ ნახევრად აკრძალულები, _ გაღიზიანებულ სახალხო პოეტს კეთილშობილი მეგრელი შერჩა ხელში და სამართლიანად დაინტერესებულმა ჩარითმა და ჩარითმა რუსულ-ქართული პროზა-პოეზია:

_ მაშასადამე, დეკადას გაუძღვებიან: გვადი ქიაჩელი, კვატი ჭილაია, ბატი აბაშიძე, მწვადი ლეონიძე, სულ ბერიას კუდები. რომ არ იშლიან? ბერიას კუდობა შერჩათ, შერჩათ, შერჩათ... ვაი თუ მოსკოვშიაც გაიგეს... მოგვეჭრება თავი და ის იქნება... დაცინვებს ვერ ავუვალთ. კუდუცუნების დეკადაო, დაიძახებენ... რა საშინელი ზამთარი მოგველის, თუ ეს გვადი ბიგვა არ მოგვეშვა? Гвади Бигва _ это тыква! Гвади, Гвади _ что за гады, не умеют конокрады _ от Эдемов вырвать Ады. Все певуньи и менады _ закрывайте ваши зады. Только Гвади, в той плеяде, Бигва, Бигва, ты как тыква, и наш и к вам... ეეჰ, რას არ მღერიან ამ ვერის ხიდზე ამ შუაღამისას. ყველა გადაკრულშია და რაღა გვადი უნდა დარჩეს ასე? ადი, გვადი, გამოდი, გადი, გადადი, იშოვე მჭადი, მიდი ჭამდი... აიღე რადი, ჩაადე, გვადი. მარა რათი? მონახე ბერიას კუდები, თორემ გაიგუდები... ნუ იკუტები! კმარა, გვადი! გეყოფა ნადი... გვადი, გვადი, გეყო ისპოლატი, გვადი, გვადი _ გვეყო «ფოშტოლატი». გვადი, დადექ სახლის გვამდი.

ერთი პარადოქსიც: საქართველოს ერთადერთი სახალხო პოეტი არასოდეს აურჩევიათ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრად, თუმცა რესპუბლიკის მწერალთა ყრილობა ხუთჯერ ჩატარდა:

_ ყველაფერი მოსალოდნელია ჩვენს დროში.

ოცნებით კი ოცნებობდა:

_ შეიძლება თუ არა სექციის თავმჯდომარე გაყვანილ იქნას პრეზიდიუმის წევრად?

_ პრეზიდიუმში ერთი კაციც არაა ჩემი მომხრე.

მეტის პრეტენზია არც გამოუმჟღავნებია:

_ მე ხომ თავმჯდომარედ გასვლა არ მინდა მწერალთა კავშირში?

ერთხელ სოხუმიდან გამოიძახეს და ძალიან გაუკვირდა:

_ რაშია საქმე? ძალიან მაფიქრებს ის გარემოება, რომ ჩვეულებრივად პრეზიდიუმს არასდროს არ მივუწვევივარ თავის სხდომაზე.

მიწვევით როგორ არ მიუწვევიათ, მაგრამ იწვევდნენ, რათა დაეტუქსათ, დაესაჯათ, ჭკუა ესწავლებინათ. სექციის თავმჯდომარედ რომ აირჩიეს, 1955 წლის 7 იანვარს მოკრძალებით იკითხა:

_ შეიძლება თუ არა დავესწრო პრეზიდიუმის კრებებს საერთოდ?

9 თებერვალს კი დაესწრო, მაგრამ ვაი ამ დასწრებას:

_ დავესწარი მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომას. სხდომა ბევრნაირი მინახავს, მაგრამ ასეთი?! პირდაპირ ბაზარი გეგონებოდათ. პრეზიდიუმის წევრები ერთმანეთს არ ინდობდენ, ყვიროდენ, ანჩხლობდენ, ერთმანეთს არ აცლიდენ, ლაპარაკობდა ყველა ერთხმად, ნერვიულად, გაუგებრად, ხმამაღლა, ნაწყვეტ-ნაწყვეტი

სიტყვები ისმოდა მხოლოდ: ყველაფერი ნათლად ამტკიცებდა, რომ ერთმანეთს იოტის ოდნავადაც პატივს არა სცემდენ, ან არ ესმოდათ ერთმანეთისა, ან კიდევ განგებ განგაშებდენ.

ისე, მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო ასეთი «ბაზარი»:

_ მიკვირს, როგორ უძლებენ ერთმანეთს? მალე ერთმანეთს დასცხებენ!

_ ძალიან «ჭიდოსნურადაა» საქმე მწერალთა კავშირში. ვინ ვის დაარტყამს _ არავინ იცის...

ყველაფერი გასაიდუმლებულია, ყოველ შემთხვევაში _ სახალხო პოეტისათვის, რომლის ცნობისმოყვარეობასაც მხოლოდ დამლაგებელი ქალბატონი აკმაყოფილებს:

_ რა კრება იყო გუშინ ლეგენდარული? შეიკრიბენ 8 საათზე და დასრულდა დილის 6 საათზე. _ წერილები? _ რაღაც ახალ ამბებთან დაკავშირებული დახურული წერილები. _ რიფსიმე: რა უცნაური კრება იყო. ახ, ნეტავი ხელახლა ომი არ დაიწყებოდეს.

მოახლოვებული პლენუმის თარიღსაც კი წინასწარ არ აცხადებენ:

_ თვითონ ემზადებიან თავდასასხმელად და რა რეზონი ექნება მათთვის, რომ ვინმეს შეატყობინონ. მოუმზადებლებთან ბრძოლა უფრო ხელსაყრელი არაა მათთვის?

აკადემიის პრეზიდიუმის მაგიდასთან კი მიიწვიეს ერთხელ _ 1949 წელს:

_ პირველად ძალიან უხერხულად ვიგრძენი თავი. ასეთი აუდიტორია, მე კიდევ გადაჩვეული თვალსაჩინო ადგილზე ყოფნას. პირველადა ვარ საპრეზიდიუმო მაგიდასთან. არა ვარ მიჩვეული. მგონია, რომ ყველა მე მომჩერებია.

მაგრამ მალე ისე შეიფერა, დაგვიანებით მოსული მეორე პოეტი-აკადემიკოსი რომ დაინახა, თავისი უპირატესობა გადაჭარბებით შეაფასა და ნიშნი მოუგო:

_ შემოვიდა, უკეთ რომ ვსთქვათ, თითქო შემოიპარა და როდესაც პრეზიდიუმში დამინახა, მგონი, გული გაუსკდა. თითქო ზაფრა მოუვიდაო, ისე ჩაჯდა სადღაცა, მეხუთე რიგში. უგდებდა თითქო ყურს მომხსენებელს, მაგრამ სახეზე ფერი აღარ ედო: მე ვიყავი პრეზიდიუმში და ის კი არა. მოდი და მოითმინე. რაღას გააწყობს: კიდევ უფრო ჩაიკუნტა თავის სკამში. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო მისი ტრაგედიის:

ამ სიტყვით ვამთავრებ ამ ამბავს, ამ იგავს,
ან ლექსი, ან სახე, _ სოსოსას რა მიგავს?!

არავის იმედი არ ჰქონდა: ყველაფერზე თვითონ ზრუნავდა: პწკარედსაც თვითონ აკეთებინებდა, თარგმანსაც თვითონ უკვეთავდა, გასამრჯელოსაც პირადად უხდიდა _ ნატურალურად:

_ ამხ. ნიკოლოზ! ვიყავი და ვერ გნახეთ. გთხოვთ დამირეკოთ საღამოთი ან ხვალ დილით. როგორც მოგახსენეთ: თქვენ გადამითარგმნეთ და ჰონორარს დაუყოვნებლივ მოგართმევთ თვითონ მე, როგორც კი სამუშაო შესრულებული იქნება.

თვალი ჩრდილოეთზე ეჭირა:

_ მოსკოვი? Москва _ как много в этом звуке... მაგრამ... Дело разве только в звуке? საჭიროა ბევრი _ სიტყვა-სიტყვითი თარგმანები. მთავარია რუსული წიგნი!! "Слух обо мне пройдет по всей Руси великой".

თარგმნის პრობლემაზე განუწყვეტლივ ზრუნავდა. მაგრამ ეს პრობლემა უპირატესად კულისებსა და კულუარებში წყდებოდა, სამწუხაროდ _ არაკეთილსინდისიერადაც: საკუთარ მთარგმნელს გულუხვად ეპატიჟებოდნენ:

_ О деньгах Вы не беспокойтесь. Захватите с собой некоторый минимум. Наши издательства с радостью открывают Вам достойный Вашего имени "лимит".

საკუთარი მთარგმნელი გულწრფელად პასუხობდა:

_ Что за роскошь в самом деле опять на нас свалилась! Целый фруктовый сад с вином в двух возрастах: детском и зрелом.

ცხადია, ამ ეპისტოლარულ გარიგებას არ იცნობდა, მაგრამ ინტუიციით კი გრძნობდა:

_ აქედანვე უარყოფილი უნდა იქნას ძველი პოლიტიკა მეგობრული ბანკეტებისა, რომელთაც ჩემის დაკვირვებით უფრო მეტი ზიანი მოაქვთ, ვინემ სიკეთე.

_ ბევრი მწერალი საქართველოში არაფერს არ წარმოადგენს, იქ კი, მოსკოვში, თავი მოაქვთ, დიდ მწერლებად და პოეტებად არიან მიღებულნი. რუსებმა ხომ ქართულად წერა-კითხვა არ იციან. დროა ამ გაუგებრობას ბოლო მოეღოს.

რუსულად უფრო პოპულარულს არ ინდობდა:

ეს უნიჭო ჩიქოვანი კვლავ ატყვილებს რუსებს,
რომ ის დიდი პოეტია, რომ ის იცნობს მუზებს.
აცემინებს თავის წიგნებს, ფარავს ზურგის კუზებს,
ფორმალიზმის ცხვირს უმალავს პოლიტიკურ ტუზებს,
მაგრამ დიდხანს ევრ დაიჭერს ბურბუშელათ ღუზებს, _
უკვე დაჰკრეს თავში ბესოს, ჩაჩავასაც სდრუზეს,
ალხაზიშვილს წერილები კარგათ შეუტრუსეს.
გააქრობენ ფორმალისტებს, როგორც მავნე ბუზებს.

ცისფერყანწელებმა ერთი მეტად დამამცირებელი ტრადიცია დაამკვიდრეს: ქართველმა პოეტებმა მოსკოვშიც მასპინძლობა იკისრეს და რუსი კოლეგები მარადიულ სტუმრებად მოგვევლინენ. ეს ტრადიცია საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და ჩვენც არაერთხელ ვყოფილვართ მოწმენი ამგვარი «მოსვლა-მოსვლისა» და «მისვლა-მისვლისა». ლიტერატურული კოლონიალიზმის ფონზე კარგახანს ვითამაშეთ ხალხთა და მწერალთა მეგობრობის ფარსი თუ კომედია. სწორედ ამიტომაც რუსი და ქართველი მწერლების ეპისტოლარულ მემკვიდრეობას, როგორც დავინახეთ, ალკოჰოლის ერთობ მძაფრი სუნი ასდის.

მიხეილ ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1927 წელს გაბრაზდა:

_ ივნისში კონსერვატორიის დარბაზში ანდრეი ბელიმ ორი ლექცია წაიკითხა. დარბაზის ნახევარი იყო სავსე მხოლოდ ქართველებით. ტფილისში 4 000 რუსია. 40-იც არ მოსულა. ტაბიძე და ძმანი მისნი კი ჰბერავენ და დარბიან. გაკოტრებული მწერალთა კავშირი სამ ლექციას უმართავს ანდრეი ბელის და ფულს აძლევს. მეტრეველი და სხვები კი თითო წლობით დასდევენ თავიანთ სამთუმნიან ვალებს.

თვითონ გალაკტიონმა კი რამდენიმე წლით ადრე გააფრთხილა:

_ წყნარად მანდ, რუსთ პოეტებო!

დღეისათვის თითქმის მთლიანადაა გამოქვეყნებული ქართველ და არაქართველ ლირიკოსთა იმჟამინდელი გაცხოველებული მიმოწერა და სათარგმნი ავტორებისა და მასალების შერჩევისას სახალხო პოეტი არავის ახსენდება. უაღრესად ჰარმონიული და ქვეტექსტებით დაშიფრული და დანაღმული ტექსტების თარგმნა მეტად ძნელია და თითქმის შეუძლებელიც. იქნებ მეორეხარისხოვანი ოსტატის სტრიქონები უკეთ ააჟღეროს სხვა ენაზე თარგმნის დიდოსტატმა (ასეც ხდება და ასეც მოხდა!). მაგრამ

შემთხვევითი მთარგმნელების ხელში რომ კლასიკოსს ჩააგდებენ, ამას არავითარი გამართლება არ მოეძებნება და დასანანი ის გახლავთ, რომ ქართული პოეზიით გულწრფელად დაინტერესებულ სახელოვან თანამოძმეებსა და თანამოკალმეებს ობიექტური ინფორმაციაც არ გააჩნდათ სახალხო პოეტის რანგის შესახებ, თორემ წვერმოშვებული მგოსანი გასული საუკუნის ტრადიციულ კლასიკოსს უფრო ჰგავდა და სახალხო პოეტის ერთადერთი საპატიო წოდებაც ამ მოსაზრებას ადასტურებდა ალბათ.

ჩვენს ვარაუდს ერთი ფაქტიც ცხადყოფს: 1940 წლიდან არსებობდა უმაღლესი ჯილდო ხელოვანთათვის _ სტალინური პრემია, უფრო ზუსტად სტალინის პრემია, რადგან თვითონ ანიჭებდა, თვითონ მონაწილეობდა და ანაწილებდა. ეს პრემია ათჯერ მიენიჭა ქართველ მწერალს, ერთ პოეტს სამჯერ მიენიჭა, და ამ პრემიის ღირსად ერთხელაც არ სცნეს პოეტების მეფე, რადგან უპირატესობა და პრემია მეფის პოეტებს ენიჭებოდათ და არა პოეტების მეფეს!

ეს იყო პრემია-სატყუარა «მწერლობის მოსათვინიერებლად».

მწერალი «ჰგავდა იმ ადამიანს, რომელსაც სახლში პური მიაქვს და უკან კბილდაღრჭენილი ქოფაკი მისდევს. პური რომ შინ მიიტანოს და თავად ძაღლის დაკბენას გადაურჩეს, იძულებულია დროდადრო ნაგაზს პურის ნატეხი გადაუგდოს, დროებით შეაჩეროს და სახლში შეასწროს» (ა. ბაქრაძე).

წინ _ პრემია-სატყუარა, უკან _ კბილდაღრჭენილი ქოფაკი!

ბევრს მიაჩნდა და თვითონაც მიაჩნდა და სამართლიანად მიაჩნდა, რომ უპირველეს ყოვლისა ეს პრემია გალაკტიონს ეკუთვნოდა,რადგან მისი პურის ნატეხი ყველა პურის ნატეხზე გემრიელი პურის ნატეხი იყო.

1940 წლის შემოდგომა-ზამთარ-გაზაფხულის დღიურების ტექსტი და ქვეტექსტი ამ მტკივნეულ პრობლემას უტრიალებს. იწყება წაქეზებით:

_ 6 ოქტომბერი. 1940. განა გალაკტიონისთანა პოეტი მეორე არის ვინმე საბჭოთა კავშირში... არც ბერია, არც თვითონ სტალინი წინააღმდეგი არ წავლენ... მერე რა, ცუდი იქნება, გალაკტიონმა რომ აიღოს პრემია? ეს გაახალისებს ახალგაზრდებს, ეს თავმოყვარეობის საკითხიცაა.

და იქვე ჩნდება ეჭვი:

_ არიან მტრები, რომელთაც არ უნდათ, რომ მე პრემია მივიღო. ჩემს წიგნს ამიტომ აგვიანებენ.

მეორე დღეს მწერალთა კავშირის მდივანს ესაუბრა, კანდიდატების წარდგენის ვადები ჰკითხა და ვითომ სხვათაშორის შეახსენა:

_ «ლირიკა» დაიბეჭდა წელს, რუსული წიგნი გამოვიდა წელს, საბლიტგამის წიგნი გამოვიდა წელს, აკაკი წერეთლის შესახებ პოემა დაიბეჭდა ჯერ «მნათობში», მერე ცალკე წიგნად გამოვიდა წელს, ეს მესამე ტომიც გამოვიდა წელს, ე.ი. გამოვა.

და ისევ იეჭვიანა:

_ მან კიდევ არაფერი სთქვა: ცხადია, ჩემს შესახებ საკითხი არ დაუსვამთ. საინტერესოა მიზეზები, რომლის გამორკვევაც ბევრ რამეს ახდის ფარდას.

10 ოქტომბერს ისევ აქეზებენ და აიმედებენ:

_ ჯერ არა ისმის რა. თუმცა არის ამის შესახებ ლაპარაკიც. ერთი კანდიდატთაგანი ხარ შენც.

_ საკითხი უსათუოდ დაისმება. მე თავს გამოვიდებ შენთვის.

17 ოქტომბერს პირველი კონკურენტი გამოჩნდა.

_ სტალინის პრემიაზე წამოყენებულია კანდიდატათ გ. ლეონიძე. იგი წამოყენებულია რუსეთის მწერალთა კავშირის მიერ.

და კიდევ იეჭვიანა:

_ წიგნის (III ტომის) დაგვიანების ამბავიც აქედან გამომდინარეობს.

19 ოქტომბერს გაზეთებმა კანდიდატურა გამოაცხადეს:

_ ამნაირად გაიმარჯვა უსამართლობამ.

ორი თვე და ათი დღე გავიდა. ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი ტყუილი და მართალი აირია ერთმანეთში:

_ 30 დეკემბერი. გამოირკვა, რომ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა სრულებით არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ ვინ იყო წარდგენილი კანდიდატათ პრემიისათვის. ეს ამბავი დამაფიქრებელია: მწერალთა ორგანიზაციამ არ იცის ვინ იღებს პრემიას!.. ამბობენ (თუ მართალია) სახკომსაბჭოს დასადგენია _ გააუქმოს წინანდელი პირობები პრემიის მისაღებად. ე.ი. გააუქმონ ამ წელში პრემიის გაცემა. გამომუშავებულიაო ახალი პირობები. ნაწარმოების დატად ჩაითვალოს არა მხოლოდლ 1940 წელი, არამედ მოყოლება 1935 წლიდან 1941 წლამდე. თან, პრემია მიეცეს არა ერთ პოეტს _ როგორც წინანდელ პირობებში იყო, არამედ სამს. საინტერესოა რითია გამოწვეული ეს დადგენილება? ალბათ იმით, რომ 1940 წლის ნაწარმოებნი ღირსად არა სცვნეს. არა ალბათ, არამედ ეს ცხადია.

და ისევ აიმედებენ:

_ ეხლა კი, გალაკტიონ, შენ აღარ აგცდება პრემიაო.

2 იანვრის დღიურში მეორე და მესამე კანდიდატიც გამოჩნდა:

_ გარდა ამისა, _ განაგრძობს ლეო, _ თუ პრემიის განაწილების დროს ყურადღება მიაქციეს იმას, თანამედროვეა თუ არა ნაწარმოები, მაშინ შესაძლებელია «გვადიმ» მიიღოს პრემია.

_ მიემატა ჩიქოვანი.

9 იანვარს ნათქვამის ნათქვამი გაიმეორა:

_ გუშინ რადიოთი გამოუცხადებიათ, რომ პრემიები მიუღიათ: ლეო ქიაჩელს, მიშა ჭიაურელს, აკაკი ხორავას და ინჟ. ქურდიანს.

გულისტკივილით შენიშნა:

_ საზოგადოთ პრემიები აფუჭებს საზოგადოებას.

და სინანულით აღნიშნა:

_ კარგია ასი ათასი მანეთი!

17 მარტს აღშფოთებულია:

_ ეხლა მთავრობის პრემიები ურიგდებათ ჩემს მტრებს.

19 მარტს დასაბუთებული პროტესტი დაწერა:

_ გამოქვეყნდა დადგენილება სსრ კავშირის კომისართა საბჭოსი _ სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ. ფართოდ განზრახული შეტევის დაწყება ცხადზე ცხადია. თუ ეს შეტევა ექვსი თვის წინად ჯერ კიდევ გამოურკვეველი სახით სწარმოებდა, ახლა ამას ვეღარ ვიტყვით. მაშინ საქმე გვქონდა მომზადების პერიოდთან, საზოგადოებრივი აზრის შექმნის პერიოდთან, ერთგვარ რყევასთან, კამათთან, სჯა-ბაასთან, შეჯახებასთან, შესაფერისი, ხელსაყრელი დროის მონახვისათვის ზრუნვასთან. ცდაც იქითკენ იყო

მიმართული, რომ პრემიების მიკუთვნების გამოქვეყნებას ჰქონოდა ეფეკტი, მაგრამ არა ისეთი, რომ ქვეყანა ყალხზე დამდგარიყო. მით უმეტეს, რომ თავიდანვე ნათელი გახდა ერთგვარი გათიშვა საზოგადოებრივ აზრსა და ჟიურის დადგენილებას შორის... ჟიური აშკარად მიდიოდა საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ. აქ იყო მართლაც დიდი გათიშვა. ამ მხრით ჟიურის ზრუნვა _ შეექმნა შესაფერისი საზოგადოებრივი აზრი, ან მიემხრო მაინც, სრული ფიასკოთი დამთავრდა. მაშინ ჟიურიმ გადადგა ასეთი ნაბიჯი: არავითარი ანგარიში არ გაუწია საზოგადოებრივ აზრს, რომელიც დღესავით ნათელი იყო... ჟიურის წევრებმა თვითონ წარადგინეს თავისი თავი პრემიების მისაღებად (ეხლა მოვიდა არქიტექტორი ფიოლია და ხელი შემიშალა).

მეორე დღეს ხელი არავის შეუშლია და ლაურეატს შეუტია:

_ გუშინ ტროლეიბუსში ორი ქალი საუბრობდა: ათი ათასი მანეთი პრემიად იმ მკითხველს უნდა მისცემოდა, რომელიც ამ რომანს ბოლომდე წაიკითხავდაო.

და ლირიკული ეპილოგიც დაურთო:

_ იოსელიანის პურმარილით ავალიანი შეიწყალესო, ნათქვამია. მე საქმე გავაკეთე და პრემიები იმათ იჯიბეს. ჩალით დახურულ ქვეყანაში ვართ თუ რაშია საქმე? ჩალით შეიძლება დაიხუროს დრო? ისტორიაც ისეთი შენობაა, რომელსაც ვერავითარი ჩალით ვერ დაჰხურავ.

პრემიების ეპოპეა კი გრძელდება: 24 მარტს დაუზუსტებია:

_ წიგნი უნდა გამოსულიყო 1937 წელს და გამოვიდა 1939 წელს. ორი წელიწადი დააგვიანეს! დააგვიანეს ისევე, როგორც საქართველოში III ტომი. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა გარემოებას, რომ მე პრემია არ მიმეღო.

27 მარტს დამატებით ინფორმაციას გვაწვდის:

_ გამოქვეყნდა ცნობები, რომ ვინც პრემიები მიიღო, მათ ამიერიდან ეწოდებათ ლაურეატები.

7 აპრილს აჭარბებს:

_ ლაურეატი იბრძვის თავდადებით, ორაზროვნად. რა უნდა? მისცეს პრემია! ეხლა გამოშვებულია ბრძოლის ველზე სათარეშოდ. იგი გაკვრით ამბობს, რომ მისი ბაგით ლაპარაკობს გენია.

ექვს ოქტომბერს დაწყებული ექვსთვიანი გადაძახილი ლაურეატებისა და ლაურეატობის შესახებ _ ცხრა აპრილს დამთავრდა:

_ «კომუნისტში» ასეთი ქრონიკაა: მუშსოფლკორთა კაბინეტში მოეწყობა სტალინური პრემიის ლაურეატების შეხვედრა ძირეული პრესის მუშაკთა და მუშკორთა აკტივთან.

1945 წლის 23 აპრილს შენიშნავს:

_ გიორგი მოსკოვშია. თარმანები მოსწონებიათ. იმედოვნებს, რომ სტალინის პრემიასთან დაკავშირებით ჩემი გონორარი გადიდდება. ღმერთმა ჰქნას!

როგორც ირკვევა, ამჯერად წარადგინეს კიდეც, რადგან 8 თებერვალს მწერალთა კავშირიდან ფოტოსურათი და დამატებითი მასალები მოუთხოვიათ მოსკოვში გასაგზავნად _ ლაურეატობის კანდიდატობის გამო. ხოლო 15 მაისს დილის 8 საათზე ორი აქტიური კარისმეზობელი თითქმის ძალით შემოეჭრა სახლში, ლოგინში მწოლიარეს დაადგა თავზე და ლაურეატობა წინასწარ ისე მიულოცეს, თითქოს ცუდი ამბავი შეატყობინეს. თვითონ თავს ცუდად გრძნობდა და არც დაუჯერებიაო, _ დასძენს მეუღლე.

სხვათაშორის, ამ ორ თარიღს შორის გაურითმავს ეს ტაეპი:

ოქროს არ სცნობენ ბაჯაღლოდ, სპილენძი უნდა აჯამონ,
ფაქტი კი ფაქტად დარჩება, რაც ტყვილი ხალხს არ აჭამონ.

1950 წლის 28 ნოემბერს კი ერთ სალაღობოს ასე ამთავრებს:

გეტყვი: ამას ისე ამბობ, ჩემო იერემია,
თითქოს დრამა ამეღოს ან სტალინური პრემია.

მარტო ღმერთის იმედზე ყოფნამ არ გაამართლა!

თუმცა... 1954 წელს, მეფისა და მეუფის სიკვდილის შემდეგ წარუდგენიათ:

_ სტალინის პრემიაზე წარდგენილია 24 პოეტი.

ჩამოთვლის ოცდაექვსს, მათ შორის _ საკუთარ თავს.

_ აქ კი ოცდაექვსია!

ორივე შემთხვევაში ეშლება: 25 თებერვლის «ლიტერატურნაია გაზეტაში» 28 კანდიდატია დასახელებული.

28 თებერვალს ჩაუწერია:

_ გუშინ, ოცდაშვიდს, მოსკოვს რადიოთი გადმოუციაო სტალინის პრემიაზე წარდგენილთა სია, პირველად მოხსენებული ვყოფილვარ (ნინამ და ნუნუმ გად.). გადმობეჭდა "Литературная газета"-მაც.

_ საავადმყოფოში აპოლონ მახარაძემ გადმომცა "Литературная газета"-ს უკანასკნელი ნომერი, რომელშიაც აღნიშნულია ჩემი სტალინის პრემიის ლაურეატობის წარდგენა.

ამაოდ ელოდა. არც ახალმა მბრძანებელმა გადმოხედა მოწყალების თვალით. საერთოდ აკრძალა სტალინურები!

1957 წლის მიწურულს ისევ წარადგინეს _ უკვე ლენინის პრემიაზე.

_ 1957. 9 დეკემბერი. გადავეცი მწერალთა კავშირის მდივანს დოკუმენტები, გადათვალიერებული ჩემ მიერ, მოსკოვში გასაგზავნად, საჭიროა კიდევ ორი ფოტოსურათი. ხვალ ან ზეგ უსათუოდ... ო, უსათუოდ!

_ 10 დეკემბერი. როდის გაიგზავნება წიგნი მოსკოვს? უნდა ვემზადოთ! სხვა გზა არაა.

_ 18 დეკემბერი. უნდა გაიგზავნოს დოკუმენტები მოსკოვს ლენინის პრემიის მისაღებად დილიდანვე.

_ «ჩვენი წამყვანი დეკადაზე პროზა იქნებაო». შეიძლება ამის გამო ძალზე აგვიანდება ჩემ ლენინის პრემიაზე წარდგენას? (უკანასკნელი მასალები 18 დეკემბერს გაიგზავნა, როდესაც იქ მიღების ვადა _ 20 დეკემბერია). ჰმ!

_ დოკუმენტები გასაგზავნად მზადდება სწორედ იმ ადგილას, სადაც თავი მოიკლა პაოლო იაშვილმა. დოკუმენტები დამზადდა. გაიგზავნა მოსკოვში. საჭიროა დეპეშები. სულ ყველაფერი მზადაა. დეპეშებიც გაიგზავნა. დასრულდა ყოველივე.

_ მთლიანად დასრულდა მოსკოვში ლენინის პრემიაზე გაგზავნის პროცედურა. დღეს გაიგზავნა დოკუმენტები და ტელეგრამა.

დაიწყო მოლოდინის პირველი რაუნდი:

_ იქნება თუ არა ცნობა პრესაში _ ლენინურ პრემიაზე წარდგენის შესახებ? როდის? არაფრის აღარა რცხვენიათ!

_ რადიოთი დღეს გამოაცხადეს სია პროზაიკოსების, რომელთაც შარშან გამოსცეს წიგნები... გამოაცხადეს, რომ როსმე სახელოვანი ქართული პოეზია წელს ჩამორჩა, არ

გვიჩვენებსო კონკრეტულ თემებს და სხვ. დამაფიქრებელი ამბავია... აშკარა გამოსვლაა პოეზიის წინააღმდეგ პროზის სასარგებლოდ (გასაგებიცაა).

ახალი წლის 15 იანვარს ცენტრალურმა პრესამ კანდიდატების სია გამოაქვეყნა. ბრწყინვალე ელიტა შეიკრიბა: გალაკტიონ ტაბიძე და მიხეილ შოლოხოვი, დიმიტრი შოსტაკოვიჩი და ვახტანგ ჭაბუკიანი, აკაკი ხორავა და სვიატოსლავ რიხტერი, დავით ოისტრახი და ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე და გიორგი ტოვსტონოგოვი, არამ ხაჩატურიანი და ანდრია ბალანჩივაძე, ვერიკო ანჯაფარიძე და სოლიკო ვირსალაძე...

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, როგორ მოუთმენლად მოელოდა საბოლოო შედეგს.

_ ცოტას წამოგვეშველება. თანაც იმ მხრივ არის კარგი, რომ შემდეგ ჩემს წიგნებს საზღვარგარეთ გამოსცემენ. _ თითქმის დაიმედებულს უთქვამს ნოდარისთვის.

თუ «პოეტებთან» ვერ ვნახულობ საერთო ენას,
ვიპოვნი ენას მსოფლიოსთან, ხომ, საქართველოვ!

ადრე ჩანახატი გაუფორმებია: და-პი-რე-ბუ-ლი პრე-მი-ა. ნოტები დაუხაზავს და ქვეშ ტექსტი დაუმარცვლავს: თუ შე-იძ-ლე-ბა პრე-მი-ა-ზე სთქვი.

ასე ელოდა. ისევ ამაოდ! აღარც სტალინური! აღარც ლენინური!

ცხელ გულზე პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე გაუმეტებია: მშობლიურ-რუსულად გაუკიცხავს-გაულექსავს-გაუმაჯამებია («უნდა მოველაპარაკო ნ.ს. ტიხონოვს ლენინის პრემიის შესახებ»):

На Кавказе
тихо, но, в
Транс-экстазе
Тихонов.
Скажем просто:
ай, ай,
Он прохвост, _ он
негодяй.

არც იმპერიის მეორე ფავორიტი დაინდო, ფავორიტი, რომელმაც ცხრა წელიწადში მხოლოდ ექვსჯერ მოასწრო სტალინის პრემიის მოპოვება, რადგან შემდეგ ჯერზე ტირანი მოწამლეს. ექვსგზის ლაურეატს არც ლენინის პრემია დაჰკლებია. გახმაურებული პიესა დაწერა _ «რუსული საკითხი» და აგარაკიც აიშენა შავი ზღვის სანაპიროზე:

_ Симонов приехал, чтобы свой и "Русский вопрос" разрешить лишь в Абхазии. Да. Он думает, что русский вопрос можно разрешить только в Абхазии и это понятно: всякого рода русские вопросы разрешаются не в самой России, а в Грузии. Здесь Симонов, кстати, ничего не разрешит для своей литературной карьеры... А может быть, здесь он только в ссылках. Надоел он всем в Москве, видно. Вообще, Бог с ним. В фотографиях его лицо не ахти оптимистическое (не лицо поэта, а палача), но здорово побитого приказчика, недоумевающего: за что его побили. Вестимо за что, надоел всем и больше ничего.

ჩვენ კი, ამ გახურებულ გულზე, ესღა დაგვრჩენია სანუგეშო: იმ წელიწადს ოცდათოთხმეტი კოლეგა ელოდებოდა ლენინურს და ოცდათოთხმეტივეს უარი უთხრეს. თუმცა სხვებმა მანამდე და ცოტა მოგვიანებით მაინც დაიმსახურეს პრემიები,

მრავალგზისაც დაიმსახურეს, საერთაშორისოებიც დაიმსახურეს და ნობელამდეც მიაღწიეს. ჩვენმა კანდიდატმა კი უკანასკნელი შანსი დაკარგა. არ წარედგინათ მაინც! ეტყობა, პრაქტიკული ჩარევა და დამატებითი განმარტება იყო საჭირო, თორემ არსებული თარგმანები მიახლოებით წარმოდგენასაც ვერ ქმნიდნენ, ოდნავადაც ვერ მიანიშნებდნენ. არადა, ორივე პრემიაზე რუსულ ენაზე გამოცემული წიგნები წარადგინეს.

_ ცეკა პირდაპირ მიუთითებს და პრემიასაც ის მიიღებს, ვისზედაც მიუთითებენ.

კაცმა რომ თქვას, ასეთი განცხადების დაწერაც არ უნდა დასჭირებოდა:

_ ჩემს ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლიდან ორმოცი წლის შესრულებასთან დაკავშირებით უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების პრეზიდიუმს ვთხოვ, რათა მიიღოს ზომები, გადათარგმნილ და გამოცემულ იქნას ჩემი ნაწერების კრებულები უცხო ენებზე, მაგ. ფრანგულზე და სხვ.

არც ასეთი საეჭვო ინფორმაციის დაჯერება და გამეორება არ უნდა დასჭირებოდა:

_ თქვენი წიგნი მოითხოვა "Международная книга"-მ 3 500 ცალი მთელს ევროპაში გასავრცელებლადო (დემოკრატიულ ქვეყნებს გარდა). 3 500 ცალი! ევროპაში! ეს უზარმაზარი მიღწევაა!

_ ჩემი ლექსები ითარგმნება ინგლისში, ამერიკაში, ვენაში.

მაშინ როდესაც თვით მომავალი პრეზიდენტის მეუღლის დაპირებაც ვერ შველოდა საქმეს:

_ ზაპოტოცკის ცოლმა მითხრა, რომ იგი, როგორც კი ჩავა ჩეხიაში, მოაწყობს ჩემი ლექსების გამოცემას პრაგაში.

უფრო შესაძლებელი ვარაუდიც კი ბადებს ეჭვს:

_ როდესაც თურმე ბალმონტმა «ვეფხისტყაოსანი» დაასრულა, უთქვამს: «რუსთაველის შემდეგ მე არავის სათარგმნელად ხელს არ მოვკიდებ, გარდა გალაკტიონ ტაბიძისაო». გადათარგმნა კიდეც ოცამდე ლექსი და გამოუგზავნა მოსკოვის სამხატვრო თეატრის ერთ-ერთ მსახიობ ქალს. ამ თარგმანის არსებობის შესახებ მეუბნებოდა იგორ პოსტუპალსკი, ჩემი რუსული წიგნის რედაქტორი. იგი შეუდგა თარგმანების ძებნას, მაგრამ ვერ იპოვა. დაკარგულიყო.

1951 წლის 13 ოქტომბერს, მწერალთა კავშირის გამგეობის მეცამეტე პლენუმზე, ახალგაზრდა რუს მთარგმნელებზე ისაუბრა და იხუმრა კიდეც:

_ ჩვენ ყოველ მხრივ უნდა შევუწყოთ ხელი იმ ნიჭიერ ახალგაზრდობას, რომელიც მუშაობს ამ დარგში, თორემ როგორც ტოტლებენმა მიატოვა ირაკლი, ისე მიგვატოვებენ ისინი.

მაგრამ ხუმრობის ხასიათზე იშვიათად გახლდათ და, რაკი სიტყვამ მოიტანა, ბარემ მისი სამართლიანი გულისტკივილიც მოვისმინოთ:

_ ერთი რამ ნათელია ჩემთვის: როდესაც ძალიან ბევრს გაიძახიან, რომ გალაკტიონ ტაბიძის მთარგმნელები არ ვარგან, და ამ ტრაფარეტულ წამოძახილს სისტემატიური ხასიათი ეძლევა, ვიღაც ძლიერ დაინტერესებულია არა იმით, რომ გაუმჯობესდეს თარგმანის საქმე, არამედ იმით, რომ დააშინონ მთარგმნელები, აქაოდა, გალაკტიონ ტაბიძის თარგმნა ყოვლად შეუძლებელია, თითქოს გალაკტიონი გენიაა და მთარგმნელიც გენია უნდა იყოსო, თორემ ჩვეულებრივი მთარგმნელი მას ვერ მისწვდება და აუცილებლად დამარცხდებაო. რომ არ დამარცხდეს, ჩვენ მაინც მას მხარს

არ დავუჭერთო. და აი, მთარგმნელი იძულებული ხდება, სულ ახლო არ გაეკაროს სათარგმნად ჩემს მასალას. მაშინ, როდესაც «ვეფხისტყაოსანს» თარგმნიან, არავის აზრადაც არ მოსდის შეუძახოს მთარგმნელს, როგორ ბედავ «ვეფხისტყაოსანზე» მუშაობასო. ეს რომ მომხდარიყო, ჩვენ არ გვექნებოდა ათამდე სულ სხვადასხვაგვარი თარგმანი «ვეფხისტყაოსნისა». თუმცა ყველასათვის ცხადია, რომ შოთა რუსთაველი სხვაა და მისი მთარგმნელები კ. ბალმონტი, შ. ნუცუბიძე, პეტრენკო, ცაგარელი და სხვები, არცერთი გენიოსი არ არის, მაგრამ თვითეული რაღაცას ახერხებს და გადმოგვცემს. რა შუაშია აქ გენია და ან შეუძლებლობა თარგმანისა? არსად ისეთი გატაცებით არ გაიძახიან, რომ გალაკტიონ ტაბიძის თარგმნა შეუძლებელია, როგორც ჩვენში... ცხადია, აქ ეშმაკურ ამბებთან გვაქვს საქმე.

_ უნდა გამოცხადდეს ბრძოლა მათ წინააღმდეგ, ვინც აცხადებს, რომ გალაკტიონს თითქო ცუდათ თარგმნიდნენ. ვის სჭირდება ეს? რა თქმა უნდა, იმათ, რომელთაც სურთ ჩემს მთარგმნელებს ხელი ააღებინონ თარგმანზე.

სხვათაშორის, ალექსანდრე მეჟიროვმა მართლაც გულწრფელად გადაიფიქრა. ერთი სტროფი მიაწერა გალაკტიონის ფოტოს და თავი ასე გაიმართლა:

И вновь из голубого дыма встаёт поэзия. Она
Вовеки непереводима, родному языку верна.

ხოლო იოსებ ბროდსკიმ მთელი ღამე უტრიალა ერთი ლექსის პწკარედს («ცამეტი წლის ხარ») და დილით ხელი ჩაიქნია. ერთადერთი პირველი სტრიქონი კი დაგვიტოვა: «Тебе тринадцать лет, и у тебя в плену"...

_ გალაკტიონის ლექსები ისე ღრმად არიან შესული ქართული ენის უსიერ ტევრში, მეორე გალაკტიონია საჭირო, რომ ისინი აქედან გამოიყვანონ (კონსტანტინე გამსახურდია).

აქ ალბათ რენარის ხუმრობაც უნდა გავიხსენოთ: მალარმეს თარგმნა ფრანგულადაც კი შეუძლებელიაო...

ეპიზოდური გამოხდომები ჩვეულებრივად გრძელდებოდა.

1945 წელს მწერალთა კავშირში სიტყვით გამოვიდა სანდრო შანშიაშვილი:

_ ესა თუ ის პოეტი მთავრობამ დააჯილდოვა ორდენებით. აკადემიაშიც ავირჩიეთ. წოდებაც მივეცით სახალხო პოეტისა და გონიათ, რაკი ასეთ პატივში გვყავს, შეუძლებელია მას აუგი რამ შევკადროთ, თუკი ის სამართლიანად იმსახურებს. ვილაპარაკებ ერთი პოეტის ნაკლულოვანებაზე. ეს პოეტი არის ჩვენი სახელოვანი გალაქტიონ ტაბიძე. აქ, მწერალთა წრეში, თქვენ ყველას კარგად მოგეხსენებათ მისი ავიც და კარგიც.

1947 წელს იმავე სანდრო შანშიაშვილმა გამოაქვეყნა წერილი _ «ტალანტები და თაყვანისმცემლები»:

_ გალაკტიონ ტაბიძეს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ლიტერატურის წინაშე, ის ავტორია მრავალი შესანიშნავი ნაწარმოებისა, მაგრამ ეს სრულიადაც არ გვაძლევს იმის საბაბს, რათა მის ბუნდოვან ლექსებსაც «თეორიული გამართლება» მოვუძებნოთ.

1948 წლის აპრილში მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე მომხსენებელმა სიმონ ჩიქოვანმა აღნიშნა, რომ გალაკტიონ ტაბიძემ «ფორმალურად მელოდიური შედევრები შექმნა» და იქვე შეახსენა:

_ «ლურჯა ცხენები» ბალმონტის «წითელ ცხენებს» და ბრიუსოვის «ფერმკრთალ ცხენს» ენათესავება და მათი გავლენითაა დაწერილი.

ექვსი ბრალდება კიდევ დაუთვლია შალვა აფხაიძის მოხსენების მოსმენის შემდეგ («წყნარად, აფხაიძე!»):

_ წამოყენებულია შემდეგი ბრალდებები: 1. ოქტომბრამდელი ფორმაციის მწერალი, მოქცეული დეკადენტური პოეზიის ორბიტაში. 2. რომ ჩემი პოეტური სახეები არ იყო მკვეთრი, ნათელი, ლოღიკური. 3. მერმინდელ პროდუქციაზედაც ახდენსო ეს გავლენას. 4. თითქო ვამბობდე, რომ რევოლუცია მოახდინა ხალხმა, რომლის გონებას არ მიჰკარებია ნათელი, და დასძენს: ეს ხომ აშკარა ცილისწამებაა! 5. ლექსი «ლენინი» არის ფორმალისტური ეკვილიბრისტიკა. 6. ამ ლექსში ბევრ გაუგებრობასთან გვაქვს საქმეო.

სამივე ბრალმდებელი ლექსის მწერალი კოლეგა გახლდათ და თითქოსდა ამათ საპასუხოდ შენიშნა:

_ ბიოლოგიურად ვერ ვისმენ რაღაც არა-პოეტის დარიგებებს (გულზე მეყრება ხოლმე).

სტრიქონებადაც დაალაგა:

ესაა თავდასხმა, ესაა კრიტიკა,
რომანი, პოემა _ ლექსი თუ წერილი,
სტრიქონი ყოველი _ არის პოლიტიკა,
უთეთრეს ძაფებით მიკერილ-მოკერილი.

1949 წელს ქართველი ემიგრანტების ჟურნალმა «ბედი ქართლისა» გამოაქვეყნა გრიგოლ რობაქიძის «სათავენი ჩემი შემოქმედებისა»: «ცისფერყანწელებმა» ევროპიდან ან რუსეთიდან კი არ შემოიტანეს სიმბოლიზმი, არამედ თვითონ განაახლეს ქართული ლექსიო:

_ ჩვენი ჟურნალის ამავე რვეულში იბეჭდება შაირი პაოლო იაშვილისა «არგვეთის ღამეები». ვინ მონახავს ამ შაირის მზგავსს რუსეთის სიმბოლისტურ პოეზიაში? ვერავინ! შეიძლება პაოლომ ეს საფრანგეთიდან «შემოიტანა» კონტრაბანდით? გადაფურცლეთ: ბოდლერი, რემბო, ვერლენი და სხვანი _ თუ იხილავთ მათ შაირებში, «მზგავსი» რაა, «ნასახსაც» პაოლოს შაირისა?! ერთს სტრიქონს, ერთს სახეს, ერთს ხვეულსაც ვერ მონახავთ! მეტს ვიტყვი კიდევ: მსოფლიო ლიტერატურაში მე არ მეგულვება ერთი მგოსანიც კი, რომელსაც მთვარე არ აეხატოს _ ამავე დროს არ მეგულვება ერთი შაირიც კი მთვარისა, რომელსაც შეეძლოს პოეტური სახეობით გაეტოლოს პაოლოს შაირს.

აღტაცებულ მოსარჩლეს ავიწყდება «შემოღამება მთაწმინდაზედ» და «მთაწმინდის მთვარე» და ეშხში შედის:

_ არ დარჩენილა არც ერთი თვალსაჩინო მგოსანი, «არა ყანწელი», რომელსაც «ასე თუ ისე», იმგვარადვე არ დაეწყოს შაირის გამართვა, როგორც ეს «ყანწელებმა» შემოიღეს. თითქმის არც ერთი! კიდევ მეტი: დღესაც ვერავინ მართავს შაირს სხვაგვარად. ვერავინ!

უცნობ ოპონენტს ედავება, თითქოს ვიღაცას გულისხმობს. თუმცა რაღა თითქოს: ოთხი სტრიქონის შემდეგ კარტი იხსნება:

_ არავის ეგონოს, ვამტკიცებდე: «ყანწელთ» ფეხი არ აცდენოდეთ.

ასეთი რევერანსის შემდეგ, ცხადია, რომელიმე თანაყანწელის ციტირებას ველოდებით.

ნურას უკაცრავად: სანიმუშოდ სწორედ იმას იმეტებს, ვისაც ედავება და ვინც, ერთადერთი აბათილებს არაყანწელთა მიმართ წამოყენებულ მთელს ამ ბრალდებას:

«არავის ეგონოს, ვამტკიცებდე: «ყანწელთ» ფეხი არ აცდენოდეთ. ამგვარი «მარგალიტი» მრავალი მოეპოვება მათ:

«სილაში ვარდი» _ «სილაჟვარდე».

ანდა:

«გრძელი მონტევიდეო
მოკლე ხელთათმანებით».

ვამბობ «ამგვარი», რადგან _ არ დაეფეთოს მკითხველი _ რადგან ავტორი ამ «მარგალიტებისა», არა «ყანწელი», ფალავნადაც გამოჰყავდათ წინააღმდეგ «ყანწელთა»!».

დაფეთებისა რა მოგახსენოთ და, გაოცებას კი საზღვარი აღარა აქვს: აქ სულ ცოტა ხუთგზის მაინც არის დარღვეული თამაშის წესი:

_ მარგალიტები ანტიმარგალიტებადაა გამოცხადებული.

_ ვითომცდა საკუთარი ნაკლის საილუსტრაციოდ (დასაფარავად!) დამოწმებულია სხვისი მაგალითები.

_ მაგალითები («მარგალიტები») გამოყენებულია ავტორის საწინააღმდეგოდ.

_ მეორე ციტატის ოთხი სიტყვიდან ორი ე.ი. ნახევარი დამახინჯებულია:

«ლ უ რ ჯ ო მონტევიდეო
ვ ი წ რ ო ხელთათმანებით».

_ პირველად და უკანასკნელად წამოყენებულია ბრალდება, თითქოს საუკუნის მეტრმა თვითონ განიცადა «ყანწელების» გავლენა («არ დარჩენილა არც ერთი თვალსაჩინო მგოსანიო»).

და თუმცა გალაკტიონ ტაბიძის არც სახელია ნახსენები და არც გვარი, ეს გახლდათ ცისფერყანწელთა მორიგი გალაშქრება გალაკტიონის წინააღმდეგ, ამჯერად _ პარიზის ცის ქვეშ.

თვითონ გალაკტიონმა კი თავის ფარული ოპონენტის გემოვნებას დიაგნოზი უფრო ადრე დაუსვა:

_ საქართველოში არ იპოება ლექსის მცოდნენი, რომელთანაც ლაპარაკი შეიძლება ლექსის შესახებ (პირადად მე ამათ რიცხვში ვაქცევ გრ. რობაქიძეს).

არ შემიძლია ამ ინციდენტს ერთი ეპიზოდიც არ დავურთო: ორი წლით ადრე, 1947 წელს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში გრიგოლ რობაქიძის დასთან ერთად ქართველი მწერლები დაიბარეს და გრიგოლ რობაქიძის დისშვილი გვაუწყებს:

_ დედაჩემისაგან ვიცი, რომ ყველაზე პირდაპირი პასუხი გალაკტიონს გაუცია: გრიგოლ რობაქიძე ჩვენი მასწავლებელი იყო და მისი ერთადერთი დანაშაული იმაშია, რომ ყველა ბოთლს ვერ ერგებოდაო.

1954 წლის 30 ივნისს გაიხსნა და ოთხ დღეს გაგრძელდა საქართველოს მწერალთა მეოთხე ყრილობა.

_ (ხანგრძლივი მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციებში გადადის!) _ სტენოგრამა არასოდეს ტყუის და მხოლოდ გალაკტიონ ტაბიძეს შეეგება ასეთი აღტაცებით გადაღლილი აუდიტორია მეოთხე ყრილობის მეოთხე დღეს, ოღონდ _ აუდიტორია და არა ორატორები.

_ სიტყვა ეძლევა პოეტ გალაკტიონ ტაბიძეს, _ ყოველგვარი რეგალიის გარეშე წარუდგინა სხდომის თავმჯდომარემ სტუმრებსა და მასპინძლებს საქართველოს სახალხო პოეტი-აკადემიკოსი, რადგან ორი დღით ადრე თანამომხსენებელმა წინასწარ გააფრთხილა კოლეგები, სახალხო პოეტი კი მოიარებით დატუქსა:

_ არც ისაა მოსაწონი, ნაწარმოების წაკითხვამდე ოქროს მედლებითა და ტიტულებით თვალს რომ ავუჭრელებთ მკითხველს. რუსეთის ჟურნალ-გაზეთებში, მაგალითად, მე არ შემინიშნავს ტიხონოვის, ტვარდოვსკის, სიმონოვის ყოველ ლექსს და ყოველ პოემას თავზე მათი ლაურეატობა, ორდენოსნობა, აკადემიკოსობა თუ სახალხო პოეტობა ეწეროს. ეს ჩვენი პარადული მიდრეკილება და პროვინციალობაა, უთუოდ ჩვენში ერთ დროს გამეფებული პარადულობის გადმონაშთი. ნაწარმოებმა თავისთავად უნდა გაიკვალოს გზა ხალხის გულამდე.

_ პოეტი არ უნდა აწერდეს ხელს: «სახალხო პოეტი» _ ამბობს თავის მოხსენებაში კარლო კალაძე (სახალხო პოეტის სახელწოდებას ჩემს მეტი არავინ ატარებს). გაისმის პირველად. _ იქვე შიფრავს, ყრილობის დელეგატის ბლოკნოტში, ნაგულისხმევი ადრესატი.

_ არ შემიძლია სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ტომებზე არ ვთქვა ორიოდე სიტყვა, _ რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე აშკარად უტევს თანამომხსენებელი, _ ეს ტომები სანიმუშოდ ცუდად არის შედგენილი. ლექსების დალაგებას, დადგენას რომ თავი დავანებოთ, ზოგიერთი ლექსი ხან ნაწილ-ნაწილ და ხან მთლიანად სხვა ლექსშია შეტანილი. ამ ტომებში მხოლოდ მეტეორებივით ელვარებენ ისეთი ბრწყინვალე ლექსები, როგორიცაა «ვწერ ვინმე მესხი მელექსე», «ნიკორწმინდა», «ფიცი», «ღრუბლები ძაუგთან» და სხვა. დიდი ნაწილი კი ლექსებისა, უნდა ითქვას, გალაკტიონის კალამს სრულიადაც არ შეეფერება. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ რედაქტორმა და გამომცემლობამ სრული უფლება მისცა ავტორს, რომელსაც პასუხისმგებლობის გრძნობა დაჰკარგვია, მდარე და გაუგებარ, გასაოცრად გაჭიანურებულ ლექსებით დამარხოს ის შესანიშნავი პოეტური ნაწარმოებები, რისთვისაც იგი ხალხს უზომოდ უყვარს. ამას ყველა გრძნობს, მაგრამ საჯაროდ არავინ აცხადებს. დროა ნამდვილი გულითადი სიყვარულით დავიცვათ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება თვით გალაკტიონ ტაბიძისაგან.

_ შედევრებთან ერთად მქონია სუსტი ლექსები (არ ასახელებს). ეს გაისმის პირველად. _ არ აყოვნებს კომენტარს ბრალდებული.

_ ჩვენმა კრიტიკამ კი განსაკუთრებული ამნისტია გამოუცხადა მას, _ აშკარად ასმენს კოლეგა ორატორი, _ ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ამხანაგ გიორგი მერკვილაძეს, როცა იგი თავის წიგნში განიხილავს რა ოცდაათიანი წლების ქართულ საბჭოთა ლიტერატურას, სურს ხელოვნურად ჩამოჰკვეთოს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას დეკადენტობისა და დაცემულობის ის საკმაოდ დიდი პერიოდი, რომელიც ცნობილია საყოველთაოდ... გადაჭარბებულად აზვიადებს პოეტის რევოლუციამდელ რევოლუციონერობას... სავსებით მისი ლექსები არც ახლაა თავისუფალი დეკადენტური რეციდივებისაგან. ამიტომ პოეტის ანკეტაში სიყალბე ისეთივე დანაშაულია, როგორც კომუნისტისათვის თავის პარტიულ ანკეტაში ყალბი ცნობის შეტანა.

_ უარყოფს რევოლიუციამდელ ჩემს ლექსებში რაიმე რევოლიუციურს. ვაჟკაცობს. _ დაასრულა კომენტარები დაბეზღებულმა «დეკადენტმა». ყრილობის ყველაზე ახალგაზრდა დელეგატი კი გამოესარჩლა:

_ გალაკტიონ ტაბიძის მიმართ თქმული კ.კ.-ს წინადადება უფრო მოწოდებას ჰგავდა. აი ისიც: «ჩვენ უნდა ვიხსნათ გალაკტიონ ტაბიძე გალაკტიონ ტაბიძისაგან»... გალაკტიონ ტაბიძე გალაკტიონ ტაბიძისაგან კი არ უნდა ვიხსნათ, არამედ კრიტიკოსებისაგან (არჩილ სულაკაური), _ მაგრამ ეს ჩანაწერი მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ წავიკითხეთ.

_ მშვიდობის თემაზე გამოაქვეყნეს არაერთი კარგი ნაწარმოები მოწინავე ქართველმა პოეტებმა გ. ტაბიძემ, ი. გრიშაშვილმა, დ. გაჩეჩილაძემ, ა. ქუთათელმა, ა. გომიაშვილმა, ა. აბაშელმა, ს. ეულმა, ხ. ვარდოშვილმა, შ. აფხაიძემ, გ. კაჭახიძემ, კ. ჭიჭინაძემ, კ. ბობოხიძემ და სხვ. _ ეს აბზაცი ირაკლი აბაშიძის საანგარიშო მოხსენებაში ამოვიკითხეთ, ამ აბზაცს წინ უძღვის სხვადასხვა თაობის ლირიკოსების ლექსებისა და პოემების მიმოხილვა, ამგვარი აბზაცი მოვალეობის მოხდის მიზნით იწერება, ასეთ აბზაცს «გვარების სასაფლაოს» ეძახიან, ამ აბზაცმა ნაცნობი მელოდია უკარნახა:

როდესაც წყალი სათავეში ამღვრეულია...

მომხსენებელმა ცალკე მოხსენიების ღირსად არ ჩათვალა. არადა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საანგარიშო წლებში გამოაქვეყნა «ნიკორწმინდა» და გამოსცა ოთხი ტომი პოეზია «მოწინავე ქართველმა პოეტმა».

_ ამ ატმოსფეროში ყოფნა შეუძლებელია. _ ასკვნის მომხსენებლისაგან ცალკე მოუხსენიებელი და თანამომხსენებლისაგან აუგად მოხსენიებული, თან დელეგატის ბლოკნოტში დელეგატებს ხატავს ნატურიდან: იოსებ გრიშაშვილის პროფილი, ორი უცნობის კეფა _ პრეზიდიუმის წინა რიგიდან... თანაც ნაცნობ რიტმს აკვალიანებს:

კალაძეები _ რომლებიც კი მე შემხვედრია...
ჭილაიები _ რომლებიც კი მე შემხვედრია...
ბესია ჟღენტი...

ახსენდება:

ირაკლისა და კარლოს იცნობს მწერალთა საბჭო,
დონ კიხოტია ერთი, მეორე სანჩო-პანჩო.

და რაკი არავინ გამოექომაგა, პირველ ივლისს ჩაიფიქრა, ორ ივლისს დაწერა და სამ ივლისს სიტყვა მოითხოვა («ხანგრძლივი მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციებში გადადის»):

_ ამხანაგებო! მე მინდა გესაუბროთ იმ ძალზე დავიწყებულ საგანზე, რომელსაც სახელად ჰქვია ლიტერატურული სინდისი. ამ თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, თქვენ კარგად იცით, რომ ჩემ მიერ დაწერილია არა ასი, არა ორასი, არა ათასი, _ არამედ შვიდი ათასი ლექსი და პოემა. ჩემ მიერ სიყრმითვე არჩეული გზა თავიდანვე მხარდაჭერას პოულობდა ისეთი ტიტანების მხრით, როგორნიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. მთელი ძველი გვარდია, მათი სახით, ჩემს მხარეზე დადგა. შემდეგში, ამ ოცი წლის წინად, მე მომენიჭა საამაყო სახელწოდება საქართველოს სახალხო პოეტისა. მე მამხნევებდა და მამხნევებს ლიტერატურული სინდისის ასეთი მკაფიო გამოვლინება.

სუფთა სინდისი სისპეტაკე და სიმკვეთრეა,

სინიდისთვის ცა ლურჯია, თოვლი თეთრია,
უხსენებლობას სურდა ბნელში რომ ჩაეთრია
ყველა მებრძოლნი, რომელნიც კი ჩვენ შეგვხვედრია.
ძმებო, მწერლებო! მრავალ-ათას-კილომეტრიან
გზით მშენებელნი ჩვენ სიმღერებს გულწრფელს გვვედრიან,
რომ მივაწოდებთ, ეს ახარებსთ და არ გვყვედრიან
ის მკითხველები, რომლებიც კი ჩვენ შეგვხვედრია!
გავხედავ ხშირად ჩვენს ცხოვრებას ლიტერატურულს,
ვინა არა ხედავს ამ შეცდომებს და გზას გამურულს?
გარს ჭაობისას აყენებენ ბურუსს და ბურულს
ხელისშემშლელნი! ისინი სად არ შეგვხვედრიან.
შეხედეთ: აი, შვიდი ტომი, ჩემი ტომები!
რაოდენ გრძნობით, სიყვარულით, რა მონდომებით
იტაცებდენ მათ ბრძოლებით და დიდი ომებით
პატრიოტები, რომლებიც კი მე შემხვედრია!
წინ-წინ მიიწევს უწმინდესი შემოქმედება,
არსებობს ხალხის მხარდაჭერა, თავგამოდება!
იგი გვამხნევებს, ის გზას აქცევს დაფნის ტოტებად,
ეს მხარდაჭერა აბა მე სად არ შემხვედრია!
ძმებო, მწერლებო! მრავალ-ათას-კილომეტრიან
გზით მშენებელნი თუ სიმღერას გულწრფელს გვვედრიან,
მივხედოთ სინდისს! ძირს ყოველი უხსენებლობა!
გზა სუფთა სინდისს! ძირს სიბნელე, რაც შეგვხვედრია!

ეს იყო ყველაზე მოულოდნელი და ყველაზე მოკლე გამოსვლა, უფრო ზუსტად _ სახელდახელო რეპლიკა. ეს ექვსად ექვსი წინადადება და ექვსად ექვსი სტროფი პროტესტი და ბრალდება არა მარტო წინა დღეების გამოძახილია. რა თქმა უნდა, უპირველესად ყოვლისა მომხსენებელსა და თანამომხსენებელს (დონ კიხოტსა და სანჩო პანჩოს) შეედავა: შეეშინდა კიდეც, ვაითუ ვერ მივახვედროო და ბოლოს ჩაილაპარაკა:

_ ეს ჩემი ახლად დაწერილი ლექსიაო.

ეს ლექსი მერვე ტომში დაიბეჭდა. ამ ლექსმა ერთი უცნაური სიტყვა შემოგვინახა: «უხსენებლობა». ამ სიტყვას ლექსიკონებში ვერ იპოვნით. ეს სიტყვა ტკივილივით დაუხვეწავია. ამ სიტყვაში ჩაძირეს მისი პიროვნება. ამ სიტყვამ ხუთი თვის შემდეგ მოსკოვში შეახსენა თავი:

_ მოხსენება "О состоянии и задачах советской литературы" _ გააკეთა სურკოვმა. ახსენა ყველა საბჭოთა მწერალი, გამომტოვა მხოოდ მე. თავიდანვე სჩანდა, რომ ეს ყველაფერი მოწყობილი იყო. ი. აბაშიძემ მოიწვია ქართველი დელეგატების კრება და განაცხადა: «მართალია, სურკოვმა არ ახსენა გალაკტიონი, მაგრამ ჩვენ მას ვერაფერს ვერ ვეტყვით» (ე.ი. გამოდის, რომ ქართველმა დელეგატებმა მხარი დაუჭირეს სურკოვს)... კრებას არავითარი დასკვნა ამის შესახებ არ გამოუტანია. ეტყობათ, ფეხებზე ჰკიდიათ შენი სახალხო პოეტი და მისი დაცვა. თითქო ეს პირადათ მისი საქმე იყოს... არა, ეს საქმე ასე უბრალოდ არ ჩაივლის... დავსვამ საკითხს თბილისში.

თბილისში კიდევ რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა ფიქრი «იმ ძალზე დავიწყებულ საგანზე, რომელსაც სახელად ჰქვია ლიტერატურული სინდისი».

თბილისის დარბაზებში კი პოეზიას დღესაც ენატრება «ხანგრძლივი მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციებში გადადის».

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 1959 წლის «მნათობის» პირველ ნომერში დაბეჭდილი ვრცელი სტატია, რომელიც ლიტერატურული მოღვაწეობის ორმოცდაათ წლისთავს ეძღვნება. როგორც გვახსოვს, ორი წლით ადრე «მნათობმა» «მშვიდობის წიგნი» დაუწუნა. ამჯერად კი საიუბილეო სტატიაში განხილული და შეფასებულია გალაკტიონის ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი გზა და უარყოფილია ელემენტარული ჭეშმარიტება: იუბილარზე ან კარგს ამბობენ, ან _ არაფერს. ჟურნალი დასაბეჭდად ხელმოწერილია 15 თებერვალს და, უნდა ვივარაუდოთ, მარტის პირველ რიცხვებში გაზაფხულის მახარობელივით მოევლინებოდა ადრესატს, რომელმაც ალბათ საბრალდებო დასკვნასავით წაიკითხა, თუკი წაკითხვა მოასწრო.

წერილში ხშირად გაისმის: გავლენა, მსგავსება, პარალელები, მოწაფე... თითქმის ყოველ მეორე აბზაცში ციტირებული ან მოხსენიებულია ბლოკი, ყოველ მესამე აბზაცში _ მაიაკოვსკი...

_ აკაკი წერეთლის სულიერ მოწაფეს _ წილად ხვდა საპატიო მისია.

_ დააღწია თუ არა სავსებით თავი გალაკტიონ ტაბიძემ «შინაური» შტამპის სცილლასა და მოდერნისტული ტრაფარეტის ხარიბდას? შესძლო თუ არა მან, ასე ვთქვათ, თავისი პოეტური ხომალდის უმტკივნეულოდ გაყვანა სამშვიდობოზე? რა თქმა უნდა, არა.

_ რა თქმა უნდა, ყოველივე ეს პოეტური ბანალობის ნიმუშებია.

_ არც მთაწმინდის, არც მტკვრისა და არც მქროლავი ცხენების შემოყვანა პოეზიაში ჯერ კიდევ არ ნიშნავს «შემოღამება მთაწმინდაზე»-სი და «მერანის» ავტორის პოეტური ტრადიციების გაგრძელებას. უფრო მეტიც: ეს მოტივებიც კი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში აკაკისებური ლირიკის სფეროშია გადმოტანილი და აჟღერებული.

_ მეორე დიდი ნაკადი გალაკტიონის ამ ხანის ლირიკაში არის, როგორც ვთქვით, რუსულ-ევროპულ კულტურას უფრო ჭარბად ნაზიარები ლექსების ნაკადი.

_ ტაბიძე ბლოკის მოწაფე იყო, მაგრამ არა ისეთი მოწაფე, რომელსაც ხელით მიიყვანენ მასწავლებელთან, ჩარიცხავენ მის კლასში და უბრძანებენ კლასის დამრიგებლის დარიგებათა ათვისებას.

_ ტაბიძე ახლო იდგა ბლოკთან იქაც კი, სადაც ეს უკანასკნელი ემიჯნებოდა მაიაკოვსკის.

_ ამ ტრაგიკულ პორტრეტში ჩვენ ვცნობილობთ იმ «დაძონძილი მათხოვრის» ("Нищий оборвыш") ნაკვთებს, რომელიც მაიაკოვსკის «ასორმოცდაათ მილიონში» ვნახეთ.

საკმაოდ მკაცრი საიუბილეო ბრალდებებია, თანაც ჟურნალისაგან, რომელსაც თავის დაარსებულად სთვლიდა და ყველაზე მეტად სწყალობდა («ვინ დააფუძნა და ვის ხელშია?!»).

ამ ოპონენტისათვის პასუხი წინასწარ ჰქონდა დაწერილი და მომზადებული _ ოცი წლით ადრე:

_ ალექსანდრ ბლოკის მერი _ სიმბოლური სახებაა, ჩემი მერი _ რომანტიული, მაგრამ რეალური და ცხადი. კრიტიკოსებს კი სურთ ამ ლექსით გააბან არარსებული კავშირი ჩემსა და ბლოკს შორის.

ანალოგიურ განაცხადს მაიაკოვსკის შესახებ ჩვენ კიდევ გავეცნობით:

_ Я высоко ставлю заслуги Маяковского в области поэзии, но его достижениями я никогда не пользовался.

ორი სტროფიც უნდა გავიხსენოთ:

კარგი, კმარა, ვინ არ ხედავს, რომ ეს ხრიკი ამაოა,
იუბილე დაერქმევა და დამარხვა კი გამოვა.
დამფასებლის სამოსელში გაეხვევა მტრების ჯარი,
მაგრამ მათი შეფასება ცინიზმია საზიზღარი.

უნდა გავიხსენოთ აგრეთვე ვაჟასაგან ნასესხები: «ტაშს დაგიკრავენ, მშიერს მოგკლავენ!».

არც შემდეგი ფაქტი უნდა დავივიწყოთ: «მნათობის» პუბლიკაციის ავტორმა რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა გალაკტიონის თანამედროვე პოეტების შემოქმედებაზე და ყველა შემთხვევაში მისი შეფასება იყო პოზიტიური.

«მნათობის» ეს ინციდენტი კი უცნაურად გაგრძელდა: გალაკტიონის თვითმკვლელობის შემდეგ სარეცენზიო პასკვილის ავტორი მონანიების გზას დაადგა: ცხოვრების მთავარ მიზნად გალაკტიონის რუსულ ენაზე თარგმნა და პუბლიკაცია დაისახა: დაინტერესა და მოიწვია სხვადასხვა თაობის პოეტები, დაუმზადა პწკარედები, ჩაუტარა კონსულტაციები, თვითონაც გადაარუსულა მრავალი ლექსი, შეადგინა, რედაქტორობა გაუწია, წინათქმები და შენიშვნები დაურთო და რამდენიმეჯერ გამოსცა გალაკტიონის შედარებით სრულყოფილი რუსული კრებულები მოსკოვსა და თბილისში და სიკვდილამდე ამ კეთილშობილურ საქმეს ემსახურა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს უკაცრავად პასუხია მილოცვა-მისალმება დაბეჭდა პოეტმა-რედაქტორმა, რომელსაც ადრე წამოსცდა, _ გალაკტიონისთანა პოეტი მსოფლიოში არ არისო, _ ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ _ კუბოში ჩასვენებულს _ «ქართული პოეზიის ამირანი» უწოდა.

მინდა პოეტებს ვუთხრა გარეშეს: გადმოხეთქილი ზარად, ზათქებად _

ჯერ არ დამდგარა დრო ანგარიშის, მაგრამ დრო იგი მალე დადგება.

ბევრჯერ ატკინეს გული, მწარედ ატკინეს ზედმეტად მგრძნობიარე გული. ხან დეკადენტობას სწამებდნენ, ხან _ ფრანგული სიმბოლიზმის ეპიგონობას. რამდენიმეჯერ დატუქსეს: მარტო სახელი არ უნდა მოგეწერაო:

_ ამ სამამულო ომის დროს უხერხულია გალაკტიონის ხელის მოწერაო. _ რომ მხოლოდ «გალაკტიონი» ეწეროს _ ეს დასავლეთისადმი თაყვანისცემა იქნებოდაო... აბსურდია: შოთა, ილია, ვაჟა...

_ ჩემის აზრით, ეს ჩემი უფლებაა, მინდა სახელს მოვაწერ, მინდა არა. მე ვისარგებლებ ჩემის უფლებით. მე ასე ვაწერდი ლექსებს ჯერ ისევ 1917 წ.

_ მე კი დავწერე «გალაკტიონი» და ეს ჩემი, ავტორის უფლებაა. თუ ასე არ იქნება, მე ლექსს ამოვიღებ.

_ არ არის არც ერთი პოეტის მიძღვნილი ლექსი, სადაც იყოს ტაბიძე _ არის «გალაკტიონი». მოისურვეს ასე რედაქციებმა.

თუმცა ერთხელ იკითხა:

_ თამარი _ ნამდვილი ქართული სახელია, არა? _ და იქვე კიდევ იკითხა: _ რატომ დამსაჯეს ასე _ არაქართული სახელი დამარქვეს?!

იმაზეც ედავებოდნენ _ გალაკტიონი დაეწერა თუ გალაქტიონი:

_ რატომ «გალაკტიონი» და არა «გალაქტიონი?» იმიტომ, რომ ბავშობიდანვე ეგრე ვაწერ ხელს. ყველა ჩემი წიგნების ავტორია: გალაკტიონ ტაბიძე. _ ავტორს უფლება აქვს მოაწეროს თავისი სახელი და გვარი ისე, როგორცა სურს. _ არავის უფლებას არ მივცემ ჩემს სახელთან თამაშისა.

_ კიდევ დიდი ხარხარი ატყდა: გალაკტიონი დონაძეს უნდა შეუთანხმდეს იმაზე, რომ გალაკტიონი ჰქვია.

_ ხელთა გვაქვს აგრეთვე პოეტის დედის წერილები, რომელიც ყოველთვის ასე იწყება: ჩემო ძვირფასო და ყოველ წუთში მოსაგონარო გალაკტიონ. ცნობილია, რომ როდესაც პოეტი დაიბადა, მამამისი ცოცხალი აღარ იყო, სახელი მას დაარქვა დედამ და, ჩვენ გვგონია, დედის მიერ დარქმეული სახელის შეცვლის უფლება ჩვენ არა გვაქვს.

როგორც ჩანს, ეს «პრობლემა» ხშირად და დიდხანს იდგა დღის წესრიგში. 1947 წელს ცალკე ბლოკნოტი შეურჩევია და ცალკეულ გვერდებზე ცამეტი კონტრსაბუთი წარმოუდგენია _ «ბრძოლა გალაქტიონსა და გალაკტიონს შორის და რითი გათავდა ეს ომი». ცდილობს სახელის მართლწერაც გაამართლოს და მხოლოდ სახელის მოწერაც: იმოწმებს მეტრიკულ ამონაწერს, დედის წერილებს, ადრეულ პუბლიკაციებს, ცალკეულ გამოცემებს, მოძღვნილ ლექსებს, აგიოგრაფიულ თხზულებებში პიროვნებათა მხოლოდ სახელით მოხსენიების მაგალითს, და ბოლოს და ბოლოს _ ქაღალდის, მელნის და წარმოთქმისას დროის ეკონომიასაც კი იშველიებს. არც თვალის ჯანმრთელობა ავიწყდება.

ერთხელ კიდევ უბრუნდება ამ მტკივნეულ საკითხს, წარმოგვიდგენს დამატებით არგუმენტებს და ასკვნის:

_ ამგვარად არავის არა აქვს უფლება ყოველივე ამის შემდეგ შეუცვალოს პოეტს სახელი. მკვეთრს მკვეთრი ეწყობა, მჟღერს _ მჟღერი. ხალხურ გამოთქმაში არის «კტე» (კლდე), «მომიკტი».

«პოეტების მეფის» წოდებას შემდეგ და შემდეგაც ხშირად აყვედრიდნენ:

_ წერილი რედაქციის მიმართ. ძვირფასო ამხანაგებო! მე ხშირად მესმის საყვედური, მომართული ჩემდამი: თითქოს მე, ძვირფასო ამხანაგებო, ვამაყობდე ჩემთვის მოცემული სახელწოდებით «პოეტების მეფე». მე, ძვირფასო ამხანაგებო, მართლაც ვამაყობ ამ სახელწოდებით _ არა იმიტომ, რომ მართლა მეფე ვიყო.

_ შესრულდა ამდენი და ამდენი წელიწადი, როდესაც მე პირველად ვიქენი არჩეული პოეტების მეფედ. არცერთი იმათგანი, ვინც ამირჩიეს პოეტების მეფედ, ეხლა ცოცხალი აღარ არის. ვადა, დანიშნული მათ მიერ, გასულია. გთხოვთ, თუ ჩემით უკმაყოფილო ხართ, აირჩიოთ სხვა. ამას მოითხოვს ტრადიცია.

სხვათაშორის, 1950 წლის ერთ-ერთ მორიგ ჩამონათვალში გაიხსენა და განიზრახა:

_ ერთხმად არჩევა აკადემიაში (ასლი აკადემიიდან).

1944 წლის თებერვალში აირჩიეს და აირჩიეს ერთხმად. 9 კანდიდატი იყო წარდგენილი (მათ შორის _ 5 მწერალი) და, აკადემიის სასახელოდ უნდა აღინიშნოს,

ერთადერთმა მიიღო ხმების მაქსიმუმი _ 15, და მიიღო იმიტომ, რომ კენჭისყრაში არცერთი მწერალი არ მონაწილეობდა!

ახლა მკითხველს უნდა მოვუბოდიშო, რაკი საპატიო მიზეზის გამო პიროვნებებს ვერ დავასახელებ, და სამი შემთხვევა უნდა გავიხსენო:

ერთი გამოჩენილი და ტიტულოვანი პოეტი უცხოელი სიმბოლისტების ეპიგონობას აბრალებდა. მისი ტომეულების შედგენის ჯერიც რომ დადგა და ქრონოლოგიური პრინციპი შევთავაზე, კატეგორიული უარი განაცხადა: გალაკტიონმა ხარისხის მიხედვით შეარჩია და პირველ ტომში ყველაზე კარგი ლექსები შეიტანაო. ეს არაპირდაპირი აღიარება გახლდათ და აღიარა კიდეც (ოთხი წლის შემდეგ):

_ გალაკტიონს ჰქონდა ისეთი თრთოლვა, ისეთი მომხიბლავი მუსიკალური ცახცახი და პოეტური ჟრუანტელი, რაც არ ჰქონია დღემდის არცერთ ქართველ პოეტს.

მეორე არანაკლებ გამოჩენილმა პოეტმა (რომლის სიტყვასაც მაშინ დიდი გასავალი ჰქონდა და რომელმაც ჩვენთვის უკვე ცნობილი მისალმება-ბრალდება დაბეჭდა), ერთხელ, საკმაოდ შექეიფიანებულმა (როცა ადამიანი ზედმეტად გულწრფელია), ძალიან ჩუმად (ისე, რომ სხვებს არ გაეგონათ) მესამე ცნობილ პოეტს (რომელმაც გამანდო და რომელიც ალბათ ამ სტრიქონებს წაიკითხავს) საშინელი სიმართლე უთხრა: გალაკტიონისხელა პოეტი ამჟამად მსოფლიოში არ მოიძებნებაო. ცხადია, სიფხიზლეში მსგავსი არაფერი წამოსცდენია! პირიქით! ამ საშიშ საიდუმლოს საკუთარ თავსაც არ უმხელდნენ!

მესამემ _ პროლეტარული პოეზიის აღიარებულმა ლიდერმა _ ნამეტანი დაიახლოვა:

გამწევი ლექსის ჭაპანის _
მე ვარ და გალაკტიონი-ო.

გალაკტიონმა იხუმრა: კორექტურული შეცდომა გაპარულაო, და უმალ «გაუსწორა»:

გამწევი ლექსის ჭაპანის _
მოვარდა გალაკტიონი.

ზედმეტად წინდახედული და შორსმჭვრეტელი მშობლები ბავშვებს მხოლოდ ძილში ეფერებიან. ავიწყდებათ, რომ სიყვარულსა და ალერსს მოკლებული და მონატრებული სული შეიძლება დაიჩაგროს, გაუხეშდეს, გაბოროტდეს.

_ Вспомнить бы хоть одного человека, хоть одну старшую женщину или мужчину, который хоть раз в жизни погладил бы мне по голове, хоть в детстве, хоть в юности. Нет, не припомню никак. Ведь был же и я когда-то ребёнком и телом, и душой, и нет же в мире ребёнка, окромя совсем уличных, не знавших семейную жизнь никогда. Но я ведь рос в семье, у меня была мать, родные, большое число родственников, соседей, знакомых? Что для них значило погладить ребёнка по голове, просто, как обыкновенно ласкали других ребят? Почему же, почему я им был так чужд и противен? Ведь я был ребёнок такой же, каких на свете миллионы? Да, не помню я ни одного такого человека. И не могу объяснить никак этой тайны. Судьба-ли? Но можно ли верить в такую судьбу?

აუცილებელია ამ მონოლოგის თარიღი აღვნიშნოთ: 1958 წლის 26 იანვრის ღამე. ცხოვრება განვლილია თითქმის, თანაც _ ღამით ტკივილი უფრო მძაფრია და აუტანელი. ხოლო თუ გივი გეგეჭკორის მეტაფორას დავესესხებით, იგი მთელი ცხოვრება ბავშვი იყო, მარადი ბავშვი, დიდი ქალაქის ხმაურიან ქუჩებში დაბნეული ბავშვი, _ და ეს მწარე საყვედური არა მარტო სიყმაწვილის წლებს მოიცავს.

ისე კი, მცირე ყურადღებასაც ამჩნევდა და აფასებდა «დიდი ბავშვი»:

_ ეს ქაღალდი მომაწოდეს ქალიშვილებმა პირველ დეკემბერს წიგნთსაცავ-სამკითხველოში... მადლობა მათ ყურადღებისათვის.

_ ისევ დარეკა თათარაშვილმა კარგის ხმით.

_ დილით შემხვდა ლექტორი იაშვილი. ეს არის გენიალური ახალგაზრდა, ჩემი თაყვანისმცემელი (ცხოვრობს ჭავჭავაძის ქ. №52). მას ესმის რა არის სტილი, თანამედროვე სტილი! ლაპარაკობს დაჯერებით, საქმის ცოდნით.

_ პლეხანოვის სახელობის კლუბში შესდგა ჩემი საღამო... ლეონიძემ წაიკითხა ლექსი «პოეზია უპირველეს ყოვლისა»... ლეონიძისაგან არ მოველოდი მოსვლას და მოვიდა.

_ ვახშამზე სიმღერა არ ვარგოდა (ხმების საკითხია). გომიაშვილმა ჩემს ხმაზე სთქვა, გალაკტიონს პირველი ხმა შვენის, რადგან პირველი პოეტიაო (ეს მეორეჯერაა მისგან: ერთხელ მახსოვს ასე სთქვა: სახალხო პოეტი _ ერთიაო. განგებ, რა თქმა უნდა).

_ ლადო გუდიაშვილმა სთქვა: ყველა პოეტები რომ გალაკტიონისთანა იყვნენ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.

_ თბილისში ჩამოსულა ცნობილი გერმანელი პოეტი ჰუპერტი. იგი თარგმნის ვეფხისტყაოსანს. ამ გერმანელ პოეტს, მას შემდეგ, რაც თავისი თარგმანი წაუკითხავს მწერალთა კავშირში, უთქვამს: «საქართველოში არის პოეტი, რომლის ბადალი ევროპაში არ მოიპოვებაო, _ ეს პოეტი არის გალაკტიონ ტაბიძეო». სწორედ ასე უთქვამს:»მსგავსი პოეტი ევროპაში არ მოიპოვებაო».

1955 წლის პირველი სექტემბერი მზიანი გათენებულა და დეკადა დაუკონსპექტებია:

_ ათი დღე, რამაც უნდა შესძრას არა კაცობრიობა, მაგრამ ჩემს გარშემო არსებული ატმოსფერო მაინც, იწყება პირველი სექტემბრით, ამ შემთხვევაში პირველი დღით, არაჩვეულებრივად კარგი, მზიანი, მშვენიერი დღით.

43 ჩამონათვალიდან უმეტესობა ჩვეულებისამებრ დაშიფრულია, მეთოთხმეტეც მხოლოდ მიგვანიშნებს და გვაინტერესებს:

_ ოთარ ჩხეიძის რომანში დიდებულია ის ადგილი.

მეორე დღეც იმედიანად გაგრძელდა:

_ ათი დღე, რამაც უნდა შესძრას კაცობრიობა, დაიძრა ადგილიდან, როგორც ვწერდი, გუშინ.

ინტერესი კი უფრო გაიზარდა:

_ ედიშერ ყიფიანმა აღმოაჩინა ჩხეიძის რომანში ის ადგილი.

რომელი რომანი? რომელი ადგილი? რა იყო აღმოსაჩენი? _ მხოლოდ ათი დღის შემდეგ გაეცა პასუხი ამ შეკითხვებს:

_ ჩხეიძის რომანში ჩემი სახელი აღმოაჩინა მე-14 გვერდზე ედიშერ ყიფიანმა.

ოდნავი უყურადღებობაც ადვილად სტკენდა გულს:

_ სასტუმროს ვესტიბულში აგროვებენ მწერლებს რომელიღაც საღამოზე წასაყვანად. ჰმ, როდესაც მათ ვუთხარი, რომ რაღაც ავადა ვარ-მეთქი, არაფერი, თითქოს ბუზს გაუფრენია. რა უკულტურო ხალხია, ღმერთო ჩემო!

_ ლეონიძემ აკადემიაში გვერდით გამიარა, თავი უგუნებოდ დამიკრა (ხელის ჩამორთმევაზე ლაპარაკი ზედმეტია).

მისალმების ხარისხს და ხალისს აფთიაქის სასწორზე წონიდა («ო, თავის დაკვრა მართლაც მთელი ხელოვნებაა!»):

_ «კომუნისტში» გულწრფელად მომესალმენ ასოთამწყობები.

_ სანდრო შანშიაშვილის ცოლმა ძალზე ზრდილობიანი ღიმილით დამიკრა თავი, მნიშვნელოვნად, არაჩვეულებრივად.

_ გრიშაშვილმა მდაბლად დამიკრა თავი.

_ ჰუპერტმა შემამჩნია, მიყურა დიდხანს, და შემდეგ ხელით სალამი მომცა. გამიღიმა.

_ ბონდო ძალიან ამაყად დადის. თავი ისეთნაირად დამიკრა, გეგონებოდათ სტალინის პრემია მიიღოო.

_ სახელგამში შემხვდა მ.ჯავახიშვილი. როგორც ჩანს, თავის დაკვრაც არ უნდოდა.

_ ძალიან გულმოკლული სახით დამიკრა თავი დღეს გ. ლეონიძემ.

_ აბაშელი თავს არ მიკრავს: რაღაცაზე შეთანხმებულნი არიან, რაზედ?

_ ამას წინად გრიშაშვილი შემხვდა რუსთაველის პროსპექტზე და თვალი ამარიდა.

_ ტიციანი ეხლაც იმეორებს ჩემთან თავის ჟესტს, ზურგით ჩემს წინ დგომას. ერთხელაც იქნება გადავაჩვევ: სადაც შემხვდება, თავს არ დავუკრავ, ვიქნები მასთან ისე ამაყი, როგორც საჭიროა.

_ ტახტზე მედიდურად იჯდა და თითქო მეუბნებოდა: მანამ გვერდები არ აგიდგეს, მე შენ აწი ფეხზე არ აგიდგეო.

_ არ დაგავიწყდეს, რომ ისინი დემონსტრატიულად არ წამოდგენ ადგილიდან! ოდესმე წამოდგებიან! მოწიწებით, რა თქმა უნდა!

მისალმებათა პარადს ქრონოლოგიურად ხურავს ერთი გაწბილება, რომლის აღრიცხვაც თვითონ ვეღარ მოასწრო:

_ მე აქამდის ვერ მიპატიებია ჩემი თავისათვის ერთი ამბავი, _ ოთხი წლის შემდეგ ინანა კონსტანტინე გამსახურდიამ, _ სამკურნალო კომბინატში შევდიოდით შალვა დადიანის გამოსასვენებლად. გალაკტიონი ფოიეში ერთ კუთხეში იჯდა. დამინახა თუ არა, წამოდგა და კოცნა მომინდომა. მე მას არ ვაკოცე. ხელი ჩამოვართვი და ცივად გავეყარე. შემეშინდა საუბარი არ გამიბას-მეთქი. ეს დამრჩება სანანებლად მთელი სიცოცხლის მანძილზე, რომ არ მეყო შორსმჭვრეტელობის უნარი და მასთან არ დავყოვნდი იმ დღეს.

მაგრამ ბატონმა კონსტანტინემ ის აღარ ბრძანა, რა მოხდა რამდენიმე საათის შემდეგ: იქნებ ამ ამბორით, რომელსაც ასე გულუხვად არიგებდა იმ დღეს გალაკტიონი, არამარტო განზრახვის დამალვას ცდილობდა, არამედ ყველას ეთხოვებოდა?!

«მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა»

რამდენიმე საათის შემდეგ მთელს თბილისს მოედო გალაკტიონ ტაბიძის თვითმკვლელობის ამბავი. ტრაგედიამ ერთბაშად დააჩქარა პოეტის საყოველთაო აღიარება, რამაც უაღრესად გააღიზიანა ზოგიერთი ძველი ოპონენტი. განსაკუთრებით ისახელა თავი ერთმა ყოფილმა ცისფერყანწელმა, რომელმაც ოცდათერთმეტი წლით გადააჭარბა გალაკტიონს და გალაკტიონის «ასი ლექსის» საგანგებო კომენტარები გაამზადა და შემოგვთავაზა შთამომავლებს, რითაც საშუალება მოგვცა _ ქრონოლოგიურად შევავსოთ და დავასრულოთ ჩვენი რჩეულის წინააღმდეგ ბრძოლების მატიანე.

«ასი ლექსი» ორი წლის შემდეგ _ 1961 წელს გამოსცა «ნაკადულმა». გამომცემლობამ ავტორის დიდიხნის ოცნება გაითვალისწინა და იგი მხოლოდ სახელით წარმოგვიდგინა. კომენტატორიც აქედან იწყებს: გადაუშლია სრულყოფილი სახელის ბოლო ასონიშანი და გვერდით გვარი მიუწერია.

მთელი წიგნი გადაწითლებულ-გადალურჯებულია ქართულ-რუსული მინაწერებით. ხაზგასმებისა და შენიშვნებისათვის თავდაპირველად წითელი ფანქარი გამოუყენებია, მაგრამ მერე საფუძვლიანი სიფრთხილე გამოუჩენია, ვაითუ ფერადი ფანქარი წაიშალოსო და, ფანქრით ნაწერზე ლურჯი პასტით გადაუვლია. ახლებიც მიუმატებია. ამავე დროს კომენტარების უმრავლესობას ხელს აწერს ქართულ-რუსულად, რათა საავტორო უფლება არავინ წარსტაცოს. ამდენად და ამჯერად ჩვენ რეცენზენტის განზრახვას ვასრულებთ და ვალდებულიც კი ვართ ასე მოვიქცეთ.

წიგნში დაბეჭდილია გალაკტიონის ცნობილი პორტრეტი _ ნახატი უჩა ჯაფარიძისა, რომელიც ნატურიდანაა დახატული და ძალიან ჰგავს ნატურას. ოპონენტს მოუპოვებია მშვენიერი პატარა ფოტო (არამშვენიერი არც არსებობს!), დაბეჭდილ ნახატზე მიუკრავს და მეორე მხარეზე მიუწერია:

_ ეს არის გ. ტაბიძის ნამდვილი პორტრეტი და არა უჩა ჯაფარიძის ფანტაზიით წიგნში წარმოდგენილი არარსებული კაცი.

სხვათაშორის, სახელის ავტორისეული მართლწერაც კარგად მოეხსენება, მაგრამ ყოველთვის განზრახ იმეორებს: «გალაქტიონი»!

1961 წელს ქუთაისში დიდი სტამბის მშენებლობა დასრულდა და მას გალაკტიონ ტაბიძის სახელი ეწოდა. პირველი წიგნი, რომელიც სტამბამ დაბეჭდა, სარეცენზიო «ასი ლექსი» გახლდათ.

_ დაე, დიდი პოეტის ეს წიგნი ფეხბედნიერი მეკვლე იყოს ქუთაისელი მესტამბეებისათვის. _ ვკითხულობთ ანოტაციაში.

გაგულისებული რეცენზენტი ხაზს უსვამს სინტაგმას «დიდი პოეტი»:

_ სად არის «დიდი» პოეტი, შენ, ბრძენთა-ბრძენო, მაგრამ გემოვნებით და ნამდვილი პოეზიის აღქმით დასაჭურისებულო დეგენერატო???

ამ რეპლიკა-შეკითხვას ზოგადი განმარტება მოსდევს:

_ «შაირობა სიბრძნის არის ერთი დარგი» (რუსთაველი). ამ წიგნში ეს ყოველ შემთხვევაში არსად მოინიშნება. საიდან შეიქმნა მისი «დიდი» პოეტის ლეგენდა? ნუ თუ ეს შედეგია ჩვენი საზოგადოების უგემოვნობისა და უვიცობისა? უვიცობის გამო ვერ ხედავენ პლაგიატებსაც კი.

არცერთ ლექსს უყურადღებოდ არ ტოვებს. ეს დასკვნები ხანგრძლივი დაკვირვების შედეგია. დაკვირვებისა და დაფიქრებისათვის კი ზედმეტად ბევრი დრო მიეცა: შვიდჯერ ათი წელიწადი.

როგორც შეამჩნიეთ, ედავება არა მარტო ავტორს, არამედ _ ავტორის პატრიოტებსაც, მაშასადამე, ჩვენც გვედავება.

სამართლიანობა მოითხოვს, პოზიტიურით დავიწყოთ: ასიდან შვიდი ლექსი უპირობოდ მოსწონს. ორ შემთხვევაში მოწაფესავით ამხნევებს და ნიშანსაც უწერს:

_ გალაქტიონ, ძლიერ კარგია! 5. _ კარგია. 5.

კარგოსან-ხუთოსანია: «ორი ზარი» და «რაც უფრო შორს ხარ», კარგოსნები: «სადღეგრძელო იყოს მისი», «გაგონდება თუ არა», «განახლდა გული» და «ჩემი ქუთაისი».

ექვსი ხაზგასმისა და ოთხი კითხვისნიშნის მიუხედავად კონკურსში გავიდა «ქებათა-ქება ნიკორწმინდას»:

_ გ. ტაბიძის საუკეთესო ლექსი.

გვხვდება გარდამავალი ხასიათის შეფასებანიც:

_ კარგი ლექსია გაფუჭებული ცუდი დაბოლოებით («შემოდგომის ფრაგმენტი»).

_ განა ეს კარგი ლექსი უკეთ არ დაიწერებოდა უშეცდომოთ? («უდაბნო»).

_ უთუოდ კარგი ლექსია, მაგრამ დეფექტებით. მრავალი უხეში შეცდომით და ცოტა პროვინციალური სტილით დაწერილი ლექსი, ბრწყინვალე დაბოლოებით!!! («მე და ღამე»).

_ საერთოდ ერთობ გაზვიადებული ლექსი _ საშუალო ხარისხისა! ძლიერ ყალბი და შეუფერებელი დაბოლოებით! («მერი»).

ზოგჯერ დაეჭვებულია:

_ რა არის ეს? ნუ თუ პოეზია? («პროლოგი ასი ლექსის»).

_ ნუ თუ ეს კარგია? («დღეს მაისი ფერში ნაირ-ნაირშია»).

_ ნუ თუ ეს მოგწონთ? («ჩვენ, პოეტები საქართველოსი»).

_ არ ვიცი, რატომ მოსწონთ? («შემოდგომა «უმანკო ჩასახების» მამათა სავანეში»).

ზოგან ცალკეულ სტროფებს იწონებს, ალაგ _ ცალკეულ სტრიქონებს, იშვიათად _ რითმას საერთოდ დაწუნებულებში. ყოველივე ეს ზღვაში წვეთია იმ ნეგატიურთან შედარებით, რომელიც ძალიან ხშირად გინებაში გადადის და ბრალდებით მთავრდება.

ავიღოთ «მთაწმინდის მთვარე»:

_ შესანიშნავია, ამ უხეში შეცდომის გარდა! მაგრამ შინაგანად ძალიან მსუბუქი, მჩატე ლექსია _ აღწერითი, დიდი არაფრის მთქმელი, თავის განდიდების გარდა! ეგოცენტრიზმის პირველი საფეხური, მერე ეს გრანდიოზულ ეგოცენტრიზმად მოგვევლინება _ «როგორც ერთია კავკასიონი, ისე ერთია გალაკტიონი!» და დაიწყება მასიური ფსიქოზი _ ტაბიძის მსოფლიო პოეზიის მწვერვალად გამოცხადების!!! საუბედუროდ, ეს, რასაკვირველია, საქართველოში პროვინციალიზმის მწვერვალიც იქნება! მაგრამ იქ, სადაც ილია ჭავჭავაძის მკვლელის სახელი გურიის მთავარ ქალაქს დაერქვა, და ორჯონიკიძეს (აგრეთვე მის მკვლელს) ძეგლი დაუდგეს _ ნურაფერი გაგიკვირდებათ!!

«ლურჯა ცხენებიც» «მთაწმინდის მთვარესთან» ერთად დაიბეჭდა «ცისფერი ყანწების» პირველსავე ნომერში:

_ გასაოცარია! გრ. რობაქიძემ და მეც, ამ ლექსით გატაცებულნი, წერილები ვუძღვენით მას. ეხლა ამ ბოდვას პოეზიის მწვერვალად აცხადებენ უვიცები და უწიგნურები, თანაც სრულებით გემოვნებას მოკლებული ადამიანები. გ. ტაბიძეს, როგორც ჩანს, სურდა «მერანზე» ძლიერი რამ დაეწერა. მაგრამ «მერანის» ნათელ, გენიალურ აღმაფრენას, სადაც ყველაფერი, ყოველი სიტყვაც ნათელია და გასაგები, ეს უაზრო ბოდვა სად მიუახლოვდება. ეს ლექსი უაზროა, ბოდვაა _ მეტი არაფერი! ვიმეორებ: გ. ტაბიძეს უთუოდ სურდა ბარათაშვილის «მერანის» დაჩრდილვა... მაგრამ გარითმული აბდაუბდა პოეზიად არასოდეს გასაღდება.

ერთი რუსულ-ქართულიც ამოვიწეროთ («წელიწადები წავლიან ძველი»):

_ Мания грандиоза! ეგოცენტრიზმის ნიმუში _ ფსიქოზის მონათესავე!!! ყველა ადამიანი, როგორც პიროვნება, ერთია და არა ორი! ორი მონათესავე გალაქტიონი ძნელი

წარმოსადგენია, მაგრამ საჭირო კი არის? არ აჯობებდა, მეორე რუსთაველი, ნ. ბარათაშვილი, ილია, აკაკი ან ვაჟა და გურამიშვილი მოგვლინებოდა?!

წმინდა რუსულები თითქმის ნათარგმანებია:

_ Вирши неинтеллектуального, слаборазвитого провинциала, именуемого «великим поэтом" _ к нашему стыду! И все это _ в стране Руставели и Бараташвили! _ ეს მესაფლავის განაჩენია, რომელსაც ქართულიც ერთვის:

_ მოსაწყენი პროვინციალიზმი! ყველაფერი, პოეზიის გარდა!

«მშობლიური ეფემერას» შვიდი სტროფიდან სამი გადაუხაზავს, ოთხი ძალიან მოსწონებია («უბრწყინვალესია! бесподобно!»), სათაური დაუწუნებია და ბოლოს მაინც მკაცრი განაჩენი გამოუტანია:

_ Полное отсутствие композиции, столь характерная черта поэзии Г. Табидзе, за исключением нескольких стихов весьма ограниченного числа (2-3).

«მთაწმინდის მთვარის» გამოწვევას აგრძელებს («დროშები ჩქარა!»):

_ იცეკვეთ, იზეიმეთ და დროშები აფრიალეთ, თქვენ, ვინც დაამხვეთ თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო და იგი ისევ რუსების კოლონიად და მონებად გადააქციეთ!! ეგ სისულელე როდია _ ეს დამოუკიდებელი საქართველოს მესაფლავეთა, ნაძირალებისა და გარეწრების ზეიმია. თუმცა ლექსი დაწერილია არა კომუნისტების გაბატონების დროს, არამედ თებერვლის რევოლუციის დროს!!

და ასრულებს მესამე ლექსის არეზე («ჩვენ, პოეტები საქართველოსი»):

_ სისხლიანი ანგელოზები ეყოფა საქართველოს! სისხლიანი ანგელოზი თქვენი სათაყვანებელი იყო და არის, თქვენ, ვინც მოჰკალით ილია!

მაგრამ რა შუაშია აქ გალაკტიონი? _ ვკითხულობთ ჩვენ და თავისთავად უფრო დაუნდობელი შეკითხვა გვებადება: ბოლოს და ბოლოს ვინ მოჰკლა ანუ ვინ მიიყვანა თვითმკვლელობამდე თვითონ გალაკტიონ ტაბიძე? მაგრამ «მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა» _ რას არ დააწერინებს ადამის ცოდვილ შვილს?!

არადა, ერთ-ერთი გასაუბრებისას, ქართული ხასიათის ნაკლზე რომ ჩამოუგდეს სიტყვა, პირდაპირ უპასუხა:

_ რა არ მომწონს ქართულ ხასიათში? კაცი რომ გჯობნის, აღიარე,ბატონო, ეს. რა არის ამაში სამარცხვინო? არ ვიცით ერთმანეთის დანდობა.

გავაგრძელოთ და გავეცნოთ კიდევ რამდენიმე ბილინგვას:

_ არ ვარგა სრულებით. ბოდვაა. Ахинея? Тарабарщина. ყოველივე ამას ლექსი ან პოეზია ჰქვია, ჰეი, ბრძენო, უვიცო და უნიჭო კრიტიკოსებო?? Бред сумасшедшего, или слабоумного графомана («ეფემერა»).

_ შედევრია, როგორც აბდაუბდისა და ბოდვის სრული გამოვლენისა. აბდაუბდა გალაქტიონ ტაბიძისეული, რაც ასე მოსწონთ უვიც დეგენერატებს.Чушь и бред сумасшедшего графомана! როგორი უგემოვნობაა. ღმერთო, რა აბდაუბდაა!! ყოჩაღ «დიდო» პოეტო! თქვენც ვაშა, «დიდო» კრიტიკოსებო! («ისევ ეფემერა»).

_ ვინც კვდება, ყველას გახელილი რჩება თვალები, თუ არ დაუხუჭეს. მერე რა მოხდა, კრეტინო? რა არის ეს? რა ჰქვია ამას? იდიოტებო, ვისაც ეს მოგწონთ?! Абсолютный вздор! Бред графомана! ქართულად ამას ბოდვა და უაზრობა ჰქვია («მას გახელილი დარჩა თვალები»).

_ სისულელეა. რა ბრძანეთ «დიდო» პოეტო, უკაცრავად პასუხია იდიოტო!! Идиотизм? Да, идиотизм!!! ნიავის ბინდიც ქლიავის ფერია? კი, გვინახავს, გვიჭამია! არარსებული გემი! Ерунда на постном масле («დაბრუნება»).

ამგვარ კომენტარებს კომენტარები აღარ სჭირდება, იმდენად უხეშად და დაუსაბუთებლად წარმოგვიდგენს ბრალდებებს.

ორი ირონიულიც მოვისმინოთ:

_ მართლაც, ასეთი მიღწევა, სიბრძნე და მუსიკა არც ვერლენს, არც შელის, არც გოეთეს, არც ბეთხოვენს, არც ბაირონს და, ვგონებ, არც რუსთაველს და არც გომეროსს გააჩნიათ! უდავოდ მართალია ყველა ისინი, ვინც გ. ტაბიძეს უდიდეს პოეტად აცხადებენ მთელს მსოფლიოში!! (იხილეთ გ. ტაბიძის 90 წლის საზეიმო პრესა თბილისში, გაზ. «თბილისი» და «კომუნისტი»).

_ ეს უკვე ბეთხოვენის, მოცარტის და ბახის მუსიკალობით დაწერილი ლექსია, რის მსგავსი რამ მსოფლიოს არ მოეპოვება, _ ასე არ არის, ქართველო ბელინსკებო, ტენებო?

პლაგიატის მაგალითებიც ბლომად მოუპოვებია, პლაგიატისა, რომელსაც ჩვენ თურმე «უვიცობის გამო» ვერ ვამჩნევთ:

_ აკაკი! _ გრიშაშვილის გავლენა. _ მოპარულია, ლერმონტოვის თარგმანი! _ მოპარულია, И. Анненский. _ მოპარულია (რილკე). _ ვერლენის გადამღერებაა! _ ტეოფილ გოტიეს ლექსია გაფუჭებული. _ სხვისი ლექსის უცხო თარგმანი.

აქეთ მკითხველებს უტევს, იქით _ ფილოლოგებს:

_ კრიტიკოსებო! ამას საერთოდ ლექსი ჰქვია? არ არის ჩმახვა? მოგწონთ, დეგენერატებო?

_ უაზრობასაც ვერ ამჩნევთ და ამასაც ლექსი ჰქვია? ვინ ბეჭდავდა ამ სისულელეებს?

_ რა არის «გახსენების მომძახოდა მტანჯველი ლანდი?» ეს არ არის აბდაუბდა, ფილოლოგიის გამოთაყვანებულო «დოქტორებო»?

თავს ვეღარ იკავებს:

_ «მას გახელილი დარჩა თვალები».

_ მერე რა მოხდა, კრეტინო?

_ «მე კი არ მენანება».

_ რა არ გენანება, გრაფომანო?

_ «ვით ლოენგრინეს სიზმარი».

_ რა სიზმარი, პროვინციალო?

_ «იქნება, ბევრი რამე იქნება».

_ რა იქნება, დეგენერატო?

_ «შენ უკვდავების ხარ ბინადარი».

_ თავის თავზე ხომ არ ლაპარაკობ, ეგოცენტრიკო?

_ «რომელი საათია?»

_ სიბითურის საათია! ბოდვის და ონანიზმის საათია, გალაქტიონ.

_ «წინაპართა ძვლებს დავიცავ».

_ ვერავის და ვერაფერს ვერ დაიცავ, შე სირისტიანო! მაგ-
ის ყვერები ღმერთს შენთვის არ მოუცია.

სამწუხაროდ, წიგნის არშიებზე გაფანტული ამ უცნაური რეცენზიის ვიზუალური წარმოჩენა შეუძლებელია. ამიტომ, სრულყოფილად წარმოდგენის მიზნით, ლანძღვა-გინება-ძაგებათა სიხშირის მინი-ლექსიკონი შევადგინეთ (რაღა თქმა უნდა, ორენოვანი):

_ აბდაუბდა _ 16. აბსურდი _ 3. ბოდვა _ 12. გარეწარი _ 1. გიჟური _ 1. გრაფომანი _ 4. დასაჭურისებული _ 1. დეგენერატი _ 4. დეფექტი _ 1. ეგოცენტრიკი, ეგოცენტრიზმი _ 4. ვიგინდარა _ 1. იდიოტი, იდიოტობა _ 3. კრეტინი _ 3. ნაძირალა _ 2. ონანიზმი _ 1. პროვინციალი, პროვინციალიზმი, პროვინციალური _ 4. სიბითურე _ 1. სირისტიანი _ 1. სისულელე _ 24. სიყალბე _ 2. უაზრო, უაზრობა _ 12. უვიცი, უვიცობა _ 3. უნიჭო _ 1. უწიგნური _ 1. ჩმახვა _ 4.

_ Ахинея _ 2. Балтология _ 1. Бред _ 11. Вздор _ 3. Галиматья _ 1. Глупость _ 8. Графоман, графомания _ 2. Ерунда _ 2. Мания величия, мания грандиоза _ 2. Онанируюший _ 1. Полоумный _ 1. Пошлость _ 4. Провинциал _ 1. Пьяница _ 1. Слаборазвитый _ 1. Слабоумный _ 2. Стихоплетство _ 1. Сумасшедший _ 2. Тарабарщина _ 2. Чушь _ 3.

საბოლოო შედეგებიც შევაჯამეთ და სამი პირველი ადგილი მშობლიურ ქართულზე ასე განაწილდა: სისულელე _ 24, აბდაუბდა _ 16, ბოდვა _ 12. რუსულად, როგორც მოსალოდნელი იყო, შედარებით მოკრძალებული მაჩვენებლები მივიღეთ: Бред _ 11. Глупость _ 8. Пошлость _ 4.

გაგვიგრძელდა ორიგინალური რეცენზიის რეცენზირება, მაგრამ რამდენიმე მომენტი კიდევ უნდა აღინიშნოს.

ცისფერყანწელთა ორდენის ეს უკანასკნელი მოჰიკანი სამი ათეული წლის მანძილზე გაოცებული და გაოგნებული შეჰყურებდა გალაკტიონ ტაბიძის საყოველთაო აღიარებას. კუბოსთან კი თავი ვერ შეიკავა, აქვითინებული დაემხო ცხედარს და ძლივს გავიტანეთ დარაბზიდან. იგი ახალგაზრდობიდანვე დაავადდა ქრონიკული ალერგიით, რომელსაც ანტიგალაკტიონიზმი ჰქვია. შემდეგ და შემდეგ დაავადება ისე გაურთულდა და ისეთი მძიმე ხასიათი მიიღო, რომ გამომცემლობის ბუღალტერიაში ჰონორარის გამოწერისას, მიუხედავად მრავალგზისი შეკითხვისა, მამისსახელი ვერ ათქმევინეს და ვერ ათქმევინეს იმის გამო, რომ მამამისსაც გალაკტიონი ერქვა. ერთხელაც, სუფრაზე გალაკტიონის სადღეგრძელო შესთავაზეს განზრახ და, სუფრიდან გაქცევა რომ დააპირა, დაამშვიდეს: მამათქვენის სადღეგრძელოს გთავაზობთო.

ისე, ამოცნობილი კი ჰყავდა მოცარტს სალიერი: კარიკატურა დაუხატა და ზუსტად დაახასიათა _ «დაუძინებელი მტერი». 1922 წლის ბლოკნოტშიც ირონიულად გამოიწვია:

_ თქვენ ტფილისში ხართ! მიიღეთ ყველასგან განდევნილი პოეტის სალამი! გალაკტიონ ტაბიძე გესალმებათ თქვენ, უდიდეს პოეტს საქართველოБსას!

ხოლო 1940 წელს 12 ცისფერყანწელის გვარი ჯერ თანამიმდევრობით გაამწკრივა, მერე ექვსი გარდაცვლილი გადაშალა, შემდეგ მეშვიდე _ «დაუძინებელიც» მიაყოლა (ოცდაათი წლით ადრე!) და მიაწერა:

_ День кончины одного из голуборожцев.

დაინტერესებულმა მკითხველმა უნდა მაპატიოს: შეგნებულად არ ვასახელებ ჩვენს რეცენზენტ-ოპონენტს, მით უფრო, ლიტერატურული საზოგადოების დიდი უმრავლესობისათვის ცნობილია ოპონენტ-რეცენზენტის ვინაობა. ვერც მოხალისე კომენტატორის ოცდათექვსმეტ ხელმოწერა-ფაქსიმილეს გავუწევ ანგარიშს და ვერც

უაღრესად გამომწვევ ტონს. ჩვენს არცთუ ისე სასიამოვნო ინტერმედიას კი მისივე სიტყვებით დავამთავრებ:

_ კაცი რომ გჯობნის, აღიარე, ბატონო!

ჩემი უბის წიგნაკები

რასაც ფიქრობდა, წერდა.

_ ო, ჩემო დღიურო, ბევრი რამ, ბევრი კარგი უნდა აღნუსხო შენ, რომ წლის დამლევს გადავხედო ჩემს გზას ისეთი სიამაყით, როგორითაც მთავარსარდალი გადახედავს გამარჯვებული ბრძოლის ველს! დიდებული იქნება ეს წელიწადი, გალაკტიონ! _ ასე ამთავავრებს 1939 წლის პირველი იანვრის დღიურს, ოთხი იანვრისას კი:

_ ვნახოთ რას იტყვის ხვალინდელი დღე!

პირადად არასოდეს შემიმჩნევია და, როგორც ირკვევა, ჩაწერას აწარმოებდა ყველგან და ყოველთვის. მისი ჩანაწერების დიდი ნაწილი უშუალოდ შემთხვევის ადგილზეა აღნუსხული და აღბეჭდილი. არა მარტო ექსპრომტებს წერდა სხვაგან.

იშვიათი შემთხვევაა: ყველაფერს წერდა. რასაც ჩვენ მხოლოდ გულში ვფიქრობთ, გულის გულში ვოცნებობთ, ვჯავრობთ, ვმსჯელობთ და ვვარაუდობთ, _ იგი ასწრებდა და ახერხებდა და ქაღალდზე გადაჰქონდა.

_ მას უცნაური ჩვევა აქვს, მუდამ დატენილი დააქვს ჯიბეები წიგნებით, გაზეთებით, ბლოკნოტებით, ხელნაწერებით და ფანქრებით. _ ვკითხულობთ ოლია ოკუჯავას დღიურში.

_ Нужно назначить часы для писания дневников. _ ჩაუნიშნავს თვითონ.

მთელი მისი ჩანაწერები ფაქტიურად დღიურებია, ოღონდ ყოველთვის ვერ აძლევდა სათანადო ფორმას, რადგან არა მარტო სახლში წერდა. ამიტომაც ატარებდა ჯიბით ბლოკნოტებსა და ფანქრებს სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე.

წერდა ყველგან და ყოველთვის: სახლში, აკადემიაში, მწერალთა კავშირში, საავადმყოფოში, ქუჩაში, ბაღში, ბაზარში, მატარებელში, მანქანაში, ნებისმიერ დაწესებულებაში... წერდა დღისით-მზისით, საღამოს, ღამით, შუაღამისას, განთიადისას...

_ (დანარჩენი შემდეგ... მეძინება).

_ მაგრამ ამაზე სხვა დროს, ეხლა მეძინება.

_ ძალზე აღელვებული წავედი ბინიდან და უკანასკნელ სტრიქონებს ვწერდი მეტალისტების კლუბის სამკითხველოში.

_ ეხლა ვწყვეტ წერილის წერას, სახლის პატრონის ბავში შემოვიდა და სამელნე მთხოვა, კალამიც წამართვა.

_ (ელექტრო სანთელს არ შორდება და არა ერთი პეპელა. აჰა, იგი ამ რვეულზე დაეცა. შემდეგ ისევ აფრინდა).

_ (ეხლა რვის ნახევარია. დაუშვა დიდმა სეტყვამ და წვიმამ. ერთი დაეცა ჩემს მაგიდაზე და გადავყლაპე კიდეც).

_ (ამ სტრიქონებს ვსწერ სწორედ იმ ადგილას, სადაც მას უყვარდა ყოფნა, ბაზარში).

ცხრა დღისას ერთად წერდა: 1921, 25 მარტი _ 2 აპრილი.

ერთ დღეს ოთხი დღიური დაუწერია: 1950. 1 დეკემბერი. დილა. შუადღე. საღამო. ღამე.

თუ შეფერხდებოდა, იქვე ჩაურთავდა, რემარკასავით ჩასვამდა ფრჩხილებში:

_ (ხელი შემიშალეს, მეძახიან).

_ (ხელს მიშლიან წერაში).

_ (ახ, შემაწყვეტინეს აზრი).

_ (მაგრამ აქ წერა უნდა შევწყვიტო... ეჰ, რა დროს ჩაჰქრა ელექტრონი! გაჰქრა ისე, როგორც გაჰქრა ის დრო, როდესაც მთვარის შუქზედაც შემეძლო წერა!).

და მაინც აგრძელებდა:

_ ბავშები ხმაურობით იკლებენ ზევით ჭერს და ჯინაზე მაინც დავწერე ლექსი: «ჰიმნი ქართულ ანბანს».

წერდა ყველგან:

_ ბალადა, დაწერილი ბაგრატის ტაძრის ნანგრევებში.

_ ლექსი დაწერილი მწყობრად _ მიმდინარე სალიტერატურო საღამოს დროს.

_ წუღა-მესტი (პოემაა!!). (იდეა დამებადა ბარათაშვილის სახ. შკოლაში, 31 იანვარს).

არა მარტო დღიურებს წერდა სხვაგან და სხვაგან.

ერთი ლექსის ერთ ვარიანტში ვკითხულობთ:

_ მატარებელში ვწერ ამ სტრიქონებს.

მეორეს ჰქვია: «ლექსი დაწერილი «მატარებელში».

მესამეს მიწერილი აქვს: «1954 წ. 29 დეკემბერი. მატარებელი მოსკოვი _ თბილისი».

მეოთხეს: «1938. გემი «უკრაინა».

1954 წელს მწერალთა საკავშირო ყრილობიდან ბრუნდებოდა. 31 დეკემბერს წიფის გვირაბში სარფიანი იდეა მოიაზრა, მოიწონა და მონათლა:

_ წიფის გვირაბში. ლექსები, რომლებიც დამზადდება მერვე ტომისათვის, დაიბეჭდებიან წინასწარ ჟურნალ-გაზეთებში, აგრეთვე პოემებიც. ეს იძლევა ორმაგ შემოსავალს, ეძლევა მასალას პოპულარიზაცია (განათლდა, წიფის გვირაბიდან გამოვედით). იმავე მასალებს ვაძლევ მხატვრებს, კომპოზიტორებს მუსიკაზე გადასატანად რომანსებისთვის, დუეტებისთვის, ხოროებისთვის, კარგ დეკლამატორებს _ არტისტებს, კარგ კრიტიკოსებს. ვკითხულობთ წრეებში, მწერალთა კავშირში. აღრიცხვაზე უნდა იქნას აყვანილი ყველა თანამშრომელი, მოხუცი და ახალგაზრდა, ქალი და კაცი, დიდი და პატარა, ახლობელი და უცხო, შინაური და გარეშე. დაერქვას ამ საქმეს «წიფის გვირაბის იდეა».

რასაც ხედავდა და განიცდიდა, მაშინვე წერდა და ხატავდა კიდეც. 1931 წლის 26 სექტემბერს მთვარის დაბნელებას ადევნებს თვალს. ექვს გვერდზე თავისი განუყრელი «კარანდაშით» თანამიმდევრობით, წუთი-წუთ აღწერს მთელ პროცესს:

_ მზე ჩასულია, მაგრამ უკანასკნელი მისი ელფერი (და არა სხივი ან შუქი) აფერადებს ნარიყალას იქით, ხევში ჩაწოლილ ღრუბლებს. ეს ფერი ნესვის გულის ფერია, ახლად გაჭრილი ნესვის გულის ფერი; ემოციით ვგრძნობ მის გემოსაც კი. დაბლა, შავნაბადაზე, ბოტანიკურ ბაღს იქით მზისფერი არ არის, ქლიავისფერი ღრუბლებია, სიშავემდე მისული ღრუბლები. მაგრამ აი, თანდათან ჰქრება ნარიყალას იქით შავნაბადამდე მისული გაჭრილი ნესვისა თუ ლიმონის ფერი...

_ შუა ცაზე ჩამოკიდულია უზარმაზარი შავი ღრუბელი. იგი მძიმე ვეშაპივით იძვრის აღმოსავლეთისაკენ.

_ საღამო თანდათან ბინდდება. ქარი ისევ ისე ხმაურობს რტოებში. ვეშაპი ღრუბელი ისევ იმ ადგილასა სდგას ცაზე. იგი ძლივს შესამჩნევად იცვლის ფორმას.

მძაფრი ფერებითა და ზუსტი შედარებებით გაჯერებული პროლოგის შემდეგ პერიოდულად მეორდება რეფრენი:

_ ღამდება, თუმცა ცა ჯერ კიდევ არაა ბნელი.

_ ღამდება, ჯერ კიდევ არ არის ღამე. ვეშაპივით დიდი ღრუბელი თითქოს იშლება.

_ ღამდება, ცა კიდევ არ არის შეღამებული.

_ ღამდება, ღამდება.

_ ღამდება, ჯერ კიდევ არაა ღამე.

_ სანამ დაღამდებოდეს, მე შემიძლია პაპიროსის მოწევაც.

_ ჯერ მთვარე არა სჩანს, რადგან ჯერ სრულიად არ დაღამებულა. სანამ კიდევ რამდენიმე სტრიქონს დავსწერ, ალბად დაღამდება კიდეც.

_ სამწუხაროდ საათი არა მაქვს.

_ ამ სტრიქონის წერაში დაღამებულიყო კიდეც.

ღელავს. პაპიროსს ეწევა. ელოდება ღამის მნათობის გამოჩენას:

_ აჰა, შორით გამოჩნდა მთვარის შუქიც, არა მთვარე, არამედ მთვარის სინათლე. მე ვღელავარ. თვითონ მთვარეს ჯერ ჩემი აივნის წინ მდებარე სახლის ფასადი ფარავს. ო, როგორ ვღელავარ. საცაა ამოაშუქებს მთვარე... თუმცა მთვარეს წინ ეღობება ერთი შავი ვეშაპი: ღრუბელი, რომლის კიდეები გაშუქებულია მთვარის შუქით. ამავე შუქითაა განათებული ღამის ცა, შემოდგომის ღამის ცა. აივნიდან რომ გადავიხედო, დავინახავ მთვარეს, მაგრამ არ მინდა. ეხლა ცოტათი შევისვენებ, რადგან ვღელავარ. მთვარის სრულ ამოსვლამდის მე შემიძლია პაპიროსიც მოვსწიო.

მოსწია, მაგრამ ეს პაუზა საკმარისი არ აღმოჩნდა:

_ არ გამოდგა მართალი ჩემი მოსაზრება. მე შევისვენე, პაპიროსიც მოვსწიე, მთვარე, თვითონ მთვარე ჯერ მაინც არა სჩანს. აივნიდან გადავიხედე, რადგან ვერ მოვითმინე. მთვარე მაინც ვერ დავინახე. ის ისე ნელი რამ ყოფილა. ვინ იცის, როდესაც იგი მეზობელი სახლის კედელს ამოსცილდება, უკვე დაბნელებულიც ამოვიდეს? მაგრამ ის ერთი შავი ვეშაპი, რომელიც წინ ეღობებოდა მთვარეს, გაჰქრა ისე, როგორც მოჩვენება, სრულიად უკვალოდ გაჰქრა. მთვარისთვის გზა, თუ მალე ამოვა, სავსებით გაწმენდილია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შედარებით შორს მყოფ ღრუბლებს, რომლებიც რბილად, უხერხემლოდ, უძვლოდ გაშლილან აქა-იქ, ერთმანეთს მოშორებით. მხოლოდ ეს თეთრი ღრუბლებია. მათ შორის კიაფებს რამდენიმე ცივი ვარსკვლავი... ღრუბლები რაღაცას ყურს უგდებენ, რაღაცას მისჩერებიან, თეთრი ღრუბლები, დიდი კრავებივით გაშლილი ღრუბლები. მაგრამ მალე მთვარე მათზე წავა იერიშით, როგორც ერთი მხედარი ასი მხედრის წინააღმდეგ... ეს იქნება მთვარე, რომელიც უნდა დაბნელდეს, რომელმაც მეწამული ფერი უნდა მიიღოს.

მთვარე ისევ იგვიანებს. პოეტი იგონებს თუ პოეტს აგონდება პატარა ამბავი და ასე იქცევს თავს:

_ მე მოვასწრებ კიდევ მოვსწიო პაპიროსი. რატომღაც ერთი ამბავი მაგონდება, _ და ყვება მელას არაკს: მთვარე ჩადის ზღვაში და მელას ეჩვენება _ იხრჩობაო, _ მე

წარმოდგენილი მაქვს საბრალო მელას სიხარული გადარჩენილი მთვარის დანახვაზე. ჩემი მდგომარეობაც ისეთია, თითქო მთვარე მართლა დაღუპულიყოს, ისე ველი მის დანახვას. ის ჩემთვის სრულიად ახლად აღმოჩენილი, მართლაც გადარჩენილი მთვარე იქნება. მაგრამ მოვსწიოთ პაპიროსი.

როგორც იქნა, დაადგა საშველი:

_ როგორც იქნა! მთვარე გამოჩნდა! ჯერჯერობით ის სავსე მთვარეა! და ისეთი მშვიდი, ისეთი წყნარი, ისეთი თეთრი. მასზე მკაფიოდ სჩანს ხალები, ის ხალები, რომლებიც ლეგენდით დედამისმა დააჩინა ცომის ზელის დროს მარჯვე სილის გარტყმევით.

_ არასდროს არ მინახავს ასე მშვენიერი მთვარე, _ შენიშნავს «მთაწმინდის მთვარის» პოეტი, _ ქარი ჰქრის, ალვის ხეები მახლობლად ისევ შრიალებენ. ესაა შემოდგომის ცივი მთვარე. როგორ მეფურად აშუქებს ცას. რომანტიკოსებს ალბათ არა სძინავთ ამეღამ. რამდენი რამის, მთელი ქვეყნის ამბების მოყოლა შეუძლია მას. ის ხომ მთელ მსოფლიოს დაჰყურებს. იხედება ყველა ფანჯრებში, სასახლეებში და ქოხებში, ქალაქის პროსპექტებზე და სოფლის შუკებზე... ყველგან, ყველგან არის მთვარე. მაგრამ... იწყება...

აქ კი თხრობას ანუ მოთხრობას ანუ წერას სწყვეტს და გაღიმებული მნათობის ათ ვარიანტს ხატავს: სავსე დისკო თანდათან იფარება ჩრდილით.

ადამიანებზე გულაცრუებული და განდეგილი _ სხვებზე უფრო ხშირად იყურებოდა ცისკენ: მზის ამოსვლას უთვალთვალებს წყნეთიდან 1952 წელს. ცალი თვალი საათისკენ უჭირავს და ისე აღნუსხავს ჩრდილების მოძრაობას:

_ 1. მზე ჩემს ნეკერჩხლებს ადგება, რვას რომ ოცი წუთი აკლია (უძოს მთის ჩრდილი ჯერ კიდევ არ უშვებს მზის სხივებს სახლამდე). 2. რვას ექვსი წუთი აკლია. მზე ადგება სახლის სახურავს და მესერს სანატორიის მხრივ. 3. რვას ოთხი წუთი აკლია. მზე ადგება ვაშლს და მსხალს და სახლის აღმოსავლეთის კედელს, აგრეთვე აშუქებს მესერს აღმოსავლეთიდანაც. 4. ცხრის დასაწყისში მზით განათებულია მთელი ეზო და სახლი.

1950 წლის 27 ივლისს ქუთაისს გამგზავრებულა მანქანით. დიდი ფორმატის დავთარში, რომელსაც აწერია «თბილისიდან ქუთაისამდე», ლაკონურად აღწერს გეოგრაფიულ კადრებს და უშუალო შთაბეჭდილებებს, მცირე ლირიკულ წიაღსვლებსაც ასწრებს. მელნით იწყებს, შავი ფანქრით აგრძელებს და წითლით ამთავრებს. ოცდაოთხ გვერდზე გრძელდება ეს მცირე ოდისეა. ხელწერაზეც ეტყობა, მოძრაობისას რომაა ნაწერი, დავთარიც დიდი შეურჩევია და ასოებიც მოზრდილია: სხვაგვარად ვერც ჩაიწერდა. მაინც ძნელად იკითხება ძველი ციხე-ტაძრებისა და ნანგრევების სილუეტებით გამშვენიერებული ეს სახელდახელო გზამკვლევი:

_ ათის ოცდახუთი წუთია. ვსხდებით მანქანებში. აი დიღომიც. ქარი გვაცილებს (ქარი მომღერალია). ერთი გარემოება: ეს ჩემი სვანური ქუდი ვერასგზით ვერ დავტიეთ მანქანაში.

_ «ეს რა სოფელია ნეტა?». სვეტიცხოველი (ნინა პირჯვარს იწერს). ჩვენი სამოსახლო. მცხეთა. სწორედ 10 საათია. აი, ჩვენი სახლის ბაღის კარებიც. გავაჩერეთ მანქანა. ოძელაშვილის ძეგლი. ძველი ციხე. აგე წიწამური! გზები საგურამოსკენ. არაგვი. რამდენი ტოტი აქვს. რატომღაც კარგად არა ჩანს ილიას სახლი.

_ «ძაუჯიკაუ». აქ გზაჯვარედინია. მანქანა მიდის გორისკენ. მინდვრებში საინტერესო მარტოხელა ხეებია. უცენზურო სახელწოდების ნანგრევი. თანამედროვე ცხენი. კიდევ

ძალიან ძველი ნანგრევი. ძნები მინდვრებზე. კიდევ ძველი ეკლესია. სტანდარტული ქოხები. აი, ნეკერჩხლები. მთაზე დიდებული ციხეა! მარჯნივ მეორე პატარა ბაზილიკა.

_ შევედით რომელიღაც სოფელში. მდინარე ქსანზე ხიდი. ვენახებიცაა განა! ექვსნი ყანას მკიან. ორი ახალგაზრდა ჭიდაობს მინდორში (არსენაც ასეთი უნდა!). ლიახვის იწროები. კიდევ პატარა ნანგრევი (ასე მიტოვებული). რაღაც სოფელია, საჩხერესა ჰგავს. რას ჰგავან სიმინდები?! ძროხები ავტომობილით მიჰყავთ, რატომ არა ცხენებით? ძალიან ძველი ეკლესიაა მარჯვნივ. 11-ს უკლია 10 წუთი.

_ მთაზე მეცხვარე კვირიკობისთვეში ცხვრის ქურქშია. ძნები. ძნები. ძნები. თერთმეტი საათია. «გორის გზა ესე მიდის?» _ «ეგ არის, ეგა!». ისევ სტანდარტული სახლები. ხეები არ ჩანან. შავშვები. სილუეტი ქალისა გზაზე, ბოხჩით. გორი, გორი! გორის ციხე! 40-მდე ქალს სძინავს ძნასთან. თორმეტის ნახევარია. «ხაშურის გზა ეს არის?». რუისი. ურბნისი. ვისაუზმეთ რუისელი კოლმეურნე ქალის ყანაში.

_ რუის-ურბნისის კრება (XII). ძველი ციხეები (დანგრეული). ორი ხელოვნური გორაკი. იწყება ტელეგრაფის ბოძები. კიდევ ძველი ციხე მთაზე. როგორ მოგზაურობდა ჩიჩიკოვი? _ და ხლესტაკოვი? მე მგონია, ჩიჩიკოვიც და ხლესტაკოვიც გენიალური პირები იყვნენ.

_ ოსიაური. იქით მთის ძირას მიშენებული სოფლები. ჭერეხივით არ აყრია სახლები?! პირველს უკლია ხუთი წუთი. «სურამის გზა საითკენ არი? _ «ესრე წახვალ». ეს რა ციხეა? ნუთუ სურამის ციხე? სწორედ ისაა. აქ რომ წყალი დავლიე, ისეთი არსად არ დამილევია, რაღა! აქ ერთხელ საღამო გვქონდა.

_ იწყება ხეობა. საირმის გზასაცა ჰგავს. რაჭის გზასაც. საჩხერის გზასაც. ტყე. ტყე. ტყე. სუ მუხნარია. მშვიდობით, მხარევ პოეზიისა, სალამი, პროზა! ფერების სიმფონია. ტყისთანა სილამაზე არავითარ ბაღებს არ ექნება. ღმერთო, რა ტყეებია! გამოჩნდა კაკლის ხეები.

_ ხუნევი. იწყება ზემოიმერეთი. ტყეების ნაცვლად მთებზე შეფენილია ვაზები, შაბიამნის ფერით. ზვარი, ზვარი, ზვარი! ჩხერიმელაა? ჩხერიმელა! აი ბონდის ხიდიც.

_ მოლითი. წყალშიც გავცურეთ! ესეც შენი «Победа»! ხუთი წუთი უკლია სამს. წვიმა წამოვიდა. «აბა რავა გინდა, ვენახს არ უნდა გაგრილება?!». წვიმა ძლიერდება. «როდიდან შემოიღეს ეს მეგრული ქუდები იმერეთში? წინად არ იყო» _ «არა, იცოდენ წინადაც». მოლითის ერთ მთაზე ძველი ნანგრევია. კიდევ ერთი ძველი ეკლესია და დიდი კოშკი მოჩანს (პოემაში!).

_ წინ გრუზოვიკი მიდიოდა ფუტკრებისთვის დამზადებული სკებით დატვირთული. დიდხანს წინ ნელა მიდიოდა. მერე როგორც იქნა გაგვატარა. ამერ-იმერი. თბილისი-ქუთაისი. ორი ძველი სატახტო ქალაქი ამ მშვენიერ გზით ერთდებიან. მთის მდინარე რომ ქვებზე გადადის _ აი ისაა, რაცაა! «ჩატეხილი ხიდი» რომ ვნახე, მსგავსი არა მინახავს რა. პირველად გავიგონეთ ჭიჭინობელა.

_ «ქუთაისი შორს არის?» _ «კაი შორს არის!». ძირულა, ძირულა! (რისი ჩხერიმელა!). ეხლა კი მივედით და პირველად უნდა გადავჭრათ რკინის გზის ხაზი! «ქალბატონო, ქუთაისში აქეთ მიდის გზა?» _ «დიაღ, ბატონო, აქეთ მიდის» (იღიმება). აქ ერთდება ორი მდინარე. ძველი ციხე. შორაპანი. ესეც ზესტაფონი (4 საათია). პატარა ხიდი. მოგვატყუეს _ ხიდზე გავიგეთ. «აუ! აქეთ სად წამოსულხართ». _ გზაში გვითხრეს და დავბრუნდით.

_ ვაზი, ვაზი! რა სიმინდებია! (სულაც არა ჰგავს რუისის სიმინდსა).

_ აჰა, ქუთაისიც!

ქუთაისი ხშირად და ტკბილად ახსენდებოდა:

_ ეხლა ქუთაისი ყვავილების მორევში იქნება შთანთქმული.

კოლორიტული თეზისებიც მოუნიშნავს: ხუმრობა ქუთაისში. ქუთათური ქალები. გიჟები ქუთაისში. როდესაც დილით ვინმე ჩამოვა. მოსალოდნელი ტრამვაი. მემწვანილეები. მეეტლეები. «ლამაზი ქალი». ქრონიკიორი. მაშვალი...

ჯერ კიდევ 1916 წელს მისწერა ოლიას მოსკოვში ქუთაისიდან:

_ აქ ვგრძნობ მხოლოდ, რომ ღმერთი ვარ!

რასაც მოისმენდა და ყურს მოჰკრავდა, ქაღალდზე გადაჰქონდა:

«სახელგამში ვათვალიერებდი «ქართველ მწერალთა ანტოლოგიას»: იქ სამი ახალგაზრდა ჰკითხულობდენ გრიშაშვილის ლექსს.

_ ო, ეს მამაძაღლი! რა ნიჭიერია, რომ ეხლაც სწერდეს, _ სთქვა ერთმა.

_ გალაკტიონ ტაბიძე და მაგი, აი, ძმაო, _ დაუმატა მეორემ, _ პირველები არიან.

_ გალაკტიონ ტაბიძე მაგასთან სად მივა, _ შეაწყვეტინა მესამემ.

_ გალაკტიონ ტაბიძე ეხლა რომ სწერს, ისე კი არ სწერდა, _ სთქვა მეორემ...

მე არ შეუმჩნევივართ. საგულისხმო საუბარი კი იყო. დავიმახსოვნოთ!»

ეს «საგულისხმო საუბარი» ბათუმში მოუსმენია და ჩაუწერია 1936 წლის 25 სექტემბერს, ეს კი _ თბილისში _ 1945 წლის 26 ივნისს:

_ აი, ამ მაღაზიაში, _ მიმითითა დავით დონდუამ მაღაზიაზე, რომელიც ბერიას მოედანზეა, _ შემოვიდა ხანში შესული კაცი, მიჩვენეთ გალაკტიონის წიგნიო. უჩვენეს. ფასი იკითხა. ცოტა ეძვირა 100 მანეთი, რა ამბავიაო. მერე რომ გადაშალა, წაიკითხა პირველი ლექსი «ყველას რაიმე აქვს სახსოვარი», სახეზე აღელვება დაემჩნია, დაფიქრდა, ამოიოხრა, ჯიბისკენ ხელი წაიღო და სთქვა: «ასი კი არა, რამდენიმე ათასი მანეთი რომ ღირდეს, მაშინაც შევიძენდი ამ წიგნს, სწორედ ამ ლექსის გამოო». იყიდა და კმაყოფილი წავიდი.

იქვე მიუწერია:

_ არასდროს დამავიწყდება: სასახლის ქუჩიდან ტროლეიბუსისაკენ რომ კაცი მიდიოდა და ჩემს წიგნს კითხულობდა. ავტო კინაღამ დაეჯახა და გაიტანა.

სამი დღის შემდეგ კი:

_ დღეს სასტუმრო «ტფილისის» წინ რომ წიგნის მაღაზიაა, იქ გავიარე. ამ წიგნის მაღაზიაში ყველა მაღაზიაზე უკეთესად, თითქმის სადღესასწაულოდ იყო გამოფენილი ჩემი წიგნები, ერთ წყებად მთელ დარაბაზე. დღეს რომ გავიარე, წიგნები თაროზე _ გამოფენაზე აღარ იყო: უნდა გამოვტყდე, ზაფრა მეცა. კონფისკაცია ხომ არ უქნეს-მეთქი წიგნს ან რა ამბავია ასეთი-მეთქი. გამოირკვა რა: 50 წიგნი სულ გაუყიდიათ და უკანასკნელი 10 ცალი აბრიდან აუღიათ. ეს იყო და ეს.

1954 წლის 29 ოქტომბერს არასასიამოვნო კამათს შესწრებია საქალაქთაშორისო ტელეფონების სადგურში:

_ ერთი ხანში შესული მანდილოსანი ღელავდა: რამდენი ხანია ვუცდიო მოსკოვთან დალაპარაკებას, დაკავშირებას. არ იქნა და არა. მანდილოსანი ნერვიულობს. ხმამაღლა აცხადებს პროტესტს: ეს მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდესო. ასეთი უწესრიგობა მხოლოდ აქაა შესაძლებელიო. აბა ასეთ რამეს მოსკოვში თუ ექნება ადგილიო.

საქართველოს აუგად მოხსენიებამ ერთი ახალგაზრდა გააბრაზა:

_ საქართველო აქ არაფერ შუაშია. მოსკოვში კიდევ უფრო მეტი არეულობაა.

დავაში სხვებიც ჩაებმებიან. ეთანხმებიან ახალგაზრდას. აქებენ ლენინგრადს, ადარებენ მოსკოვს.

_ რითი დამთავრდა ეს კამათი არ ვიცი. დამიძახეს: სოხუმი _ მეცხრე კაბინაში!

საქალაქთაშორისოს მოსაცდელში თვითონაც ბევრჯერ შეყოვნებულა. 1957 წლის 4 ივნისს მოსკოვი შეუკვეთია. გამომცემლობაში რეკავდა იმ წიგნის გამო, მე რომ მაჩუქა. თავი რომ გაერთო, ახირებული სურვილი გასჩენია:

_ ვწერ თვალდახუჭული. ვნახოთ რა გამოვა. მაგრამ უნდა გამოვიდეს. სასაცილოა სასაცილოზე. ვეძახი მოსკოვს. მოსკოვი არ მპასუხობს. რატომ ნეტავი? ასეთია მოსკოვი. მისი [აქ სტრიქონი სტრიქონს ფარავს] დეევი და ხიტაროვა [დანარჩენი არ იკითხება] დიდი საიდუმლოებით მოცული ხალხია [აქაც სტრიქონი სტრიქონს ფარავს და ძნელად იკითხება]. რა უნდა ჰქონდეთ ჩემთან დასამალი.

პიროვნების ხატს წარმოიდგენდა ხმის მიხედვით:

_ ხმა ტელეფონში როგორ უნდა გამოიცნო? ტენორის ტემბრისაა... იმ კაცსაც მგონი სათვალეები უნდა ჰქონდეს.

ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებიც კი იპყრობდნენ მის ყურადღებას.

კიბის საფეხურები დაუთვლია აღმასკომის სართულებს შორის: 77.

ნაბიჯებით გაუზომავს მანძილი:

_ 175 шагов _ от клуба ремесленников до Михайловской больницы.

1957 წლის 1 ოქტომბერს აკადემიის სხდომას დასწრებია:

_ მაგიდაზე ორი გრაფინი წყალია და ცხრა ბოთლი ბორჯომი. ყველა დაცულია ჟესტის საცობებით.

აღსანიშნავი ფაქტია:

_ 1954. 2/III. გარდაიცვალა არკადი ფილიპეს ძე გოცირიძე, ჩემი ექიმი.

მაგრამ:

_ 1956. 26 ივნისი. ნავთლუღის აბანოებთან: ექიმი კეკელია ალექსანდრე დავინახე.

ეზოში გადაუხედავს:

_ ჩვენი ეზო წარმოადგენს დორეს ილუსტრაციას: ქალს გაუკიდნია ზეწრები და ქარი აფრიალებს მათ. ეხლა ქალს უნდა ჩამოხსნას ზეწრები, მაგრამ ძლიერ უძნელდება.

ქუჩისკენ შემობრუნებულა:

_ მარჯანიშვილის ქუჩაზე ყოველ ათ წუთში მიდიმოდის სამოცი ავტომანქანა. მაშასადამე _ საათში გაივლის ცხრაას სამოცი ავტომანქანა, ათ საათში კი 9 600 (ცხრა ათას ექვსასი) ავტომანქანა.

უკანვე მიბრუნებულა:

_ კოკისპირული წვიმა ასხამს ჩვენს უზარმაზარ სახლის ეზოში. ამ დროს შემოდის მომღერალი ქალი და მღერის.

ისევ ავტომანქანების სიმრავლით დაინტერესებულა და შეუქცევია თავი:

_ ერევნის მოედანზე ნახევარ საათში (სამიდან ოთხის ნახევრამდე) ჩაიარ-ჩამოიარა 200 ავტომ.

აღურიცხავს: ლენინის ორდენი NN 3024.

ტროლეიბუსის ბილეთის «ბედნიერი ნომერი» ჩაუწერია: 287941. საოცარია, რატომ უწოდებს ამ ნომერს ბედნიერს «უცნაურ ვარსკვლავზე დაბადებული?» იქნებ იმიტომ, არცერთი ციფრი რომ არ მეორდება?!

ამგვარი ჩანაწერები ბევრია. ეს ჩანაწერები განუყრელი მეგობრებივით თან ახლდნენ ყველგან: განწყობილებათა დაფიქსირების უკეთეს მაგალითს კაცი ვერ ინატრებს. შეეძლო მთელი ეს მასალა შეეკრიბა და ის სამი სიტყვა წაეწერა, მარტო სათაურად ჩანიშნული რომ დარჩა თუ დაგვიტოვა: «ჩემს მომავალ ბიოგრაფს». არ უჯერებდნენ, თორემ ამბობდა კიდეც: ათ ტომად მაქვს დაწერილი ჩემი ცხოვრებაო.

ერთი ავტობიოგრაფია ამ სიტყვებით დაასრულა:

_ მე მქონდა ძალიან კარგი, უდარდელი ბავშობა.

1958 წლის 26 იანვარს კი ასე «თარგმნა» და იკითხა:

_ Почему же у меня было такое ужасное детство?!

ასეთი წინააღმდეგობებითაა აღსავსე ჩანაწერები და დღიურები, პოეტის ცხოვრებასავით დაულაგებელი და ფრაგმენტული, ზოგჯერ ჭეშმარიტი პოეზიისა და პროზის დონეზე ამაღლებული, უამრავი შეკითხვებითა და მოლოდინებით დამუხტული, დაეჭვებული და დამფრთხალი, ხანდახან ზედმეტად აღტაცებული, ალაგ-ალაგ უკიდურესად უიმედო:

_ მე გახლავართ გალაკტიონ ტაბიძე!

_ რამდენ ძალასა ვგრძნობ, რამდენ ნიჭს, რამდენ ღირსებას ჩემში: არტისტიულს, შვენიერს, უსათუოდ შვენიერს... მახალისებს ყოველივე. მე გავიმარჯვებ. ჩემი დიდება აუცილებელია. ჩემი შუქმოსილი ბრწყინვალება დააბნელებს ირგვლივ ყველაფერს. ეს აუცილებელი მოვლენა და დღე იქნება მალე, ძალიან მალე.

_ ყოველივე ეს მაძლევს ძალას ბრძოლისათვის. მე გავიმარჯვებ. მე გავიმარჯვებ და ეს იქნება ძალიან მალე. ამ დღიურის ფურცლებზე ჩაიწერება ამ საარაკო გამარჯვების ამბავი.

_ ეხლა მე ვიცი, დაპყრობილი პოზიციების გამაგრება როგორ უნდა. რათაც არ უნდა დაჯდეს, უნდა ავალაპარაკო ყველა ჩემს პოეტურ მიღწევებზე, რომელთაც მარხავენ.

_ იდეოლოგიური ფრონტი რყევაშია. მე უნდა წამართვან ჩემი მიღწევები და სხვას მიაკუთვნონ, _ და ეს გამომჟღავნებული უნდა იქნას თანდათან, მაგრამ დაჟინებით. ამაოდ ჰგონიათ, რომ მე _ ჩემს მიღწევებს _ სხვებს დავუთმობ.

_ ყოველივე ეს დღესავით ნათელია, მაგრამ ვიღაცას სურს დააბნელოს, ქვეყანა ჩალით დახურული ჰგონია. მაგრამ შუბი ხალთაში არ დაიმალება, სიმართლე თავის გზას არ დაკარგავს.

_ საქმემ იგრიალა, საქმემ კი არა ლექსმა, ჩემმა ლექსმა! თუ ხალხმა შეგიყვარა... მაშინ... მაშინ... _ ხალხს ვერასოდეს თვალს ვერ აუბამ.

_ სალამი ჩემს ბრწყინვალე მომავალს. მე მასში ოდნავი ეჭვიც კი არ მეპარება.

_ შეხედე, გალაკტიონ: საქართველოს ყოველ კუთხეში იპოვი ნანგრევებს წარსულისას, ნაშთს სიხარულისას, მხოლოდ სიმშვიდესა და მოსვენებას ვერ იპოვი ვერსად.

_ ხომ არაფერი ესმის ზღვას, ისიც კი მიხვდა ჩემს ხასიათს, და რაკი მიხვდა, კიდეც დამშვიდდა.

_ ნელნელა ყველაფერი შეიძლება გამოსწორდეს... სიბნელეში მოსჩანს რაღაცა ვარსკვლავის მსგავსი, რომელიც ხან დაიფარება, ხან კიდევ გამოჩნდება... «ისეთი ამინდია ეხლა საქართველოშიო, _ სთქვა ვიღაცამ მწერალთა კავშირში, _ ყოველნაირი მცენარის აღმოცენებას უნდა მოველოდეთო».

_ მაგრამ ვნახოთ, ვნახოთ, პატივცემულნო პიროვნებანო, ვინ უფრო მაღლა დგას: თქვენ ყველანი თუ გალაკტიონი. შიშით, მადლობა ღმერთს, თქვენი მე არ მეშინია. შიშით, მადლობა ღმერთს, თქვენ უფრო გეშინიათ ჩემი. თქვენ ჩემი გეშინიათ. გეშინიათ და გეშინიათ და იმიტომ, ორგანიზებულად, ოჯახური ტემპით არა? არც ამისი მეშინია, იცოდეთ. თქვენ ამას შესანიშნავად ნახავთ.

_ ადამიანები, რომლებიც ჩვენს გარს არიან, უნდა დავიხმაროთ, ავამოძრაოთ. აუ! რამდენია! ვინ დათვლის! ჩვენ კი... არა ვართ მზად! ვეძებოთ, ვეძებოთ, ვეძებოთ აკტიური ადამიანები!!! _ რკინის მკვნეტელი ბიჭებია საჭირო.

_ ვითომ დავსუსტდი? ძირს პესიმიზმი!

_ არ ვიცი ისევ შემიყვარებენ თუ არა, ვიქნები მე საქართველოსათვის იგივე გალაკტიონი, როგორიც ვიყავი ოდესმე?

_ ენერგია არასგზით არ უნდა შესუსტდეს!!! აფრები აშვებულია! ხომალდი მიცურავს.

_ "Мы ещё повоюем!" _ Нужно дойти до Клондайка!

სიკვდილის შემდეგ დაიწერა და გამოქვეყნდა მოგონებები, კრებულები, ცალკეული წიგნები, ცხოვრების ქრონიკები, მონოგრაფიები... კითხულობ და გიკვირს: ყოველი მოგონება შემთხვევით შეხვედრაზე მოგვითხრობს, თვით ოფიციალური შეხვედრებიც სახელდახელო ხასიათისაა. არცერთი საქმიანი დიალოგი, სერიოზული ინტერვიუ, სტუმრობა ან მიწვევა... თითქოს მისთვის არავის ეცალა, თავი არავინ შეიწუხა, არავინ დაინტერესდა, არ შეეხმიანა, არ გამოიწვია... მოგონება და გახსენება ყოველთვის ვერ იქნება სარწმუნო, მეხსიერება ზუსტად ვერ აღადგენს წარსულს, ზოგი ფაქტი და მოვლენა შეიძლება შეგნებულადაც იყოს შელამაზებული. თუ არც იმას დავივიწყებთ, რომ ნაცნობებს გაურბოდა და ბოლომდე გულღია და გულწრფელი თითქმის არავისთან ყოფილა, _ მისი ჩანაწერები უფრო ძვირად უნდა შეფასდეს და დაფასდეს.

ჩანაწერების უმეტესობა ოციანი წლების შემდგომი პერიოდისაა. იგივე ითქმის ლექსთა ავტოგრაფებზეც. ოციანი წლების დასაწყისში თვითონ დაწვა თავისი ხელნაწერები. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა მდიდარი და საინტერესო მასალა განადგურდა:

_ დავკარგე, გავანადგურე ყველაფერი, რაც მიწერია ბავშობიდანვე... არასდროს არ მიგრძვნია რაიმე მსგავსი გრძნობა: განვიცდი ამის გამო დიდ მარტოობას: თითქო მომკვდარიყოს ჩემი სიყმაწვილე, მთელი ჩემი სიყმაწვილე: მრავალი გათენებული ღამეები, მრავალი გრძნობები სიხარულისა... ჩემი დღიურები, ჩემი ლექსები... ვერასდროს, ვერასდროს, ვერასდროს მათ ვეღარ ვნახავ... გაჰქრა წარსული: ჩემი გული, ჩემი იმედი მომავალისა. ეხლა მეშინია იმაზე ფიქრი, თუ რა მომელის მე მომავალში. ვინ დამიჭერს მხარს? ვინ მომცემს ხელს? არ ვიცი. დიდი, დიდი, დიდი მწუხარებაა. გალაკტიონ ტაბიძე აღარ არის! გაუმარჯოს გალაკტიონ ტაბიძეს!..

მეფე მოკვდა! გაუმარჯოს მეფეს! _ ლამაზი ანალოგიაა, მაგრამ, ცხადია, მწარედ და გულწრფელად ნანობს, და ალბათ ნახევრად მადლობლები მაინც უნდა ვიყოთ განგებისა, რომ იგივე არ გაიმეორა.

_ ვესალმები და ვეამბორები ტკბილსურნელოვან შენს ხელნაწერებს! მე მათ ვხედავ, ვხედავ. ეხლა ისინი შემომცქერიან, მაგრამ როგორ? მე თქვენ ძალიან მიყვარხართ, თუნდაც გამინაწყენდეთ. _ ეს უკვე ოლიას სიტყვებია, შორიდან, ძალიან შორიდან მოწერილი: კარგად იცოდა, რასაც წერდა და ვისაც სწერდა.

ხელნაწერებს თვითონაც თვალისჩინივით უფრთხილდებოდა: 1941 წლის 9 დეკემბერს ვინმე ბართლომე პატარაიას ვაჟას უბის წიგნაკი უჩვენებია და გული სტკენია:

_ შვილმა თუ ეს უბის წიგნაკი მისცა, ის შვილი აღარაა ღირსი ვაჟას შვილობისა, მაგრამ მე მგონია ეს უბის წიგნი სხვაგანაა შეძენილი.

ლექსიც დაუწერია: «სხვის უბეში შენი უბის წიგნი, ხელნაწერი _ მე ვიცანი _ ვაჟა»...

მრავალფეროვანია ჩანაწერების თემატიკა, გეოგრაფია, ფორმა: ვრცელი მასალები, დღიურები, თარგმანები, ციტატები, შენიშვნები... ყოველდღიური გეგმები, უმნიშვნელო წვრილმანები, მნიშვნელოვანი მოვლენები, მისამართები, ტელეფონის ნომრები, სიები, აფიშებისა და მოსაწვევი ბარათების ტექსტები, მინდობილობის, ხელშეკრულებისა და ხელწერილების ასლები, აღდგენილი საუბრები, სხვათა მონათხრობები, ყურმოკრული დიალოგები, მოგონებები, მოგონებათა გეგმები, ავტობიოგრაფიები, ავტორეცენზიები, ავტორეკომენდაციები, ავტორეკლამები და კიდევ მრავალი ავტო... განმარტებანი, ლექსები, ვარიანტები, ეპიგრამები, ფუნაგორიები, ესკიზები, მოთხრობები, პიესები, ცალკეული სტრიქონები, სტროფები, რითმები, რითმები: წინასწარ გამზადებულები, სხვათაშორის ჩანიშნულები... მოძღვნილი ლექსები, ადრესები, ნახატები, პროექტები, ნუსხები, სქემები, ცხრილები... უშუალო შთაბეჭდილებანი, აღტაცებანი, შეკითხვები, ვარაუდები, ეჭვები, ეჭვები, ეჭვები... კითხვის ნიშნები და ძახილის ნიშნები, შორისდებულები, მხოლოდ სახელები, მარტო სათაურები, დანომრილი თეზისები: ვის რა უნდა უთხრას, როგორ და როდის უნდა უთხრას, ვის უნდა დაურეკოს, რატომ უნდა დაურეკოს, ვისთან უნდა მივიდეს და როდის უნდა მივიდეს... რა უნდა შეიძინოს, როგორ უნდა ილაპარაკოს, რა არ უნდა თქვას, რა არ უნდა დაავიწყდეს...

_ დავიმახსოვნოთ! _ არ დამავიწყდეს! _ რომ არ დამავიწყდეს! _ არ დაგავიწყდეს! _ არ დავივიწყოთ! _ დავიმახსოვნოთ ეს ამბავი! _ ეს უნდა დავიმახსოვნოთ! _ Помни, помни, помни!

_ ერთი ლექსის საღამოს გახსნილად ვაცხადებ... ერთი ლექსის საღამოს დახურულად ვაცხადებ, _ ესეც კი წინასწარ ჩაუწერია.

_ არ იქნება მზიანი დღე გამოვიდეს და ქარი თან არ ამოყვეს, _ სამკურნალო კომბინატის შვეიცარისაგან გაუგონია და მაგიდის კალენდარზე მიუწერია 1945 წლის 23 მარტს.

ხელი გაუვარჯიშებია და ფოსტის მოხელის ფაქსიმილესათვის მიუმსგავსებია, შვიდჯერ იმეორებს მოწონებულ ნახატ-ხელმოწერას:

_ ფოსტის მოხელე, ერთი იმ მრავალთაგანი, რომელიც ჩვეულებრივად ქაღალდებს ასე აწერს ხელს.

სხვათა და სხვათა ხელმოწერებს გრაფოლოგივით თუ ქირომანტივით აკვირდებოდა:

_ მოაწერდა ხელს შარაბიძე ბავშვებისათვის რაღაც უცნაურად, ჩემთვის კი ძლიერ გასაგებად. შარაბი-ძე: ამ ძეს ქვევით გაჰკრავდა სწრაფად, ჯერ ერთი, მერე მეორე ხაზით მოუხვევდა, მერე კიდევ მესამე ხაზს მიამატებდა: ეს იყო ნოტის ხაზები და ამ ხაზებზე

ისე სწრაფად და ლამაზად გაიყვანდა ნოტების გასაღებს, რომ გაოცებას ვეძლეოდი. ჩემს მეტს არავის ყურადღება არ მიუქცევია ამ მომენტისათვის. თითქო ჩვეულებრივი ხელმოწერაა: მაგრამ ამ ხელმოწერაში ჩართული იყო სპეციფიკა მუსიკის, პროფესიონალობა ხელისმომწერის: სიმღერის მასწავლებლის. როდესაც ამის შესახებ ვუთხარი ვიქტორს, მან სთქვა:

_ ეს ჩემი საიდუმლო იყო, მეგონა ვერავინ მიხვდებოდაო.

იწერდა და ინახავდა ყოველგვარ წვრილმანს: ვთქვათ, ბანქოს თამაშის ერთგვარ წესს ან ყოველდღიურ (დილა-საღამოს) ტემპერატურის ცხრილს 1945 წლის 19 მარტიდან 24 აპრილამდე (ამ დღეებში სამკურნალო კომბინატში იწვა):

19/III. _ 36,8	7/IV. 37,0 _ 36,8
20/III. 36,7 _ 37,3	8/IV. 36,6 _ 36,8
21/III. 36,8 _ 37,4	9/IV. 36,5 _ 36,6
22/III. 37,1 _ 36,8	10/IV. 36,8 _ 37,0
23/III. 38,8 _ 36,4	11/IV. 36,8 _ 37,0
24/III. 36,8 _ 37,0	12/IV. 36,8 _ 37,0
25/III. 36,7 _ 37,0	13/IV. 36,5 _ 36,9
26/III. 37,2 _ 37,3	14/IV. 36,8 _ 38,9
27/III. 36,4 _ 36,9	15/IV. 36,3 _ 37,1
28/III. 36,3 _ 37,2	16/IV. 36,6 _ 37,3
29/III. 36,7 _ 36,0	17/IV. 36,6 _ 36,6
30/III. 36,8 _ 36,8	18/IV. 36,4 _ 36,7
31/III. 36,7 _ 37,4	19/IV. 36,4 _ 36,7
1/IV. 36,6 _ 36,8	20/IV. 36,6 _ 36,6
2/IV. 36,3 _ 36,8	21/IV. 36,6 _ 36,3
3/IV. 36,6 _ 37,0	22/IV. 36,6 _ 36,8
4/IV. 36,2 _ 36,8	23/IV. 36,4 _ 37,2
5/IV. 36,7 _ 37,2	24/IV. 36,4 _
6/IV. 37,2 _ 37,0	

1947 წლის 31 მარტიდან 1 ივნისამდე რვაჯერ შეუმოწმებია საკუთარი წონა:

31 მარტს _ 84 კილო (5 ფუთი და 4 გირვანქა).
8 აპრილს _ 86კ. 800.
17 აპრილს _ 86კ. 800.
25 აპრილს _ 86კ. 250 გრ.
11 მაისს (კოჯორში) 89კ. 100 გრ.
13 მაისს _ 89კ. 500 (6ფ. 2კ. 500) გრ.
25 მაისს _ 89კ.
1 ივნისს _ 89კ. 500გრ.

წნევამ რაღა დააშავა:

_ 1945 წლის 7 აპრილი. სისხლის წნევა დღეს: 150 (იყო ორასი), მინიმუმი _ 90. ვაშა!

1946 წელს კარდიოგრამის კლაკნილი ამოუხაზავს:

_ აი, როგორ სცემს ჩემი გული.

შეუნახავს ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტები და წამლებზე მოხეული რეცეპტების ასლები, ანალიზის ფურცლები, ბიულეტენები, ავადმყოფობის ისტორიები: 1950 წლის მაისში ბოლნისში ფეხი მოუტეხია _ მარცხენა ფეხის ორივე კოჭის მოტეხილობა. თაბაშირში ჩაუსვეს. 21 მაისიდან 21 ივნისამდე _ მთელი თვე საავადმყოფოში გაუტარებია.

გადაუნახავს აგრეთვე დაზღვევის ფურცლები, შემსალაროს წიგნაკები, პირადობის მოწმობები, პროდუქტების ტალონები, მშენებლობისათვის შეძენილი მასალების ქვითრები, სახლის პროექტები და დოკუმენტაცია.

დაუზუსტებია:

_ სია იმ პირთა, რომელთაც სურთ შეიძინონ გალაკტიონ ტაბიძის ნაწერების შვიდი ტომი.

_ აი სია მწერალთა კავშირის წევრებისა, რომელთაც ასე თუ ისე გამოთქმული აქვთ თავიანთი აზრი ჩემ შესახებ. _ ჩამოთვლილია 49 მწერალი.

_ აი სია იმ მწერლების, რომლებიც შეგნებულად გაურბიან სიტყვის თქმას, ან ორაზროვნად საუბრობენ. _ ამ სიაში 57 გვარი შეუტანია და გაუგრძელებია:

_ აი სია იმ მწერლების, რომელთა სიტყვას ექნებოდა მნიშვნელობა, მაგრამ არ აქვთ საშუალება სთქვან. _ აქ მხოლოდ 14 მწერალია დასახელებული.

კვლავ 14 გვარი გაუალფაბეტებია _ «ოდნავ საიმედონი» და 15 _ «ნეიტრალურნი».

«უპარტიოებია?» _ დაუსათაურებია შეკითხვა და 48 გვარი მიუწერია. ამას მოსდევს _ «პარტიულები». ამათი რაოდენობა ცოტა ნაკლებია: ორმოცამდე. თვითონ პირველთა რიცხვს ეკუთვნოდა და ამ ფაქტს ხშირად არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა:

_ რას ნიშნავს: კაცი არ ვყოფილვარ, თუ მაგ წიგნი გამოვიდეს ქართულ ენაზეო? აშინებს უპარტიოებს. იმუქრება... უპარტიო მასებში უკმაყოფილება რათ არის, ეხლა მესმის.

დაინტერესებულა:

_ ფეხსაცმლის მკერავმა ჩემი ფეხსაცმელის ქუსლში ორი ტყვია იპოვა, ჩარჩენილი ჯერ ისევ იმპერიალისტური ომიდან (საინტერესოა, შეიძლება თუ არა გასძლოს ფეხსაცმელმა და მისმა ქუსლმა 17-19 წელს. უნდა ვიკითხო).

აღმოჩენის ნიჭი ფეხსაცმლის არა მარტო მკერავს აღმოაჩნდა:

_ სასტუმრო «ტფილისის» წინ ფეხსაცმლის მწმენდელს ვაწმენდინებ ფეხსაცმელს. ის ჯერ მიმხმარ ტალახს იღებს ფეხსაცმლიდან.

_ რაიონული ტალახია, _ ჩაილაპარაკა მან და ამომხედა მის სკამზე მჯდომარეს: _ უსათუოდ რაიონული ტალახია.

_ წყნეთიდანაა.

ბლოკნოტი შეურჩევია: ჩაწერილია _ ვინ დარეკა, როდის და რა მიზნით დარეკა. სპეციალური ჩანაწერებიცაა: ტელეფონით რაც უნდა ეთქვა, წინასწარ წერდა:

_ თქვენ ხომ არ იცით, სად შეიძლება იშოვოს კაცმა ეს წამალი. ერთი ნაცნობისთვის მჭირდება. წერილი მომწერა, რომ ვერ იშოვა ვერსად და მთხოვს, რომ თბილისიდან ჩავუტანო.

ნდობით აღჭურვილ პირს სატელეფონო საუბრის ტექსტი გაუმზადა და იქვე სათადარიგო შეკითხვებით აღჭურვა:

_ 3-36-03. ბუღალტერიას. გელაპარაკებით გალაკტიონ ტაბიძის სახელით. იგი გატყობინებთ: ვიმყოფები ბათუმში _ ფრიად საჭირო საქმეზე. გთხოვთ სასწრაფოდ (დღესვე) ტელეგრაფით გადმომიგზავნოთ კუთვნილი ხელფასი. ჩვენი მისამართი: ბათუმი. მარქსის №45. სასტუმრო «პირველი მაისი». _ კითხვები: 1. როდის გამოგზავნით? 2. ხომ უსათუოდ (აუცილებელია)? 3. გამიმეორეთ მისამართი. 4. ვინ ლაპარაკობთ ტელეფონთან?

დროსაც ჩაინიშნავდა ხოლმე:

_ საღამოს დარეკეთ, ასე 10 საათის შემდეგო, _ მითხრა მდივანის მდივანის მდივანმა.

პირად კომენტარებს ფრჩხილებს შორის ათავსებდა:

_ (ჩემმა სახელმა და გვარმა მგონი ვერაფერი უთხრა მინისტრთა მდივანს).

_ ვინა ხარ, ეროდიონი? _ გამარჯობა თქვენი! _ რაშია საქმე? (მედიდურად, ხმაზე არ იმჩნევს). _ ეროდიონ, თქვენ ხომ არა გაქვთ ბილეთები არაყიშვილის იუბილეზე? (დუმილი. მან ტელეფონი დადვა. ტელეფონი წვრილად ხმაურობს. ეხლა ვიცი რაშია საქმე!!! ამას მას გავუხსენებ).

ტელეფონით ნასაუბრევ ტექსტსაც იმახსოვრებდა. 1941 წლის 2 მარტს აღუდგენია _ «საუბარი პრ. ნათაძესთან ტელეფონით 3-44-98»:

_ მე წავიკითხე თქვენი წერილი გაზეთში. გთხოვთ მიპასუხოთ, რითი შეიძლება შეიცვალოს ვიტამინი C?.. აჰ, ასკილის ნაყოფით... ჯერ უნდა გასუფთავდეს, არა? ასკილში რომ კურკებია, ისინი უნდა დარჩენ, თუ?.. აჰა... უნდა მოიხარშოს და ისე... სადილობამდე და ნასადილევს _ უნდა მიიღოს ავადმყოფმა? აჰა, სადილამდე... გმადლობთ, უკაცრავად. დიდი ბოდიში შეწუხებისათვის. ვინ ლაპარაკობს?! კერძო ბინიდან: თქვენ ვერ მიცნობთ. ბოდიში. გმადლობთ.

სიზმრებსაც აღადგენდა და აღრიცხავდა და კომენტარსაც ურთავდა (თუმცა შეიძლება ამ სიზმრის ახსნა ოლიას ეკუთვნოდეს, რაკი რუსულ ენაზეა მიწერილი).

_ მე ვნახე საოცარი სიზმარი 1 ენკენისთვეს ღამით, შემოდგომის დასაწყისში. ეს იყო დიდი ოთახი წიგნებით სავსე. Если верить снам, этот сон безусловно что-то предсказывает _ хорошее.

კერძო პირთა მისამართებს იშვიათად იწერდა მარტოსული:

_ ნიკო სამადაშვილი, გაბაშვილის ქ. N4. 20 თებერვალი. ესკიზი. _ 1958 წლის 17 იანვრის ლიტერატურული გაზეთის არეზე მიუწერია იმავე წელს. სხვა დროს უფრო დაუზუსტებია: _ ნიკო სამადაშვილი, გაბაშვილის N 4 (მოსკოვის ქუჩიდან), ზემმელთან.

_ ირაკლი ტატიშვილი, პეტრე დიდის ქუჩა, 26, მარცხენა კარები.

საკუთარსაც მიუთითებდა.

_ ტფილისი. კრილოვის ქუჩა N10. მე-3 სართული, ეზოდან მარცხნივ. გალაკტიონ ტაბიძე.

_ გალაკტიონ ვასილის-ძე ტაბიძე, მარჯანიშვილის ქ. N 4 (მეორე სართული), ტელეფ. 3-30-55.

შეთანხმებულ პაემანს წერილობით აფორმებდა:

_ ვხვდებით ერთმანეთს მწერალთა სასახლეში 23 თებერვალს დილის 12 საათზე. 1957წ. 18 თებერვალი. გალაკტიონ ტაბიძე. შოთა ლომსაძე.

შეხვედრილან და მეორე რაუნდი დაუნიშნავთ:

_ ვხვდებით ერთმანეთს მწერალთა სასახლეში 9 აპრილის დილის 12 საათზე. 1957. 23 თებერვალი. გ. ტაბიძე. შ. ლომსაძე.

მოუბოდიშებია:

_ ძვირფასო ოლია, დიდი ბოდიში, რომ ამდენ ხანს წერილი ვერ მოგწერე, მიუხედავად იმისა, რომ დაგპირდი.

_ Ольга Юрьевна! Был _ не застал Вас. К обеду не могу притти. И до 9 часов вечера _ не могу быть дома на ул. Жореса.

_ Тов. Серебряков! Простите, иду по очень срочному делу, но с 12 часов я дома, жду. Г. Табидзе.

ერთხელ კიდვე მოუბოდიშებია:

_ «ქობულეთელი კოლმეურნის» რედაქტორს. თანახმად თქვენი მომართვისა _ გიგზავნით რამდენიმე ტაეპიან ლექსს თქვენი გაზეთისათვის. დიდ ბოდიშს კი ვიხდი და თავს ძლიერ უხერხულად ვგრძნობ, რომ ასეთი მცირე ლექსი შეგკადრეთ, მაგრამ მეტი არა მქონდა. თუ გამოგადგებათ, დაბეჭდეთ, თუ არ გამოგადგეთ, ნუ დაბეჭდავთ. ჰონორარზე ნუ შესწუხდებით. შემდეგისათვის მზად ვარ გემსახუროთ, რითაც კი შემეძლება.

განცხადების ასლს იტოვებდა. პირადი წერილების შავსაც ინახავდა, პირად წერილებსაც, დეპეშებსაც, გაგზავნილი დეპეშების ქვითრებსაც.

_ Тобаниери. Кут. уч. Абесалому Табидзе. Сообщите здоровье матери Вашей. Галактион.

_ Москва. Закпредставительство. Прошу сообщить, где и как вызванный Вами поэт-орденоносец Галактион Табидзе. Нет вестей. Беспокоимся. Ольга Табидзе.

_ Карасубазара 83. Тифлис. Крыловская 10. Табидзе. Триста получила. Устрой приезд. Целую. Оля.

_ თბილისი. პასკევიჩის 9. ოლია ოკუჯავას. ტობანიერიდან. სალამი. გალაკტიონი კარგადაა. ორ კვირაში ჩამოვა. აბესალომ.

_ თბილისი. კრილოვის ქ. 10. გალაკტიონ ტაბიძეს. დედა ძალიან ავადაა. ჩამოდი. ტატიანა.

_ ტფილისის მეცნიერებათა აკადემია. აკადემიის ბუღალტერიას. გთხოვთ ტელეგრაფით დღესვე გამომიგზავნოთ ხელფასი მისამართით _ სოხუმი, სასტუმრო «აფხაზეთი». გალაკტიონ ტაბიძეს.

_ თბილისი. ოპერის თეატრი. იუბილარ გალაკტიონ ტაბიძეს. სამტრედიიდან. გილოცავთ ოცდახუთი წლის თავს. ბავშობიდანვე გიყვარდა პოეზია და მშობლები. აწიც გექნება შენ გულში სიყვარული. იყავი ჯანმრთელად, ჩემო კარგო. დედა.

_ თბილისი. ოპერის თეატრი. იუბილარ გალაკტიონ ტაბიძეს. ქუთაისიდან.

სავსე ხურჯინით მოვდივარ, ნურც შენ გამიშვებ ცარიელს,
ამივსე შენი წიგნებით, იცოცხლე მრავალჟამიერ!

დავით მხეიძე. 29.XII.58.

მოძღვნილი ლექსები ბლომად შეუგროვებია:

_ მონახულ იქნას მირზა გელოვანის ლექსი.

_ ბოგდანოვსკის მივეცი მირზა გელოვანის ლექსი და 20 მანეთი _ ფული _ ბაჯაღლო.

_ ახალგაზრდა, ძალიან ნიჭიერი პოეტი მირზა გელოვანი იყო ჩემი პატრიოტი. მირზა გელოვანი წაიყვანეს ფრონტზე (ძალიან სუსტი აგებულების ახალგაზრდა იყოო _ ამბობენ, მე პირადათ არ ვიცნობდი). ფრონტიდან მან გამოგზავნა ჩემდამი მოძღვნილი შესანიშნავი ლექსი. ეს იყო უკანასკნელი ლექსი. მირზა გელოვანი ფრონტზე დაიღუპა: და სულ ადვილი იყო მისი გადარჩენა: ის არავითარი ფრონტზე გასაგზავნი კაცი არ იყო.

ტერენტი გრანელის ორი ლექსი აღუდგენია მეხსიერებით, ერთი _ მოძღვნილი.

იეთიმ გურჯს თავისი ხელით ჩაუწერია რამდენიმე ლექსი გალაკტიონის ბლოკნოტში, პირველი ეძღვნება _ «ძვირფას მგოსანს გ. ტაბიძეს».

დამახასიათებელი მომენტი დაუჭერია:

_ ჩემი ძმა, ამხანაგი, მეგობარი, დედა, მამა, ნათლია _ სულ ეგ არი მხოლოდ, _ გაიშვირა ეთიმმა ხელი ხელადისაკენ.

ნაჩუქარი წიგნების წარწერებიც გადმოუწერია:

_ გალაკტიონ ტაბიძეს _ სინდისს ქართული მწერლობისას... ილია ზურაბიშვილი.

_ ჩემ შვილად საგულებელ გალაკტიონ ტაბიძეს ვუძღვნი გამარჯობას, დღეგრძელობას და მადლობას. ეკატერინე გაბაშვილისა.

_ Галактиону Табидзе, поэту с легендарной славой. М. Горький.

_ სულით და გულით!!! ჩემს ოლიას! ადამიანს ამ სიტყვის უაღრესი მნიშვნელობით, ჩემთა ხეტიალთა თანამგზავრს. ტფილისი. 29 მარტი. 1934.

არქივში მრავალი ნაჩუქარი საავტორო ეგზემპლარია:

_ ძვირფას არიფს გალაკტიონ ტაბიძეს _ ავტორი მ. ჯავახიშვილი. 7 V-27.

_ Поэту Галактиону Табидзе _ от всего сердца на память о нашей встрече в Париже. Илья Эренбург. 1935.

სხვათა სიტყვებიც ჩაუწერია და ზოგჯერ წინწკლებში ჩაუსვამს:

_ «გალაკტიონის ლექსს ნაჯახით რომ მიადგე, ნაფოტსაც ვერ ჩამოაცლით».

_ «მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მწერლობას სამართლიანად ეწოდა გალაკტიონის ეპოქა».

_ «გ. ტაბიძის შესწავლის გარეშე _ ხეირიანად ვერ იქნება შეფასებული ქართული თარგმანები».

სხვისი ხელით ჩაწერილებიც გვხვდება:

_ არ დაგავიწყდეს, რომ შენ ხარ გალა. ვალერიან გუნია. 23/III. 1930. დედაქალაქი.

_ 1946.11.II გალაკტიონის დავალებით გადაიწერა:

სიყვარული მე მენება, სიძულვილი მათ ენება,
და უეცრად ასე თავზე წამოგვადგა გათენება.

პირობის ასეთი ტექსტიც შეუნახავს (ძმის ხელით დაწერილი და თავისი ხელმოწერიით დადასტურებული):

_ მე, გალაკტიონ ტაბიძე, საქართველოს სახალხო პოეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ვდებ ჩემს ძმასთან აბესალომ ტაბიძესთან პირობას: 1. 1946წ. 30 ივნისს წამოვალ სოფელში. 2. ჩამოვიტან ხელნაწერებს, რომლებსაც დავამუშავებ. 3. დავწერ წიგნს და წარვუდგენ აფხაზეთს. ხელს ვაწერთ: აბესალომ ტაბიძე, გალაკტიონ ტაბიძე. 1946 წ. 16 ივნისი.

თუმცა თავსაც იმართლებდა, საკმაოდ გულუბრყვილოდ:

_ მშვენიერია ჩემი სოფელი, მარა რა? ყველა შრომობს და მე იქ დასვენების მრცხვენია. რაა კიკოსავით დავჯდე. იქ იმ დროს ქურდებსაც კი რცხვენიათ ქურდობა.

ეს დაეჭვებული დედის პირველი წერილი უნდა იყოს, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის 16 წლის მოწაფემ რომ წაიკითხა:

_ ფიქრიდან განუშორებელო შვილო ჩემო გალაკტიონ! შენ რაკი ჩემთან იყავი მოჩოული და მე შენთან, და ეხლა მოშორებული მყავხარ, _ თუ ივარგებ არ მგონია... ბიძაშენმა ასე თქვა, გაანებოს იმან სხვა ქაღალდების კითხვას თავიო.

ეს კი _ მონატრებულზე მონატრებულის სამდურავია:

_ ყოველ მინუტში ტკბილათ საგონო და სანახავათ სანატრელო შვილო ჩემო, გალაკტიონ!.. მელევა სული, შე უღმერთო, რამდენი ხანია არ მინახივხარ!

დედა და ძმა უყურადღებობას საყვედურობდნენ, სამართლიანად საყვედურობდნენ, სოფელში იწვევდნენ, წერილებს სთხოვდნენ. ეს ხარვეზი იმდენად შესამჩნევი ყოფილა, რომ გალაკტიონის ერთი ახლობელი მწერალი პასუხობს გალაკტიონის დედას _ გალაკტიონის მაგიერ:

_ ქალბატონო მაკინე! მე, გალაკტიონის ძმამ და მეგობარმა, წავიკითხე თქვენი კარგი წერილი გალაკტიონთან. არ დავფარავ, ვიჯექით სუფრაზე და ორივემ ვიგრძენით ის დიდი დანაშაული, რაც ორივემ დავიმსახურეთ: გალაკტიონმა, როგორც შვილმა განდეგილმა და მე, როგორც მისმა პატივისმცემელმა და ძმამ. ჩვენ ორივეს უნდა გვეგრძნო თქვენი კარგი ამაგი და ქალობა. სამწუხაროც ის არის, რომ გულწრფელ გრძნობას ვერ გამოთქვამ. რა საჭიროა იმის თქმა, რომ ორივე დიდი ხანია, რაც ვგრძნობთ დიდ დანაშაულს თქვენს წინაშე... გალაკტიონს თქვენ დიდად უყვარხართ, ეს უნდა დაიჯეროთ. რა მისი ბრალია, რომ ვერ გაგიწიათ შესაფერისი მეგობრობა და შვილობა. მე ვიცი, რომ თქვენ მიხვდებით, თუ რა ძნელია იყო ამ უსინდისო დროში პოეტი... გალაკტიონს დიდი ვალი აქვს. ასრულებს ისე, როგორც თქვენ შეასრულეთ ვალი შვილის წინაშე... თქვენი მეორე შვილი ვანო იოსელიანი.

ეს ის ვანო იოსელიანია, რომელსაც დიდად აფასებდა და ნანობდა კიდეც, რომ ვერ დაუმეგობრდა:

_ მე ვერასოდეს ვერ გადავიხდი მის ამაგს.

არქივში ძალიან ბევრი წერილია: პირადი და ოფიციალური, გაგზავნილის ასლები და მიღებულის ორიგინალები, უცნობებისა და ნაცნობების, საქართველოს ნებისმიერი კუთხიდან, საბჭოთა კავშირის ქალაქებიდან, უცხოეთიდანაც. ზოგჯერ თვითონ არაა ადრესატი, მაგრამ მას ეხება და ამიტომ აინტერესებს.

მაგიდის ეპისტოლე საგულდაგულოდ გადაუწყვია:

_ ჩემო ძვირფასო მანია. მე მივდივარ ამხანაგის სანახავად, რომელიც დღეს მიემგზავრება ლენინგრადში. ვეცდები მალე მოვიდე. მანამდე არ მომიწყინდე. იყავი რკინასავით. შენი გ. ტაბიძე.

_ ნინა! საავადმყოფოდან დამირეკეს. ცუდი მდგომარეობაა. წამოდი ჩქარა.

_ საითკენ დაიარები? მოვედით, გიცადეთ, გიცადეთ და წავედით. ოთახი მოგვეწონა. გალაკტიონი. საშა.

_ ნოდარი. გიცადეთ. გიტოვებთ ავტობუსის ფულს. რა ჰქენი ბინის? იმ ქალისათვის 100 მანეთი რომ დაგიტოვეთ? მოვიდა თუ გამოივლის?

_ ბიძია! გუშინ სახლმმართველს არ შემოუვლია. დღეს კვირაა და სულ ვერ ვიპოვე. ასე რომ ბინის ქირა გადაუხდელი რჩება. მე დღეს ვაპირებ სამტრედიაში სამი-ოთხი დღით წასვლას. ფულს ვტოვებ მაგიდაზე. ალბათ, ხვალ და ზეგ შემოივლის ის რწმუნებული და გადაეცით. ნოდარი. 1955. 25/IX.

_ ბიძია! დღეს დატოვეს ბინის ქირის ქვითარი. გადასახდელია ივლისის (VII) და აგვისტოს (VIII) დავალიანება (ჩვენ რომ გადავიხადეთ ის სექტემბრის თვის ყოფილა). უკანასკნელი ვადა არისო 10/X. თუ გექნეთ, დატოვეთ 181 მან, 76 კაპ. მე შევიტან. ნ. ტაბიძე. 1957.10/X.

_ გალაქტიონ. გაზეთების გამოწერის ვადა თავდება. აბესალომი.

_ გალაქტიონ! მშვიდობით. მივდივარ. გისურვებ მუდამ ჯანმრთელობას. აბესალომი. კარები მუდამ ორი კლიტით დაკეტე.

_ გალაქტიონ! ვწუხვარ, რომ ვერ გნახე და ისე მივდივარ. დედა კარგად არის. ჩემს ცხოვრებაში სულ პატარა ცვლილებაა. აუცილებლათ, ყოველ მიზეზს გარეშე ჩამოდი, ერთი კვირით მაინც, ყოველ მიზეზს გარეშე, თუ ძმა ხარ, გზაზე ფხიზლად იყავი. აბესალომი.

_ გალაქტიონ! გიტოვებ გასაღებს, ვერ გაგაღვიძე, შეიძლება არც გაიღვიძე. ჩემი ამბავი რასაკვირველია არ გაინტერესებს და არც არაფერსა მწერ. შენი თავისთვის მაინც იყავი. სახლში არავინ შემოუშვა. სამარცხვინო საქმე არ დაგემართოს. მიაქციე შენ თავს ყურადღება. თუ მაინც და მაინც ვერ ძლებ, ვინმეს აიჩენს კაცი, მაგრამ შენ რომ იქცევი, ასე არ ვარგა. თავს მოუფრთხილდი. _ ეს ხელმოუწერელი რჩევა და საყვედურიც ძმას ეკუთვნის.

_ ძმაო გალაქტიონ! 20/III მოწაფეებს ვითხოვთ. 21 ვაპირებ ჩამოსვლას. მოვალ აუცილებლად 10-11 საათზე დილით. _ ამ გაფრთხილებას ძმა აწერს ხელს. ძმისწულის ბარათი კი საკუთარ ბლოკნოტში გადაუწერია, რაკი ადრესატი თვითონ არ იყო და ვერ შეინახავდა:

_ ნოდი, მე ჩამოვედი. მივდივარ დეიდასთან. ახლა 3 საათია. ალბათ 8 საათისათვის მოვალ სახლში. ვასიკო. 30 ოქტომბ. 1954.

ამ ჟანრის ყველაზე საინტერესო ციკლს ჩვენ კიდევ გავეცნობით: გალაკტიონი ყოველღამ არ ბრუნდებოდა ან უდროო დროს ბრუნდებოდა შინ, ოლია ხან სამსახურში გარბოდა, ხანაც _ მშობლებთან. ამიტომ ხშირად სცდებოდნენ ერთმანეთს და ქაღალდის ფარატინა ფურცლებით ესაუბრებოდნენ ერთიმეორეს...

და რადგან სახლში ძნელად დაიჭერდით და ღამეებსაც კი სხვაგან ათევდა ხოლმე, კარის ღრიჭოში ბევრჯერ დახვედრია ბარათი:

_ ბ-ნო გალაკტიონ, ეს მეოთხე დღეა მოვდივარ და ვერ დაგიჭირე. გვჭირდება სურათი გაზეთისათვის. რედაქციამ მე დამავალა ამ საქმის შესრულება და ვერ გავაკეთე. მოვალ დღეს. სოლომონ ცაიშვილი.

_ გალაკტიონ! გუშინ სანდრო ეული შემხვდა და დამავალა მენახე: ფული გადაუდვიათ შენთვის და საჭიროა მიკითხვა. ბევრი ვაკაკუნე შენს კარებზე გუშინვე, მაგრამ შინ არ იყავი. მიდი უსათუოდ. ლავრ. ძიძიგური.

_ გალაქტიონ! დღეს ჩამოვედით მე და ვასიკო. ბევრი გირეკეთ, მაგრამ არავინ გაგვცა პასუხი. სახლშიც ვერ გნახეთ. ხვალ კიდევ ვრჩებით. არ ვიცი დამხვდები სახლში თუ არა. მე მაინც მოვალ. აბესალომი.

_ გალაქტიონ! მე ჩამოვედი. ხვალ დილით მოვალ. დღეს ვეღარ გნახავ. სამჯერ დავაკაკუნებ. აბესალომი.

_ გალაქტიონ! ჩამოვედი, ვერ გაგაგონე. ეს წერილი თუ წაიკითხო, ფარდა გადაწეული გექნეს. მე მივხვდები. არ წახვიდე. მოვალ და სამჯერ დავაკაკუნებ. აბესალომი.

_ ერთი საათის შემდეგ კიდევ მოვედი. 11 საათია. რატომ არ აღებ კარებს. აბესალომი.

_ გალაქტიონ! დღეს ჩამოვედი. ორჯერ მოვედი, მაგრამ ვერც ერთჯერ ვერ გნახე. ნეტა ვიცოდე როდის ხარ სახლში და როდის მუშაობ... ამეღამ მივდივარ.

_ გალაქტიონ! რამდენი არ გიძახე ტელეფონით, არავინ გამაგონა. მოვედი, არავინ არის. ასე იყო ერთი თვის წინადაც. ნეტა ვიცოდე როგორ ხარ... ხვალ მივდივარ, აბესალომი. არ გრცხვენია, რომ შენ ამბავს არაფერს იწერები.

_ მე ჩამოსული ვარ, კარები რომ გავაღო, არ შეშინდე. აბესალომი.

ეტყობა, გასაღები დაკარგა და უახლოეს საავადმყოფოს შეაფარა თავი:

_ Самтредиа. Железнодорожный фабзавод. Проклу Табидзе. Прошу сегодня же выехать с ключом. Непременно с ключом. Лежу в Михайловской больнице. Выезжай первым поэздом.

გაუგზავნელი თხოვნის ბარათიც ვერ გაუმეტებია გადასაგდებად:

_ რადიოკომიტეტის ბუღალტერიას. გთხოვთ ჩემი ძმისწულის ვასო პროკლეს-ძე ტაბიძის ხელით გამომიგზავნოთ ჰონორარი. 1947. 3 ივისი. შენიშვნა: ეს ქაღალდი უნდა გამეგზავნა.

_ ფოტოგრაფიის გამგეს. სახელმწიფო გამომცემლობას ჩემი წიგნისთვის სჭირდება ფოტო-სურათი, სწორედ ის, რომელიც გამოფენილი გქონდათ, ან ხელახლა ის სურათი გადაიღეთ და სასწრაფოდ მიეცით, რომ საქმე არ დაბრკოლდეს. გადაეცით ეს სურათი ჩემს ძმისწულს, ამ ბარათის მომტანს.

ხშირად ავადმყოფობდა და მინდობილობის დაწერაც ხშირად უხდებოდა:

_ ვანდობ ოლია ოკუჯავას მიიღოს ჩემი კუთვნილი პენსია ამა წლის ნოემბრის თვის. 16/X-32.

_ ამით ვანდობ ოლია ოკუჯავას მიიღოს ჟურნალ «საბჭოთა მწერლობა»-საგან ჩემი პოემის ჰონორარის ანგარიშში 200 (ორასი) მანეთი. 16/X_32.

_ Доверяю получить Ольге Степановне Окуджава причитающиеся мне за май месяц 1934 г. пенсионные деньги.

_ ამით ვანდობ ოლია ოკუჯავას მიიღოს ჩემი ხვედრი ჰონორარი ათასი მანეთი (1000). 9/X_34 წ.

_ ამით ვანდობ ოლია ოკუჯავას მიიღოს ჩემი ჰონორარის ანგარიშში 1000 (ათასი) მანეთი. 1/XII _ 34 წ.

_ ჩემი ავადმყოფობის გამო ვანდობ ოლია სტეფანეს ასულ ოკუჯავას მიიღოს ჩემი ჰონორარის ანგარიშში კუთვნილი ფული. 1935. 17 ოქტომბერი.

ასე გაგრძელდა ოცდაჩვიდმეტამდე:

_ ამით ვანდობ ჩემს ძმას პროკლე (აბესალომ) ტაბიძეს მიიღოს ჩემი აგვისტოს თვის პენსია შემნახველ სალაროში. 1938.

_ ამით ვანდობ ვასილ პროკლეს-ძე ტაბიძეს მიიღოს აკადემიაში ჩემი ხელფასი. 6.IV.1950. არ მისცეს.

_ ამით ვანდობ კოტე ალავერდოვს მიიღოს ჩემი კუთვნილი ხელფასი ამა თვის პირველი ნახევრის. 1953.16 მარტი.

_ ჩემს მიერ დაგირავებულ ნივთების გამოსყიდვას (ქვითარი N 721 და 722) თბილისის ქალაქის ლომბარდიდან ვანდობ ჩემს ოჯახობას ნინა სიმონის ასულ კვირიკაძეს, რაზედაც ხელს ვაწერ.

სხვისი სახელით დაუწერია ხელწერილი:

_ მივიღე ოთარ ახვლედიანის გადასაცემად დარიკო ახვლედიანის ყველა ნაწერი და ხელნაწერი გ. ტაბიძისაგან. 2 სეკტ. 1951.

კარისკაცისათვის წარსადგენი საბუთი არ ჩაუბარებია:

_ მორიგეს! გაატარეთ ავტორი გ. ტაბიძე თავისი საავტორო (რვა ცალი) წიგნებით.

საავადმყოფოში შეგზავნილი ბარათებიც სახლში წამოუღია:

_ სალამი ბიძია! დღეს ბიცოლა შეუძლოდაა და ამის გამო ვერ მოვიდა თქვენთან. ეს ჩანთა თქვენთან დარჩეს. ხვალ წავიღებთ. გისურვებთ მალე გამოჯანმრთელებას. თქვენი ვ. ტაბიძე. 4.VI.50.

_ სალამი, ჩემო გალაკტიონ! როგორ ხარ, ძამიკო, ხომ არ მოიწყინე? გული არ გაიტეხო. რა ვუყოთ _ ყველა ავადა ვართ, მაგრამ ზოგი დავდივართ და ზოგი ვწევართ, ალბათ მალე გამოხვალ. ნახვამდის. იყავი კლდესავით. შენი შალვა კაშმაძე.

სამგლოვიარო განცხადების ტექსტი ჩარჩოში ჩაუსვამს:

ტატიანა, ნინო, გალაკტიონ, ვასილ და ნოდარ ტაბიძეები
იუწყებიან
ელისაბედ ოქროპირის ასულ
ტაბიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 21_X
ს. ჭყვიში (ვანის რაიონი).

ბიძაშვილის გარდაცვალების დეპეშა მიუღია სოფლიდან:

_ ТБИЛИСИ. МАРДЖАНИШВИЛИ 4. ГАЛАКТИОН ТАБИДЗЕ. АГАБО ГАРДАИЦВАЛА. ВАСАФЛАВЕБТ 16, ХУТШАБАТС. МАРО.

საპასუხო სამძიმრის ტექსტი იქვე მიუწერია:

_ ყუმური. ვანის რაიონი. მარო ადეიშვილს. ღრმა მწუხარებას განვიცდი ძვირფასი აგაბოს დაკარგვის გამო. გალაკტიონ ტაბიძე. 1958. 15 იანვარი. ქ. ტფილისი.

განზრახული მომხსენებლისათვის გაგზავნილი წერილის ასლი დაუტოვებია და მინაწერი დაურთავს:

_ ძვირფასო ბესო! აბა შენ იცი, ხვალ საღამოს 8 საათზე უსათუოდ უნდა გამოხვიდეთ მოხსენებით. ალბათ შეგატყობინათ სიმონმა (არ მოვიდა, სოფელში გაიპარა).

რაიონიდან ხელზე გამოტნეული წერილიც არ გადაუგდია:

_ ბატონო გალაკტიონ! მოუთმენლად გელოდებით. თქვენს წასაყვანად ვაგზავნით ყოჩაღ სტუდენტს გივი თედეევს. პატივისცემით ალ. ღლონტი. 20.04.56.

კრების თავმჯდომარისათვის მინაწერების ასლებიც შემოუნახავს:

_ ამხ. სერგო. სულ ბოლოს გამოვალ სიტყვით მეც. ჩამწერეთ. თქვენი გ. ტაბიძე.

_ შალვა! მე არ გამომიძახოთ, არ გამოვალ. გალაკტიონი.

თავმჯდომარის გამოგზავნილიც იქვეა:

_ გალაკტიონ! როდის გსურს ლექსის წაკითხვა, გთხოვთ გვაცნობოთ. ალექსი.

თავმჯდომარის მიერ მიღებულიც:

_ ბ-ნო გალაკტიონ! თქვენი ჭირიმე, ძალიან გთხოვთ, მე ნუ გამომიყვანთ, ცუდად ვარ. თ. ჯანგულაშვილი.

აუდიტორიიდან გადმოწოდებულიც:

_ პატივცემულო გალაკტიონ! დაბეჯითებით გთხოვთ, თუ არ შეწუხდებით, წაგვიკითხოთ თქვენი ლექსი «მერი».

სუფრაზე მოწოდებულიც:

_ პატივცემულო გალაკტიონ! თუ არ შეწუხდებით, გთხოვთ წაგვიკითხოთ თქვენი ლექსი «მშობლიურო ჩემო მიწავ». გთხოვთ ამ მაგიდის აღმოსავლეთის ფრონტის ჯარისკაცები.

ეს გაფრთხილება მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ბლანკზეა დაწერილი:

_ თქვენ გამოძახებული ხართ ზაკკრაიკომში ამხ. ბერიასთან დღეს საღამოს 8 საათზე.

ეს კი _ მარჯანიშვილის თეატრის დირექტორის მოადგილის ბლანკზე:

_ ეხლა დამირეკეს ხელოვნების საქმეთა სამმართველოდან, რომ გადმოგცეთ შემდეგი: დღეს დღის 12 საათზე დაბარებული ხართ ამხ. ლ. ბერიასთან «ზაკკრაიკომში».

უკვე თეატრის გვერდით ცხოვრობდა და იქიდან მიაწვდინეს ხმა: პარიზში ვიზიტის გამო დაიბარეს. პარიზზე სიჭაბუკიდანვე უოცნებია:

_ პარიჟის უნივერსიტეტის სტუდენტი გ. ტაბიძე წაიკითხავს ლექციას.

1935 წლის 21 მაისის ეს თეზისებიც საფრანგეთში გამგზავრებასთანაა დაკავშირებული:

_ ბერიას მისაღებ კაბინეტში. ამხ. ბერია. ალაზანი უხსნის მდგომარეობას. ბერია იღებს ხანჯიანის წერილს. რატომ შეჩერდენ ისინი ჩვენ ორზე? ბერიას კომპლიმენტები ჩემს შესახებ. ალაზანს ეშინია... მე ჰმ... ბერიას არა. ამხანაგური რჩევა-დარიგება დისციპლინის შესახებ. საერთოდ მიღება ატარებდა მეტად ტფილსა და ამხანაგურ ელფერს.

არასასიამოვნო დაუკონსპექტებია _ «ჩეკისტის საუბარი»:

_ თავისი ფალუსის შესახებ. გინების შესახებ. ძაღლის შესახებ. ჩეკას შესახებ. ჩეკა როგორ მოეპყრო ჯაფარიძეს? ჯაფარიძე ვინ არის? ძაღლი? მორჩენილია მაგის საქმე!

ამ კონსპექტზე დამსწრეთა სახელებიც მიუწერია: კოხტა, გოგი, ფედია, მე.

თითქმის ყველა მოსაწვევი ბარათი შეუნახავს, ღია ბარათებიც, თეატრალური პროგრამებიც. მხოლოდ ქალებისათვის არ შეუნახავს ნამუსი:

_ ალექსანდრამ ამიხსნა სიყვარული. ეეჰ, სხვა დროს, ახალგაზრდობის დროს, ჭკუიდან შემშლიდა ამნაირი ამბავი. მშვენიერი ქალია, გულწრფელი, პატიოსანი, განა ღირსი ვარ მისი ასეთი სიყვარულისა? ჩემზე ამ გარემოებამ გამაცოცხლებლად იმოქმედა: კარგია, როცა ლამაზი ქალი სიყვარულს გიხსნის.

_ ხელს ვაწერ იმაში, რომ ჩემი საკუთარი სული მივყიდე რესპუბლიკის სახალხო პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს. თამარა ჩუჩულაშვილი.

_ Я продала свое сердце королю поэтов Галактиону Табидзе. Ира.

ფხიზელი უქმად ვერ ძლებდა. თუ ლექსი არ ეწერებოდა, დღიურებს აგრძელებდა ან მიმდინარე შთაბეჭდილებებსა და დაკვირვებებს აღრიცხავდა. თუკი არც ამის ხასიათზე იყო, ნებისმიერ შემთხვევით ფაქტზე შეაჩერებდა ყურადღებას.

1956 წელს, როდესაც პოეზიის სექციას ხელმძღვანელობდა და სამსახურში ყველაზე ადრე ცხადდებოდა, გიორგი ლეონიძესთან მოსული ქალი გაუცვნია _ ასია. ვიდრე ლეონიძე მოვიდოდა, შემთხვევით გაცნობილის ბედით დაინტერესებულა თუ თანამოსაუბრე აღმოჩენილა ენაწყლიანი. ორიგინალური ფორმით წარმოგვიდგენს ასიას ნაამბობს _ ერთი ოჯახის ისტორიას: სხვათა სიტყვის აღმნიშვნელ ხმოვანზე აგებს თხრობას, თანამიმდევრობით ნომრავს და ბოლოს საკუთარ ვრცელ რემარკას ურთავს:

А С Я

1. ასია პარუნაშვილი.
2. ქმარი პატარძეულიდანაა.
3. (ლეონიძის მეზობლიდანაა).
4. ბათუმიდან გამოვიქეცითო.
5. როცა შიშიანობა იყოო.
6. მერე ისევ იქ დავბრუნდითო.
7. მერე რუსეთში წავედითო.
8. ცხრაასოცდახუთიდან კი აქა ვართო.
9. ქმარი სლესარადაა რკინიგზაშიო.
10. ვაჟი ჯარშია წაყვანილიო.
11. ქალიშვილი ჩვიდმეტი წლისააო.
12. ორთაჭალაში ვცხოვრობთო.
13. ერთი ოთახი გვიჭირავსო.
14. ქუხნა და აივანი გვაქვსო.
15. ასია პარუნაშვილი ვარო.
16. ქმარი ქართველი კაციაო.
17. მე სომეხი ქალი გახლავართო.
18. ქმრის გვარზე ვიწერებიო.
19. სახლს არა უშავს რაო.

ლეონიძის ოთახში შესულიყო და
უსაქმურად, მაგრამ დაფიქრებულათ
იდგა მაგიდასთან. ეტყობა, აქ
ყველაზე უფრო ახლობლად ლეონიძესა
გრძნობს. ალბათ მის გამო, რომ
ქმარი პატარძეულიდანაა და
ლეონიძის მეზობლიდანაა. იმ დროს
ლეონიძის ოთახში არავინ არ იყო
და რამ შეიყვანა, რა უნდოდა მას იქ?
აი საკითხი, რომელიც მე მაინტერესებს.
შემდეგ იგი უსაქმოდ იჯდა ჩვენს საერთო
დარბაზში.

მოცალეობის ჟამს, 1949 წელს სოხუმში, დიდი საკანცელარიო დავთარი და წებო შეუძენია და უცნაური ალბომი შეუდგენია. ცალკეულ გვერდებზე წარმოდგენილია:

_ ნასწორები ავტოგრაფი ლექსისა _ «აფხაზეთის წვიმა მიყვარს».

_ ავეტიქ ისააკიანისადმი მიძღვნილი რუსული ლექსი: Исаки-ян _ весь океан... და ასე შემდეგ.

_ 1949 წელს სოხუმში გამოცემული მურმან ლებანიძის ლექსების პირველი წიგნის ყდა _ «აფხაზეთი».

_ საშვი N¹10, შევსებული 1949 წლის 23 აგვისტოს 12 საათსა და 30 წუთზე: აფხაზეთის კომპარტიის პირველ მდივანს აკაკი მგელაძეს მიუწვევია თუ თვითონ სწვევია.

_ ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი ერთადერთ სიტყვა _ «იერიშობანა».

_ გაზეთიდან ამოჭრილი სამგლოვიარო განცხადება: ქართველი მწერლები თანაგრძნობას უცხადებენ გ. შატბერაშვილს მამის გარდაცვალების გამო.

_ სოხუმის ბოტანიკური ბაღის ორი ბილეთი, 1949 წლის 17 ივლისისა.

_ 1947 წელს მოსკოვის რვაასი წლისთავისათვის დამზადებული საიუბილეო კბილის პასტის გაშლილი კოლოფი.

_ 1949 წლის 11 სექტემბერს გაფორმებული ქვითარი: რკინის საამქროდან მასალა გაუტანია.

_ მეზობლების სახლებს ჰყოფდათ მხოლოდ ტირიფის წნელის ღობე ალაგ-ალაგ ტირიფის მესერით, და ეს ღობე მიდიოდა დიდ შარამდის. საყურადღებო აქ ის იყო, რომ ღობეს სრულებით არ ჰქონდა გადასავალი ალაგი, ან კარები რაიმე, რაც ნიშანი იქნებოდა მეზობლების ერთმანეთთან კავშირისა და მისვლა-მოსვლისა. საინტერესოა! მისვლა-მოსვლა და მეზობლის კავშირი კი არა... _ ეს დაუსრულებელი და დამაინტერესებული დასაწყისი «საბავშვო შოკოლადის» ფერადი გასახვევი ქაღალდით გაულამაზებია და დაუსრულებია.

_ გაზეთიდან ამოჭრილია სტატია _ «მანშტაინის გასამართლება».

_ კინოთეატრის ორი წყვილი ბილეთი.

_ ფოტო-ქაღალდის იარლიყი _ «Мимоза».

იწერდა სხვათა ლექსებს, შენიშვნებსაც, რუსულადაც.

ყველაზე მეტია «ვეფხისტყაოსნის» ციტატები:

_ უებარი წამალი, რომელსაც გამოჰყავდა პოეტი უმძიმესი სულიერი განწყობილებიდან, იყო რუსთაველი. მისი მომნუსხავი ზეციური ჰანგები ამშვიდებდა მას: კითხულობდა გამუდმებით, გვაკითხებდა ჩვენც და ფიქრებში წასული გვისმენდა, _ იგონებს პოეტის მეუღლე ნინო კვირიკაძე.

_ მოვიდა ნინა. მომიტანა ღომი, მჭადი, ახალი ხახვი და «ვეფხისტყაოსანი». _ მიუწერია მაგიდის კალენდარზე 1945 წლის 22 მარტს სამკურნალო კომბინატში.

ადრეც აღიარა:

_ «ვეფხისტყაოსნის» გაცნობამ მომცა პირველი შეგრძნობა სტილისა და ლექსთაწყობის შესახებ.

დაეტოლა და დაეწყვილა:

_ ცხრა ანბანია ხმა: რუსთაველი, ცხრა ანბანია: გალაკტიონ-იც.

საზღვრებიც მონიშნა:

_ რუსთაველიდან გალაკტიონამდე.

უბრწყინვალესი სტრიქონები უძღვნა უპირველეს წიგნსა და უპირველეს პოეტს. მთვარიდანაც გადმოხედა: რუსთაველი მახსოვს ბავშვიო. მარად მისი ეშხით იყო შთაგონებული, მისი მეტაფორებით: «ვარდისა ბაღსა უჩრდილობს ჩრდილი წამწამთა ქოხისა» და «თქვენთა მშვენიერთ წამწამთა ქოხი». ზოგჯერ შოთას მინორსა და მაჟორს შეუწყობდა და ორ ხმაზე წერდა. ხოლო «მშვიდობის წიგნის» სალექსო სტრუქტურა განზრახ დაუპირისპირა რუსთაველის შაირს. სიუჟეტი კი განგებ დაუახლოვა და გმირებიც საგულდაგულოდ გადმოიწვია, მოცულობაც შესაბამისად განსაზღვრა და სტროფებიც ანალოგიურად დანომრა. 1956 წლის იანვარში «მშვიდობის წიგნის» გადასაწერად მომზადებულა, დაუსათაურებია _ «ერთი წიგნის თავგადასავალი»: «ვეფხისტყაოსანი» გადაუშლია, გადაუკითხავს, გადაუთვლია და ასე დაუდგენია თავისი პოემის გადაწერისა და გადაკითხვის ტემპი:

_ «ვეფხისტყაოსანში» სულ არის 2 000 ტაეპი, 8 000 სტრიქონი (ვინ მოგახსენათ?). 1 669 X 4 = 6 676.

_ სულ არის 641 ტაეპი. ათ წუთში იწერება 6 ტაეპი. საათში ექვსი ათი წუთია. მაშასადამე საათში _ 60 ტაეპი. რომ იმუშაო 10 საათს _ 600 ტაეპი.

_ სულ 70 თავია ჩემს წიგნში «მშვიდობა». 5 წუთში 2 გვერდი წაიკითხება. 3 წუთი უნდა გვერდს, 10 გვერდს _ 30 წუთი, 20 გვერდს _ საათი, 200 გვერდს _ 10 საათი. 100 გვერდს _ 5 საათი.

_ «ვეფხისტყაოსნის» გადაკითხვა შეიძლება 16 საათში.

1880 წელს პეტერბურგში გამოცემული მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომი აუღია. განსაკუთრებული ყურადღებით წაუკითხავს თავები ინდოეთის, არაბეთისა და სპარსეთის მწერლების შესახებ. არეებზე ფანქრით მიუწერია:

_ ვეფხისტყაოსანი უნდა გაირჩეს ისე, თითქო იგი სრულიად ქართული არაა, არამედ არაბული, ინდური, სპარსული და სხვ... _ გასაოცარია: ვეფხისტყაოსანში რითმა არ მეორდება... _ ვეფხისტყაოსანში არაფერი არ არის ნათქვამი ისლამის შესახებ... _ მომავლისთვის ერთბაშად უნდა გამოეცალოს ყალბი ნიადაგი იმ კოლოსალურ შენობას, რომელშიდაც დღემდე ბუდობს ცრუ შეხედულება ვეფხისტყაოსანზე. უნდა დაწყებულ იქნას ახალი შენობა, აგებული წმინდა პარალელურ საფუძველზე. სხვანაირად ვეფხისტყაოსნის გაგება საქართველოში შეუძლებელია. ეს გარემოება განგებ ინიღბება პატრიოტული მოსაზრებით და იგი ხელს უშლის ჩვენი პოეზიის განვითარებას.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი შეუმჩნევია 1950 წელს:

_ კარგია «ვეფხისტყაოსნის» ის თავი, სადაც აღწერილია ბედნიერი როსტევანის მხიარული ნადირობა, რომელიც ირღვევა... უცნობის მდუღარე ცრემლით. როსტევანს და მის გარშემო მყოფთ აკვირვებთ, ვინ უნდა იყოს უბედური მათ სახელმწიფოში? სხვისი უბედურება მეფეს თავის უბედურებად მიაჩნია და მოითხოვს: იპოვნონ ის უცნობი.

წერდა ქართულად (ხუცურადაც), რუსულად, რუსულ-ქართულად, უკრაინულადაც, აფხაზურადაც, ლათინურად, გერმანულად, ფრანგულად:

_ თქვენ იცით ფრანგული ენა, გალაკტიონ, კარგა? _ მკითხა ალექსეი ტოლსტოიმ.

_ შესაძლებელია, თვითონ ფრანგმაც არ იცოდეს კარგად ფრანგული ენა, _ ვუპასუხე.

_ კარგი! მაგრამ ფრანგებს არ უყვართ, როდესაც ცუდი ფრანგული ენით ლაპარაკობენ.

როგორც გადმოგვცემენ, ფრანგი პოეტების ლექსებს ფრანგულ ენაზევე წარმოთქვამდა ზეპირად. 1947 წელს კი რამდენიმე დასახელების ფრანგული ჟურნალის გამოწერა სცადა (უპირატესად _ ლიტერატურულისა).

არაბულადაც დაუწერია და გადაუწერია რამდენიმე სტრიქონი მარჯვნიდან მარცხნივ. ჩინური თუ Uიაპონური იეროგლიფებიც გადაუხატავს.

თაბახის ხუთი ფურცელი მთლიანად უცნობ და გაუგებარ ენაზე შეუვსია, იქნებ მხოლოდ მისთვის გასაგებ უცნაურ ენაზე: არაბულსაც ჰგავს და ბერძნულ-ლათინურსაც უახლოვდება, ალაგ-ალაგ ქართულში გადმოდის და მერე ისევ უცნაურდება (საკუთარი დამწერლობის შექმნის ცდას მიგვანიშნებს!): დოვინ, დოვენ, დოვლი?!

შევადაროთ:

_ მე ვცდილობდი გამომეგონებინა ახალი სხეულები, ახალი ყვავილებიც, ახალი ვარსკვლავებიც და ახალი ენაც (არტურ რემბო).

და ამოვიცნოთ და ამოვიკითხოთ ამოტივტივებული ქართულები:

_... გააშალაშინა... სდუმან... აფეთქებისათვის... მტერს... ნეკრასოვის... შეფასება კრიტერიებისა... შემაძრწუნებელია... ტაშისცემა... მდინარეების მსგავსად... მდინარეები... დენადობით... ელფერით... დამშვიდ... ხრწნიდა... იღებდენ... აღშფოთებით... რამენაირად კაპიტ... კომპლიმენტებით... შედავებოდა...

წერდა შავი ფანქრით, ფერადი ფანქრებით, ლურჯი მელნით, წითელი მელნით, ტუშით, _ უპირატესად უბრალო შავი ფანქრით ანუ «კარანდაშით», როგორც ეძახდა:

იყო კალანდა, მარა კალანდაში
ყოფნა ადვილია?
მე თქვენ მომაწოდეთ ერთხელ კარანდაში.

თვითონ ჩამოთვლის:

_ მელანი: წითელი, ლურჯი, შავი. კარანდაშები: წითლები, ლურჯები, შავები.

_ გადაწერის საშუალებანი: უბრალო მელანი, ტუში, წითელი მელანი, კარანდაში უბრალო, კარანდაშები ფერადი, მელანი ფერადი.

1941 წლის 6 აპრილს წინაპრების ნაქონ საოჯახო ხელნაწერს აღწერს და მიმოიხილავს. ესაა _ «სწავლანი სულიერნი ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანე აღმსარებლისა სტოდიერლთა წინამძღვრისა თვისთა მოწაფეთა მიმართ». ერთი დავთარი ამ ძეგლისთვის მიუძღვნია. ხელნაწერზე თავისი პაპისა და პაპისპაპის მინაწერებს ახასიათებს:

_ მელანი მქრქალია, ალბად შინ დამზადებული _ ჭიაფერისა ან თუთის ხის წვენისაგან. ჭიაფერისაგან მეც ძალიან ხშირად მომიმზადებია ბავშობისას მელანი. ჭიაფერი იზრდებოდა ღობის ძირას, და მე მაშინ მეგონა, ამ მელნის აღმომჩენელი თვითონ მე ვიყავი. ო, როგორ მიხაროდა. მაგრამ ეს მელანი ჭიაფერისა არ არის. ყველანი ჩვენ წიგნების ყდებზე ვსწავლობდით ხელის მოწერას. შემდეგ უკვე წიგნის ყდებით აღარ ვკმაყოფილდებოდით და სახლის კედლებზე გადავდიოდით. ძველი წაბლის ხის ფიცრებს ალბად ეხლაც აჩნია ცარცითა და ნახშირით აჭრელებული ბავშის მიერ ნაწერი უზარმაზარი ანბანებით: ეს სახლი ეკუთვნის გალაკტიონ ტაბიძეს... ეს იყო ვარჯიში, თორემ ეს სახლი მართლაც ჩემი საკუთრება იყო. მელანი მქრქალია, მაგრამ ეს არ არის ჭიაფერის მელანი.

სხვათაშორის, გალაკტიონის მამისეული სახლის კედელზე დღესაც ძნელად, მაგრამ მაინც იკითხება:

_ ეს ვოთახი ეკუთნის გალაკტიონს.

ფანქარი _ და არა კალამი _ მისი რჩეული იარაღი იყო, ალბათ იმიტომაც, რომ ხშირად სახელდახელოდ წერდა, ყველგან წერდა, ქუჩაშიც წერდა.

სახლშიც, ტელეფონთან, კედელზე კანაფით მიბმული ფანქარი ეკიდა.

1946 წლის 24 სექტემბერს სოხუმის აეროპორტში ფანქარი უპოვნია. როგორც ჩანს, იგი იღბლიანი აღმოჩენილა, დიდხანს შემორჩენია და წლების შემდეგაც იხსენებს ამ ფანქრის პატარა ისტორიას:

_ ლექსი, დაწერილი კარანდაშით, ნაპოვნით აეროპორტში 1946 წ. 24 სეკ.

თითქმის ერთი წლის შემდეგ, 1947 წლის 23 სექტემბერს, სოხუმის აეროპორტში, შესაძლებელია გამოდარების მოლოდინში, პაპიროსის კოლოფის მუყაოზე პატარა იგავი შეუთხზავს და ქვევით მიუწერია:

_ ვწერ იმ კარანდაშით, აქ ერთი წლის წინ რომ ვიპოვნე.

მომავალი 1948 წლის 6 იანვარს კვლავ სოხუმში ცალკე ფურცელზე აღუნიშნავს _ წიგნი იბეჭდება, კვირანახევარში გვპირდებიანო, და პოსტსკრიპტუმი დაურთავს.

_ P.შ. იმ კარანდაშითა ვსწერ, რომელიც ვიპოვე სოხუმის აეროდრომზე თითქმის ორი წლის წინად _ თბილისში გამგზავრების წინ.

რამდენიმე თვის შემდეგ კი:

_ 9 საათზე და 15 წ. ვეშვებით სოხუმში (გამახსენდა კარანდაში, სამი თუ ოთხი წლის წინ ამ აეროდრომზე რომ ვიპოვე, ბედნიერების მომტანი ფანქარი).

1954 წელს მატარებელში დაწერა «ცხრა ტომის» სამი ვარიანტი. საბოლოო მესამეს კომენტარი დაურთო და იკითხა:

_ 1954 წ. 29 დეკემბერი. მატარებელი მოსკოვი-ტფილისი. საღამო. საერთაშორისო ვაგონი. რომელი კარანდაში?

პოემებიც უწერია ფანქრით: «აკაკი წერეთელი», «აფეთქება», «ახალი სანაპირო» ანუ «ათას ცხრაას ორმოცი წელი».

ჰმ! სად იყო მაშინ თანამედროვე პასტა?!

მაშინ ალბათ არც ძმა უსაყვედურებდა ერთ პირად წერილში:

_ არ გრცხვენია, მელანი რომ არა გაქვს მწერალ კაცს, _ 2 მანეთი ღირს, მეტი კი არა!

ფერადიც დაუწერია, ანუ ჭრელი: ერთი სამფერი ლექსის ზოგიერთ სტრიქონში ნახევარი სიტყვა ლურჯი ფანქრითაა ნაწერი, მეორე ნახევარი _ მწვანით ან ყავისფრით, ალაგ სიტყვებია გამოყოფილი ფერით, ალაგ _ სტრიქონები. პოემებიც გვხვდება ფერად-ფერადი, ჩანაწერებიც, დღიურებიც, მწერალთა სიებიც. ხატოვნად აფორმებდა და ალამაზებდა, თითქოს ძველ გადამწერლებს ბაძავდა (როგორც ირკვევა, ეს მანერა ფრანგი მწერლის ჟოზეფინ პელადანისაგან გადმოიღო).

ფერადი ლექსებია: «წარწერა წიგნზე», «ო, ნანა, ნანა, ნანა», უსათაურო _ «მტკვარს ვერის პირად ხე დაჰყურებდა», პალინდრომი _ «მაიმედე!», აგრეთვე პოემა _ «დიდედას სათვალეები» და სხვანი და სხვანი.

ჰმ! ჰმ! დღევანდელი ფერადი ფლომასტერების კომპლექტი სადღა იყო მაშინ?!

ყურადღებას იპყრობს ზოგიერთი ჩანაწერ-ჩანახატის კომპოზიცია: ოვალსა და ელიფსში ჩასმულ ტესტებსა და ტექსტებს, კვადრატებისა და პირამიდების დიაგრამებს,

პარაბოლებისა და დიაგონალების რკალებს _ პარალელური და დახრილი სტრიქონები ენაცვლებიან და მთელი ეს გრაფიკული ქაოსი ისე სიმეტრიულადაა განლაგებული გაშლილ ფორმატზე, ისე მჭიდროდ ავსებს ფართობს და იმდენად მიმზიდველ მოზაიკას ქმნის, _ გეგონება წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული ყოველი დეტალი. ამოვიკითხოთ ერთი ასეთი ნაწერ-ნახაზ-ნახატი:

_ ეს პატარა საქართველო ჯარასავით დატრიალდა.

_ ბარათაშვილი ცრემლნარევი სიცილით იცინის. დაიწყება «დაიკო მაიკო» (დაიგო, გაიგო, აიგო).

_ არასდროს ილია არ იტყოდა: «წამძლია სულმა და გულმაო».

_ Стихия в папке.

_ «ჩემს აივანზე მერცხალმა ბუდის აგება დაიწყო».

_ შახალი! შახალი! (დედა ფრონტზე _ თასმით, გულდასმით). საფერფლე.

_ Телячий восторг.

_ გვართა საკითხი. 1. როგორ სწერს ბარათაშვილი (დამახასიათებელი ნიშნები _ ხელნაწერთა მინაწერები). 2. სადაა ბარათაშვილის ხელნაწერები?

_ შალვა კაშმაძეს აქვს ჩემი ჟურნალი «Новый мир».

_ მუსიკა აკეთილშობილებს ადამიანებს.

_ მაღალ მთაზედა ავაგე.

ასეთი მრავალგანზომილებიანი და ნაირსიუჟეტიანი _ ჩანახატებიც გამოჩნდება ხოლმე არქივში. ეს ნახატი-ექსპრომტები მისი ტალანტის კიდევ ერთ მხარეს გვაცნობენ. ისინი თავისებურად ავსებენ და აგრძელებენ ჩანაწერებს. ჩვენ მათ ცალკე გავიხსენებთ.

წერდა სხვადასხვა ზომის ბლოკნოტებში, უბის წიგნაკებში, ალბომებში, დავთრებში, საკუთარ წიგნებში, სხვათა კრებულებში, ცალკეულ ფურცლებზე, რვეულებში. ხანდახან თაბახის ფურცლებს კეცავდა და ჭრიდა: კოჭის ძაფით კერავდა ბლოკნოტებს.

ზოგჯერ ყდაზე აწერდა: რითმების რვეული, ხან ქვიშა, ხან ოქრო რვეული. _ რვეული ხარჯთა ჩემთან ჟამსა ავადმყოფობისასა. _ აკადემიის რვეული. _ რვეული 1921 წლისა. _ ბედნიერი წიგნაკი. _ ეპიტეტების წიგნი. _ საოჯახო. _ ლაბორატორია. _ ისტორია ერთი დღის. _ ნახული, გაგონილი, ამონაწერები, დაკვირვებანი. _ ბიბლიოგრაფია და იკონოგრაფია. _ დღიურები, შენიშვნები, რითმები და სხვა. _ ლექსნი თქმულნი გალაკტიონ ტაბიძის მიერ. _ წყნეთის არქივი. _ შოვის რვეული. _ საგურამოს ლექსები. _ სოხუმის სახლი.

ხშირად ცალკეულ ჩანაწერებს ასათაურებდა: ხიდის თავგადასავალი. _ წვრილი უსიამოვნებანი. _ მორიგი ცილისწამების გამო. _ თავდასხმა ტელეფონით. _ გულმოსული უძლურება. _ დაღუპულნი და დასაღუპად გამზადებულნი. _ შიმშილის ამბები. _ კოშმარები. _ ჩონჩხების ბანკეტი. _ სამაგიერო. _ საჩუქრები. _ ვინ როგორ ზის თეატრში. _ საუბრის დროს: ვინ როგორ იქცევა. _ ვინ რა გაიფიქრა. _ სად რა იმალება? სად ვინ იმალება? _ არ უნდა ამას დიდი კვლევა. _ ასე ადვილად ფონს ვერ გავა. _ მოუჭირეს მუხრუჭი. _ წავიჩხუბეთ მაგრად. _ საკითხი ასე ისმება. _ დასაშვებია? _ მთიელი რომ ქალაქში ჩამოვა. _ ფესვების ფილოსოფია. _ უბრალო ჩანაწერები. _ დასამთავრებელი საქმეები. _ საჭიროებანი ოჯახისანი. _ დავალებანი წმ. ნინოს. _ სამწლიანი გეგმა. _ ჩემი ხუთწლედები, ჩემი ათწლედები, თხუთმეტწლედები,

ოცწლედები. _ საღამოები გალაკტიონის დაუსწრებლად. _ მიგნებათა, გამოგონებათა, აღმოჩენათა, ფანტაზიათა და სხვათა და სხვათა. _ ენის საიდუმლოება. _ ისტორია ერთი ლექსისა. _ პოემის საკითხი. _ მეათე საუკუნის სამწიგნობრო ენა. _ ქართული ენის პრივილეგიები. _ ახლად აღმოჩენილი ძველი ხელნაწერი. _ წარღვნისდროინდელი მწერლობა. _ პროზაული ფრაგმენტები. _ გემრიელი სიზმრები. _ სქემა და გრაფიკა ლიტერატურაში. _ სილუეტები. _ ტიპები. _ კონტრასტები. _ მთვარიანი ღამეები, მზიანი დღეები. _ დღეების კიბე. _ ციფრების ენა. _ ა ა!!! _ მოხუცი ადამიანები, რომლებსაც მე ვიცნობდი ბავშობისას. _ მოქმედი პირები ჩემს ავტობიოგრაფიაში. _ ლიბრეტო «მთა-წმინდის მთვარე». _ მოგონება N111.

სამტაქტიანი ქვესათაურებიც საინტერესოა: სასიხარულო მომენტები, დაინტერესების მომენტები, სამწუხარო მომენტები. _ ყრუმუნჯთა მიტინგი, ავაზაკების მიტინგი, შეშლილების მიტინგი. _ წითელი ყანწები, შავი ყანწები, თეთრი ყანწები.

ეფექტიანებიც ეფექტურია: ეფეკტიანი წვიმა, ეფეკტიანი თოვლი, ეფეკტიანი ტყემლები.

გაგვიხანგრძლივდა, მაგრამ, როგორც ხედავთ, დასათაურებათა ანთოლოგიაც ლექსივით იკითხება და ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხანდახან მხოლოდ სათაურებია მონიშნული.

ციკლებს პირობითად ასათაურებდა: ლიტერატურული შაირები. _ საეკლესიო შაირები. _ ეტლებ მბრუნავი ლექსები. _ ლექსები გულუბრყვილოთათვის. _ მოულოდნელი ლექსები. _ მიკიბულ-მოკიბული ლექსები. _ ვარაზისხევის ლექსები. _ მგზავრის წერილები. _ რაფსოდიები. _ პრელიუდიები. _ ეფემერები. _ მრა-ვალჟამიერები. _ დაბრუნებები. _ დაბრუნებათა ციკლი. _ შემოდგომები. _ კავკასიონის ქარი. _ ზღვის ლირიკა. _ ზღვის მოტივებიდან.

ხშირად იხსენებს ციკლებისა და ცალკეული ლექსების სათაურებს: ჩამოწერს, აჯგუფებს, ხან ანბანზე ალაგებს, ხან ქრონოლოგიურად, ხან თემატიკურად, ზოგჯერ წიგნების ან ტომების მიხედვით. ამგვარად მთელი რვეულები და დავთრები შეუვსია.

1923 წელს რამდენიმე გვერდზე ლექსების სათაურები გაუმწკრივებია მიყოლებით. როგორც ვიცით, სათაურებს ხშირად ცვლიდა, პირობითად ასათაურებდა, რომელიმე სტრიქონით მიგვანიშნებდა. ზოგიერთის დაზუსტება გაგვიჭირდება, მაგრამ თავისთავად საინტერესოა და სწორედ ამიტომ უცნობები შევარჩიეთ და ამოვიწერეთ ასევე მიჯრით:

_ ჩონჩხები სასახლეში. _ თეთრი სიფითრე. _ წითელით თეთრზე. _ ცეცხლისფერ-წითელი ყვავილები. _ ასული თოვლის. _ მატიანე ჩემთა უბედურებათა. _ შავი ყაყაჩო. _ შავი ზმანება. _ მესამე სქესი. _ მოგზაურობა ეშაფოტისაკენ. _ ყორნების რეკვიემი. _ მინდვრების მწუხარება. _ თხელი მზე. _ ფრინველის ჩრდილი. _ მშიშარა დუმილი. _ წითელი ნისლი. _ სონატა ლანდებისა. _ მკვდარი ყვავილები. _ პარნასის მისამართი. _ საღამო ალუბლებში. _ გამოუთქმელი ნათელი. _ საიდუმლო სიმართლე. _ საწოლის დღიური. _ დრამა N1625. _ სახლი N14. _ კომედია გალიაში. _ მოგონებათა ყვავილები. _ მდიდარი სახლის ღარიბი კუთხეები. _ ტფილისის ესკიზები. _ ცხედართა გასტროლები. _ ოქროთი მოვარაყებული სირცხვილი...

შეგვიძლია სხვაგან ჩამოთვლილებიც მივამატოთ:

_ შენთვის მოვიდა ქვეყნად მადონა. _ შიშით რეკავდა კლავიში ერთი. _ შეთქმული ჩონჩხები. _ ქართულად! ქართულად! _ ყვავილები ქარში. _ მე პოეზიით ვიყავი მთვრალი და არა ღვინით. _ ხავერდის კუბო. _ დაკარგული სამოთხე. _ ბუხრის ორნამენტი. _ მიხაკისფერი შეშლილობა. _ ქაღალდის სამეფო...

დავთრებსა და რვეულებს ნომრავდა, სარჩევს უდგენდა, ტიტულსაც უფორმებდა, ასათაურებდა, ათარიღებდა და ვერ ათარიღებდა, ვეღარ ათარიღებდა:

_ როდინდელია? _ წაუწერია ოცდაათიანი წლების დასაწყისის პატარა ბლოკნოტის ყდაზე.

_ ეს მასალა გამოდგება 192... წლისათვის, როდესაც რიონჰესის შენება დაიწყეს, როდის დაიწყეს? _ მიუწერია ოციანი წლების ერთ ჩანაწერზე.

_ რომელ წელს? _ კითხულობს და აგრძელებს, _ «მუშა»-ში დაბეჭდილი იყო ა. ა-ს ლექსი, სადაც ის მოითხოვს ჩემს დახვრეტას (სალიტ. გაზეთს ყურადღება არ მიუქცევია), _ და კომენტარს ურთავს: _ ასეთ ჩანაწერს წავაწყდი დღეს ხელნაწერებში. 1955. 3 სექტ.

_ მოსკოვში _ მწერალთა საკავშირო ყრილობა. გამოქვეყნდა მწერალთა ყრილობის შესახებ ცნობა. ყრილობა შესდგება შემოდგომაზე. _ ამ ჩანაწერზე განსხვავებული ფერის ფანქრით მიუწერია: _ როდინდელია ეს ჩანაწერი? ჰმ! _ შეგვიძლია შევახსენოთ: 1934 წლისა.

1958 წლის 9 ივლისს წყნეთში პარიზის აფიშა იპოვნა და იკითხა:

_ 1934 წლისა, თუ?.. როდის ვიყავი პარიზში? _ უნდა გავუსწოროთ: არა 1934 წელს, არამედ 1935 წელს.

წერდა ყველაფერზე, რაც ხელში მოხვდებოდა, რასაც წააწყდებოდა, რასაც იშოვიდა: ტელეგრაფის ბლანკზე, კონვერტზე, ღია ბარათზე, აფიშაზე, კინოსა და ტროლეიბუსის ბილეთებზეც კი. წერდა წიგნისა და გაზეთის, ჟურნალისა და კალენდრის არშიებზე. ამ უკანასკნელს ხშირად იყენებდა, თავისუფალ ფართობს მაქსიმალურად ითვისებდა და დღიურების შესაბამის ქრონოლოგიასაც იცავდა თარიღების კვალდაკვალ.

ნაბეჭდ ტექსტზეც უწერია: ორენოვანებიც გვხვდება _ პალიმფსესტები, უფრო სწორად _ ანტიპალიმფსესტები, რადგან ძველი ნაბეჭდი უკეთ იკითხება, ვიდრე გვიანდელი ნაწერი.

ხშირად უწერია ჩინური ჩაის ეტიკეტზე, რომელიც რუსულ-ქართულ ენებზეა დაბეჭდილი და ალბათ უქაღალდობისას აჩუქეს:

_ «საქართველოს ჩაიმ» ხუთასი მანეთი მომცა შემოქმედებითი მივლინებისა.

ასევე ხშირად იყენებდა «გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის» ოფიციალურ ბლანკს, რომელიც კარგახანს შემოუნახავს.

საწერი ქაღალდის დეფიციტს მუდამ განიცდიდა:

_ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა გთხოვთ მისცეთ სსრ სახალხო პოეტს აკადემიკოს გალაკტიონ ტაბიძეს 15 კილოგრ. კარგი ხარისხის ქაღალდი.

_ სახ. მწერალს გალაკტიონ ტაბიძეს მიეცით ნაღდ ანგარიშზე ათი კილო საწერი ქაღალდი.

_ ლიტფონდმა მომცა ქაღალდი 2კ.500გრ.

_ ლადო სირბილაძე ამბობს: შეიძლება მოგვცენ 10 კილო ქაღალდი, 10 კილოში გამოდისო 300 ფურცელი ქაღალდისა.

ქაღალდი საკუთრი ჟურნალისათვის ესაჭიროებოდა:

_ მოისმინეს: გ. ტაბიძის თხოვნა 5 ფუთი ქაღალდის სესხად მიცემის შესახებ. დაადგინეს: მიეცეს სესხად ქაღალდის ის რაოდენობა, რომელიც აღმოჩნდა ცეკავშირის სტამბაში, ჟურნალ «ლომისზე» მონარჩენი.

საინტერესო იდეა თუ ფაქტი აღრიცხა და შემოგვინახა:

_ საქართველოს ვაზის ნასხლავებისაგან დამუშავებული ქაღალდი _ ლენინგრადში _ სოლომონ ახვლედიანის მიერ.

პრაქტიკული რჩევა შემოგვთავაზა:

_ ლექსებიდან და პოემებიდან ციტატები უნდა დაიწეროს პროზის მაგვარად: ადგილსაც ბევრს არ დაიჭერს და გადასაბეჭდადაც მშვენიერია.

რაციონალიზატორული წინადადება შემოიტანა:

_ 2 000 დიდი ფურცელი ქაღალდი გვაქვს, არ-გამომდგარი, ფოტოთი ცუდად დაბეჭდილი. რაციონალიზატორული წინადადება შემომაქვს: დაეკრას ერთმანეთს ეს ფურცლები და დეე გამოვიდეს ათასი კარგი ფურცელი.

პაპიროსის კოლოფს რომ დააცარიელებდა, გადასაგდებად ვერ იმეტებდა: დაშლიდა, ყუებს შემოაცლიდა, მუყაოს ორ კვადრატს მოამზადებდა და იმაზე წერდა. ასეთი კარტონები ბლომად დაუგროვებია, აუთვისებელიც ბევრი დარჩენია. ისინიც ქაღალდის კრიზისის პერიოდს განეკუთვნებიან.

_ გოგი! რატომ არ იყავი გუშინწინ საღამოზე? ძლიერ საინტერესო საღამო იყო. გამოვიდა ერთი ფუტურისტი და ყვიროდა: აქაოდა, რატომ ჩემზე არ ლაპარაკობთ, როგორც გალაკტიონზე, რატომ ქება-დიდებას არ მასხამთო (თავლაფი დაესხას მას). _ ეს საყვედური «რეკორდის» კოლოფის კარტონზეა გამოთქმული და ამიტომაც მიუწერია ბოლოში: რეკორდაიშვილი.

სხვათაშორის, სიგარის კოლოფზე პიკასოც ხატავდა. ამბობდა: ცარიელ სივრცეს ვერ ვიტანო (სხვათაშორის, პიკასო ლექსებსაც წერდა!).

1948 წლის 8 იანვარს გაზეთ «ნორჩი ლენინელის» პირველი გვერდის არეზე წაუწერია უსათაურო: «ცაო, ზღვაო, ბიჭვინთა...».

1958 წლის 15 ოქტომბრის გაზეთ «კომუნისტის» ვიწრო მინდორზე მიუწერია ორმოცდარვასტრიქონიანი უსათაურო: «ერთხელ მერიით თუ ხიდისთავით...»

1947 წლის 19 დეკემბერს ფილარმონიის ბაღში ფილა-შოკოლადის გასახვევი ქაღალდი მოსწონებია, ლაიპციგში დამზადებული:

_ ამ შოკოლადის ქაღალდზე გამოხატულია ტალღები. შოკოლადს გეახელით, ხოლო ქაღალდი გამოვიყენე ლექსისთვის.

იქვე უსათაურო სამი სტროფი დაუწერია: «ტალღაო, ჩემო ლამაზო ტალღა!». მეორე გვერდზე კრიტიკოსებს ედავება:

_ პოეტი ბატონია, კრიტიკოსი მისი ყმა. როდესაც ყმას უნდა ბატონზე მაღლა იდგეს, _ არაფერი არ არის ამაზე სასაცილო. ეს ისეა, როგორც ნადირობის დროს როსტევანს თან ახლავან ისრის მომწოდებელნი. ისრის მომწოდებელი არასოდეს არ არის მიზანში სწორედ მსროლელი მეფის თანაბარი. არავითარ კრიტიკას არ შეუქმნია «ვეფხისტყაოსანი»... წინა ხანებში მხატვრულმა ლიტერატურამ ქვეშ მოიყოლა კრიტიკა. ეხლა არის ცდა _ მხატვრული ლიტერატურა ქვეშ მოაყოლონ კრიტიკას. კრიტიკისა და კრიტიკოსის ხანაა. მაშინ მხატვრულ ლიტერატურას უნდა დავემშვიდობოთ. უკულტურო

ბატონის ხელმძღვანელობით ვერ შეიქმნება კულტურული მხატვრული ლიტერატურა. უნდა მოტრიალდეს საქმე ისე, რომ კრიტიკა _ მხოლოდ იარაღი იყოს პოეტის ხელში.

სხვა შემთხვევაშიც გამოუყენებია ფილა-შოკოლადის ქაღალდი: ამჯერად ქაღალდზე ძროხა ხატია და თავისი წაბულა ახსენდება:

_ ჩვენი მარჩენალი წაბულა კი სრულებით ასეთი მსუქანი არ იყო. დაჩიავებულს მწუხარებით სავსე თვალები ჰქონდა. შეგხედავდა და გეტყოდა _ «არ გებრალები?» (მე ეხლაც ჟრუანტელი მივლის). ო, ეს მთელი ისტორიაა!

პარიზში ბოდლერის, რემბოსა და გოტიეს წიგნები შეუძენია. გოტიეს სუპერზე მიუწერია 1935 წლის 19 ივნისს:

_ ვთხოვე გამყიდველს გოტიეს წიგნი გაეხვია ქაღალდში. მან სხვა წიგნს მოაძრო ეს გარეკანი და ჩემს წიგნს გაუკეთა გარეკანად _ ქაღალდის მაგიერ (9 ფრანკი).

ილია ერენბურგსაც შეუნიშნავს: ბოდლერისა და რემბოს იშვიათი გამოცემები შეიძინა და სიყვარულით ეალერსებოდა წიგნის ფურცლებსო.

წიგნებს მეგობრებს ეძახდა, წიგნს _ ერთადერთ მეგობარს.

ცნობილია ბოლო სიტყვები, ბოლო შეკითხვა, რომლითაც უკანასკნელ თანამოსაუბრეს მიმართა რამდენიმე წუთით ადრე, მაშინ როდესაც თავის მოკვლა უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა:

_ რას კითხულობ?

არქივში მრავალი ღია ბარათი ინახება. ამ ბარათებზეც წერდა. ერთზე სოხუმის სასტუმროა გამოსახული. იქვე სამსტროფიანი მიუწერია: «აი ფანჯარა იმ სახლის...». ღია ბარათზე დაუწერია აგრეთვე ექსპრომტი _ «ორი ზღვა შეხვდა ერთიმეორეს (ძღვნად ოლ-ოლს)». ბარათზე დაბეჭდილია რეპროდუქცია პერედას ნახატისა: ზღვაზე ნავით სეირნობენ ბაირონი და შელი. მათთან ერთად რამდენიმე მამაკაცი და მანდილოსანია. როგორც ლექსი მიგვანიშნებს, ერთ-ერთი უნდა იყოს მერი ჩავორტი. ბაირონი ფეხზე დგას და ლექსს კითხულობს. ორ ზღვაში ალბათ ორი პოეტი იგულისხმება: «ორი ზღვა შეხვდა ერთიმეორეს, ერთი მრისხანე, მეორე მშვიდი...». ეს ექსპრომტი 1917 წელს უნდა იყოს დაწერილი. 1950 წლის ჩანაწერშიც იმეორებს ანალოგიურ დაპირისპირებას და თავისი თავიც გაჰყავს საქმეში:

_ მოხდა ასეთი რამ, გაერთიანდა ორი საწყისი: ლირიულობისა და რევოლუციური დრამატიზმის, პათოსის: პირველი არ იჩრდილება მეორეთი და მეორე პირველით... პარალელი: ლექსი ნათლად ჰხატავს ორ მოპირდაპირე მიმდინარეობას ხელოვნებაში: გოია და ბოტტიჩელი, შელლი და ბაირონი, მაიაკოვსკი და ესენინი (შეიძლება, ძალიან შორეულად), ჩემში კი ეს მთავარია.

1911 წელს ოლიასათვის ბათუმში გაუგზავნია წერილი: ღია ბარათზე გამოსახულია ზღვა, თოლია და ქალი ზღვასთან:

_ ოლკინ! მომიკითხე ზღვა და...

ღია ბარათებს მოგონებებსაც ურთავდა. სასტუმრო «კავკაზის» მეორე გვერდზე იხსენებს:

_ ამ შენობაში ერთხელ მოვიყვანეთ ავადმყოფი ტიციანი: იგი, არ ვიცი, სიმთვრალისაგან, არ ვიცი რისგან, სულს ძლივს ითქვამდა. დიდრონი ცისფერი თვალები თითქო უფრო გაგანივრებულიყვენ, ენით ვერ ლაპარაკობდა, ვერ მოძრაობდა.

ერთი სიტყვით, ძალიან უგრძნობლად იყო. მოვეხვიეთ ყველანი, ხელით ავიყვანეთ და საქორწილო ოთახიდან აქ გადმოვიყვანეთ.

როგორც ტიციანის მეუღლის ნინო ტაბიძის მოგონებიდან ირკვევა, ეს შემთხვევა 1920 წლის 14 იანვარს მომხდარა:

_ ტიციანი საავადმყოფოში წავიყვანეთ. მთელი თვე საავადმყოფოში გაატარა. ფილტვების ანთება ჰქონდა. «თაფლობის თვე» საავადმყოფოში დავყავით.

სანოტო ფურცლებზეც წერდა. თვითონაც ხაზავდა, მუსიკალური ნიშნებით ავსებდა და ქვევით ტექსტსაც მარცვლავდა:

სიტ-ყვას ამ-ბობს ბე-სო ჟღენ-ტი,
ხლეს-ტა-კო-ვის კონ-კუ-რენ-ტი.

1936 წლის 1 სექტემბერს მუსიკის გაკვეთილი ჩაუტარებია. დაუსათაურებია _ «ქართული ხალხური», დაუხაზავს თავისუფალი ფურცელი, დაუხატავს ვიოლინოს გასაღები, ჩაუწერია რამდენიმე სტრიქონი ნოტებისა და ქვევით მიუწერია შესაბამისი მუსიკალური ბგერები და ტექსტი:

დო _ სი _ ლია _ სოლ _ ფა _ მი _ რე
რა _ ლა _ მა _ ზად _ გიხ _ დე _ ბა
ეგ _ ჟუ _ ჟუ _ ნა _ თვა _ ლე _ ბი
და _ ხუ _ ჭუ _ ლი _ მე _ ნა _ ხოს
მე _ თუ _ არ _ გე _ ბრა _ ლე _ ბი

მეორე დღესაც წამოუწყია «მარში» და მხოლოდ ორი სტრიქონი შეუვსია ნოტებისა.

წერდა და ხატავდა, ხაზავდა, აფერადებდა, ასწორებდა, გადაწერდა, გადანომრავდა, ანგარიშობდა, აჯამებდა. წინასწარ ასათაურებდა ცალკეულ ჟურნალებსა და რვეულებს, ზოგჯერ შეავსებდა კიდეც, ხშირად ხელუხლებელიც რჩებოდა: სურვილი სჭარბობდა შესაძლებლობას. ხანდახან იწყებდა და აღარ თუ ვეღარ ამთავრებდა. ზოგჯერ დიდიხნის შემდეგ უბრუნდებოდა და აგრძელებდა.

წერდა პირწმინდად, გასაგებად, ლამაზად, თანმიმდევრულად, კი არ წერდა _ ხატავდა. წერდა არეულად, ფრაგმენტულად, ნერვულად, ბუნდოვნად. ხაზს უსვამდა მნიშვნელოვან სიტყვებსა და ფრაზებს, გამოჰყოფდა, აქცენტს აძლიერებდა.

ძირითადი ნაწილი გარკვევით ჩანს, ნაწილი მკრთალია, დაზიანებულიცაა: ზოგი დღეს უკვე აღარ იკითხება, ზოგიერთი ხვალ აღარ წაიკითხება.

_ ო, შორეული საუკუნეები გადაიხდიან გალკის საიუბილეო ზეიმსაც. მაშინ ჩვენ აღარ ვიქნებით ამქვეყნად და შიში მიპყრობს, ვაითუ ჟამთა ვითარებამ წარყვნას იმ დროისათვის გამოუქვეყნებელი გალკის ხელნაწერები და დაამახინჯოს ისინი. _ ეს უკვე ოლია ოკუჯავას არც მთლად უსაფუძვლო შიშია და წინათგრძნობა. იგი ბოლომდე თავს დასტრიალებდა და მზრუნველობას არ აკლებდა ჩანაწერებს, რომლებიც გაუცხოვებული სულის ფარულ ნიუანსებს გვიმხელენ.

1927 წლის 30 აგვისტოს ბორჯომში ხელშეკრულების პროექტი შეუდგენიათ ერთობლივი რომანის დაწერის შესახებ. თავისთავად საინტერესო ეს დოკუმენტი ორ განსხვავებულ ნაწილად წარმოგვიდგება.

_ ხელშეკრულება. ჩვენ, ქვემორე ამისა ხელისმომწერნი, ოლია ოკუჯავა და გალაკტიონ ტაბიძე, ვსდებთ ხელშეკრულებას შესახებ მას შინა, რომ სეკტემბრის პირველ რიცხვებიდან ვიწყებთ ერთად სალიტერატურო შრომის, ამ შემთხვევაში

რომანის წერას. თუ რომელიმე ჩვენგანმა ან დაუდევრობით, ან წინასწარ განზრახულებით, ერთის სიტყვით, არა პატივსაცემი მიზეზის გამო დაარღვია ეს ხელშეკრულება, დამრღვევი მხარე გადაიხდის ჯარიმას 300 (სამასი) მანეთს მეორე მხარის სასარგებლოთ სამი თვის განმავლობაში.

საყურადღებო ფაქტია: გალაკტიონი _ რომანის თანაავტორი! საინტერესოა ისიც, რომ ხელშეკრულების ტექსტსაც ორი ავტორი ჰყავს: მეორე ნაწილი უკვე ოლიას დაწერილია და უფრო მკაცრი და პრეტენზიულია:

_ ეს პირობა რომ იქნას შესრულებული, ამისათვის საჭიროა: ღრმა, ნაზი, ძლიერი და სპეტაკი სული, ამას კი ართმევს გალი ოლიას, დაუბრუნე ოლიას მისი იდეალი, წარმოდგენილი იდეალური და ის შეასრულებს ამ პირობას, რას შინა ხელს ვაწერთ ჩვენ ორნი: ოლ-ოლ ოკუჯავა და გალ. ტაბიძე, თვით ავტორი.

ისე, რომანისა რა მოგახსენოთ და, დღიურებს კი წერდნენ საზიაროს _ ორენოვანს:

ეხლა ორნი ვართ. მზეს დამშვიდებით ვუცქერით, როგორც არ გვიცქერია...

საღამოთი კი ვკითხულობთ დღიურს, რაც კი ოდესმე დაგვიწერია.

მიუხედავად იმისა, რომ გალაკტიონი ხშირად იწვევდა და აქეზებდა კიდეც, ოლიამ გენიის ჩრდილში ყოფნის ბედნიერება არჩია. რუსულ ბწკარედებს კი უმზადებდა თავის კერპს:

_ Работали до 3-х ч. ночи.

როგორც ირკვევა, გალაკტიონის ლექსების პირველი და ერთადერთი მკითხველი და შემფასებელიც ოლია გახლდათ მაშინაც კი, როცა ერთად არ იყვნენ:

_ ლექსები დავწერე ბევრი, ოლია. მეორე წერილში გამოგიგზავნი ლექსებს. ეხლა ვერ მოვასწარი. საჩქაროთ გწერ.

როგორც არქივში შემონახული ფრაგმენტი გვიდასტურებს, რომანის დაწერა მართლაც უცდია _ «ევა». ორგვერდნახევარი დაუწერია და მიუტოვებია. სხვა დროს კიდევ წამოუწყია _ «სურო და ალვა». ერთადერთი გვერდი დაუწერია (შეადარეთ: «პოემას უვრცესს დაერქმევა ალვა და სურო»). სურდა აგრეთვე დაეწერა მოთხრობა _ «ქალები, რომლებიც მე შემხვედრიან». დაწერა ოდენ სათაური.

1921 წელს დამწვარ ხელნაწერებს მისტირის და:

_ ეხლა ყოველივე ეს მკვდარია: თქვენ, იდუმალებით სავსე ნაწყვეტებო, რომელთაც მოწიწებით გინახავდით მომავალი დიდი რომანის დასამუშავებლად.

თითქოს მართლაც სახვალიოდ ამზადებდა შედარებებს, მეტაფორებს, დიალოგებს:

_ ღია ავტომობილი სავსე იყო ფერადათ ჩაცმული ბავშებით და ერთი შეხედვით ყვავილებით დატვირთული უზარმაზარი კალათი გეგონებოდათ.

_ ქარი აქანავებდა დუქანში ჩამოკიდებულ ტარნებს... და იყო ისეთი შთაბეჭდილება, თითქო ისინი ცეკვავდნენ.

_ რასა ჰგავს ტფილისი ეხლა?

_ ცას, გადმობრუნებულ ცას.

ამ შეკითხვა-პასუხს პატარა ეპიზოდი ერთვის, რომელიც ფიზიოთერაპიულ ინსტიტუტში მოუსმენია და ჩაუწერია 1936 წლის 19 აპრილს: მთაწმინდაზე მაცხოვრებელ შვილს დედა ეწვია სოფლიდან. შვილი ავად იყო და ცოტა რომ მოიხედა, დედას ურჩია, წადი, ოჯახს მიხედეო. საღამოხანი ყოფილა. დედა წასულა, მაგრამ ათიოდე წუთში უკან შემობრუნებულა შეშინებული:

_ ვერ წავალ, ნენა, მეშინია: როგორცა სჩანს, ცაი გადმობრუნებულა, ჩამოცოცებულა ძირს, რაც კი ზევით ვარსკვლავები იყო, ყველა აგერ ყრიაო.

როგორც ტიციან ტაბიძის მეუღლე გვაუწყებს, ფუნიკულიორზე პირველად ასული პასტერნაკიც თურმე «აღტაცებული გადმოსცქეროდა ღამეულ თბილისს და გადმობრუნებულ ვარსკვლავებიან ცას ადარებდა»...

მოსალოდნელია, ბორის პასტერნაკს მარინა ცვეტაევას ჯერ კიდევ დაუბეჭდავი ორი სტრიქონი გაახსენდა:

Оттого что ночью _ город
Опрокинутое небо.

გალაკტიონის მეტაფორა კი მსგავსივე ხილვის გამოძახილად უნდა ჩაითვალოს (სწორედ რუს პოეტს მიმართა: «თითქოს ერთგვარად ხედავდა თვალიო»). ანდა _ ეგების ეს იყოს უნებლიე შეხვედრა სამი გენიისა. იქნებ მეტისაც?!

არქივში ხშირად გვხვდება პროზაიკოსის თვალით დანახული და დაწერილი დეტალები, ეპიზოდები, პასაჟები, ტიპები, ხასიათები, ფრაზები, პეიზაჟები. თითქოს მართლა დიდი მხატვრული ტილოსათვის აგროვებდა და ემზადებოდა. მცირე პროზის შესანიშნავი ნიმუშები დაგვიტოვა. ბევრ მათგანს ამ წიგნში გაეცნობით, ზოგიერთები თორმეტტომეულში დაიბეჭდა, უმეტესობა არქივში ისვენებს. დროა და შესაძლებელია ცალკე წიგნად გამოიცეს _ პოეტის მინიატურული პროზა.

_ მკვდარი ჩიტის დამარხვა უყვართ ბავშებს. ისინი ემზადებიან: ერთი სპეციალურ ტანისამოსს უკერავს, მეორე კუბოს ამზადებს, მესამე სამარესა სთხრის. იმოსებიან მღვდლად, დიაკვნად, მგალობლებად; მოაქვთ გვირგვინები, ყვავილები. მამაკაცები მათ აჩერებენ. შორიდან მოდიან ნათესავები და ჯერ ისევ ჭიშკართან დაიწყებენ: ვაი ჩვენს უბედურებას! რა უდროოდ მოგვიკვდი! მათ მოახლოებასთან გოგოები ხელებს იშენენ. შემდეგ მღვდელი გაუძღვება წინ პროცესიას. რომელიმე იტყვის სიტყვას. ჩაუშვებენ სამარეში, პეშვებით მიწას მიაყრიან. შემდეგ იმართება ქელეხი. ხანდახან მარხავენ ასეთნაირად ცოცხალ ადამიანს, მამასახლისს, დიაკვანს, ან სხვა ვინმე ათვალისწუნებულ პირს. ღვთისმორწმუნე მოხუც ქალებს ასეთი ამბავი არ უყვართ (ისინი გარეკავენ ბავშებს). ზოგი ბავში ისეთია, რომ თვითონა თხზავს საჭირო ლოცვებს, ბაძავს რა დიაკვნისა და ღვდლის ცერემონიებს.

1950 წლის შემოდგომაზე ქუთაისს გაემგზავრა მანქანით. ლიხის უღელტეხილს რომ გასცდნენ, გაქროლებულ მანქანას ჩიტი შემოენარცხა და უსულოდ დაეცა მიწაზე. მანქანა შეაჩერებინა, მკვდარი ფრინველი იქვე ხის ძირას დამარხა და კარგახანს იდგა ჩუმად. უკან რომ ბრუნდებოდა, მძღოლს მანქანა ისევ იმ ადგილას გააჩერებინა, გადმოვიდა, ქუდი მოიხადა, მუხლი მოიდრიკა და მიწას ხელი შეახო. მერე წამოდგა და სიკვდილ-სიცოცხლის რაობაზე ჩამოაგდო სიტყვა...

ერთ უთარიღო ფურცელზე ხატოვნად წარმოგვიდგენს ქუთაისის რიონსა და ჭალა-იმერეთის ლირიკულ პეიზაჟს:

_ რა საარაკო სანახავი იყო ძველი ფაზისი ოქროს ჩარდახთან! შორი, მუდმივი თოვლით დაფარული კავკასიონის მთების კალთებიდან გრგვინვა-ქუხილით მოდის გააფთრებული მდინარე; სწორედ აქამდე, ამ ჩარდახამდე, ამ უხსოვარი დროის ჭადრის ხემდე, ამ ძველი ციხის ნანგრევების ახლო გაისმის მისი გამაყრუებელი ხმაურობა: ოჰ, ცხოვრებავ! ბევრი რამ დარჩა მე და შენს შორის გაუგებარი! მოდი, გავსწორდეთ,

ცხოვრებავ! შენ გეშინია, ცხოვრებავ? _ და გულნატკენი რიონი ამ ადგილიდან _ მთების რიონი აღარ არის. გეგუთის ციხედარბაზიდან ცხარე ომგადახდილი მდინარე შედარებით უფრო ნელი ხდება. იწყება ჭალა-იმერეთი.

საოცრად მახვილი თვალი ჰქონდა: სამი ცნობილი პიროვნების მსგავსება შეუმჩნევია ერთბაშად:

_ სულ ერთნაირი თვალები აქვთ... ალბად ხშირად ხვდებიან ერთმანეთს. გასაოცარია: რატომ აქვთ ასე ერთნაირი თვალები? ეს გუშინ შევამჩნიე.

კიდევ ერთი მსგავსება აღმოუჩენია: მწერლის ჰაბიტუსისა და მწერლის სტილისა:

_ ძალიან ჰგვანან ერთმანეთს მავანის თავის მოყვანილობა და მავანის ლიტერატურული სტილი. საჭირო არ არის მისი ნაწარმოების კითხვა: «სახე სარკეა სულისა».

ვერაფერს გამოაპარებდი _ მოჩვენებითი გულგრილობით შენიღბულს:

_ მე დავიჭირე ხანგრძლივი და რაღაც არაჩვეულებრივი თვალის გასწორება: ქეთო უცქერდა ელიკოს ისე, რომ მე დავფიქრდი, რას ნიშნავდა ეს?

დარდიმანდის გარეგნობა ვერ აცდუნებდა, უდარდელობის მიღმა შეეძლო საპირისპირო ნიუანსები ამოეცნო, ღიმილში ტკივილი ამოეკითხა:

_ შალვა დადიანმა შემომჩივლა: გუშინ ჩამოვედი ბაქოდან, ახუნდოვის ხსოვნის დღესასწაულიდანო. ყველასი ჭყონდიდელი მე ხომ ვერ ვიქნებიო. შალვა _ ჭყონდიდელი! იგი თავის ქერქში ვერა გრძნობს თავს, ჭყონდიდელი კი არა _ კონფერანსიე, არტისტი. ჩვეულებრივად იცინოდა ისე, რომ ვერ გაიგებდი თუ რატომ ახსენა ჭყონდიდელი. ხომ არაფერი აწყენინეს?.. შალვა შემეცოდა. მან ბევრი გადაიტანა და იტანს სტოიკური სიდინჯით და არტისტული ნიღბით. ფაკტიურად ის უბედური ადამიანია.

პოლიგონზე მისულა და:

_ ყველაზე საზიზღარია ადამიანი, რომელიც დიდხანს უმიზნებს.

მოკლე ნაცნობი «გამოუჭერია».

_ ის არასდროს ღრმად არ ზის კრესლოში ან სკამზე. იგი უსათუოდ სკამის «кончик»-ზე ჩამოჯდება. რატომ? იმიტომ რომ მოკლე ტანისაა, მოკლე ფეხები აქვს და არასდროს არ გამოჩნდება ღრმად ჩამჯდარი. წინ უნდა დასკუპდეს, ხელები მის წინ მჯდომარე პიროვნების სკამზე დადოს.

სხვების ალღოსაც აფასებდა და აღნიშნავდა:

_ ქეთომ მაიაკოვსკის შესახებ სთქვა: მის პორტრეტში, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს გულმოსული კაცი გიყურებს, არისო რაღაცა ბავშური, გულუბრყვილო, გულწრფელი, ლირიული. ეს სრულიად ახალი და კარგი აზრია მაიაკოვსკის შესახებ.

თავისებური თემა მოუნიშნავს:

_ როდისმე მე მინდა ავწერო ლხინი მუსიკალურ სმენას მოკლებულ ადამიანების.

_ ერთი კარგად უნდა შევმოსო გიგო მედელეჟნე და შევსვა ისტორიული დილიჟენსის კოფოზე, _ ჩაუფიქრებია 1941 წელს და მეტად კოლორიტული პიროვნება გაუცოცხლებია: _ გიგო მედელეჟნე _ მიქელანჯელოს მოსეს მსგავსი... მუდმივად კოფოზე გაზეთს კითხულობს (ან როგორ ახერხებს ამ ნჯღრევაში კითხვას?)... მოაქვს გაზეთები, არ ჩერდება, ისე გადმოისვრის სანატრელ ფურცლებს ორ თელასთან, სადაც ჭიშკარია, და მივრბივარ _ გახარებული გაზეთებით... გიგოია _ მოხუცი ბიბლიური

წვერებით, ქარისა და წვიმისაგან ჩამოგლეჯილი «პლაშჩით», სერიოზული, ჩუმი, _ არასოდეს არ მახსოვს, რომ ვისმეს დალაპარაკებოდეს... სულ ერთი იყო: მზიან დღეშიაც _ იგივე პლაშჩი, ქარშიც და წვიმაშიც _ იგივე პლაშჩი... ხანდახან გაზეთზე ჩაეყვინთება, როგორც ჭოტს, _ და მიდის მძინარე მედელეჟნე... გიგო განა თავის გაზეთს ჰკითხულობდა? სხვისას... კითხვაც იმ ხანებში ისწავლა, თორემ ისე ხელის მოწერაც ძლივს შეეძლო... რომ გეკითხათ, რა სწერია გაზეთშიო, ვერაფერს გეტყოდათ. ასეთი იყო ის უცნაური მედელეჟნე, დიდათ ზრდილობიანი კაცი, როგორც ყველა იმერელი!

ინტერესით იკითხება კითხვა-პასუხიანი მინიატურა _ «ჩაუვარდება კოვზი»:

_ ნაცარი. ნაცარი კიდევ ყოველთვის კერასთანაა. რა არის კიდევ კერასთან? _ ყოველივე, რაც იხარშება, იწვის, ცხვება. ვინ უზის კერას? _ ვინც ხარშავს, სწვავს, აცხობს; კიდევ? _ ვისაც უნდა ისაუზმოს, ისადილოს, ივახშმოს. აი, მას კერასთან მდგარ ქოთნიდან სურს კოვზით ამოიღოს ლობიო. მაგრამ ქოთანში თითქმის არა დარჩენილა რა. სულ შეუჭამიათ. მხოლოდ ძირში დარჩენილა ცოტა ლობიო, ერთი კოვზი თუ გამოვა. მაგრამ რომ იცოდეთ, რა გემრიელია ფსკერზე დარჩენილი ლობიო?.. იგი ოდნავ მოხრაკულიც იქნება. აი, ამოიღო გმირმა კოვზით ის ლობიო, უეცრად კი კოვზი ნაცარში დაუვარდა, დარჩა ხელცარიელი, ხახამშრალი...

პროზაულ წიაღსვლებს დოკუმენტური ქრონიკები აგრძელებენ.

1943 წლის 3 აგვისტოს ორი მომენტი აღუდგენია:

«აი, ქვაფენილზე მიდის ფეხშიშველა ადამიანი. იგი გამოხვეულია თბილ ძონძებში და აგვისტოს მზე დაუნდობლად აჭერს შიშველ თავზე. ეს ტიუტჩევის ტემაა. ეს ადამიანი ფეხით დადის.

_ ვინ არის ეს კაცი? _ იკითხეს.

_ გრანელია, პოეტი. _ იყო პასუხი.

*

იმავე ქვაფენილზე მიდის იგივე ფეხშიშველა ადამიანი. ეხლა კი იმას თბილი ძონძები არა აქვს. თოვს. ზამთარია. ის კი თეთრეულის ამარა მიდის.

_ ვინ არის ეს კაცი? _ იკითხეს.

_ გრანელია, პოეტი. _ იყო პასუხი».

ტერენტი გრანელისა და გალაკტიონ ტაბიძის ინიციალები ერთმანეთს ემთხვევა, რასაც 1922 წელს «ლომისის» მეოთხე ნომერში პატარა გაუგებრობა მოჰყოლია:

_ ბიბლიოგრაფია ეკუთვნის ტერენტი გრანელს. რატომ მიაწერა მან გ.ტ., არ ვიცი. ეს იყო რედაკტორის უყურადღებობა, რომ შეცდომით ტ.გ. მაგივრად მოაწერა გ.ტ.

რედაქტორმა «გაუმხილა»:

_ გ. ტაბიძეს გაუმხილე პსევდონიმი, როგორც საბჭოს წევრს. კ. გამსახურდია.

საერთოდ კი:

_ ტერენტი გრანელს შეუძლია დაწეროს კარგი წერილები.

ტიციან ტაბიძეს ხშირად ხატავდა. ბიჭივით ხატავდა ყოველთვის. ალბათ ბავშვობის ნოსტალგია მოეძალა: 1956 წლის დიდ დავთარში ერთ ფურცელზე ხუთ სვეტად ჩამოუწერია სქემა ჩანაფიქრისა _ «ტიციანის ბავშობა» _ პოემა თუ მოთხრობა თუ მოგონება უნდა დაეწერა. სვეტები რომაულად დაუნომრავს ოცამდე. თითო Oსვეტში ოთხი ნაწილია, ყოველი ნაწილი ათ საკითხს შეიცავს. ცხრა ბოლომდე შეუვსია. დანარჩენებისა მხოლოდ ერთი ან ორი ქვესათაური ჩამოუწერია. ამ ორმოცი

ეპიზოდიდან არქივში მხოლოდ ერთი შეგვხვდა _ მეშვიდე: გადაღმა ფშანი. საღამო რიონის. «შეხედე, გველი!». დიდრონი თვალები. ვერ გაიგო მაინც. «მგელი? მგელია? «. ვერ გავაჩერე. მირბის სოფლად და ჰყვირის: მგელი! სადაა მგელი? მოგცემ მე შენ მგელს! _ ეს სქემაა, ორი წლის შემდეგ 1958 წლის რვეულში კი გაშალა და სიყმაწვილის ლამაზი ეპიზოდი გააცოცხლა.

ბარემ, პირველი სურათის რამდენიმე კადრი ჩვენც გავაცოცხლოთ და გავახმოვანოთ:

_ ნოხი კარებთან. ნოხის გაშლა და ბიძაჩემის ზედ კოტრიალი. სამნი ნოხზე: ბიძაჩემი, მე და ტიციანი. როგორ ჩაარტყა მუშტი ბიძაჩემს ტიციანმა. ბიძაჩემის გულისწასვლა. «ვაი, ვაი!». მოსულიერება. გაოცებული, დიდი თვალები ტიციანისა _ უყურებს ყველაფერს... მაგრამ ვერაფერს ხვდება.

ერთხელ ილია დაუმოწმებია:

_ სთქვა ხომ ილია ჭავჭავაძემ: სინდისი _ ეგ ისეთი გაბმული ბაწარია, რომლსაც უსინდისო კაცი ხან ზევით მოექცევა, ხან ქვევით (ე.ი. ყირამალას გადადის რაღა?).

ერთგან ილიას პროზის რიტმს ახასიათებს:

_ საქართველოში დღემდე არ მოიპოვება უკეთესი რიტმი.

ჩაუნიშნავს: «ილია მამაჩემზე».

1958 წელს კი მოულოდნელად გაიხსენა:

_ დედაჩემმა ილიას ჩემი ლექსები გამოუგზავნა.

_ რაღაცნაირ ხასიათზე ვარ, წავალ, ილიას სახლს მინდა შევხედო, _ იტყოდა ხოლმე და უთენია გავიდოდა სახლიდან.

ეტყობა, გული ეთანაღრებოდა, «მთაწმინდის მთვარეში» აკაკისა და ბარათაშვილის აჩრდილების გვერდით ილიაც რომ არ მოიხსენია და 1953 წელს დამატებითი სტროფი მოუმზადებია:

_ (უნდა ჩაემატოს «მთაწმინდის მთვარეში»):

    აქ წამების სიზმრადა ჰქრის წიწამურის ალი
    და მწუხარე საქართველოდ სდგას მთაწმინდის ქალი.

1947 წლის 7 ივლისს ხელშეკრულება გაუფორმებია კინოსტუდიასთან: 15 სტრიქონი უნდა დაეწერა და წაეკითხა ილიას საფლავთან 5 აგვისტოს (უხდიდნენ 3 000 მანეთს). რუსული ბროშურა მოუპოვებია _ "Памятка начинающему сценаристу" _ და სცენარის მონახაზიც მოუხაზავს:

_ სამარესთან შეკრებილან ახალგაზრდობა: ქალები, ვაჟები. ისინი გარს შემორტყმიან სახალხო მგოსანს გალაკტიონ ტაბიძეს, რომელიც ჰკითხულობს თავის ლექსს, ილია ჭავჭავაძის ლექსის საპასუხოდ. ილიას საფლავზე ჩნდება მისი ლექსი «გაზაფხული» და სურათი ილიასი, დიქტორი ჰკითხულობს ლექსს.

შეკვეთილი საპასუხო გახლავთ უსათაურო _ «ო, მამულო, როგორ ბრწყინავს ცვარით მსხმოიარე ვაზი».

საკმაოდ განვითარებულ ვიდეოტექნიკას მოესწრო, მაგრამ გალაკტიონის ფირები სანთლით საძებარი გაგვიხდა. თავისი ხელით დაუწერია:

_ მწერალთა კავშირის გამგეობა სთხოვს კულტურის სამინისტროს, კინო-ქრონიკის მიერ გადაღებული დოკუმენტური მასალა, საქ. სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი, ამობეჭდოთ წინად გამოსული ჟურნალებიდან და მოგვიმზადოთ ნარკვევი ერთ ნაწილად.

1951 წელს დაუსათაურებია «კინო» და ათი შემთხვევა გაუხსენებია: მწერალთა სასახლის ბაღში (1922, 3?), სანაგიტთეატრში (1945), შოვში (1947), გორში (1949). ხმის მიცემის დროს (1949) საკუთარ კაბინეტში და აკადემიკოსებთან ერთად. პირველ ნომრად კი:

_ კინო პირველად გადავიღეთ აკაკი წერეთელთან ერთად ქუთაისში. მგონია აქვთ გოსკინპრომში.

აქ იგულისხმება აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს, რომელიც გადაიღო ვასილ ამაშუკელმა. მოგზაურობა ქუთაისიდან დაიწყო და აკაკის თანმხლებთა შორის ანდა მასობრივ კადრებში იქნებ მოიძებნოს კიდეც 21 წლის გალაკტიონის სილუეტი.

საყურადღებო ცნობას გვაწვდის ჟურნალ «კავკასიონის» სავარაუდო სახელწოდებისა და მისი რედაქტორის პავლე ინგოროყვას შესახებ:

_ სარედაქციო კოლეგიამ არაფერი არ იცოდა, ასე წარმოიდგინეთ, იმის შესახებაც კი, რომ ჟურნალს დაერქვა «სულ ვართ ორი მილიონი». ამ სახელის შესახებ სარედაქციო კოლეგიაში საკითხიც კი არ დასმულა. მე არ ვამბობ, რომ უკეთესი სახელი მოიძებნებოდა. მე გამოვდივარ უბრალო ფაკტიდან, რომ ასეთი საქმის შესახებ, როგორიცაა ჟურნალის სახელწოდება, სარედაქციო კოლეგიამ არაფერი არ იცოდა.

«სულ ვართ ორი მილიონი» _ ეს განზრახული და განუხორციელებელი სათაური ეროვნული გენის ყველაზე მტკივნეულ ნერვს აღიზიანებდა და გადარჩენისაკენ მოგვიწოდებდა. ეტყობა, მოეწონა და ძალიანაც მოეწონა! ხანგამოშვებით გახსენებია და ყოველგვარი განმარტების გარეშე ჩაუწერია მაღალი შაირით გაწყობილი ოთხად ოთხი სიტყვა, სათაურებშიც ასახელებს, ჩანს სალექსოდ ამზადებდა!

«კავკასიონის» თემას ერთხელ კიდევ დაუბრუნდა და გააგრძელა:

_ ჩემი როლი ამ საქმეში, ჟურნალის საქმეში, თავმჯდომარეს ესმოდა ასეთნაირად: ჩემგან, გალაკტიონ ტაბიძისაგან, იგი მიიღებს ერთს ლექსს, სამაგიეროდ მომცემს ერთი ლექსის ჰონორარს, მორჩა და გათავდა. ესაა მისი კოლეგიის წევრობა და ყველაფერი. მე კი ასე არ მესმის ეს საქმე, ასე არ მსურდა: რადგან კოლეგიის წევრი ვიყავი, მე მინდოდა მეც მიმეღო მონაწილეობა, რამენაირი მონაწილეობა მაინც ჟურნალის შინაარსსა და გარეგნულ მხარეებზე. თუ პასუხისმგებლობა დამეკისრა, მე მინდოდა ამ მოვალეობის პირნათლად შესრულება. არ მოხდა ასე. როდესაც ამის საშუალება ამხანაგმა არ მომცა, მეც ავიღე და ჩამოვშორდი მას. ეხლა ძალიანაც რომ შემეხვეწოს, მე სრულიადაც არ მინდა ამნაირად მუშაობა. მე გამოვდივარ სარედაქციო კოლეგიიდან. მაგრამ მომავალი კოლეგიისთვის მე ვისურვებდი უფრო ფართო ასპარეზს.

ვინც ბატონი პავლეს მუშაობის უკიდურესად ინდივიდუალურ სტილს იცნობს, აუცილებლად დაეთანხმება გალაკტიონის საყვედურს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ეს იქნებოდა ერთი კაცის ჟურნალი, ოდენ რედაქტორის ჟურნალი.

1955 წლის 8 სექტემბერს ჩაუწერია:

_ ჩვენ რომ აკადემიის წევრობის კანდიდატათ პავლე ინგოროყვა წარვადგინეთ (მწერალთა კავშირმა), ეს არ მოსწონებიათ მაღლა. დაუბარებიათ სამივე მდივანი და უბრძანებიათ: უკანვე წაიღეთ თქვენი წარმოდგენაო.

1939 წლის 14 ოქტომბრის დღიურში ამოვიკითხე:

_ გუშინწინ შემხვდა პავლე ინგოროყვა და მითხრა: ჩვენ უკანასკნელ დღეებში ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, ეს უდიდესი სიმპატიის ნიშანი უნდა იყოსო. დიდებული ადამიანია.

პავლე ინგოროყვაც განსაკუთრებული სიყვარულით იხსენიებდა: როდესაც მეთორმეტე ტომის მასალებს ვამზადებდით, ეს აბზაცი დაბეჭდვამდე გავაცანი ბატონ პავლეს. როგორც სჩვეოდა, თვალები მოჭუტა, სადღაც ძალიან შორს გაიხედა და საკმაო პაუზის შემდეგ მრავალმნიშვნელოვნად გაიმეორა:

_ გალაკტიონი... გალაკტიონი...

გალაკტიონის დღიურებში გაფანტულია ლექსები, ლექსების ავტოგრაფებში ხშირად გვხვდება მინაწერები, ჩანაწერები. როგორც ჩანს, ჩანაწერები ავსებდნენ თავისუფალ შუალედებს _ ლექსიდან ლექსამდე, შთაგონებიდან შთაგონებამდე:

ჩემი უბის წიგნაკებით, ჩემი ძველი რვეულებით,
მიმოცურავს მოგონება, სავსე მწარე სნეულებით.
მეგულებით, იმედებო, მშვენნო რიდე-ხვეულებით,
მოლხინენი მარტოობით და მარტონი წვეულებით.

რაკი გვერდით არავინ ედგა, თვითონ იმხნევებდა თავს:

_ მაშ ასე: ემზადე მოხსენებისათვის, არ შემარცხვინო!

გენიალური მხატვარი და ტრაგიკული პიროვნება ვან გოგი ყოველდღე წერდა წერილს და ძმას უგზავნიდა, ძმა მაინც ჰყავდა _ გამგები და მეცენატი. ჩვენი პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობა კი ერთობ ღარიბია: იგი მონოლოგებს, ტირადებსა და რეპლიკებს მიენდო, მხოლოდ თავის თავს ესაუბრებოდა და უმხელდა საიდუმლოს:

_ იანვარი გავიდა. თვის ანგარიში არ გამიკეთებია ჩემი თავისათვის. ეს არ არის კარგი (რაღაცას იმასვიზამ).

_ იყო ბევრი კარგი რამ, გამომდინარე წინანდელი თვიდან, თებერვლის გამოხმაურება მარტში. მაგრამ ამავე თვეში იყო ისეთი დამარცხებები, რომელთაც უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ და ჩემმიერ მათი უგულვებელყოფა დიდი სისულელე იქნებოდა. ოპერის თეატრისათვის ბრძოლის წაგება, პრემიების სხვისთვის მიცემა, ალფაბეტის ნაწილობრივ წინ წაწევა, მწერალთა კავშირში სხვისი საღამოები, აგრეთვე დაუმთავრებელი საქმეები. მომავალი თვის გეგმაში პირველი ადგილი უჭირავს წიგნებს, მეორე _ საღამოებს. ოპოზიციონური განწყობილება ჩემს წინააღმდეგ მტკიცდება მწერალთა კავშირში. იგი გამომდინარეობს დიდიხნის წინად არსებული კონფლიკტიდან. წინად იგი ასე აშკარა სახეს არ ატარებდა. თუ რაიმე დარჩა კიდევ, რომელიც ასე თუ ისე მაკავშირებს მათთან, ესაა წიგნების საქმე. მაგრამ მწრალთა კავშირის დათმობა სხვებისთვის, ეს ჩემის მხრით დიდი შეცდომა იქნებოდა და არც ჩავიდენ არასოდეს.

საკუთარ თავს ხშირად ეკამათებოდა, აფრთხილებდა, აიმედებდა, ეფერებოდა, უბრაზდებოდა, ტუქსავდა, ეწინააღმდეგებოდა კიდეც გაორებული:

_ არა ვარ კმაყოფილი თავის თავით.

_ მე თვითონ ვიცი ჩემი ამბავი.

_ მე სხვა ბიჭი ვარ.

_ ფრთხილად, გატუნია, ფრთხილად, გულმა არ მოგატყუოს!

_ თუ ვინმესთან გინდა შეთანხმდე, ჯერ თავის თავს უნდა შეუთანხმდე. თუ ვინმესთან გინდა დადო ხელშეკრულება, ჯერ თავის თავთან უნდა დადო ხელშეკრულება.

_ ყველაფერი რიგზეა! რა ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ, გალაკტიონ!

_ არ დაღონდე, გალაკტიონ! წინ კიდევ ხუთი გადამწყვეტი დღეა!

_ დღემ გაიარა ჩინებულად: შინაგანი მეორე «მე» იყო მშვიდი და ნათელი.

ამ მარადიულ პრობლემაზე უფრო დაწვრილებით მსჯელობს (გრიგოლ რობაქიძის მოხსენება მოუსმენია ნოვალისზე 1921 წლის აპრილში):

_ არსებობა რაღაც მეორე «მე»-სი, ჩვენ თითქო ანარეკლი ვიყოთ იმ მეორე «მე»-სი, ეს ლამაზი იდეაა, გამოხატულებაა უფრო სულ სხვა აზრის, მაგრამ ამის ჭეშმარიტ საფუძველზე დამყარება მიქარვაა. მე მესმის ეს, მე განმიცდია ეს... (ჩვენში არის დაფარული მეორე «მე» _ უფრო ნამდვილი, ვინემ ხილული «მე»). სწორედ ამ უხილავ «მეს» გამოაშკარავებაშია მთელი საქმე და მიზანი პიროვნებისა. აქ ინტელექტი თამაშობს უდიდეს როლს, შეიძლება გადამწყვეტსაც.

ინერცია ორი გალაკტიონისა ლექსებშიც გრძელდება:

_ შენ, გალაკტიონ, იცი... _ გალაკტიონი ხედავს... _ ვიცან, გალაკტიონ...

ჩანაწერების მთავარი გმირი, რა თქმა უნდა თვითონაა: გალაკტიონი გალაკტიონის შესახებ:

_ მე მსურს ვესაუბრო საკუთარ თავს ჩემს ბედკრულ ცხოვრებაზე.

ტრაფარეტულ და ზოგად ავტობიოგრაფიებთან ერთად წარმოდგენილია ყოველდღიური წვრილმანები. გვხვდება ლაკონური მინიშნებებიც, სადაც ცხოვრების ძირითად მომენტებს აღრიცხავს მხოლოდ.

ერთ-ერთი ქრონიკა ექვს თავად დაუყვია: ძირითადი თანამშრომლობა, სალიტერატურო ორგანიები, სალიტერატურო საღამოები. სიკვდილის საშიშროების წინ, ციხეები, ჩხრეკა. გამოვყოთ მეოთხე:

_ სიკვდილის საშიშროების წინ: 1. ნავის დატაცება. 2. გადმოვარდნა უზარმაზარი თუთის ხიდან. 3. ტყვია 1905წ. 4. მონაწილეობა დღEეობაში. 5. აბეზარი სტრაჟნიკი. 6. თავდასხმა ღამით. 7. თავდასხმა კრებაზე. 8. თავის მოწამვლა. 9. შტორმი ზღვაზე და 12-ის დაღუპვა. 10. სამოსუდი. 11. მოსკოვში იარაღის ქვეშ. 12. სტალინთან. 13. ნეჟინში. 14. მამადავითის გორაზე. 15. შეტაკება შპიკთან. 16. შეტ. კ. რამიშვილთან. 17. დუელები. 18. ყვავილი...

მეთორმეტის გამოძახილი უნდა იყოს ეს ოთხი სტრიქონი:

როგორ არ მახსოვს სმოლნი,
სადაც სტალინი პირველად ვნახე,
საქართველოზე მკითხავდა ის,
საქართველოზე.

დაუკონსპექტებია _ «სტალინთან შეხვედრა ქუთაისში»:

_ 1. რომელ წლებში (1903-დან 1908-მდე) მუშაობდა სტალინი ქუთაისში? 2. რომელ წლებში (1903-დან 1908-მდე) მოეწყო ჩვენი არალეგალური კრება სადღაცა შორს, მთაში, ქალაქგარედ, რომელზედაც რუსულად გააკეთა მოხსენება უცნობმა და რომელიც საოცრად ჰგავდა სტალინს? 3. ვინ დაესწრენ ამ კრებას (მიხელაძე, ყიფშიძე, ბარათაშვილი და სხვები. ვინ სხვები? კიდევ?). სად არიან ეხლა (მახარობლიძე?). 4. რა

ჰქვია სახელად იმ ნაკადულს, რომელიც გავიარეთ? 5. ეს იყო მივარდნილი ქოხი. სახლის პატრონები არ სჩანდენ (დარაჯობდენ?). იცოდა ის ადგილი მხოლოდ ერთმა ჩვენთაგანმა.

«თანაბრად ძლიერი გრძნობები» _ ამ ოცდაათი თეზისით საკუთარ პიროვნებას გვაცნობს. პირველია: არაჩვეულებრივი სიყვარული ყვავილებისადმი. მას მოსდევს მუსიკის, ქალების, თეატრის, რევოლუციის, დედის, საქართველოს, სწავლისა და შემოქმედების სიყვარულები. გამოყოფილია აგრეთვე: სასმელები: ღვინო. ორიც რუსულად აღურიცხავს:

_ Утонченная впечатлительность.

_ Способность глубоко чувствовать страдания.

დაბოლოს ყველა ამ მახასიათებელს სამწუხარო რეზიუმე ერთვის:

_ რამდენადაც ძლიერი იყო ესა თუ ის გრძნობა, იმდენად სწრაფად ეცემოდა იგი.

მოჭარბებული მგრძნობიარობა და ტანჯვის ღრმად განცდის უნარი მართლაც მომეტებულად გააჩნდა და ალბათ ამიტომაც აღნიშნა არასასიამოვნო დიაგნოზივით არამშობლიურ ენაზე. ამის დასტურია მთელი მისი ცხოვრება და ყველა მისი დღიური:

_ ამ ქუჩაზე ვინც ცხოვრობს, იგი ცხოვრობს არა სახლში, არამედ რკინისგზის მოძაგძაგე ვაგონში, იგი მუშაობს არა მყუდრო ოთახში, არამედ საოკეანო გემის კაიუტაში, როდესაც ზღვა ღელავს და ქარი ღმუის. ამ ქუჩაზე ვინც თავის ოთახში მუშაობის შემდეგ ისვენებს, იგი ისვენებს არა კურორტზე, არამედ დანტეს ჯოჯოხეთში.

ერთი დღის თორმეტი უსიამოვნება აღურიცხავს 1948 წლის 31 ივლისს:

_ ბოლო არ ეღება უსიამოვნებებს: ტრამვაის გაჩერებასთან, შემნახველ სალაროსთან, უნივრმაღში კირკის ქუჩაზე, გიორგი ცაგარელთან საუბრის დროს, კულპიტშახთან, მწერალთა კავშირში, გზაზე მწერალთა კავშირიდან, ტროლეიბუსთან, სახლში სათვალეების ძებნის დროს... თორმეტჯერ... ჩემს თავზე ვკვირობ, როგორ ვახერხებ მაინც რაიმეს გაკეთებას.

სიყრმისდროინდელი წყენაც კი ახსოვდა წლების და წლების შემდეგ:

«არასდროს არ დამავიწყდება: მე, პატარა ბავში ქუთაისის ბაღში მივყავდი ჩემზე უფრო დიდს ქალიშვილს, რომელზედაც არაჩვეულებრივად კარგი შეხედულების ვიყავი. ბაღში ეგდო ახალთ-ახალი მაისის ვარდი. მე ავიღე.

_ გადააგდე, _ მითხრა, _ გადააგდე, ვინ იცის რომელი სომეხი ყნოსავდა, _ და გადაიკისკისა».

ბავშვის უმწეობასაც არანაკლებ განიცდიდა და გამოხატავდა:

_ ის, რაც ნუნუმ ჩაიდინა, არ ჩაიდენს, არ ჩაიდენს არცერთი დედა: არასდროს არ მინახავს, და დღეს... პირველად დავინახე გულმოკლული კაკინას ტირილი. ძლივს სუნთქავდა ცემისგან. ბავშს სული ეხუთებოდა. რად ჩაიდინა ნეტა ეს დედამ? რა უნდოდა ამითი ეთქვა ჩემთვის?

შემთხვევით მოსმენილ არასასიამოვნო საუბარს შეიძლებოდა მთელი დღე ჩაეშხამებინა:

_ ავდექი ათ საათზე. მზიანი დღე იყო. 12-ის ნახევარზე მოიღრუბლა. აივანზე რომ გავედი, ყური დავუგდე მეზობელი მარიკას ჭორიკანობას ახლად დასახლებულ მეზობლებთან. ამან გამიფუჭა ხასიათი. ოო, საზიზღრობა!

საკუთარი პიროვნული სიძლიერისა და ხასიათის სიმტკიცის დამადასტურებელი ფაქტებიც აღურიცხავს. ოცდაერთი ერთეული მრავალ საყურადღებო ეპიზოდს შეიცავს. ზოგი მინიშნება ჩვენთვის უცნობია, ზოგი ინიციალი _ ამოუხსნელი, რამდენიმე მომენტი სხვაგანა აქვს აღწერილი, ერთიც _ პოემაშია. მაინც საინტერესოა, განსაკუთრებით _ უკანასკნელი ოცდამეერთე:

_ ადამიანი გამოიცდება უეცრად თავს დამტყდარი საშიშროების დროს. ვინც მას აიტანს, გაუძლებს, წინ აღუდგება, მას ჭეშმარიტად შეუძლია დაარქვას თავის თავს მაგარი და უშიშარი ადამიანი: 1. ღამღამობით მარტო რომ მტოვებდა დედა. 2. ღამღამობით გავლა სასაფლაოზე სიბნელეში. 3. «გამოწვევა ღმერთის». 4. ერთხელ მთვრალი დარაჯები რომ დაგვესხენ თავს. 5. ერთხელ რომ გავბედე ადიდებულ მდინარეში ნავის შეყვანა დედის გამო. 6. აგრაფინა ხელიდან აცლიდა რევოლვერს მთვრალს. 7. გოგია წიქვაძემ ხელიდან გააგდებინა ხანჯალი ჯოხით. 8. ერთხელ მამადავითის ქუჩაზე ყაჩაღები რომ დამესხენ. 9. უნივერსიტეტის ქუჩაზე 1917 წ. ოკტ. სროლაში. 10. ამხ. ად. რომ ერთი მიდიოდა შეიარაღებული 50 წინააღმდეგ. 11. «Кто здесь будет Курчишвили?". 12. ტყვია, რომელმაც გაიზუზუნა 1915 წ. 13. თავდასხმა მატარებელზე 1918. 14. ერთხელ ზღვაში ცურვის დროს რომ დავიღალე. 15. ერთხელ ცქიტიშვილმა რომ შეურაცხყოფა მომაყენა. 16. ერთხელ უეცარი წყალდიდობის დროს სხვენზე. 17. «ვერაფერსაც ვერ მიზამ», _ შესძახა პ-მ შეიარაღებულს. 18. «მაგ რევოლვერი რომ დაგიკიდნია». კ. დ. 19. საშიშროება სემინარიაში არ გაგზავნის. ტ. ჯ. და მ. ჩ. 20. საშიშროება შიმშილისა 1917წ. 21. ლიტერატურული გზის არჩევა განა ჩემთვის უდიდეს საშიშროებას არ წარმოადგენდა?

არც მკაცრ და ირონიულ თვითრეკლამას ერიდებოდა:

_ მე, «Злой гений» საქართველოს პოეტებისა, ვინ იცის კიდევ რა როლს არ ვითამაშებ ამ გარემოებაში!

არც სრულიად საწინააღმდეგო კომპლიმენტს სტოვებდა უყურადღებოდ:

_ შალვა კარმელმა მითხრა: მე თქვენზე სულ სხვა წარმოდგენის ვიყავი. მეგონეთ ვიღაცა ყაჩაღი და აღმოჩნდით ძალიან და მეტად მშვიდობიანიო. ცოტათი ახლოა ყოველივე ეს სიმართლესთან. ეს მან სთქვა იმის გამო, რომ სურთ მწერლების ბინა წამართვან და მე კი არაფერს ვამბობ.

_ საინტერესო აზრი სთქვა ჩემს შესახებ სერგო ჯავშანიძემ: საქართველოში ერთად-ერთი პოეტი ხარ, რომელმაც მწვერვალს მიაღწიე სხვის დაუხმარებლად, სხვას გადიები შველიანო. სამართლიანად ამბობდა პოლიკარპე კაკაბაძე: მოღალატეს რომ მეგობრად გაიხდი, საქმე წაგებულად უნდა ჩათვალოო.

საკუთარ ნაკლს გულწრფელად აღიარებდა:

_ მე ჩემს თავს შევამჩნიე ერთი ამბავი: არტისტულ «Неряшливость»-ს რომ ეტყვიან, მქონდა. იგი უკვე ბუნებაში შეიჭრა და მე ეხლა თავს ყურადღებას არ ვაქცევ. ეს არ ვარგა. შეხედე, სხვები როგორ იჭერენ თავს!

_ სამწუხაროა, რომ ადამიანებში ვცდები.

კონკრეტულ შეცდომებს გვიმხელდა:

_ დღეს სამი უნებური, ჩემთვის არასასიამოვნო შეცდომა დავუშვი: 1. როდესაც სახ. ბანკში ფულს ვითვლიდი, მოლარესთან წამომცდა სიტყვა: «Вот дура!» მე უნდა ვირბინო ბუღალტერთან, როდესაც ხელმოწერა მისივე საქმეა. 2. სოლომონს რომ პრემია აუღია

თბილისის სიმღერის ტემაზე, მე ეპიგრამა წამომცდა: «გაცოცხლოს, ჩვენო სოლომან, ხმისა შენისა სოლომან!» და ეს სრულებით არ იყო საჭირო. რომ გაიგოს, დავკარგე ამ კაცის ჩემდამი კარგი, მეგობრული დამოკიდებულება! 3. «მნათობი»-ს რედაქციაში ლევან ასათიანს გამოეგზავნა აკაკი წერეთლის რუსული სიტყვა. მე ვთქვი, რომ კარგი იქნება თუ ამას ქართულად დაბეჭდავენ-მეთქი და არა რუსულად. რას დავეძებდი. განა ტიუტჩევის ტომში შეტანილი არ არის მისი ფრანგული ტექსტი? რაღაც ერთი საათის განმავლობაში სამი შეცდომა დავუშვი: სამი კაცი გადავიმტერე.

აგრძელებდა, ოღონდ მესამე პირში აგრძელებდა, რადგან ამგვარი შენაცვლება მეტი გულწრფელობის უფლებას ანიჭებდა:

_ თავისი საშინელი და «არაადამიანური» სიამაყის გამო ბევრი პოეტი გადაიმტერა.

_ მუდამ საყვარელია _ თავისი მიღწევებით და შეცდომებით.

_ დადგა დრო გალაკტიონ ტაბიძესთან ანგარიშის გასწორების: მან უნდა პასუხი გაგვცეს ყველაფერში! _ რატომაა იგი ასეთი და არა სხვანაირი.

_ გალაკტიონ ტაბიძე თვითონ სრულიად არ აფასებს თავის თავს, ყურადღებას არ აქცევს თავის ნიჭს.

არც სხვის საყვედურს გვიმალავდა:

_ შემხვდა უცნობი. მე ხელში მეჭირა წიგნი. მან გამაჩერა. გამომართვა წიგნი. დიდხანს სიყვარულით ათვალიერა და სთქვა: _ რა შესანიშნავი გამოცემაა. თქვენ დიდი პოეტი ბრძანდებით. თქვენ გაფასებთ მთელი საქართველო, მხოლოდ თქვენ თავის თავს არ იფასებთ.

რაც უფრო გულჩათხრობილი იყო ცხოვრებაში, მით უფრო გულწრფელია დღიურებში. ამიტომ ყველაზე მეტად გასაიდუმლოებულ ბიოგრაფიას ყველაზე უფრო დაწვრილებით ვეცნობით.

_ საინტერესოა ს. ყუბანეიშვილის წიგნი «ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე». ამგვარათვე სურს მას დაამუშაოს წიგნი ჩემს შესახებ და ეს ძალიან კარგი იქნება.

გოეთეს საუბრები რომ წაიკითხა ეკერმანთან, _ გოეთესი, რომელსაც ექვსი პირადი მდივანი ემსახურებოდა, _ ინატრა:

_ რა კარგია, ასეთი ეკერმანი ნეტა ჩვენშიც გამოჩნდეს!

მაგრამ ეკერმანი არსად ჩანდა!

ამიტომ, რასაც ფიქრობდა, წერდა. რასაც წერდა, ინახავდა. გვინახავდა. არა ამაოდ!

_ საზოგადოება უნდა დაინტერესდეს იმით, რაც მე მაინტერესებს.

ჩანაწერებისა და დღიურების მიხედვით შეიძლება დიდი სიზუსტით აღსდგეს ლეგენდად ქცეული ცხოვრების უმნიშვნელო დეტალებიც კი და დაიწეროს: გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრება _ მოთხრობილი გალაკტიონ ტაბიძის მიერ.

ამათაც გამოუჩნდებათ ალბათ თავიანთი პლუტარქე!

ქრონიკა ერთი დღის

ოდენ ცხოვრების ქრონიკაც დაგვიზუსტა:

_ სამშაბათი. 17 ოკტომბერი. 1922. მე, საშა აბაშელი და ქუჩიშვილი ამოგვშალეს პენსიონერებიდან. პენსია დაენიშნა პირველი კატეგორიის გრიგოლ რობაქიძეს. ესეც სასიამოვნოა.

_ 1922. 25 ოკტომბერი. მ. ბოჭორიშვილმა უარი მითხრა 20 მან.

_ 1923. წ. ორშაბათი. ორი აპრილი. რედაქციის ბინის ქირა 19 000 000 მან. მადროვეს 6 მაისამდე.

_ 1929. 23 მარტი. შემხვდა ნინო მაყაშვილი. მიამბო სოფლის ამბავები, აღტაცებულია იქაურობით.

_ 1930. 10 ოქტომბერი. კოხტა ყარალაშვილი მიდიოდა გრუზოვიკზე სადღაცა. ორიგინალობდა, მაგრამ მას ეს შვენოდა.

_ 1931. პირველი მაისი. ხელის ოპერაციის შემდეგ (თითი ჯერ კიდევ არაა მორჩენილი) კბილი გავაკეთებინე.

_ სამტრედია. 7/III _ 33 წ. შევხვდი ძმას. ვიყავით ერთად შუადღიდან შუაღამემდის. ვისესხე ფული. მივდივარ ღამით მატარებლით ტფილისისაკენ.

_ 22/V _ 35. მე მაგზავნიან საფრანგეთში რევ. მწერალთა კონგრესზე. დღეს გავაგზავნე შევსებული ანკეტა ვიზის მისაღებად მოსკოვში.

_ პარიზი. 19/VI _ 35. მოვიდა ალაზანი 7 საათზე და მთელი 2 საათი ვანაშია.

_ წითელი მელანი გათავდა 1936 წელს, 12 თებერვალს, დაიღვარა.

_ 25/IV _ 36. სახელგამიდან ოლიამ მიიღო 200 მან.

_ 1936. 30 სექტემბერი. ჩამოვედი ბორჯომიდან.

_ 27/X _ 1936. ჩვენი სახლის წინ დაიწყო გაცხოველებული მუშაობა. აიღეს თათრის სახლი. თხრიან მიწას ეზოში.

_ 1938. 3 აპრილი. ხვალ: გადაწყვეტილია: წინდებს მე თვითOონ გავრეცხავ. გავკიდებ აივანზე და გაშრება.

_ 1939. 7 აგვისტო. დღეს, 11 საათზე მატარებლით მივდივარ კისლოვოდსკში.

_ «ანოფელესი» შემოფრინდა ჩემს ოთახში ჟორესის ქუჩაზე N ¹4, 25 მაისს, 1940 წ. ღამით, საშინელი წვიმის შემდეგ.

_ 16. VII. 40. გუშინწინ გარდაიცვალა ეთიმ გურჯი _ არამიანცის საავადმყოფოში. ხვალ მარხავენ.

_ 41. 10 თებერვალი. სასტუმრო «ტფილისში» დავესწარი ავეტიკ ისაკიანის პატივსაცემად გამართულ სადილს. იყო მისი საღამო მწერალთა კავშირში. ვნახოთ როგორ გამოეხმაურება პრესა.

_ 1941. 31 მარტი. საღამოთი ცაზე სჩანდა ახალი მთვარე.

_ 1941. 14 აპრილი. ვიყავით გორის ციხეზე. ოლგა იურევნამ გორის ციხის ერთი კედელი დახატა.

_ 1945. 19/III. დავწევი საავადმყოფოში (სამკურნალო კომბინატში).

_ 1945. 21 მარტი. გადავიკითხე «სიბრძნე სიცრუის» წიგნი. ექიმი მიყვება თავის მწუხარე თავგადასავალს.

_ 1945. 30/III. ჩვენს ბაღში დავინახე გაზაფხულის პირველი პეპელა, თეთრი პეპელა.

_ 1945. 12 ივნისი. სამშაბათი. შევიძინე მუდმივი კალამი.

_ 1945. 9 ივლისს ვიყავი მცხეთაში. მზის დაბნელებას იქიდან ვუყურე (მცხეთაში დაიწყო და ავჭალაში დამთავრდა).

_ გორი. 21 დეკემბერი. 1946წ. ყველას თავისი თავი გენიოსად ჰყავს წარმოდგენილი, მწერლებსაც და პარტმუშაკებსაც. იყო სიცივე. მე გამოვედი გენიალურად.

_ 1947. 2 აგვისტოს ღამით შოვში მოვიდა თოვლი.

_ 19 ენკენისთვე. 1947. საღ. 6 ს. და 20 წ. გამოვედით ტფილისიდან. 9 ს. და ... ვართ სოხუმში.

_ 22/X _ 47. შემხვდა ამირანაშვილი. დამპირდა მასალებს.

_ 1948, სამშაბათი, 27 აპრილი. საღამოთი მივიღე ახალგაზრდა პოეტის ნოდარ დუმბაძის ჩემდამი მიძღვნილი ლექსი.

_ 1948. 16 ივნისი. დილის 7 ს. 10 წ. გადმოვფრინდით ვნუკოვოს აეროდრომიდან. 4 საათზე ვართ თბილისში.

_ 8/III _ 49. ალექსანდროვის ბაღი. საღამო. გაგვეცნო ვიღაც სევერიანე ლიპარტელიანი. წვერი გაიპარსეო.

_ 1949. 31 ივლისი. უთოს კონტაქტისაგან სულ გადაიწვა სახლში მთელი ელექტრონი.

_ 1949. 11 აგვისტო. ვიყავი ზ. ნ. კეცხოველთან. არ იყო. დავუტოვე განცხადება შტრეპტომიცინ-ის შესახებ.

_ 1949. 17 _IX. ავდექი გრიპის შემდეგ.

_ 22/IX. 49. ცისარტყელა სუხუმის ცაზე დასავლეთით გამოჩნდა დილის 7 საათზე, წვიმის შემდეგ. კარგის მომასწავებელია. გასაოცარია. სდგას დიდხანს. მთელი საათია.

_ 1950. დღეს, 9 თებერვალს, გამოვეწერე კარდიოლოგიური ინსტიტუტიდან (დავწექი იქ 20 იანვარს).

_ 1950. კბილის ექიმთან სიარული დავიწყე 15 თებერვლიდან.

_ 7. VI. 50 წ. მოვიხსენი თაბაშირი.

_ 3 ივლისს, 1950 წ. მოვაწერე ხელი სტოკჰოლმის მოწოდებას.

_ 27. XII. 50. Зубы починю так, что в новый год вы будете кушать цыпленка-табака, _ ასე მეუბნება ზაბელინი, კბილის ექიმი.

_ 1951. 15. III. Страшный день для моих врагов.

_ 11 ოკტ. 1951. «საუდის» ბუჰღალტერი დიდებული ადამიანია. მან ორასი მანეთი გამომიწერა. არ მერგებოდა?

_ 1951. პირველი თოვლი მოვიდა კვირას, 16 დეკემბერს. საინტერესო სანახავია დილდილაობით დათოვლილი ბაღი. მთლად რუსული პეიზაჟია, ნაძვებით, ფიჭვებით. 26 დეკემბერს კიდევ ჰყრია ჩვენს ბაღში თოვლი, მოსული 16 დეკემბერს.

_ 1952. 20 მარტი. დავსწერე რამდენიმე ლექსი: მოგონება, აგრეთვე ეპიგრამა ბესო ჟღენტზე. შევუდექი «სინათლის ყვავილის» ინსცენირების გაკეთებას.

_ 1952. 24 აპრილი. გავემგზავრე ლეჩკომისიაში, სადაც დავამთავრე მიტოვებული შოკოლადის შეჭმა..

_ 1952. აპრილი 30, ოთხშაბათი. რედაქციაში გული შემიწუხდა.

_ 1952 წ. 6 მაისი. დიდი ამბებია ვაჟა-ფშაველას სურათის ჩამოხსნის გამო.

_ 19 მაისს 1952 წ. რადიოთი წყალტუბოს ანსამბლი ბიძინა ღოღობერიძის ხელმძღვანელობით. იმღერეს «წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო». მოგვეწონა.

_ 1952. 6 ივნისი. უჩა ჯაფარიძე დაიწყებს ჩემი პორტრეტის ხატვას 5-6 დღის შემდეგ.

_ 1952. მაჭავარიანი ალექსი. ამზადებს ორატორიას. იყო ჩემთან კვირას, 29 ივნისს.

_ 31 დეკ. 1954 წ. მატარებელი გაჩერდა ხარაგოულში. აქ მასწავლებლად ვიყავი _ 40 წლის წინად.

_ 1955. 10 იანვარი. შემთხვევა ტროლში... (ამომართვეს 100 მ.).

_ 1955. 16 იანვარი. გუშინ ვიყავი წყნეთში. ჩვენი სახლი ყველა სახლზე უკეთეს ადგილასა დგას.

_ 1955. 3 თებერვალი. ილია ზურაბიშვილი ძლიერ ავადაა, ამბობენ: არა დაემართოს რა: კაცმა 80-ს გადააცილა.

_ 1955. 22 ღამითა და 23 დღისით _ თებერვალს _ დიდი ქარია ტფილისში. დალეწა ყველაფერი აქაც, წყნეთშიაც. მწერალთა კავშირში ჩაამტვრია ჩვენი სექციის ოთახის მინები (კარგი მინები იყო, სარაჯიშვილის დროინდელი). ამ ოთახში ვცხოვრობდი 1921 წელს.

_ 29 მარტი. 1955წ. 1 საათზე ექიმთან, 6 საათზე ბიჭიკო მოვა, 8 საათზე გოგი.

_ 1955. 15 მაისი. კვირა. წყნეთში მოვიდა დიდი სეტყვა. დალეწა, გაანადგურა ხეები. ასეთი სეტყვა დიდი ხანია არ ახსოვთ.

_ 1955. 1 სექტემბერი. წყნეთში კარგი ამინდია. დღეს დამიბრუნდა კალამი, რომლითაც ვწერ და რომელიც დაკარგული მეგონა. დიდებულია.

_ 7 თებერვალი. 1956 წ. დავამთავრე დიდი პოემის «მშვიდობის წიგნის» გადაწერა.

_ 1956 წელი (17 თებერვალი). დღეს მოქანდაკე ნ. კანდელაკმა დაიწყო ჩემი დიდი ქანდაკების ძერწვა.

_ 1956. 14 მაისი. კბილები, წინა კბილები, ორი კბილი უცებ სადღაც გამიქრა. როგორ? რანაირად? ყაურმა? პირველი ნიშნები სიბერის. ვაა!

_ 1956. 25 ივნისი. გუშინ ზ. ვ-ში ჩემი და ვაჟა-ფშაველას ცოლის პორტრეტი.

_ 29 ივნისი. 1956. გამოჩნდა უძოზე ცისარტყელა. «ცისარტყელა, დაგინახე, მე წითელი, შენ ყვითელი!» _ შესძახა ირმამ.

_ 30 ივნისი 1956. სახლებიო, ვინც გააკეთა წყნეთში თბილისელებმაო, სულ ჩამოერთვასო.

_ 30 ივნისი. 1956. აკადემიაში ხელი მოვაწერე _ დისერტაციის დაცვას არ დავსწრებივარ.

_ 1956. სამი აგვისტო. გაკეთდა დიდი საქმე. დალაგდა პოემები საბოლოოდ. კიდევ სჭირდება გადახედვა.

_ 1956 წ. 17 აგვისტო. სრულ 9 საათზე ჩემს ოთახში შემოფრინდა ჩიტი. პირველად მძინავდა ჩემს ოთახში ზევით.

_ იფნიბაღი. 6 სექტ. 1956. უცხო შოფერი მოვიდა. ჩვენს კარებთან გააჩერა ავტო: სად ცხოვრობს აქ რადიანი, ცეკას სხდომაზე იწვევენო. ნეტა რა ამბავია?

_ 1957 წ. 15 თებერვალი. დამაგვიანდა აკადემიაში ინსტიტუტის სხდომაზე. მე მეგონა, რომ 4 საათზე იწყებოდა. თურმე 1 საათზე დაიწყო და მალე გათავდა კიდეც.

_ 1957 წ. 15 თებერვალი. გაუძარცვავთ აკაკი ხორავა. გაუხდიათ პალტო. გვიან ბრუნდებოდა თურმე სახლში გუშინ.

_ 1957. 7 მარტი. შემხვდა რაჭველი პოეტი «პიონერიდან».

_ 1957. 1 ივნისი. გამოფენამ, რომელიც დავათვალიერე დიდი სიამოვნებით, ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება დასტოვა, თითქოს ვმოგზაურობდი სვანეთში, სადაც არასდროს ვყოფილვარ... აქ ყველაფერი ქართულია, საღებავებიც კი.

_ 1957. 28 სეკტ. აკადემია. მხვდება კოწია გამსახურდია.

_ 1957. 1 ოქტომბერი. გადავიღეთ სურათი ვართაგავასთან (86 წლისაა).

_ 1957. 1 ნოემბერი. სადღაც მიიკარგა ჩემი ძველი საბერიკაცო ჯოხი, სადღაც გამებნა.

_ 13 დეკ. 1957. წყნეთის ავტოში, მოედანზე ლაპარაკობენ (რადიოს შესახებ): რა დრო დადგა, ლაპარაკში ფულს იღებენ.

_ 1958. 16 მარტი. დღეს დეკადაზე მივემგზავრები.

_ 1958. 24 აპრილი. ექიმმა ქალმა მთხოვა ჩემი ბიოგრაფია. მე დავპირდი. აქიდან გასვლისთანავე ერთი კვირის განმავლობაში დავუმზადებ მას. მეც ხომ მჭირდება.

_ 1958. შევიძინე ტფილისში გასამგზავრებელი ბილეთი 18 ივნისისთვის.

_ 7 აგვისტო. 1958 წ. ჩემი წიგნი, გამოცემული 1914 წ., გადმომცა მხატვარმა ირაკლი ტოფაძემ მაშინ, როდესაც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

_ 23 აგვისტო. 1958 წ. აღმოვაჩინე, რომ კბილი დარჩენილი 1950 წლიდან, დღეს თავის ადგილას უკვე აღარ არის.

_ 1959. 8 თებერვალი. მზიანი ამინდია. მივდივარ წყნეთში.

_ 1959. 22 თებერვალს საავადმყოფოში ვიღაცამ დამირეკა, შემატყობინეს. მე გავექანე და არავინ კი არ იყო: მილი გამოსცემდა ჩვეულებრივ ხმას: წასულიყო, ვინც მირეკავდა...

ოლი, ოლა, ოლოლო

გალაკტიონის არქივში დიდი ადგილი უჭირავს ოლიას მასალებს. პოეტს შეუნახავს ოლიას ქალიშვილობისდროინდელი დღიურები და ჩანაწერებიც კი, აგრეთვე პირადი წერილები, ახლობლების ფოტოსურათები, მშობლების მიმოწერა, პოლიტიკური პატიმრების ეპისტოლე, გადასახლებიდან გამოგზავნილი ბარათები, პირადობის მოწმობები და სამსახურებრივი დოკუმენტები.

ოლია იყო პოეტურად განწყობილი და ლირიკულად მოაზროვნე ორეული გალაკტიონისა.

_ Порой весёлая, порой очень грустная.

ჩვენ, როგორც ორი შეთქმული, ვფარავთ სიყვარულს, ხარებას,
განძი, კლდეებში შედგმული, გაურბის დღის ელვარებას.

ოლიას ჩანაწერები უმეტესად ნათარგმანები გალაკტიონია და პირიქით. ძნელი დასაჯერებელიც კია, მაგალითად, რომ ეს მეტაფორა ოლიას ეკუთვნის და არა გალაკტიონს:

_ Но мой рок всегда мне каркал, как ворон Эдгара: "Невермор!".

აკი გალაკტიონიც პასუხობდა:

_ მაოცებს პოეტური ტემპერამენტი საზოგადოდ შენი წერილებისა.

ორმა მონათესავე სულმა იპოვა ერთმანეთი. ისიც შეუცნობელი მარტოსული გახლდათ და ისევე ეუცნაურებოდა გარეშე თვალს:

_ ტიტემ თქვა, რომ იგი «странная» არისო.

მაღალი ინტელექტით აღბეჭდილი ოლიას დღიურები და პირადი წერილები _ ესაა უიმედოდ შეყვარებული და სამუდამოდ განწირული სულის გულწრფელი აღსარება. თითქოს წინასწარ გრძნობდა განგების მკაცრი განაჩენის მოახლოებას და სიკვდილივით

ეშინოდა განშორებისა. უერთმანეთოდ ორივე მარტო რჩებოდა, სრულიად მარტო, და ბედისწერას რომ ხშირად და ხანგრძლივად და სამარადისოდ არ გაეთიშა ერთ არსებად შეთქმული ეს წყვილი, პოეტი სხვა ცხოვრებით იცხოვრებდა:

_ ძვირფასო ოლია, შენ რომ არ ყოფილიყავი, შესაძლებელია მე სამუდამოდ დავესამარებინე ამ ცინიკების ხროვას.

ოლიას განათლება რუსულ ენაზე ჰქონდა მიღებული და რუსულად წერდა. მაგრამ, ეტყობა, ხანდახან მშობლიური ენის ნოსტალგია მოეძალებოდა და ქართულს გამოურევდა, უფრო ზუსტად: რუსულ-იმერულ-ქართულს. გადავიკითხოთ ერთი რამდენიმეთაგანი _ მამას სწერს ჭიათურიდან:

_ ფატის უთხარი, როდის იქნება გაზაფხული, რომ მისი ყვავილები ხელში დავიკავო. უხ, რა მინდა, ჩემს ოთახში რო სულ ყვავილები იქნეს და მწვანეები. მამა, რომ გიფიქრებ, ხანდახან, როცა მარტო ვარ, ასე მგონია, ეს ზაფხული ჩემთვის სიზმარი იყო თქვა, თუმცა ცვლილება ვიცი ჩემს ცხოვრებაში შეიტანა... ეხლა ძაან მოველი ზაფხულს. ზაფხული კი სიზმარში არ უნდა გავატარო...

მეორე ქართული უფრო გვიანდელია და ენაც უფრო დაუხვეწავს. ზღვისპირეთშია, გალაკტიონზე ფიქრობს, ეჭვიანობს, მხატვრული აზროვნების ნიჭს ამჟღავნებს:

_ დიდხანს, დიდხანს არ დამეძინა. ვიწევი შუშაბანდში მარტო, ვსწევდი პაპიროსს. მთვარე უხვად მხვევდა სხივებში. აავერცხლა სავსებით ჩემი თეთრი საწოლი. მე ვსწევდი პაპიროსს, შევსცქეროდი მოვერცხლილ სივრცეს და ვუსმენდი ზღვის წყნარ გუგუნს. გუგუნში ვფიქრობდი ბევრ რამეზედ. გამახსენდა შენი ლექსი «მე და ღამე». გვიან ოდესღაც დამძინებოდა. დამესიზმრა, ჩამოვიდა მანია და მითხრა მოწყენილად: ოლია, იცი გალაკტიონმა არ მოისურვა შენთან ჩამოსვლა. ჩემი თავმოყვარეობამ ძილშიც არ მიმატოვა და მე მანიას არ შევეკითხე თუ რისთვის. ვგრძნობდი ჩემი ცხოვრების საშინელებას. რას ნიშნავს არ მოისურვა? სჩანს პირობები ხელს უწყობდა, მაგრამ... დამშორდა. საშინლად ვიტანჯებოდი. გამომეღვიძა. საშინელი ხმაურობა ისმოდა ირგვლივ. საშინელი ღრიანცელი აწიოკებდა და გლეჯდა ცას და დედამიწას... ქარი უგზო-უკვლოდ დაწიოდა, დაკივოდა საცოდავათ. მრისხანეთ ღრიალებდა ზღვა და გლეჯდა ნაპირებს. ქალის საშინელი ქვითინი შემომესმა, ნელი ქვითინი. უიმედობა ისმოდა ამ ხმაში. მომეჩვენა თავჩაქინდრული ქალი, ჩამომდნარი ჯავრიდან, რომელიც მბჟუტავ სანთელთან ჩასცქეროდა გვამს. ეს იყო ქარი, რომელიც წივილ-კივილით დაჰქროდა და მერმედ საწყლად ამოეფარებოდა ხან ჩემს ფანჯარას, ხან კარს და საშინლად მოთქვამდა. ასეთი ტირილი ქარის მე არ მსმენია, მხოლოდ წამიკითხავს გალაქტიონ ტაბიძის ლექსებში. რა საშინელება არის ქარის ტირილი...

მგონი, უკვე მოგწონთ ოლიას ფრთხილი ქართული. ერთიც წავიკითხოთ: ახლა უკვე სერიოზულად ეჭვიანობს: დედის ავადმყოფობის გამო ზოგჯერ მშობლებთან რჩებოდა. გალაკტიონს ხშირად აკითხავდა. 18 თებერვლის წვიმიან დღეს სურსათი უყიდია და მოსულა. კარები დაკეტილი დახვედრია:

_ საშინელი წვიმა, სიცივე. ტალახი და მოღრუბლული ცა. დაღლილი მოვედი სამუშაოდან. მაგრამ გამახსენდი ისევ შენ. არ მინდოდა მოსვლა, მაგრამ... ვიშოვნე ფული, ვიყიდე რამეები და დასველებული მივადექი შენს კარებს ღონემიხდილი. კარები დახურული იყო შიგნიდან, რაც ამტკიცებდა შენს ბინაში ყოფნას. დიდხანს, დიდხანს ვურახუნე, მაგრამ არ გამომეხმაურე. სთავნები დახურული გქონდა განგებ.

თავმოყვარეობამ მთლად გამამწარა და საშინლად დაუწყე კარებს რახუნი. მეზობლებმა ყველამ იცოდა, რომ შენ იმყოფებოდი სახლში, მაგრამ რამდენი იყავით შიგ ჩაკლიტული? რასაკვირველია, ორი. მთვრალი არ იყავი, რისიც მოწამეა კარგათ ჩაკეტილი სტავნები და კარები, ისთე ადრიანად, როგორც 7 1/2 საათი საღამოს. განა მეტი დამცირება იქნება, რომ მე მაკეთებია კარები და კედელი, რომელიც ჩემთვის უნდა დახურულიყო, ქურდულად, ვიღაცეების დროს გასატარებლად? მე ვლოცავ იმ წამს, რამაც მომიყვანა მაქ 18/II-ს, რომ გამეხილა თვალები, ამდენხანს ბლონდის ქვეშ მყოფი... ვწყვეტ შენთან უბრალო თავის დაკვრასაც ქუჩაში შეხვედრისას და მეტი კი ვერსად ვერ შემხვდები შენ აწი. 19/II.

იმავე ფურცლის მეორე მხარეს იმავე საღამოს უკვე რუსულად მიუწერია:

_ И час тому назад я тебя видела с той дрянью и ты прелестно меня видел, но как будто не заметил и я как будто не видела вас. 19/II. 9$^{1/2}$ч. ночи.

არც გალაკტიონი რჩებოდა ვალში ხანდახან:

_ ოლია, იწერები, რომ შხამი გახსოვს ჩემგან? თუ ამნაირ საყვედურზე მიდგება საქმე, მე უფრო ბევრი შხამი მახსოვს შენგან. დიახ, დიახ! წერილებზე ნუ დამემდურები. მე მთელ დედამიწის ზურგზე ყველასთან ასე ვიქცევი: არავის წერილს არ ვუგზავნიდი, მაგრამ არავინ არ მემდურება.

სამეზობლო ფოსტაც შემონახულია:

_ ოლია! შენ და გალაკტიონი, ძალიან გთხოვ, 25/I ჩემთან მოხვიდეთ. არავინ არ იქნება, გარდა კოლიასი. საცივს გავაკეთებ, ჩემო ოლია, და ერთად ვისადილოთ. იცოდე, ძალიან მეწყინება, რომ არ მოხვიდეთ. შენი მარუსია.

_ ოლია! თეატრში მიდიხარ? თუ არ მიდიხარ, ჩემო ოლია, და ან საქმე არ გაქვს, გამოდი ჩემთან ცოტახანს, ავად ვარ და ძალიან გლახათ ვგრძნობ თავს. შინ არავინ არის. მარტო ვარ. თუ რამე საქმე გექნეს, ნუ შეწუხდები. მარგარიტა.

აქვეა ორენბურგის კოლონიიდან ყირიმის რაიონულ ცენტრ ყარასუბაზარში გამოგზავნილი რამდენიმე ბარათი. ერთი 1930 წლის 20 ივნისითაა დათარიღებული:

_ სალამი, ძვირფასო ოლია. თქვენი ღია ბარათი მივიღე, მაგრამ პასუხის დაგვიანება მიეწერება კოლონიალურ საკითხს. პირველი: ჩვენთან საშინელი გაჩხრეკა იქნა და ამხანაგები დააპატიმრეს ორი. მასალები წაიღეს თითქმის ყველასი. ისე რომ ჩვენ მოვითხოვთ ამხანაგების გამოხმაურებას. ჩვენ, პირადათ ორჯონიკიძეს და სამდივნოს გაუგზავნეთ საპროტესტო დეპეშა ასეთ უხეშ მოპყრობაზედ აქ, დანარჩენ კოლონიებში და იზოლატორებში. მე მგონია გაგონილი გექნებათ. საჭიროა საპროტესტო დეპეშები ყველა კოლონიებიდან. გადაეცი სხვას, მახლობელ კოლონიას. მე-XVI სიეზდიც წავა. XV-საც ეს ეხლავე ემჩნევა. ძვირფასო ოლია, გიგზავნი დახურულ და საპროტესტო დოკუმენტს. მათთან ერთად დაამატეთ თქვენი კოლონია და გააგზავნე საჩქაროთ მახლობელ კოლონიაში. მაგრად გართმევ ხელს.

როგორც ირკვევა, ოლიას ყირიმში ცხოვრების უფლება მისცეს და შუააზიიდან სიმფეროპოლში ჩავიდა.

იმ დღეებში გალაკტიონი აბესალომს ატყობინებს:

_ ძვირფასო აბესალომ, თქვენთან დიდი ბოდიში უნდა მოვიხადო, რომ ამდენხანს ვერ ჩამოვედი, ვერც წერილი მოგწერეთ. რა მემართება მე თვითონ არ ვიცი. საშინლად, ნერვიულად გავატარე ეს ზამთარი. ცხოვრება ცხოვრებას არ ჰგავდა. ამიდები აქ ცუდი

იყო. მაგრამ ზამთარი გავიდა. ეხლა კარგად ვარ (მატერიალურად მაინც ვერა ვარ კარგად). არაფერია, ყველაფერი გამოკეთდება. ოლია, როგორც იცი, გააგზავნეს ჯერ შუა-აზიაში, შემდეგ კრიმში. წერილებს მისგან არ ვიღებ, რადგან ვერაფერსა ვსწერ და ალბად გულმოსულია.

აბესალომი გალაკტიონს სთხოვს:

_ გალაკტიონ! თუ ძმა ხარ, მომწერე ოლიას მისამართი. შენ მეუბნები ყირიმში არისო. მომწერე გარკვევით. რამდენი ხანია მინდა რაღაცეების გაგზავნა, მაგრამ მისამართი რომ ვერ გავიგე სწორი _ ტურკესტანი, ოდესა, მოსკოვი _ სად, არ ვიცი.

ეს იყო თავისუფალი პატიმრობა. გასაგები მიზეზების გამო, ამაზე გალაკტიონი სდუმს. ვერც იმას ამხელს, რატომ არ უგზავნის წერილებს. თავისთვის კი დაუგეგმავს:

_ მზადება შუა-აზიაში გასამგზავრებლად. წიგნები ძველი და ახალი შუა-აზიაზე. ქარტები. ისტორიული მომენტების ხაზგასმა.

ვიდრე ოლია იქ იმყოფებოდა, საჭირო მასალები შეუგროვებია, რუსული საცნობარო წიგნებიდანაც ამოუწერია. შეუძენია 1930 წელს გამოცემული _ «В стране белого золота». წიგნზე მიუწერია:

_ მოგზაურობას თავისი უნარი აქვს. მოგზაურობა კარგად იცოდა გიოტემ, ბაირონმა, შელლიმ.

დაინტერესებულა:

_ როგორ მოგზაურობდენ: გიოტე, ბაირონი, ილია ჭავჭავაძე?

ჩაუნიშნავს:

_ უმრავლესობას ჩვენი მკითხველებისას სრულიად არა აქვთ რაიმე არსებითი წარმოდგენა შუა-აზიის შესახებ, მაშინ, როდესაც შუა-აზია და მისი მკვიდრი მოსახლეობა ღირსია უფრო მეტი ინტერესის.

გასაუბრებია მხატვრებს გიგო გაბაშვილსა და რიჰარდ ზომერს, რომლებიც ცხოვრობდნენ და ხატავდნენ შუააზიაში.

მარშრუტიც დაუზუსტებია და სამგზავრო ხარჯებიც დაუანგარიშებია:

_ Самарканд. 15 р. Совторгороот. 16 р.5 к. Мягкий. ბაქო _ 8.75-12 საათ. კრასნოვოდსკიდან ალმა-ატამდე 16 р. Такир _ 772 километр. Пароход из Баку _ в нечетных числах. გემით 25 р.

ბაქომდე ბილეთის ღირებულების დაზოგვაც განუზრახავს და ამიერკავკასიის ცაკისთვის განუცხადებია:

_ მაქვს რა უდიდესი სურვილი თვალყური ვადევნო ამიერკავკასიაში დიდი გარდატეხის წლის ამბებს, გთხოვთ მომცეთ საშუალება უფასო მოგზაურობისა ამიერკავკასიაში რკინის გზებზე (მე გახლავართ ღარიბი მწერალი).

გამგზავრება ვეღარ მოუსწრია, რადგან ოლია გადმოიყვანეს ყირიმში, საიდანაც ქართულად სწერდა:

_ გადავიარე საშუალო აზია. აზიის სიცხიდან გადმოვედი მოსკოვში. იქ მანია, გოგი. ხუთმეტი მინუტი საუბარი, სიხარული, აღელვება. მოსკოვში ციოდა ძლიერ. ისევ დაიკივლა ორთქმავალმა და გააქანა ჩემი მატარებელი სიმფეროპოლისაკენ. ორი დღის შემდეგ თბილი სიმფეროპოლი. ერთი დღე სასტუმრო «ლენინგრადში». სიმფეროპოლიდან ერთი საათის შემდეგ ავტობუსმა მომაქანა აქ _ კარასუბაზარში. ძაან სუსტად ვარ, ნახევარჯერ ვწევარ. დედაჩემს არ უთხრა. აქ ჯერ ვცხოვრობ გლეხთა

სახში, მიჭირავს ნომერი, პატარა წმინდა ოთახი. მოპყრობა კარგი ძლიერ. გადავცქერი. ცისფერი, მუქი ცისფერი სივრცე. მწვანე ხავერდოვანი მინდვრები და გორაკები ირგვლივ აქვე, შორით ცისფერ ბურუსში გახვეული მოწყენილი მთები, მორცხვი. მე მარტო მათ შორის, მაგრამ დავმეგობრდით შორიდან ძლიერ. მხოლოდ ხშირად ვერ ვხედავ მათ, რადგან ცოტა სუსტად ვარ და ხშირად ვწევარ. არც ერთი ნაცნობი, არც ერთი მეგობარი აქ. დღეს ფოსტაში წავედი. გამეხარდა, მივიღე მამას ტელეგრამა და ერთი მეგობრის კოკანდიდან მოლნია ტელეგრამა. იქ ჩამოვჯექი. ცოტა დაღლილი ვიყავი.

ამჯერად აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ გადმონაცვლებულ მარშრუტს ოლია სთავაზობს:

_ ეცადე ჩქარი მატარებლის ბილეთი აიღო. ბილეთი უნდა იყოს: თბილისი-მოსკოვი-სიმფეროპოლი. მოსკოვიდან სიმფეროპოლამდე ორი დღის სავალია. სიმფეროპოლში დაისვენებ მეორე დილამდე. მეორე დღეს ჩაჯდები ავტობუსში და ერთ საათში აქ იქნები. ავტობუსი «გლეხის სახლთან» ჩერდება და მეც იქ დაგხვდები.

ოლიას აქაც არ ასვენებდნენ: 1930 წლის 1 ივნისს N ¹921 ორდერის საფუძველზე ოლია ოკუჯავას ოთახი გაუჩხრეკიათ სახლის მეპატრონე ევგენი პროკოფის-ძე ნეკრაშევიჩის თანდასწრებით. 19 ნაწერი ფურცელი აღმოუჩენიათ და წაუღიათ.

არქივში საყურადღებო ცნობა შეგვხვდა:

_ თბილისის საბჭოს განათლების განყოფილების მცირეწლოვანთა საქმეების კომისია ამით ადასტურებს, რომ სრულიად ობოლი შურა ოსიპის ას. რეშტამი _ 8 წლისა _ იმყოფება ოლია სტეფანეს ას. ოკუჯავას სრულ კმაყოფაზე და პურის წიგნაკიც უნდა მიიღოს მასთან, ვინაიდან ბავშვს სხვა მარჩენალი არავინა ჰყავს. 22/VI _ 1933.

ამ დადასტურებამ 1917 წლის ერთი პირადი წერილის ნაოცნებარი გაგვახსენა:

_ ოლია! მე ვოცნებობ ჩვენს ერთად ყოფნაზე, პატარა ბავშვზე, განა კარგი არ არის?

ერთ ანონიმურ პირად წერილში, რომელშიც ტენდენციურადაა კომპრომეტირებული გალაკტიონის პიროვნება და, მიუხედავად ამისა, მაინც შეინახა, _ ვკითხულობთ:

_ მე არ მეგულება ადამიანი, რომელიც იცნობდეს ოლიას და არ აღმერთებდეს მას... ასეთი ქალი იშვიათია, განსაკუთრებით მე-20 საუკუნეში.

გალაკტიონი მართლა აღმერთებდა:

_ შენი გალონი. _ მარადის შენი გ. მარადის და მარადის შენი გალაკტიონი. _ შენი მარადის და მარადის იქითაც გალაკტიონი.

ოლია შემოქმედებითი ეგზალტაციის ჟამს მოევლინა და დაემგზავრა გალაკტიონს. მან პირველმა იგრძნო და იწამა გენიის სიდიადე, მისი პიროვნული სისუსტეებიც ზუსტად შეიცნო და ბავშვივით უვლიდა და არიგებდა, ეხმარებოდა, ეალერსებოდა, აღმერთებდა:

_ გა! გალ! გალიკ! გალკინ! გალონ! გალა-კტი-ონ!

პოეტის ხელნაწერებმა რომ უვნებლად მოაღწიეს ჩვენამდე, ამასაც ოლიას უნდა ვუმადლოდეთ:

_ ვესალმები და ვეამბორები შენს წიგნებსა და ხელნაწერებს. აუწყე მათ, რომ მე ისინი ძველებურად მიყვარან და თავს ვევლები, როგორც ყოველთვის. _ ამ სიტყვებს თავისი ცხოვრების უმძიმეს წუთებში წერდა, როცა დღეები ჰქონდა დათვლილი.

_ ვკოცნი შენს ხელნაწერებს. _ ესეც ოლიას უკანასკნელი წერილის უკანასკნელი სიტყვებია, 1941 წლის 30 აგვისტოს დაწერილი _ თერთმეტი დღით ადრე!

არამარტო დღიურებს წერდნენ ერთად: 1918 წლის 7 მარტს თორმეტფურცლიან რვეულში აკვარელით ოთხფერი ყვავილებიანი ვაზა დაუხატავთ და ქვევით მიუწერიათ:

_ Худ. Олли, худ. Галл, 1918 г., 7 марта, сумерки.

როგორც ირკვევა, ოლია არა მარტო პწკარედებს უმზადებდა. ბევრი მასალა შეუგროვებია, როდესაც გალაკტიონს პარიზში აგზავნიდნენ («რაც ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო») და კონგრესზე გამოსვლის ტექსტს ამზადებდა, აგრეთვე _ საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ რომ მოხსენება მოამზადა კონგრესის შესახებ. გალაკტიონი ხშირად მთარგმნელთა შორისაც იხსენიებს. ოლიას რვეულში გალაკტიონის ხელით უნდა იყოს ჩაწერილი ერთი სავარჯიშო: ოცივე რუსული თანხმოვანი ხუთივე ძირითად ხმოვანთან დაუწყვილებია და ყველა შესაძლო ღია მარცვალი ჩამოუწერია. იქვე მსგავსი თანხმოვნების წყვილებიც დაუჯგუფებია და ნიმუშებიც დაურთავს. ეტყობა, კონსულტაცია ჩაუტარა მომავალ მთარგმნელს:

ба-бе-би-бо-бу
ва-ве-ви-во-ву
га-ге-ги-го-гу
да-де-ди-до-ду
жа-же-жи-жо-жу
за-зе-зи-зо-зу
ка-ке-ки-ко-ку
ла-ле-ли-ло-лу

--------"------- ж - как ш.
--------"------- з - как с.
раб-ство _ рап-ство.
гроб _ гроп, раб _ рап.
ров _ роф, кровь _ крофь.
ног _ нок, вдруг _ рук и т.д.
труд _ трут, пруд _ прут.
нож _ нош.
мороз _ морос.

_ მე და ოლიამ ვთარგმნეთ, _ მიუწერია სამი სტროფის ბოლოს 1931 წლის 24 დეკემბერს (ესაა უსათაურო ლექსის «დიდად მჭერმეტყველობენ» _ პირველი ვარიანტი. 1957 წელს დაბეჭდა და 1916 წლით დაათარიღა. ცხადია, 1931 წლის შემდეგაა დაწერილი).

გალაკტიონის ბლოკნოტებში და რვეულებში ოლია ხშირად წერდა შენიშვნებს, დღიურებს, მოთხრობებსაც. თავის მხრივ გალაკტიონიც ეხმარებოდა ოლიას _ ქართულ ენაზე სამსახურებრივი საქმის წარმოებაში: ერთხელ ვრცელი მოხსენებითი ბარათი შეუდგენია თუ უთარგმნია _ «მეწისქვილე ავეტისოვის გაერთიანებული მუშკოპის მიმართ საჩივრის შესახებ»...

მთელი მათი ცხოვრება განშორებებით იყო დაძაბული და დამძიმებული, შედარებით მშვიდობიან დღეებშიც კი:

_ გალ! მაპატიე, გუშინ რომ ვერ მოვედი, მაგრამ სულ ტრამვაის ბრალია. ბარე ორ საათს ველოდე, დამაწყდა ნერვები. დღეს აქა ვარ და შენ გელოდები. ვერც ამ საღამოს შევძლებ მოსვლას იმიტომ, რომ ხვალ დილით დედა უნდა გავამგზავრო. გავა მატარებელი და უმალ შენთან გავჩნდები. რაღაც კარგად ვერ ვგრძნობ თავს.

_ საყვარელო გალ, მაგრად, მაგრად გკოცნი. ვატყობ, ვერასოდეს მოვაწყობთ ჩვენს ცხოვრებას ისე, რომ მარტონი დავრჩეთ ერთად! ყოველთვის მეშინია, რომ ვიღაც გვითვალთვალებს... ხომ ხედავ, მოწმის გარეშე წერილის დაწერასაც ვერ ვახერხებ... გალ, ხვალ აუცილებლად დამირეკე. ძალიან, ძალიან მინდა ახლა შენთან ვიყო. გკოცნი, მაგრად, მაგრად. მე.

ორჯერ დააშორეს ერთმანეთს. მეორედ _ სამუდამოდ. მარტოდარჩენილი პოეტი გულის დარდს ვერავის უზიარებდა, თავისი უმწეობა სტანჯავდა:

_ О, как я хочу облегчить твоё настоящее положение.

იმ დღეებში თვითმკვლელობაზე ფიქრობდა. ფიქრობდა კი არა, ერთ ახლობელს უზიარებდა კიდეც თავის განზრახვას. ლექსადაც დაწერა: «ვერ გავწირე, არც გამწირა. თავიც ვერ მოვიკალი».

თვითმკვლელობამდე ორი კვირით ადრე გერმანიიდან მოტაცებულ ცნობილ ქართველ გენერალს ესაუბრა _ მწერალთა კავშირის გამომცემლობის იურისკონსულტს _ შალვა მაღლაკელიძეს. თავისი ტრაგიკული სიყვარულის ამბავი გაანდო. იმაზე სწუხდა, ოლიას რომ ვერ გამოესარჩლა: ალბათ ამის გამო იმქვეყნად ჯოჯოხეთში მოვხვდებიო.

არ იმჩნევდა და ძალიან განიცდიდა:

_ ყველაფერი შეიძლება კარგად მოეწყოს, რომ ოლიას ამბავი არა: თვენახევარია წერილი არ არის მისგან. უკანასკნელში მძიმე ავადმყოფობას იწერებოდა (20 ივნისს). ორასი მანეთი გავუგზავნე და დამიბრუნეს, ადრესატი არ გამოცხადდაო. შემდეგ კიდევ _ ორასი. იგიც დამიბრუნეს, საფოსტო ყუთი დაიხურაო. დაზღვეული წერილიც გავუგზავნე, ისიც დამიბრუნეს. უკანასკნელად ხუთი თუმანი გავუგზავნე, ნორმა, ალბათ იმასაც დააბრუნებენ, თუ საფოსტო ყუთი დახურულია. ამნაირ მდგომარეობაში (დაახლოვებით, ყველაფერს არ ვსწერ) გავატარე შვიდი თვე: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი! თანდათან ვერკვევი კოშმარებიდან. ამ დღეებში ცოტახნით მინდა მოვშორდე ტფილისს.

გასაგები მიზეზის გამო, ოლიას იშვიათად ახსენებს ან სულაც არ ახსენებს და გულისხმობს:

_ სახლში დამხვდა წერილი იაროსლავიდან. _ ეს ფრაზა 1939 წლის 4 იანვრის დღიურიდან ამოვიწერეთ. იმავე წლის ბლოკნოტში კი ამოვიკითხეთ:

_ იაროსლავიდან წერილი დამიბრუნდა 3 აგვისტოს, დღის 2 საათზე, იგი შემოგდებული იყო კარებში... დღესვე (3 აგვისტოს) საღამოს შვიდის ნახევარზე დააბრუნეს ფული 200 მ., გაგზავნილი 15 ივლისს. იქ მიღებული იყო მეორე დღესვე. ასეთი წარწერა აქვს: _ Почт. ящ. 34 закрыт, 26/7 (подпись).

როგორც ოლიას წერილებიდან ირკვევა, ივლისის თვეში იგი მოსკოვის ახლოს ქალაქ ვლადიმირში გადაიყვანეს, საფოსტო ყუთის ნომერიც შეეცვალა: 21.

1940 წლის 4 თებერვალს გალაკტიონს ჩაუწერია _ «ყველა დღეებზე უფრო საშინელი დღე»: ოთხ სამწუხარო ფაქტს ასახელებს. მესამე ასე იკითხება: «ვარ უბედური

წერილით». ამ დროს სწორედ ოლიას წერილებს ღებულობდა! ღებულობდა და ვერ პასუხობდა. სასოწარკვეთილი ოლია კი ევედრებოდა:

_ გამწარებით გემუდარები, ერთი სიტყვა მაინც მომწერე!..

მიუხედავად იმისა, რომ ოლია არაერთხელ შეახსენებს _ თვეში ორი წერილის უფლება გვაქვსო, და, მიუხედავად იმისა, რომ ოლია ამ უფლებას მაქსიმალურად იყენებდა, მიუხედავად იმისა, რომ არც კი იცოდა ადრესატი მის წერილებს ღებულობდა თუ არა, _ საპასუხო წერილი ოლიამ სამი წლის, ექვსი თვისა და 12 დღის შემდეგ მიიღო _ 1940 წლის 23 მაისს.

_ Я стараюсь слово заменить делом. _ დაიმედა გალაკტიონმა. რომელიც იმავე მაისის თვეში ოლგა დარიუსმა დააკვალიანა:

_ Над делом "пересмотра" я много думала. Надо найти основание по какому следует ходатайствовать. Но над основанием следует серьезно подумать. Пожалуй, это дело юриста. У вас имеется еще другой путь, самый прямой и краткий. Однако, лучше обо всем поговорить на словах. Словом _ вы должны со мной встретиться.

როგორც ჩანს, ამ შეხვედრისას «ყველაზე პირდაპირი და მოკლე გზა» გამოინახა:

_ 9.VII. 40. ვიყავი ირ. აბაშიძესთან. კანდიდს უკითხავს ირაკლისთვის: როგორია შენი და გალაკტიონის დამოკიდებულებაო. მას უპასუხნია: მშვენიერიო. შემდეგ ირაკლიმ: ხომ არაფერზე ხარ ნაწყენი აკაკი წერეთლის დღეების გამოო. მე ავუხსენი, რომ ვარ... ის ყველაფერს აბრალებს სხვებს: ინტრიგანები არიანო და სხვ. ხომ არ მიემგზავრებით ამ ზაფხულს სადმეო და სხვ. სჩანს, სტალინისადმი გაგზავნილმა წერილმა ააწრიალა.

რესპუბლიკის პირველი პირის დაინტერესება, მისი დავალებით მიწვევა, მოჩვენებითი გულისხმიერება და მობოდიშებასავით მოფერება _ ამ ფრთხილი დიალოგის ფარულ მიზეზსა და ქვეტექსტს ააშკარავებს: ოლია ვლადიმირში იყო გადასახლებული და იქიდან შეფარვით ათამამებდა:

_ იმედია, შენ მაინც გჯერა, რომ მე საბჭოთა ხელისუფლების მტერი არა და არა ვარ. უკვე გავაგზავნე განცხადება ცენტრში. ვნახოთ.

_ ვიმედოვნებ ჩემს საქმეს განიხილავენ და სახლში დავბრუნდები.

_ ნეტავი მალე გაარკვიონ ჩემი საქმე. ცენტრიდან შემატყობინეს, რომ გაარკვევენ და მოუთმენლად ველოდები. მჯერა დაადგენენ ჩემს უდანაშაულობას და გამათავისუფლებენ.

_ შენი ალერსიანი ხმა ჩამესმის: «მალე გაარკვევენ შენს საქმეს, დარწმუნდებიან, რომ შენ ცილისწამების მსხვერპლი ხარ და გაგათავისუფლებენ».

ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ სხვა რა პრობლემა უნდა ჰქონოდა მარტოდარჩენილს და რაღაზე უნდა შეეწუხებინა მამა და მასწავლებელი?!

სხვათაშორის: 1941 წლის 17 მარტის დღიურში შეკითხვა დასვა:

_ მართლაც და ღირს დაფიქრება, რა მუშაობა ჩატარდა ჩემი დამარცხებისათვის? _ და ექვსი დანომრილი პასუხიდან _ ხუთი დააკონკრეტა, უკანასკნელი კი დაშიფრა:

_ ირ. აბაშიძეს არ მისცეს საშუალება... (აქ დიდი საიდუმლოებაა).

სამწუხაროდ, ამ წერილზე პასუხი ვერ მიიღო, ხოლო ექვსი თვის შემდეგ სწორედ იმან მოაწერა ხელი ოლიას დახვრეტას, ვისგანაც შეწყალებას მოელოდა, თუმცა, ისე ავიდა მთაწმინდაზე, ამის შესახებ არაფერი შეუტყვია.

გალაკტიონის არქივში ერთი ღია ბარათია _ მოსკოვის დიდი თეატრი:

_ ამ თეატრში ვიყავი 1918 წელს, იმ დღეს, როდესაც მოჰკლეს გრაფი მირბახი, ეს აკტი ჩაიდინეს მემარცხენე ესერებმა. თეატრში კი ისინიც მოწვეულნი იყვნენ დიდ ყრილობაზე და _ დაპატიმრებულნი. მახსოვს იგი დღე. გარედ წვიმდა. კრება არ შესდგა. სპირიდონოვა ავიდა ტრიბუნაზე, არა, სკამზე, რომელზეც იჯდა და დაიძახა: Товарищи! Мы все арестованы! Споем же наши революционные песни!". ამღერდა პარტერის ნაწილი. გვიანობამდე მღეროდნენ. როდესაც გამოვედი, თეატრი გარშემორტყმული იყო წითელარმიელებით ხუთ რკალად. მე გამატარეს.

აღნიშნული მკვლელობა 6 ივლისს მოხდა. მკვლელობის ორგანიზატორი სწორედ ეს მარია სპირიდონოვა გახლდათ, ესერთა ერთ-ერთი ლიდერი, ტერორისტი, რომელმაც მანამდე დამსჯელი ექსპედიციის მეთაური დაჭრა სასიკვდილოდ და დახვრეტა სამუდამო კატორღით შეუცვალეს, მერე ციხიდან გაიქცა და ფსიქიატრიულ იზოლატორში მოხვდა. ბოლოს პოლიტიკას ჩამოშორდა და თავისუფალი გადასახლება მიუსაჯეს უფაში.

1941 წლის შემოდგომაზე, გერმანელები რომ მოსკოვს მიუახლოვდნენ, ორიოლის ციხეში სასწრაფოდ შეკრიბეს პოლიტიკური პატიმრები. როგორც ნახევარი საუკუნის შემდეგ გამოირკვა, სწორედ აქ მოხვდნენ საერთო სიაში ოლია ოკუჯავა და მარია სპირიდონოვა. ერთი ვლადიმირიდან ჩამოიყვანეს, მეორე უფადან.

ოლიას უკანასკნელი წერილი 1941 წლის 30 აგვისტოსაა დაწერილი:

_ ნეტა თუ მეღირსება მალე სახლში დაბრუნება? გავიგონებ კი შენს საყვარელ ხმას?

ვერ გაიგონა! ვიდრე გალაკტიონი ამ სიტყვებს წაიკითხავდა, ოლია ორიოლისაკენ გაამგზავრეს. როგორც საბჭოთა იმპერიის დანგრევისა და კაგებეს საიდუმლო არქივების გახსნის შემდეგ შევიტყვეთ, 1941 წლის 11 სექტემბერს ორიოლის მახლობლად, მედვედევოს ტყეში, 157 პატიმარი დახვრიტეს. მთელი ეს აქცია კანონიერების ისეთი დარღვევითა და ისეთი სისასტიკით ჩაატარეს, რომ საჭიროა უფრო დაწვრილებით გავეცნოთ.

ამ დაუნდობელ დოკუმენტს ორი ქართველი აწერს ხელს: ბერია წარადგენს და სტალინი ადასტურებს (რომ დასცლოდა და რომ დაეცლიათ, მესამეც მოაწერდა, ყველაფერზე მოაწერდა ხელს!).

1941 წლის 6 სექტემბერს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი მოკლედ მოახსენებს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს _ «სრულიად საიდუმლოდ»:

_ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის საომარი მოქმედების გამო სახელმწიფო დამნაშავეთა ყველაზე მეტად გაბოროტებული ნაწილი შინსახკომის სატუსაღოებში პატიმრებს შორის ეწევა ძირგამომთხრელ აგიტაციას და ცდილობს გაიქცეს მავნებლური საქმიანობის განსაახლებლად. აქვე გიდგენთ სხვადასხვა დროს ტერორისტული, ჯაშუშურ-დივერსიული და სხვა კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის მსჯავრდებული 170 პატიმრის სიას. საბჭოთა კავშირის შინსახკომს აუცილებლად მიაჩნია მათ მიმართ გამოყენებულ იქნას სასჯელის უმაღლესი ზომა _ დახვრეტა. მასალების განხილვა დაევალოს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას. გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

კიდევ უფრო მოკლეა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის საპასუხო განკარგულება იმავე დღისა _ «საიდუმლოდ»:

_ გამოყენებულ იქნას სასჯელის უმაღლესი ზომა _ დახვრეტა სხვადასხვა დროს ტერორისტული, ჯაშუშურ-დივერსიული და სხვა კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის მსჯავრდებული 170 პატიმრის მიმართ. მასალების განხილვა დაევალოს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას.

ცინიზმი უფრო შორს ვერ წავა: რამდენიმე საათში უმაღლეს დონეზე გადაწყვიტეს 170 ადამიანის ბედი და მასალების განხილვა სამხედრო კოლეგიას ანუ ტრიბუნალს დაავალეს. თანაც ნაცადი ხერხი გამოიყენეს: პატიმრებს გაქცევის მცდელობა დააბრალეს. ნაწილი პატიმრებისა _ მათ შორის ოლია ოკუჯავა და მარია სპირიდონოვაც _ თავისუფალ გადასახლებაში იმყოფებოდნენ და მათ მიმართ ასეთი ბრალდება სასაცილოც კია, სატირალი რომ არ იყოს.

ორი დღის შემდეგ, 8 სექტემბერს, უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ, როგორც მოსალოდნელი იყო, სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და წინასწარი გამოძიების გარეშე, გამოუტანა განაჩენი 161 პატიმარს და მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა. არ გეგონოთ, რომელიმეს სასჯელი შეუცვალეს და სია იმიტომ შემცირდა: გერმანელები აღმოსავლეთისაკენ მოიწევდნენ. სია სასწრაფოდ დაზუსტდა და გადამოწმება ვერ მოასწრეს. ამიტომ სიაში 9 ისეთი პატიმარი მოხვდა, რომლებიც ორიოლის ციხეში არ აღმოჩნდნენ (ზოგი მანამდე გარდაიცვალა. ზოგი მანამ გაათავი-სუფლეს. ერთიც განთავისუფლებული იყო და დღე-დღეზე უნდა გამოეშვათ, მაგრამ ვერ გამოასწრო და სიიდან მაინც არ ამოიღეს!). დასასჯელთა რიცხვი ჯერ 161-მდე შემცირდა, შემდეგ კი 157-მდე: ოთხის ჩამოყვანა ვერ მოასწრეს და ისინი რამდენიმე დღის შემდეგ თავიანთ სატუსაღოებში დახვრიტეს.

სიაში ყველაზე ახალგაზრდა 19 წლისაა, ყველაზე ხნიერი _ 79 წლის. 21 ქალია. უმეტესობა ებრაელია და საბჭოთა რესპუბლიკელები, აგრეთვე ჩინელები, კორეელები და სხვანი _ საკმაოდ მაღალი რანგის პოლიტიკური მოღვაწენიც, აგრეთვე _ ტროცკის და, ეჟოვის ძმა, პეტროვსკის ვაჟი. ორმოცამდე რუსია მხოლოდ. ქართველი ოთხია: შალვა ანტონის-ძეE მიქელაძე, ბაგრატ სპირიდონის-ძე ჭუმბურიძე, გალინა ბრონესლავის ასული ბოლქვაძე-მელჩარსკაია და ოლია სტეფანეს ასული ოკუჯავა, რომელიც თანახმად ალფაბეტისა ოთხმოცდამეშვიდე ნომრითაა წარდგენილი.

ოთხი წლით ადრე სტალინმა დასაპატიმრებელთა მორიგ სიაში თავისი ხელით გადაშალა ლილია ბრიკი და ეჟოვს უთხრა:

_ მაიაკოვსკის ცოლს ხელს ნუ ვახლებთ!

ამჯერად?!

არადა: წინა წელიწადს, 1940 წლის აპრილში, გალაკტიონმა ოლიას ახარა:

_ ამხანაგ სტალინის სამოც წლისთავს პატივი მივაგე პოემით, რომელშიც პოეტური ხერხებით ვაჩვენე მისი უდიდესი დამსახურება კაცობრიობის განმათავისუფლებელ ბრძოლაშიო.

თუ Uროგორ «ტერორისტულ-ჯაშუშურ-კონტრრევოლუციურ» საქმიანობას ეწეოდა ოლია, კომუნისტური პარტიის წევრი 1917 წლიდან, ამის საილუსტრაციოდ დახვრეტამდე თერთმეტი დღით ადრე მოწერილი ერთი წინადადებაც კმარა:

_ სიცოცხლე ბედნიერებისათვის გვეძლევა, კაცობრიობის ბედნიერებისათვის იღწვიან საბჭოთა კავშირში.

აგრეთვე _ ოლიას რძლის _ ბულატ ოკუჯავას დედის _ აშხენ ნალბანდიანის გვიანდელი გახსენება:

_ ოლიას ისევე ფანატიკურად უყვარდა გალაკტიონი, როგორც პარტია!

ხოლო თუ როგორ არაადამიანურად გაუსწორდნენ პატიმრებს, ამის შესახებ ორიოლის ოლქის შინსახკომის სამმართველოს ყოფილი უფროსი მოგვითხრობს: ქალაქს გერმანელები უახლოვდებოდნენ და პატიმრების ევაკუაციას ვაწარმოებდით. ამ დროს მოულოდნელად მივიღეთ განკარგულება დახვრეტის შესახებ. ცენტრიდან ჩამოვიდა სპეციალური ოპერატიული ჯგუფი. ფრთხილობდნენ, რათა არ შეეცვალათ, ანდა აბუჩად არ აეგდოთ რომელიმე მსჯავრდებული (აბუჩად აგდება თუ აკმარეს, ამას მალე შევიტყობთ!). დასახვრეტად განწირულები კამერებში გაანაწილეს ორასამდე სხვა მსჯავრდებულს შორის, რათა შეენიღბათ მოსალოდნელი აქცია, რომელიც ოპერატიულმა ჯგუფმა ერთ დღეში ჩაატარა. მეორე დღეს კი დანარჩენი ორასი პატიმარი ევაკუირებულ იქნა.

მსჯავრდებული შეჰყავდათ საგანგებო ოთახში. პირში სჩრიდნენ ჩვარს, მეორე ჩვარით აუკრავდნენ ყბას, რათა ჩვარი პირიდან არ გადმოეგდო, და ასე უცხადებდნენ განაჩენს, შემდეგ ხელით გამოჰყავდათ ეზოში, სვამდნენ დახურულ ტყვიაგაუმტარ მანქანაში და მიჰყავდათ ქალაქგარეთ.

ადგილი შეარჩიეს ორიოლის ჩრდილოეთით _ ათი კილომეტრის დაშორებით. აქცია მეტად მზაკვრულად განახორციელეს: ტყეში დიდი ხეები წინასწარ მოთხარეს ფესვებიანად, ამ ორმოებში ჩაყარეს დახვრეტილები. შემდეგ ხეები თავიანთ პირვანდელ ადგილებზე დააბრუნეს და დანაშაულის კვალი წაშალეს. ვიდრე გერმანელები ქალაქში შემოვიდოდნენ, 3 ოქტომბრამდე, აღნიშნულ ტყეში ხშირად აგზავნიდნენ შინსახკომის მუშაკებს, ვითომდაც სოკოს საძებნელად, და ასე ამოწმებდნენ ფარულ სამარხს...

ასეთი უმძიმესი განსაცდელი არგუნა ბედმა ოლიას. სამწუხაროდ, გამართლდა მისი წინასწარმეტყველება: ჩემი ბედისწერა ყოველთვის ედგარ პოს ყორანივით დამჩხავის თავზეო. გალაკტიონის შიში და წინათგრძნობაც გამართლდა:

ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება,
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები...

გალაკტიონის ვედრება კი არავინ შეისმინა:

...მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება,
მზეო თიბათვისა, ამას გევედრები!

ინტუიციით კი იგრძნო და იკითხა თხუთმეტი წლის შემდეგ: «არე კაცთა ცხედრებით ნეტა ვინ გადაფარა? ვინ წაართვა სამარე, ბნელს ვინ გადააბარა?» და იქვე უპასუხა: «ბერიაა _ ცხედრებით ქვეყანა რომ დაჰფარა». მაგრამ იმ დღეებში ვერასგზით ვერ წარმოიდგენდა იმას, რაც მოხდა. იმ დღეებში გალაკტიონი წერდა:

რაკი მძლავრობს ხალხის ხმა და სტალინის გენია,
ვიცით, რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენია.

ხოლო ვლადიმირიდან უკანასკნელი საფოსტო ბარათი დაუბრუნეს:

_ Адресат из п/я 21 выбыл.

1957 წლის დეკემბერში ჩაუნიშნავს:

_ მოსე გვასალია. ცხოვრობს ზუგდიდში. იცის ბევრი რამ ოლიას უკანასკნელი დღეებისა 36-37 წლებში.

მოსე გვასალია, ცნობილი პროზაიკოსი, რეპრესირებული იყო და დაბრუნდა. შეიძლება პატიმრობისას შეხვდა ოლიას და იქაური ამბები უამბო გალაკტიონს.

გადასახლებაში თავის მძიმე ყოფაზე კი ოლია თვითონ მოუთხრობდა პირად წერილებში, თვითონ აცნობდა და აგრძნობინებდა თავის გასაჭირს _ არა ფიზიკურსა და ეკონომიურ გასაჭირს, არამედ სულიერი მარტოობისა და განშორების ტკივილებს, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა პოეტის გაუწონასწორებელ განწყობილებას:

_ რაღაც იმსხვრევა სასტიკად და დაუბრუნებლად. შესაძლებელია სულიერმა კატასტროფამ დაამსგავსოს ყველაფერი უდაბნოს, ოლი!

უდაბნოში მიდის ზოლი და იქ ვდგევარ, შენი მწირი:
აღარც დედა, აღარც ცოლი, აღარც შვილი, აღარც ძირი.

შიმშილის დღიური

განცხადებას ხშირად წერდა, ასლს, როგორც ვთქვით, ყოველთვის ინახავდა. ტელეფონის ფული ვერ გადაიხადა და:

_ მწერალთა კავშირი გთხოვთ, გალაკტიონ ტაბიძის ტელეფონი აღდDგენილ იქნას დროებით, პოეტის იუბილეის გამო, აუცილებლად. ფული გადახდილი იქნება იუბილეის შემდეგ.

ეს განცხადება თავისი ხელით დაუწერია. ესენიც:

_ გთხოვთ პირადი საჭიროებისათვის, მომცეთ განკარგულება, რათა მომეცეს მატერია საზამთრო პალტოისა და კოსტიუმისათვის.

_ ვინაიდან არა მაქვს საშუალება სხვაგან შევიძინო ჩემთვის საჭირო ტანსაცმელი, გთხოვთ გასცეთ განკარგულება და მომცენ: პალტო, კოსტიუმი და ფეხსაცმელები.

_ ვიმყოფები მეტად შევიწროებულ მატერიალურ მდგომარეობაში. ამიტომ გთხოვთ, თუ Uშესაძლებელია, დაჩქარებით მიმამაგროთ თქვენს განმანაწილებელს.

_ ვინაიდან განვიცდი მძიმე მატერიალურ სივიწროვეს, თან ავადა ვარ, გთხოვთ დახმარების სახით მომცეთ ხუთასი მანეთი.

_ ვინაიდან მივემგზავრები სოფლად წიგნზე მუშაობის დასამთავრებლად, გთხოვთ დახმარების სახით მომცეთ ხუთასი მანეთი.

_ ავადა ვარ, თორემ არ შეგაწუხებდით. ისევ მივემგზავრები საექიმოდ აფხაზეთში. ამიტომ გთხოვთ (დარჩენილი) მცირე ჰონორარი VI ტომისა მთლიანად გადამირიცხოთ (დღეს, ხვალ, ზეგ) ბუღალტერიიდან. უზომოდ მადლობელი ვიქნები.

_ ავადმყოფობისა და მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო გთხოვთ მომცეთ ა.წ. ივნისის მეორე ნახევრის ხელფასი.

_ ვინაიდან დედა ძლიერ ავად მყავს და მატერიალურ გაჭირვებას განვიცდი, ვთხოვთ ნება დამრთოთ ავიღო ნოემბრის თვის პენსია.

_ გთხოვთ გამომიწეროთ «მნათობის» N 7 მასალის ჰონორარის ანგარიშში 50 მანეთი.

_ ვინაიდან ძალიან მესაჭიროება, უმორჩილესად გთხოვთ გამომიწეროთ ჩემი წიგნის ანგარიშში 100 მანეთი.

_ გთხოვთ გამომიწეროთ ჩემდამი კუთვნილი ფულის ანგარიშში 100 (ასი) მანეთი.

_ გთხოვთ გამომიწეროთ ჩემდამი კუთვნილი ფულის ანგარიშში სამასი მანეთი.

_ გთხოვთ იმ თანხიდან, რომელიც გადადებულია ჩემს სასარგებლოდ, გამომიწეროთ 300 (სამასი) მანეთი.

_ გთხოვთ სამი თვის ვადით მომცეთ სესხი _ ერთი თვის ხელფასის რაოდენობის.

_ გთხოვთ მომცეთ მოწმობა იმის შესახებ, რომ მე ვითვლები თქვენი კავშირის წევრად და ვარ უმუშევარი.

სასტუმროებიდან სასწრაფო დეპეშებს აგზავნიდა:

_ «ელვა». თბილისი. მეცნიერებათა აკადემიის ბუჰღალტერიას. გადმომიგზავნეთ ხელფასი. მისამართი: ქუთაისი. სასტუმრო «ქუთაისი».

_ ტფილისი. მეცნიერებათა აკადემია. აკადემიის ბუღალტერიას. გთხოვთ ტელეგრაფით დღესვე გადმომიგზავნოთ ხელფასი მისამართით _ სუხუმი. სასტუმრო «აფხაზეთი».

_ მეცნიერებათა აკადემიის ბუღალტერიას. გთხოვთ ამ თვის ხელფასის მეორე ნახევარი _ ტელეგრაფით გადმომიგზავნოთ შემდეგი მისამართით: ქუთაისი. სტალინის ქ. N 98.

ობლიგაციების იმედზე დარჩენილა:

_ ვინაიდან მეტად ცუდ მატერიალურ მდგომარეობაში ვარ, არა მაქვს ტანისამოსი, არც ფეხსაცმელები, გთხოვთ გამომიყვანოთ ამ მდგომარეობიდან: მე მაქვს ხუთი თუმნის (50 მ.) ობლიგაციები. გთხოვთ ნებართვას მისი გადახურდავების.

_ ვინაიდან ავად ვარ, გთხოვთ ნება დამრთოთ გავანაღდო თქვენ მიერ მოცემული ას ოცი მანეთის ობლიგაციები...

და ასე გრძელდება: ვინაიდან და ვინაიდან, გთხოვთ და გთხოვთ. ზოგს დადებითი და სასურველი რეზოლუცია ერთვის, ზოგსაც _ ნეიტრალური და გაურკვეველი. ზოგჯერ აშკარად გაუწბილებიათ და თვითონვე მიუწერია: «მივიღე უარი».

აღშფოთებულა კიდეც:

_ ჰონორარსაც არ იძლეოდნენ არამზადები, ხელს მიშლიდნენ:

1924 წლის 24 მარტს განათლების კომისარს მიაკითხა:

_ რადგან ვიმყოფები მეტისმეტად შევიწროებულ მდგომარეობაში უტანსაცმელობით და უფეხსაცმელობით, უმორჩილესად გთხოვთ აღძრათ შუამდგომლობა საქ. უმაღლესი მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარესთან, გამიხსნას კრედიტი მისდამი რწმუნებული ტრესტებიდან ტანისამოსისა და ფეხსაცმელის მისაღებად. ფულს ნაწილ-ნაწილ მიიღებენ თვით ჩემგან, ხოლო თავმდებობა იქნება თქვენი კომისარიატისა. იმედი მაქვს მხედველობაში მიიღებთ ჩემს მდგომარეობას.

ცივი უარით გამოისტუმრეს: «უარი ეთქვას!».

მახსენდება: ზუსტად ანალოგიური ვეტო არც ისე დიდიხნით ადრე ვაჟას განცხადებას დაადეს:

_ ჩემი თვალით მინახავს ვაჟას თხოვნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე. ის დახმარებას თხოულობდა _ 30 მანეთს. ზედ რეზოლუცია აწერია: «უარი ეთქვას» (გიორგი ლეონიძე).

ვერც აკაკის განცხადება ასცდა ასეთსავე განაჩენს ამავე საზოგადოებაში და, იცით, ვინ გახლდათ მისი ავტორი? _ იაკობ გოგებაშვილი!

_ აბა ბერწი კაცისაგან რა ხეირს უნდა მოელოდე! _ თქვა გაბრაზებულმა აკაკიმ, თავის განცხადებას რომ დახედა, საზოგადოების თანამშრომელმა კი იაკობის მიერ დატოვებული _ საკუთარი ჯიბიდან ამოღებული _ ხუთი თუმანი გადასცა.

_ არა, მართალია, თვითონ უცოლშვილოა, მაგრამ მთელი საქართველოს ახალგაზრდობა განა მაგის შვილები არ არიან ყველანი?! _ გამოასწორა აკაკიმ ცხელ გულზე წამოცდენილი.

ტაბიძეს კი არც გოგებაშვილები შეხვედრიან და არც სარაჯიშვილები! _ და, ამ ჩვენი აპოლოგიის სავარაუდო სათაურებს შორის ეს წყვილიც აცხადებდა პრეტენზიას: «უარი ეთქვას!».

1928 წლის ერთ დღეს სამი განცხადება დაუწერია: იქნებ ერთმა მაინც გაჭრას და გაამართლოსო:

_ სოცუზრუნველყოფის კომისიას. ვინაიდან ამჟამად შევიწროებულ მატერიალურ მდგომარეობაში ვარ და არავითარი შესაძლებლობა არა მაქვს განვაგრძო ექიმობა, გთხოვთ ჩემი პენსიის ორი თვის ანგარიში (ივლისი და აგვისტო) მომცეთ ერთად.

_ გამომცემლობა «შრომას». ვინაიდან მატერიალურ სივიწროვეს განვიცდი, გთხოვთ მიღებული ჩემი წიგნის ანგარიშში გამომიწეროთ ასი (100) მანეთი.

_ სახელგამის გამგეს. გთხოვთ ჩემი წიგნის «ეპოქას» (რომელიც იბეჭდება) ანგარიშში გამომიწეროთ ასე (100) მანეთი.

1931 წლის 28 სექტემბერს ოცდაათი მანეთის პრობლემას შეუწუხებია:

_ ფედერაციის სალაროს. მიეცით გ. ტაბიძეს სექტემბრის ჯამაგირის ანგარიშში 30 (ოცდაათი მანეთი). ს. წვერავა. 28.IX.31.

იქვე დაუმოწმებია:

_ მივიღე ოცდაათი მანეთი. გ. ტაბიძე.

ეტყობა, ბუღალტერიამ განცხადება მოსთხოვა და მეორე დღეს მიზანსცენა ნაწილობრივ შეიცვალა:

_ საქ. საბჭოთა მწერლების ფედერაციას. გთხოვთ ჯამაგირის ანგარიშში გამომიწეროთ 30 მანეთი. 29 სეკტ. გალაკიონ ტაბიძეE.

_ ფედერაციის სალაროს. მიეცით 30 (ოცდაათი) მან. ს. წვერავა. 29/IX.

_ ოცდაათი მანეთი მივიღე. გალაკტიონ ტაბიძე.

პოეტური მოღვაწეობის ოცი წლის გამო ვრცელი თხოვნა დაუწერია: ახასიათებს საკუთარ შემოქმედებასა და დამსახურებას, აღწერს განვლილი ცხოვრების მძიმე გზას და:

_ გაცნობებთ ყოველივე ამას სავსებით დარწმუნებული, რომ თქვენი მზრუნველობა ხელოვნების მსახურთადმი და აგრეთვე ციფრი XX, საშუალებას მომცემს მე, ამდენი ტანჯვის ამტანს, ცოტათი მაინც ადამიანურად მოვაწყო ჩემი ცხოვრების, შესაძლებელია უკანასკნელი, დღეები.

გასჭირვებია და წიგნი გაუიაფებია:

_ ცეკავშირს. გთხოვთ შეიძინოთ ჩემი წიგნი «პაციფიზმი» 900 ცალი. ვინაიდან ფული ძლიერ მესაჭიროება, წიგნს მე დაგითმობთ იაფ ფასად. წიგნი ღირს 60 კ. _ მე დაგითმობთ 35-30 კაპიკად.

კუთვნილი შეღავათის გამოყენება მოუწადინებია:

_ ცნობა სოცუზრუნველყოფის სამინისტროში, რომ ვარ პერსონალური პენსიონერი და თავისუფალი ვარ გადასახადებისაგან. გარკვევა იმისი, თუ რად მომეხსნა პერსონალური პენსია, არის თუ არა რაიმე იმედი, რომ პენსია განახლდება ა.წ. ნოემბრიდან.

გამოუყენებია კიდეც:

_ წამოვიღე ცნობა, რომ ლენინის ორდენით ვარ დაჯილდოებული და ვსარგებლობ შეღავათებით. მივუტანე სახელგამს.

სარეკომენდაციო ბარათებიც ხშირად დასჭირვებია:

_ გთხოვთ გაუხსნათ კრედიტი მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს ჟურნალ «მნათობის» ძირითად თანამშრომელს გალაკტიონ ტაბიძეს ჩვენის თავდებობით.

_ ამით ვამოწმებთ, რომ გალაკტიონ ტაბიძე სოც. უზრუნველყოფის პენსიონერი (მუშკოპის საწ. წიგნაკი N¹ 102910) ამჟამად არ სარგებლობს პურის წიგნაკით, რომელიც უნდა მიეცეს მას.

_ რესტორან «ევროპის» დირექტორს. სახ. პოეტი ტაბიძე იყო მიმაგრებული მოსკოვზე. ამჟამად ამოღებულია მოსკოვის სიიდან და მიწერილია თქვენთან. გაეცით ტალონი.

_ საქართველოს ცაკს. ქართველ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი შუამდგომლობს თქვენს წინაშე, რათა კავშირის წევრს, პოეტს, რომელსაც განზრახული აქვს დაამუშაოს ახალი წიგნი, მიეცეს რკინიგზის მატარებლით უფასო მოგზაურობის საშუალება.

_ ამხ. შონიას. ვაგზავნი შენთან გალაკტიონ ტაბიძეს (ალბათ იცნობთ, საქართველოს გამოჩენილი მწერალია). ითხოვს პენსიას ივნისის თვისას. თუ ძმა ხარ, გაუკეთე აუცილებლად.

_ ვანიჩქა! თუ ძმა ხარ, ამის მომტანს პოეტ გალაკტიონ ტაბიძეს მიეცი განმარტება. რაშიდაც არის საქმე, თვითონ გეტყვის.

_ ამხ. ლადო! ჩვენს გალაქტიონს ძალიან უჭირს მატერიალურად. როგორმე მოუხერხეთ გარანტია ლიტფონდიდან ერთი სამასი მანეთისა. ვალში არ დაგრჩებათ გალაქტიონი.

_ ამხ. დათიკო! შენ ალბათ იცნობ ჩვენს საამაყო პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს. ეხლა მისი იუბილე ეწყობა და შენ ერთი კოსტიუმი უნდა მოუხერხო.

_ ამხ. ანიკო! ძალიან გთხოვ, რომ ამ ამხანაგს შეუკერო კაცის ერთი წყვილი ტუფლი.

შედარებით უკეთესი დღეებიც გამორეულა:

1932 წლის ნოემბერში ოლიას ჩაუწერია:

_ Сегодня 17-го ноября 1932 г. первый раз Gалгг получил из голодного и хитрого Союза писателей продукцию.

1946 წლის თებერვალში საბჭოთა საქართველოს საიუბილეო თარიღი როგორც აღუნიშნავთ, ისე აღურიცხავს და სათანადო კომენტარიც დაურთავს:

_ საბჭოთა საქართველოს XXV წლის თავთან დაკავშირებით საქ. აკადემიის წევრებს, ლიმიტის გარეშე, მაღაზიიდან დაურიგდათ: 1. შაქარი _ ორი კილო. 2. კარაქი _ ორი კილო. 3. შოკოლადის კონფ. _ ერთი კილო. 4. შოკოლადი წმინდა _ ორი კილო. 5. ფორთოხალი _ 50 ცალი. 6. ვაშლი _ ათი კილო. 7. ლორი (ვეტჩ.) _ სამი კილო. 8. თევზი _ სამი კილო. 9. კოლბასი და სოს. _ ორი კილო. 10. ყველი _ 2 (ორი კილო). დაგვიჯდა ყოველივე ეს _ 900 მანეთი, რაც უნდა იყოს ოთხი ათასი მანეთის საღირალი.

სასმელი კი ძალიან ადრე მოუპოვებია: 1922 წლის 20 იანვარს მწერალთა კავშირის საბჭომ განიხილა და დაადგინა (სხდომას თვითონ ესწრებოდა):

_ ღვინის დამრიგებელთა სია, რომელიც შესდგება ოცდაცამეტი წევრისაგან და თვითეულს მიეცემა ორ-ორი ბოთლი ღვინო, დამტკიცებულ იქნას უცვლელად.

1936 წლის 23 აპრილს დაუჯამებია:

_ ოლიას მივეცი: 1 აპრილს _ 30 მან., 5 აპრილს _ პენსია 250 მან., 6 აპრილს _ დამატ. 280 მან,. 10 აპრილს _ ჰონორარი 100 მან. სულ _ 660 მან.

1938 წლის 16 აპრილს გადახარჯულა:

_ დღეს ზედმეტი დავხარჯე: პაპიროსი 2 p., სადილი 2 p.

ვერა და ვერ გაზარდა მწირი საოჯახო ბიუჯეტი: ოლიასაგან არასასიამოვნო წერილობით შეტყობინებებს ღებულობდა:

_ ტრამვაის ფულიღა დამრჩა, თორემ შენც დაგიტოვებდი და პურსა და სხვა რამესაც ვიყიდდი.

_ ფულს დაგიტოვებდი, მაგრამ აღარაფერი მაქვს. გიტოვებ მხოლოდ ტრამვაისათვის და მეც მხოლოდ ტრამვაიზე მეყოფა.

_ 1 მანეთსა და 20 კაპიკს შენ გიტოვებ, მე მხოლოდ ტრამვაის ფულს ვიღებ.

_ როგორი ეშმაკი ხარ, ტრამვაის ფულიც კი არ დამიტოვე. ბევრი სანერვიულო მაქვს და პაპიროსი მჭირდება. არა უშავს, ვინმეს დავესესხები.

_ მინდოდა ვინმეს დავსესხებოდი, მაგრამ ამაოდ, შენც კაპიკი არ გაგაჩნია.

1941 წლის 12 მარტს სწუხს:

_ მატერიალгრად სრულიად გაძარცული ვარ. «სბერკასაში» რაღაც 400 მანეთი გდია. 300 მანეთი პენსია. ჯიბეზეც 300 მანეთამდე. აი, სულ... ჩემი ავლადიდება.

1942 წლის 1 სექტემბრის დღიურს ასე იწყებს:

_ გუშინწინ რადიოთი გადაცემული იქნა ჩემი სამი ლექსი: 1. «კავკასიის ჯარს», 2. «ელგუჯას დაბრუნება», 3. «კვლავინდებურად». ამ ლექსებით გასტუმრებულია დავალიანება რადიოში _ და კიდევ დამრჩა რაღაცა.

1951 წლის 12 მარტს აღშფოთებულია:

_ კატასტროფაა პირდაპირ: პირველი მარტიდან დღემდე განიავდა 6 000 მანეთი. რასა ჰგავს ეს?

რუსთველურადაც გაულექსავს:

გააქრე ესე ათასიც ვითა სიზმარი ღამისა,
უფულოდ დავრჩი მჭვრეტელი სხვათა სმისა და ჭამისა.

1955 წელს დაუანგარიშებია: მარტისა და აპრილის ხარჯები _ 16 772. მარტისა და აპრილის შემოსავალი _ 38 522. მომავალი ხარჯები _ 6 500.

სხვა დროს დაუსათაურებია _ «აუცილებელი» და საყიდლები და გადასახადები დაუზუსტებია: მაქსიმუმი _ 386, მინიმუმი _ 256, საშუალო _ 320, საშ. ნაკლ. _ 300 (მათ შორის: დედას _ 50, ოლიას _ 50).

1957 წლის 1 ოქტომბერს დაიმედებულა:

_ ძალიან მექავება ხელის გული!

_ ფული მოდის! _ შემომძახა ლიმონათის გამყიდველმა ქალმა.

იმავე წლის 18 ივლისს დაუგეგმავს: «ერთი საღამო _ ფლურისათვის».

ბუღალტერზე ბრაზობს:

_ ფლური «იმასქნა»... აქედან დასკვნა: შორს ბუღალტერი!

არც შინაურ ოპონენტს ეთანხმება:

_ სხვათაშორის მირჩია, რომ აკადემიკოსი ვარ და ფული არ უნდა ვიანგარიშო.

მაინც აჩემებულს იმეორებს: «ფული! ფული! ფული!».

1957 წლის გაზაფხულზე სერიოზული ფინანსური პრობლემის წინაშე აღმოჩენილა:

_ სესხი! სხვა საშუალება არაა!

31 მარტს დაუსათაურებია: «სად შეიძლება ვიშოვოთ 10 000 მანეთი?».

_ ეს ხომ მინიმუმია და უამისოდ არა გაკეთდება რა. ორი გზაა: ან სესხი ლიტფონდიდან ან ჰონორარი სახელგამიდან. სესხის საქმე ასეთია: ლიტფონდი მოგვცემს სესხს (თუ ეხლა აქვს ფული, წინად კი დამპირდა), თუ მას მოვუტან საიდანმე საგარანტიო დოკუმენტს. საგარანტიო დოკუმენტს კი სახელგამი არ იძლევა, ე.ი. საზოგადოთ არ აძლევს არავის გარანტიას. მაგრამ რას არ მომცემს, თუ ცეკა დაუძახებს. ცეკაში კი არ მინდა ამ საკითხის დასმა _ სხვადასხვა მიზეზის გამო, თუ მთლად უკიდურესობა არ იქნა. მწერალთა კავშირში ვცდი... მაგრამ იმედი არა მაქვს... ცხადია ან უარს მეტყვიან _ ჩვენი საქმე არ არისო, ან რაიმე მინიმუმზე მიდგება საქმე. ჰონორარი კი...

ჰონორარი იგვიანებს, რადგან ტომის მომზადება გვიანდება.

_ რა თქმა უნდა, შეეცდებიან, რომ ხელში კაპიკი არ ჩამივარდეს. ეშინიათ, იქნებ, ჩემი აქტივობის, საქმეში ჩარევის, მათ სურთ ჩემი საქმე თვითონ ჩაიგდონ ხელში და როგორც სურთ, ისე წაიყვანონ... უკაცრავად მათთან! მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, ჩემს შემოქმედებაში თარეშის ნებას არავის მივსცემ, _ ტყვილად ჰგონიათ.

ხელი მაინც არ ჩაუქნევია:

_ სახელგამი _ არის იმედი! ლიტფონდი _ არის იმედი! აკადემია _ არის იმედი!

პირველ აპრილს ლიტფონდისათვის მიუმართავს (განცხადების ბოლოს კი 2 აპრილი მიუწერია: რომ არ დათარსულიყო):

_ გთხოვთ ორი თვის ვადით მასესხოთ ათი ათასი (10 000) მანეთი. გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ სესხი ჩემმიერ გადახდილ იქნება ა.წ. მაისის დამლევამდე, ყოველ მიზეზ გარეშე.

რადგან დიდი იმედი არ ჰქონდა, გადაუწყვეტია ლიტფონდის გამგეობის წევრებისათვის ცალ-ცალკე ეთხოვა:

_ უნდა გავიგო ვინაა გამგეობის წევრები (ლიტფონდის გამგეობის), მოველაპარაკო მათაც, ტელეფონით, რა თქმა უნდა (მე დღეს ვეღარ ვივლი, ცუდი ამინდია, ფეხი მტკივა, მაზოლები მაწუხებს, ფეხსაცმელი არა მაქვს). ტელეფონით. ტაქსის ფულიც კი არა მაქვს.

თხოვნა და პირობა ლექსად გაუწყვია:

ვიცნობთ ჩვენ ერთმანეთს ცარიელი მჭადით,
გთხოვთ ორი თვის ვადით ათი ათას მანეთს.
გაძლევთ (უნდა ითქვას) პატიოსან სიტყვას,
რომ მაისის დამლევს ვიხდი დანავალევს.

ლიტფონდს ხშირად მიმართავდა, ამიტომ ოფიციალური მევალე ხშირად აფრთხილებდა. 1946 წლის 26 თებერვალს საქლიტფონდის დირექტორი და მთავარი ბუღალტერი ატყობინებენ:

_ საკონტროლო ორგანოები და ამასთანავე საკავშირო ლიტერატურული ფონდის ხელმძღვანელობა ჩვენგან კატეგორიულად მოითხოვენ მწერლებზე გაცემული დავალიანების დაუყოვნებლივ გადახდევინებას. ამ დავალიანების შეუსრულებლობის

გამო შეგვიწყვიტეს დაფინანსება და გვემუქრებიან უფრო მკაცრი ზომების მიღებით. თქვენზე ირიცხება შვიდას ორმოცდაათი მანეთი დავალიანება და დაბეჯითებით გთხოვთ ერთი კვირის განმავლობაში დაფაროთ აღნიშნული დავალიანება. წინააღმდეგ შემთხვევაში სამწუხაროდ იძულებული ვიქნებით მივმართოთ იძულებითი გადახდევინების საშუალებას.

1957 წლის 20 ნოემბერს იგივე ტანდემი ემუქრება:

_ თქვენზე ირიცხება დავალიანება შემოქმედებითი მივლინებებისათვის გაცემული მიზნობრივი თანხისა _ დასაბრუნებელი ვადიანი სესხისა 3 000 მან. მოგაგონებთ რა ამის შესახებ, გთხოვთ ხსენებული დავალიანების დაუყოვნებლივ დაფარვას. წინააღმდეგ შემთხვევაში საქლიტფონდი გამოიყენებს უფლებას იძულებითი წესით დავალიანების გადახდევინებისათვის.

ამ გაფრთხილებაზე მიუწერია:

_ თვის დამლევამდის უნდა გადახდილ იქნას, თორენა...

რუსულადაც გაუფრთხილებიათ _ 1955 წლის 13 დეკემბერს:

_ Срок выданной Вам ссуды в сумме 6789-30 истек. Просим Вас внести до 20/XII-55 г. в кассу грузотделения Литфонда указанную сумму, либо перевести почтовым или телеграфным переводом в адрес грузотделения Литфонда. Неполучение платежа в срок, вынудит нас взыскать ссуду в судебном порядке.

აღარ ვიცით, გამოიყენა თუ არა ლიტფონდმა დავალიანების იძულებითი წესით გადახდევინების უკიდურესი საშუალება, მაგრამ ეს კი ვიცით: მწერალთა კავშირის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, რომელიც ადრე ლიტფონდის დირექტორად მუშაობდა და 1946 წლის 26 თებერვალს გალაკტიონს ემუქრებოდა, წლების მანძილზე ერიცხებოდა ლიტფონდის ბევრად აღმატებული ვალი, მაგრამ მის მიმართ დავალიანების იძულებითი გადახდევინების უფლება კი არ გამოიყენეს, არამედ უბრალოდ ჩამოწერეს დავალიანება, ანუ სოლიდური თანხა აჩუქეს ხელისუფლების ფავორიტს.

შეგვიძლია ვალების ორენოვანი ციტაცია გავაგრძელოთ:

_ 16 июля 1936 г. под Ваше личное обязательство Правлением Литфонда СССР выдана Вам ссуда в сумме 500 руб. с условием погашения её в течение 3-х месяцев. Указанная задолженность по ссуде, несмотря на то, что срок погашения её истек, Вами не погашена. Просим Вас перевести в погашение долга 500 руб. на наш текущий счёт. При невыплате Вами долга до 15 февраля с/г. мы принуждены будем согласно выданного Вами обязательства, предъявить к Вам судебный иск.

_ თქვენზე ირიცხება შემოქმედებითი მივლინების თანხა ჯამით 5 036 მან., რაზედაც უნდა წარმოგედგინათ გასამართლებელი საბუთი 1953 წ. IV თვემდე. ვინაიდან საანგარიშო წელი თავდება და ვადაგადაცილებული დავალიანება არ შეიძლება ირიცხებოდეს ბალანსზე, გთხოვთ მიმდინარე წლის პირველ ნოემბრამდე წარმოგვიდგინოთ სათანადო საბუთები.

_ თქვენ არ გაქვთ გადახდილი საწევრო გამოსაღები 1940 წლისა. გევალებათ ა.წ. 20 ნოემბრამდე შემოიტანოთ ლიტფონდის სალაროში 25 მანეთი საწევრო. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგეხსნებათ ყოველივე დახმარება, როგორც ლიტფონდის წევრობიდან მექანიკურად გამორიცხულს.

_ თქვენზე ირიცხება ვალი 279.37 კაპ. _ საგურამოს სახლში მიღებული საგზურის ვადაზე ზევით 5 დღით დარჩენისა მეუღლით. გევალებათ დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს 14 დეკემბრისა, შემოიტანოთ ლიტფონდის სალაროში აღნიშნული თანხა.

განათლების კომისარიატიც დამუქრებია:

_ განათლების კომისარიატი უარს ამბობს იმ მცირე სუბსიდიის გაღებაზე, რომელსაც დღემდე ვიღებდი (150 მან.) და შეადგენდა ჩემთვის უმთავრეს სახსარს ფიზიკური არსებობისათვის.

სახელმძღვანელოებში შეტანილი ლექსებისათვის ცოტა ჰონორარს იღებდა ხოლმე. 1942 წელს აღარ მიუციათ: ჟურნალის ვალი გაქვსო. 11 აგვისტოს განცხადება დაუწერია:

_ ქრესტომათიაში მოთავსებული ჩემი მასალების ჰონორარში მერგება რაღაც სამას მანეთამდე. ბუჰღალტერია სახელმძღვანელოში მოთავსებულ მასალის ჰონორარს მიჭერს «მნათობის» ვალში. გთხოვთ, ვინაიდან მძიმე მატერიალურ პირობებში ვარ, მომეცეს კუთვნილი ჰონორარი, «მნათობისათვის» კი უკვე მიცემული მაქვს მასალები და კიდევ მივცემ. ასე რომ ვალი დაფარული იქნება.

უმისამართოდ უკითხავს:

_ ეს რისგანაა, რომ უკანასკნელ ხანებში მე შემექნა ჩემი ლიტერატურული მუშაობისათვის არახელსაყრელი პირობები?

რომელიღაც შეკრების რომელიღაც მომხსენებლისათვის, უფრო კი _ თავის თავისათვის _ არც მთლად გულუბრყვილო და უსაფუძვლო შეკითხვა დაუსვამს:

_ შეკითხვა მომხსენებელს. რისთვის არის აუტანელ მატერიალურ პირობებში ისეთი დიდი პოეტი, როგორიც არის გალაკტიონ ტაბიძე, _ ნუთუ სახელმწიფოს არ შეუძლია უზრუნველყოს იგი?

ჯანს შედარებით იშვიათად უჩიოდა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ავადმყოფობდა: სხვა სატკივარი აღემატებოდა ამ სატკივარს:

რა მეშველება! ჭირი და ლხინი _
გახდა წამება, ვით აპოკრიფი.
წინათ კვალდაკვალ დამდევდა სპლინი,
ეხლა ფეხდაფეხ თან დამდევს გრიპი.

_ ეს იყო გრიპის საშინელება, მე არ მქონდა საავადმყოფოში დაწოლის საშუალება. ამიტომ იძულებული ვიყავი ფეხზე გადამეტანა იგი. ცეცხლს ამ ზამთარში ვერ ვანთებდი, შეშა არ მქონდა. ღამღამობით მაძლევდა ოფლს, განუწყვეტლივ საშინლად მახველებდა. გული მერეოდა, მთელი სხეული მიკანკალებდა, ხელში კალამს ძლივს ვიკავებდი, მუშაობის თავი სად იყო. ამიძაგძაგდებოდა ხელი და კალამი ძირს ვარდებოდა.

_ შეშის ეზოდან სახში ამოტანის დროს ხელი გავიფხაჭნე: თითი გასივდა და მთელი ერთი თვე საავადმყოფოში დავდიოდი შესახვევად. ეს იყო მარჯვენა ხელი. მუშაობა აღარ შემეძლო. არანორმალურად მიდიოდენ დღეები, მთელი თვეები.

_ ოთახში რაღაც სიცივეა. ფეხები მტკივა. თავიც მიბრუის. გაცივებული ვარ, ცხადია. რეჟიმი: წოლა! წოლა! (წუხელ ცოტა მეძინა). მარია რომ არ მოსულიყო, თურმე ძალიან ცუდად იყო საქმე: ფორტოჩკა! ფორტოჩკა! ხვალ ლომივით უნდა ვიქნე!

_ არასოდეს არ უნდა ჩავიდინო ის, რაც გუშინ ჩავიდინე: დავაღე ყველა ფანჯრები და დავდიოდი ოთახში _ ამ გამკრავ ქარში. ღამით მქონდა სიცხე. მდიოდა ოფლი. დღეს შედარებით კარგად ვარ.

_ მე ჯანმრთელი ვარ, როგორც ყოველი ადამიანი მცხოვრები კუნძულზე, რომელსაც სახელად ჰქვია უტოპია.

არც საავადმყოფოში გრძნობდა თავს უკეთ. 1936 წელს ასეთ შემთხვევას გვაუწყებს უკვე საქართველოს სახალხო პოეტი:

«ეს საზიზღარი ქალი ეუბნება ჩემს პალატაში მყოფ ავადმყოფს:

_ თუ შეიძლება, ჩაიდეთ თქვენი ტერმომეტრი. თუ არ გეზარებათ, მერე ათხოვეთ ამას (ჩემზე მიუთითებს). მერე მე სპირტით გავწმენდ და მოგართმევთ. _ თითქოს როდესაც ტერმომეტრი ჩემზე გადმოვა, მას არ სჭირდებოდეს სპირტით გაწმენდა».

საყურადღებოა 1945 წლის კალენდრის ფურცლებზე მიწერილი მარტის და აპრილის ქრონიკები _ სამკურნალო კომბინატიდან:

_ გადაუღებლად თოვს. ოთახები არ თბება. სულიერი განწყობილება მძიმეა. მცივა. თან სურდო. აბაზანები არ არის. საზრდოობა ყოვლად საცოდავია: დილა და საღამოს ჩაი. სადილად სუფი და კიდევ რამე. ცხიმი მათში სულაც არ არის. უბედურებაა პირდაპირ.

_ დაშას ვაყიდვინე პური (პური არ მყოფნის).

_ დიასახლისი ვერ არის კარგი ქალი. ყურადღებას აქცევს რუსებს.

_ ჩემს ოთახში სხვისი ჩასახლება სურთ. ეს არ ივარგებს.

_ საღამოთი ელექტრონი გადაიწვა და დავრჩი სიბნელეში. საერთოდ კოშმარების დღეა.

_ ზამთარმა დაგვიგდო და იქნებ გაზაფხულმა გვიშველოს.

ხუთი წლის შემდეგ კარდიოლოგიის ინსტიტუტში იწვა:

_ პირველ პალატაში რვა ავადმყოფი ვართ.

სამწუხაროდ, სამკურნალო კომბინატის ხშირი პაციენტი გახლდათ:

_ Папка 1 мая. 1952. _ Жулики лаборатории Лечкомбината _ Большие жулики. _ Жулик на жулике сидит.

1953 წლის მარტში გორი _ თბილისის ტრასაზე საავტომობილო კატასტროფაში მოყვნენ ცნობილი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე ივ ფარჟი და მისი მეუღლე. ისინი სამკურნალო კომბინატში მოიყვანეს:

«ჩემს ოთახში შემოვარდა საეჭვო ყოფაქცევის მქონე მოსამსახურე ქალი ანია. მან ხელი დაავლო საფერფლეს ჩემს საწოლთან:

_ Эту пепельницу я должна взять.

_ Почему?

_ Потому что из ЦК люди пришли. А вам вот тарелочка.

დააგდო ლამბაქი და გაჰქანდა _ ფარჟის ოთახისაკენ. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო გამეგო, ვისი განკარგულებით მოხდა ეს ამბავი... მაგრამ... ეს ამბავი ფარჟის გარდაცვალების დღეებში მოხდა. გავიდა ერთი თვე. იწყება მეორე. საფერფლე კი არც ფარჟის ოთახშია, არც ჩემს საწოლთანაა. გაჰქრა უკვალოდ საფერფლე (Эх, Аня, Аня! ლამაზი საფერფლე! სადაა ეხლა იგი)».

სხვათაშორის, ქირურგიის განყოფილებაში 29 მარტს ფარჟების საავადმყოფო ფურცლები გადაუთვალიერებია და ტემპერატურა ამოუწერია: ფარჟი (ქალი) _ 37,1. ფარჟი _ 37,1-39,2

1938 წლის 12 სექტემბერს ბორჯომში _ რომელიღაც მისაღებში შეუყოვნებიათ სახალხო პოეტი:

_ ე ოხერი, სახლში როდესაც ხარ და მუშაობ, მიიხედ-მოიხედავ, დრო ისე სწრაფად მიდის, რომ გაკვირდები, აქ კი, როდესაც იცდი, როდის მიგიღებენ, რა ზანტად მიდის დრო?!

1949 წლის 10 ოქტომბერს ასეთი ოფიციალური პასუხი მიიღო სახალხო პოეტმა და პოეტმა-აკადემიკოსმა:

_ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო გაცნობებთ, რომ სტრეპტომიცინის გამოყოფის საშუალება არა გვაქვს და თქვენს თხოვნას ვერ დავაკმაყოფილებთ.

1958 წლის 23 მარტს კი მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დროს ჩაუწერია «წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალი ქარის» დამწერს:

_ ტკივილებმა ცოტა მიკლო, ფეხები მაინც... ეჰ, წყალტუბო, წყალტუბო! დეევი ყოველ წელს დადის იქ მოსკოვიდან. მე კი იქვე ვარ და ვერ მომიხერხებია.

დაინტერესებულა:

_ სასტუმრო არის თუ არა წყალტუბოში? რა ეღირება ორი კვირით? მკურნალობის ფასი?

ჯანის სისუსტეს არც ყოფითი სიდუხჭირე უდებდა ტოლს.

1930 წლის 28 ნოემბერს შეუტყვია:

_ ტელეფონის ფული შეიძლება გადარიცხვითაც.

1932 წლის 25 ნოემბერს სწუხს:

_ ტელეფონი არ მუშაობს ვალის გადაუხდელობის გამო.

1941 წლის 12 მარტსაც სწუხს:

_ ბინის ქირა გადაუხდელია, აგრეთვე ელექტრონის.

1954 წელს ტელეფონი დაზიანებია:

«ტელეფონის აპარატი კარგა ხანია დამუნჯდა. გადის დღეები, თვეები. სულ უბრალო საქმისათვისაც კი ცენტრში ფეხით ან ავტომანქანით უნდა ჩახვიდე. ამ აღმაშფოთებელი მდგომარეობის შესახებ მრავალი განცხადება და საჩივრები დამიწერია. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი ხელმძღვანელი ხელის ჩაქნევით ამბობს:

_ რა ვუყოთ, წვრილმანებისთვის ჯერ არა გვცალია.

მე კი ვფიქრობ, რომ ეს მეტისმეტად ჩამაფიქრებელი წვრილმანია».

შუქს უთიშავდნენ და მეუღლეს ჩაუნიშნავს:

_ დღეს სინათლეს გვიჭრიდენ. ხვალამდე მადროვა. შუქი აუცილებელია ჩვენთვის.

სახლიდან გასახლებაც ემუქრება:

_ გადაუხდელია წყლისა და ბინის ქირა. სულ ადვილად შეუძლიათ გამასახლონ ბინიდან.

გასაჭირს გასაჭირი ემატება:

_ გადაუხდელია ბინის ქირა, ვერ გამოვიხსენი ჩემთვის ძვირფასი ნივთი, მიბარებული შესაკეთებლად (ალბათ გამიყიდის, ხვალ უკანასკნელი დღეა).

ლომბარდის საგირავნო ქვითარი ჯიბეში უდევს:

_Залоговый билет (ლომბარდი) №04402. Костюм, пальто.

საკომისიო მაღაზია ელოდება:

_ საკომისიო მაღაზია პუშკინის ქუჩაზე, სემინარიის პირდაპირ. თებერვლიდან პალტო ვერ გაჰყიდეს. თურმე ფული უნდათ. მე რა ვიცოდი?!

წიგნიც იგვიანებს:

_ წიგნი გამოვა ერთი ან ორი თვის შემდეგ. მანამდე? მანამდე? რა უნდა ვქნა, როგორ ვიმუშაო მანამდე? ხომ შეიძლება ბინაც დავკარგო მანამდე, ხომ შეიძლება შიმშილმა წამაქციოს სადმე მანამდე?

მიზეზი ნათელი და გასაგებია:

_ მატერიალურად სრულიად განადგურებული ვარ... ჩემი ურემი მთლად გადაბრუნებულია, მაგრამ გზაც რომ არა სჩანს?

თითქოს მოულოდნელიც არ უნდა იყოს ასეთი მწარე აღსარება:

_ ჩემს თვალწინ სდგას საშინელი სიღარიბე, ვინაიდან მისპობენ საარსებო წყაროებს. საშინელებაა, როცა ადამიანი «წელებზე ფეხს იდგამს». საზიზღრობაა, როცა ადამიანი თავს ვერ აღწევს ბორკილებს, რომელსაც ადებს სიღარიბე. მიწასთან გასწორებაა, როდესაც ადამიანი ერთსა და იმავე ძონძებში დადიხარ წლობით, როცა ნატრობ სუფთა პერანგს, ვინაიდან საშუალება არა გაქვს დაიქირავო მრეცხავი, როცა ჰკარგავ თავმოყვარეობას, ან როცა ემალები ხალხს, მის მაგიერ, რომ თავისუფლად და დამოუკიდებლად იარო ხალხში. და ეს აჩრდილი სიღარიბისა _ ეხლა უკვე აჩრდილი კი არა _ რეალური სახეა ჩემთვის.

ეს ტირადა 1941 წლის 3 მარტს დაიწერა. ომი ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო და ამის დამწერს, როგორც მოგეხსენებათ, ასეთი უკიდურესი გულისტკივილისათვის სავსებით შეუფერებელი და შეუსაბამო რეგალიები ამშვენებდნენ. ეს სამი დანომრილი ინფორმაცია კი ომისშემდგომ წლებში მიუწერია ხელსაწმენდ ქაღალდზე. ზუსტი თარიღი არ ჩანს, მაგრამ ამ დროს საქართველოს სახალხო პოეტიც გახლდათ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრიც:

_ 1. სოხუმში ჩავედით 6 საათზე და 25 წუთზე. კარგად ვიმგზავრეთ. 2. სასტუმრო «აბხაზიაში» ვიღაც უცნობმა რუსმა ქალმა ბინა არ მოგვცა. 3. დავსახლდით კერძო ბინაში ოქტომბრის ქუჩაზე.

მსგავს სიტუაციაში არაერთხელ აღმოჩენილა:

_ მე და ჩემი ჩემოდანი დავრჩით გარეთ.

და იმავე სოხუმის სასტუმროში 1958 წლის 17 მაისს:

_ შემნახველ სალაროში უპასპორტოდ ფულს არ იძლეოდენ. დიდი ომი გადავიხადე.

გულისტკივილით აღიარა:

_ მე ბუნებით არა ვარ შურიანი და ბოროტი ადამიანი, მაგრამ სიღარიბეს შეუძლია ასეთად გამხადოს.

და მართლაც შეშურდა _ თვით უწყინარი ფოლკლორისტებისაც კი შეშურდა:

_ წავლენ ჭიათურასა და ტყიბულში, აიღებენ საექსპედიციო ფულს, მასალებს კი ჩააბარებენ ინსტიტუტის არქივს! ვიშ!!! რა კარგია!

ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა: გვესაუბრება ყველაზე იაფი ტრანსპორტის ერთგული მგზავრი:

_ მივდიოდი ტრამვაით _ ერთხელ დავინახე გრანელი, ჩამოფლეთილ-ჩამოხეული.

_ ერთხელ ტრამვაიში გული შემიწუხდა. ჩამოვხტი. გავფითრდი.

_ ერთხელ შელაპარაკება ტრამვაის კონდუქტორთან: ვერ გიცანიო.

_ ერთი კვირის წინად ტრამვაიდან დავინახე თედო სახოკია.

_ პანტელეიმონ ჩხიკვაძე ტრამვაიში შემხვდა.

_ ტრამვაიში ეხლა წარმოუდგენელია ქალი ძველებური ფართო ქუდით და ქუდში შამფურისოდენა ქინძისთავით... მიუხედავად ამისა, ის მაინც ზის ჩემს პირდაპირ, ცოცხალი მოჩვენება იმპერიის.

_ ჩემმა კნეინამ ტრამვაიში ჩხუბი ამიტეხა იმის გამო, თუ როგორ გაბედა ვიღაცამ ურიგოდ ჩვენს წინ დადგომა.

_ ა.წ. 29 ივლისს ტრამვაიში დამეკარგა პურის და შაქრის ნაწარმის ბარათი. გთხოვთ მომცეთ სამაგიერო. დაკარგვას მიმოწმებენ შემდეგი პირები...

_ ტრამვაიში ყოფნის დროს მომპარეს უვადო პასპორტი, აგრეთვე სამხედრო ვალდებულებიდან განთავისუფლების ბილეთი და წიგნაკი საკავშირო მწერალთა კავშირის წევრობისა.

_ ზემმელთან ჩვენი ტრამვაი გაფუჭდა, ფეხით წავედი რუსთაველის პროსპექტით.

_ ამჟამად ტრამვაი დგას და არასგზით ადგილიდან ფეხს არ იცვლის.

_ გააგორე, გენაცვალე, ვატმან!

_ ტრამვაიზე წინა ბაქნიდან ასვლისათვის დამაჯარიმეს 3 მანეთით.

1932 წლის 22 ნოემბრის ამ ქრონიკას მიხეილ კვესელავა აგრძელებს:

«გალაკტიონი ახლანდელ ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე ტრამვაის გაჩერებასთან იდგა, შავი ფეტრის ქუდი ეხურა, ხელში უზარმაზარი შავი პორტფელი ეჭირა და, მიუხედავად იმისა, რომ გვიანი შემოდგომა იყო, თეთრი ტილოს ტანისამოსი ეცვა. წვიმდა, მაგრამ მე მაინც ვიდექი და ვუყურებდი, როგორ წრიალებდა გალაკტიონი. იგი წამდაუწუმ იქით იყურებოდა, საიდანაც ის სანუკვარი ტრამვაი უნდა გამოჩენილიყო. გამოჩნდა კიდეც, მაგრამ ისე იყო ხალხით გაძეძგილი, რომ იტყვიან, ნემსიც არ ჩავარდებოდა. გალაკტიონი ხან აქეთ ეცა, ხან იქით, ჯერ უკანა ბაქნიდან სცადა ასვლა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მერე წინა ბაქნისკენ გაქანდა. აქაც ლომივით იბრძოდა და თითქოს შეეჭეჭყა კიდეც, მაგრამ მილიციელმა ჩაავლო ხელი, ძირს ჩამოათრია და «წესრიგის დამრღვევი» მოქალაქე სამი მანეთით დააჯარიმა... გულმა არ მომითმინა, მილიციელთან მივედი და ყურში ვუჩურჩულე, ეს «მოქალაქე» გალაკტიონ ტაბიძეა, საქართველოს სახალხო პოეტი-მეთქი.

_ აუჰ! აქამდე ვერ მითხარი, შე კაცო, როგორ მომჭერი თავიო, _ დამტუქსა მან და გალაკტიონს მივარდა: _ ბოდიში, ბატონო, დიდი ბოდიში, ვერ გიცანითო, _ და თან ის სამმანეთიანი ჩაუტენა ჯიბეში. გალაკტიონი ერთი კი გაჯიუტდა, ფულის დაბრუნება არ უნდოდა, მაგრამ არაფერი გაუვიდა. მილიციელი მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე და იძახდა: _ არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ...

მაშინ გალაკტიონმა ხელი მოგვხვია ორთავეს და შეგვეხვეწა:

_ აბა, თუ ასეა, წავიდეთ და ამ სამი მანეთით თითო ჭიქა ღვინო დავლიოთო...

მილიციელს ეს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო, მე კი... ეჰ, მოგეცათ ლხენა, ასე რომ მომხდარიყო, მთელი სიცოცხლის მანძილზე გამომყვებოდა ტკბილ მოგონებად (თუ

სატრაბახოდ) _ გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად სუფრაზე ვმჯდარვარ-მეთქი, მაგრამ, აბა, ამას მაშინ როგორ გავბედავდი, და უბრალოდ ვუთხარი:

_ არა, ბატონო გალაკტიონ, ლექციაზე მაგვიანდება-მეთქი, _ და განზე გავდექი...

ამასობაში ისევ ჩამოდგა ტრამვაი, ის მილიციელი დაფაცურდა, გალაკტიონი წინა ბაქანთან მიიყვანა, ხალხი მისწი-მოსწია, აბა, გზა, სახალხო პოეტი მობრძანდებაო, და კიბეზე ასვლაშიც მიეხმარა.

ტრამვაი დაიძრა და, უნდა გენახათ, კმაყოფილი გალაკტიონი რომ მთავარსარდალივით იდგა ბაქანზე და ხელს გვიქნევდა...».

მსგავს უსიამოვნებას ვერც ოცი წლის შემდეგ ასცდა: ინტერნაციონალური თბილისის ტრამვაის კონდუქტორი თამარა ნიკოლაევნა თევოსიანი და კონტროლიორი ივან მიხაილოვიჩ ხარებოვი კვლავ დაჯარიმებას უპირებდნენ: ამჯერად გამოქომაგებამ ვერ გასჭრა, ვინაიდან ბრალმდებლები მოძმე ეროვნებისანი აღმოჩნდნენ და ამიტომაც ბრალდებულმა ინციდენტი სა-ერთა-შორისო ენაზე აღნუსხა:

_ Харебов Иван Михаилович называет меня "психом", все присутствующие показывают ему, что билет приобретен, однако он не верит и скандалит в вагоне, оскорбляет Народного поэта грузинской Академии.

ვაი ტრამვაიში ასვლას (1932 წელს და 1952 წელს) და ვუი _ ტროლეიბუსიდან ჩამოსვლას (1955 წელს):

_ მგზავრებით გაჭედილი ტროლეიბუსიდან ჩემს ბინასთან ჩამოსვლა ვეღარ მოვახერხე, მიუხედავად იმისა, რომ ტროლეიბუსის სწორედ გასასვლელ კარებთან ვიდექი. ჩემს წინ მდგომარე ხალხი წინ არ მიშვებდენ.

წინა ბაქნიდან ასვლას ტროლეიბუსშიც შეეცადა:

«8 ნომერი ტროლეიბუსით ვაკისკენ მივდიოდი. ტროლეიბუსში ტევა არ იყო. შემდეგ გაჩერებაზე ქუჩაში ერთადერთი კაცი იდგა _ წვერიანი, შლიაპით, ტორტმანებდა... ვერის ბაზართან ამოსულმა ქალმა, რომელსაც ორივე ხელში ბარგი ეკავა, ნერვიულად გაარღვია გასასვლელში ხალხი და წინა კარებს მიუახლოვდა. ამ დროს გაჩერებაზე მომლოდინე კაცმაც წინა კარებიდან სცადა ამოსვლა და ჩამსვლელ ქალს ხელი შეუშალა. «ჩაეთრიე, შე ოხერო, სად მოეთრევი!» _ უყვირა ქალმა და კიბეზე ამოსულ კაცს მუხლი ჰკრა. მამაკაცმა ხელი უშვა სახელურს და ტროტუარზე გაიშხლართა, შლიაპა ქუჩაზე გაგორდა. ნერვიული ქალბატონი ტროლეიბუსიდან ბორძიკით ჩავიდა და დავარდნილ მამაკაცს წყევლა მიაყოლა.

_ გალაკტიონია! გააჩერეთ! _ ვიყვირე მე.

ტროლეიბუსი დაიძრა. ხალხი დუმდა» (თორნიკე კოპალეიშვილი).

გასაოცარი კია: ერთადერთი სახალხო პოეტი ჰყავდა რესპუბლიკას და რა უსაშველო გახდა ერთი პერსონალური ავტომანქანა?! მით უფრო, არსებობდა იდეა, მაგრამ (სამწუხაროდ!) ამ იდეას ერთადერთი პიროვნება უჭერდა მხარს, ამ ერთადერთ პიროვნებას კი (კიდევ უფრო სამწუხაროდ!) არც შესაბამისი თანამდებობა ეკავა, არც სათანადო უფლებები გააჩნდა და არც საჭირო საშუალება მოეპოვებოდა და, რაც მთავარია, ეს ერთადერთი პიროვნება (კიდევ და კიდევ უფრო სამწუხაროდ!) თვითონ გალაკიონ ტაბიძე გახლდათ:

_ დაჯილდოებულ იქნას სახალხო პოეტი გ. ტაბიძე საკუთარი ავტომობილით.

_ დასაჩუქრებულ იქნას სახ. პოეტი გ. ტაბიძე ავტომანქანით.

არადა, ავტომანქანა უკვე აღარ წარმოადგენდა კომფორტს:

_ საქ. მეცნიერებათა აკადემიას. ვინაიდან მკურნალობის განსაგრძობად ჩემთვის საჭიროა საავადმყოფოდან _ კოჯორში გადასვლა, გთხოვთ _ 6 მაისისთვის, დილის 9 საათიდან _ დღის 2-3 საათამდე მათხოვოთ რბილი ავტომობილი.

_ მაშ_მა ავტომობილი მათხოვა მხოლოდ 15 წამით. ამის გამო საქმე ვერ მოვასწარი.

_ აბაშელმა მითხრა: მოვალო, დავესწრებიო საღამოსო, ავტომობილით თუ წამომიყვანო...

ათასში ერთხელ რომელიმე ბიუროკრატი მოჩვენებით ყურადღებას გამოიჩენდა:

«როგორ აღნიშნა კომისარმა დრო, 1947 წ. 30 იანვარს. მან უთხრა თანამშრომლებს:

_ რაშია საქმე? პასპორტის დაკარგვის შემთხვევაა? მერე სადაა მაჭავარიანი? რას ქვია ვერ ნახეთ? (ხელი დასდვა მაგიდაზე). თქვენ იცით ეს ვინ არის? ამას სად სცალია ამისთვის იაროს? არ ვნახო მე ეს აქ მეორედ. დროზე ჩააბარეთ პასპორტი.

კიდევ მიუბრუნდა მეორედ:

_ ეს რასა ჰგავს: ამ კაცს აქ მესამედ ვხედავო! სად ცხოვრობთო? დღესვე ჩააბარეთო პასპორტი...».

სინანულით ამოიოხრა:

_ მოგკლავს კაცს წვრილმანები! მაგრამ რომ ვერ ვშორდები მათ?

1958 წლის მარტში მოსკოვში დეკადაზე «შპარგალკა» ჩაიტანა:

_ 1. პორტფელი. 2. ხელთათმანები. 3. მაჯის საათი. 4. პაპკები. 5. მუდმივი კალამი. 6. გუმირაბიკი. 7. მაკრატელი. 8. ჟურნალ-გაზეთები. 9. ოდეკოლონი. 10. ბინტი და ბამბა. 11. საპონი. 12. ქაღალდები სხვადასხვა საჭიროებისათვის. 13. კნოპკები.

იმდენი შეიძინა, ეჭვის თვალით შეხედა უფროსმა დაიკომ:

_ შევიძინე ორასი ცალი «ფოტო-პასპარტუ». მეტი არ მომცეს. საჭირო კია მეტი.

თბილისის ბაზრისაკენ საყიდლების ჩამონათვალი წაიღო:

_ ბაზარში. შანდალი. სანთლები (შესაფერი). «ზამაზკა» (ბევრი). წვრილი ბაწარი მაკეტებისა და წიგნებისათვის. «Переводная бумага» _ თუ რა ჰქვია? კნოპკები. პატარა ლურსმნები. მელანი და კალმები.

სამტრედიაში წასვლა დააპირა სოფლიდან:

_ ყიდვა რამე-რუმისა! წვერისა და თმის გაპარსვა. ბილეთის დროზე შეძენა. «კარნიზის» სადმე მიბარება.

წყნეთიდან წამოსასვლელად მოემზადა:

_ 1. პირველად: ვანნა წყნეთში. 2. გავიპარსო პირი ლეჩკომისიაში. 3. გავიარო «ზარია ვოსტოკაში». 4. ლიტ. მუზეუმში (ფოტოები).

ძირითადი მარშრუტები მონიშნა:

_ 1. ლეჩკომისიაში. 2. შემსალაროში. 3. სახელგამში. 4. აკადემიაში. 5. «კნოპკები». 6. ჩამოვიდენ თუ არა? 7. რა ამბავია აკადემიაში? 8. სადილი პუბლიკას. 9. დიქტი. 10. ფოტოსურათები.

ავტომობილმაც თავი შეახსენა:

_ Тормозные части: колодки и накладки (ოთხივე ბორბლებისა) «პობედი»-სა. Карбюратор. ერთი ნაწილი.

უნივერმაღში აღმოაჩინა:

_ ელექტრონით რომ ათბობენ წყალს.

გადაბრუნების სეზონი დადგა:

_ ტანისამოსის გადაბრუნება (ტუჟურკა, ჟილეტი, შარვალი). _ პალტოების გადაბრუნება. _ საზაფხულო პალტოს გადაბრუნება. _ გადაბრუნება კოსტიუმის და პალტოსი. _ ქუდის გადაბრუნება. _ პალტოს შემოჭრა. _ სარეცხის გადარჩევა. _ ფეხსაცმელების კალაპოტში მიცემა. _ ფეხსაცმელისა და კალოშის შოვა.

პორთფელი დაუძველდა:

_ პორთფელს შეკეთება უნდა. კარგია პორთფელში რაიმეის კიდევ ჩაკერება. ნემსი და ძაფი. ნემსის და ძაფის საკითხმა მომკლა.

კოსტუმიც დასჭირდა:

_ მჭირდება მაკრატელი. მჭირდება ჯიბის დანა. მჭირდება კორდონის ქაღალდები და, რაც უმთავრესია _ მჭირდება კოსტიუმი.

დასჭირდა და დასჭირდა:

_ «Вечное перо». აბაჟურები. სანათურები. საშინაო ფეხსაცმელები. გაზი (ამოსაღები ლურსმნ. გადასაჭრელი). წებო (гумерабик). "Клеевая замазка". სკამები. პატარა და დიდი მაგიდები. შაქარი, შაქარი, შაქარი. საცვლები. ჯიბის დანა. კნოპკები. კარანდაშები. ფერადი მელნები. სამელნეები. საშრობი. რადიო (რემონტი). საწერი მანქანა (რემ.). ბიუსტები (ტეხნიკური ქუჩა).

ზამთრის მარაგი გაიანგარიშა.

_ ლობიო _ 4 ფუთი (წითელი, ამოლესილი, გორული, კახური სჯობია). ლობიო _ 1 ფუთი (თეთრი _ კირკალისათვის). კარტოფილი _ 10 ფუთი _ ახალციხის ან მანგლისის. ხახვი _ 2 ფუთი (სომხეთის ან ხაშურის). ნიორი _ 5 კილო. ნიგოზი _ 5-8 კილო (25 მან.).

ციფრებსაც გაეთამაშა (ერთი ათასი შეეშალა მხოლოდ!):

მოსალოდნელი ხარჯები

კარკასი სამი ___ 600 მ.
გადმოტანა _ __ 100 მ.
კაფელები ____ 600 მ.
გადმოტანა____ 150 მ.
აგურები ____ _ 50 მ.
გამკეთებელი _ _ 2100 მ.
კრავოტები ნიკ. _ 1500 მ.
ელექტრონის გამ. _ 300 მ.

_____

5400

შემოსავალი

აკადემიიდან ___ _ 700
პენსია ორი თვის__ 1000

___ __

1700

შემოსავალი ამ თვის

1000 _____ პენსია
1400 ___აკადემ. ჯამაგ.
7725 ___ «მნათობიდან».

ერთმანეთში აერია:

_ 1. კბილების პრობლემა. 2. სახლში: მაგიდა, ჩემოდანი, ტომარა. 3. სახელგამში: ჩამოდის? გამოდის? ა? 4. ფანერკა, დიქტი. სად? რამდენი? 5. «Избрание короля поэтов". 6. გვახსოვდეს ოფიცერთა სახლი. ენკენისთვე (ცხრაასჩვიდმეტი, სამამულო ომი). 7. გვახსოვდეს კრიტიკოსების ოინები. 8. გუმმი არაბიკი, ან წებო. 9. ჩუმი მზადება... «Заря», «კომუნისტი». 10. მხატვართა სექცია. ყველგან! 11. სახლის ფანერკა (დურგალი). 12. საშინაო ფეხსაცმელები. 13. შაქარი, შაქარი, შაქარი. 14. კნოპკები. 15. საწერი მანქანა (რემონტი). 16. ბიუსტები (ტეხნიკური ქუჩა). 17. გადაღება ნიკოლაძის ბიუსტის! (გადიდებათა პრობლემა). 18. ფეხის დასაწმენდი რკინა. რკინა გარაჟის. 19. ყდების ზონრები. 20. ინგლისური ქინძისთავები. 21. საბურთალოს კედლის გაზეთი. თოხი!

წამოიძახა:

_ მიკვირს და გამკვირვებია, რისთვის სდუმს, რისთვის არ ხმაურობს, რისთვის არ აიწყვეტს ყოველდღიურობის საშინელებით გაწამებული კაცის გონება.

ყველაზე დიდი ტრამვა ოლიას დაპატიმრებამ მიაყენა:

_ ყველაფერი შეიძლება კარგად მოეწყოს, რომ ოლიას ამბავი არა!

1937 წელს დღიურებისათვის არ ეცალა. არის ერთი სიმბოლური ჩანაწერი:

_ 1937. 27 აგვისტო. ტფილისში მოვიდა სეტყვა, რომელმაც თითქმის ათი წამი გასტანა. სეტყვა იყო მსხვილი, რომ იტყვიან, კაკლის ოდენა, და მეტის მეტად ხშირი, ხშირი. მე აივანზე ვიდექი, როდესაც ფანჯრების მინებს მოაყარა სეტყვა. მეგონა მთლად დალეწავდა.

1937 წელს რომ ტყვიების სეტყვა მოვიდა _ მტრისას!

1937 წელს უნდა იყოს დაწერილი:

ორმოცდახუთ მაისიდან, ვისი ანდა რაისი,
მე არ ვიცი, მხოლოდ დამრჩა ერთადერთი მაისი.
და იმ მაისს ეხლაც ისე, როგორც სიჭაბუკეში,
დარჩენია მხოლოდ ერთი, ერთადერთი ნუგეში.
ვერ გავწირე, არც გამწირა, თავიც ვერ მოვიკალი
და თან მსდევდა მხოლოდ ერთი, ერთადერთი გრიგალი.

ამ ლექსს ეწოდება «მარტოობა». ოლიას დაპატიმრების შემდეგ სრულიად მარტო დარჩა. დაიწყო დიდი და ხანგრძლივი მარტოობა. პირველ ხანებში სახლში დაძინებისა ეშინოდა. ქვედა სართულის «რჩეულ ხალხს» შეაფარა თავი.

Я был придавлен безысходностью своего положения, меня угнетала безнадежность (о, ты поймешь, почему я на твои письма не отвечал), я не мог знать, что делать. Это отчаяние и лишило меня всякой воли. მისწერა ოლიას ჩვენთვის ცნობილ ორიდან ერთ წერილში. დათრგუნული და იმედგადაწურული ისევ სასმელს მიეძალა და თავდავიწყების მორევში გადაეშვა. მძაფრად და ცხადად წარმოგვიდგენს მაშინდელ სურათს 1938 წლის 8 იანვარს დაწერილი ძმის წერილი:

_ სახლის კიბეს მივუახლოვდი. ოთხი რუსის ქალი ვიშვიშებენ და იძახიან: _ Ой бедный, ой бедный. სული შემეხუთა. რა ამბავია? _ შევეკითხე. ისინი სიბრალულით

კიბისკენ იყურებიან და მეუბნებიან: _ Ой, Галактион Табидзе. თავზარდაცემული ამოვვარდი და კიბეზე გაშხლართული დაგინახე. ჯიბიდან გასაღები ამოგიღე. შენ არც კი გაგიგია. ამ დროს მეზობელი დიასახლისი გამოვიდა, მომეხმარა და ამოგიყვანეთ. საბედნიეროდ ცუდი სიტყვა არაფერი წამოგცდენია. პირიქით, ხელზე გინდოდა გეკოცნა, მადლობის ნიშნად. ძლივს გაგხადე და დაგაწვინე. ძილში საშინლად ხრიალებდი... გახველებდა... ვკვდებიო _ იძახოდი.

როცა კოშმარებიდან გამოერკვა და სახლში მიიხედ-მოიხედა, ეტყობა, საშინელი სურათი იხილა. 1938 წლის 1 აპრილს გრძელი პროსპექტი შეუდგენია _ «გაზაფხულისათვის»: პერგამენტის ფურცელზე ორ სვეტად დაუნომრია 78 საკითხი. თითქმის ახლიდან შესდგომია ცხოვრებას. ყოველგვარი წვრილმანი გაუთვალისწინებია, მოუნიშნია _ რისი შეძენა სად შეიძლებოდა, რა როდის უნდა გაკეთებულიყო. ჩვეული ენთუზიაზმით შესდგომია საქმეს. აპრილის პირველ რიცხვებში მრავალი საკითხი მოუგვარებია და შესრულების თარიღიც გვერდით მიუწერია, თანაც შესრულებულები წითელი მელნის მართკუთხედებში ჩაუსვამს. სხვა შენიშვნებიც იქვე მიუწერია... თუმცა, სჯობია ბარემ ჩავიკითხოთ ეს საკმაოდ გრძელი ნუსხა თუ ცხრილი:

19 1 38

IV

გაზაფხულისათვის

შესრულებული გასმულია წითელი ხაზით.

I

1. თეთრი ან მიხაკისფერი ფეხსაცმელები (ატრიბუტ.). Ун.
2. ბევრი წინდები. Ун. 6/IV.
3. მთელი თეთრეულის სამრეცხველოში მიცემა. 7/IV.
4. მრავალთმრავალი ცხვირსახოცები.
5. ახალი საცვლები. Ун. ბაზ. სხვ. 8/IV.
6. შესაფერი ბლუზები. ბაზ. 7/IV.
7. აბანო.
8. ბევრი ოდეკოლონი, ბევრი პუდრი. Ун. ცოტა არის. 9/IV.
9. გაუთავება რუხი კოსტიუმის. აკ. წ.ქ.
10. გაწმენდა ორი ტუჟ. და 1 შარვ. (შავის). Пл. მიც. 7/IV.
11. შეძენა ერთი ახალი კოსტიუმის.
12. რემონტი შავი (ლაქის) და თეთრი (ტილოს) ფეხსაცმ.
13. ერთი ქამარი ტყავის.
14. ერთი ქამარი აბრეშუმის.
15. გარეცხვა აბრეშუმის ბლუზისა.
16. საზაფხულო შარვალი. მაღ. 7/IV.
17. საშინაო შარვალი. Ун.
18. პულვერიზატორი. აფთ. საწყ.
19. სარკე. Пушк.
20. ქუდი. Ун.
21. «პოდტიაჟკები». 4/IV. Ун.

22. ფოლაქების დაკერება პალტოზე და ტუჟ. Ун. სახლი. თუთუნი. ანტინიკოტინი. მუნდშტუკი. სათვალეები გზისთვის. სათ. რემ. სამეცადინეოდ.

II

23. ბინის დასუფთავება (იატაკი, ჭერები, სამზ. და სხვ). 3/IV.
24. ფანჯრების დაწმენდა.
25. ცოცხების შეძენა. ბაზ.
26. ტილო იატაკისათვის. ბაზ. 7/IV.
27. ფეხის გასაწმენდი კარებთან. ბაზ.
28. საპირფარეშოს რემონტი. აქ 4/IV.
29. მინის ჩასმა სამზარეულოს ფორ.
30. აივნის სისუფთავეში მოყვანა. 11/IV.
31. კამარკა (კაჩალკა). Ун.
32. ტახტი აივნისათვის. Ун.
33. კოლპაკი შტეფსელისათვის. Ун.
34. რამდენიმე ელეკტ. ლამპ. Ун.
35. ტანისამოსის შკაფი.
36. ტაშტი თავსაბ. და ისე. Б.
37. ბაკი პირისა და თავის საბანი. Б.
38. საპონი სახისათვის. Ун. 7/IV.
39. კბილის ჩოთქი და ხლოროდონტი. Ун. 4/IV.
40. სავარცხელი. Ун.
41. სამი ლБუსტრა. Ун.
42. საათის რემონტი ან ახალი საათი.
43. ვენტილიატორი. Ун.
44. მუსიკალ. ტაბაკერკის შეკეთება. მესაათ.
45. მოსამართი საათი. 5/IV.
46. სიტროვანილინ. 5/IV.
47. ტელეფონის გამოყვანა.
48. შარფი.
49. სათვალეები. ჯერჯერობით არ არის. 9/IV.
50. ფიტილი კეროსინკისათვის.
51. თაგვის საჭერი.
52. მტვერის საფერთხი.
53. ფარდები აივნისათვის.
54. ელეკტრ. წყლის ასადუღებელი. 4/IV.
55. მუდმივი კალამი.
56. საკეტი უჯრების.
57. შეცვლა კარის ხელსაკიდის.
58. წასაშლელი რეზინკები. 4/IV.
59. კბილის რემონტი.
60. შპარგალკა.

61. «ზამაზკა» პირსაბანისათვის (ან ჟესტი).
62. კნოპკები. 17/IV.
63. გუმმი არაბიკი.
64. ლურსმნები. აღმოჩენილია. 9/IV. ტელეფონი.
65. პირსახოცები.

III

კარგი ამინდების დაწყებისთანავე
მე შევუდგები ბინის დასუფთავებას,
რომელიც ალბათ სამ დღეს მოითხოვს.
პირველმა მოითხოვა 1 დღე. 3/IV.
დაწყებულია, გრძელდება.

66. საცვლები (ტრუსიკები). 5/IV.
67. ტანის ჩოთქი. 7/IV.
68. საპონი სარეცხი და პირსაბანი. 7/IV.
69. სკამი ვანნისათვის.
70. საშინაო აფთიაქი.
71. ძმარი. 17/IV.
72. კარტონი.
73. პორთფელი.
74. სიგარეტტები (მოვწ.).
75. ხმის გასაწმენდი (არტისტ.).
76. ვანის ოთახის რემონტი. გაფუჭდა. 15/IV.
77. ხელახლა ბინის დასუფთავება.
78. ჯოხი (ტროსტი).

უყოველამისოდ გაზაფხულს
არავითარი მნიშვნელობა ჩემთვის არ ექნება.
ყველაფერი უნდა შესრულდეს
ერთ თვეში, პირვ. მაისამდის.

იმავე წლის 9-20 აპრილის დღიურებში ასევე დაწვრილებით და კმაყოფილებით აღნიშნავს და აღრიცხავს თავის მუყაითობას. მართლაც ბევრი გაუკეთებია და მოუსწრია:

_ 9/IV. ვიყიდე თუთუნი. იგი მეყოფა დაახლოებით 2 კვირას (უნდა მეყოს, რა ჯანი აქვს).

_ 10/IV. აივნიდან სამზარეულოში გადმოვიტანე შეშა. ამით ვიწყებ აივნის წესრიგში მოყვანას... გავრეცხე წინდები. დავკეცე ნაწილი გარეცხილებისა. დავასუფთავე ბოთლები. მედგარი ბრძოლა მაქვს მტვერთან და უსუფთაობასთან.

_ 11/IV. განვაგრძობ შეტევას. დავფერთხე ნოხი და საწმენდი ტილოები. ბურბუშელა მკედით შევკარი და თავისი ადგილი მივუჩინე. დავფერთხე ძველი საბანი და შევკარი.

დარჩენილი ბურბუშელისა და მტვრისაგან საგრძნობლად გავასუფთავე აივანი. ნაგავი გადავყარე სანაგვე ყუთში. აღმოვაჩინე ქამარი (კიდევ ბევრია გასაკეთებელი). შემდეგ ხელახლა დავხვეტე: კაბინეტი, საწოლი ოთახი, სასადილო, ვანის ოთახი, სამზარეულო, უბორნია, კორიდორი, აივანი. დავფერთხე წიგნები, დივანი კაბინეტში, დივანი სასადილო ოთახში, ჩამოვაცილე ობობას ქსელი ყველა ოთახებს, მთელ ბინას... შემდეგ სველი ტილოთი გავწმინდე იატაკები მთელი ბინისა და აივნის. მთელი დღე ვმუშაობდი როგორც ნამდვილი დამკვრელი და აი ნაყოფიც: ბინა ცოტათი ბინას დაემსგავსა.

_ 12/IV. აღმოვაჩინე ქუდი, მუნდშტუკი. აღმოვაჩინე ბლოკნოტი. დავკერე ერთი წინდა...

_ 14/IV. დავკერე წინდები ყველა, რაც დასაკერი იყო (24ც.). სულ ეხლა სუფთა წინდა 56 მაქვს, რაც საკმარისია თითქმის მთელი ზაფხულისათვის. განვაგრძობ დიეტაზე ყოფნას. ღამის 1 საათზე მოვიდა შალვა. მან მასესხა 3 თუმანი. ყოველდღიურად, აგერ რამდენი ხანია, მხოლოდ ორ-ორ მანეთსა ვხარჯავ. უკანასკნელ დღეებში კი (4-5 დღეა) მანეთნახევარს. სავსებით მყოფნის.

_ 15/IV. დიდი ხანია ვამჩნევდი, რომ ნავთქურიდან ჟონავდა ნავთი და აფუჭებდა იატაკს. ნავთი სანავთეში გადავასხი და ნავთქურას მალე გასაკეთებლად წავიღებ (ნავთქურა _ კერასინკაა!). ყველა დაკერილი წინდები დავკეცე და წყვილ-წყვილად მივაკერე ერთმანეთს. სულ სამოცი ცალია. 24-ს გარდა ყველა უდეფექტოა...

_ 16/IV. ფეხსაცმელი მივეცი შესაკეთებლად. მზად იქნება 19-ს. ვიყიდე პური, ყველი, ნიორი, საღამოს გაზეთები, პაპიროსი, ანტინიკოტინი, ფეხსაცმელის საფენი. სხვადასხვა დროს დავლიე სამი ჭიქა სოდა. პირველად ორი კვირის შემდეგ ვისადილე (ცხელი ლობიო პიმპილითა და ხახვით). ეს ბიუჯეტში არ შედიოდა. ზედმეტი ხარჯი მომივიდა, რაღა!.. შევასწორე ერთი ლექსი მგზავრის წერილებიდან. მგონი კარგი გამოვიდა.

_ 17/IV. დილით ადრე წაველი აბანოში (პირველად 10 თვის შემდეგ). მყავდა მექისე. გამოვიტანე სამრეცხაოდან პალტო, ორი პიჯაკი და შარვალი, რომელიც გასაწმენდად მქონდა მიცემული... ვიყიდე ძმარი, კნოპკები (ჭიკარტები). პალტო და კოსტიუმი დავ-კიდე და ჩამოვაფარე ზეწარი. შუადღემდე დამეხარჯა 9 მანეთი... ეს ჩემს ბიუჯეტს ყირალამა აყენებს! დაემატა საღამოთი: პური, პაპიროსი, გაზეთები.

_ 18/IV. წინდები ჩავალაგე ჩემოდნებში. დავხვეტე კაბინეტი, საწოლი, სასადილო, კორიდორი. წყლით გავრეცხე ვანის იატაკი, მოფენილი კირით. მაინც სინესტის სუნი სდგას... კბილები 40 წამის განმავლობაში ვიხეხე ხლორადონტით (პირველად 1 წლის შემდეგ). ვიყიდე ფეხსაფენი და სიგარეტები. დიდი ხალისით წავიკითხე პუშკინის «ბორის გოდუნოვი». პალტო და კოსტიუმიც დავკერე.

_ 20/IV. გამოვიტანე ფეხსაცმელი, დავაკერებინე რეზინა. ჩავიცვი ტანსაცმელი კარგად და გავედი. შემხვდა შალვა. დიდი სიფრთხილეა საჭირო...

სამწუხაროდ, ეს მართლაც შესაშური ენთუზიაზმი უცებ გამქრალა:

_ 22/IV. და ამდენი დღეების ნამუშევარი სულ ერთ დღეს ხუხულასავით დაინგრა! არა, არ არის ჩემი ბრალი!

შემდეგი 1939 წლის იანვრის დღიურები კიდევ უფრო დამძიმებულია:

_ კარგია სიფხიზლე. მე კი ცოტა მაკლდა, მანქანამ არ გამიტანა ქუჩაში, მიშა ლობჟანიძეს რომ დროზე არ შევეჩერებინე: გაგიგონია, პოეტო, ასე დაუფიქრებლად ქუჩაში სიარულიო.

_ საშინლად დავეცი. მახსოვს, როდესაც არაყსა ვსვამდი, ხელები მიკანკალებდენ და ნახევარი არაყი იღვრებოდა. კახელი გლეხი მიცქეროდა და თან თანაგრძნობით ამბობდა: _ რა ვქნა, ეგეთი ჯეელი კაცი ხართ და ეგ რა დაგმართნიათო. მართლაც, ამაზე უარესი რაღა უნდა მომსვლოდა?!

_ კონფლიკტი თავისთავთან, აპატია ყველაფრისადმი, საშინელი განზრახვები!

ამგვარ დღეებში თვით შთაგონების წუთებიც კი ვერ გამოიტყუებდნენ მწუხარების კატაკომბებიდან:

_ უკეთესია ყაჩაღი იყვე, ვინემ პოეტი.

_ სიღარიბე _ ლიტერატურული კატორღა.

მამა დაბადებამდე გარდაეცვალა და:

_ სიღარიბე იყო პოეტის უერთგულესი თანამგზავრი აკვნიდანვე.

ბევრი ტკივილი და ბევრი გასაჭირი უტევდა ყოველი მხრიდან:

_ მანიამ მასესხა 5 მანეთი.

_ ძლივს-ძლივობით ვიშოვე 10 მანეთი.

_ ოლიამ მომცა პაპიროსი და პური და მანეთი ფული.

_ 20 მანეთი უკანასკნელი _ ორასიდან დამიტოვა ოლიამ საავადმყოფოში.

_ არასდროს, გალაკტიონ, არ დაივიწყო 3 პაპიროსი, არასდროს, არასდროს.

_ ბატონო დიმიტრი! ერთი პაპიროსი გვასესხეთ!

_ გავყიდე შარვალიც კი...

_ უნდა დავუბარო ვინმეს, რომ პატივი სცეს მინა ომიაძეს, მშიერი ვიყავი და ორი სადილი მაჭამა.

ღმერთმა აცხონოს ისევ ჩვენი რაჭველი კაცი,
გაჭირვებები ჩემი არაფერია აწი.

ერთხელ კიდევ დასესხებია აკაკის:

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო.
. . . . . .
მასესხე, მომეხმარეო.

ღმერთო, როდის ვეღირსები?!

რა საწყაულით ჩემს ბედს აწყვიდე,
უხერხემლო ვარ, თუ ვარ მე რკინის?
ბევრი საკითხი მე გადავწყვიტე, _
ვერ გადავწყვიტე საკითხი ბინის.

სად არ იცხოვრა: ნაცნობებთან, ნათესავებთან, დუქნის შენობაში, მიტოვებულ ქოხში, ხელოვნების სასახლეში, კრილოვის ქუჩაზე, მარჯანიშვილის ქუჩაზე, მარჯანიშვილის მოედანზე... ვერსად ვერ მოეწყო, ვერ მოისვენა, ვერ მოილხინა, _ ისე დაიმარხა, ერთი პანაშვიდიც ვერ გადაუხადეს საკუთარ სახლში.

_ გავეწერე საავადმყოფოდან. სახლში დამხვდა არეულობა.

_ წყნეთიდან როცა ტფილისში ჩავედი, ბინის კარები ღია დამხვდა: ვიღაც შესულა ჩემს ოთახში და ალბად ითარეშა კიდეც.

_ დავბრუნდი, ჩემს საწოლ ოთახში არეულობაა: ჩვეულებრივი. ჰმ! ჰმ!

_ ოჯახში მდგომარეობა ქაოტური მაქვს. მოვლის მხრივაც არაფერი ხერხდება.

_ სახლში... ხელს გიშლიან ცხადათ, როგორც ვატყობ... არას-გზით არ გეხმარებიან.

_ ვწყვეტ წერას... იმდენი უსინდისოა ამ სახლში, ე.ი. ჩემს ოთახში. როგორც ეტყობა, არავინ ჩემი პატივისმცემელი არ არის ამ სახლში.

_ დაიწყო სახლში ინტრიგები... საბოლოოდ გამიფუჭდა ხასიათი მუშაობისათვის იმ დროს, როცა იმდენი საქმე მაქვს, თავის მოსაფხანად რომ არ მცალია... დამხმარე კი არავინა მყავს.

_ ალბად უკვე ბევრმა იცის. რაც ჩემს სახლში იციან, ის უკვე მეორე დღესვე გატანილი ამბავია.

_ В собственном очаге измена фабрикуется.

_ სახლში არაა დისციპლინა... თარეშობენ.

_ ფლური სახლში არ შაინახება.

_ არ მინდა სახლში ყოფნა.

ბევრი რამ ეკარგებოდა: ეძებდა და ვერ პოულობდა, პოულობდა და ისევ ეკარგებოდა:

_ სახლში არეულ-დარეულობაა: ვერ ვპოულობ თავის ადგილას უბრალო ქამარსაც კი.

_ დილით აღმოჩნდა, რომ დამეკარგა სათვალე. სად? როგორ? რანაირად? დილითვე სათვალე არ აღმოჩნდა სახლში, მარჯანიშვილის 4.

_ ის უბის წიგნაკი დამეკარგა თუ სადღაც გამებნა? ვიპოვეთ! ჰმ, შეუნახავთ.

_ სახლშიც... გამებნა საახალწლო ლექსი! ძლივსძლივობით შემდეგ ვიპოვეთ.

_ გუშინ მაგიდაზე მედო ელ. შერვაშიძის მეტად საყურადღებო წერილი. დღეს ის წერილი არსად აღარა სჩანს! გაჰქრა უკვალოდ. ახია, ჩემზე, კაბინეტში თვითონ უნდა დავამყარო წესრიგი.

_ რა იქნა ნიკოლაძის წარწერა? ეს მაღელვებს. როგორ უნდა არეულიყო, როდესაც... ხომ არავინ რევს ჩემს კაბინეტს? გასაღები მგონი მხოლოდ მე მაქვს... უნდა ვეძებო კიდევ... უიმწარწეროდ? არა!

_ საწერი მაგიდის საკითხი. შეცვლა გასაღების. გაკეთება იმ საიდუმლოსი, რომ იკეტება. უჯრების რემონტი.

ერთხელ რუსული და ქართული სტრიქონები გაიხსენა, განმარტა და მოულოდნელად იკითხა:

_ «В странствии нет добра, домой, домой, пора!". მაგრამ: «ვინც სახლში დარჩა, რა გააკეთა, ვინ მოიშორა თავიდან ჭირი». რა უნახავს, კერიას არ გასცილებია?! ხალხში გასული კაცი სხვაა, საშოვარზე წასული სხვა. როს დაბრუნდება, სახლს მიაშურებს. მაგრამ თუ სახლი არა აქვს?

თვითონ, ვერის ხიდზე, საკუთარ სახლთან, ნასვამს შესთავაზეს და ნასვამმა იკითხა:

_ ბატონო გალაკტიონ, წავიდეთ სახლში.

_ მერედა, სადა მაქვს, ძამიკო, სახლი?!

გარეთ დაეძებდა მყუდრო კუთხეს და საწერ მაგიდას:

_ აკადემიაში იქნება როგორმე ერთი მაგიდა დავიდგა სადმე? ცალკე ოთახში, რასაკვირველია.

_ მწერალთა კავშირში მოძრაობაა 1 საათიდან ან 2 საათიდან, მანამდე სიყრუეა, არავინ არაფერს აკეთებს. შეიძლება მისვლა და მეცადინეობა, რომელ ოთახშიც გნებავთ.

_ ამ ბიბლიოთეკაში შეიძლება მეცადინეობა.

_ აქ, მახლობლად, სამკითხველოა, რომელიც ცხრა საათზე იხურება. ეხლა სამი საათია, მაშასადამე, მთელი ექვსი საათი მე შემიძლია გავატარო სამკითხველოში.

_ ლეჩკომისიის ერთ მიყრუებულ ადგილას ორი დიდი მშვენიერი ჩარჩოა. იქვე არის ოთახი, რომელშიდაც შეიძლება მუშაობა (თავისუფალია).

_ კარგია ჩვენი სამკითხველო! შესაძლებელია სერიოზული მუშაობა.

მწერალთა კავშირში მოიკითხა:

_ რიფსიმეს: ვინ მუშაობს იმ ოთახში, წინედ რომ «მნათობი» იყო? მიპასუხა ანიჩკამ: არავინ არ მუშაობს. ახლა მესამე ოთახიც თავისუფალია. შეიძლება მუშაობაო. ნინამ გაიგონა და სთქვა: აქ მოგიწვევენ და იცი რას გიზამენ! რა უნდა მიქნან?

აკადემიაში მოსინჯა:

_ მოსახერხებელია თუ არა იქ ერთი მაგიდა დაიდგას _ სადმე?

ისევ მწერალთა კავშირში შენიშნა:

_ მწერალთა კავშირში დარბაზები სულ ცარიელია. არაა მდივანი. არავინაა სპარსულ ოთახში. არავინაა უორდროპების ოთახში. არავინაა რედაქციაში. არაა თავმჯდომარე. არაა საქმეთა მმართველი. არაა მოლარე. ქალები აივანზე სხედან და ლაყბობენ.

თავმჯდომარეს ჩაუსაფრდა:

_ გოგლა ლეონიძესთან (მათხოვოს ოთახი დროებით).

აკადემიაშიც აღმოაჩინა:

_ საინტერესოა წინად რა იყო ამ ოთახში? არა, ეს ოთახი არაა, მთელი დარბაზია, თუმცა არც ისეთი დიდი. ოთახი მაინც არ შეიძლება დაერქვეს. ოთახი უფრო პატარაა ყოველთვის. აქ კი ...16 მაგიდაა, 3 კიდევ უფრო დიდი, ერთი დიდი რგვალი მაგიდა და სხვ. განა ეს ოთახია? აქ შეიძლება ბევრი რამ გაკეთდეს.

გადაწყვიტა:

_ დღეს ვნახავ ნიკო მუსხელიშვილს, მას ხომ მიღება აქვს 11-დან. ვეტყვი ყველაფერს, ყველაფერს. გაიგებს კი?! ჰმ, ჰმ, ჰმ! გაიგებს, გაიგებს.

აკადემიის პრეზიდენტს სთხოვა:

_ ვინაიდან ჩასატარებელი მაქვს ძალიან ბევრი ლიტ. სამუშაოები, უმორჩილესად გთხოვთ ჩვენი აკადემიის შენობაში დამეთმოს ერთი რომელიმე კუთხე, რაითაც მეტად ვიქნები დავალებული.

ცოტა კი ჰყოფნიდა ხანმოკლე აღტაცებისათვის:

_ გადმოვედი აკადემიაში. აქ წიგნთსაცავის ახლო სამკითხველოში მომცეს ერთი მშვენიერზე მშვენიერი მაგიდა, საწერი მაგიდა, დასასვენებელი მაგიდა. მთელს სამკითხველოში ასეთი მაგიდა მეორე არაა. მთავარია ის, რომ ყველაზე მყუდრო ადგილასაა მოთავსებული ეს მაგიდა...

1921 წელს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს შესჩივლა:

_ მომდგომია კარზე ეს ჩვენი მთავარი სახელოვნო კომიტეტი და მაღრჩობს, გინდა არ გინდა, ერთ კვირაში ბინა დაცალე და სადაც გინდა იქ წადიო, ისეთი ჩინოვნიკური ფორმებით, რომლითაც პოლიციელიც კი არ მიმართავს პოეტს... რა თქმა უნდა, ყველას მშვენიერი ბინები აქვთ მომარაგებული, ცხოვრობენ შიგ და გალაკტიონ ტაბიძეს თუ სული ამოხდება ქუჩაში, ეს იმათი აზრით დიდი არაფერია.

1922 წლის 13 იანვარს სწორედ პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მოაწერა ხელი პატარა ოქმს:

_ წინადადება მიეცეს გრიშაშვილსა და ტაბიძეს მომავალი ოთხშაბათისათვის, 23 იანვრამდე აუცილებლად დასცალონ ოთახები.

1922 წლის რამდენიმე ლექსსა და წერილს ჯერ კიდევ მიუწერა: ხელოვნების სასახლე.

1922 წლის 6 მარტს თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებაში ორდერი აიღო _ N 2030:

_ მიეცეს ტაბიძეს ბელინსკის ქუჩაზე N 9, ბინა 2.

პრობლემა მაინც ვერ გადაჭრა და, მარტო რომ ვერაფერს გახდა, 1923 წლის 25 ოქტომბერს ხუთი მწერლის თხოვნა დაწერა საკუთარი ხელით:

_ ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი _ მივმართავთ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს თხოვნით, რათა აღძრას შუამდგომლობა ქალაქის უძრავ ქონებათა სამმართველოს წინაშე _ დაგვეთმოს უბინაო მწერლებს სახლი _ საერთო საცხოვრებელი ბინებისათვის.

1923 წლის 1 ნოემბერს განცხადება დაწერა:

_ რადგანაც ამჟამად უბინაოდ ვიმყოფები, ვთხოვ უძრავ ქონებათა სამმართველოს მომცეს საცხოვრებლად ერთი ოთახი ქალაქის ცენტრში.

1924 წლის 19 იანვარს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმს მიმართა:

_ სრულიად საქარველოს მწერალთა საბჭოს წევრი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე რამოდენიმე ხანია უბინაოთ არის და ამ ზამთრის ცივ ღამეებში თითქმის გარეთ უხდება დარჩენა. გთხოვთ აღმოუჩინოთ დახმარება გალაკტიონ ტაბიძეს ბინის შოვნაში.

იმავე წლის 25 მაისს ხელოვნების მუშაკთა კავშირის სამდივნოს სთხოვა:

_ ამჟამად არ მომეპოვება ბინა. უმორჩილესად ვთხოვ ხელოვნების მუშაკთა კავშირის სამდივნოს მომცეს ერთი ოთახი მის განკარგულებაში მყოფ რომელიმე სახლში.

1925 წელს ლექსს ისევ მიუწერა: 9 სექტემბერი, 1925 წ. ჩემი ბინა _ ხელოვნების სასახლე.

1928 წლის 23 მაისს თხოვნა დაწერა:

_ ამხ. ვანო! როგორც მოგეხსენებათ, მე ამჟამად უბინაოდა ვარ. თქვენ დამპირდით ბინას, თუ მას სადმე აღმოვაჩენდი. ამხანაგების დახმარებით მე აღმოვაჩინე ბინა საბჭოთა სახლში. ბინა განთავისუფლდება პირველი ივნისისათვის. შესდგება ორი პატარა ოთახისაგან. იმედი მაქვს, შეხვალთ ჩემს მდგომარეობაში და ამ ბინას მე მომცემთ, რადგან ბევრი სამუშაო მაქვს.

ბოლქვაძის განკარგულებით ბრეგვაძეს მისწერა ცქიტიშვილმა _ ტაბიძეს სებასტიანის ბინა მიეცით სერგიევის ქუჩაზეო (იქვე აღმოუჩენია ხელოვნების სასახლესთან):

_ ამხ. ბრეგვაძეს. ვანო ბოლქვაძის განკარგულებით საჭიროა მიეცეს მოქ. ტაბიძეს ის ბინა, რომელიც მდებარეობს სერგიევის ქ. N 5, სებასტიანის ბინა. თვით სებასტიანი ამ დღეებში მიემგზავრება სხვაგან და სტოვებს ბინას. მდივანი: ცქიტიშვილი.

არ ვიცით, გაამართლა თუ არა ექვსი გვარის კომბინაციამ, მეშვიდე კი გამოჩნდა და სერგიევი კრილოვმა შესცვალა:

_ ჩემო ოლია, შენ მშვენიერად იცნობ ამ თაგვებს, რომლებიც ჩემს გვერდით სცხოვრობენ კრილოვის ქუჩაზე. _ მისწერა ოლიას 1929 წლის აგვისტოში, ერთი წლის შემდეგ კი აბესალომს შეატყობინა:

_ ვცხოვრობ კრილოვის ქ. N10 დროებით. ვეძებ უკეთეს ბინას.

იმავე წლის 31 ოქტომბერს დაიმედდა:

_ ტელეფონის საქმე გამოკეთდება, გამოკეთდება აგრეთვე ოთახის დაკავების საქმეც (მეზობლებს ცოტათი ნიშადური სჭირდება, თორემ თავს გადიან).

მეზობლები ოლიას დაპატიმრებამ გაათამამა:

_ უთუოდ ფიქრობენ, რომ ოლიას დაპატიმრებით ჩემთან გახდებიან რასმე.

1931 წლის პირველ მაისს კმაყოფილია:

_ ბინა ჩემთვის საუკეთესოა. ჯერჯერობით მე უკეთესი არ მინდა.

მაგრამ არ ასვენებენ: 1931 წლის 21 ნოემბერს მეზობლების არასასიამოვნო საუბარი მოისმინა:

_ ახალგაზრდა ქალი ჰყვება, თითქო მე ვავიწროვებდე ყველა დემეტრაძეებს. იგი აღიზიანებს მათ, ამხედრებს მათ ჩემს წინააღმდეგ. უმთავრესი ისაა, რომ მათ იციან, რომ ყოველივე ეს მე ძალიან კარგად გარკვევით მესმის მეორე ოთახში და ალბად მათ სწორედ ეს სწყურიათ! ესაა გაგრძელება ძველი ისტორიის. ყველანი ერთი მიზნისკენ მიეშურებიან. დამატოვებინონ ოთახი შეერთებული პროვოკაციული გამოსვლით. მე ძლივსძლივობით ვიკავებ ბოღმას. რად არ მაქვს იმდენი ფიზიკური ძალა, რომ ვაგრძნობინო ამ ხალხს მთელი მათი «უსინდისობა». «კავალერების» დაცვით გათამამებული ქალები განაგრძობენ: «როგორ გალახავთ, ფანჯრიდან როგორ გადაისვრით, შალიკო ოკუჯავას სიძეა, ბატონო!» რა «პატიოსანი» ხალხია. უნდათ მაგრძნობინონ, რომ მხოლოდ შალიკოს უწევენ ანგარიშს და არა მე. ცხადია, ყველა რაღაცას ამზადებს, რაღაც პროვოკაციულს და მავნებლურს. საჭიროა ფხიზლად ყოფნა. ისინი სარგებლობენ ალბად იმ გარემოებით, რომ ოთახში სრულიად მარტო ვარ.

უფრო აქტიურად შემოუტიეს: სამხედრო კარისმეზობელი ეწვია და პატარა ოთახში გადასვლა შესთავაზა, დაემუქრა კიდეც:

_ ასეთი იყო მისი ლაპარაკი, თითქო: 1. მარტო მისი ცოლი საჭიროებს ვანნას და სხვა არავინ, 2. ამ სამხედრო ბინაზე ჩემს მეტი კერძო კაცი არ სცხოვრობდეს (მთელი სახლი სავსეა კერძო მდგმურებით), 3. კომუნისტური ეთიკა მხოლოდ მას ესმოდეს. საერთოდ იგი არამზადულად მსჯელობს. იქცევა, როგორც არამზადა. იგი არა თუ იმუქრება ძალით გადასახლებით, ცდილობს დამარწმუნოს, რომ აქვს ამის მორალური უფლება.

1933 წელს კვლავ გაურკვეველ სიტუაციაშია:

_ ბინის საკითხი უნდა გამოირკვეს.

კრილოვის ქუჩის ერთადერთ ოთახში კი მართლაც მძიმე პირობებში ცხოვრობდა და წერდა:

_ ამდენი საქმე მაქვს, თავის მოსაფხანად არ მცალია... დამხმარე კი არავინა მყავს.

_ მარტოხელობა ძნელია. მარტოკაცი არ ვარგა. ვინმე ხომ უნდა გეხმარებოდეს ოჯახში.

«რა არის საჭირო, რომ ოთახში ცოტად თუ ბევრად კულტურულად იცხოვროს ადამიანმა?» _ იკითხა და შეკითხვა-სათაურს სამგვერდიანი განმარტება მოაყოლა თან (ყურადღება მიაქციეთ უკანასკნელ მაჩვენებელს!):

_ რა თქმა უნდა, მე არ ვლაპარაკობ ფუფუნებაზე. მე ვლაპარაკობ კულტურული ადამიანისათვის აუცილებელ საჭიროებებზე _ მინიმუმზე. მე ვლაპარაკობ ოთახის განწყობილებაზე, მის იერზე, მის გამოსადეგობაზე ხელოვანისათვის. მე მაქვს ერთი ოთახი. უკეთესი გარემოებების დროს, თუ ფული იქნა, შეიძლება იქნეს ორი. ბინაში არის ელეკტრონის განათება, წყალი, ვანნა და სხვა. ეს არის მისი ღირსება. ოთახს აქვს ბევრი ნაკლულევანებები, რომლებიც ცოტად თუ ბევრად შეიძლება დაძლეულ იქნას... ჩვენი ოთახი არის 6კვ. მეტრისა...

ხშირად ოჯახის საზრუნავი აწუხებდა, უბრალო შემთხვევა პრობლემად ექცეოდა ხოლმე: სინათლე გამოირთო და რვაგვერდიანი ტრაქტატი ჩაწერა ბლოკნოტში _ «რისთვის უნდა გადამწვარიყო ელექტრონი?» ექსპოზიციურ ნაწილში მიზეზს ვარაუდობს და საკუთარ თავს ადანაშაულებს. იმაზე სწუხს, «ძვირფასი» მეზობლებიც რომ უსინათლოდ დატოვა, რადგან საზიარო მრიცხველი ჰქონიათ. შემდეგ აღწერს: როგორ აბოლდა ელექტროქურა, როგორ გამორთო და მაშინვე ელექტრომაღაზიაში გაიქცა საკითხავად, როგორ დაამშვიდეს, რაკი ნათურები არ ჩაქრა, დენი არ გამორთულაო, როგორ დაბრუნდა და აიდუღა ჩაი... შემდეგ ქურა მაინც ჩაქრა. ნათურა შეამოწმა და არ აინთო. მოხსნა და აივანზე გამოიტანა. არც აქ აინთო. ისევ ოთახში შეიტანა და ამჯერად აინთო:

_ ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

მაგრამ აღტაცება დიდხანს არ გაგძელებულა: ელექტროქურა ისევ ჩართო და მაშინ ორივე გამოირთო. დაიბნა და შეწუხდა:

_ გადაიწვა ალბად მეზობლის ელექტრონი. აი რა არის სამწუხარო. ფეჩიც ალბად გაფუჭდა და აღარ გამომიცვლიან. ვის აქვს იმდენი ფული, რომ ხელახლა იყიდოს სხვა ფეჩი? მერე როგორ მიხაროდა, ისეთი სითბო ჰქონდა, ისეთი ბედნიერი ვიყავი, როდესაც ოთახში სითბო იყო.

ის ღამე ბნელში გაატარა. სახვალიო სტრატეგიული გეგმა შეადგინა:

_ მონტიორს არ უნდა ვუთხრა, რომ «ფეჩი» მენთო... მორჩა და გათავდა. უნდათ თავი ქვას ახალონ.

მეორე დღეს მეტალურგის კლუბის სამკითხველოში წავიდა და იქ წერდა ამ ამბავს:

_ უეცრად აზრმა გამიელვა, შეიძლება კლუბში არის რომელიმე მონტიორი და ვკითხავ ელეკტრონის ჩაქრობის მიზეზს-მეთქი.

მართლაც აღმოჩნდა მონტიორი:

_ მიშველე რამე!

შეთანხმდნენ და წამოჰყვა. მონტიორმა შეამოწმა და დაასკვნა: ბოძზეა გაფუჭებული და მე ვერ გავაკეთებო. თელასის კანტორაში დარეკეს, მაგრამ არავინ უპასუხა. დაემშვიდობა და სახლში ამოვიდა. სახლიდან დარეკა. უპასუხეს და დაჰპირდნენ კიდეც:

_ და აი, ვზივარ ეხლა და ვუცდი მათ, სინათლის მომტანთ. ფეჩი კი ყოველი შემთხვევისთვის მივმალე შკაფში. რაღაც მარცხიანი ფეჩია. აღარ გავეკარები კაიხანს, თუ როგორმე ამ ხათაბალას გადავურჩი! მაინც გაფუჭებულია, მგონია! ასეთ ხათაბალებში მაგდებს გამოუცდელობა.

მართლაც, თელასის მონტიორი მალე მოვიდა. აივანზე შესცვალა რაღაც და მთელი ბინა განათდა:

_ ასე დასრულდა ელექტრონის ამბავი.

ერთი პრობლემა მაინც დარჩა გასარკვევი:

_ ეხლა საინტერესოა, ფეჩი გაფუჭებულია თუ არა?

ჩანს, ამ შემთხვევამ ჭკუა ასწავლა:

_ მე ვცხოვრობ კრილოვის ქუჩაზე №10, მიჭირავს ოთახი მესამე სართულში. საქმე იმაშია, რომ ამ ოთახში არ ხერხდება ტეხნიკურად ბუხრის გაკეთება ან ფეჩის დადგმა და ვიყინები. გთხოვთ ნება დამრთოთ დავდგა ელექტროფეჩი და ამით შემაძლებინოთ _ განვაგრძო ლიტმუშაობა.

მეზობლებმა იმდენად შეაწუხეს და შეავიწროვეს, რომ 1934 წლის 23 დეკემბერს საკმაოდ გრძელი არზა გაამზადა საქართველოს სსრ ცაკის თავმჯდომარის ამხანაგ ფილიპე მახარაძის სახელზე _ უკვე საქართველოს სახალხო პოეტმა, თუმცა ამ წოდებას არ იშველიებს:

_ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი და პარტიული მანდატის მქონე მოქ. შონია განუწყვეტლივ თავს მესხმის პირადათ მე და ჩემს მეუღლეს. ყოვლად უსაფუძვლოდ, ყოველგვარი საბაბის გარეშე და სრულიად თვითნებურად მოქ. შონია ასტეხს ხოლმე ყვირილს, მართავს ღრიალს, იწვევს ვიღაცას სკანდალსა და დებოშში. განსაკუთრებით ეძებს იგი ისეთი მომენტების შერჩევას, როდესაც მე სახლში არ ვიმყოფები და უფრო ადვილია იერიშის მიტანა ფიზიკურად სუსტ ადამიანზე (მეუღლეზე)... მოგახსენებთ, რომ მოქ. შონია თავის გამოსვლებს ახდენს სისტემატურად, ღამის წყვდიადში, ხოლო, თუ მთვრალია, დღისით და ელექტრონის სინათლეშიაც. იგი ცდილობს არ დაისწროს მოწმეები, მთელი მისი ქცევა აშკარად წინასწარგანზრახულია და აგებულია მოწინააღმდეგის უმწეო მდგომარეობის გამოყენების ვარაუდზე. ვიმეორებ, ასეთ პირობებში მტერთან ბრძოლა ძნელია. მაგრამ იმედი მაქვს, თქვენ მიხვდებით და ჩაწვდებით ფსიქოლოგიურად იმ აუტანელ მდგომარეობას, როცა მართალ ადამიანს საშუალება ესპობა ხელთ იგდოს ფორმალური ხასიათის მტკიცების საბუთები. იძულებული ვხდები სასწორზე დავდო ჩემდამი ნდობისა და რწმენის საკითხი, ვინაიდან სხვა საშუალება შონიას თავაშვებული საქციელის ასალაგმავად მე არ მომეპოვება. მაქვს ერთადერთი ოთახი, სადაც მძინავს და ვმუშაობ კიდეც. სხვა დამატებითი ფართობი, გარდა აივნისა, არ მომეპოვება... ჩემი კულტურული შეგნება და საყოფაცხოვრებო ურთიერთობის გაგება არ მაძლევს უფლებას, მივმართო ოფიზიკურად გასწორების მეთოდს, როგორც ამას თვით შონია ჩადის. ასეთ პირობებში ორში ერთი მრჩებოდა: ან მომემართნა რესპუბლიკის უზენაეს ორგანოსათვის, ანდა მომეთმინა და ბედის მორჩილი გავმხდარიყავი. მე ავირჩიე პირველი. თქვენზეა დამოკიდებული, თუ რამდენად გამიმართლდება იმედი.

ჩანს, ცაკის თავმჯდომარემ თბილისის საბჭოს თავმჯდომარეს დაავალა პოეტის საბინაო პირობების გაუმჯობესება:

_ საქ. ცაკის თავმჯდომარეს ამხ. ფ. მახარაძეს. პასუხად თქვენი წინადადებისა სახ. პოეტ გალაკტიონ ტაბიძისათვის საცხოვრებელი ბინის მიცემის შესახებ გაცნობებთ, რომ ამხ. ტაბიძისათვის გამოყოფილია ბინა კომუნალური ბანკის სახლში, რომლის მშენებ-ლობა ერთი თვის განმავლობაში დამთავრდება. ტფ. საბჭოს თავმჯდომარე _ ბაქრაძე.

როგორც ირკვევა, მესამე სართული შესთავაზეს:

_ ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფილიპე მახარაძის განკარგულებაზე ჩემთვის საცხოვრებელი ბინის მოცემის შესახებ _ თანახმად თქვენი მისდამი პასუხისა _ სწერია, რომ ჩემთვის გამოყოფილია ბინა კომუნალური ბანკის ახალ შენობაში. ამის გამო გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში შემდეგი გარემოება: სხვა ავადმყოფობასთან ერთად მე მაქვს ძლიერი ფორმით გულის ავადმყოფობა, რაც შეუძლებელს ხდის მესამე სართულზე ცხოვრებას, ძლიერ შეაფერხებს ჩემს ლიტერატურულ მუშაობას. ამისათვის გთხოვთ მომაკუთვნოთ ბინა მეორე სართულში. დანართი: ამიერკავკასიის სახკომ-საბჭოსთან და ჯანსახკომთან არსებულ სამკურნალო კომისიის ცნობა.

ბანკის სახლი ჟორესის ქუჩაზე ააშენეს. გალაკტიონის თხოვნა დააკმაყოფილეს. მალე ჟორესი მარჯანიშვილმა შესცვალა, ელექტროღუმელი კი _ კედლის ღუმელმა:

_ გთხოვთ პირადი საჭიროებისათვის ნაღდ ანგარიშზე გამომიწეროთ შეშა.

_ გთხოვთ პირადი საჭიროებისათვის მომცეთ რვა კუბომეტრი შეშა.

_ თუ ორგანიზაციამ, რომელიც შეშას ანაწილებს, ვერ მიშოვა შეშა, მაშინ მეტი ძალა არაა _ საგურამო.

_ შეშა, შეშა და კიდევ შეშა!

_ გრძელი შეშა, კარგი შეშა, ხორციანი შეშა.

_ გირჩევ იყიდო სატყეო ტრესტისაგან შეშა, თორემ ცივ ბინაში დარჩები. ნოემბერში შეშას ვერ იშოვნი, _ ბარათი დაუტოვა მაგიდაზე ოლიამ 1935 წლის 18 ოქტომბერს.

უშოვნია:

_ 1935. 17 ნოემბერს _ შეშისათვის გადავიხადე 215 მ.

ფრიად სასიამოვნო წერილი მიიღო 1941 წლის 2 მაისს:

_ ამით გაცნობებთ, რომ ლიტფონდს შესაძლებლობა აქვს დაამზადოს შეშა კახეთში მაგარი ჯიშის _ რცხილა. მეტრი დაჯდება 65 მანეთი; თითო მწერალს მიეცემა 5 მეტრი. შეშის შეძენის სურვილის შემთხვევაში გთხოვთ შემოიტანოთ სალაროში ხუთი მეტრის ღირებულება ა/თ 25-მდე.

ხუთი წლის შემდეგ კი:

_ გადადგმულია ნაბიჯი სამი კაფელის ღუმელის დასადგმელად, სამი მისი «კარკასი» შეძენილია.

და ნაბიჯ-ნაბიჯ აგრძელებს:

_ გადადგმულია ნაბიჯი ელექტრონის შტეფსელების დადგმისათვის, «ფლური» _ ოთხასორმოცდაათი მივეცი ოსტატს და ის ხვალვე გააკეთებს საქმეს.

_ გადადგმულია ნაბიჯი პალმების შეძენისათვის.

_ გადადგმულია ნაბიჯი პირსაბანის ხელახლა მოსაწყობად. ოსტატს მივეცი ასი «ფლური» _ ბე.

_ გადადგმულია ნაბიჯი ფარდების ჩამოფარებისათვის.

_ გადადგმულია ნაბიჯი ორი ნიკელის საწოლის შესაძენად.

_ ვოცნებობ ერთ პიანინოზე, ერთ ხალიჩაზე და ერთ დივანზე.

_ ერთი სურათი არწივისა უნდა გავაკეთებინო კეცხოველს.

_ საჭიროა ელექტრ. ზარი კაბინეტში და კარებთან.

_ დროა სახლში მოვეწყო, თორემ სხვაგან რა მოხდება _ მე რა ვიცი. Своею собственной рукой.

საკუთარი ბინის მთლიანი ფართობი გამოუანგარიშებია შეკრების და არა გამრავლების წესით (?!):

კაბინეტი: სიგრძე _ 10,92, სიგანე _ 8,74=19,66
საწოლი ოთახი: სიგრძე _ 8,74, სიგანე _ 7,20=15,94
სასადილო: სიგრძე - 11,40, სიგანე _ 7,04=18,44
სამზარეულო: სიგრძე _ 11,40, სიგანე _ 8,74=20,14
აივანი ეზოს: სიგრძე _ 16,08, სიგანე _ 4,90=20,98
აივანი წინა: სიგრძე _ 6,82, სიგანე _ 2,46=9,28

_____

სულ _ 106 მეტრი 44 ს.

«ოთახის და ნორმალური ცხოვრების ჰიმნი» _ ასეთი სათაური მოუნიშნავს სამერმისოდ.

სასარგებლო რჩევა მოუპოვებია თეატრალურ სტამბაში:

_ კნოპკას რომ დაასობ, თან უნდა დააყოლო ქინძისთავი ან პატარა ლურსმანი, რომ არასოდეს არ ამოვარდეს.

ეს ინფორმაცია, ეტყობა, გაზეთში ამოიკითხა:

_ სამუდამო ასანთი _ 600-ჯერ ინთება. გამოიგონა რინგერმა (სტოგკოლმი).

მრგვალი მაგიდა და მუშამბა! _ ასეთი იშვიათზე იშვიათი პრობლემა დაუსვამს, განუხილავს, გადაუწყვეტია და ეგრევე დაუსათაურებია მოხალისე დიზაინერს:

_ რგვალ მაგიდაზე «კლიონკის» გადაფარების პრობლემა. შეიძლება ლურსმნებით. შეიძლება ძაფით. მთავარია სიმრგვალის დაცვისათვის საჭირო სიმმეტრია, რომ ჩანაკეცები არ სჩანდენ. გახსოვს ზავრიევი?

საოჯახო ავეჯის «გეგმა» შეუდგენია. მაგიდების აშკარა უპირატესობით აღინიშნება:

_ საგამოფენო მასალები. საავტორო შკაფი. მაგიდა დივანთან. «ეტაჟერკა». განიერი მაგიდა. ჩემი სამწერლო მაგიდა (ყუთები). მინიანი მაგიდა. «პაპკები». საწოლი ოთახის მაგიდები. სასადილო ოთახის მაგიდები.

სახლში საათი არ აღმოაჩნდა თუ გაუჩერდა და _ «ტელეფონ-ით _ მწერალთა კავშირში»:

_ Посмотрите, пожалуйста, который час?

_ Ровно восемь. _ რიფსოს ხმაა.

შეუძენიათ:

_ ძვირფასო გალ! ურა! უკვე საათი გვაქვს და საქმეც უკეთ წავა. სამსახურის მერე მოვალ. მანამ ხრახნებს ხელი არ ახლო. გასწავლი როგორ დაქოქო. საათი გასწორებულია. ოლია.

ისევ ღუმელის, ისევ კარადის, ისევ ტელეფონის «იდეებს» უბრუნდებოდა:

_ ოცდახუთსა ამა თვესა ღუმელები წესრიგში მოვიყვანე. ამით ლიკვდირებულია გათბობის საკითხი.

_ დღესვე ამუშავდა ტელეფონი. დღეს: გადახდილია ტელეფონის ფული მომავალ წლამდე მთლიანად.

_ «აღმოჩენათა და გამოგონებათა იდეა». იდეა საწოლი ოთახის კარებთან წიგნის კარადის მოწყობისა. კაბინეტის მოწყობის იდეა! უამისოდ არა გამოვა რა.

და მაინც უჭირდა. საქმეს თავს ვერ აბამდა: მინი-რემინგტონი ჩამოიტანა პარიზიდან და გადამბეჭდავებისაკენ გარბოდა. ფოტოაპარატიც ამაოდ შეიძინა. სათვალეს ჩარჩოც კი ვერ მოიპოვა თავისი ზომის: ბავშვისა გეგონებათ!

საკუთარ თავზე იხუმრა მწარედ:

_ ოჯახის პრობლემა დასვა, მაგრამ ვერ გადაწყვიტა.

ომი დაიწყო და მარჯანიშვილის ქუჩის მეორე სართულზე მიაკითხა:

_ ეს-ეს არის გამოვეწერე ჯანსახკომის სპეცსამკურნალო საავადმყოფოდან, სადაც სტაციონალურად ვექიმობდი მთელი თვის განმავლობაში. გამოვეწერე აი რატომ: ნერვიულ განყოფილებაში, სადაც მე ვიწევი, საავადმყოფოში მოვიდა სტალინის რაისაბჭოს წარმომადგენელი და გამომიცხადა, რომ ჩემს ბინის ერთ-ერთ ოთახზე გაცე-მულია ორდერი _ სხვის ჩასასახლებლად. საქმე იმაშია, რომ ჩემი ბინა ისეთია, სამი პატარა ოთახი ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ სხვისი იქ ჩასახლების შემდეგ _ მე იმ ბინაში აღარ მეცხოვრება. არც ჩემი მდგომარეობა (ნერვიული ავადმყოფობა) არ მაძლევს საშუალებას. გარდა ამისა ჩემი ლიტერატურული მუშაობა _ განსაკუთრებით აწინდელი სამამულო ომის დღეებში მოითხოვს მეტს ინტენსივობას და არა მგონია, ისეთი გაჭირვება იყოს თბილისში, რომ პირველად სახალხო პოეტს მიადგენ და აურდაურიონ ცხოვრება. ამიტომ გთხოვთ სასწრაფო განკარგულებას, რათა ჩემი ბინა მოხსნილი იქნას და მომეცეს საშუალება შემდგომი მუშაობისათვის.

1943 წელს საიუბილეო ღონისძიებათა პროექტი შეადგინა და მეხუთე ნომრად გამოჰყო:

_ მიეცეს რომელიმე სხვა სახლი, შესაფერისი სახალხო პოეტისათვის.

1947 წელს კვლავ მთავრობის იმედზეა:

_ მთავრობა უნდა ერთდროულად დამეხმაროს, მომცეს შესაფერისი ბინა (ნაცვლად ძველისა, ააგოს ახალი).

11 თებერვალს აკადემიის პრეზიდენტს განცხადება აახლა:

_ მე ვცხოვრობ ჟორესის ქ. N 4. მიუხედავად იმისა, რომ სახლი ახლახან აშენებულია, ბინა საჭიროებს რემონტს. ამ სახლში სამი ოთახი მიჭირავს, ვცხოვრობთ შიგ ექვსი სული, ერთობ შევიწროებულად. მუშაობა ვერ გამიშლია ისე, როგორც საჭიროა. სივიწროვის გამო ჩემთვის საჭირო წიგნებიც კი ვერასგზით ისე ვერ მომითავსებია, როგორც მინდოდა. ერთი ნაწილი ჩემი ბიბლიოთეკისა სოფლადა მაქვს, ერთიც კიდევ სხვა ოჯახში. ერთადერთი ღირსება ამ ბინისა ჩემთვის ისაა, რომ მეორე სართულზე ვცხოვრობ, რაც აუცილებელია ჩემთვის, გულით ავადმყოფისათვის. ყოველივე ამის გამო გთხოვთ გამიწიოთ დახმარება ბინის აღმოჩენისათვის, რომ მოვეწყო როგორმე და ამით საშუალება მექნება უფრო გულდადებით ვემსახურო ჩვენს საერთო საქმეს.

რაც შეეხება მწერალთა კავშირს:

_ არავითარი იმედი მწერალთა კავშირისაგან არა მაქვს. ყველა სინდისგარეცხილია აქ. _ ჩაუწერია 1948 წლის 25 აპრილს.

თუმცა დიდი იმედი არც აკადემიისა ჰქონდა:

_ მუსხელიშვილმა ხაზი გაუსვა: ნუ ილაპარაკებთ იმაზე, რაც დახურულ პარტიულ კრებაზე ვილაპარაკეთო _ ნუ ილაპარაკებთ ბინების შესახებ.

1947 წლის 6 მაისს ისევ მწარედ ხუმრობს:

_ მე მივდივარ კოჯორში (ჯორებისა და ვირების ტერიტორიაზე თუ მომცემენ ოთახს, თორემ ვილლები სხვებისთვისაა).

იმავე წელიწადს გაცვლა სცადა:

_ ძვირფასო გიორგი! პროფესორმა ა. გოცირიძემ გადმომცა, რომ გიამბოთ ჩემი გასაჭირი. ვერასგზით ვერ ვახერხებ იმ ბინაში დამშვიდებით მუშაობას, სადაც ეხლა ვცხოვრობ. მინდა გავცვალო უფრო მოხერხებულ ბინაზე. ამ საქმის გადადება ჩემთვის ყოვლად შეუძლებელია. გემუდარებით, დამეხმაროთ ამ საქმეში.

1949 წლის 29 აპრილს საბინაო სამმართველოს მიმართა:

_ ვცხოვრობ ჟორესის ქ. N 4. არა მაქვს საწყობი სხვადასხვა ნივთებისთვის («სარაია»). გთხოვთ ნება დამრთოთ მოვაწყო იგი ჩემს ეზოშივე.

იმავე წლის 29 ივლისს იმავე საბინაო სამმართველოს შესჩივლა:

_ მე ვცხვრობ მარჯანიშვილის ქ. სახლი N 4. გაცნობებთ, რომ ჩემს ბინაში, ზედა სართულიდან, სააბაზანოსა და სამზარეულოში ჩამონგრეულია ჭერი. მათში მოთავსებული ნივთები დაზიანებულია. გთხოვთ გამოარკვიოთ და მიიღოთ სათანადო ზომები.

ისევ იმავე წლის 23 აგვისტოს სოხუმის ქალაქის საბჭოს სთხოვა:

_ მუშაობის პირობების შექმნისა და ჯანმრთელობის აღდგენის მიზნით მაქვს სურვილი დავსახლდე ქ. სოხუმში. გთხოვთ გამომიყოთ მიწის ნაკვეთი ინდივიდუალური მშენებლობისათვის ან მომეცეს შესაფერისი (მოწყობილი) ბინა. სათანადო თანხას გადავიხდი.

1952 წლის 7 აპრილს მეზობლების თანხმობის წერილი აუღია და გაფართოება მოუწადინებია:

_ მოგახსენებთ, რომ ვცხოვრობ მარჯანიშვილის ქ. სახლში N 4, მეორე სართულზე, განვიცდი დიდ სივიწროვეს ბინის ფართობის მხრივ. ამავე დროს ქუჩის მხრიდან ძალიან დიდი ხმაურობაა, რაც ხელს მიშლის გონებრივ მუშაობაში. არის საშუალება, ეზოს მხრიდან დახურული შუშაბანდი, სამი მეტრის სიგრძით, მეზობლის შუშაბანდამდე გაგრძელდეს და ამით საშუალება მომეცემა გავიკეთო დერეფანში სამუშაო ადგილი. ამიტომ გთხოვთ დამრთოთ ნება შუშაბანდის გაგრძელებისა, რაც ტექნიკურად დასაშვებია.

1957 წელსაც შეიტანა საიუბილეო თეზისებში:

_ მიეცეს შესაფერი ბინა.

მისივე ოჯახის წევრი გვაუწყებს:

_ სურდა ნორმალური სამუშაო პირობები ჰქონოდა (მარჯანიშვილის ქუჩაზე ნამდვილად მოკლებული იყო ამას).

მარჯანიშვილის ქუჩაზე ასეთ პირობებში ცხოვრობდა:

_ შუაღამეა. მიუხედავად ამისა, ჩემს ოთახს აყრუებს ავტობუსების განუწყვეტელი გრიალი _ ვერის ხიდიდან დაწყებული მარჯანიშვილის თეატრამდის. თან ერთი სინა, ჩემი ოთახის კედელზე მიბმული სახელგამის კედლიდან, ისეთნაირად გაიწკრიალებს, როცა ტროლეიბუსი გაივლის, რომ არ შეიძლება, ჟრუანტელმა არ დაგიაროს. ასეა ყოველ ღამ. ღამის სამ საათამდის ქუჩიდან მესმის მთვრალების ღრიალი... ჩემს ოთახს ზევით ცხოვრობს ოჯახი, რომლის დიასახლისი კარგახანია შეშლილია. ის გათენებამდე დადის

თავის ჭრიალა ფეხსაცმელებით თითქო არა თავის ოთახში, არამედ პირდაპირ ჩემს თავზე, ატრიალებს სკამებს ამ ნაშუაღამევს.

ერთხანს სასტუმროს შეაფარა თავი:

_ კოტე ფოცხვერაშვილი შემხვდა დილით რუსთაველის პროსპექტზე... ვრეკავდიო იუბილეს დღეებში სახლში. იქიდან მპასუხობდენ, გალაკტიონი მთელი კვირაა თვალით არ გვინახავსო. მე მართლაც მაშინ «ორიანტში» გადავბინავდი, რადგან მაწუხებდენ.

მერე მეორე სამუშაო კაბინეტი დაიქირავა იმავე ქუჩაზე (ვაი სირცხვილო!):

_ 1957. 16 ნოემბერს მივიღე მოსკოვიდან "Дружба народов". მოთავსებულია შიგ ჩემი ლექსი «ხალხი». 22 ნოემბერს, მოულოდნელად, ამ ლექსის ჰონორარიც მომივიდა 1218 მანეთი. ამ ლექსით შემოსული ფულიდან წამოწყებული იქნა მეორე დიდი საქმე, დაქირავებულ იქნა ბინა მარჯანიშვილის მოედანზე.

_ პლეხანოვის პროსპექტი 86/90. პირველი შესავალი. მესამე სართული. მეხუთე ბინა. უნდა დაედგათ ტელეფ. აპარატი 9 დეკემბერს საღამომდე, ასე იყო დაპირება.

_ 1957. 14 დეკემბერი. მარჯანიშვილის მოედანზე სახლი 86/90 _ ჩემს ოთახში დაიდგა ტელეფონი 3-47-31.

მეზობელი მწერლები თანამიმდევრობით გადასახლდნენ პრესტიჟულ ბინებში. მოდიოდნენ და მიდიოდნენ უფრო ენერგიულები. ზოგიერთმა კოშკი თუ Uსასახლეც აიშენა. ერთმა კი მხოლოდ რამდენიმე წელიწადი იკადრა ჟორესის ქუჩის ოროთახიანი და მალე ქალაქის სანიმუშო შენობაში მთელი სართული დაიკავა. შვიდ წელიწადს მწერალთა კავშირს ხელმძღვანელობდა და სახალხო პოეტის საბინაო პირობების მოგვარება ყველაზე მეტად მას შეეძლო და ევალებოდა კიდეც. სწორედ ეს ყოფილი კარისმეზობელი დაადგა თავზე გარდაცვლილს და ბრძანა: «იგი თითქოს უბინაოს ჰგავდაო»...

თუ ჩანგს სიმი არ აქვს, სიმონ,
კეტი უნდა გაასიმონ,
მსგავსი სიმი თავში გთხლიშონ,
გაგაგიჟონ და გაგიშონ!..

გალაკტიონი კვლავ ელოდებოდა. მწერლებისათვის დიდი სახლის აშენება დაიწყეს გოგებაშვილის ქუჩაზე.:

_ 1955 წ. 9 ნოემბერი. მწერალთა სახლის მშენებლობა. დათვალიერება. არჩევა. საუბარი პრორაბთან. მზად იქნება დეკემბერში! (არა!). ვინაა მთავარი ხელმძღვანელი? იღებენ თუ არა მწერლები მონაწილეობას?

_ 1955. სახლი არ იქნება მაისამდე.

_ ახალი სახლი დამთავრდება მაისშიო. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ამტკიცებს ლიტფონდის ქალი, _ მიუწერია 1955 წლის კალენდრის 24 იანვრის ფურცელზე, 1956 წლის 24 იანვარს კი უკითხავს:

_ რას მოიტანს მაისი? ახალი ბინის პრობლემა!

1956 წლის 9 თებერვლის დღიურში ჩაუწერია:

_ გომიაშვილმა მითხრა: მგონი მალე ახალ ბინაში ჩაგასახლოთო. დამებადა აზრი ახალი სახლის დათვალიერების... დავათვალიერეთ მწერლების სახლის მშენებლობა გოგებაშვილის ქუჩაზე.

დარწმუნებული ბრძანდებოდა:

_ მანქანა შევაკეთეთ. დავათვალიერეთ ჩვენი მომავალი სახლი.

მანამ არაფერი გეტკინოთ!

სიბერე კი თანდათან მოეძალა. მდივანი აიყვანა. ვერც ამან უშველა:

_ გოგის სამუშაოები... _ გოგი, გოგი, გოგი... _ ო, გოგი, გოგი!!!

ჩვენი რჩეულის სამზადისს რომ შეუდგა, ისეთ უნუგეშო მდგომარეობაში აღმოჩნდა, უფალს შესჩივლა:

_ ღმერთო! როდის ვეღირსები ყოველივეს მომზადებულს და დალაგებულს!!! როგორი არეულობაა გარეშემო!

ერთიც უნდა ითქვას: ამოდენა მემკვიდრეობას ასეთი მეოცნებე და მარტოხელა ვერასგზით ვერ მოუვლიდა: ათი ათასამდე მარტო პოეტური ავტოგრაფები ეწყო თაროზე, რემინგტონზე გადაბეჭდილი და სხვისი ხელით გადაწერილები სხვა იყო. ამას დაუმატეთ დღიურები და ჩანაწერები.

თუმცა მაინც უკმარისობას განიცდიდა: «და შევქმენი, რაც შემეძლო, იმის მეათასედი».

ეს მეათასედი _ ათასებს შეიცავდა და სათანადო ყურადღებას მოითხოვდა:

_ მოინახოს სადმე ბოლქვაძე. რომელსაც ჩემი ხელნაწერები აქვს (სად? როგორ? რანაირად?). საინტერესოა დაკარგული წინათქმის ძველი დოკუმენტი, აგრეთვე XVIII საუკუნის მიწურულის სვიმონ ტაბიძის ხელნაწერი.

ბიბლიოგრაფის მოწვევა დააპირა:

_ გუია ბერულავა _ კულტურული ქალი სჩანს. მუშაობს მწერალთა კავშირის წიგნთსაცავში და წიგნის პალატაში შეთავსებით. მინდა ჩავაბა ჩვენს მუშაობაში: ჯერ როგორც ბიბლიოთეკარი წიგნებისა (ჩემი და ჩემს შესახებ), შემდეგ როგორც ბიბლიოგრაფი (მას ჰყავს მოწაფეები).

თვითონაც შეუდგა საკუთარი ბიბლიოგრაფიისა და იკონოგრაფიის შედგენას. დანომრილ რვეულებში დანომრა მასალები. მათ შორის:

_ «ყორანის» ავტოგრაფი. ფოტო-სურათები ლენინგრადისა. დეპეშები ლენინის ორდენის მილოცვით. ბერიასთან დაბარების ქაღალდი. პუშკინის კომიტეტის მომართვა მოსკოვიდან. თოთხმეტი დაუმთავრებელი თუ უვარგისი ლექსი. ლექსი ამოღებული დასამუშავებლად პოემისათვის. ოლიას პოდსტროჩნიკები. დედაჩემის წერილები...

დალაგება და დახარისხება გადაწყვიტა:

_ საჭიროა ამოღებული ლექსების ცალკე რვეულებად დალაგება.

1955 წლის 19-20 თებერვალს კატეგორიულად დაუგეგმავს:

_ «ჭკვიან კარადის» თავზე დაყრილი საქმის ქაღალდები. ხელნაწერები ცალკე. წიგნები დაყოფილი ასეთნაირად – ქართული ცალკე, რუსული ცალკე. (პროზა, პოეზია ცალკე). წიგნები წარწერებით _ «მოძღვნილები» ცალკე. წიგნები აფხაზეთის ცალკე. წიგნები ოსეთის ცალკე. წიგნები აჭარის ცალკე. წიგნები პოლიტიკური ცალკე (ბროშიურებთან ერთად). წიგნები «ცნობარები, კალენდრები, სიები». წიგნები, რომლებიც მე მეხებიან (ანტოლოგიები, მოძღვნილი წიგნები თარგმანებით, ჩემი ნაწერებით) ცალკე. ჟურნალები _ საერთოდ ცალკე. ჟურნალები _ რომლებიც მე მეხებიან _ ცალკე. გაზეთები სახელწოდებისა და გამოცემის წლების მიხედვით _ ცალკე. გაზეთები ჩემს შესახებ (ქრონიკა, განცხადება და სხვა რაიმე მასთან) ცალკე. გაზეთები სპეციალური (ლიტ. ნომრები) ცალკე. პაპკები დანარჩენები ცალკე. ფოსტის ყუთებში ჩალაგებული მასალები ცალკე. ხელნაწერები ცალკე. ფოტოსურათები უსათუოდ ცალკ-

ცალკე. აფიშები და სხვა რამეები ცალკე. ლექსები ცალკე _ კარადებში. პროზა ცალკე _ კარადებში.

ძირითადი ფონდი _ ხელნაწერები _ კიდევ ცალკე დაუცალკევებია:

_ შეტანილი წიგნებში _ ცალკე. დაუბეჭდავი _ ცალკე. ცალკე ფურცლებზე _ ცალკე. უბის წიგნაკები _ ცალკე. რვეულები _ ცალკე. მთლიანი პოემები _ ცალკე. კონვერტებში გადადებული _ ცალკე. სხვისი ხელნაწერები _ ცალკე (ყველა ესენი შემდეგში დაინომრებიან და შეტანილ იქნებიან სპეციალურ კატალოგებში). ხელნაწერები პროზის _ ცალკე. ჩემდამი მოწერილი წერილები _ ცალკე. ლექსები სხვების _ ცალკე. ჩემდამი მოძღვნილი _ ცალკე. გაზეთების გადათვალიერება: ამონაჭრები _ ცალკე.

ამას მოსდევს:

_ ყდიანი წიგნები _ ცალკე. უყდო _ ცალკე. კლიშეები _ ცალ-ცალკე. აფიშები _ ცალკე. გალაკტიონოლოგია _ ცალკე.

ვინც არქივს იცნობს, დამეთანხმება: ამდენი «ცალკე» აღემატება ერთი კაცის შესაძლებლობას, მრავალგზის აღემატება. ვერც დაუცალკევებია და დანანებით მიუწერია: «არ მოხერხდა». ვერც მოხერხდებოდა: ლიტერატურული მუზეუმი აგერ ოცდათხუთმეტი წელიწადია თანმიმდევრულად აცალკევებს და ალაგებს და ეს პროცესი კიდევ კარგახანს არ დასრულდება.

ერთი-ორჯერ ცხოვრების რეჟიმის შეცვლა სცადა:

_ ჰონორარით არავის უცხოვრია ჩვენში და მე როგორ შევძლებ, რომ ვიცხოვრო?

ქართული ჟურნალისტიკის ისტორიისათვის საინტერესო დეტალი (მოქმედების ადგილი მოსკოვი):

_ მე და მესხიშვილს რომ ქართული გაზეთის გამოცემა გვინდოდა 1918-ში, სომეხმა მესტამბემ უარი გვითხრა შრიფტზე (დაშნაკი იყო თურმე. აქ, საქართველოში, თურმე ომი იყო მენშევიკებსა და სომხებს შორის).

_ კარგი იქნება მოსოვში ქართული ჟურნალის გამოცემა. არის იქ ქართული შრიფტი თუ არა?

საკუთარი ყოველკვირეული დააარსა _ «გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი».

«რედაქციის ბინის მოწყობის საკითხი» წინასწარ დააზუსტა (ჟურნალის აპოლიტიკურობის საკითხიც!):

_ ტაქტიკა: რედაქციის ბინა უნდა მოეწყოს კარგად: 1. კარები მეორე ოთახისა ჩაიკეტოს. 2. კედლები შელამაზდეს. 3. მინები გამოფენის შუამდე დაიფაროს. 4. შეძენილ იქნას მაგიდები და შესაფერი ხელსაწყო. 5. გარედან მიეცეს შნო და სილამაზე.

_ თვით რედაქციაში: კოდექსი: 1. არავითარ პოლიტიკურ საუბარს რედაქციაში ადგილი არ ექნეს! 2. პირველი, რომელიც შეიმჩნევა ამ საქმეში, მომენტალურად დათხოვნილ იქნება სამსახურიდან. 4. მთელი ძალა და ღონე იქითკენ, რომ «თეატრ. და ცხ.» არ დაემსგავსოს.

მიუხედავად ამგვარი სამზადისისა, ღირსეული ბინა ვერ მოიპოვა და N 1586 დარაბას შეაფარა თავი ლორის-მელიქოვის პირველ ნომერში. მოგვიანებით ტელეფონიც ითხოვა და უარიც დროზე მიიღო:

_ თქვენი ა/წ. 22 აპრილის N 80 მომართვის საპასუხოდ გაცნობებთ, რომ ტელეფონის დადგმის საშუალება ჯირგინში თავისუფალი ძარღვების უქონლობის გამო არა გვაქვს.

თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება რეკლამის მოპოვებას მიაქცია _ როგორც საარსებო წყაროს:

_ თამბაქოს ტრესტის გამგეს. ჩემი რედაქტორობით მომავალ კვირას გამოდის ყოველკვირეული ჟურნალი (ნებართვა სახ. გამომცემლობისა N 1921). გთხოვთ მომცეთ ჟურნალისთვის განცხადება და ამით შემაძლებინოთ გამოცემის განგრძობა, რისთვისაც წინასწარ მადლობას მოგახსენებთ. 1922. 2 ნოემბ.

რეკლამისათვის სათანადო ნებართვა იყო აუცილებელი და სახელმწიფო გამომცემლობის კოლეგიის თავმჯდომარეს მიმართა:

_ ჩემი რედაკტორობით ქართულ ენაზე გამოდის ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო «ჟურნალი». ჟურნალს არ შეუძლია არსებობა, თუ მას არ ექნება განცხადებები. ამიტომ გთხოვთ ნებართვას: განცხადებები, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დაწესებულებების, იბეჭდებოდეს ჩემს ჟურნალში, როგორც ეს არის «ლომისში» და «რუბიკონში». ჩემი ჟურნალი ერთდერთი ყოველკვირეული ჟურნალია საქართველოში. 1923. 6 თებერვალი.

მერვე ნომრის შემდეგ ასი მილიონი ვალი დაედო და 1923 წლის 3 მარტს სახალხო კომისართა საბჭოს არზა წარუდგინა:

_ ჩემი რედაკტორობით ტფილისში გამოდის ყოველკვირეული სალიტერატურო ჟურნალი. გამოვიდა რვა ნომერი, თითქმის აწყობილია მეცხრე. ჟურნალი სარგებლობს საზოგადოების დიდი სიმპათიით, ვრცელდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჟურნალის გაყიდვისაგან შემოსული ფული ხარჯებს ვერ ფარავს, ამიტომ ას მილიონამდე ვალი დაგვედო. დღემდის ჩვენთვის ერთ სახსართაგანს შეადგენდა განცხადებების ბეჭდვა, მაგრამ უკანასკნელად სადაც კი მივალთ განცხადებისთვის, გვთხოვენ სათანადო ქაღალდს მთავრობისაგან. ამიტომ, თანამშრომლების დავალებით გთხოვთ მოგვცეთ შესაფერისი მანდატი, რომ უფლება გვექნეს სხვა გამოცემების მსგავსად ჩვენც ვბეჭდოთ განცხადებები და ამით საშუალება მოგვეცემა პერიოდულად მაინც გამოვცეთ ჟურნალი და მოვიშოროთ განცხადებების ბეჭდვის აკრძალვისაგან თავსდატეხილი მეტად სამძიმო ვალი.

3 მაისს კი შუამდგომლობის ტექსტი მოამზადა, რათა რედაქცია ბინის გადასახადისაგან გაენთავისუფლებინა:

_ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო შუამდგომლობს თქვენს წინაშე, რომ უფასოდ დაეთმოს პოეტ გალაკტიონ ტაბიძეს ჟურნალის რედაქციის ბინა.

მხოლოდ ცხრა ნომრის გამოცემა მოასწრო და მოახერხა 1922-1923 წლებში და დიდი გულისტკივილით გამოეთხოვა _ «სამწუხარო ნახვამდის»:

_ ჩვენი ჟურნალი დროებით უნდა შევაჩეროთ. უნდა დავდოთ კალამი, უნდა დავიდუმოთ ენა და გავჩუმდეთ მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის სიმშვენიერე ამ გაზაფხულის პირზე გატაცებით გვიწვევს აღფრთოვანებულ ოცნებისაკენ.

ოცი წის შემდეგ აღდგენა გადასწყვიტა:

_ ნება მიეცეს პირველი იანვრიდან გამოსცეს ყოველკვირეული ჟურნალი სახელწოდებით «გალაკტიონის ჟურნალი».

ამაოდ!

«პოეზიის აკადემიის» დაარსებაზე ოცნებობდა. წერილიც დაწერა _ «პოეზიის აკადემიაზე»:

_ საერთოდ ჯერჯერობით ირგვლივ მხოლოდ გესლიანობაა. საჭიროა დაარსდეს ფართო სალიტერატურო აკადემია და ამას ცოტათი მაგათი გამაგრილებელი მნიშვნელობა ექნება _ ყოველი მხრით. საინტერესოა, რატომ არ არის ასეთი მუშაობა ეხლავე დაწყებული. ისინი ხელს შეუშლიან ამასაც, მაგრამ ეს არაფერია. საქმე თავისით წავა წინ. საჭიროა ერთი თესლი გადავარდეს, ერთი ნაპერწკალი, და იგი თავისით სწრაფად აინთება. იგი ძლიერ გაიზრდება და უშველებელ ალად გადაიქცევა.

შეიქმნა კიდეც ასეთი აკადემია 1921 წლის ზაფხულში ცისფერყანწელთა ინიციატივით, მაგრამ მალე დაიშალა, იმედი ვერ გაამართლა:

_ საქართველოში არ იპოება ლექსის მცოდნენი, რომელთანაც ლაპარაკი შეიძლება... მიკროსკოპით შეიარაღებული პოეტი არასდროს თქვენთან არ მოვა, თქვენ გენაცვალეთ, მასწავლეთ რამე, უცოდინარი ვარ... მე ყოველთვის სიამოვნებით ვივლი ამ კრებებზე, მაგრამ არა რაიმეს შესწავლის მიზნით. შესასწავლად და ლაბორატორიისთვის მე ჩემი ბინა მაქვს.

ეტყობა რუსეთის ანალოგიით მოიფიქრა:

_ უნდა დაარსდეს «პოეტების კავშირი» ან «პოეტების ცეხი». არ შეიძლება პოეზიის მთლიანად მწერლობისაგან ჩამოშორება, მაგრამ ეს საჭიროა ჩვენი პრესტიჟისათვის.

ერთი ლირიკული განზრახვაც გაგვანდო («გალაკტიონის თეატრი»):

_ მე მაქვს ატესტატი რეჟისორისა. კარგი იქნება ჩამოყალიბდეს ლირიკის თეატრი.

ადრევე უოცნებია:

_ 1916 წელს პოეტი მიემგზავრება მოსკოვში: განსაკუთრებით ღრმად სწავლობს თეატრალურ ხელოვნებას, იღებს საუკეთესო რეჟისორის ატესტატს და ოცნებობს თავისი საკუთარი თეატრის შექმნაზე.

1918 წელს გალაკტიონს და ოლიას ერთად მოუსმენიათ მოსკოვის სცენისმოყვარულთა ლიგასთან არსებულ სარეჟისორო კურსებზე შემდეგი ექვსი საგანი: 1. რეჟისურა. 2. სცენის არქიტექტურა და მოწყობა, სტილის, ყოფისა და კოსტიუმების ისტორია. 3. გრიმის თეორია და პრაქტიკა. 4. თეატრის ისტორია. 5. გამომეტყველებითი კითხვისა და დიქციის ხელოვნება. 6. სახალხო თეატრების ორგანიზაცია.

ლირიკის თეატრი კი ასე ჰქონდა ჩაფიქრებული:

_ ჯერ უბრალო დეკლამაცია. შემდეგ ლექსები შეიძლება დაიდგას, როგორც პიესა. საჭიროა დეკორაცია, შემოდგომის ბაღი, ძლიერი განათება, კარგი ტანსაცმელი, მუსიკა კითხვის დროს, კითხვა ცოცხალი სურათებით. არტისტი კონფერანსიე ხსნის თვითეულ გამოსვლას.

«მნათობის» რედაქციასთან დააპირა თანამშრომლობა:

_ როგორც მოსკოვში ყოფნის დროს მოგახსენეთ, ჩემი მატერიალური მდგომარეობა იმდენად აუტანელია, რომ შეუძლებელი ხდება ლიტერატურული მუშაობის განგრძობა. ამის გამო, როგორც გიამბეთ, მე გადავწყვიტე გადავიდე ჟურნალ «მნათობში» მუდმივ თანამშრომლობაზე: მივიღებ რა განსაზღვრულ ყოველთვიურ ჰონორარს, ჩემთვის შესაძლებელი იქნება უარი ვსთქვა იმ ჰონორარზე, რომელიც მომიწევს ჟურნალის ყოველ 2-3 ნომერში მასალებისათვის.

დაიმედებულა კიდეც:

_ ორი კვირის შემდეგ, დამპირდა, რომ გადამიყვანს ყოველთვიურ ჯამაგირზე.

ხელშეკრულების პროექტიც შეადგინა:

_ ამიერიდან გალაკტიონ ტაბიძე ითვლება ჟურნალ «მნათობის» მუდმივ თანამშრომლად. გალაკტიონ ტაბიძე ვალდებულია ყოველგვარი მასალა ბეჭდოს ჩვენს ჟურნალში უჰონორაროდ, ვინაიდან მას ენიშნება, როგორც მუდმივ თანამშრომელს, «მნათობის» თანხიდან ამდენი და ამდენი.

ხელფასსაც ღებულობდა:

_ «მნათობის» რედაქცია გთხოვთ, რომ ამხ. გალაკტიონ ტაბიძეს მიეცეს აგვისტოს თვის ჯამაგირი სამოცი მანეთი (60), რომელიც არ მიუღია.

_ ჟურნ. «მნათობის» თანამშრომელს გალ. ტაბიძეს მიუღებელი აქვს აგვისტოს თვის 1925 წ. ჯამაგირი, რაოდენობით 70 მანეთი. გთხოვთ მისცეთ.

გულწრფელად შენიშნა:

_ ამ ჟურნალში ჩემი თანამშრომლობა თითქმის უანგაროა.

დროულად განიზრახა:

_ მე ექვსი წლის განმავლობაში ვთანამშრომლობ მხოლდო ჟურნალ «მნათობში», რომელიც პოპულარული არ არის. დაკავების ერთი თვის მიზანთაგანია: ერთ თვეში _ მაქსიმუმი პოპულარობის!!! საჭიროა მილიონობით მკითხველი!

პროფკავშირის წევრობა დასჭირვებია (ალბათ _ საგზურის მისაღებად) და:

_ გიდგენთ ცნობას «მნათობის» რედაქციაში ჩემი თანამშრომლობის და საშუალო თვიური შემოსავლის შესახებ. გთხოვთ ჩამრიცხოთ განათლების მუშაკთა კავშირის წევრად.

შტატიან სამუშაოს ეძებდა:

_ 1930. 11 ნოემბერი. არ იქნა და არა! ვერ მოვეწყვე სამუშაოდ! როდემდის უნდა გაგრძელდეს ასე?.. ასე არ შეიძლება გაგრძელდეს. დღეს გადაიდგას უნდა ნაბიჯები.

ოთხი დღის შემდეგ იმედის მზემ გამოანათა:

_ 15 ნოემბერი. კოტე გორდელაძე დამპირდა, რომ ადგილს მომცემს «მნათობის» რედაქციაში პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობაზე. დიდებული იქნება! რამდენიმე დღეში ყველაფერი გამოირკვევა.

ეს თანამდებობა წინასწარ ჰქონდა მოწონებული:

_ არასოდეს არავითარ დაწესებულებაში არ უნდა იკისრო თავმჯდომარეობა ან რედაქტორობა, არამედ _ მდივნობა... რედაქტორები მუდამწამს იცვლებიან, მდივანი ყოველთვის რჩება. ასეა პოლიტიკაში, ასეა დაწესებულების პრაქტიკაში. მხოლოდ ამას უნდა სპეციალური ნიჭის კაცი.

რამდენიმე დღეში იმედის მზე ჩაქრა:

_ 25 ნოემბერი. გორდელაძესთან ფიასკოა. მე ცოტათი შერცხვენილი დავრჩი სხვებთან: ბევრი იყო ვიღაცეები. იქ არ შეიძლებოდა. მითხრა 3-4 დღის შემდეგ გამორკვევა რამისა. ერთი სიტყვით, მდგომარეობა მეტისმეტად კატასტროფულია. რა ეშველება ამ საქმეს? რა ეშველება უმუშევრობას? აი თავი და თავი!

«მნათობი» მაინც კარგახანს ეიმედებოდა:

_ 1953. 22 აგვისტო. ვიყავი სახელგამში. განვაცხადე, რომ პირველი იანვრიდან ვიწყებ მუშაობას «მნათობში»...

დაწერა მორიგი პროტესტი, რომელიც მხოლოდ ავტორმა წაიკითხა:

_ მოხდება თუ არა რეორგანიზაცია მწერალთა კავშირის, და თუ მოხდება, რა როლი უნდა შევასრულო იქ მე? ყოველ შემთხვევაში, აშკარაა _ ყინულზე გაცურების ცდები,

რომლის ნებას მე არავის მივცემ. თუ მე უძლური ვარ, რა თქმა უნდა, მუშაობაც არ მინდა. მაგრამ როდესაც ძლიერი ვარ, უძლურებს ნებას არ მივცემ, რომ ანგარიში არ გამიწიონ. ჩემთვის საჭიროა დაპირების ასრულება.

ომის დროს გაზეთის რედაქციაში მიიწვიეს:

_ «კომუნისტის» რედაქციაში, სადაც ამჟამად ვმუშაობ, მე ვეცნობი დიდძალ მასალას, გამოგზავნილს ფრონტიდან. ამაღელვებელი მასალებია!

მომხიბლავი იდეა გაუჩნდა:

_ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სალიტერატურო წრის დებულება, საერთო პრინციპები. გალაკტიონ ტაბიძის სახელობის წრე წარმოადგენს შემოქმედებითი სახის პირველად ორგანიზაციას. იგი მოწოდებულია აღამაღლოს იდეურ-თეორეტიული დონე იმ მწერლებისა, რომლებიც არ ითვლებიან რა მწერალთა კავშირის წევრებად, მუშაობენ წარმოებებში, დაწესებულებებში ან სწავლობენ უმაღლეს ან საშუალო სასწავლებლებში.

მშენებარე შენობაც შეურჩევია:

_ სემინარიის მეორე შენობის წინ არსებობს მოედანი, საკმარისად ფართო. იქ, სადაც არსებობს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, შენდება შენობები. წინა ფასადები ამ შენობებისა ჯერ დაუკავებელია და დაუმთავრებელი. აქ შეიძლება მოთავსდეს სალიტერატურო წრეც ან წრეების გაერთიანება (თბილისი, სოხუმი). მას ექნება ერთი ან რამდენიმე დიდი დარაბა, შესაძლებელია ეზოთი. პერსპექტივები ამ წრეებისა _ დიდია. მას ექნება წიგნთსაცავი. მოაწყობს სალიტერატურო საღამოებს. მოაწყობს კითხვებს ახალი წიგნებისას, გააერთიანებს ლიტერატურის ან ხელოვნების სხვა დარგებს.

სამწუხაროდ, არც ამ ჩანაფიქრმა გაუმართლა:

_ ერთ-ერთ საშუალო სკოლაში არსებობს ჩემი სახელობის ლიტერატურული წრე. ერთად-ერთ? ჰმ!

_ სუხუმში არსებობს ჩემი სახელობის წრე _ პედაგოგიურ ინსტიტუტთან. შეიძლება თუ არა ამგვარი წრეები მოეწყოს ტფილისში, ქუთაისში და სხვაგან?

_ უნდა დავუახლოვდე შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტს. აქ უნდა ჩამოყალიბდეს წრე, როგორც ეს სოხუმშია (ინიციატორი იქ იყო დირექტორი ინსტიტუტისა).

_ განა დასაშვებია, რომ ჩემი სახელობის წრის შესახებ უნივერსიტეტში _ არავითარი გამოხმაურება არ არის?

წინად აქ ტყე იყო თურმე დაბურული,
ეხლა წრეებია _ ლიტერატურული.
გვირგვინი წრეების ნიჭის და ქველობის _
ეს წრეა სახალხო მგოსნის სახელობის.

საავადმყოფოს პოლიკლინიკის ბიბლიოთეკა დასთანხმებია და სათანადო ხელშეკრულებაც გაუფორმებიათ _ შესაბამისი ხელმოწერებით დამოწმებული და ბეჭდით დამტკიცებული:

_ ხელშეკრულება. სპეცსამკურნალო კომბინატთან არსებულ ბიბლიოთეკას სასურველად მიაჩნია მოეწყოს სპეციალური კუთხე სახალხო მწერლის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესწავლის მიზნით. წიგნებისათვის მიუჩენს სპეციალურ კარადას, სადაც შეგროვდება ყველა ტომები გ. ტაბიძის, ყველა ცალკე გამოცემები, ფოტო-დოკუმენტები, კრიტიკული წერილები, მონოგრაფიები და სხვ. ეს კუთხე

მოეწყობა არაუგვიანეს ერთი თვისა. ხელს ვაწერთ: ნ. ეფრემიძე, გ. ტაბიძე. 1955. 25 მარტი.

პოეზიის სექციის ბიუროს თავმჯდომარედ აირჩიეს:

_ მგოსანთა სექციაში მუშაობას მთხოვენ.

_ დღეს ერთხმად ამირჩიეს მწერალთა კავშირის პოეზიის სექციის ბიუროს თავმჯდომარედ.

1955 წლის მაგიდის კალენდრის 27 იანვრის ფურცელზე აღნიშნა:

_ პირველად: მივედი მწერალთა კავშირში და დავიკავე მაგი-და _ მწერალთა კავშირის პოეტების სექციის თავმჯდომარისა.

დაგეგმა:

_ პოეტების სექციის სხდომა შესდგება 1 თებერვალს სამშაბათს.

ოფიციალური განცხადების ტექსტიც მოამზადა:

_ პოეტების სექციის ბიუროს თავმჯდომარე ყოველგვარ სალიტერატურო საქმეზე იღებს მნახველებს ყოველ სამშაბათს დილის 12-5 საათამდე.

იქნებ ასეთ პრაქტიკულ საქმეზე მისი მოცდენა არც იყო გამართლებული, მაგრამ თავიდანვე დიდი აქტივობა და პუნქტუალობა გამოიჩინა და ყველა გააოცა. როგორც სჩვევოდა, გრანდიოზული გეგმა შეადგინა:

_ სექცია კავშირს დაამყარებს ყველა რესპუბლიკების პოეტების სექციასთან (სამდივნოს საშუალებით).

_ სექცია კავშირს იქონიებს მოსკოვის პოეტების სექციასთან განსაკუთრებით (რა საშუალებით?).

_ სექციას ექნება საკუთარი მატერიალურ თანხათა ბაზა (რა საშუალებებია? რა თანხებია?).

_ სექციას დაეხმარება ლიტფონდი (რა სახით?).

_ სექციას ექნება კანცელიარია, მდივანი თავისი მაგიდით.

_ სექცია გამოიყენებს მწერალთა კავშირის აპარატს.

_ სექციას უნდა ექნეს საკუთარ ოთახი. ეს აუცილებელია.

_ სექციის დამოკიდებულება პრეზიდიუმთან რანაირი უნდა იქნეს?

_ სექციას ექნება საკუთარი წიგნთსაცავი პოეტების.

_ სექციას ექნება მისი წევრების პირადი საქმეების პაპკები (მოვიგონოთ რამე ქართული სიტყვა).

_ სექცია მოაწყობს ლიტერატურულ თეატრს.

_ სექციას ეყოლება საკუთარი ავტომობილი.

_ პოეტების სექცია დაამზადებს ანტოლოგიებს ქართულ და რუსულ ენაზე.

_ სექცია დაამზადებს წიგნს _ ქრესტომატიას XX საუკუნის პოეტიკის შესახებ (მიღწევები).

_ სექცია მოამზადებს ანტოლოგიას ყველა 16-ივე რესპუბლიკის პოეზიისა.

_ სექცია მოაწყობს საღამოს ატომური ენერგიის წინააღმდეგ, ატომური ენერგიის გამოყენების შესახებ.

_ სექცია უხელმძღვანელებს საბავშვო პოეზიის განყოფილებას.

_ სექცია მოაწყობს პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის და ვალერიან გაფრინდაშვილის საღამოს.

დამატებითი საკითხებიც ჩაინიშნა:

_ არიან პოეტები, რომლებიც არა სწერენ. სექცია იახლოვებს მათ.

_ «ჩანგი»-ს ტიპის კრებულების გამოცემის აუცილებლობა.

_ პოეტების ბაღი საზაფხულო და საშემოდგომო (თBბილისი, წყნეთი, მცხეთა).

_ პოეზიის დღე სანაპიროზე.

_ კავშირი უნივერსიტეტის ახალგაზრდობასთან.

_ წიგნები ყველა პოეტების, მაგრამ დიდი ოთახები ყველა დაკავებულია.

მეტად სერიოზულად შეუდგა საქმეს. პოეზიის სექციის მოსაწვევი ბარათები დაბეჭდა. ტემპი შეამოწმა:

_ საათში გამოვა 4 კაცი. მაშასადამე, საჭიროა 9 საათი. საღამო კი უნდა ჩატარდეს 4 საათში (8-12). მაშასადამე, უნდა ჩატარდეს ორი ან სამი საღამო. რამდენად შესაძლებელია ეს? აქედან მომხსენებლებს ნახევარ-ნახევარი საათი? აქედან შესვენების წუთები? გამოცხადდება კი _ მხოლოდ ერთი საღამო და თუ საჭირო გახდა, საღამოები ჩატარდება მეორე და მესამე დღეს. სასურველია საღამოები მთავრდებოდეს ლექსებით (გამოვა ხომ 12 პოეტი). _ ანგარიშს 12 პოეტის სია ერთვის. ერთი თვითონ გახლავთ.

გამოცდილების გაზიარების მიზნით სხვა სექციების სხდომებსაც ესწრებოდა:

_ ღმერთო ჩემო! რა გაიგონეს ჩემმა ყურებმა? ის, რაც გუშინ, 8 თებერვალს მოხდა მწერალთა სასახლეში, კრიტიკის შესახებ თათბირზე, არასდროს არ დამავიწყდება... გადაგვარება, გახრწნა, ერთმანეთისადმი სიძულვილი!

დიდ სიზუსტესა და დაინტერესებას იჩენდა:

_ მე დავპირდი და დაპირება უნდა შევასრულო კიდეც.

სხვებისგანაც მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვდა:

_ როგორია ზოგიერთი პოეტი? ეტყვი: «მომიტანე ასანთი» _ მოგიტანს კბილის ჩოთქს. ეტყვი: «მომიტანე ოდეკოლონი» _ მოგიტანს გაზეთ «კომუნისტს». ეტყვი: «მომიტანე პური» _ მოგიტანს წყალს. რასა ჰგავს ეს? გეტყვის: «წავალ და მოვალ ერთ საათში» _ მოვა ექვსი სათის შემდეგ. გეტყვის: «ეხლა საღამოა» _ ნამდვილად კი დილაა. ერთი სიტყვით, გაუჩინარს გაგიჩენს. ბაბილონის გოდოლის შენების დროს რომ იყო გაუგებრობა, საჯაოხელის მუსიკის გაკვეთილების ამბავია.

ცუდი მემკვიდრეობა ჩაიბარა:

_ მაინც კარლოს ჰქონდა თუ არა რაიმე საქმის წარმოების მსგავსი? თუ ჰქონდა მასალები, უნდა ჩაგვაბაროს. შკაფი, მაგალითად. მაგიდა, მაგალითად. ეეჰ, საქმე თავიდან იწყება. არაფერი რომ არ დაგხვდება გაკეთებული კაცს, ეს უბედურებაა.

გრანდიოზულმა გეგმამ სათანადო ინვენტარი მოითხოვა:

_ მათხოვეთ ერთი შკაფი, სანამ მას შევიძენდე.

_ მწერალთა კავშირში ერთი შკაფის ადგილი, ერთი შკაფი წიგნთსაცავში. არ შეიძლება დროებით ერთი შკაფის გამოყენება?

_ შეიძლება გაგვეკეთებია კარადები და სხვა რამერუმეები.

_ აღმოვაჩინე ახალი მაგიდა ჩემთვის, და არ იკითხავთ სად? ახლად შეძენილ შკაფში. «აღმოჩენები ახალთ-ახალი შეხედე ქვეყნად რაოდენია». აღმოვაჩინე და დღეს შევიძინე სამი ახალი წიგნის შკაფი და სამოცი ყდა.

გაულექსავს კიდეც:

ამისთანა რა მოხდა, რომ ააჟღერა გრძნობის ძაფი?

სულ ეს არი _ დღეს ახალი შევიძინე წიგნის შკაფი.
ყოველი დღე ხალისიან ვარსკვლავივით აკიაფებს:
სულ ეს არი _ ერთი შკაფი მიემატა სხვა ძველ შკაფებს.

ახალმა შკაფმა დიდი ფურორი მოახდინა:

_ Это что такое, что это за гардероб?

_ ეს პოეტების შკაფია! (გაჩუმდა).

_ Откуда этот шкаф? Что это за шкаф? Откуда вы его достали?

_ Да, да, достали.

_ Поэзия здесь будет?

_ Да, да.

_ კარგი შკაფია, მაგრამ დიდია.

შემდეგ შემოვიდა ირონდიონი და შკაფს მივარდა:

_ გამდიდრდით არა? _ უნდოდა შკაფის გაღება, მაგრამ იგი გადაკეტილი დახვდა. რატომ უნდოდა გაღება, ან ვინ შეატყობინა ჩემი შკაფის ამბავი, ეგ აღარ ვიცი. ცხადია, მარიჯანმა შეატყობინა. მას რაღაც გული უსკდება და ასევე სხვებსაც. ვაჰ, ვაჰ, ვაჰ!

_ როდის მოიტანეთ ეს შკაფი? _ კითხულობენ ხშირად (შკაფების მტერი აქ ბევრია. ეტყობა, შკაფში დაძვრებიან... შკაფებში დაეძებენ). მოვიდა ფეიგინი და ზის აქ. რა უნდა? რაღაც ჩემს ადგილსაც მაგიდასთან უთვალთვალებენ, აჰაა! ფეიგინი იერიშით მოდის! ჩემს მაგიდას მას არ დავუთმობ. შემოდის ბესია, შემოდის ბესია, მაგრამ როგორ შემოდის.

_ ე, რამოტოლა შკაფი მოგიტანიათ? _ იყვირა ბესო ჟღენტმა.

_ პოეტების შკაფია-მეთქი.

_ აქ შიგნით პოეტები ჩაეტევიან ყველანიო.

ირონდიონი შემოვიდა და სთქვა: აქ შეიძლება კაცი ჩაეტიოსო. ერთი სიტყვით, დიდი ფურორია. «ისტორიული შკაფი».

შკაფი მოუნათლავთ:

_ ჩემს შკაფს დაარქვეს «ჭკვიანი კარადა» («Умный шкаф»).

მომავალ წელს თავი მოიწონა:

_ მთელი წლის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი პოეტების მუშაობას, რომელიც პრეზიდიუმის მიერ შეფასებულ იქნა ახალ ეტაპათ მწერალთა კავშირის მუშაობაში.

როგორც ირკვევა, უკანასკნელი თანამდებობიდან თავისი სურვილით არ გაუთავისუფლებიათ: გადაჭარბებული ენთუზიაზმი გამოიჩინა, ყურადღება გარდაცვლილებს და ხანდაზმულებს მიაქცია:

_ ძველი მწერლების მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევს მწერალთა კავშირი. პრეზიდიუმი მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს.

_ მე მომიხდა მეთქვა: თქვენ ამაოდ ესხმით თავს მწერალთა ძველ გვარდიას-მეთქი.

ძლიერნი ამა ქვეყნისანი გაანაწყენა:

_ უნდა გამოვაცოცხლოთ პოეტების სექციის მუშაობა. მაგრამ საჭირო არაა ყოველკვირეული საღამოო.

დასანანია: თავმჯდომარის თანამდებობაზე დაყოვნება სმის ციკლთა რაოდენობასაც შეამცირებდა, უფრო შორეულ შედეგებზე რომ არაფერი ვთქვათ!

მაგრამ სექციის ეპიზოდი ასე მალე და ასე ადვილად არ დასრულებულა: 1956 წლის 6 ივლისს ჩაუწერია _ «წიგნების შკაფი»:

«6 ივლისს სერგო კლდიაშვილი წყნეთის გზაზე მეუბნებოდა:

_ როდის წაიღებ არქივს?

_ რომელ არქივს?

_ აი მწერალთა კავშირში რომ არისო.

ხა, ხა, ხა, ხა! საწყალი ჩემი შკაფი. ალბათ მოსვენებას არ აძლევს ბევრს».

იმავე წლის 3 ნოემბერს ვიღაცას დაავალა თუ თვითონ დაივალა:

_ აკადემიაში გადატანილ იქნას მწერალთა კავშირიდან კარადა წიგნების!

4 დეკემბერს, ოთხშაბათს, მწერალთა კავშირის თანამშრომელ ქალბატონს გაესაუბრა:

_ როგორაა ჩვენი შკაფი?

_ ოო, ჩაკეტილია! კარგადაა!

ვეღარ მოასწრო, ვეღარ წაიღო და სახსოვრად დაგვიტოვა პოეზიით სავსე კარადა!

რატომ?

_ რაშია საქმე? _ ხშირად კითხულობდა და გვეკითხებოდა დაბნეული და დაეჭვებული.

_ არა, რაშია ბოლოს და ბოლოს საქმე? _ შემოგვძახებდა და შემოგვედავებოდა კიდევ უფრო დაინტერესებული და კიდევ უფრო განრისხებული. ცოტა გული მოეცემოდა და დაიქადებდა კიდეც:

_ ვნახოთ ვინ ვის?!. ან მე ან ის!.. ვნახოთ! ვნახოთ! ვნახოთ!

ბევრჯერ გახლდათ გაოცებული, გაკვირვებული, განცვიფრებული, გაოგნებული, გაწბილებული, სახტადდარჩენილი და ბევრჯერ წამოსცდენია დედის ლექსიკიდან:

_ მიკვირს და გამკვირვებია... შენგან არ მიკვირს!..

განუწყვეტლივ და გამუდმებით აწუხებდა:

_ კითხვა, რომელიც არ მოგვასვენებს.

არქივი მოკირწყლულია შეკითხვებით, დანაღმულია უპასუხოდ დარჩენილი შეკითხვებით, განელებულია მხიარული, გამომწვევი, სამართლიანი, ტკივილიანი, გალექსილი შეკითხვებით, პასუხს რომ არ მოითხოვს, ისეთი შეკითხვებით. უთანასწორო ბრძოლის მოწმეები ვართ: შეკითხვები აშკარად სჭარბობენ პასუხებს:

_ იცით რას ნიშნავს სიღარიბე?

_ ეს არის სიცოცხლე? ეს არის ცხოვრება?

_ ეს წელიწადი ღმერთმა სიცოცხლედ უნდა ჩამითვალოს? ეს არის სიცოცხლე?

_ მტერი ამქვეყნად ვის არ ჰყოლია?

_ ფაქტიურად ეს დუელია, მაგრამ ვისთან?

_ როდემდის უნდა ითარეშოს ამ საზიზღარმა ტიპმა?

_ რამ გაადიდგულა ეს ბრიყვი?

_ რამ გადააგვარა ეს ხალხი?

_ რას იჯგიმება ეს ხალხი, ვერ გავიგე?!

_ ამას როგორ უძლებს კაცი?

_ რატომ ასე თავგამოდებით ებრძვიან სახალხო პოეტს? (ხომ არ არის აქ «ც. ყ.»-ის შურისძიება?).

_ რას შვება ნეტავი ის პეპელა, სოხუმის მთაზე, ელექტროშუქზე რომ შემოფრინდა? რა უზარმაზარი პეპელა იყო?

_ 1911 წელს ქუთაისის გაზეთში ასეთი ქრონიკა იყო. ამერიკაში ამჟამად დიდის წარმატებით სარგებლობს ტაბიძის ქალი (სახელი არ მახსოვს). ვინ იყო? საიდან? საიდან მოხვდა ამერიკაში? უნდა გავიგო.

_ აბაშიძის ქალი ენერგიული ქალი სჩანს. ვნახოთ გრიშაშვილის ქალი აჯობებს თუ ჩემი?!

_ ქალების კამათი: ვინ არის ყველაზე ლამაზი ქართველ პოეტებში?

_ მწყენია, რატომ არ ვუჩვენე დიმიტრი არაყიშვილს. ვისია ეს ნაწარმოები? შეიძლება იცოდეს სხვამ? ვინ? სად? როგორ?

_ გიგლა ფირცხალავამ 1945 წ. სამხატვრო აკადემიის საღამოზე მიძღვნა ლექსი. სადაა ეს ლექსი? ქვლივიძეც იყო იმ საღამოს.

_ ჩაძირული ზარი უფრო პოეტურია თუ ჩაძირული ქვები?

_ «ზღვა ახმაურდა» ციკლია თუ არა?

_ შეიძლება თუ არა ლირიკის სიკვდილი?

_ როგორი უნდა იყოს პოეზია რეკონსტრუქციის პერიოდში?

_ ვინ დაეჭვდება, რომ ყაზბეგი პოეტია? მაგრამ... იცის კი ვინმემ რა ხდება საზღვარგარეთ?

_ მგონია, ილიას არ უნდოდა, რომ ვაჟა ტფილისში ყოფილიყო ბევრი სხვა მოსაზრებითაც. რა უნდა ყოფილიყო ეს მოსაზრება?

_ სოლოგუბი და სევერიანინი ქუთაისში. რომელ წელს იყო ეს ამბავი?

_ რომელი საქართველოა ნამდვილი საქართველო? ან უკეთ: ვისი საქართველოა ნამდვილი საქართველო?

შეკითხვაც არის და შეკითხვაც: ერთადერთი სახელზმნის უკან მოულოდნელი განცვიფრების მთელი სიმძაფრე იმალება და ვერ იმალება. ხოლო მარცვალ-მარცვალ აღმავალი სამი გამომწვევი კითხვის ნიშანი ისეა დამუხტული, შეპასუხებას გამორიცხავს:

_ თქვენი ასეთი გადიდგულება? ვინ? როგორ? რანაირად?

შემოგვიტია:

_ არა, მითხარით, თქვენ ყოველთვის იმას ლაპარაკობთ, რასაც ფიქრობთ?

ორჯერ შემოგვედავა და სამართლიანად შემოგვედავა, ერთხელ _ 1950 წელს და მეორედ _ 1955 წელს. პირველის ადრესატი ხელისუფლებაა, მეორესი _ კოლეგები:

_ დროშების შრიალი ჩემამდე სად იყო?

_ დამისახელეთ სხვა რომელი წიგნი გამოვიდა 1919 წელს?

გაბრაზდა:

_ რითი მოიპოვა ამ იდიოტმა ნატროშვილმა უფლება ჯღაბნოს და ბეჭდოს ყოველი, რაც ენაზე მოადგება?

ცინიზმი გაურია:

_ ვიყო გრიშაშვილი?! _ ან შანშიაშვილი?!

კვალდაკვალ მისდია:

_ «ნიანგის» იმავე ნომერში მოთავსებულია ი. გრიშაშვილის თარგმანი, რომელიც იწყება ასეთი სტრიქონებით: «ჩვენ ორნი ვართ». საინტერესოა გაგება: ამ ლექსის ორიგინალიც ასე იწყება? თუ ეს მორიგი გამოსვლაა?

იკითხა და უპასუხა:

_ სულ რამდენიმე დღე დამრჩა სიცოცხლის და ისიც გავიმწარო? არასდროს!

_ რომ გავიმარჯვო, მაშინ? (ვერ გაიმარჯვებ. რაკი ჟულიკობენ, რას გაიმარჯვებ!). _ ვერ გავიმარჯვებ: ფულთან რას გაიმარჯვებ?! _ თუ ღარიბი ხარ, არა გამოვა რა. მითუმეტეს _ თუ იმედიც არსაიდანაა.

_ გამოვარკვევ, ვინაა აქ დამნაშავე (ვიცი კიდეც, მაგრამ რა უნდა ვქნა?!).

_ როგორ უცებ მეგობრდებიან რუსები? პირდაპირ გასაოცარია. მთელი პარკი სავსეა წყვილებით.

იქვე, ბორჯომში, იკითხა და უპასუხა:

_ სად არიან იური და ევა?

_ მთვარის აბაზანებს იღებენ.

თბილისში იკითხა და იკითხა:

_ რატომ არ მუშაობს ტელეფონი?

_ გარდარიცხავენ?

ერთხელ იკითხა და ოთხჯერ უპასუხა:

_ «გალაკტიონი რასა იქს?» _ 1. იმას, რომ 14 დეკემბერს (ძველი სტილით პირველს) დაანება თავი თამბაქოს წევას. 2. იმას, რომ დაამთავრდა და 22 დეკემბერს მზადაა აქვს ახალი პოემა. 3. იმას, რომ მალე შედარებით ჯანმრთელი გაეწერება სახლში. 4. იმას, რომ შეძლებისდაგვარად ეხმარება ბავშვებს და ყველას.

იკითხა და შესძახა:

_ როდის მოვესწრები იმ დროს, რომ საქართველოში ერთსულოვნება იყოს?

_ გაუმარჯოს ხელოვნების დროშის ქვეშ გაერთიანებულ ორ მილიონიან საქართველოს!

რუსულად იკითხა და რუსულადვე უპასუხა:

_ Что общего между женщиной и дверью?

_ И та и другая притворяются.

ქალს შეეკითხეო და:

_ Посоветуйся с женщиной и поступай наоборот.

გაგვენდო:

_ «ჯენტლმენი ზესტაფონიდან» _ ვერ მიხვდებიან?

გამოგვცადა:

_ ერთ მუხას ათი შტო ჰქონდა, ყოველ შტოს 7-7 შტო და ა.შ. თითო შტოს ება 3 ვაშლი. რამდენი ვაშლი იყო სულ?

გაგვეხუმრა:

_ ტფილისიდან ბათუმამდე ჰაეროპლანი გადაფრინდა 1 საათსა და 20 წუთში, გამობრუნებისას კი მოუნდა 80 წუთი. რატომ დააგვიანდა ჰაეროპლანს?

გაასაიდუმლა: ქვეტექსტებიანი შეკითხვების ტაქტიკური გეგმა შეუდგენია. სამი მოსალოდნელი სიტუაცია 16 შეკითხვას შეიცავს:

_ თუ არ განუხილავთ: 1. ვინ უნდა განიხილოს? 2. როდის? 3. პასუხი როდის იქნება? 4. საჭიროა თუ არა შუამდგომლობა მიმართვით, ასე ვთქვათ, ოფიციალურად თუ? 5. თუ ჩვეულებრივი მოლაპარაკების წესით? 6. ეგნატაშვილი აქ არის? (ხომ არ წასულა შვებულებაში?). 7. რა სთქვა?

_ თუ განიხილეს და დადებითად: 1. რა დაადგინეს (რა სთქვა ფილიპემ?) 2. გაიგზავნება თუ არა სწრაფი ფოსტით?. 3. როდის მივიღებთ პასუხს?

_ თუ უარყოფითია: 1. რა დაასახელეს მიზეზად? 2. საბოლოოა თუ კიდევ შეიძლება დაისვას საკითხი? 3. ეგნატაშვილი იყო ამ სხდომაზე თუ პირადად ფილიპემ? 4. ჩემი ქაღალდები წაიკითხეს თუ? რა სთქვა? 5. ეხლა სადაა ის ქაღალდები? 6. არ შეიძლება ასე: საკითხი ხელმეორედ უნდა დაისვას.

სტრიქონებადაც დაულაგებია:

_ ნეტა, თუ ისეთივე ხარ გამჭირვალე, ხანისწყალო?

_ თუ არ ახსოვს ადამიანს, რომ ის ადამიანია?

_ რად გინდა ბედნიერება, თუ ყველა უბედურია?

_ ჩემთვის რა მოგიტანია, უდროო სიბერის მეტი?!

ერთმანეთს ენაცვლებიან შეკითხვა-შედეგრები: «რომელი საათია?», «ვინ არის ეს ქალი?», «მოვა... მაგრამ როდის?», «რა დროს რომანსეროა?», «ღამევ, რა მოგივიდა?»... და ისევ ნაღმივით გადანახული:

ღრმა მწუხარება აღარც მანებებს
ისევ უფსკრულში გადაქანებას.
როდემდე ვივლით ასეთ ტკივილით,
როდემდე უნდა მივყვეთ ზმანებებს?

და არის კიდევ ერთი მთავარი და მკაცრი შეკითხვა, შეკითხვა-ბრალდება, რომელიც მასაც არ ასვენებდა მთელი მძიმე და გატანჯული ცხოვრების მანძილზე, რომელიც აწუხებდა ყველა მის ახლობელსა და კეთილისმსურველს, რომელიც დაებადება ამ აპოლოგიის ყოველ წამკითხველს, რომელსაც ხშირად გვისვამენ ახალგაზრდები და რომელიც საუკუნიდან საუკუნეს გადაეცემა:

_ რატომ?

სიცოცხლე გაუმწარა ამ ორმარცვალამ:

მთვარე განათებულია,
გული აღშფოთებულია,
რატომ?
ყველა დაძინებულია,
სული აღტყინებულია,
რატომ?
აივანზე მე ვდგევარ,
კაცს კი არა _ მხეცს ვგევარ,
რატომ?
მახლობელ ოთახშია
ყველა თავის სახლშია,
რატომ?

რატომ, ვკითხულობ, რატომ,

მე მიღალატა ვატომ?
რატომ?

შეატყობდით: ნასვამია, და მინაწერიც მიუწერია:

ამეღამდელო ღამეო,
ნუ გათენდები მალეო!

ამ წიგნში ძალიან ბევრი ძახილის ნიშნები და კითხვის ნიშნებია. მისი ცხოვრებაც ერთი დიდი და მტკივნეული კითხვის ნიშანია, ერთუცნობიანი ამოუხსნელი განტოლებაა, უპასუხოდ დარჩენილი შეკითხვაა და «ითხოვს პასუხს, როგორც მკვლელობა».

მასესხე, მომეხმარეო!

«სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე: ი. ბ. სტალინს
პატიმარი: ნანობაშვილი ამბროსი იოსების-ძე
კასაცია

უდიდესო, ძვირფასო, საყვარელო მამაო ი. ბ. სტალინ!

მე, ნანობაშვილი ამბროსი იოსების-ძე, მოგახსენებთ: როდესაც 1941 წელს, «22» ივნისს ომი რომ გამოუცხადა დახავსებულ სისხლის მწოველ ჰიტლეროვსკის ფაშიზმმა, მამა სტალინის აყვავებულ საბჭოთა კავშირს, მე მაშინვე «28» ივნისს ხელთ ავიღე იარაღი და გავედი სისხლისმწოველ ფაშიზმის ბრძოლის ველზე. ვიბრძოდი დაუღალავათ მტრის წინააღმდეგ, უამრავი სისხლის მწოველი ფაშიზმი განგმირული და ხიშტზე აგებული იქნა ჩემს მიერ. ბევრი ამხანაგი დაიღუპა ბრძოლის ველზე, ჩემს გვერდზე, მაგრამ ჩემი გული ამით არ შეკრთობილა. განვაგრძე მტრის წინააღმდეგ ბრძოლა. 1942 წელს კერჩში, ჩვენი ასეული მოხვდა მტრის რკალში. ბრძოლების შემდეგ მტრის რკალიდან თავი დავაღწიე და მოვხვდი მტრის ზურგში. ჩვენი მებრძოლი ამხანაგები და მეთაური იქ დაიღუპა. მე გამხეცებული, ველურივით, ტყეში სირბილის დროს, წავაწყდი ძლიერ ძალას, რომლებიც აწარმოებდენ ბრძოლას ჰიტლეროვსკის, ფაშიზმის წინააღმდეგ. ეს იყო წითელი-პარტიზანთა ატრიატი და მე მას შეუერთდი. დღიდან შეერთებისა მომეცა საშუალობა თავისუფლად ამოსუნთქვისა. პარტიზანთა ატრიატის ხელმძღვანელი იყო ქართველი პოლკოვნიკი აბრამიშვილი. მტრის რკალიდან თავის დაღწევისა, ჩემი გამხეცებული მოქმედება იყო, სისხლის მწოველ ფაშიზმის წინააღმდეგ, მთელი რიგი ნემეცების, იარაღის, საწყობის აფეთქება, რკინიგზის აყრა დატვირთული შალონა იარაღით, სნარიადით მიმართულება ფრონტზე, მისი აფეთქება და სხვა მრავალი ობიექტის. პარტიზანთა ატრიატს დიდი მნიშვნელობა ქონდა, დახავსებულ ჰიტლეროვსკის, ჯარისკაცთა ჟლეტვის საქმეში. მრავალი დოკუმენტებია ჩემი მუშაობის პარტიზანთა ატრიატში, სისხლის მწოველ ფაშიზმის წინააღმდეგ. 1944 წელს პოლონეთის ტერიტორიაზე წითელი არმია, რომ შემოვიდა, შეუერთდი, მე მაშინვე დამაპატიმრეს. როგორც მე რუსული ენის არა მცოდნე, ჩემს გაუგებარ ენაზე გამასამართლეს. ავტომატი ფეხებში დამიშინეს, ტყვიისაგან ტანისამოსი დამიჭრეს, მტანჯეს, მაწუალეს, მაწამეს სიკვდილის კარამდე მიმიყვანეს, იარაღის ქვეშ ძალით ხელი მაწერიეს, რაზე, რისთვის, რა წერეს, რა ილაპარაკეს, როგორ მისუდეს, ჩემთვის

სრული ასი პროცენტით გაუგებარია. დღემდე ჩემი მუშაობა პარტიზანთა ატრიატში, ფაშიზმის წინააღმდეგ და ჩემი უკანონო გასამართლებისათვის, ჩემს მშობლიურ ენაზე დავწერე ს.ს.რ.კ. უმაღლეს პროკურორზე და არ მიიღეს. ასთე მითხრეს ზვერების ენა არ ვიცით. არ მომცეს საშუალობა ჩემს მშობლიურ ენაზე დაწერისა. ყოველ მხრიდან დახშული ვიყავი. 1945 წელს «25» აპრილს გამგზავნეს ჩრდილოეთ შორეულ ადგილზე, კალიმაში, კატარჟანთა ლაგირში. ლაგირიდან არ მომცეს საშუალობა, ჩემს მშობლიურ ენაზე დამეწერა ჩემი უსამართლობის ვინაობა და მეცნობებინა ზემდგომი ორგანოსათვის. ლაგირის უფროსმა გამოაცხადა, მარტო რუსულ ენაზე შეიძლება კასაციის დაწერა, დანარჩენი ნაციონალური ენაზე დაწერა არ შეიძლება, არ მივიღებთ. მე როგორც რუსული ენის არა მცოდნე, საშუალობა არ მომცეს ქართულ ენაზე დაწერისა. ასეთნაირად შვიდი წელია ვიხშობი უსამართლობით. 1952 წელს «17» ივლისს კატარჟანთა ლაგირში მოვიდა ქართველი, პოლკოვნიკი და დიდი აღფრთოვანებით მოვახსენე, ჩემი უსამართლობის ვინაობა, მაშინვე გასცა ბრძანება, რათა მე მშობლიურ ენაზე დამეწერა ჩემი უსამართლობის ვინაობა და მეცნობებინა მსოფლიოს უდიდესი, საყვარელი მამა სტალინისათვის. მსოფლიოს უდიდესო, საყვარელო, ძვირფასო, მამაო ი. ბ. სტალინ გთხოვთ: ჩემს მშობლიურ ქართულ ენაზე, გამოიძიოთ ჩემი საქმე, ჩემი სიმტყვან-სიმართლე და ჩემს მშობლიურ ენაზე გამასამართლოთ. გთხოვთ არ უთხრათ ვარი ჩემს თხოვნას.

25. 8. 52 წ. მისამართი ხაბაროვსკი კრაი გოროდ მაგადან «ლკ» ფოჩტაოი იაშჩიკ 261/182. ნანობაშვილი ამბროსი იოსების-ძე».

რა თქმა უნდა, დაგაინტერესებთ: როგორ მოხვდა პოეტის არქივში მაგადანიდან გამოგზავნილი პოლიტპატიმრის კასაცია. მაგრამ ერთი წერილიც წავიკითხოთ და ყველაფერი ნათელი გახდება:

«სალამი პატივცემულო ძვირფასო გალაკტიონ!

ძვირფასო გალაკტიონ გისურვებ ათასი წლის სიცოცხლეს, თქვენი ოქროსფერ კალმით შეფერადებული ქართული ლიტერატურა, თქვენივე მოღვაწეობით. ძვირფასო გალაკტიონ თქვენ ძალიან გაგიკვირდებათ ამ წერილის მიღება, საიდან და ვისგანაო! მაგრამ არც დიდი გასაკვირია, მე ვარ ვანის რაიონის, ტობანიერის თემის, ნანობაშვილი ამბროსი იოსების-ძე. 1930_32 წლამდე, თქვენი ძვირფასი ძმა აბესალომი თავის სახლში სოფ. ჭყვიში ორ წელს მამზადებდა შვიდწლედის ფარგლებში, ამავე დროს დიდ დახმარებას მიწევდა, ძვირფასი დედა თქვენი მაკრინე. იმ დროს ძვირფასო გალაკტიონ სახლში იყავით ჩამოსული, აბესალომ და მე თქვენი ნაწერები ტობანიერში წავიღეთ და ტბილისში გავაგზავნეთ. 1935 წლის სექტემბრის 15-ს, ტბილისში კრილოვის 10 ნომერში თქვენთან ვიყავი, ლექსების შესასწორებლად. ძვირფასო გალაკტიონ! მე წერილი მოგწერეთ, მიიღეთ თუ არა არ ვიცი, პასუხი თქვენგან არ მიმიღია. ეხლა კიდევ გიგზავნით. ძვირფასო, საყვარელო, პატივცემულო გალაკტიონ, გთხოვთ: ეს წერილი მაქედან გამიგზავნოთ ბერიასთან, თანახმად მისამართისა. ვიცი, ძვირფასო გალაკტიონ მრავალგვარი საქმეებით, ოცნებებით ხართ დატვირთული, მაგრამ გთხოვთ ჩემს თხოვნას მიაქციოთ ყურადღება. აქედან, სადაც მე ვიმყოფები, ქართულ ნაწერს არ უშვებენ ბერიასთან, რუსულ ენაზე გადაყვანა ქართული ენისა ძალიან მეძნელება. ამისთვის პატივცემულო გალაკტიონ მაქედან გამიგზავნეთ, აუცილებლად საჭირო საქმისათვის. ძვირფასო გალაკტიონ ეს წერილი, რომ მიიღოთ გთხოვთ პასუხი

მაცნობეთ და აგრეთვე ძვირფასი ძმის აბესალომის მისამართი მაცნობოთ, აღმზრდელი, ჩემი ძვირფასი აბესალომის. ძვირფასო გალაკტიონ რაღა თავი შეგაწყინოთ, გნახეთ კარგად. მშვიდობით. მალე გნახავთ, პასუხს ველი.

გწერს თქვენი კეთილის მსურველი: ამბრ. ნანობაშვილი.

მისამართი: Хабаровский край, г. Магадан п/я 261/182. Нанобашвили Амвросий Иосифович 1/IX-52».

ასეთი კიდევ სამი წერილია: 1951 წლის 30 სექტემბრიდან 1952 წლის 6 სექტემბრამდე გამოგზავნილი. ხოლო საკასაციო წერილი ექვსია: ორი _ სტალინის სახელზე, ორი _ ბერიას სახელზე, ერთი _ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და ერთიც _ საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის სახელზე. ამბროსის გასაჭირი გასაგებია: რუსული კი არა _ ქართულ ენაზეც მწყრალადაა. ამიტომ დაბეჯითებით იმეორებს და იმეორებს:

_ გხოვთ: ჩემს მშობლიურ ენაზე გამოიძიოთ ჩემი საქმე და ჩემს მშობლიურ ენაზე გამასამართლოთ.

სახალხო პოეტზე და აკადემიკოსზე უკეთესს ვის მონახავდა საქართველოში _ გაჭირვებაში ჩავარდნილი კაცი, მით უფრო _ ერთი კუთხის შვილები იყვნენ და შორეული ნაცნობებიც. ამიტომ პატიმრის არჩევანი გასაგებია. მაგრამ შეეძლო კი გალაკტიონს, თავად არაოფიციალურად გაფრთხილებულსა და რეპრესირებულს, თუნდაც უმნიშვნელო მონაწილეობა მიეღო ამ საქმეში და დახმარებოდა? გაგზავნა კი მან რომელიმე საკასაციო წერილი დანიშნულებისამებრ ან წარუდგინა ვინმეს რესპუბლიკაში? ძნელი სათქმელია. ისევ მძიმე წლები გრძელდებოდა და არც გალაკტიონი გახლდათ დიდი გამოცდილებისა და დიპლომატიის კაცი.

რასაკვირველია, ამ წერილების ავტორი გალაკტიონს და მის ოჯახურ მდგომარეობას კარგად არ იცნობს, არც მისი პრაქტიკული ნიჭი და შესაძლებლობა იცის, ამიტომ მეტის იმედი აქვს. თანაც ყოველ ნაბიჯზე, დროულად და უდროოდ, აგინებს ფაშისტებს და ადიდებს ადრესატს, რომ როგორმე მის გულწრფელობასა და ერთგულებას ენდონ. არც ის იცის ამბროსიმ, აბესალომი რომ გარდაცვლილია.

არქივში იმავე თარიღით გამოგზავნილი ამბროსის კიდევ ერთი წერილია: ვინმე გუგულის სწერს, ახალგაზრდა ქალს, თანასოფლელს, რომელთანაც, როგორც ირკვევა, მიმოწერა აქვს: მოიკითხავს ახლობლებს, ლექსსაც უძღვნის, თავის გასაჭირსა და პატიმრობას კი არც ახსენებს, რადგან თავს აწონებს. რაკი გალაკტიონმა ეს ბარათიც დაიტოვა და გასაგები სიფრთხილის გამო არ გადაუგზავნა ადრესატს, საფიქრებელია საკასაციო ფურცლების წარდგენას მით უფრო ვერ გაბედავდა, პოლიტიკურ პატიმარს ვერ გამოესარჩლებოდა, ვერც ამბროსის უპასუხებდა. ისიც ცხადია: ამ შუამდგომლობას არავითარი შედეგი არ მოჰყვებოდა.

ახლა სისხლის სამართლის დამნაშავის წერილებსაც გავეცნოთ. ეს შვიდი წერილიც დაახლოებით იმ წლებისაა:

_ სალამი პატივცემულ გალაქტიონ ბიძიას! უპირველეს ყოვლისა გისურვებთ ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს თქვენი ოჯახობით. გალაქტიონ ბიძია, მე ვიმყოფები ქ. რუსთავის ლაგერში. მისჯილი მაქვს ორი წელი, პასპორტის დაკარგვაზე. ვარ უკიდურეს მდგომარეობაში და გთხოვთ უმორჩილესათ, მე რომ მოგეცით დედას ნაწერები, თუ დაიბეჭდა, გთხოვთ ცოტაოდენი გროში, მე გამოვგზავნი კაცს აქედან და

გამოატანოთ. და თუ არ დაბეჭდილა, მაშინ გთხოვთ ლექსები გამოატანოთ. აქ მითხრა ერთმა კაცმა, მე ვიყიდიო. მე თქვენ ამას რომ გწერავთ, ეგ ჩემთვის არის სიკვდილი, მაგრამ აბა რა უყო მე უბედურმა უპატრონო და ობოლმა პატიმარმა, რომელსაც არავინ გამაჩნია, თორემ თქვენ როგორ შეგაწუხებდით. განვიცდი შიმშილსა და აუტანელ პირობებს. ამისთვის გთხოვთ, გალაკტიონ ბიძია, თქვენ როგორც ჩვენი ოჯახის ახლობელს, განსვენებულ დედაჩემის მეგობარსა და ამხანაგს, შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში და გამიწიოთ დახმარება. თბილისიდან რუსთავამდე არის ერთი საათის სავალი, ლაგერი სადგურიდან ახლოს არის, გთხოვთ პასუხი მომწეროთ წერილის მისღებისთანავე. ჩემი მისამართია: ქ. რუსთავი. ს. ყ. 123/02 «ა». გთხოვთ პასუხი ჩქარა მომწეროთ. იმედი მაქვს დედაჩემის პატივისცემით მაინც მომაქცევთ ყურადღებას. დიდი ბოდიში. 1/IV-50 წელი. პასუხს ველი.

მომავალ წელიწადს რამდენიმე წერილი გამოუგზავნია:

_ მე თვითონ მრცხვენია ჩემი თავის, რომ გაწუხებთ, მაგრამ მეტის საშუალება არა მაქვს. ამიტომ გთხოვთ, თუ დაბეჭდეთ დედაჩემის ლექსები, მისი საფასური გამომიგზავნეთ და თუ კიდევ დაუბეჭდავია, ლექსები გამომიგზავნეთ საჩქაროთ. მე დედისაგან მხოლოდ ეს ერთი რამ დამრჩენია და არ მინდა უსაფუძვლოდ ჩაიაროს მისმა ნაშრომმა.

_ მე რომ პატიმარი არ ვიყო, არც კი შეგაწუხებდით მაგაზე, მაგრამ მე პატიმარი ვარ და მგონია თქვენ უნდა იცოდეთ პატიმრის ცხოვრება.

1951 წლის სექტემბერში კი სწერს:

_ გალაკტიონ ბიძია, მივიღე თქვენგან გამოგზავნილი დედას ნაწილი ლექსებისა და 125 (ასოცდახუთი) მანეთი, რამაც ძალიან გამახარა და რაზედაც მოგახსენებთ უღრმეს მადლობას. პირდაპირ ეს იყო დახსნა ჩემთვის, გალაკტიონ ბიძია, რასაკვირველია შეიძლება თქვენ თქვათ, რა გამიჭირვა საქმეო, მაგრამ რა ვქნა, ხომ იცით, თქვენს მეტი ყურადღების მომქცევი არავინა მყავს. გალაკტიონ ბიძია, ეხლა მე თქვენა გთხოვთ უკანასკნელათ ამას. თქვენ გექნებათ რამე ძველი შარვალ-ხალათი ან ფეხსაცმელი თქვენი ნაცვამი, რომელიც არ გამოგადგებათ. გთხოვთ გამოატანოთ ამ წერილის მომტანს, თორემ სულ დაკონკილი დავდივარ. ეხ რა უყოთ, იყო დრო, როცა მეც მქონდა სახლკარი, მეც მყავდა მშობლები და ეხლა რა ვქნა, ესე მიმტყუნა ბედმა. რას იზამ, ესე ყოფილა ბუნების წესი, ერთი უნდა გაბედნიერდეს, მეორე კი დაეცეს, გაუბედურდეს და ამ უბედურებაში მეც მოვყევი, მაგრამ აღარ მგონია დიდხანს გავსტანო ამ უბედურებაში. მე მგონი ჩემსკენაც გამოანათებს მზე თავის მოკისკასე სხივებს.

სამწუხაროდ, პატიმრის ოპტიმიზმი არ გამართლდა. მდგომარეობა უფრო დამძიმდა. 1955 წლის 16 მარტს იწერება:

_ თუ გახსოვთ, გალაკტიონ ბიძია, 1949 წლის 13-14 და 15 აპრილს მე დავდიოდი თქვენთან და გთხოვდით, რომ აგეძრათ შუამავლობა, რათა დედას ლექსები დაებეჭდათ და აი სწორედ ამ რიცხვებში ქ. ტყიბულში თითქოს მე მიმეღოს მონაწილეობა ბოროტმოქმედებაში, ესე იგი ქურდობაში. ვფიცავარ, გალაკტიონ ბიძია, დედას საფლავს, რომ მე არაფერში დამნაშავე არა ვარ და ვიტანჯები ტყვილუბრალოთ. გთხოვთ, თუკი დარჩა თქვენში ხსოვნა დედაჩემის, დამეხმაროთ. საქ. უმაღლეს სასამართლოში თქვენი ერთი სიტყვა და მე ვიქნები თავისუფალი. ამით თქვენ მაჩუქებთ სიცოცხლესა და თქვენ კი იზამთ ჭეშმარიტ სამადლო საქმეს ღმერთის წინაშე. თქვენ იტყვით მხოლოდ

სიმართლეს. ეს ხომ სინამდვილეა, რომ 1949 წლის 13-14 და 15 აპრილს მე დავდიოდი ყოველდღე თქვენთან თხოვნით დედას ლექსებით. და აი ეს არის საჭირო. თქვენ იტყვით იმას, რაც სინამდვილეში იყო. საიდან ჩავიდენდი ქურდობას ტყიბულში, როცა მე ვიმყოფებოდი თბილისში. მე იმედი მაქვს, რომ დამეხმარებით და ამით მაჩუქებთ თავისუფლებას.

დიდ საგონებელში ჩავარდნილა ჩვენი გალაკტიონი. არადა, კაცი იღUუპება, იქნებ მართლაც უდანაშაულო კაცი _ და შენ შეგიძლია გადაარჩინო! ახსოვდა კი ზუსტად, ექვსი წლის წინ რომელ რიცხვებში დადიოდა მასთან ეს ყმაწვილი?! აღარ ჩანს, ჩაერია თუ არა ამ საქმეში პოეტი, დაუდგა თუ არა მოწმედ და თავდებად. ყოველ შემთხვევაში, პატიმრის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა: შემდეგ წერილს უკვე ურალის ტაიგის ბანაკიდან იწერება:

_ თქვენ ჩემთვის დიდი დახმარება გაგიწევიათ და იმედი მაქვს, როცა სამშობლოდან დაშორებული ვარ ხუთი ათასი კილომეტრით, ვიმედოვნეფ, ეხლა მითუმეტეს გამიწევთ დახმარებას.

სთხოვს: ერთი ქართველი პატიმარი თავისუფლდება დეკემბერში. ჩამოვა და ათი დღის შემდეგ დაბრუნდება. იქნებ ამას გამოატანოთ, რისი საშუალებაც გაქვთო.

ამ საქმეს უშუალოდ უკავშირდება გალაკტიონისადმი მიწერილი კიდევ ერთი _ სასაყვედურო წერილი ყმაწვილის მეზობლისა. იგი 1958 წლის 18 დეკემბერსაა დაწერილი. როგორც ირკვევა, პოეტი თავისი ახლობელი მწერლის ვაჟიშვილს ბინის შენარჩუნებაში თუ დაბრუნებაში დახმარებია და ამას მისი კარისმეზობელი გაუნაწყენებია:

_ პატივცემულო მწერალო, თქვენი მოქმედება ჩემი ოჯახის განადგურება-დანგრევაში არ არის სწორი... შეცდომაში შეიყვანეთ მთავრობა, წამართვით სამზარეულო, გათბობა, წყალი, საპირფარეშო, აივანი და ეზო. თქვენი და მწერალთა კავშირის დახმარებით დაარღვიეთ საბჭოთა კანონი... თქვენ არ მოიქეცით, პატივც. გალაკტიონ, პატიოსნად. ჩემი ბავშვები დატოვეთ ქუჩის ამარა, წაართვით სითბო და წყალი.

ამ ეპიზოდს უფრო დაწვრილებით თვითონ ნაპატიმრევი იხსენებს (ოღონდ მესამე პირში გვესაუბრება: ვერ ამხელს რა მიზეზით გაუხდა ბინა სადავო):

_ ერთხელ სასამართლოში მოვხვდით. ერთი ბიჭუნა უმწეოდ იდგა, ცრემლს ღვრიდა და არ იცოდა, რა ეთქვა. თურმე ბინას ართმევდნენ ვიღაც უგულო ადამიანები. გალაკტიონმა ერთხანს უსმინა, საქმის ვითარება რომ გაიგო, ხალხი მისწი-მოსწია, სიტყვაც არ უთხოვნია, ისე ავიდა სასამართლოს ტრიბუნაზე. მოსამართლენი ფეხზე წამოუდგნენ მოწიწებით. ისეთი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, რომ ყველა აღფრთოვანებული შეეგება მის ნათქვამს. ბიჭი გაამართლეს, მოწინააღმდეგეები კი ლუღლუღებდნენ: რაღა ახლა გაჩნდა ეს კაცი, როგორ დავიღუპეთო.

«მოწინააღმდეგე» კარისმეზობელი კი ასეთ შემთხვევას ახსენებს პოეტს:

_ 1942 წელს, ღამე, 11 საათზედ რუსთაველის მოედნის კუთხეში, ელბაქიძის თავდაღმართისაკენ, იდგა სამი რუსი გენერალი. თქვენ ძლიერ მთვრალი ფეხზედ ძლივს დგებოდით. «სტროსტით» ხელში მიუახლოვდით და გამოსდეთ ერთ გენერალს ფეხში. ცოტა დააკლდა წაქცევას. თქვენ კი თავდაღმართზე დაეშვით აჩქარებული. გენერლებმა იძვრეს რევოლვრები. მე ამ დროს აღმართზედ ამოვდიოდი და მოწმე ვიყავი ყოველივესი. როდესაც შევამჩნიე საფრთხე მდგომარეობა, აჩქარებული ნაბიჯით

მიუახლოვდი გენერლებს და დავაშომმინე ისინი, ეს ჩვენი მგოსანია, მთვრალია, ეპატიება. ზემო აღნიშნულმა პირებმა იარაღი შეინახეს. თქვენს მაგივრად მე მოვუხადე ბოდიში და გენერლები ვერისაკენ გავაცილე... ასე უნდა პატივისცემის გადახდა?!

ორ ცეცხლს შუა აღმოჩენილა ჩვენი სახალხო მგოსანი.

«ღმერთმან ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს!».

ერთ ნაპატიმრევს კიდევ გამოსარჩლებია და «შპარგალკაც» მოუმზადებია 1943 წელს:

_ ტარასი კუტალაძე. შევჩენკოს 18. გაუსაჩივრებია. კოხრეიძე (გამომძიებელი), ხოფერია (პროკურორი). ვიცნობ ბავშვობიდან, 1905 წლიდან. ზოგი საკუთარ ძმას შესაძლებელია ისე არ იცნობდეს, როგორც მე მაგას. იშვიათი პატიოსანი და ზრდილობიანი ადამიანია. არაფერი მაგაზე არ ირიცხება სხვა. ეს პირველი შემთხვევაა და ცოდვაა ადამიანი. მე მგონია არ ღირს ამ საქმის გაზვიადება და ამის სათხოვნელად მოვედი. სასამართლოს გაუნთავისუფლებია და ეს გამომძიებელი მაინც ჩააცივდა (ოთხი თვე იჯდა და მე მგონია საკმარისია).

ერთი პატიმარი კი ნამდვილად დაუხსნია: ზაქარია ჭიჭინაძე:

_ მე წავედი კომისარიატში და იმწამშივე გავანთავისუფლე.

ისე, ან უკიდურესად გაჭირვებულს შეეძლო ეთხოვა დახმარება, ან თავხედს, ანდა სრულიად უცნობს. ასეთები არც ისე ცოტა აღმოჩენილან: ბევრია თხოვნის ბარათები, უმეტესობა მატერიალურ დახმარებას სთხოვს, ზოგი _ პროტექციას, ძალიან ბევრი _ ლიტერატურულ კონსულტაციას.

თავის გასაჭირს რომ სხვისი დაემატებოდა, მოთმინება აღარ ჰყოფნიდა:

_ 30 ნოემბერი. 1957. რეკენ ტელეფონს: მძიმე ავადაა ფედია. გულით მთხოვენ დახმარებას. რეკენ ტელეფონს: გარდაიცვალა ანეტა _ ხომლელის მეუღლე. რეკენ ტელეფონს: ავადაა მთელი ქვეყანა... ღმერთო, რა საშინელი დღეებია!

ბევრია საპროტექციო დანიშნულების ჩანიშვნები: სიტყვა-სიტყვით იწერს _ ვის, რა და როგორ უნდა სთხოვოს. გაკვეთილივით იზეპირებს, კონტრშეკითხვებისათვის ემზადება, სათადარიგო პასუხებს იმარაგებს, საჭიროების შემთხვევაში დამატებით არგუმენტებს ინიშნავს და ასე შემდეგ.

ილია ჭავჭავაძის მეუღლის მომვლელ ქალს შეხვედრია და მისი ბედით დაინტერესებულა:

_ მარია ლავ. ლუკიანოვა 20 წელი უვლიდა დაავადებულ ოლღა ჭავჭავაძისას (ილიას ქვრივს). იყო მისი მზარეული, ფერშალი, შინამოსამსახურე, ერთი სიტყვით _ ყველაფერი. ამავე დროს დიდ გაჭირვებას იტანდა პერიოდულად უსაღსრობის გამო. პენსიას ღებულობს 30 მანეთს. შეტანილი აქვს განცხადება მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან.

1940 წლის 20 ნოემბერს უნივერსიტეტის რექტორის სახელზე დაუწერია პირადი ბარათი:

_ ამ წერილის თქვენთან მომტანი არის სვეტლანა ჩერნიავსკაია, რომლისთვისაც მე გთხოვდით _ ხელი შეგეწყოთ, რომ გადავიდეს ელექტროტექნიკური ინსტიტუტიდან ლიტერატურულ ფაკულტეტზე. ძალიან დავალებული დაგრჩებით. თქვენი უღრმესი პატივისმცემელი გალაკ. ტაბიძე.

მოგვიანებითაც შეუწუხებია უნივერსიტეტის რექტორი:

_ ღრმად პატივცემულო ბატონო ნიკო! თუ გახსოვთ, შარშანდელი თქვენი პირობა. ეს ბავშვი ნაზი კალისტრატეს ასული, რაკი შარშან დაგვიანების მიზეზით ვერ მოხვდა უნივერსიტეტში, ლიტერატურულ დარგზე, წელს გადის გამოცდებზე. საერთოდ ნიჭიერია, უყვარს ეს დარგი ძალიან და თანაც შრომისმოყვარეა. იმედი მაქვს თქვენი დახმარების შესაძლებლობის ფარგლებში, რა თქმა უნდა. ბოდიშს ვიხდი შეწუხებისთვის. საერთოდ თქვენი დიდი მადლობელი ვარ.

მოგვარე-მოყვარეც დასჭირვებია:

_ მიშა ტაბიძეს. გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება ვახტანგ ნიკიფორეს-ძე სილაგაძეს. ნიჭიერი ყმაწვილია.

წერილის უკანა მხარეს მიუწერია:

_ კამოს ქ. N 51. სამედიცინო ინსტიტუტის საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.

1931 წლის პირველ მაისს ჩვეული სიზუსტით ჩამოუთვლია უპირველესი საზრუნავი საკითხები და მათ შორის: დახმარება დედას და ოლიას.

1938 წლის 8 იანვარს კი თვითონ ლავრენტი პავლოვიჩის სახელზე გაუმზადებია არზა (აბესალომის _ და არა საკუთარი _ ხელით დაწერილი).

_ დიდად პატივცემულო ამხ. ლავრენტი პავლეს-ძევ! ყველასათვის ნათელია (და დღეს ამას ვინ ვერ გრძნობს), რომ თქვენ უაღრესად აფასებთ ხელოვნებას და მუდმივ მზრუნველობას იჩენთ ხელოვნების მუშაკებისადმი. პირადად მე ბევრჯერ განმიცდია თქვენი ასეთი მოპყრობა და ეს მაბედვინებს შეგაწუხოთ თხოვნით... _ სთხოვს პედაგოგი ძმის ოჯახით თბილისში გადმოყვანას. არ ვიცით, სამოსკოვოდ გამზადებულ ადრესატს მიუსწრო თუ არა ამ წერილმა, თუმცა 1941 წლის 26 მარტს აღნიშნავს:

_ 38 წ. მას შეეძლო მოწყობილიყო თბილისში, მისთვის ადგილი ნაშოვნი იყო, _ და იქვე დასძენს, _ იგი ყველაფერს მე მაბრალებს: მე ვხედავდი, რომ შენ იღუპებოდი და ამის გულგრილად ცქერა მე არ შემეძლოო.

1941 წლის 24 მარტს კმაყოფილია:

_ ვინახულე მიწათმოქმედების კომისარი. იგი დამპირდა კახაიას საქმის გაკეთებას.

სვანეთის მთებიდან თბილისში უნდა ჩამოიყვანოს ახლობელი ვეტექიმი. ცდილობს სამსახური უშოვნოს. პირადად ეახლა სათანადო თანამდებობის პირს, მაგრამ საქმე შეყოვნდა და წერილს უგზავნის:

_ უღრმესად პატივცემულო ამხ. სიმონ! ამასწინად მე პირადად ვიყავი თქვენთან და მოგელაპარაკეთ ჩემი მეგობრის ვეტექიმ გიორგი ბესარიონის-ძე კახაიას შესახებ (ცხოვრობს კამოს ქ. N 9). მე გთხოვდით, იგი დანიშნული ყოფილიყო აქვე ტფილისში, მისსავე სპეციალობაზე. დიდხანს მუშაობდა სვანეთში. აქვს მიოკარდიტი და რაიონში ძნელია მისთვის მუშაობა. თქვენ მე მაშინ დამეხმარეთ მის დანიშვნაზე. მაგრამ ჩემმა მეგობარმა, სამწუხაროდ, რაიონში შერჩენის გამო ვერ შესძლო ესარგებლა თქვენი თანხმობით. ამჟამად ხელახლა მოგმართავთ ამავე თხოვნით: მოაწყოთ იგი აქვე ტფილისში. ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის. გალაკტიონ ტაბიძე.

1946 წლის 4 ნოემბერს ლენინგრადიდან სწერენ: კუზმა პეტროვვოდკინის არქივში თქვენი გულთბილი წერილი აღმოვაჩინეთ, იმ პერიოდისა, როცა მხატვარი აბასთუმანში ისვენებდაო. იგი შვიდი წლის წინათ გარდაიცვალა. ოჯახი გაღატაკებულია. ვითვალისწინებთ თქვენს კეთილ დამოკიდებულებას მხატვრისადმი და გთხოვთ, იქნებ თბილისის მუზეუმს შეასყიდვინოთ მისი რომელიმე ნამუშევარი, ამ მიზნით გიგზავნით

ფოტორეპროდუქციებსო. ბოდიშს გიხდით. მუზეუმთან მოლაპარაკების შედეგს ველოდებით, იქნებ მხატვრის ქვრივს, ქალიშვილსა და სამი წლის შვილისშვილს ლუკმა პურის ფული აშოვნინოთო.

ეს ის დრო გახლდათ, როცა რუსი მხატვარი და საერთოდ ჭეშმარიტი ფერწერა _ არაოფიციალურად აკრძალული იყო. სწორედ ამ წელიწადს მიიღო ცენტრალურმა კომიტეტმა მკაცრი დადგენილება იმავე ლენინგრადის ორი ჟურნალის იდეოლოგიური «შეცდომების» შესახებ. თუ ასეთ სიტუაციას და ადრესატის პრაქტიკულ შესაძლებლობას გავითვალისწინებთ, დარწმუნებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ლენინგრადელთა ცდა წარუმატებლად დამთავრდებოდა.

არც უფრო ახლობელს უნდა ჰქონოდათ დიდი იმედი:

_ 1955. 2 სეკტ. ნოე დიმიტრის-ძე სანიკიძე. იყო ჩემთან 80 წლის კაცი, რომელსაც თურმე წერა-კითხვა, როგორც თვითონ ამბობს, მამაჩემმა ასწავლა. ჩვენი რაიონი ძალზე ჩამორჩენილია და თქვენგან დახმარებას ელისო.

_ 1955. 3 სექტემბერი. შოფერი მთხოვს დავეხმარო ხე-ტყის მასალების შეძენაში.

1950 წლის 28 ნოემბერს საავადმყოფოში სალაღობო დაუწერია:

ეს ფულსა მთხოვს, ის ფულსა მთხოვს, ნეტა ვისი რა მმართებს?
ზოგი მპარავს, ზოგი კიდევ არ მივსცემ და წამართმევს.
მათხოვრები მძულს, მარამა რას დავზოგავ მათთვინა,
ჰაზიკ, ყველა რომ მე მომდგა, ამან გამომატვინა.
მებნებიან: იოსებ ჯან, ფულს რად მალავ, აგვიხსენ,
შენ მიშველე, ზეციერო, ამ ტანჯვისგან დამიხსენ.
რომ იცოდე მდგომარება უბედურის, ეულის,
შინაურმა და გარეშე მგლებმა დამასნეულეს.
გეტყვი: ამას ისე ამბობ, ჩემო იერემია,
თითქოს დრამა ამეღოს ან სტალინური პრემია.

გალაკტიონს თუ ვინმე დაესესხებოდა, ეს კი ვერ წარმომედგინა, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, თვითონაც ყოფილა მევალე:

_ გიორგიმ დიდის ბოდიშით დამიბრუნა ვალი: ვუთხარი თუ რაზედ იწუხებდა თავს.

_ პატივცემულო გალაკტიონ, ბოდიში რომ გაწუხებ. თუ გაქვს, 30 მანეთი, კიდევ გამომიგზავნე და 25 აპრილს გამოვგზავნი. 13 აპრილს რომ გამომიგზავნე, მთლად დავურიგე. ახლა კი პურის ფული არა მაქვს. დ. ახვლედიანი.

_ გალაქტიონ ჩემო, აი რასა გთხოვ. მე განვიცდი ნივთიერ უკიდურესობას. ასე რომ პურის ფულიც არა მაქვს. მე ორშაბათს გამოვდივარ საავადმყოფოდან. ჩემი სახლში მისვლა და ავად გახთომა ერთი იქნება. შემომესევა წვრილი მევალეები და სულს ამომახვდენენ მე ავადმყოფს. წამალი, ჭამა და რა ვიცი რამდენი რა მინდა. მე კი შაურის პატრონი არა ვარ. ამიტომ გთხოვ იქონიო იმდენი კაცთმოყვარეობა ან სიბრალული მაინც თუ პატივისცემა არა და დამეხმარე დიდ პოეტურად. მასესხე ფული ხუთასი მანეთის რაოდენობით იმ პირობით, რომ ყოველ თვეში ჩემი პენსიიდან ხუთი თუმანი მოგართვა და ასე შეღავათიანად გაგისტუმრო. ჩემო გალაკტიონ, შენ გენაცვალე, ამით მე დამიხსნი დიდი უბედურებისაგან და შენ კი არაფერი არ დაგაკლდება, არც დაგეკარგება და დარწმუნებული და იმედით აღჭურვილი გელოდები ჩემად მხსნელად, ჩემო ყოველთვის საქებო, სადიდებელო და საიმედო ძმაო და მეგობარო გალაქტიონ.

დარია ახვლედიანი. საავადმყოფოდან სახლში რით წავიდე არ ვიცი, ეტლის ფული სადა მაქვს. ასეა ჩემი საქმე.

მთხოვნელები, იცოცხლე, არ გამოლევია:

_ პენსიის აღებამდი 51 მან. მასესხე.

_ ძალიან დამავალებ, თუ 200 მანეთს მასესხებ.

_ სესხად გთხოვდი 200 მანეთს.

_ ძალიან გთხოვ 300 ან 200 მანეთი მასესხო ერთი თვით.

_ რამდენიმე დღით მასესხეთ 200 მანეთი.

_ დამავალებ თუ ას მანეთს მიშოვი.

_ გთხოვ ამ თვის ბოლომდე მასესხო 50 მანეთი.

_ 300 მიხსნის შექმნილი მდგომარეობიდან.

_ გთხოვთ როგორმე 25 ამ თვემდე დამეხმაროთ ოცდაათი თუმნის სახით.

_ მომეცი კიდევ 100 მანეთი.

_ გადმომასესხე 50 მანეთი.

თანხას არ ასახელებენ:

_ გალაქტიონ, მე ვწევარ საავადმყოფოში. ორჯერ ვიყავი შენთან. ვერ გნახე. ქაღალდი ავიღე წყალტუბოსი. სახარჯო და გზისა არ მაქვს. მე გამოვალ პირველ ნოემბერს. მანამდე მომიხერხე რამ. შედი ჩემს მდგომარეობაში. იმედი მაქვს.

_ ვინაითგან სრულიად ფეხშიშველი ვარ და მასთან არც ბლუზა მაცვია, ამისათვის მოგმართავთ როგორც შეგნებულს განვითარებულ გულკეთილ ადამიანს სურვილით და ნებართვით შემწეობა მიბოძოთ. იქნებ შევიძლო ამათი ყიდვა, რომლითაც შემოგწირავთ ძალიან დიდს მადლობას.

სასოებით ელოდებოდნენ:

_ ძვირფასო გალაკტიონ! გიგზავნი რეცეპტს. ხომ იცი რა სასოებით ველოდები. მოვიქანცე კანკალით. გთხოვ ძმურად. ნუ დაიზარებ. გაისარჯე. იქნებ მიშოვო. ჩემს ავადმყოფობას ქვია პარკისონი.

ნატურალურადაც სთხოვდნენ:

_ თქვენსკენ შაქრის რთველია. ნახევარ კილომდე გამომიგზავნე. მივიღებ პაიოკს და მოგართმევ.

_ მაქვს დაძონძილი ფეხსაცმელი და შეიძლება გქონდეს ისეთი ძველი ფეხსაცმელი, რომლითაც ცოტახნით მაინც გავივლი და ამით სამუდამოდ დამავალებთ.

გახლდნენ პიროვნებანი, რომლებსაც პოეტის იმედი ჰქოდათ და ისიც ხელს უმართავდა. აქეთ თვითონ თხოულობდა დახმარებას და იქით სხვას სწყალობდა:

1943 წლის 15 თებერვალს ლიტფონდისათვის უთხოვია:

_ გთხოვთ დახმარების სახით მომცეთ ხუთასი მანეთი.

იმავე წლის 2 დეკემბერს კი:

_ მივიღე სესხად სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძისაგან (სამასი _ 300 მანეთი). ილია ხუნდაძე.

გიგლა მებუკე იგონებს:

_ ერთხელ ლავრენტი ძიძიგურმა მითხრა, _ ავადმყოფობის დროს მეწვია და სასთუმალქვეშ 100 მანეთი ამომიდოო. ერთხელაც მოსკოვის ქუჩის კუთხეში კაფეში ვიჯექით. ამ დროს შემოვიდა სავლე აბულაძე, გვიამბო პოეტ ლადო მაჭავარიანის

ავადმყოფობისა და გაჭირვების ამბავი. გალაკტიონმა ჯიბიდან ფული ამოიღო და მისცა: ეს, ძამიკო, ჩემგან მიართვი ჩვენს ძმასო.

სრულიად უცნობებიც აწუხებდნენ:

_ პ/ც გალაკტიონ! ვიცი ძლიერ გაგაკვირვებს ეს ბარათი. სხვანაირად არ შეიძლება. გთხოვთ, თქვენ როგორც დიდი ადამიანი ხართ, არ დამძრახოთ. გაიგებთ ადამიანის გაჭირვებას, ჩასწვდებით ადამიანის საჭიროებაში. მე ვარ შუამთიდან _ ვანის რაიონიდან. ვარ შუამთის საშუალო სკოლის მასწავლებელი (ნანული ჩემთან მუშაობს, სიმონი პენსიაშია). გამიჭირდა ძლიერ, თორემ როგორ შეგაწუხებდით, თქვენ, ისეთ პოეტს, რომელსაც არა მარტო ჩვენს ქვეყანაში იცნობენ. გთხოვთ, მგოსანო, დეკემბრის თვის ხელფასამდე ორასი მანეთი მასესხო. ნუ ჩამთვლით თავხედად. თქვენ გაიგებთ იმას, თუ როგორ მკაცრად მჭირდება ახლა ეს, თორემ როგორ შეგაწუხებდი, გთხოვთ დამეხმაროთ დეკემბრის თვემდე (ბავშვი მყავს აქ ავად). თქვენისთანა ადამიანთან მე სირცხვილს არ ვჭამ. გთხოვთ მხოლოდ დეკემბრამდე.

ოჯახშიაც მიუმართავთ ირონიულ-ოფიციალურად:

"Народному поэту

От Ирмы Папашвили

Прошение

Прошу выдать на нужды семьи 200 руб. к Новому Году".

1950 წლის 1 მაისს ჩაუწერია:

_ მომაწვნენ _ უცნობი და ნაცნობი _ მთხოვენ ფულს. მთხოვენ არ ვიცი კიდევ რას. ყოველივე ამას ბოლო უნდა მოეღოს. სულ ერთია არ მომასვენებენ.

სხვა შემთხვევაში უფრო ზომიერია:

_ დღევანდელი დღე გადამწყვეტი, გამოსაცდელი დღეა. მექნება 360 მან. ისე უნდა გავანაწილო, რომ არავინ დაიჩაგროს, გარემოებები არ შეფერხდეს.

ზრუნავდა სხვებზე, თავის თავზე, ელოდებოდა, იმედოვნებდა, იწყებდა წუხილით, ამთავრებდა ლექსით:

პირველზე პირველი მაგალითი
არის ის, რომ ფული არ არის.
კიდევ კარგი, რომ
«მნათობი» ახლა სხვისია.
არავისი არ მაქვს ნისია.

1952 წელს ძმისშვილმა სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა:

_ ჩემი ძმისშვილი ვასილ პროკლეს ძე ტაბიძე, ობოლი ყმაწვილია, ცხოვრობს ჩემთან. რაც შეუძლია, მივლის. თუ შესაძლებელია, დარჩეს თბილისში _ არა რაიონში (ან _ ვანის რაიონში).

1940 წელს ოლიას 16 წლის ძმისშვილს შეაწია სიტყვა. ყმაწვილი მოსკოვში დაიბადა და თბილისში დეიდასთან ცხოვრობდა. რუსულ სკოლაში სწავლობდა და რუსულ ლექსებს წერდა. გალაკტიონმა დაბეჭდვის საკითხი შეათანხმა და დეიდას ურჩია _ ყმაწვილს ლექსები დედის გვარით გამოექვეყნებინა, რადგან რამდენიმე წლით ადრე ქართველი მამა დაუხვრიტეს და სომეხი დედა გადაუსახლეს:

_ სილვია. Я болен. У меня грипп, температура 38 град. Вот и не могу выйти из дома. Мне очень хотелось бы прочесть стихи Булата вместе с вами сегодня, да вот видите, не

могу. Этот проклятый грипп помешал. Наверное через два-три дня мне будет лучше и я к Вам непременно приду. А вот вы так сделайте: Булат завтра пойдет к Бебутову и напечатает стихотв. под фамилией Налбандян.

ბულატ ოკუჯავასადმი ყურადღება თერთმეტი წლის შემდეგაც გამოუჩენია:

_ Квартира Ширван-Заде? Попросите Булата.

_ Подождите! Сейчас подойдет Булат (ან სილვია, ან აშხენი). ორივე...

შემთხვევით გაცნობილებსაც გამოსარჩლებია: ერთ მოსწავლეს მშობლების მაგიერ გაჰყვა სკოლაში და თავდებად დაუდგა _ მეტს აღარ დააშავებსო. მეორე შეყვარებულ ყმაწვილს საჩუქრის ფული არ აღმოაჩნდა და სატრფოს ოჯახს სასიძოსთან ერთად გამოეცხადა დაბადების დღეზე. შეყვარებულ ნიაზ დიასამიძესაც წაჰყოლია ერთხელ გულნარა ბახტაძის სახლში.

ერთ გაჭირვებულთაგანს მიუმართავს:

_ დიდად პატივცემულო ბ. გალაქტიონ. გთხოვთ უკანასკნელ ჩემი მდგომარეობის და გაჭირვების დროს დამეხმაროთ. თლათ აუცილებელი საქმე არ გექნეს, საღამოს 5 საათზედ გიახლები და მომითმინეთ. თქვენი მარადის ჯანმრთელობის მსურველი იოსებ გოგოძე.

ბატონ იოსებს სხვა გასაჭირი გასჭირვებია:

_ ამხ. სანდრო! გადავიკიხე იოსებ გოგოძის ორი რვეული. მე მგონია, ამ ლექსების დაბეჭდვა შეიძლება, «უსწავლელ კაცს» მეტი არ მოეთხოვება და კარგია წერა-კითხვის გავრცელების პროპაგანდისათვის.

ერთ თაყვანისმცემელს ჩვეულებრივად სახლში არ დახვედრია და თვითონ იწვევს:

_ გალაკტიონ ჩემო (ჩემო კი არა ყველასი გალაკტიონ). ვიყავი შენთან. მინდოდა შენი ნახვა პირადად ჩემს საქმეზე. ხდება ხანდახან ასეც, რომ დიდი კაცები მიდიან პატარებთან, რომ გაიგონ თუ რა უჭირს პატარა კაცს. სახლში როდის იქნები არ ვიცი და ამიტომ თუ თვითონ შემოივლი ჩემთან, დამავალებ. ვცხოვრობ ანასტასიევის ქ. N ¹8 (ზემელთან). შენი «ქრისტეს» თაყვანისმცემელი ვასო ქავჟარაძე.

ამგვარი თხოვნითაც შეუწუხებიათ:

_ ამხ. გალაკტიონ. გაწუხებთ, მაგრამ ხომ იცით ბავშვის გატაცება. ფულით არ არისო, თორემ უყიდიდი. ეგებ შეიყვანო დადიანის იუბილეზე. პატ. ნატაშა.

ვინც ყველაზე კარგად იცნობდა და ვისაც ყველაზე მეტის უფლება ჰქონდა, სოფლიდან მოსწერა:

_ იქნებ ახერხო და რამენაირად მთავრობიდან იშოვო ორი ათასი კრამიტი და ორი ან სამი ბოჩკა ცემენტი ისე, რომ ფული ნაწილ-ნაწილათ გადაგვახდევინონ-თქო... სახლი დასახურავია. რაღა ყავრით უნდა დახუროს კაცმა, ბარემ გადაგვეკეთებია და კრამიტით დაგვეხურა, რომ სამიოდე კაცის მიღება შეიძლებოდეს მაინც.

სოფლიდანვე მოგვესმა უწყინარი თხოვნა უახლოესი ადამიანისა:

_ სამფეხე წამომიღე, ჩემი დედეი, საჭირო არის.

და დღესაც მოგვესმის განუწყვეტელი მუდარა:

_ გატუნია, სახლში როდის მოხვალ?

ბლოკნოტებში და რვეულებში ზოგჯერ გამხმარი ფოთლები და დამჭკნარი ყვავილები აწყვია. უნებლიეთ გაგახსენდება: შინდისის ჭადრები და ზამთრის ბაღები, ალვები თოვლში და ატმის ყვავილები, ყვითელი ფოთოლი და კაკლის ხე მთაწმინდაზე, ტუია და პირიმზე, დაფნა და ტირიფი, ვარდები და ვერხვები...

მარჯანიშვილის ქუჩის დასაწყისში ერთი მაღალი აკაცია და რამდენიმე ფიჭვი დგას. წინათ აქ პატარა ბაღი იყო. მერე სკვერი მოშალეს, ქუჩა გააფართოვეს და ხეები ქუჩაში გამოვიდნენ.

_ 1936 წლის 5 ნოემბერს კირკის ქ. N 4 სახლის ეზოში ერთი ძირი ფიჭვის ხე (შესასვლელიდან I _ მარჯვნივ) დარგულია თვით პატივცემულ ამხ. გალაკტიონ ტაბიძის ხელით.

აკაციას კი მეგობარივით შეჰხაროდა.

1939 წლის 16 სექტემბერს ბაღი გაუსხლავთ:

_ დღეს გასხლეს ჩვენი ბაღი. აკაციის ტოტი, რომელიც გრიგალმა დააზიანა 15 ივნისს და დღემდე მაინც ცოცხლობდა, სრულიად ჩამოგლიჯეს და ახდენს გულის მომკვლელ შთაბეჭდილებას.

ზუსტად ახსოვს სამი თვისა და სამი დღის წინანდელი გრიგალი, რადგან საყვარელი ხე დაუსახიჩრა! ცხრა წლის შემდეგ კი:

_ რა მდგომარეობაშია პატარა ბაღი ამ სახლის წინ? მოუვლელობის გამო გამხმარა, ვიღაცას ერთი ნაძვის ხე გადაუტეხია შიგ წელში. გაზაფხულზე დარგული ბუჩქები თითქმის სულ გადაუთხრიათ. გადარჩენილი მარადმწვანე ხეებისთვის ტოტები ჩამოუმტვრევიათ, მაღალ აკაციას ზედ აყრია წლობის განმავლობაში ჩვრები. ნუთუ ასეთი ძნელი საქმეა აქაც მოეწყოს ისეთი რკინის გალავანი, როგორიც აქვს მის გვერდით მდგარ სახლს N 6. მერე როგორ დამშვენდება ეს ქუჩა!

კიდევ ოთხი წლის შემდეგ, 1952 წლის 9 მარტს, კვლავ იხსენებს:

_ ო, ჩვენი ბაღი, ჩვენი საწყალი ბაღი. აქ ერთი აკაციაა, რომელიც 15 წლის წინად მე და გიორგიმ გადავარჩინეთ: ვიღაცას ფეხით გადაეტეხა მიწიდან ეს-ეს არის ახლად ამოსული აკაცია. ჩვენ მაშინვე ჩვარით შევხვიეთ, გავასწორეთ და ეხლა იგი ჩვენი სახლის ოთხსართულიან შენობას ასცდა, და კიდევ იზრდება. ამჟამად იგი თოვლითაა დაფარული. ამ ბაღში არის ჩემმ მიერ დარგული ფიჭვი, რაც მას თავს გადახდა, პირდაპირ ასაწერია.

თოვლი წასულა და ორი თვის შემდეგ აკაცია აყვავებულა:

_ დღეს დილით კი ჩვენი აივანი დაფარული იყო აკაციის ახალთ ახალი ყვავილებით, სწორედ ჩვენი ხიდან, ჩვენი ძვირფასი ეკლის ხიდან ცვიოდა ახალთ ახალი ყვავილები. ერთბაშად ორი სიხარული: ახალი აივანი და ახლად გაშლილი ეკლის ხე!!! 17 მაისი, 1952 წელი შევა ჩვენი აივნის ისტორიაში ახალი ცხოვრების დაწყების დღედ!!! ვინახავ სახსოვრად იმ აკაციის 42 ყვავილს. _ ეს აღტაცება საფოსტო კონვერტზე წაუწერია. კონვერტში ამჟამადაც აწყვია 42 ყვავილი, 34 წლის 42 ყვავილი!

მარჯანიშვილის ქუჩაზე დღესაც ჰყვავის მაღალი აკაცია, გალაკტიონის საყვარელი აკაცია! იქვე სამი ფიჭვი ირწევა: ყველაზე პატარა გალაკტიონის ფიჭვია. თითქოს ეტყობა კიდეც _ «რაც თავს გადახდა» _ დაჩაგრულს და დაჩრდილულს!

ბევრჯერ მომიკრავს თვალი ამ ხეებს შორის. მაშინ არც მათი თავგადასავლები ვიცოდი და არც პოეტის ჩანაწერებს ვიცნობდი. ვერც ძვირფას აკაციას გამოვარჩევდი და ვერც ხეიბარი შვილივით საყვარელ ფიჭვის ხეს...

_ ბავშვობიდანვე ჩემი ყვავილებისადმი არაჩვეულებრივი სიყვარულის გრძნობა სავსებით კმაყოფილდებოდა იმ უამრავი ყვავილებით, რომლებიც ახალგაზრდა ქალებს მოჰქონდათ ჩემთვის ჩემს საღამოებზე... შემდეგში საშინელმა სიცოცხლის უფრო ღრმა ანალიზმაც ვერ მოსპო ეს სიყვარული ყვავილებისადმი.

1941 წლის 19 მარტს გამოგზავნილი ოლიას წერილი ასე იწყება:

_ ჩემო ძვირფასო, ჩემო უგონო სიყვარულო! მიიღე ჩემგან ეს მინდვრის ყვავილები. ისინი ნორჩებია და უტყვი, მაგრამ მაინც თავდავიწყებით მოისწრაფიან შენკენ.

მჯერა: ეს მინდვრის ყვავილებიც შენახულია: ყველაფერს ინახავდა! მჯერა: ამ ფოთლებს და ამ ყვავილებს _ ყველას თავისი ლამაზი ბიოგრაფია აქვს!..

ჩანაწერებში ორი გამოუქვეყნებელი სტრიქონიც იკითხება:

წავიდეთ, სადაც ატმები მაისმა ააყვავილა,
სადაც ხის გადარჩენისთვის თავს იკლავს ვაჟა ფშაველა.

თვითონაც თავს იკლავდა და საყვარელ ძმას მინდიასავით ედავებოდა: სოფელში კაცი ისე როგორ იცხოვრებდა, ხე არ მოეჭრა, გამოხშირვა მაინც სჭირდებოდა ტყეს, გამხმარი მაინც უნდა მოეჭრათ, შეშაც საჭირო იყო და ფიცარიც... იგი კი თითქოს ანგარიშს არავის და არაფერს უწევდა, ბრაზობდა და, როგორც ყოველთვის, სიკეთის სასარგებლოდ აჭარბებდა:

_ სჭრიდა აბესალომი ხეებს. ამაში იყო დიდი ბრძოლა ჩემსა და მას შორის: ნუ სჭრი-მეთქი ამ უზარმაზარ ხეებს, ძველ ხეებს. «სულ ერთია _ სხვა მოსჭრისო». დედაჩემთან სულ ამაზე ჰქონდა აბესალომს ომი: აიღებდა ნაჯახს და მიდიოდა ხის მოსაჭრელად. დაედევნებოდა დედაჩემი, ნუ სჭრიო... ბოლოს იმარჯვებდა დედაჩემი, მაგრამ აბესალომი ჩუმ-ჩუმად მაინც სჭრიდა ხეებს... სანამ დედა ცოცხალი იყო, ვერაფერს ხდებოდა. გარდაიცვალა თუ არა დედაჩემი, აბესალომი პირველადვე იმ ხეებს მივარდა და სულ აკაფა: მუხა, წაბლი, თუთის ხეები, კაკლის ხეები, ვაშლები, ატმები, ბია, კოპიტი, რცხილა, ასე წარმოიდგინეთ _ თხილის და ტირიფის ხეებიც კი. რაში იყენებდა? სწვავდა მხოლოდ. ეხლა ერთადერთი ცაცხვი დარჩა და... ეზო გადატიალებულია. რად უნდა ეს ცარიელი ეზო, არ ვიცი.

დედის ხელით დარგული ვერასგზით ვერ დაივიწყა:

_ ის დიდი ცაცხვი! ის დიდი ცაცახვი უნდა მოსჭრან! ის დედაჩემის მიერ დარგული ცაცხვია!

ვერც დედის საფლავზე ამოსული დაივიწყა:

«ამას წინად საავადმყოფოში ვეკითხები პატარა ვასიკოს:

_ არის თუ არა ისევ დედაჩემის საფლავზე დარგული თუთის ხე?

_ ის დარგული არ ყოფილა. თავისით ამოვიდა.

_ მერე.

_ ძალიან დიდი გაიზარდა. სულ გარეშემო ჩრდილი ჰქონდა. ვერ იზრდებოდა სწორად. მოვჭერით».

ვეღარც ტყისმჭრელს უსმენდა გულგრილად:

როგორ შემეძლო არ დამეთვალა

რამდენჯერ სცემდა ტყეში ნაჯახი.

სახლთან შვილივით ფიჭვი ედგა, სახლში:

_ გადადგმულია ნაბიჯი პალმების შეძენისათვის.

შეუძენია:

_ არ უნდა გახმეს პალმა.

ნიკა აგიაშვილის წიგნში «ჭაბუკები დარჩნენ მარად» აღწერილია 1939 წლის ერთი საღამო: რუსთაველის გამზირზე შეხვედრია ნიკას, ლადო ასათიანს, მირზა გელოვანსა და ალიოშა საჯაიას შექეიფიანებული. დიდხანს უსაუბრია. ნორჩი ცაცხვის ხე შეუქია და ვერის ხიდის თავში აღმართული «საშინლად მახინჯი ბჟოლა» გახსენებია _ «ნამდვილი დემონური ხე»: ვიდრე მარცხენა სანაპირო აშენდებოდა, წიგნის სასახლის წინ დიდი თუთა მდგარა მტკვარზე გადამხობილი. იმ თუთის ქვეშ გაუძარცვავთ და მას შემდეგ «დემონური» შეურქმევია.

ერთხელ ოლიამ ბორჯომიდან შეახსენა:

_ გახსოვს სკამი მესამე წყაროსთან, ფრთაგაშლილი მწუხარე ნაძვის ქვეშ, რომელსაც «ბაირონს» ვეძახდით?

უმეგობროსა და მარტოკაცს თავისი ნაცნობი ხეები ჰყავდა, თავისი მეგობრები, არ ივიწყებდა და ხშირად მოინახულებდა ხოლმე, სხვებსაც აცნობდა, ხატავდა კიდეც. 1927 წლის შემოდგომაზე ქუთაისს ეწვია და «გრანდოტელში» დაბინავდა:

_ როდესაც ფარდა გადავწიე, დავინახე ჩემი ძველი ნაცნობი ჭადრები, რომლებიც ფანჯრის პირდაპირ სდგას უკვე შეყვითლებული ფოთლებით, რადგან ეხლა შემოდგომაა.

1948 წლის ივნისში მოსკოვს ჩაბრძანებულა:

«1917 წელს ამ ბაღში მივდიოდი ერთხელ ღამით _ ბულვარით. კარგა შეღამებული იყო. ვბრუნდებოდი ელენე დ_ს ბინიდან, არბატს იქით, სადაც სტუმრად ვიყავი დაპატიჟებული. რა კარგი იყო ტფილისიდან ჩამოტანილი კონიაკი. ეხლაც მახსოვს მისი გემო. გახსენებები, მოგონებები, ლექსები და ასე კიდეც გადაშუაღამდა. დავემშვიდობეთ ახალგაზრდა განათლებულ დიასახლისს და წამოვედით მე და ამირეჯიბი.

_ როგორი ძეგლია, ა? _ მკითხა მან.

_ იშვიათია, დიდებულია!

ჩვენ შევჩერდით ერთ ხესთან და დიდხანს ვუცქეროდით ამ ძეგლს...

მას მერე 30 წელმა გაიარა. აკადემიის სესიიდან ფეხით ვბრუნდები და ისევ იმ ძეგლთან ვდგევარ, ისევ იმ ხესთან. იგი ცოცხალია, ჩემი ძველი ნაცნობი ხე».

1949 წლის «საქართველოს ეკლესიის კალენდრის» 135-ე გვერდზე მთავარეპისკოპოს ინოკენტი ბელიაევის გვარს წააწყდა და სემინარია გაახსენდა:

_ არქიმანდრიტმა პიმენმა გამოგვიცხადა: ყველა უნდა წავიდეთო. ჩვენც დავეწყვეთ და ისე წავედით. ვიდექით მწყობრად საექსარხოსო მოედანზე. მხოლოდ ერთი სემინარიელი გვიშიანი, სვანი, უზრუნველად მიეყრდნო ხეს. გადაიდო ფეხი ფეხს ყველას შესამჩნევად. მოვიდა ეპისკოპოსი ინოკენტი ექსარხოსი, გამოვიდა და ჯვარი გადაგვსახა. ეს იყო 1909 წელს. ის ხე ეხლაც იქ დგას.

1958 წლის 26 მაისს ალექსანდროვის ბაღში შეიარა:

_ ვზივარ ალექსანდროვის ბაღში. აი, იქ რომ ხეა, სწორედ მის ქვეშ შევხვდით ერთმანეთს მე და ბაჩანა.

ვერის ხიდის რეკონსტრუქცია რომ დაიწყო, მხატვარ ალექსანდრე ციმაკურიძეს სთხოვა: მდინარის პირას აღმართული ლამაზი ხეები დამიხატე, ვიდრე მოჭრიდნენო...

_ დილიდანვე რატომღაც ვფიქრობდი. ვფიქრობდი ჩემს ლექსებზე. რა იდეა არის გამოხატული ლექსში «სავსე კაკლები»? სდგას ასწლოვანი კაკლის ხე. მის გარშემო ჰქუხდა მრავალი ხმოვანი ქარი. მიმავალს სდევდა მომავალი. დრონი კი მიჰქრიან მარად და მარად...

წყნეთში რომ აგარაკს აშენებდა, ინჟინერს გზის პროექტი შეაცვლევინა და მშვენიერი ხეები გადაარჩინა. მუშებს შინდის ბუჩქის მოჭრა არ დაანება: გადაარგვევინა...

ერთხელ ორი პატარა ხე დაანახვა აკაკი გაწერელიას: შეხედე, ძამიკო, ქოლგებიანი ძმებივით არ დგანანო?

_ ამბები ყველა ხეების უნდა დაუკავშირო ერთ ხეს: ემოცია გადატანილი იქნება კონდესაციაში. უნდა დაგროვდეს ყველაფერი, რაც ხეებზე უწერიათ. ეს საინტერესოა მრავალი მხრით. «ატმის ყვავილები». მაგრამ... ნუთუ ყველაფერი მოგონებაა მხოლოდ?..

მარჯანიშვილის ქუჩაზე ისევ ჰყვავის მაღალი აკაცია!

იქვე გალაკტიონის ფიჭვიც ირწევა! ნახევარი საუკუნის ფიჭვი!

მაგრამ, როგორც მემატიანე იტყოდა, უმჯობესია, პირველ სიტყვასა ზედა მოვიდეთ და უფრო შორს ნუღარ წავალთ. ჩვენ ისევ გველოდებიან. წიგნი ჯერ კიდევ არ გაუგზავნიათ სტამბაში.

P.S. ახლახან მარჯანიშვილის ქუჩის რეკონსტრუქციამ ტროტუარები შეავიწროვა და ხეები მოჭრეს: მაღალი აკაციაც. ქალაქის მერიას ვთხოვეთ და გალაკტიონის ფიჭვი გადავარჩინეთ. წარწერაღა აკლია პოეტის მემორიალურ ხეს!

სინათლის ალგებრა

რჩეული ლადო გრიგოლიამ გაუფორმა. კონტრტიტულზე თარიღები გამოვიტანეთ: 1908-1958. ავტოგრაფის იდეაც მხატვარს ეკუთვნის, ფოტოც მხატვარმა შეურჩია: ნახევარი პროფილი. თითქმის ყველა წიგნს ლადო გრიგოლია უფორმებდა. სიკვდილის შემდეგაც... თორმეტტომეულისათვის გადაწყვიტა: ყოველი ტომის სუპერზე ქრონოლოგიური თანმიმდევრობით სხვადასხვა წლების ფოტოები მოეთავსებინა, ყდაზე _ რომელიმე ლექსის ავტოგრაფი. ლიტერატურულ მუზეუმში ერთად ვათვალიერებდით ფოტოებსა და ხელნაწერებს. მნახველი მეტად საინტერესო სამყაროს ეცნობა. ათასზე მეტი ფოტოსურათი _ სხვადასხვა წლების, ფორმატის, ხარისხის და ფერის ქაღალდზე აღბეჭდილია მძაფრი ცხოვრების უკეთესი მომენტები, შეჩერებული, დაჭერილი და გადარჩენილი წამები. უმეტესად მარტო შემოგვყურებს, როგორც ცხოვრებაში.

აინტერესებდა ობიექტივის მიერ შენახული წარსული:

_ ამ უცხო ნისლის ბარიკადები მე მიყვარს როგორც ჩემი წარსული.

ესიზმრებოდა კიდეც და _ თითქმის ყოველთვის განაპირებული _ სიზმრის ფოტოზე მაინც ისწორებდა ხასიათს:

_ ფოტო... სიზმარი-ფოტო... თითქოს ჯგუფში ცენტრში ვიდექი.

უყვარდა, ეძებდა, აგროვებდა, ნიშნავდა, აზუსტებდა, ათარიღებდა, ანახლებდა, აღადგენდა, ადიდებდა, ინახავდა:

_ ნაპოვნია უამრავი-ურიცხვი ჩემი პორტრეტი _ წუნდებული, დაბეჭდილი ძალიან ცუდათ... ნუთუ არა მოეხერხება რა? უნდა ვეცადოთ... ასე არ შეიძლება. მგონი ათასზე მეტია... რა მოეხერხება? ვიქონიებ თან და გავიგებ, შევეკითხები მხატვრებს, როგორ მოვიქცეთ. ძალიან ბევრია... შევეკითხები ყველას... ჰმ. შეიძლება ხელით გაკეთდეს, ა?

416 დაუთვლია:

_ ეს სურათები გამოდგება: ნაწილობრივ გასაყიდათ საღამოზე, ნაწილობრივ მაღაზიებისათვის, ნაწილობრივ მეგობარ-ნაცნობებისათვის.

«გალაკტიონ ტაბიძე _ პორტრეტები და ფოტოგრაფიები» _ დაუსათაურებია და ჩამოუწერია 1917 წლიდან _ 1938 წლამდე _ სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირთან გადაღებული 40 ცალი. იქვე 17 ნახატი მიუთითებია.

_ მოლაპარაკება ნაცნობ ფოტოგრაფთან: სურათების გასადიდებლად, _ ოთხ პიროვნებას ასახელებს და ასათაურებს _ «გასადიდებელი სურათების სია»: ოთხმოცდაათი ერთეულია. მათ შორის: ასვლა იალბუზზე, საგურამო (ატმებთან), საგურამო (კაკლის ხის ქვეშ), ახალი კოსტიუმით (1938), უბინაო ბავშებთან, პროფილი ფედიასი, მე და ბალმონტი, მე _ ხელთათმანებით, აკაკის საფლავზე.

ვალი დასდებია:

_ ვალი 400 მანეთი გადავადებინე ერთი თვით. ფოტოგამდიდებლები მგონი არც ისე ძვირი დამიჯდეს: ველი აკადემიაშიც.

საკუთარი ფოტოპორტრეტის ტირაჟირება ჩაიფიქრა:

_ არის თუ არა აკადემიაში ფოტოლაბორატორია? მაშინ აქვე დავამზადებინებ 50 პორტრეტს. მეტსაც! მეტსაც! მეტსაც!

არქივში პოეტის პროფილი შეგვხვდა _ შავ ქაღალდზე ამოჭრილი სილუეტი:

«ეიფელის კოშკის მეოთხე სართულზე კიოსკთან ერთი პატარა ნაცრისფერკოსტუმიანი ბერიკაცი შემოგვეგება... მხატვარი აღმოჩნდა და ქაღალდზე პროფილის ამოჭრა შემოგვთავაზა.

_ დიდი სიამოვნებით, _ შევცბი უნებლიედ, _ მაგრამ გროშებიღა შემომრჩა.

_ უფულოდაც შეიძლება... გთხოვთ რიგში დადგეთ ერთი წუთით... აი ასე... გმადლობთ... _ და მან სამარადისოდ უკვდავჰყო ბელორუსიისა და საქართველოს ორი სახალხო პოეტი და თქვენი მონა-მორჩილი» (ანა კარავაევა _ «ივნისი პარიზში»).

1955 წლის ზაფხულში დუშეთში ვაჟაობაზე, ეტყობა, სურათი გადაუღეს:

_ ...იდეალურად იჭერდა თავს. მისი ფოტო, თუმცა... არ ვიცი... მაგრამ მომავალი იმ ფოტოსია!

იმავე შუაღამის ოთხ საათზე სასტუმროში იხსენებს და იმეორებს:

_ ფოტო. ფოტო. ფოტო.

მამის სურათი არ შემორჩენია და:

_ შეიძლება თუ არა მამაჩემის პორტრეტის შექმნა აბესალომის და ჩემი პორტრეტის საფუძველზე?

1955 წლის 20 სექტემბერს გამოფენის მორიგი პროსპექტი შეადგინა და:

_ პორტრეტი გაკეთდება მამაისი.

არც დედის პორტრეტი ავიწყდებოდა:

_ დედის პორტრეტი. აუცილებელია ფოტოების დაგროვება და ერთი კარგი სურათის გაკეთება.

_ 1955, 31 მარტი. 3-4 პრილს მზად იქნება დედაჩემის დიდი ფოტოსურათი, დერჟინსკის კლუბის ფოტო-ატელიეში, 6 ცალი პატარებიც.

სხვათაშორის ჩაუნიშნავს:

_ საიდუმლოება ფოტოგრაფიისა.

1928 წლის ბლოკნოტში კი ჩაუწერია:

_ ხელოვნება ფოტოგრაფიის კარგად გადაღებისა.ეს უსათუოდ დიდი და კარგი ხელოვნებაა: ცხოვრების ხელოვნება. თითქმის ყველა ფოტოგრაფიებში მე კარგად გამოვდივარ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. სინათლე. ეს უმთავრესია. გამოყენებული უნდა იქნას ლუი დელლიუკის პრინციპები კინემატოგრაფიული სინათლისა. საჭიროა არა რემბრანდტიზმი: ნათელი, თეთრი ფონი სჯობია (კალიფორნიზმი). გარეშემო საგნები უნდა იყოს უსათუოდ თანამედროვე: ტელეფონი, ავტომობილი, ეტლი, გაზეთი, პორთფელი. პირველი პლანები (დიდი სახე) ააშკარავებს წლოვანებას. ეს ხან კარგია, ხან ცუდი. აქ საჭიროა ნიღაბი. ჯგუფებში _ ცენტრალური ადგილი. უნდა იცოდეთ _ სინათლის სწორი ალგებრა.

როგორც ვხედავთ, ფოტოხელოვნების საკმაო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ამჟღავნებს: შუქ-ჩრდილების განაწილებისა და ფონის გამოყენების პრინციპებში კარგად ერკვევა. პოზის საკითხშიც სათანადო პროფესიულ რჩევას იძლევა და საგულისხმო რეკომენდაციას გვთავაზობს:

_ ალექსანდროვის ბაღში სურათს იღებს სამი ახალგაზრდა. მე ვურჩიე მათ: გადაიღონ სურათი ასე: ნუ დასცქერიხართ წიგნს, თითქო კითხულობთ. ეს მეტისმეტად ფოტოგრაფიულია, წამოწოლა არ შეიძლება-მეთქი. ძლიერია ქართველში ელლინური სული და ტემპერამენტი. საშუალო ქართველმა, რა თქმა უნდა, არ იცის დიდი ესთეტიკა, მაგრამ უსათუოდ იცის ესთეტიკა. მაგალითად: ქართველი არ გადაიღებს სურათს ისე, როგორც რუსის სალდათი: «ჩესტით» და ასე უჩვეულოდ.

მისი სურათებიც ადასტურებენ: სახეც ფოტოგენური ჰქონდა და არც თავს იკავებდა:

_ კარგია სურათი «ჩერკესკა»-ში, სარაჯიშვილის ქუდით, ცხენზე.

_ ნაბადი. ნაბადი. ნაბადი. ნინა წინააღმდეგია, რომ მე ჩექმები ვიყიდო!!!

ნაბადიც შეუძენია და ბოხოხიც, ჩოხა-ახალუხიც და ჩექმებიც. კვლავ ფოტოსურათები გვიდასტურებენ: ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ზის და ხანჯალი ჰკიდია. ნაბადმოხურული დგას და ბოხოხი ახურავს. ერთხელ მხატვარსაც გამოეცხადა ყაბალახ-ბოხოხ-ნაბადიანი.

საკუთარ ავტომანქანასთანაც გადაუღია: ეზოში ტენტიან «პობედასთან» დგას და მხედრულად ესალმება თავის აივანს თუ ფოტოგრაფს (ხუმრობს, რა თქმა უნდა, აკი წინასწარ დაგვმოძღვრა: ქართველი «ჩესტით» არასოდეს გადაიღებსო). მეორეც მაშინ გადაუღია. იმავე მანქანაზეა მიყრდნობილი. ჭიშკრის თაღში მოჩანს წიგნის სასახლის დეტალი.

შოვის ფოტოა: მაგიდასთან ზის ეზოში, მაგიდაზე რემინგტონი უდგას.

ხუმრობდა კიდეც:

_ ბუდიმ კარტოჩკი სნიმატ.

ეტყობა, ხშირად და ყურადღებით ათვალიერებდა: შემონახულია 1957 წლის 20 ნოემბრის ვრცელი ჩანაწერი. დაწვრილებით აღწერს 1914 წელს ქუთაისში აკაკისთან და სხვა ქართველ მწერლებთან გადაღებულ ფოტოსურათს. თავადაც მოსწონებია:

_ თვითეულ ფოტოზე რომ ამდენი ვწერო, მთელი ავტობიოგრაფია გამომივა და ბევრი მოგონებებიც. ჰმ, სასიამოვნო სამუშაოცაა, განა!

სწორედ ამ სურათის გადაღების შემდეგ განაცხადა აკაკი წერეთელმა: ახალგაზრდებში ყველაზე დიდ იმედს გალაკტიონ ტაბიძეზე ვამყარებო. თუმცა ჭეშმარიტი გალაკტიონი, სხვა გალაკტიონი სწორედ აკაკის შემდეგ დაიწყო. აკაკი განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა. პირადად იცნობდა. ლექსებიც ბევრი დაუწერა. პოემაც. დღიურებშიც ხშირად იხსენიებს და იმოწმებს. წვერიც აკაკისავით დაიმშვენა:

_ აკაკი და გალაკტიონი. _ გალაკტიონი და აკაკი.

აღწერილი სურათიდან აკაკის პორტრეტი ამოუჭრია და თავისი ფოტო მიუდგამს გვერდით (რადგან თავის კერპთან ჯერჯერობით ფოტოზეც შორს იდგა, ყველაზე შორს!): აკაკი ზის. თვითონ ფეხზე დგას. დაუმონტაჟებია, გაუდიდებია და მუყაოზე დაუკრავს: აკაკი აკაკის ჰგავს. რეტუშირებული გალაკტიონი აღარა ჰგავს თავის თავს.

ორმოციან წლებში მეგობარ მხატვარს თედორე ჩუდეცკის აკაკისა და გალაკტიონის პარალელური პროფილები დაახატვინა (მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ცნობილი პროფილების ანალოგიით).

ორმოცდაათიან წლებში კი პროსპექტი შეუდგენია _ «გამოფენა-მოგონებანი აკაკი წერეთელზე» და სავარაუდო ექსპონატებს შორის სამივე გაუთვალისწინებია:

_ 12. ფოტო _ აკაკისთან სხვები... 13. ფოტო _ მე და აკაკი. 14. აკაკი და მე (პროფილები) ჩუდეცკისა.

ამავე წლებში განუზრახავს:

_ დეკადა. გალაკტიონი და აკაკი. _ და 32 გვარი ჩამოუთვლია.

რამდენიმეჯერ იმეორებს ერთ ეპიზოდს დარია ახვლედიანის მოგონებიდან. ავტოგრაფიც შეუნახავს:

«ახალგაზრდობიდანვე მქონდა ბედნიერება ჩვენი საყვარელი პოეტის აკაკი წერეთლის ნაცნობობისა... ერთხელ ჩვეულებრივად ვსაუბრობდით პოეზიაზე. მაშინ მთელი წყება ახალგაზრდები ახლად გამოსული იყვენ სამწერლო ასპარეზზე. მე მაინტერესებდა აკაკის აზრი, თუ როგორი შეხედულებისა იყო მათზე. ვკითხე:

_ ბატონო აკაკი, თქვენს შემდეგ ვინ მიგაჩნიათ პოეტად ჩვენში-თქვა.

_ ვაჟა ფშაველა და ცახელიო.

_ ესენი ხომ ვიცით, ბატონო, ახალგაზრდების შესახებ მინდა გავიგო თქვენი აზრი.

_ ახალგაზრდებში? _ ჩაფიქრდა და დინჯად წარმოსთქვა, _ ახალგაზრდებში გალაკტიონ ტაბიძეს უსათუოდ დიდი მომავალი აქვს, იმას ბევრი სიახლე შემოაქვს ჩვენს პოეზიაშიო».

ჩანაწერებს შორის ყურადღებას იპყრობს:

_ აკაკი წერეთლის ახალგაზრდობის დროინდელი ტრაგედია. პირადი ტრაგედია პოეტის, ისეთი ღრმა, რომ მან სამუდამოდ დაღი დააჩნია მთელ მის ცხოვრებასა და შემოქმედებას! რა იყო ასეთი? რა გახდა ისეთი, რომ მთელი ცხოვრება პოეტისა, მთელი აკკორდი მისი დიადი პოეზიის, დაემორჩილა იმ ერთ უღრმეს მწუხარებას?.. საიდუმლოებითაა გაჟღენთილი ეს ამბავი. საიდუმლოებითაა მოცული შინაარსი ორი ლექსისა _ «საიდუმლო ბარათი» და «დაკარგული საფლავი». «И никто не узнает, где

могила моя. საყვარლის საფლავს ვეძებდი, ვერ ვნახე, დაკარგულიყო». აი ეს ამბავი მსურს გამოვარკვიო, მაგრამ...

შეხების ახალ-ახალ წერტილებს ეძებდა, ახალ მაგალითებს, პარალელებს, პიროვნებებს, ფაქტებს, თარიღებს:

_ ათას ცხრაას რვა წელი _ საგულისხმო თარიღია ქართული პოეზიის ისტორიაში. ამ წელს საქართველომ იდღესასწაულა ღრმად მოხუცებული აკაკი წერეთლის მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის იუბილეი. ათას ცხრაას რვა წელი, ვიმეორებ, საგულისხმო თარიღია: ამ წელს სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა სრულიად ახალგაზრდა პოეტი, რომელმაც გამოსვლისთანავე ყურადღება მიიქცია არაჩვეულებრივი ტემპერამენტით, ლექსის ახალი ტეხნიკით. ეს პოეტი იყო... _ აღარ დაუმთავრებია და აღარ დაუსახელებია. არც იყო საჭირო.

პირველად აკაკის ხარაგაულის სადგურში ჩამომდგარი მატარებლის ფანჯარაში მოჰკრა თვალი სოფლის ახალგაზრდა მასწავლებელმა:

_ კუპედან ღმერთივით გადმოიხედა... მე თვალებით ვჭამდი ამ სახეს.

მერე, როგორც ჩვენ ავედევნებოდით ხოლმე გალაკტიონს, ისე ასდევნებია:

_ ერთხელ ქუთაისის ბულვარის პირად, მწიფობისთვეში, სიცხისაგან გავარვარებულ ტროტუარზე, დინჯად მიდიოდა აკაკი თეატრიდან ბანკის მიმართულებით. მას ეცვა საზაფხულო პიჯაკი, რომელიც სიცხის გამო მოეღიავებინა. ქუდი ჩვეულებრივად არ ეხურა. ჩემი ყურადღება მიიქცია იმ გარემოება, რომ გზად მიმავალი პოეტი ხელებს იქნევდა, ხან მარჯვენას, ხან მარცხენას, თითქოს თავის თავს რაღაცას ელაპარაკებოდა. აიქნევდა ჯერ მარჯვენა ხელს, მერე მარცხენას. მე ძლიერ დავინტერესდი და კიდევაც გავყევი, ავედევნე.

1914 წელს უკანასკნელად შეხვედრია:

_ 1914 წელს სასტუმრო «გრანდ-ოტელში» პატარა, ცივ ოთახში, გალაკტიონი უკანასკნელად ხვდება აკაკი წერეთელს.

აკაკი წერეთლის ერთი ჭირისუფალთაგანი გალაკტიონი გახლდათ. საშუალება გვაქვს წარმოვიდგინოთ იგი აკაკის პანაშვიდზე _ ღრმად დამწუხრებული:

_ აკაკის პანაშვიდზე ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა ახალგაზრდა ჭაბუკმა. ის იდგა ეკლესიაში საშინელი დამწუხრებული, ღრმა ფიქრებში წასული, თითქოს სადღაც სამარეს ჩასცქეროდა... თითებში ანთებული სანთელი ეჭირა... სანთელი მთლად დაიწვა... ჭაბუკი ღრმა ფიქრებისაგან მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა თითებში სიმხურვალე იგრძნო. თავი ასწია და მწუხარე თვალები სივრცეს მიანათა. ეს იყო გალაკტიონ ტაბიძე (ლიდია მეგრელიძე).

შეგვიძლია აგრეთვე გავიხსენოთ ერთი _ ოცდაათი წლის შემდეგდროინდელი მომენტი საავადმყოფოს დღიურიდან _ მაგიდის კალენდარზე მიწერილი 1945 წლის 14 აპრილს:

_ იყო უშანგი ჩხეიძე. მომიტანა ხაჭაპური. დიდხანს ვისაუბრეთ. საღამოთი ვკითხულობდით აკაკი წერეთელს: როგორ დაგვშორდა!

ძნელი ასახსნელი არ უნდა იყოს მისი გამორჩეული სიმპათია აკაკისადმი: თუკი წინა საუკუნეში გადავიხედავთ და პარალელებით დავინტერესდებით, უპირველეს ყოვლისა, აკაკი წერეთელთან უნდა შევჩერდეთ. ნიშანდობლივია გვიანდელი აკაკისა და

ადრინდელი გალაკტიონის შეხვედრა. შეიძლება აკაკისთანვე ამოვიცნოთ სილაში ვარდისა და სილაჟვარდის ნიშნებიც კი:

საიმქვეყნოდ და საამსოფლოდ
სამშობლოსათვის დასდგა «სამშობლო».

საყურადღებოა ასეთი პარალელიც:

_ ბოდლერი და აკაკი წერეთელი. 1913 წ.

ერთ ჩანაწერში კი აქებს ფრანგი პოეტის «შესანიშნავ ლექსს» _ «ლოცვა-კურთხევა» და სინანულით დასძენს:

_ ძალიან სამწუხაროა, რომ ეს ლექსი ქართულად არ დაიწერა, მაგრამ აკაკის ნაწერებშიც ბლომადაა გაბნეული ამის მსგავსი ფიქრები.

რემინისცენციებმა შორს შეგვიტყუეს. საჭიროა ლიტერატურულ მუზეუმში შემოვბრუნდეთ, გალაკტიონის ხელნაწერებთან: არქივის ფოტოებს წარწერებიც ახლავს, მინაწერებიც, მინახატებიც. ბატონი ლადო გრიგოლია ჩვეული ყურადღებით აკვირდებოდა, არჩევდა, გამადიდებელი შუშით ამოწმებდა. ჯგუფურიდანაც ამოაბეჭდვინა და შემდეგ ქრონოლოგიურად განალაგა თორმეტივე ტომის სუპერზე.

ხელნაწერებიც გავსინჯეთ, არანაკლებ საინტერესო, პოეზია და ყოფითი პროზა ერთმანეთის გვერდით. მხატვარმა ერთი ლექსის ავტოგრაფი ამჯობინა სხვებს _ «მთვარის ნაამბობიდან». ავტორის ხელმოწერა მიუსადაგა, თავისებურად დაამუშავა, დახვეწა და ყდის მთელ ფართობზე მოათავსა, როგორც ფონი და გრაფიკული ელემენტი, რომელიც კიდეც იკითხება და არც იკითხება, და რომელსაც ოქროს ფოლგით დატვიფრული დაფნის ტოტი და პოეტის ხატოვანი ფაქსიმილე ამშვენებს.

მაღალი ინტელექტისა და უტყუარი გემოვნების მხატვარი ღირსეულად აფასებდა პოეტის პიროვნებას და, როგორც ჩანს, ეს სიმპათია არ ყოფილა ცალმხრივი:

_ «ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს, ის პოეზიას ჩემსას გაიგებს» _ ჩვენს ოქროს ლადო გრიგოლიას.

გალაკტიონის არქივი მდიდარი წყაროა არამარტო ტექსტოლოგებისათვის. 1982 წელს გამოვიდა ავტოგრაფების პატარა კრებული, დიდი ფოტოალბომი კი კარგა ხანია შედგენილია და დღემდე არ დაადგა საშველი.

1973 წელს მურმან ლებანიძემ შეადგინა რჩეული და ფოტოები გრაფიკულ თავსართებად გამოიყენა. წლების მიხედვით გაწყობილი ოთხმოცდათოთხმეტი ფოტოსურათი _ ფოტობიოგრაფია _ შენელებული კადრებივით გაიელვებს მკითხველის თვალწინ და ლექსებივით იკითხება.

ქართველი ფოტოგრაფები და მათი მემკვიდრენი დღესაც პრესტიჟულ რეკლამად იყენებენ პოეტის ფოტოებს, ხოლო თბილისელები _ ორიენტირებად...

ხელნაწერებში ბევრი ნახატი და ჩანახატია გაბნეული. ხატავდა ფანქრით, კალმით, საღებავებითაც. საკუთარი წიგნების ყდებსა და ტიტულებსაც ხშირად ხატავდა, წიგნებსაც: ოცნებად ექცა! დღიურებისა და ჩანაწერების ვიზუალური მხარე ცალკე საუბრის თემაა.

გალაკტიონის გრაფიკა! დღემდის არავინ მიაქცია ყურადღება. არადა ღირსია: პოეტურია და ბიოგრაფიული. თუ ამ აპოლოგიას წიგნად გამოცემა ეღირსა, გალაკტიონის ნახატებით უნდა გავალამაზო.

ჯვარზე გაკრული ელვა

ერთი სიურპრიზი კიდევ შემოგვთავაზა: ნახატები! კაცმა რომ თქვას, მოულოდნელიც არაფერია: გავიხსენოთ მისი ხაზები და ფერები, მისი ჩრდილები და აჩრდილები, სიმბოლოები და ალეგორიები, ვან დეიკის ლანდები და ვერონეზეს ცა, ჯოკონდას ღიმილი და ოცნება მიქელანჯელოსი, გოია და ბოტიჩელი, რემბრანდტები და ტიციანები, ფრაგონარი და რიბერა, მურილიო და კაელიო, ვრუბელი და როდენი.

ერთხელ კიდევ გავიხსენოთ: მღვრიე მშვენება. შენი შეშლილი ფერი. მთების გადაშიშვლება ლურჯად გადალილული. ივლისისფერი ყინვა. თეთრი ქარები და თეთრი კუბო კავკასიონის. ლურჯი ყინული და ლურჯი ბურუსი. ლურჯი დღე და ლურჯი მოგონება. ცისფერი ვარდები და ცისფერი ღვინოები.

დღიურებშიც გადავიხედოთ:

_ მადათოვის კუნძულს უნდა დაერქვას სახელი _ ყველაზე საინტერესო მომენტი ტფილისის წყალდიდობაში იყო «ცისფერი კუნძულის» გაქრობა.

ჩანს, თვითონ მონათლა. ცისფერი ხომ მისი რჩეული ფერი იყო: «ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფერი?».

თოვლის ფერს საგანგებოდ დაეძებდა: მღვრიე და ირიბი, იისფერი და ვარდისფერი, ლურჯი და შავიც კი. ერთხელ ზამთრის ბაღში შებრძანდა: თოვლის მშვენიერებას ერთი რამ აკლიაო: გულისჯიბიდან წითელი ღვინით სავსე ბოთლი ამოიღო და თოვლზე დაღვარა. ქათქათა თოვლი ვარდისფრად დაიწინწკლა და შეიღება. გაიხარა და ამ სილამაზის ქებათაქება აღავლინა.

ახალ-ახალ საღებავებს აზავებდა დაბინდული ქლიავისა და იისფერი ვარდების ნათლია: ქარვისფრად წითელი. _ ლილისფრად ყვითელი. _ ფერადი ქარები. _ თეთრი წვიმა, განუწყვეტელი თეთრი წვიმა. _ წითელი წერტილი შავ რკალში. _ ბაიისფერი ბაია, ფერით მალარიასთან ომში მყოფი კომშები. _ ხე არაფერს წარმოადგენს, ანარეკლში მშვენიერია.

ცისარტყელას ფერადებს ახარისხებდა და ახალისებდა:

_ წვიმის შემდეგ ცაზე აღმოსავლეთით გამოჩნდა ცისარტყელა: მასში უფრო მეტი იყო მწვანე ფერი, სწორედ ისეთი, როგორიცაა ახლად ამწვანებული ჯეჯილი სიმინდისა. იყო ცისარტყელაში წითელი ფერი, წითელი, როგორც ბროლის ჭიქაში მდგომიარე ღვინო, რომელიც გუშინ მოგაწოდა მეგობარმა, და ყვითელი, როგორც ტობანიერში ამ შემოდგომაზე დაგროვილი გარჩეული სიმინდის ტაროები, ან ჯერ კიდევ აუჩეხელი სიმინდის ჩალა.

ახლა წარმოვიდგინოთ და წარმოვადგინოთ არც ისე ძნელად წარმოსადგენი ნახატი მეტაფორები, ხელშესახები მეტაფორები _ თითქმის ოფორტები, თითქმის გრავიურები («მოასხით ჯოგი მეტაფორების»): ფანჯრის მინებზე აყვავებული ფეერიული ყინვა. _ მაგრამ უეცრად ყვავილივით გაიხსნა მთვარე. _ წელში მოხრილი ზვირთივით დგას ძველი წისქვილი. _ მათხოვრებს ხიდზე მიათრევს ქარი. _ ერთი შეხედვით თითქოს მკვდარია ქალაქი, მაგრამ არ არის მკვდარი. _ ატმის ხე იდგა თაიგულივით. _ ტყე ტაძარივით იყო მაღალი. _ ვით დამსხვრეული ჭიქა, გატყდა ღიმილი ტუჩის. _ საღამო იწვა ხავერდის ყდაში. _ საღამოს წიგნი მთებმა დახურეს. _ წამწამების ტყე. _ ნისლის

ბარიკადები. _ ნისლთა პირამიდები... _ და მეტაფორების შედევრი: ჯვარზე გაკრული ელვა!

უცნაური ფაქტი: უწვრილმანეს დეტალებს აღრიცხავდა და არასოდეს წამოსცდენია: სად, რა, როდის, ვინ დახატა!

წერდა და ხატავდა. ხშირად ნაწერი და ნახატი განუყოფელია. უპირატესად ესკიზებია, ესკიზებადვე დარჩენილები. ზოგიერთი აშკარად აღემატება მოყვარულის დონეს, მეტია ვიდრე დიდი ტალანტის უბრალო გატაცება. მეორე მუზაც გულუხვად სწყალობდა. აქაც თავისებურად გრძელდება მისი ლირიკის სასწაულები და დღესასწაულები: პეიზაჟები, ნატურმორტები, შარჟები, პორტრეტები, ავტოპორტრეტები, ნახევარპორტრეტები (თითქოს მეორე ნახევარს ქაღალდი წააფარეს ვერტიკალურად), რეალისტურები, კონკრეტულები, აბსტრაქტულები...

კვლავ მაძიებელია, კვლავ მოულოდნელი ხილვებით გვაოცებს: დაკერებული სიფათი, თავში ჩასმული მაღვიძარა, საკანი შუბლში, შუბლში კითხვის ნიშანი, კითხვის ნიშნის თვალები და ტუჩი, ერთთვალიანი კაცი-ციკლოპი, სამთვალიანიც. ანფასში ჩახატული ორი პატარა ანფასი, პროფილი პროფილში და კიდევ პროფილი. ორპროფილიანი სახე _ იანუსი, რომბის თვალები, სამკუთხა თვალები, კვადრატული ქუდები-აგურები. ნიღბების კარნავალი, ულვაშების კოლექცია. მსუქანი ტიპები. შლაპიანი ფილისტერი, შლაპიანი ეშმაკი. ყვავილის ბიჭი, ქალი-ფარშავანგი, გენერალი-ბეღურა, მერცხალი-დირიჟორი, კვარტეტი: მგოსნები-ფრთოსნები. სათვალიანი ხარი, უცხვირპირო ვეფხვი, თაგვები წიგნებთან-წიგნებზე-წიგნებში. აბსტრაქტული კონსტრუქციები, აბსტრაქტული პეიზაჟები და ნატურმორტები. ფრაგმენტული პორტრეტები, დაუსრულებელი სილუეტები. რეალური და პირობითი ჩარჩოები. მრავალასპექტიანი კომპოზიციები. ორიგინალები, ასლები...

ტიციანები! ხშირად და ხშირად ხატავდა თავის ნახევარძმას, მაშინაც, როცა ტაბუ ედო. ხატავდა ბავშვივით _ სიყმაწვილის შთაბეჭდილებას აღადგენდა, ხატავდა ყვავილივით _ «გიაცინტო», ხატავდა ნახევრად _ ღობესამოფარებულს, ვერტიკალურადაც ანახევრებდა. დაუხატავს: თვალები-ინიციალები: ტ. ტ.

ბევრი ნახატია ზურგშექცეულთა: ქალი, მამაკაცი, ორი მამაკაცი, სამი მამაკაცი, უცნობი გენერალი, ნაცნობი მწერლები, ვინმე «კოლკა», მასხარა, უცნაური ორფეხა, თაგვები, თაგუნიები და ასე შემდეგ. რას უნდა ნიშნავდეს? ალბათ _ პროტესტს ყოველგვარი უკეთურებისადმი _ «პროტესტანტები»!

ერთი ნახატია: მავთულხლართებით შემოსაზღვრული და დაფარული მინიატურული საკონცენტრაციო ბანაკი. წინ პატარა ჯარისკაცუნები მორიგეობენ. სათადარიგო დაცვა ფეხბურთის თამაშით იქცევს თავს.

ზოგიერთს მინაწერი ახლავს, რამდენიმეს _ სტრიქონები და სტროფები:

ესე ქალი გამოვხატე ფარშავანგად, არა ქალად,
დაიბადა იმერეთში მისი ქვეყნის ბარაქალად,
მოევლინა ამერეთსაც რა სიმძიმედ და რა კალად,
ის იქცევა ამიერით თავის ტვინად, არა ქალად.

ბოროტი შვილის დედასა რა მოაშორებს სევდასა.

ზღვები ემორჩილებიან ძლიერ ადამიანებს.

Только сильным подчиняются моря.

Капитан, капитан, улыбнитесь.

Приветствую тебя, мой дальний.

Тупоумие заедает, заедает, заедает.

Шумелита, Плакалита, Рыдалита, Ревелита...

უფრო შორს ნუ წავალთ! მკითხველს დანაპირები შევუსრულოთ: ასიოდე ნიმუში ჭაშნიკად დავბეჭდოთ. ალბომს დაველოდოთ, გამოფენასაც.

მიეთოვოს, მოეთოვოს

მეორე სიურპრიზიც მოგვიმზადა: ლექსში გადარჩენილი ფიროსმანის ფარშავანგები! იყო კუნძული მტკვარზე. იდგა კუნძულზე რესტორანი. კედლები რესტორნისა მოხატა მხატვარმა. მოკვდა მხატვარი. დაინგრა რესტორანი. გაუქმდა კუნძული. და მხოლოდ პოეტის სტრიქონებში დარჩა და გადარჩა მხატვრის ფრესკა _ მელოდიური მეტაფორა: «მიეთოვოს, მოეთოვოს კედლებს ფარშავანგები».

გალაკტიონი და ფიროსმანი! თბილისის ქუჩებსა და ქუჩაბანდებს ახსოვს ორი მოხეტიალე გენია, ორი მარტოსული, ორი უცნობი, უცნაურ ვარსკვლავზე დაბადებული დიდი ბავშვები: ერთი _ შეუცნობელი და დაუფასებელი, მეორე _ აღიარებული და ტიტულოვანი, _ და მაინც ორივე ერთნაირად შერისხული და გამეტებული. მათი გზები მარტოობის დღესასწაულზე შეხვდნენ ერთმანეთს, ბახუსის შუქით გაბრწყინებულ გზაშესაყართან: მხატვარი თითქმის ეთხოვებოდა საყვარელ ქალაქს, პოეტი თოთქოს აგრძელებდა მხატვრის ნაკვალევზე ხეტიალს, მხატვრის ამქრებსა და ამფსონებს უახლოვდებოდა: ერთმა ამათაგანმა _ პუჭურ მიხა მირზოევმა _ 1959 წლის ოცდაერთ მარტამდეც მოაღწია, და როცა რეპროდუქტორიდან სამგლოვიარო მელოდიის პირველი აკორდები შემოესმა, რის ვაი-ვაგლახით წამოდგა საწოლიდან, სიცხით გათანგული _ ბოლომდე ფეხზე იდგა და ნიკალას ხათრით და ნიკალას მაგიერ _ ასე გააცილა და მიაგო პატივი მთაწმინდის აღმართისკენ აღმავალს, რომელსაც ნახევარი საქართველო მიაცილებდა...

მთაწმინდისკენ აღმავალმა კი, ზუსტად ოთხი ათეული წლით ადრე, პირველმა დაიტირა წინა წელიწადს უპატრონოდ გარდაცვლილი მწუხარების მეინახე (იქნებ ერთი წლის შემდეგ შეიტყო? ერთი წლის შემდეგ კი არა _ მგონი ჯერ არც კი იცის, _ არა, ნამდვილად არ იცის: ცოცხალივით იხსენიებს):

სული სტირის და როს ნანას, კოჭლო საჰაკ, ჰპირდები,
დაანებე ფიროსმანას სევდიანი ტვირთები.

და ვარიანტიდან ვარიანტში გაგვიცოცხლა და შემოგვინახა ფიროსმანის თბილისი: მადათოვის კუნძული, რესტორანი «თეთრი პელიკანი», მტკვრის განათებული სანაპიროები, ყორანი, ტივები, საზანდარი, საიათნოვას დაჟანგული ჰანგები, ფერებისა

და კახპების კივილი, ფარშავანგები, ირმების დარდები (ირმებს ხომ ხშირად ხატავდა: იქნებ აქაც?!) და კოჭლი საჰაკა, რომელიც მეორედაც გაიხსენა: ძველი აშუღის შაქარ-ოღლანის მუხამბაზი ჩაიწერა:

კოჭლი საჰაკ დადის დალახლახითა,
ფეხებს ათრევს ვაითა, ვაგლახითა.

ხოლო ამ სტრიქონების გვერდით კიდევ ერთი საინტერესო დეტალი მიგვანიშნა:

_ ოთახში ჩამოკიდულია გალიები იადონებით.

მეორე ლექსიც მალე დაწერა _ «ტფილისი». აქ უკვე აღარ იხსენიებს, მაგრამ თუ კარგად დააკვირდებით, ამოიცნობთ: აქაც ათოვს მადათოვს, აქაც ღამდება და მტკვარი ბრწყინავს, კვლავ მწუხარე სიზმრები და ზმანებები ენაცვლებიან ერთმანეთს... და მალე დამატებითი ფერები და კონტურები გამოჩნდება: არსენალის მთა და ჟირაფები. ფონი თითქოს ნატურიდან ანუ ჩანახატიდანაა გადმოწერილ-გადმოხატული: ლაკონური და მარტივი («ცა _ ოკეანე, მთვარე _ ნაფოტი»): მთვარიანი ცა მთასაც კი ავიწროვებს და ოკეანეს დამსგავსებია _ ატალღებული. იშლება საზღვარი ხაზებსა და სტრიქონებს შორის და თვითონ ფიროსმანის ხატებაც გამოგვეცხადება (ახლა კი ყოველივე უწყის პოეტმა!):

და მესიზმრები შენ, ვისაც ქერა სამოსი გმოსავს სნეულ ოცნებით
და არ მშორდება ღვთისმშობლის ცქერა, სავსე ქართული პატიოსნებით.

ამ ცრემლნარევი და სევდანარევი ტაეპების ადრესატი უცნობია. ჩვენს ვარაუდს კი ერთი ფაქტიც აძლიერებს: ზარნიშიან წიგნში ორივე ლექსი თანმიმდევრობით დაბეჭდა _ ჯერ «ტფილისი» და შემდეგ «თეთრი პელიკანი». თანაც პირველს განმეორებული ბოლო რვა სტრიქონიც მოაკვეცა, მრავალწერტილებიანი ტაეპებით დაასრულა, დაუმთავრებელს დაამსგავსა და ასე უფრო დაუკავშირა მომდევნო მეორეს, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა რიტმებია. მოგვიანებით დიდ დავთარში თავისი რჩეული ლექსების, სტროფებისა და სტრიქონების ვრცელი კოლაჟი მოამზადა. აქ უკვე პირველი ლექსის მხოლოდ სამი კუპლეტი შეარჩია და უცნობის მოსიზმრებას უშუალოდ მოაყოლა: «გადმოფრენას ეს ყორანი მადათოვზე აპირებს»...

რაც მთავარია, მხოლოდ გალაკტიონს შეეძლო ალბათ ფიროსმანის თვალებში მაშინვე აღმოეჩინა და ამოეცნო «ღვთისმშობლის ცქერა, სავსე ქართული პატიოსნებით». ლადო ასათიანიც გუმანით იგრძნობს და გაიხსენებს ოცი წლის შემდეგ: «მარტოდენ გული და ბაჯაღლო პატიოსნება», _ და უნებლიეთ დაგვემოწმება: ასე შეუცნობლად ხვდებიან ერთმანეთს პოეტები! პოეტები და მხატვრები!

ფიროსმანის აპოლოგია პოეზიაში და არა მარტო პოეზიაში ცოტა მოგვიანებით დაიწყო და დღემდე გრძელდება. სხვებმა აიტაცეს, გულში ჩაიკრეს, მიისაკუთრეს, გაიტანეს, გააღმერთეს. ჩვენი პოეტი არავის გახსენებია, და მხოლოდ სხვა თაობის კაცი, ჩემი თაობის მხატვარი _ თენგიზ მირზაშვილი _ მოვიდა ჩემთან და დამაკვალიანა. გალაკტიონმა კი, მიუხედავად თავისი დაულაგებელი ცხოვრებისა, როგორღაც მოიპოვა თუ გაიმეტა და 1930 წლის 20 ივნისს საქართველოს ეროვნულ გალერეას ჩააბარა ფიროსმანის «პატარა მეთევზე» (ესეც სხვას მიაწერეს!).

ხოლო 1935 წლის ივნისში პარიზში ვერ შეხვდა ილია ზდანევიჩს _ ფიროსმანის ერთ-ერთ აღმომჩენსა და პირველ რეცენზენტს, რომელსაც კარგად იცნობდა, ვიდრე ეს

უკანასკნელი უცხოეთში გაემგზავრებოდა («უზარმაზარი ცილინდრით, ხალხის ყბადაღების ნიშნად, დადიოდა ილია ზდანევიჩი»).

როგორც ჩანს, ეს შეხვედრა არ შესდგა, მიუხედავად ემიგრანტის აქტიური მცდელობისა. რამდენიმეჯერ მიაკითხა პარიზის «პალას ოტელში», მაგრამ ვერ დაიჭირა. ბარათი დაუტოვა სასტუმროს ცისფერ ბლანკზე: გუშინაც შემოვიარე და დღესაც, მაგრამ ვერ მოგისწარით, ვერც კონგრესზე გიპოვნეთ. ხვალ დილით შემოვივლი 10 საათამდე და იმედი მაქვს შეგხვდებით, რადგან ძალიან მინდა თქვენი ნახვაო.

მორიგი მოკითხვისას ბილეთი დაუტოვა და დაპატიჟა: ამ ბილეთით ტროკადეროს მოედანზე მობრძანდი აუცილებლად საღამოს ცხრის ნახევარზეო.

გალაკტიონმა პარიზში ათი დღე დაჰყო, მაგრამ ფიროსმანის პატრიოტმა კოლეგა ვერასგზით ვერ მოიხელთა. ჩანს იმედი დაკარგა და მესამე ბლანკზე გამოეთხოვა:

_ Дорогой Галактион. Заходил много раз, но не могу тебя застать. Счастливой дороги, привет товарищам. Борись в Тифлисе за наше общее дело.

საფიქრებელია, გალაკტიონმა შეგნებულად აარიდა თავი თბილისელ ნაცნობს, რომელიც 1921 წელს წავიდა ემიგრაციაში. პარიზში გალაკტიონი არ შეხვედრია საქართველოდან წასულ არცერთ ემიგრანტს. თუ გახსოვთ, გამგზავრების წინ ბერიამ დაიბარა, მასთან ერთად მიიწვია კონგრესის მეორე დელეგატი, სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ვაჰრამ ალაზანი («ალაზანს ეშინია, მე ჰმ...»). მიუხედავად აღნიშვნისა, შეხვედრა გულთბილი იყო და რჩევა-დარიგება ამხანაგურიო, _ ალაზანის შიში და გალაკტიონის წინათგრძნობა გამართლდა: მალე დიდი რეპრესიები დაიწყო და ალაზანი დააპატიმრეს. დააპატიმრეს საბჭოთა დელეგაციის თითქმის ნახევარი. და თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ მრავალ რეპრესირებულს სწორედ პარიზის შეხვედრები წაუყენეს ბრალდებად, გალაკტიონის სიფრთხილე სავსებით გასაგები და გამართლებულია.

მოგვიანებით შევიტყობთ: გალაკტიონთან შეხვედრის სურვილი ჰქონდა გრიგოლ რობაქიძესაც. მაგრამ მასთან შეხვედრა მით უფრო სახიფათო გახლდათ.

ყოფილა კიდევ ერთი ცდა ბერლინიდან:

_ პატივცემულო ტიციან! მე ვარ შვილი კბილის ექიმ თევდორე ცხომელიძის, რომელსაც თქვენ ალბათ იცნობთ. ვსწავლობ აქ პოლიტექნიკუმში და ვფიქრობ ამ ზამთარში სწავლის დასრულებას და საქართველოში დაბრუნებას. ძალიან მინდა თქვენი ნახვა. გთხოვთ უკან დაბრუნებისას, შეძლება მომცეთ გნახოთ ბერლინში. კარგი იქნება პარიზიდანვე მომწეროთ სად ან როდის შეიძლება თქვენი ბერლინში ნახვა. ბერლინში ჩამოსვლისას რომ დამირეკავდეთ, დიდი მადლობელი ვიქნები. პატივისცემით ვალოდია ცხომელიძე.

ბატონ ვალოდიას სახელი ეშლება. რუსი მთარგმნელების წყალობით უცხოეთში ტიციანი უფრო ცნობილი ყოფილა. ცხადია, გალაკტიონი ამ შემთხვევაშიც თავს შეიკავებდა, მით უფრო _ უშიშროების ორგანოების ყურადღება არც ამ მგზავრობისას აკლდა:

_ ვარშავაში ვიყავი 1935 წ. მატარებელში არ მოგვასვენა გამყოლმა პოლონელმა ქალმა. «ინებეთ ეს, ინებეთ ისო!». არაფერი ჩვენ არ გვინდოდა. ის ქალი კი წამდაუწუმ აღებდა ჩვენს კუპეს კარებს მატარებელში და ძალიან უკმაყოფილო იყო, რომ არაფერს

ვყიდულობდით მისგან. საუბარიც კი არ გვინდოდა მასთან. ვინ იცის, ვინ ოხერია-მეთქი, ვფიქრობდი. ძალიან კი გვითვალთვალებდა.

ეტყობა, ასეთი სახიფათო სიტუაცია ზდანევიჩმაც იგრძნო და ხელიც ამიტომ ჩაიქნია. მაშინ ზდანევიჩის სამი პატარა ბარათის თბილისში ჩამოტანაც სახიფათოგახლდათ: საკმარისი იქნებოდა თავისებურად გაეშიფრათ საბჭოთა რეჟიმს 1921 წელსვე გარიდებული ემიგრანტის უკანასკნელი ფრაზა: «Привет товарищам. Борись в Тифлисе за наше общее дело». ანტისაბჭოთა დაჯგუფების უკეთეს სამხილს ჩეკაც ვერ ინატრებდა დიდი ტერორის წინადღეს. გალაკტიონმა კი ეს ბარათები პარიზიდან მოსკოვში გამოატარა და თბილისში ჩამოიტანა. «პალას ოტელის» ეს სამი ფარატინა ფურცელი ბომბივით ეწყო მარჯანიშვილის ოთხი ნომრის მეორე სართულზე. თუმცა მათი მოძებნა პოეტის არქივის ლაბირინთებში თვით სუკის აგენტურასაც გაუჭირდებოდა: მომავალი წლის 11 ნოემბერს, ოლია რომ დააპატიმრეს, მხოლოდ პასპორტი, ქვითარი და ორი შარფი ამოიღეს.

როგორც ირკვევა, ორ ემიგრანტს მაინც შეხვდა პარიზში, მაგრამ ისინი რევოლუციამდე _ 1915 წელს გადასახლდნენ საფრანგეთში და ალბათ უფრო სანდონი აღმოჩნდნენ:

_ მხატვარი ლარიონოვი და გონჩაროვა, ანნა კარავაევის ქალი და მე გათენებამდე დავდიოდით ე.წ. «პარიზის სტომაქ»-ში.

ცნობილი რუსი მხატვრები, ცოლ-ქმარი მიხეილ ლარიონოვი და ნატალია გონჩაროვა ადრეულ პერიოდში პრიმიტივისტების ნახატებს აგროვებდნენ და მოსკოვში ავანგარდისტების სამი გამოფენა მოაწყვეს. მესამე 1913 წლის 24 მარტიდან 7 აპრილამდე გაგრძელდა. სწორედ აქ გამოჩნდა პირველად ფიროსმანის ოთხი ნახატი, რომლებიც ლარიონოვის თხოვნით ზდანევიჩებმა წარადგინეს. მიხეილ ლარიონოვი გახლდათ აგრეთვე ის პიროვნება, რომელმაც პრესაში პირველად ახსენა ფიროსმანი (1913 წლის 7 იანვრის «მოსკოვსკაია გაზეტა»).

სწორედ ამ მიხეილ ლარიონოვთან და მის მეუღლესთან ერთად დაეხეტებოდა გალაკტიონი «პარიზის სტომაქში» ანუ ღამის ცენტრალურ ბაზარში, და ძნელი დასაჯერებელია, ფიროსმანზე შეყვარებულ რუს მხატვრებს ქართველ პოეტთან შეხვედრისას არ გაეხსენებინათ, ლარიონოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, «საუცხოვო და არაჩვეულებრივი ფიროსმანი».

ასე რომ, პარიზის ცის ქვეშაც ფიროსმანის «ძვირფასი ხატი» მიუძღოდა მეგზურად ყველასთან, ვისაც შეხვდა და ვისაც ვერ შეხვდა...

ცოტა მოგვიანებით მოულოდნელად შეგვეკითხა:

_ სად ვხვდებით ერთმანეთს ან მე და ან ქართველი მხატვრები: ძველი ფრესკები, ფიროსმანიშვილი?.. _ და ეს შეკითხვა უპასუხოდ დაგვიტოვა.

ჩვენ კი შევახსენებთ: რიყის მიდამოებში, 1938 წლის 27 მარტს:

_ ქალაქში ხეტიალის ხასიათზე ვიყავი. დავათვალიერე რიყის მიდამოები... იღებენ ძველ სახლებს. ამაგრებენ მტკვრის მარცხენა ნაპირს. რიყის ბაზარი უკვე აღარ არსებობს... აი სახლი, სადაც ცხოვრობდა საწყალი ნიკალა ფიროსმანიშვილი, მხატვარი, რომელმაც მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გაითქვა სახელი. აღებულია სახლი, რომელშიც სცხოვრობდა ერთი ძველი ტფილისისა და ხალხური შემოქმედების გიჟი.

ხოლო «საწყალი ნიკალა» თავისი მარტოობის განუყრელ მოზიარესთან ერთად გაიმეორებს:

შემდეგ არაა არსად ახალი ცა _ ოკეანე, მთვარე _ ნაფოტი,
ტფილისი ჩემთვის არის მაღალი გილიოტინა და ეშაფოტი.

მარტოობის დღესასწაული

სხვასთან ერთად იშვიათად შემხვედრია.
_ პოეტი, რომელსაც უყვარს მარტოობა.
მთელი ცხოვრება მარტო გაატარა თითქმის.
_ ძალიან მარტო დარჩა. მეტისმეტად მარტო.
მეგობარივით ყველგან ახლდა თავისი განუყრელი მარტოობა.
_ ჩემი მეგობრები სოფელში მხოლოდ წიგნები იქნებიან.
_ ამიერიდან მრჩება ერთადერთი მეგობარი _ «წიგნი».
_ არასდროს მარტო მე არ ვყოფილვარ: ჩემს გვერდით იყო წვიმა და ქარი.
_ პოეტი არასდროს მარტო არ არის.
ერთადერთი სტრიქონი დაწერა და დაბეჯითებით შემოგვედავა:
_ თქვენ, რა თქმა უნდა, არ გესმით ჩემი.
სათაურიც მოინიშნა: «საშინელი მარტოობა».
კატეგორიულად განაცხადა:
_ მე მქონდა საკუთარი ტრაგედია.
რა თქმა უნდა, ობიექტურმა მომენტებმაც დაუნდობლად დადაღეს ზედმეტად მგრძნობიარე სული, მაგრამ არ არსებობდა სიხარული, რომელსაც შეეძლო მისი ხანგრძლივად გაბედნიერება:
_... და ერთ რამეში, სასტიკ სინამდვილეში თანდათან ვრწმუნდები. მე, თურმე, მთელ დედამიწის ზურგზე არ შემძლებია არავისთან გულწრფელი საუბარი... ეს ჩემი გულის ღრმა ტრაგედიას შეადგენს...
მისი მარტოობაც _ გენიის მარტოობა იყო:

სადმე სხვა ადგილს დავესახლები სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი,
სადაც იქნება ცოფი ნაკლები და უფრო ნაკლებ ადამიანი.

ერთადერთხელ გადალახა იმპერიის საზღვრები და უცხოეთის ქუჩებში დაეძებდა თანაგრძნობასა და თანამგრძნობელს:
_ არა ერთხელ ვწუხდი, რომ მრავალი საყვარელი ფიქრი, რომელიც ვერ გაიგო ჩემს ქვეყანაში საუკეთესო მეგობარმაც კი, მე გავფანტე პარიზში, ჩემთვის უცნობ და უდაბნო პარიზში, უნებურად ვუზიარებდი რა მას საოცნებო მოცალეობას... და საოცარი ისაა, რომ ყოველთვის უბედურ ავდრიან წუთში მის წინ სარწმუნოებით კანკალებს ჩემი ცრემლი.
აღიარებდა:
_ ჩემს ცხოვრებაში არავინ არაფერს არ დამხმარებია, არც მიმიმართავს დახმარებისთვის, არ დამიმდაბლებია თავი... ეს ერთ-ერთი ჩემი უდიდესი შეცდომათაგანი იყო...
ამას საკმაოდ გვიან მიხვდა და ინანა კიდეც:

_ შეიძლება განა ადამიანმა უადამიანოდ იარსებოს ან ისე, რომ რაიმე დამოკიდებულება არ ჰქონდეს მასთან? არა. მაშ ურთიერთობა, დამოკიდებულება _ თავისთავად არ გულისხმობს განა ერთმანეთისადმი დახმარებას? პირიქით! ეს შეუძლებელიცაა. რაგვარი წეს-წყობილება არ უნდა არსებობდეს, ადამიანის ადამიანისადმი დამოკიდებულება ყოველთვის არსებობს, რაიმე სახით. სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა დედამიწაზე ცხოვრება!

მაგრამ დასასრულ მაინც გაამართლა თავის «შეცდომა»:

_ ერთმა რაჭველმა მშვენივრად მორთო სახლი მაღალ მიუვალ მთაზე. ისე მოაწყო, რომ არა აკლდა რა... მარტოდმარტო ცხოვრობდა... და რა გამოუვიდა? გარდაიცვალა სულ ახალგაზრდა რაღაც მოწყენილობის, დარდის, მარტოობის ნიადაგზე. აი აქ იყო საჭირო დახმარება. მაგრამ ახალგაზრდა კაცი ამაყი იყო, თავს აგრე რიგად არავის უყადრებდა.

ერთ ადრინდელ წერილში 1914 წელს წერდა:

_ მე ვიცი ადამიანები, რომლებიც იტანჯებიან ჩუმათ, უსიტყვოთ, არავის არ ესმის მათი მწუხარება. სიტყვით ნათქვამი, ყველასათვის გასაგონი მწუხარება _ ყალბიცაა და დამახინჯებულიც!

უკანასკნელი ფრაზა უნებლიედ გვაგონებს თედორე ტიუტჩევს:

_ Мысль изреченная есть ложь.

მაგრამ ამჯერად სხვა ანალოგია გვაინტერესებს: ამ სიტყვების დაწერიდან ორმოცდასამი წლის შემდეგ _ სწორედ 1914 წელს აკაკი წერეთელთან და სხვა ქართველ მწერლებთან გადაღებულ ფოტოს დაჰყურებდა და იხსენებდა:

_ მე კი იმ დღეს, მახსოვს, სადილის ფულიც კი არა მქონდა. ყველას პატივსა ვცემდი, მაგრამ არც ერთ მათგანთაგან დაახლოებული არ ვყოფილვარ, რომ გულახდილად მეთქვა ყველაფერი. პირიქით, თავს ლორდივით ვიჭერდი.

შენიშნულია: გენიოსი ყველაზე ადრე იწყებს წუხილს:

> გულო ჩემო მღელვარევ, სულო ჩემო მყივარო _
> ერთი დღეც არ გქონიათ მშვიდი, უსატკივარო.

გალაკტიონის მთელი სიცოცხლე განუწყვეტელი წუხილი იყო და განუწყვეტელი მარტოობა:

_ აშკარადა ვგრძნობ ჩემი სულის ობლობას, ჩემს უთვისტომობას, ჩემს მარტოობას... მე დღეს შესაძლებელია ორასი ადამიანი ვნახო და დაველაპარაკო, შეიძლება გული გადავუხსნა კიდეც წუთის გავლენის ქვეშ... და მაინც მარტო ვარ, მარტო... _ ჯერ კიდევ ოცი წლისა წერდა ამ აღსარებას, და წერდა პირად წერილში: ბარათაშვილს გვაგონებს. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ალბათ _ ჩვენდა საბედნიეროდ, მისი მარტოობა უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა, უფრო დიდხანს გაუძლო. ძალიან კი უჭირდა:

_ მარტო სიარული არ ვარგა!

_ რად გინდა რამე (მთები, ლაჟვარდი ცა, მშვენიერი ზღვა), თუ სული მარტოა.

სხვასაც თანაუგრძნობდა:

_ ყველაზე ტრაღიკული სახე ბალმონტია. მარტოობა, რომელსაც ის განიცდის მისი განდევნის გამო, იგივე საშინელი სტუმარია, რომელსაც ახსენებს შელლი სტანსებში: «მოვა, დაჯდება შენს სასთუმალთან, ვით მეგობარი, ერთგული, კარგი».

სხვებსაც ადანაშაულებდა:

_ ძალიან სამწუხაროა, რომ ყველაფერი უჩემოდ მიმდინარეობს. მე არავინ არ გამიტანა.

გარედან სანახევროდაც არ ეტყობოდა:

_ შენს მარტოობას ვერავინ გაიგებს.

გაურბოდა, ერთ ადგილზე არ უჩერდებოდა. ზოგჯერ სხვა ქალაქს მიაშურებდა:

_ დღეს ჩამოვედი ტფილისიდან... გამოვიქეცი აქ, სადაც არავის ვიცნობ და არავინ მიცნობს.

ქუჩაში ხეტიალი უყვარდა (თუ სახლში გაჩერება უჭირდა).

_ ზიზღი სახლისადმი: Крыловская10. ჩაიწეროს ამ ქახალდში, აფხანიკებო! აფხანიკებო! თქვენ გამოიკვლიეთ და გადაუხადეთ მათ სამაგიერო! _ პადლეცს, ყოველ შემთხვევაში. მერე სხვებს, ეეეჰ! _ ჩაუწერია 1929 წლის 23 მარტს ნასვამს.

მისაყვედურებს ბევრი, მაგრამ მე მესმის მათი,
მათ კი არ ესმით ჩემი, კრილოვის ქუჩა, 10.
აქ ჩემს მესამე სართულს მთვარე ანათებს ღამით,
გათენებამდის ვწუხვარ ლიტერატურულ შხამით.

1927 წელს ქუთაისში ჩავიდა:

_ არც ერთი კაცი არაა ნაცნობი და ძველი მეგობარი... შევარცხვინე მე ასეთი ქალაქი, მიმიფურთხებია ასეთი ქუთაისისათვის.

_ სად უნდა წავიდე არ ვიცი! არც ერთი მეგობარი, არც ერთი ოჯახი ტფილისში. _ ასე ვფიქრობდი, როდესაც დავიხურე ქუდი და ოთახიდან გავედი.

რუსულად უხუმრია:

О жизнь моя без хлеба, зато и без забот,
Иду _ смеётся небо, ликует небосвод.

ყოველდღე ქუჩაში მიეჩქარებოდა, ისე მიეჩქარებოდა, როგორც სამსახურში, ერთი კაცის სამსახურში, ამიტომ დაყოვნებული სტუმარი აღიზიანებდა:

_ 17 ნოემბერს _ დილიდან შუადღემდე იყვენ: ვასია, ვიქტორია. 18 ნოემბერს _ ვასია, მარგარიტა. უკანასკნელებმა რეკორდი აიღეს დარჩენით. დღის 11 საათიდან სხედან _ ეხლა ღამის 12 საათია... მთელი დღე მათი მოწყალებით სახლიდან ვერ გავსულვარ.

ცოტა მოგვიანებით შესაფერისი ტერმინი შეარჩია, სვანურიდან ისესხა გაუცხოვების თურმეობითი: მიბინავ ლიზი-ლიჩედი (დაგვიწყია სვლა-წასვლა). «დაგვიწყია სვლა-წასვლა...» _ გამოიწვევდა თავის თავს და აიკრავდა გუდა-ნაბადს: ხან ელბაქიძის აღმართს აუყვებოდა და რუსთაველზე გამართავდა მუხლს, ხან სანაპიროსაკენ გაემართებოდა ან პლეხანოვს დაუყვებოდა, ზოგჯერ რიყეს მიაშურებდა, ზოგჯერ _ მთაწმინდას. მოდით, ერთი დღე ავირჩიოთ, თუნდაც 1950 წლის 24 მარტი ავირჩიოთ და კვალდაკვალ მივყვეთ, ავედევნოთ, როგორც ბევრჯერ ავდევნებივართ, ნურც ჩამოვრჩებით და ნურც დავენახვებით, შორიდან ვუთვალთვალოთ:

«დაგვიწყია სვლა-წასვლა (მიბინავ ლიზი-ლიჩედი).

ვერის ხიდთან რომ სადალაქოა, იქ გავიპარსე. იშვიათი ოსტატია ჩემი პარიკმახერი. კარგ ხასიათზე დამდგარი გავყევი სანაპიროს, ჩელიუსკინელების ხიდისკენ რომ მიდის. იქ დიდი მშენებლობა იწყება. აფართოებენ ჩელიუსკინელების (წინედ _ სადგურის) ქუჩას.

ახალი ამბავი იწყება თვით ხიდიდან, რომლის მარჯვენა ნაპირზე აუგიათ დიდი ჯებირი, ელექტრონებით გაუჩირაღდნებიათ, და ავსებენ მიწით (აქ წინად საინტერესო სახერხი ქარხანა იდგა. როდესაც ჩელიუსკინელების ხიდს აგებდენ, მახსოვს, ჩავედი დაბლა და დიდხანს ვესაუბრებოდი ინჟინრებს. ყველაფერი მაინტერესებდა მაშინ: თითქოს ჩემთვის შენდებოდა რაიმე _ ისე მიხაროდა. ეჰ, გაჰქრა ის დრო!). დადიან მიწითა და სხვა რაიმეთი დატვირთული საბარგო ავტო-მანქანები. ერთი სიტყვით, დიდი მოძრაობაა.

გაივლი ცოტას, მიხვალ სახკინმრეწვის დიდ შენობასთან... აი აქედან იწყება. მარჯვენა მხარეს ბაღიანი სახლი დგას, მაგრამ რაღაი ასეთ დგომას, ნახევარი მისი უკვე ჩამოუნგრევიათ... აქედან უფრო იგრძნობა გაფართოების მასშტაბი. პატარ-პატარა სახლები, ეზო-ბაღებით რომ იდგნენ, სულ ნგრევის არეშია მოქცეული (ეს სახლები აწერილი აქვს მ. ჯავახიშვილს ერთ-ერთ თავის რომანში: ემიგრანტი რომ ჩუმად სამშობლოში ბრუნდება, აოცებს მშენებლობის გრანდიოზულობა ტფილისში, მაგრამ არ მოსწონს სადგურის ქუჩაზე ახლად აგებული ეს პატარა სახლები).

გამახსენდა ერთი სასაცილო ამბავი:

ერთხელ მივდიოდი სადგურის ქუჩაზე: ვხედავ, სოფლელ ქალს კალათაში ჩამწყვდეული ქათამი მოჰყავს. ქათამს ალბათ შეკონილი ჰქონდა ფეხები, მაგრამ გაენთავისუფლებია როგორღაც. აფრინდა კალათიდან და იქვე რკინის მაღალ ღობეზე შეხტა. იქიდან გადახტა ბაღში და არხეინად დაიწყო სიარული. ეს ისე უეცრად მოხდა, რომ სოფლელი ქალი სახტად დარჩა. დადგა და უყურებს თავის ქათამს. რკინის მოაჯირი _ კარგა მაღალი იყო. სახლიც, რომელიც ამ ბაღის იყო და წინამოთი ქუჩაში გამოდიოდა, დაკეტილი იყო: სჩანდა არავინ სახლში არ იყო და რაღა გაეწყობოდა. სოფლელი ქალი მეტად დაღონდა, მეტისმეტად საცოდავი შესახედაობა მიეცა მის სახეს, საცაა ცრემლები გადმოსკდებაო _ გეგონებოდათ.

შემოეხვივნენ ქალს ჯერ გულშემატკივარი ქალები (ბაზრიდან მომავალი ან ბაზრისკენ მიმავალი დიასახლისები). შეიქნა ერთი ბჭობა-მასლაათი, უთავბოლო რაღაც.

_ ქალო, როგორი გადახტომა სცოდნია ა იმ შენს ქათამსა. ცირკის ჯამბაზივით კი ისკუპა და... _ ამბობდა ერთი.

_ ვა, რამოტოლაზე გადახტა... ფუტურისტების ჯიშის ქათამი უნდა იყოს, აი, _ დასძენდა მეორე.

_ შეხედეთ, დეკადენტივით არ დადის.

საქმეში ჩაერივნენ ქუჩის ავარებიც, დაცინვა დაუწყეს დედაკაცს, რომელმაც პასუხად უთხრა: «ჰაი, მეხი კი დაგაყარეთ!». შემდეგ ჩაიქნია ხელი და ცარიელი კალათით გაუდგა გზასა. ან რაღას გახდებოდა ეს საწყალი დედაკაცი: ხედავდა, მისი ქათამი სადღაცა სახლის სარდაფის ჭუჭრუტანაში შეძვრა და იქიდან ვინ გამოიყვანდა? ეეჰ, ესეა. ყველაფერი ცუდი ასეთ ღარიბს უნდა დაემართოს. სხვისთვის რაა ერთი ქათამი?..

და აი ამ სახლის მტვერი: კირისა და ქვისაგან სულ ბდღვირი ადის. ანგრევენ. ეჰენდე, შენა!

ეხლა, თითქმის ათი წლის შემდეგ, ვხედავ, სწორედ იმნაირივე ქათამი დადის ამ ნანგრევებში, იმნაირივე ქალმა გამოიარა, იმნაირივე დიასახლისები მიდიან და მოდიან. არ შეცვლილან ადამიანები, არც ქათმები. რა შესცვლის მათ?

ერთი საინტერესო რამ: აუღიათ რა ერთსართულიანი მაღაზიები, უცებ თვალწინ აღიმართა ოთხსართულიანი, სავსებით თანამედროვე არქიტექტურული მოთხოვნილების დიდი სახლი. თურმე სანამ პატარა სახლებს აიღებდენ, მათ უკან დიდი სახლი შენდებოდა, მაგრამ არა სჩანდა (ასეა, წვრილმანი, უმნიშვნელო რამეები ხშირად ჩრდილავენ საბუმბერაზეს, მაგრამ საბოლოოდ ბუმბერაზი იმარჯვებს).

რუსთაველის ძეგლთანაც სდგას ნახევრადდანგრეული სახლი, მის უკან შენდება დიდი რაღაც შენობა. მალე ის შენობაც დამთავრდება და იმ საცოდავ სახლს კი, რომელიც მის წინ სდგას, მალე სულ მოაშორებენ, აღგვიან პირისაგან მიწისა.

ლიტერატურაშიც ასეა: დიადი ნაწარმოები ხელშეუხებლად დევს, მაგრამ მისი მნიშვნელობა იზრდება თანდათან. უმნიშვნელო ნაწერები დავიწყებას მიეცემიან, გაჰქრებიან, და ის დიადი ნაწარმოები კი უფრო ნათლად გამოჩნდება შემდეგში.

თუმცა ესეცაა, კი: კაცმა არ იცის, არც ერთმა მწერალმა _ რა მოელის მას ხვალ? სახელი ზოგიერთი მწერლისა ხშირად იმ ქათამსა ჰგავს, რომელიც კალათიდან ამოუფრინდა პატრონს და სხვის ეზოში გადაბარგდა. სწორედ ასეთ მდგომარეობაზე იტყვიან იმერეთში «მერე მიდი და უყარე კაკალიო».

მიბინავ ლიზი-ლიჩედი».

და გრძელდება ხეტიალი თბილისის ქუჩებში.

ცარიელ ქუჩებში ხეტიალი ერჩია.

_ თრიალი. არ მოგბეზრდა ქუჩაში თრიალი? _ თითქოს თავის თავს ეკითხება და თან სიტყვის ჟღერადობას ამოწმებს.

_ არსად არ ვგრძნობ ისე ობლად და მარტო თავს, როგორც სხვასთან. _ დააკვირდით: სხვასთან ყოფნას ეძახის მარტოობას _ «მარტოობის ორდენის კავალერი» _ როგორც უწოდა სახელოვანმა ბიძაშვილმა ჯერ კიდევ 1915 წელს.

სხვათაშორის, ჯონათან სვიფტიც ამავე აზრისაა:

_ განმარტოებული ბრძენი ყველაზე ნაკლებადაა მარტო...

ჯორჯ ბაირონიც:

_ მარტოობისას ჩვენ ყველაზე ნაკლებადა ვართ მარტო.

ბლეზ პასკალმა კი გენიალურად იხუმრა:

_ რაც უფრო დავუახლოვდი ადამიანებს, მით უფრო მეტად შემიყვარდა ჩემი ძაღლი.

თანამედროვეებს თავიდანვე უნდობლობა გამოუცხადა:

_ მეშინია დავუახლოვდე ადამიანებს...

_ რაც უფრო მარტო ვარ, ადამიანებისაგან შორს, მით უფრო მეტ სულიერ სიმშვიდეს და გრძნობის დამშვიდებას ვგრძნობ.

1934 წლის 6 აგვისტოს ამბროზ ბირსის «ეშმაკის ლექსიკონი» წაუკითხავს და ერთადერთი აფორიზმი ამოუწერია:

_ Телефон. «Дьявольская выдумка, которая уничтожила некоторую возможность держать в отдалении нежелательное вам лицо".

მოძღვარივით აფრთხილებდა საკუთარ თავს:

_ ნურავისთან ნუ იქნები მეტისმეტად გულახდილი, რადგან მეტი გულახდილობა სიტიტვლეს გავს, სირცხვილია.

ლიტერატურულ საზოგადოებას უფრო ერიდებოდა. საქმიანი ურთიერთობა აიძულებდა დიდი სიფრთხილე გამოეჩინა და სათანადო ტაქტიკა შეემუშავებინა ამა თუ იმ მომენტისათვის:

_ «მნათობში» ჩემი მომავალი ტაქტიკა: 1. საჭირო არაა ძალიან დაახლოება ყველა თანამშრომლებთან (თუ აუცილებელი საჭიროება არ მოითხოვს ამას). 2. ჩემი მდგომარეობა იქ სავსებით გამორკვეულია, და მხოლოდ ჩემს ტაქტიკას შეუძლია განამტკიცოს ან შეარყიოს ეს მდგომარეობა. 3. ყველასთან მეგობრულად ყოფნა. ყოფნა იქ განსაზღვრული საათების განმავლობაში.

ერიდებოდა და ერიდებოდნენ:

_ უნდა აღინიშნოს ერთი რამ: გალაკტიონის ლიტერატურულ საღამოებს რატომღაც არ ესწრება ეგრეთწოდებული მეოცე საუკუნის «მწვერვალები», _ იგონებს ქეთევან ირემაძე.

_ ერთი დეტალი: საკვირველი, დიაღ, საოცარი ქართველისათვის. «კახურზე არგამწყრალი», იგი, მე ერთხელაც არ მინახავს ნადიმზე და არც მსმენია როდისმე ელხინოს მას: ჩვენებურად, ქართველურად. და ეს საქართველოში, და ეს ტფილისში! _ ადასტურებს გრიგოლ რობაქიძე.

ერიდებოდნენ და მიზეზიც ჰქონდათ _ ზოგიერთებს:

_ სიმონ ჩიქოვანს ყოველთვის ენა ებმება, როდესაც ჩემთან ჩემს შესახებვე უნდა რაიმეს თქმა.

იმდენად მარტოსული გახლდათ, რომ იგივე გრიგოლ რობაქიძე დაბეჯითებით აცხადებს:

_ ცოლშვილიანი გალაკტიონი მე ვერ წარმომიდგენია.

თვითონ გალაკტიონმა, ოციანი წლების დასაწყისში, როდესაც ხელოვანთა სასახლეში ცხოვრობდა და ოლია ჯერ კიდევ მოსკოვში იმყოფებოდა, ერთ თავის განცხადებას მიაწერა: « Холост».

მწერლების სახლში ცხოვრობდა და მრავალი დღეობა-ღრეობის მოწმე გახლდათ და არა მონაწილე. ერთი ასეთი «დიდი ღრიალი და ქეიფი» შუაღამისას («ღამის 3-4 საათია») აღწერილი აქვს 1935 წლის 5 და 6 სექტემბრის მიჯნაზე: მეზობელ პროზაიკოსს სწვევიან ქართველი მწერლები, პარტიული მუშაკები, უკრაინელი კოლეგები. ხმაზე სცნობს ყოველ მათგანს, არ მოსწონს მათი სიმღერა და საქციელი:

_ Леван, Леван, _ ყვირის ქალი, _ Отнимите у него револьвер... _ ვიღაცამ ვიღაცას სილა გაარტყა (ეს ჭუჭყიანი საზოგადოებაა)...

ერთხელ თავი ვეღარ შეიკავა ნასვამმა და შუა ქეიფში მიეჭრა «ჭუჭყიან საზოგადოებას»: სასმისი მიაწოდეს დაუპატიჟებელს. განსხვავებული მოითხოვა. განსხვავებული მიართვეს. ისიც დაიწუნა. ყანწი მიუტანეს. ყანწზეც უარი განაცხადა და თვალი ჩეხურ ვაზას დაადგა სერვანტის ვიტრინაში. ორივე ხელით დაიჭირა მძიმე და ძვირფასი ბროლის ჭურჭელი, ბოლომდე შეუვსეს და ყველამ სული განაბა შემოსწრებულის სადღეგრძელოს მოლოდინში: მცირე პაუზა გააკეთა და ორივე ხელი ერთდროულად გაუშვა სავსე ვაზას, რომელიც უმალ ნამსხვრევებად იქცა...

არც ოფიციალურ დარბაზობაზე სწყალობდნენ: 1940 წლის 27 მაისს იმელში მიიწვიეს კალინინთან შეხვედრაზე და:

_ შემდეგ თურმე ბანკეტი იყო.

არც ვიწრო წრეში:

_ შევაერთოთ თანხები, დაპატიჟებით კი ვერავის დავპატიჟებო, _ ქუთათელი ამას ეუბნებოდა ტიციანს და ვალერიანს ჩემს გასაგონად.

კერძო მიწვევისა კი ერთადერთი საბუთი აღმოჩნდა:

_ პატივცემულო გალაკტიონ, ოთხშაბათს, ჩვენი კრების შემდეგ, გთხოვთ მეწვიოთ განყოფილების წევრთა მეგობრულ სადილზე (რესტორანი «თბილისი»). იმედია თხოვნას შემისრულებთ. თქვენი ანგია ბოჭორიშვილი.

ტელეფონით გამოხმაურებისაც _ ერთადერთი გამონაკლისი აღრიცხა:

_ დამირეკა ტელეფონით გრ. ცეცხლაძემ... მკითხა, როგორაა საღამოების საქმეო. მიმსახურეთო, მითხრა _ როდესაც საჭირო ვიქნებიო. მესიამოვნა. ეს პირველი პოეტია, ეხლანდელ ჩემს მდგომარეობაში, თვითონ რომ მეხმაურება.

შემიმჩნევია: ჩვენ რომ სამსახურში მივდიოდით, პიკის საათის დროს, უკვე სახლში ბრუნდებოდა: გათენებამდე გამოდიოდა, რათა ქალაქისა და ბუნების გამოღვიძება ეხილა, ვიდრე ხალხითა და მანქანებით აივსებოდა ქუჩები. ცარიელი ქუჩები იზიდავდა, ადრიანი დილის ან გვიანი ღამისა და შუაღამის ქუჩები.

_ ღამით ცხოვრებას რა სჯობია, ღამით ვიცხოვროთ, დილით მოვისვენოთ, _ იწვევდა პარტნიორს.

_ 8 ივნისი, 1948 წ. პუშკინის ძეგლთან. თენდება. სამის მეოთხედია. _ დაუთარიღებია ერთი ვრცელი ჩანაწერი მოსკოვში.

კიდევ უფრო საინტერესოა ზოგიერთი ლექსის მეტრიკა:

_ ალექსანდრეს ბაღი. 31 ივლისი, 1921 წ.

_ 16 ნოემბერი. 1925 წ. მუშტაიდის ბაღი.

_ 29 იანვარი, 1937 წ. კაფე «კოლხიდა».

_ 1943 წ. 26 ივნისი, აკ. წერეთლის ბაღი.

_ 1946 წ. 5 ოქტომბერი, საღამო, კინო.

_ 19 დეკემბერი, 1947, ფილარმონიის ბაღი, 3 ს. 25 წუთი.

_ 1954 წ. 29 დეკემბერი. მატარებელი მოსკოვი-თბილისი.

_ 1955 წ. 28 აგვისტო, კაფე «რუსთავი».

_ 1955. 19 სექტემბერი. ღამის ათის ნახევარზე, ვუცდი ავტობუსს წყნეთისკენ.

_ 1955 წ. სექტემბერი, წყნეთის ძველი გზა.

_ 1956 წ. 25 ივლისი, საქ. სამხედრო გზა.

_ 1958 წ. 20 ივლისი, კვირა, იფნის ბაღი.

გარეთ ცხოვრობდა:

_ გალ, უკვე ღამის 4 საათია, შენ კი არ ჩანხარ. რა ვქნა? სად გეძებო?

_ ოლია, ნახევარ საათში აქა ვარ.

_ ძვირფასო გალ, შენ კვლავ არ ჩანხარ. რა მოხდა? არ ვიცი, რა ვიფიქრო?

_ ოლია, ოთხ საათამდე სახლში ვიქნები.

_ დავბრუნდი დილის 11 საათზე. შენ კვლავ არ დამხვდი.

_ ოლია, სულიერი განწყობილება ჩემი საუცხოვოა. გმადლობთ რვეულებისათვის.

_ წავედი 7 საათზე და 20 წუთზე სამსახურში. მოვალ 2 საათში.

_ ოლია! მივდივარ კრებაზე. დღეს ვიყავი შენთან სამსახურში და ნავთი არ იყო. ისესხე ნავთი და აიდუღე ჩაი. პური შკაფშია.

_ გალ, წავედი ნავთზე: მალე დავბრუნდები.

_ მივდივარ საღამოს 7 ს. და 40 წ.

_ ძვირფასო გალ, მაწონი ჭამე და დაიძინე. თუ უფრო ადრე არა, შვიდ საათზე შენთან ვიქნები.

_ ოლია, თუ იმის გამო ვერ მოდიხარ, დაანებე თავი. მე დღეს ან ხვალ არაფერი მიჭირს.

_ დილა მშვიდობისა, გალ! ავიღე 21 მან. საყიდლებისათვის. შენ მეტს ნუღარ აიღებ, გალ, თორემ აღარაფერი დაგრჩება. გალ, გაკოცებ, კარგი?

_ ოლია, მე მივდივარ ცირკში. დამაგვიანდება.

_ გა! მალე დავბრუნდები. იქ ღვინო არ იყო. ვიყიდე ერთი პუნში და S გირვანქა მზესუმზირას ზეთი ხვალ სადილისთვის, სულ 18 კაპიკისა.

_ ოლია, მივდივარ კრებაზე ხელოვნების სასახლეში.

_ გალკ! მიხეილის პროსპექტიდან მოვიყვანე მეძველმანე და გავყიდე ბოთლები 14 მანეთის და 18 კაპიკის. ვიყიდე ორი მანეთის კარტოფილი. დანარჩენს მოგცემ, როცა დავბრუნდები.

_ ოლია! მე ვიყავი იმ მაღაზიაში. იქ ძველი წესები შეცვლილია. ეხლა საჭიროა მხოლოდ: ცნობა იმის შესახებ, თუ რას იღებ თვეში (ამას შენ დღესვე აიღებ), გარდა ამისა _ ბინის მისამართი და დაზღვევის წიგნაკი. აი სულ ყველაფერი _ ხვალისთვის.

_ გალ! წავედი თელასში მრიცხველის გამო. ბარემ ელექტრონათურებსაც ვიყიდი. მალე მოვალ. შენ დაჯექი და შეუდექი მოხსენების მომზადებას. ნუ გადადებ, გთხოვ.

_ ჩემო ლიოლი! შეგეძლო ისეც მოსულიყავი. მოდი უსათუოდ!

_ საყვარელო გალ! მოვალ ლექციის შემდეგ. ანდა შენ შემოიარე 10 ს. სასამართლოს მეორე სართულზე, სასამ. ქ. ოთახი N 5. ყოველი 40 წუთის შემდეგ შესვენება გვაქვს. გკოცნი.

_ ოლოლი, ხვალ დილით მოხვალ? უსათუოდ მოდი, გესმის, უსათუოდ.

_ გალკ! დიდხანს გიცადე. დღეს ბევრი ვირბინე. ახლა მკერავთან მივდივარ. არსად წახვიდე, მალე დავბრუნდები. დაისვენე ჩემს მოსვლამდე.

_ ოლია ძვირფასო! მოვედი. დამხვდა შენი წერილი.

_ გალაკტიონ, ამ წერილის წაკითხვისთანავე შემოიარე ჩვენთან. წავიდეთ კინოში. შენ გუშინ ფული გაგითავდა. ტრამვაისთვისაც აღარ დაგრჩებოდა. თან წამოიღე ხელნაწერები.

_ ოლია, თუ წახვიდე, თან წაიღე შენი გასაღები.

_ გალ, ოთხის ნახევარზე მოდი ჩემთან და ერთად ვისადილოთ. სადილის ფულს როგორმე ვიშოვნი.

_ ოლი! გილოცავ დღესასწაულებს და გკოცნი.

_ გალკ! პაპიროსის საყიდლად მივდივარ. მალე მოვალ. ერთმა მოგაკითხა. მთხოვა შენი დატოვებული 15 მან. 5 მან+5 მან. ვთხოვე მარ. აროშ. და მივეცი 10 მანეთი.

_ ოლოლ, მივდივარ დედაჩემთან. მინდა დავისვენო. გკოცნი. იყავი კარგა.

_ წავედი შვიდის ნახევარზე. მრეცხავთან მიმაქვს ფარდები, შენი პერანგი და 6 საყელო. ორ საათში დავბრუნდები.

_ ოლია, მე ცეხში მივდივარ.

_ თორმეტის ნახევარზე წავედი ბაზარში. რამეს ვიყიდი სადილისთვის და დავბრუნდები. შენ ერთ საათში უნდა მოსულიყავი. კაი 5 საათი გავიდა.

_ ოლია, როდესაც ეზოდან დაგიძახო, კარები გამიღე.

_ გალ! ვიყიდე კიდევ ერთი «დროშა». ვიყიდე ყველი, რაღაცეების ყიდვაც მინდოდა, მაგრამ ფული აღარ მქონდა. ხუთის ნახევრამდე სახლში ვიყავი. რვის ნახევარზე თათბირია დირექტორის კაბინეტში, კეცხოველის 5. იქ უნდა ვიყო. მოხსენება მაქვს. ათზე ან თერთმეტის ნახევარზე დამთავრდება. მოდი და ერთად წამოვიდეთ, ან სახლში დამელოდე.

_ ოლია, ეს-ესაა ცეცხლი უნდა დავანთო ფეჩში და შევუდგები გადაწერას.

_ ორ საათამდე გელოდი. მივდივარ დახურულ კოოპერატივში. ორს აკლია ათი წუთი.

_ ოლია, თუ მოხვიდე, დამირეკე 1-65.

_ თუ 29 ან 30 ივლისს არ გამოიტან სპეკანტორიდან აგვისტოს პურის ტალონს, აგვისტოში პაიოკს აღარ მოგცემენ. ასე რომ 29 ივლისს ხელოვნების სასახლეში პურის ტალონი უნდა აიღო.

_ ეს-ეს არის მანიასთან ვიყავი. ცხრის ნახევარზე შენ გეძახოდით ტელეფონით და უეცრად ტელეფონი გაფუჭდა. რა გულმოსასვლელი ამბავია.

_ ძვირფასო გალ! მგონი მანია ჩამოვიდა. მივდივარ მანიასთან.

შენც იქ მოდი და საღამოს ერთად დავბრუნდებით. მოდი, თორემ სადარბაზოს გასაღები არა მაქვს და დღეს ძლივს შევედი ოთახში... აქ კარგი ღვინო ვიშოვე. იქიდან წამოვიღოთ. გელოდები. წავედი 7 საათზე.

_ ოლია, საათის ან საათნახევრის შემდეგ სახლში ვიქნები.

_ გალ! პირველი საათისთვის გზად შემოვიარე. საღამოს მოვალ. სურათები მოგეწონა?

_ ძვირფასო ოლია, ძალიან, ძალიან მინდა შენი ნახვა.

_ გალ, მეტის ატანა აღარ შემიძლია! სადა ხარ? გალ, მინდა ვიცოდე ცოცხალი ხარ თუ არა. სად გეძებო? გიჟივით გავრბივარ სამსახურში. ორის ნახევრიდან სამის ნახევრამდე ვიქნები კეცხოველის 5.

_ ოლია, მართალია, გიცადე, მაგრამ როდესაც არ მოდი, მე ჩემთვის წავედი.

_ გალ! მოლოდინად ვიქეცი, ერთ ადგილზე ვეღარ ვისვენებ... შენ კვლავ არ ჩანხარ.

_ ოლ-ოლი! მე ძალიან კარგ სულიერ განწყობილებაზე ვარ, მაგრამ სახლში საღამოს არ ვიქნები.

_ მაგიდასთან დამათენდა, შენ კი არ ჩანხარ. სად გეძებო?

ოლიას დეიდაშვილმა გაიხსენა:

_ ერთხელ, ჟორესის ქუჩაზე რომ ცხოვრობდნენ, ოლიასთან შევიარე. მარტო დამხვდა, იჯდა და ტიროდა. ვეკითხები, რა გატირებს-მეთქი. გალა დავკარგეო. როგორ თუ დაკარგე-მეთქი. წუხელ შინ არ მოსულა, არ ვიცი რა ვიღონოო. წამო, მოვძებნოთ-მეთქი. ჯერ «ორეანტში» შევედი, ოლია კარებთან დავტოვე, უხერხულია-მეთქი. გადავავლე თვალი მაგიდებს. არ აღმოჩნდა. მერე პლეხანოვის პროსპექტზე რესტორან «მოდი, ნახე»-შიც შევიარე. არც იქ აღმოჩნდა. თან საშინლად წვიმდა. მთელ ღამეს ვეძებდით. ვერსად ვერ მივაკვლიეთ. შემოგვათენდა. მე შინ წავედი გულდაწყვეტილი.

თბილისი იყო მისი ბინა და თავშესაფარი:

_ ჩემი მისამართი: Тифлис. Галактиону Табидзе. До востребования.

ძმა საყვედურობს:

_ მე ერთი თვის წინად თბილისში ვიყავი, შენ ბევრი გეძებე, მაგრამ ვერსად გიპოვნე. შენს მისამართს ხომ ვერავინ გაიგებს. შემდეგ წერილი დავტოვე ოლიასთან.

ოლია არა მარტო სახლში ელოდებოდა:

_ ოლიასაგან წერილი მივიღე: შემატყობინე სად არის გალაქტიონი და ან როგორ არისო. მე ხომ არაფერი ვიცი შენს შესახებ და რა უნდა ვაცნობო. ასე წარმოიდგინე (ვაი სირცხვილო!), მისამართიც კი არ მაცნობე და ამ წერილს ესებეს სახელზე ვაგზავნი, _ სწერს აბესალომი სოფლიდან.

_ Сообщите точный адрес Табидзе, _ გადასახლებული ოლია ყირიმიდან დაეძებს თბილისში.

_ დღეს გალაქტიონი მწერალთა სასახლეში იქნება 7 საათზე. _ აბესალომი ატყობინებს ოლიას.

_ გალაკტიონი არ მოსულა დღეს სახლში?

_დღEეს კი არა, ორი კვირაა, თვალი არ მომიკრავს მისთვის.

ამას ოლიას ეკითხებიან და ოლია უპასუხებს.

ამავე გამოუქვეყნებელ მოგონებაში ვკითხულობთ:

_ ოლია ოკუჯავას ხშირად ვხედავდი ქუჩაში. ეს ქალი გაოგნებული დადიოდა, მუდამ ვიღაცას ეძებდა მისი თვალები.

ეს «ვიღაცა» კი გარეთ ცხოვრობდა და გარეთ წერდა. ზამთარში სამკითხველოებსა და კლუბებს აფარებდა თავს, სხვა დროს _ ბაღებსა და სკვერებს:

_ საინტერესოა, როდის გაიხსნება ფილარმონიის საზაფხულო სეზონი ბაღში? მალე ასიცხდება და ბაღში ერთობ კაი იქნება.

წერილებს ხან ნათესავ-ნაცნობებთან უგზავნიდნენ, ხან გამომცემლობა-რედაქციებში, ხანაც _ მწერალთა სასახლეში.

_ თბილისი. «მნათობის» რედაქცია. გალაქტიონ ტაბიძეს. დედა ავადაა. ჩამოდი. _ დეპეშას უგზავნის ძმა ტობანიერიდან.

_ შენი გამოგზავნილი წერილი მხოლოდ დღეს მივიღე. საქმე იმაშია, რომ ხელოვნების სასახლეში არ შემივლია კარგა ხანია. _ პასუხობს ძმას თბილისიდან.

1919 წელს ოლიას დეპეშა გაუგზავნია მოსკოვში და გააფრთხილა:

_ На имя Гаприндашвили не высылать.

თბილისის ნამდვილი პატრიოტი იყო _ არა მარტო პოეზიაში: «უნდა გადავაქციოთ რუსთაველის პროსპეკტი დედაქალაქის სანიმუშო ქუჩად» _ წითელი, ლურჯი, მწვანე და ყავისფერი ფანქრებით თორმეტი რჩევა შემოუთავაზებია (ზოგიერთი ამჟამად რეალიზებულია):

_ ასფალტების მაგიერ დაგებული იქნას ხის «კუბიკები». ეს კარგია ხმაურის დასაყრუებლად. საქართველოში ამისთვის საკმარისი ხე-ტყე მოიპოვება. ოპერის გვერდით დადგმულ იქნეს სარაჯიშვილის, ფალიაშვილისა და მარჯანიშვილის ჯგუფური ძეგლი. აკაკი მარმარილოსაგან უნდა იქნეს. «ჰიგიენა» აღებულ უნდა იქნას, ამით უფრო გამოჩნდება ქაშვეთის ორნამენტი. პატარა ბაღი, რომელშიც ნინოშვილის ძეგლია, უნდა გადიქცეს ქართველ მწერალთა ბაღად. მემორიალური დაფა «ფრანცია»-ზე: აქ ცხოვრობდა აკაკი წერეთელი.

თბილისის მუზეუმების სიას აზუსტებდა, სამხატვრო გამოფენების ხშირი სტუმარი გახლდათ მარტოობისა და უამინდობის გამო:

_ საღამოთი წავედი მხატვრების გამოფენაზე შარლემანის «აწყურის» ხელახლა სანახავად. მაგრამ გალერეა აფორიაქებული დაგვხვდა: ხანძარი გაჩენილიყო გუშინ და სურათები ძლივს გადაურჩენიათ. ყველა ჩამოხსნეს თურმე სწრაფად. ჩემს კითხვაზე, თუ რამ გამიწვია ხანძარი, მიპასუხეს: სახურავზე ღამით პაცანები ასულიყვნენ სავახშმოდ. სვამდენ და იქ ღვინოს და პაპიროსსაც სწევდნენ.

შესანიშნავად იცნობდა მშობლიური ქალაქის ქუჩებსა და ხიდებს, ბაღებსა და ხეებსაც კი. რამდენიმე ჩანაწერის მხოლოდ სათაურების დასახლებაც კმარა: _ მუზეუმები თბილისში. _ ხიდეები ტფილისში. _ ტფილისის ბაღები. _ ტფილისის ხეები.

ჩაუნიშნავს:

_ საინტერესო ხეები ტფილისში. რამდენი ხიდია ტფილისში? რამდენი მდინარე და ნაკადულები? რამდენი ელეკტრონის ლამპარი?

ზოგჯერ ნაცნობები პაემანს რომელიმე ქუჩაზე ან რომელიმე პარკში უნიშნავდნენ:

_ ლენინის ქ. N 40 ან კიროვის პარკი.

_ ძმაო გალაკტიონ, ვერ შეგხვდი, დიდი ხანია გეძებ თბილისის ქუჩებსა და შენ დაწესებულებებში.

სხვათაშორის, თავისი სახელობის ქუჩაც ჰქონია შეგულვებული: «ტფილისის ბაღების» სია რომ შეადგინა და ასი ბაღი დაასახელა, მეასე სწორედ საკუთარ ქუჩაზე აღმოუჩენია: 100. გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქუჩაზე. აფიშების გასაკრავი ადგილიც 100 შეარჩია და ორმოცდამეთექვსმეტე ასე ჩაინიშნა: «ჩემი ქუჩის რაიონში წავიდეთ უნდა».

ერთსტროფიანი ექსპრომტიც გაურითმავს _ «ჩემი სახელობის ქუჩა»:

გადაიწვა, გადირუჯა ჩემი სახელობის ქუჩა,
მოდი, მისი პერსპექტივა დამიხატე, ჩემო უჩა!

არც მოედანზე ამბობდა უარს:

ჟორესის და პლეხანოვის ქუჩებს შუა,
სად ხმაურობს მოძრაობა ნამეტანი.
მოედანი რომ შენდება, აგრე თუა,
გალაკტიონისა ერქვას მოედანი!
მოემატოს პოეზია, გრძნობა, ჭკუა,
სინამდვილის საოცრების შადრევანი!

1933 წელს დიდი იუბილე გადაუხადეს:

_ ტფილისის საბჭომ გადასწყვიტა ერთ-ერთ ქუჩას დაერქვას ჩემი სახელი.

საქმეში თვითონ ჩარეულა და დაპირებაც მიუღია:

_ მთელი რიგი ქუჩებისათვის ჯერ სახელი არ დაგვირქმევია. პირველი შემთხვევისთანავე გვექნება მხედველობაში. დავარქმევთ.

_ მაშ ასე, როგორც კი იუბილე მოახლოვდება და იქნება მთავრობის დადგენილება, იმ წამსვე დაერქმევა სახელი.

1948 წელს აღრიცხავს: ორთაჭალაში ჩემი სახელობის ქუჩა.

1952 წელს ერთ-ერთ ბიოგრაფიაში აღნიშნავს:

_ 1933. თბილისის «კომკავშირის» ქუჩას ერქმევა გალაკტიონის სახელობის ქუჩა.

ბათუმშიც დაიმედებულა 1934 წლის 4 მარტს:

_ იქნება ჩემი სახელობის ქუჩა.

1937 წლის 20 მაისს სევასტოპოლში მიუმსგავსებია:

_ ლევანევსკის ქუჩა სევასტოპოლში ძალიან ჰგავს ჩემი სახელობის ქუჩას ტფილისში: არ მოიპოვება არცერთი ორსართულიანი სახლი. ატალახებულია. ძაღლები და ღორები ბევრია და უფრო ჰგავს სოფლის შუკას. სიგრძე ბეღურის ცხვირის ტოლაა. მიუხედავად ამისა, მიხვეულ-მოხვეულია.

1939 წლის 20 ივლისს აპროტესტებს:

_ გადმოტანილ იქნას უნდა სხვა ადგილას. ერთი ნამცეცა ქუჩაა. არ არის ქვაფენილი. არ არის ერთი ორსართულიანი სახლიც კი. მაშინ პირადი მტრები იყვნენ. ეს იყო ცაკის დადგენილება.უნდა აერჩიათ ერთი საუკეთესო ქუჩა... რაც უნდა იყოს, რესპუბლიკის პირველი სახალხო პოეტი ვარ.

1955 წელს კატეგორიული ტონით გაიხსენა:

_ დაერქვას გალაკტიონ ტაბიძის სახელი ტფილისის ერთ-ერთ ქუჩასო. ტფილისის და არა ტფილისის გარედო.

უკეთესს ვერ ეღირსა თბილისის ქუჩების მესაიდუმლე. 1959 წელსაც გამზირი ვერ გაიმეტეს და ერთი გადაძახილის სიგრძე ქუჩა უბოძეს ქალაქის ცენტრში.

თვითონ კი მეტის პრეტენზიაც ჰქონდა:

_ 1955 წ. 22 ოქტომბერს _ საქართველოს სახალხო პოეტ-აკადემიკოსის გალაკტიონ ტაბიძის _ თბილისის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ექიმებთან, მუშა-მოსამსახურეებთან და ავადმყოფებთან შეხვედრის დღეს _ დამსწრე საზოგადოება იღებს რა მხედველობაში, რომ: 1. გალაკტიონ ტაბიძეს უდიდესი დამსახურება მიუძღვის მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის წინაშე, 2. რომ თითქმის ოცდახუთი წელია, რაც სახალხო პოეტი ცხოვრობს მეორე სანაპირო ქუჩის ახლოს, 3. რომ ამ რაიონში დაიბეჭდა და გამოიცა შვიდი ტომი საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ნაწერებისა, _ შუამდგომლობს სსსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე, რათა (მეორე) მარცხენა სანაპირო ქუჩას მიეკუთვნოს საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის სახელი და ეწოდოს გალაკტიონის სანაპირო.

მოხსენების თემაც მოუნიშნავს: «სანაპიროს თემა გალ. ტაბიძის შემოქმედებაში».

მოთხრობაც დაუწერია _ «ღამის აკორდი»:

_ არის ქუჩები თბილისში... _ ასე იწყებს და ლირიკულად აღწერს სოლოლაკის უბნის შეღამებას.

ლექსიც წამოუწყია:

გარეუბნის ვირის თანახლებით ბიძა
თავგადაკვლით ყვირის: «ყვავილების მიწა!»
ამკობს დედაქალაქს არაერთი ბაღი...

მეორეც წამოუწყია:

ვზივარ კომუნართა ბაღში, როგორც ჩემს საკუთარ სახში...

მერე გაუსწორებია:

ვზივარ კომუნართა ბაღში, რადგან არ მიშვებენ სახში,
საგანი ჩემი ზრუნვისა _ ძველი ვალია და ვახში...

ბიბლიოთეკის კარი ზამთარ-ზაფხულ ღია იყო, ოღონდ ეგ არის _ საღამოს იკეტებოდა:

_ მშიერი მე ვზივარ სამკითხველოში ექვსი საათის განმავლობაში. ვკითხულობ გაზეთებს, ჟურნალებს. დამავიწყდა შიმშილი. დამავიწყდა, რომ ავადა ვარ, ავად! მერე როგორ ავად! და გახდა ცხრა საათი. დახურეს სამკითხველო. ძალაუნებურად უნდა გამოხვიდე. და ხეტიალი. თოვს.

ვიცი, რაც უნდა იკითხო, ძვირფასო მკითხველო! მაგრამ თუ გახსოვთ, ადრე შეგვეკითხა თუ გვიპასუხა:

_ მერედა სადა მაქვს, ძამიკო, სახლი?!

გარეთ აღამებდა და გარეთ ათენებდა. ხან პალტო ეკარგებოდა, ხან _ კოსტუმი და ფეხსაცმელი, ქუდიც, პასპორტიც, პურის ტალონიც. ლენინის ორდენიც დაეკარგა ერთხელ.

_ ჩემს მიერ დაკარგულია შემსალაროს წიგნაკი. გთხოვთ მომცეთ ახალი.

_ ვინაიდან დამეკარგა ქვითარი N ¹3769, გთხოვთ მომცეთ პალტო.

_ ამა წლის დეკემბრის 5 რიცხვს ჯიბიდან ამომართვეს პასპორტი და აკრედიტივი 600 მანეთის. გთხოვთ მომცეთ ახალი პასპორტი.

_ 10 დეკემბერს შუადღის 1-2 სააათზე ჩემ მიერ დაკარგულ იქნა შემდეგი დოკუმენტები: 1. უვადო პასპორტი, 2. სამხედრო ბილეთი, 3. ორდენის წიგნაკი, 4. საპენსიო წიგნაკი ორდენის, 5. საპენსიო წიგნაკი საქ. სოც. უზრუნველყოფის სამინისტროსაგან, 6. სასურსათო ბარათი, 7. შემსალაროს წიგნაკი.

_ ვიღაცამ ჩემოდანი გამიხსნა და ერთი ინდიგოს პიჯაკი მომპარა.

_ დავკარგე შარფი, კალოში, ფული.

_ აი ადგილი, სადაც ოდესმე ჩამეძინა ღამით და როდესაც გამეღვიძა _ ფეხებზე არა მეცვა რა! ახალთახალი ფეხსაცმელი ვიღაცამ... მიითვისა. კიდევ კარგი, რომ მახლობლად ეტლი იყო და იმით მივედი სახლში ფეხშიშველი.

_ გაგვქურდეს (წაიღეს ბინიდან ტანისამოსი).

_ ათასჯერ გამძარცვეს. ერთხელ პალტო წამართვეს, მეორეჯერ პიჯაკი დოკუმენტებით (ოო, ეს საშინელება იყო), მესამეჯერ ფეხსაცმელები და კალოშები. მეოთხეჯერ ქუდი (სულ სამი ქუდი დავკარგე ამნაირად).

ჩანს, ყოველთვის ვერ სცნობდნენ ქურდები:

_ რა საშინელებაა, გალკს მოპარეს პორტსიგარი, რომელიც მას იუბილეზე აჩუქეს... არარაობა უნდა იყო, რომ გალკს რაიმე მოპარო, _ ჩაუწერია ოლიას.

თვითონ კი ყვებოდა:

_ ტიციანს თავს დასხმიან მძარცველები, პალტო უნდა გაეხადათ, მაგრამ ტიციანი ყოჩაღად დახვედრია, არ დაბნეულა, უყვირია: მე პოეტი ტაბიძე ვარ, არ გრცხვენიათ, თქვენ პოეტს ძარცვავთო? მძარცველებს უკითხავთ _ მართლა გალაკტიონი ხარო? ჰო, მართლა გალაკტიონი ვარო, უპასუხნია ტიციანს. მძარცველებს იმწამსვე ბოდიში მოუხდიათ და თავი დაუნებებიათ... ასე გადავარჩინე ჩვენი ტიციანელო, ჩემი სისხლით ნათესავი, მარა მაინც არ არის ჩემი კმაყოფილიო.

ისე, ქურდების სამყაროში უფრო პოპულარული ყოფილა: მოგვითხრობენ, თითქოს თავისი სახლის მახლობლად, ვერის ხიდის სკვერში, ჩვეულებისამებრ, შუაღამემდე შეყოვნებულა. შუაღამისას მორიგე მილიციელს შეუმჩნევია და სკვერის დატოვება უბრძანებია. პოეტი არ დამორჩილებია და ამაყად უპასუხნია: მე გალაკტიონ ტაბიძე გახლავართო. ამაოდ. შემდეგ მილიციელის ყურადღება ლენინის ორდენს მიუპყრია და

გაოცებულს დაუტუქსავს ორდენოსანი: როგორ არცხვენ უმაღლეს ჯილდოსო. ვარცხვენ კი რა, ვამშვენებ მაგ ლითონსო, _ კვლავ შეუპოვრად შეპასუხებია პოეტი. გაბრაზებულა მილიციელი და იძულებით მოუნდომებია ურჩის მილიციაში წაყვანა. მაშინ კი აღშფოთებულ ორდენოსანს ორდენი მკერდიდან მოუგლეჯია და სახეში უთხლეშია. მილიციელს უმალ ხელი დაუტაცნია ჯილდოსათვის, უკოცნია და ჯიბეში ჩაუდევს. მერე იარაღი ამოუღია და წინ გაუგდია პოეტი. გზაზე შემთხვევით ქალაქის მილიციის უფროსი შეხვედრიათ. ამ უკანასკნელს უცვნია გალაკტიონი, მილიციელი დაუტუქსავს და პოეტი სახლამდე მიუცილებია. მეორე დღეს მილიციელს ორდენი კომენდატურაში ჩაუბარებია, მაგრამ სიმართლე ვეღარ გაუმხელია: ვერის სკვერში ვიპოვნეო...

ეს ეპიზოდი ცაკის საწევრო ბილეთს უნდა ეხებოდეს და არა ლენინის ორდენს. 1938 წლის 4 აპრილს ცაკის კომენდანტმა ცაკის თავმჯდომარეს მოახსენა:

_ Председателю ЦИК-а ГССР, товарищу Ф. Махарадзе. При этом препровождается членский билет, выданный ЦИК-ом ГССР на имя Табидзе Галактиона Васильевича за № 254. Сотрудником НКВД тов. Арошидзе, который представил в комендатуру ЦИК-а членский билет, было заявлено, что гр. Табидзе Г.В. билет утратил в пьяном виде на улице. Комендант ЦИК-а ГССР Сарибеков.

ცხადია, ვერის სკვერის შემთხვევა ცაკის ბილეთს ეხება და ისიც ცხადია, ენკავედეს თანამშრომელ არუშიძეს, რომელიც პოეზიასთან საკმაოდ მწყრალად ყოფილა, სხვა შემთხვევაში ვერ ეცოდინებოდა, მთვრალმა დაკარგა ბილეთი თუ ფხიზელმა. მიუხედავად იმისა, რომ აშკარად დაასმინეს უმაღლეს ხელისუფალთან, გალაკტიონისათვის ახალი ბილეთი მიუციათ ძველი 254 ნომრით და ზედ წაუწერიათ: «დაკარგულის მაგიერ».

ლენინის ორდენი კი ცოტა ადრე დაკარგა და ბევრად გვიან აღუდგინეს. წიგნაკი ამჯერადაც გამოუცვალეს, ოღონდ ნუმერაციაც შეუცვალეს: იყო 3024 და ოთხი წლის შემდეგ ასჯერ გაიზარდა: 330807.

თვითონ საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს მოახსენა 1938 წლის 20 ნოემბერს:

_ Мною утерян орден Ленина. Это случилось приблизительно год тому назад. Возвращаясь ночью,сильно усталый от работы над одной из моих книг _ я вздремнул. Орден хранился у меня во внутреннем кармане пальто (почему-то я не хотел, чтобы тогда в трамвае на меня обращали внимание). Когда я возвратился домой, обнаружил, что потерял орден Ленина. Этот момент мог бы сделать меня несчастнейшим из людей, если бы не надежда, что потеря эта не невозвратна или незаменима. Поэтому заявляя об утере, прошу Президиум Верховного Совета СССР _ заменить утраченный орден.

12 დეკემბერს დაიმედებულა:

_ ბებუთოვმა სიტყვა-სიტყვით ასე სთქვა: Орденская книжка дает право на возвращение ордена.

ამ წელიწადს მოღვაწეობის ოცდაათი წლის აღსანიშნავ იუბილეს ამზადებდა, მაგამ რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ბრძანა:

_ გალაკტიონს ჩვენ იუბილეის არ გავუმართავთ, ლენინის ორდენის დაკარგვის გამო თავზე ხელს არ გადავუსვამთ. მწერალთა კავშირმა კი, თავის მხრით, რაც უნდა ისა ჰქნასო. დავიცადოთ: ჯერ ხალხს დაავიწყდეს გაზეთში დაბეჭდილი განცხადებაო და

ჯერ-ჯერობით საღამო გაუმართეთ, უფასო და არაფასიანიო, მწერალთა სასახლეში და არა ოპერის თეატრშიო.

ორი წლის შემდეგ ორდენი დაუბრუნებიათ:

_ 9 აგვისტოს დამიბრუნეს ორდენი. ჩაბარება მოხდა ცენტრ. კომიტეტის მდივნის მიერ _ მწერლების თანდასწრებით. ორდენის დაბრუნებამ მწერალთა კავშირში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

წიგნაკის გამოცვლა კი უფრო გახანგრძლივებულა:

_ 1941 წ. 27 მარტი. ტელეფონით ველაპარაკე შემნახველ სალაროს (N ¹86), სადაც გამოსაცვლელად მივიტანე ორდენის წიგნაკები, თანახმად გამოცხადებული წესისა. წიგნაკები გადავეცი 28 თებერვალს, ერთი თვის წინად. ყველა წიგნაკები, ვინც წარადგინა, დაუბრუნეს მოსკოვიდან _ ახალი. ჩემი კი დღესაც არ სჩანს. შემნახველ სლაროდან ასე მიპასუხეს: «სამი დღის წინად მივიღეთ უკანასკნელი პარტია წიგნაკებისა და დოკუმენტების, თქვენი კი მათ შორის არ არის. წერილობით ასე გვატყობინებენ: «Орденская книжка и др. документы Галактиона Табидзе будут высланы дополнительно». ასე რომ ველით და ერთი კვირის შემდეგ დაგვირეკეთო. რაში უნდა იყოს საქმე? შესაძლებელია... ბევრი რამაა შესაძლებელი! თორემ რაღა ჩემს წიგნაკზეა დაშვებული ასეთი გამონაკლისი? ო. ი. ამბობს, ელოდე სიურპრიზსო. ეს ისეთი საქმეა, რომელშიაც მე არაფრის გაკეთება არ შემიძლია. დამიბრუნებენ _ ხომ კარგი, არ დამიბრუნებენ _ მათი ნებაა, მე რა უნდა გავახერხო! თუ არ დამიბრუნებენ _ ეს იქნება... ის, რომა აღარ ვიქნები ორდენოსანი. ამითი მეტყვიან, რომ წართმეული მაქვს ლენინის ორდენი. მაგრამ არა მგონია, რომ ასე მოიქცენ.

ამჯერად იმედი გამართლებია:

_ 30 მარტი. მოსკოვიდან დამიბრუნეს ჩემი საორდენო წიგნაკი, სამგზავრო ბილეთი და ფულის კუპონები. ასე რომ ჩემი შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა. წიგნაკებს მხოლოდ ერთი კვირა დააგვიანდა...

გარეთ ცხოვრება თავისას მოითხოვდა. ალბათ ამიტომ დღიურებსა და ჩანაწერებში, როგორც განცხადებების ციკლიდანაც გვახსოვს, რეფრენივით მეორდება ერთი მარადიული პრობლემა:

_ პალტოს პრობლემა... მეც პალტო მინდა. ზამთარი კარს მოგვადგა.

_ ჰყინავს: არა მაქვს პალტო, არც ფეხსაცმელი, არც ქუდი.

_ ერთადერთი მიღწევა ეს პალტოა, რომელიც როგორც იქნა, ვიშოვნე.

_ დამრჩა ერთადერთი პალტო. იგი ძველია, მაგრამ ხვალ უნდა ჩავიცვა უსათუოდ... ხვალ შეხვედრა მაქვს პიონერთა სასახლეში ბავშებთან. ღმერთო! ღმერთო!

_ პალტოც დამიძველდა! მაგრამ არა უშავს რა, ღმერთი დიდია, ღარიბო! თუ თავი ჩემი თან მახლავს, ღარიბად არ ვიხსენები!

_ პალტო არა მაქვს და სახლიდან ვერ გამოვდივარ. გამომიწერეთ პალტო როგორმე. პალტო არის ჩვენს დახურულ განმანაწილებელში, მაგრამ არ იძლევიან უნებართვოდ. მე კი ასეთ მდგომარეობაში ვარ. ძალიან გთხოვთ.

_ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სპეციალური დადგენილებით მე მიმაგრებული ვარ სპეცმომარაგებაზე. ამჟამად დარჩენილი ვარ სრულებით უპალტოოთ. დახურულ გამანაწილებელში უარს მეუბნებიან, პალტოები კი აქვთ. გთხოვთ გასცეთ განკარგულება მომყიდონ პალტო.

ძმა შეეკითხა:

_ ნეტა ეს მაცოდინა, პალტო თუ გაქვს. მე ხომ მაშინ ფული გაგატანე სპეციალურად პალტოს დასახსნელათ. ვაი თუ, უპალტოო ხარ?

ძმას შესჩივლა:

_ პალტო იქავეა, სადაც იყო და იქნება იქვე, ვიდრემდის ჰონორარი არ მოუსწრებს.

ძმის წერილი მიიღო:

_ რომ ჩამოვალ, აუცილებლად პალტო უნდა ვიყიდოთ, თორემ ამ ზამთარში ამ ძველი პალტოთი ხომ არ იქნები.

ძმამ უშველა:

_ უმუშევრობის, უფულობის გამო იძულებული გავხდი გავქცეულიყავი სოფელში ძმასთან, რომელმაც გამიწია დახმარება. მან მომცა პალტო.

ოლია გვაუწყებს:

_ გალი უპალტოოდაა. მეორე დღეა, იძულებულია სახლში იჯდეს...

ორი დღის შემდეგ განაგრძობს:

_ ...გალი უპალტოოდაა. გარეთ კი ყინვა ქვას ხეთქავს. რადაც უნდა დაგვიჯდეს, დღესვე უნდა ვიყიდოთ პალტო. ამისთვის საჭიროა გადამწყვეტი იერიშის მიტანა დახურულ მაღაზიის გამგეზე... რადაც უნდა დაგვიჯდეს, დღესვე! _ სთქვა გალმა და მისი მოღრუბლული სახე წამსვე საბრძოლო განწყობილებამ შესცვალა. ბრძოლის ჟინით ანთებული გავემართეთ ზამთრის პალტოსათვის საომრად. შეტევა გადამწყვეტი აღმოჩნდა. ბევრი ლაპარაკი არც კი დაგვჭირვებია, ისე გავიმარჯვეთ: ვიყიდეთ პალტო, ბეწვისსაყელოიანი, 167 მანეთად!

ომმა სამოსელიც შეცვალა, ადრესატიც და ადრესანტის თანამდებობაც:

_ II დივიზიის პოლიტგანის უფროსს ამხ. პ. მიროტაძეს. სამხედრო მწერალთა ცენტრალური წრის თავმჯდომარის _ გ.ტაბიძის განცხადება. ვინაიდან არა მაქვს საზამთრო პალტო და ფეხსაცემლი, გთხოვთ (თუ ეს მოსახერხებელი იქნება), მომცეთ მაზარა და ჩექმები.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემაც აფიქრებდა და აწუხებდა დაუმცხრალ მოგზაურსა და მოხეტიალეს:

_ ცხოვრება არის მარტო ფეხსაცმელი: ფეხსაცმელი არის გაცვეთილი, მაგრამ არის ახალთ ახალი. არის უშნო და ულაზათო, მაგრამ არის შნოიანიცა და ლამაზი. არის მძიმე და მოუხეშავი, აგრეთვე ლამაზიც.

_ ახალი ფეხსაცმელები დიდებულია!!! ველი კიდევ უკეთესსს!!!

_ «გრუზგოსტორგმა» მომცა ორდერი ერთი წყვილი ფეხსაცმლისა და ერთი კოსტიუმის. ბრავო!

_ ლომბარდიდან გამოვისყიდე პალტო და ორდერით ვიყიდე ფეხსაცმელი. ხვალ ბუქსირზე ავიყვან კოსტიუმს და ამგვარად მივემატები კულტურული ადამიანების რიცხვს.

_ ფეხსაცმელები ყველა უნდა დაპანჩიკდეს.

_ ფეხსაცმლის საკითხი: განახლება ძველების, გაწევა ახლის.

_ დავდივარ უფეხსაცმელოდ.

_ ფეხსაცმელი არაა. ვსაზრდოობ საშინლად.

_ ფეხსაცმელები რომ არა მაქვს, რას მიშვებით ეხლა, წვიმა რომ მოვიდეს?

_ პალტო არა მაქვს, ფეხსაცმელში თითი მომიჩანს:

არ გიყიდო _ არ იქნება, გიყიდო _ რითი?

დახეული ფეხსაცმლიდან მომიჩანს თითი.

ასე იყო თუ ისე, ასატანი პალტო და ფეხსაცმელი ეცვა. არც გაზაფხული იგვიანებდა და ცოცხალი ძეგლივით შეეზარდა თბილისის ქუჩებს: პოეტების მეფე და პოეტების სამეფო! თითქმის ყოველი ფოტოვიტრინიდან შემოგვყურებდა:

_ ფოტოგრაფს ამ მოედანზე ჩემი დიდი სურათი გამოფენილი აქვს აგერ სამი წელიწადია.

ბაღშიც შეხვდებოდით, პარკშიც, კაფეში, სანაპიროზე, ბაზართან, ხიდთან. ყველანი სცნობდნენ. იწვევდა, ესაუბრებოდა. უცნობებთან საუბარი ერჩია. უფრო ეწყობოდა.

_ მე გვერდი მინდოდა ამეარა მ. პატარიძისათვის, მაგრამ მან თვითონ გამაჩერა.

_ მიწიშვილი შემხვდა და ჩაიწერა ჩემი მისამართი (სახლში არ შემოიშვას).

_ ინტელიგენტს რომ დავინახავ, გამაჟრჟოლებს ტანში. თუ ნაცნობია, თავს განზე მივიბრუნებ, არ გამომელაპარაკოს, იქნებ, არ მიცნოს-მეთქი.

«ინტლიგენტო»! შენ დაგიდგეს თვალები,

მაგ ნიღაბში აბა რას იმალები.

_ როდესაც დილით სასაუზმეში შევედი, მომესმა ჩუმი ჩურჩული: «გალაკტიონი!» მე ჩვეულებრივად უხერხულად ვიგრძენი თავი, მაგრამ შემდეგ ვიფიქრე: «სულერთია-მეთქი». არ მიყვარს, როდესაც ყურადღებას მაქცევენ საზოგადო ადგილას, თითქოს გშინჯავენ, რაღაცას ფიქრობენ.

გიგლა მებუკე გვიამბობს:

_ მოვიდა გვიან საღამოთი ჩემთან. ძამიკო, შენთან სალაპარაკო მაქვს, ცოტათი დავნაყრდეთ და ვისაუბროთო. გვიან იყო და ვუთხარი: აქვე, სასაუზმეში-მეთქი. არ დამთანხმდა, მაქ ისეთი ხალხი იქნება, მუსაიფს არ გვაცლიანო. შევიხედეთ, თითქმის არავინ იყო. შევედით, პურ-ღვინო მოვითხოვეთ. ცოტა ხანიც არ იყო გასული, რომ შემოვიდა ის, ვისაც გალაკტიონი ერიდებოდა. მოუპატიჟებლად დაგვეწვია სუფრაზე. გალაკტიონმა ჭიქა მიაწოდა, ადღეგრძელა. უცდიდა, როდის წავიდოდა. არ წავიდა. მაშინ გალაკტიონმა ანგარიში მოითხოვა და ყურში ჩამჩურჩულა, სადმე სხვაგან წავიდეთო. მართლაც გამოვედით გარეთ. ის დაუპატიჟებელი სტუმარიც თან გამოგვყვა, არ გვცილდებოდა. მოთმინებიდან გამოსულმა გალაკტიონმა უთხრა: კაცო, ამ კაცთან საქმე მაქვს, მაცალე ცოტაო. მაინც არ ჩამოგვცილდა. გალაკტიონმა ხელი ჩამოართვა და უთხრა, მშვიდობითო. სამჯერ დამშვიდობების შემდეგ, როგორც იყო, იკადრა და გაგვშორდა. წავედით «დარიალში», მოვნახეთ მყუდრო კუთხე, მოვატანინეთ საჭმელ-სასმელი. მითხრა, ეს გვეყოფა და დიდხანს ვილაპარაკოთო. ცხადი იყო, რაღაც აწუხებდა. ამ დროს ჩვენთან გაჩნდა უფრო თავმომაბეზრებელი პოეტი. არ გვაცალა საუბარი, არც ჭამა. გააბა ლაპარაკი პოეზიაზე, გალაკტიონი შეაქო და მეორე ადგილას თავისი თავი დააყენა. გალაკტიონმა ბევრი უთმინა, ბოლოს ადგა და უთხრა: სადაც მე ვარ, იქ შენ გიკრძალავ პოეზიაზე ლაპარაკსო. როგორც იყო მოგვცილდა. ახლა იმ მიყრუებულ ოთახიდან უნდა გამოვიდეთ. გალაკტიონი მთხოვს: შენ გამიყვანე და თუ ვინმემ დამიძახოს, სუფრასთან არ გამიშვაო. მეც ასე მოვიქეცი. თუმცა ბევრი შეეპატიჟა და ყველა თავის სუფრისაკენ იწვევდა, მე მკლავში ხელი გამოვდე და კარისაკენ

გავეშურეთ. მივდიოდით და თან გალაკტიონი ბოდიშსა და მადლობას უხდიდა ყველას. გარეთ რომ გავედით, მითხრა: რა ვიცი, ვინ არიან, ყველასთან ხომ ვერ დავჯდებიო.

წვერი მოუშვა და უფრო დაიმალა:

_ მიტროფანე ლაღიძე. ალექსანდროვის ბაღში ჩვენს გვერდით დაჯდა. ჰოი, ღმერთო, როგორ დაბერებულა?! მე ვერ მიცნო: წვერებითა ვარ. მას ბაღებში სიარული რომ არ უყვარდა?! რამ დააბერა ასე შარშანს აქეთ? მახსოვს, უკანასკნელი შეხვედრის დროს მითხრა: ჩვენი აკაკი და ილია ეხლა თქვენა ხართო. სადაა მისი ძმა მიხაკო, ჩემს საღამოს რომ დაესწრო კონსერვატორიაში და დემონსტრაციულად რომ ოვაციებს მიმართავდა?.. მაინც რამ მოახუცა ასე?

არადა: ეს ის მიტროფანე ლაღიძე გახლდათ, რომელმაც საქორწილო მოგზაურობა დაუფინანსა 33 წლის წინათ!

არასასურველ ნაცნობს რომ შეეჩეხებოდა, უმალ გაშორდებოდა: გვეჩქარება, ძამიკო, ძალიან გვეჩქარება, წიგნი იგვიანებსო.

ვერც სასურველი ნაცნობის გვერდით სძლებდა დიდხანს:

«მახსოვს, ერთხელ რუსთაველის ძეგლთან შემხვდა...

_ იცი, ეხლა ერთ მილიციელს ვკითხე, საქართველოში ყველაზე დიდი პოეტი ვინ არის-მეთქი? და თუ იცი რა მიპასუხა _ ვაჟა-ფშაველაო. კი მაგრამ, რუსთაველი? _ რუსთაველი გენიოსია, ვაჟა კი დიდი პოეტია. გალაკტიონიც დიდი პოეტიაო. _ რა კარგია მილიციელს რომ ასე უყვარს პოეტები, არა?..

ერთხანს მდუმარედ მივდიოდით... შემდეგ შეჩერდა, მხარზე ხელი ალერსიანად დამადო და მიბრუნდა: ისევ იქით უნდა წავიდეო...» (ლადო გუდიაშვილი).

ზოგჯერ ნაცნობსაც გადაიცნობდა: ჩვენი რჩეულის გეგმაში შეტანისათვის ზემდგომ ორგანოებში მიეცა საქმე:

_ საუბრიდან გამოირკვა, რომ მხოლოდ მაშინ გამოსცემს ამ წიგნს, როდესაც ზევიდან დაუბარებენ. მეც გავქანდი ც.კ.-ში. იქ კვესელავა დამპირდა: უსათუოდო. მაკეტი იქ დაიტოვა.

_ დღეს 23 დეკემბერია. კვესელავამ ტელეფონით მითხრა, რომ იგი ზეგ გაგზავნის მიმართვას სახელგამისადმი. ზეგ! ზეგ! ზეგ 25 დეკემბერი იქნება. წიგნი წარადგინეო _ მითხრა!!!

_ წიგს არ იღებენ... როგორც სჩანს, ც.კ.-დან ჯერ არავითარი განკარგულება მათ არ მიუღიათ. კვესელავამ 25-სთვის გადაცემული იქნებაო. სწორი არ გამოდგა.

კვესელავა იგონებს:

«ვერის დაღმართზე შემხვდა მოულოდნელად. ორიოდე დღის წინ იგი მთელი საათი იჯდა ჩემს სამუშაო კაბინეტში. შემომხედა და მიხვდა, ნაცნობი რომ ვიყავი, მაგრამ, ჩანს, არ გაახსენდა, ვინ? სულო ცოდვილო, იქნებ გაახსენდა კიდეც, მაგრამ, მაშინ, იმ შეხვედრის დროს ჩემი თანხმობა რომ ვერ მიიღო, სამაგიეროს გადახდა თუ მოინდომა-მეთქი. ჩვეულებისამებრ ხელი თვითონ გამომიწოდა და მაშინვე მოაყოლა სავალდებულო «გამარჯობა, ძამიკო». ვიდრე ენას მოვიბრუნებდი, საოცრად დაინტერესებული სახე მიიღო და მკითხა:

_ გამოვიდა თქვენი ლექსების ახალი წიგნი, ძამიკო?

უხერხულად შევიშმუშნე და მივუგე:

_ არა, ბატონო გალაკტიონ, მე საერთოდ არ ვწერ ლექსებს.

_ აუჰ! რატომ, შე კაცო! _ ისე შეიცხადა მან, თითქოს მართლაც დიდად საწყენი რამ გაიგონა. მერე თვალები მართლაც «ჭინკებით გაევსო» და «ღიმილდამცინავი» ირონიით მითხრა:

_ მიდი, ძამიკო, აგერ ...სთან (გამეორება რა საჭიროა, ვიცი, რომ ის საერთოდ არ მიაჩნდა პოეტად), დიდებული პოეტია, ზედმიწევნით დიდებული, ის გასწავლის ლექსის წერას... _ ეს რომ თქვა, უცებ დამშვიდდა და უკვე ზურგშექცეულმა ჩაილაპარაკა: _ წერე, ძამიკო, წერე, მთელი თბილისი ლექსებს წერს და...».

ცნობილია: გაუცხოვების ანალოგიური ეპიზოდი ბევრჯერ გაუთამაშებია, მაგრამ სხვებმა არ გაგვიმხილეს. არც თვითონ გაგვიმხილა. ერთხელ მოსკოვში გაიმეორა _ 1958 წლის მარტში, ქართული კულტურის დეკადის დროს: ტაქსის მძღოლს გაესაუბრა და გაეხუმრა:

_ Браток, а Вы не пишите стихи?

_ Чаво, чаво?! Какие ещё там стихи?!

_ Почему! Пишите, браток, доходное дело, у нас все пишут...

და ცნობილი ქართველი პოეტების გვარები გაურითმა ერთმანეთს...

ნაცნობ-უცნობებს კი ხშირად არიდებდა თვალს, ხშირად გადაიცნობდა ხოლმე და უფრო შორსაც გაურბოდა: ქალაქგარეთ გარბოდა და უკაცრიელ სანახებში დაეხეტებოდა.

_ კუმისი ტფილისის მახლობლადაა. ავტობუსები დადიან ყოველ დღე. საგუბერნიო ციხიდან იქნება 15-16 ვერსი. უნდა წავიდე: იქ ცხოვრობს არტემ ლაღიაშვილი, ასორმოცდაათი წლის კაცი.

ბევრ ვინმეს უნახავს თბილისის შემოგარენში მარტოდმარტო გახიზნული, ხან მეოცნებე, ხან აჩქარებული.

სოფელშიც უთენია გადიოდა სახლიდან, ბუნებისა და ფრინველების გამოღვიძებას უსმენდა და შეჰხაროდა.

ერთხელ ნაწვიმარზე წყნეთის ტყეში შევიდა, მიწაზე დაწვა, მიწას ყური მიადო და მიაყურადა. მერე ადგა და გზა გააგრძელა, რამდენიმეჯერ გაიმეორა იგივე. ბოლოს მოლოდინმა გაუმართლა: მიწიდან სოკო ამოშრიალდა!

ერთხელაც: იმავე წყნეთის ტყეში, სისხამ დილით, მთის მწვერვალზე ააღწია და ამომავალ მზეს მოუხმო:

_ ეჰე-ჰე-ჰეეეიიი!!!

კიდევ ერთხელ ისევ წყნეთში მერძევე ქალი დააფრთხო: საკუთარი ეზოდან მნათობის ამოსვლას შეეგება, ხელები გაშალა და უჩვეულოდ შესძახა:

_ მზე!!!

უფრო ადრე დედა შეაშინა სოფელში: ფანჯრის მინებზე მოჭარბებული მზის სხივები დაკოცნა...

1957 წლის 23 სექტემბერს უძოს მთაზე ასულა საცალფეხო ბილიკით. მთელი გზა ას-ას ნაბიჯად დაუყვია და ასე დაუხასიათებია (ალბათ, ყოველი ასის შემდეგ ისვენებდა და წერდა. არ დაგავიწყდეთ: სამოცდაექვსი წლისაა!):

იფნის ბაღიდან უძოზე ასვლა
საცალფეხო გზით

(1957 წ. 23 სექტემბერი, კვირა)

პირველი ასი ნაბიჯი _ აჰყვები უძოს ხევიდან დაწყებულ გზას. აქ ყრია უამრავი ქვა, რომელიც იზიდება მაღლა. აქვე ჩამოდის უძოს წყარო და მიეშურება უძოს ხევისკენ. პირველი ასი ნაბიჯი მიგვაქანებს ზევითკენ. თან მიმყვება ჩემი მურა ძაღლი _ მონადირე ძაღლი.

მეორე ასი ნაბიჯი _ გზა ორად იყოფა. ამ ორად გაყოფილი გზის შუა გულში კუნძულივით აღიმართება მუხის ხეებით, წიფელათი, იფნით და სხვ. გაჭედილი ადგილი. მართლაც ძალიანა ჰგავს კუნძულს.

მესამე ასი ნაბიჯი _ გაგრძელებაა მეორესი, მეორე ასი ნაბიჯისა, ამიტომ მიზანშეწონილია მასაც კუნძულის გაგრძელება ეწოდოს. ვნახოთ.

მეოთხე ასი ნაბიჯი _ გზა მოგვაგონებს პალიასტომს.

მეხუთე ასი ნაბიჯი _ ე.ი. ოთხას ნაბიჯზე გზა ისევ ორადაა გაყოფილი. შუაში გემივით აშოლტილია

მეექვსე ასი ნაბიჯი _ მუხებით და სხვ. ხეებით დატვირთული

მეშვიდე ასი ნაბიჯი _ კუნძული. გემი «დალანდი» მაგონდება.

მერვე ასი ნაბიჯი _ «დალანდი» ეწოდება ამ კუნძულს.

მეცხრე ასი ნაბიჯი _ სახიფათო ფერდობია მიხვეულ-მოხვეული.

მეათე ასი ნაბიჯი _ სულ ნიაღვარითაა ჩამორეცხილი. ამიტომ ვუწოდეთ ნიაღვრისი.

მეთერთმეტე ასი ნაბიჯი _ გაისმის ფრინველთა ხმა. ესეც ნიაღვრისია.

მეთორმეტე ასი ნაბიჯი _ სანატრელი ხედი (პლატო).

მეცამეტე ასი ნაბიჯი _ შინდი, იფანი, მუხა.

მეთოთხმეტე ასი ნაბიჯი _ ბერანჟეს ფურცელი, ფესვების სიმფონია.

მეთხუთმეტე ასი ნაბიჯი _ იფნის შოლტივით მოქნეულ გზაზე.

გადმოგვცემენ: თოვლის მოსვლას ბავშვივით შეჰხაროდა, ფანტელებს ხელით აგროვებდა, თოვლის სურნელს ყნოსავდა, კოცნიდა, ეფერებოდა: ნეტა ასე სუფთა ადამიანი იყოსო.

ადამიანებზე გულგატეხილი ზოგჯერ ზოოპარკს მიაშურებდა:

_ რა უნდა გავიგოთ ზოოპარკში? 1. ისტორია დაარსების. 2. რა და რა ჯგუფებშია დანაწილებული ცხოველები და ფრინველები (სისტემა). 3. სისტემის აზრი.

დილა ბრწინავს, როგორც სარკე, ცა გაშლილა, როგორც თარგი,
დილაც კარგი, ზეცაც კარგი, წამო, ვნახოთ ზოოპარკი.

წასულა და უნახავს, მაგრამ რა უნახავს:

_ საღამოთი _ ზოოპარკი. ახალი ბეწვივით წვრილი მთვარე დავინახე მოწმენდილ ცაზე _ და ამავე დროს აქუხდა ლომი-ცეზარი! ცრუმორწმუნეობა არ არის ეს: ეს 15 დღე ჩატარდება დიდებული, მეფური სიდიადით და სიახლით...

ერთხელ დეზერტირის ბაზარში მტრედი იყიდა, კოცნიდა და გულში იხუტებდა. სახლში წაიყვანა და გაუშვა: თავისუფლების გარეშე არც ფრინველს შუძლია ცხოვრებაო:

ნინას ჰყავდა ერთი შაშვი, ერთადერთი დობილი,
მუდამ ცრემლში, მუდამ შავში, მუდამ ფიქრში მყოფელი.
როს გალიის ვიწრო მინას მოხვდა რკინა უხეში,
გაუფრინდა შაშვი ნინას, ერთადერთი ნუგეში.
მოხდა საქმე საკვირველი: რკინის კარის გაღება
ერთი იყო და ფრინველის ლაღად აჭახჭახება.
ნურავის ნუ ეგონება გალიის ბჭე სვიანი,
როგორც ჩიტის დამონება, ისე ადამიანის.

ერთხელაც წყნეთში ახლად მოყვანილი ძაღლი არ დააბმევინა: როგორ შეიძლება, დაბმულ ძაღლს რა მაყურებინებსო.

ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამდა:

_ ჭიანჭველები დამსეოდენ: ჩამოვიფერთხე. ერთი მაინც გულამდე მოცოცებულიყო. ავიყვანე და ქვევით დავსვი. არ მომიკლავს.

1938 წლის 15 ოქტომბერს ბორჯომის ბლოკნოტში ჩაუწერია:

_ მაქციერა ჩიტი. როდესაც დაიჭერ მაქციერას, იგი ყელს მკვდარივით ხან აქეთ გადაიგდებს, ხან იქით. ჩვენი დიასახლისი მაქციერას ერთ ქალს უწოდებდა, ძალიან მაქციერობს ყელითო.

თერთმეტი წლის შემდეგ გალექსვა დაუპირებია: «ერთხელ ჩიტი მაქციერა, მაქციერა, მაქციერა!..».

1930 წლის რვეულში ამოვიკითხეთ _ «ყურქედანა»:

_ ჩემს ეზოში ცხოვრობს ერთი ძაღლი, სახელად ყურქედანა. მეტისმეტად ალერსიანი ძაღლია ყურქედანა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ტყუილ-უბრალოდ ვინმეს, ეზოში შემოსულს, მივარდნოდეს.

1948 წელს ვერის ბაზარში შავი ლეკვი უყიდია:

_ როდესაც სახლში მოვიყვანე, ყველა გარს შემოეხვია. იგი მხიარულად გრძნობდა თავს. სირბილი ჯერ არ შეეძლო კარგად და როდესაც მოისურვებდა გარბენას, წაიქცეოდა და გადატრიალდებოდა. კიდევ წამოდგებოდა, კიდევ გაირბენდა და ისევ ისე დაეცემოდა. ყველა იცინოდა ამ უხერხულ სირბილზე. ასე თუ ისე შეეჩვია ოჯახის ცხოვ-რებას და იზრდებოდა ჩუმს, უწყინარ ატმოსფეროში, ოთხ კედელს შუაო, რომ იტყვიან... მიგვეჩვია ჩვენ, მიეჩვია თავის არეს. მაგრამ ჩვენ მივდივართ თბილისიდან და მურიკასაც უნდა დავემშვიდობოთ.

მაგრამ ჯერ არ ვემშვიდობებით მურიკას:

_ მოიტანეს ლარტყები _ დახერხილი, გათლილი, გაშალაშინებული. დაიწყეს საწიგნეების გაკეთება... ყველანი ვეხმარებით, რომ საწიგნე გაკეთდეს. თითქმის დღესასწაულის დღეა ჩემთვის. ჩვენს ზეიმში, ასე გასინჯეთ, მურიკელაც იღებს მონაწილეობას.

მალე მოაკითხეს:

_ ორჯერ მოვიდა მუხრანელი გოგო მურიკას წასაყვანად.

იმავე წლის 30 ივლისის ჩანაწერი კი გვაუწყებს:

_ მანიამ ცნობა მოიტანა მუხრანიდან, რომ მურიკელა იქ თავს მშვენიერადა გრძნობს (აჰ, მურიკელა, მურიკელა!).

1936 წლის შემოდგომაზე ქობულეთის რესტორანში აივნიდან მაწანწალა ძაღლი შემოიტყუა, იატაკზე სალაფავი დაუწყო და ოფიციანტს მისი განდევნა არ დაანება: ჩემი მეგობარიაო. მერე ჭიქა შეავსო და თავისი «მეგობარი» ადღეგრძელა.

_ ჩემი მეგობარი! _ სანთლით საძებარია ეს სინტაგმა მისი ნაწერების ლექსიკასა და ლექსიკონში:

მე თვით ჩემში ვარ სამუდამოდ დატყვევებული,
მარტოობაა საშინელი ჩემი საკანი.

და მაინც იქით მიუწევდა გული:

_ ბედნიერება მარტოობაა! _ დაასკვნა საკმაოდ ასაკოვანმა.

მარტოობისაკენ მიმავალ ახალ გზებს ეძებდა, ახალ საშუალებებს:

_ გასაღების შეცვლა ხვალვე!

_ დაიწყო რაღაც საშინელება: მე ჩავიკეტე სახლის კარები.

მსურს მოვიგონო ავადმყოფობა და შვიდი კვირით ჩავკეტო კარი,
რომ მოვაცილო სულს ის ობობა, რომ მახრჩობს, ენა თუ არ დავსძარი.

მეზობლის ფანჯრებიდან შემოვხედოთ:

_ მისი და ჩემი აივნის ფანჯრები ოცდახუთი წლის მანძილზე გვერდიდან შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ხანდახან გავიხედავდი გალაკტიონის მხარეს და იქ ჩასადგურებული იდუმალებისაგან შიშის ქროლვა დამივლიდა. მაშინ ჩემს წარმოდგენაში მის ბინას საუკუნეებით მიტოვებული ციხე-კოშკის ელფერი ჰქონდა გადაკრული (მარიამ გარიყული).

გიორგი ლეონიძემ გულწრფელად ჰკითხა ერთხელ მოსკოვის სასტუმროში:

_ რა გაძლებინებს მარტოს?

იგი კი არამარტო საკუთარ მარტოობას უფრთხილდებოდა: ერთხელ წყნეთის ტყეში შეყოვნებული თორმეტი წლის ბიჭის შეშინებული დედა ანუგეშა:

_ ჩემო დაიკო, დავაცალოთ პატარა არჩილს მარტოობა, ნუ წავართმევთ საუკეთესო საათებს.

უნებლიეთ მაგონდება ლათინური:

_ ყველაზე უკეთ იცხოვრა, ვინც ყველაზე უკეთ დაიმალა.

მაინც ვერ დაიმალა: მიუხედავად იმისა, რომ ცნობისმოყვარე უცნობებსა და დაინტერესებულ ნაცნობებს ერიდებოდა და გაურბოდა, უმრავლესობა ქუჩაში ხვდებოდა და ეცნობოდა. ამის დასტურია მოგონებები, რომლებიც დაიწერა და დაიბეჭდა ანდა გამოქვეყნებას ელოდება. ოდესმე ისინი რამდენიმე მოზრდილ ტომს შეადგენენ და მათი მოქმედების არე და ასპარეზი იშვიათად გადაინაცვლებს ჭერქვეშ.

გავიხსენოთ: გრიგოლ რობაქიძემ ვერასგზით ვერ გაიხსენა რომელიმე სუფრასთან, რომელიმე წვეულებაზე, რომელიმე ოჯახში.

ჩაის სუფრაზე კი მოხვედრილა _ ცისფერყანწელთა შორის _ 1921 წლის 20 აპრილს _ თვითონ რობაქიძის ლექციის შემდეგ:

_ ლექციის შემდეგ ჩაი დავლიეთ პაოლოსთან. აქ მე პირდაპირ ობლად ვგრძნობ თავს. იმდენად უსინდისოები არიან, რომ ყოველნაირ ტერორს მიკეთებენ სიტყვის წარმოთქმის დროს, ერთამენთს გადახედავენ ხოლმე და სხვა. ეს კარგი, მე მშვენიერად ვგრძნობ თანდათან რანაირად მოვიქცე.

როცა ვნებები დაცხრა და ყველამ ყველაფერი მოიგონა, ერთადერთი შემთხვევა აღმოჩნდა: აგვისტოს ერთ ცხელ საღამოს, წყნეთში, ეშხში შესულ გიორგი ლეონიძეს გაახსენდა, მძღოლი გაუგზავნა და აგარაკიდან აგარაკზე გადაიწვია. თუმცა ვერც აქ მოულხენია «ჩვენებურად, ქართველურად»: ღვინო არ შეუსვამს მოულოდნელი სტუმრობითა და უჩვეულო მასპინძლობით გაოცებულს.

«ჩვენებურად, ქართველურად» სხვაგან ილხენდა: სამწუხაროდ, ასეთი შეხვედრების მონაწილენი და მოწმენი უპირატესად რიგითი უსახელონი გახლდნენ, რასაც მესამე პირი და მესამე თვალი გვიდასტურებს ხოლმე. ლადო ასათიანს ჩაუწერია:

_ მწვანე ბაზარში ვნახე გალაკტიონი. ქეიფობდა ქუთაისელ მემწვანილეებთან და «მეტაჩკეებთან». ზამთარი იყო _ ქუთაისური ქარ-ყინვა. გულგაღეღილს მოუჩანდა აღაჟღაჟებული მკერდი.

ბელა ახმადულინა იგონებს თბილისელ ღამის დარაჯს, რომელმაც უამბო: გალაკტიონი ხშირად გამომივლიდა ხოლმე, რადგან ჩემთან და ჩემნაირებთან საუბარი ეადვილებოდაო.

ქუჩის საზოგადოებას კარგად იცნობდა:

_ მე ამხანაგი მათხოვრებშიც მყოლია და უფრო გულწრფელი, ვიდრე ჩემს წრეში.

პერსონალურად იხსენიებდა:

_ ვერის ხიდი. აქ პოპოვი მათხოვრობდა.

თანაუგრძნობდა კიდეც:

_ აქ საშინლად ეჯავრებათ მათხოვრები. უზარმაზარი რუსი მათხოვარი როგორც კი შემოვიდა სასადილოში, მივარდა პატარა იმერელი ბიჭი და ვეებერთელა კაცი სულ პანღურის ცემით გააგდო: _ იდი ატსუდო! იდი, ტებე გავარიატ!

დავით კობიძე მოგვითხრობს შემზარავ შემთხვევას: ტერენტი გრანელი ქუჩაში ამოარჩევს კეთილი შესახედაობის მდიდარ უცნობს და ფულს დაესესხება, სინამდვილეში სთხოვს. ორნი ელოდებიან. მეორე თვითონ დავითია, მესამე _ ჩვენი გალაკტიონი. ასე ისადილეს 1923 წლის ერთ მშვენიერ დღეს და, როგორც ჩანს, ამ ჩვენი მესამის პოეტური მოღვაწეობის თხუთმეტი წლისთავი აღნიშნეს, რადგან სამოწყალო ტრაპეზის შემდეგ დაუკვეხნია:

_ კიდევ 15 წელი და მთელი საქართველო ჩემი იქნებაო.

სხვა დროს კი ესეც აღიარა:

_ შიმშილი რას არ ჩაადენინებს კაცს!

ეტყობა, მსგავსი ეპიზოდი გაახსენდა 1955 წელს და მეხსიერებით აღადგინა ტერენტის სტროფის თავისი ვარიანტი:

ერთად ვეხეტებოდით ტფილისის ბულვარებში,
რესტორნებში, ბაღებში, არსად არა გტოვებდი,
შენ პოეტად შეგიცნეს, რომ ჩაგხედეს თვალებში,
მე კი დავრჩი მტკვრის პირას უსახლკარო პოეტი.

თავისი «რჩეული ხალხი» ჰყავდა, თავისი რჩეული წრე:

_ «ტრუბკასთან» შეკრებილიყვნენ: პაპიროსის გამყიდველი ქურთი, მილიციონერი, ვიღაც შოფერი. სულ რჩეული ხალხი. მივეცი თუმანი ღვინისათვის (მე თვითონ ხომ არა ვსომ). ტრუბკამ მითხრა: «გაიგე? აი ის რომ იყო, პროსტიტუტკა ნიურკა, ერთი თვის წინათ გარდაიცვალაო». ძალიან მეწყინა. მე ვუთხარი, რომ ის ქალი სრულებითაც «პროსტიტუტკა» არ იყო! დამთანხმდა.

_ საწყალი ქალი! _ უნებლიედ ამომხდა გულიდან».

«ტრუბკა» გახლდათ ნავთქურის ხელოსანი რუსი, რომელსაც თვითონ შეარქვა ზედმეტი სახელი. «ტრუბკას» თავის ამხანაგს ეძახდა და, ოლიას დაპატიმრების შემდეგ რომ შინ მარტო დარჩენისა ეშინოდა, ამ ხელოსანთან ათევდა ღამეს:

_ შეიძლება ზოგმა იფიქროს, სად საქართველოს სახალხო პოეტი, პოეტთა მეფე და სად ნავთქურის შემკეთებელი რუსი ხელოსანი მიხეილ «ტრუბკა»? მერე რა ვუყოთ... ადამიანის გულია მთავარი და არა მისი წოდება, თანამდებობა. ჩემი «ტრუბკა» თუმცა უსწავლელი, უბრალო კაცია, მაგრამ სპეტაკი, მდიდარი სულის.

ტრუბკა, ნიურკა, ფედია, მარუსია _ მისი ტრაგედიის მთავარი პერსონაჟებია:

_ Федя, ты куда пошёл, а Федь?..

_ Я знаю...

_ Маруся, а Марусь... ты куда идёшь?

_ Я знаю.

_ Нюра, а, Нюрь!..

სახელებისა და ნახევარსახელების ამ მელოდიაში იმდენი სითბოა ჩაღვრილი, ბრწყინვალე სასახლეებს შეშურდებათ.

_ მე ძალიან ცოტა მეგობრები მყავს, მაგრამ მათ არასდროს არ შეველევი.

შეგნებულად მიისწრაფოდა ამათკენ, რათა გარეგანი სისუფთავისათვის შინაგანი სიწმინდე დაეპირისპირებინა. მისი სპეტაკი სული მუდამ სიკეთის საწყისს ეჭიდებოდა და ადამის შვილს ბიწიერებისათვის ვერ იმეტებდა. « Нюрка, а, Нюрь...» _ ჩვეულებისამებრ დაუსათაურებია ეს ხუთსტრიქონიანი დრამა და მეცხრამეტე ნომრად აღურიცხავს მორიგი ინვენტარიზაციის დროს. ხოლო ნიურკას ნაგვიანევი გამოსარჩლების ეპიზოდს ერწყმის და ეხმაურება 1909 წლის ერთი შემთხვევა, რომელსაც ნოდარ ტაბიძე მოგვითხრობს:

«ნოემბრის ერთ საღამოს ალექსანდრეს ბაღში შეიარა. უნდოდა დარდი გადაეყარა. ბაღის კუთხეში ოთხი აჩრდილი შენიშნა. სამი მეძავი იყო, ერთიც ქუჩის ბიჭი. მიუახლოვდა და ყური დაუგდო მათ საუბარს. შაურზე ვაჭრობდნენ.

ბაღი სავსე იყო ხალხით. დასეირნობდნენ, მასლაათობდნენ, მხიარულობდნენ და არავის აწუხებდა სხვისი გასაჭირი. მხოლოდ ერთმა ებრაელმა მიიხედა იქითკენ:

_ რა გოგო გაფუჭებულა!

გალაკტიონი სულით ხორცამდე შეძრულია. მთელი ღამე ვერ ისვენებს: «საყვარელო დებო, საყვარელო დედებო! მაწუხებს თქვენი ყოფა, თქვენი გასაჭირი... რა ვქნა, რომ ვერ გშველით. განა თქვენ შეგიძლიათ ჩემი ცრემლი დაინახოთ ამ წუთში? მე ვსტირი, მაგრამ თქვენ რა? ოჰ, უმსგავსოებავ ცხოვრებისავ!».

ამ მწარე გულისწყრომას კი 1918 წლის ერთი მოსკოვური მოგონება აგრძელებს:

_ «პრავდის» რედაქციის გვერდით იყო კინო. აქ ერთი შემთხვევა მქონდა. ჩემს გვერდით დაჯდა ქალი, ძალიან ლამაზი. როდესაც დაბნელდა, ქალმა არშიყობა

დამიწყო, რა თქმა უნდა, ჩუმი. ხელი მომკიდა ხელში და მაგრად მომიჭირა, აღარ მიშვებდა დიდხანს. ამ გარემოებამ რომანტიული ელფერი მიიღო Oჩემს წარმოდგენაში. ღამე. კინო. უცნობი ლამაზი ქალი. ალბად ძალიან მოვეწონე-მეთქი. როდესაც ტიციანს ვუამბე, მან გაიღიმა და გულგამგმირავი ირონიით დაატანა:

_ ბოზი იქნებოდაო!

მე ეს ძალიან მეწყინა ტიციანისაგან: რატომ ასე დასცინის ჩემს რომანტიულ ამბებს-მეთქი, ვფიქრობდი. ბოზი როგორ იქნებოდა უცნობი ქალი, იგი უსათუოდ მადლენ-დე მოპენი, ევა, ბლოკის «ნეზნაკომკა» იქნებოდა-მეთქი».

ირაკლი თოიძემ გაიხსენა ერთხელ:

_ შეღამებისას დავინახე, გალაკტიონი კიროვის ბაღთან ქალს მოჰყვებოდა. უნდა გენახათ, როგორი მოწიწებით, როგორი კდემით. უმალ მოგაგონდებოდათ ბლოკის «ლექსები მშვენიერ ქალბატონზე».

ამ სამი გახსენების შემდეგ ალბათ არც გაგიკვირდებათ აღიარებული შედევრის მოულოდნელი მიზეზი, რომელსაც ისევ ნოდარი გვაუწყებს და რომელიც თვითონ გალაკტიონისაგან მოუსმენია:

_ პეროვსკაიას ქუჩის დასაწყისში გუმბათიანი სახლი დგას. აქ ძველად ეკლესია იყო, ეზოში კი _ მონაზონთა სენაკები. ამ ეკლესიაში უმეტესად მეძავები მოდიოდნენ და მხურვალე ლოცვით უზენაესს შენდობას სთხოვდნენ. ერთხელ დილაადრიან გალაკტიონი ეკლესიაში შესულა და მოწმე გამხდარა იმისა, თუ როგორ იღვრებოდა ცრემლად ღვთისმშობლის ხატის წინ დამხობილი ლამაზი მეძავი. ამ სურათს საოცრად აუღელვებია პოეტი... და შინ მისული მსწრაფლ მისჯდომია საწერ მაგიდას:

დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე...

წყვდიადში სინათლის ნაფლეთებს აგროვებდა, ტალახში ოქროს ნამცეცებს დაეძებდა, უკეთურების ტევრში კეთილშობილების ყლორტებს აღმოაჩენდა ხოლმე. თუკი შეეძლო და როცა შეეძლო, ცხოვრებას ფერადი სათვალეებით უყურებდა, ღატაკთა და უპოვართა გასაჭირს ამაღლებულად წარმოგვიდგენდა, ალამაზებდა, აპოეტურებდა:

_ Нищие грозно шумели. Можно ли передать высоту этого грозного шума нищих! Никак невозможно. Можно ли передать широту этого притока нищих, эту равнину Атлантического океана!

გამოსავალს ეძებდა და ვერ პოულობდა:

_ რა შეუბრალებელი ცინიზმია, რა დაუნდობელი ბრძოლა არსებობისათვის, და რა ლოიალური ნიღბით მოქმედებენ მტრები. ისინი არიან ყველგან. გამოსავალია საჭირო. გამოსავალს ვეძებ მეც. სად არის გამოსავალი? ჩემს წინააღმდეგ გამოცხადებულია ბლოკადა. მე მიწყობენ ხაფანგებს, რომ ჩემი მატერიალური მდგომარეობა არ გამოსწორდეს. «ბოგემა» _ აი მომავალი ჩემი ნაწარმოები. საამისო მასალები რამდენიც გინდა: 1. «შიმშილი» _ კნუტ ჰამსუნის. 2. «შიმშილი» _ ლ. ანდრეევის. 3. «პოეტი მოხეტე» _ ლოკკის. 4. «მოხეტე ამერიკა» _ ერიკსონის. 5. «სატანის მეგობარი».

«შიმშილის დღიური» _ ასე დაუსათაურებია ერთი ჩანაწერი:

«ვხეტიალობდი მთელი დღე. შემხვდა ჩემსავით დამშეული მხატვარი. _ რა ვქნათ? _ არ ვიცი! _ მაინც? _ უნდა დავლიოთ. _ რანაირად? _ ფული არ არის! _ წავიდა სასესხებლად სადღაცა. იშოვა სამი მანეთი. მეგონა გვეყოფოდა ორს. მაგრამ მან შემოიწვია უეცრად მესამე. მესამეს მან ასე მიმართა:

_ გვაქვს სამი მანეთი, გინდა შენაც?

_ მე მაქვს მხოლოდ 5 კ!

_ წავიდეთ.

ის მესამე იყო პოეტი ბოგდანოვსკი».

თავისი მეორე სამყაროს ერთი მეინახე _ გარუსებული გერმანელი რუსულად გაგვაცნო:

Скажите: жив иль помер
Художник первый номер
Рихард Эдвардич Зоммер?
И если жив и если, кроме
Вина и пива в Тифсельпроме,
Нет ничего, чем жив-то Зоммер?
А если он и вправду помер,
Все бочки вскоре раскупорим,
Пусть пиво льётся здесь, как море.
И памятник мы разузорим
И будет вечно жить, как Гомер,
Пивная бочка с меткой: "Зоммер".

ერთ ქალბატონს კი წერილით გავეცნობით:

_ პ-ტ-ულო პოეტო! პლეხანოვის პივნოი ბარის «მშვენებას» ქ-ონ ნატალია კოჩანოვას ძალიან სურს თქვენი დაპირების თანახმად დაუწეროთ ლექსი შემდეგ თემაზე «შთაბეჭდილებანი პივნოი ბარში შემთხვევით შემოსულ ადამიანთა ლუდის ჩამომსხმელ ქალზე» (რა თქმა უნდა სათაურიც და ლექსის შინაარსი თქვენი მადლიანი კალმის მიერ სათანადოდ იქნება შეზავებული და გალამაზებული თქვენებური საოცარი მინანქრებით). ეს ქალბატონი არის კეთილი სათნო ხასიათის რომელიც ძლიერ გატაცებულია სიყვარულით და ამიტომ ესეც შეიძლება მიიღოთ მხედველობაში პოეტურ მუზასთან ბრძოლის დროს. მას ძალიან უყვარს ერთი ლექსის ერთი ტაეპი რომელიც სა-უბედუროდ მე მეკუთვნის... ამის სიყვარულიც სხვანაირია განსხვავებული (მისი გადმოცემით) და ესეც მიიღეთ მხედველობაში (ბოდიში რომ სასვენ ნიშნებს არ ვსვამ. მე სტეფან გეორგეს მიმდევარი ვარ ამ მხრივ). ნატაშას დავალებით თქვენი პოეზიის მადიდებელი _ აკლი.

უცნობებიც სცნობდნენ:

«გავიარე პლეხანოვის პროსპექტი ვორონცოვის ხიდამდე. ვიგრძენი ცუდი ჩემი ავადმყოფობა. მაშ უნდა დავბრუნდე. დავბრუნდი. ისევ მიხაილოვის პროსპექტი. თოვს.

_ გამარჯობა, _ დამიძახა ვიღაცამ.

_ გაგიმარჯოს, _ ვუთხარი და გავჩერდი.

ვიღაც გადარეული _ ლაუ სორტელია.

_ ბატონო გალაკტიონ, აქეთ რამ წამოგიყვანათ? _ მეკითხება.

_ ისე, შემთხვევით.

_ წავიდეთ, ღვინო დავლიოთ. მაგრამ მე ფული არა მაქვს. აი, აი, აი, აი ჩემი მეგობრები. ერთად წავიდეთ.

მომიხდა დღეს ქეიფი მეკუბოეებთან, დამმარხველებთან, ორგანიზატორებთან ამ საქმისა. მეკუბოეები. დამმარხველები. მასხრები. _ სულ 8 კაცი. აი სანამდე მიგიყვანს შიმშილი! და ვბრუნდები ჩემს ოთახში».

ფოტოსურათებიც გადაუღია შემთხვევით შეხვედრილებთან.

ერთი გამოუქვეყნებელი განსაკუთრებით გამოირჩევა _ «უბინაო ბავშებთან»:

_ მახსოვს: ეს იყო დიდი ხნის წინ, დაახლოვებით 16 წლის წინად. რკინიგზის სადგურში შემხვდენ ეს ბავშები. გადავიღეთ ერთად სურათი. ისინი წამოსულიყვნენ რუსეთიდან. აქ თბილი ჰავაა, იქ კი ძალიან ვიყინებითო. მათი მშობლები სამოქალაქო ომში დაღუპულიყვნენ. მახსოვს, იმავე დღეს შევხვდი ბავშების საყვარელ მგოსანს შიო მღვიმელს. როდესაც მან ეს სურათი ნახა, თვალებზე ცრემლი მოერია, გადამეხვია და გადამკოცნა, სურათი კი თან წაიღო, ძალიან მჭირდებაო, მითხრა...

ოციანი წლების ფოტოა: ოთხი გაზანგული და ჩამოკონკილი ბიჭი შემოუკრებია, ათი-თორმეტი წლისანი. სამი ფეხზე დგას, ერთი ჩამუხლულია. ოთხივეს ქუდი ახურავს, თვითონ ქუდი ხელში უჭირავს, სკამზე ზის შუაში და ყელი მოუღერებია. პოზის რეჟისურაც მისი მოფიქრებულია:

_... ეს ამბავი სულ გადამავიწყდა და ხელახლა გამახსენდა, როდესაც 16-17 წლის შედეგ მიჩვენეს სურათი, აღმოჩენილი შიო მღვიმელის ქაღალდებში.

სხვა დროსაც ხშირად სტუმრებია ფოტოგრაფს უცნობებთან ერთად: ამათთან უკეთ გრძნობდა თავს. აქაც მარტო იყო. თავის სტიქიაში გახლდათ: არავის ერიდებოდა. არც ეჩქარებოდა, არსად ეჩქარებოდა, არავინ ელოდებოდა. გარეთაც შინ იყო, უფრო შინ იყო.

თითქოს სიმბოლურიცაა: თბილისში ბინაც არ დარჩა მის სახელზე სამუზეუმო (იქ სხვები ცხოვრობენ), თვითონ კი ჯერ ნაოცნებარ მთაწმინდაზე ამაღლდა, მერე ერთ-ერთ ქუჩას დაეპატრონა, ბოლოს სამარადისო ძეგლად აღიმართა გოლგოთასავით წილხვდომი ქალაქის თვალსაჩინო გამზირზე. სკოლასაც ეწოდა მისი სახელი, ბიბლიოთეკასაც, მწვერვალსაც, პრემიაც დაარსდა მისი სახელობისა, სტამბა _ ქუთაისში, სახლ-მუზეუმი _ ვანში, სტიპენდია _ უნივერსიტეტში. აგერ ახლახან გემიც აშენდა _ ტრალერი «გალაკტიონ ტაბიძე», რომელსაც წინასწარ მიესალმა:

გემი სახელად გალაკტიონი,
ქარის პირისპირ მისცურავს გემი.

საქვეყნოდ აღიარებული რეჟისორი თენგიზ აბულაძე აპირებს გადაიღოს ფილმი გალაკტიონზე (სხვათაშორის, ამ წიგნის მიხედვით, თქვენ რომ კითხულობთ)...

ეს მხოლოდ დასაწყისია!

ცარიელი სავარძელი

ხშირად ეკითხებოდნენ:

_ თქვენის აზრით, ვინ არის მეორე პოეტი საქართველოში?

_ ხომ არ აჯობებდა მეოთხედან დაგვეწყო? _ პასუხობდა შეკითხვითვე.

ვიდრე თბილისში ჩამოვიდოდი, პოეტების აუდიტორია წარმოდგენით მქონდა დაზუსტებული: პირველ რიგში მაროდმარტო იჯდა ერთადერთი. მომდევნო რიგები სრულიად ცარიელი გახლდათ. მეხუთე-მეექვსე რიგებიდან ერთბაშად შეიმჩნეოდა დიდი სიმჭიდროვე: მე უფრო შორიდან ვიწყებდი...

უნივერსიტეტში ჩავირიცხე და უმალ მწერალთა სასახლის სალონს მივაშურე: ფეხაკრეფით შევიპარებოდი დარბაზში და იქვე ჩამოვჯდებოდი კარებთან, ბოლო რიგის პირველსავე სკამზე. აქედან დიდი ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებდი წინა რიგებსა და ნაცნობ სახეებს. ყველაზე მეტად, ცხადია, იმ ერთადერთს დავეძებდი. უფრო სწორად _ იმ ერთადერთის გამო მივდიოდი. ის კი ვერასგზით ვერ ვიპოვნე წინა რიგებში, სადაც მოულოდნელი სიმრავლე და სივიწროვე იგრძნობოდა და სადაც ისეთები ხმაურობდნენ, ჩემს დარბაზში ხმის ამოღებას რომ ვერ მიბედავდნენ, ანდა _ საერთოდ არ ირიცხებოდნენ.

პირველი რიგის წინ მარჯვნივ ტრიბუნა იდგა, იქვე _ შავი როიალი და ერთადერთი ძველი სავარძელი. მეგონა, სწორედ ეს განცალკევებული და განსხვავებული სავარძელი ელოდებოდა პოეტების მეფეს, და თვალი მისკენ მეჭირა. მაგამ ძვრფასი სავარძლის პატრონი არსად ჩანდა.

ერთხელაც, ჩვეულებრივად განვმარტოვდი უკანასკნელ რიგში და კისერი წავიგრძელე. ვერც ამჯერად აღმოვაჩინე ნაცნობი პროფილი. ნაცნობი სავარძელიც ისევ ცარიელი გახლდათ.

ცოტახნის შემდეგ მარჯვნივ გავიხედე და: ამავე ბოლო რიგის საპირისპირო კუთხეში იჯდა მარტო! მუხლებზე პორთფელი ედო და ხელები ზედ ჩამოესვენებინა.

ერთხელ კიდევ გავაპარე მარჯვნივ გაოცებული მზერა: არსაით არ იყურებოდა, თითქოს ამ დარბაზში შემთხვევით მოხვდა, თითქოს რაც აქ ხდებოდა, მას არ ეხებოდა. სხვაგან იყო.

მესამედ გახედვა ვეღარ მოვასწარი: მოულოდნელად ადგა და ისე წყნარად გავიდა დარბაზიდან, ჩემს მეტს არავის შეუმჩნევია.

სხვაგან წავიდა...

P.შ. მალე შევიტყვე: ცარიელი სავარძელი კონსტანტინე გამსახურდიას ელოდებოდა.

P.P.შ. ერთი კია: არ აკადრეს და 1959 წლამდე სახალხო პოეტის წოდება არავის მიანიჭეს, ახლოს არავინ დაუყენეს, მეორე და მესამე და მეოთხე საფეხურები თავისუფლად ჩათვალეს. მერე ათვლა შემდეგი საფეხურებიდან გააგრძელეს და იმავე წელიწადს უბოძეს ორ სახელოვანს.

ღვინოს დააბრალებენ

ნასვამი ბევრჯერ მინახავს. რედაქციაში არასოდეს შემოსულა. ამ დროს საქმიან ვიზიტებს ივიწყებდა. ეს დღეები დღიურებშიც გამოტოვებულია. ხანგრძლივი პაუზები ჩანაწერებს შორის ამით უნდა აიხსნას:

_ მეექვსე თვე გადის, რაც დღიურში არა ჩამიწერია რა. ამ ხნის განმავლობაში მე გადავიტანე ბევრი რამ.

როგორც ხელნაწერები გვიდასტურებენ, ნასვამი იშვიათად წერდა:

_ ეხლა მე მთვრალი ვარ და იმიტომ ვწერ. ხვალ ფხიზელი შევწუხდები. არაფერია...

ხშირად გაურბოდა ბახუსის მომხიბლავ ღიმილს:

_ ტყვია მკარი და ღვინოს ნუ დამალევინებ.

_ ბრძოლას ვუცხადებ ღვინოს! გაუმარჯოს სიფხიზლეს!

მცირე მიზეზი ჰყოფნიდა:

_ დღეს 7 საათზე რადიომ გამოაცხადა, რომ გამოდის სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ნაწერები... ამის პასუხად დღეიდან ვსწყვეტ თამბაქოს წევას («გულის ჩოჩქოლი»).

_ თუთუნი მთელი დღე არ მომიწევია: არც მოვსწევ აწი არასოდეს!

_ გადავდევი ყველა პაპიროსები, თუთუნი და ყალიონი და სხვ. ე.ი. მთელი ნიკოტინიადა _ დღეიდან აღარ ვწევ პაპიროსს!

იფიცებოდა და პირობას სდებდა:

_ დალეული იქნა სამი ბოთლი კონიაკი, ერთი კოლოფი პაპიროსი იქნა მოწეული და ეს იყო უკანასკნელი პაპიროსი და უკანასკნელი დალევა. წამკითხველო, ხელს ვაწერ გ. ტაბიძე.

ხელწერაზეც ეტყობა, განწყობილებაზეც:

_ ივნისი (არ ვიცი დღეს რომელი რიცხვია). რატომღაც მე ვიწვევ აშკარა დაცინვას ქუჩაში და ეს იმ დროს... როდესაც სულ რამდენიმე წლის წინად... განა ძნელი გასაგებია, თუ რაშია საქმე? იყო ექვსი შემთხვევა ასეთი ირონიული დამოკიდებულების. აი, როგორ დასცინიან ადამიანები ერთი მეორეს.

ძმაც აფრთხილებდა სოფლიდან:

_ ერიდე მაგ ოხერ სასმელებს, რომელმაც ჩვენი სიცოცხლე ასე მოშხამა და მოწამლა... _ მუდამ გამარჯვებული ხარ და აწიც გამარჯვებული იქნები! შენ _ დარწმუნებული ვარ _ გაიმარჯვებ შენს მტერზეც (ღვინოზე)! ოღონდ შენ მოისურვე, ოღონდ შენ ეს (დედამ რომ იცის, ისე) «გულში ამოიოჭე».

თვითონაც გაულექსავს: «გენია ღვინოში იღუპავს თავს»...

იხსენებდა:

_ აჰა! გამახსენდა! ქეთომ და ელიკომ რომ მითხრეს, რომ მშვენიერი ღვინო ჩამოუვიდათ, სუფრაზე გამოტანა რომ უნდოდათ და მე უარი ვთქვი. ლიკიორზეც უარი ვთქვი. არ მინდა ღვინო!

_ ანდრია ბალანჩივაძესთან საღამოთი ვიყავი ბინაზე. გამაცნო ცოლი, რომელმაც გამოალაგა ტორტი, საცივი, ღვინო. უხერხული კი იყო, მაგრამ ყველაფერზე უარი ვთქვი. ისინი სახტად დარჩენ.

იმუქრებოდა:

_ მე არ მძინავს. «ჩვენს ქართულ პირობებში» მე საკმარისად გაწვრთნილი ვარ, რომ რომელიმე შეჯიბრებას შევუშინდე. უტიფარ გამოსვლებს და უტიფრებს მალე ვაგრძნობინებ ამას, თუ ეს განმეორდა. მხოლოდ უნდა ვერიდო ღვინოს.

საკუთარ თავს მოძღვრავდა:

_ ღვინო საჭირო არ არის. მთვრალი კაცი ყოველთვის სისულელეს ამბობს. ფხიზელი მე ყოველთვის კარგ შთაბეჭდილებას ვახდენ, მხოლოდ სითამამე არა მაქვს. კარგია ფხიზელი სითამამე.

ლექსადაც:

არავითარი ღვინის მე არა ვარ დამლევი,
რადგან გაზაფხულია და აპრილის დამლევი.

ანდა:

ბაღდათელი ხარ, სასმისს გამოვეთხოვოთ, ნინო,
მართლაც საშინელ რასმეს, ღალატს გვიმზადებს ღვინო.

სხვებსაც საყვედურობდა:

_ პირწავარდნილი ლოთია! _ ყველაფერს დაივიწყებდა და გაიმეტებდა მავანს, თუკი გაიმეტებდა (ოღონდ, ამ ორ სიტყვას ჩუმად წარმოსთქვამდა!).

1952 წლის 22 მაისს მწერალთა კავშირში საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელს მოუსმინა, სტუმრად ჩამოსულს (გენერალური მოვალეობას ვეღარ ასრულებდა მძიმე ალკოჰოლიზმის გამო), შეატყო, ესეც ნასვამი რომ იყო და სასტიკად აღშფოთდა:

_ მწერალთა კავშირში მოხსენება გააკეთა სურკოვმა. იგი მოვიდა ძალზე მთვრალი, საგურამოში ყოფილან... როდესაც ტრიბუნაზე ავიდა, ყველამ ტაში დაუკრა, ჩემს მეტმა, რა თქმა უნდა: როგორ ჰკადრა თავის თავს საქართველოს მწერალთა წინაშე მთვრალი გამოსულიყო?

ამ მცირე ინციდენტს გაგრძელებაც აქვს:

_ 1954 წ. გადამიხადა მოსკოვში.

_ მოსკოვი. 1954. დეკემბერი. მოხსენება გააკეთა სურკოვმა. ახსენა ყველა საბჭოთა მწერალი, გამოტოვა მხოლოდ გ...

დაპირისპირება ამით არ დასრულებულა:

_ შევიძინე სურკოვის წიგნი. მტერი ყოველ მხრივ უნდა იქნას შესწავლილი.

არც ქართველი კოლეგის საქციელი მოსწონებია მოსკოვის დეკადის დღეებში _ 1958 წლის 23 მარტს:

_ იგი მთვრალი შემხვდა კორიდორში (მატარებელში ხომ კაცს არა ჰგავდა: აგვიკლო ყველა, დადიოდა ვაგონებში და აწუხებდა ყველას). დღესაც მთვრალია... მე მომმართა: გალაკტიონ, წავიდეთ ჩემთან, დავლიოთ ღვინო. მე მადლობა ვუთხარი დიდი, _ შემოვივლი-მეთქი. იგი წავიდა. ღამის თერთმეტის ნახევარი იყო. ესეც შენი დეკადის მონაწილე!

მგელს მგლობა ერქვა, ტურამ ქვეყანა ამოაგდოო.

გემახსოვრებათ: 1954 წელს მწერალთა საკავშირო ყრილობის პრეზიდიუმის სიიდან ამოიღეს და 1958 წელს დეკადის დელეგატების სიაში არ შეიტანეს ერთი და იგივე ბრალდებით. არადა, სწორედ იმ დეკადის დღეებში მოსკოვის ცენტრალური სასტუმროს ვესტიბიულში მომდევნო თაობის ორმა ნასვამმა პოეტმა საკმაოდ ჭრელი და ვრცელი აუდიტორიის თვალწინ ცხვირპირი დაუსისხლიანეს ერთმანეთს, მაგრამ დელეგატების სიებში მათი გვარები კვლავაც დაუბრკოლებლივ შეჰქონდათ.

თვითონ საკუთარ საქციელს კონტროლს უწევდა:

_ შემხვდა ძველისძველი აქტიორი ქალი, ვსაუბრობდი დიდხანს. შემდეგ მე ვიფიქრე: მთვრალი ვარ, კმარა! ტროლეიბუსით პირდაპირ სახლში!

გარემოებისა და ვითარების შესაბამისად დოზასაც ამცირებდა:

როს გამოვცდი მოზდოკს, ღვინოს ვყლაპდი დოქ-დოქს,
როს მოვედი მოსკოვს, ღვინოს ვწრუპავ კოვზ-კოვზს.

როცა შეეძლო, რეჟიმს იცავდა:

_ ოთხშაბათს, ხვალ 6 საათზე სახლში ვარ.

_ ღვინო დღეს არ შეიძლება!

ერთი ციტატა კიდევ დავიმოწმოთ, დაკვირვებით წავიკითხოთ ეს მეტად მნიშვნელოვანი ციტატა:

_ ჩვენ შეგვეძლო სამუდამო მეგობრები ვყოფილიყავით, რომ ერთმანეთი არ მოგვბეზრებოდა ხანდახან მეტად ხშირი შეხვედრის, მეტად ხშირი ღვინის სმის და აქედან გამოწვეული გაკრეტინების გამო. ხელს გვიშლიდა ის გარემოება კიდევ, რომ მე გამოანგარიშებული მქონდა თვითეული დღე, თვითეული ნაბიჯი. მისთვის კი ამგვარი საქმეები არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდენ. მისთვის ყოველივე ერთი იყო. საზღვარი არ ჰქონდა მის უდარდელობას.

უფრო ლაკონურ ციტატასაც დავაკვირდეთ:

_ ყველაზე უფრო ძვირფასი და გულწრფელია მეტრეველი. ღვინო არ უყვარს. კარგია ეს.

ერთხელ მწერალთა კავშირიდან მიწვევის ფურცელი მიუტანეს. სტუმართან უსიამოვნო დიალოგი გაიმართა:

« _ უკაცრავად, მობრძანდით, ცოტა მოუწყობელი ვარ.

_ მოუწყობელი ხართ იმიტომ, რომ სვამთ.

_ ჰო, მართალია. მე ვსვამ, სხვები კი ფულებს ინახავენ.

_ უკაცრავად, მე მეჩქარება.

(ვისი ხმაა ეს ხმა?). ხვალვე ტელეფონი! ხვალვე დამშვიდება! ან სიკვდილი ან გამარჯვება, რომ იტყვიან!»

როგორც ამბობენ, ზოგჯერ მთვრალს თამაშობდა: არყიან ჭიქას ხელისგულზე დაიპირქვავებდა და წვერ-ულვაშზე შეისხურებდა.

სიმონ ჩიქოვანს უთქვამს:

_ გალაკტიონი მთვრალიც ფხიზელიაო.

უხერხულ სიტუაციაში აღმოჩენილა: მწერალთა კავშირიდან აფრთხილებენ _ საკუთარი იუბილე არ გააცდინოო:

_ გაცნობებთ, რომ 19 ივლისს საღამოს 8 საათზე ცენტრალურ გლეხთა სასახლეში დანიშნულია თქვენი 25 წლის სალიტერატურო მუშაობის აღსანიშნავი იუბილე. გთხოვთ დაესწროთ.

მხატვრის სეანსი გაუცდენია:

_ ძვირფასო გალაკტიონ. გელოდით. ღვინოც კარგი მოვამზადეთ. არ მოხველ. შევწუხდით. გუშინ ხმა გქონდა წასული. გვაცნობე როგორა ხარ. სურათის დამთავრება ქეთოსთვის ისევე აუცილებელია, როგორც შენთვის დაწყებული ლექსის დაბოლოვება. ჩემო დიდო პოეტო, გამოიჩინე გმირობა, ხასიათის სიმტკიცე და სურათი დაამ-თავრებინე. სეანსის შემდგომ ღვინო აქაც გვექნება და ჩვენც სიამოვნებით დავლევთ შენთან ერთად. ნუ დაგავიწყდება, რომ ქეთოს არ უნდა ვაწყენინოთ. თუ კარგად ვერა ხარ, ნება მოგვეცი ვიზრუნოთ შენზე. ხვალ დილით ყოველ მიზეზ გარეშე უნდა ამოხვიდე აქ. მეც მოვალ. ქეთოს უნდა შენი ნახვა დღესაც, მაგრამ დღეის იმედი უკვე აღარა გვაქვს. მთელი გულის სითბოთი შენი მეგობარი ელი ქართველიშვილი.

გაუცდენია და გაუცდენია:

_ გალაკტიონ! ორჯერ ვიყავით მე და ქეთო. ბარათიც გამოგიგზავნეთ. პორტრეტს ისე ცოტა სჭირდება კიდევ. ჩემებურად, საუცხოო რამე იქნება, იშვიათი და შენ კი დაიკარგე. გული გვატკინე: ქეთოს, როგორც მხატვარს და მეც, როგორც ამ ამბის მონაწილეს. იცი, რომ დაგვიანება შეუძლებელია. ამიტომ მოიკრიბე ძალა და წამოდი, წამოდი დილიდანვე. არ გაიხედო გვერდზე! თუ პოეტი დამიჯერებს, ასე უნდა მოიქცეს აუცილებლად. ელი ქართველიშვილი.

ვახტანგ კოტეტიშვილს სწვევია და მასპინძელი შინ არ დახვედრია:

_ ჩემო ვახტანგ, ვიყავი შენთან, არ დამხვდი. «ხალხური პოეზია» დიდებულია. გილოცავ და გისურვებ, ჩემო ვახტანგ, იარო ასე სულ მაღლა-მაღლა და სვა კარგი ღვინო! შენი გალაკტიონი. P.შ. ჩემო ვახტანგ, გთხოვ იმ ღვინიდან ცოტა ჩემსთვისაც გადაანარჩუნო.

1946 წლის 21 დეკემბერს გორში, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის დაბადების ბანკეტზე, ვერიკო ანჯაფარიძეს შეხვედრია:

ვერიკო ვერ იტანს,
In vino veritas

თუ გახსოვთ, აუგად მოიხსენია უცნობი მეინახე, რომელმაც პატარა ნოდართან დაიტრაბახა: გალაკტიონთან ერთად ხშირად დამილევიაო...

როგორც ჩანს, მაინც ბევრი რამ ბრალდებოდა ღვინოს:

_ ღვინოს დააბრალებენ.

_ და მაინც ღვინით ჰგონიათ მთვრალი.

ასეთი მხიარული გახსენებაც ჩაუწერია იშვიათად:

_ საღამოს დავლიეთ, გაგიხარიან!

და ამგვარი კატეგორიული შეგონებაც _ უფრო ხშირად:

_ ღვინოს არ ძალუძს შეჰქმნას შინაგანი შეგნება.

_ სადაც აყვავებულია ხელოვნება, იქ შესაფერათვე ისპობა მთვრალობა. _ ხელოვნება სდევნის, აძევებს ალკოჰოლს.

სიფხიზლე ერჩია, მაგრამ მძიმე წუთებში თავშესაფარს ეძებდა, უარეს თავშესაფარს, და იქით გარბოდა თავისი ნება-სურვილის წინააღმდეგ («ისევ ერთად მივალთ მთვრალი მე და ჩემი ძველი დარდი»):

საქართველოს დიდება ვის არ გაუგონია,
მშვენიერი ლექსები ერთად შაუკონია,
მოუხიბლავს ქვეყანა, გულში ჩაუკონია,
პირველი მგოსანია, ყველას მოსაწონია,
მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს: ღვინო უყვარს, მგონია,

თუმცა ვერც აქ პოულობდა ყოველთვის სულიერ სიმშვიდეს:

არა ვარ გადამთიელი, დღეს ასე გითხრა, ხვალ ისე,
ღამე, ეს ღამე ტიელი, ღვინით ვერ გავიხალისე.

ხანგრძლივი მარტოობის ციხე-კოშკში გამომწყვდეულს მაინც ერთადერთი მანუგეშებელი ეიმედებოდა.

_ ბახუსი მეტისმეტად მოწყალეა.

_ გაიარე, მაგალითად, დუქანთან, სადაც ოდესმე ლიმონათი დაგილევია. შენ უსათუოდ შეჩერდები და მოისურვებ კიდევ დალიო. ასეა ღვინოც.

ერთხელ სასაუზმესთან შეჩერდა. მერე გზა გააგრძელა და საკუთარი მოთმინება შეაქო:

_ ყოჩაღ, გალაკტიონ!

მალე მეორე სასაუზმესთან აღმოჩნდა და კვლავ შეყოვნდა. ისევ გააგრძელა გზა:

_ ყოჩაღ, გალაკტიონ!

მესამესთანაც თავი შეიკავა და გზა გააგრძელა:

_ ყოჩაღ, გალაკტიონ! _ მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შეჩერდა: _ ეხლა, ჩემო გალაკტიონ, სამჯერ რომ თავი შეიკავე, იმ მოთმინების სადღეგრძელო დავლიოთ! _ და უკან შემობრუნდა.

ერთხელ სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა პოსტამენტებივით არათანაბარი სიმაღლის სვეტები დახატა, ასოები მიაწერა და უცნობი სიტყვა შემოგვთავაზა: ალბადალია. მერე იქვე გათიშა და გაშიფრა: ალბად დალია.

ათეული წლების მანძილზე ოპონენტები, რომლებსაც ლიტერატურულ მტრებს ეძახდა, ოსტატურად იყენებდნენ და უყენებდნენ ამ ბრალდებას და ხანგრძლივ იზოლაციაში ჰყავდათ:

_ ლოთია! დალევს! შეგვარცხვენს!

გრძნობდა და განიცდიდა. როგორ არ სვამდა, როგორ არ აჭარბებდა, მაგრამ აქ მთავარია საწყისი მომენტი განვსაზღვროთ, მიზეზს მივაგნოთ, საბაბი დავაზუსტოთ და დავადგინოთ. ამ თვალსაზრისით ფაქტები, რასაკვირველია, აშკარად მის სასარგებლოდ მეტყველებენ. ბოჰემის ერთი ხანგრძლივი ციკლი ოლიას დაპატიმრებამ განაპირობა, მეორე _ ძმის გარდაცვალებამ, მესამე _ პრემიაზე უარმა, მეოთხე _ მასობრივი დაჯილდოებისას უყურადღებობამ, მეხუთე _ თორმეტი წლის ნაღვაწი პოემის დაწუნებამ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

სმის ციკლს ავადმყოფობას ეძახდა და წამალიც _ ერთადერთი ეგულებოდა:

_ შევიდეთ საწყალი კაცის აფთიაქში (სამიკიტნოში).

აფრთხილებდნენ და აშინებდნენ კიდეც:

_ როგორც კი გალაკტიონი ღვინის სმას დაიწყებს, იმ წამშივე ცეკა მას საექიმოდ გაგზავნისო.

ერთი გახანგრძლივებული ციკლის შემდეგ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელმა ამხანაგმა დაიბარა (თვითონაც დაადასტურა) და გააფრთხილა: გალაკტიონ, ნუღარ გახდები «ავადო». განაწყენდა, წავიდა, დალია და იმავე დღეს იმ დროს დაურეკა ხელმძღვანელ ამხანაგს, როცა პრეზიდიუმის სხდომა მიმდინარეობდა, დაურეკა და შეუკურთხა:

_ შენი დედა და... შენი ყველა და...

ადრესატი არ დაიბნა: არაფერი შეიმჩნია და სხვებს რომ არ შეეტყოთ, რაში იყო საქმე, მშვიდად უპასუხა:

_ და... და... და...

_ დაც გყავს, ძამიკო? შენი დაც... _ და მიაყოლა მრავალსართულიანები.

გაჰკრა ქლიბი
ირაკლიმა -

"На безрыбье
и рак рыба".

მაინც ხშირად მიმართავდნენ და სთხოვდნენ: თავს გაუფრთხილდი, ნუ გახდები «ავადო». ღიზიანდებოდა და აპროტესტებდა:

_ ძლიერ მშვენივრადა ვგრძნობ თავს, თუმცა სამი კვირაა არც ღვინო, არც არაყი, არც ლუდი არ დამილევია. კმარა! სხვანაირადაა საქმე საჭირო. ხალხს ჰგონია, რომ მე ლოთობის მეტს არაფერს ვაკეთებ. მე მას დავუმტკიცებ, რომ ვაკეთებ.

თავს იმართლებდა და ცილისმწამებლებს უტევდა, ცდილობდა პროვოკაციას არ აჰყოლოდა:

_ იგი პროვოკაციებს მიწყობს. იგი მათ ეუბნება თითქო მე ღვინოსა ვსომდე (სულითა და გულით უნდათ, რომ მე ღვინის სმა დავიწყო). უნდათ უთხრან ხალხს, რომ ღვინის სმა დავიწყე! უნდათ ქვეყანას დღესვე აცნობონ ეს ამბავი! უნდათ! უნდათ! და აი, ეძებენ მხოლოდ მიზეზს!

_ ერთხელ კიდევ, ფრიად საპასუხისმგებლო სხდომაზე მწერალთა კავშირში, როდესაც თავმჯდომარე მომვარდა მოულოდნელი თავდასხმით, რომ თითქო ღვინის სმის მეტს არაფერს ვაკეთებდე, მხარი დაუჭირა: _ ო, რა თქმა უნდაო. ეს ხომ ყველამ იცისო... საზიზღარი!

_ როდესაც ლეისტის იუბილეზე ვიყავი, მარიჯანმა ჩაილაპარაკა სიტყვა «მთვრალი».

ნახავთ, როცა ევროპიდან დაბრუნდება მარიჯანი,
ვეღარ იცნობთ, ქალია თუ «ფარშიანი» ბადრიჯანი.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე სამი მწერალი დაიბარეს და სასტიკად გაკიცხეს ლოთობისათვის. როდესაც გაკიცხულები გაისტუმრეს, იოსებ გრიშაშვილმა აღშფოთება ვერ დამალა: ამათთან ერთად გალაკტიონი როგორ მოიწვიეთო. გულუბრყვილო ჩანს კოლეგის გამოსარჩლება: პირიქით: ის ორი გალაკტიონის გამო «დაისაჯა».

საუკუნის მიწურულს ტიციან ტაბიძის ქალიშვილს ჰკითხეს: გალაკტიონისაგან თუ გრძნობდით თანადგომასო. ნიტა ტაბიძემ უპასუხა:

_ გალაკტიონი თავდაპირველად ხშირად დადიოდა ჩვენთან. შემდეგ კი კონტაქტი გაწყვიტა, არა იმიტომ, რომ მამას ან ჩვენს ოჯახს პატივს აღარ სცემდა. არა, უბრალოდ _ იგი ძლიერ «ჩაიძირა» სასმელში. ალკოჰოლი ერთადერთ მეგობრად აღიარა.

ისევ ღვინოს დააბრალეს. ჩვენი მკითხველისათვის ცხადი უნდა იყოს: ამ შემთხვევაში ალკოჰოლი არაფერ შუაშია.

1949 წლის დღიურში იპოლიტე ვართაგავას ტექსტი გადაუწერია:

_ სიყრმიდანვე ბახუსის თაყვანისმცემელია. შთამომავლობას დარჩება მისი ხელიხელ საგოგმანები მარგალიტები... მისი «ფხიზელი», მაგრამ უნიჭო მოქიშპეების ხსენებაც აღიგვება «პირისაგან მიწისა».

ერთ ოპონენტს გაღმა შეედავა:

_ მე მაქვს უფლება ხანდახან დავლიო!

ესეც უნდა ითქვას: ფხიზელი გონება ვერც გაუძლებდა ბედისწერის ასეთ შემოტევებს, ამდენ დარტყმას, და შეიძლება ჩვიდმეტი მარტის ტრაგედია უფრო ადრე მომხდარიყო. ვინ იცის!

_ მთვრალი კაცისთანა და გიჟისთანა თავისუფალი არავინ არ არის, არა?

მეუღლის შენიშვნაც მოვისმინოთ:

_ დღეს დიდმნიშვნელოვანი საქმე გადასჭრა გ-მა: პაპიროსის და ღვინის უარყოფა (საღ. 9 ს-დან მთელი ღამე არ მოუწევია). მე სიზმარი მგონია. ძნელია ორივეს ერთად უარყოფა. ძლიერ გაუჭირდება.

1930 წლის 15 ოქტომბერს დღიურში ჩაწერა:

_ ჯინზე, სამი დღეა რაც პაპიროსის წევა მივატოვე... ღვინოსაც ვუტიე.

1952 წლის 29 აპრილს მწერალთა სასახლის დიასახლისის «რჩევა» მოისმინა:

_ La commedia... რიფსომ კლასიკური სიტყვა მითხრა: ღვინო კარგია, არაყი _ არა.

კოლეგებს ხშირად ესარჩლებოდა, ამხნევებდა, ამართლებდა:

_ რუსთაველის პროსპექტზე დადიან პოეტები. ოცნებობენ ერთ ჭიქა ღვინოზე. აწყობენ მანეთის შოვნის გეგმებს. მაგრამ სრულიად უიმედონი არიან. უიმედობა! ო, უბედურთა თავშესაფარო, დათას სარდაფო! ნუთუ მათთვის დღეს დაიხშვება შენი კარები? ნუთუ ეს სიცივით და რევოლიუციით გაყინული ხალხი არ გადავარდებიან დღეს შენს ღრიანცელში, ბოთლების მტვრევასა და უმოწყალოდ უგემურ სიმღერებში? არიან ხომ ბედნიერები, რომელთაც დღეს მოეპოებათ ბინა, ღვინო და თბილი გრძნობა?

ომის დროს ტრამვაიში ავიდა. ერთ გაჩერებაზე მგზავრები ახმაურდნენ: წინა სკამებზე მთვრალებს ჩასძინებოდათ და ვერ გადიოდნენ. ჩაძინებულები არ გააღვიძებინა: დავაცადოთ, იქიდან ჩავიდეთ, საიდანაც ამოვედითო. ასეც მოიქცნენ.

ღვინის კასრის სალტე შეუნიშნავს და დიდი თანაგრძნობით, სიყვარულითა და სიბრალულით შეუდარებია:

_ ეხლა ჩემი გართობაა რგოლი, რომელიც ბოჩკიდან არის მოხსნილი. როცა გააგორებ, იგი ქანაობს ისე, როგორც მთვრალი, სახლისკენ მიმავალი. მიდის და მიქანაობს, ბოლოს ძალა ეცლება, დაეცემა, მაგრამ ისევ წამოდგება. კიდევ დაეცემა, კიდევ წამოდგება და ბოლოს ერთ ზღართანს მოადენს, ისეთს, რომლის შემდეგაც ფეხზე წამოდგომა შეუძლებელია ყოვლად. და დევს საწყალი. და გდია ისე, როგორც მკვდარი.

დალაქთან იჯდა და დალაქმა მობოდიშებით შეჰკადრა: გული მეტკინება ხოლმე, ლოთს რომ გიწოდებენო. გაიცინა და მეორე დალაქს გვერდით სასაუზმიდან ორი ას-ას გრამიანი კონიაკი შემოატანინა. ერთი გულშემატკივარს მიაწოდა, მეორე თვითონ აიღო და მიუჭახუნა: ეს შენს სიჭკვიანეს და ჩემს სისულელეს გაუმარჯოსო. გაპარსვა რომ დასრულდა, მეორე დალაქს ისევ შემოატანინა ორი ას-ას გრამიანი და კვლავ გულშემატკივარს მიუჭახუნა: ეს კი შენს სიმთვრალეს და ჩემს სიფხიზლეს გაუმარჯოს: შენ დღეს ვეღარავის გაპარსავ, მე კი წავალ და ლექსს დავწერო.

ეს შემთხვევა პირველმა დალაქმა გაიხსენა თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, თვითონ კი ცნობილ მოქანდაკეს უამბო პოზირებისას:

_ ომის დროს მწერლებს უფასო სასადილო გაგვიხსნეს. ერთხელ სასადილოში მაგიდასთან ჩემს პირდაპირ სოსო გრიშაშვილი აღმოჩნდა. არადა, უბრად ვიყავით ერთმანეთთან. ერთი შეკვეთის უფლება გვქონდა. სოსომ მაწონი შეუკვეთა, მე _ ასი გრამი არაყი. ოფიციანტს შეეშალა და მაწონი მე დამიდგა, არაყი კი _ სოსოს. არ დავიბენი და მაწონი მაშინვე მივირთვი. სოსომ იფიქრა, იფიქრა, დიდი გაჭირვებით გადაჰკრა ასი გრამი და სასადილოდან გაიქცა.

ერთხელაც ავტოსადგურის სახაშეში უცნობი თანამეინახის მაგიდას მიუჯდა. მომტანმა წინასწარ ორი ჭიქა არაყი დადგა მაგიდაზე. ხაში იგვიანებდა. გალაკტიონმა ვერ მოითმინა და თავისი წილი ჭიქა გადაჰკრა. ხაში ისევ იგვიანებდა და ცოტახნის

შემდეგ უცნობის ჭიქაც მიაყოლა. თანამეინახეს გაუკვირდა, მაგრამ იცნო და ხმა არ ამოუღია. როდესაც მომტანი გამოჩნდა, გალაკტიონმა შეუკვეთა:

_ მე ერთი ჭიქა არაყი და ხაში მომიტანეთ, ამ ახალგაზრდას კი ხაში და ორი ჭიქა არაყი მიართვით!

ლექსადაც ხუმრობდა:

აძინებს და აღვიძებს ღვინო გრიგოლ ლაღიძეს,
მე და ჩემს ტიციანს კი ღვინო გვამამლაყინწებს.

თანამეინახესაც ეხუმრებოდა:

დღეში ათასჯერ გიყვარს ღვინის სმა,
ცხოვრება გათრობს, როგორც თილისმა.

ამ სტრიქონებსაც სალაღობოდ წერდა:

არა მცალია დღესა, რა დროს ხვნაა და თესვა,
შემოდგომაა, მაჭრით უნდა ვილბობდეთ ყელსა,
პურის მზადება ვინ სთქვა, რა უნდა გვარგოს პურმა,
სიცოცხლე მიდის, განა ხვალაც მოისხამს ხურმა?

ჩაუწერია კიდეც _ «ღვინო»:

_ გულის ჟანგი ღვინოსა სვამს პირველად, მაგრამ ორიოდე ყანწის შემდეგ ღვინო აბითურებს ჟანგს. დალევს კაცი ღვინოს და გადმოიღვრება ჟანგი, გამომჟღავნდება ყველა საიდუმლო. დალევ ღვინოს და დატრიალდებიან მთები, აირევიან ღრუბლები (მთებო, ღრუბლებო, რა მოგივიდათ, ღვინოს მე ვსვამ და თქვენა თვრებით?).

ყანწიც დაგვიხასიათა:

_ ყანწებით ღვინოსა სვამენ და არა წყალს. ყანწებით ღვინოსა სვამენ არა ყოველთვის: ქელეხში ყანწებს არავინ არა სვამს. მხოლოდ მაშინ, როდესაც დიდი სუფრაა, გაჩნდება ყანწიც. პირველად ყანწს მოითხოვს თამადა: ასეთია წესი. ადღეგრძელებს მას, რაც ღირსია ყანწით დღეგრძელობის, რაიმე განსაკუთრებულს... _ და ასე შემდეგ...

შეგვახსენა:

_ როდესაც ტოლუმბაშს ირჩევენ, ატყობინებენ ერთი კვირის წინ.

ნაღვინევი მხოლოდ მოკლე სენტენციების ჩაწერას ახერხებდა, კალამი გაურბოდა, ჩვეულ სიმეტრიას ვეღარ იცავდა, ქაღალდის მომჭირნეობაც ავიწყდებოდა და დაგრძელებულ სიტყვებს სტრიქონებად ალაგებდა. ძნელად იკითხება, მაგრამ მაინც მიმზიდველია:

_ ღმერთო, ერთი თხოვნა მაქვს, ნუ მიღალატებ, ღმერთო!

აღტაცებას გადაჭარბებით გამოხატავდა:

_ ჩატარდა! გენიალურად!

ფხიზელს არ ეთანხმებოდა ნასვამი:

_ დაშინება ჩხუბით არ შეიძლება, დაშინება შეიძლება... გამარჯვებით!

ისევ იმუქრებოდა:

_ დიდკაცობს! მედიდურობს! იცის, რომ ბევრი რამ ჩემი საქმის მის ხელშია. ყოფას ვუტირებ!

_ როდის გადაგიხადოთ ჩემდამი პატივისცემა, შარლატანებო?

რუსულად ინიშნავდა:

_ «Если двое скажут: «пьян», иди спать».

მთვრალის მონოლოგებს აგრძელებდა:

_ დოდო ანთაძე და მეორე ვიღაც (მაგრამ კარგი რა!) ისიც ამბობდა, რომ შენ ხარ ქართული პოეზიის... ვაჟა-ფშაველა (მთვრალები იყვენ)... გენია ხარო! საზოგადოთ მიცნობენ! ვილაპარაკეთ 2 საათი. რა მეშველება?

გულშემატკივრის სიტყვებს იმეორებდა და აგრძელებდა და ვეღარ აგრძელებდა:

_ გალაკტიონი დღეს მოვიდა ჩემთან მთვრალი. ენას ძლივს აბრუნებდა. მე ძალიან მწყინს, რომ ასეთი დიდი პოეტი ასე...

ისევ უზენაესი ახსენდებოდა:

თუ არსებობ, კაცს რომ ცაში ჰპატიჟებ,
ამასა გთხოვ, ღმერთო: ნუ გამაგიჟებ.

1956 წელს პირველი დალევა და პირველი დათრობა გაიხსენა (თითქოს კინორეჟისორს შესთავაზა):

_ თეთრი ხიდი. ორი ბავში ხიდზე. შიმშილი. დუქანი თეთრ ხიდთან. შევიდეთ? შევედით. მობრძანდით! მედუქნე. ცარიელი დუქ. მოგვეცით 1/2 ბ. თითქო დიდები ვართ. აბა, დავლიოთ! დასაყოლებელი? დაწერეთ ჩემზე. გამოვედით. ავყევით ხორხს. იქ ვიგრძენი... პირველად თრობა. როგორ მივედით? არ მახსოვს. ათ-ათი წლისანი. ყოველთვის მახსოვს. გავივლი თუ არა იქ. ეს იყო 1902-3 წ. მას შემდეგ 53 წელია. მაინც რომ მახსოვს?!

მახსოვს: ახალი წლის მეორე დღეს საკუთარი სახლის წინ იდგა, თავისი ფიჭვის გვერდით, ნაბახუსევი. გამვლელ ახალგაზრდებს უხმობდა, ულოცავდა, ტკბილით უმასპინძლდებოდა:

_ ახალგაზრდობა ჩემს მხარეზე გადმოვიდა.

_ ახალგაზრდებს ძალიან ვუყვარვარ.

მახსოვს: ვერის ბაზარში ირწეოდა დამძიმებული დღისით-მზისით _ უკოსტუმო და უპორთფელო. ღია ფერის მაღალსაყელოიანი დალაქავებული სვიტრი ეცვა და კიდევ უფრო მოსული და ზორბა ჩანდა. ისე გამომწვევად ირწეოდა ერთ ადგილზე, თითქოს ვიღაცას ელოდა, რომელიც არ ჩანდა.

მახსოვს: «თავისი ბინიდან აივანზე გამოვიდა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი _ სვეტივით აიმართა, ერთ წერტილს მიაჩერდა და დიდხანს იყო ასე. ჯერ ერთი მგზავრი შეჩერდა ტროტუარზე და მიაჩერდა პოეტს. მერე მეორემ და მესამემ მიბაძა მას და თანდათანობით შეგროვდა ხალხი. შემდეგ ერთმა მსუბუქმა მანქანამ შეანელა სვლა, მეორე სულ გაჩერდა. ახლა დიდმა საბარგო მანქანამ ააღრჭიალა მუხრუჭები და შეაფერხა ტროლეიბუსი. ატყდა ჟრიამული, სირენების გაბმული ზუზუნი და ზარების წკრიალი. მთელი მარჯანიშვილის ქუჩა მანქანებითა და ადამიანებით შეტბორდა. გალაკტიონი კი იდგა წარბშეუხრელად და სულ ერთ წერტილს მისჩერებოდა, მდუმარე და ქანდაკებასავით გაშეშებული. მერე უცბად შეტრიალდა და კარებში გაუჩინარდა. ქუჩა ამოძრავდა და ტრანსპორტმაც შვებით ამოისუნთქა» (ნიკა აგიაშვილი).

მახსოვს... მაგრამ ვიჩქაროთ! ჩვენ ხომ პოეტების მეფე გველოდება!

ოცნებაო ჩემო ძველო

რჩეულისათვის ერთგვერდიანი ლექსის ავტოგრაფი ვთხოვეთ. შავი ტუში და ცარცის ქაღალდი მოვუმზადეთ. თვითონ შეარჩია. ზეპირად წერდა. რამდენიმეჯერ შეეშალა და ხელახლა დაიწყო. მარჯვენა არ ემორჩილებოდა და არც წმინდა კალამი უწყობდა ხელს. გაუჭირდა «კარანდაშზე» დაჩვეულს. ავტოგრაფის ფოტოპირსაც ეტყობა: შესამჩნევად განსხვავდება სხვა ადრეული ავტოგრაფებისაგან, განსაკუთრებით _ 1927 წლის შესანიშნავი ხელნაწერისაგან _ «რა ამოძრავებს კიპარისის ტანს...», რომელიც ზარნიშიან წიგნს ამშვენებს.

როგორც იყო, გაასრულა ოცდაოთხი სტრიქონი, მოაწერა მხოლოდ სახელი და მივიღეთ ახალი უსათაურო ვარიანტი ლექსისა «სადღეგრძელო იყოს მისი», რომელიც ხსნის ჩვენს კრებულს. ამ ლექსის თერთმეტი ვარიანტი არსებობდა. ჩვენი მეთორმეტეა და უკანასკნელი. იგი მნიშვნელოვნად განირჩევა სხვებისგან და ამავე რჩეულის 535-ე გვერდზე დაბეჭდილი ტექსტისაგან. ეს განსხვავება აღნუსხა თორმეტტომეულის მეორე ტომმა.

ავტოგრაფი ავტორის სულის სარკეა. გალაკტიონის ავტოგრაფების გრაფიკა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. რაც დრო გადის, ისინი უფრო და უფრო იფასებენ თავს და მოუთმენლად ელოდებიან თავისი დროის ახალგაზრდა პავლე ინგოროყვას.

შეხვედრა გაზაფხულთან

ლექსს თავისებურად კითხულობდა: ნერვიულად, აჩქარებით, სულმოუთქმელად, ერთი ამოსუნთქვით, თითქოს მხოლოდ თავისთვის, ანდა მათთვის, ვინც ზეპირად იცოდა. ქართული ენის არმცოდნეს შეიძლება მუსიკალურ ნაწარმოებად აღექვა: ინტონაცია განწყობილებასა და ხასიათს შეესაბამებოდა და გამოხატავდა.

«მთაწმინდის მთვარის» ჩანაწერი, რომელიც ბათუმში აღმოჩნდა და რომელსაც ხშირად გადმოსცემენ ამ ბოლო დროს, ყველაზე განსხვავებული და გასაგებია. 1953 წლის 23 დეკემბრის ამ ჩანაწერს რომ უსმენ, აჩქარებული გულის ფეთქვა გესმის, გგონია, უკანასკნელად კითხულობს და ცდილობს როგორმე მოასწროს, შიშობს, ვაითუ სუნთქვა არ ეყოს ბოლომდე, _ აკი ბოლო სტრიქონის წინ მოსალოდნელზე ხანგრძლივი პაუზა ჩამოვარდება... გეჩვენება, ვეღარ დაამთავრაო, მაგრამ ერთხელ კიდევ ამოისუნთქავს, ყოველ სიტყვას გამოყოფს, დაყოვნებით წარმოთქვამს უკანასკნელ სტრიქონს, და კულისებში გაიჭრება:

_ გადავრჩით, ძამიკო, გადავრჩით!

დიახ, ჩვენც გადავრჩით!

სხვათაშორის, ეს პაუზა ვიზუალურადაც ასახა ავტოგრაფში: ბოლო სტრიქონი გამოჰყო, მაგრამ სამწუხაროდ პუბლიკაციებში დაიკარგა.

წაკითხვის შემდეგ უტირია კიდეც:

_ გამოვიდა გალაკტიონი და წაიკითხა ლექსები... ერთდროულად დარბაზსაც მიმართავდა და ზეცასაც. როცა, ბოლოს, ირგვლივ შემოეხვივნენ, იგი, განათებული, ცრემლს ძლივს იკავებდა, ან უფრო _ ვეღარ იკავებდა (რევაზ ინანიშვილი).

1928 წლის საერთო რვეულში აღიარებს:

_ თანამედროვე ლექსების კითხვამ (შეიძლება მეც მიმიძღვის ამაში ბრალი) ფაკტის წინაშე დაგვაყენა: ლექსი იკითხება სიმღერითი ტონით. დამკვიდრებულია ყველგან ეს კითხვა.

1946 წლის 7 დეკემბრის «ლიტერატურნაია გაზეტას» პირველ გვერდზე შავი ფანქრით მიუწერია:

_ ძირითადი აზრით უნდა განასხვავო _ შეგნებული კითხვის ხერხები. _ და იქვე ახასიათებს დეკლამაციის ოთხ სახეობას:

_ მოუთმენლად კითხვა (ჩქარა კითხვა სხვაა): უსარგებლოა, საზიანოა, თუთიყუშობაა. ეს სიზარმაცის ნიშანია, აზროვნების, ნებისყოფის საზიანოა, წიგნის უაზრო ფურცვლაა.

_ ყურადღებით კითხვა: ვფიქრობ სხვაზე. მცირე ტექსტები ვიკითხოთ 4-5 წუთი.

_ ნახტომებით კითხვა: არათანმიმდევრულად, გამოტოვებით, ზერელედ. წავიკითხოთ ცოტა, საფუძვლიანად. ასუსტებს ნებისყოფას.

_ გაბმით კითხვა: დიაკვნისებური, შეუგნებელი. პასიურია. ჩქარა იღლები.

წაკითხვა უყვარდა. წინასწარ ემზადებოდა:

_ შაბათს სალიტერატურო საღამო. ხუთშაბათი, პარასკევი და შაბათი უნდა გავატარო სახლში (არაა საჭირო საზოგადოების ნახვა: საჭიროა დასვენება). სამი დღის განმავლობაში საჭიროა მეტი კონიაკი, для поднятия настроения, გოგლი-მოგლი პარასკევსა და შაბათს _ ხმისთვის. მარილი _ ხმისთვის, კვერცხი _ ხმისთვის. ერთხელ და უკანასკნელად დარწმუნდებიან ყველანი, თუ რა დიდი ძალა ვარ მე.

აუდიტორიასაც ითვალისწინებდა და დარბაზის რეაქციასაც სათანადოდ აფასებდა:

და თეატრი ირევა, ისე, როგორც საფუტკრე,
სხვაში არ გაირევა, რაც ის დავისაკუთრე.

_

სცენაზე კოშკის აგებას ცდილობს მედგარი ყაზბეგი,
არტისტის სულის გაგებას ისევ ცდილობენ ყასბები.

რუსული წიგნებიც აღმოაჩნდა პირად ბიბლიოთეკაში: Людвиг Эккард _ "Руководство к чтению поэтических сочинений". Санкт-Петербург. 1875. _ "Материалы для чтецов художественной самодеятельности".

სათაურიც ჩაუნიშნავს.

_ Музыка речи.

1927 წელს გამოცემული რუსული მეთოდიკური სახელმძღვანელო დაუკონსპექტებია _ "Устное и письменное слово учащихся":

_ დგება მოსწავლე კლასის წინაშე და კითხულობს რაც შეიძლება ჩუმად, თან ისე ანაწევრებს სიტყვის ყოველ მარცვალს, რომ ამხანაგები მის მეტყველებას ტუჩების მოძრაობით უფრო აღიქვამენ, ვიდრე ხმით.

_ ხმამაღალი კითხვა წარმატების უტყუარი საწინდარია კლასში იმ გამამხნევებელი და ხალისიანი განწყობილების შესაქმნელად, რომელიც ამ წარმატებას განაპირობებს. მაგრამ ხმამაღალი კითხვა ყვირილს არ უნდა დაემსგავსოს. ეს ფიზიოლოგიურად ვნებს მეტყველების ორგანოებს და აღიზიანებს აგრეთვე ნერვულ სისტემას, სწრაფად გადაღლის მას.

_ სულის დათრგუნული მდგომარეობა წარმოთქმას ადუნებს.

დაუპირებია: სათანადო ნებართვა მოეპოვებინა და პრაქტიკანტივით დასწრებოდა ქართული ენის ან სხვა საგნების გაკვეთილებს, რათა თეორიული დებულებანი გადაემოწმებინა და გამოეყენებინა.

დეკლამაციას დიდ ყურადღებას ანიჭებდა, თუმცა შენიშნავს:

_ პოეზია არ არის დეკლამაცია.

აღიარებდა:

_ ჩემი შეცდომები (თუ ეს შეცდომებია): დაბნევა მისალმებისას ფოიეში, დაბნევა საღამოს დამთავრებისას სცენაზე და, რაც მთავარია, ნერვიულობა (ზედმეტი) ლექსის კითხვის დროს. ლექსი უნდა იკითხებოდეს დინჯად, ყოველგვარი აფექტაციის გარეშე.

ფრთხილობდა, დიქციას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა:

_ ხმა დაკარგული მაქვს. სადღაა ჩემი დიდებული ტემბრი ხმისა? აუცილებლად უნდა დავიბრუნო სიტყვის სითამამე. უნდა გავასუფთავო ხმა. სიმტკიცე უნდა მივსცე.

ცდილობდა, ტაშის ცდუნებას არ აჰყოლოდა:

ტაშისცემისთვის მე ქედს არ ვიხრი, არც ვნანობ, ბრიყვი არსებობს ვინემ,

მხოლოდ ის იყოს პოეტის ფიქრი, მხოლოდ ის მინდა, გამიგოს ვინმემ!

. . . . .

რა პოეტი ხარ, ტაშისცემისთვის თუ იღრიჭები და იმანჭები!

1950 წლის 14 თებერვალს ვრცელი მოგონება დაუწერია _ «როგორ კითხულობდა კაჩალოვი ჩემს ლექსებს», ხოლო ცოტა უფრო ადრე დაწვრილებით მოგვითხრობს ერთი ლექსის ექსპრომტად წაკითხვის ამბავს აკადემიის სხდომაზე. ეს თხრობა ექვს გვერდზე გრძელდება და ექვს კარადაა დაყოფილი: აკადემიის პრეზიდიუმში. მგონი, გული გაუსკდა. «ექსპრომტი». საქმიანი შენიშვნები. «წაიკითხოს თვითონ» და აკადემიის ტრიბუნიდან.

მოულოდნელად შესთავაზებენ წაკითხვას. უარზეა. ღელავს, მერყეობს. ბოლოს დათანხმდება. კითხულობს. მოსწონს თავისი ხმა და თავისი თავი. ტაშითაც კმაყოფილია. დაწვრილებით აღწერს ამ პატარა ეპიზოდს, როგორც ძნელად გადახდილ და მოგებულ ომს:

_ მე გავიმარჯვე!

გამოსვლას ტრიუმფს უწოდებს და აღტაცებული შეძახილით ამთავრებს:

_ იცის ბიჭმა!

1955 წლის ზაფხულშიც მოსწონებია თავისი გამოსვლა ერთი რაიონის თეატრში, ოღონდ ამჯერად აუდიტორიას საყვედურობს:

_ ჩემი გამოსვლა ფენომენალურად კარგი იყო. მხოლოდ ესაა, აუდიტორიაც ძალიან კარგად შემხვდა, მაგრამ ფეხზე მაინც არ ადგა. საერთოდ აუდიტორია ცოტა მოჩერჩეტო იყო. ეს ისეთი აუდიტორია იყო, რომელიც მაგონებდა უკულტურო თამადას: ეს მე გამიმარჯოს, ეს ჩემს ცოლს გაუმარჯოს, ეს ჩემს შვილს გაუმარჯოს... წინა რიგში, პირველ რიგში მჯდომარე ქალებს ფეხი ფეხზე ჰქონდათ გადადებული: თითქო ამბობდენ: გვინახავს თქვენნაირებიცაო!

მისი შედევრების ერთი დიდი ღირსება უაღრესი და უმაღლესი კეთილხმოვანება გახლავთ. ზოგი მათგანი მუსიკალური ნაწარმოებია თითქმის. გასაგებია: ანალოგიურ რიტმებს კომპოზიტორები ერიდებიან. ამიტომ თვითონ შეურჩევია: «ლექსები, რომლებიც შეიძლება გადაღებული იქნას მუსიკაზე». ამიტომაც გვირჩევს:

_ საერთოდ ახლად უნდა დაიწეროს ლექსი, რომ შეეთანხმოს მუსიკას.

ელეგიურ შედევრებს იშვიათად კითხულობდა. პირველად უნივერსიტეტში მოვუსმინე: 1953 წლის 1 ნოემბერს შეხვედრა მოვუწყეთ:

_ ძალიან უყვარს ახალგაზრდობას ჩემი კითხვა.

რამდენიმე წუთით ადრე მოვიდა და ვესტიბიულში შეყოვნდა. როგორც კი დანიშნული საათი შესრულდა, დარბაზში ამაყად შემოაბიჯა გაღიმებულმა. მქუხარე ტაში შევაგებეთ. მისალმებათა ნაკადის შემდეგ ახალგაზრდებმა ლექსები მიუძღვნეს.

მეც.

ყველას შუბლზე გვაკოცა და ორი კვირა შუბლი არ დამიბანია.

აღტაცებულმა ლექსი წაგვიკითხა _ «განჭვრეტა ოცდაათი წლის» _ გამოუქვეყნებელი ლექსი. კონცერტიც მოეწონა, განსაკუთრებით _ საკუთარი ლირის დეკალმატორები და ვოკალისტები:

_ ჩემი საღამო დიდებული იყო უნივერსიტეტში. როგორ მცემენ პატივს... რამდენი ყვავილებია, რამდენი გულწრფელი სიყვარული ჩემდამი!..

რამდენიმე წლის შემდეგ წიგნის სასახლეში მოიწვიეს. წინა დღეებში ხშირად გვაკითხავდა. სატვირთო მანქანით მოძრავი სტენდები მოიტანა:

_ ხვალ დილით გადმოიტანება სტენდები რკინიგზის სახლიდან. საჭიროა ნოდარი და ერთი ორი მუშა. სტენდებს გადავიტანთ პირდაპირ სახელგამში და შევუდგებით კიდეც საქმეს.

მეორე სართულის ვესტიბიულში დაადგმევინა. სტენდებზე მეშვიდე ტომის დაშლილი გვერდები გაეკრათ. ეტყობა სხვა დაიხმარა: ზოგი გვერდი აკლდა და ზოგი ორჯერ იყო წარმოდგენილი. მთელი დღე იქვე ტრიალებდა. თადარიგს იჭერდა, ნერვიულობდა. საღამო მოეწონა. წაიკითხა «წიგნები ხალხს». მეორე დღეს უფრო აღფრთოვანებული მობრძანდა. ადგილკომის თავმჯდომარეს ეძებდა. სურვილი გამოთქვა: რაკი გუშინდელი შეხვედრა ძალიან კარგად ჩატარდა და ყველას მოეწონა, და რაკი სტენდებიც მოტანილია, საჭიროა გაგრძელდეს ასეთი საღამოებიო... ადგილკომის თავმჯდომარე გაერიდა. მესამე დღესაც მოაკითხა. კვლავ ვერ იპოვა.

ახირებული ჩანდა პოეტის სურვილი. მისი ბევრი საქციელი, ისევე როგორც მთელი მისი ცხოვრება, ჩვეულებრივი მოკვდავის თვალსაზრისით და ადამიანური ნორმებით ვერ გაიზომება, ვერ აიხსნება, ვერ შეფასდება.

აკი ძმაც შეგვახსენებს: უცნაურ ვარსკვლავზეა დაბადებულიო.

აკი თვითონაც გვასწავლის: პოეზია სამუდამო გამოცანააო.

აკი შილერიც გვარწმუნებს: ჭეშმარიტი გენიოსი მიამიტი უნდა იყოსო.

ამჯერად ერთი შინაარსის ორი ჩანაწერი დავიმოწმოთ:

_ ახალი რედაკტორი. ერთხმად არჩეულ იქნა ნოდარი.

_ 1950 წ. ღამის თორმეტ საათზე (ახალ წელს უკლდა 5 წუთი)... ნოდარი ერთხმად არჩეულია ყოველკვირეული კედლის გაზეთის რედაკტორად. ეს ძლიერ საინტერესო სამუშაოა. პირველი საახალწლო ნომერი გამოვა 4 იანვარს, მეორე კვირას, 7 იანვარს. უნდა დაგროვდეს მასალები.

წინა წელიწადს თბილისის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის განყოფილება გაიხსნა და ნოდარი პირველ ნაკადში ჩაირიცხა. ჩანს, მომავალი ჟურნალისტის პროფესიამ უკარნახა _ რედაქტორად აერჩია და ახალი წლის მიჯნაზე საგვარეულო კედლის

გაზეთი დაეარსებინა. როგორც ერთხმად არჩეული რედაქტორი იხსენებს, ხელოსანს უზარმაზარი ჩარჩოც დაამზადებინა, ფურცლები და ფერადი ფანქრები შეიძინა, ლექსიც მიუძღვნა ახალბედა რედაქტორს, რომელიც ამჟამად უნივერსიტეტის პროფესორი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი და კათედრის გამგეა და კიდევ ერთ საყურადღებო შემთხვევას იხსენებს: ერთხელ სტამბაში სამი ათასი საკუთარი პორტრეტი დააბეჭდვინა და სახლში მოიტანა: მანეთად თუ არა, ათ შაურად მაინც გაიყიდებაო თითო?!

_ ფოტო-სურათები _ სულ 416. ეს სურათები გამოდგება: ნაწილობრივ გასაყიდათ საღამოზე, ნაწილობრივ მაღაზიებისათვის, ნაწილობრივ მეგობარ-ნაცნობებისათვის.

_ მხატვართა არტელთან (ალექსანდროვის ბაღში): გამიკეთონ 10 სურათი. თვითეული _ 100 მანეთი. სულ ორი ათასი.

განა აშკარა გაოცებას არ იწვევს ყოველკვირეული საოჯახო კედლის გაზეთისა და საკუთარი პორტრეტით კომერციის იდეა?!

განა ერთხელ კიდევ არ გაგაკვირვებთ ასეთი ახირებული განზრახვა: «სახლში გამოფენის მოწყობა».

და განა მოძრავი სტენდების იდეაც უცნაურად არ გეჩვენებათ?!

იგი კი იმედს მაინც არ კარგავდა: მოძრავი სტენდები კარგახანს იდგა უპატრონოდ წიგნის სასახლის ვესტიბიულში. მერე სადღაც წაიღო.

ადრეც სცადა: თექვსმეტ სტენდზე თექვსმეტი ლირიკული ციტატა დააწერინა მხატვარს და, რაკი ქალაქში ვერ მოახერხა და ვერ მოათავსა, წყნეთში აზიდა სატვირთო მანქანით და საკუთარი აგარაკის ეზოში გამოფინა.

ხოლო რახან ტრიბუნის მოპოვებისათვის ბრძოლა ყოველთვის წარმატებით არ მთავრდებოდა, ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა, საკუთარი გაეკეთებინა _ მუდმივი და სამარადისო. დაუხატავს კიდეც კათედრა. «მეტროვკა» არ ჰქონია და თავისი არგანითა და მტკაველით აუზომია გაბარიტები:

_ სიგრძე ტრიბუნისა _ ერთი ჩემი ჯოხის და ოთხი თითის დადება. სიფართოე _ ერთი ჯოხი. პიუპიტრის სიგრძე _ მტკაველ-ნახევარი. პიუპიტრზე ზევით და ქვევით დასაყრდენები. პიუპიტრს სამი პატარა ხის სვეტი იცავს (ერთია დაბლა), ორი ხის სვეტი წინიდან. ზევიდან დასაფარებელი დახრილია. აქვს ქვევიდანაც. გვერდები ნამდვილი ფიცრებია. ჭიქა შთაგონების ობიექტი რომ არ იყოს. ლურსმნები შესაფერისი. სულ ადვილი გასაკეთებელია წყნეთში ქვევიდან პიუპიტრის საყრდენები.

უფრო მარტივი საშუალებაც გამონახა:

_ 10 რიკულით შესაძლებელია გაკეთდეს შესანიშნავი ტრიბუნა.

საკუთარ ტრიბუნას საკუთარი აუდიტორია მოუხდებოდა საკუთარი სახლის პირველ სართულზე, სადაც დღესაც სააფთიაქო სამმართველოს ლაბორატორიაა მოთავსებული:

_ ეს მწერალთა სახლია, შიგ მართალია ცხოვრობენ არამწერლებიც. სასურველია ეს სახლი გადაიქცეს მთლიანად მწერალთა სახლად. აქ 1934 წლიდანაა, რაც მწერლები ცხოვრობენ. "ГАПУ"-მ ძალით დაიჭირა მწერალთა კუთვნილი სარდაფები. ჩვენ უსარდაფოდა ვართ. აქ მცხოვრებ მწერალთ გვესაჭიროება გვქონდეს საკუთარი კლუბი.

არც საკუთარი წერილების ყუთი აწყენდა საქმეს _ «წერილების ყუთთან»:

მოყვრის გულგასახარად, მტრების საბედისწეროთ _
ფიქრნი ჩვენნი გულწრფელად გალაკტიონს მივსწეროთ.

კედლის გაზეთს კი მაინც არ ივიწყებდა:

_ საჭიროა სპეციალური კედლის გაზეთი ამ დღისთვის. _ მარინეს გაზეთი (კედლის გაზეთი). _ საბურთალოს კედლის გაზეთი. _ იუსტიციაში კედლის გაზეთის პოვნა. _ დაწყება ლექსთა გადარჩევისა კედლის გაზეთისათვის. _ ავსწიოთ «კედლის გაზეთები»-ს კულტურა. _ რათაც არ უნდა დაჯდეს, კედლის გაზეთი!

კედლის გაზეთისათვის უკეთეს ვარიანტს ეძებდა და პოულობდა:

_ ამხ. ტარასი. იმ ლექსის, რომელიც გადმოგეცით კედლის გაზეთისათვის, მე ვიპოვე უფრო ძველი (1908 წლის) ორიგინალი. იმისდა მიხედვით გავასწორე.

1952 წლის 12 სექტემბერს საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრთა ვეება წიგნი-ცნობარი აუღია და თავისი სამოცი წლის იუბილეზე ყველას მოწვევა გადაუწყვეტია: სულ რაღაც ორიათასთხუთმეტი კოლეგისა:

მოწოდებათა ჰაეროთი ან ფოსტით დაგზავნა:

1. სულ საბჭოთა კავშირის მწერლების რიცხვი ამ
 წიგნის მიხედვით არის . . . . . 2015 კაცი.
2. მათ რომ ჰაეროთი დაეგზავნოთ ბარათები, ეღირება
 (თვითო ბარათი მანეთი) . . . . . 2015 მან.
3. ფოსტით რომ დაეგზავნოს ბარათები (თითოეული
 40 კ. 2000 კაცს) . . . . . 800 მან.
4. ათას კაცს . . . . . 400 მან.
5. ათას კაცს ჰაეროთი . . . . . 1000 მან.
6. ათას კაცს ჰაეროთი და 1000-ს ფოსტით . . . . . .1400 მან.
7. ათასხუთასს ფოსტით და ხუთას ჰაეროთი . . . . . .1100 მან.

შეხვედრების დიდი მოსურნე და მოყვარული გახლდათ. ნებისმიერ აუდიტორიაზე იყო თანახმა, ნებისმიერ დროსა და ადგილზე, თუკი ჯანმრთელობა უწყობდა ხელს. თუმცა საავადმყოფოშიც ხშირად მოუწყვია თუ მოუწყვიათ შეხვედრა.

1949 წლის მარტში კარდიოლოგიის ინსტიტუტში იწვა:

_ 10. III. კარდიოლოგიის ინსტიტუტში ჩემს პალატაში (N1) შესანიშნავი შეხვედრა მოხდა. ბაღათურიამ შესანიშნავად წაიკითხა ჩემი ლექსები: «მშობლიური მიწა», «ბოძთან ტრამვაის უცდიდა მგზავრი» და სხვ.

პალატაში რამდენი კაცი დაეტევა? რამდენიმე! ის კი, ნახეთ, როგორ წარმოგვიდგენს (გაზვიადებასაც ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარი?):

_ ყველა პალატებიდან ჩვენს პალატაში მოგროვდენ მსმენელები. ყველა მეხვეოდა, ოვაცია გამიმართეს. ტაშისცემას საზღვარი არა ჰქონდა. არასდროს არ დამავიწყდება ეს შეხვედრა.

1956 წლის ოქტომბერში სამკურნალო კომბინატში მკურნალობდა:

_ 10 ოკტ. ავადმყოფებმა მთხოვეს წავუკითხო რამე ახალი ლიტერატურული ნაწარმოები. ამის გამო მე ვფიქრობ, პატარა უმნიშვნელო შეხვედრა რომ მოეწყოს, კარგი იქნება. მოეწყოს სამკითხველოში არა ეხლა, არამედ დღეის სწორს, ე.ი. ოთხშაბათს, 17 ოკტომბერს. ეს ჩემი მოვალეობაა, სახალხო პოეტის. იქნება ერთი მომხსენებელი, რამდენიმე მწერალი.

ხუთი დღის შემდეგ ნერვიულობს, რადგან აკადემიიდან ხელფასი დაუგვიანეს:

_ არის თუ არა ხელფასი? შეიძლება თუ არა გამომიგზავნონ? ანდა არა, უკეთესია, ნუნუს მივცემ მინდობილობას. არა... ის დაიგვიანებს. საქმე კი სასწრაფოა. ზეგ ჩემი საღამოა აქ _ სამკურნალო კომისიაში. საჭიროა ფული სტენოგრაფისტი ქალისათვის, აგრეთვე ბესოსათვის... მაშ _ როგორ? როგორ მოვიქცე?

იმავე 1956 წელს (გთხოვთ, არ გაიღიმოთ!) თადარიგი დაიჭირა და ორი წლით ადრე, სამ _ როგორც ჩანს _ შემთხვევით თანამეინახეს _ «ხელშეკრულება» გაუფორმა:

_ ჩვენ, სამნი, ვდებთ ხელშეკრულებას მასზე, რომ ოპერის თეატრში ძვირფასი საჩუქრებით მოვალთ 1958 წელს.

ხუმრობა იქით იყოს და, ვადასტურებ: 1958 წლის ოპერის აუდიტორიას ნამდვილად სჭირდებოდა მეტი ყურადღება!

1953 წელს რედაქციის კლუბი მოეწონა და იხუმრა:

_ «კამანისტს» შესანიშნავი დარბაზი აქვს. აქ უნდა მოეწყოს შეხვედრა (ადგილკომიადა).

1957 წლის იანვარში დააკონკრეტა:

_ გაზ. «კომუნისტის» კლუბში საღამოების მოწყობა: 7X32=224 ადგილია, სკამიც. კარგი სცენა. ერთი კედელი გამოფენისათვის. მშვენიერი ფოიე. პიანინო. კარგი კორიდორი. ლიფტი (III სართულზე). საჩაიე იქავე. შეიძლება მოეწყოს შეხვედრა თანამშრომლებთან, ასოთამწყობებთან და სხვ. შეიძლება რამდენიმე საღამოს ჩატარება. არის მომსახურე პერსონალი ქალები.

შეხვედრები, საღამოები, იუბილეები _ მისთვის არამარტო საზეიმო ცერემონიალს წარმოადგენდა:

_ აქ ყველაფერი დღესავით ნათელი უნდა იყოს და ამას უნდა მივაღწიოთ თანდათანობით, მაგრამ განუხრელად. უამისოდ არ შეიძლება შეიქმნას წიგნი, უამისოდ ისევ არევ-დარევა გამეფდება მწერლობაში, უამისოდ უფრო მეტი გასაქანი ექნება ავანტიურისტულ გამოსვლებს, უამისოდ მტრები შესძლებენ შეარყიონ ჩემი მდგომარეობა, და ამის გამო ყოველ ასეთ საღამოს დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი ამტკიცებს და ამაგრებს საერთო ფრონტს, იგი წინ სწევს პოეზიის საკითხს, იგი აიძულებს ანგარიში გაგვიწიონ, ისე, როგორც საჭიროა. თუ ყოველივე ეს არ მოხერხდა, თუ არ იგრძნეს, რომ გალაკტიონი წარმოადგენს ძალას, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს, ასეთი საღამოები წყლის ნაყვა იქნება.

გულისტკივილით აღნიშნავდა:

_ კარგია, თუ შეხვედრა მკვიდრი საქმით დასრულდება, თორემ რაა ეხლანდელი შეხვედრები: "Мы встретились и разошлись, как в море корабли".

ენერგიულად ემზადებოდა:

_ ყოველი დღე, ყოველი საათი უნდა გამოანგარიშდეს. ძირს გულგრილობა, გაუმარჯოს ენერგიას! გამარჯვება იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყოველი წვრილმანი გეგმისა შესრულებული იქნება... ყოველდღე უნდა გაკეთდეს ჯამი მოქმედებათა შედეგების. ყოველდღე უნდა დაისახოს მიზანი მეორე დღისათვის. ეს შავი სამუშაოა, მაგრამ უაღრესად საჭირო. არ უნდა დაერიდო შავ სამუშაოს, ნუ შეგეშინდება ცოტაოდენი ჭუჭყის, ოღონდ იდეა იყოს სპეტაკი და ნათელი.

_ შევიძინე კალენდარი! შევიძინე კალენდარი! შევიძინე კალენდარი! რეჟიმია საჭირო.

კალენდარს ხშირად ყიდულობდა და აკვირდებოდა. თარიღებს აზუსტებდა: ცხოვრებისა და შემოქმედების თარიღებს, აღსანიშნავ თარიღებს. ცდილობდა ნაწილობრივ მაინც შეევსო მარტოობის გახანგრძლივებული დღეები და წლები. ეძებდა მიზეზს, წერდა განცხადებებს, თხოვნას, თავის სახელით, სხვისი სახელით, ოფიციალურად, არაოფიციალურად. ათვლას ორი ძირითადი თარიღიდან იწყებდა: დაბადებიდან და პოეტური მოღვაწეობის დასაწყისიდან. ხუთწლიან შუალედებს ვარაუდობდა და ყოველ ორწელიწადნახევარში მორიგი იდეა აწუხებდა. ხოლო რაკი თადარიგს ორი წლით ადრე იჭერდა, მთელი ცხოვრება განუწყვეტელი სამზადისით შეიქცია თავი: გაწბილებიდან იმედის გაცრუებამდე, იმედის გაცრუებიდან გულგატეხილობამდე, გულგატეხილობიდან სასოწარკვეთილებამდე!

1946 წლის 3 სექტემბერს შეუდგენია «გეგმა _ სხვადასხვა მასალების საქაღალდეებში განლაგებისა». ჩატარებული იუბილეებისათვის განკუთვნილი საქაღალდეები დაუთარიღებია და ზუსტად ხუთწლიანი ინტერვალები გამოსვლია:

_ 1918 წელს იუბილეი კონსერვატორიაში. 1923 წელს იუბილეი რუსთაველის თეატრში. 1928 წელს იუბილეი ოპერის თეატრში. 1933 წელს იუბილეი ოპერაში. 1938 წელს იუბილეი მწერალთა კავშირში. 1943 წელს ოპერის თეატრში.

თვითონაც ქმნიდა საიუბილეო კომისიებს (და არა კომისიას) _ ხუთს, შვიდს. უდგენდა გეგმებს, სქემებს. უნაწილებდა ფუნქციებს. ადგენდა და აზუსტებდა პროგრამებს, აფიშებისა და მოსაწვევი ბარათების ტექსტებს, ფოტომასალისა და წიგნების გამოფენის პროსპექტებს, მონაწილეთა, თავმჯდომარეთა და მომხსენებელთა გრძელ სიებს. მიუთითებდა, სად უნდა გაეკრათ აფიშები, ვის უნდა გაეკრა. ერთგან ასი ობიექტია მითითებული. მეორეგან დარბაზის სქემა დაუხაზავს და სკამებზე ანბანის მიხედვით გაუნაწილებია მოწვეულ მწერალთა გვარები. სურდა თანამიმდევრობით ჩაეტარებინა საღამოები, კვირეულები, დეკადები... შვიდტომეულის გამოცემის ხუთი წლისთავის აღსანიშნავი შვიდი საღამოს პროგრამა შეუდგენია 1955 წლის 7 მარტს: 25, 26, 27, 28, 29, 30 და 31 დეკემბერს _ მთელი კვირეული უნდა ჩაეტარებინა. თითოეულ დღეს თითოეულ ტომზე თითო მომხსენებელი გამოუყვია ზედიზედ:

_ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს. ორჯონიკიძის სახელობის ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრში ამა წლის 15 ივნისს გაიმართება საღამო, დაკავშირებული ჩემი ნაწერების შვიდტომეულის გამოსვლასთან. გთხოვთ სათანადო ნებართვას.

გაიმართებაო _ აუწყებს და თან _ ნებართვას სთხოვს. პასუხიც საკადრისი მიუღია:

_ სამმართველოს გამგემ უარი გვტკიცა.

«8 წლიანი გეგმა» შეუდგენია 1948 წელს და მერვე საკითხად დაუნომრავს:

_ შვიდი წიგნის ძეგლი კომკავშირის მოედანზე.

მომხსენებელზე და მონაწილეზე თვითონ ზრუნავდა, თავისი ხელით წერდა თხოვნას:

_ საქართველოს მწერალთა კავშირს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი კვირას, 12 სექტემბერს, აწყობს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებით საღამოს. გთხოვთ ხსენებული საღამოსათვის გამოჰყოთ ერთი მომხსენებელი და რამდენიმე მწერალი.

_ ოთხი მომხსენებელი. საჭიროა ოთხი მომხსენებელი.

_ კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის საღამოს დაესწრებიან მწერლები.

დროულად იჭერდა თადარიგს:

_ ეხლავე უნდა ვიზრუნოთ კარგს მომხსენებელზე.

სათადარიგოზეც ზრუნავდა:

_ საჭიროა მორიგი მომხსენებელი და სიტყვის მთქმელი _ იმ შემთხვევისათვის, ზოგიერთი რომ ავად გახდეს!

პოპულარული პიროვნების მოწვევას ერიდებოდა:

_ ჩემს საღამოს მე სხვების ტრიუმფად არ გავხდი.

_ მე მომხსენებელს უკეთესს ვიშოვი, თუ დამჭირდა.

_ გერონტი ქიქოძე არაა საჭირო, თუ წინასწარ წერილი არ წარმოადგინა (შეიძლება გრ_ზე დაიწყოს ლაპარაკი).

ზოგჯერ მომხსენებელზეც უარს ამბობდა:

_ მომხსენებლები დაღალავენ ხალხს.

იყო სხვა მიზეზიც:

_ არასოდეს აწი მომხსენებელს აღარ მოვიწვევ: «სევდა, მწუხარება, უიდეობა».

ჯგუფური შეხვედრებისაგან თავს იკავებდა:

_ დღეს მწერალთა კავშირიდან ტელეფონით იტყობინებიან: ვეტერინალურ ინსტიტუტში შესდგება შეხვედრა მწერლებისა და სტუდენტებისა... მე ავადა ვარ და საზოგადოდ ჩემთვის არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია ამნაირ საღამოებს. ნერვებს მიშლიან მხოლოდ და მთელი კვირა შემდეგ საწოლში უნდა გავატარო. რად ავიტკივო აუტკივარი თავი?

თუ დაპირდებოდა, სიტყვის კაცი გახლდათ, თავისი სიტყვის პატრონი:

_ პატივცემულო ამხანაგებო, დიდად ვწუხვარ, რომ სერიოზული ავადმყოფობის გამო ვერ ვესწრები თქვენს საღამოს. შემდეგში, ალბათ, ჩვენ არა ერთხელ გვექნება საშუალება ერთმანეთთან შეხვედრისა. გთხოვთ ეს ჩემი ბარათი წაუკითხოთ აუდიტორიას, რომლისადმი პატივისცემის გრძნობა ჩემი გულიდან არასოდეს არ ამოიფხვრება და, რომ ავადმყოფობა არა, შემთხვევა მექნებოდა დამემტკიცებინა მისდამი ეს პატივისცემა. თქვენი გალაკტიონ ტაბიძე.

«უნდა შეიქნას საღამოებისთვის სამეულები» _ დაუსათაურებია და ოთხმოცდასამი ობიექტი დაუსახელებია: სამ-სამი აქტიური ინიციატორების გვარებიც მიუწერია ზოგან. ოთხკუთხედების საფეხურებიანი პირამიდა აუშენებია ჯერ კიდევ 1928 წელს. «განსაკუთრებულ სამეულს» უნდა დამორჩილებოდა შვიდი კომისია: სამხატვრო, სათეატრო, საბინაო, საინფორმაციო, საჟურნალო, დამაკავშირებელი და საკონტროლო. თითოეულ კვადრატს ოთხი მართკუთხედი აგრძელებს: ოცდარვა ქვეკომისიას თავისი განსაზღვრული ფუნქცია უნდა შეესრულებინა საზეიმო ცერემონიალის ჩატარებისას («სამეული» აშკარად უსიამოვნო ასოციაციას იწვევს, მაგრამ ცოტა მოგვიანებით გახდა საშიში).

თავდაპირველად შენობა უნდა შეერჩია და მოეპოვებინა:

_ საღამოებს სხვადასხვა ადგილას თავისი შესაფერი ელფერი უნდა ჰქონდეს.

«ორშაბათები დიდ-დიდ თეატრებში» _ დაუზუსტებია. გასაგებია: ორშაბათობით სპექტაკლები არ იმართება და სცენა თავისუფალია.

დარბაზის ტევადობაც უნდა განესაზღვრა:

_ მარჯანიშვილის სახელობის თეატრი რვაას ოცდათხუთმეტ მაყურებელს იტევს (835), პარტერი _ 510, მარცხენა და მარჯვენა გვერდის ბალკონები _ 71, თვით ბალკონი კი _ 218. სულ 799... ჰმ! საიდან გამოტყვრა მაშ 835? ა? ეს როგორი ანგარიშია. პირველივე სტრიქონი რომ შეცდომით დავიწყე, ვერაფერი კარგის მაჩვენებელია. მაგრამ რა დროს ცრუმორწმუნეობაა! შევუდგეთ საქმეს! მაშ ასე! ჩემი საღამო იმართება იქ 9 ნოემბერს და უნდა დაესწროს მას შვიდას ოთხმოცდაცხრამეტი კაცი. ე.ი. 800. ერთი კაცი დააკლდება! ჯანდაბას იმ ერთი კაცის თავი! ერთი კაცი გინდ იქით და გინდ აქეთ. ერთი კაცი რა ანგარიშში ჩასაგდებია, და ისიც ამდენ ხალხში... მთავარია პარტერის ხუთას ათი კაცი. პარტერში ოცდაერთი რიგია, თვითოში 26 სკამით _ მე-14 რიგამდე. ოი, მგონი აქაც შეცდომა დავუშვი... მაგრამ რა დროს ესაა. შევუდგეთ საქმეს!

ხედავთ: როგორ იბნევა მათემატიკურ ლაბირინთებში?

განსაკუთრებით ოპერის დარბაზი იზიდავდა:

_ მხიბლავს ოცნება ოპერის თეატრისა. აქ გამარჯვება ღირს გამარჯვებად.

_ არ მოვეშვები არასგზით. საღამო, საღამო ოპერის თეატრში!

ამ დარბაზის ლამაზად დაბეჭდილი და გარკვევით დანომრილი სქემა მაგიდაზე ედო და ეტყობა ხშირად ათვალიერებდა. 1941 წლის მარტში უარი უთხრეს. იმ დღეებში საინტერესო დღიურებს წერდა. ამოვიწეროთ სამი ფრაგმენტი სამი დღიურიდან:

_ 6 მარტი. ჰაერში სდგას უარის სურნელება. მაინც საინტერესოა, როგორი ფორმით იქნება იგი ნათქვამი.

_ 20 მარტი. როდესაც ოპერის თეატრის ახლო გავიარე ტროლეიბუსით, გულში რაღაცა წყენამ გამიარა.

_ 27 მარტი. ჯერ კიდევ არ გამქრალა სილუეტი ოპერის თეატრისა. იგი დიდხანს არ გაჰქრება, ისეთი ატმოსფეროა.

1954 წელსაც იგივე საფიქრალი გასჩენია. ისევ გაწბილებულა. გაწბილებულს 23 და 24 ნოემბერს რუსთველური დაბალი და მაღალი შაირის მონაცვლებით თხუთმეტი სტროფი დაუწერია: «ლექსი, დაწერილი ქვიშის საათით _ 10 წუთში». ამ თექვსმეტმარცვლოვანის ათ წუთში გადაწერაც გაჭირდება, არათუ დაწერა, მით უფრო _ პირველი ცხრა კუპლეტი 23 ნოემბერსაა დაწერილი, დანარჩენი ექვსი _ მეორე დღეს. რუსთაველივით იწყებს და უფალს შესთხოვს შემწეობას:

ვიწყებ საღამოს მოწყობას: ღმერთო, მიმართე ხელია.
ამჟამად საღამოების მოწყობა ძნელზე ძნელია.
შეხედავ, თითქოს კაცია, _ დააკვირდები _ გველია,
ჩაგიშლის ყოველ ნააზრევს, ისეთი საძაგელია.

მაგრამ ოპერის თეატრი, თუმცა დგას, მაინც არ იცდის,
იგი სახალხო პოეტის ყოველ ჩანაფიქრს განიცდის,
ყოველთვის მოხარულია, ყოველთვის ნაცნობს ხელს მიწვდის,
უნახავს აღელვებანი ბევრი მგოსნის და არტისტის.
მიცდის ოპერის თეატრი, მეძახის: საით წახველი,
ბევრი ამგვარი დილის და საღამოების მნახველი,
მრავალთა დაბრკოლებათა გულგრილად გადამლახველი,

გარნა რა შენი საქმეა ეხლა დარდი და ნაღველი.

ჩემი პირველი საღამო აქ ცხრაასთვრამეტს მოეწყო.
მხოლოდღა ხსოვნა შთენილა, ჯიბეს რომ არრა მოეცხო.
ჩემგან მშიშარა მგოსანი _ ბევრს სურდა _ რომ გამოეცხო,
სულისთვის რამე ეზრუნა, მუცელი ვერ გამოეძღო.

მაშინ ხალხი რომ მოზღვავდა, ამბად არის მოსასმენი.
გეტყვით: ბევრი რამ მიგრძვნია _ დღეები არ-მოსათმენი.
ჩემთა დღეთა სახალისოდ ის საღამო იყო თქვენი,
ლოჟიდან რომ მიცქეროდენ... ბევრნი იყვენ მოქიშპენი.

ო, ეს იყო ცხრაასთვრამეტს! იმ სხვანაირ ცხრაასთვრამეტს.
რა ამბები არ გადამხდა, მიწითა და ცით განამეტს.
ხალხისაგან მე სულ ცოტას მოვითხოვდი, ო, განა მეტს, -
დავიღალე, დავუძლურდი, დავიქანცე რისგანა მეც.

ცხრაასთვრამეტს! ინგლისელი ნეტა იგი არის სადღა?
წლებთან ერთად ბევრი რამე წაეთრია, წაითათხა,
აივსო და დაიცალა, და დაიმტვრა ბევრი კათხა,
მისი ხელით ამტანელი კაცი იყო მუნ განა თხა.

აწ ნეტავი სადღა არის ის მსმენელი, ის ნეტარი,
რად არ ისმის ის ქუხილი და გრიალი ნამეტანი?
ის გრიგალი ტაშის ცემის, ის მერანი, ის მხედარი,
ეხლა მისი აღარა სჩანს არც ცოცხალი, არც ცხედარი.

ვინ იცის რამდენ რაიმეს წააწყდა ან აიტანა,
იქით მთაწმინდა დაჰყურებს, ძახილი ისმის ციდანა,
მე მისმა მუდმივმა ფიქრმა და დარდმა გადამიტანა,
ან მუდამ ომში ყოფილა, ან წამოსულა მთიდანა.

მე ირაკლის ამ საკითხზე შევეკითხე ტელეფონით,
მან მითხრა, რომ ადვილია გაიარო ღელე ფონით,
სრულ თორმეტზე ვიქნებიო, ამით დავიხელე გონით,
ეხლა სრული პირველია, ვიგრძენ სისულელე ტონით.

მალე ორიც შეიქნება. სჩანს არ უნდათ დახმარება.
რაა მათი მოქმედება? ბუზების თვლა და მთქნარება.
მე კი სულ არ შემიძლია ამ საქმეში დაწყნარება,
მაგრამ კაცსა აქ რას მოგცემს აღშფოთება, გაცხარება.
რა უნდა ჰქნა? სად წახვიდე? თავი ქვას ხომ არ ახალო?

შენ ისეთი დაგდევს ფერი, საქმევ ძველო, არ-ახალო,
როგორ უცებ დაწყნარდები, სხვანაირად ხმამაღალო,
არ იქნება, სათნოება თეთრი ხალით გადახალო.

რა ხანია ამნაირი სახით ვიცნობ მწერალთ კავშირს,
ბოლოში რა უნდა ჰკითხო, თუ რომ არეულა თავშიც,
ვერ გაარჩევ, რა სახე აქვს გრიშაშვილს ან შანშიაშვილს,
რატომ ისმის მარადისი ტიტინი და როშვა ბავშის?

დიდი საქმე მას არ უნდა, რომ აიგდო მასხრად კაცი,
მწერალთ კავშირს მრავალი ჰყავს უსაქმური და ზარმაცი.
გეტყვის: თორმეტ საათს მოვალ... ის საათიც ხდება ბაცი,
გავა ორი, სამი, ოთხი და არა სჩანს არაკაცი.

ჩვენში ბევრი მწერალია მონატრული მეტის-მეტის,
თუ რომ ფული არ შეიქნა, მოტრიალე ხელში კეტის,
დაეცემა ხშირად ბევრი ვერამტანი თავში რეტის,
ალფაბეტის უარმყოფებს _ სძლევენ გმირნი ალფაბეტის!

ეს სამოცი სტრიქონი-ბრალდება სამართლიან და საფუძვლიან პროტესტს გამოხატავდა. ამ სამოცი სტრიქონის საფიქრალი და საზრუნავი ყოველთვის ახლოს მიჰქონდა გულთან: ორი კვირა მოუთმენლად ელოდა ნებართვას და უსიამოვნო რეფრენი თავიდან ვერ მოიშორა:

_ ველით პასუხს... _ პასუხი ჯერაც არ არის... _ არ შეიძლება პასუხის ასე დაგვიანება... _ კიდევ არ არის პასუხი...

_ ძალიან დიდხანს მომიხდა ცდა პასუხისა... განა არ შეიძლებოდა თავიდანვე ეთქვათ მამაცხონებულებს?

ოპერის დარბაზის ნაცვლად წიგნის გამოცემა შესთავაზეს:

_ არ მიშვებენ ოპერის თეატრში, ოპერის თეატრის ახლო. მათ ეშინიათ დიდი სახალხო დემონსტრაციის. ჩემი წიგნებისა კი, როგორც სჩანს, არ ეშინიათ.

მოთმინება აღარ ჰყოფნიდა და თავს ვეღარ იკავებდა:

_ «მომეცით რუსთაველის თეატრი!»

განწყობილებისა და სიტუაციის მიხედვით აპირისპირებდა:

_ ნამდვილი თეატრი, ბატონო, მარჯანიშვილის თეატრია. ნამდვილი მსახიობები იქ არიან. თუმცა ძალიან ეომება რუსთაველის თეატრი, მარა ვერაფერს გახდება.

_ მარჯანიშვილის თეატრი ჩემს მხარეზეა.

მოულოდნელი სიხარულიც განუცდია:

_ ოპერამ არ მოგვატყუა!

სამწუხაროდ, ფილარმონიის ახალ შენობას და სპორტის სასახლეს ვერ მოესწრო. ცირკში კი დაუგეგმავს:

_ სახელმწიფო ცირკის თეატრი. კვირას 9 ოქტომბერს გალაკტიონ ტაბიძე მართავს სალიტერატურო დილას. სიტყვები, პოეზია, კინო, მუსიკა.

უხუმრია კიდეც.

_ როგორ ბაძავენ გ.ტ._ს ცირკის კლოუნები.

ღია ესტრადა მოსწონებია:

_ საღამო გაიმართება შუა ესტრადაზე, სადაც სასულე ორკესტრი უკრავს. 6 000 კაცი ეტევა. ავიყვანოთ 10 000. თუ უნდა იყოს დიდი მასსა, საჭიროა ბილეთები უფასო იყოს, ან ფასდაკლებული. კინოსაც ვიყიდი, ბუფეტსაც ვიყიდი. მთავარია პრესსა, რეკლამა, აფიშები. ბაღში დაუკრავს ცხენოსან ლეგიონის სასულე ორკესტრი.

ღია ესტრადამ დამატებით საფიქრალი გაუჩინა:

« _ ხომ არა დაშავდება რა ბაღში? _ ვკითხე მებაღეს.

_ არა, თუ პატიოსნად მოიქცევიან, არაფერი.

საჭიროა კლუბის გამგეობის განცხადება ბაღის დაცვის შესახებ, თუ დიდი ხალხი იქნება, მთავარი საქმეა წესრიგი».

თუმცა მცირე დარბაზსაც თავისი უპირატესობა ჰქონდა:

_ ფილარმონია დავათვალიერე, სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენს.

_ რამდენ კაცს იტევს კონსერვატორია? _ დაინტერესებულა და დაუზუსტებია:

_ კონსერვატორიის მცირე დარბაზი _ იშვიათი, ჩემთვის ყველაზე საყვარელი დარბაზია. იგი მართლაც მცირეა _ სულ 250-300 კაცს იტევს, მაგრამ ძველის ძველია და ამიტომაა კარგი. ხმოვანებაც დიდი აქვს, აკუსტიკა მცირე დარბაზისა რაღაც იშვიათი რამაა. მგონი ტფილისში არც ერთ დარბაზს ასეთი აკუსტიკა არა აქვს... აქ მართლაც სულ სხვა ხალხი დადის და ეს საზოგადოება შესასწავლია. აუდიტორია უკეთესი არ შეიძლება იყოს... მომსმენი, თავაზიანი, მუსიკალური გემოვნების მქონე საზოგადოება. თუმცა ახალგაზრდობა ყველგან ახალგაზრდობაა, მაინც თავისი იერი აქვს, მიმზიდველი და ამასთანავე დამაფიქრებელი. იქნება თუ არა ხალხი ჩემს საღამოზე? უეჭველად! პირველ საღამოზე მაინც. დიდათ გრანდიოზული რამ იქნება პირველი საღამო!!!

როგორც ჩანს, კონსერვატორია ხშირად არ ამართლებდა:

_ კონსერვატორიის დარბაზისთვის ბედ დავუტოვე 200 მანეთი, საღამო კი არ შემდგარა (იანვარი. 1939). როგორ იქნება საქმე?

1947 წლის 9-18 მარტისათვის განზრახული და გამოცხადებული დეკადაც ჩაიშალა, აიკრძალა. სახალხო პოეტს ცხვირწინ მიუხურეს «ყველაზე საყვარელი დარბაზის» კარები. არადა, დიდი სამზადისი ჩაუტარებია: სახლში წამოუღია დარბაზის გეგმა, რომელშიც დანომრილი სკამებია _ 350. ყოველდღე თითო მომხსენებელი გაუპი-როვნებია, თითო არტისტი, თითო მომღერალი და რამდენიმე მწერალი. აფიშის ტექსტი დაუზუსტებია და დაუბეჭდავს:

საქართველოს სახალხო მგოსნის გალაკტიონის საღამოები 1947 წ. 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17 და 18 მარტს. სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზი (გრიბოედოვის ქ. N 8). დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ბილეთები იყიდება. ბილეთების წინასწარ დაკვეთა შეიძლება ტელეფონით 3-61-47.

კვადრატულ კარდონებზე სტამბურად დაუბეჭდავს პროგრამისა და მოსაწვევი ბარათის ტექსტი, კონვერტებში ჩაუწყვია და უმეტესობა გაუგზავნელი დარჩენია. ცალკე მუდმივი დასწრების ბილეთის ტექსტიც შეუდგენია. პირველი საღამოს მოსაწვევისათვის დანართი დაუმზადებია:

_ გეგზავნებათ ბილეთები დეკადის პირველი საღამოსათვის. თუ რაიმე მიზეზით არ ისურვებთ საღამოზე დასწრებას, გთხოვთ შეგვატყობინოთ ტელეფონით.

ამგვარი გატაცბით ემზადებოდა და პირველსავე საღამოზე იმედი გაუცრუვდა: ოცდაათამდე კაცი ძლივს შეგროვდა, მათ შორის _ სამად სამი მწერალი და ერთიც _ სახალხო აქტრისა. დაელოდა და ინერვიულა. მეტი რომ აღარავინ გამოჩნდა, თავმჯდომარეობა თვითონ იკისრა და ცნობილები პრეზიდიუმში მიიწვია. ერთმა თავი შეიკავა. ცოლ-ქმარი პოეტები (მისივე მეზობლები) და ქალბატონი მსახიობი გვერდით მიუსხდნენ. დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა მობრძანებისათვის და მოუბოდიშა დაყოვნების გამო. შემდეგ აფიშის ერთი ეგზემპლარი გაშალა და აქტრისას მიაწოდა, სთხოვა ლიტერატურის მუზეუმისთვის გადაეცა. შეისვენა, დამშვიდდა და ათრთოლებული ხმით რამდენიმე ლექსი წაიკითხა...

ყოველივე ამის შემდეგ წარმოიდგინეთ დეკადის უკანასკნელი დღის აუდიტორია და გალაკტიონის რეალობის შეფასების უნარიც წარმოიდგინეთ.

ცხადია, დეკადის გაგრძელებამ აზრი დაკარგა. თუმცა თავისთავად განწირული ათდღიურის აფიშებმა იდეოლოგიის მესვეური სასტიკად აღაშფოთა. ზემოდან საგანგაშო ზარი გაისმა და პოეტი თვითნებობისათვის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის ექსტრემალურ სხდომაზე მიიწვიეს დასასჯელად. შეგნებულად დაუგვიანია.

_ ბატონო გალაკტიონ! თქვენ საქართველოს პირველი პოეტი ბრძანდებით, სახელი და დიდება არ გაკლიათ... _ წამოიწყო თავმჯდომარემ, რათა შემდეგ მკაცრად დაეტუქსა. მაგრამ გალაკტიონმა აღარ დააცადა, მიიჭრა მასთან, ხელი ჩამოართვა და მეორე კოლეგას მიუბრუნდა:

_ შენც ხომ ამავე აზრისა ხარ, ძამიკო გიორგი?!

_ რა თქმა უნდა! _ დაუდასტურა ამ უკანასკნელმა.

_ შენ, ძამიკო დავით?

_ რა თქმა უნდა! თქვენ პოეტების მეფე ბრძანდებით!

_ ჰოდა, მეფე არაფერზე აგებს პასუხს. მშვიდობით, ძამიკოებო! _ მოუჭრა გალაკტიონმა და პრეზიდიუმი სახტად დატოვა... ჩვენ კი იდეოლოგიის «პატარა დიქტატორის» პორტრეტის მონახაზი დაგვიტოვა:

აკადემიის სხდომაზე შეგორდა ბურთუ შარია,
ახლოს ნუ გაეკარებით, რომ გასკდეს, საშიშარია!!!

ხუთი წლის შემდეგ ერთხელ კიდევ დაიბარეს _ უფრო ზემოთ: 1952 წელს გოგოლის გარდაცვალების ასი წლისთავი აღინიშნებოდა. მწერალთა კავშირში დიდი სამზადისი გაიმართა და ამ სამზადისს გალაკტიონიც შეესწრო. იმ წელიწადს სამოცი წელი უსრულდებოდა, მაგრამ ეს თარიღი მის მეტს არავის ახსოვდა. ამიტომ გაბრაზებულა: აგიჩემებიათ გოგოლი-მოგოლი და ის კი გავიწყდებათო (თავის თავს გულისხმობდა). აგენტურა ოპერატიულად მუშაობდა: იმავე დღესვე მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა ცეკაში დაიბარეს და სასტიკად გაკიცხეს. შეთანხმებისამებრ, მეორე დღეს გალაკტიონიც მიჰგვარეს განრისხებულ ხელისუფალს. და თუმცა ამ დაკითხვა-დაპირისპირების მონაწილენი იკვეხნიან, ერთსულოვნად დავიცავით პოეტიო, _ ეს ექსტრა-განკითხვა ლამის ტრაგიკულად დასრულდა: გალაკტიონი იმ დღეს უგონოდ

დათვრა და ვერის ხიდიდან მტკვარში გადავარდა: გადაარჩინეს და საავადმყოფოში მოათავსეს...

ამ ეპიზოდს მეორე გაგრძელება გააჩნია: თითქოს შეკითხვაზე გოგოლი-მოგოლი როგორ აკადრეო, ცეკას პირველი მდივნისათვის, რომელსაც აკაკი ერქვა, გალაკტიონს ეპასუხოს: რა მოხდა, ძამიკო, ჩვენც ხომ ვამბობთ ხოლმე აკაკი-ბაკაკიო. მაგრამ ეს ვერსია ლეგენდის ჟანრს განეკუთვნება (ლეგენდები არ დაჰკლებია. ბევრი ალბათ მოგონილიცაა, მაგრამ ისე მოერგო და მოუხდა, გადამოწმება დაგენანება,რომ შეიძლებოდეს კიდეც).

ქვეყანას მკაცრი კანონი მართავდა და ყოველგვარი ინიციატივა თვითნებობად ითვლებოდა:

_ რაისაბჭოს თავმჯდომარეს. ალ. ჯაფარიძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა აწყობს შეხვედრას საქ. სახალხო პოეტთან დღეს 25 მარტს. გთხოვთ ნება დაგვრთოთ თეატრის წინ გამოფენილ იქნას სათანადო სურათი. _ დიახ, ამ მიზანსცენასაც ოფიციალური ნებართვა ესაჭიროებოდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ნებართვა იმავე დღეს მიუღია: «ნება დაერთოს».

ეს არც პირველი შემთხვევა ყოფილა და არც უკანასკნელი:

_ გ. აბზიანიძემ მითხრა: დიდი ბრძოლა დამჭირდა გამოფენაზე შენი სურათის გამოკიდებისთვისო (ნეტა ვისთან?).

თავს მაინც არ იკავებდა:

_ პორტრეტი _ არა ერთისა, არამედ ათასი კაცის (ბინდში). სურათი (ოფორტი): გალაკტიონ ტაბიძე გამოჩნდა. კასსასთან, ფოიეში, შესავალში პორტრეტები.

1952 წლის 14 ოქტომბერს, სამოცი წლის აღსანიშნავად რომ ემზადებოდა, მშვენიერი მინიატურა დაუწერია _ «თუ აცივდა»:

« _ როდისაა თქვენი საღამო?

_ 17 ნოემბერს.

_ ოკტომბერს.

_ ნოემბერს.

_ ოო, კარგია. სანამ აცივდებოდეს. მერე, თუ აცივდა, აღარ ივარგებს.

_ რა თქმა უნდა, თუ აცივდა...

_ დიაღ, დიაღ, თუ აცივდა, არ ივარგებს. რა თქმა უნდა, არ ივარგებს, თუ აცივდა.

ასეთი საუბარი გვქონდა მწერალთა კავშირში... ასეთს საუბარს ჰქვია წყალთა ნაყვა. არავითარი შინაარსი რომ სიტყვებში არაა. მაგრამ განა მართლა ასე არ არის? რა მნიშვნელობა ექნებაო საღამოს... თუ აცივდა. რატომ «საღამოს?» ეს რამდენიმე დღეა ყველა მეუბნება «საღამოს» შესახებ, და არა «საიუბილეო» საღამოს შესახებ».

ედავებოდა და ედავებოდნენ: შეხვედრა თუ საღამო, შემოქმედებითი საღამო თუ საიუბილეო საღამო, საიუბილეო საღამო თუ იუბილე.

_ Вечер короля поэтов. _ Галактионова декада.

ვარაუდობდა:

_ ერთი წამითაც არ უნდა გაიფიქრო, რომ ყველაფერს კომისია გააკეთებს, მაგრამ კომისიას მაგრად უნდა მოაჯდე.

ადგენდა და აზუსტებდა:

_ საღამოს მოწყობისა და ჩატარების მუშაობის კალენდარული გეგმა. გამოფენის მოწყობის გეგმა. საორგანიზაციო კომიტეტი. _ პირველში ცხრა საკითხია წარმოდგენილი, მეორეში _ შვიდი, მესამეში ცხრა პიროვნება დაუსახელებია.

გამოფენის იდეა განუწყვეტლივ აწუხებდა:

_ იდეა გამოფენების კიდევ არ მასვენებს!

_ გაუმარჯოს ასი მწერლის იდეას! გაუმარჯოს გამოფენებს!

_ ისეთ გამოფენას მოვაწყობთ, რომა... ისეთს, რომა... ჯერ აფიშა ვნახოთ დაბეჭდილი.

_ კარგი პორტრეტების მობილიზაცია. არის 5 000.

_ გამოფენისათვის შეძენილია 12 ცალი დიქტი (330 მ.).

_ დურგალი ერთი დღით _ გააკეთებს ჩარჩოებს. ჩამოტანილი უნდა იქნას ფანერები ტფილისიდან.

_ ეს გამოფენა გადაიტანება მოსკოვში. მაშასადამე მთავარი ყურადღება გამოფენას!

1948 წლის აგვისტოში გორს ესტუმრა და ოთარ ჩხეიძეს შეხვდა:

_ გორი და გალაკტიონი, გამოფენა კარგი იქნება! შენი არ მინდა არაფერი, დარბაზი მხოლოდ. სხვა დანარჩენი ჩემზე იყოს: მასალები, რამდენიც გინდა... როცა მიბრძანებ, გეახლები, მე ჩამოვიტან, მევე გამოვფენ.

1951 წლის 17 მარტს ხელშეკრულება გააფორმა სამი თვის ვადით და ოთხ კაცს მოაწერინა ხელი.

_ ხელშეკრულება. ჩვენ ქვემორე ამისა ხელისმომწერნი ვაწყობთ ქედის კომუნის ქ. N 2-ში 99 შვიდწლიანი სკოლის შენობაში დიდ გამოფენას სახელწოდებით «რევოლუცია გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში». მასალები გამოფენისათვის დაგროვდება 15 მაისამდე. გამოფენა გაიხსნება 1 ივნისს და დაიხურება 3 სეკტემბერს.

1952 წელს საკუთარ სახლში განიზრახა:

_ ვინაიდან ჩემს ბინაში (მარჯანიშვილის ქ. N 4) საზოგადოების თხოვნით იმართება გამოფენა, გთხოვთ, მომცეთ სადმე 3-4 ოთახი, რათა დავბინავდე.

გეგმავდა ერთდროულს, გეგმავდა მოძრავს, მუდმივიც განიზრახა:

_ რკინისგზელების სახლის გარშემო. ბევრს სურდა ეს სახლი ხელთ ეგდო: სანაგიტტეატრსაც, მაგრამ რკინისგზელებს დარჩათ. აქ შეიძლება მოეწყოს მუდმივი გამოფენა.

_ ა. წ. 8 ივნისს რკინისგზის კლუბში მოწყობილ იქნა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების აღმნიშვნელი დიდი გამოფენა. ვინაიდან გამოფენა სარგებლობს საზოგადოების დიდი ყურადღებით, საჭიროა იგი გადაიქცეს მუდმივ გამოფენად, რაც დიდს სარგებლობას მოუტანს ქართული მეოცე საუკუნის მწერლობის შესწავლას.

დამთვალიერებელთა სახელით თხოვნის ტექსტი თვითონ დაუწერია:

_ რა დიდებული გამოფენაა, ძვირფასი და საყვარელი, და ეს გამოფენა მალე ალბათ უნდა დაიხუროს. შესანიშნავი იქნება, ამ გამოფენით საფუძველი ჩაეყაროს დიდ საქმეს, რომელსაც სახელად დაერქმევა «მუდმივი გამოფენა» და რომლის ცენტრი იქნება ტფილისი. ძალიან გაგვახარებთ, თუ ამ გამოფენას გადააქცევთ მუდმივ გამოფენად.

რკინისგზელების სახლი ხშირად სწყალობდა: 1957 წლის 8 ივლისს შეხვედრა მოუწყვიათ და შეხვედრის ინიციატორთა სახელით თხოვნა დაუწერიათ: რკინისგზელის სახლს საქართველოს სახალხო პოეტის სახელი ეწოდოსო.

პოეტური მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავი რომ მოახლოვდა, 1958 წლის 12 ივლისს სამხატვრო გალერეის დირექტორს სთხოვეს მწერალთა კავშირის მდივანმა და საქმეთა მმართველმა:

_ მიმდინარე წელს სახალხო პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს უსრულდება ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავი. სათანადო ზემდგომი ორგანოების დადგენილებით ეს თარიღი საზეიმოდ იქნება აღნიშნული. სასურველია, რომ იუბილეს დღეებში სამხატვრო გალერეაში გაიმართოს გ. ტაბიძის შემოქმედებითი გზის ამსახველი გამოფენა. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი გთხოვთ მოაწყოთ ეს გამოფენა და შეუდგეთ მის სამზადისს.

ეს გამოფენა არ შედგა. პარალელურად უფრო დიდი ჩანაფიქრის განხორციელებას ცდილობდა. მალე წაიკითხავთ ამ ეპიზოდის გაგრძელებას: სახლ-მუზეუმის აშენებას დააპირებს და დაშენებას შეეცდება... მაგრამ ამ დარგში წარმატებას ვერასგზით ვერ მიაღწია: «დრო აპირებს გრიგალებად გამორბენას, თავი უნდა დავანებო გამოფენას».

და ისევ ოცნებობდა:

_ ტრამვაებზე: «გამოვიდა პოეტის გალაკტიონ ტაბიძის წიგნი».

_ ტრამვაის ვაგონებზე აფიშები.

_ დიდი პლაკატი (წითელი მატერია) _ «გალაკტიონ ტაბიძე მართავს საღამოს».

_ პლაკატი მუზეუმიდან კინოთეატრამდის წარწერით «საქართველოს სახალხო მგოსნის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი გზა».

_ მივდივართ გალაკტიონის იუბილეზე!

_ პარალელურად: რეკლამა ცამდის!

_ პარალელურად: «გალაკტიონოლოგია».

_ დემონსტრაციები. წარწერა «დროშები ჩქარა».

_ ხელიდან ხელში იტაცებენ გაზეთს.

_ ხელით აყვანა და ოვაციები.

_ სტუდენტობა! გაუმარჯოს სტუდენტობას! გაუმარჯოს ახალგაზრდობას, რომელიც შემოამტვრევს კარებს!!!

_ ხალხი თეატრში გროვდება. თეატრი გაჭედილია უმეტესად ახალგაზრდობით. სცემს მესამე ზარი. ორკესტრი უკრავს «გალაკტიონის მარშს». იხდება ფარდა. სცენაზე ასი პოეტია.

_ დროშებით მორთული სცენა.

_ სანამდე კინო აჩვენებს ამ წარწერებს, ორკესტრი უკრავს მელოდიებს.

_ ყვავილები. თოვლი. ცხენით გამოსვლა. მთაწმინდის მთვარის ილიუზია.

_ Карета короля поэтов.

უცხო ენის შესაბამისად საზღვრებიც გაუფართოებია:

_ Телефон, телеграф, радио передают Москве, Ленинграду, Харькову, всему Советскому Союзу, Берлину, Парижу, Нью-Йорку, всему миру юбилей творческой работы...

_ Начальник гарнизона, командующий окр. приказал немедленно выставить к опер. почётный караул в составе 50 человек.

_ Пирамиды винтовок, разбить красноармейский лагерь.

_ Добрый эскадрон милиции, добрая рота пеших милиционеров.

_ Кино _ зафиксировать день юбилея, как показатель.

ათი ეპიზოდი შეუთავაზებია კინოოპერატორისათვის (თუმცა მისთვის არავის ეცალა):

_ 1. დარბაზი სავსე ხალით. 2. კედელზე პლაკატებია _ «გაუმარჯოს საქართველოს სახალხო პოეტს». 3. იხდება ფარდა: სცენაზე პრეზიდიუმია. 4. შემოჰყავთ სცენაზე გალაკტიონ ტაბიძე. 5. გადაღებული იქნება მომენტი ხალხის აღფრთოვანებისა. 6. თუ ფეხზე დამდგარი იქნება ხალხი, ისიც გადაღებული იქნება. 7. თუ ხალხში გაისმა სიმღერა «მრავალჟამიერი», ისიც გადაღებული იქნება. 8. გადაღებული იქნება წაკითხვა ლექსისა «მშობლიურო ჩემო მიწავ». 9. მისალმებები, კითხვა ლექსებისა, მოხსენებისა და სხვ. 10. თუ ხალხმა ხელში აიყვანეს სახალხო პოეტი, ესეც გადაღებული იქნება.

არც რეჟისორი დავიწყებია:

_ საღამო უნდა დაიდგას ისე, როგორც პიესა. საჭიროა სხვადასხვა დეკორაციები კარგი მხატვრისა, შესაფერი ეფექტები _ სინათლე და სხვ. შესაფერი რეჟისურა კითხვისათვის. დეკლამაცია ლექსების. ლექსები განაწილდება მსახიობთა შორის. იქნება კონფერანსიე, ორკესტრი _ განსაკ. ქართული მოტივებით, ხორო _ განსაკ. ქართული მოტივებით. პანტომიმა _ ან ბალეტის მომენტები. ფოიეში: წიგნების გამოფენა.

მორიგ ოცდარვატაქტიან პროგრამა-პროექტში _ შვიდი განსხვავებული და ნიშანდობლივია (განსაკუთრებით _ უკანასკნელი):

_ აფიშის გაკვრა სალაროსთან. ორი პლაკატი. სამი ოპერის თეატრთან (დიდი). მიტინგი რუსთაველის ძეგლთან. ტრანსლიაციის მოწყობა. ოპერის აივანი. დაწყება ლექსისა ამ აივნიდან. გაუმარჯოსის მოწყობა.

და კიდევ ერთი უცნაური, მაგრამ შესაძლო ჩანაფიქრი:

_ თუ «მნათობის» რედაქციამ მიიღო ჩემი ლექსი დასაბეჭდათ, მაშინ ადვილია და ხელსაყრელი დაურიგდეს ეს ლექსი დასაბეჭდათ ყველა რაიონულ გაზეთებს (იმათი სახელი ხომ ლეგიონია). ეს შეიძლება მოხერხდეს «საქდესის» მეშვეობით.

ზმანებათა ეს სასურველი ფრაგმენტები მთელი ნახევარი საუკუნის თვალსაწიერზეა გაფანტული და გაცრუებული ოცნებების დასანან პანორამას ქმნიან: მისი გრანდიოზული მასშტაბები რეალურ პირობებს არ ესადაგებოდა.

_ ხვალ (კვირას, 12 ივნისს) სახელმწიფო თეატრში შესდგება გალაკტიონ ტაბიძის საღამო. საღამოში სხვადასხვა სახით მონაწილეობას მიიღებს 100 კაცი. ახალი ლექსებით, ნოველებით და სიტყვებით გამოვლენ ტფილისში მყოფი თითქმის ყველა ქართველი მწერლები, გამოვლენ აგრეთვე უცხოეთის მწერლები. მიღების სურვილი განაცხადა მრავალმა რიცხვმა ხელოვნების წარმომადგენლების. ამ დღეს უფასოდ დარიგდება პოეტის უკანასკნელი წიგნი «არტისტული ყვავილები». ადგილების ფასი ამ საღამოზე ჩვეულებრივია და დიდი ნაწილი ბილეთებისა გადადებულია უფასოდ დასარიგებ-ლად. _ ეს ოციანი წლების რეკლამაა.

ოცდაათიან წლებში შეუდგენია ერთი პროგრამა. საღამოები უნდა ჩაეტარებინა, ექვს თებერვალს დაეწყო და ოცდაათ ივნისს დაემთავრებინა. ხუთი თვის დღეები შეუკრებია და 144 გამოსვლია (ესეც შეშლია: 145 უნდა ყოფილიყო):

«სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში

გალაკტიონის საღამოები

1. 6 თებერვლიდან ვიდრე ოცდაათ ივნისამდე.

2. 23 საღამო _ თებერვალში. 31 საღამო _ მარტში. 30 საღამო _ აპრილში. 31 საღამო _ მაისში. 30 საღამო _ ივნისში. სულ 144 საღამო ივლისის 1-მდე.

3. ძირითადი თემატური საღამო _ 520.

4. 144 საღამოს დაესწრება 43 200 კაცი (თვითეულ საღამოზე 300 კაცი, დარბაზის ტევადობის მიხედვით).

5. საჭიროა, მაშასადამე, 144 ძირითადი მომხსენებელი, 144 თანამომხსენებელი, სულ 288 მომხსენებელი.

6. საჭიროა 432 სიტყვის მთქმელი (სამი კაცი თვითეულ საღამოზე).

7. საჭიროა 720 პოეტი (ხუთი კაცი თითო საღამოზე).

8. საჭიროა 576 დეკლამატორი არტისტი (სამი კაცი თითო საღამოზე).

9. საჭიროა 432 მომღერალი (სამი კაცი).

10. ყოველთვის საჭიროა ორკესტრი.

11. ყოველთვის საჭიროა მეჩონგურეთა გუნდი.

12. ყოველთვის საჭიროა პიანისტი ან როიალზე დამკვრელი.

13. ყოველთვის საჭიროა კონფერანსიე.

14. ყოველთვის საჭიროა სამი მხატვარი.

15. მთავარი ადმინისტრატორი (ტექნ. რეჟისორი).

16. მოლარე.

17. სამხატვრო საბჭო».

თავმჯომარეთა საორიენტაციო სიაც იქვე ჩამოუწერია:

_ საღამოს თავმჯდომარეებად: 1. პროფ. ივანე ჯავახიშვილი. 2. პროფ. ბერიტაშვილი. 3. სახ. მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე. 4. დოცენტი ასლანიშვილი. 5. ელენე ჩერქეზიშვილი. 6. ანასტასია ერისთავი-ხოშტარია. 7. ალ. აბაშელი. 8. მოსე თოიძე. 9 გერონტი ქიქოძე. 10. ილია აღლაძე. 11. თედო სახოკია.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 720 პოეტი საქართველოში ამჟამადაც ძნელი ჩამოსათვლელია, არათუ შესაკრები.

ამჯერად უოლტ უიტმენის რეპლიკა მახსენდება:

_ დიდი პოეტები რომ გყავდეს, საჭიროა დიდი აუდიტორია.

და გალაკტიონის დასტურიც არ იგვიანებს:

_ ჩვენ, პოეტებს, უნდა გვყავდეს აუდიტორია, მასიური აუდიტორია, რომელიც ჩვენ მიგვიღებს ან უარყოფით შეგვხვდება.

_ პატარა ერში მწერლობა თავის განწირვას ნიშნავს.

თითქოს უფრო დიდი აუდიტორიისათვის იყო მოწოდებული: «მსოფლიო პოეტების ორდენის» დაარსებაზე ოცნებობდა:

_ ეს იქნება კოლოსალური მოძრაობა. ჩვენ პოეტები შეერთებული ვართ მაგარი და განუწყვეტელი ჯაჭვით ჩვენს ეპოქასთან. ჩვენს საუკუნესთან ერთად ვეწევით ბრძოლას _ მსოფლიოს უდიდესი და ბრწყინვალე მიზნებისათვის, მასთან ერთად ვიზიარებთ მის სიხარულსა და მწუხარებას.

520 საღამო, 43 200 კაცი, 288 მომხსენებელი, 432 ორატორი, 720 პოეტი, 576 დეკლამატორი, 432 მომღერალი _ ასეთ ხანგრძლივ და შთამბეჭდავ სანახაობებს მარჯანიშვილის გაქანებაც არ ეყოფოდა ალბათ. თვითონაც აღიარებდა: საჭიროა ილიას

ჭკუაო. ისე კი ყველაფერს ამას სერიოზულად ვარაუდობდა და აზუსტებდა. თუმცა არც ამას სთვლიდა საკმარისად:

_ 3 200 საღამო. 1 200 000 მსმენელი. 5 000 ლექსი. 100 000 სტრიქონი. 100 პერიოდული გამოცემა. 200 ლექსი წინასწარ.

ერთხელაც ერთსა და იმავე დღეს ერთდროულად 21 საღამო ჩაიფიქრა: შვიდი _ შვიდ თეატრში, შვიდი _ შვიდ კლუბში და შვიდი _ შვიდ ფაბრიკა-ქარხანაში (საინტერესოა, თვითონ რომელს დაესწრებოდა?!).

არ დაგვავიწყდეს: კლუბებში დილითაც უნდა გამართულიყო შეხვედრა. ერთ-ერთი იუბილეც მწერალთა კავშირში ასევე გაჰყო: დილით და საღამოთი.

ამაო სურვილებითა და ამაო მოლოდინებით გაწბილებული და გაბეზრებული _ ხანდახან სერიოზულ ტონს შეცვლიდა, იმერულად მოუქცევდა და თავის თავს გაეხუმრებოდა: გაართობდა, გაახალისებდა, გააძლებინებდა:

_ რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზზე როგორა ხარ, ჰა? ერთი დაინტერესებული ანტრეპრენიორიცაო, არა? რას იტყვი, ა? კარგი აფიშებითაო, ა? ა? იმე! შენგან არ მიკვირს? ან კონსერვატორიის დარბაზიც ქეიმასქნება, მარა რაცხა მოუმხრელ ადგილზეა ის დასაწვავი, თვარა მომღერლები, იცოცხლე, იქინეი იყვენ. მომღერლები რავა რუსთაველის საკონცერტო დარბაზში ვერ იმღერებენ თუ, იმე, შენგან არ მიკვირს? მღერით კი იმღერებენ, მარა აი სამღერალი რო აფერია იმ სიტყვებზე, ქე რო საჭიროა? გაჟუჟა ჭირმა ჩვენი კომპოზიტორები, აფერს იგინი რო არ ლაპარაკობენ. თვარა რადიოშიაც კარგად მოეწყობოდა მაი საქმე, მომღერლები იქაც ქე არიენ: დები იშხნელებიო, დები თარხნიშვილებიო. ე ბიჭო, ეხლა კაი რეკლამაა საჭირო რადიოსა და პრესაში წიგნის გამოსვლის შესახებ. მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდოაო. რომ რაიმე ორგანიზაცია... ვთქვათ უნივერსიტეტის საქმე. ქაღალდიც აქვთ და ყველაფერი. მეგობრებიც ქე მყავან, მგონი, იქა. უნივერსიტეტი საქმეა. მაგრამ იქ ქართულად... მე რუსულად მინდა, ბოშო, რუსულად. ეხლაც ისე არ დაგვემართოს, როგორც ყოველთვის: დავაწყობთ გეგმებს, ჩამოვწერ... და არაფერი კი არ სრულდება. რა აზრი აქვს ამაო ფიქრსა და დავიდარაბას?!

ამ ბოლო შენიშვნას ბევრჯერ იმეორებს:

_ მე ხშირად ვწერ «დღესვე» და არასოდეს კი არა ხდება რა იმ დღეს.

დიდი გატაცებით კი იწყებდა:

_ იწყება თეატრალური სეზონი. საჭიროა აბონემენტები: 1. ოპერის თეატრში. 2. რუსთაველის თეატრში. 3. მარჯანიშვილის თეატრში. 4. წ.ა. თეატრში. 5. ყველა კინო-თეატრებში. ვინ არის ჩვენში კარგი კომპოზიტორები? მობილიზაცია უნდა იქნებ? ვინ არის ჩვენში კარგი რეჟისორები? არტისტები ხომ არის და არის. მე მათ უფრო ახლო გავიცნობ ამ სეზონში. მე მჭირდება ერთი კარგი დრამატურგი. _ 1930 წლის 10 ოქტომბერს მიუღია ასეთი მტკიცე გადაწყვეტილება და მომავალი წლის 14 ივნისს შეუჯამებია: _ ერთი წარმოდგენაც არ მინახავს.

დრო გადიოდა, მაგრამ მიუხედავად ხანგრძლივი და მრავალგზისი წარუმატებელი ოცნებისა და განზრახვისა, მასშტაბებს მაინც არ ამცირებდა. ასი რიცხვი ხომ ამოიჩემა და საიუბილეო 1958 წლის აპრილში ზედიზედ ასი საღამო ჩაუფიქრებია:

_ მარჯანიშვილის თეატრი!!! როდის თავდება იქ სეზონი? სეზონის შემდეგ მთელი ზაფხულის განმავლობაში იქ მოეწყობა ჩემი სალიტერატურო საღამოები მაღალ

დონეზე. მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო (ყოველდღიურად, რა თქმა უნდა, ასი საღამო, მაშასადამე). ამისათვის საჭიროა მომწყობთა თავდადებული ორგანიზაცია, მტკიცე პატრიოტები (პრეზიდიუმის მსგავსი რამ და წევრები). ასი საღამო... მაგრამ შეიძლება მეორენაირადაც: ხუთ-ხუთი საღამო სხვადასხვა ორგანიზაციებში (წიგნთსაცავებში, სასწავლებლებში, კლუბებში, დაწესებულებებში, კავშირებში და სხვ.) და თითო დასკვნითი საღამო მარჯანიშვილის თეატრში, ე.ი. ათი საღამო შემაჯამებელი, მარჯანიშვილის თეატრში.

გეოგრაფია გაუფართოვებია: «სად შეიძლება საღამოები» _ დაუსათაურებია და საქართველოს თითქმის ყველა რაიონი დაუსახელებია _ სამოცდახუთი, დღეს არ აცდენდა:

_ «იდეა საღამოებისა». შეიძლება მაისის განმავლობაში მოეწყოს 31 საღამო. _ მელნით ჩამოუწერია 31 ობიექტი, მერე ფანქრით მიუწერია _ კიდევ 4 (ალბათ _ სათადარიგოები!). ოცდამეხუთეა _ ფუნიკულიორზე!

ცოცხალ აუდიტორიასთან კონტაქტი იყო მისი ცხოვრების ყველაზე ნათელი და ბედნიერი წუთები. რამდენადაც აქტიურად გაურბოდა ცალკეულ პიროვნებებს, იმდენად ხარბად და ხალისით მიილტვოდა მასისაკენ.

1931 წლის 1 მაისს მაგიდის კალენდრის ფურცელზე მიუწერია:

_ დღეს პირველი მაისია. ტფილისი ზეიმობს წითელი დროშებით, დემონსტრაციებით, ილიუმინაციით. არის მზიანი და ასი პროცენტით უღრუბლო ცა. ოცდაოთხი დღის შემდეგ კი ერთი დღით ტფილისი იქნება ჩემი. იქნება ჩემი საღამო, ჩემი სიხარული. გაუმარჯოს 25 მაისს!

1941 წლის მარტის თვის დღიურების ბოლოს დაასკნის:

_ ყველაზე ძვირფასი ამ თვის განმავლობაში იყო ილია ჭავჭავაძის სახელობის შკოლის მოწაფეებთან შეხვედრა: ეს იყო შეხვედრა გაზაფხულთან.

«1949 წ. 15 მაისი არასოდეს არ დამავიწყდება» _ ასე დაუსათაურებია ერთი შეხვედრის შთაბეჭდილებანი:

_ დიდებულად ჩატარდა შეხვედრა რკინიგზის ქალთა მე-2 სკოლის მოწაფეებთან ნაძალადევის თეატრში. ვუყვარვარ ხალხს. შეხვედრის შემდეგ არანაკლებად გულწრფელი ბანკეტი გამიმართეს. ორმოცდაათი მასწავლებელი დაესწრო. აქ მხოლოდ ერთი «წყალის ისტორია» არ იყო სასიამოვნო (მომწყურდა საშინლად, მოვითხოვე წყალი და მთელი სამი საათის განმავლობაში წყალი არ მომიტანეს! ამის შესახებ სიტყვაც კი წარმოთქვა ერთმა მასწავლებელმა: მოიგონა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც მოსამსახურეს დაავალა მისთვის წყალის მოტანა. მის ცოლს კი (ოლღას) ამის გამო კინაღამ ისტერიკა არ დაემართა: წყალი შენ ვინ უნდა მოგიტანოს თუ არა მეო). გვიან ღამის 3 საათზე დავიშალენით.

1955 წლის აგვისტოში დუშეთში ვაჟაობაზე გამოსულა და:

_ თეატრის იქით ბაღის ხეებზე ღამით მაღლა ასულიყვენ ბავშები და იქიდან უსმენდენ: ისინი სჯობდენ ყველაფერს.

მოზარდი თაობა გამორჩეული სიყვარულით უყვარდა, ახალგაზრდების ყურადღებას განსაკუთრებით აფასებდა:

_ თქვენმა წერილმა ჩემი მოწაფეობის ხანა გამახსენა, _ უპასუხა თბილისის ერთ-ერთი სკოლის მეშვიდეკლასელებს.

«სახელგამის თანამშრომლებთან შეხვედრის» პროგრამაც ბევრჯერ შეუდგენია, გადაუწერია, გადაუხატავს, გადაუმოწმებია. არქივში ერთი საინტერესო ჩანაწერია _ «დარბაზები»: სია იმ კლუბებისა, სადაც შეიძლებოდა შეხვედრის ჩატარება. ორმოცდაორია დასახელებული და პირველ ნომრად წარმოდგენილია «სახელგამის კლუბი», შემდეგ _ მწერალთა სასახლე და ასე შემდეგ.

ზუსტად ჰქონდა შესწავლილი თეატრების ტევადობა, განათება, აკუსტიკა, _ მაგრამ სპექტაკლებს იშვიათად ესწრებოდა: ერთი ქართველი დრამატურგის ოთხმოქმედებიანი პიესა დადგა მარჯანიშვილის თეატრმა. მეოთხე მოქმედებაში პიესის გმირი გალაკტიონის ლექსს მღეროდა. გალაკტიონი იქვე ცხოვრობდა და ხშირად მეოთხე მოქმედების დაწყებისას შეივლიდა თეატრში. მოისმენდა საკუთარ ლექსს და სპექტაკლის დამთავრებას აღარ დაელოდებოდა, კმაყოფილი სტოვებდა დარბაზს. ერთხელ პიესის ავტორი დანაღვლიანებული შეხვდა: ჩემი პიესა მოხსნეს სცენიდანო.

_ მეოთხე მოქმედება მაინც უნდა დაეტოვებინათ, _ თანაუგრძნო გალაკტიონმა.

დაასათაურა და აღნიშნულ სპექტაკლში ორიგინალურად ჩართვა დააპირა _ «მოულოდნელი ლექსები»:

_ იხსნება სეზონი: დიდი ზეიმით მიდის I, II და III მოქმედება. სანამ მე-4 მოქმედება დაიწყებოდეს, მსახიობი აცხადებს: «ჩვენს შორის იმყოფება! გთხოვთ...». მე ვუპასუხებ ლექსით.

მიზეზს ეძებდა და ყოველ თარიღს თავისებურად ჩაიფიქრებდა: ნახევარი საუკუნის მიჯნაზე მხატვრებს მიაკითხა 1950 წლის 15 თებერვალს:

_ ჩემი საღამო დიდებულად უნდა მოეწყოს. საჭიროა ორმოცდაათამდე მხატვარი, რათა პორტრეტები იქნეს ორმოცდაათი, საუკუნის 50 წლის აღსანიშნავად. ბევრი მხატვრისა და მოქანდაკის იმედი მაქვს. ისინი ჩემი ძველი მეგობრები არიან.

მხატვართა და მოქანდაკეთა ყურადღება არ აკლდა და არც თვითონ ეკრძალებოდა:

«კონსერვატორიის ვესტიბიულში შემომესმა ქალის ხმა:

_ გალაკტიონ! გალაკტიონ!

მოვიხედე: ელიკო!

_ აღარსად აღარ გაგიშვებ. ეხლავე ჩემთან უნდა წამოხვიდე. ქეთო მაღალაშვილს შენი პორტრეტის დახატვა უნდა რამდენი ხანია.

ისე ჩამჭიდა ხელი, რომ პალტოს ჩაცმა ძლივს მოვასწარი. უარი ვინ გათქმევინა, პირდაპირ გამაქანა ბარნოვის ქუჩისაკენ. გზაში იგი მიყვებოდა სხვადასხვა ამბავს პოეტებზე, მწერლებზე, ქეთო მაღალაშვილზე, რომელსაც აღტაცებით ახასიათებდა».

ელენე ახვლედიანმა ქეთევან მაღალაშვილს მიჰგვარა და:

_ იგი განაგრძობს ჩემი პორტრეტის ხატვას. «თქვენ იმიტომ უყვარხართ ყველას...» _ დაიწყო ქეთომ ჩემს შესახებ და, როგორ დაამთავრა, არ ვიცი. არ ვიცი, აგრეთვე, თუ რას ხატავს... ჯერჯერობით აკრძალული მაქვს შევხედო, თუ რასა ხატავს.

მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები _ საზეიმო დღეების თანამონაწილეებად ესაჭიროებოდა. მოდით, მოკლედ მიმოვიხილოთ ჩატარებული თუ ჩაშლილი «იუბილეების ისტორია», როგორც ჩაუფიქრებია 1956 წლის 27 ივნისს (სხვა დროს მოუნიშნავს: «ჩემი სალიტერატურო საღამოების ისტორია»).

1933 წელს პოეტური მოღვაწეობის ოცდახუთი წლის აღსანიშნავად ემზადებოდა:

_ სრულდება 25 წელიწადი, რაც სალიტერატურო სარბიელზე გამოვედი. თვითეული წელი ამ ხნის განმავლობაში ჩემთვის იყო შემოქმედებითი შრომის აუცილებლობა ახალ წყაროთა აღმოჩენისათვის, სურვილი გამარჯვებისა ჩვენს ეპოქაზე.

იმ წელიწადს დაუწერია ოთხსტროფიანი:

წინად ჩემი სპეტაკი გზა ტალახიან ფეხით ზილეს,
მერე ვითომ შერცხვათ ცოტა და მიხდიან იუბილეს.
კარგი, კმარა, ვინ არ ხედავს, რომ ეს ხრიკი ამაოა,
იუბილე დაერქმევა და დამარხვა კი გამოვა.
დამფასებლის სამოსელში გაეხვევა მტრების ჯარი,
მაგრამ მათი შეფასება ცინიზმია საზიზღარი.
ანგარიშში სცდება მტერი, როს მღერის და გულში ღრინავს,
მას არ სძინავს არასოდეს, მაგრამ ეხლა არც მე მძინავს.

იმავე წელიწადს დაუწერია აგრეთვე «აპლოდისმენტი» და ეპიგრაფად ვაჟას სიტყვები დაურთავს: «ერთსა გთხოვ: ტაშს არ აჰყვე. ტაშს დაგიკრავენ და მშიერს მოგკლავენ». ამ თხოვნის ადრესატია კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი: 1913 წელს ლადო მესხიშვილის იუბილე აღინიშნა. საკონცერტო განყოფილება ნიკო სულხანიშვილმა მოამზადა. მან შეიტყო, რომ ვაჟამ საიუბილეო ლექსი დაწერა. სთხოვა პოეტს ლექსი, გადააკეთებინა სასიმღერო მოტივზე და წარმატებით შეასრულეს, ვაჟა კი არც მიუწვევიათ.

«იუბილეზე სულხანიშვილმა გაიმარჯვა, _ მოიგონა ეს ეპიზოდი დავით პავლიაშვილმა, _ ის და მე გახარებული ვჯდებოდით კიდეც ბანკეტზე, რომ მსახურმა გვაცნობა: «ვინმე ნაბდიანი კაცი გეძახითო». გავედით და დაგვხვდა ვაჟა. მაშინვე ჩაგვსხა ეტლში და პატარა ხანს უკან მასთან ერთად ვისხედით ვერაზე ერთ ვიწრო სარდაფში. ვაჟა აღელვებული იყო:

_ ნიკო, მე ღირსი არ შევიქენ მესხიშვილის საღამოზე მოპატიჟებისა. ამიტომ კარში დავრჩი და ველოდი შენს გამარჯვებას. მართლაც ბრწყინვალედ გაიმარჯვე. მხოლოდ ერთს გთხოვ: ტაშს არ აჰყვე, ტაშს დაგიკრავენ და მშიერს მოგკლავენ!».

ეს ნიშანდობლივი რჩევა მოსწონებია და გამოუყენებია კიდეც მორიგი თარიღის მოახლოებისას. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ: 1933 წელს ყველაზე ღირსეული იუბილე გადაუხადეს: შეიქმნა სამთავრობო-საიუბილეო კომიტეტი, დაუდგინეს ტომეულების გამოცემა, გამოიცა სპეციალური კრებული, დაიბეჭდა ორი რუსული წიგნი, დაუნიშნეს პერსონალური პენსია, მიანიჭეს სახალხო პოეტის წოდება, ოპერის თეატრში ჩატარდა საზეიმო საღამო, საიუბილეო შეხვედრები გაიმართა სხვაგან და სხვაგან. იგივე სამართლიანობა მოითხოვს, არ დაგვავიწყდეს: ერთი წლის შემდეგ მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის დელეგატებს შორის არ აღმოჩნდა სახალხო პოეტი. ისევ და ისევ სამართლიანობა მოითხოვს გავიხსენოთ: კიდევ ერთი წლის შემდეგ მისთვის მახლობელ და საინტერესო პარნასელების მშობლიურ პარიზში ერთადერთი წარგზავნეს საქართველოდან. ხოლო 1957 წელს, ნახევარსაუკუნოვანი თარიღისათვის მზადებას რომ შეუდგა, იკითხა:

_ 50 წელი რომ შესრულდება, მაშინ რას იტყვიან 25 წლის წინ მიცემულ პირობაზე? ჰმ!

1938 წელს იმავე საბაბით ოცდაათი წელი ჩაუფირებია:

_ ოპერის თეატრის დირექციას. მწერალთა კავშირი აწყობს სახალხო პოეტის ორდენოსანის გალაკტიონ ტაბიძის ოცდაათი წლის სალიტერატურო მოღვაწეობის აღსანიშნავ საღამოს, რისთვისაც გთხოვთ დაგვითმოთ თქვენი თეატრი.

როგორც ჩანს, სათანადო ყურადღება არ გამოუჩენიათ:

_ ჩემს წინააღმდეგ მწერალთა კავშირში მავნებლურმა მუშაობამ ზენიტს მიაღწია. XXX წლის სალიტერატურო ასპარეზზე მუშაობის აღსანიშნავი საღამო დღემდე გამოცხადებული არ არის.

_ საიუბილეო საღამო ნიშნავს, რომ ილაპარაკონ იუბილიარზე და არა იმას, რომ მხოლოდ იუბილიარმა ბეჭდოს ლექსები.

იქვე აზუსტებს:

_ საჭიროა: ეთქვას «მუშის» რედაქციას, რომ მე ლექსებს არ მივცემ, ვინაიდან იუბილეЬ, ნიშნავს არა იუბილიარის ლექსების ბეჭდვას, არამედ მასალების ბეჭდვას იუბილიარზე, თორემ ისეთი შთაბეჭდილება იქნება, რომ თვით მე ვიხდი იუბილეის და არა მწერალთა კავშირი მიხდის მე იუბილეს (რას ჩავაცივდი ამ იუბილეს, უნდა ითქვას: საიუბილეო საღამოს).

1942 წლის 17 ნოემბერს (თავისი ვარაუდით) ორმოცდაათი წლისა უნდა გამხდარიყო:

_ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, _ მაინც ჩემი გეგმა ასეთია: მიეცეს 50 წელს ისეთი ხასიათი, რანაირსაც არ ელიან: დიდი, დაუვიწყარი, გულწრფელი და ამასთანავე შემოსავლიანი.

1942 წლის 1, 7 და 9 სექტემბრის დღიურებში ჩართულია გამაფრთხილებელი რეფრენი: გახსოვდეს 17 ნოემბერი! გახსოვდეს 17 ნოემბერი! გახსოვდეს 17 ნოემბერი!

ეს დღე ყოველ წელიწადს ახსოვდა, ამ დღეს ყოველთვის იხსენებს და იხსენიებს. უმეტესწილად მწარედ იხსენიებს. 1930 წლის 17 ნოემბერს კი ნასვამსა და არა ფხიზელს წამოსცდენია:

_ ხალხი ამიჯანყდა. დედდას გიტირებთ!

1942 წელი ასე შეაფასა:

_ 50 წლის არ-აღნიშვნა არ უნდა იქნას გაგებული როგორც ჩემი დამარცხება.

და რაკი წინა წელიწადმა უშედეგოდ ჩაიარა, მომავალ წელს გააგრძელა: ოქტომბრის თვეში მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სახელით შვიდსაფეხურიანი შუამდგომლობის წერილი შეადგინა საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისადმი:

«ა.წ. სრულდება 35 წელი სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლიდან. დაბადების 50 წლის შესრულების და სალიტ. მოღვაწეობის 35 წლისთავთან დაკავშირებით მწერალთა კავშირი აწყობს ფართო შემოქმედებით საღამოს ოპერის თეატრში.

მწერალთა კავშირი ამასთანავე შუამდგომლობს თქვენს წინაშე:

1. გაუდიდდეს სახალხო პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს პერსონალური პენსია (1000) მანეთის რაოდენობით.

2. დაერქვას თბილისის ერთ-ერთ თვალსაჩინო ქუჩას გალაკტიონის ქუჩის სახელწოდება.

3. დაერქვას ქ. სამტრედიას _ საგალაკტიონო.

4. დაჯილდოებულ იქნას სახალხო პოეტი გ. ტაბიძე საკუთარი ავტომობილით.

5. მიეცეს რომელიმე სხვა სახლი, შესაფერი სახალხო პოეტისათვის.

6. უზრუნველყოფილ იქნას განსაკუთრებული სპეცმომარაგებით.

7. ნება მიეცეს პირველი იანვრიდან გამოსცეს ყოველკვირეული ჟურნალი სახელწოდებით «გალაკტიონის ჟურნალი».

შუამდგომლობასთან ერთად თხოვნაც დაწერა:

_ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი აღნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის სახალხო პოეტის, ორდენოსან გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მოღვაწეობის 35 წლისთავს და დაბადებიდან 50 წლის შესრულებას. ამ მიზნით ოკტომბერში მოეწყობა მხატვრულ-ლიტერატურული საღამო. მწერალთა კავშირი გთხოვთ დაგვითმოთ სახელმწიფო ოპერის თეატრი კვირას, 31 ოკტომბერს, უფასოდ ან ხელსაყრელ ფასებში.

1 ოქტომბრის გაზეთში ინფორმაცია წაიკითხა:

_ «კომუნისტის» დღევანდელ ნომერში მოთავსებულია შემდეგი ცნობა სათაურით: «გალაკტიონ ტაბიძის საღამო». ცნობაში ნათქვამია: «საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი აღნიშნავს გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მოღვაწეობის 35 წლისთავს. ამ მიზნით ოკტომბერში მოეწყობა მხატვრულ-ლიტერატურული საღამო. მწერალთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა აგრეთვე გ. ტაბიძის ნაწარმოებთა აკადემიური გამოცემის განხორციელების შესახებ». ეს ცნობა მოთავსებულია მე-4 გვერდზე, ძლივს შესამჩნევ ადგილას, ამიტომ არც არავითარი რეზონანსი საზოგადოებაში არა აქვს. არაა ნათქვამი არც «იუბილე», «არც სახალხო პოეტი», არაა დასახელებული დრო და ადგილი საღამოისა, არაა ნათქვამი გასაგებად და დამახინჯებულია მთავრობის 1933 წ. დადგენილება, სადაც ლაპარაკია არა მხოლოდ ჩემს ნაწარმოებთა აკადემიურ გამოცემაზე, არამედ «ნაწარმოებთა სრულ აკადემიურ გამოცემაზე». ამდენად «კომუნისტი»-ს ამ ცნობაში, რომელიც 6 სტრიქონს შეიცავს, არის ექვსი დიდი გაუგებრობა და ეს თავიდანვე. მაგრამ სათავეში ამღვრეული წყალი უნდა დაიწმინდოს... წინ განუხრელად! მტრებმა არ დაგვასწრონ!

შემდეგი ხუთი წელიც მალე გავიდა.

_ არცერთი საღამო არ უნდა დაემსგავსოს მეორეს! _ აცხადებს შეუპოვარი და ცდილობს თითოეულ თარიღს თავისი სიმბოლო მოუნახოს, განასხვავოს.

«ორმოცი ფარი» _ ასე მოუნათლავს მორიგი ზეიმი:

_ თვითო ფარი არანაკლებ 40 ფოტოსურათისა. დაგვჭირდება 2000 ფურცელი ფოტო-ქაღალდი. ფოტო-ქაღალდები შეძენილი იქნება სახელმწიფო ფასებში, ორმოცი ფარი _ შეკვეთა თვითღირებულების ფასებში რომელიმე სამეურნეო ორგანიზაციას. ორმოცი ფოტოგრაფი _ «ფოტოსოიუზის» საშუალებით. ორმოცი მხატვარი _ დალაგებისათვის. ორმოცი მწერალი _ წარწერებისათვის... თუ პირველი სეკტემბრიდან დავიწყებთ გამოფენას _ სწორედ კვირას, 10 ოკტომბერს დამთავრდება იგი. მეტი გზა არაა, სახელგამმა უნდა დაგვითმოს ვიტრინა. საერთო წარწერა: «სახალხო მგოსნის გზა». ორმოცი ფარი _ თვითეულ ფარზე საჭიროა წარწერები, მაგალითად, 1908 წლის ფარზე _ «სქელი ღრუბელი, შავი და ბნელი, სამშობლო მხარეს გადაეფარა». ვინიეტკები _ იგივეა, რაც ორმოცი აფიშა. ორმოცი ფარი ანუ ორმოცი ნომერი გაზეთის. გაზეთიც გამოიფინება.

ფარებიც დაუხატავს: თითოეულზე თითო წელი უნდა აღნიშნულიყო.

1948 წლის 30 ივლისს განცხადებით მიუმართავს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმისათვის:

_ 1948 წლის 11 ოკტომბერს (ძველი სტილით 28 სექტემბერს) სრულდება ორმოცი წელი ჩემი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან. საზოგადოებრივმა წრეებმა უკვე იციან ეს ამბავი და იმედი მაქვს პრეზიდიუმი მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რათა შესაფერისად აღინიშნოს ეს თარიღი.

იმავე წლის ივლისში დიდი ფორმატის დავთარი დაუსათაურებია: «ისტორია ერთი დღის (11 ოკტომბერი, 1948 წ.)»:

_ 1948 წელს, 11 ოკტომბერს სრულდება 40 წელი ჩემი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან. ეს ამბავი ყველამ იცის, მაგრამ თავს ისე მაჩვენებენ, თითქო არაფერიც არ იციან. თითქო არცაა საჭირო, რომ იცოდნენ და მაშასადამე, არ უნდათ, რომ ეს დღე აღნიშნულ იქნას. არ უნდათ! _ აი რაშია საქმე. ისინი თავგადაკლულები არიან ყაზბეგზე, რომ ჩემი საქმე ამ დიდი სახელით მიიჩრდილოს. მაგრამ არც ჩვენა ვართ უსახელო... ეს ყველამ კარგად იცის, მაგრამ... არსაიდან ხმა, არსით ძახილი. ძალზედ დამაფიქრებელი სიჩუმეა... და ეს სიჩუმე უნდა დაირღვეს. რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, სიჩუმე უნდა დაირღვეს. და უნდა დაირღვეს ისე, როგორც არ ელიან. უნდა დაირღვეს ეს დუმილის გარემოცვა, რომელიც ბლოკადას უდრის. უნდა აფეთქებულ იქნას დუმილით შეთქმულება. ეს დუმილი _ დიდი ქარიშხლის მომასწავებელია. და აქ უსათუოდ საჭიროა ჩემი ჩარევა, ხალხის ჩარევა, ახალგაზრდობის ჩარევა, ჩარევა ყველა მათი, ვინც საქართველოს თანამედროვე ლიტერატურის ბედით არიან დაინტერესებულნი. ჩემი სალიტერატურო მუშაობის 40 წლის მიჩქმალვის წინააღმდეგ ხმა უნდა ამოიღოს ყოველმა პატიოსანმა ქართველმა. უნდა გაისმას ხმა სიმართლისა, კიდევ ერთხელ უნდა აფრიალდეს სიმართლის დროშა. უნდა გადაილეკოს ხელისშემშლელი ნაპირები, უნდა გაიგლიჯოს საზიზღარი ხლართები და ეს უნდა მოხდეს მძაფრად, რევოლუციურად, თავდადებით, ყოველი დაბრკოლების მიუხედავად, სწრაფად. ყოველი წუთი მაახლოვებს ამ დღეს... ძირს ინერტიული, უმოძრაო მდგომარეობა... ეხლა მჭირდება მეგობარი, მოძმე, პატიოსანი ხალხი, თუ კიდევაა სადმე დარჩენილი.

ჯერჯერობით ღია კარებს ამტვრევს, შეგნებულად აძლიერებს რეალურად არსებულ წინააღმდეგობებს, რათა მეტი ენთუზიაზმით, მეტი აღტაცებით და გატაცებით შეუტიოს. ისევ და ისევ თავს იჩენს დღიურიდან დღიურში შესაბამისი რეფრენი:

_ 27 ივლისი: გაუმარჯოს 1948 წლის 11 ოკტომბერს. _ 28 ივლისი: ახლოვდება 11 ოკტომბერი. _ 30 ივლისი: გვახსოვდეს 11 ოკტომბერი. _ 2 აგვისტო: გვახსოვდეს 11 ოკტომბერი. _ 3 აგვისტო: გვახსოვდეს მოახლოვებული 11 ოკტომბერი.

გაურიტმავს კიდეც:

> თერთმეტ ოკტომბრისათვის ემზადები თუ არა?
> დაირაზმენ თუ არა? იმ დღეს მოვა თუ არა?
> დარჩა ვინმე თუ არა? გაიგონა თუ არა?

კონკრეტული ღონისძიებანიც გაუთვალისწინებია:

_ 8 წლიანი გეგმა. გამოიცეს თხზულებანი 9 ტომად. თვითეულ ტომზე მიჩენილი იქნას ცალკე რედაქტორი. კომპოზიტორთა კავშირის დახმარებით _ სიმღერები. მხატვართა კავშირის დახმარებით _ პორტრეტები. კედლის პორტრეტები. აკადემიური გამოცემები. სალიტერატურო წრეები. ბორჯომში ჩემი სახელობის ბიბლიოთეკა. ტობანიერში ჩემი სახელობის ბიბლიოთეკა. ნავთლუღში ჩემი სახელობის ბიბლიოთეკა. უნივერსიტეტში ჩემი სახელობის წრე. ორთაჭალაში ჩემი სახელობის ქუჩა.

«კედლის პორტრეტები» გამოფენისათვის ესაჭიროებოდა. 8 და 9 სექტემბერს გამოფენაზე და აფიშაზე იზრუნა, იხეტიალა, იჭირვეულა. ამჯერად მეუღლესთან ერთად გაისარჯა:

_ პარკში ვართ უკვე. კანდელაკმა, სადაც შესტოვმა გაგვაგზავნა, უარი გვითხრა (ოპერაში). ჩემი საქმე არაა, ეს ბენაშვილის საქმეაო. ბენაშვილმა, როგორც იქნა, კეთილინება. დიდაქტიკით ძლიერ ბრძენი: «საქმე ეს კი არაა, მთავარი წიგნია, წიგნი». მაგას არ ვტირი? რა ძვირფასი დრო იხარჯება და რაზე? კი, კარგია ესეც. მარა აგერ რუსული წიგნი გვიანდება, იქით _ ქართული. ეჰ!.. დილის 8 ს. სტამბაში ვართ, ასოთამწყობი ჩვენს აფიშას აწყობს. ასწორებს შეცდომებს «ოტისკში». გამოვქანდით ლიტ. მუზეუმში... ნეგატივები სრული არ აღმოჩნდა. 65 კიდევ აკლია (ის ახალი მწერლების «ნეგატივებია»), დაჰკარგოდათ და ძლივს აღმოვაჩინეთ (ისევ მათ სადღაც შეერიათ). შემდეგი საკითხია გაკეთება, ვისთან, სად? გავუდექით გზას... ძლიერ საჩქაროა. ხვალ მზა მასალებია საჭირო ადგილზე გამოფენისათვის. რა ვქნათ? ჯერ გ. მესხი ვნახეთ სურათისათვის, თანაც ვთხოვეთ ხვალ 7 ს. მოვიდეს პარკში (გამოფენის ადგილზე). მე დავიწყე წუწუნი ნეგატივების შესრულებაზე (რადგან ძლიერ მცირე დროა, წუთებია სათვლელი). მან კიდევ თავის მხრივ მიგვითითა იქვე ლაბორატორიაზე, პიონერთა სასახლეში... ქუთაისის ყოფილი ფოტოგრაფი ყოფილა იქ მთავარი, რომელიც დაგვპირდა გაგვიკეთოს «ნეგატივები». ხვალ 12 სურათი და ს. კაკაბაძის ქანდაკებაც პარკში იქნება პირდაპირ გაგზავნილი. ეხლა შემდეგი სარბენი საქმეა ისევ აფიშა და მუზეუმი _ დანარჩენ ნეგატივებისათვის, რომელზედაც კაცია გაგზავნილი ფოტოგრაფთან, ვისაც ისინი წაუღია ნებადაურთველად სახლში. უკვე 3 საათია: კაცი ჯერ კიდევ არა სჩანს. ერთი საათის შემდეგ კიდევ მოვიკითხეთ. არც ეხლაა. ისევ გავბრუნდით ფოტოგრაფთან. ვუთხარით საქმის ვითარება და თანაც დავიპირეთ: დანარჩენს, თუ მოვასწარით, ხვალ მივუტანთ, რომ იქნებ მოასწროს 7 საათისათვის. აქედან გამოვქანდით ისევ აფიშაზე და რა ახალი ამბავი დაგვხვდა: უკვე 4 საათზე აფიშა შეუჩერებიათ, რადგან ხელმოწერა დირექტორის არ იყოო ზედო. ეხლაო კურიერი აქ არის, გამოგზავნა, ისევ იმუშავეთო. რაა აქ მართალი, ან ვინაა აქ მართალი, ეს მუშა თუ დირექტორის მოადგილე? როგორც იქნა 5 ს. აფიშა წამოვიღეთ და ეხლა ლურსმნებისათვის «დეზერტირების» ბაზარზეა უკანასკნელი ჩვენი გზა. ესეც მოვილიეთ და ქაღალდია მაღაზიიდან წამოსაღები. იქ წავედით, იქიდან კი _ სახლში.

სახლისკენ მიმავალებს გაახსენდებათ:

_ სადილი?

ამას მოსდევს:

_ პური _ გზად!

და ამთავრებს ბრწყინვალე ფინალი:

_ კიდევ კარგი და ლობიო წუხელი მოვხარშე!

თანდათან იძაბება სიტუაცია. მთელი ყურადღება 11 ოქტომბრისაკენაა მიპყრობილი, მთელი ენერგია და ძალები ამ მიზნისკენ და ამ მიმართულებითაა მობილიზებული და მზადაა გადამწყვეტი შეტევისათვის:

_ 1948 წ. 11 ოკტომბერს უნდა მოემსახუროს ყოველი წუთი ჩემი დღეებისა. ვამბობ _ უნდა მოემსახუროს, ვინაიდან ამ დღეზეა დამოკიდებული ბევრი რამ. რა თქმა უნდა, ეს გადამწყვეტი დღე არ იქნება, ბრძოლები მის მერეც ბევრი მექნება, მაგრამ ეს იქნება დღე

ბევრი რამის შეჯამებისა. ო, ნეტავი საიდან უნდა დაიწყოს ეს ამბავი! მოქმედება, რწმენა, ენერგია!

3 აგვისტოს განიხილეს და დაადგინეს! მაგრამ ფინალი მაინც უნუგეშო აღმოჩნდა:

_ ეს იყო და ეს. 3 აგვისტოს დაადგინეს და მას შემდეგ ჭიანურდებოდა საქმე და დღეს... 1948 წლის 11 ოკტომბერია: სწორედ ის დღე! ორმოცი წელი ჩემი სალიტერატურო მუშაობისა. არაფერია!

გულს მაინც არ იტეხდა:

_ განვაგრძოთ ბრძოლა. პირველი ტური ჩემ მიერ წაგებულია. იწყება _ მეორე ტური!

მართალია, 1952 წელს სამოცი წელი სათანადოდ ვერ აღნიშნა, მაგრამ ცდა არ დაუკლია:

_ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი გთხოვთ დაგვეთმოს ოპერის თეატრი ა. წ. 21 მარტისათვის, საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის საღამოს მოსაწყობად.

არაოფიციალური მოლაპარაკებაც უწარმოებია: 19 ივნისს მარჯანიშვილის თეატრის მსახიობს დაეძებს, რომელმაც საღამოს უნდა უხელმძღვანელოს. მცდარი ნომერი მისცეს და პლეხანოვის 71-ის ნაცვლად 173-ს მიადგა. აქ რკინიგზის ბილეთებს ყიდიან. მეორე ქუჩიდან მოუარა და ეზოში შევიდა: აქ არავითარი მსახიობი არ ცხოვრობსო. ისევ რკინიგზის სალაროში შემობრუნდა და სახლში დაურეკა:

« _ ლენა ბრძანდებით? ააა, გამარჯობათ, როგორაა საქმე?

_ ძალიან კარგადო, _ გვიპასუხა ლენამ, _ საღამოს რეპეტიციებს გავდივართო.

_ შეიძლება თუ არა დავესწროთ დღეს თქვენს რეპეტიციას?

_ რაღაც უხერხულია.

_ ძალიან კარგი. გვითხარით, რომელ ნომერში ცხოვრობთ თქვენ, 173, არა?

_ არა... _ ლენამ დაასახელა ნომერი, რომელიც ტელეფონში კარგად ვერ გავიგონე.

_ რომელი ნომერია თქვენი სახლი?

_ 71. _ გვიპასუხა ლენამ.

_ სად?

_ მაქსიმ გორკის კლუბის გვერდით.

ყოველივე ეს ძალიან დამაფიქრებელია! ჰმ!.. სად სახლი 173 და სად 71? «ცხოვრებისაგან წყალწაღებულის ამბავია!» ლენა აქ ხავსია, სხვა არაფერი. ლენაც იმ ჯგუფისაა, რომ საქმე სხვანაირად მოვატრიალოთ? მაგრამ... მივყვეთ, გავუგონოთ ბორბლებს სიარული! შემდეგ ეს ბორბლები ჩვენს ნებაზე მოვატრიალოთ».

ერთი წლის შემდეგ:

_ გუშინწინ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა აღნიშნულ იქნას 45 წლის სალიტერატურო მუშაობა ჩემი 12 ოკტომბერს 1953 წ. დავტრიალდეთ 12 ოკტომბრისათვის.

დატრიალებულა:

«1953 წ. 21 აგვისტო.

აკადემიის წიგნთ-საცავი. აქვთ სტენდები გამოფენისათვის. შეიძლება მოეწყოს კარგი გამოფენა.

საჯარო ბიბლიოთეკა. აქ შეიძლება ფართოდ გაიშალოს მუშაობა: კარგი გამოფენა, შეხვედრა მკითხველებთან და სხვ. აქვთ დიდი შესაძლებლობა ლამაზი

გაფორმებისთვის: სტენდები, საამკინძაო, კულტურული ძალები, საბიბლიოგრაფიო განყოფილება და სხვ. არის შესაფერი დარბაზი გამოფენისათვის. ჰყავთ ალბათ მხატვრები, ფოტოგრაფები.

მწერალთა კავშირი. ერთი მაგიდა აქ ყოველთვის ცარიელია. გამოვიყენოთ მაინც ეს ერთი მაგიდა. აქ უსათუოდ უნდა მოეწყოს გამოფენა. აქ შეიძლება გამოფენისთვის მუშაობის დაწყება. ადგილი ვრცელია (მაგრამ... ღირს განა აქ?).

ბაღი მწერალთა კავშირისა. საუკეთესო ადგილია შესაკრებად. მაგრამ... ეს შემოდგომა... ვნახოთ.

დარბაზი მწერალთა კავშირისა. სულ მუდამ ცარიელია სააქტო დარბაზი. გამოვაცოცხლოთ უნდა. ყურადღება არ უნდა მივაქციოთ ხელისშემშლელებს. შესწავლა თვითეულისა, რომელმაც ასე თუ ისე მონაწილეობა უნდა მიიღოს საქმეში, სავალდებულოა».

სხვაგან მეტი იმედი აქვს. მწერალთა კავშირში ეეჭვება.

თავისუფალ მაგიდებს დაეძებს. ცარიელ დარბაზს ვერ იტანს: კლუბის გამგე შვებულებაშია და:

_ სადაა? აჰ, სადაა? სადაა ჯანგულაშვილი? _ ეეკითხები სიცარიელეს, რადგან დარბაზში არავინაა.

მეორე დღეს კონკრეტული იდეა გასჩენია:

_ 1953 წ. 22 აგვისტო. ქვის საპოვნელად. ვიყავი დიდუბის ბოლოს, ახალი ხიდის ახლო, ქვის საპოვნელად. დავათვალიერე. საჭიროა წავიყვანო მოქანდაკე. ვარგა თუ არა ის ქვები ქანდაკებისათვის? გავხედე ძველ მიდამოებს. გამახსენდა ბევრი რამ... გზა... თუ მიხსნის, ისევ ხელოვნება. მიხსენი, ხელოვნებავ, გევედრები!

გრანდიოზული და არარეალური ჩანს პოეტის ჩანაფიქრი:

_ გამოფენა გალერეაში. დროებითი ძეგლი ოპერის თეატრის გვერდით (მარმარილოდან). ოპერის თეატრის ფასადი წიგნებით. გალაკტიონოლოგიის კაბინეტი. აკადემიასთან ჩამოყალიბდეს წრე. მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკას დაერქვას. ერთ დღეს ყველა თეატრში გადმოკიდებულ იქნას დროშები. ლოზუნგების შემქმნელი კომისია. სამეცნიერო სესია აკადემიაში. მთელი რუსთაველის პროსპექტი სურათებით, მთელი მიხაილოვის პროსპექტი, მოედნებიც. მთავრობის ლოჟა ცარიელი არ იქნეს. ჟურნ. გალაკტიონოლოგია. ხელისშემშლელთა დაშინება.

მარმარილოს ქება ოთხი წლით ადრე აღავლინა:

_ ძირს ქაღალდი! გაუმარჯოს მარმარილოს! ქაღალდი იხევა, იფლითება, იხრწნება და ჰქრება _ ისე, როგორც ხის ფოთოლი. უბრალო ჩითი რაა, ისიც უფრო გამძლეა, ვინემ გაზეთის ქაღალდი. მარმარილო კი არ იხევა, არ იფლითება, არ იხრწნება და არ ჰქრება. მარმარილო მკვრივია. არასდროს არ იხრწნება. მარმარილო უკვდავია!

დროებითი ძეგლისათვის მარმარილოს დაეძებდა (მარმარილო და დროებითი?!):

«სიცოცხლეშივე ავუგოთ ძეგლი დიდ გალაკტიონს»

1. ავუგოთ ძეგლი გალაკტიონს სიცოცხლეშივე.
2. სიცოცხლეშივე გალაკტიონს ძეგლი ავუგოთ.
3. სიცოცხლეშივე გალაკტიონს ავუგოთ ძეგლი.
4. სიცოცხლეშივე ავუგებთ ძეგლს დიდ გალაკტიონს.

გარდა ძეგლისა, უნდა აგებულიყო მარმარილოს ორმოცდახუთი საფეხური, რომლებსაც შესაბამისი წარწერები დაამშვენებდნენ:

მგოსანი ადის მაღლა ოქროს საფეხურებით,
ორმოცდახუთი წლით ააგო კიბე მაღალი.

ხუთი წლის წინანდელი ორმოცი ფარი მარმარილოს კიბის ორმოცდახუთმა საფეხურმა შესცვალა!

მესამე დღეს, 23 აგვისტოს, განზრახვამ უფრო სერიოზული ხასიათი მიიღო:

_ მოგვეცით მარმარილო: აღმოვაჩინეთ მარმარილო 45 ცალი, საჭირო ზომის. მარმარილოს ქარხანავ, სდექ! გვინდა მარმარილოზე ამომჭრელები: ჯერ დახატავენ მხატვრები, შემდეგ შეიძლება იქვე ამოსჭრან. მაგრამ ჯერ საჭიროა ტექსტის დამზადება: ვინ დაამზადებს ტექსტს? ისევ «მე ვარ და ჩემი ნაბადი». ორმოცდახუთი კიბის მხატვრები. ძველი წისქვილის ქვა. სწევს კიბის მაგივრობას ბავშობის დროს. «ის წისქვილის ქვა».

10 ოქტომბრისათვის კვლავ რთული პრობლემები იდგა დღის წესრიგში:

_ ქვის გადატანა მხატვართა ატელიეში მოქანდაკესთან. 45 ხელნაწერი. 45 კიბე. 45 ფოტო-პორტრეტი. 45 მხატვარი. 45 მეტრი ტილო. 45 ლექსი. 45 დიქტი.

15 სექტემბერს მწერალთა კავშირის მდივანმა ოპერის თეატრის დირექტორს სთხოვა:

_ გთხოვთ ა/წ. 12 ოკტომბერს დაგვითმოთ თეატრი სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამოს მოსაწყობად.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საღამო 12 ოქტომბერს ჩატარდა, ადვილად დავრწმუნდებით, რისი მოსწრება მოხერხდებოდა (ძეგლის ვადები და ვარაუდები ხომ ყოველგვარ რეალობას იყო მოკლებული და უკიდურეს ოპტიმისტსაც კი შეშურდებოდა!). ეს კი არა, 20 ოქტომბრისათვის დაპირებული ინფორმაციაც არ დაბეჭდილა და გაბრაზებულს გაზეთის არეზე მიუწერია:

_ განა ეს შეგნებული, წინასწარგანზრახული მავნებლობა არ არის? რედაკტორს «კომუნისტისას» დავურეკე შაბათ საღამოთი _ რისთვის არ არის «კომუნისტში» ანგარიში ჩემი საღამოს შესახებ ოპერაში-მეთქი? მიპასუხა: რაღაც მშრალად იყო შედგენილი ქრონიკა და არ დავბეჭდეთ. ხვალის (კვირის) ნომერში ვერ მოესწრება და სამშაბათისაში კი უსათუოდ მოვათავსებ ანგარიშსო. და აი, ესეც სამშაბათის ნომერი!

ძეგლის იდეა კი ბოლომდე აწუხებდა. ოთხი წლის შემდეგ რუსთაველის გამზირზე ქვისმთლელებს მოჰკრა თვალი:

_ ქვისმთლელები მუშაობენ ამჟამად მთავრობის სასახლის გვერდით. ისინი თლიან საჭირო დიდ-დიდ ქვებს ქვაფენილისთვის და კედლისთვის, რომელიც დააშორებს რუსთაველის პროსპექტს და სასწავლებლის წინ გაშლილ ეზოს. აქ შესანიშნავი ქვებია. უთუოდ მუშებს თავს ადგას ზედამხედველი, უთუოდ აქ ხშირადაა ინჟინერი. მათ შეუძლიათ ბევრი რამ კარგის გაკეთება. ყოველ შემთხვევაში, გვიჩვენონ ადგილები, საიდანაც მოაქვთ ეს ქვა. წინასწარ დაამზადონ ქვა. ააგონ პიედესტალი ისეთი, როგორიც საჭიროა.

ქვის პრობლემას სხვა დროსაც უბრუნდება: დაშლილი პაპიროსის კოლოფის მუყაოზე წერს და, ჩვეულებისამებრ, ზედმეტად გულუბრყვილოდ მსჯელობს, ოც დღეში ძეგლის დადგმას აპირებს, ქვის სესხებაზე ოცნებობს, მოძალებული კითხვის ნიშნების ტევრში დაეხეტება:

_ აქ მთავარია ქვა. ქვის სიმფონია. აქ იწყება აგორებული ქვის სიმფონია. არის ქვათა ღაღადი!.. დავაინტერესოთ ოჯახი, ოც დღეში რომ დაიდგას ძეგლი... იქნება. უნდა იქნეს... ქვა? სად იშოვება ქვა? ვის აქვს ქვა? სადაა ქვა? იქნებ მოქანდაკეებსა აქვთ? გვათხოვონ შეიძლება? იქნებ თვითონ მათ აქვთ ქვა? იქნებ მახლობლადაა ქვა? იქნებ მშენებლობაზეა ქვა? სადაა ეს მშენებლობა? შორსაა თუ არა?

ორმოცდახუთი წლისთავის აღნიშვნის საკითხს ერთხელ კიდევ აზუსტებს ისევ პაპიროსის კოლოფის მუყაოზე. ამჯერად აუდიტორიაზე მსჯელობს. არა მარტო ოპერის თეატრში ჰქონია განზრახული. ნასვამის ნაწერია, ნაწყვეტ-ნაწყვეტ და მინიშნებით:

_ 45 კიბის სწორი ადგილი არის. გამოზომვა შეიძლება ზუსტად: საკითხები გადასაჭრელია ორი, სამი, ოთხი, სულ რვა თუ ცხრა! კაფე ლაღიძისა მისწრებაა. წინ წიგნის მაღაზია მისწრებაა. ბაღი მისწრებაა... რა საზოგადოება იკრიბება? ეს კარგია! დინჯი საზოგადოება... ერთი ქართველი ქალია აქ დიდებული. დანარჩენები, მგონია, რუსებია! მაგრამ ზრდილობიანი რუსის ქალები! აქ შეიძლება შესწავლა ბევრი რამის, ძალიან ბევრის, ბევრის, ბევრის, ბევრის, ბევრის. ა? ა, ეგეები არ იყოს!!! ეგეები არ იყოს, არ იყოს, თორემ სულ თავდაყირა წავა ყველაფერი. ა??? ყურადღებას ჯერ არავინ მაქცევდა, ახლა კი... მაგრამ ეგ არაფერია.

1957 წლის გაზაფხულზე ჩვეულ საზრუნავზე ზრუნავდა:

_ ჩემი კალენდრის (1957 წ.) მარტის და აპრილის ფურცლები სავსეა თითქმის ყოველდღიური ჩანაწერებით: «16 აპრილი. სამშაბათი. გვახსოვდეს 16 აპრილი». ამ დღეს ვფიქრობდი ოპერის თეატრში დიდი საღამოს მოწყობას.

მისი უშუალო ჩარევის გარეშე არაფერი კეთდებოდა.:

_ მთელი დღე აფიშას მოვუნდი. ოსტატებმა ამოსჭრეს ხეზე ჩემი სახელი და გვარი, და აფიშაზე ისე მიდის: ცისფერი, ლურჯი და წითელი ანბანებით. ნიმუშად მე გამოვიყენე სტილი ჩემი საპაპიროსესი _ და ყდა «Enciclopedie Franses»-სი. მაინც არასგზით არ მოხერხდა სტილის შენახვა: ოსტატმა წაქცეული ანბანები დახატა. მეც აღარ შევედავე, მაშინ, როდესაც ანბანები აკადემიურად სწორი უნდა ყოფილიყო. ეგ არაფერია. აფიშაში მაინც არის ორიგინალობა, სიახლე, გაზაფხულის მსგავსი ფერები. განსაკუთრებით განირჩევა დატა XXX.

ტარება უხანჯლო ქამარის ქალების საქმეა, კაცებო.
ავტორი თეატრი არ არის, აფიშა შენ უნდა დაწებო.

აფიშას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა:

_ აფიშა, აფიშა, აფიშა! _ აფიშები, აფიშები! _ ეხლა სწრაფად აფიშა, აფიშა სწრაფად! _ დღეს აფიშა და მხოლოდ აფიშა! _ აფიშები რაც შეიძლება მეტი უნდა დაიბეჭდოს. _ ქაღალდი აფიშისათვის (რაც შეიძლება ბევრი აფიშა). _ აფიშისათვის არ გამოდგება, პლაკატისათვის კარგია. _ აფიშის გაკვრა სალაროში. _ გაძლიერება აფიშების რიცხვისა თეატრის წინ. _ რამდენი აფიშა დარჩა? _ ბრძოლა აფიშასთან. მოვნახავთ უკეთეს ადგილს მშვიდობიანი გზით.

ჩამოსახსნელად არ ემეტებოდა:

_ კარგია, როცა კარგი აფიშა დიდხანსა რჩება რომელიმე ადგილას და, მიუხედავად იმისა, რომ არავითარ პრაქტიკულ როლს არ ასრულებს (ვთქვათ, საღამო უკვე გაიმართა), რაღაც მოგონებასავით არის. მე ძლიერ მიყვარს ამგვარი აფიშები.

უხუმრია კიდეც 1922 წელს, თუმცა ხუმრობის ხასიათზე ძალიან იშვიათად ბრძანდებოდა:

«ერევნის მოედანი N 3. შაბათი. საღამო. ქარმა აფიშა მოხია:

_ იყოს, გენაცვალე, მაინც ქარი ანგრევს მწერლების ცხოვრებას, _ პოეტი ხელს ხვევს, _ წამიკითხეთ, თუ შეიძლება, безплатно».

ჩვენი ვარაუდით, ეს უნდა იყოს ის გახმაურებული აფიშა, რომლის გამოც 1922 წლის ივნისში მწერალთა კავშირის საბჭომ საყვედური გამოუცხადა!

1946 წლის 25 მარტისათვის ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკას შეხვედრა დაუგეგმავს სანკულტურის თეატრის სცენაზე, მაგრამ აფიშაზე თავი შეუკავებია. და აი, 9 მარტს შემოვლით ტაქტიკას ირჩევს:

_ რა გაეწყობა, რაიმე ხერხს უნდა მივმართო. თუნდაც ასეთს: ნელ-ნელა მივყვე (რომ არ დავაფრთხო) მათ საქმიანობას ტექნიკურის მხრით. ამავე დროს ვამზადო სხვა, მათთვის უცნობი, ჩემთვის კი ნათელი იდეა _ ეფექტურობისა და ბოლოს _ მათთვისვე მოულოდნელად _ ფაკტის წინაშე დავაყენო ეს მეტად პატივცემული, მაგრამ მშიშარა ორგანიზატორები... მათ ეშინიათ ოფიციალური აფიშის: ამბობენ, რომ საკმარისია ორად-ორი ხელით დაწერილი განცხადება!.. პირადათ ჩემთვის კი ეს მთავარზე უმთავრესი საქმეა და აი რატომ: ა. აფიშა («აკაკი და გალაკტიონი») დამჭირდება შემდგომი დიდი გამოფენისათვის (გაისად). იგი გამაშუქებელი იქნება და ერთ-ერთი ექსპონანტი ამ თემისათვის. ბ. აფიშა ორიგინალური იქნება და თავისთავად ცხადია, როგორც ახალი რამე, ყველას დააინტერესებს. გ. ეს აფიშა საჭიროა იმ ყინულის გასალხობად, რომლითაც ეხლა ვარ შებოჭვილი. მან უნდა დააფიქროს ყველა და მოაბრუნოს საქმე. დ. მან უნდა იფეთქოს მოულოდნელად და მთელის სიძლიერით (რომ ჯერ აფიშას შეხედონ და მერე ერთმანეთს: ეს რა ამბავიაო?). ჩემი საღამო არასოდეს უბრალოდ არ უნდა ჩატარდეს, მას უნდა ჰქონდეს რაიმე შედეგი. ე. არავითარი ინტიმური საღამო დღესდღეობით მე არ მჭირდება: ეს ეხლა ჩემთვის უბრალოდ დროისა და ენერგიის დაკარგვა იქნება. ასე რომ უაფიშობა, განუცხადებლობა, კეკე-მალულობა _ ყოვლად დაუშვებელია.

აფიშაზე დავობს, ჯერ კი დიდი ბრძოლაა გადასახდელი: მრავალი ბიუროკრატიული ბარიერი უნდა გადალახოს, ნებართვა უნდა მოიპოვოს. ხუთი დღის შემდეგ კითხულობს და პასუხობს:

_ რა გაკეთდა ოთხი დღის განმავლობაში? სრულიად არაფერი!

თურმე ქალაქის აღმასკომში ბიბლიოთეკებს შეფი ჰყოლიათ _ ვინმე ბუჩაშვილი, და იმას უნდა ეახლონ. ეახლენ კიდეც, მაგრამ ადგილზე არ დახვდათ ჩინოვნიკი. გვიან გამოჩნდა და გაიკვირვა: პოლიტგანათლების კომიტეტის თავმჯდომარეს უნდა შეუთანხმოთო _ ხატიაშვილს:

_ «ვერიდებოდი ღოლოსა, დამიხვდა სოფლის ბოლოსა»... როგორც გიჭირდეს!

თავმჯდომარემ ვიღაც სიმონს მოუხმო და დაავალა _ მეორე სიმონს შეუთანხმდიო. მეორე დღისთვის დაიბარეს, მაგრამ:

_ ის სიმონი ცეკაში გამოიძახესო. ეშმაკსაც წაუღია მისი თავი!

მესამე დილით _ თათბირზეაო:

_ Шарлатан! ერთი ამ ნებართვას დავითრევდე მალე და სხვა არა-მინდა-რა!

გრძელდება რწყილი და ჭიანჭველას ამბავი: ახტა-დახტა და სიმონ-სიმონ... მეოთხე დილიდანვე რეკავს _ სიმონს სთხოვეთო:

_ რომელ სიმონს? _ ეკითხება წუხანდელი ქეიფისაგან ცოტათი ხრინწოვანი ხმა, _ აქ სამი სიმონია.

არადა, გვარს ვერ იხსენებს ორსა და სამ სიმონს შორის გახირული და სთხოვს, სამივე გვარი დაუსახელონ, რათა ამოიცნოს. მაგრამ წუხანდელი ქეიფისაგან ცოტათი ხრინწოვანი ბარიტონი ქალის სოპრანომ შესცვალა და სიმონთა გვარებს არც სოპრანო უმხელს, ხელში შეატოვებს ყურმილს... უეცრად «შარლატონის» გვარი ახსენდება, წელში გაიმართება, თვითონაც ხმას დაიბოხებს და «შარლატონ» [1]N 2-ს რუსულად მიმართავს:

_ Попросите тов. Мчедлидзе!

_ Сейчас, сейчас! _ უპასუხებს წუხანდელი ქეიფისაგან ცოტათი ხრინწოვანი და პაუზის შემდეგ აგრძელებს: _ Его сейчас нет, он вышел. Позвоните через некоторое время.

_ ჰმ! სად ჯანდაბასა და წკვარამშია ეს იდიოტი, არასდროს რომ თავის ადგილას არ არის!

ცოტა ხნის შემდეგ _ თათბირზეაო, და თავს ვეღარ იკავებს: გაბოროტებული გადის სახლიდან... თითქოს ხმაზე სცნობს და თითქოს მიამსგავსებს: რუსთაველზე დასეირნობს შარლატონი N 2, იგივე წუხანდელი ქეიფისაგან ცოტათი ხრინწოვანი და იგივე ბოხი:

_ არა უშავს რა! სხვამხრით მოვუვლი საქმეს. ვნახოთ ვინ _ ვის! ნახონ, რა იონი ვუყო მე მაგათა!

ასე განმეორდა, მაგრამ აღარ დასრულდა უკვდავი არაკი: სიმონ-სიმონ და შენ რომ ჩემთვის: ბიბლიოთეკარმა ბუჩაშვილს მიჰგვარა, ბუჩაშვილმა _ ხატიაშვილს, ხატიაშვილმა სიმონ პირველს, სიმონ პირველმა _ სიმონ მეორეს, სიმონ მეორემ ხრინწოვანს, ხრინწოვანმა _ სოპრანოს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

ექვსი წლით ადრე იგივე შეემთხვა და ჭკუა ვერც იმ შემთხვევამ ასწავლა: 1940 წლის აპრილში ოპერის თეატრზე შეაჩერა არჩევანი, მაგრამ მაშინაც მისამართი შეეშალა: თხა და ღორი შეაწუხა ნაცვლად კაცისა და ძროხისა, ყველაზე დიდი კაცის გადასაწყვეტი საქმე ყველაზე პატარა კაციდან დაიწყო, თეატრის ადმინისტრატორს მიადგა, გვარების რთული ლაბირინთი გაიარა და რესპუბლიკის ხელმძღვანელამდე მიაღწია:

_ 9 აპრილი. ცელმსი! ის შემხვდა ოპერის თეატრთან და ბევრი საკითხი გადაწყდა. 19 მაისი! 19 მაისი! 19 მაისი! (ფიქსაციაქმნილია).

_ 10 აპრილი. ცემსი? (ცელმსი?)! მან ჩაინიშნა კალენდარში 19 მაისი. დაიწყო კიდეც ჩემთვის ცნობის წერა! მაგრამ შემდეგ დაფიქრდა და მაისურაძესთან (თეატრის დირექტორთან) შევიდა. იქიდან ასეთი ამბით გამოვიდა. თქვენ უნდა მოგვიტანოთ ქაღალდი, რომ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს (გოგუა) არაფერი საწინააღმდეგო არა აქვსო... _ გოგუა? ო, გოგუა! მან მითხრა, რომ წინააღმდეგი არ იქნება, თუ ეს ამბავი იცის ილია თავაძემ (ცკ-ის მდივანმა)... თავაძესთან კი _ ირაკლი აბაშიძის (მწერალთა კავშირის მდივნის) საშუალებით. მაგრამ ირაკლი აბაშიძე და სანდრო ეული მოსკოვს წასულან საქმეებზე. მის მაგიერ _ შ. რადიანია. რადიანმა მითხრა: რომ ის დღეს უნდა შეხვდეს ი. თავაძეს.

_ 15 აპრილი. შალვამ: იგივე აზრი თავაძისა: ჯერ კიდევ არ მოვლაპარაკებივარ კანდიდსო.

ათი წლის შემდეგ ერთხელ კიდევ განმეორდა ვოიაჟი ნაცნობ გვარებს შორის: ისევ ახტა-დახტა, მივიდა და ისევ შენ რომ ჩემთვის:

_ დირექტორი გვინჩიძე ამ საკითხზე დაუკავშირდა ცეკას (გ. ჯიბლაძე). გ. ჯიბლაძე დაუკავშირდა ისევე ჩიქოვანს (მწერალთა კავშირის თავმჯდომარე), ჩიქოვანი მთავლიტს (დ. ბენაშვილი), მთავლიტი ჯიბლაძეს, ჯიბლაძე ისევ ჩიქოვანს, ჩიქოვანი ისევ ბენაშვილს, და გაგრძელდა ასე ხუთი დღის განმავლობაში.

მთავარი არ ავიწყდება:

_ კარგად გამოყენებულ რეკლამას სრულ გამარჯვებამდე მიჰყავს პოეტი.

სხვას აღარ ენდობა:

_ გავექანე სტამბაში აფიშის ასაწყობად. წავიღე ქაღალდი და კლიშეები. მაგრამ იქ მითხრეს, რომ დღეს უკვე გვიანია (2 საათი იყო) და აფიშის აწყობას ხვალ შევუდგებითო. აფიშების ამწყობი ძველი ასოთამწყობია, უყვარს გადაკვრა და... ქრთამი. თუ ცოტა მეტი არ მიეცი, ისე გულიანად საქმეს არ მოეკიდება. მაგრამ თუ დაიწყო, აფიშას უსათუოდ კარგს გააკეთებს. ვნახოთ ეს საქმე როგორი იქნება მის ხელში? აფიშა იქნება 150 ცალი. ორმოცდაათი ცალი ქუჩებში გაიკვრება. რანაირად უნდა გავრცელდეს დანარჩენი ასი?

საქმეს ბოლომდე მისდევს:

_ საუბარი. მე: თქვენ მხოლოდ აქ აკრავთ აფიშას? _ ის: დიახ, მხოლოდ აქ. _ საერთოდ სადაა ორგანიზაცია, სადაც აფიშას აკრავენ? _ ქალაქის რეკლამა: წითელი არმიის კლუბში. _ საზოგადოდ რამდენ აფიშას აკრავენ ქალაქში? _ ორმოცდაათს, სამოცს. _ ასე ცოტას? _ გააჩნია დღეს, აგრეთვე სახეში მიღებულ უნდა იქნას რაიონი: თუ ქართული საღამოა, ქართულ რაიონში უნდა გაიკრას ბევრი აფიშა, თუ სხვა, სხვაგან და ასე.

არც ანგარიში ეშლება:

_ საჭიროა აფიშიორისთვის მეტი ფული, რომ მან კარგ ადგილზე გააკრას აფიშა.

ბილეთების გასაღებაზეც თვითონ ზრუნავდა:

_ ყველა ბილეთები შემოწმებული უნდა იქნეს ჩემმიერ. ეს უპირველეს ყოვლისა. როდესაც ბილეთები დამზადებული იქნება, მე მივალ და მოვითხოვ ყუას. აღვნიშნავ: რიცხვს ბილეთისას, რიცხვს შემოსასვლელ თანხისას.. პირადათ მოვთხოვ ყველას, ვინც ჰყიდის ბილეთებს. აქედან: მე მეცოდინება თანხა შემოსავლის, მეცოდინება სისწორე ბილეთების გაყიდვაში, მეცოდინება პირები, ყველაფერი იმისათვის, რომ ადგილი არ ექნეს ქაფვას.

ფასი წინასწარ უნდა შეეთანხმებინა ზემდგომთან:

_ თეატრის ადმინისტრაცია მზადაა დამეხმაროს, თუ თქვენი თანხმობაც იქნება, რომ ამ საღამოს ბილეთებზე დავაწესო საკუთარი ფასები. მე სრული იმედი მაქვს თქვენი ამხანაგური თანხმობისა.

მთავარი კიდევ უფრო ადრე უნდა გამოერკვია:

_ არა გამოირკვა რა. ამბობენ: უფასო საღამო უნდა იყოსო.

ფასიანის უფლებაც მიუციათ:

_ ამით გაცნობებთ, რომ პოეტ გალაკტიონ ტაბიძეს სახალხო განათლების კომისარიატის მიერ ნება აქვს გამართოს საღამო სახელმწიფო ოპერის თეატრში და ბილეთებზე დააწესოს თავისი ფასები.

კითხვარი შეუდგენია:

_ რამდენია ბილეთები განაწილებული? რამდენ კაცს დაურიგდა და რამდენი ბილეთი რამდენი თანხის? რამდენი დარჩა? რამდენი დარჩა საპატიო ბილეთი? სად გაიყიდება დანარჩენი ბილეთები (ეს საჭიროა აფიშისათვის)? როგორია განწყობილება (შევამჩნიე, რომ ჟულიკური)? რამდენ ხანში შეიძლება ბილეთების გაყიდვა? რა და რა კომისიებია? სხვა კომისიები როგორ მუშაობენ? რას ფიქრობენ საჩუქრების შესახებ?

კომისიები დაუკონკრეტებია:

_ ბილეთების გამყიდველ ქალთა კომისია. იქვე მიემატოს საკონტროლო კომისია.

და ისევ შეკითხვები:

_ იქ ვიღაცამ უცნობთაგან სერიოზულად შენიშნა: ამ «ქაფვაში» «უგროზისკს» მოუხდება მუშაობაო. რა იყო ეს? ვისი მისამართით? რატომ დაიბადა მაინც ეს სიტყვა? ეხლავე საჭიროა ზომების მიღება, ეხლავე! შეიძლება მე ჩავვარდი რაიმე ისეთ გარემოებაში?

უფასოსაც სთავაზობდა და ფასიანსაც:

_ გეგზავნებათ ბილეთები თანამშრომლებისთვის უფასოდ დასარიგებლად.

_ გთხოვთ შეიძინოთ ჩემი XXV წლის სალიტერატურო მუშაობის აღსანიშნავ საღამოზე დასასწრებად 200 ბილეთი თანამშრომლებისათვის.

ახლობლებზეც ზრუნავდა:

_ საჭიროა შესასვლელი ბილეთების დამზადება ჩემი მეგობრებისათვის.

კერძო პიროვნებასაც სწყალობდა:

_ გაუშვით დარბაზში ერთი კაცი. გ. ტაბიძე.

რჩევა მოსწონებია:

_ საინტერესოა ძველებური ტრადიცია საღამოისა: 2 მოიყვანს 2-ს. საღამოზე რაც ორი-სამი დღის წინად ბილეთები გაყიდულია, ორი იმდენი კიდევ საღამოს დაესწრებაო!

ვიღაცას გაუბრაზებია:

_ ბილეთები არასგზით ხელზე არ გაიყიდება, იცის თუ არა?

გაუგრძელებია:

_ მთელი ძალ-ღონე იქითკენ უნდა იქნას მიმართული, რომ ერთ ადგილას, ამ შემთხვევაში ოპერის სალაროში, დაგროვილი ბილეთები გაიყიდოს მხოლოდ და მხოლოდ სალაროდან. მაგრამ მეორეს მხრით, რა გარანტიაა, რომ ხალხი მოაწყდება სალაროს ბილეთების შესაძენად, რომ ერთი ბილეთიც კი არ დარჩება გაუყიდავი, ერთი ადგილიც კი არ იქნება თავისუფალი? რა გარანტიაა ამისი? შეიძლება ითქვას, რომ ჯერჯერობით ამისი არავითარი გარანტია არ არსებობს... მაგრამ მიღებული იქნება ყოველგვარი ზომები.

უარეს შემთხვევაში დაძალებას გამორიცხავს და საკუთარ ხარჯზე კისრულობს:

_ ერთი კაპიკის ამღები არა ვარ. სულ ყველა გაფრთხილებული გვყავს ნება-სურვილით შეიძინონ ბილეთები და რაც დარჩება, უკან ღებულობს ყველა მოლარე. ერთი კაპიკი ფული არა გვაქვს აღებული, ხარჯი კი ძალიან დიდია. გთხოვთ გასცეთ განკარგულება შესდგეს საღამო. ბილეთებს უკან გავატანთ. საღამო იქნეს ჩემს ხარჯზე.

დარბაზი მოპოვებულია, თარიღი შეთანხმებულია, პროგრამა დაზუსტებულია, აფიშები გამოკრულია, ბილეთები იყიდება, და იუბილარი, როგორც გადაცმული მეფე,

ინკოგნიტოდ გადის რუსთაველის გამზირზე, ოპერის წინ აფიშებთან ტრიალებს, რათა ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილოს და საზოგადოებრივი აზრი შეამოწმოს:

«მე მივდიოდი ოპერის წინ, რუსთაველის პროსპექტზე. აი აფიშებიც ჩემი იუბილეის შესახებ. კარგია, რომ არავინ, არავინ მამჩნევს. მე შემიძლია დავუგდო ყური რაზედ საუბრობს ეს ზღვა ხალხი. გამოიარა, მაგალითად, მანდილოსანმა. მან შეხედა აფიშას, მერე ამ საზოგადოებას _ და ცნობისმოყვარეობამ ერთ ადგილას გააქვავა. სურს შეიტყოს თუ რაშია საქმე, და მიუბრუნდა იქვე მდგომ ახალგაზრდას, ერთს ისეთთაგანს, ყოველ საღამოს ხანს ფშტვენით რომ აყრუებენ ჩვენი ქალაქის ქუჩებს:

_ შვილო, ვისა მარხავენ, ნეტავი?

_ ეეჰ, როგორ ჩამორჩით ეს ძველი ხალხი, _ მკვირცხლად მიუგო ახალგაზრდამ, _ რა უნდა დამარხვას? იუბილეა!

_ რა ვიცი, შვილო, _ დაჟინებით თქვა მანდილოსანმა და სანამ თავის გზას გაუდგებოდა, მე ჩამილაპარაკა, _ გადაირია ხალხი, სწორედ გადაირია. «ჯან» ღვთის წყრომად რომ ეყურება, ისეთი ახალგაზრდობა გვეზრდება, თავს გაუვიდათ, ყოველ სიტყვაზე ებერებათ ის წითელი ნესტოები: არა, მართლა, ნეტავი ვის ასვენებენ ასე დიდის ამბითა, ა? ამ გაზეთში კი (გაშალა რომელიღაც გაზეთი) არც ერთი სამგლოვიარო განცხადება არაა!

ერთი გადახარხარება სიცოცხლეს მერჩია, მაგრამ თავი შევიკავე.

_ აი დღეც ასეთი უნდა! მაშ, არავინ მომკვდარა, რაღა, _ ვუთხარი მანდილოსანს.

_ იი, არავინ მომკვდარაო! როგორ გეკადრებათ, ყმაწვილო! _ ჩაერია საუბარში მეორე ქალი, _ დღეს რაღაც დღესასწაულია და იმის გამოა. ხვალინდელი გაზეთები ნახე შენა, რომ სულ ერთად გამოცხადდებიან გუშინდელი, დღევანდელი და ხვალინდელი მკვდრები. (რუს მათხოვარს, რომელიც ბავშით ხელში მოგვიახლოვდა) რამ გაგამწარათ, ასე შემოდგომის ბუზებივით რომ მოედეთ საქართველოს. დაგიჭერიათ ბავშები და დადიხართ. კარგი, დაიკო, გაიარ-გამოიარე და მერე მოდი.

მეორე მანდილოსანმა წყენით მიმართა პირველს:

_ დაჩვეულნი არიან მათხოვრობას. გაიარე, მაგალითად, ლაღიძის წინ, სადაც ოდესმე ლიმონათი დაგილევია, შენ უსათუოდ შეჩერდები და მოისურვებ კიდევ დალიო. მიჩვევაა, შვილო, ყველაფერი.

გამოჩნდა მეორე მათხოვარიც.

_ იჰ, გამეცა იქითა! _ შესძახა აბეზარს მოსულმა მანდილოსანმა. _ არა მაქვს, უმუშევარი ვარ. გაიარ-გამოიარე და მერე მოდი. თქვენი პარტია არ არის, რომ იძახის _ ღარიბ მუშასა და გლეხს გაუმარჯოსო?! წადი და შენც იმათ მიმართე, რაღა მე ჩამაცივდი.

ასეთია ხანდახან მდგომარეობა ოპერის თეატრის წინ.

ასეთია დემოკრატია! აი, მაგალითად:

_ რაო? იუბილეო? _ ეუბნება ცოლს ზარხოში ქოსა კაცი, _ იუბილე არ ვიცი, მარა კაი კამპანიაში ათ ლიტრასა დავლევ, ღმერთმანი!

_ დაიცა ერთი, დაიცა პატარა ხანს, _ ეუბნება ცოლი.

_ რაო? პატარაო? რა ვუყოთ მერე, რომ ტანით პატარა ვარ. ნაპოლეონი და კუტუზოვი თუ დაბალი კაცები იყვენ, ვერ იყვენ, აი!

_ სად გაილეშე ასე უღმერთოდ?

_ ღმერთი, ააა! ღმერთი მე მრწამს, მრწამს ერთი ღმერთი, ეხლა სხვაზე ვილაპარაკოთ. გაუმარჯოს, გაუმარჯოს. იცოცხლე, შენც გაგიმარჯოს, მეც გამიმარჯოს, იცოცხლე, გაცოცხლოს!.. დალიე, მხეცი კი არავინ არის აქ. (ახალგაზრდა კაცს, რომელიც მის ახლო შეჩერდება) არა, რას მიყურებ, ბიძია?!

_ მე როდის გიყურებთ?

_ არა, რას მიყურებ, ბიძია, თუ ჩემს წვერებს ითვლი, მე გეტყვი: სულ არის თორმეტი ღერი. დათვლილი მაქვს, შენმა მზემ!

_ ვაჰ, მე როდის გიყურებთ?

_ ... და თუ ბოლშევიკი ხარ, ბიძია, ამასაც გეტყვი: პარტია, რომელმაც განიცადა დამარცხება და არ შესწევს გამბედაობა აღიაროს ეს, იდიოტების პარტია იქნებოდაო, ამბობდა ოდესმე კარლ მარქსი.

ახალგაზრდა კაცი დაშინებული მიდის და თან უკან იყურება.

_ სუს! ხმა ჩაიკმინდე, არავინ გაგიგონოს, _ ემუდარება ცოლი.

_ განა გულით ვამბობ? _ დამშვიდდა ქოსა, _ მთელმა ქვეყანამ იცის ჩემი მეზობლური, ძმური, ამხანაგური, ნამდვილად ბოლშევიკური მიდგომა მიმდინარე ეტაპზე, _ და ბარბაცით წავიდა.

ასეთია დემოკრატია! აი, მაგალითად:

_ რა დიდებული შენობაა ეს ოპერის თეატრი, სწორედ მეფურ გემოვნებაზეა აგებული. გვერდებზე ბაღი, წინ აივანი. შელესილი კედლები... რა სიმდიდრეა... გეგონება ცხრა მთას იქით გადამაფრინა რაღაც უცნაურმა ძალამაო... მერე რანაირად უყვარს იარაღი...

_ ვის? გალაკტიონ ტაბიძეს?

_ ჰო, იუბილიარს (თითქო ყოველდღე იუბილიარი არ იყოს). თოფი, ხმალი, ხანჯალი, შუბი, ფარი, დამბაჩა.

_ თქვენი მტერი! მე ეხლავე მეშინია.

_ საშიში არრა არის რა. იარაღი უყვარს, რადგან ნადირობაც უყვარს.

_ ოოო!

_ ნადირობა უყვარს ბაზიერებით, ნადირობა მეძებრებით...

_ ნეტავი როგორი გარეგნობისაა?

_ გალაკტიონი? წარმოსადეგი კაცია, ორმოცის ან ორმოცდახუთი წლისა. პირნათელი, მოკლე, მაგრამ სქელი წვერი აქვს, თვალები მუდამ ანთებული აქვს. პირში ხუთი ადლის სიგრძე ჩიბუხი უჭირავს.

_ აბა, კაციც იმასა რქმევია, აი! ალბათ ამიტომაცაა იუბილეის რომ უმართავენ, არა?

_ რა ვიცი, მას უმართავენ თუ სხვას. მონადირე კი ძალიან კარგია. ძაღლიც კარგი ჰყავს. მისი საქმეა, რომ ტფილისის არემარეზე ნადირს ვეღარსადა ნახავ, გინდ წამლად გინდოდეს».

მოკლედ, ყველაფერზეა საუბარი, გარდა პოეზიისა!

ახლა იუბილარსაც მოვუსმინოთ:

_ მაშ ასე: ყოფილა ქვეყნად ხალხი, რომელთაც ჰგონიათ, რომ მე ზედმიწევნით ვიცი ნადირობის საქმე და წესები, ძირის-ძირამდე შესწავლილი მაქვს ყოველნაირი ნადირობის წიგნი. ოო, ეს კარგი საქმეა. ჭაობში დაბუდებული ის გველეშაპი ვყოფილვარ, ზღაპარ-თქმულება რომ მოგვითხრობს. თუ ასე გსურს, დემოკრატიავ, შენი აზრი მართალია, სწორია, ნამდვილია, ბრძნულია. ნიჭიერი კაცი იყო _ ეს ერთია, და ამ

ნიჭით, თუნდაც მონადირეობის ნიჭით, სამშობლოსთვის დახმარების გაწევა _ მეორე. აკი მე მაწერთ იმ დიდ სიკეთესა, რომ ტფილისის არემარეზე ნადირს ვეღარსადა ნახავ, გინდა წამლად გინდოდეს. გარეგანი შეხედულებით ეს ამბავი საკვირველს არას წარმოადგენს, სრულიად არაფერს, და მის აზრს რომ ჩაუკვირდებით...

ეტყობა, შეგნებულად არ დაასრულა ორმოცდაათიანი წლების პირველი ნახევრის ეს მონათხრობი თუ მოთხრობა და საბოლოო პასუხი ჩვენგან მოითხოვა. ამ ირონიული ქრონიკის აზრს რომ ჩაუკვირდებით, დარწმუნდებით, რომ პოეტი-იუბილარი სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩენილა. სანუგეშოდ ისღა დარჩენია, რომ ყოველივე პირველ აპრილს ხდება და შეეძლო ამის გამო გულთან ახლოს არ მიეტანა. არც მიაქვს, რაც გვაფიქრებინებს, რომ მისივე მოფიქრებული და გათამაშებული სცენებია, რომლებსაც არც პროზაიკოსის თვალი აკლია და არც იუმორის გრძნობა. სხვათაშორის, ამ სიუჟეტის ზოგიერთი პასაჟი ცალკე შეგვხვდა ჩაწერილი, რაც მიუთითებს, რომ მოთხრობა წინასწარ ჰქონდა ჩაფიქრებული.

_ თითქო ყოველდღე იუბილარი არ იყოს. _ ესეც განუწყვეტელი საფიქრალისა და საწუხარის გამოძახილია.

ამაღლებულ ოცნებასა და დამძიმებულ სინამდვილეს შორის გაატარა მწარე წუთისოფელი. ჯერ ოცნებობდა, მერე იგონებდა.

აკაკი წერეთელზე მრავალი მოგონება შემოგვინახა. ერთი ეხება ლექსს «ყვითელი ფოთოლი»:

«მე ის წავიკითხე ქუთაისში საღამოზე, რომელსაც დაესწრო აკაკი წერეთელი. მე ვკითხულობდი მას ხმის აწევით. თვითონ ვგრძნობდი, რომ კი არ ვკითხულობდი, არამედ ვმღეროდი...

როდესაც ფარდა დაეშვა, აკაკიმ მიბრძანა:

_ თქვენ რაჭველი ხომ არა ხართ?

_ არა, ბატონო აკაკი, იმერელი ვარ.

_ საოცარია: როდესაც თქვენ ჰკითხულობდით ლექსს, მე მეგონა, რომ კი არ ჰკითხულობდით, არამედ მღეროდით. ეს იყო ძირითადათ ქართული კითხვა. ასე ლაპარაკობენ გაბმით, თითქო სიმღერით, რაჭველობაც იმიტომა გკითხეთ».

წამღერებით ლექსებს იოსებ გრიშაშვილი კითხულობდა (ფირფიტებიცაა შემონახული). იმ წლებში იგი უფრო პოპულარული იყო. ეტყობა, შედარებით ახალგაზრდები დეკლამაციაშიც ბაძავდნენ. სწორედ ამ წლებში მიუძღვნა გრიშაშვილს პოემა «მწყემსი» და სამი ლექსი.

საგულისხმოა გალაკტიონის გვიანდელი გახსენება: ამის შემდეგ თავი დავანებე ლექსის სიმღერით კითხვასო, და «ისე სულმოუთქმელად კითხულობდა ლექსებს, გეგონებოდათ ცოფიანი ძაღლები მისდევენო» (მ. კვესელავა).

ასევე საგულისხმოა იოსებ გრიშაშვილის გვიანდელი აღიარება:

_ რომ ვთქვა, გალაკტიონი ჩემი ძველი მეგობარი იყო-მეთქი, შეიძლება არავინ დამიჯეროს. «შეიძლებას» იმიტომ ვამბობ, რომ გალაკტიონს მეგობარი არა ჰყოლია.

არანაკლებ საგულისხმოა აგრეთვე გალაკტიონის 1952 წლის 19 მარტის რეპლიკა:

_ ტელეფონით ვესაუბრე გრიშაშვილს. მეფიცებოდა მეგობრობას.

_ გალაკტიონის დაღუპვის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ მეგობარი არ ჰყავდა, _ ბრძანა ერთხელ სიმონ ჩიქოვანმა.

_ გალაკტიონი რეპრესიებს გადაურჩა იმიტომ, რომ მეგობარი არ ჰყავდა, _ ვპასუხობ მე და დავსძენ, _ გალაკტიონის ერთადერთი მეგობარი თვითონ გალაკტიონი იყო.

ჩოხათ საქილეში მუხებს

ამასობაში ჩვენი რჩეულიც მომზადდა.

_ როდის დაიდება ხელშეკრულება?

1958 წლის 4 აგვისტოს ხელშეკრულება გაუფორმეს, უკანასკნელი ხელშეკრულება (რასაკვირველია, საავტორო ეგზემპლარი შეინახა და ამჟამად ჭყვიშის მუზეუმშია გამოფენილი). ამჯერად დიდიხნის თხოვნა შეუსრულეს და მაქსიმუმი აღირსეს: სტრიქონში ოცი მანეთი გამოცემათა რიგის მიხედვით (თუმცა კუთვნილის მხოლოდ სამოცი პროცენტის აღება მოასწრო).

წიგნმა სტამბამდე მიაღწია. სტამბა უკვე სუვერენული სახელმწიფოა, გამომცემლობას არ ემორჩილება. პოეტი ახლა სტამბას უნდა დაელოდოს. ჩვენ კი, ვიდრე დედანი აიწყობოდეს, კორექტურას გაივლიდეს და რედაქტორთან მობრუნდებოდეს, შეგვიძლია უფრო მშვიდად ვისაუბროთ.

ცოტა უკან დავიხიოთ: 1957 წელია. სასტამბოდ მზადდება მერვე ტომი. ტომის რედაქტორის რევაზ ორჯონიკიძის სამუშაო მაგიდაზე ვათვალიერებ დედანს. ბევრი გამოუქვეყნებელი ლექსია, ახალი ლექსები: «იფნის შოლტივით მოქნეულ გზაზე», «აქ ოდესმე მხიარული გზით უყვარდათ სიარული», «ყველაფერი შეიძლება მოხდეს», «მიდიხარ... ისე მიგაქვს წვალება», «ო, ნანა, ნანა, ნანა», «ხელშეკრულება, დადებული ერთხელ არაგვთან», «რისთვის მაგონებ, ვაზზე მიმობნეულო ნამო», «აფხაზეთის წვიმა მიყვარს»... და მათ შორის ერთი უსათაურო: «ჩოხათ საქილეში მუხებს ჩაუწყვიათ რკოები»...

_ ხომ არ აჯობებდა: მუხებს ჩოხათ საქილეში? _ ვეკითხები რედაქტორს სხვათაშორის, ჯერ კიდევ არ ვიცნობ ავტორს, არ ვიცი, რომ ნებისმიერ ვარიანტზე დაეთანხმება. არ მახსენდება მისივე სტრიქონები _ თუნდაც სათაურები: «სადაც ალპებია ველად», «რასაც სარაცინი წინათ», «ოდას შეუცვლია ფაცხა», «როგორც ცხენოსანთა ჯარი»... არც ვახტანგ მეფე მახსენდება: «ციდან ჩამოესმა რეკა»... და არც არსენა: «ერთი გავარდნილი კაცი ტყეში ეფარება ხესა»... ვერც იმას ვამჩნევ, რომ მომიჯნავე მუხლებს შორის საზიარო სიტყვის ჩასმა ერთგვარი ხერხია და რიტმს უფრო ამძაფრებს...

გასწორებული დაიბეჭდა მერვე ტომში, შემდეგ 1959 წლის რჩეულში, აკადემიურ თორმეტტომეულში და 1971, 1973, 1977, 1978, 1982 წლის ყველა გამოცემაში.

ოცდახუთი წლის შემდეგ, 1982 წლის რჩეულში თვითონ გავასწორე ჩემი არაპირდაპირი და უნებლიე ჩარევის დასანანი შედეგი, აღვადგინე ავტორის ნება, რომელსაც ავტოგრაფებიც ადასტურებენ: ჩოხათ საქილეში მუხებს...

დაიმახსოვრეთ, ხვალის ტექსტოლოგებო!

პოეტის გულისტკივილიც დაიმახსოვრეთ:

_ პირველი ლექსიდანვე ასე დამებედა, მას მერე ჩემი შვიდი ათასი ლექსი დაიბეჭდა, მაგრამ არცერთი ისეთი, რომელშიაც რედაქტორს, ან კორექტორს ან ცენზორს შესწორება არ შეეტანოს.

P.S. ამ ეპიზოდს გალაკტიონის არქივის ერთი ფურცელი აგრძელებს: აღნიშნულ ფურცელზე ტომის რედაქტორს მიუწერია:

_ ვახო, ჩადი შ. იამანიძესთან.

მეორე გვერდზე კი ავტორს მიმართავს:

_ ბატონო გალაკტიონ, უნდა გადაიბეჭდოს, რომ არავინ ნახოს რედაქტირებული ტექსტი. ეს საიდუმლოებაა. მე მინდა, რომ ეს ავტორისეულ ჩასწორებად იქნეს მიჩნეული.

როგორც ჩანს, მეზობელ ოთახში შევედი და უნებლიეთ ავტორისა და რედაქტორის საუბარს შევესწარი. რედაქტორს არ სურს ეს «საიდუმლოება» სხვამ მოისმინოს. არადა, გამძაფრებული ცნობისმოყვარეობის გამო ვერ ვგრძნობ ამ უხერხულობას. რედაქტორი იძულებულია ავტორს წერილბით გაესაუბროს და მე თავიდან მიშორებს: მესამე სართულიდან მეორეზე მაგზავნის _ ტექნიკური გაფორმების რედაქციაში.

გალაკტიონი კი შენიშვნებს ურთავს და არქივში ინახავს საკუთარი ტექსტის ხელყოფის კიდევ ერთ დოკუმენტს.

მიბინავ ლიზი-ლიჩედი

სამოცს რომ გადააბიჯა და მორიგი ხუთწლეულის მიჯნას მიუახლოვდა, ნაცნობ მხატვარს თამამი ჩანაფიქრი გაანდო:

_ Разве не было бы делом нашей признательности к поэту, основание музея на его родине?.. Кажется, что не все собрано о большом человеке. Многое утеряно безвозвратно для поколений. Восполнить этот пробел впоследствии хотя бы частично, представляет большую трудность. Но следует поправить ошибки, пока наш Галактион с нами.

გამზადებული სტატია რუსული გაზეთის რედაქტორს წარუდგინეს და ისიც დაპირდა, მაგრამ არ დაბეჭდა: ცოცხალი პოეტის მუზეუმი, თუნდაც სახალხო პოეტის მუზეუმი _ მხოლოდ ოცნების საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო.

ხუთი წლის შემდეგ:

_ 1958 წ. 9 ივლისი. წყნეთის არქივი. ნაპოვნია მ. ვადბოლსკის წერილი, დაწერილი ხუთი წლის წინად, რომელიც არ დაბეჭდა «Заря Востока»-ს რედაქტორმა (რისთვისაც ის ოდესმე პასუხს აგებს).

ჩვენი რჩეული სწორედ 1958 წელს უნდა გამოეცა სახელგამს _ პოეტური მოღვაწეობის 50 წლისთავისათვის.

საიუბილეო მზადებას ადრე შეუდგა. 23 ივნისს მწერალთა კავშირის სახელით თხოვნა გაამზადა:

_ გთხოვთ დაგვეთმოს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი ა.წ. 7 ივლისისათვის საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამოს ჩასატარებლად.

თარიღი შეიცვალა და განმეორებით დაწერა არზა:

_ საქ. საბჭოთა მწერალთა კავშირი ა.წ. 12 ოკტომბერს სპეციალური სალიტერატურო საღამოთი აღნიშნავს საქართველოს სახალხო პოეტის, მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მუშაობის 50 წელს. მწერალთა

კავშირი გთხოვთ აღნიშნულ დღეს (ა.წ. 12 ოკტომბერი, კვირა) დაგვითმოთ ოპერის თეატრის დარბაზი.

ამ თარიღმა ერთხელ კიდევ გადაინაცვლა და მხოლოდ წლის მიწურულს განხორციელდა:

_ ჩემი იუბილეები არასოდეს ქრონოლოგიურად სწორად არ ყოფილა აღნიშნული.

_ ეჰ, არავისი იმედი არა მაქვს, გარდა ჩემის თავისა.

1957 წლის 31 იანვარს წიგნის პალატის თანამშრომელს შეუთანხმდა, ბიო-ბიბლიოგრაფიის შედგენა, ცალკე წიგნად გამოცემა და ამ საქმეში მწერალთა კავშირის შუამდგომლობა განიზრახა. პირველი ნაბიჯები რომ ვერ გადადგა, მომავალი წლის 26 იანვარს 18 ავტორის გვარი და თხზულებანი ჩამოთვალა და:

_ საჭიროა კიდევ 40 ავტორი (სულ ხომ ასი უნდა იქნეს?). მაგრამ რატომ? მე მგონია, ეს სრულებითაც, პირველ ხანებში, სავალდებულო არაა და ვერც მოესწრება... სჯობს ვუტიოთ... გამოვიყენოთ კარგად ის, რაც გვაქვს. და განა მერე საკმარისი არაა ის, რაცა გვაქვს? რომელ ქართველ თანამედროვე მწერალზეა დაგროვილი ასეთი მასალა? არავისზე! გადამეტებული ფანტაზიის შედეგად უნდა დავღუპოთ ეს დიდი საქმე!

რაკი სხვებმა ვერ მოიცალეს, ღონისძიებათა პროექტი კიდევ უფრო ადრე თვითონ შეადგინა, დახვეწა და, უპირველეს ყოვლისა, ნაოცნებარი ერთტომეული დაასახელა:

«1. დაევალოს სახელგამს გამოსცეს სახალხო პოეტ გ. ტაბიძის ნაწარმოებთა ყველა შვიდი ტომი ერთ ტომად ქართულ და რუსულ ენებზე.

2. დაერქვას გალაკტიონის სახელი თბილისის მეორე სანაპიროს.

3. აგებულ იქნას ამ ქუჩაზე სპეციალური შენობა მუდმივი გამოფენისათვის სახელწოდებით _ «სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი გზა». აქვე მოეწყოს წიგნთსაცავი და საბიბლიოგრაფიო კაბინეტი.

4. ამავე ქუჩაზე შესაფერ ადგილას სიცოცხლეშივე აეგოს ძეგლი სახალხო პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს.

5. დაევალოს სახელგამს გამოიცეს წიგნი «გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება», რომელშიდაც შევა როგორც აკაკი წერეთლის, დავით კლდიაშვილის, ვ. ბარნოვის, განდეგილის, ზ. ჭიჭინაძის და სხვ. წერილები და ლექსები, ისე თანამედროვე მწერლების და კრიტიკოსების ნაწარმოებნი გ. ტაბიძის შესახებ.

6. განსაკუთრებული დამსახურების გამო სახალხო პოეტს გ. ტაბიძეს დაენიშნოს პერსონალური პენსია თვეში 10 000 მანეთის რაოდენობით.

7. დაერქვას ქალაქ სამტრედიას სახელწოდება _ «საგალაკტიონო».

8. მოეწყოს თბილისის სახ. ოპერის თეატრში დიდი საიუბილეო საღამო, ასეთივე საღამოები მოეწყოს საქართველოს დანარჩენ დაბა-ქალაქებში.

9. მიეცეს გ. ტაბიძეს განსაკუთრებული დამსახურების გამო ერთდროული დახმარება 100 000 მანეთის ოდენობით.

10. დაევალოს ჯანმრთელობის სამინისტროს უზრუნველყოს ავადმყოფი პოეტი სპეციალური მკურნალობით.

11. მიეცეს შესაფერი ბინა.

12. წინადადება მიეცეს საბჭოთა კავშირის ყველა 16 რესპუბლიკის გამომცემლობებს გამოსცეს გ. ტაბიძის ნაწერები. მოსკოვში ყველა 7 ტომის გამოცემა.

13. დახმარება გაეწიოს გ. ტაბიძეს წყნეთში აგარაკის მოწყობაში.

14. დასაჩუქრებული იქნას სახ. პოეტი გ. ტაბიძე ავტომანქანით.

15. მოეწყოს სახ. ხარჯზე გ. ტაბიძის პირადი სამდივნო და კანცელარია.

16. სახლი ვანის რაიონში, სოფელ ჭყვიშში, სადაც დაიბადა გ. ტაბიძე, შენახულ იქნას და მოეწყოს იქ შესაფერისი მუზეუმი.

17. ასეთივე მუზეუმები მოეწყოს ქალაქ ქუთაისში.

18. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას დაევალოს გამოსცეს 7 ტომი გ. ტაბიძისა _ აკადემიური გამოცემა.

19. დაერქვას ახალ ხიდს «გალაკტიონის ხიდის» სახელწოდება».

ხიდიც ენატრებოდა თავის სახელობისა, სანაპიროც, მოედანიც, ქუჩაც, დაბოლოს _ ქალაქიც: «საგალაკტიონო» (ვიქტორ ჰიუგოც ოცნებობდა _ პარიზისათვის მისი სახელი ეწოდებინათ!).

ეს სია დასრულებული არ გეგონოთ. გზადაგზა ჩაუნიშნავს: გალაკტიონიზმი, გალაკტიონოლოგია. გალაკტიონოლოგები, გალაკტიონოლოგიის დაფუძნება, გალაკტიონოლოგიის საფუძვლები. გალაკტიონოლოგია N1 (რუსულ ენაზე), გალაკტიონოლოგია N 2 (რუსულ ენაზე). რუსთაველიდან გალაკტიონამდე. აკაკი და გალაკტიონი. ყაზბეგი და გალაკტიონი. გალაკტიონ ტაბიძე _ ტეოფილ გოტიე. ასი პოეტი გალაკტიონის შესახებ. 100 პოეტი პაბლო ნერუდას წესით.

_ ასი პოეტის იდეა მაინც არ მეშვება (ძალით არ იქნება).

_ იდეა ასი მწერლისა _ ნეტავი თუ მართლა განხორციელდება?

_ ასი ლექსი, ასი საღამო, ასი კონცერტი, ასი ბაღი, ასი მხატვარი, ასი კომპოზიტორი... _ ასი ამოიჩემა: დარბაზში ას სკამს ნომრავს, ასი სიტყვის ვარიაციას ამოწმებს, ას ადგილს ჩამოთვლის, სადაც აფიშები უნდა გაიკრას, პაპიროსსაც კი ასს ასახელებს... წიგნის ყდაც დაუხატავს და ზედ წაუწერია: «Сто поэтов Грузии _ Галактиону Табидзе».

უკვე გამოიცა, ოღონდ არა ასი: ზუსტად ორასი _ «შენ უკვდავების ხარ ბინადარი». დაიწერა, იწერება, დაიწერება _ ლექსები, ციკლები, პოემები... ცოტა იჩქარა, თორემ ყველაფერი ზუსტად ივარაუდა.

არც საიუბილეო ჩანაფიქრის ზოგიერთი მუხლი უნდა მოგვეჩვენოს ნამეტანი გადაჭარბებულად: ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატს, გამოჩენილ რუს კომპოზიტორს დიმიტრი შოსტაკოვიჩს 1946 წელს სტალინის დავალებით ბერიამ დაურეკა ლენინგრადში და აჩუქეს: ხუთოთახიანი ბინა მოსკოვში, აგარაკი, ავტომობილი და სამოცი ათასი მანეთი.

უკანასკნელი საიუბილეო პროექტის მესამე ნომრად დასახელებული და მიხეილ ვადბოლსკის წერილით განზრახული მუდმივი გამოფენისათვის იუბილარს დარბაზი-პავილიონი ესაჭიროებოდა.

ადგილის შერჩევას ადრე შეუდგა:

_ 17 ივლისი. 1957 წ. ვიყავი სანაპიროზე. ბევრი ვათვალიერე. აღმოჩნდა, კიდევ არის სამი ადგილი შენობისათვის, ყველაზე მისამხარი _ სახელგამის გვერდით, აგრეთვე _ პლეხანოვის ქუჩაზე რომ გამოფენაა. შეიძლება სხვაგანაც. ვიყავი აკადემიაში _ შევატანინე წინადადება მუზეუმის შესახებ.

მეორე სანაპიროს შემდეგ ხელოვნების მუშაკთა სახლის ეზოს დაადგა თვალი:

_ ლიტერატურული მუზეუმის მიერ გამოყოფილია უფროსი მეცნიერი მუშაკები, რომელთაც ევალებათ შეადგინონ სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და

შემოქმედების სტაციონალური გამოფენის თემატიკურ-საექსპოზიციო გეგმა (საგამოფენო ფართობის გათვალისწინებით). ხელოვნების მუშაკთა სახლის მიერ დათმობილია გამოფენისათვის (გამოფენის ერთი ნაწილისათვის, სახელდობრ _ სადეკადო ნაწილისათვის) ფართობი, მაგრამ საჭიროა მეტი ფართობი, რომ აისახოს სახალხო პოეტის 50 წლის შემოქმედება. საჭიროა: გამოიყოს ფართობი ხელოვნების მუშაკთა სახლის ეზოში საგამოფენო პავილიონის მოსაწყობად. პავილიონი უნდა აიგოს დაკვრითი წესით, ერთი თვის განმავლობაში. რა არის ამისათვის საჭირო? დადგენილება ფართობის გამოყოფის შესახებ. გეგმა პავილიონისა (ინჟინერის მიერ შედგენილი).

ჩანაფიქრი ჩაიშალა:

_ ეს ფართობი გამოყოფილი ყოფილა კინო-თეატრისთვის. საჭიროა სხვა ფართობის გამონახვა.

თავიდანვე განწირული ჩანდა: ფართობი არ ყოფილა გამოყოფილი, პროექტიც არ არსებობდა და ერთ თვეში აშენებას აპირებდა. ხელოვნების მუშაკთა ეზოდან ლერმონტოვის ქუჩაზე გადაინაცვლა. თანაც დათმო და აშენების მაგიერ დაშენებაზე დათანხმდა. მწერალთა კავშირის შუამდგომლობა ამჯერადაც თავისი ხელით დაწერა:

_ თბილისის საბჭოს თავმჯდომარეს. მიმდინარე წელს საქართველოს სახალხო პოეტს უსრულდება ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავი. ზემდგომი ორგანოების დავალებით ეს თარიღი საზეიმოდ იქნება აღნიშნული. იუბილეს დღეებში გაიმართება გ. ტაბიძის შემოქმედებითი გზის ამსახველი გამოფენა. საქართველოს მწერალთა კავშირი გთხოვთ მოგვცეთ ნებართვა, რათა დავაშენოთ ლერმონტოვის ქ. N 5 კომუნალურ სახლზე მეორე სართული _ გამოფენის მოსაწყობად.

ერთსართულიანზე დაშენებას _ ორსართულიანზე ამჯობინა:

_ დავათვალიერეთ სახლები სოლოლაკში და შევჩერდით კიროვის 7. სივრცე დიდებულია.

ლიტფონდის თხოვნაც საკუთარი ხელით დაწერა:

_ თბილისის საბჭოს თავმჯდომარეს. საქ. სახ. პოეტის გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით იუბილეს დღეებში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი გზის ამსახველი გამოფენა. საქ. ლიტფონდი გთხოვთ მოგვცეთ ნებართვა, რათა დავაშენოთ კიროვის ქ. N 7 კომუნალურ სახლზე მესამე სართული საგამოფენო პავილიონის მოსაწყობად.

ბოლოს და ბოლოს ძერჟინსკის შვიდ ნომერში შეურჩევია ორსართულიანი სახლი:

_ Дайте право сделать надстройку.

_ არა, ფეხს არ ვიცვლით... არასგზით ფეხს არ ვიცვლით სახლიდან დზერჟინსკის ქ.N 7. იგი ძალზე პოეტური სახლია. ხუთი ფანჯარა აქვს. საუცხოვო შესასვლელი წინა კარები. შესაძლებელია მიემატოს მოაჯირის მაგივრად მთელი ერთი ვრცელი სართული _ მაგარი ცემენტისა. სახლი უსათუოდ ორსართულიანი უნდა იყოს: ეს მოგვცემს შესაძლებლობას ფართოდ გავშალოთ სტენდები. შესავალში კარების მსგავსი რაღაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას: განცხადებებისათვის.

ფეხი მაინც მოიცვალა თუ მოაცვლევინეს და მისამართი ერთხელ კიდევ შეიცვალა, უფრო სწორად _ ნომერი შეიცვალა: ძერჟინსკის 7 13-მდე გაიზარდა. ჩვეულებისამებრ, მოვლენებს გაუსწრო და ნებართვის ტექსტები თვითონ მოამზადა წინასწარ:

_ Докладная записка. Согласно Вашего распоряжения нами произведено исследование дома по ул. Дзержинского № 13. Исследованием установлено, что над вышеуказанным домом можно надстроить третий этаж для павильона акад. и нар. поэта Табидзе.

_ Справка. Выдана сия академику и народному поэту т. Г. В. Табидзе в том, что ему разрешено постановлением городского совета от _ за № _ надстроить павильон-музей над домом коммунального отдела Тбилгорсовета по ул. Дзержинского № 13 с правом пользования подъездом дома № 11.

როგორც მალე დავრწმუნდებით, მისი თხოვნა და განზრახვა არარეალურად ჩაუთვლიათ (არც ესწრებოდა), მაგრამ უარი ვერ გაუბედავთ. საჭირო გამხდარა საძირკვლის შემოწმება: აიტანდა თუ არა დაშენებას. ვიდრე ჩვენი რჩეული იწყობოდა, სექტემბრის თვეში, ამ პრაქტიკული საქმით ყოფილა დაინტერესებული და დაკავებული. ჩვენც შეგვიძლია ამჯერად უფრო დიდიხნით გადავიხედოთ არქივში და სექტემბრის სამი დღის ორიგინალური ქრონიკა მოვისმინოთ _ ჩვენთვის უკვე ნაცნობ გაუცხოვების მოტივზე. ნუღარ ჩავერევით და ნუღარ შევაწყვეტინებთ, ისე საინტერესოდ მოგვითხრობს:

დაგვიწყია სვლა-წასვლა

10 სექტემბერი. 1958 წელი.

ღამით გვძინავდა თუ არა? მაგრამ გათენებულა თუ არა, გამოვსულვართ სახლიდან. გვითქვამს: ეს რა თქეშია, რა «წვიმილია», გუშინ ხომ იწოდა თბილისი აგვისტოის ალმურში. გვითქვამს: განვაგრძოთ გზა მასსაჩუზეტისაკენ, სადაც უნდა ალეხანდროც მოსულიყო. მივსულვართ მასსაჩუზეტში. ალეხანდრო იქ არა დაგვხვედრია. გვიფიქრია თუ, რატომ ალეხანდრო არა სჩანს-მეთქი. გაგვიარ-გამოგვიარნია მეორე სართულის დერეფანში, მოგვინახავს მყუდრო ადგილი მშვენიერი მაგიდითა, ჩამოგვისვენებია, ამოგვიღია, დაგვიწყია წერა მასსაჩუზეტის შესახებ. წავსულვართ ფიქრებში, ისე ღრმად შეგვიტოპნია ოცნებათა შინა, რომ ძლივს გაგვიგია, რომ ალეხანდრო უკვე მოსულა და თავს მადგაას. _ ააა! _ გაგვხარებია ძალიან. გვიკითხავს თუ: სად იყავ აქამდე სანდრუა-მეთქი. მას უპასუხნია: აი, სწორედ ათის ნახევარიაო, დრო არის, წავიდეთ, ავიდეთ მესამე სართულზე, მივხედოთ საქმესო. დაგვიწყია სვლა-წასვლა.

დაგვიწყია სვლა-წასვლა. აგვივლია კიბე თორმეტი საფეხურით, შევხვედრივართ გზაში აქ მომუშავეებს, გაგვივლია მცირე კორიდორი და შევსულვართ ოთახში, მესამე სართულზე, სწორედ იმ კაცთან, რომელიც უნდა დაგვეხმაროს. «ქაღალდი სადაა?» _ ისევ ისე უკითხავს იმ კაცსა. «რომელი ქაღალდი, რის ქაღალდი, სადაური ქაღალდი?» სულ ქაღალდი და ქაღალდი! აკი განკარგულება იყო, დაგვეწყო სახლის შემოწმება, შესაძლებელია თუ არა მესამე სართულის დაშენება იმ სახლზე-მეთქი, _ გვითქვამს. იმ კაცს ბოდიში მოუხდია, კიდევ დამავიწყდაო, _ უთქვამს, _ მოდით საათნახევრის შემდეგ, მოიყვანეთ მუშები და შევუდგეთ ამ სახლის საძირკვლების შემოწმებასო. კარგი-მეთქი, _ გვითქვამს.

დაგვიწყია სვლა-წასვლა. გაგვივლია ლენინის მოედანი, გაგვივლია ძველი სემინარიის გვერდით, გავსულვართ პუშკინის ქუჩით და იქ მოგვინახავს ორი ახალგაზრდა, მიწის მთხრელები. «ხელსაწყოები რომ არა გაქვსო?» _ მათ უთქვამთ. შევუდექით ხელსაწყოების ძებნას.

დაგვიწყია სვლა-წასვლა. შევსულვართ რკინეულობის მაღაზიაში. იქ გვიყიდნია ერთი წერაქვი რკინისა და ორი ნიჩაბი მიწის სათხრელად. «ამ წერაქვსა და ნიჩბებს არც ერთს ტარი არა აქვსო», _ უთქვამთ მიწის მთხრელებს. უნდა მოვუძებნოთ-მეთქი, _ გვიპასუხნია.

დაგვიწყია სვლა-წასვლა. სადღაც რომელიღაც სოფლიდან რომ ურმებით საზამთროები ჩამოუტანიათ, ურემზე მისამაგრბელი სარები ახლად მოჭრილი ტირიფებისა იქვე უყრიათ. აგვიღია ორი სარი და წამოგვიღია. იქვე გაგვიკეთებია წერაქვის ტარიც.

დაგვიწყია სვლა-წასვლა ძერჟინსკის ქუჩისაკენ. იქ მოგვინახავს ჩვენი სახლი, სადაც მუშებმა გათხრა უნდა დაიწყონ. გამოსულა მეზობლის ქალი და ჩემთვის უთქვამს, ჩემი შვილი და თქვენ სამკურნალო კომისიაში ერთად იწევითო, ის ჩემი შვილი ცოცხალი არ არისო. ძალიან მიხარიაო, რომ თქვენი პავილიონი სწორედ ჩვენს მახლობლად იქნებაო. მუშებმა დაჰკრეს წერაქვი. გაგვხსენებია ჩვენი ლექსი: «დაჰკა წერაქვი, დაჰკა წერაქვი, ჰეი, დაჰკარი! გადმოანგრიე მძიმე ლოდები ნიადაგარი!» ალექსანდრე თავს ადგას. დაიწყო, მაშასადამე, საქმე! სულ ვდგევართ ექვსი კაცი. ვიწყებთ, ვიწყებთ, ვიწყებთ! «ეხლა შეგიძლია მოიყვანო ის კაცი აღმასკომიდანაო», _ უთქვამს ჩემთვის ალეხანდროს.

დაგვიწყია სვლა-წასვლა. მივსულვართ აღმასკომში, გვიკითხავს ის კაცი აღმასკომში, რადგან არ დაგვხვედრია, სადღაც წავიდაო, _ უთქვამთ... მე ჩამოვმჯდარვარ მის მაგიდასთან, ამომიღია სწორედ ეს რვეული და დამიწყია წერა სწორედ ამ ამბებისა. ვზივარ ეხლა და ვუცდი იმ ქაღალდის კაცს: ის კი არ სჩანს!

ეხლა კი ვერსად დაგვიწყია სვლა-წასვლა.

უნდა ვუცადოთ ქაღალდის კაცს. «მაგრამ როდემდის, ჩემო მკითხველო, როდემდის?».

ქალამანი. წვიმა. წერაქვი. ბარი. ასფალტის აყრა. მარჯვედ მოქნეული წერაქვი, _ ოო, დიდებულზე დიდებული რამაა!

მოდის, მაშ, ქალამნებში წვიმა, წერაღვითა და ბარით. ქალამნიანი წვიმა მარჯვედ დაარტყამს წერაქვს ასფალტს. ასფალტი ირყევა, იბზარება. ქალამანი! ასეთია ალბათ იქ საქმის მიმდინარეობა. მე კი ვზივარ აქ და ვუცდი კაცს, სწორედ იმ კაცს, რომელსაც უყვარს თქმა: «ქაღალდი? სადაა ქაღალდი!» არა სჩანს და არა ეს კაცი. აქ ერთი თანამშრომელთაგან ჰყვება თავის მოგზაურობის ამბავს სვანეთში. მაგონდება: «მიბინავ ლიზი-ლიჩედი» (დაგვიწყია სვლა-წასვლა).

ა? როგორ იყო, დღეს დილით ალეხანდროს მოსვლას რომ ვუცდიდი? მთელი საათი ვუცდიდი, ვფიქრობდი თუ _ სადაა? მთელი საათი ვუცდიდი, მთელი ორი საათი. რუსაძეებიც რომ შემხვდენ? შედიო, აუხსენი ჩემი მდგომარეობაო! ჰმ, გორსკის მოადგილე კი უჯდა თავის ქაღალდებს, უჯდა და უჯდა! უჯდა და უჯდა! ხან გაიკრიჭებოდა ყველის ვაჭარივით, ხან დაუბრუნდებოდა ქაღალდის საკითხებს. აუხსნიან და ისევ დაუბრუნდება. იცის, რომ აქ სიძნელეა და ცდილობს მის გამოყენებას. «ჰმ, მასსაჩუზეტი, მასსაჩუზეტი!» გორსკის მოადგილე. მე აქ ვწერ ამ აბდაუბდას, იქ კი _ როგორაა საქმე? განაგრძობენ თუ არა მუშები თავის საქმეს? შეიძლება ქაღალდის კაცი ეხლა იქაა მისული? მაგრამ... ეს საეჭვოა... სადაა ქაღალდის კაცი, სად? დაჰკა წერაქვი, დაჰკა წერაქვი, ჰეი, დაჰკარი... კი მარა... დღესდღეობით... თითქმის მთელი დღეა აქ ვზივარ და შთაბეჭდილება ისეთია, არავინ აქ არაფერს არ აკეთებს, ცარიელი ლაპარაკია!

დაგვიწყია ისევ სვლა-წასვლა. დავბრუნებულვართ ძერჟინსკის ქუჩაზე... დაგვხვედრია იქ ალეხანდრო. წავსულვართ აკადემიაში. იქ სასაუზმეში ცოტა რაღაცა... (ქაღალდის კაცი მეგონა აქ დაგვხვდებოდა, მაგრამ, ჰმ! ჰმ!.).

დაგვიწყია, ისევ დაგვიწყია სვლა-წასვლა. აღმასკომში დაგვხვედრია ქაღალდის კაცი.

დაგვიწყია ქაღალდის კაცთან ერთად სვლა-წასვლა. მოვედით ისევ ძერჟინსკის ქუჩაზე. ქაღალდის კაცმა იტყვლიცა ხელი შუბლზე, ეს რა გიქნიათო, უნებართვოთ ქუჩის პირი როგორ გათხარეთო (ჰმ! ჰმ! ჰმ! რაღაც უნდა ამ ქაღალდის კაცს ალბად?!).

შემდეგ ამ ქაღალდის კაცმა დაათვალიერა ჩვენ მიერ წარმოებული წინასწარი გათხრები: სთქვა: ინჟინერი მყავს ერთი, ხვალ იმას შევამოწმებინებთო. კარგი-მეთქი, ვუთხარი მეცა და ჩვენმა ალეხანდრომაც. დაგვიწყია სვლა-წასვლა. შევთანხმებულვართ ხვალ 9 საათზე შესახვედრად.

დაგვიწყია სვლა-წასვლა. შევსულვართ კაფეში ლენინის მოედანზე. გამოვსულვართ იქიდან და დაგვიწყია სვლა-წასვლა. მოვსულვართ აკადემიის წიგნთსაცავში. აქ ვკითხულობთ გაზეთებს, ჟურნალებს. აქ მიგვიგნია ჩემს ძველ საყვარელ მაგიდასთან. ალეხანდრო კითხულობს ჟურნალებს და გაზეთებს. მას სრულიად მოტვლეპილი თავი აქვს. სათვალეები არა წარბების დასაწყისში აქვს, არამედ ნესტოებზეა ჩამოდებული. მალე ხუთი საათი სრულდება. დაგვიწყია სვლა-წასვლა.

11 სექტემბერი.

დილით ძალიან ადრე გაგვღვიძებია. ავმდგარვართ საწოლიდან, დაგვიბანია პირი, ჩაგვიცვამს ახალთ-ახალი კოსტუმი. ჩაგვიდევს შიგნით გუშინდელი ტროლის ბედნიერი ნომერი 287941, და...

დაგვიწყია სვლა-წასვლა: მიბინავ ლიზი-ლიჩედი. მივსულვართ მასსაჩუზეტში. მოგვინახავს ჩვენი მაგიდა და დაგვიწყია ცდა. უკვე ათის ნახევარი გამხდარა: ალეხანდრო კი არა სჩანს, გუშინ კი შევთანხმებულვართ სწორედ ათის ნახევარზე შევხვედროდით ერთმანეთს აქ, მასსაჩუზეტში.

დაგვიწყია ცდა, გადაგვიშლია გაზეთები... ალეხანდრო მაინც არა სჩანს, და აი, გამოჩნდა ბოლოს.

დაგვიწყია სვლა-წასვლა ქაღალდის კაცთან: მივდივართ თუ არა კედლების შესამოწმებლად, როგორც დაგვიბარა? არაო, _ სთქვა მან. _ ეხლა კედლის გასახვრეტი რამ იშოვნეთო, Шлямбург-ი ჰქვია სახელადო.

დაგვიწყია სვლა-წასვლა. აქედან კილომეტრების მანძილზე წავსულვართ რკინისგზის სახელოსნოებში შლამბურგის საშოვნელად. გვიშოვნია დიდის წვალებით. ცალკე ასაწერია ეს მოგზაურობა შლამბურგის საშოვნელად.

შლამბურგი გვიშოვნია და როცა დავბრუნდით, იგი ხან აფთიაქის საწყობს მივაბარეთ, ხან ვის და ბოლოს აკადემიის სასაუზმეში დავტოვეთ. ამაოდ ვიშრომეთ, ამაოდ დავკარგეთ მთელი დღე, მაგრამ კარგია, რომ გადავინახეთ და არ ჩავაბარეთ ქაღალდის კაცს.

ასე უნაყოფოდ, უნიჭოდ, უშედეგოდ, მავნებლურად, ობივატელურად, უსაქმოდ, დამღალველად, ამაოდ, დამცინველად მიდის დღევანდელი დღე.

ვიყავი «ზარიაში», იმ თვის პირველიდანო.

12 სექტემბერი.

დაგვიწყია სვლა-წასვლა (მიბინავ ლიზი-ლიჩედი). ალეხანდრო გამოცხადდა, მაგრამ მას უფრო თავისი «რაღაცა» საქმე აქვს აქ და ალბად იმას უტრიალებს გარშემო (აჰ, თუ...). ეხლა უცებ საქმე მაქვსო (რა საქმე?) და გაჰქრა. ეხლავე მოვალო, მაგრამ ეს ტყუილია.

მიბინავ ლიზი-ლიჩედი სახლისაკენ. გამოვიცვალე ტანსაცმელი, გამოვცოცხლდი. დავუბრუნდი 39 საშუალო სკოლის იდეას.

მიბინავ ლიზი-ლიჩედი. იქ დიდებულად მოეწყო გარაჟის საქმე. მაწუხებდა საშინლად ეს რამდენიმე დღე...

ვაშენებ!

გალაკტიონი მშენებელი!

_ ვაშენებ გარაჟს! ეს პირველი წამოწყებაა ჩემი პრაქტიკული ხაზით. დავიწყეთ და ვნახოთ.

1949 წლის 1 ივლისს ინჟინერ-მშენებელს რვა ათასი მისცა და ხელწერილი ჩამოართვა: 18 კვადრატული მეტრი ფართობის გარაჟი ათ დღეში უდნა აეშენებინა. მასალის ფულიც ამ თანხაში შედიოდა, მაგრამ ჩანს შეძენაში თვითონაც მონაწილეობდა:

_ გთხოვთ მსუბუქი ავტომანქანის დასაყენებელი გარაჟისათვის მომცეთ სახ. ფასებში: აგური 5 000 ცალი, სახურავი «ჟესტი» 25 ფურცელი და სხვა მასალები.

ხელოსნის სამუშაოც დაუანგარიშებია:

_ 44 კვადრატული მეტრი უნდა აშენდეს. 30 მანეთი ღირს კვადრატული მეტრის დაშენება. 44X30=1320 მანეთი უნდა მიეცეს ასაშენებლად. 400 მანეთი მიღებული აქვს. ე.ი. თითქმის მესამედი. 1320 გამოაკლდეს 400=920 _ გადასახდელია, როდესაც გარაჟი დამთავრდება. შემდეგი საკითხია გარაჟის გადახურვა.

მანქანა შეიძინა:

_ დღეს შევიძინეთ ახალი ავტომანქანა «პობედას» ტიპის 54-51 ГН8

_ მოვაგრიალეთ ავტო სამს საათზე.

«ვეფხისტყაოსნის» ავტორს არ აკუთვნებენ ავტოს _
ერთი იძახის: მივდეს! მეორე იტყვის: დავტოს!
«ვეფხისტყაოსნის» ავტორს _ თუმც როგორ უნდა კადროს,
გალაკტიონი ეტყვის: შენ გენაცვალე ამ დროს.

_ ძვირფასო მიდრატ! ჩვენი აკადემიის კადრების განყოფილებამ ამ თვეში (აგვისტოში) მოსკოვიდან უნდა მიიღოს ჩვენთვის ავტომობილები. მიმღებთა სიაში მეცა ვარ შეტანილი: მეკუთვნის მანქანა M-2. ეხლა რასა გთხოვთ: ვინაიდან მე ავადა ვარ (თითქმის მთელი თვეა _ სახლიდან ვერ გამოვსულვარ), დამდოთ ვალად და მიიღოთ თავის თავზე ამ საქმისათვის თვალ-ყურის დევნება, რითაც თქვენგან დიდათ დავალებული დავრჩები.

მძღოლიც აიყვანა: ახალ ხათაბალას გადაეყარა:

_ იყო ჩემთან უცნობი შოფერი კოტე ალავერდოვი. მთხოვს ავიყვანო შოფრად. რეკომენდაციას უწევს თალიკო... არ ვიცი როგორ მოვიქცე.

_ დილით შოფერმა ცოტა აკლდა კინაღამ არ გადამჩეხა უძოს ხევში.

_ დილითვე შოფერმა დამაგვიანა თფილისში ჩამოსვლა 12 საათამდის.

_ ორშაბათს 2 საათზე _ ნავთლუღში. მაგრამ აი: ორშაბათს _ ეხლა უკვე სამი საათია და ბიჭიკო არა სჩანს _ არა სჩანს _ არა სჩანს... რა ყოფილა, რა ყოფილა, რა ყოფილა! წასულა! წასულა! წასულა!

_ მე გითხარით თქვენ, რომ თორმეტ საათზე უსათუოდ სახლში უნდა ვიყოთ. ეს ხომ კარგად იცოდით თქვენ, პატივცემულო შოფერო, მაგრამ მაინც გითხარით: თორმეტ საათზე უსათუოდ სახლში ვიყოთ-მეთქი... თქვენ თქვით, რომ თორმეტ საათზე მოვრჩებით ყველაფერს. ვეღარ მოვრჩით და მაშ რატომ ვიწყებდით? უნდა დაგვემთავრებია, ხომ? და ამით ჩვენ ჩავშალეთ მეორე უფრო სასწრაფო საქმე. ბიჭიკომ გაიგო, რომ იმ დროისათვის სახლში ვიყავით და აღარც მოვიდა. ჩაიშალა მუშების, ხელოსნების დაქირავების საქმე, _ დღეს ჩაიშალა მთელი კვირის გეგმა, დღეს!

_ 10 თვის განმავლობაში შოფერმა მიიღო 12 000 მან. ეკუთვნის ხელშეკრულებით 6 000. ჯამაგირს იღებდა დანიშნულ ვადებში (მთელი ოჯახი მოწმეა). მოწმეები არიან, რომ ხალტურას ეწეოდა. მთელი ორი თვის განმავლობაში მანქანა გარაჟში არ ყოფილა. არ რეცხდა მანქანას, არ უვლიდა. სულ გატალახიანებული იყო. პროფილაქტიკაში არ დადიოდა. ჩემგან იღებდა ხან 50 მან. ხან 80 მან., რომელსაც არ ვუთვლიდი. დამემუქრა. გაფრთხილებას მიიღებს.

დაიწყო ათას ცხრაას ორმოცდაათიდან:

_ 7. VI. შოფერი გავაგზავნე ბენოსთან დავალებითა დაახლოებით 1 საათზე (პირველის ნახევარზე). სულ 15-20 წუთის გზაა. ეხლა სამი საათია და შოფერი კი არა სჩანს. ორი საათი _ ოცი წუთის მაგიერ? (ავარია? ბენოს იქ არ დახვედრა? სხვა რაიმე შემთხვევა? თუ...) და ისიც ამნაირ დროს... შოფერი დაბრუნდა ოთხის ნახევარზე... მერე წავიდა და წავიდა.

_ 8. VI. შოფერი მოვიდა დღის 1 საათზე და მთხოვა: ავტომობილი მჭირდება მხოლოდ ერთი საათითო. ვათხოვე (ჭკუა ვერ ვისწავლე). ჰო, დეიდაშვილი თხოვდებაო... იგი დაბრუნდა ღამის 4 საათზე, მთვრალი.

_ 10. VI. მოვიდა ნუნუ დელიკატურად: ავტომანქანას გვთხოვს მიშა და უსათუოდ უნდა ათხოვო ორი საათითო. შოფერმა კი ავტომობილი მოიყვანა ღამის 4 საათზე.

_ 12. VI. მოვიდა შოფერი დილით. მოიყვანა ქირურგი მესხი, ისევ წაიყვანა და მერე აღარ გამოჩენილა შუადღემდის.

_ 14. VI. მოვიდა შოფერი დილით. განაცხადა, რომ ავტომობილი უნდა წაიყვანოს მან საბურთალოზე ნაწილების გასაკეთებლად და გასარეცხად. დაბრუნდა მხოლოდ საღამოთი.

_ 16. VI. მოვიდა შოფერი დილით. მოითხოვა გასაღები გარაჟის _ ავტომობილის დასათვალიერებლად. აივნიდან დავინახე, რომ რაღაცას უფუსფუსებდენ _ სხვებთან ერთად. შემდეგ ამოვიდა და ამოიტანა, მომიტანა გატეხილი «შარიკო პოდშებნიკი». ასე დაიწყო: ესაა შედეგი ავტომობილის წარამარა აქეთ-იქით თრევის. ელემენტები ამართლებენ: ეგ არაფერიაო, მთავარია მოტორი და სხვა... რა ენაღვლებათ!

მომავალ წელსაც ასე გაგრძელდა:

_ 4 იანვარი. შოფერი ხომ შოფერია, დარაჯობს ყოველ წუთს, როდის შეიძლება მანქანის თავის ნებაზე პროწიალი.

_ იანვრის 16. სამს ათი წუთი აკლდა. დიდისზეიმით ჩამომსვეს ავტოდან _ შინები შენს ავტოს დასძველებია.

_ 27 ოქტომბერი. შოფერმა ცხრა საათზე უნივერსიტეტში მიიყვანა ნუნუ, მერე არა სჩანს: უკვე პირველი საათია. საითკენღაც უტია. შემდეგ შოფერმა ახსნა, რომ სახლში იყო, თავის დედასთან, ავადააო. ჰმ! ჰმ! ჰმ! ჰმ!

არც ოთხი წლის შემდეგ შეცვლილა სიტუაცია:

_ 9 მაისი. შოფერმა და პრორაბმა (არტომ და ბიჭიკომ) ჩემდა დაუკითხავად გააქანეს ჩემი ავტომობილი სადღაც. ექვსს უკლია 20 წუთი. ამგვარი რამ შოფერს ჯერ არ ჩაუდენია და ეს პირველია. რას ნიშნავს ეს? არაფრად ჩაგდებას! სხვას არაფერს. ორთავეს გადავუხდით. მაგრამ ორივენი მალე დაბრუნდენ.

_ 19 მაისი. სუ თავისთავზე ფიქრობ და სხვაზე არა, _ მითხრა შოფერმა, როცა ნება არ დავრთე თავის ნებაზე ეტარებია მანქანა.

_ 2 სექტემბერი. შოფერი დილით რატომღაც იგვიანებს. პანორამ მას არ დაუცადა და მორიგი ავტობუსით გაემგზავრა ტფილისისაკენ. შოფერს რაღაც მოუვიდა თუ ქეიფობდა გუშინ? აშკარაა: შოფერი ცუღლუტობს.

_ 6 სექტემბერი. შოფერმა გამიჭირა საქმე. დამატარებს თავის მასალებისათვის (ხე-ტყის მასალა სჭირდება).

არც კიდევ ერთი წლის შემდეგ:

_ 14 მაისი. ვუცდი ავტობუსს. ჩნდება არტო მოტეხილი ფეხით. მივდივართ ჩემის ავტოთი ტფილისში. გზაზე: ჩვეულებრივი ავანტიურა არტოსი.

_ 18 ივნისი. არტო მოვიდა-წავიდა. ჯამაგირის მიღების შემდეგ ცხრის 10 წ. მის მაგიერ გადავიხადე ჯარიმა 75 მანეთი. არ აღმოგვაჩნდა ავტომობილის პასპორტი. რა ეშველება ამ საქმეს? ორი საათია აქა ვდგევართ. აი, იწვა ავტომობილში და ხვრინავდა.

_ 16 ივლისი. მიიღო ჯამაგირი თუ არა, გამომიცხადა, რომ სტოვებს ჩემთან სამსახურს _ ხვალიდან.

_ 17 ივლისი. იმუშავა ერთი საათი.

_ 18 ივლისი. იმუშავა 12-დან 1 საათამდე.

_ 11 ოკტომბერი. არტომ გვიღალატა მე და ირმას. ერთი წუთით მივირბენ ავტომობილით და მოვალო. მთელი საათი დაიგვიანა. რომ დაბრუნდა, ამაყად, თითქო შემხედეთ, რა ბიჭი ვარო... მივსცემ მე მაგას ფეთებას. კბილი. კბილები.

იყო გამონაკლისებიც:

_ 1956. 25 ივნისი. დილით წყნეთში მოვიდა წყალი. შოფერიც დროზე მოვიდა.

ბოლოს და ბოლოს მანქანამ და შოფერმა თავი მოაბეზრეს: იმავე წლის 3 ივლისს ერთადერთი სტრიქონი გაუმართავს:

_ ავტობუსიც მიდის. რაღა შენი მუნათი. დავიღალე, შოფერ!..

ორი წლით ადრე კი მეტად უსიამოვნო ინციდენტი შეემთხვა:

_ 1954. 2 ენკენისთვე. უნდა გულწრფელადა ვთქვა: წინასწარი გრძნობა მქონდა, რომ აკადემიაში ჯამაგირის აღების დროს ჩვეულებრივად დამხვდებოდა ჩემი ყოფილი შოფერი _ თებერვლის თვის (მას შემდეგ ექვსმა თვემ გაიარა) ჯამაგირის წასაღებად... თებერვლის თვის! ისიც აკადემიის სალაროსთან! იცის, რომ ამ დღეებში ვიღებ ჯამაგირს აკადემიიდან. შანტაჟია _ სხვა არაფერი!

ედავება, ემუქრება კიდეც:

_ როგორ? მე თქვენ სიკვდილს გადაგარჩინეთ! მე ასე... მე ისე...

მესამე უცნობი პირი ჩაერია, მეოთხე _ ნაცნობიც.

_ ის უცნობი კი, რომელმაც ჩემი შოფერი განზე გაიყვანა, კიდევ დიდხანს ემუსაიფებოდა და ამშვიდებდა... მე დავეჭვდი: ეს განგებ ხომ არ იყო მოწყობილი, ის უცნობი მას თან ხომ არ მოჰყოლია?.. ასე შემარცხვინა აკადემიაში (ხვალ ეს ამბავი, ალბად, ყველას ეცოდინება).

უსიამოვნო შემთხვევა აქ არ დასრულებულა: ცოტახნის შემდეგ მწერალთა კავშირში მივიდა და «საუდის» ბუღალტერმა იმავე შოფრის მოთხოვნის ქაღალდი დაახვედრა:

_ პირდაპირ ტერორის ქვეშ მაყენებს ეს კაცი... ვნახოთ რითი დამთავრდება ესე ამბავი _ არასასიამოვნო?!

ავტომანქანამ არამარტო ბევრი წყენა მიაყენა. შენახვაც საკმაოდ ძვირი უჯდებოდა. ამიტომაც მოსწონებია:

_ Что мне делать с душой? Иметь душу _ это обходится слишком дорого _ дороже даже, чем иметь автомобиль. Б. Шоу.

გამოფენისათვის პავილიონის აშენება დააპირა და უარეს დღეში ჩავარდა:

_ სხვა პროექტი! სხვა პროექტი! სხვა პროექტი! ეს პროექტი მიუღებელია! (ჰმ! ჰმ! ჰმ!).

1948 წლის 29 ივლისს გაიხარა:

_ თუ დათანხმდებით, სთქვა, ვილლას მოგიწყობ აფხაზეთშიო. ჰმ! თუ დავთანხმდებიო?! დავთანხმდები კი არა _ ეს ოცნებაა ჩემი!

1949 წლის 10 ივნისს მცხეთაში ოთახი დაიქირავა საზაფხულოდ:

_ ხელშეკრულება. მცხეთის მოსახლე მრევლიშვილი და სახალხო მწერალი გ. ტაბიძე ვდებთ ამ ხელშეკრულებას მასში, რომ მრევლიშვილი აქირავებს გ. ტაბიძეს ოთახს სამზარეულოთი _ 400 მანეთის ქირით თვიურად, რასაც მოქ. გ. ტაბიძე უხდის მას ყოველთვიურად ა.წ. 15 ივნისიდან სამი თვის განმავლობაში. ხელის მომწერნი.

_ ოთხასი (400) მანეთი ბინის ქირა _ ერთი თვის _ გალაკტიონ ტაბიძისაგან მივიღე. ა. მრევლიშვილი.

ჩანს, იქვე გადაწყვიტა და იმავე წლის 19 ივლისს მცხეთის რაისაბჭოს თავმჯდომარეს მიმართა:

_ გთხოვთ გამომიყოთ სამოსახლო ადგილი და დამეხმაროთ, როგორც ერთ ღარიბ მწერალს _ სახლის აგებაში.

თან მწერალთა კავშირის უსტარი აახლა:

_ საქართველოს სახალხო პოეტს, აკადემიის ნამდვილ წევრს გალაკტიონ ტაბიძეს განზრახული აქვს დაესახლოს მცხეთაში, რისთვისაც საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რათა გალაკტიონ ტაბიძეს გამოეყოს სამოსახლო ნაკვეთი ინდივიდუალური მშენებლობისათვის.

სამი წლის შემდეგ თბილისის აღმასკომის თავმჯდომარეს განუცხადა:

_ ვინაიდან შეძენილი მაქვს ესტონური სახლი და მინდა აგარაკ წყნეთში დავისადგურო, გთხოვთ გამომიყოთ აგარაკ წყნეთში სამოსახლო ადგილი.

1952 წლის 2 ივლისს თბილისის აღმასკომმა დაადგინა და ზემო წყნეთში 1000 კვადრატული მეტრი ნაკვეთი გამოუყვეს.

2 აგვისტოს აღმასკომმა «თბილმშენს» დაავალა:

_ ააგეთ აგარაკ წყნეთში გალაკტიონ ტაბიძის მიერ შეძენილი სტანდარტული სახლი. მშენებლობის ხარჯები გაღებულ იქნება თვით გ. ტაბიძის მიერ.

4 სექტემბერს თბილისის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს დაუწერა განცხადება:

_ თქვენმიერ ჩემთვის გამოყოფილ იქნა მიწის ნაკვეთი წყნეთის საკურორტო ზონაში. იქ ამჟამად მიმდინარეობს ჩემი სახლის მშენებლობა. ხელს გვიშლის ის გარემოება, რომ ჩემი სახლის წინ დადგმულია კოჯრის სოფლის კოოპერატივის კიოსკი. იგი გადატანილი უნდა ყოფილიყო ადრევე, სადმე, მახლობლად. მაგრამ კიოსკი დღემდის არაა გადატანილი. გთხოვთ ამის შესახებ სათანადო განკარგულებას.

თავმჯდომარის მოადგილემ საკურორტო სამმართველოს უფროსს გადაუგზავნა:

_ ამხ. მაისურაძეს. გთხოვთ შეარჩიოთ სხვა ადგილი და სასწრაფოდ გადაიტანოთ. ვ. ეპიტაშვილი.

სამმართველოს უფროსმა _ ინჟინერს გადასცა:

_ ამხ. არსენიძეს. დაუყოვნებლივ აღნიშნული კიოსკი გადაიტანეთ სახლიდან მოშორებით.

ინჟინერმა კურორტ წყნეთის რწმუნებულს _ ბრეგვაძეს დაავალა:

_ ზემდგომი ორგანოების განკარგულების სისრულეში მოყვანის შესახებ _ გევალებათ სასწრაფოდ გადაიტანოთ სხვა ადგილზე კოჯრის სასოფლო კოპერატივის კიოსკი, რომელიც ხელს უშლის მწერალ გ. ტაბიძის აგარაკის მშენებლობას. შესრულება გვაცნობეთ 3 დღეში.

ეპიტაშვილი-მაისურაძე-არსენიძე-ბრეგვაძის კვარტეტმა გაამართლა!

1952 წლის 3 სექტემბერს ინჟინერმა დააღალატა:

_ მე, ინჟ. პეტრე მარტიროსოვმა მივიღე სახალხო მწერლის გალაკტიონ ტაბიძისაგან 600 (ექვსასი) მანეთი ბედ, და მოვალე ვარ დავუმზადო სამი ფანჯარა და ორი კარი წყნეთის აგარაკისთვის. თუ კარ-ფანჯარა 5 ენკენისთვემდე ვერ დავუმზადე, აღნიშნული თანხა ექვსასი (600) მანეთი _ მოვალე ვარ დავუბრუნო, რას შიგან ხელს ვაწერ.

_ (ექვსასი კი არა _ ათასი აიღო). მარტიროსოვი აფერისტი გამოდგა.

1953 წლის 26 ივნისს ლიტფონდს ესტუმრა:

_ წყნეთში სახლის დასამთავრებლად გთხოვთ მომცეთ სესხის სახით 10 (ათი) ათასი მანეთი. მიღებულ სესხს გადავიხდი სულ მოკლე ხანში.

9 ივლისს სინათლე გაიყვანა:

_ სახლში, რომელიც შენდება ზედა წყნეთში ჩემმიერ, გაყვანილია ელექტროსინათლე ექვსი წერტით. გთხოვთ გაფორმებული იქნას. ამ დღეებში მექნება მრიცხველიც.

1954 წლის 20 ივნისს მესერის პრობლემა გადაეღობა და მრავალსართულიანი დააკონსპექტა _ «იფნის ბაღი»:

_ უნდა გამოიზომოს რამდენი მეტრი სინაა საჭირო რკინისგზების სანატორიის მხრით ღობის გასაკეთებლად. უნდა გამოიზომოს რამდენი მეტრი სინაა საჭირო (ან მესერი) ტყის ხეივნის მარცხენა მხრით ღია ადგილის შესარაგვავად. უნდა გაკეთდეს ეზოს მარჯვენა მხრით მესერი. ეს აუცილებელია. უნდა გათანასწორდეს მესერი სახლის წინ, შარაგზის მხარეს (საჭიროა ბაწრების შეძენა). უნდა შეიღებოს თეთრად მთელი მესერი, სამივე კუთხით თეთრი საღებავით. უნდა ჩაიკეტოს ეზოს კარები (ხვალვე, გასაღები). უნდა გათვალისწინებული იქნას მავნებლები (პირადათ თვითეული) და დამხმარენი (პირადათ თვითეული). ავტოს შემოსასვლელის საკითხი (ამასთან დაკავშირებით წყალის საკითხი). სასწრაფოდ უნდა სანატორიის მხრით ხის მესერი გადაკეთებულ

იქნას. მასალა გამოყენებული იქნას ეზოს მარჯვენა მხარისათვის. სკამეიკების საკითხი (დურგლები _ საერთოდ). აივანზე წვიმა ჩამოდის. რა ეშველება (დურგალი). საჭიროა სახლის შეღებვა შიგნიდან. ასეთია საერთოდ გადაუდებელ საქმეთა სურათი. შევძლებ თუ არა ამ თვის დამლევამდე მოვაწესრიგო ყველაფერი? ყოველ შემთხვევაში, 15 ივლისამდე ყოველივეს მოვაგვარებ.

1955 წლის 3 მარტს დიღმის მეურნეობის დირექტორს სთხოვა:

_ გთხოვთ ნაღდ ანგარიშზე მოგვცეთ ნამდვილი ვაზი ასორმოცდაათი ძირი.

12 მარტს ქალაქის საბინაო სამმართველოს სთხოვა:

_ გთხოვთ ჩემი ბინის დასამთავრებლად (წყნეთში) მომცეთ დახერხილი მასალა შვიდი კუბომეტრის რაოდენობით და «გარბილი» მიწის შესაკავებლად $4^1/_2$ კუბომეტრის რაოდენობით, საყრდენი 45 ცალი.

ერთი თვის შემდეგ შინდისის გზაზე გაახსენდა:

_ 3 000 გამახსენდა და გულმა სიხარული იგრძნო: ნუთუ ველირსები წყნეთში საკუთარ სახლს?

ხუთი თვის შემდეგ ისევ ხე-ტყის მასალა დასჭირდა:

_ ამხ. ვახტანგი! მოუსმინეთ გალაკტიონ ტაბიძეს და დაეხმარეთ მისთვის საჭირო ხე-ტყის მასალის შეძენაში ნაღდ ანგარიშზე.

მუდამ წესრიგისაკენ ისწრაფოდა _ დაულაგებელი ცხოვრების გამო: ხელნაწერები, წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, საოჯახო ნივთები, ტანისამოსი, ავეჯი, აგარაკის ინვენტარი, იარაღი _ ყველაფრის აღწერა, აღრიცხვა, დაწყობა, დალაგება, მოწესრიგება, დაჯგუფება, დახარისხება, დაბინავება ეწადა. ცდილობდა, მკაცრ გეგმებს აზუსტებდა. 1957 წლის 12 ოქტომბერს წყნეთში «ორი კვირის სამუშაოთა გეგმა» შეადგინა: ოცდაერთი კონტრაპუნქტი ოჯახის ოთხი წევრის ხელმოწერით დაამტკიცა. დახეთ, როგორი მეურნეა და როგორ გულმოდგინედ ემზადება ზამთრისათვის:

«1. ბაღის თოხნა და ბარვა (არა აფუნგრულ-დაფუნგრულად, არამედ სწორად). გადაბარული ეზო ბოლოს გაიფარცხება, რათა გასწორდეს ადგილები.

2. არხის გამოყვანა და საზღვართან მიწის სამუშაო.

3. გადმოწოლილი მიწის გასწორება გარაჟის პირდაპირ.

4. გარაჟისა და სახლის კარების გამაგრება.

5. ჯებირები ხეებისა, სახლის კარების და ფანჯრების გასამაგრებლად.

6. ბოქლომები ისეთი, როგორიც იშვიათია (6 ბოქლომი), გარაჟისათვის და რგოლები.

7. დიდრონი ხეების შეტანა გარაჟში.

8. ვაზის სარების გამაგრება და აკვრა.

9. დათვლა ვაზებისა და ნარგავების.

10. ეზოს იქითა თხრილის გასუფთავება ზედმეტი ქაღალდებისაგან, კონსერვების კოლოფებისაგან და სხვ.

11. ყოველ კვირაში ორჯერ ამოსვლა დასათვალიერებლად და წესრიგში მოსაყვანად.

12. ზაქროსთან მოლაპარაკება: წესრიგის დამყარება.

13. გარაჟსა და სარდაფში დალაგებული ნივთების აღწერა, აღნუსხვა ცალკე საოჯახო რვეულში.

14. ირმასა და ნინას საოჯახო რვეულში ყოველდღიური სამუშაოების აღრიცხვა (დღიური).

15. ქურის საკითხი (რითი უნდა გადაიხუროს? ბრეზენტი?).

16. ყოველივე ეს უნდა მოწესრიგდეს თვის ბოლომდის.

17. დანომრვა ყველა ხეების.

18. სკამების შეტანა სარდაფში.

19. ეზოს ბოგირისა და დიდი კარების გამაგრება, აჭედვა.

20. რვა კილო მჭადისა და ათი კილო პურის ფქვილის შემენა. სამი კილო კარაქი, ხუთი კილო შაქარი, მაკარონი ხუთი კილო, ორი წველა ყველი, ბადრიჯანის მოკაზმულობა, კარტოფილი.

21. რვეულს ინახავს ნინა და ირმა, რაშიდაც ხელს ვაწერთ: 1. ნინა. 2. ირმა პაპაშვილი. 3. გალაკტიონი. 4. კაკინა».

1958 წლის 9 ივლისს ინვენტარიზაცია ანუ აღწერა ჩაატარა: წყნეთის არქივის დავთარში აღმოჩენების ოცდაოთხაბზაციანი სიმფონია შეთხზა (ნაპოვნია.... ნაპოვნია... ნაპოვნია...) და ფრიად საინტერესო კომენტარები დაურთო:

_ შემნახველი სალაროების ორი წიგნაკი («გამოსარკვევია რომელი შემნახველი სალაროებისა?»).

_ ორი კარგი ფოტო შვიდტომეულის («გამოდგება როგორმე»).

_ მოწმობა, მოცემული 1908 წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობის მიერ («ეს მოწმობა უნდა იქნეს სულ მუდამ წყნეთში, და არასგზით _ არასდროს _ სხვაგან არ წაიღება»).

_ ღია ბარათები _ სურათებით («გამოსადეგი სიუჟეტებისათვის»).

_ ნ. კეცხოველის მიერ გადაღებული ჩვენი სახლის ფოტო-სურათი.

_ პარიზის აფიშის ნახევი.

_ ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის შესასვლელი ბილეთი ¹ N 1995, გაცემული 1928 წ.

_ 1955 წლის «კომუნისტიდან» ამოჭრილი 9 ძმა ხერხეულიძის ისტორია («იქვეა ბარათაშვილის ამბავიც»).

_ სათვალე შორსმჭვრეტელი («მშვენიერზე მშვენიერი სათვა-ლე _ ჩემი მაგიდის უჯრის სადღაც კუთხეში... ჰმ!»).

_ Шестидневка («გასაოცარია! იგი ხელახლა იწყება _ 1956 წლის ფურცლებიდან _ 9 ივლისით. თავდება ასე: მიბინავ ლიზი-ლიჩედი. ბეჭედი. იჭერდი. იჩენდი. მიჯენდი... განვაგრძოთ!»).

_ ძალიან ბევრი, მაგრამ უხარისხო ფოტო («მგონია, ათასზე მეტია»).

_ ლექსი «სამგლეს და საძაღლეს» («ამის გამო შემენილია სპეციალური ჩასაწყობი _ დანარჩენი ახლად აღმოჩენილი ლექსებისათვის, ცალკე რვეული _ პროზაული ნაწყვეტებისათვის»).

_ ბუდე სათვალისათვის («ის შესანიშნავი სათვალე ჩაიდება ამ ბუდეში... ამას დიდი ლაილაი არ უნდა! ჰმ! მაგრამ... არ გამოდგა... ესეც საქმეა...»).

_ დეკადის კომისიის წევრების სია («ჰმ! გაფუჭდებოდა საქმე, სხვა რა მოუვიდოდა!»).

_ სულხან-საბას საიუბილეო კომისიის წევრთა სია («სულ გასამათრახებელი ხალხია, არაფერს რომ არ აკეთებენ!»).

_ 1955 წლის აფიშა. საღამო («ვმონაწილეობ»).

_ გადასარევი კოვზი («მშვენიერი ხის კოვზი გეგონება, ნამდვილად კი სოკოა კოვზისებური. რას არ იხუმრებს ბუნება?»).

_ გრიშა გიორგაძის წერილი გალაკტიონისადმი («1 ენკენისთვე, 1923 წ. არჩევს ჩემს ჟურნალს _ გამოცემულს ბათუმში _ მაშინ»).

_ «Заря Востока»-ს N («იქ დახატული ვართ მე და ვაჟა-ფშაველას ცოლი»).

წყნეთში ააშენა, სოხუმში აშენებდა, თბილისში დაშენება დააპირა.

_ Вилла Галактиона. _ Вилла короля поэтов.

ხატავდა, ხაზავდა, ზომავდა, ანგარიშობდა: კუბური მეტრები, კვადრატები, ტონები...

_ შოფერს _ 700, მუშებს _ 1300, რეშოტკა _ 1500, გადმოზიდვა _ 1000, შემოღობვა _ 500... რჩება _ 3000, ხელფასი _ 1000, სახელგ. _ 200, შემსალ. _ 100, სესხი _ 3000.

დახერხილო აგურო, დახერხილო აგურო,
ჩვენს იფნის ბაღს შენ ფრთები უნდა გადაახურო.
მიმოვფინოთ ბილიკი დახერხილი აგურით,
ვიწყებ ბაღის შენებას ხერხით ავაზაკურით.
სატვირთო მანქანიდან ცვივა, როგორც ღერღილი,
დიდუბით მოტანილი აგური დახერხილი.
მაგონდება ვერსალი... დახერხილო აგურო,
ჩვენს იფნის ბაღს შენი ფრთა უნდა გადაახურო.

გავიხსენოთ: კონვერტში ყვავილები შეინახა. წინადღეს კი მეორე ასეთსავე კონვერტში ცემენტი ჩაუყრია:

_ ჩვენი აივანი, მგონია, აკტიურობას იჩენს («აკტივობაა საუნჯე, როს მტერი აგიხირდება!»). დიდი ხანია შეძენილი მქონდა ცემენტი (ის შეძენილია საბურთალოზე). დღეს ეს ცემენტი გაიტანა სამმა ოსტატმა _ ჩემს აივანზე. (სახსოვრად ვინახავ იმ ცემენტის ფხვნილს: ო, გამხიარულდი, გახალისდი, ჩემო აივანო!).

აქაც ჩქარობდა, ვეღარ ითმენდა, ხან ხელოსნებს საყვედურობდა, ხან _ მშენებლებს. დაეძებდა საშენ მასალას, წერდა განცხადებებსა და თხოვნებს, აფორმებდა ხელშეკრულებებს, მინდობილობებს, აგზავნიდა დეპეშებს, ურიცხავდა ფულს, იღებდა ვალებს და გარანტიებს, ჩადიოდა სოხუმში, ადიოდა წყნეთში:

_ სახლი ჯერ კიდევ დაუმთავრებელია. ჰმ. _ სახლი ჯერაც არაა დამთავრებულ!!! _ ვნახოთ ვისი სახლი აჯობებს! შენი თუ ჩემი... 1958 წლის ოქტომბერში ვნახოთ!

თვალი მაინც წმინდა მთისაკენ გაურბოდა:

_ აი, სახლს თუ ააგებ, იმნაირ ადგილას უნდა ააგო, მთაზე (მიუთითა მთაწმინდაზე). ყოველი კაცი იკითხავს: ნეტავი ვისია ის სახლიო?

_ ერთხანს აჩემებული ჰქონდა, სახლი აეგო მთაწმინდის ერთ-ერთ ფერდობზე. ადგილიც კი შეარჩია და დიდხანს, ძალიან დიდხანს ელოლიავებოდა ამ აზრს (გ. მებუკე).

ოცნების სასახლეები უფრო ადვილად ააგო და უფრო დიდებულად გამოიყურებიან. ფარ-ხმალს მაინც არ ყრიდა:

ქვა-კირის და ხე-ტყის,
მცნობს ქარის და სეტყვის _
მე ვერავინ მეტყვის:
ბედი გაქვსო ძაღლის.

მტერს მტრულად რომ დახვდე,
უნდა ახტე, დახტე,
მსხვერპლი უნდა გახდე
ერთ ნამცეცა სახლის?
ხუთი წელი... ხუთზე _
არ დაფიქრდე წუთზე,
ავაგებდი ხუთ წელს
თუნდ ათას სასახლეს..
ბნელს ნათელი ჩრდილავს,
ყველა ხედავს დილას,
აქ კი ჩემს ადგილას _
სხვა თავს კედელს ახლის.
სახლი გრძნობს და ხვდება,
სახლი ჩრდილებს ხვდება,
სახლი მსხვერპლი ხდება
ათას მამაძაღლის.
გაცვეთილა წინდა,
დაბრუნდები შინ და
მოსვენება გინდა
ამდენ შრომით დაღლილს.
საქმეს _ არა შენებრ
შრომით დავამშვენებ:
ჯინზე ავაშენებ
მთაზე ჩემს სასახლეს!
_ მაგრამ (სად არ გამოტყვრება ეს წყეული მაგრამ)...

ოპერიდან გამოვიდა გვიან

პოეტური მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავი 1958 წლის 29 დეკემბერს აღინიშნა, ორშაბათ დღეს (უკანასკნელ ორშაბათს!).

წიგნი აიწყო, მაგრამ დაბეჭდვა ვერ მოესწრო. ვერც პავილიონი დაშენდა და ვერც გამოფენა მოეწყო (სამ თვეში დარბაზები არ შენდება, მით უფრო, თუ სავარაუდო ქუჩა ბოროტების იმპერიის პირველი ჯალათის სახელობისაა, ხოლო ნომერი თარსია!).

საიუბილეო საღამო ოპერის თეატრში გაიმართა (ორშაბათის ოპერა!).

ნოდარმა ბილეთი მომიტანა: ამფითეატრი, მარჯვენა, რიგი I, N273.

საღამო ჩვეულებრივად ჩატარდა. საღამოზე მოსულებმა მხოლოდ პარტერი შეავსეს. ორიოდე წლით ადრე ამავე დარბაზში ერთი პოპულარული პოეტის საღამო გაიმართა და შენობამ მსურველთა ნახევარიც ვერ დაიტია: გარეთ დარჩენილებს ცხენოსანი მილიციელები იგერიებდნენ.

Я вам _ ყვიცა
Я вам _ კვიცა,

Я вам _ ბიძა

Но не შვილი.

ამჯერად პარტერშიც ხალვათობა იგრძნობოდა. სცენა უბრალოდ გამოიყურებოდა: წითელმაუდგადაფარებული მაგიდა კრების თუ თათბირის განწყობილებას უფრო შეესაბამებოდა. მაგიდას უსხდნენ თავმჯდომარე, მომხსენებელი. თვითონ სავარძელში იჯდა მარჯვნივ: მაგიდა-ტრიბუნას შორის. მისი საყვარელი ყვავილები არსად ჩანდა:

_ ო, როგორ მაინტერესებს: იქნება თუ არა ყვავილები?

_ არავინ ყვავილებს არ მოიტანს, არავინ.

გაიხსენეთ ცოტახნის წინათ ჩამოთვლილი საიუბილეო პროგრამების პუნქტები, გახანგრძლივებული საღამოების სავარაუდო პროექტები, ერთმანეთს შეადარეთ ოცნება და სინამდვილე:

და უბოლოოდ მიჰქრის, როგორც გაშვება ქორის,
მწარე გათიშვა ფიქრთა და სინამდვილეს შორის.

თუმცა ამასაც დაამადლიან სამი თვის შემდეგ:

_ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის საიუბილეო თარიღები რამდენჯერმე იქნა აღნიშნული დიდი სახალხო ზეიმითო...

მაინც ბავშვივით იყო აღტაცებული. ორატორებს დიდი ყურადღებით უსმენდა. ყოველი ტაშის ხმაზე წამოდგებოდა, აქეთ დარბაზს უკრავდა თავს, იქით პრეზიდიუმს უხდიდა მადლობას. პარტერიდან ბუმბერაზივით ჩანდა. უჩვეულოდ გამოიყურებოდა, ადგილს ვერ პოულობდა, არ იცოდა ხელები სად წაეღო, გასაჭირში ჩავარდნილივით იდგა სიხარულისა და უხერხულობის მიჯნაზე.

1933 წელს, პირველ იუბილეზე, ოლია ოკუჯავა პატარა ყმაწვილის მშობელივით ელოდებოდა ამავე თეატრის კულისებში და იქიდან ამხნევებდა. დაგვიხასიათა: გაფითრებული, ხელებაკანკალებული, ბავშვივით უმწეო, მსჯავრდებულივით მოკრძალებული. მეშინოდა, ვაითუ ვიოლინოს სიმებივით დაჭიმულმა ნერვებმა ვერ გაუძლონ, თითქოს მესმოდა კიდეც მისი ნერვების ტკაცანიო.

არც უკანასკნელ იუბილეზე მომატებია ასაკი, მაგრამ კულისებში აღარავინ ელოდებოდა.

ესალმებოდნენ, ახასიათებდნენ, როგორც ქართველი ხალხის საყვარელ პოეტს, ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთ ფუძემდებელს და ასე შემდეგ. როგორც თეთრი და შავი, როგორც ცეცხლი და ყინული, როგორც ცა და მიწა, როგორც პოლუსი და პოლუსი _ ისე განსხვავდება იმღამინდელი და იმჟამინდელი ეპითეტები სამი თვის შემდეგ დაწერილი ნეკროლოგისაგან. სიცხადისათვის დავიმოწმოთ ორი ვრცელი ციტატა და ხაზიც სიცხადისათვის გავუსვათ:

_ ნახევარი საუკუნეა, რაც გალაკტიონ ტაბიძე უმწიკვლოდ ემსახურება ქართველ ხალხს და დღითიდღე ამდიდრებს ქართული პოეზიის საგანძურს... ქართული კლასიკური პოეზიის ნიადაგში ფესვგამდგარ მგოსანს, აკაკი წერეთლის სულიერ მოწაფეს _ წილად ხვდა საპატიო მისია: ქართული ლექსის ჯანსაღ რტოზე დაემყნა ახალი საუკუნის პოეტური კულტურა... მდიდარი და საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო გალაკტიონ ტაბიძემ... ჭაღარამოსილ ოსტატს დღესაც არა აქვს დაკარგული ახალგაზრდული შემართება... ვუსურვოთ ქართველი ხალხის საყვარელ მგოსანს კიდევ არაერთი ძვირფასი ქმნილებით გაემდიდრებინოს მშობლიური პოეზია!

ეს სტრიქონები კი სამი თვის შემდეგ დაიწერა და დაიბეჭდა:

_ შეწყდა გულისძგერა ჩვენი საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტისა, ქართული საბჭოთა პოეზიის ფუძემდებლისა... ნახევარი საუკუნის მანძილზე გალაკტიონ ტაბიძე დაუცხრომლად ეწეოდა შთაგონებულ პოეტურ მოღვაწეობას, პოეზიის უჭკნობი შედევრებით ამდიდრებდა მშობლიური ლიტერატურის საგანძურს. იგი იყო ქართული კლასიკური პოეზიის კორიფეების ღირსეული მემკვიდრე, ახალი ქართული პოეზიის აღიარებული მეთაური და მედროშე... ღრმა მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობით, მწვავე გულისტკივილით მიაცილებს სამარემდე ქართველი ხალხი თავის უსაყვარლეს პოეტს, უდიდეს შემოქმედსა და უბადლო ხელოვანს.

არადა, ძალიან ცოტას მოითხოვდა თვითშეცნობილი გენია: სიტყვიერი აღიარებაც ეყოფოდა _ ნახევარ სიმართლეზე ნაკლები სიმართლე: «სასტიკია სული უამინდოთა, განა ქვეყნად ბევრი რამე მინდოდა?» პოეტის გულისტკივილი საფუძვლიანი გახლდათ:

_ ქართველი მწერლები ვერ ლაპარაკობენ ჯერ კიდევ ხმამაღლა ჩემს შესახებ, ისე, როგორც საჭიროა, ღეჭავენ რაღაცას. ასე არ ვარგა. უნდა ვაიძულოთ, გულწრფელად ილაპარაკონ: აქ ჩემი პირადი საქმე, მარტო ჩემი პირადი საქმე როდია.

_ უნდა გამოგონებულ იქნას ხერხი, რითაც შესაძლებელი იქნება ალაპარაკდენ ისინი, რომლებიც განგებ პირში წყალს იგუბებენ, იმ მოსაზრებით, რომ აი, ჩვენცა ვხნავდითო, უმთავრესი ყურადღება ჩვენ მოგვაქციეთო.

ბევრის ღირსი იყო და ცოტა მიუზღეს. სამწუხაროდ, სხვაობა დიდია, საოცრად დიდი. დანახვა იყო საჭირო: განძეული თვალწინ ეწყო. მაგრამ თვალი დაიბრმავეს და წყვდიადში ვარსკვლავი ვერ დაინახეს, არ დაინახეს:

ნეტა როგორ ხდება, ასეთ სიბნელეში, ასეთ სიბნელეში,
შენ ცას რომ ანათებ და შენ ვერვინ გხედავს და შენ ვერ უგრძნიხართ.
ო, რა მიზეზია, ნეტა მაცოდინა, ასეთ დაბრმავების,
გასაოცარია! გასაოცარია! გასაოცარია!

თავისი ფასი კი იცოდა: «ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა»...

29 დეკემბრის ჩვეულებრივი საღამოც ჩვეულებრივად დამთავრდა. დამსწრე საზოგადოება მალე დაიშალა: ზამთარმა ააჩქარა სახლებისაკენ. იუბილარი მარტო გამობრძანდა ოპერის შენობიდან: «ოპერიდან გამოვიდა გვიან». ამან გამაოცა. გავერიდე: თავად არ შეემჩნია ჩემი ყურადღება და გაოცება. ერთხანს იდგა. მერე მარტოდმარტო გაუყვა რუსთაველის გამზირს მარჯვნივ _ სახლისაკენ...

შემოსილს დროშის ორდენით, მედლით,
შენს ძვირფას სურათს ჩამოვხსნი კედლით,
დაე, მე ფეხით ვიარო გზაზე,
შენ კი _ ბედნიერ ცხოვრების ეტლით!

მეორე დღეს, შესვენებისას, წიგნის სასახლის სასაუზმეში დამხვდა. დახლთან იდგა: წინ ერთი ბოთლი ლიმონათი ედგა, ყველი და პური ეწყო და საუზმობდა იქვე, თავისი სახლის წინ, გუშინდელი იუბილარი.

მივულოცე და მადლობა მოვახსენე მიწვევისათვის. ორივე ხელი მხრებზე დამადო და ისე მელაპარაკებოდა. გახარებული და აღფრთოვანებული იყო, რომ ხალხმა დიდი სიყვარული გამოუცხადა, განსაკუთრებით _ ახალგაზრდობამ, რომ ოპერის თეატრი

გაჭედილი იყო, რომ ყველა კმაყოფილი დარჩა... თვალები უბრწყინავდა და რასაც ამბობდა, გულწრფელად სჯეროდა. მერე მიმიპატიჟა, ახლაც მესმის ნაცნობი ხმა:

_ ანია, მოართვით ამხანაგს!

ეს ამხანაგი მე გახლდით, ანია _ დახლიდარი ქალი, რომლის სახელიც სამუდამოდ დამამახსოვრა.

_ ბატონო, გალაკტიონ, თუ გვიკადრებთ... _ აქეთ შევეპატიჟე, მაგიდებისაკენ, სადაც უკვე მელოდებოდნენ.

უარი განაცხადა და გააგრძელა თავისი საუზმე...

ხვალ წელიწადი ილევა. ზეგ ახალი წელი გათენდება, მისი უკანასკნელი წელიწადი!

სიზმრის გეგონება

ვიდრე კორექტორები რჩეულის ანაბეჭდებს კითხულობენ, შეგვიძლია უფრო შორს წავიდეთ, წავიოცნებოთ კიდეც: ჩემთვის ნიკორწმინდა ყველაზე მაღალი ტაძარია, _ სადღაც, მაღლა, ვარსკვლავებთან ამაღლებული, როგორც ქობულაძის ქაჯეთის ციხე ან მცხეთის ჯვარი და... პირველად რომ ნიკორწმინდა ვნახე, გავოცდი: თითქოს მომატყუეს, ციდან მიწაზე ჩამომიყვანეს და ცივი წყალი გადამასხეს!

გალაკტიონის ნიკორწმინდა უფრო მაღალზე დგას და უფრო მაღალია!

საინტერესოა: თვითონ რომ ენახა, რას იტყოდა?!

დიახ! დიახ! გალაკტიონს ნიკორწმინდა არ უნახავს!

_ როდესაც ნიკორწმინდელი დურგალი აქ, შოვში, მაგიდას მიკეთებდა, თან მიყვებოდა ამბებს ნიკორწმინდის ჩუქურთმების შესახებ, _ მე თვალწინ მედგა უდიდესი ძეგლები მაშინდელი ხუროთმოძღვრებისა _ ალავერდის ტაძარი, ბაგრატ III-ის ტაძარი, სვეტიცხოველი, სამთავისი, ბეთანია, სამთავრო, ნიკორწმინდა... ჩვენს ოსტატს მე დავპირდი, რომ ამ მაგიდაზე დავსწერდი რაიმეს იმ ძეგლის შესახებ. მე ეს დაპირება შევასრულე.

ალბათ ამიტომაცაა გალაკტიონის ნიკორწმინდა უფრო მაღალი!

ერთხელ ჰკადრეს კიდეც: ბაგრატის ტაძარი უფრო იმსახურებდა თქვენს ყურადღებასო.

უპასუხა: პოეზიამ უნდა აამაღლოს და ბაგრატის უფრო ამაღლება შეუძლებელიაო.

ავანგრევ ქვეყანას და ხელახლა შევქმნი!

შედევრს დრო და გემოვნება აღმოაჩენს ხოლმე. არსებობენ შედევრობის კანდიდატები და არსებობენ ზეშედევრები, ალბათ _ ყოფილი შედევრებიც. გალაკტიონისას _ სამასს ვარაუდობენ და ეს მაჩვენებელი რეალური ჩანს. რა თქმა უნდა, მხატვრულ ღირებულებათა შეფასებისას მთავარია არა რაოდენობა, არამედ _ ხარისხი. მაგრამ შედევრების აშკარა სიჭარბისას რაოდენობა ხარისხში გადადის და სამასი არა მარტო აღემატება ოცდაათს. ბოლოს და ბოლოს სამასი შედევრი რამდენიმე გენიოსს შეინახავს.

გალაკტიონის შედევრები ერთი ამოსუნთქვით დაწერილებს ჰგვანან. თითქოს ღმერთი კარნახობდა და ქაღალდზე გადატანის მეტი აღარაფერი დარჩენოდა. ლეგენდაც შეუქმნეს: მხოლოდ ნასვამი წერდაო. პირიქით: დროს დააკვირდით:

_ 1935 წ. 15 აპრილი. ღამე. ხუთის ათი წამი.

_ 1939. 30 აგვისტო. 5 საათი დილის.

_ 14. VII. 40. დილის ხუთი საათი.

_ 1946. 30 ოკტომბერი. დილის 6 საათი და 15 წუთი.

_ 1953. სოხუმი. ღამის სამის ნახევარია. სასტ. «აფხაზეთი».

_ 1955, 2 თებერვალი, ღამის 5 საათია.

_ 1956 წ. 10 თებერვალი. ღამის 4 საათი.

ამ თარიღსაც დააკვირდით: 1948 წლის 11 აპრილს, როდესაც ორმოცდათექვსმეტი წლისა ბრძანდებოდა, ორმოცი ლექსი გაუსწორებია და მაგიდის კალენდარზე მიუწერია:

_ ვმეცადინეობდი ღამის ოთხ საათამდის.

მაგიდასთან _ ქალი და მაგიდაზე ყვავილები დაუხატია და ქვევით მიუწერია:

_ 3 საათია ღამის, 10 იანვარი. 1946.

ათი წლის შემდეგ ოთხი ოჯახური ქრონიკა ჩაუწერია. დასათაურების ნაცვლად _ დაუთარიღებია:

_ 1956 г. 21 янв. 4 ч. 50 м. ночь.

ტიტანივით ეჭიდებოდა სიტყვას: გატეხილი ღამეები, გადაბმული დღეები, თითოეული ლექსის ათეული ვარიანტი (თორმეტტომეულის «ვარიანტების» მოცულობასაც დააკვირდით).

_ მქონდეს ნახევარი გირვანქა პური, ოღონდ ნეტავი დილიდან საღამომდე მამუშავა.

_ «დააკვდა სული შენს სიმებს და გულიც დაიცალაო», _ სწორედ ეს განვიცადე დღეს ამ ლექსის დაწერის შემდეგ.

_ ნამდვილი ხელოვნება ტექნიკური ოსტატობისა შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ თანდათანობით, ხანგრძლივი, მოთმინებით სავსე, ათასნაირი ცდების, დიდი დროისა და დაუღალავი შრომის გზით.

იკითხა და უპასუხა:

_ რა არის ბედნიერება? _ შრომა და შრომით მოპოვებული სიმშვიდე, სულიერი წონასწორობა.

ეძებდა და ეძებდა:

_ უნდა მოინახოს ახალი რიტმი.

_ მხოლოდ ახალ ტეხნიკას შეუძლია მოგვცეს ახალი შესანიშნავი ლექსი.

კოლეგებს აფრთხილებდა:

_ ბევრია ჩვენში პოეტი, რომელიც ეძებს მას, რისი პოვნაც შეუძლებელია.

სიფრთხილესაც იჩენდა ნოვატორების ბელადი და სიკვდილამდე პირწავარდნილი ექპერიმენტატორი:

_ რაც შეიძლება გვერდი უნდა აეაროს ახალ გამოგონებათა სიმრავლეს, ეს ღლის მკითხველს. რაც შეეხება გასაგებ სიახლეს _ ეს აუცილებელია და მკითხველისთვის სასიამოვნო.

აკვირდებოდა:

_ გამოსარკვევია: კარგავს თუ არა ქართული ლექსი მუსიკალობას. თუ მართლა ასეთი ფაკტის წინაშე დავდგებით, უნდა შევისწავლოთ მიზეზები.

უსმენდა:

_ N-ს არა აქვს სუფთა ლიტერატურული ხმა, რომელიც ახასიათებს ევროპის მწერლებს. ხმაში ხაზგასმით მფლობელობს ხრინწი, რაღაც გადამეტებული ხრინწი. ასე ემართება ნაძალადევ, არაბუნებრივ ხმის ამაღლებას. ხმა თითქო უნდა ვითარდებოდეს თანდათანობით. ეს ბუნებრივი წესია, მაგრამ თუ დაწყებიდანვე ხრინწით იწყება, სიმაღლემდე ასულს თან წაჰყვება იგი გზად. ლირიკოსის ხმის სისუფთავე _ არასდროს არ არის ისტერიკა.

ანსხვავებდა:

_ ისტერიკა სხვაა, ლირიკა სხვა. ეს კი არ არი ის, რაისკენაც უნდა მიისწრაფოდეს პოეტი. თავდაჭერა, თავდაჭერა და კიდევ თავდაჭერა, _ აი, რა არის საჭირო.

აყურადებდა:

_ ვერ ადის იმ ტემბრამდე, რომელსაც თავისუფლება ჰქვია.

ახარისხებდა:

_ ლექსის ამდენ სწორება-გასწორებას მისთვის ზიანი მოაქვს (ჭკვიანი პოეტისათვის კი ეს სასარგებლოა). ასე ნასესხებ-ნასესხები რითმები, მთელი წინადადებები, _ არა, ეს არაა ხელოვნება, ეს ლიტერატურაა.

აზუსტებდა:

_ მხატვრული ლიტერატურის სახელწოდება, მე მგონია, უფრო შეფერის პროზას, პოეზია კი უფრო რთული ხელოვნებაა. არსებობს პოეზია, ყველაფერი მის გარეშე ლიტერატურაა, _ ამბობს ფრანგი პოეტი.

თარგმნიდა:

_ ნიჭი მხატვრული შემოქმედებისა თანდაყოლილი ნიჭია _ როგორც სახის სილამაზე, როგორც მაგალითად ხმა, ძლიერი ხმა. ეს ნიჭი შესაძლებელია და საჭიროცაა განვითარდეს, გაღრმავდეს, მაგრამ მისი მოპოება არავითარი ძალითა და ცდით, არავითარი მეცადინეობით არ შეიძლება... ვინც არ დაბადებულა პოეტად, იგი იმად ვერასგზის ვერ გახდება, რაც არ უნდა ეცადოს, რანაირი შრომა და ჯაფა არ გასწიოს... რომ პოეზიას აქვს თავისი ტექნიკური მხარე, ამაზედ ლაპარაკიც ზედმეტია. დამყარება მხოლოდ ზეშთაგონებაზე წარმოუდგენელი რამაა (ვ. ბრიუსოვი).

გვაფრთხილებდა:

_ ლექსების წერა მსუბუქი შრომა როდია. ეს საქმე ნიჭს გარდა, შემეცნებას, გამომგონებლობას და გემოვნებას, ორიგინალობას და კიდევ განვითარებულ ტეხნიკას მოითხოვს, რაც მიღწეულ იქნება მხოლოდ შეურყეველი, შეუდრეკელი, შეუპოვარი, გულდადებული მუშაობის შემდეგ სიტყვაზე.

მოგვიწოდებდა:

_ ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს _ ახალი სიტყვები.

მისხალ-მისხალ წონიდა თითოეულ სიტყვას, თითოეულ სტრიქონსა და მარცვალს, სულგანაბული უსმენდა, აკვირდებოდა, ამოწმებდა, ფერსა და გემოს, პულსსა და ტემპერატურას უსინჯავდა:

შავი ზღვის მორევი

კაცის გული ისეთია ვით მორევი შავი ზღვისა...
კაცის გული ისეთია ვით მორევი ზღვისა შავის...
კაცის გული ისეთია, თრთის შავი ზღვის მორევივით...
ვით მორევი შავი ზღვისა კაცის გული ისეთია...

ვით მორევი ზღვისა შავის ისეთია კაცის გული...
ვით მორევი ზღვისა შავის ისეთია გული კაცის...

ხალხურ პოეზიაზე ხშირად საუბრობდა:

_ დავაკვირდეთ და გამოვიყენოთ ხალხური სიმღერები.

_ ჩვენ უნდა კარგად შევისწავლოთ ხალხური შემოქმედებაც. ყოველივე აქედან გავითვალისწინოთ ახალი ფორმების აღმოჩენის შესაძლებლობაც.

რუსთველურად უქცევდა: «ესე ამბავი ქართული _ ხალხურად ნათარგმანები».

ზომიერად და თავისებურად ბაძავდა:

ცხენზე ზის, ალვა-ვერხვია, დაბრუნდა, ნაბადს ქარი შლის,
ჯერ დედას გადაეხვევა, მერე ცოლსა და ქალიშვილს.

«ერთი ღამე ტობანიერში (მოგზაურობა ცხენით)» _ დაუსათაურებია 1939 წელს და ათი ხალხური ლექსი ჩაუწერია.

_ ბავშობისა მახსოვს ლექსი. _ გვაუწყებს და სახალისო ექსპრომტს გვთავაზობს:

მოიტა ჩანახი _
ნიორი ნანაყი _
შემწვარი კაკაბი
და ლულა-ქაბაბი.

«ხევსურული ხალხური პოეზიიდან» _ ამ სათაურით აკაკი შანიძის გამოცემიდან მცირე რჩეული შეუდგენია: ამოუწერია მოწონებული სტრიქონები, სტროფები, ფრაგმენტები, მთელი ლექსები და ბალადები.

სწორედ აკაკი შანიძისა და ვარლამ თოფურიას მიერ შედგენილ ორენოვან «სვანურ პოეზიაში» იპოვნა «მიბინავ ლიზი-ლიჩედი» და, როგორც წავიკითხეთ, წარმატებით გამოიყენა დღიურებში. ამ სტრიქონს დიდხანს უტრიალა, სხვადასხვა დროს რითმების მრავალი წყება მიუწერა, ათიოდე სტრიქონიც გამართა, 1959 წლის უკანასკნელ ბლოკნოტშიც იგივე რითმები გააგრძელა და ვეღარ გარითმა და ვეღარ დაასრულა... სხვათაშორის, ამ წიგნაკში ერთ ლექსზე _ «ჰანდუყაფარ» _ მიუწერია:

_ ეს ვარიანტი ჩაწერილი აქვს დედაჩემს ქალიშვილობისას.

პეტრე უმიკაშვილის შედგენილი «ხალხური სიტყვიერება» ხუთასმეთხუთმეტე გვერდამდე წაუკითხავს და შეუსვენებია:

_ გამოცანები დამრჩა წაუკითხავი 515 გვერდიდან: პეტრე უმიკაშვილი. ხალხური სიტყვიერება _ ნაწ. I (ლექსები, ანდაზები, გამოცანები). ფედერაცია. 1937.

ერთხელ მორიგი რჩეულის სქემა შეუდგენია: მეექვსე განყოფილების სათაური ასე იკითხება: ფოლკლორისებური.

საკუთარ მეტრებს პარალელებს უძებნიდა, ხალხურ და კლასიკურ ნიმუშებთან აწყვილებდა:

_ ჩანგო! ბევრი კარგი დრო! (ნეტავ ეხლა სადა ხარ?!).

_ ულევი, უანგარიშო (ყაყაჩო აყვავებული).

_ როგორც ნისლის ნამქერი (ნურვინ გამცვლის სხვაზედა).

_ აშრიალდა ნეშო ტყეში (მე ვარ სიმონა დოლიძე).

_ აქეთ ნუში, იქით ნუში (შორი გზიდან სატრფოს ველი).

_ ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის (დანამა, დანამა).

_ მის ცხოვრებაში შეიჭრა ქალი (მაღალ გორაზე დაუთოვია).

_ წყალტუბოდან ქუთაისში (ქართლ-კახეთი, იმერეთი).

_ მიყვარს შენი სახელის (რა ლამაზად გიხდება)...

ამ უკანასკნელს კლასიკურში მოუძებნა პარალელი: მოწონებულ მოტივს ხშირად იმეორებდა, ლექსიც დაწერა, ჩაინიშნა კიდეც:

_ ძალიან ჰგვანან ერთმანეთს: I. ვერდის არია «რიგოლეტოდან», II. ბეთხოვენის «მეცხრე სიმფონია», III. ქართული ხალხური მოტივი: «რა ლამაზად გიხდება».

«წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქაროს» დაწერის შესახებ რამდენიმე მსგავსი და მაინც განსხვავებული ვერსია გამოქვეყნდა. არ გამოქვეყნებულა მთავარი _ თვითონ ავტორის ნაამბობი (1939 წლის 5 იანვარს ქეთევან მაღალაშვილის სახელოსნოში):

_ მოვუყევი ქეთოს ლექსის «წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქაროს» ისტორია. იგი პაპიროსის კოლოფზე დავსწერე წყალტუბოში. შემდეგ არ მომეწონა. დავხიე და გადავყარე. რომელიღაც ქალს ამ ლექსის ნაგლეჯები ერთმანეთისათვის შეეწებებინა და ეხლა ეს ლექსი პოპულარული ლექსია.

ვიზუალურ დეტალებსა და მომენტებს ინიშნავდა:

_ ძაღლების ჩხუბი ერევნის მოედანზე. _ ხეების ლანდები მდინარეზე საღამო ხანად. _ სხვადასხვა ფერის ძროხები მინდვრად ისვენებენ. _ კიბე ლერმონტოვის ქუჩაზე, ფეთხაინზე. _ მამლების ჩხუბი. _ მიჯაჭვული იხვი. _ ღარიბი, უბინაო ბავშის სიზმარი. _ ქიმერები რეცხავენ. _ ყრუ-მუნჯების ლხინი. _ მკვდრების მისაღები ოთახი ვაკეში. _ მკვდრების მისაღები ბაღი. _ გადატეხილი ხე... _ რიონზე გადადგმული სახლები. _ სიუჟეტები! გაფრენილი ბედნიერება (ბავშები უცქერიან გაფრენილ წითელ ბუშტს). _ ბავშს ზურგზე ფუტკარი კბენს: ვერასგზით ხელით ვერ სწვდება. _ ბავშს დაესიენ ბატები. _ ბიჭი ჰკლავს ბეღურებს. _ გოგონა მამაკაცივით ცხენზე. _ ცხენზე ზის კაცი _ ხელში უზარმაზარი ცხვარით, რომელიც პეტელობს. _ კარგია აიწეროს მთვრალი კახელი მატარებელში. _ დიდებულია კინოსთვის საზამთროების გადაგდება, ერთი რომ მეორეს ესვრის დუქნებისაკენ.

თვალით დანახული დეტალები ზოგჯერ პირდაპირ გადააქვს ლექსში _ რეალისტურად, ნატურალურად, ფოტოგრაფულად. ამ მხრივ საყურადღებოა «მგზავრის წერილების» ციკლი: ქართლში გამგზავრებულა. მატარებლის სარკმლიდან კინოკამერის ობიექტივივით დაუჭერია თანამიმდევრული კადრები:

_ გორისაკენ: მტკვარი მიდის კიბეებივით. ქალი თავისი ბავშით მოსჩანს, როგორც პატარა წერტილები. _ ავჭალიდან: კიოსკივით მაღალი, ორსართულიანი სახლი. _ მცხეთიდან: ხვალ სვეტიცხოვლობაა. მთები გავან რუსთაველის ქუდს. _ როდესაც თვალს დახუჭავ მატარებელში, გგონია თითქოს ზღვის ხმაურობას ისმენო. _ ტყვიავი. გზა ტირძნისისაკენ. სამხრეთ ოსეთის საზღვარია.

შევუფარდოთ ციკლის შესაბამისი სტრიქონები:

> კიბეებივით მიდის მტკვარი და კარებს აღებს...
>
> ქალი თავისი ბავშით მოსჩანს, როგორც წერტილი...
>
> ავჭალის იქით კიოსკივით მაღალი სახლი...

ასულა კორდი, როგორც ქუდი რუსთაველისა...

სვეტიცხოველში ხვალ იქნება დიდი მცხეთობა...

მატარებელში თვალს რომ ხუჭავ, გრძნობა ველისა,
ასე გგონია, თითქო ისმენ ზღვის ხმაურობას...

გზა ტირძნისისკენ... ვრცელი ველი ტირიფონისა,
სამხრეთ ოსეთის საზღვართან ვართ... აი ტყვიავი.

კახეთში უმოგზაურია 1922 წლის ზაფხულში. ნადირობის წესი და განრიგი ჩაუწერია სიღნაღში 1 სექტემბერს _ ოდენ სიტყვის მონადირეს _ და ეს განრიგი ლექსშიც დაუცავს:

_ ნადირობა შეიძლება: მწყერზე, ტყის ქათამზე _ 1 აგვისტოდან. სასარაკზე, სავათზე, გარეულ ინდაურზე _ 1 სექტემბრიდან. გნოლზე და კაკაბზე _ 1 სექტემბრიდან. ხოხობზე და კურდღელზე _ 15 სექტემბრიდან. იხვზე, ბატზე და ყოველგვარ ჭაობის ფრინველზე _ 1 აგვისტოდან:

გახედე: კახეთი! დამსკდარა ატამი.
რა მალე მოვიდა აგვისტოს პირველი.
გარეულ ჭალებში ტრიალებს ქათამი,
ჭაობში იხვია მოწყენით მზირველი.
პირველ სექტემბრიდან სასარაკ, სავათა,
აქ თმაზე მეტია გნოლი და კაკაბი.
თხუთმეტი: ახალი იმედის სათავე,
სადაც კი ნისლია და ტყეა საკაფი.

ცალკეული მეტაფორები და შედარებანი მოუმარაგებია:

_ გრიგალის მერნები გაცოფდნენ. _ ქარხნის მილები ისროდენ დორბლებს. _ თითქოს ღამეში მეორე ღამე გაჩნდაო (ნისლი წამოვიდა). _ წვიმების ნანა. _ ზამთრის ცისარტყელები. _ ცეცხლის გველები. _ ყასაბი რუბენსი. _ სულთა ჩურჩული. _ ვეფხისტყაოსნის შთამომავალნი.

«შედარებათა კონა» დაუწყვილებია:

_ გაუთხოვარი ქალი _ გაზაფხულის მდინარე. საბავშო ოთახი ღამით _ როგორც ანგელოზთა სასუფეველი. ქალი შავებში _ ღამეში ამართული ნაძვები. ნაოჭები შუბლზე _ როგორც საფლავის ქვის ეპიტაფია:

მაინც მივაღწევთ გულითად სურვილს, როცა ხომალდი კაპზე აბია,
თუმც ნაოჭები მოედო მის შუბლს, ვით საფლავის ქვას ეპიტაფია.

მზა სტრიქონებიც ბლომად დარჩენია აქა-იქ:

_ გარეთ კი მთვარის ჰყვავის იები.
_ უზარმაზარი კოშკის მსგავსად აშენდა ღამე.
_ სახურავების ჭრელ კერამიკას.
_ შენი, დედაჩემო, ბინა შორეული.
_ გუშინწინ, _ ასე დაიწყო ქარმა.
_ ესაუბრება კაენს კაენი.

_ რა საქმიანად ანადგურებს ტყეებს ხანძარი?!

_ თენდება ოქროსფრად. ღამდება მგლისფრად.

_ მოსაწყენია ეს სიყვარული, ვით შემოდგომის ქარის ზუზუნი.

_ ძაღლი მთის ძირში იძინებს და თავის ჩრდილი ჰგონია.

_ სულის წყაროებს ამსხვრევს სურვილი.

_ წარსულის კერპებს წაერთვა დაფნა.

_ გულში ღამე სუფევდა, თმაში თეთრი მერია.

_ მე მქონდა ბრძოლები და ვისაც ვებრძოდი, მე მგვანდნენ ცოტათი.

_ ვერც რითმა, ვეღარც ტაეპი ვერ იპოვე და დაები.

იმეორებდა და ეალერსებოდა საყვარელ ვარიაციებს:

ასფალტზე მიჰქრის და მიჰყვირის ვილისი:

ტფილისი, თფილისი, ტბილისი, თბილისი.

არა მარტო ლექსებში:

_ გატიანა! გატუნია! გატიონა!

_ ოლია, ლია, ოლი, ოლა, ოლოლ, ოლოლი, ოლოლო, ლოლო, ლიოლი, ოლინკ, ოლინკა, ოლკინ, ლომკინ, იოლკინ, ჩმოლკინ, ჩმოკლინ, Ёლკინ, Олюшка, Олюся...

სიტყვების მორევში იძირებოდა, რათა შიგნიდან მოეხელთებინა და მოეთვინიერებინა.

_ არ უნდა ვენდოთ პირველსავე სიტყვებს... ნამდვილი მწერალი არის კაცი, რომელიც სიტყვებს ვერ პოულობს. მაშინ ის ეძებს მათ და ამ ძებნაში ყველაზე უკეთეს სიტყვებს პოულობს (პოლ ვალერი).

სიტყვას ძველი იუველირის სიფრთხილით იღებდა ხელში, დიდხანს უტრიალებდა, სხვადასხვა მხრიდან ათვალიერებდა და აფასებდა:

_ შადრევნები, აშადრევნება, აშადრევნებით, აშადრევნების, შადრევანია, შადრევანული, შადრევნისეულს, შადრევანდება, შადრევანში, შადრევნიანებს... _ მერე სტრიქონში გადაჰქონდა: «მთვარე _ ღრუბლების თეთრი პინგვინი და ბაღის მძიმე აშადრევნება».

არც თავის რჩეულს სტოვებდა უყურადღებოდ: ეფემერა, ეფემერიდა, ეფემერული, ეფემერობა, გააეფემერა, გაეფემერებული...

1950 წელს რვეულის ყდაზე დაუწერია «გული» და რვეულში ხუთი ფურცელი ამ არსებითზე არსებითი სახელის ძირიდან ნაწარმოები სიტყვებითა და გამოთქმებით შეუვსია: გულით მირჩია, გულის მანკი, გულის წამღები და ასე შემდეგ.

სინონიმებს ნომრავდა და მათ შორის უზუსტესს ეძებდა:

_ 1. უნდა დასტოვოს. 2. უნდა მიატოვოს. 3. უნდა მიაგდოს. დააგდოს. 4. უნდა თავი მიანებოს. 5. უნდა დაეხსნას. 6. უნდა ხელი აიღოს. 7. უნდა დასთმოს. 8. აღარ იქნება მისთვის. 9. დიდხანს ვერ ნახავს. 10. დიდხანს ვერ იგრძნობს. 11. უნდა გასწიროს. 12. უნდა გაუშვას ხელი. 13. უნდა აიღოს ხელი. 14. უნდა ააღოს ხელი. 15. უნდა დაჰყაროს. 16. უნდა განშორდეს (მოშორდეს). 17. უნდა დაეთხოვოს. 18. უნდა გამოესალმოს. 19. უნდა გამოეთხოვოს. 20. უნდა გაეყაროს. 21. უნდა გაუშვას.

არც ომონიმებს ივიწყებდა:

_ გადაიქცა (გული წაუვიდა), გადაიქცა (გარდაიქმნა, შეიცვალა, ფერი იცვალა), გადაიქცა (განადგურდა, წახდა), გადაიქცა (შეიქმნა: ცენტრად შეიქმნა, კერპად იქცა),

გადაიქცა (წყალი), გადაიქცა (მეორე მხარეს გაიქცა, მთა და ველი გადაიქცა), გადაიქცა (გადაიხარა ყვავილი, გადაიზნიქა), გადაიქცა (პირი იბრუნა, მაგ., ჯარმა და... გადაეშვა ერთბაშად), გადაიქცა (დაინგრა, უფრო სხვა _ ვინემ განადგურდა, კედელი გადაიქცა, კოშკი გადაიქცა).

ომონიმები სტრიქონებში გადაინაცვლებდნენ:

შენ ნახე ლაჟვარდის კარების დაღება,
ღრუბლები ცისკარმა ვარდისფრად დაღება.

რისხვა წყრომა-მიმოტეხის ნიაღვრებში დაეშვა,
მოინდომა მთელი ქვეყნის საშიშ ეშვით დაეშვა.

ფორმაუცვლელი ფრაზები შეუკრებია, ჩამოუწერია, გაუმზადებია:

_ იმის გამო, რომ... აი, მაგალითად... იმ შემთხვევაში, თუ... არა უგვიანეს ერთი თვისა... ამას ხაზს ვუსვამ მიტომ... როგორც ერთი, ისე მეორე... ყოვლად დაუშვებელია... და ისე კი... ჯერჯერობით... ყოველ შემთხვევაში... ცხადი არის... მე მგონია, რომ...

კონტექსტსაც დიდი ყურადღებით აკვირდებოდა და ამოწმებდა:

_ მობრძანდით! დაბრძანდით! როგორ ბრძანდებით? კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! რასა ბრძანებთ?! ბატონი ბრძანდებით! ბრძანდებოდით იმერეთში? ბრძანებულხართ როდისმე? რა ბრძანებაა?! თქვენი ოჯახობა როგორ ბრძანდება? ბრძანეთ, ბატონო! ერთი ეს მიბრძანეთ! რატომ ხშირად არ დაბრძანდებით? ერთი აქ მობრძანდით. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. შებრძანდით.

ამის შემდეგ ბუნებრივად ჟღერს ხალხური სტრიქონის გახანგრძლივებულ რიტმზე გადატანა და ოპტიმალური ვარიანტის ძიება:

ზრდილნი არიან იმერნი მარად.
იმერნი მარად ზრდილნი არიან.
ზრდილნი არიან მარად იმერნი.
მარად არიან იმერნი ზრდილნი.

განმარტავდა:

_ იმერის ტემპერამენტი ხალხმა ლაკონურად გამოხატა ასე: «ზრდილნი არიან იმერნი, მტერთა მიმცემი რისხვისა».

_ იმერიზმია: ჩამორჩენილი მაყარივით.

გზადაგზა დიალექტიზმებს ინიშნავდა და იყენებდა:

_ ამ სისხვანს თოვდა. ამ სისხვანი ცრემლები სდიოდა. ამ სისხვანი თვალები ჰქონდა.

_ «ფულის გადახდა... ბევრი რო დეიყრის თავს, მერე».

_ ეინგრა ყორიფელი. _ აიანცა ქვეყნიერება. _ მწყენია. _ გავკვირდი. _ გოვუყვეთ, წევიდოთ. _ რომ წახვიდე მეორე გზობას, შემატყობინე.

_ «პეტეტვრანი» რად მინდია, მოიტა დიდი ჭიქები.

_ ყოველივე ეს უნდა მოწესრიგდეს, «მოკაცრიელდეს».

_ ეს რიჰთვინა? იმიჰთვინა? _ ე რამოტოლა სახლებია, ვინ ააშენა ამთვენი სახლი? _ ე კიდენ რაღა ეშმაკია?

_ დეიდანები. _ ანაგდებასავით. _ თიოთიოდ. _ გვერდი სი და გვერდი მა.

_ მაშა, მაშა, მაშა! რა გინდებიენ თქვენ?

_ ყოჩაღად მაიქე! გაიქე! _ მავიდეს? მავიდეს, ვა! _ ცხვირი ისემე ჰქონდა.

_ იმასქნა? _ იმასქნა! _ მას ამტყუნებენ ედმონდ როსტანის პიესის გაიმასქნებაში. _ რაღაცას იმასვიზამ.

და აგრძელებდა:

თუ ირაკლი მისწვდა მიზანს,
კიდეც დაიმასიზამს.

სერზე მიდის ორი ძმა, ძლივას ისმის მათი ხმა:
_ ჭალაზე თხის ჯოგი მოსჩანს _ გვერდი სი და გვერდი მა.

არც ქალაქური ჟარგონი გამოჰპარვია სმენას:

_ ეს რა მაზალო რამეა. _ შუხური. _ ნუ გაატრაქტორე. _ იშკილიდან ჩამოვარდნილა რაღა. _ ვაჰ! ბარო! ბარო! ლაფათქო და ნიჩაბო?

გვცდიდა და გვეხუმრებოდა:

_ მილიციიდან გეემექეცი. კოოპერატივიდან გეემექეცი.

იღიმებოდა (ქართულ-რუსულადაც):

_ ოლოლი! ლო იცოდე, ლა მშვენიერი დღე ალის დღეს!

_ იყო მორიგი სხდომა აკადემიის და მორიგი სოოსულეიჟლეები.

_ Крикатура. Вот крикатура.

_ Ёлкин _ 20 р. Абесалом. _Иасиль Олешко. _ Маяковски. _Галактион Ология. სახელებისა და გვარების შერქმევა-გადარქმევითა და გადაკეთება-გადმოკეთებით ერთობოდა (ზოგიერთის ციტირებისაგან თავს შევიკავებთ, თუმცა იმდენად წარმატებულია, თავის შეკავებაც ჭირს):

_ ბაჭარაჭაჭანაჭამაჭახაჭაკვაჭანტირაძე.

_ ძოწენიძე თუ პროწენიძე, გეგეშიძე თუ კეკეშიძე თუ ყეყეშიძე. _ კვერენჩხილაძე _ ყვერეშილაძე _ ყვერებელიძე. _ გეო ყლინწაძე. _ ანთაძე დოდოშა. _ ღვინჩიძე. _ ქვაჩახიძე. _ გიორგი ყაჩაღიძე. _ ქამელეონიძე. _ სოსოჯანები, მარიჯანები. _ ტომაროჩკა.

_ კაიკასურდია. _ რადიანიზაცია. _ ქიაჩელიზმი. _ აკაკიადა. _ ირადიონი. _ შანშიაშვილი ანუ სულ-მშია-შვილი, აქედან: ეულიც _ დამშეული. _ მიხეილ გოლოდნის (მშიერის) ლექსები, მიხეილ მშიერი. _ სიტყვა ეკუთვნის მიხეილ შელახოვს.

_ ყალიონისიმუს. _ ااا-ლექსი-უს! _ ო, ლექსო, ლექსო, ლექსი?

_ Симон Чикоиский. _ Чжоу Чи-лая. _ ირაკრიბა და ჭინჭილაია. _ ბესია უმჯობესია. _ ბე, ე, სსო, ოო, ო! _ ااااამიიიინ!

_ მუსიე მოსე. _ ნიკოლო დე გვინჩი. _ სოლომონ ფრანცუზ იორდანიშვილი. _ გიო-ტე-ტე.

_ ოი, დიპოს! _ საიათნოვა, ვა!

ფსევდონიმები მაღალი შაირის ყალიბში ჩაუსვამს და ჩაურითმავს _ «მედავებიან ფსევდონიმები»:

მაშაშვილი, გრიშაშვილი,
მოსაშვილი, ლისაშვილი.

მეგრულადაც უქცევდა:

დიდუ, ჩქიმი ცოდვა ვა, ვა,
არნოლდ ჩიქორთულობავა!

არც ეღიმებოდა და არც ეცინებოდა:

_ მწერკავი. პოეტი. ფეხბურდღა პოეტები. სანაგვე მწერლები. _ მწერალთა ნახირი. _ ტარტიუფების შაიკა. _ პარტია-პურტია. _ ჩანჩურ-ეკონომისტი. _ შტერაძე.

_ პოეტტობენ. _ სჭვრეტეტენ. კეტეტენ. ჩხვლეტეტენ.

სმენად იყო ქცეული:

_ დავასვარკავებინებ! _ იძახის ჩემი შოფერი. _ კარგი სიტყვაა ტემპი. _ ნელთბილი წყალი, ძვალმოტეხილი წყალი. _ მახლას! (ჩვენებურად), მახ ლოს (გერმანულად). _ მიუხედავად არაფრისა. _ შენ და შენი სინდისი!

ყურმოკრულ ფრაზებსა და ფრაგმენტებს აგროვებდა:

_ წითელი ფხალი, ნიგვზით შეკაზმული, არ მონათლავს ეხლა გულს?

_ დედაჩემზე არ მიტირია იმდენი, რაც მე ამაზე ვიტირე.

_ ისე გავხდი, როგორც კალია.

_ ვიგინდარა არ გეგონოსთ, ბოლოდან პირველი კაცია.

_ ეს ასი წლის კაცი უნათლავ ბაღანასავით ჩააგდეს მიწაში.

_ მცხეთელებმა ძეგველებს მკვდარი ასესხესო.

_ ვირის აბანოში აბანავეს. _ ტყვიანაკრავივით დარჩა. _ ისეთი თვალებით შეხედა, თითქოს მათრახი გადაჰკრა.

_ ისეთ ადგილას ნუ დაჯდები, სადაც მალე აგაყენებენ. _ ნუ გაუდგები გზას უამხანაგოთ. _ საკითხს ნუ გადასწყვეტ განრისხების დროს. _ მეგობრობასა და სიყვარულს ნუ უცხადებ ადამიანს, რომელსაც პირველად ხედავ.

_ თუ გინდა კაცი დაღუპო, ეზოში დამტვრეული საათი გადაუგდე: მის დაპაჩინკებაში გაღარიბდება.

ეს უკანასკნელი გაუგრძელებია: იგავ-არაკების ციკლში ჩაურთავს _ «კუჩხა და საათი»: კუჩხა ბედნიერს მეზობელმა გაფუჭებული საათი ჩაუგდო ეზოში და...

შეუკრებია გურულ-იმერული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. პირველ ნომრად წარმოდგენილია:

_ სულ იის წყალი უნდა უსხა _ რომ არ გაჯავრდეს, სულ უნდა მოეფერო, ელოლიავო, ეალერსო. წარმოშობა ამ გამოთქმის: ბატონებიან ავადმყოფს, თუ სტადია ავადმყოფობისა გაძლიერდა (ბატონები გაჯავრდენ), ასმევენ იის ფოთფლებისაგან დაწურულ სასმელს, ან იის ძირისაგან ან ყვავილისაგან გაკეთებულს. ან ასმევენ ან ასხურებენ საწოლზე და ტანზე. მე დამილევია იის წყალი, როდესაც ყვავილი მჭირდა. ეს ძალიან ნაზი, ტკბილი და სურნელოვანი სასმელია. «სულ იის წყალი უნდა უსხა», _ ამბობენ კაცზე, რომელიც მუდამ გაჯავრებული, უხეში და მძიმე ხასიათისაა.

მხოლოდ სათაური ჩაუნიშნავს: «მოსწრებულ სიტყვათა ლექსიკონი».

მოსწრებულებს და ანდაზებს ხშირად იხსენებდა:

_ ბედაურს სჭედდენ და ბაყაყმაც ფეხი აიშვირაო. _ მწყერს ერთი დღე შეხვდა და ისიც წვიმიანი. _ ძაღლის ნაკბენივით დაგიმახსოვრებ მაგას. _ შენ ტყეში წაბრძანდი, მე ქორწილში წავეთრევი.

_ Когда деньги говорят, тогда правда молчит. _ Приходите, пожалуйста ко мне, когда меня нет дома. _ Англичане говорят: не надо поднимать муху подъемным краном.

გალექსილ-გარითმულებიც გაუხსენებია: «გამოუდექ სიმართლესა, გამოგილევს სინათლესა».

ლექსშიც გაუგრძელებია:

მდიდარ გიგოს ხელს არ უშლის კუზი,
«თაფლი იყოს, _ ბაღდათიდან მოფრინდება ბუზი».

ერთსა და იმავეს უტრიალებდა:

_ ჩემმა მზემ, შენმა მზემ, იმისმა მზემ. მზეს დაგიბნელებ. მზე დაბნელდა. მზე შინაო, მზე შინაო, მზე შინ შემოდიო. ლილეო (ჰიმნი მზისადმი). მზეთა სწორო. მზეხათუნ!

გაურითმია კიდეც:

ვისაც სხვად ესმის სიტყვა ხალხური,
რა ეკადრება? _ კარგი პანღური!

კოლეგა გაუკიცხავს:

_ ფოლკლორს ართმევს ღდინს. ფოლკლორის ფალსიფიკაციასთან ბრძოლა!

გახუმრებია:

_ რაც მიღწევები გვაქვს, უნდა გავიტანოთ დეკადაზე, ახალი სიტყვები, მაგალითად «წვიმილი».

წყევლები შეუკრებია:

_ მამა უცხონდა! მაგისმა მზემ! მაგისმა არ აყენებამ! არ აუდგა გვერდები! მეხი კი დავაყარე! ისე მაგან იხარა! ისე რა ვუთხრა! მეტი მაგან იხარა!

დროდადრო საინტერესო ლინგვისტურ-ეტიმოლოგიურ დაკვირვებებს აწარმოებდა:

_ კახეთის მატარებლის თავისებურებანი: ჩაწერილ უნდა იქნას თავისებური გამოთქმები.

_ შესასწავლია მუშური ჟარგონი. _ გავრცელდა ფრაზა: ჩაწყობა, ჩაწყობილი.

_ წევე კაი დარი იყოს, _ პირდაპირ არ ითარგმნება.

_ ზემო იმერეთში ვიღაცას კი არ ამბობენ: ვინცა-ღა.

_ მეგრელი ვერასგზით ვერ იტყვის: ვაჩნაძე, არამედ: ვაჩინაძე. ძროხის მაგიერ _ ძორხა.

_ რომენ როლლანის მაგიერ ამბობდა: როლლენ რომანი.

_ გაბო ხშირად ამბობს: «დაბლაზმანებული» _ ბალზამირებულის მაგიერ «დაბლაზმანება».

_ აზერბაიჯანელები პაპიროსს «პაპრას» (თუ «ფაფრა»-ს) უწოდებენ. როდესაც პაპიროსს მიაწოდებ, ისინი გეტყვიან: «სპასბა» (სპასიბო). ერთობ რბილი ენა აქვთ.

_ «ეროვანი» ქალიაო, იტყვიან ქალზე, რომელიც სახალხო დღესასწაულებში გამოირჩევა სილამაზით და საქმით ყურადღებას იმსახურებს.

_ ნუნუს ბებიამისი ეუბნება: ოი, რა ფოც-მოტოვებული ხარ, გოგო, ვის გამოემგვანე (ფოც-მოტოვებული _ ჩქარი).

_ არხი _ «ვეფხისტყაოსანში» არ არის.

_ არასოდეს ილია არ იტყოდა «წამძლია სულმა და გულმა».

_ შაშკვლავი _ იგივე რეჰანი რუსებს არცა აქვთ.

_ ღდინი!!! _ არსებობს ასეთი სიტყვა.

_ ტყვიამფრქვეველი თუ მეტყვიამფრქვევე? _ «ჩამოხტა» თუ «ჩამოხდა?» _ ჩაბალახი უნდა თუ ყაბალახი?

_ «არასოდეს არ ყოფილა» თუ «არასოდეს ყოფილა» (საჭირო აღარაა ამ საკითხზე ილიასა და აკაკის ნაწერების გადახედვა, არც აკადემიის აზრი).

_ რა არის ფეშხუმი?

ასეთი საეჭვო შენიშვნაც დაურთავს «მშვიდობის წიგნის» ერთ-ერთ ავტოგრაფზე:

_ 7 ტომი მაქვს გამოცემული, არცერთ ტომში არაა სიტყვები: 1. უკვე. 2. საწყლის. 3. ტრაქტორი.

ავტორიტეტებიც დაუმოწმებია:

_ ქუჩის ხმაურში ბერლიოზმა აღმოაჩინა რიტმი.

_ უელსს ქუჩის ხმაურობა ურჩევნია ბულბულის სტვენას.

ცხადია, წაკითხული არ ჰქონდა ამერიკელი ავანგარდისტის ედვარდ ესთლინ კამინგსის (1894-1963) ლექსები, როცა ამ მრავალწერტილიანს წერდა:

_ საჭიროა მეტი ს.ი.დ.ი.ნ.ჯ.ე.

ცდილობდა სიტყვაში მეტი შინაარსი ჩაეტია, უფრო ტევადი და მრავალმნიშვნელოვანი გაეხადა:

_ შალვა დადიანი სწერს პიესას «ახალგააკაკიწერეთლისებურთაგანისამებრივ».

ასონიშნებს ითვლიდა, მარცვლავდა, ლამობდა თორმეტტაქტიანი სამ პეონად დაეყო და სალექსო სტრიქონად ექცია:

_ გამოკრეტინებულთაგანისამებრივი _ 29.

_ გამოსულელებულთაგანისამებრივი _ 28.

_ По примеру одного из кретинов.

გა/მო/სუ/ლელ
ე/ბულ/თა/გან
ი/სა/მე/ბრივ.

აქცია კიდეც და «მდიდარი რითმები» უწოდა («ქუთაისო, ლექსი გითხრა»):

აქეთ ქუჩა, იქით სახლი და სახლიდან მურია
გადაინდუსტრიალებულთაგანისებურია.

ეხლანდელი პოეზია არ გეგონოთ ხუმრობა _
შემოინდუსტრიალებულთაგანისებურობა.

1950 წლის 20 სექტემბერს თავისი რჩეული სახელი აუღია და თაბახის სუთა ფურცელზე ოთხ სვეტად ჩამოუწერია მხოლოდ ორი ხმოვნისა და ორი თანხმოვნის ვარირების ასი ნიმუში (ისევ ასი!): მერი, იმერი, ირემი, მერე, მე, იმიერი, მიერ, ერი, იერი, ირიე, მერმე, ემირი... _ თანაც შესაბამისად დაუსათაურებია _ «საღამოს გასართობი».

რემინგტონის კლავიშებიდან თანხმოვანთა კონტრასტულ წყვილებს იწერდა და სმენას აჩვევდა. დისჰარმონიის ლაბირინთებში იჭრებოდა და ანტიწესრიგის ანტიკანონებს იკვლევდა. თითქოს საკუთარ პრინციპებს უპირისპირდებოდა. თითქოს ენას იტეხდა, თითქოს ზღვის ნაპირას მოხეტიალე დემოსთენესავით წაფავდა სმენას. 1947 წელს შოვში აბრაკატაბრას გაკვეთილი ჩაუტარებია (ეს ის დღეებია, როცა «ნიკორწმინდა» იწერება!):

ღჯუკენ

1. აღებულია მანქანის პირველი ხაზის 12 ანბანი: ც, ღ, ჯ, უ, კ, ე, ნ, გ, შ, წ, ზ და ხ.

2. ვარჯიში მხოლოდ ამ ანბანებისაგან შექმნილ სიტყვებზე ხდებოდა (ღჯუ, კეკე, ცხენზე, ნეკზე და სხვ.).

3. პირველ ორ სტრიქონებში დაშვებულია 10 შეცდომა (უმთავრესად სიტყვების შეერთებათა).

4. შემდეგ შვიდ სტრიქონში კი ორი _ შეერთებაში, ერთი _ ანბანის სწორად არ დაყენებაში, ერთიც _ წაშლილია. სულ სამი შეცდომაა.

5. გამოსარკვევია ერთი ხარვეზი: «ტაბულიატორი» სტოვებს სიტყვებს შორის მეტად დიდ ხარვეზებს: რაშია საქმე?

ღჯუკენ _ უცხო სიტყვაა, უთუოდ ამერიკიდანაა. აქვს კავშირი «ჯეკ»-თან. მაგრამ ღჯუ?

ღჯუკენ-გ.
გშ! გშ! გშ!
წზ! წზ! წზ!
ცხ-ხ, ცხ-ხ-ცხ.

1. ღჯუკენ, ღჯუკენ! ღჯუკენ! გ.შ.წ.ზ.ცხ.
2. გშ! გშ! გშ! შკოლაში ბავშებს აჩუმებენ; ქათმებს ეუბნებიან «ქშ», ბავშებს «ქშ».
3. წზ! წზ! წზ! (წზ! წზ! წზ! წზ!): ქარი სისინებს.
4. ცხ, ცხ, ცხ! (კატას რომ შეუძახებენ).

«ღჯუკენ» _ შეიძლება ღორს ჰქვიოდეს? ან კიდევ ოსსა?

ღჯუკენ გშ, გშ, გშ!
ღჯუკენ წზ, წზ, წზ!
ღჯუკენ ცხ, ცხ, ცხ!

უცნაური ექსპერიმენტი ჩაუტარებია 1927 წელს: ერთი არსებითი და რვა რიცხვითი სახელი გაუმწკრივებია თანამიმდევრობით, პირველი ასონიშნების შერწყმით უცნობი სიტყვა შეუდგენია და ვერტიკალური ტირეებით ხუთ ნაწილად დაუყვია. მერე ორი არსებითი და ოთხი რიცხვითისაგან მეორე გაუგებარი ექვსნიშნა გამოუყვანია და ესეც ვერტიკალურად დაუნაწევრებია. შემდეგ პირველისა და მეორეს შესაბამისი ნაწევრები დაუწყვილებია, დამყოფი ხაზები გადაუადგილებია და მხოლოდ მისთვის გასაგები სამი სიტყვა მიუღია. იქნებ ასეთი ცდა სიტყვების უბრალო თამაშად მოგვეჩვენოს, მაგრამ რაკი თავისებურ კანონზომიერებას ემორჩილება, შესაძლებელია უფრო ხანგრძლივი ჩანაფიქრის მხოლოდ პირველ საფეხურს წარმოადგენდეს:

ხელმწიფე სამი ოთხი შვიდი ათი ორი ორი
რვა ოთხი = ხ ს ო შ ა ო ო რ ო
ხს/ოშ/ა ო/ო რ/ო = ხსოვნა
ოთხი ქალი სალდათი სამი შვიდი ხუთი
= ო/ ქ/ ს/ ს/ შ/ ხ
ხსო _ ოშქ _ აოს _ ორშ _ ოხ
ხსო/ ოშ/ ქაოს/ ორ/ შოხ
ხ ს ო რ. ო შ ქ ო. ა ო ს ო.

ცალკეულ ასონიშანს არსებითად ახასიათებდა, ადარებდა, ხსნიდა:

_ დ ე ლ ი ა. უმთავრესი ანბანი ამ სიტყვაში მუსიკისათვის არის ლ. ამ ანბანის მნიშვნელობა ცნობილია პოეზიაში, განსაკუთრებით ლირიკულში, უნაზესი ემოციების გამოსახატავად: "Там, где пели свиристели, где качались тихо ели, прилетели, улетели стаи тонких снегирей", ან «საიდუმლო ალები ზღვათა იდუმალების, სადაც რომ იმალება იაგუნდი, ლალები» და სხვ. ანბანი ლ იხმარება, როცა ბავშებს ენას უჩლექავენ: «ლატომ?» «ალა», «პული». ეს მიბაძვაა ბავშის ენისა, მაგრამ ალერსიცაა.

_ სიმვოლისტებს (მაგალითად, რემბოს) აქვთ თავიანთი თეორია ანბანების ფერის შესახებ (რემბოს აქვს თვითეული ანბანის ფერის შესახებ ლექსი)... მთელი რიგი პოეტებისა შეიძლება მოექცეს ლიტერის ლ_ს ქვეშ.

იოტას გამოესარჩლა:

_ ეს ანბანი სრულიად უკანონოდ იქნა განდევნილი ილია ჭავჭავაძის მიერ... საინტერესოა, რა მოსაზრებით განდევნა ილიამ ეს ანბანი?.. სად შეაფარა თავი განდევნილმა ანბანმა?.. დააკვირდით აქ მოყვანილობას ანბანისა. ზედვე ეტყობა, რომ თავს მკვიდრად არ გრძნობს. ის შეწეულია ზევით, სადღაც, გალიორკაზეა... ქართველები ყოველი არსებითი სიტყვის დასასრულს გამოთქმის დროს ხმარობენ ამ ბგერას... Б _ მათი საუბრის მარადი თანამგზავრია.

ისევ საყვარელ სახელს ეალერსებოდა: ფონეტიკურ-მელოდიურ კარკასს აგებდა, მარცვლებს დეფიზითა და ძახილის ნიშნებით ტიხრავდა, ზევიდან ქვევით აშენებდა სიტყვიერ სართულებს:

ოლია!
ო! ლია!
ოლ-ოლ! ია!
აილლო!
ლიო! ლია!
ია!

ერთი და იმავე სიტყვის ტემბრს სხვადასხვა სასვენ ნიშანთან ამოწმებდა: მოდის. მოდის? მოდის! მოდის?! მოდის!!! მოდის... მოდის: მოდის; მოდის _

თითქოს მიკროსკოპით დასცქეროდა სიტყვის უჯრედს და ცდილობდა სიტყვის ძირიდან სხვა აზრი ამოეკითხა, მეორე მნიშვნელობა მიენიჭებინა, ჯერ ცალკე მოემზადებინა და მერე გადაეტანა ტაეპში. სიტყვაში სიტყვას ეძებდა და პოულობდა: კ...ვირი...კე, სა-წინდა-რი.

მარცვლებს კუთხური ფრჩხილებით გამოჰყოფდა, ტირეებით აცალკევებდა და, ცხადია, ამ მარცვლებს შორის მეტს ამჩნევდა და ვარაუდობდა, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია ამოვიკითხოთ: ირ[ის _ ინ _ ი]რის.

ერთხელ, ნასვამს, ერთი კლასიკოსის ორი ნაკლული სტრიქონი გაუხსენებია და ქვევით ძალიან ფრთხილად მიუწერია:

_ მე სიტყვას ვეპყრობი ძალიან ფრთხილად.

სიტყვაც ნებიერად ემორჩილებოდა:

_ საროდისო, სამისამხარო, სანიავე, მესხივე, მეიალქანე, მეავგაროზე, მონიავე, მომაისე, მონანინავე, მონამკედარი, მოსასწაულე, ნასამუმარი, გაუკვდავება, გასაუკუნება, გადასოსნება, ბროლება, ასიმინდება, მგლოვიარება, დაიდაყვება, დაქანდაკება, მიუკანასკნელებული, შემორკინული, ახმამაღლებული, შორითი, შორევი, ვარდეთი, ალუბლეთი, ტბეთი, ბურუსეთი, ხვალეთი, მერეთი...

განსაკუთრებით ზმნები სწყალობდნენ თუ ზმნებს სწყალობდა:

_ გადაისმის-გადმოისმის, მიიმღერა-მოიმღერა, გააწინდელა, მოათივთიკეს, მოაიავა, აარარავებს, აიადონებს, გადაიმინოს, გადაუხავსა, დააირისა, დააიარა, მიაგვირგვინებს, მიუანდაზებს, წითლავს, ილურჯება, გვინანინავა, გაგვიმაისა, გაგაანგარა, შეეშენები,

აეალუბლება, ესაკიდება, ემოძმება, ემეთაურა, ესადგამურა, ესადარები, ემიზეზები, ემაგიერო, ენაშენაროს, გამიანკარა, გაასხვანაირეს...

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ალიტერაციული წყვილები ანუ დაწყვილებული ალიტერაციები:

_ ლოდინი ლოდის, ხეების ხელებს, ქალაქის ქაფით, ღამის ღამით, დარის დარი, ფერი და ფერვალი, ქართა ქარვას, ქარებს ქარობა, ქნარის ქნარება, დარის დარება, შორით შორობა.

ისე აწყვილებდა, სახელდახელო ჩანიშვნის დროსაც იგრძნობა ვირტუოზი: თითქოს ჟონგლიორი ვარჯიშობს ცირკის კულისებში:

_ ადამ-ედემი, ურემ-ირემი, თავადი თამადა, ფიჭვების იჭვები, როშარის როშვა, შუმანის შური, შარსა და შარამათსა, მიდიოდა და მიიქსოვდა.

ერთადერთი თანხმოვნის დართვითაც აღწევდა ეფექტს:

_ «აკრძალულია _ დაკრძალულია». _ ქიმერეთი.

ცალკე ამოწერილებიც ინარჩუნებენ ხიბლსა და ექსპრესიას:

_ გამიდარისდარებს, გადინანინავეს, მოეთინათინა, ამოთავთავდება, შეხმატკბილებია.

თითოეული სიტყვის ეშხსა და სილამაზეს შეჰხაროდა, აფასებდა, აკეთილშობილებდა:

_ თანამედროვე მგოსნისთვის სიტყვას მისი აზრის მიუხედავად აქვს თავისი საკუთარი სილამაზე და ფასი, როგორც ძვირფას ქვებს, ყელსახვევ მარგალიტებს ან ბეჭდებს. ვინც იცის ფასი, იგი აღტაცებულია მშვენიერი სიტყვებით. არის სიტყვები _ ალმასები, იაგუნდები, ლალები, არიან სიტყვები, რომლებიც ბრწყინავენ ფოსფორივით.

სიტყვის ძალმოსილებას გრძნობდა და ამ ძალმოსილების ფარული კანონების აღმოჩენას ცდილობდა:

_ სიტყვას აქვს შინაგანი კანონები, რომლის საშუალებითაც იგი ძლევამოსილი ხდება. ეს კანონები უმრავლესობისათვის ტერრა ინცოგნიტო-ა. ეს ის კანონებია, რომელიც გრაალის შთაბეჭდილებას აძლევს ლაფორგის ჰიმნს დედამიწის გარდაცვალების გამო, რომელიც საბედისწერო იდუმალებად ხდის ედგარ პოეს უკვდავ ყორანს, რომელიც სიმწარით აქვითინებს ვერლენის ჭიანურებს. ეს ის კანონია, რომელმაც ნისლში გაატარა ალექსანდრ ბლოკის «უცნობი ქალი».

სიტყვის ამ შინაგანი კანონების ძალმოსილებით ზოგჯერ გრამატიკის კანონებსაც უპირისპირდებოდა, ხარისხით ანაზღაურებდა დანაკლისს, ამართლებდა ენობრივ თვითნებობას, პოეტურ ლიცენციას. ზომიერ არქაიზმებსაც მიმართავდა, კუთხურებსაც იყენებდა, არც რუსიზმებს ერიდებოდა («რა ვქნა, რუსულ შკოლაში ვსწავლობდი და ასე მემარჯვება»):

_ გამიარ, აგიარ, დამიცა, გადავიარდი, მდივა, მღერდა, ვლიდეს, ძევდეს, უჯის, ბარემის, როა, შაო, გეღვარება, ნანიებ, იღალები, დაიმონავებს, დაღალდა, გაყინდა, გლოვს, გგრძნობენ, გფიქრობენ, მჩრდილობს, ზეცები, მზეები, მთვარენი, ბურუსები, ფრთეები, სიმაღლეები, სიშორეები, ეშორეება, ციცაბ, სასმი, დღესავე, ზღვისაკენავე, გაფანტასტება, ქვიშნა, ეფირები, დამა, სკრიპკა, ლავრა, ტრაური, ყრუ ღამეები ვარფოლომეის...

იქნებ ცალკე გამოხმობილი ზოგიერთი ნიმუში ხელოვნური მოგეჩვენოთ, მაგრამ უმაღლესი რანგის რიტმისა და რითმის აკომპანიმენტის თანხლებით _ ისინი მართებულ ფორმებს აღემატებიან: ერთადერთი და აუცილებელი ვარიანტის უფლებას იძენენ.

უსათუოდ უნდა აღინიშნოს: ახალ სიტყვათა წარმატებაში ლომის წილი რითმას უდევს: რითმის რწმუნებით აღჭურვილი და ამაღლებული _ მეტ ძალმოსილებას იძენს, მეტ სითამამეს იჩენს, ხელშეუხებელი და კანონშეუვალი ხდება:

შენ, რომელიც მარად მზეებრ გვინათ,
არა გუშინ გახდი თვალის ჩინად...

აზრობრივი შემეცნების მინიმალურ ზღვარზე შეწყვეტილი და შეკვეცილი ეს ფორმა არც ძველი ქართულის კანონებს ემორჩილება, არც საშუალო და არც ახალი ქართულისა. მხოლოდ რითმისმიერი და რიტმისმიერი უპირატესობის დაუწერელი კანონი ამართლებს მას და ანიჭებს არსებობის უფლებას, თანაც მხოლოდ და მხოლოდ ამ კონტექსტში, და რაც მთავარია: ასეთმა უაღრესად სახიფათო ცდამ მხოლოდ გალაკტიონთან გაამართლა, ისევე, როგორც რვაასი წლის წინათ მეორე გენიამ ყველა თანხმოვანი უარყო და ოდენ ორად ორი შიშველი ხმოვნის შერწყმით და შეთანხმებით უკვდავი მეტაფორა აღმოაჩინა:

შენთვის ხელ-ქმნილსა ტარიელს ამბითა მოალხენიე,
ორნივე მიხვდით საწადელს, იგი ვარდობდეს, შენ ი ე.

ერთხელ სათაური მოუნიშნავს _ «ჩემს მიერ შემოტანილი სიტყვები», მაგრამ აღარ გაუგრძელებია და აღარ აღურიცხავს.

ცნობილი მსახიობისთვის წიგნი უჩუქნია და მიძღვნის სტროფი წაუწერია, რომელიც საინტერესო კომპოზიტით მთავრდება. მთელი სტროფის შინაარსი იქით მიისწრაფვის, რომ ახლად შექმნილი ზმნა გაამართლოს, რასაც რითმის ფუნქციაც აძლიერებს. უფრო სწორი იქნება, ვთქვათ: მთელი ექსპრომტი ამ ნეოლოგიზმისათვის დაიწერა:

ვუგზავნი ამ წიგნს შიშით და კრძალვით
ჩვენს ძვირფას პიერს, არტისტს სახალხოს,
მსურს მასში ჰპოვოს შვენება ძველი
და ძველი იგი ამით ახალჰყოს.

«გულსაკვირველი» _ სმენას ეხამუშება, მაგრამ «გულწრფელისა» და «გულმშვიდის» გვერდით რითმის კონტექსტში ბუნებრივად ჟღერს:

ცხრაასორმოცდათვრამეტი წლის იანვარი პირველი,
მოგვიახლოვდა გულმშვიდი, გულწრფელი, გულსაკვირველი.

წარუმატებლადაც უცდია: მწვანილი, ლურჯილი, თეთრილი... ანალოგია ყოველთვის არ ამართლებს, აშკარად ნაძალადევია, არც გამოუყენებია.

ხანდახან უცხოენოვანი უბიძგებდა (იგორ სევერიანინი გადმოუქართულებია):

Арфеет ветер,
Далеет Нарва,
Синеет море,
Златеет тишь,
Душа _ как парус,
Душа _ как арфа,
О чем бряцаешь,

Куда летишь?
ქნარიანდება ქარი,
შორიანდებდა ნარვა,
ლილიანდება ზვირთი
ოქრომკედული ზღვაზე,
სულო, მღერალო აფრა,
სულო, მზიანო ქარვა,
სად ეშურები ასე,
რამ აგაღელვა ასე?

ხანდახან რითმა აპოვნინებდა:

_ მუნჯი _ საუნჯი (аккумулятор). ძალარი (ალკოგოლი) _ სპასალარი. ხე-ბარდა (აკაცია) _ შებარდა.

ზოგჯერ თვითონ პოულობდა:

_ თავსაცავი _ Пробка. მაშიშა _ Тихое помешательство.

ხანდახან ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე ქმნიდა და პოულობდა ახალს _ სახელდახელოდ, იმპროვიზებულად, თავისთავად, შემთხვევით: კალმისმიერი შეცდომის შემდეგ გაუჩნდა იდეა, გასინჯა _ მოეწონა, გაიმეორა _ ჭკუაში დაუჯდა, გააგრძელა და ნაკიანი წელიწადის ერთსიტყვიანი სინონიმი შემოგვთავაზა:

«ჩემი კალენდრის (1957 წ.) მარტის და აპრილის ფურცლები სავსეა თითქმის ყოველდღიური ჩანაწერით: «16 აპრილი. სამშაბათი. გახსოვდეს 16 აპრილი». ამ დღეს ვფიქრობდი ოპერის თეატრში დიდი საღამოს მოწყობას... მთელი ჩემი გულისყური ამ დატისკენაა. ყოველდღე ახალი რაიმე შემაქვს, დღედაღამ ვფიქრობ _ როგორ სჯობია საქმის დაწყება, გაგრწელება, დამთავრება (აქ, შემთხვევით უკვე დავუშვი შეცდომა: გაგრწელების მაგიერ დავსწერე _ გაგრწელება და ეხლაც უნებლიე შეცდომა, გაგრძელების მაგიერ _ კიდევ გაგრწელება დავსწერე... ჰმ!.. რას უნდა ნიშნავდეს ნეტა? რა თქმა უნდა, არაფერს _ ნერვიულობის გარდა. ოთხჯერ დავსწერე გაგრწელება. ახლაც რომ მივუმატე?.. ხა, ხა, ხა, ხუთი გაგრწელება. სულ კი შვიდი გაგრწელება გამოდის.

დავანებოთ თავი ამ საქმეს. მაგრამ არსებობს თუ არა გრწელი? თუ არ არსებობს, უნდა შემოვიტანოთ: ქრწელი, კრწელი, ხრწელი, გრცელი, გ(ე)რცელი, გრწელი, მრწელი (გრძელი წელიწადი?).

გრწელი = გრძელი წელიწადი. _ Високосный год.

მრწელი = მოკლე წელიწადი. _ Невисокосный год.

ვარგა თუ არა ეს სიტყვა».

წლების მანძილზე გაჰყვებოდა ხოლმე შეუცნობელი სიტყვის ჯავრი. 1949 წელს გაიხსენა:

«ერთხელ დედაჩემთან ერთად მივდიოდი გორაზე. იქ, სადაც ნანგრევებია, შემოგვხვდა უცნობი კაცი, შავგვრემანი სახის, შავი ულვაშებით, შავი თვალწარბით, ახალგაზრდა, გამხდარი.

_ «კანასტა», _ სთქვა მან და ხელი გამოგვიწოდა. როდესაც შეგვამჩნია, რომ მისი არა გვესმოდა რა, _ ორჯერ გაიმეორა: _ «კანასტა», «კანასტა»,»უჩიტელა კანასტა».

მათხოვარი იყო, მაგრამ რას ნიშნავდა «კანასტა»?».

თითქმის ნახევარი საუკუნის წინანდელ შეხვედრას იხსენებს ქუთაისის გორაზე, გუშინდელივით კი ახსოვს, ჩვენც გვიწვევს და გვაინტერესებს. თანაც უცხო და უცნობი სიტყვა მოსწონს, ეთამაშება, ეალერსება: ნაკანასტარი, უკანასტარო, თავი კალასტასიაო, ტანი კალასტასიაო. და მოულოდნელად მჟღავნდება სტროფი-გამოცანა («ცხენი»):

ტანი კალასტასიაო, კუდი კალასტასიაო,
ყურსუკანა _ ულვაშები, ტ...ზე წვერი ასხიაო.

ძილშიაც სიტყვა ესიზმრებოდა _ უცნობი და უცნაური. 1948 წლის 23 ივნისს დღისით ჩასძინებია:

«12 საათზე დღით ჩამეძინა (ალბად იმიტომ, რომ ადრე ავდექი, ვმუშაობდი, დავიღალე). მესიზმრა დედაჩემი. ის ჩემთან ერთად იჯდა მატარებელში, გაფაციცებით ეძებდა რაღაცას.

_ შენთვის მინდოდა...

_ რა, დედა?

_ ფული, სადღაც გამებნა ან, შეიძლება, მომპარა ვინმემ.

_ აი, იქ, საწოლზე არა დევს განა საფულე? ეს ხომ არ არის?

_ ოო, სწორედ ესაა.

და მან სამჯერ გაიმეორა ჩემთვის უცნობი სიტყვა:

_ შარმადინა. შარმადინა. შარმადინა.

და... გამომეღვიძა. პირველის ნახევარი იყო».

მეორე «უცნობიც» დედისაგან გაუგონია, ოღონდ უკვე ცხადად, ბავშვობაში, დაინტერესებულა და დაუმახსოვრებია:

_ «ჩონგურ-ჩონგურ, კეკეჩია, შენა სჭამ და მე ქე მშია», _ ასე იწყებდა ჩვეულებრივად დამღერებას მოხუცი ყრუ ციცინო.

_ რა არის, დედა, კეკეჩია? _ მინდოდა მეკითხა დედაჩემისათვის, მაგრამ უეცრად კიდევ ერთი სიმი გაწყდა.

ბოლოს და ბოლოს ყველა გზას სიტყვასთან მიჰყავდა: 1938 წლის 25 მარტის ერთ საღამოს ახლადგამოცემული ვეებერთელა რუსულ-ქართული ლექსიკონის ათასასმეთვრამეტე გვერდზე პაწაწინა მწერს მოჰკრა თვალი და კვალდაკვალ მიჰყვა:

_ მაგიურმა ხოჭომ გაიარა სიტყვებზე: Черногрив (იელი), Черномазый (ყარაჩი, შავტუხა, ზანგელა), Чернота (სიშავე). ეს მაგიური ხოჭო აღმოჩნდა რუსულ-ქართული ლექსიკონის 1118 გვერდზე. მისი ამ გვერდზე მოგზაურობის შემდეგ მე იგი ჩავსვი ასანთის კოლოფში. თუმცა ალბათ ეს მას არ სიამოვნებს. მხოლოდ ეს უფრო პატარა, ერთი ნამცეცა ბუზანკალია, ვინემ ხოჭო. იელი, რომელიც მან აღმოაჩინა, ბოტანიკური მცენარეა ყვითელი ყვავილებით, მითი დაფარული იყო, მახსოვს, ქუთაისის მიდამოები. ყარაჩი, შავტუხა, ზანგელა: ეს ხომ ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი მეა. სიშავე კი _ აქ წერტილის დასმა შეიძლება... მაგრამ... შავებით მოსილი ქალები მთაწმინდაზე, ყველგან? ო! სიშავე თვალთა, სიშავე ღამის, სიშავე ყორნის ფრთების! შავი ზღვა, შავი დღე, შავი დარდები, შავი ბერი, შავი ღრუბელი, შავი ფიქრები!

აბრებსაც კი არ სტოვებდა უყურადღებოდ, ირონიულად კითხულობდა ნასვამი და ახირებული:

_ ეს რა გიწერიათ კედელზე: «მო-ლა...», განა თქვენ მოლა ხართ?! _ გაეხუმრა მოლარე ქალბატონს რუსთაველის პროსპექტზე _ შემნახველ სალაროში, 1959 წლის 16 მარტს (წინადღეს!).

1949 წლის 15 აპრილს კინოფილმი უნახავს ჯუზეპე ვერდის შესახებ:

_ გუშინ კინოში ვნახე ფილმი ვერდის შესახებ. წინასიტყვაობაში ნათქვამი იყო ფრაზა: Яркий драматизм Верди. დასამახსოვრებელი ფრაზაა. ჩვენში ხშირად ურევენ პესიმიზმს დრამატიზმთან.

იწყებს პირველი სიტყვის თარგმნას და განმარტავს 1937 წლის რუსულ-ქართული ლექსიკონის მიხედვით: იწერს სინონიმებს, გადატანით მნიშვნელობებს, ამავე ძირიდან ნაწარმოებ სიტყვებს, საკუთარ კომენტარსაც ურთავს:

_ სიკაშკაშე, მცხუნვარება, თვალისმომჭრელობა, სიჩაღე (ჩა-ღი _ გაჩაღება _ გაჩაღებული. ჭაღი სხვაა _ უახლოვდება კი...).

იმავე ლექსიკონიდან ამოუწერია:

_ სკორპიონი _ მორიელი, ღრიანკალი, კარიჭი. ზოოლ.

_ ბეკასი _ ზოოლ. ჩიბუხა, ცხრატყავა. _ და იქვე იხსენებს:

_ მოპასანს აქვს ერთი მოთხრობა _ მონადირის მოგონებიდან. თვითონაც კარგი მონადირე იყო. მონადირე დედალ ბეკასსა ჰკლავს. მამალი ბეკასი კი უცებ დავარდება ძირს და თავს იჭეჭყავს ქვაზე. თვითმკვლელობა არის ქვეწარმავლებშიც და მწერებშიაც. მაგალითად, სკორპიონს შემოუხაზეს წრე ნავთით და წრეს ცეცხლი წაუკიდეს. როდესაც სკორპიონმა გამოსავალი ვერ ნახა, მოიკუმშა და თავის თავი დაიკბინა.

ამ რუსულ-ქართულს ხშირად ათვალიერებდა:

_ Глухарь _ ზოოლ. 1. ყრუანჩელა, ჟრუნო, როჭო. 2. ხუმრ. საუბ. ყრუჩუნა, ყრუალა. ხუთჯერ უნდა გაუმეორო ერთი და იგივე. რა ყრუალაა!

აგრძელებს:

_ ფრინველი ყრუანჩელა კი საოცრად ყრუა სქესობრივი აღტყინების დროს. მონადირემ რომ ყურთან დაუცალოს თოფი, ვერ გაიგებს.

ამავე სიტყვის ძირისეულ მნიშვნელობას უღრმავდება და ერთ სოფელს იხსენებს:

_ ციცხი! მივარდნილი ყრუ სოფელი. აქ ყველაფერი გამოყრუებული იყო. სიცხის დროს გამხმარ სიმინდის ღერებს გაჰქონდათ ყრუ ბგერა. მთელი ქვეყნის რაიმე დიდი ამბავი აქ ყრუ ხმებად თუ მოაღწევდა... თითქო არც ურემს გაუვლია, და თუ გაუვლია, ოდნავ-ღა ჩანს მისი ნაკვალევი (ყრუ-მუნჯი, ყრუ-მუნჯობა, სიყრუე, უფრო ყრუდ).

ყრუ სოფელს მეორედ იგონებს:

_ ციცხი _ მალარიიანი ადგილია, ზეპირგადმოცემით ეს იყო ადგილი, სადაც სასჯელს იხდიდენ სახელმწიფოებრივი ხასიათის დამნაშავეები (ქართველი მეფეების დროს). ბავშობისას წავსულვართ ციცხში მე და დედაჩემი... იყო ზაფხულის ცხელი, გავარვარებული დღე. სიმინდის ყანების ოდნავი ჟრჟოლა. უდაბურება. ორიოდე ღარიბი ქოხი. გრძნობა გამოუსვლელი სიღარიბის.

ერთხელ ორი სტრიქონი ჩაუწერია: «ლისი, ლისი, ქარი ჰქრისო, წოდორეთი ქვას ისვრისო» და ბუნებრივი შეკითხვა დაუსვამს:

_ ლისი _ ხომ არ არის ქარი? _ შემდეგ მოგვითხრობს:

_ წოდორეთი ერთ ვერსზეა დაშორებული ლისს. როდესაც ძლიერი ქარია, ქარი მუშტისოდენა ქვებს ისვრის, _ ასე ამბობს მოხუცი რძის გამყიდველი ლისიდან, _ ლისში

წყალი არ ვარგა, ამიტომ მოაგარაკეები არ დადიან. იქ ეხლა სამოცი კომლია. რამდენიმე 2-სართულიანი სახლიცაა.

_ ვერ გითხარით, თორემა, რძეს რაღაც სიმწარე დაჰკრავდა: როდესაც ძროხა სძოვს მწარე ბალახს, რძეც ისეთი გამოდის, ალბათ ყველიც.

ამ საუბრის შემდეგ იბადება ახალი შეკითხვა:

_ რა ბალახია ლისის მიდამოებში?

ტოპონიმიკურ ძიებებს აგრძელებდა:

_ «ჭყვიში» _ ნიშნავს მწყემსს (მეგრ). ამ არემარეში დარჩენილია მეგრული გვარები.

_ ბუბა სვანურია _ ნიშნავს ძიას.

_ ნიკორწმინდა შეიძლება წარმოდგეს ხარის სახელიდან «ნიკორა».

_ რას ნიშნავს სიტყვა «უქიმერიონი»?

_ ინგირი _ აქვს თუ არა რაიმე კავშირი ამ პატარა მშვენიერ სადგურს სახელწოდებასთან _ ენგური?

_ ახატანი _ ახალტანი? _ აჭა-ტანი? _ ტანა (მდინარეა ქართლში). არის თუ არა ეს სახელწოდება წარმოშობილი ძირიდან ტანი? ა-ხატ-ანი _ შეიძლება წარმოშობილია იგი ძირიდან «ხატი». შეიძლება ნახატარი?

_ მახლობლად კიდევ არის სოფელი ბიწმინდა (ისევე რელიგიური წარმოშობის). ან «ბიცობნი» (солонец), ან _ ბიცი, ბიციანი ნიადაგი, ბიცნარი ნიადაგი, ბიცნარის მცენარეები, ბიცობიანი, ბიცობნარი? მაგრამ აქ არის «წმინდა?» აქვს თუ არა კავშირი ახატანთან?

ეტიმოლოგებს აჯავრებდა:

_ Khajunah _ Кхаджана или Хаджана (ჩვენებურად «ქაჯანა» ა?) _ დარდისტანის ერთ-ერთი მთიური დიალექტთაგანია. ამ დიალექტით ლაპარაკობს ინდოეთის ჩრდილოეთ-დასავლეთის საზღვარის მოსახლეობა. აი ჩვენი მშვენიერი შავი ზღვა. გავყვეთ ბათუმიდან გემს. მივიდეთ კალკუტაში. შორს, ძლიერ შორს, ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთის საზღვარზე არსებობს საუცხოვო მხარე, რომლის სახელია _ «დარდისტანი». დახედეთ, რა რელიეფურადაა იგი აღნიშნული ინდოეთის რუქაზე. დარდისტანის მოსახლეობის ერთერთ მთიურ დიალექტთაგანს კი ეწოდება _ Khajunah _ Хаджана _ ე.ი. ქაჯანა. შენ კი გეგონა, ქაჯან, გაიქე მეზობელთან, ერთი ჭიქა მარილი გვათხოვე-თქო, ქაჯან, სულ ქაჯანა...

_ დარდისტანი ჰქვია სახელადა? მართლა? _ იკითხა გახარებულმა ქაჯანამ, _ რა მშვენიერი სახელია, მასწავლებელო, არა? _ მასწავლებელი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რისი თქმაც უნდა ქაჯანასა. სად გადაიყვანა ინდოეთის ერთ-ერთი კუთხის ეგზოტიკურმა სახელწოდებამ იდეათა ასოციაციით პატარა ქაჯანა!

სიტყვებს დაეძებდა, სიტყვების ტევრში დაეხეტებოდა, სიტყვებზე ნადირობდა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, სიტყვის გიჟი გახლდათ, სიტყვის ტრფიალი: თბილისის ცენტრი აურჩევია _ არაოფიციალური ბირჟა, სადაც ყველაზე მეტი ხალხი ირეოდა: ხელოსნები, მაკლერები, გადამყიდველები, საქმოსნები, უსაქმურები, პენსიონერები, ლოთები, ურიცხვი გამვლელი და გამომვლელი. თაბახის ფურცლის მთელ სიმაღლეზე მოსმენილი სიტყვების ოთხსვეტიანი კოლონადა აუშენებია და ზედ სამსიტყვიანი თაღი დაუსვამს _ «ბერიას სახელობის მოედანზე». მოედნის თუ ქუჩის ამ სიტყვარში ზოგიერთისთვის ლაკონური ახსნა მიუწერია, ზოგიერთისთვის კი _ რითმა,

რაც ამ განზრახვის საბოლოო დანიშნულებაზე მიგვანიშნებს, თუმცა დაუანგარიშებია: 150 слов X4=600 стр. რას უნდა ნიშნავდეს? თითოეული სიტყვისთვის 4 ფურცელი უნდა დაეთმო და 600 გვერდიანი განმარტებითი თხზულება შეეთხზა? მის ჰიპერბოლურ გეგმებს სავსებით შეესაბამება.

ჩასაფრებული იყო და მომენტს არ კარგავდა:

1955 წლის 12 აპრილს ოქროყანაში გაუგონია:

_ ეხლა ცხვრის ამიდია! რა ბალახია?!

მშვენიერი სიტყვა მოუხელთებია: ქრიშობელა.

ყური მოუკრავს: აი შე კურკა წონია (ძუნწზე).

«ვეფხისტყაოსანში» უპოვნია: უცხენმალესი.

მიუმსგავსებია: მესაზიდე, მეურმე. მიეზიდება. არაგვ-დალეული, ორ-არაგვდალეული, არაგვდალეულები. ნებიერი, გუნებიერი (საუბარი).

შეუბრუნებია: მაია-ჭია.

შემოუთავაზებია: Полюс _ კიდო. _ Рессора _ დრეკო. _ Буфер _ ქარამრიდი. _ Сквозняк _ შუაქარი. _ Кантовка _ მოქობვა, მოარშიება. _ ასფალტი _ შავფისი.

თუ გახსოვთ, პოეზიის სექციის სამუშაო გეგმას რომ აზუსტებდა, მაშინ დაგვპირდა:

_ პაპკები (მოვიგონოთ რაიმე ქართული სიტყვა). _ მოუგონებია:

_ საქნარი. ქნარისი _ საქაღალდე, ყდა, მხოლოყდა. ქნარისყდა: ქნარიდა, ქნარითი, ქნარეული, ქნარიდი.

ერთხელაც მიჰბრუნებია ამ ძირს:

_ ბ. გალაკტიონ, როგორაა ქართულად სიტყვა Лира?

_ ქნარი.

_ საოცარია, სომხურადაც ქნარი. ქალიშვილებს ხშირად არქმევენ «ქნარს». საიდანაა ეს სიტყვა?

უზბეკურში წასწყდომია:

_ აქ არის მრავალი მსგავსება ქართულ სიტყვებთან: უთუოდ არა ერთი და ორი სხვა მსგავსი სიტყვები აღმოჩნდება. საჭიროა ამ მომენტზე შეჩერება და კარგად გაცნობა საკითხის საბოლოოდ ამოსაწურავად: საათ _ საათი, თამაშა _ თამაში, ჰაუზ _ ჰაუზი, პიალა _ ფილია, ფარაჯა _ ფარაჯა, არიჰ _ არხი.

რუსულის კალკი შეუდგენია პწკარედის სანაცვლოდ (подстрочник):

_ დავპირდი ლექსებს, სიტყვათ ქვეშა თარგმანები რომ გამიკეთოს.

კვლავ რუსულის შესაბამისად შეუდგენია:

_ ხერკი _ ხერკინა _ Parrotia persica _ Железное дерево _ რუსულად: რკინის ხე.

დაეჭვებულა:

_ ვარგა თუ არა სიტყვა «ხორხისმიერი: _ სიტყვის «гортанный»-ს გამოსახატავად?

რუსიზმებს ეწინააღმდეგებოდა:

_ მართალია გამოთქმა «თანამგზავრი»? სავსებით მართალი გამოთქმაა. ესაა მექანიკური, რუსულიდან გადმოღებული სიტყვა _ Попутчик _ Спутник. ჩვენ ხომ ერთ საკუთარ ნაბიჯსაც არ გადავდგამთ ისე, რომ რუსული ძირი არ მოვიშველიოთ. იქ დაიწყებენ, აქ გადმოვა. გოტიესი არ იყოს: «Башмак по всем ногам»... თანამგზავრობა ეს არის ფეხსაცმელი, რომელიც ყოველნაირ ფეხს მოერგება.

ზუსტად განგვიმარტავდა:

_ მწერალთა ყრილობაზე ვიღაცამ ასე სთქვა: «ამა და ამ ავტორს (დაასახელა ვიღაც) ნახსენები აქვს სიტყვა «კესანე». რა არის ეს სიტყვა მე არ ვიცი. ალბათ რაიმე საინტერესოა». კესანე _ ნახე «კვალი» 1893 წლისა. იქ ბაჩანას ლექსია «კესანე». შენიშვნაში წერია: კესანე _ მთის ყვავილია. «კესანე»-ზე _ სწორედ კესანეზე მთელი ადგილები აქვს ჭოლა ლომთათიძეს თავის ერთ-ერთ ნაწარმოებში ციხის დღიურიდან.

ოჯახში ჰქონდათ ძველი ხელნაწერი «წიგნი ძველთაგან დანატოვარი» _ «სწავლანი სულიერნი ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანე აღმსარებლისა», რომელშიც უპოვნია _ კინოვარი:

_ შალვამ ნახა ეს წიგნი. დააკვირდა კინოვარს და წამოიძახა: აჰ, ეხლა მე მესმის საიდან არის ეს სტრიქონები: «ზოგს ჩაის ვარდი, ზოგს კინოვარი... ყველას რაიმე აქვს სახსოვარი».

სამხედრო ტერმინების მინი-ლექსიკონი შეადგინა _ «სამხედრო ტერმინოლოგიიდან».

ერთხელ სამართლიანად შენიშნა:

_ რატომღაც არ უყვართ ჩვენში ზღვა. სიღარიბეზე საზღვაოსნო ტერმინოლოგიისა. ზღვა არ ეთვისება ჩვენს ბუნებას.

რამდენიმეჯერ მიუბრუნდა ამ საკითხს:

_ საქართველო მდებარეობს ორ ზღვას შუა. მარინიზმი ჯერ კიდევ ვერ გამოხატავს ამ განწყობილებას. «ვეფხისტყაოსანი» არაა მარინიზმი.

– რა ტერიტორია უჭირავს საქართველოს ზღვას? რესპუბლიკები, რომელთაც არა აქვთ ზღვა. ზღვა აფხაზეთისა და აჭარის ფოლკლორში და დამწერლობაში. ზღვა «ვეფხისტყაოსანში». ზღვა და ატომის ენერგია.

პატარა ჩანაწერიც დაგვიტოვა: «ზღვა ქართულ ლიტერატურაში». ამ ხარვეზის შევსებაც სცადა: «ზღვა ახმაურდა», «ოქრო აჭარის ლაჟვარდში», «მშვიდობის წიგნი»:

_ ჩვენი პოეზია, რვაასი წლის დუმილის შემდეგ, ისევ ეხმაურება ზღვას.

«მშვიდობის წიგნი» ყურადღებას იპყრობს არქაიზებული ფორმებითაც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე თევზთა არაკი პოემაში «დიდედას სათვალები» და ლექსი «ათი ქალწული», რომელსაც ადრე ერქვა «სახარებიდან».

არქაიზმები ერთხელაც დაუსაჭიროვებია:

_ იწყო დღემან მიდრეკა. _ მარქვი. _ აღიხილნა თვალნი ზეცად. _ ნამუსრევი. _ განრინება. _ აჰა, ესე რა! _ ესე ხოლო მივის. _ მეყვსეული. _ ძნიად. _ ღაღადყოს. _ გულისხმაჰყო. _ არა არს ჩვენდა მტერ. _ რქვა მას იესო. _ ცეცხლი გარდამოხდეს ზეცით. _ ესმნეს.

«მისამართები პოეზიისა» _ ასე დაუსათაურებია ერთი ჩანაწერი და ქვესათაურიც მიუწერია: «რითმები, ასონანსები, დისონანსები. ახალ-ახალი»:

_ საათი _ ცხრაათი. ცხრაათი, ათათი, რვაათი არის ტეხნიკური თვლა, განსხვავებული ჩვეულებრივი თვლისაგან. ცხრაათი _ 90. სამათი = 30. 1930 _ ათას ცხრაასსამათი. შვიდათორი (=72) _ აგიტატორი... _ ათობითი თვლის დანერგვას და პოეზიაში გადატანას ცდილობდა, ალბათ, პარალელურად, იქნებ ანალოგიურად:

_ არაბულში მარტო ათეულის რიგებია, ქართულში კი ათეულიც და ოცეულიც.

ასეთი ორიგინალური იდეა აკაკი შანიძემაც წამოაყენა, ოღონდ მოგვიანებით (გალაკტიონის ჩანაწერი ოცდაათიანი წლების დასაწყისისა უნდა იყოს). ჩვენი მკითხველი უკვე რამდენიმეჯერ შეხვდა საუკუნის მეცნიერს პოეტთან ერთად. ეს

«შეხვედრა» კი, ეტყობა, დაუსწრებლად და დამოუკიდებლად შედგა და ქრონოლოგიური პრიორიტეტი ამ შემთხვევაში პოეტების მეფეს ეკუთვნის. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს: ათობით თვლის იდეა ჯერ კიდევ ოციანი წლების დასაწყისში შემოგვთავაზეს და-ძმა რუსუდან და გიორგი ნიკოლაძეებმა და, შესაძლებელია, ამ სიახლის პოეზიაში გამოყენებას და გამოცდას ცდილობდა მარადმაძიებელი, რომელიც ენის საუკუნოვან შრეებში იჭრებოდა და დაშტამპულ აზროვნებას უპირისპირდებოდა:

_ უუდიდესი, უუკვდავესი, უულურჯესი, უუნაზესი, უუმდიდრესი. არე-გარე-მარე. ავტო-მოტო-ველო.

არც ზაუმს ტოვებდა უყურადღებოდ: დოვინ, დოვენ, დოვლი.

თითქოს ქართულში მახვილის გაძლიერებას მოითხოვდა:

_ პოეზია უპირველეს ყოვლისა! პოეზია _ არ ვარგა მახვილი ი-ზე, უნდა იყოს ე-ზე _ პოეზია! როდესაც მახვილი ისმება ი-ზე ქართულ ენაში, აქ ეკარგება სიდინჯე (რაღაც ბერძნულ მახვილსა ჰგავს).

სერგი გორგაძის «ქართულ ლექსს» კითხულობს და ავტორიტეტებს უპირისპირდება:

_ ლექსის მუსიკალობა ურითმოდ _ ძნელი წარმოსადგენია. რითმა თავის მხრივ _ უმახვილოდ არ არსებობს (მახვილი აქვს ყოველ ქართულ სიტყვას). მარის მოსაზრება, რომ ერთმარცვლოვან სიტყვებს მახვილი არა აქვს, არავითარ შემთხვევაში სწორი არ არის. ს. გორგაძეც, რომელიც ეთანხმება აკად. მარს, სწორი არ არის. ერთმარცვლოვანი სიტყვებიდან უკვე ლექსები იწერება. მაგ. ჩემი «ქარი ჰქრის».

იქვე უფრო დაწვრილებით აგრძელებს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას:

_ დიდხანს პოეზიაში ბატონობდა აზრი, რომ ქართულ ენას _ სიტყვას _ ძირითადად არ ახასიათებდა მახვილი. პრაქტიკულად ეს აზრი განმტკიცებულია ნ. ბარათაშვილის და გრ. ორბელიანის პოეტიკაში. ისინი ფიქრობენ, რომ რაკი ქართულ ენას მახვილი არ ახასიათებს, საკმარისია თუნდაც სამმარცვლოვანი სიტყვა (მაგ. მე-რა-ნი) შეუთანხმო სიტყვას (მაგ. ყო-რა-ნი), რომ რითმა გამოვიდეს. აქ მჟღავნდება მახვილის უგულვებელყოფა: თითქო მახვილი ამ სამმარცვლოვან სიტყვაში _ სიტყვის პირველ მარცვალს არ ეცემოდეს (მე-რანი, ყო-რანი), არამედ მეორეს (მე-რა-ნი, ყო-რა-ნი), რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის.

კომპოზიტორებსაც კი ედავება _ უტყუარი სმენის პატრონი:

_ არ მომწონდა ის გარემოება, რომ სიმღერაში მახვილი ეცემოდა ანბანს ი-ს (პოეზია უპირველეს ყოვლისა). მაგრამ ეს ადვილი გასასწორებელია, თუ ოთხმარცვლოვანი სიტყვის (პო-ე-ზი-ა) ერთი სიტყვის ნაცვლად იქნება ორი სიტყვა _ ორ-ორ მარცვლოვანი, მაგალითად _ «ჟღერდეს ჩანგი». ძლიერ კარგი იქნება თუ, საზოგადოდ, მუსიკალური მახვილი შეთანხმებული იქნება ქართული გამოთქმის მახვილთან. ქართულ ენაში _ ორმარცვლოვან სიტყვაში (ჩანგი) მახვილი ეცემა პირველ მარცვალს, ოთხმარცვლოვან სიტყვაში კი (პოეზია) _ მეორე მარცვალს _ და ეს ჰქმნის დისონანსს.

მეტი თვალსაჩინოებისა და სიცხადისათვის ქართულს რუსულად ამოწმებს:

_ Эг-арис-да Го-рис-цихе.

მახვილსიტყვაობს კიდეც:

_ Имерло! ნამდვილი имерло!

გოეთეს ქართული თარგმანების წიგნში მახვილები დაუსვამს სტრიქონებზე. აშკარად ჩანს, სარითმო სიტყვებში როგორ სცდება ერთმანეთს მახვილები. გვერდით მიუწერია: მახვილის უარყოფა. გზადაგზა შეუმოკლებია: მუ. შემდეგ მოუნათლავს: მუიზმი, მუ-ისტი. ბოლოს შესაფერისი სახელიც შეურჩევია მთარგმნელის სახელისდა მიხედვით: ხარტონიზმი.

_ მაგრამ ასეთი დიდი საქმის ასე ჩუმად ჩატარება არ შეიძლება! საკითხი დღის სინათლეზე უნდა გამოვიტანოთ, ავწონოთ, დავწონოთ! გავიგოთ რაშია საქმე? როგორ... ბლენა? Среди бела дня!

_ სამასი ასეთი რითმაა. რატომ მაინც და მაინც სამასი? რატომ არა ათი, არა ოცი, არა ოცდაათი, არამედ სამასი? რატომ არა ასი, არა ორმოცდაათი, არამედ სამასი? რატომ არა ორასი, არამედ მაინც და მაინც სამასი? _ იმიტომ რომ... ყოველივე ეს შეგნებულად ჩანადენია! იმიტომ რომ აქ... ეშმაკობაა! აქაოდა ყურადღებას მაინც არავინ მომაქცევსო, მაგრამ... შეიტყვეს, მიაქციეს ყურადღება... აჰანდე!

_ «ქიმერიულ რითმებს» უჭირავს 300+300=600 სტრ., ე.ი. მთელი წიგნის გარითმული ნაწილის ერთი მესამედი (1800:600=3) და ეს სრულიად ახალი ამბავია ჩვენს პოეზიაში. ამიტომ დავარქვი მას «ხარიტონიზმი»...

ტრაფარეტსა და კლიშეს ეწინააღმდეგებოდა, შაბლონსა და სტერეოტიპებს ებრძოდა, სტანდარტულ კონსტრუქციებს ამსხვრევდა:

_ სილაში ვარდი _ სილაჟვარდე. უხილავი ბორკილები. მწარე იავნანა. ალუბლების ღიმილი. სიცილის ქარი. ბებერი ქარი. ელამი მზე. ღამე _ რაღაც მზიანი. სულო უმზეო, მაგრამ მზიანო. სიშორის შენის სიახლოვე. რეკდნენ ცისარტყელები. სიჩუმე მღერის.

ზოგიერთი ლექსი, სტრიქონი, სიტყვაც კი _ ძნელად ასახსნელია, ან _ სრულიად აუხსნელი:

_ მისი უაღრესად ნიუანსირებული სტროფისა თუ ტაეპის თარგმნა პროზის ენაზე შეუძლებელია. და საერთოდ _ თუ პოეზიაში ორიგინალური, მაგრამ ბუნებრივი ხმა მხოლოდ მაშინ იბადება, როცა პოეტი გამოთქმისათვის შესაფერისი ფორმის ძიებისას უნდობლად ეკიდება ყოველ ფრაზას, სიტყვის ყოველ მიმოხვრას (მათთვის ახალი ბუნებრივობის მინიჭების მიზნით), ხოლო საბოლოოდ გაფორმებულ ლექსში ამ უნდობლობის კვალსაც არ სტოვებს, _ გალაქტიონ ტაბიძემ შესანიშნავად იცის პოეტური ალქიმიის ეს საიდუმლოება (აკაკი გაწერელია).

ადრე და ადრე, შთაგონებული და ზეშთაგონებული, ხშირად მიმართავდა აბსტრაჰირებას: კითხულობ და მოგწონს, თუმცა ვერ აგიხსნია _ რატომ, რადგან პოეტური ჭეშმარიტება არ ემთხვევა ლოგიკურს. გგონია, ავტორიც ვერ განგიმარტავდა: არც გაინტერესებს: გაუცნობიერებლად უფრო შთამბეჭდავი და ემოციურია საგანგებოდ და სამუდამოდ დაშიფრული მეტაფორები:

_ დამტვრეული სიფერადის სულით შემოთეთრება.

_ სადაც არავის წაეჩხუბება უკვდავებათა სხვადასხვაობა.

_ სულში გენიით ატეხილი რეკავს ლერწამი.

_ ოცნება, ნახაზი საგანთა უარით.

განსაკუთრებით შეუძლებელია უკანასკნელი ოთხუცნობიანი განტოლების ამოხსნა:

_ შესაძლებელიაო! _ შემომედავა ერთი თამამი ოპონენტი.

_ ოღონდ, ასი პასუხიდან ორიც არ დაემთხვევა ერთმანეთს-მეთქი, _ და შევახსენე: ერთხელ თვითონაც ვერ განმარტა და აკადემიის დერეფანში გულწრფელად გაოცებულმა შესჩივლა ნაცნობებს: აგერ ერთი ახალგაზრდა იმაზე გამინაწყენდა, თითქოს ვიცოდე და არ ვამხელდე, როგორ უნდა გავიგოთ ჩემი ლექსი «სიკვდილი მთვარისაგანო».

_ არის ქმნილება _ ფრიად ღირსეული ქმნილება, _ რომელიც იმდენად რთულია, რომ ზოგჯერ თვით შემოქმედსაც არ ძალუძს შეიცნოს, რას ქმნის (დილან ტომასი).

_ ყველაზე უკეთესი ქმნილება არის ის, რომელიც ყველაზე დიდხანს ინახავს თავის საიდუმლოს (პოლ ვალერი).

_ პოეზია, რომელსაც არ ძალუძს ამაღლდეს უაზრობამდე, მხოლოდ ცარიელი და ლამაზი პოეზიაა (ჟორჟ ბატაი).

_ ზოგიერთ პოეტს აქვს უფლება _ აუხსნელი იყოს (გიიომ აპოლინერი).

_ ჭეშმარიტი პოეზია პოეზიის საზღვრების მიღმა იწყება (ემილ მიშელ ჩორანი).

გალაკტიონის რიტმებიც ქვეცნობიერად იხვეწებოდა და ალაგ პოეზიის საზღვრებს არღვევდა, ალაგ _ მუსიკისა.

თანამიმდევრობის სინტაქსურ ნორმებსაც არღვევდა და ეფექტს აღწევდა: «შენი მე სახება დამდევს თან».

კლასიკური სათაურის წყვილში ზმნას ათავსებდა: «ილიაც ასე: «კაცია _ ჰკვირობდა _ ადამიანი?!».

შედევრის სიტყვა-სათაურს თიშავდა და შიგ წინადადებას ატევდა: «ვეფხის _ დაარქვა მას _ ტყაოსანი» და საუკუნე გააუკვდავა».

სახელსა და გვარს შორისაც კი პოულობდა ადგილს: «სადაც ჯიოტო და ვან დეიკი და ლეონარდო იყო და-ვინჩი».

ქართულ კილოს რუსულ-ფრანგულ-იტალიურ-ლათინურს უნაცვლებდა და უთანხმებდა და ურითმავდა:

აქ _ Да здравствует, да здравствует _
ისმის _ Грузия.

და მეგობრულად ვერსად ვერ გიპოვია თასი.
კმარა, Poevice vereso! რაა სიცოცხლის ფასი.

ყველა შესაძლო თანამიმდევრობას გაითვლიდა ხოლმე^: ცაცხვმა გაადიდა ჩრდილი, ჩრდილი გაადიდა ცაცხვმა, ცაცხვმა ჩრდილი გაადიდა.

ფრაზას სალექსო სტრიქონად ამზადებდა, ვარიაციებს იმეორებდა, ვიდრე საბოლოოს შეარჩევდა და შეეჩვეოდა: მწვადი იწვის თუ არა? ყანწი მოდის თუ არა? ლეკურს უვლით თუ არა? ღვინოს დალევ თუ არა? ზურნას უკრავ თუ არა? ქალები გყავს თუ არა? ქუდი გხურავს თუ არა? _ და იქვე სავარაუდო რითმებსაც ჩამოამწკრივებდა: არ იუარა, ეს მატყუარა, გვერდი ვინ აუარა, და ქვეყანა ყრუა რა, გაავეფხვა-გაიაგუარა.

სიტყვას ალქიმიკოსივით შემადგენელ ნაწილებად შლიდა და რიტმისა და რითმის რეგისტრში ცდიდა:

ატმი-ატმიკუმ, კახ-კახურიკუმ,
ყველი-ყველიკუმ, პური-პურიკუმ,
მწვადი-მწვადიკუმ, შამ-შამფურიკუმ,

რეცეპტი ექსტრა, რეცეპტი პრიმა!

თამაშის ხასიათზეც დგებოდა: აუღია სტრიქონები (არის ქარი, ავი ქარი, თოვლი ცვივა, სევდით კრული, მტკივა გული, გული მტკივა) და:

აფარიფის ქაფარიფი,
ავავიფი ქავარიფი,
თოფოვლიფი სცვივივაფა.
სეფევდიფით კრუფფულიფი
მტკიფივაფა გუფფულიფი,
გუფფულიფი მტკიფივაფა.
არარირის ქარარირი,
ავარირი ქარარირი,
თოროვლირი ცვირივარა.
სერევდირით კრურულირი
მტკირივარა გურულირი,
გურულირი მტკირივარა.

იქვე რუსულად გაუგრძელებია და დაუსრულებია თამაში:

Эцетоцо оцосецень, (Это осень),
Дацалейци процосицинь, (Далей просинь),
Звуцукици соцосецен, (Звуки сосен),
Вецетраца свицист. (Ветра свист).

შიგადაშიგ წმინდა სპორტული აზარტი აიტაცებდა და გაიტაცებდა:

_ საჭირო არის 30 000 ახალი რითმა. ხუთასი რითმისთვის თუ ერთი დღე იქნა საჭირო, მაშინ 30 000 რითმას სამოცი დღე მოუნდება. მაშასადამე: ერთ თვეში 30 000 რითმა! დღეში ათასი!

_ ერთ საათში რამდენ სტრიქონს ვსწერ _ 2 400 _ ერთ საათში!

_ ასი სტრიქონი დღეში. 30 დღეში 3 000. 5 თვეში 15 000 სტრიქონი. 15 000X4=60 000+150 000=210 000.

_ ლექსი დაწერილი ქვიშის საათით _ ათ წუთში. ქვიშის საათის მიხედვით _ 10 წუთში მე დავსწერე ლექსი «ქვიშის საათით ათ წუთში» _ 40 სტრიქონი (ათი ტაეპი _ თითო ოთხი სტრიქონი). მაშასადამე, ერთ საათში _ 60 წუთში _ (40X6) 240 სტრიქონი შეიძლება რომ დაიწეროს, 10 საათში _ 2400.

_ გვინდა 960 ლექსი. გვაქვს 642. მაშასადამე: 318 ლექსი კიდევ გვინდა.

_ 1 000 ლექსი დაწერილი კარანდაშით. 100 დაუმთავრებელი ლექსი. 100, 100 და კიდევ 100 ლექსი.

_ ეს ლექსები დაწერილია 3 საათის განმავლობაში.

_ ეს ლექსი დაიბეჭდა 3 000 წლის წინათ.

როცა სათანადო პირობები ჰქონდა, მეტად მკაცრ გეგმას ადგენდა: დღეებსაც ზუსტად განსაზღვრავდა და სტრიქონების რაოდენობასაც. შეგვიძლია მოვისმინოთ საანგარიშო რეპორტაჟი სამკურნალო კომბინატიდან, სადაც იმყოფებოდა 1945 წლის 19 მარტიდან 29 აპრილამდე, და სადაც, როგორც სჩანს, უფრო მშვიდად და ნაყოფიერად მუშაობდა:

_ უნდა დაიწეროს პოემა არანაკლებ 200 სტრიქონისა _ 22 აპრილამდე. მთავარი ყურადღება ჯანმრთელობას, საზრდოობას. არასგზით არ შეიძლება გადახრა. ძირს ნიკოტინი! ძირს ღვინო!

_ პოემის გეგმა 7 აპრილისავე შეიცვალა. 24 აპრილისათვის დაწერილ იქნეს 1760 სტრ. ამის შესაძლებლობა არის: დღეში არანაკლებ ასი სტრიქონისა.

_ 1/IV. დავწერე ორი ლექსი და განვაგრძობდი პოემას. კარგად მიდის.

_ 2/IV. განვაგრძობ პოემის წერას.

_ 3/IV. განვაგრძობ წერას გეგმით.

_ 4/IV. წერის გეგმა შესრულებულია.

_ 7/IV. ახალი გეგმით _ 200 სტრიქონი დღეში.

_ 8/IV. გეგმა პოემის წერის შესრულებულია დღეისათვის. ასე რომ ყოველდღე ვიმუშაო, ორწელნახევარში (984 დღე) მექნება 196 800 სტრ. გადამრავლებული ორზე = 393 600 სტრიქ. = ჰონორარით = 5 904 000 მან.

_ 9/IV. დღეს დავსწერე პოემის არა ასი, არამედ 400 სტრიქონი. ეს რეკორდია ისეთი, რასაც არ მოველოდი.

_ 10/IV. დავწერე 200 სტრიქონი.

_ 15/IV. გეგმისთვის: მზადაა 1400 სტრ. დამრჩა 360.

_ 16/IV. მივუმატე პოემას 100 სტრიქონი.

_ 17/IV. მივუმატე პოემას 100 სტრიქონი.

_ 18/IV. მივუმატე პოემას 100 სტრიქონი (გეგმა უნდა შევასრულო გადამეტებით).

_ 24/IV. პოემის გეგმა შესრულებულია გადამეტებით. დღეს უნდა მქონოდა 1760 სტრიქ., მაქვს 2 500 სტრიქონი. პოემას დღეს მივუმატე 100 სტრიქ.

ნაყოფიერი დღეებით თავს იწონებდა. ულექსო დღეებს სინანულით აცილებდა:

_ ვიყავი ავად გრიპით, რადგან დავკარგე პალტო და ფეხსაცმელი, თან ცოტაოდენი ფული. და ასე დაიკარგა 10 დღე. ამ 10 დღის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. _ ასე იწყებს 1930 წლის 31 ოქტომბრის დღიურს.

_ დღეს წიგნზე არ მიმუშავნია და ეს არ ვარგა, _ ჩაუნიშნავს 1938 წლის 14 ოქტომბერს.

_ ასე უსარგებლოდ მიდის დღე. _ ჩაუწერია 1941 წლის 26 მარტის დღიურში.

_ არ დამიწერია არც ერთი სტრიქონი. _ მიუწერია მაგიდის კალენდრის 1948 წლის 5 აპრილის ფურცელზე.

_ მთავარი მტერია უმოქმედობა. გუშინ, მაგალითად, არა გამიკეთებია რა. _ ესეც მაგიდის კალენდარზე მიუწერია 1951 წლს 4 იანვარს.

რუსულად გაურითმავს და ქართულად დაუთარიღებია:

Не терять зря
Ни одного погожего дня.
1958. აპრილი.

ხანდახან ტემპს ამოწმებდა: 1956 წლის 27 იანვარს 9 საათიდან 3 საათის დასაწყისამდე რუსული თარგმანები დაუწყვია და დაუმზადებია. დრო და გვერდები ჩამოუწერია: რუსულ-ქართულად (რაკი თარგმნილებს ახარისხებს). ბოლოს ხელსაც აწერს, საკუთარ თავს აბარებს ანგარიშს:

_ Ровно 9 ч. Ровно 50 мин. 10-го. Ровно 30 мин. 11-го. Ровно 35 м. 2 ч. _ სამი საათი იწყება. გეგმა შესრულებულია. გ. ტაბიძე.

უშთაგონებო წუთებში მხოლოდ ანატომია აინტერესებდა ლექსისა. სიტყვათა შეთანხმების სიზუსტეს დროებით უგულვებელჰყოფდა, აზრობრივ მნიშვნელობასაც გამორიცხავდა და მხოლოდ მუსიკალურ მომენტს ამოწმებდა: რიტმს უსმენდა, მახვილებს ანაწილებდა და ამლიერებდა, პირობით ალიტერაციას აკეთილხმოვანებდა, სამერმისოდ ამზადებდა. ისევ შაირის აკორდებს უტრიალებდა, თითქოს გულში ღიღინებდა თავისთვის, თითქოს მოტივსა და სათქმელს შორის საზღვარს ვერც ამჩნევდა (უკითხავს კიდეც ერთხელ: განა მუსიკა აზრი არ არისო?). ასე კომპოზიტორებიც წერენ ხოლმე მუსიკას უტექსტოდ, სახელდახელო მარცვლებს ჩასვამენ და ამას თავიანთ ჟარგონზე «ბალვანკას» ეძახიან (ამჯერად ქართული ანბანის თანამიმდევრობას გაჰყვა):

არბიტრი **ბ**ორბლის **გ**რიალი, **დ**ღე **ე**რთ **ვ**აების **ზ**ორება,
თუჯის **ი**რიბი **კ**რიალი, **ლ**ილაქვის **მ**ედადორება.
ნაადრევ **ო**რფა **პ**ალობის **ჟ**ანგარა **რ**აბი **ს**აგნისი,
ტბა **უ**ქმი, **ფ**ენა **ქ**ალობის, **ღ**ვარი **ყ**რუდ **შ**ენადაგნისი.
ჩადენა **ც**ალამ **ძ**აბრები, **წ**აბლისფერ **ჭ**აში **ხ**ატივი,
ჯაგრამ **ჯ**არარი **ჯ**აბრები, **ჯ**არარი **ჰ**აერატივი.

მეორე გაკვეთილზე ალიტერაციას მეტი ყურადღება მიაქცია, აზრობრივ-ლოგიკურ კავშირსაც:

არის ყრილობა, ყაყანი, ყაყაყაყანი ყანების,
საყანე ანაყაყანი, ყაყანი აყაყანების.
ქვეყანამ იცის, თაყანა, ეს ყორე, ეს საყანეა,
აქ ჩემს ლარს უნდა გაყვანა, იქ კიდევ მურზაყანია.
თაყანა თუ მურზაყანი იძახის დიდი ხანია:
ყვინჩას ეკუთვნის საყანე, ის ყვინჩას მონაყვანია...

დაბალი შაირიდან მაღალზე გადადიოდა. შესაბამისად სინათლესა და სიცხადეს აძლიერებდა, ფუძემონაცვლე სიტყვების ხარჯზე ტრადიციულისაგან განასხვავებდა:

ლეკურ-ლეკურ ითამაშეს, წაიქცევა აგერ-აგერ.
ტაშისცემა გონს უკარგავს, მიაქანებს აგარ-აგარ.
მსოფლიოში გაზეთები მიმოცურავს ნაკერ-ნაკერ.
ნაყარ-ნუყარს ეტანება, ტკბილიაო _ ნაყარ-ნუყარს.

როგორც ვხედავთ, ლექსის მუსიკა იმდენად უსწრებს ლექსის ტექსტს და პოეტური აზროვნების ვირტუოზი ასე ამზადებს კომპოზიტორივით «ბალვანკებს» წინასწარ, თითქოს ტექსტები სხვა ვინმემ უნდა დაწეროს შემდეგ.

ამ მხრივ გალაკტიონის გენია გამონაკლისი არ გეგონოთ:

_ როდესაც წერას დავაპირებ, ხშირად სულში ლექსის მუსიკალური ხატი უფრო ადრე ამოტივტივდება, ვიდრე მისი ნამდვილი შინაარსი, რომელიც ჩემთვის ჯერ კიდევ უცნობია (ფრიდრიხ შილერი).

აქვე პოლ ვალერის ერთი შენიშვნაც მოვიმარჯვოთ:

_ ზუსტად ასევე ვმსჯელობდი პოეზიაზეც, რომელიც თავდაპირველად შესწავლილი უნდა იქნეს, როგორც პირწმინდა ჟღერადობა: უნდა ვიკითხოთ და გადავიკითხოთ იგი, როგორც მუსიკა, და დეკლამაციაში არ ჩავრთოთ არც აზრი და არც რაიმე განზრახვა მანამ, სანამ ზედმიწევნით არ აღვიქვამთ ბგერათა სისტემას, რამაც ლამის არარაობიდან უნდა შემოგვთავაზოს ლექსი.

ტომას სტერნზ ელიოტის ციტატაც მოვიშველიოთ:

_ ლექსი, ან ლექსის ნაწილი, სანამ ის სიტყვიერ გამოხატულებას პოვებდეს, ჯერ კონკრეტული რიტმული რეალიზაციისაკენ ისწრაფვის და შემდეგ უკვე თვით ეს რიტმი წარმოშობს იდეას და ხატოვანებას.

ხორხე ლუის ბორხესის რეპლიკაც მოვიხმოთ:

_ პოეზიაში ყველაზე მნიშვნელოვანია მუსიკა, სიტყვათა ჟღერადობა, აზრი კი შეიძლება გამოირიცხოს, ანდა _ შეიძლება იყოს და არც იყოს.

და გალაკტიონის აღიარებას შევუდაროთ:

_ მე მელოდიას უფრო ვუგდებ ყურს.

იწყებდა «მოთელვით»:

_ რასაც სარაცინი წინად _ ირირირროოპორირო.

_ რასაც ბარბაროსი _ პორირორანინა.

და არჩევანს მერე აკეთებდა (ამჯერად პირველი ამჯობინა: ირი-რირო-ოპო-რირო).

ერთხელ საუბარში გერმანელი რომანტიკოსი დაიმოწმა _ ჟან პოლ რიხტერი (1763-1825), რომელიც თავის რომანებში დახატულ პეიზაჟებს «მუსიკალურ სურათებს» უწოდებდა. შემდეგ მწერლის სიტყვები გაიხსენა: როდესაც მღელვარება შემიპყრობს და მისი გამოხატვა მსურს, მე ვეძებ არა სიტყვებს, არამედ ბგერებსო.

ნუ დაგავიწყდებათ: ამას პროზაიკოსი ამბობდა და პროზაიკოსის ნათქვამს იმეორებს პოეტი.

ხშირად იმეორებდა და იმოწმებდა აგრეთვე «უსიტყვო რომანსების» ავტორის _ პოლ ვერლენისა და მთელი ფრანგული სიმბოლიზმის საპროგრამო ლექსის «პოეზიის ხელოვნების» პირველ სტრიქონს: მუსიკა _ უპირველეს ყოვლისა! აქედან: პოეზია _ უპირველეს ყოვლისა!

პოეზიასა და მუსიკას აიგივებდა, პოეზიას _ უპირველეს ყოვლისა _ აღიქვამდა _ როგორც მუსიკას, მელოდიას, ჰარმონიას.

აპირებდა გამოეცა კრებული ამავე სახელწოდებით:

_ ვფიქრობ წიგნზე ”Art poetique”. ამ წიგნში მინდა შევიტანო ყველა ლექსი, რაც კი დამიწერია პოეზიის ხელოვნების შესახებ.

თითქოს მესამე გზას, ანუ საშუალო ჟანრს ეძებდა:

_ არის პოეზიაში მუსიკა არა ქვების (მალარმე), არა არტიკლების (გერმანელი პოეტები), არა ნიუანსების (ვერლენი), არამედ სხვა _ ნიჭის, ნიჭის და კიდევ ნიჭის. ეს მართალია პარადოქსია, მაგრამ სხვანაირად ვერ ახსნით ამას. სიტყვა არც რომანსია, არც სუიტა, არც ოპერა, _ ამათ ჰყავთ თავიანთი კომპოზიტორები. სიტყვა გამოძახილია მხოლოდ სხვა დიდი მუსიკის, რომლის სახელიც უნდა მოინახოს.

ესეც განუცხადებია კერძო საუბრისას:

_ საგნებს აქვთ თავისი მუსიკა და პოეტმა სწორედ მას უნდა მიაგნოს.

(შეადარეთ ბორხესს: «პოეზიაც მუსიკის სახეობაა» და შეადარეთ ჰაიდეგერს: «პოეზია არის სიმღერა»).

კარგად მღეროდა:

_ მახსოვს, ამხანაგებმა მიმიყვანეს (ეს იყო 1909 წ.) კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილთან, რათა მას გაესინჯა ჩემი ხმა. მან როიალზე ამაღებინა ხმა და

დასასრულ აღტაცებით წამოიძახა: «რა შესანიშნავი, რა სუფთა ალტია». ჩამრიცხა თავის ხოროში.

ფირფიტაც შემორჩა: ნასვამი მღერის საკუთარ ლექსს _ «სახლი ტყის პირად».

ერთხელ ვერის ბაღში «შენ ხარ ვენახი» შემოესმა და აღიღინებულ გოგონებს მიუახლოვდა:

_ იმღერეთ, ბიძიკოებო, იმღერეთ, სიმღერა რომ არა, ყველას შეგვცივდებოდა!..

მისთვის არა მარტო სიტყვის პოეზია არსებობდა:

_ მე დავესწარი სალიტერატურო საღამოს, გამართულს ხელოვნების სასახლეში. წარმოთქვეს სიტყვები, წაიკითხეს ლექსები. მაგრამ მე ვიგრძენი საშინელი სიცხადით, თუ რა მსუბუქი და მჩატეა ყოველგვარი სიტყვა გრძნობათა გამოსახატავად. იოტისოდენადაც არ ხვდება გულს არავითარი რითმა, არავითარი აწეული პათოსი, არავითარი დაფასება. ყოველი ეს მხოლოდ სიტყვებია, რომლებიც ცვივიან უგულო კაკლებივით. არ ვიცი რანაირი პოეზია მოახდენს ეხლა ჩემზე რაიმე შთაბეჭდილებას საზოგადოთ... მაგრამ ჩუმად! სალიტერატურო საღამოზე უცებ პიანინოს მიუახლოვდა ახალგაზრდა კაცი. მან მისცა მუსიკა განცდებს და ყველაფერი ჩემთვის განათლდა. ვიგრძენი ნამდვილი ხელოვნება...

მუსიკის უპირატესობას ეთანხმებოდა:

_ ტოლსტოის ძალზე უყვარდა მეხუთე სიმფონია. მუსიკა, აი ნამდვილი ხელოვნება. შეიძლება ერთადერთიც.

თავდავიწყებას ეძლეოდა:

_ მე კარგად აღარ მახსოვს ეხლა, რამ მოახდინა იმ საღამოს ჩემზე შთაბეჭდილება. მე მგონია ეს იყო ნაწარმოები შტრაუსის. მაგრამ შეიძლება მე ვსცდები და სასწაულთმოქმედმა ნიკიშმა გააცოცხლა წინანდელ დროთა ერთ-ერთი შედევრთაგანი. ჩემს ცხოვრებაში შემოიჭრა რაღაც ახალი. მე მომეჩვენა, რომ სადღაცა გაიღო კარი და მე ვიწრო მოღუშული სარდაფიდან განვთავისუფლდი და ყველგან, სადაც კი მისწვდება მზერა, იყო მზე, მოძრაობა და სინათლე.

დიმიტრი არაყიშვილი მოგვითხრობს:

_ ერთხელ საღამოთი გალაკტიონი მესტუმრა. ვერ გამეგო თუ რა შეემთხვა, ვინ რა აწყენინა, მაგრამ ძალზე აღელვებული მეჩვენა. ან სდუმდა ან მოკლედ პასუხობდა ჩემს შეკითხვებზე. მთხოვა რაიმე დამეკრა. მეც მივუჯექი როიალს და დავიწყე იმპროვიზირება... გალაკტიონი ხმაამოუღებლივ მისმენდა. ცოტას რომ შევისვენებდი, მთხოვდა: _ კიდევ, კიდევ რამე დაუკარი! მეც გატაცებით ვუკრავდი. ამასობაში შუაღამემ მოაღწია. დავიღალე და დაკვრა შევწყვიტე. შევხედე გალაკტიონს და გავოცდი: მხიარულად გამოიყურებოდა. თვალები უბრწყინავდა. გადამეხვია, მაკოცა, საწერ მაგიდას მიუჯდა და წერა დაიწყო. ორიოდე წუთში ექსპრომტად შეთხზული ლექსი მომაწოდა:

> მსგავსი რამ მე არ მსმენია, ეს ხმაა მზისა და ჩრდილის,
> მასში ხმოვანებს გენია, გენია არაყიშვილის.
> იგი სულია ივერთა, სიმშვენიერის შიშველის,
> ბრძოლისა და სიყვარულის, ხმათა მათ გაუთიშველის.
> მადლობა, დიდი მადლობა... ქართულმა ხმებმა მიშველეს...

1912 წელს ქუთაისს ეწვია სახელგანთქმული გუბერმანი, რომელიც პაგანინის ვიოლინოზე უკრავდა. პირველი განყოფილების დამთავრებისთანავე დარბაზმა ოვაციები გაუმართა პოლონელ სტუმარს. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ახალგაზრდებმა. ოცდაერთი წლის გალაკტიონ ტაბიძემ კი იმდენად ემოციურად გამოხატა თავისი აღტაცება, რომ მაყურებლებში პოლიციელი შეიჭრა და აღფრთოვანებით თავდავიწყებულ პოეტს უბრძანა ტაში შეეწყვიტა. ხოლო როდესაც ამ უკანასკნელმა თავი მაინც ვერ შეიკავა, ჩაავლო ხელი ქეჩოში და პოლიციაში მიაბრძანა. პიროვნების პირად ცხოვრებაში ასეთი უხეში ჩარევის გამო უკიდურეს აღშფოთებას გამოთქვამს 1912 წლის 17 აპრილის გაზეთი «ზაკავკაზსკაია ჟიზნ» და გვეკითხება: ნუთუ თეატრის კედლებში ტაში მხოლოდ პოლიციელის ნებართვით უნდა დავუკრათო, _ ხოლო მას შემდეგ პოეტის სტრიქონებში ვიოლინო ანუ სკრიპკა განუწყვეტლივ ტირის და კვნესის.

1936 წლის 24 ივლისს მოსკოვში ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონიის შთაბეჭდილება ჩაუწერია. მეტად თავისებურად «წაუკითხავს» შედევრი: ეს ჩანაწერი კლასიკურ მელოდიასავით სასიამოვნო მოსასმენია:

«იწყება ნელა. შემდეგ შორი ექო. რამდენი ნაზი სიყვარულია. იზრდება ჰანგები. ნელი პიანო. რაკრაკებს ნაკადული. უერთდება მას მეორე ნაკადი. უცებ ორივე შეწყდა, თითქოს მიწაში დაიკარგა და ამოვიდა ისევ ნელა პიანო-თი სხვაგან. ბულბულების გახმაურება. ნელი ქარი იზრდება. იზრდება, იზრდება და აი ფორტე... ისევ პიანო _ მშვიდი გამოხმაურება, უნაზესი ლირიკა პოეტის მიუსესი. ისევ პროტესტია? ხმა სადღაც დაიკარგა და ამოხეთქა პიანო-მ. იზრდება ფორტეთი. ტრელი. ნელი ვალსია? ცელქი ქარი გიჟურად დატრიალობს. გიჟური ცეკვა, იდილიური დაწყება პასტორალისა.

დასვენება. სინელე მწუხარე პროცესიის. სოლო გულსაკლავი ვიოლონჩელოსი, რომელსაც აჰყვა სკრიპკა, შემდეგ სხვა და მთელი ორკესტრი... ჰანგები ერთმანეთში ხვეულებად იხლართებიან, სტირიან, თუ იგონებენ?

სიხარულის ცეკვა... «რა ლამაზად გიხდება ეგ ჟუჟუნა თვალები»...

როგორც ხედავთ, პირწავარდნილი მელომანია. უაღრესი ჰარმონიის ტრფიალი.

ალბათ ამიტომაც ვერლიბრს დაუმთავრებელს უწოდებს:

_ ბავშიც კი შეამჩნევს, რომ ჩემი «ჯონ რიდი» დაუმთავრებელი ნაწარმოებია.

მარინა ცვეტაევაც ეთანხმება:

_ Белые стихи _ за редчайшими исключениями _ кажутся мне черновиками, тем, что ещё требует написания, одним лишь намерением, не более.

_ А «свободный стих" это _ слюна, на которую обращаешь внимание только тогда, когда она _ бешеная, _ аграмделебს და უდასტურებს ბორის პასტერნაკი.

სხვათაშორის, «ჯონ რიდის» «დამთავრება» უცდია: აუღია საერთო რვეული და ყოველ კენტ გვერდზე მარჯვნივ ზემოთ პოემის პირველი 71 სტრიქონი მიუწერია ცალ-ცალკე იმ ტაეპამდე, სადაც თავისუფალ ლექსში რითმა გამოერევა, რაც გვაფიქრებინებს: გაშლას და გარითმვას აპირებდა. ეტყობა, ჭკუაში აღარ დაუჯდა და თავი შეიკავა. სამართლიანადაც შეიკავა: «ჯონ რიდი» თავისუფალი ლექსის შესანიშნავი ნიმუშია. ოპონენტების გადასარწმუნებლად დაწერის თარიღს მოვიშველიებ: 1915-1926 წლებში მხოლოდ შედევრებს წერდა, ჩვეულებრივებს «არ კადრულობდა»!

რაკი სიტყვამ მოიტანა, ბარემ გავბედოთ და შევნიშნოთ: გალაკტიონის თავისუფალი შედევრები მაინც მეორეხარისხოვანი შედევრებია და ალბათ _ ვერლიბრით მხოლოდ მეორეხარისხოვანი შედევრი შეიძლება დაიწეროს.

მისი პოეზია უაღრესად მელოდიურია, მისი მელოდიები _ მეტად მრავალფეროვანი, პოლიფონიური, როგორც ქართული სიმღერები: «კოსმიური ორკესტრის» ასორმოცდაოთხ სტრიქონში თვრამეტჯერ იცვლება რიტმი, თორმეტნაირი მეტრი ენაცვლება ერთიმეორეს და ისე ენაცვლება ერთმანეთს პოეტური და მუსიკალური საწყისები, რომ ზოგჯერ გაგიჭირდებათ კიდეც ზღვარის გავლება... და იბადება სავსებით ბუნებრივი შეკითხვა:

_ ნუთუ სიტყვიერ ხელოვნებას მართლა შეუძლია, გადაურჩინოს მუსიკას ამდენი მელოდია, ამდენი ინტონაცია?! (ბიძინა კვერნაძე).

დაუწერია კიდეც: სიტყვები და მუსიკა გალაკტიონ ტაბიძისა.

აკორდისა და სტრიქონის მიჯნაზე იწყებდა:

_ მუსიკის აკორდი სრულ ხმოვანებას როდის აღწევს? იწყება ეს მუსიკა ნელა (იხ. ამის შესახებ ლექსი რჩეულში, განსახიერება ამისა «მთაწმინდის მთვარე»-ში). იწყება უბრალოდ (იხ. დაწყების შესახებ ვ. ბარნოვის წერილი «იწყება მიამიტად»).

წაურუსულებია:

_ Есть поэты, которые поют с закрытым ртом.

_ Есть ласкающее, ускоряющее ударение, акцент.

_ Нет разбитого аккорда, а есть аккорд, взятый так, что все звуки его звучат одновременно.

_ Я не избегаю иногда острого, пронзительного, высокого звука.

_ Настала пора, когда поэзия должна звенеть более удобно, более спокойно, более медленно, и значит, более величественно.

ნოტებიც ბევრჯერ დაუხაზავს და შეუვსია.

ერთი აუხდენელი ოცნება დარჩენია:

_ ვოცნებობ ერთ პიანინოზე... _ ბინაში საჭიროა _ მუსიკალური ინსტრუმენტი (კომპოზიტორებისათვის)... _ «სამი პალმა», როიალი. ნოხი _ აუცილებელია... _ მუსიკისათვის სპეციალურად ვყიდულობ პიანინოს...

ჟანრებსაც აზუსტებდა: სიმფონია, ნოქტიურნი, ორატორია, ფანტაზია, რაფსოდია...

გარდამავალიც სცადა: რომანსი, სერენადა, კანტატა, ჰიმნი, პოემა-ორატორია.

ზოგჯერ პირდაპირ ასათაურებდა: მუსიკა, მუსიკა _ უეცარი, მუსიკალური ფანტაზმა...

ლექსები კომპოზიტორების ყურადღებას თითქოს აღარც საჭიროებენ, ანკი ნოტებზე როგორ გადაიტან თავისთავად მუსიკას?! _ დიდი-დიდი აკომპანიმენტის მანძილზე მიუახლოვდე: შავით შემოსილხარ, როგორც ელეგია... ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის...

_ მე არ ძალმიძს გალაკტიონის მუსიკისმაგვარი მუსიკის შექმნა. მაღალი პოეზიისათვის დამახასიათებელი მუსიკალობა ხელს მიშლის, მბოჭავს, მიზღუდავს იმ თავისუფლებას, რომლის გარეშე ჭეშმარიტი შემოქმედება ვერ წარმომიდგენია (გია ყანჩელი).

არადა, სწორედ ამ მოუხელთებელი ქარის ეს უკარება არპეჯიო გაუხმოვანებია უნებლიეთ (ვითომ უნებლიეთ!) სწორედ ამავე გია ყანჩელს და არა სხვა ვინმეს:

_ ჩემი ქალიშვილი, რვა წლისა რომ იყო, ერთხელ მუსიკის გაკვეთილიდან ატირებული დაბრუნდა. თავს უხერხულად გრძნობდა იმის გამო, რომ მასწავლებელმა დააბარა, ნატასთვის რაიმე პატარა პიესა დამეწერა, რომელსაც იგი მუსიკალური სკოლის კონცერტზე შეასრულებდა... მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ერთხელ ჩემი ქალიშვილის სკოლისდროინდელი რვეული ვიპოვე და დავიწყებული «ნატა-ვალსის» მელოდიის დაკვრა დავიწყე. ჩემდა გასაკვირად, გავიაზრე, რომ პირველი ფრაზის რიტმი ემთხვევა გალაკტიონ ტაბიძის ერთ-ერთი შედევრის «ქარი ჰქრის» პირველ სიტყვებს. გადავშალე წიგნი და გონებაში «მივამღერე» დანარჩენი სტრიქონებიც. აღმოჩნდა, რომ მთელი ლექსი, ყოველგვარი შესწორების გარეშე, ემთხვევა მუსიკას. ძალიან კარგად მესმის, რომ ეს უბრალო ბედნიერი დამთხვევა იყო, მაგრამ მაინც, როგორია, როცა ასეთ რამეს მხოლოდ მეოთხედი საუკუნის შემდეგ აღმოაჩენ?

ძნელია და შეუძლებელი ტემბრი შეუცვალო იმ რიტმს, დაწერისთანავე რომ დაჰყვა ამ სტრიქონებს: იმ ვარდისფერ ატმებს მოვიგონებ კვლავ... იმგვარადვე მდევ... იმგვარადვე მკლავ...

და კიდევ უფრო ძნელი და შეუძლებელია სხვა ენაზე გადაითარგმნოს უკიდურესად ჰარმონიული მელოდიები: შეხება სახიფათოა, მაღალი ძაბვის დენივით სახიფათო:

_ ყველამ უნდა ირწმუნოს, რომ ლექსის ბორკილებში მომწყვდეული ჰარმონიის გადათარგმნა სხვა ენაზე, ამ ჰარმონიის დარღვევის გარეშე, შეუძლებელია (დანტე).

მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილივით გუგუნებენ აჩქარებული მატარებლის ტაქტები. ისინი უსასრულობისაკენ განუწყვეტელი სწრაფვის განცდას ამძაფრებენ და თავდაპირველად ისე გეძალებიან, ძნელია თავი შეიკავო ხშირი ციტირებისაგან, ბოლოს კი _ მესამე შემთხვევაში _ მოულოდნელად მუხრუჭდებიან და უცებ შეწყვეტილი ტოკატის სასიამოვნო ეფექტს ქმნიან:

მიჰყე, გაუგონე ბორბლებს სიარული,
არის საუკუნე ინდუსტრიალური.

მესმის რულში, ერთხელ გაიბზარა რა,
მატარებლის: რა-რა-რა-რა, რა-რა-რა.

ორთქმავალი სტვენს. შენ კითხულობ ტვენს.
გადააგდე ის, გაიხედე წინ...
ბუჩქს შარფივით ბოლს ორთქმავალი ჰფენს
და გაისმის თან: რა-რა-რა-რა, ძინ!

ეს სტრიქონები გვარწმუნებენ, რომ გალაკტიონის ქართულში სრულფასოვანი მახვილი არსებობს. თითქოს ამ მახვილის არსებობა მხოლოდ მან იცის, თითქოს ეს ჰარმონიული შედევრები ბგერების ქაოსისაგანაა შექმნილი და არა სიტყვების ქაოსისაგან. ხშირად ტაეპი ტექსტის მნიშვნელობას კარგავს და აღიქმება, როგორც მელოდია:

გუგუნებს თერგი, ხმაურობს თერგი,
მზე ჩავა, ჯერ კი შორსაა ბინდი...

ფერების ჭევრი ირევა ბევრი,
ლალების ტევრი _ ლილა და შვინდი...
ყაზბეგის შუბლი შემოსეს ღრუბლით,
და ცა ალუბლით სავსეა... კმარა...
ყვავილთა ციდან კალათებს ცლიდენ,
დარიალიდან ზარავდა ზარა.

ალაგ-ალაგ მუსიკა უფროა, სიტყვებით დაწერილი მუსიკა:

მიჰქრის დალალგადაყრილი: დოვინ, დოვენ, დოვლი...
თოვლი, ფიფქი და აპრილი, ვარდისფერი თოვლი.

მოდიოდი, როგორც მკვდარი,
როგორც მკვდარი სანანი,
ქროდა ქარი.
თრთოდა იასამანი.

ალბათ ჰარმონიის სამყაროსთან ქართული სტრიქონი ასე ახლოს არასოდეს მისულა:

სარკოფაგიდან დგება მუმია. რა სიჩუმეა.
ჰაერი ლურჯი აბრეშუმია.

_ თქვენ ისე ახლოს მიდიხართ პოეზიის ნაპირთან, რომ საშიშია მუსიკის მდინარეში არ გადაიჩეხოთ. _ გააფრთხილა ერთხელ თეოდორ დე ბანვილმა პოლ ვერლენი.

_ პოეზია, რომელიც არ მიდის უფსკრულის პირად, ისევე ნაკლები ყურადღების ღირსია, როგორც ყოველივე, რაც იმ უფსკრულში ჩაიჩეხება. _ თითქოს ვერლენის მაგიერ უპასუხა გალაკტიონმა.

_ შენ ლექსისაგან მოითხოვ იმას, რისი მოცემაც მხოლოდ მუსიკას შეუძლია. _ უსაყვედურა ცვეტაევას ბალმონტმა.

გალაკტიონი არა მარტო მოითხოვდა.

ლექსი უპირატესად ბოლო სტრიქონებისათვის იწერება, უპირატესად ბოლო სტრიქონები იწერება თავდაპირველად. ლექსის მუსიკაც დასასრულიდან იღებს სათავეს. საყურადღებოა ამ მხრივ რხევის ამპლიტუდა საოცრად პოლიფონიური «კოსმიური ორკესტრის» ფინალური რიტმისა: ანაზდად მესამე ტაეპი იკვეცება, სარითმო ქორე მარცხნივ გადაინაცვლებს, სუსტდება და ქრება (იყო... იგრძნო... იგი...), მარჯვენა პეონი მხოლოდ ბრუნვას იცვლის (სერაფიმი... სერაფიმმა... სერაფიმი...), მაჟორი მოულოდნელად ცხრება, თანდათან გადადის მინორში, მშვიდდება, იღვრება, იშლება, იფანტება, როგორც რკალები წყალზე ანდა უვერტიურა ბეთჰოვენის მთვარის სონატისა... და უცებ (არა!) მძაფრი დაქტილური რეფრენი, რომელიც ადრე სრული სახით მეორდებოდა, მერე კი _ ფრაგმენტული ვარიაციებით, _ ჯერ კვლავ ნაწილობრივ შეგვახსენებს თავს, ხოლო შემდეგ _ სათაურისა და საერთო განწყობილების შესაბამისად _ ერთხელ კიდევ გაისმის მთლიანად და უკანასკნელად, როგორც ბოლო აკორდი შთამბეჭდავი ორატორიისა:

სიჩუმეა და შორით შორს
ისმის, როგორც წვიმა,
მხოლოდ ერთი სიმი...
იყო სერაფიმი?

იგრძნო სერაფიმმა
იგი სერაფიმი?
არა! ეს მსოფლიო
. . . . . .
მსოფლიო ნგრევათა
კვლავ მოწმე გავხდებით!

აქ დროული იქნება ერთი შემთხვევა გავიხსენოთ: 1942 წლის 4 მაისს გერონტი ქიქოძე შეხვედრია შაითან ბაზარში და დაჰპირ-ებია _ შენს განზრახულ საღამოზე შესავალ სიტყვას ვიტყვიო, მაგრამ ორი დღის შემდეგ გადაუფიქრებია და მეტად საგულისხმო საბოდიშო წერილი მიუწერია:

_ ეს ორი დღეა თქვენს ლექსებს ვკითხულობ და ვრწმუნდები, რომ ჩემი აღთქმის შესრულება გამიჭირდება. თქვენი ლირიკა ჩემზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქო თქვენ გქონდეთ რაღაც მეექვსე გრძნობა, რაღაც ზეგრძნობა, რომლითაც თქვენ სამყაროს ითვისებთ. თქვენი მიდგომა მოვლენებისადმი იმდენად თავისებურია, იმდენად მოულოდნელია, რომ შეუძლებელია მისი ახსნა ჩვეულებრივი მეტყველებით. ან კი რა საჭიროა ეს? ყოველი ცდა თქვენი პოეზიის პროზაული ენით ამეტყველებისა, ინტერპრეტაციისა გატლანქების, გავულგარების შთაბეჭდილებას შექმნიდა გონებაგახსნილ მკითხველში და მის პროტესტს გამოიწვევდა. საუცხოოა ეს აზრის და გრძნობის თითქმის მიუწვდომელი ნიუანსები, ეს ცდა ამქვეყნიური ტლანქი სინამდვილიდან სხვა ქვეყანაში გადასვლისა. რას უშველის აქ ადამიანს ეგრეთწოდებული ლიტერატურისმცოდნეობა? იმის თქმა, რომ ეს სიმბოლიზმია, ეს მისტიციზმია, ეს ინდივიდუალიზმიაო, _ არაფრის თქმას ნიშნავს. ჩემი აზრით, თქვენი ლირიკის საუკეთესო ინტერპრეტაცია მუსიკალური პიესებით შეიძლებოდა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპოზიტორი თქვენი მონათესავე სულით იქნებოდა აღჭურვილი და მას სულით სულში ჩახედვის ნიჭი ექნებოდა. ამ უკანასკნელ დროს ორ მუსიკალურ საღამოს დავესწარი. ერთზე ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიას ასრულებდნენ, ხოლო მეორეზე მისივე ექვს პირველ სონატას. ორივე საღამოზე ერთმა ლექტორმა შესავალი სიტყვა წარმოსთქვა. ეს სიტყვები თავისთავად არ იყო ურიგო. მაგრამ როგორც მე, ისე უმეტეს მუსიკისმცოდნეებს ისინი ზედმეტად ეჩვენენ. თუ ადამიანი დაბადებით ბრმაა, რაც უნდა მჭერმეტყველი იყოს თვალხილული, მას ფერების თვისებას ვერავითარი მსჯელობით ვერ აუხსნის; ხოლო თუ ადამიანი თვალხილულია, რა საჭიროა მისთვის ფერების ახსნა? როგორც ნამდვილ პოეზიას, ისე ნამდვილ მუსიკას ადამიანი უშუალოთ, გრძნობით ითვისებს და მათ კომენტარები არ სჭირდება.

ამ ერთგვერდიან პირად წერილში, მოკლედ, მაგრამ არსებითად არის დახასიათებული გალაკტიონის ლირიკა, მისი ძირითადი ნიუანსები, მუსიკალური საწყისის პრიმატი, სიღრმე და მიუწვდომლობა. ყოველივე ეს ადრესატსაც კარგად შეუმჩნევია: ერთ-ერთ ჩანაწერში, რომელსაც ცოტა ქვემოთ გავიხსენებთ, და რომელშიაც საკუთარი პოეზიის მუსიკალურ მომენტებს აკონკრეტებს, ოცდამეექვსე საკითხად დასახელებულია: «გერონტი ქიქოძის წერილი».

ლექსის მუსიკას განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდა. სმენა კი აბსოლუტური ჰქონდა. ერთი ნიშნით თუ დავახასიათებთ, სწორედ მუსიკის უპირატესობას უნდა გაესვას ხაზი: რიტმების სიმრავლეს, სიახლეს, მრავალფეროვნებას, მონაცვლეობას.

ზოგიერთი მისი ლექსი ზეპირად აღარ მახსოვს, და როცა დამჭირდება, როგორც მუსიკოსები იხსენებენ ხოლმე რომელიმე მოტივს ფორტეპიანოზე ან გიტარაზე და წაიღიღინებენ, _ ისე აღვადგენ ხოლმე ჯერ ლექსის მელოდიას და შემდეგ ვეძებ და ვპოულობ ტექსტს.

_ პოეზია ძლიერ ახლოა მუსიკასთან.

_ მუსიკა უპირველეს სოლოს თამაშობს ლექსში, განსაკუთრებით _ ქართულ ლექსში.

_ განსაკუთრებით ლექსის წერის დროს ვარ სიმღერის ხასიათზე. ლექსს ჯერ გონებაში გავმართავ მუსიკალურად, ჩემთვის დავამღერებ კიდეც და გადამაქვს ქაღალდზე. თუ ქაღალდზე გადატანის შემდეგ არ მომეწონა ლექსის მუსიკა, მაშინვე უკან ვუბრუნდებიო, _ უთქვამს შალვა რადიანისათვის.

დააკვირდით: მუსიკით იწყებს და მუსიკით ამთავრებს: თუ ლექსის მუსიკა არ მომეწონაო! ამიტომაც სჭარბობენ მის ვარიანტებში რიტმისმიერი ვარიაციებიც.

არც ეს უნდა იყოს შემთხვევითი: პირად ბიბლიოთეკაში მდიდარი მუსიკალური ლიტერატურა აღმოაჩნდა _ უპირატესად რუსულ ენაზე: კარლ ნეფის _ «დასავლეთ ევროპის მუსიკის ისტორია», ლივერი საკეტის _ «მუსიკის ისტორია», «მუსიკალური ტერმინების ლექსიკონი», «მუსიკალური განათლების საფუძვლები», «ვიოლინოზე დაკვრის დაწყებითი სწავლება», აგრეთვე ცალკეული ნარკვევები ბეთჰოვენის, ბრამსის, შუბერტის ცალკეულ ნაწარმოებებზე.

არც ესაა მოულოდნელი: ამოუწერია, უთარგმნია და დაუკონსპექტებია რუსულ ენაზე დაბეჭდილი წინასიტყვა და პირველი თავი ფრიდრიხ ნიცშეს ნარკვევისა _ «ვაგნერიანობის საკითხი (მუსიკალური პრობლემა)».

ასეთი განაცხადიც ბუნებრივია:

_ გთხოვთ ნება დამრთოთ, რათა კვირას, 22 მაისისთვის სახელმწიფო თეატრში გავმართო პოეზიის, მუსიკის, დრამისა და მხატვრობის საღამო.

ასეთი შეკითხვა-პასუხიც:

_ მუსიკა კაცს როგორ არ უნდა უყვარდეს _ ცხოველებსაც კი უყვართ.

ასეთი ჩანაწერები და ჩანიშვნებიც:

_ მუსიკალური მომენტები. _ მუსიკალური საწყისები. _ მუსიკალური ტერმინები. _ მუსიკალური პაუზა. _ მანიფესტი მუსიკალური.

დაბოლოს ასეთი რჩევაც ბუნებრივია:

_ მე კი მგონია, რომ უმჯობესი იქნებოდა ასეთი საღამო მხოლოდ თქვენი ლექსების კითხვით და მუსიკალური პიესების შესრულებით განსაზღვრულიყო (გერონტი ქიქოძე).

საყურადღებო ჩანაწერია «მუსიკალობა». იგი ოცდაათი ტაქტისაგან შესდგება. მათ შორისაა: პოეზიისა და მუსიკის სიახლოვე _ ლიტერატურული თეორიების მიხედვით. თავისუფლება ლექსისა _ ძალდაუტანებლობა _ სიახლოვე მუსიკასთან. რითმა, როგორც მუსიკალობის ერთ-ერთი გამოხატულებათაგანი. რეფრენის როლი პოეზიის მუსიკალობაში. არა უაზრობამდე მისული მუსიკალობა, არამედ გონიერი, საღი. ხმოვანების დაცვის აუცილებლობა ქართულ ლექსში. თეთრი ლექსისა და დატეხილი უწყობო ლექსების დამარცხება. ქართული მუსიკის ბუნება და მისი გადატანა პოეზიაში. თვით ქართული ბუნება, მისი ხასიათი და მისი გადატანა პოეზიაში. ტემპერამენტის როლი მუსიკასა და პოეზიაში.

ცალკე უნდა გამოვყოთ ბოლო ოცდამეათე:

_ არა ლექსი სიმღერისათვის, არამედ სიმღერა ლექსისათვის: აქედან _ ბევრი ჩემი ლექსი არ გამოდგება რომანსად, მაგრამ მელოდია ეფარდება და შველის ლექსს.

მეოთხე ასე იკითხება:

_ აკაკი წერეთლის აზრი ჩემი ლექსების კითხვის შესახებ _ როგორც გასაღები დებულებისათვის: ქართული ენა უაღრესად მუსიკალურია.

ამ თვალსაზრისითაც ენათესავება აკაკის.

სხვა დროსაც უბრუნდება ამავე საკითხს:

_ სწორედ იმ საღამოს მკითხა აკაკიმ: «ახალგაზრდავ, თქვენ რაჭველი ხომ არა ხართო». მას მოეწონა ჩემი ლექსების მუსიკალური კითხვა და მოუნახა მას ეროვნული საფუძველი.

და სწორედ პოემა «აკაკი წერეთლის» ავტოგრაფზე მიუწერია:

_ მთელი ძალღონით ბრძოლა არაბუნებრივობასთან. გადასვლები _ ლბილი, მუსიკალური, ბუნებრივი. შემცირდეს სიტყვათა განმეორება. შემოკლდეს რიცხვი სიტყვებისა «ხალხი». არ უნდა იქნეს ბევრი «და».

ბუნებრივობისათვის იღწვოდა, ბუნების წიაღში დაეძებდა ხმებს, ქალაქის ხმაურშიც აღმოაჩენდა ხოლმე:

_ ჩვენს ბაღში დღეს აჭიკჭიკდა გაზაფხულის პირველი მერცხალი... დავწერე ლექსი «მერცხალი» (იმ მერცხალზე, ჩვენს ბაღში)... რა უნდა ტფილისში ბულბულს? დღეს, საღამოთი, ჩვენს ბაღში ბულბული სტვენდა, ნამდვილი ბულბული!

ფრინველების გალობას აყურადებდა, ანსხვავებდა, ახასიათებდა:

_ მწიფობელა. უცხო ფრინველია. მისი ხმა საოცრად განირჩევა სხვა ფრინველების ჟივილ-ხივილში, როგორც მოულოდნელი ბგერა, სასიამოვნო მოულოდნელობა. ის იძახის «გუ-გუ», მაგრამ სად მისი ხმის ტემბრი და სად გუგულის. მწიფობელას ხმა გულიდან მოდის, მდიდრული ტემბრი აქვს, ხავერდოვანი ტემბრი, სასიამოვნო ტემბრი, გულში ჩამწვდენი ტემბრი.

_ ბულბულები _ გალობენ განსაკუთრებით ივნისის დამლევს, ცისკრისას. უყვართ წვიმიან ღამეებში სიმღერა. მაგრამ ჩვენში, მახსოვს, ბავშობისას, იგი გალობდა მთელი ღამის განმავლობაში და მეტად მყუდრო უღრუბლო ამინდში. გალობს უმთავრესად მამალი ბულბული. დედალი კი არ გალობს, როდესაც კვერცხებს აზის, რა ეგალობება!

_ ღამის ორ საათზე მატარებელი გაჩერდა რომელიღაც ტყეში რაღაც მიზეზით. კუპეში რომ ყველას სძინავდა, ტყეში ბულბულების შეჯიბრება იყო გამართული. ეს იყვენ ნამდვილი ბულბულები. რამდენი ხანია არ გამიგონია მათი დიდებული სტვენა!

წვიმის მელოდიასაც უსმენდა: «გამოვიდეს რომელიმე ვაჭარი და ამ წვიმის პოეზია უარყოს!»

«ხმათა მიბაძვა» _ ლირიკული ჟანრის მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ტერმინს და წარმატებით იყენებდა. ტყეში შთაგონებულივით და ტყეში წასაკითხად დაიწერა თითქოს ეს პატარა «გაზაფხული»:

მარინა, მარინა, ა,
რა ლურჯად კამკამებს ცა.
მარინა, მარინა, ე,
რა წყნარად შრიალებს ტყე.
მარინა, მარინა, უ,

რაკრაკით გეძახის რუ.
მარინა, მარინა, ო.
იმღერე, შენია დრო.

როგორც «იტყოდა ზარატუსტრა» ანუ როგორც ნიცშე ამბობს, «სევდიანი ქარებისაგან ბგერათა სევდა ისწავლა»:

ქარი დაცხრა სიბობოქრის...
ქარმა ბუდიდან ყვავის ბახალა...
ქარს სურს გვამოგზაუროს...
ქარის გამოძახილი ისმის, როგორც ზღაპარი...
ქარით დატირებული, უნუგეშოდ შთენილი...
ქარად არღვევდა, შარფებს არხევდა...
ქარო, რა გემართება?..

თუმცა ნიცშეს რას ვაწუხებთ:

ხავერდოვანი სიჩუმიდან მოდის გრიგალი,
გასაგებია მხოლოდ ჩემთვის მისი შიფრები.

ბუნების ენის ამოცნობას ლამობდა: ჩიტების ჟივილ-ხივილში, ხეების შრიალში, ნაკადულის რაკრაკში, ზღვის ხმაურში, ქარის ზუზუნში, მანქანების გუგუნში, ხალხის საუბრებში, ხალხურ სიმღერებში, კლასიკურ მუსიკაში და წიგნებში (დიახ, წიგნებში!) აგროვებდა რიტმებს და სალექსო მარცვლების ნოტებზე გადაჰქონდა.

მე მესმის მუსიკა, ქართული მუსიკა,
ქართული მუსიკის ახალი ნაკადი...
ანკარა ნაკადი, ჩუხჩუხა ნაკადი,
ქვებიდან ქვებზე რომ გადადის მუსიკა...

ყველა გზა ლექსისაკენ მიდიოდა:

_ იქნებოდა დილის შვიდი საათი. ჩვენი ვილლის ეზოში გაისმა სროლა. მივედი ფანჯარასთან. გამვლელ მონადირეს მოეკლა კურდღელი. გარშემო ხალხი დგია. რა უნდოდა კურდღელს ჩვენს ეზოში? «კურდღელი ჩამოცანცალდა...».

ფრენკ ჰარდის «ათი შილინგის» დასაწყისი უთარგმნია, მხოლოდ ათიოდე წინადადება:

_ მიდიოდა კაცი, უკეთ რომ ვთქვათ, მიათრევდა ფეხებს კაცი მიტჩელის წიგნთსაცავის გასწვრივ სიდნეის პარკისაკენ... _ და იქვე წამოუწყია:

მიათრევდა ფეხებს კაცი წიგნთსაცავის ძველის გასწვრივ.
გასწი, გასწი, ჩემო ლურჯავ, გასწი. გენაცვალე, გასწი.
მიდიოდა, უკეთ რომ ვსთქვათ, მიათრევდა ფეხებს კაცი...

ილიას «კაცია ადამიანიდან» ფრაზა ამოუწერია:

_ ამოყვანილი გახლდათ ერთი პატარა ოთახი მოაჯირითურთ, _ და იქვე გაუმაჯამებია:

სახლი მაღალი მოაჯირითა,
მხედარმა ცხენი მოაჯირითა.

დღიურებსაც ლექსავდა:

_ ეს შემოდგომა მოვიდა, ვიწყებ ჩვეულებრივად დღიურის წერას...

_ დღეს მივდივარ, უსათუოდ უნდა ვნახო წყნეთი...

_ გადავშალე კალენდარი: აწერია ექვსი მარტი...

_ დეპეშას მიგზავნის გვათუა: «ერთი დღით ჩამოდი აფხაზეთს»...

პაპიროსის სასყიდლად გავაგზავნე ოლია,
ორ ნაბიჯზე კირკამდის მისვლა ხომ იოლია.
რომ წავიდა, წავიდა, ესეც ჩემი ბედია,
იყო ექვსი საათი, ეხლა კი თორმეტია.
სად ჯანაბას წავიდა, სად ქვესკნელში წავიდა,
ვზივარ უპაპიროსოდ გადარეულსავითა!
მოხსენების დაწერა ასე ძლიერ ძნელია,
ვზივარ უპაპიროსოდ, რითმაც გამომელია.
როცა მოვა, მივბეგვავ, თუ არა ვქნა, დამაცა,
რითმამაც მიღალატა, ტვინმა, ოლიამაცა.

ექიმმა გამომიწერა მარტო ჩაი და კისელი,
კისელისათვის წავიდა ოლია დარბაისელი.
ვზივარ და ვუცდი ამ კისელს, მაგრამ რას ელი, ვის ელი?
კისელს ვინ ჩივის, არა ჩანს ქალი მტკიცე და ფხიზელი.
ოღონდ შენ მოდი, ოლია, კისელს მოემტვრეს კისერი...
ვწერ ამ ლექსს გალაკტიონი, თბილისელ-ქუთაისელი.

დაწერდა ნებისმიერ ფრაზას და იქვე გარითმავდა:

_ გვახსოვდეს 11 ოკტომბერი, დღე ყველასთან ანგარიშის გასწორებისა.

მოსჩანს, როგორც მოძრაობა სასწორების,
დღე _ ყველასთან ანგარიშის გასწორების.

_ ყოფილა ერთი ჩარჩო ლეჩკომისიაში.

დიდ გამოფენის შემდეგ დარჩა ლამაზი ჩარჩო,
მას ვერ შესძახებ: შესდეგ, აღვირახსნილო ჩარჩო,
ოსმან, გოჯასპირ, დარჩო!

ხატოვან გამოთქმებსაც ლექსად აგრძელებდა:

გვერდით ოდეს მოგიწვეს, თავზე ხელი მოუსვი:
სხვამ რომ გველი მოგიწვას, შენ წიწილა მოუწვი.
თუ რომ დარდმა მოგიცვას...

ერთხელ ოლიამ დამოძღვრა:

_ აღნიშნე დრო, დრო აღნიშნე შენს მიერ ნაწერ ფურცლებზე, ნუ დასტოვებ მათ უთვისტომოდ, დროს, ეპოქის და სივრცის გარეშე...

თითქმის სიტყვა-სიტყვით გადაწერა და გალექსა და გააგრძელა:

დრო, დრო აღნიშნე! მოაწერე ლექსს
ეს წელიწადი, დღე და საათი.
. . . . . .
ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ _
დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ.

პოეზიის სექციის ბიუროს თავმჯდომარე საზეიმო საღამოსათვის ემზადებოდა:

მე, მიძღვნილს აკაკის დღისადმი,

საღამოს გახსნილად ვაცხადებ.

ქართული ანბანის თანამიმდევრული მწკრივიც რიტმის ყალიბში ჩასვა:

ან-ბან-გან,
დონ-ენ-ვინ,
ზენ-თან-ინ,
კან-ლას-მან!
ნარ-ონ-პარ,
ჟან-რე-სან,
ტარ-უნ-ფარ,
ქან-ღარ-ყარ!
შინ-ჩინ-ცან,
ძილ-წილ-ჭარ,
ხან-ჯან-ჰაე
კარგათ სცან!

სასაჩუქრო წარწერის დროსაც შთაგონებული გახლდათ: «ვახტანგ ჯავახაძეს _ ნიშნად უღრმესი პატივისცემის», და არა _ «უღრმესი პატივისცემისა». მოსალოდნელი ემფატიკური ხმოვანი ათმარცვლოვან რიტმს დაარღვევდა და ზედმეტი აღმოჩნდა (შეადარეთ: «მიიღე ნიშნად სიყვარულისა და უდიდესი პატივისცემის»).

კოსტიუმი დაუძველდა და:

_ კოსტიუმი _ უპირველეს ყოვლისა!

ყველაფერს პოეზიას უკავშირებდა, ალირიკულებდა, ალამაზებდა:

_ პოემა ადგილთა, სადაც უნდა გაიყიდოს წიგნები.

_ ამ აივანზე ეხლა გვაქვს პოემების მაგიდა.

დაუსათაურებია _ «ხუთწუთების პოემა» და შვიდი პრაქტიკული საკითხი ჩამოუწერია: ხუთ წუთში შევთანხმდით... ხუთ წუთში შევთანხმდით... და ასე შემდეგ:

_ ხუთი წუთი მაინც ხუთი წუთია. აჩქარება არ ივარგებს.

საქმიან ჩანაწერებსაც უსათაურო ლექსივით აფორმებდა: თავზე სამ ვარსკვლავს ასვამდა.

ყველგან მელოდიას დაეძებდა, ყურმოკრულ ფრაზას რომელიმე მოტივს მიუსადაგებდა:

_ კაკ დელა, რუსო?

_ დელა? ნუუ ვოტ: დელა, დელი-დელა, დილ-ვადილა-დელა, _ უპასუხა რუსმა.

მსგავსი მისამღერებით დაინტერესებულა: 1927 წელს ვრცელი დაკვირვებანი ჩაუწერია: დელა, დელია, დელი-დელია, აბადელია, ოდელია, ოდელია-დელია, ოდელა-დელა-დელაო... _ ახასიათებს თითოეულს შინაარსობრივად, ფონეტიკურად, იმოწმებს აკაკის, დიმიტრი არაყიშვილს, ნიკო სულხანიშვილს, პოულობს პარალელს ბერძნულთან, პუშკინთან...

_ «დელია» ქართულისათვის მეტად მუსიკალური სიტყვაა. როგორც ფრაზა _ იგი იწვევს მრავალ ემოციებს რითმისათვის ხალხურ სიმღერებში («აბა დელი დელია, საქართველო ჩვენია»). ცნობილია აკაკის ლექსი, მთლიანად აგებული რითმაზე «დელა-დელაო» (რამდენიმე ლექსი აქვს აკაკის). ჩემს შეკითხვაზე, თუ რას ნიშნავს ეს «დელა»,

მიპასუხეს: უბრალოდ, სიმღერის საშვენებლად ითქმისო. ჩემს შეკითხვაზე: როგორ გგონიათ, ლამაზი სიტყვაა «დელია»? _ მივიღე დადებითი პასუხი.

თვითონაც მიუმართავს:

ვოდელია, ვოდელია, ვოდელია რანუნი,
გულის დასაკოდელია გზაზე ეტლის ჟღარუნი.

საპირისპირო საზომებს აწყვილებდა:

არ გაკოცო _ არ იქნება, გაკოცო _ რატომ?
იქნებ სხვაში გადამცვალო, დამტოვო მარტო.

არითმიაში ეძებდა ჰარმონიას:

შავი ზღვიდან ნიავი ჰქრის _ ზღვა ახმაურდა.
გიფრიალებს მხარზე შალი _ ზღვა ახმაურდა.
შენი სახე სიხარულს მგვრის _ ზღვა ახმაურდა.

ეძებდა და პოულობდა კიდეც:

მტერი მას სძლევს, ვინაც ცოდნას არ ეკარება,
ციხე გასძლებს, ცოდნის კარი თუ ეკარება,
უნდა ამ წლებს ცოდნის ზარით არეკარება,
ხვავს მოშორდეს უნდა მტვერი, ნარეკარება.

ცეზურათა ჯებირებში ვერ თავსდებოდა, საზღვრებს არღვევდა ისე, რომ რიტმს ინარჩუნებდა და თავისებურ ჟღერას ანიჭებდა:

არ აქვს წყარო
რითმას,
დავეხმარო
რით მას,
თუ მას გარდა
მიტმას-
ნილი არ და-
მითმოს?!

ათმარცვლოვანზე შაირს «ამყნიდა»:

ჩვენში: «გაგვიძეღ, ბერო მინდიავ,
მუხლი მაიბი მგლისაო» _ მღერდნენ...

ერთხელ შვიდმარცვლოვანი დაუწერია მელნით: «მოგონება _ აფხაზეთი». მერე პეონსა და დაქტილზე მარცხნიდან ფანქრით თითო პეონი კიდევ მიუმატებია და რიტმი შეუცვლია:

გამიგონე
მშვენიერი
ისევ ის გზა,
საბოლოოდ
არა ერთი ასეთი
ფიფქითაა ფარული
ისევ ის აფხაზეთი,
ისევ ის სიხარული.

ასევე გახანგრძლივებულ რიტმზე გადაუწყვია მთელი პოემა «ძაუგიდან ბერლინამდე» (ადრეული ვარიანტი), ოღონდ ამჯერად ათმარცვლოვანებისათვის მარჯვნიდან მიუშენებია ხუთტაქტიანები და ხელახლა გაურითმავს. ეს პოემა უკვე სამფერია და ავტოგრაფში აშკარად ჩანს შემოქმედებითი პროცესის თანამიმდევრობა: ლურჯი მელანი, შავი ფანქარი, წითელი მელანი:

დეე, იყვავოს ზაფხულმა, დეე,
თრთოდენ ტოტები მოორხიდეე
უფრო და უფრო
და მოალუბლო.

ამავე თანამიმდევრობით გაუხანგრძლივებია ასეთივე რიტმი პოემისა _ «ამირანი».

ხშირად ერთსა და იმავე ლექსს განსხვავებული საზომით წერდა. პარალელურად სხვადასხვა რეგისტრში სინჯავდა სტრიქონებსა და სტროფებს. ხანდახან ათმარცვლოვანსა და თოთხმეტმარცვლოვანს აპირისპირებდა, ზოგან დაბალ შაირსა და მაღალ შაირს აწყვილებდა, ალაგ ათმარცვლოვანია გაშაირებული, ალაგ პირიქით:

რა მშვენიერი ხმა აქვს ბეღურას, _ მხოლოდ არავინ მას არ აფასებს,
ისე, ბულბულსაც არა უშავს რა, მხოლოდ ცოტათი წაიკაპასებს.

რა კარგი ხმა აქვს ბეღურას, მხოლოდ არავინ აფასებს,
ბულბულსაც არა უშავს რა, მხოლოდ მუნ წაიკაპასებს.

მხოლოდ სიტყვების გადასმითაც აღწევდა სასურველ ეფექტს:

გარეთ ზუზუნებს ქარი
შიგნით ხმაურობს ღვინო...
ქარი გარეთ ზუზუნებს,
ღვინო შიგნით ხმაურობს...

სხვადასხვა ინტონაციებს «აჯიბრებდა», რათა არჩევანში არ შემცდარიყო:

ჩემო სტუმრებო, მე ეხლა რა ვარ,
მოვხუცდი, წინათ უნდა გენახეთ
თვალუწვდენელთა და მრავალ-მრავალ
ველთა მთესველად და მევენახედ.

ეხლა რა ვარ... წინათ უნდა გენახეთ _
მრავალ, მრავალ ვენახთა მევენახეთ.

ერთსა და იმავე ლექსში ცდიდა მეტრულ-რიტმულ ვარიაციებს; «ეხლა რა ვარ», «შეღამება», «დომინო», «აღმოსავლეთი», «ავტო-მოტო-ველო»...

ერთი და იმავე საზომით ქმნიდა განსხვავებულ რიტმს: «მშობლიური ეფემერა».

აღიარებული მელოდიის განახლება და გადახალისებაც სცადა _ იქნებ პირვანდელისა და დამკვიდრებულის უპირატესობის დასადასტურებლად:

დედაო ღვთისავ, დედოფალო, წმინდა მარიამ,
როგორც მზის ნათელს მოკლებული სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრება მარტოობა და სიზმარია,
ჩემთვის მკვდარია შორეული ცის სილაჟვარდე...

მეორედ და მესამედაც გადაამოწმა:

შენ იმ ღამეს ჯვარს იწერდი, ჩემო მშვენიერო მერი,
ვინ ასწეროს შენი სახის მაშინდელი ელვა, ფერი...

და:

შენ იმ ღამეს ჯვარს იწერდი, მშვენიერო მერი,
ვინ ასწეროს შენი სახის მაშინდელი ფერი...

არამარტო რიტმებს ცვლიდა და ცდიდა: შინაარსობრივადაც ანახლებდა. განახლებულისთვის მეტრსაც ახალს პოულობდა და უსადაგებდა, თუმცა ვერ კი დაუხვეწია და დაუსრულებია _ «მთაწმინდის ახალი მთვარე». მესამე განახლებულიც წამოუწყია და მიუტოვებია _ «მთაწმინდის მთვარედან მთაწმინდის მთვარემდე».

_ იყო თუ არა ასეთი შემთხვევა _ ლექსი გურამიშვილის წყობით? _ კითხულობს და 1955 წლის 16 აგვისტოს წყნეთში, ავდრიან დღეს («წვიმს, წვიმს, წვიმს!») «დავითიანის» ავტორის ჩვეულ ირონიულ მოტივს თექვსმეტ სტრიქონს ამსგავსებს:

ერთი ფეხ-მტკივანი
ვიყიდეთ დივანი,
შიგ სამი მდივანი
დავსვით:
პირველი ჭაჭაძე,
მეორე კვაჭაძე,
მესამე ქაჯაძე
ნავსი.
ჩვევა ვერ დაძალეს,
ერთურთს არ აცალეს,
ყანწები დასცალეს
სავსე,
და ფეხებ-მტკივანი
დაგორდა დივანი
და _ სამი მდივანი
წამსვე.

არც კლასიკური ტაეპის ტრანსფორმირებას ერიდებოდა:

ვაჟამ სთქვა: არ მოილია,
ჩვენს მხარეს რაც ყოილია.
აყვავებულან მთებიო, _
დაუმატებდა ილია.
აგერ გოგონას შავთვალას _
შეხედე _ რა ყვავილია?!

გავაგრძელოთ «ციტატების ტიკტიკი», როგორც თვითონ შეურქმევია:

_ ციტატების შერჩევა უბრალო საქმე როდია. ჩვენი კრიტიკოსები სწორედ აქ მოიკოჭლებენ. წამოაყენებენ დებულებას და მოჰყავთ ისეთი ციტატა, რომელიც ამ დებულებას ან არ ამართლებს, ან ნაწილობრივად ამართლებს. ციტატების მოხერხებულად მოყვანა უკვე ხელოვნებაა და გემოვნებაც კრიტიკოსისა ხშირად სწორედ აქ მჟღავნდება.

სტრიქონებისა და სტროფების ათობით ვარიანტს აზუსტებდა და აუკეთესებდა. «ლექსი დაწერილი უამინდობაში» თორმეტტომეულის მეშვიდე ტომში დაიბეჭდა. თავდაპირველად პირველი სტროფის ორი ტაეპის თოთხმეტი ვარიანტი ჩამოუწერია. შემდეგ ყველა განსხვავებული რითმით გაუწყვია და სტროფები არაბულად დაუნომრავს, ოღონდ თარსი ციფრი გამოუტოვებია: 12, 12-ა, 14... («ჩვენთვის მოუციათ დიდებული ხელოვნების სასახლე, მხოლოდ ძლიერ მაფიქრებს, რომ ამ სასახლის ¹ N არის 3»):

რა ამაოდ ხმას იმაღლებს
ტალღა ელვის სარკეთა, _
ახალ თბილისს რას დააკლებს
შიში, სასოწარკვეთა...

კვლავ ერთი სტროფის თოთხმეტი ვარიანტი დაუწერია და დაუნომრავს იმავე რიტმით ჯერ კიდევ დაუბეჭდავი ლექსისა «მაღლა-მაღლა», ოღონდ აქ უკვე მეათე ციფრი გამოუტოვებია და მეცხრე მიუწერია ორჯერ, ალბათ საკრალურის პატივისცემით:

ცოტა მაინც იგრძენ დაღლა,
ფიქრებს ნუ დაზარდები,
ნუ დაფრინავ მაღლა-მაღლა,
თორემ ჩამოვარდები.

თავდაპირველად სიმღერის ტექსტის განსხვავებული მეტრი აუღია («მაღლა-მაღლა ნუ დაფრინავ, ჩამოვარდები») და ამ რიტმით დაუწყია და გაუწყვია თოთხმეტივე (შეადარეთ ჩვენთვის უკვე ნაცნობ ცამეტმარცვლოვანს: «შავი ზღვიდან ნიავი ქრის _ ზღვა ახმაურდა»):

ცოტა მაინც იგრძენ დაღლა,
ნუ დაზარდები,
ნუ დაფრინავ მაღლა-მაღლა,
ჩამოვარდები.

ამავე რიტმზე გადაუწყვია ხალხური:

მოდის ქვეყნად ერთი მზერა _
    მზერა მზერათა _
რაშო-რერა, რაშო-რერა _
    რაშო-რერა და _
განთიადმა მიიმღერა
    ის სიშორე რა _
ისმის მისი რაშო-რერა,
    რაშო-ორერა,
მზემ მსოფლიოს ბედისწერა
    შეაფერადა
რაშო-რერა, რაშო-რერა _
    რაშო-რერადა.

(შეადარეთ გურამიშვილს: «მე გაჭმევდი, მე გასმევდი, მე გაცმევდი ტანთ», ნოე ჩხიკვაძის ელეგიასაც: «ვინ მკითხულობს? ვინ დამეძებს? ვის ვუყვარვარ მე?» და გამსახურდიასაც შეადარეთ: «ზღვისფერი გაქვს თვალები და თავათ გავხარ ზღვას»).

ოცდაერთჯერ გაუსინჯავს «უძილო ღამეების» მეორე სტროფი:

ღვინოს არ ვსვამდი, ისევ დავიწყე,
დამჩემდა დარდი, სიგულმავიწყე,
  წყალს მივეც ყველა ია და ვარდი,
  სათაყვანებლად წინ რომ დავიწყვე.

ოცდამეერთე შვიდმარცვლოვანია:

ღვინოს ვერიდებოდი,
ეხლა ისევ დავიწყე,
მომეჩვია ფიქრები,
დარდი, სიგულმავიწყე.

არ ვწყალობდი თამბაქოს,
მაგრამ რაღა დროსია,
დღით და ღამით ჩემი მზე
ეხლა პაპიროსია.

ცნობილი ხალხურის ექვსი ვარიანტი გადაუმოწმებია, ჩამოუწერია, დაუნომრავს, გაუმზადებია:

ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი ჰგონია!
შინ მიტანილი ჰგონია ურემი, ჩაფლული ლაფში.
შინ მიტანილი ჰგონია ურემი, ლაფში ჩაფლული.
შინ მიტანილი ჰგონია ლაფში ჩაფლული ურემი.
ურემი, ლაფში ჩაფლული, ჰგონია მიტანილი შინ.
ლაფში ჩაფლული ურემი ჰგონია შინ მიტანილი.

ისევ და ისევ ორიგინალურ ინტონაციებს ეძებდა და პოულობდა:

ვაიმე,
ვაიმე,
ქვეყნად კიდევ გამახარებს
ნეტავ რაიმე?

ეხლაც უეცარი
წვიმა, წვიმებია.
  გიცქერი
  წვალებით,
  რად არ მწყალობს თაფლისფერი
  შენი თვალები?

  თავსხმას არემარე
  დაუმძიმებია.

კვლავ მუსიკალურ მომენტზე გადაჰქონდა აქცენტი, მოკლე და გრძელ პერიოდებს უნაცვლებდა ერთმანეთს, რიტმს ძაბავდა, _ ისევ ნაცნობ მოტივებს უტრიალებდა (შავით

შემოსილხარ, როგორც ელეგია... ლანდებს სასახლეში მხოლოდ მაშინ ელი... მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა...):

დაბა იმერეთის სიცხე გაგანია
ეხლა მოგონების ჩემის საგანია,
მაგრამ მშვენიერი იყო წინა ღამე,
შენი ხსოვნა ერთი ვარსკვლავთაგანია.

ვერა და ვერ ივიწყებდა თავის რჩეულ და საყვარელ დაქტილს:

დრომ დაჰკრა და გული ამოწვა.
რას დაეუფლები?
მრისხანე ღრუბლები ჩამოწვა,
მრისხანე ღრუბლები!

ინერტიული ათტაქტიანის ორად ორი ტაეპიც საკმარისია, რომ რიტმს აჰყვეთ და ტემპმა ჩაგითრიოთ:

გაოცდა უფრო, გაოცდა უფრო,
თვალები უფრო გადაირია...

თქვენ გაიხსენეთ, ო, გაიხსენეთ,
ო, გაიხსენეთ, ამ სიტყვებს იქით...

ერთადერთი ტაეპიც: ღამის ნათელში, მტვერში, მთვარეში...

ნახევარიც: წაიღო ქორმა, ქარმა...

დააკვირდით, როგორ ებმის პირველი ნახევრის დასასრული მეორის დასაწყისს: წაიღო ქორმა, ქარმა, არწივმა.

ორთავეს დასასრულებიც არანაკლებ ჰარმონიულად ესიტყვება და ეხმაურება ერთმანეთს: ქორი მიაქვს ქარს, რაღაც მიაქვს ქორს.

დასაწყისებიც: ჰქროდა ქარი, თრთოდა იასამანი.

ტაეპს _ ტაეპიც:

ბედი _ ქროლვის გარეშე _ ჩემთვის არაფერია,
ჩემთვის ყველაფერია ისევ ლურჯა ცხენები.

ღვინით თასები ისევ ივსება,
ისევ მევსება დარდით თვალები.

და სტროფი _ სტროფს:

მე ყველაფერი გადავივიწყე,
არ არის, ზეცა, არ არის ბინა.
არის ჩვენს შორის მთელი კედელი...

კიდევ დააკვირდით: რამდენად ტევადია თითოეული სალექსო პერიოდი, დამოუკიდებელი და ექსპრესიული, როგორ ზომიერად ენაცვლება ერთიმეორეს დროისა და სივრცის განცდა, როგორ რიტმულად გადაერთვება მკითხველის ყურადღება ერთი განზომილებიდან მეორეში, როგორ სინქრონულად ირხევა ყოველი სეგმენტი და როგორი ემოციით მსჭვალავს მთელს ინტონაციას:

ხომალდი ლურჯი, დაღლილი სახით,
მოსული გუშინ, ისვენებს გვიან.

მოუსმინეთ: როგორ ააქტიურებს ათმარცვლოვან მინორს შიდა რითმების წყალობით:

სად მრავლობითი იდგა კოპიტი
უარყოფითი შრიალით სავსე,
წარსული სტირის არაგვისპირის
და ჩემი გმირის თავგადასავალს.

ახლა აჩქარებულ ტაქტებსაც მოვუსმინოთ:

თებერვალს უხმობენ, თებერვალს...
ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის...
ქარი კივის, ქარი კივის, კივის...

საყოველთაოდ ცნობილია ანტონ კათალიკოსის იამბიკო: «შოთა ბრძენ იყო... ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე». ახლა დააკვირდით, როგორ ცდილობს ძველი რიტმის აღორძინებას და განახლებას: ჯერ მუხლებად ჰყოფს ტაეპს, შემდეგ ვერტიკალურად ანაწევრებს მუხლებს, აწყვილებს ანალოგიურ გვიანდელ ნიმუშებთან, ტრადიციულ ორტერფიან იამბიკოში (5 _ 7) მესამეს გამოჰყოფს (5 _ 5 _ 2), ამით სარითმო ქორეს მეტ დატვირთვას ანიჭებს, გამორიცხავს მეოთხე სტრიქონს, რომელიც ახალ ცეზურათა საზღვრებში ვეღარ თავსდება, და ერთადერთი სტრიქონის გამოთიშვით განსხვავებულ მეტრულ ერთეულს ქმნის _ უფრო ლაღსა და ჰარმონიულს, უფრო თანამედროვეს:

ანტონ კათალიკოსი

I

შოთა ბრძენ იყო
სიბრძნის მოყვარე ფრიად,
ფილოსოფოსი...
მეტყველი სპარსთა ენის.
თუ რამ სწადოდა,
ღვთის მეტყველიცა მაღალ,
უცხო, საკვირველ
პიიტიკოს მესტიხე (მესტიხე პიიტიკოს),
მაგრამ ამაოდ
დაშვრა, საწუხ არს ესე.

II

შოთა ბრძენ იყო
ფილოსოფოსი
თუ-რამ სწადოდა
უცხო საკვირველ
მაგრამ ამაოდ
თუ საძირკველი
დანგრეულია,
მაშინ კედლების
აშენებისთვის
ყოველი შრომა

დაკარგულია.

III

სიბრძნის მოყვარე ფრიად,
მეტყველი სპარსთა ენის,
ღვთისმეტყველიცა მაღალ,
მესტიხე-პიიტიკოს
დაშვრა, საწუხ არს ესე!
აყვავებულო მდელო,
აყვავებულა მთები,
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?

IV

შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყვარე ____ ფრიად,
ფილოსოფოსი, მეტყველი სპარსთა _____ ენის,
თუ-რამ სწადოდა ღვთის მეტყველიცა ____ მაღალ,
მაგრამ ამაოდ დაშვრა! საწუხ არს _____ ესე.

V

რტოებში ავობს ბებერი ქარი ფრიად,
ყვავილთა ჯარი ფიფქში ბანაობს,
ტყდება, ნანაობს ეთერი ჩქარი,
ნანაობს ქარი და მიქანაობს.

იქნებ ძველმა მეტრმა იმიტომაც დააინტერესა, რომ უკვე არსებობდა სარეცენზიო იამბიკოს ტრადიციული ინტერპრეტაცია (გავიხსენოთ იოსებ გრიშაშვილის: «კათალიკოსმა ცეცხლში გასწმინდა: «ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე...»). ეს ექსპერიმენტი 1950 წელს ჩაატარა, 1956 წელს კი განაცხადა:

_ ცდების წარმოება _ აი ამოცანა თანამედროვე პოეტისა.

უცხო რიტმებსაც უსმენდა, მახვილებს აკვირდებოდა.

ეს ჰომეროსია _ «ოდისეის» დასაწყისი:

ანდრა მოი ენნეპე მუზა პოლБუტროპონ
ოს მალლა პოლა პლანხტე ეპეი ტროოე
იერონ პტალიენდრონ ეპერზენ.

დიდი მოსამზადებელი სამუშაო ჩაუტარებია გოეთეს ორსტროფიანი შედევრის «მგზავრის სიმღერის» თარგმნისას. ყურადღება მიიპყრო ავტოგრაფის გერმანულ-რუსულ-ქართულმა მოზაიკამ:

Ьber allen Cipfeln
Убер аллен гипфелн
Над всеми вершинами
Ist Ruh,
Ист руу,
Есть покой,
In allen Wipfeln
Ин аллен випфелн

Во всех вершинах
Spьrest du.
Шпурест ду.
Чуешь ты.
Kaum einen Hauch,
Каум ейнен хаух,
Нет дуновения,
Die Vogelein schweigen im Walde.
Ди фогелеин швеиген им вальде.
Птички молчат в лесу.
Warte nur, balde
Варте нур, балде
Погоди только, скоро
Ruhest du auch.
Руест ду аух.
Отдохнешь ты тоже.
Во всех вершинах
Spьrest du.
Шпурест ду.
Чуешь ты.
Kaum einen Hauch,
Каум ейнен хаух,
Нет дуновения,
Die Vogelein schweigen im Walde.
Ди фогелеин швеиген им вальде.
Птички молчат в лесу.
Warte nur, balde
Варте нур, балде
Погоди только, скоро
Ruhest du auch.
Руест ду аух.
Отдохнешь ты тоже.
iber allen gipфeln
ist ruu!
in allen vipfeln
SpБurest du.
kaum einen xaux,
di фБogelein Sveigen im valde,
varte nur, balde
ruhest du aux.

როგორც ხედავთ, ლექსის სტრიქონები დაუცალკევებია: გერმანულ ორიგინალს ისევ ორიგინალი მოსდევს რუსული მართლწერით და შემდეგ მოდის რუსული პწკარედი. ხაზგასმულია მეორე, რაც ლექსის მუსიკისადმი ყურადღების გამახვილებაზე მიგვანიშნებს. დასასრულ, მეტი სიზუსტისათვის იოტა და რუსული ეფი გამოუყენებია ქართულ შრიფტში და იქვე ერთხელ კიდევ მიუწერია ორიგინალი ქართული მართლწერით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართული პწკარედი თავისთავად იგულისხმება, ყოველი სტრიქონი გრადაციის ხუთ საფეხურს გაივლის და მხოლოდ მეექვსეზე ამოტივტივდება მხატვრული თარგმანის ჯერ პირველი ვარიანტი, შემდეგ მეორე და ასე შემდეგ. თუმცა ეს თარგმანი არც კი გამოუქვეყნებია:

სიმშვიდეში თვლემს
მწვერვალები მთის,
ქარი არა სცემს,
ფოთოლი არ თრთის.

მოსვენების ჟამს
მისცემია ტყეც,
მოითმინე წამს,
მოისვენებ შენც.

ამავე ავტოგრაფზე საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს თავისუფალი ლექსის შესახებ:

_ რიტმი დედნისა მოცემულია თავისუფალი ლექსით. თავისუფალი ლექსის დაფუძნებისათვის დაწერილია ჩემ მიერ მთელი რიგი: «ჯონ რიდი», ადგილები «პაციფიზმიდან», «რევოლუციონურ საქართველოში» და «ეპოქაში». ქართულ თავისუფალ ლექსს არ აქვს ისტორია (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ანტონ კათალიკოსის ლექსებს, აგრეთვე ე.წ. «სასულიერო პოეზიას»). არ შეიძლება არევა ურითმო ლექსის თავისუფალში (ვ. მაჩაბლის თარგმანი შექსპირისა არის ურითმო ლექსი).

ციკლის ჟანრის დამკვიდრების პრეტენზიასაც სამართლიანად აცხადებდა:

_ ციკლი _ იგივე სერია, იგივე წყება მთელი რიგი ლექსების ერთ ტემაზე, სხვადასხვა კუთხით გაშუქებულ სხვადასხვა ასპეკტში, ერთ ლექსთან შედარებით უფრო მრავალმხრივი, მრავალფეროვანი, მრავალსახოვანი, მრავალწახნაგოვანი... ეს არის ერთი იმ დიდ საიდუმლოებათაგანი, რომლითაც იმარჯვებდა ქართული პოეზია XX საუკუნისა, ერთი იმ ნოვატორულ ხერხთაგანი, რომელიც შემოტანილია ჩემმიერ და რომელიც ასეთ დიდ გამოხმაურებას ჰპოულობდა და ჰპოულობს მკითხველებში. 1927 წელს გამოქვეყნდა ჩემი დიდი წიგნი (ე.წ. «ზარნიშიანი წიგნი»)... ერთი ახალთვისებათაგანი, რომელიც ამ წიგნით დაფუძნდა, იყო სრულიად ახალი სტილი, წყებათა სტილი, ერთ თემაზე (შემოდგომები...). ამას მოჰყვა შემდეგში ერთი იდეით შთაგონებული და ერთ თემატიურ ღერძზე აგებული წიგნები... ამგვარად მე გახლავართ ამ ჟანრის (ე.ი. ციკლების) ფუძემდებელი. მიჩქმალვა ამ გარემოებისა შეუძლებელია, რამდენადაც საქმე გვაქვს აშკარა ფაკტთან. მეტიც: ეს იქნებოდა ლიტერატურული ხულიგნობა... დიდად გასახარელია, რომ ამ გზით მიდიოდა და მიდის მთელი ჩვენი თანამედროვე პოეზია.

ეს სტრიქონები 1949 წელს დაიწერა. თუ ამ თვალსაზრისით ჩვენი საუკუნის ქართულ პოეზიას გადავხედავთ და კიდევ ორ წიგნს გავიხსენებთ («ზღვა ახმაურდა» და «ოქრო აჭარის ლაჟვარდში»), მართლაც აშკარა ფაქტთან გვაქვს საქმე.

ყოველი მისი პრეტენზია უტყუარი არგუმენტებითაა განმტკიცებული და დამტკიცებული:

_ ჩემს შესახებ იყო წერილები: «На рубеже»-ში და 33аря востока»-ში, «კომუნისტში», «ახ. კომუნისტში», არის თარგმანი სომხურ ჟურნალში, არის წერილი «პროლეტ. მწერლობაში». ვარ, მაშასადამე, ცენტრალური ფიგურა ქართულ პოეზიაში, _ დაასაბუთა 1931 წლის პირველ მაისს, ათი წლის შემდეგ კი, 1941 წლის 27 მარტს ისევ თავი მოიწონა:

_ რამდენი ჟურნალი გახსნილა ამ ოცდაათი წლის განმავლობაში ჩემი ლექსით, რამდენი კრებული, რამდენი წიგნი, ყველა ესენი რომ შეიკრიბოს და გამოიფინოს, უპირველესი დოკუმენტი იქნება _ იმის დასამტკიცებლად, თუ ვინ არის დღეს ქართულ მწერლობაში ცენტრალური ფიგურა.

საერთოდ, პრიორიტეტის საკითხს დიდ ყურადღებას აქცევდა და ხშირად უბრუნდებოდა:

_ ჩვენი საქმე ნათელია: ვერავინ დღეს ვერ იტყვის: მინდა სიმღერის წამოწყება, მაგრამ არ ვიცი საიდან დავიწყო, საიდან მოვაბა თავიო. სიმღერა დიდი ხანია წამოწყებულია, საჭიროა მხოლოდ მივყვეთ, ხმა ავაყოლოთ, საერთო ხორო შევქმნათ. ყველა უნდა ცდილობდეს საერთო ხოროში გამოსვლას. მაგრამ აქ სრულებით საჭირო არაა ხრინწიანი ხმა, რომელიც არევს სიმღერას (მე ერთი მამიდაშვილი მყავდა, როდესაც ჩვენს სიმღერაში ჩაერეოდა, სიმღერა ისე აირეოდა, რომ ძაღლი პატრონს ვერა სცნობდა. საწყალს სმენა არა ჰქონდა, დარწმუნებული კი იყო, რომ მასზე უკეთესი ბარიტონი მსოფლიოში არ მოიპოებოდა. შემდეგში გამოირკვა, რომ ის განგებ იყო მოგზავნილი ჩვენს გასაღიზიანებლად. სადიზმია ერთგვარი).

პლაგიატზე ხშირად მიგვითითებს:

_ სამარცხვინო ბოძზე! მანიფესტი. სამარცხვინო საქმეებისათვის არსებობს სამარცხვინო ბოძი. საქართველოს ყველა მეოცნებეებსა და ქურდებს მივმართავთ: ისმინეთ ჩვენი ქადაგება! მოსეს ათ მცნებაში სწერია: არა იპარო! მიუხედავად ამისა, ჩვენი ახალგაზრდა მგოსნები საშინლად და დაუზოგავად ქურდობენ. ჰაარული მაგათ! თავსლაფი მაგათ! დაიჭირეთ ყველა ქურდები და გააკარით სამარცხვინო ბოძზე!

ლიტერატურულ პრესას რომ კითხულობდა, ნაცნობ რითმებს ხაზს უსვამდა და გვერდით მიუწერდა: ჩემია! ჩემგან! მეგრულადაც: ჩქიმი! საკმაოდ ბევრი ხაზგასმები გროვდებოდა: უმეტესობა! მიმთვისებელთა გვარებსაც მიუთითებდა ხოლმე და კონკრეტულ ფაქტებსაც. კიცხავდა კიდეც:

ქურდს უნდა ასამართლებდენ არა სიმღერით და ლექსით,
არა პრემიით _ არამედ _ სისხლის სამართლის კოდექსით.

ერთი პოეტის წიგნში საკუთარი ძველი რითმა უპოვნია (აკადემია _ ნაკადებია) და აღურიცხავს. მეორე პოეტზე შენიშნავს:

_ ერთ ჩემს ლექსზე («ლურჯა ცხენები») ააგო მთელი წიგნი.

მესამეს ნიშნის მოგებით ჩაუწერა ლექსების კრებულში:

_ აა, ციც, ხომ დაგიჭირე... ჩემია!

მეოთხე, მასზე შვიდი წლით უფროსი, პოეტის ლექსს იწონებს:

_ კარგი ლექსია, აქვს ჩემგან რაღაცა. ალბად იწყებს წერას.

გვარად აბაშელი _ სახელად ჩოჩია _
ჩემი მეგობარი _ მარგალი კოჩია _
(ეს მეჟდუ პროჩია).

1950 წლის 15 თებერვალს სამართლიანად გააპროტესტა:

_ ჩემი გავლენა თანამედროვე ახალგაზრდობაზე ძალიან დიდია. მაგრამ განგებ, სრულიად გასაგები მოსაზრებით, ჩემი გავლენა მიაწერონ მხოლოდ სუსტ ახალგაზრდა მწერლებს, _ ეს იქნება პროვოკაციული გამოსვლა. ჩემი გავლენა არა მარტო ახალგაზრდობაზე, არამედ მთელ თანამედროვე მწერლობაზეა გავრცელებული (ამას მრავალი დოკუმენტი ამტკიცებს, მრავალი კრიტიკოსი ხაზს უსვამს). ბევრს არ სურს ამ საგანზე ილაპარაკოს, ვინაიდან სრულ ხულიგნობასთან გვაქვს საქმე. სურთ ხაზი გადაუსვან ყველაფერს და შეიძლება ჩამომაშორონ ეს ახალგაზრდობა სრულიად.

და გააგრძელა:

_ ტონი ჩვენი ახალგაზრდა მწერლებისა ისეთია, რომ ვინც მათ არ იცნობს, შორიდან მართლა გამბედავი ხალხი ეგონება. ისინი მართლაც გაიძახიან გამბედაობაზე ლექსებითა თუ პროზით. ყოველი ახალგაზრდა მწერალი თავის გამბედაობას პირველად სცდიდა ჩემზე. ეს დაკანონებულია დღესაც. მაგრამ მათ არ შესწევთ გამბედაობა, რომ პირდაპირ შეხედონ სიმართლეს თვალებში, რანაირიც არ უნდა იყოს ის. პროლოგს ამნაირი გამბედაობისას ლიტერატურული ომების მრავალი საიდუმლოებით მოცულ ხელოვნების სასახლეში, ჟურნალებში, გაზეთებში, სალიტერატურო საღამოებზე თან მოჰყვა თავისი შესაფერისი «ეპილოგი» და აი ფინალიც! ეხლა თითქმის აღარავინ არის, რომლის თვალწინაც გაიარა ამ ომების ყველა სტადიებმა და კიდევ არ სჯერავდეს ჩემი.

არ შეიძლება არ დაეთანხმო:

_ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების ღრმა შესწავლა, მისი საფუძვლიანი ათვისება, გზას გაუკვალავს მწერლების მომავალ თაობას. და თუ ჩვენი კრიტიკა აშორდება ამ გზას, ეს კრიტიკა იქნება ყალბი, მიუღებელი, გზასაცდენილი. თუ კრიტიკამ ვერ შესძლო გალაკტიონის დაფასება, როგორც ფუძემდებლის, კრიტიკა დაადგება მოლიპულ გზას, მისცურდება ჩიხამდე.

კრიტიკოსებს საყვედურობს, მათგან სიახლის დროულად შემჩნევას და შეფასებას, მიმბაძველთა და მიმტაცებელთა მხილებას მოითხოვს. კრიტიკოსებს ჩამომთვლელებს უწოდებს, რადგან მათი წერილები ყოველთვის ჩამოთვლით მთავრდება, მოყვანილია მთელი სია მწერალთა კავშირის წევრებისა, მწერლები ერთიმეორეზეა მიყრილი. ასეც დაუსათაურებია _ «ჩამომთვლელები»:

_ რაიმე იდეა, ვთქვათ სიტყვაზე, მოითხოვს გახსნას, განმარტებას, გაშუქებას. ახალი იდეა, ახალი ტემა, ახალი ჩამოკვეთა ანუ სახე _ მოითხოვს იქვე აღნიშვნას... ყოველი ახალი უნდა აღნიშნული იქნას მაშინვე, როდესაც იგი გამოვლინდება, ფიქსირებული უნდა იქნას იმ წუთშივე, თორემ მეორე წუთში იგი სიახლე _ მისი შემომტანის უკვე აღარაა. ჩვენში საკმაოდ ძლიერია მიმტაცებელთა რიცხვი. ისინი სულ უბრალოდ იწერენ, იწერენ, იწერენ. გადაიწერა ერთმა, გადაიწერა მეორემ, გადაიწერა მესამემ და... უკვე წაიშალა ხსოვნა იმისი, ვინაც პირველად ახსნა, განმარტა, გააშუქა იგი იდეა, ჩამოკვეთა ახალი სახე, შემოიტანა, თუნდაც, სულ უბრალო რამ: ახალი რითმა.

საყურადღებო ციტატაა: საკუთარ გულისტკივილს გამოხატავდა. მართლაც, მისი პოეტური სინტაქსი დღევანდელი ლირიკული აზროვნების საყოველთაო მეტრად იქცა და უკვე საკმაოდ ძნელია გალაკტიონის «წაკითხვა», გავლენის საზღვრების დაზუსტება, ყოველ შემთხვევაში, ვისაც ქართული ლექსი დაუწერია, იგი ობიექტურ შემფასებლად ვერ ივარგებს.

ბოლომდე მაძიებელი დარჩა. კვლავაც სხვადასხვა ფორმა უნდოდა შემოეტანა და დაემკვიდრებინა:

_ პოეტებს უნდა ეპატიოს ცოტაოდენი ტექნიკური გიმნასტიკა, რომელიც აცოცხლებს პოეზიას.

ფიგურული ანუ გრაფიკული ლექსი წამოუწყია _ «სამკუთხედი»:

ო
არა
მაინც

ხელნაწერი ფურცელი ამ ბოლო სიტყვაზეა სწორხაზოვნად გადახეული და ძნელი სათქმელია _ გააგრძელა და დაასრულა თუ არა ეს სამსტრიქონიანი პირამიდა. ასეთ «სამკუთხედს» სალექსო ფორმების ჩამოთვლის დროსაც ასახელებს. კიდევ რამდენჯერმე უცდია, მაგრამ არ დაუსრულებია:

ო,
დროა
ნიავის,
სა-ღა-მო
მყ-უდ-რო-ა,
არარა, არავის.

ლექსის გრაფიკულ მხარეს დიდ ყურადღებას აქცევდა, სტრიქონის ვიზუალურ აღქმასაც:

«1. შემოდგომაზე ლამაზ
ველებს ედება შხამი.
2. შემოდგომაზე ლამაზ ველებს ედება შხამი.

აქ განსხვავებაა რიტმით, მარცვლები ერთი და იგივეა. აქედან ცხადია, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს რიტმს სიტყვათა დანაწილებისათვის».

და პირიქით: კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სტროფში სიტყვათა დანაწილებას და განლაგებას რიტმისათვის: ორიგინალური სტრუქტურის ორსტროფიანი დაუწერია, სტროფი ექვს ტაეპს შეიცავს და მისი სქემა შეიძლება ასე გამოისახოს:

2
4 + 3
2
2
4 + 3
2

გარითმვის სისტემა: აბცაბც.

არა მეტრი, არა რითმა, არა სასვენი ნიშნები _ არამედ ტექნიკური კომპოზიცია, სტრიქონთა არქიტექტონიკა და არქიტექტურა განსაზღვრავს უპირატესად ამ ლექსის მუსიკას:

ვიცი
გულში ხანჯლად ესობა
დღესაც
მისი
უდიდებულესობა
პრესა.
მხოლოდ
მიდი-მოდის ვერცხლივით
აწი!
სინიდის-გარეცხილი
მავნე
კაცი.

«სტამბის ესტეტიკაზე» ოცნებობდა, წყობა ქვემორენი და წყობა ზემორენი უნდოდა გამოეცადა ლექსში, რაკი ქართულ პოლიგრაფიაში მთავრული შრიფტი ვერ დამკვიდრდა ძირითადი ტექსტისათვის.

სტენოგრამას აქებდა: თანამედროვე კალამი ვერ ასწრებს აზრის გამოთქმას. აზრი შეუდარებლად სწრაფია, ვინემ კალამი. ორმა ლაკონურმა სტრიქონმა შეიძლება უზარმაზარი პოემა შეითავსოსო.

გასაგებია: აზრის უშუალო დასტენოგრამება დიდ შეღავათს მისცემდა და მართლაც მისწრება იქნებოდა მისი მეყვსეული ჩანაწერებისათვის...

ამაოდ არ დაუქადნია:

_ ავანგრევ ქვეყანას და ხელახლა შევქმნი!

მე მიღალატეს ძველმა რითმებმა

მისი რითმები ხანგრძლივი საუბრისაკენ გვიწვევენ:

_ უდიდებულეს რითმებში ეხლა უნდა ისმოდეს პლანეტათა შეჯახება, ომი ვარსკვლავეთის რაზმისა, გააფთრებული მზეების მიერ უეცრად ანთებული ცეცხლის ღრუბელი.

ერთგან ოდნავი სინანულითაც შენიშნავს სილაჟვარდისა და სილაში ვარდის ავტორი:

_ ზოგი იტყვის, რითმა რაარ, მაგრამ...

გაურითმავს კიდეც:

შიშმა, რიდმა და ჯონ რიდმა დამიგროვა ბლომად რითმა.
წვალებამაც ბლომად მომცა თეთრი წვერი და თეთრი თმა.

უფრო ადრე თითქმის წამოიძახა:

_ მე მიღალატეს ძველმა რითმებმაო.

რითმის ფუნქცია შეცვალა, საზღვრები და გავლენის სფერო გააფართოვა, ახალი ხერხები აღმოაჩინა და დაამკვიდრა, მეორე სუნთქვა გაუხსნა, უვალი გზები მოუნიშნა.

გულუხვად გაუბნევია ხელნაწერებში, ავტოგრაფებზე, წერილებში, წიგნებში, ჟურნალებში. თანამიმდევრობითაც ჩამოუწერია. სახელდახელოდაც ჩაუნიშნავს. ყდაზეც წაუწერია: «რითმების რვეული». ყოველი ფურცლის არე რითმებით შეუვსია ბოლომდე. სხვა დროს პატარა სახაზავი ალბომი ვერტიკალურად დაუხაზავს, გვერდები ექვს-ექვს სვეტად დაუყვია და წყვილები ჩამოუმწკრივებია.

ადგენდა სქემებს, ცხრილებს, ნუსხებს. ოცდაათიანი წლების ბოლოს დაუზუსტებია _ «ნუსხა, რითმაში ხმოვნით დაწყებულ ორმარცვლოვანი სიტყვისათვის».

1921 წლის იანვარში პოეტების მეფედ აირჩიეს. 1922 წელს იწყებს «მარტოობას», წერს ცალფა რითმით გაწყობილ ოთხნახევარ სტრიქონს:

უპირველესი მომანიჭეს დაფნა მეფეთა,
იმ დღეს მოვიდა თეთრი თოვლი და მარტოობა,
გავაღე კარი: თეთრი თოვლი შემომეფეთა,
მივხურე კარი: მარტოობამ დამისადგურა!
ამიერიდან მე მარტო ვარ...

1926 წელს ქვეყნდება გიორგი ლეონიძის ცნობილი:

ნინოწმინდა... პალატები მეფეთა...
შენი სახე რისთვის შემომეფეთა...

ცხადია, რასაკვირველია, რაღა თქმა უნდა, _ აღარ აგრძელებს.

უფრო ადრე უნდა იყოს დაწერილი უსათაურო «ელვარე და ლომფერი». აქაც ჰქონდა:

ცხრა არჩევის დღე იყო პოეტების მეფეთა,
ცხრაასცხრაში გრიგალი გზაზე შემომეფეთა.

ლექსი 1927 წელს დაბეჭდა პირველად და ეს სტროფი ამოიღო.

არც ეს თარგმანი გამოუქვეყნებია ბაირონისა:

გათავდა გუშინ მძლეთამძლეობა, გვირგვინოსანი მეფე მეფეთა, _
დღეს უსახელო ხარ სახეობა, რომელს დაცემის მზე შეეფეთა.

სრული სიცხადისათვის ბარემ სამი საუკუნის გადაღმა გადავიხედოთ და თვითონ «მეფეთა» ღვაწლი აღვნუსხოთ: ჯერ თეიმურაზ პირველის დაბალი შაირი გავიხსენოთ:

ყველამ შეიტყო უკლებლად გარემოს მყოფთა მეფეთა,
მის მზისა ცოლად შერთვისა უშმაგო ვინ არ ეფეთა.

მერე _ არჩილის დაბალი:

რასთვის ჩამოგყევ ბაასში, რად შევსცდი, რა დამეფეთა?
სხვა მონა ვინ შეედარა ჭკვიანი თვისთა მეფეთა?!

1952 წელს ერთი უსათაუროს («გამოდიხარ სცენაზე») სათადარიგოებს შორის დაუწყვილებია: ეკლესია _ ერეკლესია, _ მაგრამ აღარ გამოუყენებია. ალბათ კვლავ ლეონიძის სტრიქონმა გადააფიქრებინა: «ეს ეკლესია ერეკლესია!».

«ავტომობილი და ურემის» (1930) ორ ხელნაწერში ჰქონდა ასეთი სტროფი:

აქ ძველ ნაცნობს შეხვდები, იქ ჩაფარს და მიკიტანს,
და ურემი ნელ-ნელა სამარემდე მიგიტანს.

როგორც ჩანს, გაახსენდა გრიშაშვილის:

ღვინოს საფლავში არვინ მიგიტანს,
ეხ, სადღა ნახავ ელამ მიკიტანს!

და ძირითად ტექსტში აღარ შეიტანა.

_ საერთოდ საჭიროა ქრონოლოგიურად გასინჯვა წიგნისა, აქვს თუ არა გრიშაშვილს ისე მოწყობილი საქმე, თითქოს ბევრი რითმა მისი საკუთარი იყოს და არა ჩემი.

თვითონ მსგავს ანალოგიებს ერიდებოდა. სხვები? _ პირიქით! იცოცხლე! გაგიხარია!

_ მპარავენ რითმებს _ თვალსა და ხელს შუა, თან მეომებიან: შენ ვინა ხარო... _ ამ სამართლიანი ბრალდების შემდეგ, როგორც მოსალოდნელია, პლაგიატორებს კი არ ადანაშაულებს, პირიქით: _ ...მართალნი არიან: თუ თავის საქონელს ვერ უვლი კაცი, ვინ უნდა იყო მართლა?

მას დაუნდობლად პარავენ რითმებს,
რადგან ერთია მისი დიდება
და ქურდებისგან შემდეგ თვით ითმენს
არ დარიდებას.

უკვე აღვნიშნეთ: თანამოკალმეთა ლექსებში ნაცნობ რითმებს ხაზს უსვამდა და იქვე უწერდა: ჩქიმი (ქართულად: ჩემი).

ერთს აკრიტიკებს:

_ რითმა «უმალ» და «ჩუმად» _ არაა რითმა. დონი და ლასი ერთმანეთს სპობენ.

მეორის წიგნში გაუხაზავს: კაეშანი _ ფრთანი. არ მოსწონებია და იქვე გაუსწორებია: და კაეშანი _ გარდანქეშანი.

მესამეს პოეტად აღარ თვლის:

_ სხვაგვარი _ მართალი, _ ასეთი რითმების ავტორი XX საუკუნეში არასგზით არ შეიძლება ჩაითვალოს პოეტად.

მისი პირადი ბიბლიოთეკის წიგნებში და ჟურნალ-გაზეთებში ბევრი ხაზგასმული სიტყვებია. კითხულობდა და სარითმო სიტყვებს უსინჯავდა კბილს. რითმიდან იწყებდა თითქმის! 1959 წლის 17 მარტსაც ხალათის ჯიბეში რითმებჩანიშნული ბლოკნოტი ედო!

სალექსო საზომების სიებსა და ცხრილებს ხშირად ადგენდა. ერთხელ უმეტესი ნაწილი რითმის ნიშნით განუსხვავებია და ოცდათოთხმეტი დაუსახელებია:

_ იონიური დიმეტრი. თავისუფალი ლექსი. შემოკლებული რითმები. ომონიმური რითმები. ღრმა რითმები. შვიდმარცვლოვანი რითმები. ხუთმარცვლოვანი რითმები. ოთხმარცვლოვანი რითმები. დასაწყისი რითმები. სერპანტინი. რითმა, ბოლოს წინამდებარე. მთლიანი რითმები. შინაგანი მუდმივი რითმები. ასსონანსები. ტრიოლეტი-ანაფორა. პალინდრომ. ალექსანდრიული ლექსი. ტერცინები. სონეტი. სონეტი-აკროსტიხი. რონდო. რიტორნელი. ტრიოლეტი. ვილლანელი. ბალლადა. კანცონა. სექსტინა. გაზელა. სპარსული ოთხსტრიქონები. სამკუთხედი. უბოლოო რითმები.

სამი რუსულად წარმოუდგენია:

_ Звукопись. Сонет с кодою. Повторный рифм.

აქ არაა მოხსენებული კიდევ ერთი სახე, რომელიც სხვაგან შეგვხვდა: გადაჭრილი რითმები:

აღმშენებელო დათავ!
სთვლემს «აფხაზეთი» გემი...
ზღვა... მოგონება და თავ-
გადასავალი ჩემი.

ადრე აღვნიშნეთ: სარედაქციო-საგამომცემლო ვითარების შესაბამისად ხანდახან სტრიქონებს აერთებდა, ანდა _ პირიქით. შეერთებისას რითმები სიღრმეში გადაინაცვლებდა ხოლმე, ზოგჯერ კი იკარგებოდა. ამიტომ ლექსების პირვანდელი სტრუქტურის აღდგენა აუცილებელია.

ხანდახან ერთადერთ სიტყვას აიღებდა და ამ სიტყვის ფუძისეული ვარიაციების რითმებს ამზადებდა სალექსოდ _ «საღამო»:

_ 1. საღამოებით _ ამაოებით, მიდამოებით, გამოებით, გარემოებით. 2. საღამოთი _ ჩამოდი, სამარადჟამოთი, აქამომდი. 3. საღამოსი _ სამოსი, სასიამოსი, პიჟამოსი, თარგამოსი. 4. საღამო _ მიზეზისა გამო, საკინაღამო, დაახამხამო, ულაგამო, უღამღამო, ააკამკამო, ააჩქამო, მოსისხამო. 5. დააღამე _ რაღა მე. 6. საღამოცა _ გამოსცა, გამაოცა, და როცა. 7. საღამომ-ა _ უწამწამომა, უშხამომა. 8. ასაღამოვდა _ ლამობდა, გამოვდა.

ზოგჯერ სახურავიდან იწყებდა რითმის შენობის შენებას:

_ რაგვა _ ღობის წვნა, შემოვლება სარებითა და სხვა (რაგვის, რაგვით). არ აგვის _ არ წაშლის (გადაღ.). არ აგვის-ზე _ აგვისტომდის, აგვისტოა, აგვისტოთი. არ აგვისრულდა _ ოცნება. არ აგვისწრია _ მზის ამოსვლისთვის.

ნაგულისხმევი მდინარე და თვე გაუხმოვანებია:

არა გვიშავს, არა გვიშავს,
კლდეს გააპობს არაგვი შავს,
გაანათებს არემარეს,
ამ ხევხუვებს და ამ ქვიშას.
ნუ გგონია, ხვავის
გვირგვინს აგვის ტოტი,
რაცკი აგვისტოთი
შრიალებს და ჰყვავის.

1946 წლის ბლოკნოტში ჩვენი აზრი აინტერესებს:

_ ახალი რითმებია, არა? _ ნაძალადევი _ დასძალა დევი _ ღამენათევი _ თავი დასდევი; საბურთალო _ შენა ბურდალო _ ენა მურტალო _ ნაქურდალო.

ხშირად მხოლოდ რითმებს ჩამოწერდა ფურცელზე ან რვეულში მარჯვენა მხარეს, არეზე. მერე მარცხნიდან შეავსებდა და ლექსად ან პოემად აქცევდა. უმეტეს შემთხვევაში ოთხ-ოთხ სარითმო ერთეულს წერდა, მეტსაც: სათადარიგოდ. ეს პროცესი ათეულ გვერდებზეც გრძელდებოდა. ასეთი ასეულები დარჩა შეუვსებელი და გაუნაღდებელი. ბევრი გაასრულა. ზოგი შუა გზაზე მიატოვა. გასაოცარი ის გახლავთ, რომ წინასწარ ჩამოწერილებს უმეტესად ოდნავადაც არ სცვლიდა: სახელი იმავე ბრუნვაში რჩებოდა, ზმნა _ იმავე ფორმისა. ასე შეუვსია უსათაურო _ «მე არ ვიცი იმდარი ელისეის მინდორი...», «ქუჩა _ მანიფესტაცია» (დაუმთავრებელი და გამოუქვეყნებელი) და სხვები.

1946 წლის დეკემბერში ხუთი თვის სამუშაო გეგმა მოუხაზავს («მშვიდობის წიგნს» წერდა უკვე):

_ საჭირო არის 30 000 ახალი რითმა. ვინაიდან იქნება 60 ლექსი. 60X500=30 000. საჭიროა ძირები _ 60 მთლიანი. როდესაც ეს ძირები დაფუძნდებიან, მათზე მუშაობაც ადვილია. ამისათვის _ ცალკე რვეული _ დაახლოებით 150-200 გვერდიანი. რითმები ჩამოწერილი უნდა იქნან სუფთად, გარკვევით. მონახული უნდა იქნას რაიმე ხერხი, რომ დღეში ათასი რითმა ჩაიწეროს. მაშინ საკმარისი იქნება ერთი თვე, ე.ი. იანვარი.

მთლიანი გარითმვისაგან _ არასგზით არ უნდა გადავუხვიოთ. ეს ძნელია, მაგრამ დიდი სიახლეა. საჭიროა კალენდარული გეგმა: ეს იქნება 5 თვის ჩემი მთავარი სამუშაო. გეგმის განხორციელების დასაწყისი _ პირველი იანვარი 1947 წ. გამოყენებული უნდა იქნას ყველა წინანდელი გამოცდილებანი. ეს იქნება მტკიცე საძირკველი.

«ამინდი _ ორნამენტი» _ დაუწყვილებია «ნიკორწმინდის» დღეებში და ოთხმოცი შესატყვისი დაუნომრია _ გეგმა შეუსრულებია.

1951 წელს უაღრესად პოპულარული «მშვიდობა» აუჩემებია და შედარებით მოკრძალებული ექვსი ათეული დაუმრგვალებია.

1953 წელს სოხუმში ღამის სამისნახევრამდე თორმეტფურცლიანი რვეულის თორმეტივე არე ოთხრითმიანი დაქტილით შეუვსია ბოლომდე და თანამიმდევრობით დაუნომრია ოთხეულები _ 84. მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ მიბრუნებია და აღარ გაუსტრიქონებია დიდი ლექსი თუ პატარა პოემა.

სხვა დროს ოთხმარცვლოვანთა ოთხეულები თავისუფალი თაბახის მარჯვენა მხარეს ჩამოუშენებია და ესეც გაუნაღდებელი დაუტოვებია:

ლაპარაკი _ დაბარა კი _ და ბარაკი _ დაბა რაკი.
მე ამითი _ მეამიტი – და ამიდი _ მზეა, მიდი!
ხანდახანა _ ანდა ყანა _ სჩანდა თანა _ გადატანა.
იმ მზით ველი _ მიმზიდველი _ ნიგვზით ველი _ ძველისძველი.
შემოსილა _ შემოსილა _ შემოზილა _ შემოცლილა.
რამდენია _ დამდენია _ გამთენია _ გადასადენია.
დაპირება _ ეპირდაპირება _ გამონაპირება _ გაზედაპირება.
ეგონება _ ექონება _ ეკონება _ შეგონება.
გაიწია _ გაიწია _ გაისია _ კაი ძია.

ხუთსტროფიანი მაჯამა ჩაუფიქრებია. ცარიელ ფურცელზე ომონიმური რითმები გადაუჯვარედინებია. საინტერესო დეტალი: ბოლო სარითმოს ძახილის ნიშანი უზის. ლექსის საერთო პათოსიც წინასწარ განუზრახავს: არჩევს _ გადაჰკრა _ არჩევს _ გადაჰკრა, ართმევს _ დაგდება _ ართმევს _ დაგდება, უბედა _ ებრალება _ უბედა _ ებრალება, ეშურება _ მიაწყდა _ ეშურება _ მიაწყდა, გინახავს _ ამოდენა _ გინახავს _ ამოდენა! ეს ჯვარედინები გადაუწყვილებია, ბოლო ერთი მოუხსნია და ისე გაუმაჯამებია _ «ქალი ლიმონებში».

კიდევ უფრო საინტერესოა მეორე შემთხვევა: სტრიქონებს ჩამოწერდა და შუაში ნავარაუდევ შუალედებს ტოვებდა. ჩამოწერდა ფანქრით უმეტეს შემთხვევაში მესამე-მეოთხეს, ან პირველსა და მეოთხეს, ანდა ერთ რომელიმეს. შემდეგ მელნით შეავსებდა თავისუფალ ადგილებს და ჯვარედინი რითმებით გამართავდა. ასეთი თანამიმდევრობითაა დაწერილი: «ოცნება და სინამდვილე», «წარწერა ქვაზე», «წარწერა წიგნზე», «შესდგა ცხენი», «ფელეტონების შემდეგ», «ნამდვილი და ხელოვნური ყვავილები» და მრავალი სხვა.

ასე მეჩხრად ჩამოწერილი კარკასი შეუვსებელი და დაუსრულებელიც დაუტოვებია თუ დარჩენია, ზოგიერთი სხვაგან გამოუყენებია. ერთიც უნდა შევნიშნოთ: ამ ხერხს ადრეულ პერიოდში იშვიათად მიმართავდა.

ერთი დასანანი ჩანაფიქრიც დარჩენია _ «გენიალური თვალები»: ყოველი მეორე სტრიქონი ჩამოუწერია: გენიალური თვალები, გენიალური თვალების, გენიალური

თვალებით, გენიალურმა თვალებმა... გაურითმავი სტროფიც დაგვიტოვა, კაფე «რუსთავში» დაწერილი, 1955 წლის 28 აგვისტოს:

ჰოი, ლალები, ლალები, შევარდენს გიგავს თვალები.
არ მავიწყდება მე შენი გენიალური თვალები.

როგორც ირკვევა ლექსი ოლიას ეძღვნებოდა:

_ Я познакомился с ней в 1913 году... Помню, со мной был Тициан Табидзе, который сказал: "У неё гениальные глаза!" _ გაიხსენა ორმოცდაოთხი წლის შემდეგ, 1957 წლის 10 დეკემბერს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისადმი წარდგენილ ოფიციალურ დახასიათებაში.

სხვათა შორის, ეს გაურითმავი რუსულად გარითმეს და უწოდეს:

_ Промельк Ольгиных глаз.

გენიალური თვალების სინტაგმამ მეორე ლექსის ადრესატიც გვაპოვნინა _ «სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა»: «იმ გენიალური, ბრწყინვალე, მწუხარე, თვალების ნათება, იდეა მქუხარე... იმ გენიალური თვალებით დიადით, რაითაც ცოცხალი ხდებოდა წყვდიადი...».

ლექსის პირველი ვარიანტი, რომელიც მხოლოდ ათ სტრიქონს შეიცავდა, 1940 წელს გამოაქვეყნა მესამე ტომში და 1944 და 1959 წლების რჩეულებში გაიმეორა უთარიღოდ. 1955 წლის 28 აგვისტოს კი გააგრძელა და 1957 წელს მერვე ტომში შეიტანა საბოლოო ვრცელი ვარიანტი, რომელშიც მძაფრად შეიგრძნობა გამოთხოვების ტკივილი. ამიტომ ამჯერად ლექსი 1915 წლით დაათარიღა, თუმცა მალე ოლია რეაბილიტირებულ იქნა. თარიღის გადაადგილებაც გვარწმუნებს და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ოლიას გამოეთხოვა:

სარკმელი საღამომ და ფარდამ დაბურა
სანთელი მბჟუტავი მთლად გაუდაბურდა _
მას შემდეგ, რაც შენი სახება ბინდბუნდზე
სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა...

ამ ელეგიის პირველი სტროფის სრულიად უცნობი პირველი ვარიანტი, როგორც მოსალოდნელი იყო, სწორედ 1936 წლის ნოემბრის დღიურში აღმოჩდა (ეს ოლიას დაპატიმრების დღეებია!) და მეხუთე გაურითმავი ტაეპიც გალაკტიონის უმძიმეს განცდას გვაუწყებს: «ავად ვარ. ცეცხლივით მედება ანთება».

ლექსის ყველა ფორმა და რითმის ყველა სახე გამოსცადა თითქმის. მხოლოდ რითმებითაც წერდა. ასეთებს «მდიდარ» ანუ «ღრმა» რითმებს უწოდებდა:

მოლარე ვაზს რგავდა,
მოლა რევაზს ჰგავდა.

შვიდმარცვლოვანში ექვსი მარცვლის სიღრმეზე შემოუტანია რითმა: უკვე მეორე ტაქტზე იწყება:

დღეს ბესო მისდევს ნავსად
იესო ქრისტეს მსგავსად.

ახალ ხერხებს ეძებდა, ახალ-ახალ წყვილებს. ჭაშნიკად _ გამოუყენებელი რითმების მინი-ლექსიკონი უნდა შევუდგინოთ (გამოყენებულებმა რა დააშავეს?!). თავის დაზღვევის მიზნით წინასწარ უნდა განვაცხადოთ: ზოგიერთები შეიძლება რეალიზებულიც იყოს: წამებათა-დამებადა, გამოცდა _ სამოცდა, ჩანდა _ ჩანთა, კაკვი _

თაგვი, გასაქანი _ საკანი, რონოდა _ მქონოდა, ფარგალი _ ბარკალი, მოვიარო _ სამგლოვიარო, დაწყვიტა _ ცაცხვითა, ფარდა _ ფართა, თითო ოროლა _ ტოროლა, სვამდა _ სვავთა, წამდა _ წამთა, სხვადასხვაგვარი _ მზაკვარი, ქვირითი _ ჯირითი, მყობადი _ ნობათი, წვეთები _ სვეტები _ მივეხეტები, საისტორიო _ ბორიო, შუქფარი _ ნუგბარი, დუგმა _ შუქმა, მეგრული _ ხელებშეკრული, სათიბი _ ნატიფი, საგანზე _ საგანძე, აქეთა _ ბაგეთა, ჭილოფს _ ცდილობს, კუპრი _ ქუფრი, ბარაქა _ მოიმარაგა, თავღია _ ავყია, აგრეა _ გაგრია, მაგისი _ ფაქიზი, ბეღურა _ ხასანბეგურა, კალია _ გალია, მეფეთა _ დამებედა, პეპლები _ დაიფერფლები, წიწილით _ სიცილით, ნიჭითა _ შემოიჩითა, მიგება _ ებილიკება, განანაზი _ ანანასი, საჭურველი _ სასურველი, მესამე _ რომელსამე, სურათი _ კურატი, ჩამოყალიბება _ ხალიფებად, რადიუსი _ რადიოსი, ირაჭველა _ ჭიანჭველა, იწვით _ სიძვით, თესლი _ გესლი, ქვევრი _ კევრი _ ბევრი, საცერი _ ალმაცერი, პატრუქი _ უბადრუკი, ომბალო _ უკომბალო, კამელია _ დამელია, შავთვალწარბასი _ დარბაზი, ნიგოზი _ კათალიკოსი, ნაბადი _ ნაბავდი. ჯადო _ ჩადო, ცხოვრება _ ესაშოვრება _ ეუცხოვება, ვირთაგვა _ ფილთაქვა, მეოცა _ მეოცე, დაღამდა _ დაღავდა, სამსავე _ გაასავსავე, მარტივი _ მარტივით, ბეჭედი _ მეჩეთი, განალესი _ ანალიზი, სამყურა _ დამხურა _ მიმსახურა, კერია _ მოიგერია, სრულიად _ უმეცრულია, დიდება _ მოთვალმარგალიტება...

შედგენილებიც შეუდგენია: ჰყრია სამანი _ იასამანი, მაგონებს _ მაგ ომებს, ტირი შორი _ დირიჟორი, თივთიკი _ ნივთი კი, როცა მე _ მოწამე, ანუ კვარი _ სანუკვარი, სადაფი _ სად დაფი, არქიპელაგი _ ყველა კი, ანდა ქება _ ქანდაკება, და მური _ ამური, იმპერია _ იმ ფერია, მუშა კი _ გუშაგი, მე კი რა _ მეკირა _ მე ქირა, ხვითქი _ თვით კი, ო ეს სიავე _ პოეზიავე, თავთავთა _ რთავ და რთავ, ფანჯარა _ დაიმანჭა რა, უდიადესი _ ხუთი ათასი, ახალი სია _ რა ხალისია, წერაქვით ქვა _ წერა-კითხვა, ის ოდა _ უყირმიზოთა, მესკია _ ეს კია, ამოტყე _ სამოთხე...

უკიდურესად შედგენილიც დაუჭაშნიკებია:

ი! _ იტყვი შენა (ნეტა რატომ «ი»?),
აჰა ინებეთ ჩემი ცხრა ტომი.

ცდილობდა სარითმო ფორმიდან მაქსიმუმი გამოედნო:

მსოფლიოს წამებას, როგორც ზღვას კოვზით,
ვერ ამოსწურავს ქნარის ქნარება.
სადღაცა თოვს და თოვს, ამ ნელი თოვსით
ემპირეებში სულს ემთქნარება.

კონსონანსებიც შემოგვთავაზა: მე ამითი _ მიამიტი, აწვალე _ აწ ვალი, გობელენი _ ელენე, ელენე _ მომეტყველენი, ყაითანი _ აიტანე, მოურევენ _ მოურავი, დაობდა _ აბდაუბდა, მარცვალი _ მძარცველი...

რაც შეეხება ასონანსს:

_ ასონანსი სახიფათო რამეა: დიდი სიფრთხილეა აქ საჭირო. არ შეიძლება მეტისმეტად თავზეხელაღება ამ მხრით. _ ჩემის აზრით კლასიკურ რითმას არა სჯობია რა. ასონანსი მხოლოდ ხანდახანაა კარგი, და ისიც რჩეული უნდა იყოს.

ომონიმურები ცალ-ცალკე შეუგროვებია და დაუჯგუფებია: უბანს _ უბანს, ისმის _ ისმის, მოდის _ ახალი მოდის, ეშვები _ ეშვები, კიდევ _ კიდევ, და მალე _ დამალე, მორებით _ მორებით, ხელადა _ ხელადა, ლაქაში (ლაქა) _ ლაქაში, სადა _ სადა, ლამის _

ლამის, პოემამა _ პოე, მამა, დასმა _ დასმა, ესმის _ ეს მის, ვარ ამის _ ვარამის, დაულევია _ დაულევია, მერიდები _ ეფემერიდები...

ამ ომონიმურის ადრესატს პირველსავე სტრიქონში ვეცნობით:

მეჯღანუაშვილების შვენებაო, სოლომან,
მოგვხიბლა იმ კონცერტზე ხმისა შენის სოლომან.
ციდან შენ არ მოდიხარ და არ დაზიანდები,
რეალისტი კაცი ხარ, გაარდაზიანდები.
რაკი მე მგოსანი ვარ, შენ კი ძველი მეჯღანე,
ლექსებით შემაქეო, რადგან ბევრი მეჯღანე, _
ამ ექსპრომტით, სოლომან, მე შენს თხოვნას ვასრულებ
და ლექსს ომონიმური გარითმებით ვასრულებ.

ზოგან ცალფა სიტყვა ჩამოუწერია, სარითმო თავისთავად იგულისხმება: ბარაქალა კი, ნადიმივითა, არ მიელი, არ აბია, არგო...

გამოყენებულებიც ამოვიწერეთ ჯერჯერობით გამოუქვეყნებელი ლექსებიდან და ფრაგმენტებიდან: ჩხუბი _ ტყუპი, ესე _ დაგვიწესე, თაროზე _ მეავგაროზე, სატიტულოს _ ყიდულობს, ერესებს _ აინტერესებს, თვისტომთა _ ვითოOმდა, სილაჟი _ სილაში, საყაჭო _ ყაყაჩო, ამდორებდა _ ავტორებთან, ბარაკებად _ მოლაპარაკება...

გეოგრაფიულ სახელწოდებებს, ცნობილ პიროვნებათა გვარებსა და სახელებსაც რითმავდა: რუსთავი _ დაუსტავი, თიანეთი _ მატიანეთი, ოსეთი _ მომიმოზეთი, კორსიკა _ წაიბორძიკა, ათOონი _ სახიფათოOნი, წაუჯიკაო _ ძაუჯიკაუ, დაფნა _ მიეშორაპნა, საფრანგეთი _ ბანკეტი _ ბაგეთი, ყოველი _ მოველი _ მოსკოველი, მიზანი _ აჭარისანი, ენგური _ თემურ-ლენგური, მარტყოფი _ ბარტყობა, მიზეზი _ დიონისესი, თავაზი _ გუგუნავასი, ქულა მითი _ სულამითი, კოინდარი _ პინდარი, მერმისი _ ჰერმესი, მიუსეს _ მიუსევს, არაგონი _ ბარაკონი _ არა მგონი _ და საარაკონი, ქაოსი _ ფარნაოზი, სარგის _ სარკის, გუნია _ საუკუნეა, ნიკოსი _ ფსიქოზი, საათი _ საადი _ სამოცდაათი, ნესტან _ ტყესთან, ფხიზელი _ პარიზელი, გოგლა _ მოიმოკლა _ მოკლა, გვეტაძე _ ხვეტაზე, არ იცის _ თათქარიძის, განმარინე _ მარინე...

თუმცა ისრები ბევრმა დაშვილდა,
მსგავსნი ვერ გახდენ ბარათაშვილთა.

ერთს ჰქვია გიორგი, მეორეს ხარტონ,
ეს ვარდოშვილია და ის კაჭახიძე,
ევედრე ღვთისმშობელს, რომ ხათას გარიდონ,
ხელში ნაჯახითა, კაციც _ ყაჩახიძე.

ასეთი სალაღობოები ბევრია: ამოიჩემებდა რომელიმე სახელს ან გვარს და მანამ ერთობოდა, ვიდრე რითმა არ შემოელეოდა:

გამარჯობათ, ყანწელებო, პაოლო და ტიციანო,
გრიგოლი და ვალერიან ხიდისყურში იციანო.
გამარჯობა, ჩემო ალი, ხმატკბილო და ხრინწიანო,
გამარჯობა, გამარჯობა, უკვიცო და კვიციანო.
გალსტუკებში გამოეწყო სიმამრიან-სიძიანო,

ცხენზე შეჯდა უკუდოზე, თვალი მიაქვ პრინციანო.
ტაში-ტუში, ტაში-ტუში, პაოლო და ტიციანო,
ცოტა ლაგამს დამორჩილდით, ძმობილნო და ბიძიანო,
თორემ მართლა გემართებათ საქმე თათქარიძიანო.

ცისფერყანწელებზე საუბარი სახიფათოა. რაკი რითმამ და სიტყვამ მოიტანა, რამდენიმე შედარებით უწყინარი ციტატა მაინც გავიხსენოთ:

_ ერთ მშვენიერ დღეს (ისტორიულ დღედ უნდა ჩაითვალოს!) ქუთაისის მზიან ბულვარზე დემონსტრატიულად გამოვიდა თორმეტი ახალგაზრდა, მკერდზე «ყანწის» ნიშნით. ძალიან გულმოსული სახით კი დადიოდენ, ეტყობოდათ «ჩხუბის ხასიათზე» იდგენ და ეს გარემოება, რა თქმა უნდა, კომიკურ შთაბეჭდილებას სტოვებდა. უადგილო «სერიოზულობა» აქ რა მოსატანიაო, _ იტყვით. მკერდზე ყვერულის ყანწები და სერიოზული სახე, _ მოდი და ნუ გაიცინებს იმერელი.

_ ჩვენი გულკეთილი ძველი ყანწელები შეშფოთებულნი არიან, ყანწელები, რომლებიც ამჟამად კვირაში ექვს დღეს ფულის შოვას ანდომებენ და მეშვიდე კვირა დღეს ქვეყანას აყრუებენ თავიანთი ლიტერატურული გავლენის საპროპაგანდოთ.

_ «მოგვეშველეთ ჩვენ, რომ ცოტათი შევაჩეროთ გალაკტიონი, თორემ ის ძალიან წინ წავიდა», _ ალბად ასე ევედრებიან პარტიას ყანწელები და ძმანი მათნი.

_ ტიციანმა სთქვა, როდესაც რობაქიძე ლაპარაკობდა ბარათაშვილზე, საზოგადოებამ გალაკტიონს გადახედაო. ეს ირონიულად სთქვა... მასხრად, ვნახოთ, ვინ იქნება აგდებული.

_ ტიციანი რაღაც იდუმალად მეუბნება: არ შეიძლება ამდენი ხნის ბოიკოტიო. მართლაც, დროა გამოსვლის...

_ მე არ ვიცი რა არის ცისფერი ყანწების მიმდინარეობა. მე ვიცი უფრო მშობლიური ტრადიცია.

ორი და ჰყავს
ტერ-ფსიქორეს _
ერთს წი ერქვა,
ტრა _ მეორეს.
რადგან სპობენ
ტრადიციას,
წი _ პაოლოს,
ტრა _ ტიციანს.

რუსულად გაუმაჯამებია:

Полу Леонидзе,
Полу Чилая _
От них ничего не
Получила я.

ქართულ-ლათინურებიც დაუწყვილებია: სოსოს _ ШОШ, ШОШ!

ვარიანტებში გაფანტულებიც ამოვიწერეთ: უქოლგოთა _ გოლგოთა, წყვდიადებს _ აზვიადებს, საყელოთა _ ელოდა, ატამი _ მაშასადამე, სიობლემა _ პრობლემა, გულთმისანი _ მიზანი, გამოისყიდა _ სისხლითა, ფუქსავატი _ თავადი, თემიდა _

თემიდან, მენავე _ ზღვისაკენავე, ლენცოფა _ სპილენძობა, თვალანატირი _ ნადირი, სამიწესი _ მიზეზი...

გაგვიხანგრძლივდა, მაგრამ არავინ უწყის, აღირიცხება თუ არა ეს წყვილები ოდესმე, თანაც ნაწილი უკვე რეალიზებულია სხვებთან და სხვებთან, რომელთაც ალბათ უნდა მოვუბოდიშოთ კიდეც უნებლიე დამთხვევის გამო. რას ვიზამთ? ერთ ბედქვეშა ვართ, კოლეგებო: მეც ჩემი მეგონა ზოგიერთი!

ხოლო რაკი არათანაბარმარცვლოვანთა ანალოგიები ამ ბოლო დროს უფრო მომრავლდა, არაფერი დაშავდებოდა, ასეთებისთვის სილაჟვარდიზმები გვეწოდებინა! «სილაჟვარდიზმის» მაგალითებიც მოიძებნა: თუნგი _ თუ იგი, სარდალი _ სამართალი, ოსტატი _ ოცდაათი, ნიავები _ ნავები, დაირისა _ დააირისა, დაბალი _ სარდანაპალი, მიმინოს _ მიიმინოს, მიწით _ მიიწით, კმარა _ კამარა, წერეთელი _ წერტილი, საამოთ ხე _ სამოთხე, ამეტისტი _ მეტისმეტი...

ქარებს ფერები აქვთ კარგი ამეტისტის,
ზოგი ვეფხვებია, ზოგი შურთხებია,
ქართველო ქალებო, ყველა თქვენს მეტისთვის _
ყველა თქვენს მეტისთვის მიმიფურთხებია.

«მეტისმეტებიც» ამოვკრიბეთ: ქრისტე _ ამეტისტი, ღვარძლი _ მძარცველი, ფორთოხლებს _ შეხლა-შემოხლის, ბურუსმა _ ლურსმანი, აზარმაცი _ არმაზი, ლაინერის _ გაასხვანაირეს, ბაღისას _ მაღვიძებს...

«სილაჟვარდიზმის» ალიტერაციებსაც აწყვილებდა:

_ მთვრალი _ მტარვალი! ეს ალიტერაციაა, ალიტერაცია ბევრი მსმენია მაგრამ ასეთი?

არავის არ ახსოვს თავისი ბავშობა

ხშირად აღნიშნავენ გალაკტიონის ფენომენალურ მეხსიერებას, რომლისგანაც დიდადაა დავალებული მისი გენია.

ამიტომაც სწუხდა მოგვიანებით:

_ მეხსიერება, ვატყობ, მღალატობს.

_ მეხსიერება მღალატობს. სულ უახლოესი ნაცნობების სახელი და გვარი მავიწყდება... ეს არ ვარგა, უნდა ჩავიწერო.

_ ხშირად ვერ ვიხსენებ ძალიან ახლობელი ადამიანის სახელსაც კი.

_ ნუთუ საბოლოოდ მღალატობს მეხსიერება?

ამ ეჭვს ხაზგასმის განსაკუთრებული ნიმუში მოსდევს:

იგი ლამპარი რომელ წელს ენთო?
როდის დაქანდა ჟამთ ძლიერება?

მეხსიერებას არ უნდა ენდო,
მოღალატეა მეხსიერება...

უკანასკნელი ტაეპი ათჯერ მეორდება, ხოლო ამ ათსაფეხურიან რეფრენს შეკითხვები აგრძელებენ:

_ ნეტავ რა ერქვა იმ ვარდს სახელად?

_ ის ქალი, მთავარ ბუჰღალტრად რომ მუშაობს, რა გვარია?

_ რა კარგი კაცია? გვარი? დამავიწყდა.

_ სად არის მომღერალი ჩხაიძე (რა ჰქვია სახელად, სულ მავიწყდება). _ არადა, მართლაც ძნელი სახელი ერქვა: ილიოდორე!

მამის სახელი დავიწყებია:

_ Дорогая Елена Маматквеновна.

1923 წელს ნაცნობების ანბანური საძიებელი დაუზუსტებია (ალბათ აუდიტორიას აგროვებდა). ექვსასამდე მრევლი შეუკრებია. უკანასკნელ ოცდამეცამეტე ასო-ნიშანზე ქართული გვარი ვერ უპოვნია და:

_ ჰა-მეთქი!

1958 წლის მარტში მოსკოვში საჩუქრების სია შეუდგენია, ოჯახის ახლობელი ქალბატონის სახელი ვერ გაუხსენებია და უცებ მოუნათლავს: «რაქვიანა ქალს».

ერთი დრამატურგის გვარი ვერ დაიმახსოვრა და «ვახლავარ» შეარქვა.

მიზეზი არა მარტო წელთა სიმრავლე გახლდათ:

_ საოცარი დრო დადგა: არავის არ ახსოვს თავისი ბავშობა.

არადა:

_ ადამიანის ცხოვრება არის მისი ბავშობა.

1928 წელს საოჯახო ეპისტოლური მემკვიდრეობა გადაუთვალიერებია, ძირითადად გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებისა, და შენიშვნები დაურთავს:

_ ალბათ დეიდა გვატიას წერილია.

_ დედაჩემის ხელია.

_ საინტერესოა ოჯახური ქრონიკისათვის.

_ (მამაჩემზეა ლაპარაკი) ბიძაჩემის წერილია.

1930 წლის 27 სექტემბერს გაიხსენა:

_ როგორც გუშინდელი დღე, ისე მახსოვს ნიკოლოზ II-ის გადადგომა.

1937 წლის 20 მაისს სევასტოპოლში გაახსენდა:

_ აი, გატუნია, გაუყარე ძაფი ნემსში, თვალწმინდათ მე ვეღარ ვიყურები.

დღიურებისა და ჩანაწერების კითხვისას აშკარად იგრძნობა: ძალიან დიდიხნის წვრილმანები ძალიან კარგად ახსოვს, დღევანდელ დღესავით ახსოვს, ყველაფერს დაწვრილებით აღწერს, ერთი შეხედვით სრულიად უმნიშვნელო ნიუანსებს უსვამს ხაზს:

_ არის მოგონება, რომელიც არასდროს კაცს არ დაავიწყდება.

_ არის ჟესტიკულიაცია, რომელიც არასოდეს არ დაგავიწყდება.

ქუჩა, ნაგები რკინით და ქვითა,
წარბებ-დახრილი, როგორც მისანი,
დილით ქვაფენილს მოხუცი ჰგვიდა,
მან მე ვერ მიცნო, მე კი ვიცანი.

1940 წლის რვეულში 1908 წლიდან მოყოლებული _ ყოველწლიური ქრონიკის თეზისები ჩამოუწერია. მეტად მახვილი თვალით შემჩნეულ დეტალებს აღადგენს: კიბე პრესის ქუჩაზე. უცნაური გაზეთის გამყიდველი. ის შემოდგომა (ხე, რომელიც ეხლაცა სდგას). გამგზავრება ერთხელ სემინარიის ახალი შენობის დასათვალიერებლად ვაკეზე. სულ ტრიალი მინდვრები. რატომღაც დამამახსოვნდა ერთი ხრამი _ და იქ შემთხვევა. ხრამში მიექანებოდა ქვევით _ პატარა ბილიკი... უცნაური შემოჭვრეტა (როდესაც «შუქს»

ვაკეთებდი) ინსპექტორისა... მინდორი ტრამვაის სამმართველოს წინ. უკანასკნელი ორი შაური საზამთროში. რა უგემური საზამთრო იყო!

1941 წლის 25 მარტს ერთი პიროვნების მოგონება წაიკითხა: 1913 წელს აკაკი მიუწვევიათ სოფელ მუხიანში:

_ მე ძალიან კარგად მახსოვს ეს დღე. განსაკუთრებით დამამახსოვნდა ცხენები მიბმულნი ღობესთან. დიდი თაღი, ყვავილებიანი «Арка».

1947 წელს ჟურნალ «ნოვი მირის» პირველ ნომერში ლატვიელი პოეტის ლექსი წაიკითხა _ «Ржавая вода болот» და წაკითხულმა გაახსენა:

_ მე მახსოვს: შარაგზაზე ცხენებისა და ხარების ნაკვალევში დაგროვილ ყვითელ ცხელ წყალსა სვამდა მგზავრი, მას მხრებზე ადებული მოჰყავდა წითელი ღორი, რომელიც უნდა მიეგვარა ბატონისათვის. ღორი გამწარებით ყვიროდა და მოძრაობდა მასზე უფრო გამწარებული მგზავრის მხრებზე. იყო შუადღე. მგზავრს წყურვილისაგან ხახა უშრებოდა.

საცნობარო ლიტერატურისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ცნობისმოყვარე. თავისთავად მისი არქივი თავისებური ენციკლოპედიაა, რომელმაც ნახევარი საუკუნის ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული ცხოვრების მრავალი მოვლენა გადაგვირჩინა. ამჯერად მეტად უცნაურ შემთხვევას წავაწყდით: «გაარტყა!» _ ასე ეწოდება ცნობარს, რომლის ქვესათაურია «სილის გარტყმევა». მეხსიერება დაუძაბავს და გარტყმების ანთოლოგია შეუდგენია. ქრონოლოგიას იცავს, სიყმაწვილის წლებიდან იწყებს, მეზობლები, ნათესავები, კოლეგები გაჰყავს საქმეში, ნაცნობ-უცნობების მთელ გალერეას წარმოგვიდგენს. იწყებს მშვიდად, რეალურ ფაქტებს აღადგენს, ალაგ-ალაგ ლაკონურ რემარკებსაც ურთავს. სტრიქონ-სტრიქონ აჩქარდება, ეშხში შედის, გვარ-სახელების ალიტერაციით ერთობა, პირად სიმპათიებსაც ამჟღავნებს, ბოროტადაც იყენებს საავტორო უფლებას, ანგარიშს უსწორებს ოპონენტებს, მეგობრებს მიუსევს ერთიმეორეს (აკი დაგვპირდა: «მალე ერთმანეთს დასცხებენო»!), მანდილოსანსაც გაალახვინებს ერთ ამოჩემებულ მეტოქეს. თანდათან სასიამოვნო ხდება საინტერესო წყვილების ლაწალუწის რიტმი: ერთმა მეორეს გამოტყუა, მესამემ მეოთხეს ხურდა დაუბრუნა, მოძღვარმა მოწაფე გაიმეტა, მოგვარემ _ მოგვარე, მწერალმა _ მწერალი (კატამ _ თაგვი, თაგვმა _ მიწა, მიწამ _ ჟანგი, ჟანგმა _ თოფი, თოფმა _ მგელი, მგელმა _ თხა) _ და უცებ იმერულად უქცევს: გაორმაგებული მრავლობითით ამთავრებს ამ ოცდაცამეტ-რაუნდიან დაკადაკას:

1. კარგა იცოდა ისიდორემ, მასწავლებელმა,
გარტყმა. ისეთი სილა გაარტყა გოგიას, რომ
კედელს გააკრა (რატომ?).
2. ისიდორემ და ივლიანემ
რომ დასცხეს ერთმანეთს.
3. აბესალომმა _ გოგსაძეს.
4. აბესალომმა _ შკოლელს.
5. სერაპიონმა _ პოლიკარპეს (გამომტყუაო).
6. აგაბომ _ ლონგინოზს (ესაა შენიო?).
7. თესია ლომიძემ გაარტყა მასწავლებელს.
8. რატომ მოსდის ბევრს ბავშს თამაშობის

დროს?
9. ეგვენას გარტყმა.
10. სტუდენტმა მიქელაძემ მისვე ამხანაგს
ბულვარის ტროტუარზე რომ გაარტყა?
11. ინსპექტორმა ჯაფარიძემ გაარტყა
სასწავლებლის უფროსს _ გრეკოვს!
12. მაჭავარიანმა გაარტყა ხოშტარიას.
13. ბურდილაძემ _ ბურდილაძეს.
14. უბირიამ _ მეეზოვეს!
15. ეზიკიამ _ მეზიკიას.
16. ტიციანმა _ გრიშაშვილს.
17. ალიმ _ შანშიაშვილს.
18. ავდეევმა _ რობაქიძეს.
19. პაოლომ – ავდეევს!!!
20. შანშიაშვილმა _ ალის.
21. ქუჩიშვილმა _ ამაშუკელს.
22. ამაშუკელმა _ ქუჩიშვილს.
23. ჯუღელმა _ ამაშუკელს.
24. ლორთქიფანიძემ _ ჩიქოვანს.
25. ორეულმა _ ფარქოსაძეს.
26. კოლაუმ _ იაშვილს.
27. ნაფეტვარიძემ _ მიქელაძეს.
28. მაჭავარიანმა _ ჯაფარიძეს.
29. ჩხეიძემ _ იუნკერს.
30. თავადმა _ ჭიპაძეს.
31. ბაბილინამ _ გრიშაშვილს.
32. კ. აბაშიძემ შკოლის უფროსს.
33. სცენა რიყეზე.
«რა გინდებიენიენ?»

აქვე მდიდარი სინონიმებიც დაუჯგუფებია (ეს უკვე მეორე აქტია _ უფრო აქტიური და დაუნდობელი):

1. ერთი ისეთი ჰსცეცხლა.
2. ერთი ისეთი გაჰკრა.
3. გაუშალა!
4. ლეწა!
5. აადო!
6. შემოჰკრა!
7. ჩაარტყა.
8. დაჰკრა.
9. სდრუზა!
10. ხეთქა.
11. სთხლეშა.

12. უთაქა.
13. სდო!
14. ოჰო, მოხვდა.
15. სტკიცა.
16. სტკეცა.
17. სილა გააწნა.
18. გაასილაქა.

«ჩხუბები»(მესამე აქტი!) _ ასეთი მცირე კოლაჟიც აქვეა წარმოდგენილი. ლიტერატურული ფაქტების მხოლოდ ხუთი შემთხვევა დაუსახელებია:

1. სამანიშვილის თავგადასავალი.
2. Песня про купца Калашникова.
3. Тарас Бульба.
4. Как поссорился Иван Иванович
с Иваном Никифоровичем.
5. მოჩხუბარიძე.

«სკანდალები» (მეოთხე აქტი!) _ სხვა დროს გაუხსენებია და იქვე მიუწერია:

1. გუბერმანის კონცერტი.
2. კ. აბაშიძე და «კოლხიდა».
3. «პოეტების მეფე».
4. ქიმერიონი.
5. სილა პოლიცმეისტერს.
6. სილა კოლია ვალიშვილს.
7. სილა გუცა ფარქოსაძეს.
8. ბოთლები გრ. ლაღიძეს.
9. სკანდალები პროლეტარულ
მწერალთა პირველ კონფ.

შეტევაზე გადასულა (მეხუთე!):

1. ჰსცეცხლე!
2. ჰკა!
3. მოჰკალ!
4. შეჰკარ!
5. გაარტყი!
6. მოსცხე!
7. დალეწე!
8. დასწვი!
9. გაანადგურე!
10. დაანგრიე!
11. დასცი ძირს!
12. დაჰკარ!
13. აურ-დაურიე!
14. დააცხრი!
15. დაახეთქე!

აბა ჰე, აბა ჰე!

ერთხელ კიდევ დაინტერესებულა _ «ჩხუბი სამკვდრო-სასიცოცხლო». ამჯერად ილეთები ჩაუწერია და საჩხუბრად მომზადებულა (ეტყობა, გასალახავი ჰყავდა ვიღაც):

_ არც ერთხელ შებრალებისა და დათმობის გზას არ უნდა დაადგე. პირველად უნდა მოასწრო შეჯახება და სწრაფად ქცევა. მოწინააღმდეგის პოზაზეა დამოკიდებული ის, თუ როგორ დაარტყა. შენ მხოლოდ უნდა დაარტყა, ხელის მოკიდება არ შეიძლება. დარტყმისას ეცადე, ახლო არ მიიკარო. ის წელში შევარდნას ეცდება: მაშინ შენ უშენ ხელებზე. ყველაფერი შენი უნდა იქნეს უეცარი და შეუბრალებელი. ეცადე, სამუდამოდ დაამახინჯო, ეცადე, სამუდამოდ დააშინო. ჩხუბის დროს მოძრაობს ყველაფერი: ხელები, ფეხები, კბილები, ფრჩხილებიც კი.

1950 წელს თორმეტფურცლიანი რვეული დაუსათაურებია: «უქიმერიონი (ქალაქიდან გზები და ბილიკები უქიმერიონისკენ)». თხუთმეტ რკალად დაუყვია ქუთაისის ეს ლამაზი უბანი:

_ ასასვლელები მარჯვნიდან. უქიმერიონისკენ ზევიდან მომავალი გზები და ბილიკები. ქიმერიონისკენ პირველი ასასვლელი ბილიკი გვირაბიდან. მეორე მიხვეულ-მოხვეული გზა. ხორხი _ ქალაქიდან ნანგრევებამდე. საცალფეხო ბილიკი _ დიდი გზიდან მამიას საფლავამდე. გზა წითელი ხიდიდან. დიდი შარაგზა უქიმერიონისკენ ცაცხვებიდან. ხევი _ შედარებით მოკლე ბილიკი გაბაშვილის მთის ძირიდან. კუხიანიძის შესახვევი. ნესტორ ყუბანეიშვილის სახლიდან. მარჯანიშვილის ჩიხი. ანდრო წერეთლის სახლიდან...

ეს მხოლოდ ქვესათაურებია, ცალკეულ გვერდებზე ჩამოწერილი, და თითოეული მათგანი მრავალ მიკროგეოგრაფიულ წერტილს შეიცავს: ასახელებს ამ ქუჩებისა და ქუჩაბანდების, შესახვევებისა და ჩიხების ყოველ მონაკვეთს, ყოველი მოსახლის გვარსა და სახელს, რომლებიც დამახსოვრებია ნახევარი საუკუნის შემდეგაც. და თუ ოდესმე ქუთაისის ქუჩების ისტორია დაიწერება, უკეთეს წყაროს კაცი ვერ ინატრებს.

ნაცნობი ადგილების გახსენებამ დაუვიწყარი მომენტები ამოატივტივა:

_ აქ ცხრაასხუთში ტყვიამ ტკაცანი მოადინა. აქვე ღამით მოკლული დედაბერი ნახეს.

_ საიდან უნდა მოდიოდეს ეს წყარო? (ეჰ, წყაროს ვერა დააკლეს რა, იგი ეხლაც ისევ მოდის). მე მივლია წყაროზე დედაჩემთან ერთად. ერთადერთი წყაროა გორაზე.

_ საინტერესო იყო მთიელების, განსაკუთრებით სვანების ბიჯის დგმა («Походка») ზევიდან.

_ შევაკებიდან იშვიათი გადმოსახედია (შემდეგში ამ ადგილას იდგა ბალმონტი და შეშინდა: Боязнь высоты).

_ არქიელის ცხენები ძალიან მსუქნები იყვნენ, განებივრებულნი, მაგრამ კელენიკეს _ მეჯინიბეს (საჯინიბო ციხის ახლოს ჰქონდა) სულ ბნელში ჰყავდა დამწყვდეული და ბნელს მიჩვეულნი, ერთხელ დაფრთხენ, გადაირიენ იმ გზაზე. არქიელმა ისკუპა კარეტიდან. ცხენები გააფთრებით მიჰქროდენ. ხან ერთს კედელს მიაწყდებოდენ, ხან მეორეს. მიკვირს რად არ დაილეწა კარეტა. მეეტლემ ძლივს-ძლივობით მოახერხა მისი გაჩერება.

_ რამდენი ბროწეულის ხე იყო აქეთ-იქით, როდესაც ისინი აყვავდებოდენ, იმათ ნახვას არა სჯობდა რა, სწორედ ფარადაშვილის (გიმნაზიელი ქალის) სახლის პირდაპირ.

მახსოვს, ერთხელ სტუმრად ვიყავით ამ გიმნაზიელ ქალთან მე და ელიკო. ფარადოვას ჩუმ-ჩუმად, მგონი, მე ვუყვარდი (ყოველ შემთხვევაში, ასე გადმომცა ელიკომ).

_ არაფერი არ მახსოვს უფრო ფანტასტიური, ვინემ ეს მიტოვებული ქვის ორსართულიანი შენობა. ვისი იყო? რატომ არ სარგებლობდენ?.. რატომ ერქვა საძრახი ადგილი? ორი მწარედ მოსაგონარი რომანი.

_ ყველაზე შესანიშნავი: ფანარი, ძველებური ფანარი (აქ ხშირად ვხვდებოდით მე და ო.). დადიოდა კაცი კიბით და ანათებდა.

_ რომ დაიკარგა ძროხა, მე და დედაჩემმა გავსწიეთ ამ გზით მის საძებრად. გვითხრეს, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა წასულიყო. ვერ ვიპოვეთ. დავბრუნდით. ძროხა შემდეგ მოიყვანა ეპიფანემ... საიდან? როგორ? ეს სხვა საკითხია!

ქუთაისის ქუჩებს თბილისის ბაღები და მოედნები ენაცვლებიან:

_ ნახვამდის, ქუთაისო! სალამი, ტფილისო!

ალექსანდრეს ბაღის ხშირი სტუმარი ყოფილა. მთელი ციკლი შეიძლება შეიკრას აქაური მინიატურული მოგონებებისა.

_ უმუშევართა ბაღო, ალექსანდროვის ბაღო.

1921 წლის 31 ივლისს ამ ბაღში დაუწერია «დღემ გაიარა». 1958 წლის 26 მაისს კი 1908 წლის ერთ დეტალს აღადგენს:

_ ალექსანდროვის ბაღში. აი იქ რომ აღმართია, იქ კრანი იყო გაყვანილი. 1908 წ. ქუთაისიდან რომ ჩამოვედი, ათი სემინარიელი მივედით იმ კრანთან მოწყურებული. მე მოვუშვი კრანი. მოსკდა წყალი, მარა როგორი სისწრაფით. უბედურება! კრანი შემდეგ არასგზით არ დაიკეტა. არა და არა. რომ ვერას გავხდით, მივატოვეთ ის მოშვებული წყალი და ვუტიეთ. ჰმ! დამამახსოვრდა ეს ამბავი. ძალიან უხერხულად კი ვგრძნობდი თავს, კრანი რომ მე გავხსენი.

«კახეთის მოედანი» _ სამოცდაოთხი გახსენება, სასიამოვნო, უსიამოვნო, მაინც დაუვიწყარი:

_ ერთხელ რომ თავს დამესხენ ხულიგნები. ეთიმა გურჯი რომ დადგებოდა. თამამშევა ბაზარში. მოედნის კუთხეში იყო სასადილო, სადაც მუდმივ იყო ნაფარეული. ისნის ცისკრის მსგავსი ორი ქალი. პირველი ლუდის სარდაფი (ხა, ხა, ხა!). პირველხარისხოვანი რესტორანი გააღეს მეორე სართულზე, აივნები ჩამოთალეს, რად? ავლაბარი უაივნებოდ? მშვენიერი ქალი შესახვევში... მერე რა? სიონის დიაკვანი ამ რაიონში სცხოვრობს, შემხვდა: ეს რა ხეა-მეთქი და სხვ. ამას ზევით კიდევ უნდა იყოს რაღაცა ბაღი, ვყოფილვარ. სასადილო, დიდი და მშვენიერი, მე და ეთიმისათვის. მეორე სასადილო _ მომცრო _ უფრო ქვევით _ ვყოფილვარ. ფოტო: როდესაც შევედი, უკმეხად შემხვდა. დღემდის ახსოვთ მკვლელობა «გალანტერეი»-ს ახლოს. ნაყინი... იქ კონიაკიც იყო, ხშირად დავდიოდი. ერთმა მეგრელმა აქ მიამბო, ფოთში როგორ მიდიან ურმებით (ჩაწერილი მაქვს). ყვავილების გამყიდველი: გიცნობთო! მჭედლების ქუჩის საიდუმლოება...

და ერთი ლირიკული ჩანართი:

_ რომ ფოლადის ნერვები არა, დავიღუპებოდი, რა თქმა უნდა.

«სასტუმრო «ფრანცია» _ იმავე 1940 წლისა _ ოცდაოთხ ერთეულს გვაცნობს:

_ კარებთან იდგა შვეიცარი. აკაკი წერეთელი სულ ამ სასტუმროში ჩერდებოდა, ფულს არ იხდიდა. საიდუმლოებით მოცული საათი. სოფლიდან ჩამოტანილი წიგნები.

მეეზოვისა და კინტოს ისტორია. როდესაც მივედი ერთხელ დილით და არავინ არ იყო, არც არა დამხვდა რა. ახალი კოსტიუმის ისტორია (წინანდელი). ორი შეყვარებულის ისტორია. რომ შევიდოდი, ყველანი რომ მომჩერებოდენ. კოლია კანდელაკის ტილო და საღებავები. «ყორანი»...

არათუ ფაქტებს _ განწყობილებებსაც კი აღადგენდა და იმეორებდა:

_ ოცი წლის წინად მე ვიდექი სწორედ ამ ადგილას და ვფიქრობდი. ახირებული სულიერი განწყობილება. თითქო ყოველმხრივ იღრღნება იგი. თითქო ვიღაცა ბურღავს ტვინს. საფეთქელთან თითქო ისრებით ილეწება ფერდები და ვფიქრობ: შესაძლებელი რომ იყოს გულის საგულედან ამოღება, გაწმედა, გასუფთავება, გაკრიალება, მოშორება რაღაც ობობას მსგავს ქსელების, მოშორება უცნაური ტკივილების, რომლებიც წლობით ედებოდენ მას! ეხლა არ არის საშუალება _ განვათავისუფლოთ იგი და ასე გაკრიალებული ისევ ჩავსვათ თავისსავე ძველ ადგილას. და აძგერდებოდა მაშინ იგი ძველებურად, ახალგაზრდულად, წმინდად და სპეტაკად. აძგერდებოდა ყველაფრისადმი დიდი სიყვარულით, მასში იფეთქებდა სიხარული, ამნაირად მთელი ჩვეულებრივი სიხარული. ეს იყო ოცი წლის წინად!

ნოდარ ტაბიძე იხსენებს:

_ ერთ დღეს მთელი ქალაქი დამატარა. დილით ნაძალადევს ვესტუმრეთ. მაჩვენა ის პატარა სახლი, სადაც ბინა დაიდო თბილისში პირველად ჩამოსვლისას. გაიხსენა სახლის პატრონი, რომელმაც, რათა გაჭირვებისაგან თავი დაეღწია, ჩარხს ხელი დაუდო და თითები მოიწყვიტა, შემდეგ კი ინვალიდობის პენსია დაინიშნა. ისიც მოიგონა, თუ სად იდგა ალუბლის ხე და როგორი ტოტები ჰქონდა მას.

ნოდარი აპირებს დაწეროს წერილი თბილისის ხეებზე, რომლებიც გალაკტიონმა «გააცნო». აკი თვითონაც მოინიშნა: «ტფილისის ხეები».

საყურადღებოა ნიკა აგიაშვილის კიდვ ერთი მოგონება: 1954 წლის იანვარში «მნათობის» რედაქციაში მან ჩაიწერა გალაკტიონის საკმაოდ ვრცელი ნაამბობი: ორივენი ერთი კუთხის შვილები იყვნენ, და პოეტი სიჭაბუკის წლების ეპიზოდებს ისეთი სიზუსტით აცოცხლებს, თანამოსაუბრის ეზო-კარმიდამოს და შემოგარენს ისე აღწერს, თითქოს ფანჯრიდან შეჰყურებდეს და გვიხსნიდეს. ყოველივე ამან პირადი მსმენელი გააოცა მაშინ და დაინტერესებულ მკითხველს აოცებს დღეს: აგიაშვილების დიდი უმუმლო მუხა, იქვე შვიდი ნაძვი, თორმეტი აშოლტილი კოპიტი, ეზოში დიდი ვერცხლისფერი ინდაური და ოქროსბუმბულებიანი ფარშავანგი, რომელიც თურმე პირველად იხილა, ახლომახლო სოფლები, ტყეები, მთები, გზები, ეზოები და სახლი:

_ არაფერი ჩემი ბავშობის დღეებიდან ისე არ მახსოვს, როგორც თქვენი ცისფერი სახლი.

საოცრად ემთხვევა 1954 წლის იანვარში წარმოთქმული ეს ფრაზა 1927 წელს ჩაწერილს:

_ არაფერი ჩემი ბავშობის დღეებიდან მე ისე არ მახსოვს, როგორც შორითშორს მყოფი ცისფერი სახლი.

ახლა ჩვენ ვიცით: რომელია ეს ცისფერი სახლი!

> რაც მომმადლა ბედისწერამ სევდის, გრძნობათ ზიარების,
> არრა დამრჩა, თვინიერ ამ მოგონებათ იარების.

ბავშვობის მოგონებანი განსაკუთრებით ეძვირფასებოდა:

_ დედაჩემი ჩემს პატარა ბიჭობის დროს ატარებდა ხავერდის ტანსაცმელს, ალბად ამიტომ მე ყოველთვის ასე ვეუბნებოდი: მეძინება, ჩემო ხავერდის დედიკო! დამაძინე, ჩემო დედავ! – და მე თმაზე გადამესობოდა ხოლმე ხავერდის ხელი, თვალებზე, შუბლზე ხელი, ნაზი ხავერდის კოცნა დედისა და ხავერდის იავნანა: ხავერდის შვილო, დაიძინე, გენაცვალოს შენი ხავერდის დედა... ჩამეძინებოდა და სიზმრებიც ხავერდის მესიზმრებოდა... გაღვიძებისას კი ვიყავი ბავში _ არა ხავერდისა, არამედ, არ ვიცი, რა ვიყავი...

_ ცეცხლწაკიდებული თაგვები არაერთხელ მინახავს ჩემს პატარა ბიჭობაში: პატარა ჯალათები მინდორში გამოიყვანდენ ხაფანგებში დაჭერილ თაგვებს, სეირისათვის გადაასხამდენ ნავთს, წაუკიდებდენ ცეცხლს და გაუშვებდენ მინდვრებში. ცეცხმოკიდებული თაგვები გარბოდენ! ასეთი სისასტიკის დანახვაზე რატომღაც მაგონდება ექსპერიმენტები ჩვენი მემარჯვენე მწერლობისა.

_ დიდებული სანახავია, როდესაც საქონელი გადმოეშვება ცურვად. მაგრამ უბედურებაა, თუ რომელიმე სუსტი საქონელი დაითრია წყალმა. გარშემო ხაბოებია. ვერ ახერხებს გამოსვლას. დიდ მანძილზე მიაქვს. მისდევს გულგახეთქილი პატრონი. ხანდახან საქონელი იხრჩობა კიდეც.

«მოხეტიალე მდინარე» შეურქმევია რიონისათვის, რადგან:

_ მიწიანი მდინარე ყოველ წელს იცვლის კალაპოტს. მოხეტიალე მდინარე პირველად იყო იმ ადგილს დაშორებული თითქმის მთელი კილომეტრით. სულ უკანასკნელ ხანებში იგი ჩვენს ახლო იყო და აყრას გვპირდებოდა. ერთ მშვენიერ დილას რიონის შტო გაჰქრა, იგი შეუერთდა მთავარ მდინარეს. რამდენიმე კილომეტრიანი ტყეებითა და სათესებით დაფარული ხვილიფი _ ეხლა უკვე აღარ არის. რამდენ ზარალს აყენებს ამ ადგილს წყალდიდობა.

«გორაკები, გორები, მთები, მთის მწვერვალები, რომლებზედაც მე ავსულვარ» _ ჩამოთვლილია სამოცდაორი: მთაწმინდაც და მოსკოვის მთაც, და მათ შორის:

_ გამარჯვებული _ პატარა გორაკი ჩვენი სოფლის ახლოს. «ფეხის დანახოცს» ეძახდენ: ერთხელ იქ დიდმა ჯარმა გაიარა. ისინი ომიდან გამარჯვებულნი დაბრუნდნენ და აქ ტალახიანი ფეხები დაიხოცეს. ეს დანახოცი იმდენად დიდი გამოდგა, რომ ჯარის წასვლისთანავე გამოვიდა მთელი სოფელი, ნიჩბებით ეს ტალახი ერთ ადგილს მოხვეტა და მთელი მთა აიმართა «გამარჯვებული»-ს სახელწოდებით. ამ არემარესაც გამარჯვებულს ეძახიან: «გამარჯვებულთან რომ მივედი», «გამარჯვებულს რომ გავსცდი», «გამარჯვებულთან შემომაღამდა» _ იტყვიან ხოლმე.

თანდათან და თანამიმდევრობით ახსენდება სიყრმისა და სიყმაწვილის მისადევარი:

_ გადაღმა. საისლე. იქითა გადაღმა. გაღმა. ტყე. ჩავაკებული. მეფისჭალა. კაპეტი. შარაძენისეული.

ეზოს ახსოვს ყოველ წუთის შარაგზა და გადაღმა.

ისევ იქ დგას ჩრდილი თუთის, ცაცხვები კი გადახმა.

გახსენებასაც კი იხსენებს:

_ უეცარი გახსენება «მეფისჭალისა».

ამ მართლაც დაუვიწყარ და მარადსახსოვარ ხედსა და გადასახედს, რომელიც აოცებდა და აოცებს ტაბიძეების ეზოდან რიონისაკენ გატყორცნილ მზერას, ხშირად და ტკბილად იგონებს:

_ ჩვენს ადგილს ერქვა ჯერ ეზო, მერე შარა, შემდეგ გადაღმა, მერე ფშანი, მერე იქითა გადაღმა. შემდეგ იწყებოდა ჩვენი ტყე, იმას იქით _ გაღმა, ხვილიფი, და თავდებოდა მეფისჭალით.

მოხიბლული თვალი შეუმჩნევლად გადაინაცვლებს:

_ კუნძული «მეფისჭალა», რომელიც ჩვენს სახლს ეკვროდა, იყო ჩემი საყვარელი ადგილი (ეს ჭალა იმერეთის მეფის სოლომონ II-ს მიერ განსაკუთრებული სიგელით მიეცა ჩემს წინაპარს, ჩემზე გადმოვიდა შთამომავლობით). კუნძულს გარს უვლიდა რიონის ორი ტოტი. ერთი ჩქარზე უჩქარესი, მეორე _ დინჯი, აუჩქარებელი. ორივე რიონი ძალიან მიყვარდა. განსაკუთრებით ზაფხულობით. აქ ვკითხულობდი დიკკენსს, ბაირონს, შელლის, მიუსსეს, შატობრიანს, რუსსოს, ტოლსტოის, პუშკინს, ლერმონტოვს, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას წიგნებს.

ერთხელ კიდევ გაიელვებს ცისფერი სახლი, ამჯერად «ფანტასტიური სახლი». იგი ჩართულია გახსენებათა აჩქარებულ კალეიდოსკოპში. დაურქმევია «გზა ავტომობილით». მაგრამ, მოდით, ამ ერთხელ ნუ დავეთანხმებით, ერთ-ერთი კადრი გამოვარჩიოთ და ბავშვის გაურყვნელი მზერით გამშვენიერებულ ქვესათაურების ამ სერიალს დავარქვათ «მწუხარება სოფელთან განშორებისა» ანუ მწუხარება სიყმაწვილესთან გამოთხოვებისა:

_ ეზო, შარა გზა, გადაღმა, თუთის ხე. ტევნებით დატვირთული ხეები. ყვითელი კომშები. ფშანები და სიცხე. ჟალტამი. მეორე გადაღმა. ალუბლები. ტყე: კოპიტები, ახალგაზრდა ცაცხვები, ნეკერჩხალი, ფშატი, ალვის ხეები. ტყეს იქით _ მშვენიერი მინდორი. იქით რიონი. იქით გადაღმა. ნავები. ცურაობა. მწყერი. ღალღა. მგელის დაცემა, საქონელი. სიმინდი, კვახი, ლობიო. იქით კიდევ რიონი, უკვე სწრაფი. იქით მეფისჭალა. ფანტასტიური სახლი. მელანქოლია უცნობი ქ. დილიჟანსი, რომელსაც მოაქვს გაზეთები. პირველი წიგნები და რომანები. რევოლვერი. აბრეშუმის ბლუზით. ტკბილი ჩონგური. ფრანგული რომანები. რომანი «ევა». «უყვართ ერთმანეთი?». «Война и мир». დემონიურობა და დენდიზმი. «ნაკადული». ნავი დაიტაცა. ხიდან გადმოვარდნა. კაცმა ესროლა რევოლვ. ეკლესიას. საცოდავი საფლავი. ცაცხვები. ჩალანდრები. ღამის თევები. გავარდა ბურთი. საუკეთესო გმირი _ ნაპოლეონი. პროზა და პოეზია. მშვენიერი ზამბახები. იდუმალი ზღაპრები რიონის. არაჩვეულებრივი ლურჯი გუმბათი ცის. მშვენიერი დიდი ქარვები. მწუხარება სოფელთან გამოთხოვებისა. ნათესებში ფეხშიშველი სიარული. იდუმალი გარდაქმნები ამ დროს. ხმა, სიცილი... ნაზი და მკვეთრი სიმპატიები. თივის სურნელება. სკების ზუზუნი. უკვე დამჭკნარი ახსნები. თეთრი ძერა. ნისლში წარსული დგება. ვწერდი პოემებს. უკვე ვქმნიდი მათ. პოემა შორეული ქალის.

ოცნებას საზღვარი არ გააჩნია:

_ შორს, ძლიერ შორს, ჩვენი დიდი მეფის ჭალების დასასრულს იქით მოსჩანდა ვეებერთელა კლდოვანი მთა. არა, ეს ჩვეულებრივი მთა როდი იყო. იგი ხან ვეება ხომალდივით მეჩვენებოდა, მხოლოდ ეს ხომალდი არსად არ მისცურავდა, არავითარ ტალღებს არ მიარღვევდა, არავითარ გრიგალს არ ებრძოდა, არც სხვა ქარტეხილს, არც ქარს. იდგა გარინდებული ერთს ადგილს, ერთს სივრცეზე, ერთს მომენტზე, მიჯაჭვული იმ ცის ერთს წუთზე, _ რომელსაც ნამდვილი წუთი კი არა, მარადისობა ეწოდება. ბავშობიდანვე ვიცნობ მე ამ მთას, და არასოდეს მის მაღალ კალთებზე თოვლი არ

დამინახავს, ზამთარშიაც კი. მე ვიცოდი, რომ ამ ბუმბერაზ კლდეს ხომლი ეწოდებოდა. მის იქით იწყებოდა სვანეთი. ო, როგორ მიზიდავდა მისი ლაჟვარდოვანი სიშორე, მისი ზეცაში ატყორცნილი ჰაეროვნება, და მისი დიდზე დიდი საიდუმლო. ო, მე ოცნება მიზიდავდა ხომლის ღრუბლებისაკენ. მხიბლავდა მისი დილა, შუადღე, შემოღამება და ღამე. და მეძახდა, მეძახდა, მთელი ცხოვრების განმავლობაში მეძახდა ხომლი... რად მეძახდი, ხომლო, რად მიწვევდი, ხომლო, ჩემი ცხოვრების უღრუბლო დილის, ჩემი ქარიშხალში გატარებული ცხოვრების შუადღეში?

აღტაცებულ სულს მიწაზე აღარაფერი დარჩენია:

ვიგონებ ყრმობას: შორს, ძლიერ შორს, ჭალების გაღმა,
კავკასიონის კლდოვანი მთის მოსჩანდა ფერდი.
საღამოობით _ ვით ხომალდი ასწიოს ნაღმმა _
მზით ენთებოდა და ქრებოდა ტიტანის მკერდი.
ბავშვობიდანვე ის სიშორე მტანჯავდა ერთი, _
ლაჟვარდოვანნი მიტაცებდნენ ნაქერალები.
და ვკითხულობდი, ვოცნებობდი, ვმღერდი თუ ვწერდი, _
მდევდნენ, მეძახდნენ, მიზიდავდნენ ის მწვერვალები.

თხუთმეტი წლის შემდეგ დადგა ჟამი სიყრმის ოცნების ახდენისა:

_ 21 ოქტომბერს შეხვედრა მესტიაში. ტფილისიდან გავალთ 18. ზუგდიდში უნდა ვიქნე 19 დილით. სასტუმრო «ოდიში». იქ დაგვხვდება მანქანა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოეფერა შორიდან შეყვარებულ მწვერვალებს:

_ დეპეშა მესტიაში: არ შეგვიძლია!

მუდამ კი ემზადებოდა:

_ მოგზაურობა შეიძლება დავიწყოთ აპრილიდან (IV, V, VI, VII, VIII, IX): 1. თუშეთი. 2. ფშავი. 3. ხევსურეთი. 4. რაჭა. 5. ლეჩხუმი. 6. სვანეთი. 7. ახალციხის მხარე (სამცხე-საათაბაგო). _ ეს 1931 წელს დაგეგმილი მარშრუტია. აქედან მხოლოდ მეოთხე და მეშვიდე სურვილი აისრულა 1947 წელს და 1955 წელს!

_ 11 ივლისი. 1945. ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ვარლამ მახარობლიძემ გამიზიარა თავისი აზრი რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის შესახებ. მან წაიღო გეგმა და დამპირდა, რომ მალე შემატყობინებს ყველაფერს, _ ვერც აკაკის ნაკვალევზე გაიარა!

_ 1954. 24 თებერვალი. მიხამ სოფელში დამპატიჟა: ცხენები ჰყავს თურმე. არც კი ვმჯდარვარ ჯერ ცოცხალ ცხენზე, _ ალალად გაგვენდო «ლურჯა ცხენების» შეუპოვარი მხედარი!

ჩემი ძველი რვეულები

რაკი რჩეული იგვიანებს, ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი დღიურებსა და ჩანაწერებს, წერილებსა და ავტოგრაფებს:

_ გენიალური ადამიანები იზრდებიან ქოხებში, მაგრამ ჰკვდებიან სასახლეებში.

_ ისინი არ კვდებიან: ქართველებს დიდი სიტყვა აქვს ბუმბერაზებისთვის: მიიცვალა.

_ ვაჟა-ფშაველა _ ეს ქართველი პანი.

_ ვაჟა-ფშაველა სიკვდილის დღემდე ვერ ეღირსა აღიარებას, რადგან ეჭვი შეჰქონდათ მისი ენის სილამაზეში.

_ იონა მეუნარგიამ (1915 წ. ქუთაისის კაფ.) სიტყვა-სიტყვით ასე მითხრა: «გრიგოლ ორბელიანი უფრო დიდი გაქანების პოეტი იყო, ვიდრე სხვა რომელიმე მისი თანამედროვეთაგანი (ჰყავდა მხედველობაში ბარათაშვილი). ამაში მალე, სულ მალე დარწმუნდება ყველაო». მე მაშინ არ დავეთანხმე.

_ ლევ ტოლსტოიმ _ უდიდესმა პროზაიკოსმა გულწრფელად აღიარა, რომ ეს უზარმაზარი რომანი დააწერინა ლერმონტოვის ერთმა ლექსმა.

_ ხდება ცხოვრებაში გასაოცარი ამბავი: პარიზში ორკესტრი ფრანგების უკრავდა «სულიკოს». ბევრი რამ მსმენია ქვეყნად, მაგრამ ასეთი მუსიკა არასოდეს.

_ ჩვენი მწერლობა ზოგს უპატრონო ეკლესია ჰგონია.

_ ხალხმა მშვენივრად იცის ვინ არის მწერალი და ვინ ყომარბაზი.

_ არიან ადამიანები, რომლებიც პოლიტიკურ წიგნს ჰკითხულობენ, როგორც რომანს (ეს კიდევ ასატანია), რომანს ჰკითხულობენ ისე, როგორც პოლიტიკურ წიგნს (ეს კი საშინელებაა).

_ იაკობ ნიკოლაძემ მითხრა, რომ იგი ჩემს ბიუსტს აკეთებს მარმარილოსაგან. «მე თვითონ ვიწყებო».

_ ვახტანგ ბერიძეს (ვუკოლის ვაჟს) დაუხატავს ჩემი სურათი.

_ ვახშამზე მომეწონა დარბაისელი კაცი, რომელმაც მითხრა, ბიძინა ავალიშვილს მე მივეცი ხეო. როდესაც ვუთხარი, რომ ბიძინა ჩემი ახალი ქანდაკების გაკეთებას აპირებს- მეთქი, მან მითხრა: მე მშვენიერ ხეს (დაასახელა რაღაც ჩემთვის უცნობი ხე) ვუშოვიო.

_ არის ჯიოკონდას ბაგეები და არის ქალის _ მარსელიეზას მომღერალი ქალის დაღებული ხახა (ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენ ჯიოკონდას მარსელიეზაში და მარსელიეზას _ ჯიოკონდას სახით).

_ უდარდელი ეხლა ჩიტიც არ არის.

_ რა მშვენიერ დღეს აფუჭებს ქარი?!

_ შვებულებას საიქიოდან არ იძლევიან, სამწუხაროდ.

_ მეგრულ ენას (საუბრობს 50 000 კაცი) აქვს თავისი ლიტერატურა (სულ ასამდე კაცი): საერთოდ მხოლოდ საგულისხმიერო გულწრფელ სიყვარულს ყოველგვარ მშობლიურისადმი შეეძლო აღეძრა სურვილი ეწერათ იმ კილოკავზე, რომელიც არ ვრცელდება ჭალადიდს იქით.

_ გ. ქიქოძე სამართლიანად ამბობდა, რომ მაიაკოვსკის სახელი არ უნდა დარქმევოდა ბაღდათსა და მის რაიონს (ეს ძველისძველი ისტორიული სახელიაო).

_ ქუთაისიდან 30 ვერსის მანძილზე მდებარეობს ჩემი სამშობლო სოფელი ჭყვიში. ტრიალი მინდვრებითაა გარშემორტყმული. მთები ოცნებასავით შორსა ჩანან, ისე შორს, რომ როდესაც შემთხვევით იქაური ვინმე ჩამოიჭრება ბარში, ჩვენი სოფლელები რაღაც იდუმალ მოწიწებით უყურებენ მას.

_ მაშინებდენ... თურმე არავითარი რიონი ჯერჯერობით არავითარ საფრთხეს არ უმზადებს ჩვენს სახლს ჭყვიშში.

_ კარგია ბატონობა, _ იტყოდა დედაჩემი, _ თუ რამე გაფუჭდა, სხვას დააბრალებ, თუ რამე გაკეთდა, თავისთავს მიაწერო.

_ ბერგსონმა გამოიგონა «ინტუიცია», აინშტაინმა _ «შეფარდებითი თეორია». მე არაფერი არ გამომიგონებია, მე არაფერი არ ვიცი, შკოლაშიდაც არ მივლია.

_ მე ვცხოვრობდი სიზმარში, ღმერთებს ვქმნიდი თვითონ მე.

_ ტრაგედია ბლოკის დიდი ტრაგედია იყო, მაგრამ რა დიდებული თავდაჭერით ჩატარდა იგი. ბოლოს და ბოლოს ყოველივე ეს პოეტის თავმოყვარეობის საკითხიცაა.

_ არსებობს დიდი მუსიკალური ხმაურობა, რომელიც თავქუდმოგლეჯით გააქცევს მოწყენილობის დემონს.

უკანასკნელი ფრაზა მაიაკოვსკის გულისხმობს. მაიაკოვსკის ხშირად ახსენებს და ამართლებს. საოცარი დამთხვევაა: ოციოდე ვერსით დაშორებულმა ქვემო იმერეთის ორმა მეზობელმა კუთხემ თითქმის ერთსა და იმავე დროს გვიწყალობა საუკუნის ორი გენია, რომლებმაც შეუპოვრად აიარეს თავიანთი მარტოობის აღმართები და სიკვდილშიაც ერთმანეთის ტრაგიკული ბედი გაიზიარეს. სწორედ მაიაკოვსკიზე ჩაუწერია:

_ მარტოობის საიდუმლოება. მაიაკოვსკი ძალიან მარტო დარჩა (მეტისმეტად მარტო).

ახლახან გამოქვეყნდა ორმოცდაათი წლის წინათ დაწერილი, ვლადიმერ მაიაკოვსკის თვითმკვლელობის ერთადერთი უშუალო მოწმის ვერონიკა პოლონსკაიას საინტერესო მოგონება, რომელიც გვაუწყებს და გვარწმუნებს, რამდენად ზუსტია ეს განმარტება...

მოუნიშნავს და მოუნიშნავს:

_ პარალელი: «Левый марш» და «დროშები ჩქარა». _ გალაკტიონი და მაიაკოვსკი (პარალელი).

პარალელიც გაუვლია (სამწუხაროდ, თავის მართლება დასჭირვებია:

_ Я высоко ставлю заслуги Маяковского в области поэзии, но его достижениями я никогда не пользовался... Между нашими художественными приёмами или поэтическими средствами есть глубокое различие.

ამ შემთხვევაში ოპონენტობა მიკოლა ბაჟანს უკისრია:

_ ბაჟანი ბედავს სთქვას ჩემს შესახებ ის, რაც არავის არ უთქვამს (თითქო ჩემზე მაიაკოვსკი ახდენდა გავლენას).

ხაზი გაუსვამს რუსულ ენაზე დაბეჭდილ «ქართული ლიტერატურის ისტორიის» იმ აბზაცზე, სადაც ქართულ პოეზიაში მაიაკოვსკის გავლენაზეა ლაპარაკი და გალაკტიონიცაა დასახელებული, და მიუწერია:

_ Ошибка!

დაუხასიათებია კიდეც:

_ მაიაკოვსკის ტემპერამენტი _ იმერის ტემპერამენტია.

(ნიკოლოზ ასეევიც ამტკიცებს: ქართული ლექსის რიტმიკამ განაპირობა მაიაკოვსკის ლექსის სრულიად განსხვავებული სტრუქტურაო).

სხვათა მოგონებებიც ჩაუწერია. ლექსიც დაუწერია «მაიაკოვსკი». ერთგვერდიანი წერილიც _ «ვლ. მაიაკოვსკი და ქართული შკოლა». სამიოდე ტაეპიც გადმოუქართულებია «საიუბილეოდან»:

სალამი პუშკინს, გთხოვთ მიცნობდეთ _ ვარ მაიაკოვსკი.
მომეცით ხელი, გულს დამადეთ: მზეა და თოვს კი.
გული მაშინებს _ უწყნარესი ძუ-ლომის ლეკვი!..

ერთი სტროფიც გაურითმავს სასაყვედურო შეკითხვისა:

ამიდია, თუმცა თოვს კი, რომელსაც აქვს მნიშვნელობა,
მე შენ გკითხავ, მაიაკოვსკი, რა დროსია თვითმკვლელობა?!

აინტერესებდა და გულშემატკივრობდა:

_ Сколько за строку давали Маяковскому?

_ Страдания молодого Маяковского.

თანაუგრძნობდა: 1940 წლის 14 აპრილს _ თვითმკვლელობის ათი წლის თავზე _ სინანულით ჩაუწერია:

_ არ უყვარს არც ეხლა საზოგადოებას მაიაკოვსკი! აი, რა არის უბედურება!

თუმცა ესეც აღნიშნა სხვა დროს:

_ მაიაკოვსკიზე ერთი კარგი წიგნიც კი არ არის, გარდა ტრაფარეტული გაზეთების წერილებისა!

1948 წელს კი განმარტა:

_ О Маяковском трудно говорить, трудно писать. Уж сам о себе говорит он много, сам себя защищает здорово, сам себе выставки устраивает, самому себе хвалу поет, сам себе памятник ставит. Так что нечего добавлять.

ორი წლის შემდეგ გააგრძელა:

_ Некоторые льстецы и подхалимы пользуются Маяковским, как дубиной, т.е. оружием против других поэтов, выдвигая чисто-технические приемы его, как что-то совершеннейшее, не подлежащее критике достижение. Так не годится. Это нечестно.

«მშვიდობის წიგნის» ერთ-ერთი ადრეული ხელნაწერის ერთი ფურცლის უკანა გვერდზე მოულოდნელად მიუწერია:

_ მიკვირს და გამკვირვებია: რატომ ვერ იკიდებს ფეხს მაიაკოვსკის პოეტიკა. ეს, შეიძლება, ძალზე ახალია! დიაღ, ეს ასეა, ის ძალზე ახალია!

ზუსტი დიაგნოზია: მაიაკოვსკი იმდენად ორიგინალურია, იმდენად «ძალზე ახალია», რომ მისი მიბაძვა მეტად სახიფათოა. ეს დიაგნოზი მეოცე საუკუნის რუსული პოეზიის არაერთმა მაგალითმა დაადასტურა. ღირსეულ კოლეგას მოვუსმინოთ:

_ Когда я узнал Маяковского короче, у нас с ним обнаружились непредвиденные технические совпадения, сходное построение образов, сходство рифмовки... Чтобы не повторять его и не казаться его подражателем, я стал подавлять в себе задатки, с ним перекликавшиеся (Борис Пастернак).

მეორე ტრაგიკული კოლეგაც აღიარებს:

_ Своими быстрыми ногами Маяковский ушагал далеко за нашу современность и где-то за каким-то поворотом долго ещё нас будет ждать (Марина Цветаева).

როგორც დავინახეთ, მაიაკოვსკის ბედით ბევრჯერ დაინტერესებულა. შეხვედრით კი არასოდეს შეხვედრია. არადა, ყოფილა შემთხვევა, მეტად რეალური შემთხვევა, და სწორედ შემთხვევით ასცდენილან ერთმანეთს:

«თბილისში მაიაკოვსკი იმ დროს ჩამოვიდა, როდესაც შეუძლებელი იყო, ვისმეში რაიმე აღელვება და ინეტერსი გამოეწვია. დაინტერესებული მკითხველი შემეკითხება: ვითომ რითვინაო? _ იმიჰთვინა, ჩემო გულუბრყვილო მკითხველო, რომ იყო აგვისტო და ყველამ იცის, რას ნიშნავს თბილისში აგვისტო...

და დადიოდა მაიაკოვსკი ტფილისში ჯიბეში ხელჩაწყობილი, ხელში ჯოხით, ევროპულ ტანისამოსში.

ის იყო, «მნათობის» რედაქციიდან გამოვედი. დავინახე მაიაკოვსკი. ადგილობრივი ფუტურისტებით გარშემორტყმული მოდიოდა რუსთაველის პროსპექტზე. არავითარი ყურადღება მისდამი. ასე მოვიდა მილოვის სახლამდე და შემდეგ უკან გაბრუნდა. სულ

რამდენიმე ნაბიჯი და ჩვენ შევხვდებოდით, მაგრამ მე რაღაც არ მიმიწევდა მისკენ გული.

ეს იყო პირველი და უკანასკნელი მისი ნახვა. ეს იყო 1924 წელს. თუ არ ვცდები, მაიაკოვსკიმ იმ ღამესვე დასტოვა ტფილისი, მისთვის ასეთი არასტუმართმოყვარე, გულგრილი».

ვერც სერგეი ესენინი გაიცნო, თუმცა ამ უკანასკნელმა იმავე 1924 წლის მთელი შემოდგომა თბილისში გაატარა და მრავალ ქართველ მწერალს დაუმეგობრდა. ორმხრივი სურვილი კი ყოფილა თითქოს: როგორც მოსალოდნელი იყო, ნაბახუსევს გახსენებია და რიტმიც ბარბაცა გამოსვლია _ დაღმავალი და დაუსრულებელი:

იყო ტფილისში პოეტი სერგეი ესენინი,
თვალები ჰქონდა ნაღვლიანი და დასენილი.
როდესაც გზაზე შეხვდებოდა პოეტთა რიგი,
ვედრებითა და დაფიქრებით ამბობდა იგი:
«გამიგონია მე სახელი გალაკტიონის,
მინდა ვიცნობდე პოეტთა მეფე დიონისეს».

იყო ტფილისში გალაკტიონ ტაბიძე,
მას გული ჰქონდა უსათუოდ ძლიერ მოკლული,
როდესაც გზაზე შეხვდებოდა პოეტთა რიგი,
ის, ღვინით ხელში, იძახოდა აღშფოთებული...

სინანულით დაახასიათა:

_ ესენინი დიდი პოეტია, იგი ნამდვილი ტრაგედიაა რუსეთის თანამედროვე დიდი ნაწილის. იგი არის ტრაგედია და ეს გარემოება ხდის მას მასსის საყვარელ პოეტად, პოეტად იმ მასსისა, რომელსაც უყვარს და ებრალება გზაჯვარედინზე და უგზოობაზე შემდგარი ახალგაზრდობა.

თვითმკვლელის ტრაგედია განსაკუთრებით ახლოს მიიტანა გულთან:

_ ჩამოიხრჩობ თავს, მიდიხარ მოლიპული გზით, იცი თვითონვე ყოველივე ეს, იცის მთელმა რუსეთმა, რომ შენ თავი უნდა მოიკლა... და არსაიდან ამავე დროს თანამგრძნობი თვალები არ სჩანდეს, ეს დიდი უბედურებაა, ეს პირდაპირ წყევლაა. თავიდანვე იცოდე, რომ «под вой собачий похоронят», _ იცოდე ეს... და მაინც მიდიოდე ეშაფოტისაკენ გარეგნულად თითქო თავისივე საკუთარი სურვილით _ ამართული ეშაფოტისაკენ... под вой собачий.

რამდენიმე თვის შემდეგ კი, 1926 წლის 4 აპრილს, ერთი არასასიამოვნო ინციდენტი გაიხსენა, რომელიც ესენინს თბილისში შეემთხვა და ნაცნობ თანამემამულეთა სახელით მოუბოდიშა უცნობს:

ტფილისში არის ორგეი და დიდი მიეთ-მოეთი,
მე ბოდიშს გიხდი, სერგეი, როგორც ქართველი პოეტი.

ადრე დავიმოწმეთ 1950 წლის ციტატა: ლირიულობისა და დრამატიზმის ნიშნით დააწყვილა და დააპირისპირა: გოია და ბოტიჩელი, შელი და ბაირონი, მაიაკოვსკი და ესენინი, _ და თავის შემოქმედებით პრინციპებს დაუკავშირა.

მაიაკოვსკის პატარა ექსპრომტითაც გამოეხმაურა:

დღეს სხდომა,

ხვალ სხდომა,
სულ სხდომა,
სულ სხდომა, _
ეს არის
სულხდომა!

ეს სტროფი აკადემიის სხდომის მოსაწვევ-პროგრამაზე მიუწერია 1956 წლის 9 მარტს, როდესაც თბილისის ქუჩებში სისხლი დაიღვარა, და ეს აღარ უნდა იყოს უკვე შემთხვევითი შემთხვევა და დამთხვევა.

ექსპრომტებს ხშირად წერდა.

გრიგოლ ცეცხლაძის ნაჩუქარი წიგნის კითხვისას გზადაგზა შენიშვნები დაურთავს. ერთგან ასეთი სტროფი იკითხება:

დადიხარ, ვით რიტოლეტო,
ვაზმოჟნო ლი, გრიგოლ ეტო?

ამავე ქართულ-რუსულით მეორე სეხნია-პოეტსაც შეხუმრებია:

წავიკითხე შენი ლექსი,
იმედაძე გრიგოლ,
ქვე შე კაცო, ასე უცებ
კი არ უნდა ბრიგო.
ლექსი ჭრელად შეგიმოსავს,
როგორც რიგოლეტო,
რითმაც გაგიწბილებია,
Можно-ль, Григол, это?

ორენოვანი სხვა დროსაც დაუწერია:

ჩვენ არ გვიკვირს,
როცა ქვიქვირს
იხსენებენ რიდით,
მხოლოდ დივნო,
ჩტო სამდივნო
ნიჩევო ნე ვიდიტ!

სრულიად რუსულებიც გაურითმავს სახალისოდ:

На Эльбрусе и на Ушбе новой жизни льётся дрожь,
На вершинах пэсни дружбы запевает молодёжь.

მწერალთა კავშირის დისკუსიაც გაუკენწლავს:

ხელოვანთა სასახლეში ატყდა აყალ-მაყალი, _
«მამაშენი პატარაა, მამაჩემი მაღალი,
ჩემს მზახალსაც ვერ აჯობებს შენი უშნო მზახალი,
ბიცოლაშენს შეჩენია ბიძაშენი ბაყალი».
ამნაირი დისკუსიაც ძველია, არ-ახალი.

სალაღობოს სახელდახელოდ რითმავდა:

ეს ილია ჭავჭავაძე
ოთხ ინდაურს ჭამს _ ჭამაზე.

უფრო ხშირად კოლეგებს ეხუმრებოდა: მწარე ეპიგრამებსაც უწერდა, დაუნდობელ კალამბურებსაც, უხამს ფუნაგორიებსაც:

ირაკლის, გოგლას და სერგის გარდა აქ, ჩემო ძამია,
აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია.

რაკი დაგვისვეს წინ ჭილაია,
ხელში ავიღოთ ჭინჭილაია.

ჩვენს შორის ზის ორი არნო: არნო სწრაფი, არნო ნელი,
ნელი _ როცა ფხიზელია, სწრაფი _ თუა ღვინის მსმელი.
ვადღეგრძელოთ ორი არნო: არნო ნელი, არნო სწრაფი,
ნელი _ თუ ის ფხიზელია, სწრაფი _ თუ გადაჰკრა ჩაფი.

შვიდეული დაუჯგუფებია, დაუნომრავს, მოუნათლავს: 1. ხონსუს ჯგუფი. 2. ქიზიყელების ჯგუფი. 3. «ხარის ფუხის» ჯგუფი. 4. გოჭილაიების ჯგუფი. 5. რადიანის ჯგუფი. 6. ნანიტაშვილის ჯგუფი. 7. ნონიკაშვილის ჯგუფი.

გამიზნული ტერმინი შეარჩია:

_ ასარ-ბასარიზმი _ ახალი მავნე გადახრა ლიტერატურაში.

გარეცხილი წინდა,
როგორც სული წმინდა,
მოეკიდა ბაწარს.

დაიცალა სახლი,
მხოლოდ ერთი ძაღლი
მღერის ასარ-ბასარს.

მოეწონა და გააგრძელა:

გამოდის ათასი ასარა-ბასარა,
რაარ აკაკი, ვაჟა ან ილია,
მაგრამ სულ ერთია, რას იტყვის რას არა,
რამდენი ქიზიყში ყრუ მეწისქვილეა,
რომელსაც მოუსხამს რა რუხი მაზარა,
აქეთ _ პოეზია, იქ სცენა დასვარა.

აკადემიკოსობის კანდიდატს, რომელმაც ერთადერთი ხმა მიიღო, ხან «სოლოს» ეძახდა, ხან _ «იაქეს». მაღალს «მოხეტიალე მონუმენტი» შეარქვა, დაბალს _ «კრუხის პალო».

ერთი გამოჩენილი ილიაობას იჩემებდა:

_ ნამდვილი ილია ხარ, _ დააიმედა, _ ოღონდ ძალიან პატარა რამე გაკლია.

_ რა? _ დაინტერესდა დაიმედებული.

_ ტყვია შუბლში! _ მიახალა.

ირონიული შეგონება გაურითმავს:

პოეტს სოფლის ღრუში ზღვა აქვს დასანახი:
ქინძი, ოხრახუში, ქვიჯა-ქვასანაყი.
მაგრამ ქალაქში კი _ სხვა აქვს სანახავი:
მიაქვს ცხვირი-ბზიკი მაგრად სანაყავი.

ვქმნით კავშირს და დონეს სოფელ-ქალაქს შუა,
ყველამ გაიგონოს, ვისაცა აქვს ჭკუა.

გულწრფელი ქების ფასიც კარგად იცოდა:

ო, თბილისელო ჯაყო, ქუთაისელი ხიზნით,
ნება მომეცი, გაქო გაბითურების მიზნით.

ნაცნობ ბუღალტერს გასწყრომია:

რაკი ფული არ მასესხე, ნიკოია სირბილაძე,
ასსონანსით გიპასუხებ: დაგადევი სირბილეზე.

თითქმის ანეკდოტი გაულექსავს:

ოქროყანელი ვარ მენახშირე,
ვირით ტფილისში სვლა დავახშირე,
ჩემს შეძახებას ისმენს გზა ხშირი:
_ აბა, ნახშირი, კარგი ნახშირი!
მეც ავიკიდე, ვირსაც ავკიდე,
ცოტაღა დამრჩა, თითქმის გავყიდე,
როს აივანზე ქალი თმა-ხშირი
ნაზად მეძახის: _ რა ღირს ნახშირი?
ვუთხარ: _ აიღე, რაიც დიდია,
რომელი გინდა, მომიყიდია!
გინდა აიღე, ვირს რომ ჰკიდია,
გინდ ეს აიღე, მე რომ მკიდია...

არც უკიდურესად უხამს ხუმრობას ერიდებოდა:

აკადემიის კედელთან მივიტანე მატყლი,
ვურჩევ აკადემიკოსებს: მატყლი მე და მათ ყ...ე!

მოდით, მანდილოსნებს მოვუბოდიშოთ და ნურც ამ შვიდ სიტყვას დავმალავთ არქივის სეიფში:

რასპუტინს მარად დიდება,
რადგან ფალოსი დიდ ება.

სხვათაშორის, ანა ახმატოვა პოეტების სახელით ამბობდა:

_ ჩვენ ფილოლოგები ვართ და ჩვენთვის აკრძალული სიტყვები არ არსებობს.

არ დაგავიწყდეთ: ამას ქალი ამბობდა და დასძენდა კიდეც:

_ პოეტი ყოველთვის მართალია.

კოლორიტული ცხოვრებისეული დეტალი შეუნიშნავს და აღუნიშნავს:

მიდის რუსი ქალი, მიჰყავს მთვრალი ქმარი,
მაგრამ ეს არ არი ჰარი ჰარალალი.

ასეთი ფორმულა თუ განტოლება შეუდგენია:

პოეტი
___ X 100, მაინც დარჩება 0.
ეს

ასეთი მაგალითიც:

_ ყველაფერი იცოდა, მაგრამ ერთი არა: 2X2 _ ხუთს არ უდრის.

დააკვირდით: ინტუიციით გრძნობს და იმეორებს უდავო აქსიომას: ჭეშმარიტ პოეზიაში და ზოგადად _ ხელოვნებაში ორჯერ ორის ნამრავლი შეიძლება ნებისმიერ რიცხვს უდრიდეს _ გარდა ოთხისა.

მიხეილ ჯავახიშვილმა კი ეს განტოლება თავისებურად ამოხსნა:

_ მეცნიერებაში 2X2=4, ხელოვნებაში კი =5. ოთხს ერთი რაღაც ემატება და ეს ერთი ფაქტს ხელოვნებად გადააქცევს.

არქივში მრავალი გამოუქვეყნებელი ლექსი და ლექსის ფრაგმენტია გაფანტული:

შეიძლება? შეიძლება! თუ ტომარა შეიცლება,
ქვეყანაზე ამის გამო განა რამე შეიცვლება?
ის მინდორი, ეს ღელეცა თუ უამო გზამ შელეწა,
მაშინ სამართლიანია სიბერეც და სიბნელეცა.

არ ივარგებს, რაც არ ვარგა, თუ დროზე არ აიბარგა.
ვთქვათ: დაიბა ბედაური და ყევარი დაისარქა,
თხა და ვირი მოედანზე გამოვიდა _ ვით მარაქა,
და ბულბულად დაჯდა ყვავი... რა თქმა უნდა, ეს არ ვარგა!

ისიც კარგია, ძვირფასო ნინო,
ყვავს რომ კაკალი გააგდებინო.

ეს ბოლო სტროფი 1952 წელს მოსკოვში გამოცემული «ქართული ლიტერატურის ისტორიის» სატიტულო ფურცელზე მიუწერია. ამ თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორიის 273-ე გვერდზე ვკითხულობთ:

_ Выдающееся место в современной грузинской поэзии занимает Галактион Табидзе _ один из крупнейших мастеров советской лирики, художник богатой творческой фантазии, тонкого вкуса и высокого мастерства.

როგორც ვხედავთ, რუსულ პუბლიკაციაში უკეთეს ეპითეტებს იმეტებდნენ. ალბათ ეს იყო მაქსიმუმი ოფიციალური აღიარებისა, რაც სიცოცხლეში აღირსეს (ისიც კარგიაო!). მაგრამ არ შეიძლება აქვე არ დავიმოწმოთ სქოლიო იმავე ისტორიიდან:

_ Выдержки из стихов Г. Табидзе приводятся преимущественно в подстрочном переводе.

დიახ, წიგნში მთელი ქართული კლასიკა და რვა თანამედროვე პოეტია წარმოდგენილი და მხოლოდ და მხოლოდ სახალხო პოეტის ლირიკაა ციტირებული პწკარედებით: 18 ფრაგმენტიდან 14 პწკარედია! ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ეს სამარცხვინო ფაქტი რუსულმა (და არა ქართულმა) კრიტიკამ ჯერ კიდევ 1936 წელს შენიშნა და აღნიშნა:

_ Народный поэт Грузии, единогласно оцениваемый грузинскими поэтами как первый и значительнейший из них, всё ещё доведен до русского читателя в совершенно недостаточной степени, в меньшей, чем некоторые гораздо менее значительные поэты (Д. Мирский).

თვითონაც შეუნიშნავს და აღუნიშნავს:

_ ამ გახსენებაზე: მირსკის წერილის ის ადგილი, რომელშიაც საუბარია ჩემზე.

დიახაც ამ გახსენებაზე: იღბალი არ გინდა?! _ მთელს იმპერიაში ერთადერთი გულშემატკივარი აღმოაჩნდა, რომელსაც შემთხვევით წამოსცდა სიმართლე, და ისიც ერთი წლის შემდეგ დიდმა ტერორმა შეიწირა. ჩვენ კი ეს რუსული ციტატა სადღაც სქოლიოში აღმოვაჩინეთ, სქოლიოში მირსკის ვრცელი წერილისა, რომელიც სიმონ ჩიქოვანისა და მისი მთარგმნელების შემოქმედებას განიხილავს.

ამგვარ შეუსაბამობას კი მძაფრად განიცდიდა და მწარედ ხუმრობდა: ზოგიერთი ქართველი პოეტი ისე კარგადაა თარგმნილი რუსულად, ახლა რომ რუსულიდან ქართულად გადმოვთარგმნოთ, უკეთესს ვერაფერს წაიკითხავს კაციო.

აშკარად არ მოსწონდა საქართველოს ჰიმნის ტექსტი და მუსიკა:

_ «ქართული ჰიმნი» _ უნდა დაგეწერა შენ და არასგზით არავის სხვასო, მითხრა ქუთაისში დომენტი თომაშვილმა. ეს განა მართლაც ასე არ უნდა ყოფილიყო? მაგრამ მე არც კი შემატყობინეს!.. თაქთაქიშვილის ჰიმნი კი უფრო ელეგიაა, ვინემ ჰიმნი. წინ წამოწეულია უფრო ძლიერ დისკანტი და ალტი, ვიდრე ტენორი და ბანი. ცოდვა არაა «მუმლი მუხასა» და «ლილეოს» შემდეგ ასეთი რაფინირებული მუსიკალური «ჰიმნის» მიჩეჩება ხალხისათვის? _ სამართლიანად უკითხავს, აუღია ცარცის ქაღალდზე დაბეჭდილი ნოტები და ტექსტი აქტიურად უსწორებია:

_ იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ, _ არაა ეს ქართული. უადგილოდაა «კერა». შენი ოცნება ასრულდა _ შენი ასრულდა ოცნება. არაა საჭირო «სისხლი». იგივეა: შენ როსღა აყვავდები? იხარე? _ ილხინე. შუქით _ რატომ არა სხივით? შუქი მთვარისაა. როდის არ იყო საქართველო მზიური? ჭაღარა _ ბაღნარა-დ _ რითმა? უხსოვარ დროდან _ სიტყვის წარმოება არ ვარგა. დროშა ფრიალებს და არ ანათებს.

_ არ გამოდგება ელექტრონის ხანაში. არ სჩანს დრო. _ შეუნიშნავს იქვე და თავისი გვარი ყოველგვარი მოკრძალებისა და ალფავიტის გათვალისწინების გარეშე პირველ ადგილზე მიუწერია მესამე თანაავტორად.

დაწუნებული ერთხელ კიდევ დაუწუნებია:

_ ...ასევე შეიძლება ითქვას ქართულ ჰიმნზედაც. იგი უკვე მოძველებულია. იგი შეიძლებოდა დაწერილიყო 1921 წელს, მაგრამ დაიწერა 1946 წ. 46 წელშიაც იგი უკვე ძველი იყო (ეს ჰიმნი უფრო გვადი ბიგვას ხანას ეკუთვნის).

ისე კი, უნდა დაეწერა კი არა _ დაწერილი ჰქონდა საქართველოსათვის რამდენიმე შესანიშნავი ჰიმნი და მხოლოდ არჩევაღა იყო საჭირო! ისიც საგულისხმოა, რომ სწორედ ამ პერიოდის შემდეგ იწერება: «ჰიმნი», «ჰიმნი მშვიდობას», «ჰიმნი ქართულ ანბანს», «ჰიმნი ქართველ ქალებს...»

არქივში პროზაული ტექსტებიც ბლომად გვხვდება. ვთქვათ, ზღაპრის ასეთი პაროდიული ვარიანტი:

_ იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი თავზე ხელაღებული მწერალი. მწერალი და მერე როგორი მწერალი! რაღაც უცნაური მწერალი! არც იყო და კიდეც იყო, არც სწერდა და კიდეც სწერდა... სწერდა, მაგრამ მის ნაწერს არავინ არ კითხულობდა. მის ნაწერს მხოლოდ ერთი მკითხველი ჰყავდა. ეს მკითხველი თვითონ გახლდათ: ე.ი. ერთადერთი მკითხველი მისი ნაწარმოებისა _ თვითონ ის სოლომონ ზურგიელიძე. თვითონ ის სოლომონ ზურგიელიძე, ვინ იცის, რას არ განიცდიდა, როდესაც თავის ნაწარმოებებს კითხულობდა. ერთი სიტყვით, იყო და არა იყო რა.

ერთხელ კიდევ გაიხსენა _ 1952 წლის 29 მარტს:

_ გარდაიცვალა სოლომონ ზურგიელიძე. უკანასკნელი მისი სიტყვები იყო: «სიკვდილი არაფერს ნიშნავს. სიკვდილზე საზარელია განცდები მომაკვდავის, რომელიც საკუთარი თვალით ხედავს და გრძნობს, თუ როგორის დაფარულის სიხარულით უცდიან მახლობლები ავადმყოფის სიკვდილს».

1940 წლის 10 ოქტომბერს ერთგვერდიანი ჩანაწერი დაუსათაურებია _ «ისევ ის ამბები»: ერთი რომანის ერთ-ერთი თავიდან თერთმეტი წინადადება ამოუწერია: ყოველ მათგანში რამდენიმეჯერ მეორდება «ისევ» და «ისევ ისე»:

_ აქ, რა თქმა უნდა, ისევ ის ამბავი განმეორდება: მკითხველი ისევ დასწვდება ამ რომანს, ისევ კითხვას დაიწყებს, მაგრამ თავში არაფერი შეუვა და (ისევ ისე, როგორც წეღან!) იტყვის: ეჰ, ისევ ის დრო სჯობდა, როცა რომანებს არ ვკითხულობდი, ეხლა კი ისევ ისა სჯობია, რომ დავიძინოო.

გამხიარულებულა და მიუწერია:

_ 10 ოკტომბერი. 1940 წ. გ. ტაბიძე (მკითხველი).

დაკვირვებული და დაუნდობელი მკითხველის თვალი ჰქონდა:

_ წიგნი იწყება სიტყვით «კნეინა» და თავდება სიტყვით «გარდაიცვალა», _ მიუწერია მოთხრობების ერთ კრებულზე.

ერთი პოეტის კრებული გადაუთვალიერებია:

_ დასკვნას თავშივე რა უნდა: «აი რა ძალუძს ბელადის ნაფიქრს». ეს უნდა იყოს ბოლოში. ხოლო აქ თავი ბოლოშია მოქცეული და ბოლო თავში. ამნაირ კომპოზიციას უთავბოლობა ჰქვია.

ლიტერატურული ჭორებითაც დაინტერესებულა (არა მხოლოდ «ფიქრთ გასართველად»):

_ პაოლოს ჩამოჰყავს პასტერნაკი. მას მოუწერია წერილი ტიციანისათვის, რომელშიც თურმე წინდაწინვე იხდის მადლობას მიღებისათვის. პასტერნაკის ჩამოსვლა თურმე სწყინს მანდელშტამს, რომელიც ამბობს: «Значит, меня хотят совершенно выжить из Тифлиса». გაფრინდაშვილი ამბობს, რომ ტიციანს დღემდე ეჯავრება მანდელშტამი იმ წერილისათვის, რომელიც მან დაბეჭდა ჯერ ბათუმში და მერე «ოგონიოკ»-ში 1921 წ.

_ აკაკი შანიძე აგროვებდა ხალხურ ლექსებს. გრიშაშვილმა კი ის შეცდომაში შეიყვანა. თავისი ლექსები დააბეჭდვინა, ვითომდა ხალხურიაო.

_ ი. მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ მან დაბეჭდა რამდენიმე ლექსი, თავისი საკუთარი ლექსი, როგორც ხალხური. საკუთარი არ დაუბეჭდეს, მაგრამ ხალხური _ მაშინვე.

_ ნადარეიშვილი თურმე ჯერ პროზად დაწერდა ლექსს, ე.ი. ლექსის შინაარსს და შემდეგ გარითმავდა. მე მგონია, ლექსი თავიდანვე ლექსად უნდა დაიწეროს.

შემთხვევით გაგონილი დიალოგი შეურჩევია:

_ თავი მტკივა.

_ მეც თავი მტკივა.

_ ო, აიღეთ და გასცვალეთ თავები.

მატარებელში ჩაუწერია:

_ ეხლა იქნება გრძელი გვირაბი, თქვენ არ გეშინიათ? _

_ რა თქმა უნდა, არა, მე ხომ მარტო არა ვარ.

ამ დიალოგს აგრძელებს ცნობილი _ «მატარებელში»:

მთები აჭრელდა, როგორც ჟირაფი, მატარებელი მიჰქრის ბინდებად,
ეხლა იწყება წიფის გვირაბი, თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ?

ეს ოთხსტრიქონიანი 1925 წლით დაათარიღეს, რადგან ამ წელიწადს დაიბეჭდა «მნათობში», ის დიალოგი კი 1923 წლის ბლოკნოტშია ჩაწერილი. საბოლოო თარიღად ალბათ 1923 წელი უნდა ვივარაუდოთ.

ეს შეკითხვა-პასუხი კი გაგონილს არ ჰგავს, მოგონილი უნდა იყოს:

_ რა უქნეს ყანწელებს?

_ აი რა უქნეს: ერთმანეთს შეაჯახეს, მიიყვანეს ტყავტრესტში, გამოაცვლევინეს ფორმა: გალსტუკები, ჩოხები. სონეტი წაართვეს, რითმა მიუნგრიეს, ასსონანსი შეაძულეს, არ გაბედოთო _ უთხრეს და... დააწერინეს ლექსი, რომლისაც თვითონ ეშინიათ და.. წერტილიც დაუსვეს.

ეს კი ნამდვილად ყურმოკრულია _ «ორი ხევსური»:

_ ნეტავი სტალინი რასა სჭამს?

_ რასა სჭამს და სუ ერბოში ამოთრეულ ცხვრის დუმას.

«პურის ქარხანა» _ ასე ეწოდება პატარა ჩანაწერს:

_ პურის ქარხანა ემუქრება რაჭველებს პურის ცხობაში, ემუქრება ჩვენს ქართულ თონეს, ემუქრება კერიის ჭადებს, ემუქრება წისქვილებს.

არქაიზებულიც გამოერევა:

_ ამა 1945 წლის 25 ივნისს, დღესა ორშაბათსა, პირველად ვიგემე მრისხანება ჟამთა, წარხდომა თვალთა ჩემთა მზერისა, ოდეს ქალმან ლაღიძის წყლის პავილიონსა შინა, რომელსაცა შემთხვევით გავკარი ფეხი, ნაწყენათა სთქვა: ამ ქვეყნად კიდევ ბევრია ბრუციან.

სალაღობოც ამოვიწერეთ _ «კოლმეურნის წერილი სატრფოსადმი»:

_ ჩემო 40 კილოგრამ ხორბალზე უძვირფასესო, ჩემო 8 ლიტრ ღვინოზე დამათრობელო, ჩემო 12 ლიტრ არაყზე მომსპობო, ჩემო 80 ცალ კვერცხზე გამსუქებელო, ჩემო 2 კილოგრამ ერბოზე უტკბესო კვიკვი...

ეს ნაკვესი ცნობილ ქუთაისელ მეეტლეს ეხება:

_ მელია ატარებდა აკაკი წერეთელს და თვითონ ჰგავდა მას. მელია ატარებდა მამია გურიელს ფეხით...

«ლევანა პარიკმახერის ნაამბობი» ჩაუწერია 1936 წლის 22 ნოემბერს. 1945 წლის 3 ივნისს კი:

_ წვერს ვიპარსავ ჰიგიენაში. ახალგაზრდა გამპარსველი ქალი მესაუბრება რელიგიაზე და ირონიულად დასძენს: «აი ამ ქაშვეთისა (ფანჯრიდან ჩანს ქაშვეთი) მანეთი მმართებს: ღმერთს სანთელი ავუნთე და არ გადამიხდია, ვალად დამედო».

პარიკმახერს დაუეჭვებია:

_ ნეტა რას მიედ-მოედებოდა დღეს ჩემი პარიკმახერი მთავრობის სასახლეში? ვინ ავრცელებს ამ ხმებს, ან რა მიზნით?

სტომატოლოგს გაუმხიარულებია:

_ გუშინ კბილი ამოვაღებინე ჰეინეს _ კბილის ექიმს. მას ჰყოლია შვილი, რომელიც მოსკოვში სწავლობდა. ეს შვილი გაეცნო მეორე ამხანაგს სიტყვებით: Позвольте представиться, Гейне!.. მეორეს უპასუხია: Очень рад, Пушкин!

_ რამდენი ენერგია მიაქვს მთელი ამ მთხლე საზოგადოების დაპყრობას? _ სამართლიანად აღშფოთებული შეგვეკითხა ერთხელ და მეორედ გაღიმებულმა წარმოგვიდგინა და გაგვაცნო _ «კაცი, რომელსაც გაგიჟებით უყვარს თხლე»:

_ 1. რა არის თხლე? 2. რა ჰქვია რუსულად? 3. «წავიდა «თხლესავითა». 4. ანდაზები თხლეზე.

თვითონაც უკვირს და ჩვენც გვაკვირვებს:

_ როგორც კი სულიაშვილს დავხედავ სიაში, იმ წამშივე ოლგა იურიევნა იტყვის: მე შენ აქ გიმზადებ წინდებს. ასე იყო შარშანაც და ექვსი თვის წინადაც. გავიფიქრე სულიაშვილზე და ოლგა იურიევნამ სთქვა: მე შენ გიმზადებ წინდებს. ამნაირადვე დამდევს გვარი ნუსინოვი. ოდესღაც დამესიზმრა: ჰკითხეთ ეს საქმე ნუსინოვს, დაიმახსოვრეთ გვარი ნუსინოვი. რამდენჯერმე დამესიზმრა. არ ვიცოდი ვინ იყო და ერთხელ ვიღაცასა ვკითხე: მწერალიაო, მითხრეს. სულიაშვილს ვიცნობ, მაგრამ ნუსინოვი არსად არ შემხვედრია.

უცნაურებიც ჩავიკითხოთ და «ციტატების ტიკტიკიც» დავასრულოთ:

_ ერთი უცნაური რამ დამემართა, ერთი ვარდი რომ მოვწყვიტე, მეორე უცებ გაიშალა.

_ ნეტა რას მოასწავებს? არასდროს არ მსმენია: ტელეფონმა მამალივით იყივლა საღამოს ცხრის ოც წუთზე. ნამდვილი გაბმული მამლის ყივილი იყო. როგორ შევკრთი! ის-ის იყო კაბინეტის დარაბებს ვხურავდი, რომ მუმლი არ შემოფრენილიყო. ცხრის 25 წუთზე კი ელექტრონი უეცრად ჩაჰქრა, ცოტა ხნით ისევ აენთო და ისევ ჩაჰქრა!

_ N 1. დღეს პირველად მეცვა ახალთ-ახალი კოსტიუმი და მოვახდინე პირველი გაფრენა, უაღრესად დამაკმაყოფილებელი. მზიანი დღე. კარგი სულიერი განწყობილება. ხალხი ყურადღებას მაქცევდა, მოწიწებით, ინტერესით და სიყვარულით. По платью встречают... _ N19. პალტო უნივერმაღიდან იქნება 16 მაისისათვის. По платью встречают, по уму провожают. _ ამნაირად ერთი დღის განმავლობაში მე მოვახდინე 19 სადაზვერვო გაფრენა. რა თქმა უნდა, ეს სრულებით არ კმარა. უნდა იყოს დღეში არა-ნაკლებ 100 დაზვერვისა, მაგრამ ისე კი, რომ დაღლილობა არ დაეტყოს კაცს.

_ მგონია ვიპოვე: სიმძიმეთა შემსუბუქების იდეა. ეს იყო დილის 9 საათზე, როდესაც ავდიოდი ჭონქაძის ქუჩაზე და პორტფელი მძიმედ მომეჩვენა... ვიპოვე საშუალება (სულ უბრალო) ამ სიმძიმის სრულიად მსუბუქად შექმნისათვის. გავაფართოვოთ იდეა. მივსცეთ მას პრაკტიკული გაფორმება «ტვირთმძიმეთა და მაშვრალთათვის». ე-ვ-რ-ი-კ-ა!

ეს არ არის საქართველო

ტკივილიანი სტრიქონებიც ბევრჯერ წამოსცდენია გზადაგზა: ცალკეული სტროფები, გაწყვეტილი და გაურითმავი ტაეპები, მოკლე პერიოდები, მომენტალური აღსარებანი. აღარ გაუგრძელებია, აღარ დაუსრულებია, აღარც დაუხვეწავს, რაკი დაბეჭდვის იმედი არ ჰქონდა (არც შეიძლება ჰქონოდა!), ვერც მომავალში ხედავდა საიმედო პერსპექტივას. თავის თავს ესაუბრებოდა მარტო, თავის ჭიას ახარებდა ან უცნობ ოპონენტს არწმუნებდა, ედავებოდა, ეკამათებოდა, ეწინააღმდეგებოდა:

მსურს გითხრა პოეტის კვნესაზე, მომტანზე ზარალის _
არ არის, არ არის ეს ასე! ეს ასე არ არის!

შინაგან პროტესტსა და გულისწყრომას ანონიმის სახელით ფარავდა:

ერთმა ბრიყვმა ასე სჭექა: მე არ ვიცი ცეკა-მეკა, _
ცეკა-მეკა არ არისო ჩემთვის მედინა და მეკკა.

საკუთარ თავს და არა მარტო საკუთარ თავს მოძღვრავდა:

არვინ გაცმევს ჯვარზე მხოლოდ იმის გამო,
რომ არ იცი მარქსი, რომ არ გახსოვს კამო,
ვის არ უთქვამს ღელე და ლაჟვარდი ღამე,
მხოლოდ სისულელე არ წამოგცდეს რამე.

ოციან წლებში უნდა იყოს დაწერილი _ «წინასიტყვაობა». ახასიათებს ფრანგული «პარნასის» თავკაცის გოტიეს წიგნს _ «მინანქრები და კამეები» და ამ წიგნის ლექსად დაწერილ წინასიტყვაობას («მე არ მინახავს უკეთესი წინასიტყვაობაო»). თეოფილ გოტიეს წიგნში უარყოფილია სოციალური თემა და ამას იწონებს გალაკტიონი. სწორედ იმხანად შეიქმნა «საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია», რომელსაც მიზნად დაუსახეს პარტიის პოლიტიკური ხაზის გატარება ლიტერატურაში და რომელმაც შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა წმინდა ხელოვნებას. გალაკტიონი კი ამართლებს ფრანგი პოეტის პოზიციას და პრინციპულად უპირისპირდება იდეოლოგიის აპოლოგეტებს:

«ეს წიგნი _ მთლიანად აღებული _ თეთრი, მაღალი, ნამდვილი თლილი სტილითაა აშენებული, როგორც ჩვენი ქაშვეთის სიმაღლე. რამდენი ცოდნა სილამაზისა არის შიგ, ამას გაიგებს მხოლოდ მასავით ელასტიური შემოქმედების მქონე პოეტი. რამდენი სულიერი ენერგია უნდა ჰქონოდა ადამიანს, რევოლიუციისა და ნგრევის ხანაში ამნაირად ემღერა. ეს არისტოკრატიზმია. ის, ვისაც უცებ წააქცევს რევოლიუციის ტალღები და მიყვება ამ ქაფიან მორევს, ვერასოდეს ვერ იმღერებს ისე, როგორც გოტიე მღეროდა. ეს პოეტი საუკეთესო მაგალითია იმისი, თუ რამდენად გამორკვეული სახის მქონე პოეტი რევოლიუციის დროსაც კი რჩება დიდ პოეტად. პირიქით, ეს საშუალებას აძლევს მას, უფრო მაგრად ჩაიკეტოს კარები, რომ უფრო მძლავრად მიეცეს თავის საყვარელ პოეზიას.

რა თქმა უნდა, ასეთი მასშტაბით ვერ მივალთ ყველა პოეტებთან: ვინც სუსტია, იგი აცდება ნამდვილ ხელოვნების გზას. ასეა დღეს მაგალითად ქართულ პოეზიაში. აქა-იქ რაღაცას ბურდღულობენ პროლეტარულ პოეზიაზე, აქა-იქ ტემად მიაჩნდათ რევოლიუცია და კოსმიურ საქმედ მიაჩნიათ. ამ მხრით რატომ არ იქნება კოსმიური მოვლენა თუნდაც კონტრრევოლიუცია და ან რა საქმე აქვს ყოველივე ამასთან პოეტს, გარდა კარიერიზმისა?! ასეთი, უკაცრავად პასუხია პოეტები, მრავლად არიან. «გოტიეს ლანდო, მაპატივე ეს სითამამე» (ერთისა არ იყოს), რომ შენთან ერთად იძულებული ვარ ვახსენო ეს უკაცრავად პასუხია პოეტები...

ეს სურდა ეთქვა გოტიეს და სთქვა კიდეც თავისი წიგნით, მიაღწია თავის მიზანს. თქვენი პროლეტარული ხელოვნება კი შეინახეთ თქვენთვის და ალბად როდისმე გამოგადგებათ. იარეთ მიტინგებზე, თქვით იქ სიტყვები და ალბად ესეც გამოგადგებათ. ჩვენ კი ავიღებთ და ვიტყვით: არ გვინდა პოლიტიკა ხელოვნებაში!».

დღემდე უცნობი ეს მიმოხილვა მრავალ მტკივნეულ პრობლემას ახლებურად სვამს და პასუხობს. ვფიქრობთ, ამ მოსაზრებებს არსებითი მნიშვნელობა ექნება პოეტის შემოქმედების შემდგომი კვლევისათვის.

თუ გალაკტიონის პირველი პერიოდის ლირიკას გავითვალისწინებთ, რა თქმა უნდა, მოულოდნელი აქ არაფერია. არც ისაა მოულოდნელი, ასე დაუნდობლად რომ გაკიცხა პროლეტარული მწერლობის მოხალისენი _ «ეს უკაცრავად პასუხია პოეტები» და მოსალოდნელი და მოახლოებული საფრთხის წინადღეს ჭეშმარიტი ხელოვნების ქომაგად მოგვევლინა.

ამავე ათწლეულს განეკუთვნება ქართული პოეზიის დასაცავად და გადასარჩენად დაწერილი პროტესტი. თუმცა ამ კონტექსტში «ქართულ პოეზიაზე» უფრო ზუსტად «ქართველი ხალხი» წაიკითხებოდა. აკი აქვე მიგვანიშნებს: «ვისაც სურს გაგება, ჩვენ გაგვიგებსო»:

_ შეიძლება ჩვენ ცოტანი ვართ, მაგრამ არც ისე ცოტა, რომ სამაგიერო პასუხი ვერ გავცეთ მათ, რომელნიც ფიქრობენ ქართული პოეზიის ჯერ დამონებას და შემდეგ სრულიად განადგურებას. იცოდეს ყველამ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ ჩვენ ქართული პოეზიისათვის... ჩვენ, შესაძლებელია ყველანი დავიღუპოთ, მაგრამ არა ისე, რომ მთელს მსოფლიოს არ შევატყობინოთ ჩვენი დაღუპვა. ჩვენს პროტესტს გავაგონებთ მთელს დედამიწას: დაე გაიგოს ყველამ, როგორ გაკრული ვართ ჯვარზე ქართველი პოეტები! დაე იცოდეს მთელმა მსოფლიომ: ჩვენ ვდგევართ ჩვენი კულტურის სავსებით დამოუკიდებლობის სადარაჯოზე. ყველგან და ყოველთვის ვიბრძოლებთ წინააღმდეგ ყოველი ტირანის, რომელიც კი მოისურვებს ჩვენზე მბრძანებლობას და ჩვენი თავისუფალი და ამაყი პოეზიის შეზღუდვას. არავისი მზრუნველობა ჩვენ არ გვჭირდება. არ დავინდობთ არავითარ ტრადიციას ძველს და ახალს, რომელიც მოისურვებს ჩვენი პოეზიის თავისუფლების დამონებას, რადგან ნამდვილი პოეზია ჩვენთვის იგივე უმაღლესი თავისუფლებაა.

1927 წლით უნდა დავათარიღოთ მკაცრი რეპლიკა: ათიოდე წელიწადში მძაფრად შეუცვნია და განუჭვრეტია სოციალისტური წყვდიადის მთელი საშინელება. იდეურ ოპონენტებს იწვევს და უტევს, ბრალსა სდებს და სამსჯავროზე უხმობს, «ნამდვილი საქართველოთი და ნამდვილი რევოლუციით» ემუქრება:

_ ისინი იძახიან: ღამე! ჩვენ ვამბობთ: ამ ღამეში არაფერი არ სჩანს! განკარგულება მოახდინეთ თუ შეიძლებოდეს, აანთონ სანთლები! ეს არც ისე ძნელი საქმეა, მაგრამ თქვენ არ გსურთ: თქვენ სიბნელეში გირჩევნიათ, თქვენ გეშინიათ სინათლის! აჰ, როგორ გეშინიათ სინათლის, როგორ გეშინიათ! თქვენ გეშინიათ ნამდვილი საქართველოსი და ნამდვილი რევოლუციის! არ არის ეს ასე? მაშ იმართლეთ თავი! აბა, გთხოვთ დაიწყოთ! დაიწყოთ ისე, როგორც თქვენ დაიწყეთ თავიდან ამ 10 წლის წინად. გაიმეორეთ ის, რასაც ამბობდით. აღიარეთ, რომ ის, რასაც ამბობდით, მართალია. აბა დაიწყეთ, რას ამბობდით თქვენ!

ეს იყო ყველაზე მაღალი აკორდი ფარდის დაშვების წინ.

მალე «დაჰქროლა ქარმან სასტიკმან»!

დედამიწის მეექვსედი აბსურდის თეატრს დაამსგავსეს და ტრაგიკული კომედია გაითამაშეს:

_ რატომ დააპატიმრეს ზაქარია ჭიჭინაძე?

_ არ ვიცი, _ იყო პასუხი.

_ თვითონ მას არა ჰკითხეთ თუ რაზედ დააპატიმრეს?

_ არ იცის არც მან.

_ როგორ თუ არ იცის?

_ თქვენ როგორა გგონიათ, ან მათ, რომელთაც დააპატიმრეს, იციან თუ რაზედ დააპატიმრეს.

დაიწყო «მწერლობის მოთვინიერება»! (ა. ბაქრაძე).

ჯერ სადაა! ის ამბავი მხოლოდ ეხლა იწყება, _
თქვენი გული სალამბავი _ ცეცხლით გადისიცხება.
იწყება! რა იწყება? იწყება! რა იწყება?
მთელი პროლეტარიებით დიქტატურა იწყება!

ამ მტკივნეული კითხვა-პასუხების ვერდიქტი უპირველესად მხატვრულ სიტყვას დაემუქრა:

რისთვის ჩაუწყდა ხმა გაბზარული მას, ანგელოსი თუ დემონია? _
მისთვის, რომ მოდის პროლეტარული ლიტერატურის გეგემონია.

«ზარნიშიანი წიგნის» შემდეგ, 1927 წლიდან აშკარად შეიმჩნევა შემოქმედებითი პრინციპების მკვეთრი ფერისცვალება. უაღრესად აქტუალური თემატიკა ჩაგრავს ოსტატს, რაოდენობა _ ხარისხს.

1931 წლის პირველ მაისს უკვე სულ სხვა გალაკტიონი გველაპარაკება:

_ განა დიდი ხანია მას მერე, რაც აცხადებენ: გალაკტიონმა შემოიტანა ლიტერატურული დემპინგი, უმაღლესი ხელოვნება დაიყვანა მასამდე და ჩალის ფასად ყიდის მასო. სხვადასხვა ვარიაციებით ამას იმეორებენ დღესვე ჩვენი მემარჯვენეები. დავით კლდიაშვილის დასაფლავების დღეს მე რამდენჯერმე გავიგონე ასეთი აბდაუბდა. მემარჯვენეები ჩემი მოწინააღმდეგეები არიან. მე უნდა დავეყრდნო მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარულ მწერლობას.

მომავალ წელს წერს პატარა მინიატურას: უცნობი ქალი ხვდება ტრამვაიში:

_ გვახსოვს თქვენი წინანდელი ლექსებიო, _ მეუბნება ის, _ ეს იყო გენიალური ლექსები. მაშინ კარგი იყავით, ეხლა კი _ რა მოგახსენოთ. თქვენ თვითონ არ იცით რას სჩადიხართ. თქვენ ყოველგვარ ზომებს მიმართავთ, რომ თავისთავს სამუდამოდ გაუტეხოთ სახელი.

სამწუხარო და სავალალო ის გახლავთ, რომ ასეთ მკაცრ ბრალდებას, უფრო სწორად _ თვითბრალდებას თვითონ ეთანხმება: კარგად გრძნობს, რასაც სჩადის, და სინანულით დასძენს:

_ აი სად იყენებს ეს მანდილოსანი თავის სიტყვიერ ქინძისთავებს. ის მიდის ძველი გზით მაშინ, როცა კაცობრიობა ახლისკენ გადაიხარა, როდესაც შეიცვალა ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა. მან კიდევ არ იცის, რომ დრო «წინანდელი ლექსების» სამუდამოდ გაჰქრა!

ამავე განწყობილებას აგრძელებს ერთი პირადი ბარათი:

_ სახელმწიფო გამომცემლობა მოსკოვში მოკლე ხანში სცემს ჩემს წიგნს რუსულ ენაზე. რუსეთში ჩემი წიგნი პირველად გამოდის ეხლა და უდიდესი მნიშვნელობა აქვს პირველ ყოვლისა ლექსების შერჩევას... წიგნი არასგზით არ უნდა იყოს გადატვირთული პირველი პერიოდის ლექსებით.

1941 წლის 28 მარტის დღიურში კი აშკარად ასახელებს ათვლის საბედისწერო წელიწადს:

_ როგორი უნდა იქნეს ჩემი რუსული წიგნი? მე ვფიქრობ ასე: იგი წარმოდგენილი უნდა იქნას მთლიანად ახალი მასალებით, ახალი წიგნებით, უმთავრესად 1937 წლის შემდეგ.

სხვათაშორის, ბათუმში 1936 წლის 25 სექტემბერს პირდაპირ უკითხავთ:

_ რატომ იყო რევოლუციამდე თქვენი ლექსები უფრო დახვეწილი, ვინემ რევოლუციის შემდეგ? _ მაგრამ იმას აღარ წერს, რა უპასუხა, ანდა _ უპასუხა თუ არა საერთოდ.

იმავე წლის 30 აპრილს კი ნაცნობ პიროვნებებს მოიხსენიებს და განმარტავს:

_ ჩემი პირველი პერიოდის ლექსების პატრიოტები არიან, ხოლო მეორე პერიოდზე გულახდილად უარს ამბობენ.

1933 წელს რუსულად გაბრაზებულა:

_ Парикмахеры утверждают, что он исписался.

მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს შემდეგი ფაქტი: 1933 წლის 14 თებერვალს ერთმა მოხალისემ ლექსი მიუძღვნა და მიუტანა. ამ ლექსმა სასტიკად აღაშფოთა და 18 თებერვალს იმავე ფურცელზე მიაწერა პროტესტი:

_ აი ლექსი, რომელიც სრულებით არ მახასიათებს. დახასიათება კი არა, პირდაპირ საზიზღარი დაცინვაა! სიტყვა «ეპოქა» აქ ტყვილად მოტანილია: საუბარია ქარის ზუზუნზე, ქარი და აფთარი რითმებადაა, ხეები, ფართო შარაგზები, ზეცის კიდე, ტყის მძაფრი ყვირილი (რა შუაშია შემდეგ ბრძოლის მოტივი), დაიღლები ფიქრის ტარებით; სიონი, მთაწმინდა, ლურჯა ცხენები (ერთი სიტყვით, წინანდელი ლექსები, რაც ჩემგან კარგა ხანია მივიწყებულია და უარყოფილი). და დასასრულს, ნუთუ ასეთი ლექსით დახასიათების ღირსი ვარ და ისიც 14 თებერვალს 1933 წელს? ავტორი ან გაუსწორებელი და მოწამლული პიროვნებაა, ან შეგნებულად სურს ჩემთვის სახელის გატეხვა. მაგრამ მე არ წამოვეგები ასეთ ანკესებზე. ამ კითხვას მე დავსვამ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმზე და მომავალი იუბილეის დროისათვის მოვითხოვ, რომ მიეცეს მწერლებს, რომელნიც მოისურვებენ ჩემზედ წერას, კონკრეტული მითითებები: რაზედ სწერონ, როგორ სწერონ და სხვ. თორემ ასეთი ლექსები ადამიანს კატასტროფამდე მიიყვანს. მე მგონია ეს არის შეგნებული მავნებლობა!

ძნელია ამ სიტყვების გულწრფელობაში ეჭვი შეიტანოთ. არადა, «ლურჯა ცხენებს», «მთაწმინდის მთვარესა» და «სილაჟვარდეს» უარყოფს! ეტყობა, უფრო მრისხანე და დამთრგუნველი ძალა მძლავრობდა, ვიდრე წარმოგვიდგენია! ისეა დაშინებული და ისეთი დროა, რომ ჩვეულებრივ უწყინარ მიძღვნას დასმენად თვლის, ხაზს უსვამს, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით, დღეს, თვესა და წელიწადს!

შიშისა და აღშფოთების მთავარ მიზეზად მაინც ის ფაქტი უნდა ჩაითვალოს, რომ ავტორს ეს მიძღვნა საჯაროდ წაუკითხავს და აუდიტორიის მოწონებაც დაუმსახურებია, რასაც მინაწერის პოსტსკრიპტუმი გვაუწყებს (ალბათ იმასაც ჰქონდა მნიშვნელობა, ვისი სახელობის კლუბში წაიკითხა!):

_ ავტორს ეს ლექსი წაუკითხავს სალიტ. საღამოზე სტალინის სახელობის კლუბში, სადაც საზოგადოება ოვაციებით შეგებებია! ო, რა ზიანის მიყენება შეუძლია ასეთ ლექსს _ თანამედროვე ხელოვნებისათვის.

ისე, გზაჯვარედინზე ცოტა კი შეყოყმანებულა:

_ ბუქსირი ჩემთვის გამოსადეგია, მაგრამ არა ხაზგასმული. ამ მდგომარეობაში რიკოშეტია საჭირო. რატომ ბუქსირი?.. ფხიზლად უნდა ვადევნოთ თვალყური პირვნებებს, რომლებიც გარს გვარტყია, მით უმეტეს, რომ ყველა მე მიცქერის, როგორი გზით წავალ... მაგრამ შესვლისას უნდა იცოდე გამოსავალი კარებიც.

ერთხელ საკუთარი თავი დატუქსა:

_ უპირველეს ყოვლისა, შენ უნდა იყო თავისუფალი, როგორც ქარი. ამისგანაა ყველაფერი დამოკიდებული. ნუ იტყუებ თავს!

ერთხელაც აქეთ შემოგვედავა:

რა მაქვს წარსულში, გეკითხები, რა მაქვს წარსულში,
ისეთი რა მაქვს, რომ უარვყო, გავკიცხო, დავგმო?

მაგრამ ეს ორი სტრიქონი არასგზით არ შეიძლება ამ წლებში დაწერილიყო. არც ეს სტროფი:

ბრიყვო, ხმა გაკმინდე, ნუ მიცქერ ალმაცერ.
რაც გულით არ მინდა, ერთ სტრიქონს არ დავსწერ.

და არც ეს «ლექსი ფორმალიზმის შესახებ»:

დიდყურაანთ ნაშიერი ვარდს და იას
ბულბულებრივ უსტვენს გმირულ ტია-ტიას.
და ბაღიდან განდევნილი სტვენს «ბულბული»,
ისმის მისი მხნე: ფულ-ფულ-ფულ! ფულ-ფულ-ფული!
და ამგვარად თანაბრდება მჭიდრო მწკრივი _
ფიზიკური, ზნეობრივი, გონებრივი.

ასეთი შიგადაშიგ ხაზგასმული შეგონებაც გვიანდელია:

_ მთავარი ესაა _ დასძლიო ის სიყალბე, რომლითაც ნაწილობრივად შებოჭვილია თანამედროვე პოეზია.

სიყალბისა და გულწრფელობის შესახებ ოციანი წლების ერთი კომენტარი მოვისმინოთ (რატომღაც ერთი სიტყვა აუჩემებია, ერთი პრეტენზიული სიმბოლო):

_ მანქანათა რახრახი ძრავს სტამბის კედლებს. ყურები გამოჭედილია ამ მშვენიერი მუსიკით, რომელიც მოაქვს მეტალურგიას (აჰ, შეიძლება საჭირო არ არის ეს სიტყვა?). ვინ იცის რამდენი რამ არ არის საჭირო? ჩვენ მაინც ჩავდივართ იმას, რაც საჭირო არ არის, ყოველდღე, ყოველ საათში, ყოველ წამში. ვინმე თუ იფიქრებს, რომ მშვენიერი ცხოვრება არსებობს, თქვენ პირდაპირ შეხედეთ მის სახეს იმ წამში, რა წამშიდაც ამას გეტყვის. შემდეგ კითხეთ მას, გულწრფელია თუ არა იგი? იგი უსათუოდ ჩაფიქრდება და მეორე წამში იქნება გულწრფელი, თუ გიპასუხათ, რომ გულწრფელი არ არის, რომ არც ჰქონია აზრად გულწრფელობა. შემდეგ გადააშლევინეთ რამდენიმე დღის მისი ცხოვრების ფურცელი, თუ იგი მაშინაც გულწრფელია, უსათუოდ გიპასუხებთ, რომ მთელი მისი ცხოვრება _ შემდგარი ამნაირივე დღეებიდან _ იყო სიყალბე, დიახ, სიყალბე, და ათასჯერ, ათიათასჯერ სიყალბე. როგორ არ გრცხვენიათ, მოწყალეო ხელმწიფეო, როგორ არ გრცხვენიათ? განა შესაძლებელია ერთი წამით არ ჩაფიქრდეთ ყოველივე ამის შესახებ? განა წარმოსადგენია, რომ ყოველდღე სჩადიოდე იმას, რაც საჭირო არ არის? რად გჭიროდათ მეტალურგია?.. მეტალურგია... ხა, ხა, ხა, მეტალურგია... ხი, ხი, ხი, მეტალურგია... ხო, ხო, ხო, მეტალურგია, მეტალურ... მეტალ... ااا?

სხვათაშორის, შემთხვევითი არ უნდა იყოს ასეთი ირონია ამ ტერმინისადმი: ორმოცდაათიან წლებში საბჭოთა იმპერიის მწერალთა კავშირის გენერალურმა მდივანმა რომანი წამოიწყო _ «შავი მეტალურგია» და ეს რომანი თვითმკვლელობით «დაასრულა»... (უფრო სწორად _ ვეღარ დაასრულა!).

1930 წლის 10 ოქტომბერს რუსეთის ორი პირწავარდნილი პროლეტპოეტი შეადარა ერთმანეთს:

_ არის ერთი ხაზი, რომელიც საიდუმლოა ორთავესათვის და ეს ხაზი ვიცი მე.

და იქვე იკითხა:

_ საჭიროა თუ არა გულწრფელობა დღეს?

იმ წლებში რასაც გულწრფელად წერდა, თავისთვის წერდა და ინახავდა. ჩაუნიშნავს:

_ უნდა დაიწეროს 45 ახალი ლექსი ახალი გაგებით.

«ახალი გაგებით» ანუ დროის დაკვეთით «შთაგონებულებს» გულუხვად აქვეყნებდა. ეს ის პერიოდია, როცა იწერება და იბეჭდება «ეპოქა», «პაციფიზმი», «რევოლუციური საქართველო».

საკმარისია ამ წლებში გამოქვეყნებული ლექსების უაღრესად აღტაცებული სულისკვეთება და გულახდილი დღიურების მძიმე განწყობილება ერთმანეთს შევუპირისპიროთ, რომ გაორებული კაცის გულისტკივილი ვიგრძნოთ:

_ «ეჰ, გული სხვას ფიქრობს და კალამი სხვას წერს».

1929 წლის სამი დღის ქრონიკა გვაუწყებს:

_ 22 მარტი. საერთო მდგომარეობა კატასტროფიულია. არსაიდან ჯერჯერობით იმედი არა მაქვს, რომ საიდანმე გაჩნდება სულ ცოტა მაინც ფული, რომ პაპიროსი მაინც მექნეს, თუ სადილი არა... როდემდის გაგრძელდება ასეთი მდგომარეობა?

_ 23 მარტი. ფული არსაიდან არ არის... ო, არავინ იცის რაა სიღარიბე, რანაირად დამამცირებელი, პიროვნების ფეხქვეშ გამქელველია იგი...

_ 24 მარტი. საუცხოვო მზიანი დღეა. სჩანს გაზაფხულდა. მე კი ორი დღეა არა მიჭამია რა... მოვედი სახლში, ჩავიკეტე კარები და ვწევარ. მწოლიარე კაცი უკეთესად იტანს შიმშილს... ღამით საოცარი სიზმრები მესიზმრებოდა. ვინ გინდა, არ იყო ამ სიზმრებში: ახლობლები და შორეულები: პირადათ მე საკუთარი ხელით დაბლიდან მაღლა მთაზე ავიტანე უზარმაზარი მატარებელი! ტროცკი, სტალინი, ყველანი იყვენ. ასე კარგია სიზმრები, ასე კარგია გალიუცინაციები. სიზმარი უკეთესია, ვინემ სინამდვილე. ეხლანდელი სინამდვილე კი... ღმერთმა შეინახოს! მსოფლიო შემოსილია მხოლოდ შავი, საშინელი სინამდვილით.

1930 წლის 12 ოქტომბრის დღიურში ვკითხულობთ:

_ მატერიალური მდგომარეობა ასეთია, ერთი კაპიკიც ჯიბეზე არა მაქვს... არ ვიცი, როდის იქნება გონორარი. პაპიროსის ფულიც კი არა მაქვს. ფეხსაცმელები დაგლეჯილია, პალტო არაა, პირი ვერ გავიპარსე. მეზარება ქუჩაში გავლა, ხალხში გამოჩენა. რას მიშვება ეს ხალხი? რატომ აგვიანდება «მნათობს»? რამდენი ტკივილებია ხელმოკლეობისაგან, რამდენი შეურაცხყოფა. ტრამვაის ფული რომ კაცს არ გექნება... ო, რა საშინელებაა ამნაირი ცხოვრება. იმედი კარგია, მაგრამ მხოლოდ იმედით ხომ ვერ იცხოვრებ ადამიანი. არადა გამოუსვლელი მდგომარეობა რკინის სალტეებს გიჭერს, სულს გიხუთავს, მუნჯადა და კუტად გხდის, განაპირა ქუჩებით გატარებს. საბოლოოდ

უნდა გამოირკვეს ეს საქმე. არა, რას მიპირებს ეს ხალხი! თუ ჰგონიათ, რომ ცოცხალი თავით დავნებდები სიღარიბეს? არასოდეს!

1931 წლის ერთ პირად წერილში წერს:

_ ათი წლის უმუშევრობა, სისტემატური დევნა, რომელიც არაფრით არ დამიმსახურებია, უბინაობა, შიმშილი, აღმაშფოთებელი ცინიზმი (რომელიც აკვირვებდა ყველას), წააქცევდა, მე კი არა, დევსაც კი.

1932 წლის 31 დეკემბერს ჩაუწერია:

_ ახალ წელს ვხვდები ჯიბეგაფხეკილი... «არც ერთი პიასტრი» არ გამაჩნია... დავდივარ უფეხსაცმელოდ... კრიზისის დროს გავყიდე უკანასკნელი შარვალი...

ციტატების ამ ციკლში ერთი სიზმრისეული დეტალია განსაკუთრებით დასამახსოვრებელი და დაუვიწყარი:

_ პირადათ მე საკუთარი ხელით დაბლიდან მაღლა მთაზე ავიტანე უზარმაზარი მატარებელი! _ ეს დეტალი გოლგოთას მთაზე აღმავალი ჯვარის მტვირთველი უფლის ასოციაციას იწვევს. და მართლაც ჰგავდა პოეტი წამებულსა და ჯვარცმულს, რაც აშკარად იგრძნობა ამ პერიოდის, და არა მარტო ამ პერიოდის ჩანაწერებში.

გამოქვეყნებულ პოეტურ ნაწარმოებებში კი პროტესტის ნატამალიც არ ჩანს. პირიქით! მხოლოდ მაჟორი გაისმის. მისივე სიტყვები რომ გავიმეოროთ _ «ასე ემართება ნაძალადევ, არაბუნებრივ ხმის ამაღლებას».

ამ პერიოდს სამართლიანად ეწოდა «შემოქმედებითი კრიზისი» (უფრო ზუსტი იქნებოდა: «იძულებითი შემოქმედებითი კრიზისი»).

კვლავ მისივე სიტყვები რომ გავიხსენოთ _ «ბარაბანის დროს ტრაგიკული განცდაც არსებობს (არა ლირიკა)».

საყოველთაო კრიტერიუმები ისე გადაფასდა, რომ აღიარებულ მეტრს აშკარად უსუსური მეტოქე გამოუჩნდა:

_ პროლეტპოეტები ყველა გულწრფელი, ანკესზე ადვილად წამოსაგები ხალხია, ზოგიერთების გამოკლებით. ჯერჯერობით კარგად მეპყრობიან, მხოლოდ ეს კია, პირველად არ მიშვებენ, პირველად ეული უნდათ:

_ პოეზია, რომელიც მოკლებულია პოეზიის ნატამალს.

როგორც ჩანს, ქართული ემიგრაცია ინტერესით ადევნებდა თვალ-ყურს გალაკტიონის შემოქმედებით ევოლუციას. მას დროულად შეუნიშნავს ეს სახიფათო მომენტი და გაუფრთხილებია კიდეც პოეტი, რომელიც ამ გაფრთხილებას ალბათ ვერც წაიკითხავდა. თუმცა, რომც წაეკითხა, არ დაეთანხმებოდა ან ვერ დაეთანხმებოდა:

_ ასეთია, ასეთი იყო გალაკტიონ ტაბიძე უკანასკნელ დრომდე. მისი ახალი ლექსები ნებას გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ მგოსანი «ახალი გზის» ძებნაშია... ვშიშობ, გულწრფელად ვშიშობ, რომ მაღალ ნიჭიერმა პოეტმა «ახალის» ძებნაში თავისი ძველად ნაცადი მხატვრული «მე» არ დაახურდავოს, თავისუფალი აღმაფრენა ბრჭყალებში არ ჩაუგდოს ნაძალადევ ტენდენციას, _ ფეხი არ წაიტეხოს. ამის ნიშნები არის (ჟურნალი «კავკასიონი», პარიზი, 1929, 1-2, მ. წულუკიძე).

სამწუხაროდ, შორეული თანამემამულის ეს გულწრფელი და საფუძვლიანი შიში გამართლდა:

_ გალ. ტაბიძემ საფუძვლიანად შეატრიალა კალმის მახვილი, დასძლია წინააღმდეგობანი და აგრძელებს ამ წინააღმდეგობათა დაძლევას... ტაბიძე ჩვენი

მოკავშირეა და აქედან გამომდინარე ჩვენი ჰეგემონიის მისაღწევად მისი განადგურება არ არის საჭირო («სალიტერატურო გაზეთი», თბილისი, 1932, 1 თებერვალი, ბ. ბუაჩიძე).

საბედნიეროდ, ახლობელი თანამემამულის ეს გამოსარჩლება ყურად იღეს და პოეტი განადგურებას გადაურჩა. თუმცა ერთმა აქტიურმა თანამოკალმემ (ალიო მაშაშვილმა) უფრო მკაცრი განაჩენი გამოუტანა: «დროა _ დაუსვა ტყვიის წერტილი განვლილ დროსა და შემოქმედებას!». ხოლო თვითონ სასჯელის უმაღლეს ზომას ლოგიკური კომენტარი შეუფარდა:

ეს აზრი უნდა გავიგოთ ასე: რომ მხეცი არ თმობს თავის ხელობას

და გალაკტიონ ტაბიძეს ურჩევს წერტილს ტყვიისას _ რას? თვითმკვლელობას.

ლირიკული პაექრობა გაგრძელდა:

«12 იანვარს ფილარმონიაში რომ საღამო მქონდა... საზიზღრად იქცეოდა მაშაშვილი... ამან მაიძულა პასუხი გამეცა:

ალიომ უთხრა ილიოს,
ვაჰ, თუ ბზე გამაილიოს,
ილამ რქვა: ჩემანალაო,
ბზეს მირჩევნია ჩალაო.

ეპიგრამა სწრაფად გავრცელდა. მაშაშვილს და მოსაშვილს ხმა არ ამოუღიათ. ვერც გაბედავდენ: დაიწყებოდა უარესი. მაგრამ დაიმახსოვნებენ, ალბათ».

დაიმახსოვნეს:

_ ერთხელ, აღდგომის დღეს, გ. ტაბიძე ასულა ი. მოსაშვილთან ზემო სართულზე (ისინი ერთ სადარბაზოში ცხოვრობდნენ). ი. მოსაშვილს კარი გაუღია სტუმრისთვის, მაგრამ როცა გალაკტიონი დაუნახავს, ისეთი ძლიერი სილა გაუწვნია სახეზე, რომ ნასვამი გალაკტიონი ზემო სართულიდან დაგორებულა (აკაკი გაწერელია).

დაუნდობლობისა და გამეტების შემთხვევა არც ისე იშვიათი ყოფილა:

_ «მუშაში» დაბეჭდილი იყო ადამიას ლექსი, სადაც ის მოითხოვს ჩემს დახვრეტას.

ოსიპ მანდელშტამმა იხუმრა და იწინასწარმეტყველა:

_ Поэзию уважают только у нас _ за неё убивают.

არის კიდევ ოფიციალური დასმენის ერთი ადრინდელი შემთხვევა: 1921 წლის 22 ივნისს გაზეთ «კომუნისტის» პირველ გვერდზე დაიბეჭდა მამხილებელი სტატია _ «თავი აიშვეს». ხელს აწერს რ.კ. (რაჟდენ კალაძე):

_ ჩვენი მუშურ-გლეხური რესპუბლიკის შინაური მტრები არ ისვენებენ... ყველა შეამჩნევდა, რომ ეს სამი თვეა, რაც ქართულ ნაციონალისტურ პოეზიაში ერთი საშინელი შოვინისტური ვაკხანალიაა გამართული... მოიგონეთ «პოეზიის დღე» და იქ ნაციონალისტ მგოსნების «ბუზღუნი» სამშობლოზე, მოიგონეთ გრიშაშვილის და გალაკტიონის «უკვდავი საღამოები», რომლითაც მათ ჩვენი «საზოგადოების» უსაქმურ ნაწილს ისედაც აშლილი ნერვები გაუღიზიანეს და ჩვენს სამტროთ მომართეს. ეს ჩინებული აგიტაციაა, ჩვენი აშკარა მტრების სასარგებლოთ გაწეული. _ ამ ბრალდებას, რომელიც საბჭოთა რეჟიმის დამყარების ოთხი თვის თავზე წაუყენეს ორ პოეტს, შენიღბული მუქარა აგრძელებს და ამთავრებს: _ რა გაეწყობა! ჩვენ ვივლით ჩვენი გზით, ისტორიით გაკაფული გზით და თუ ამ გზიდან ეს ჩუმი მოღალატენი და გაუსწორებელი კუზიანები, ჩვენი ხალხის მეტხორცნი უფსკრულში გადაიჩეხებიან, ამის მიზეზი

მხოლოდ ის იქნება, რომ «დღეს საქართველო ის როდია, რაც იყო წინათ: ახალმა ძალამ ძველი ძალა მოსპო, ალაგმა!..».

დავაკვირდეთ: «შინაური მტრები», «ჩუმი მოღალატენი», «გაუსწორებელი კუზიანები», «ჩვენი ხალხის მეტხორცნი», _ ჯერ კიდევ არ დაწყვილებულა დაუნდობელი სინტაგმა «ხალხის მტერი», რომელიც ბუმერანგივით მიუბრუნდა თვითონ ამ მაბეზღარას 1937 წელს!

ამგვარი აშკარა დასმენის შემდეგ სრულიადაც არ უნდა იყოს მოულოდნელი მომავალი 1922 წლის გულწრფელი აღიარება და ასაკთან შეუფერებელი სინანული:

_ ნდობით მიცქერის მე ახალგაზრდობის თვალები. იზრდება ახალი თაობა. მომავლაში ისინი გააკეთებენ იმას, რის გაკეთებასაც მე ვერ ვასწრებ და ვერ ვახერხებ. მე მინდა მივსცე მათ გზა თავისუფალი ხელოვნებისაკენ.

თავისუფალ ხელოვნებას ანუ ხელოვნების თავისუფლებას ვერც შემდგომ გამკაცრებულ ათწლეულებში ეღირსა და ამიტომ, როგორც ბრძანებს, ბევრი რამ, ბევრი სიმართლის თქმა _ ვერ მოასწრო კი არა _ ვერ მოახერხა...

საერთოO ფონის წარმოსადგენად სამ ფაქტს გავიხსენებთ: როგორც სოლჟენიცინი გვაუწყებს, ვინმე მარტინსონმა ათი წელი «აიკიდა» ერთადერთი მარტივი წინადადებისათვის: მთელი საბჭოთა კავშირი ერთი დიდი ციხეაო! შალამოვს კი მეორე «სროკი აჰკიდეს» ორსიტყვიანი მეტაფორის გამო: უღუმელებო ოსვენციმი! ხოლო შოსტაკოვიჩი პიკასოზე გაბრაზდა: მე ციხეში ვცხოვრობ და ბავშვების ბედი მაშინებს, მაგი კი გარეთაა და შეუძლია არ იცრუოს, რა მშვიდობის მტრედი აუტყდაო!

მაგრამ ჩვენ ჯერ ოციანი და ოცდაათიანი წლების მიჯნაზე ვდგავართ. აღნიშნულ წლებში ეპიზოდურად გაიელვებენ ჩვეული მოტივები და მელოდიები. იდეური შინაარსის პრიმატით დრამატიზებული პათეტიკური ორატორია თითქმის ათ წლიწადს გრძელდება და მას განსაზღვრავს და განაპირობებს პოეტის პირადი ცხოვრების ორი საბედისწერო თარიღი: ოლიას პირელი გადასახლება 1929 წელს და ოლიას მეორე და სამუდამო გადასახლება 1936 წელს! სხვა დრო და ჟამი დგება, სხვა წელიწადები (იკრძალება ახალი წლის საზეიმო აღნიშვნაც კი!). და პოეზია სეისმოლოგის ინტუიციით შეიგრძნობს და ასტრონომიული სიზუსტით აღრიცხავს მოსალოდნელ საფრთხეს:

მე არ ვიტყვი რამე სხვას,
სასწაულზე იმან სთქვას,
ვინაც გადაურჩება
ათას-ცხრაას-ოცდა რვას.
მე ვიტყვი და აი რას:
ეს ქვეყანა იმან ხრას,
ვინაც გადაურჩება
ათას-ცხრაას-ოცდა-ცხრას.
არაფრის თქმა არა მწადს,
დაუმადლოს იმან ხატს,
ვინაც გადაურჩება
ათას-ცხრაას-ოცდა-ათს.
შენ ნუ იტყვი რამე სხვას,
ვერ დააშრობ სიტყვით ზღვას,

ვისაც რა სურს, ისა სთქვას,
წისქვილმა კი ფქვას და ფქვას.

ბარაბანის დრო! ნაძალადევი ხმის ამაღლება! არა-ლირიკა _ ანუ ანტილირიკა! დაბოლოს _ დეფიზებით ხაზგასმული წლები! _ ობიექტურად აფასებს სიტუაციას:

საქმეს უსაქმობა სჯობს და გმირობას _ ლაჩრობა,
პოეზიის სუნთქვას სპობს პოეზიით ვაჭრობა.

ათას-ცხრაას-ოცდა-ცხრას მართლაც ვერ გადაურჩა: ცოლი გადაუსახლეს.

თვითონ საკუთარმა გენიამ გადაარჩინა ალბათ, უფრო _ საკუთარმა მარტოობამ:

_ დაანებეთ თავი მაგ ზეცის ბინადარს! _ შეეძლო ეთქვა დიქტატორს, როგორც პასტერნაკზე თქვა. აკი თვითონაც «რომანტიკოსობას» იჩემებდა.

თავს კი, ეტყობა, მაინც არ ანებებდნენ:

_ Уваж. тов. Табидзе. Я имею с Вами небольшой конфиденциальный разговор. Прошу, если это Вас не затруднит, с подателем сего письма назначить мне час, когда я могу зайти к Вам для переговоров. Если сейчас почему-либо Вы не можете назначить час, прошу позвонить мне на службу по коммутатору НКВД тел. № 22-91 (внутр. АТС) или же на квартиру по тел. № 3-74-15 и мы с Вами договоримся о нашей встрече. С приветом. Уваж. Вас спец. уполномоч. ТО УГБ НКВД ЗСФСР Лейтенант Госбезопастности Шарифов. 29 октября 1936 г.

ეს კონფიდენციალური ანუ საიდუმლო შეხვედრა და საუბარი მრავალ შეკითხვას ბადებს: წინა წელიწადს პარიზში იყო. შვიდი წლით ადრე მეუღლე გადაუსახლეს (ორი კვირის შემდეგ მეორედ და სამუდამოდ დააპატიმრებენ!). აღმავალი რეპრესიები პიკს უახლოვდება. დევნა ჩეულებრივ მოვლენად იქცა, იმდენად ჩვეულებრივად, რომ დევნის მანია გამორიცხა. შიშმა ისე დათრგუნა გონება, რომ სიზმარშიაც ჩაჰყვა _ თითქოს სწორედ ამ საიდუმლო შეხვედრის მოლოდინში, ანდა ამ შეხვედრის შემდეგ და შედეგად. მერე ფხიზელი მეხსიერების წყალობით დეტალურად გვითარგმნა შეშინებული კაცის საკმაოდ ხანგრძლივი სიზმარი და თავიდანვე გვაუწყა: «სიზმარი ჩაწერილია ზედმიწევნით სწორადო», ხოლო დასასრულ რუსულად გაგვაფრთხილა:

_ За прошлое _ спасибо, за настоящее _ отвечай! _ (თითქოს ესეც იმ რუსულენოვანი საიდუმლო საუბრის გაგრძელება თუ გამოძახილია!):

«მე მივდივარ რუსთაველის ქუჩაზე. მაცვია უბრალოდ. ვგრძნობ უხერხულობას. კაფეს წინ დავინახე ნაცნობი, რომელიც გაზეთს შლიდა საინტერესო ცნობით უცხოეთის ფრონტზე. მე მივუახლოვდი, მაგრამ იგი გადაიხარა გაზეთით სხვისკენ. ამავე ადგილიდან მე შევიხედე იმავე კაფეში. იჯდა არნო ონელი. იგი შეიშმუშნა. მე წამოვედი. ნაცნობი და ერთი უცნობიც ერთმანეთს დაშორდენ.

მე წავედი ქვევით სასახლის ქუჩამდე. სასახლის ქუჩამდე მივედი თუ არა, ვიგრძენი, რომ აუწერელი სიჩქარით ღამდებოდა. იყო სილამაზე. გავხედე ქვევით დაღმართს შუაბაზრისკენ: არაჩვეულებრივად ღამდებოდა. ქუჩები არაჩვეულებრივად ცარიელი იყვენ. მიკვირდა, რომ ცარიელია. მხოლოდ ჩემს უკან მოდიოდა რამდენიმე ახალგაზრდა და რაღაცას ხმამაღლა საუბრობდენ.

_ სად მიდის? _ ჰკითხა ერთმა მეორეს.

_ ალბად დასალევად.

მე გავიფიქრე, რომ ამას ამბობენ ჩემზე. ალბად ჩეკისტებია. თვალ-ყურს მადევნებენ, მით უმეტეს, მე მივემართებოდი პუშკინის ბაღისკენ, რომლის პირდაპირ რესტორნებია. «არ წავალ», _ გავიფიქრე მე, მართლაც არ წავსულვარ.

არ ვიცი კი, როგორ ამოვყავი თავი იარმუკაზე, რომელიც ცარიელი იყო. ეხლა კი არ ბნელოდა. მშვენიერი საღამო იყო. მახლობლად მე დავინახე შებმული ურემი. მე განვიზრახე ამ ურმით წასვლა ისე, რომ გამევლო სახლის და აბესალომის შკოლის წინ და ჩავსულიყავი სადღაც (უკვე ფანტაზია შორდება ტფილისს და მიდის რომელიღაც უცნობ, მაგრამ იმჟამად ძალიან ნაცნობ იარმუკისაკენ თუ დაბისაკენ).

«ამ ურემს შევუბამ ჩვენი ნაცნობის ხარებს», _ ვთქვი. ხარები მეზობლად იყო. მე შევუბი ურემი ხარებს. ურემზე სახრე იყო. მე დავჯექი ურემზე. მივდივარ. ხარები მიდიან ნაცნობი გზით... «სადა ვარ»? _ გავიფიქრე, როცა მანძილი გავიარე. ერთ ადგილას ორი გზა მიდიოდა. მე არ ვიცოდი, რომელი გზით წავსულიყავი. «ხარები თვით გაიგნებენ გზას», _ მეუბნება ჩემი იდუმალი ხმა. მართლაც, ხარები გავიდენ სწორ გზაზე, აირჩიეს რა ამ ორ-ორში ერთი სწორი გზა. გზაზე მე დავინახე სახლი, რომლის აივანზე იჯდა ლამაზი ქალი მაგიდასთან. მაგიდასთანვე იჯდა ა_მი სათვალეებით და რაღაცას სწერდა, ალბად უწერდა რაღაცას უცნობ ახალგაზრდა ქალს. მე ურემზე წამოვდექი, რომ დავენახე მას. მაგრამ ვერ დამინახა. ჩემმა ურემმა ჩქარა ჩაიარა.

ჩავალ. როდესაც დავბრუნდები, ურემს პატრონს დავუბრუნებ. მაგრამ რომ არ ვიცი ვინ არის პატრონი. არც ადგილი მახსოვს, საიდანაც ურემი წამოვიყვანე. ღამდებოდა. მე მოვასწრებ ურმით ჩასვლას და ამოსვლას. თან ალბად მთვარიანი ღამე იქნება. ჩავალ, ჯიბეში ცოტაოდენი ფული მაქვს, რომ დამჭირდეს იქ, სადაც მივალ. მაგრამ აი, ეს კი კარგი ვერ არის, რომ ასე სრაფად ღამდება.

გზაზე, სადღაც მახლობლად მე მომესმა ხშირი სროლა. ისროდენ პაჩკობით.

უეცრად ხარები გაჩერდენ ერთ ფართო მოედანზე, რომლის წინ დიდ ბაღში შესასვლელი ალაყაფის კარები იდგა. ბაღის წინ ნაცნობი ქალები იდგენ და იღიმებოდენ. თვით ბაღში მოსჩანდა რამდენიმე წითელი ყვავილი. ქალებმა დამინახეს. მიცვნეს. გამოეშურენ, მაგრამ... სადღაც გაიფანტენ ხსოვნის ნისლში. გაჰქრენ.

მე ურმიდან გამოვუშვი ხარები. ეხლა ხარები კი არა, ცხენი იყო. მე ღობესთან მივჯექი. ცხენი ველზე სძოვდა ბალახს. იქვე დავაყენე ურემიც.

იმ ადგილს, სადაც ქალები იყვენ, ეხლა გამოვიდა და ჩამოჯდა სამხედრო, რომლის ქუდზე წითელი ხუთქიმიანი ვარსკვლავი იყო. მე არ შევიმჩნიე. სამხედრო კაცი ბაღის წინ წამოწვა გულაღმა, თან მე მომჩერებოდა, იდაყვებზე. მეორე სამხედრო კაცი საითკენღაც გაექანა.

მე ამოვიღე ფეხსაცმელი და ჩაცმა დავიწყე. მე რაღაცას ვიხვევდი ფეხზე. თურმე სახვევთან ერთად მე ვიხვევდი სუფთა პირსახოცსაც. სამხედრომ შეამჩნია ეს. მე გავიძვრე პირსახოცი. თავის ადგილს დავდე. ამ დროს წამოდგა სამხედრო კაცი და ჩექმებიდან რაღაც ამოიღო. რომ დავაკვირდი, შევამჩნიე, რომ ეს იყო რევოლვერი. მან ამოიღო მეორე რევოლვერი, ორივე მოიმარჯვა და ჩემკენ წამოვიდა.

«ალბად პირადობის მოწმობა უნდა» _ გავიფიქრე. იგი მოდიოდა ჩემკენ დამიზნებული რევოლვერებით.

«შეიძლება _ გავიფიქრე, _ მას ჰგონია, რომ მეც ვესვრი და ამიტომ იქცევა ასეთ სიფრთხილით?». მე ხელები მაღლა ავწიე და თვალები დავხუჭე. გაისმა სროლა. ისროდა

ეს სამხედრო, მაგრამ მე კი არ მესროდა, არამედ ესროდა სხვებს მახლობლად. მე აკი წინადაც მომესმა საიდანღაც სროლა. აი აქ თურმე შეტაკების ადგილია. აი თურმე სად მოვხვედრილვარ. სროლა კიდევ გაისმა. მახლობლად ბრძოლაა. «მე არავინ მერჩის». ხელები ძირს დავუშვი. «უნდა დავბრუნდე», _ გავიფიქრე. თან არ ვიცი, რა მოხდება შემდეგ... და გამომეღვიძა. გამიხარდა, რომ ეს სიზმარი იყო და მე გადავრჩი».

გადარჩენილს გული მოეცა:

_ არის ერთი ტიპი. ყოველ ადგილასაა: ტერორისტული განწყობილებით ზვერავს მაგიდებს. მაგრამ ვის დააშინებს იგი? მე? მე?

არ შეუშინდა და პირდაპირ დაადო ხელი: მწერალთა სასადილოში სკამზე შედგა და შესძახა:

_ სახალხო პოეტი მიესალმება ჩეკას პოეტს!

თუმცა კვლავ გადასარჩენადაა საქმე: მოსკოვიდან სასწრაფო დეპეშა-დავალებას ღებულობს:

_ Тбилиси. Мачабели тринадцать. Союз Писателей. Галактиону Табидзе. Литгазета ожидает Вашего развернутого выступления в связи с процессом троцкистских изменников. Срок присыла двадцать седьмое. Размер не ограничен. Субоцкий.

მალე უახლოეს ადამიანს დაარქმევენ ტროცკისტს და სამუდამოდ მოაშორებენ:

_ Однажды меня тяжело больного поместили в Михайловскую больницу. Когда выписался, с ужасом узнал, что она была уже арестована.

ბოლოს მთავრობას ოფიციალურად განუცხადებს:

_ Никогда она не была троцкисткой.

მაგრამ ვიდრე ეს კატეგორიული უარყოფა დაიწერება, ოცი გრძელი წელიწადი უნდა გავიდეს. ჯერ უნდა გადაურჩეს:

აქ მთავარია ის, რაზედაც ჩუმად არიან,
ის, და არა ის, რით ყურები მე გამიჭედეს,
რაც თვით არ სჯერათ, მე იმაში სურთ დამაჯერონ...
არა, მე მდგმური არ მსურს ვიყო ამ საგიჟეთის.

სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ რჩებოდა ბოლომდე გულწრფელი, _ მაინც აჯერებდნენ, აჯერებდნენ თუ ძალით იჯერებდა, და მაშინ ლირიკა პანეგირიკად გარდაიქმნებოდა ხოლმე.

დაწერა:

გაზაფხულის იისფერო მზერავ, ველებს მზიანს თუ ხეების ჩრდილოს,
გულწარმტაცი ფერადებით ფერავ, ვით მხატვარი თვალუწვდენელ ტილოს.
მოლივლივებს ყვავილების ფენა და შვენებას გასაოცარ ცქერის,
რასაც ჩემი ვერ გამოთქვამს ენა, მას ბულბული უნაზესი მღერის.
ო, გადამრევს მგოსანს იგი მღერა _ სიყვარულის მომცემელო სრულის _
გაზაფხულის იისფერო მზერავ, მწველო ჩემის შეზამთრული გულის.

დაბეჭდა:

მთავარსარდლის შორსმჭვრეტელო მზერავ,
ველს ბრძოლისას თუ ტყეების ჩრდილოს
გამარჯვების ფერადებით ფერავ, ვით მხატვარი თვალუწვდენელ ტილოს.
არის ისართ და ტყვიების სტვენა, და დიდებას ამნაირი ჟღერის,

რასაც ჩემი ვერ გამოთქვამს ენა, მას მოქნეულ ხმლის წკრიალი მღერის!

სამშობლოსთვის არის იგი მღერა, მომავალის მომცემელო სრულის,

მთავარსარდლის მოდარაჯე მზერავ, მოდარაჯევ ხალხის სულის, გულის.

ორი საინტერესო პარალელი: 1938 წელს რუსთაველისა და გალაკტიონის მთარგმნელმა ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ საკუთარი ბინის კარები საიმედოდ ჩაკეტა და ცოლს ახალი ლექსი წააკითხა: ჩვენ ვცხოვრობთ საზარელ ჯუნგლებში, სადაც უდანაშაულო ადამიანებს აწამებენო და ასე შემდეგ... მერე მეორე უწყინარი ლექსი თვითონ წაუკითხა _ «გაზაფხულის იისფერი მზერის» მსგავსი. ყოველი სტრიქონი ამ ორი ლექსისა ერთი და იმავე სიტყვებით იწყებოდა და ერთი და იმავე რითმებით მთავრდებოდა. ამის შემდეგ პოეტმა პირველი ვარიანტი დაწვა: უკეთესი დრო დადგება და მეორე ვარიანტის მიხედვით პირველ ტექსტს აღვადგენო. ზაბოლოცკი იმავე წელს დააპატიმრეს და 1958 წელს ისე გარდაიცვალა, რომ უკეთეს დროს ვერ მოესწრო. სამაგიეროდ, ანა ახმატოვამ მოასწრო და მეხსიერებაში გადამალული პოემა «რექვიემი» ათეული წლების შემდეგ ქაღალდზე გადაიტანა.

გალაკტიონს კი არა მარტო აჯერებდნენ:

_ თქვენ დავალებული გაქვთ ლექსის წარმოთქმა ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე.

_ ოქტომბრის რევოლუციის 14 წლისთავის აღსანიშნავად გაიმართება დიდი ლიტარატურული საღამო. მწერალთა ფედერაციის სამდივნო გავალებთ მიიღოთ მონაწილეობა აღნიშნულ საღამოში.

_ 5 ნოემბერს გაიმართება დიდი სალიტერატურო საღამო. საქ. პრ. მწერალთა ასოციაციის სამდივნო გავალებთ მიიღოთ მონაწილოება აღნიშნულ საღამოში. გვერდის ახვევის შემთხვევაში თქვენი საკითხი დაისმება სამდივნოზე.

_ ჩვენი გაზეთის საოქტომბრო ნომერში ვათავსებთ ქართველი საბჭოთა მწერლების ჯგუფურ სურათს. 27 ოქტომბერს მოწვეული იყავით სურათის გადასაღებად, მაგრამ თქვენ არ გამოცხადდით. განმეორებით გთხოვთ მოხვიდეთ.

ამ იძულებით მოწვევებს აგვირგვინებს ერთი პროვოკაციული:

_ პატივცემულო გალაკტიონ! როგორც გადმომცეს, თქვენ დაგიწერიათ ლექსი მიძღვნილი კ. ჩარკვიანისადმი. ამ ლექსზე მოუმზადებია სიმღერა ცაგერის ანსამბლს. გთხოვთ რაც შეიძლება სასწრაფოთ შემოიაროთ კომიტეტში და თან წამოიღოთ ლექსი. შეხვედრისას გეტყვით რაშია საქმე.

ჯერ კიდევ 1930 წელს შეეპარა ეჭვი ძალათადაჯერებულს:

_ ვერასგზით ვერ ჩამოყალიბდა ოქტომბერი ხელოვნებაში.

ბრძანა:

_ მთავრობამ რომ აკრძალოს ნამდვილი პოეზია, ხალხს მაინც უნდა ასეთი პოეზია. პოეტი, რომელიც მისცემს ხალხს ასეთი პოეზიის თუნდაც ილუზიას, გაიმარჯვებს.

და განმარტა:

_ ეხლა კაცმა უნდა იკითხოს მხოლოდ უცხოელი მწერლები. მეტი გზა არ არის.

წაიკითხა და თარგმნა კიდეც იმავე 1930 წელს: კამოენსის ლექსის პწკარედი გაიმზადა:

_ მე არ შემიძლია ვიმღერო ყრუ, გატლანქებული ხალხისათვის, რომელიც უკვე ვეღარა ჰხედავს სიმშვენიერეს. და არც არაფერი, სრულიად არაფერი ისეთი არ არის ჩემს სამშობლოში, რომელსაც შეეძლოს ააფრთოვანოს და აამღეროს ჩემი გენია.

1931 წლის 8 სექტემბერს შენიშნა:

_ უარყოფენ მაშასადამე ჩემს წარსულს. კარტები გაშლილია! სახელის გატეხის პრინციპი.

1932 წლის 16 დეკემბრის დღიურში მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომის ანგარიში წარმოგვიდგინა:

_ ხშირად გაისმის საუბარი: წითელი ხალტურა, თეთრი ხალტურა! ალბად მე უნდა მომაწერონ პირველი ეპიტეტი. არ გაუვათ!..

სამი წლის შემდეგ კი გაბრაზდა და ინანა კიდეც:

_ საზიზღარი რესტორნებია ტფილისში, ყოვლად უკულტურო, ყოვლად უსინდისო, სავსე მთხლე წინანდელი მიკიტნებით, ავადმყოფი ხალხით, ბინძური სახის გამომეტყველებით, უწმაწური სიტყვებით, გამომწვევი ვულგარული ყოფაქცევით და რაც უმთავრესია: ხმით, რომელიც არასგზით არ არის ქართული. ძირითადად ზრდილობიანი, მაგრამ სად უნდა ეძებდე ზრდილობას? იგი არ არის უნივერსიტეტშიაც კი. იგი არ არის მწერალთა სასახლეში. იგი არ არის ეხლა საქართველოში არსად. თუ კიდევ არსებობენ ასეთი ოჯახები, იგინი უთუოდ ტრაგედიით არიან აღსავსენი. მაგრამ? რას ვუმღეროდი მე? ამათ? ამ საზიზღარ ხალხს? არასდროს! არასდროს! ჩემი იდეა სულ სხვა ხალხის გარშემო ტრიალებდა და ტრიალებს.

იმავე წელიწადს ირონიულ ალავერდს გადმოვიდა:

_ გაგიმარჯოს, ლებანიძე, შენს აშენებულ სოციალიზმს გაუმარჯოს!

არც ერთი წლის შემდეგ გაჰნელებია ირონია: 1936 წლის 18 სექტემბრის პატარა საუბარი მოვისმინოთ _ «ქობულეთი»:

«კოოპერატივში ვდგევართ. გარეთ კოკისპირულად წვიმს. დუქანში შემოდის მოხუცი გლეხი და გულდაწყვეტით ამბობს:

_ ეეჰ, საწყალი ძროხები, მინდვრებში გავუშვით უმწყემსოდ!

_ შე კაი კაცო, ღობეს გავუკეთებდი, _ სთქვა ვიღაცამ.

_ ღობე არ უშველის, _ სთქვა გლეხმა.

ამ ლაპარაკში დახლში მდგომი ნოქარიც ჩაერია:

_ რა ღობე, რისი ღობე, რისი ჭიშკარი! ეხლა არც ღობეა საჭირო, აღარც ჭიშკარი.

_ თუ ეგრეა, _ უპასუხა გლეხმა, _ მაგ დახლში რასა დგეხარ, შენ შენთვის წადი, ბიძია, სახლში და ჩვენ რაც გვჭირია, წავიღებთ ამ კოოპერატივიდან და წავალთ. სოციალიზმიც ეს იქნება.

_ ნუგეში, დურსუნ, _ უთხრა ეხლა სხვა გლეხმა, _ შენ თუ ვერ მოესწრები სოციალიზმში შესვლას, შენი შვილი ხომ მოესწრება...

_ შვილს თავში ქვა უხლია, მე უნდა მოვესწრო, თორემ... _ უპასუხა გლეხმა.

_ შენ შვილზე ადრე მოესწრები სოციალიზმში შესვლას, _ დაასწრო ნოქარმა.

_ აბა როდის მოვესწრები?

_ საიქიოს ხომ შვილზე ადრე წახვალ, და ნამდვილი სოციალიზმი თუ გინდა...».

ბარემ 1948 წლის 14 აპრილის მეორე საუბარიც მოვისმინოთ (14 აპრილი მაიაკოვსკის თვითმკვლელობის დღეა):

«ფურნეში პური არაა, _ სამაგიეროდ კედელზე დაკიდულია მაიაკოვსკის სურათი.

_ პური არაა! _ ამბობს მეფურნე.

_ რისთვის არაა?

_ არაა, _ განაგრძობს მეფურნე გულმოსული სახით (ისეთივე სახით, როგორიც აქვს მაიაკოვსკის სურათზე).

_ როდის იქნება?

_ ხვალ.

მაიაკოვსკი გარდაიცვალა 14 აპრილს 1930 წ. ე.ი. 18 წლის წინათ. იგი მღეროდა მომავალზე, ისიც ამბობდა «ხვალ!»

ასე ვიდრე ხვალ ან რასა ჰგავს ეს?
რატომ მაინც «ხვალ», რატომ არა დღეს?».

მაიაკოვსკის ხშირად იხსენებდა და ხშირად იმეორებდა ერთ სტროფს:

თუ მაიაკოვსკის სწამდა
დღევანდელი დღის ხვავი,
რისთვის ატირდა, ანდა
რისთვის მოიკლა თავი?

1926 წელს მაიაკოვსკიმ დაასათაურა: «Как делать стихи?»

1936 წელს გალაკტიონმა დააკონკრეტა:

_ Надо сделать стихотворение о Сталине!

ერთხელ ხატოვან მეტაფორას დაესესხა და თავისი თავი იგულისხმა:

სათქმელი სხვებზე და თავის თავზე
აქვს, მაგრამ პირი წყლითა აქვს სავსე.

ერთხელაც პირდაპირ აღიარა: პირზე ბოქლომი მადევს და გასაღები ცეკაში ინახებაო.

რუსულად ჩაინიშნა პარიზში (!):

_ Говорить об этом огнеопасно.

და ქართულად წამოიძახა თბილისში:

_ სულ სიმართლე, სიმართლე და სიმართლემ კი თვალში სინათლე გამომილია!

ერთხელ კიდევ მწარედ და ორაზროვნად იხუმრა:

_ რად დავსწერე «ლურჯა ცხენები»?

_ მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს.

მეორედ უფრო ზომიერად იხუმრა:

_ ან მე და ან ღამე!

სხვა დროს სხვათაშორის შეახსენეს: თქვენ ხომ სევდის მგოსანი ბრძანდებით, პესიმისტს გიწოდებენო, _ და თუმცა ეს რეპლიკა ორადორი თანამეინახის თანდასწრებით მოისმინა, მაინც დანაშაულზე წასწრებულივით იუარა, თავი იმართლა:

_ არა, არა, ძამიკო! ვინ ამბობს, რომ მე პესიმისტი ვარ?! მე ძალიან მიყვარს ეს ცა, ეს მიწა, ძალიან მიყვარს სიცოცხლე.

უფრო ადრე ტერენტი გრანელმა დავით კობიძე გააფრთხილა: გალაკტიონს სევდის მოტივები არ გაუხსენო, თორემ გაგვიბრაზდებაო.

1933 წელს გამოგვიცხადა:

_ პესიმიზმი კი ეხლა ჩემი წინანდელი, განვლილი ავადმყოფობათაგანია.

წინასიტყვაში პირველი ტომისა, რომელშიც თითქმის ყველა შედევრი დაიბეჭდა, შალვა რადიანმა ასეთი განაჩენი გამოუტანა 1937 წელს:

_ ამ ლექსებს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს დღეს. ტაბიძე რადიკალურად არის გამიჯნული ამ უცხო, მიუღებელი განწყობილებებისაგან.

ამ ტომს რომ ამზადებდა, 1936 წლის 28 მარტს განუზრახავს «გადახედვა ყველა მასალის შესწორებათა მიზნით» და დაუკონკრეტებია:

_ ზოგი სათაურის შეცვლა. რელიგიური ელემენტების ამოღება (ანგელოსები, ეკლესიები და სხვ.). ნაციონალური ელემენტების ამოღება.

1940 წლის 25 სექტემბერსაც შეახსენეს:

_ გოლცევი ღელავს. ვიღაცა ხელს უშლის დამზადებულ ანტოლოგიას. მე გამირბიან. არ სურთ მიჩვენონ წიგნი. იერიში მოაქვთ მოსკოვიდან. არ არისო საწყენი _ ძველი სიმბოლისტი იყოო...

1941 წლის 24 მარტს მოსკოვის ერთ-ერთ გამოცემაში საკუთარი წიგნის ბიბლიოგრაფია ამოიკითხა და:

_ აი სიმვოლიზმის ხანა... რომელი სიმვოლიზმის? როდის ვაცხადებდი მე თავს სიმვოლისტად?

2 აპრილს სტუდენტი გოგონა ესტუმრა _ საკურსო თუ სადიპლომო ნაშრომს წერდა გალაკტიონზე:

_ ეს ქალი კი სულ ჩემს წარსულს იხილავს და გაიძახის _ გულგატეხილობის, უიმედობის და სხვა ასეთების შესახებ. ო, როგორ მოსაბეზრებელია ყოველივე ეს.

1951 წელს «მნათობის» მეცხრე ნომერში თურქეთის რევოლუციური პოეზიის ფუძემდებლის ნაზიმ ჰიქმეთის ლექსი წაიკითხა _ «სევდა». წაიკითხა და იკითხა:

_ რაში გვამტყუნებენ მაშ ჩვენ?

1950 წლის გაზაფხულზე სამი შეკითხვა დაუსვამს (სადაა დეკადენტური საწყისები? სადაა ძველი სიმბოლისტური ხერხები? რა არის ძველი მეთოდი?) და ბოდლერის, ვერლენისა და რენიეს თითო სტრიქონი დაუმოწმებია რუსულად და ქართულად (ფრანგული ტექსტი წინ უძღვის 1916 წლის ლექსს «ვინ არის ეს ქალი?»):

_ ეს ციტატები მინდოდა ამეხსნა მწერალთა კავშირის პლენუმზე სიმონ ჩიქოვანის წინააღმდეგ. სიმონი ამ ციტატებზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ მე დეკადენტური შკოლის მიმდევარი ვიყავი. ციტატები, მართალია, სიმვოლისტებისაა, მარა რეალისტურია, შესრულებული ოდნავ რომანტიული განხრით.

საეროდ, სიმბოლიზმს იშვიათად ახსენებდა, რომანტიკოსობაზე კი სდებდა თავს, თუმცა, როგორც რემი დე გურმონი ამტკიცებს, «სიმბოლიზმი სახეშეცვლილი რომანტიზმია».

_ რომანტიზმის უნაზესი ელფერი კვდება პოეზიაში. _ ჭირისუფალივით იწყებს (თუ თარგმნის) და თანაგრძნობით აგრძელებს: _ საბრალო მენესტრელისთვის ადგილი არაა დედამიწაზე. საბედისწერო ბრძოლაში ეცემიან მშვენიერების უერთგულესი რაინდები. პოეტის დაუკმაყოფილებელი სული იხუთება თანამედროვეობაში. ეგოისტურმა ანგარიშებმა სრულიად წალეკა ლტოლვა არაქვეყნიურ ოცნებისადმი. ადამიანებს შორის აღარ არის არავითარი კავშირი, უგულო და უსულო ანგარიშებს გარდა. ამაოდ გვწყუროდა იდეალი და ჰარმონია. ჩვენ ვცხოვრობდით იდუმალებისა და სასწაულის მოლოდინში. მარტოდმარტო ვიყავი მე ამ საბედისწერო ბრძოლის ფონზე. ვერავითარი მიწიერი ხმა ვერ მავიწყებდა იმ ზეციურ ხმებს. მწუხარება ვაკენროდერის! ზმანებები ნოვალისის! მაგრამ ამ დროს რომანტიული ირონია კიდევ აძლევდა პოეტს საშუალებას ამაღლებულიყო საბოლოო საგანთა ქვეყანაზე. ჩვენს დროში კი (შემოიჭრა მეცნიერება, შემოიჭრა სოციალიზმის იდეები) საქართველო სრულიად არა სჩანს და ვერავინ

დაუსჯელად ვერ წავა ოცნების სამეფოში. აქაა ტრაგედია თანამედროვე პოეტის. დაგვიანებული რომანტიკოსები! მართლაც გასაგებია მათი ტანჯვა. ცხოვრება მეოცნებეთა ეხლა მკაცრი და დაუნდობელია. ყველას და ყველაფერს წაართვა ფერი ჩვენმა დამნაცრებელმა დრომ... მოკვდა უნაზესი რომანტიზმი.

ეს ჩანაწერი ვერტიკალურადაა გაჭრილი: მარჯვენა ნახევარი თორმეტტომეულის მეორე ტომის ავტოგრაფებში ვიპოვნეთ და ისე აღვადგინეთ, ჩამონაჭერის მეორე მხარეზე დაწერილმა ლექსმა _ «ეჯახებიან პლანეტები ერთიმეორეს» _ თარიღიც დაგვიდგინა: 1925 წელს ცხადად შეუცვნია ხელოვანის ტრაგედია: სოციალიზმის იდეებმა მოკლა პოეტი და ოცნებაც კი აუკრძალა დაგვიანებულ რომანტიკოსებს!

გზადაგზა კიდევ ჩაუნიშნავს: რომანტიზმი კვდება, რომანტიზმის სიკვდილი...

დაუკონკრეტებია:

_ რომანტიკა ახალი პოეზიისა. ჩვენ და იმპრესიონისტები. ჩვენ და სიმბოლისტები, ექსპრესიონისტები, კუბისტები... ვაგნერი და საქართველო... რეალიზმი და მოდერნიზმი... მოდერნისტული похмелье... დასაფლავება ულტრა-რეალიზმისა... გამოცანები დოსტოევსკისა... რევოლუცია პირიქით...

ძველი რომანტიზმი ისტორიას ჩაბარდა და დიდი პაუზის შემდეგ აღორძინდა ნეორომანტიზმი:

_ რომანტიზმი ყოველთვის იყო, არის და იქნება ხელოვნების ერთ უმთავრეს თვისებად.

ერთხელ თავისი თავი დაახასიათა:

_ იგი არის შემქმნელი ქართული ახალი რომანტიზმის.

ერთხელაც შემოქმედებითი ღონისძიებების პროსპექტი შეადგინა და ერთ-ერთი თანამოხსენება ასე დაასათაურა: «ახალი რომანტიზმი და გალაკტიონი».

როგორც ჩანს, უფრო ნაკლებ სახიფათო თავშესაფარი მოძებნა რეალიზმსა და სიმბოლიზმს შორის. და რაკი ტერმინი «სიმბოლიზმი» მკაცრად ჟღერდა, როგორც ბრალდება, როგორც პოლიტიკური ბრალდება, _ ადრეული პერიოდის შედევრებს, რომლებსაც ზოგჯერ «ელეგიებს» უწოდებდა, მალავდა, აუდიტორიის წინაშე ვერ კითხულობდა, წიგნებშიც ვერ შეჰქონდა:

_ ლექსები, რომლებიც სხვადასხვა მოსაზრებათა გამო არ შემიტანია არც პირველ და არც მეორე ტომში.

_ რა საჭიროა ასე გაჭიანურება პირველი პერიოდისა?

_ რა საჭიროა ყოველივე ეს? რა საჭიროა პირველ პერიოდზე ამდენი ლაპარაკი?

ამ თვალსაზრისით მეტად საგულისხმოა 1954 წლის რჩეული, რომელშიც სწორედ რჩეული შედევრების აბსოლუტური უმრავლესობა არაა შეტანილი, შეგნებულად გადაადგილებულია თარიღები, შეცვლილი და გაიდეურებულია სათაურები, დაბოლოს _ შემოკლებული და ნასწორებია ტექსტიც კი.

გავიხსენოთ:

_ ეხლა: არა პოეზია, არამედ _ ვინ ვის!

პარიზში ყოფნისას _ 1935 წელს უნდა იყოს დაწერილი _ «ქართველი ემიგრანტების მდგომარეობა»:

_ პარიზის «ვოზროჟდენიეში» მოთავსებული იყო ასეთი შინაარსის წერილი... _ ამ წერილის ავტორია ექიმი ა. ხუნწარია. იგი საფრანგეთიდან მიემგზავრება და

თანამემამულეებს მიმართავს: _ ვუსურვებ ყველა ჩვენგანს მალე დაეღწიოს თავი სტუმართმოყვარეობის მთხოვნელთა უუფლებო მდგომარეობისაგან, რათა მალე დაბრუნებულიყავით ბოლშევიკებისაგან განთავისუფლებულ რუსეთში.

რედაქტორის სახელზე დაწერილ ამ განაცხადს გალაკტიონი პატარა ქრონიკას ურთავს:

_ ემიგრანტები აცხადებენ წლისთავის შესრულებას «ნაციონალური გმირის» ქაქუცა ჩოლოყაშვილის გარდაცვალებიდან და სასაფლაოზე პანაშვიდის გადახდის დანიშვნას.

მინაწერში კი, როგორც ჩანს, გრიგოლ რობაქიძეს გულისხმობს:

_ გრიგოლის ამბავი მეორე წიგნშია...

გრიგოლ რობაქიძის ამბავს თვითონაც მოგვითხრობს 1935 წელს პარიზიდან დაბრუნებისას. იმ დროს რობაქიძე უკვე ბერლინში ცხოვრობდა. გალაკტიონმა გამოიარა ბერლინში, მაგრამ გრიგოლს არ შეხვედრია. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ იგი პირადად ბერიამ გააფრთხილა. და აი, სასაზღვრო ქალაქში მატარებლის კუპეში გალაკტიონთან შემოდის საბჭოთა დიპლომატი:

«ჩემთან ნეგორელოეში შემოვიდა (შემოიყვანა ვსევოლოდ ივანოვმა) ბერლინის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის პასუხისმგებელი თანამშრომელი (გორდონი).

_ უკაცრავად, _ დაიწყო მან, _ მე მოვდივარ ბერლინიდან. იქ ჩემთან იყო რობაქიძის ცოლი. მან იცოდა, რომ თქვენ კონგრესზე იქნებოდით. გამოივლიდით ბერლინში მათთან. მაგრამ მე ვიცოდი რა თქვენი ორიენტაცია, ვუთხარი, რომ გალაკტიონ ტაბიძეს არავითარი კავშირი არა აქვს რობაქიძესთან, მის ეხლანდელ პოზიციასთან და ამიტომაც, ალბათ, არ გამოიარა-მეთქი. იგი ძალიან შეწუხდა.

შემდეგ საუბარი ჩამოვარდა გრიგოლ რობაქიძეზე.

_ გრიგოლ რობაქიძე დადის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში და მოითხოვს საბჭოთა პასპორტს.

_ რად გინდათ საბჭოთა პასპორტი, თქვენ ხომ ამ ქვეყნის მტერი ხართ?

_ არა, _ სთქვა მან, _ საბჭოთა პასპორტი საჭიროა მაშინაც კი, მონასტერში შესვლის დროსაც კიო.

გრიგოლი გადავარდნილია საოცარ «წმინდა მისტიკა»-ში.

მე მის ცოლსა ვკითხე:

_ თქვენც საბჭოთა პასპორტი გინდათ, თქვენ საბჭოთა კავშირი გირჩევნიათ თუ თქვენი ქმარი?

_ საბჭოთა კავშირი.

_ მაშ, რატომ არ დაბრუნდებით?

_ მე ვუცდი მის ბერად აღკვეცას, მის მონასტერში წასვლას, და ეს მოხდება (უნდა მოხდეს 1936 წ. პირველ იანვარში)».

იმავე წელიწადს გალაკტიონმა ხალხურ მოტივზე ააწყო _ «რობაქიძე სად წავიდა?». გრიგოლ რობაქიძემ კი 1962 წელს მშვენიერი ესსე დაწერა გალაკტიონზე და გაახსენდა: ტიციანს ტიციანოს ეძახდაო (ყვავილივით დახატულსაც Гиацинто მიაწერა და არა _ Гиацинт):

_ ამ მიმართვაშიც _ საკუთრივ მისი «ო»-ნით დაბოლოვებაში _ მთლად ვლინდებოდა გალაკტიონი.

თუ არ დაგავიწყდათ, ადრე ტიციანელოც უწოდა, სხვაგან ტიტოსაც უწოდებს. სხვა შემთხვევაში კი ამ ხმოვანს განსხვავებული ფუნქცია დააკისრა: ორად ორი სტრიქონი დაწერა და მწარე ირონია გაურია: თითქოს დიდიხნის ბოღმა და პროტესტიც ამ ორ სტრიქონში ჩაატია, თითქოს უპასუხოდ დატოვებულ ოლიას წერილებსაც ერთბაშად გამოეხმაურა და გამოექომაგა:

ასეც არ შეიძლება,
ამხანაგო სტალინო!

მერე აკაკის ორი პოპულარული სტრიქონი გაშალა და მთავრულით ერთადერთი სიტყვა მიუწერა, ადრესატი შეუცვალა და ხაზი გაუსვა, გაშიფრა და გაამხილა, გაგვენდო და გამოგვიტყდა:

ყველა სნეულებაზე სიყვარული ძნელია _
სტალინის.

უფრო მკაცრი იყო სხვა დროს:

_ მე კი არა... ძია სტალინს გამოუცხადეს საყვედური...

უმალ შიშნარევი კითხვები შემოგესევიან ამ თამამი შედარების წაკითხვის შემდეგ: ვინ გაბედა და ვინ გაუბედა? მაგრამ მომდევნო სამ სიტყვასაც წაიკითხავთ და გაგეღიმებათ:

_ მე კი არა... ძია სტალინს გამოუცხადეს საყვედური... თავს არ უვლიო.

კონკრეტულ საკითხზეც შეედავა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადსა და მარქსისტული მოძღვრების აღიარებულ თეორეტიკოსს (შეადარეთ სტალინის ნაშრომს _ «თავბრუდახვევა წარმატებისაგან»):

_ თავბრუდახვევა წარმატებისაგან+პანიკა დამარცხებისაგან=0. თავბრუდახვევას წარმატებისაგან თუ დაემატება პანიკა დამარცხებისაგან _ გამოვა არაფერი. მე არასოდეს არ ვყოფილვარ თავბრუდახვეული წარმატებისაგან, მაგრამ არც პანიკამდე მივიყვან ხალხს დამარცხებისაგან.

ოცდაათიანი წლებით თარიღდება აგრეთვე ჩანაწერი _ «ამხანაგი, დაეჭვებული სოცმშენებლობის შესაძლებლობაში»:

_ ეხლა მე მოვალე ვარ, რომ ვსთქვა გულახდილად: პარტია ნამეტნავად მეტს იღებს თავის თავზე. მე არ ვეთანხმები პარტიის ხაზს.

«ნამეტნავად» კი გაუშინაურდა და გაუთამამდა დიქტატორს:

და მშობლიური აჭარისტანი
ასე უთვლიდა ამხანაგ სტალინს:
ჩვენ მჭადის ყუას მივაჭმევთ მწვანილს,
შენ კი მოგართმევთ ოფლით მოყვანილს _
ფორთოხალს, ლიმონს, ჩაის, მანდარინს,
როგორც შეფერის შენნაირ «ბარინს».

სტალინს უთვლიან აფხაზთა ძენი:
მიიღე ჩვენი ძვირფასი ძღვენი,
ჰაიტ აფირხაწ _ ჩვენი თუთუნი,
ეგებ შესწყვიტო შენი პუტუნი.

ეს ათი სტრიქონი 1934 წლის 9 იანვრის გაზეთ «კომუნისტის» არეებზე მიაწერა ლურჯი და წითელი ფანქრებით. მერე იმავე ფანქრებით ისე ბეჯითად გადაშალა, რომ თითქმის აღარ იკითხება, მაგრამ მაინც ამოიკითხეს.

როგორც მომავალი 1935 წლის ფრაგმენტული ჩანაწერები გვაუწყებენ, პარიზიდან მოსკოვში მობრუნებულს _ სტალინთან ხანმოკლე გასაუბრება მოსურვილებია. ალბათ გაახსენდა, წინა წელიწადს მწერალთა პირველ ყრილობაზე კრემლის ბინადარმა რომ მოისაკლისა, და:

_ Товарищ, говорит Галактион Табидзе, Народный поэт. Сегодня я отправил записку на имя товарища Сталина о том, чтобы он принял меня на несколько минут. Нет ли ответа на эту записку?

დაუზუსტებია:

_ Я должен поблагодарить его за поездку в Париж, за юбилей, за квартиру, за издание моих книг, за все... за все!.. Я ему скажу, что еще не раскрывал чемоданы, в которых годами лежат мои вещи. Скажу, что последние годы моей жизни были ужасны. Смерть матери особенно...

მთავარი არ დავიწყნია და საკუთარ თავს აფრთხილებს:

_ Не должен попрошайничать! Смотри!

შემდეგ ეკითხება:

_ ძვირფასო კობა, я выпутаюсь! Но как?

როგორც ჩანს, სურვილი ჯერ კიდევ პარიზში გასჩენია და მწერალთა დელეგაციის თავკაცს _ კრემლის მეორე ბინადარს _ შეახსენებს:

_ Александр Сергеевич, простите за беспокойство. Но я скоро уезжаю и боюсь уехать не увидевшись с вами. Теперь вот что. Помните, в Париже я говорил... Я хочу...

პასუხის მოლოდინში გაგზავნილ წერილს რამდენიმეჯერ იხსენიებს და სტრიქონი ლექსისაკენ გაურბის:

_ უფრო და უფრო მაღლა ავსწიოთ ჩვენი ძმა, ჩვენი ოქრო სტალინი!

ჩვენი ძმა არც ისე მოცლილი აღმოჩნდა და ვერც პუშკინის ორმაგი სეხნია წაეშველა:

_ ნუთუ ისე წავალ მოსკოვიდან, რომ...

ისე წავიდა, თუმცა ჩაუნიშნავს:

_ Кремль, в 5 часов.

გავიდა 21 ხანგრძლივი წელიწადი და 1956 წლის 9 მარტის წინა დღეებში სამკურნალო კომბინატთან შენიშნეს უნივერსიტეტის მეორე კორპუსის წინ შეკრებილმა ახალგაზრდა დემონსტრანტებმა და მიეახლენ:

_ დიდ სტალინს გაუმარჯოს! _ გალაკტიონი სდუმს.

_ გაუმარჯოს დიდ სტალინს! _ გალაკტიონი კვლავ სდუმს.

_ სტალინს გაუმარჯოს!

_ ყმაწვილებო, ტემპერატურა მაქვს, _ ისე უპასუხა ბოლოს, თითქოს თანხმობის ერთადერთ სიტყვაზე უფრო ადვილად ეს სამი სიტყვა წარმოითქმოდა.

9 მარტს მხოლოდ შეხვედრის ადგილი შეიცვალა:

«დილის ათი საათია. გალაკტიონი ზემელის აფთიაქთან დგას. ახალგაზრდების ტალღა მოიქოჩრება. გალაკტიონი შენიშნეს და ზეცის თავანი გაიბზარა:

_ დი-დე-ბა სტა-ლინს! დი-დე-ბა სტა-ლინს! დი-დე-ბა სტა-ლინს!

_ ხალხნო, გალაკტიონი ჩვენთანაა, გაუმარჯოს გალაკტიონს!

ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს დემონსტრანტთა მდინარეში შეეცურებინათ გალაკტიონი. რა დამავიწყებს პოეტის შეშინებულ გამოხედვას, თითქოს შველას მთხოვდა. ხელები გაასავსავა:

_ არა, ცოტა შეუძლოთ ვარ... მე თვითონ წამოვალ...

ახალგაზრდები იძულებულები იყვნენ ჩამოგვშორებოდნენ.

გალაკტიონის შემდეგი რეაქცია?

_ აბა, მოვკურცხლოთ შინისაკენ!

მთელი დღე ბინიდან არ გამოსულა» (ნ. ტაბიძე).

შინ დაწერა და შეინახა:

ცხედართა გროვა თვალწინ გვიწყვია
(ეხლა ომია),
ციფრი არ გვშველის, მათი რიცხვია
ასტრონომია.

1956 წლის სექტემბერში, პიროვნების კულტის გამოაშკარავების შემდეგ, «ლიტერატურულ საქართველოში» ასოცსტრიქონიანი ლექსი დაბეჭდა _ «ხალხი» და ახალგაზრდა სტალინისტების საყვედური დაიმსახურა:

_ ჩვენ გავეცანით თქვენს მიერ დაწერილ ლექსს «ხალხს», რომელმაც ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენს ახალგაზრდობაში. ნუთუ არ შეგეძლოთ ამაზე კარგი ლექსი დაგეწერათ, და თუ მაინც და მაინც შეგეძლოთ ასეთი ლექსის წერა, კითხვა ისმება, რატომ არ სწერდით აქამდის, სანამ ჩვენი გენერალ სიმუსის ამხ. სტალინის მაჯის-ცემა შეჩერდებოდა?

გალაკტიონის ჩანაწერებში ბევრი «ამბავია». ერთი ასე იწყება: «საჭირო არაა ამაზე წერა», _ ვინაიდან იგი მეტად მტკივნეულ საკითხს ეხება. ესაა _ «პარტბილეთის ამბავი»: 1918 წელს მოსკოვში ლუბიანკაზე ერთ-ერთ სახლში გადმომცეს და დამეკარგაო: სამოქალაქო ომის გამო გადავმალე და მერე ვეღარ ვიპოვნეო. 1933 წელს ხელახლა გაწევრიანება შემომთავაზეს და ვუპასუხე: დიდი სიამოვნებით, მხოლოდ თუ სტაჟს აღმიდგენთ-მეთქი. აშკარად ეშმაკობს: ისეთ პირობას აყენებს, რომლის დაკმაყოფილებაც შეუძლებელია. ეს ტექსტი თავის დაზღვევის მიზნით 1955 წელს მოუმზადებია, რათა მოთხოვნილებისა და საჭიროებისამებრ წარედგინა. მიმართავს კიდეც მავან დაინტერესებულს: იმიტომ ვწერ, რომ თქვენ იცოდეთო.

ერთი პოეტის ლიტერატურულ საღამოს დაესწრო. შეკრების გმირის ოპტიმიზმსა და ოპტიმისტურ განწყობილებას განსაკუთრებით აღნიშნავდნენ. ოპტიმისტიც თავმომწონედ უსმენდა კოლეგებს. გალაკტიონმა უსმინა, უსმინა და გაბრაზდა:

_ ამხანაგებო, ყველა თქვენგანი იცნობს შესანიშნავ ინგლისელ პოეტს ბაირონს. ბაირონი იყო ულამაზესი მამაკაცი, რომელსაც მთელი ინგლისის ქალები ეტრფოდნენ. ბაირონი იყო უმდიდრესი პიროვნება, რომელიც უანგაროდ ხარჯავდა თავის ქონებას. ბაირონი იყო ლორდი, ინგლისის პალატის წევრი, და იყო პესიმისტი. რა გააჩნია ამ უბედურს, რომ ოპტიმისტი იყოს?!

აქვე უნდა მოვიხმოთ ერთი დღესასწაულის შთაბეჭდილება, რომელიც 1929 წლის პირველ მაისს ჩაუწერია. შეიძლება ფერებს ამუქებდეს, მაგრამ ძნელია გულწრფელობაში ეჭვი შეიტანოთ. ყოველ შემთხვევაში, სამოცი წლის წინათ მოიაზრა და დაგვიტოვა

მამხილებელი საბუთი, რომლის დაბეჭდვაც მხოლოდ ექვსი ათეული წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი:

_ ენა არ მემორჩილება ვთქვა ის, რისი თქმაც აუცილებელია. რანაირი დღე იყო დღეს? იყო იგი კლასის დღე? იყო იგი სიხარულის დღე? არა. მაშასადამე, კლასს არა სცალია სიხარულისთვის. კალონები, მანიფესტანტების მიდიოდენ უხმოდ, დაღვრემილნი, წარბშეჭმუხვნილნი, საშინლად წარბშეჭმუხვნილნი, თითქო მათი დღესასწაული არ იყო დღეს! ნამდვილად დღეს არავისი დღესასწაული არ იყო. იყო ოფიციალური დღესასწაული, იყო აუცილებლობა, ძალით გამოყვანილი ხალხი, მასსა, რომელმაც იცის საიდუმლო.

ნიშანდობლივია: ეს არის 1929 წლის პირველი მაისი («ვინაც გადაურჩება ათას-ცხრაას-ოცდა-ცხრას»), ეს არის ოლიას პირველი გადასახლების წელიწადი (გადასახლებამდე შვიდი თვეა დარჩენილი!).

1929 წლის ერთი მაისი კიდევ აღრიცხა: შვიდი მაისი! ეს უკვე ნახატია: ხესთან კაცი დგას და ხელში ცელივით მომარჯვებული შვიდიანი უჭირავს. უკანა ფონზე რამდენიმეჯერ მეორდება ეს ცელივით ციფრი. საკმაოდ მძიმე მაისია: პირველში იმას წერს, შვიდში ამას ხატავს. 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა მთავრობამ სცნო დამოუკიდებელი საქართველო. იმავე წელიწადს ქართველმა მწერლებმა დაადგინეს: ყოველი წლის 7 მაისს აღენიშნათ პოეზიის დღე. ალბათ არის კავშირი ერთის მხრივ ამ ორ ფაქტს შორის და მეორეს მხრივ _ პოეტის ნახატს შორის!

_ მე წინადადება მომცეს მონაწილეობა მივიღო შვიდი მაისის გაზეთში. ვამზადებ ყუმბარას: მანიფესტს: იქნება აფეთქება...

იმავე 1920 წლის 12 დეკემბერს დამოუკიდებელი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაზეთ «ერთობაში» სამი ლექსი გამოაქვეყნა ერთი და იგივე სათაურით _ «გვარდია»: რესპუბლიკის არმიის შექმნის სამი წლისთავს მიესალმა. პირველი ლექსი შემდეგ საგრძნობლად გაასწორა და უწოდა «პოეზია _ უპირველეს ყოვლისა». ადრინდელი ვარიანტი სალექსო ფორმითაც განსხვავებულია. დააკვირდით: სამი წლის თავისუფლება დღეებს ითვლის და თითქოს მხოლოდ პოეტის წინათგრძნობა შეიცნობს მოახლოებულ საშიშროებას: ხმამაღლა იმეორებს გამაფრთხილებელ რეფრენს, რომელიც ორი თვის შემდეგ დამოუკიდებლობასთან ერთად გაქრა ლექსიდან:

სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა!
პირადათ მე სიკვდილამდე მექნება
მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება:
პოეზია _ უპირველეს ყოვლისა!
პოეზია _ უპირველეს ყოვლისა!
    და გვარდია მიყვარს, მასთან ნახევარ
    გზად დაღლილი არვის არ უნახივარ,
    ერთი გვანთებს შუქი სვეტიცხოვლისა:
    საქართველო _ უპირველეს ყოვლისა!
    საქართველო _ უპირველეს ყოვლისა!
დაგამცირონ, მაგრამ ვერსად დაგტიონ,
მაინც დაფნით გელის შენ, გალაკტიონ,
ამღერება რეზონანსით მოვლისა,

პოეზია _ უპირველეს ყოვლისა!
პოეზია _ უპირველეს ყოვლისა!
დღეს ჰყვავის ბზა, ალუბლები, ატამი...
ისევ დღეა შენი, მაშასადამე _
შორი სული დოვინ-დოვენ-დოვლისა...
საქართველო _ უპირველეს ყოვლისა!
საქართველო _ უპირველეს ყოვლისა!

_ საქართველო უპირველეს ყოვლისა! _ ამ რეფრენს თავისებურად ეხმაურება ცნობილი თეთრი ლექსი «საღამო» («ილაპარაკეთ, გევედრებით... ოღონდ ქართულად... ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ...»). თეთრ ლექსს კი ავსებს და აკვალიანებს გამოუქვეყნებელი ესკიზი, რომელსაც მეტად შთამბეჭდავი სათაური აქვს _ «მიმავალი საქართველო». დაშიფრული და ორაზროვანი ესკიზის სათაური და ქვეტექსტი საგულისხმო დასკვნებისაკენ მიგვანიშნებს, ლექსის ფარულ იდეას აკონკრეტებს და განზრახ გადაადგილებულ თარიღებს აზუსტებს: თეთრი ლექსი 1927 წლის კრებულში დაიბეჭდა პირველად და 1916 წლითაა დათარიღებული, სინამდვილეში კი, რაკი «არტისტულ ყვავილებშიც» არ ჩანს, ოციანი წლების დასაწყისში უნდა იყოს დაწერილი. ესკიზს 1905 წელი აწერია, მაგრამ ყოვლად წარმოუდგენელია, 14 წლისას დაეწერა: თეთრ ლექსზე ცოტა ადრე დაწერილი ჩანს, რადგან შესაბამისი ადგილები თითქმის სიტყვა-სიტყვით და სტრიქონ-სტრიქონ მიჰყვებიან ერთმანეთს, ოღონდ «რუსულ ენაზე» მოსაუბრე ქალი ლექსში «უცხო ენაზე» ლაპარაკობს:

« _ ეხლა არავის აშინებს ასეთი სიმართლე, _ მხრების აწევით სთქვა ქალმა და შავებში მოსილი ქალებისკენ მიიხედა...

შავებში მოსილი ქალები სიბრალულის გრძნობით შესცქეროდენ ქალს.

ქალ-ვაჟმა ერთმანეთს გადახედეს და განზე გასწიეს. ქალი ლაპარაკობდა რუსულად.

_ ილაპარაკეთ, თუ შეიძლება, ქართულად, _ ჩაილაპარაკა ვაჟმა.

_ ისედაც ბევრს ვლაპარაკობ. მგონია შეგაწყინე თავი.

_ კარგი. რამდენიც არ უნდა ილაპარაკო, მე ყოველთვის ცოტა მგონია.

_ რა სისულელეა. ნუთუ თქვენ შეგიძლიათ ეხლა ლაპარაკი გულდამშვიდებით? შეგიძლიათ ასეთი საუბრის მოსმენა? განა ასეთი დროა?

_ თქვენ ყოველთვის სიამოვნებით გიგდებთ ყურს. _ დაგიგდებდით ყურს მთელი დღე, მთელი ღამე, თვე, წელიწადი. ილაპარაკეთ, ოღონდ ილაპარაკეთ ქართულად».

ამის შემდეგ ბრალმდებელივით შეგვეკითხა:

_ თბილისში ცოტა დარჩა ოჯახები, სუფთა ქართულით რომ ლაპარაკობდეს. რად არის ასე? რატომ? რატომ?

მერე მსაჯულივით გაგვაფრთხილა და რამდენიმეჯერ გაგვიმეორა:

_ სულ ვართ ორი მილიონი!

_ სულ ვართ ორი მილიონი!

_ სულ ვართ 2 000 000.

ცოტახნის შემდეგ ჭირისუფალივით გვანუგეშა:

_ სულ ვართ ორი მილიონ ნახევარი!

ბოლოს ელეგიასავით გააგრძელა მიმავალი საქართველოსა და სასაფლაოს ალეგორია და განაჩენივით გამოგვიცხადა:

_ საქართველოში, სადაც ხე არ ჰყოფნისთ ჯვრების ასამართავად და ჯვრები არ ყოფნისთ ჯვარზე საცმელად, ერთი ტრიბუნა-ღა დაგვრჩენია: ეს არის სასაფლაო! ერთი-ღა თავისუფალი ადგილი გვაქვს შესაკრებად _ ეს არის ჩვენი მკვდრების განსასვენებელი ბინა... ერთი დრო-ღა გვაქვს, როდესაც შეგვიძლია ვითომ საერთო ხმის ამოღება, ეს არის დრო ტირილისა და ცრემლებისა, როდესაც წინ გვიდევს გაცივებული გვამი... დამწუხრებულნი ვტირით ჩვენს ძვირფას საფლავებზე, ისე როგორც დატყვევებულნი ებრაელნი სტიროდენ ბაბილონის მდინარეთა ნაპირზე და რაც უფრო მწარედ სტიროდენ, მით უფრო გრძნობდენ დაკარგულ თავისუფლებას.

თავისუფლება დავკარგეთო, თავისუფლება!

დაბოლოს ბრალდების მოწმესავით თუ მოწამესავით დაგვიდასტურა:

გაჰქრა! სულს ისე ღიმილით არ ეალუბლება
თავისუფლება, დახვრეტილი თავისუფლება!

სხვათაშორის, «მიმავალ საქართველოში» ერთხელ და ალბათ პირველად მოიხსენია იოველი _ თავისი ნაწერებისა და ჩანაწერების პოპულარული გმირი. პოემაც უნდოდა დაეწერა _ «იოველიადა». დაწერა ოდენ ფრაგმენტი: შეზღუდული და შევიწროვებული პატარა ქვეყნის ამაყი შვილი თავის ამაო მცდელობას უჩივის და მტკივნეულად შეიგრძნობს აშკარა საფრთხეს, რომელიც მშობლიურ მიწა-წყალს ემუქრება:

ბრაზს უღვიძებდა უხმარად მყოფი, ჯაჭვი, ჯავშანი, ხმალი და თოფი.
და ეხლაც, ეხლაც დადის ამ ქვეყნად როგორც აჩრდილი და ავადმყოფი.
და ეპარება მას შესაჭმელად სხვა სახელმწიფოს, ძლიერის, ცოფი.

_ კომუნისტები რეპრესიებს არ ხმარობენ, _ დამშვიდდა 1921 წლის 2 აპრილს, 20 აპრილს კი საკუთარი არქივი დაწვა და დაიტირა:

_ დიდძალი მასალები (დაახლოებით 10 ყუთამდე), შენიშვნები, წერილები, ლექსები, პოემები და სხვა მასალები _ ტფილისში წითელი ჯარის შემოსვლის დროს.

უფრო გვიან საგულისხმო პარალელი გაავლო:

_ მიწისძვრა გორში მოხდა 20 თებერვ. 1920 წ.

_ ბოლშევიკები საქართველოში შემოვიდენ 20 თებერვ. 1921 წ.

დრო გავიდა, რეპრესიების მთელი სერიალი ჩატარდა და «გაზაფხულის იისფერი მზერა» _ «მთავარსარდლის შორსმჭვრეტელმა მზერამ» შესცვალა! 1956 წელს კი სხვათაშორის ჩაუწერია:

_ სტალინის შესახებ რაც ლექსებია... ჰმ...

და დღეს, როცა დრომ სინდისის სამსჯავროზე გამოიხმო მესიტყვე და მელექსე, როცა გააქტიურებული და გახანგრძლივებული პანეგირიკის წლების პირად არქივებში ჩაიხედა და დაინტერესდა, საკუთარ თავთან თუ მაინც იყო რომელიმე მათგანი გულწრფელი და გულახდილი, _ იქნებ ისევ და ისევ გალაკტიონის ორსტროფიანმა დაქტილმა ნაწილობრივ მაინც განმუხტოს და გაანელოს იმჟამინდელი სახოტბო ლირიკის უკიდურესი პათოსი:

სამგლეს და საძაღლეს _
მწერალთა სასახლეს
ვერასდროს დაღლილი
ვერ მიეყუდები,
აქ არს მოდებული

გაბოროტებული
ეგრეთ წოდებული
ბერიას კუდები.
სწამებენ ობობას _
ლომობას, ორბობას
ეს კატის კნუტები...
იძვრიან კუტებიც,
სულაქოთებული
ქანაობს კრებული _
ეგრეთ წოდებული
ბერიას კუდები.

ამავე რიტმით გააგრძელა:

ბერია ხვრელს შეძვრა,
მაგრამ მის კუდების
ქნევითა ჩვენ, მწერლებს,
სული გვეხუთების.
ჩვენვე ჩვენი თავი
აღარ გვეყუდნების,
სული გვეხუთების,
სუნთქვა გვეხუთების.
მაშ ძირს მფლობელობა
კაენ-იუდების.
ქნევა და თარეში
ბერიას კუდების.

თანდათან შეავსო «კუდუცუნების» მინი-ციკლი:

ბერიას კუდები
საბა ორბელიანს
ებღაუჭებიან.

სინანულით შენიშნა:

_ ასე კუდობენ ჯერ კიდევ ბერიას კუდები...

მეუღლე დაიმოწმა:

_ გალაკტიონს ვერავინ ვერ იყიდის!

თვითონ აღმოსავლური ანდაზა მოიშველია:

_ Если источник жизни продаётся ценой чести, то мудрецы не покупают его.

რადგან ერთი ღმერთი სწამდა:

_ რწმენა ჩემი სიმართლისა ჩემთანაა.

_ მე ვიცი, რომ გავიმარჯვებ, ვინაიდან სიმართლე ჩემს მხარეზეა.

ეშვება ფერი ბინდის, ზღვა შლის წვიმების ფანტელს,
მივყევარ მხოლოდ სინდისს, მხოლოდ სიმართლის კანდელს.

იკითხა:

ტრფობას სამშობლოსადმი გულში ვინ ამოშლიდა,
რომ არა სჩანს ქართველი, ნეტა ვინ ამოჟლიტა?

იწერება ლექსი-შეკითხვა და ლექსი-პასუხი. ჯერ პირველი მოვისმინოთ:

სისხლის ღვარი ამდენი ნეტა ვინ დააყენა?
ჭირი სხვადასხვაგვარი კარზე ვინ მოაყენა?
არე კაცთა ცხედრებით ნეტა ვინ გადაფარა?
ვინ წაართვა სამარე, ბნელს ვინ გადააბარა?
რატომ, რისთვის, მითხარით, აქ ვინ რა დააშავა?
მიწა რამ გააწითლა, ზეცა რამ გააშავა?
წინ მიმქროლი მერანი ამ გზად ვინ შეაყენა
და აქამდე ნათელი დიდი გზა ვინ გაჰყინა?
ვინ სად გადაასახლეს? სიბნელევ, რა დაგარქვა?
ცხრა მთას იქით ეს ხალხი ნეტა ვინ გადაჰკარგა?
კაცი, ვისაც სიმტკიცით ვერავინ გადახრიდა,
ვინ, რომელი იუდა კაცის ხელმა დახვრიტა?
წყლული ვით მოშუშდება საამო მოშუშებით,
მწერლობა, ოჯახები აივსო ჯაშუშებით.
ვინ არის ის, ამდენი სისხლი რომ დააქცია,
ვინ არის ის, ედემი უდაბნოდ რომ აქცია?
ვინ არის ის, სამშობლო სისხლისფრად რომ მოხატა,
ვინ არის ის, ქართველ ერს სული რომ ამოხადა?
. . . . . .

ეს მრავალწერტილი საპასუხო ლექსს მოითხოვს. აი ისიც:

ბერიაა _ ნაშენებ შენობას რომ მოშლიდა,
ბერიაა _ ქართველი ერი რომ ამოჟლიტა,
ბერიაა _ რომ მოსპო გულთა შვება და ლხენა,
ბერიაა _ ზღვა ჭირის კარზე რომ მოგვაყენა,
ბერიაა _ ცხედრებით ქვეყანა რომ დაჰფარა,
ბერიაა _ სინათლე ბნელს რომ გადააბარა.

ამავე განწყობილებას აგრძელებდა:

ჩემს მეტი ამ ხველას ვერავინ გაიგებს,
სიცივე, შიმშილი, თავის ხარკს აიღებს,
გახველებს, გახველებს, გახველებს,
თვლა არ აქვს გარშემო ბოროტგამზრახველებს.

უფრო აქტიურად უტევდა:

შენ ხარ ის მხეცი, რომელიც ყეფას არ აგვიანებს,
უცხოთ ნაჯახით შენ უპობ კეფას ადამიანებს.
გინდა თარეში, გინდა ტიტული და ოქრო ახლო,
სულით და გულით გამოფიტულო ბებერო ძაღლო.

ნაცნობ სახეებს ნაცნობი ინტონაციები ენაცვლებოდნენ:

ხუროთმოძღვარს ვინ არ აქებს, თუ შენობას მკვიდრად აგებს. _
მაგრამ ვაი იმ ქალაქებს, სად მავნე სდგას საძირკველი.
ასე ყველა შეიძაგებს, ვინც ღალატობს ამხანაგებს,
არ განაგებს, თავს წააგებს _ კაცი მავნე, კაცი გველი.

1957 წელს გაუმაჯამებია და 1924 წლით დაუთარიღებია:

ეს ვალიას, ეს თედორეს, ეს ტარიელს, ეს კი მოსეს,
ჯერ ვითვლებით ქართველებად, თუ არ გაგვაესკიმოსეს.

1924 წელს «მნათობის» მეხუთე ნომერში დაუბეჭდავს პოემა «მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა», რომელშიც მოუსწრია და შეუტანია 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობის ეპიზოდი:

გამარჯვებულნი სასტიკი ხელით აღრჩობენ ტყვეებს,
ჰკაფავენ, ხვრეტენ, ხალხის სახელით უსპობენ დღეებს...
და მთელი კვირა სადგურის იქით მატარებელი
იდგა, შიგ მკვდრები ეყარა რიგით უფარებელი.

ჟურნალის ეს ნომერი აუკრძალავთ და გაუნადგურებიათ, პოემის ავტორი კი დაუპატიმრებიათ (ოციანი წლების ანკეტაში პასუხობს: რამდენიმე კვირა ვიყავიო დაპატიმრებული. ხოლო თავისი ცხოვრების ერთ-ერთ ვრცელ ქრონიკაში ცალკე თავად გამოუყვია «ციხეები» და ორი შემთხვევა დაუსახელებია: 1. ქუთ. პოლიცმეისტერის შეურაცხყოფის გამო. 2. «მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა»). ცხადია, აღნიშნული ფაქტი ავტობიოგრაფიებში არ აღურიცხავს, არც პოემა გამოუჩენია მას აქეთ და იგი მხოლოდ 1970 წელს დაიბეჭდა თორმეტტომეულის მერვე ტომში:

_ «მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა». ჟურნალი აიკრძალა. მაკრატლებით დადიოდენ და სჭრიდენ. პოემა არაა შეტანილი არც ერთ წიგნში.

_ ეს ლექსი აშკარად მიმართული იყო ჩვენი პოლიტიკის წინააღმდეგ, _ სამართლიანად შეაფასა პოემა სერგო ორჯონიკიძემ...

ერთი წლით ადრე თითქმის უსაყვედურა გალაკტიონმა გალაკტიონს:

_ რისთვის, გალაკტიონ, ახალი სიმართლისათვის შეჯიბრება გაბედე საუკუნეებთან?

1954 წლის დეკემბერში კი «ბოროტების იმპერიის» სატახტოს ეწვია. დიდი დიქტატორი უკვე მავზოლეუმში განისვენებდა, მაგრამ სამართალს კვლავ ღრმად ეძინა დიქტატურის ცხრაკლიტულში. ამიტომაც სიმართლის ნოსტალგია მოეძალა და უკან მობრუნებულმა მოულოდნელი შაირი გაბედა _ «ახალი სიმართლე» (ძველი რა იყო, ახალი რაღა იქნებოდა?!):

გამაგონე ეგ ხმა ტკბილი, უახლესი ჰანგი ქართლის,
მასში ისმის საქართველოს მშვენიერი ხმა სიმართლის.
ეჰ, ვინ არის ჩამომთვლელი ან მკითხველი ცოდვა-მადლის,
გამაგონე, გამაგონე, გამაგონე ხმა სიმართლის.

საიუბილეო წელიწადს ისევ იქით მიუპყრია მზერა:

ეს ოცი წელიწადია, რაც საქართველოს სწადია,
სიბნელე _ უმეცრებაა, სინათლე _ სიდიადეა.
გადამთიელი გადია _ სწუხს: ბევრი ღამე ათია,
არ სძინავს _ იმ შეჩვენებულს, ეს ოცი წელიწადია.

1941 წლის დეკემბერში ორ ჭაბუკს შეხვედრია თავის სახლთან, შეწუხებული და შეშფოთებული არა იმდენად ომის გამო: ჩამოსახლდებიან ეხლა ლტოლვილი რუსები საქართველოში და მერე აქედან აღარ წავლენო.

სხვადახვა დროს ჩაუნიშნავს და ჩაუნიშნავს და ჩაუნიშნავს:

_ მთელი რიგი დაწესებულებისა ისეთია, რომ ქართულად ვერ ლაპარაკობენ გამგეები.

_ კულტურის მინისტრმა ქართულად ლაპარაკი იცისო _ განაცხადა ვიღაცამ.

_ მეტალისტების კლუბში არის 900 რუსი მკითხველი და მხოლოდ 100 ქართველი. ეს ტფილისში, რატომ?

_ პოლიტიკური მოსაზრებითაც არ შეიძლება დიდი სახელმწიფოს ენის გამეფება მომავალ სოციალიზმში, რადგან, ეს ხომ იგივე იმპერიალისტური მადაგახსნილობა იქნებოდა?!

როგორც ჩანს, არც «ორი რუსეთის» იდეას ეთანხმებოდა:

_ ეს იდიოტი ლაპარაკობს, რუსები უნდა გავარჩიოთო.

მეოცნებე ქართველის გულისტკივილი ჩაატია რვა სტრიქონში:

რაა მასზე გულდამწყვეტი,
მეტეხო და დიღმის ველო,
მიდიოდე და ფიქრობდე,
ეს არ არის საქართველო.
არის ხლართი რკინიგზების,
არის ავტო-მოტო-ველო,
არის ოჯახებიც, მაგრამ
ეს არ არის საქართველო.

მერე ოთხი სტრიქონით «პანთეონი» გამოიტირა:

ძველნი სდუმან: ვინ-ღა დარჩა მათგან?
არს მშობლიურს არვინა სთვლის არსად,
არ არიან პოეტები, რადგან
საქართველოც არ არსებობს არსად!

იქვე იკითხა და იქვე უპასუხა:

არ არსებობს საქართველო?
არსად! არსად! არსად!

მთავარ გულისტკივილს ისევ და ისევ საქართველოს ბედისწერა განაპირობებდა, მისი დიდებული წარსული და სავალალო დღევანდელობა, მისი ბედი და მისი პოეტის ბედი:

ია-ვარდი რომ არ არის, სად მოვკრიფო,
საქართველო მხოლოდ პრასა და ქინძია,
საქართველო ერთდროს იყო სახელმწიფო,
საქართველო ეხლა არის პროვინცია,
გარეშემო ბანძა არის და ოკრიბა,
თუ ვინმეა _ გალაკტიონ ტაბიძეა.

თებერვალი დადგაო

ერთხელ კიდევ შეგვიტყუა გალაკტიონმა. ძალიან შორს შეგვიტყუა. წიგნი დაგვავიწყა.

უკვე 1959 წელია. თებერვალი დადგაო...

_ 1959. 6 თებერვალი. თოვს. პირველი სტამბა. ორჯონიკიძის ქ. N 50. როდის გამოვა წიგნი? რა აბრკოლებს? ვიყავი სახელგამში. ვიყავი ბუღალტერიაში.

_ 7 თებერვალი. პირველი სტამბა.

მოვიდა გამომცემლობის დირექტორთან. გამომცემლობის დირექტორმა დაურეკა სტამბის დირექტორს. მერე თვითონ მიაკითხა სტამბას. ანაბეჭდები მაინც ნელა მოძრაობს სტამბასა და გამომცემლობას შორის.

რჩეული ისევ იგვიანებს. გავაგრძელოთ:

უდიდესი და უმდიდრესი პოეტური მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

ამ განძეულს ღირსეული მეურვე და მეურვეობა ესაჭიროება.

ათ წელიწადში (1966-1975) თორმეტი აკადემიური ტომი დაიბეჭდა: პოეტის ხელნაწერები ხელმისაწვდომი გახდა ყველასათვის. პირველად გამოქვეყნდა მრავალი ნაწარმოები, აგრეთვე წერილები, მოგონებები, დღიურები, ჩანაწერები, პირადი წერილები. შენიშვნებმა და ვარიანტებმა გაგვაცნეს იდუმალებით მოცული ლაბორატორია. თუმცა ვარიანტები ყოველთვის არაა სრული და შენიშვნები _ სანდო. შესამოწმებელია ზოგიერთი ვარიანტის საეჭვო უპირატესობაც.

დასამუშავებელი, შესავსები და ქრონოლოგიურად და ჟანრობრივად ხელახლა დასალაგებელია ჩანაწერები და დღიურები. ამოსაკრებია ჩანაწერებში გაფანტული ლექსები და ეპიგრამები, აგრეთვე რუსულად დაწერილი ლექსები. მოსაძებნია კერძო პირებთან შემონახული ხელნაწერები და პირადი წერილები. მკაცრად გადასასინჯი, დასაზუსტებელი და შესავსებია კომენტატორთა განმარტებანი (ამის შესახებ ლიტერატურულმა პრესამაც გაგვაფრთხილა).

აღსადგენია ორთოგრაფია. წერდა: ბავში, ეხლა, ტფილისი, ანგელოსი, სჩანს, სწერს, სთქვა, სდგას, ზმნის მრავლობითობის ნიშნად _ დენ და არა _ დნენ. უცხო სახელისა და გვარის მართლწერისას იცავდა ორი თანხმოვნის პრინციპს: ემმა, რუსსო, მიუსსე... ავტორისეული ორთოგრაფიის დაცვა აუცილებელია, რადგან ხშირად ეს ფორმები რითმებადაა გამოყენებული:

რუსთაველი მახსოვს ბავში,
ოცნებობდა ოქროს ნავში.

უნდა დავტოვოთ ისე, როგორც გალაკტიონს ესმოდა, თორემ მთელი ჰარმონია ირღვევა. ზოგიერთ შემთხვევაში ამ სიტყვას არც გარითმავდა და საერთოდ, რა დაშავდება, ბატონო გრამატიკოსებო, ერთხელ კიდევ რომ გავამარტივოთ ჩვენი ნამეტნავად ჩათანხმოვანებული ფონეტიკა და დავწეროთ: ბავში, ოცნებობდენ და ასე შემდეგ, როგორც გვკარნახობს პოეტების მეფე, რომელიც თავისთავად დამკვიდრებული მართლწერისაკენ მოგვიწოდებდა:

_ დამკვიდრებული, დაფუძნებული, წონასწორი ორთოგრაფია ისევე დიდათ მნიშვნელოვანია, როგორც ხმის სწორად გადაცემა რადიოთი, და გრამატიკული შეცდომა ისევე არღვევს სიტყვის სისწორეს, როგორც ყალბი ხმა არღვევს მუსიკალური პრელიუდიის ანუ სონატის შესრულებას.

დასადგენია პუნქტუაცია: ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს «მშვიდობის წიგნი»: ტექსტის ამოკითხვისათვის სასვენ ნიშნებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება:

_ აქ დიდი მნიშვნელობა აქვს მძიმეებსა და წერტილებს, _ თვითონაც გვაფრთხილებს.

თორმეტტომეულში ზოგი ლექსი რამდენიმეჯერაა დაბეჭდილი. ტომებში შეტანილი ზოგიერთი ლექსი კი ფაქტიურად ვარიანტია და თავის ადგილზე უნდა გადაინაცვლოს.

სამაგიეროდ ვარიანტებში აწყვია ისეთი «ნაჭრები», რომელთა იქ დატოვება დასანანია და რჩეულებშიც კი შეიძლება მოხვდეს:

ნათელი და მშვიდი
იყო ცხრაასშვიდი,
აქეთ თეთრი ღამე,
იქით ლურჯი ხიდი.
ეხლაც მახსოვს განა
თეთრი ზვირთის ნანა,
თეთრად თვლემდენ მთები,
თეთრად სდუმდა ყანა.

თორმეტტომეული სწრაფად მომზადდა და გამოიცა. მაშინ არქივი დაუმუშავებელი იყო და ძირითადად ამან განაპირობა მრავალი უზუსტობა. ამჟამად ავტოგრაფები აღწერილი და თემატურად დახარისხებულია. თუმცა კიდევ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი.

არქივში ბევრი გამოუქვეყნებელი ლექსია და კიდევ მეტი _ დღიური და ჩანაწერი. ლექსები ორ მოზრდილ წიგნს მაინც შეადგენენ. თუ დავუმატებთ პროზაული მასალის დიდ რაოდენობას, რომლებიც გამოქვეყნებულებთან ერთად რამდენიმე ტომს შეავსებენ, მომავალი გამოცემა ალბათ ოც ტომად უნდა განისაზღვროს.

გალაკტიონი ღირსია ღირსეული მრავალტომეულისა, თუნდაც ისეთი სრული ერთტომეულისა, «დიდი ერთტომეულისა», რომელზედაც ამაოდ ოცნებობდა და ამაოდ ზრუნავდა:

_ მინდა ერთტომეული, მთელი ყველა ნაწარმოები ერთ ტომად!

ზარნიშიანი

1948 წლის 15 იანვარს მაგიდის კალენდარზე გრიბოედოვის ასაკისათვის (1795-1829) მიუქცევია ყურადღება და იქვე მიუწერია:

_ 34 წლისას მე უკვე მზად მქონდა ზარნიშიანი წიგნი.

როგორც არქივში შემონახული განცხადება გვაუწყებს, «ზარნიშიანი» 1927 წლის იანვარში დაბეჭდილი ყოფილა («კ. ზდანევიჩმა გააკეთა ყდა»):

_ ვინაიდან ჩემი წიგნის ბეჭდვა დიდიხანია დამთავრდა და გასაყიდათ კი არ გამოდის სახელგამის იმ მოსაზრების გამო, რომ მისთვის საჭიროა წინასიტყვაობა, გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება წიგნის გამოშვებისათვის უწინასიტყვაოთ, ვინაიდან მოკლე ხანში კარგ წინასიტყვაობას ვერავინ დასწერს და ჩემი წიგნისთვისაც დიდ საჭიროებას არ წარმოადგენს. 1926. 24 იანვარი. გ. ტაბიძე.

1926 _ კალმისმიერი შეცდომაა: რეზოლუციაც ადასტურებს:

_ წიგნი გაუშვით, წინასიტყვაობა შეიძლება მოიხსნას. 24 I-27.

აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი ძველი ჩანაწერი:

_ წიგნის ბეჭდვა ამჟამად დაიწყება 9 (იყო: 16) გვერდიდან: წინა 8 (იყო: 16) გვერდი: 1-2 _ გამომცემლობის მარკა, 3-4 _ სათაური წიგნისა, 5-6 _ რედაქციის წინასიტყვაობა, 7-8 _ ფაქსიმილე.

ეს უთარიღო ჩანაწერი ზარნიშიან წიგნს უნდა ეხებოდეს, რადგან აქაც ძირითადი ტექსტი ცალკეა დაბეჭდილი და წინა გვერდები კი მოგვიანებით. საგამომცემლო პრაქტიკაში არის ასეთი შემთხვევა. დასამატებლად ჯერ მთელი თაბახი უვარაუდიათ, რაც პრაქტიკულად ყველაზე უფრო მოსახერხებელია. მაგრამ რაკი დაგეგმილი წინასიტყვაობა ვერ დაიწერა და ავტორი ჩქარობდა, _ 16 გვერდი გაუნახევრებიათ. ბოლოს, როგორც გამოცემული წიგნიდან ჩანს, რედაქციის წინასიტყვა ლექსის ავტოგრაფით შეუცვლიათ, რვა გვერდის ნაცვლად ოთხი დაუბეჭდავთ და შუაში პორტრეტი ჩაუკრავთ.

რაკი წიგნი 1927 წლის იანვარში უკვე «დიდი ხნის» დაბეჭდილი იყო, ცხადია, 1927 წელს დაწერილი და გამოქვეყნებული ვერცერთი ლექსი კრებულში ვერ მოხვდებოდა. თუ იმასაც მივაქცევთ ყურადღებას, რომ 544 გვერდიანი წიგნის აწყობას და დაბეჭდვას, სულ ცოტა, წელიწადი მაინც დასჭირდებოდა, _ 1926 წელს დაწერილებიც ეჭვქვეშ უნდა დავაყენოთ: მართლაც წიგნში 1926 წელს გამოქვეყნებული ორად ორი ნაწარმოებია შეტანილი: «პოემა ვეფხვისა» 1926 წლის «მნათობის» პირველსავე ნომერში დაიბეჭდა და, ცხადია, ამ წლის დამდეგს დაწერილი იქნებოდა. «კოსმიური ორკესტრიც» «მნათობის» მეშვიდე ნომერში გამოქვეყნდა იმავე წელს და, რაკი ბოლოშია მოთავსებული, უნდა ვივარაუდოთ, მერე მიამატა ანაბეჭდებს.

აქ მცირე ექსკურსი დაგვჭირდება: არქივში ინახება ერთი პატარა ყდაშემოცლილი და ნახევრადწაშლილი ბლოკნოტი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერებს შეიცავს:

_ ოთხშაბათი: Нужно начать поэму...

_ პარასკევი: დღეს დავიწყებ პოემას «კოსმიური ორკესტრი».

_ შაბათი: დაწყებულია პოემა «კოსმიური ორკესტრი».

_ კვირა: განვაგრძე «კოსმიური ორკესტრი».

ეს წაღვერის დღიურებია. წელი არ ჩანს. თვე და რიცხვი კი მოსდევს ერთგან: 27 სექტემბერი. თუ სექტემბრის ბოლოს პოემაზე მუშაობა გრძელდებოდა, უკეთეს შემთხვევაში, ოქტომბერში დასრულდებოდა. ოქტომბერში დასრულებული კი იმავე წლის ივლისის ნომერში ვერ დაიბეჭდებოდა. ასე რომ, ეს ჩანაწერი 1925 წლისა უნდა იყოს, რადგან ამ წლებში ოლია ხშირად და ხანგრძლივად ისვენებდა ბორჯომის ხეობაში. მისი ერთი რუსული რეპლიკა ზემოთციტირებულ დღიურებშია ჩართული:

_ Я три дня больна... Ничего, и на нашей улице будет праздник.

ჩვენს მიერ ადრე დამოწმებული ერთი შენიშვნაც («50 ახალი ლექსი დაიკარგა წაღვერში 1925 წ.») ამ თარიღს ეთანხმება. ხოლო ოთხშაბათის დღიურში ჩაწერილი რუსული ფრაზაც _ «Нужно начать поэму» _ ოლიას ეკუთვნის: როგორც ჩანს, ოლია აქტიურად მონაწილეობდა პოეტის შემოქმედებით პროცესში. ჩამოსვლისთანავე შეუხსენებია თუ იდეა მიუწოდებია და გალაკტიონსაც უყურადღებოდ არ დაუტოვებია ეს მოწოდება. სხვათაშორის, სხვა დროს უფრო კონკრეტულადაც მიუთითებდა:

_ Да, нужен «Мировой оркестр".

როგორც ირკვევა, «კოსმიური ორკესტრი» _ უკანასკნელი აკორდი შედევრების ციკლისა _ ერთბაშად არ დაუწერია: ერთი ფრაგმენტის («ვხედავ, რომ მოსხლტა განცვიფრებულ სივრცეს სვეტები...») პირველი ვრცელი ვარიანტი 1923 წლის ლექსთან ერთად შეგვხვდა ავტოგრაფებში, როგორც დამოუკიდებელი ლექსი _ «მუსიკა».

ამრიგად, 1927 წლის წიგნის ლექსები 1908-1925 წლებით უნდა შემოვსაზღვროთ და ავტორის შენიშვნა _ 34 წლისას უკვე მზად მქონდა ზარნიშიანი წიგნიო _ ზუსტია: 1925 წელს იგი სრული 34 წლისა ბრძანდებოდა. ყოველივე აქედან კი ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მოსაზრება უნდა დავაზუსტოთ და გალაკტიონ ტაბიძისა და მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი 1915-1925 წლებით უნდა დავათარიღოთ!

რაკი სიტყვამ მოიტანა, ესეც აღვნიშნოთ: პოეტს ბოლომდე ეშლებოდა საკუთარი დაბადების წელი და თავი ერთი წლით ახალგაზრდა ეგონა. 1933 წელს მეტრიკული ამონაწერი აუღია:

_ შუამთის სოფლის საბჭო. 7/X, 1933 წ., 2298. ეძლევა ვანის რაიონის სოფელ შუამთის მცხ. გალაკქტიონ ვასილის ძე ტაბიძეს მასზედ, რომ როგორც სამეტრიკო წიგნებიდან სჩანს, ის დაბადებულა 1892 წელს, რაც დასტურდება... შუამთის სახ. საბჭოს თავ-რე (ხელმოწერა), მდივანი (ხელმოწერა).

როგორც ვხედავთ, ეს ამონაწერი არავითარ დამადასტურებელ წყაროს არ უთითებს და მხოლოდ ვარაუდს ემყარება («დაბადებულაო»). ამიტომ ყველა საბუთი და თვითონაც ამ მცდარ თარიღს იმეორებდა. მოგვიანებით იპოვნა დოკუმენტი, მაგრამ მხოლოდ 1958 წელს იპოვნა. თუმცა 1959 წლის 7 თებერვალს, თავის უკანასკნელ დღიურში, შეკითხვა დაგვიტოვა:

_ დავიბადე 1891 წ. სადაა დოკუმენტი?

შენ დაიბადე?

1972 წელს თორმეტტომეულის მეშვიდე ტომში დაიბეჭდა უსათაურო _ «შენ დაიბადე ალბათ ისეთ დროს», როგორც უთარიღო, გამოუქვეყნებელი და დაუმთავრებელი. იგი ორჯერ შეიტანეს აგრეთვე რჩეულებში 1977 წელს და 1982 წელს.

1983 წლის ალმანახ «კრიტიკის» მეოთხე ნომერში ტარიელ ჭანტურიამ გამოაქვეყნა რეპლიკა: «გაზიარებული შეცდომაც _ შეცდომაა» და გამოთქვა დასაბუთებული მოსაზრება: აღნიშნული უსათაურო არ შეიძლება გალაკტიონს ეკუთვნოდეს, გალაკტიონი არის არა ავტორი ამ ლექსისა, არამედ ადრესატი. ტარიელ ჭანტურიას ვარაუდი სავსებით დაადასტურა გალაკტიონის არქივში შემონახულმა ხელნაწერმა მარიამ გარიყულის მისასალმებელი სიტყვისა, რომელიც მხცოვან მწერალს 1940 წლის 23 ნოემბერს წარმოუთქვამს პოეტის საღამოზე (ეს საღამო გალაკტიონს აღწერილი აქვს თავის დღიურებში):

«შენ დაიბადე ალბათ ისეთ დროს, როცა ატამი ჰყვაოდა ბაღში, რამეთუ მათი სურნელებანი უხვად აფრქვევია შენს ლექსებში;

ან დაიბადე, როცა მწიფე ყურძნის დაზვინული ვაზები იზნიქებოდნენ, ძირს იხრებოდნენ, იკრიფებოდა ვენახები და მარანშიც დუღდა მაჭარი, რადგან გვახელებს და გვათრობს ლექსი შენი;

ან პაპანაქება ზაფხულში იშვი, როცა ცეცხლოვანი მზე წვავდა ქვეყანას, რადგან ლექსი შენი ცეცხლს უკიდებს კაცის გულს;

ან და ზამთარში, როცა თოვდა, «იისფრად თოვდა» და ამ თოვამ «შეგაყვარა თმენა უსაზღვრო».

ერთი კია, რომ შენ დაიბადე ათას რვაას ოთხმოცდა თორმეტს.

არ მოსწრებიხარ შენ მშობელ მამას, მაგრამ მისგანვე ნაანდერძევმა წიგნთსაცავმა დედის ძუძუსთან ერთად გაწოვა სიცოცხლისა და პოეზიის ტკბილი ნექტარი.

პაწაწინა ბიჭიკომ დედის კალთაში შეისწავლე «აი ია». ექვსი წლის იყავ, როცა «დედა ენას» დაეუფლე და ათი წლისამ ლექსთა ღმერთთან ილაპარაკე».

ამ სიტყვის ხელნაწერი ხუთი გვერდია. აქ მხოლოდ შესაბამისი დასაწყისი ნაწილი ამოვიწერეთ, რომელიც თითქმის სიტყვა-სიტყვით მიჰყვება მეშვიდე ტომის ტექსტს.

1959 წელს, ცხრამეტი წლის შემდეგ, «როცა გალაკტიონი ასე გულისდამდაღველად განგვშორდა», მარიამ გარიყულს მოუძებნია თავისი ადრესი, «უეცარი სიკვდილით გამოწვეული მწუხარების გამომხატველი ორიოდე სიტყვა» წაუმატებია და ისე ჩაურთავს საკუთარ მემუარებში «განვლილი გზა». მიუხედავად იმისა, რომ მემუარების ავტორს უმნიშვნელო ცვლილებები შეუტანია ტექსტში, პირვანდელი ვარიანტი მეშვიდე ტომში გამოქვეყნებულთან უფრო ახლოსაა. მარიამ გარიყულის მოგონება ოთხჯერ დაიბეჭდა სხვადასხვა გამოცემებში; 1972 წელს, როცა მეშვიდე ტომი გამოვიდა, სამჯერ იყო დაბეჭდილი.

მეშვიდე ტომის შენიშვნებში მითითებულია, რომ ლექსის ავტოგრაფი ინახება ლიტერატურულ მუზეუმში, გალაკტიონის არქივში. როგორც ირკვევა, 1940 წლის 23 ნოემბერს გალაკტიონმა გამოართვა მარიამს მისალმების ხელნაწერი, შემდეგ გადაწერა მისი დასაწყისი, სტრიქონებად დაალაგა, აქა-იქ მცირე კორექტივი შეიტანა, უფრო რიტმული გახადა და ვერლიბრს დაამსგავსა. რაკი ფრაგმენტს ლექსის ფორმა მისცა და ტექსტი ასწორა, საფიქრებელია, პოეტს გაეგრძელებია ეს პროცესი და შეექმნა ახალი ლირიკული ნიმუში, რომელსაც აღარაფერი ექნებოდა საერთო პირველ წყაროსთან. მისი ჯადოსნური კვერთხი ანუ ხელის ოდნავი შეხებაც კი უბრალო ლითონს ძვირფას მეტალად აქცევდა, პროზაულ ქაოსში ლირიკულ წესრიგს ამყარებდა, ერთფეროვნების უმნიშვნელო წვრილმანებისაგან ამაღლებულს ჰქმნიდა.

_ გენია თავისი ინტელექტუალური ძალ-ღონით, რომელიც მხოლოდ მისი თვისებაა, გადაამუშავებს გარეგან შთაბეჭდილებებს ხელოვნების ნაწარმოებად, _ გალაკტიონის მიერ მოწონებული და თარგმნილი ეს დროული ციტატა კიდევ შეგვხვდება.

ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს: გალაკტიონის არქივში შემონახული ყველა ხელნაწერი არ ეკუთვნის გალაკტიონს. თვით გალაკტიონის ხელით დაწერილი ყველა ტექსტის ავტორი არ გახლავთ გალაკტიონი. პოეტი ყველაფერს აგროვებდა, იწერდა და ინახავდა, რაც მას შეეხებოდა.

_ თუ მოწაფეების რვეულებში ჩემს შესახებ რაიმე ორიგინალური ან საინტერესო შეგხვდეს, უსათუოდ გადააწერინე და შემინახე, _ სწერდა პედაგოგ ძმას.

სამწუხაროდ, ეს არ არის არც პირველი და, როგორც ჩანს, არც უკანასკნელი შემთხვევა (პირველ ტომშიც დაიბეჭდა შეცდომით ტიციან ტაბიძის «ყვავილი», რის შესახებაც მეოთხე ტომის დამატება-შესწორებებშია მითითებული).

აქ ერთი მომენტიც უნდა გავითვალისწინოთ: მეოცე საუკუნის ვერსიფიკაციამ ისე ბუნებრივად შეითვისა და გაითავისა გალაკტიონის სინტაქსი, გალაკტიონის რიტმიკა,

გალაკტიონის ინტონაცია, _ რომ შესაძლებელია _ სხვათა ტექსტების გამოძახილმა გაცდუნოთ.

ეს ფაქტი და ის ფაქტი, რომ სარეცენზიო «ლექსი» რჩეულებშიც კი მოხვდა, კიდევ ერთ საინტერესო ფაქტს ადასტურებს: უფრო ძნელია ზღვარის გავლება პოეზიასა და არაპოეზიას შორის, როდესაც ვერლიბრს ვკითხულობთ!

შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა...

მეშვიდე ტომში დაიბეჭდა ოთხსტროფიანი უსათაურო:

რარიგ კარგია, სამშობლოვ,
შენი მტკვარი და რიონი,
შოთა, ილია, აკაკი,
ვაჟა...

ლექსმა დიდი პოპულარობა მოიპოვა: ეტყობა, მოეწონათ მკითხველის გამოწვევა და თანამონაწილეობა. მას შემდეგ ეს უსათაურო თითქმის ყველა რჩეულში იბეჭდება. ხუთი კლასიკოსის ერთობლივი კრებულიც გამოიცა: «შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა... და გალაკტიონი».

1982 წლის 8 სექტემბერს გაზეთ «კომუნისტში» გამოქვეყნდა ლალი მარტაშვილის «სტრიქონები პოეტის არქივიდან». წერილში ციტირებულია ნინო ახობაძის მოგონება: ერთხელ, დაახლოებით 1936-37 წლებში გალაკტიონი სამი ამხანაგის თანხლებით სტუმრებია სამტრედიაში ახობაძეების ოჯახს. ლხინის ჟამს ნინოს ძმას _ ალექსანდრე ახობაძეს პოეტისათვის თხმელის ფოთოლზე დაწერილი ექსპრომტით მიუმართავს. ნინო ახობაძეს ზეპირად დაუმახსოვრებია ძმის ექსპრომტი:

რარიგ კარგია სამშობლო,
მისი მტკვარი და რიონი,
შოთა, ილია, აკაკი,
ვაჟა და გალაკტიონი...

როგორც აღინიშნა, გალაკტიონი ხშირად იწერდა და ინახავდა მოძღვნილ ლექსებს და სხვა მასალებს. აქაც იგივე ვარაუდი უნდა გამოგვეთქვა, მით უფრო _ ლექსი პოეტს არ გამოუქვეყნებია. მაგრამ ლიტერატურულ მუზეუმში ინახება ამ ლექსის ავტოგრაფი. იგი დაწერილი და ნასწორებია გალაკტიონის ხელით და ამ შემთხვევაში სწორებათა თანამიმდევრობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება: იგი გვიდასტურებს გალაკტიონის ავტორობას.

პირველი ორი სტროფი ავტოგრაფისა თავდაპირველად ასე იკითხებოდა:

მიყვარხარ, ჩემო სამშობლოვ,
მიყვარს მტკვარი და რიონი,
შოთა, ილია, აკაკი,
ვაჟა...
ამაღლებულა მგოსნობა,
როგორაც კავკასიონი,
შოთა, ილია, აკაკი,
ვაჟა...

პირველი სტრიქონი პოეტს ჯერ ამგვარად შეუცვლია: რარიგ კარგი ხარ, სამშობლოვ, და შემდეგ კვლავ ჩაუსწორებია: რარიგ კარგია, სამშობლოვ. ასევე მეხუთე სტრიქონი თავდაპირველად ასე გაუსწორებია: ორ ზღვათა შორის მდებარე, შემდეგ კი სიტყვა _ შორის შეუცვლია სიტყვით _ შუა. ახობაძეების მიერ შემოთავაზებულ ვარიანტში კი ორივე შემთხვევაში გალაკტიონის მიერ სწორედ მესამედ და საბოლოოდ ჩასწორებული ტექსტია წარმოდგენილი: თითქოს პოეტს გვერდით უჯდა ალექსანდრე ახობაძე და აქეთ გალაკტიონს კარნახობდა ახალ-ახალ ვარიანტებს, იქით კი თავის დას დადგენილ ტექსტს აცნობდა.

წარმოუდგენელია, გალაკტიონს პირვანდელ ვარიანტში ალექსანდრე ახობაძის სტრიქონები ჩაეწერა, პირიქით რომ მომხდარიყო, კიდევ დაეჭვდებოდა კაცი.

გალაკტიონისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებში, ისევე, როგორც თვით პოეტის ლექსებში, იგი ხშირადაა მოხსენებული ქართველ კლასიკოსებთან ერთად. ჩანს, სამტრედიაში სტუმრობის ჟამსაც მსგავსი ლექსით მიმართა მასპინძელმა. მისი გარდაცვალების შემდეგ მისმა დამ წაიკითხა 1965 წლის 11 ივნისის გაზეთ «ლიტერატურულ საქართველოში» პირველად დაბეჭდილი «რარიგ კარგია, სამშობლოვ», მიამსგავსა ძმის ლექსს, გადაიწერა უმნიშვნელო განსხვავებით და მუზეუმს წარუდგინა.

იქნებ სამტრედიაში მოსმენილი ექსპრომტი გამოიყენა კიდეც პოეტმა და აპირებდა კვლავ გაესწორებინა და გაეგრძელებინა ლექსი (ავტოგრაფში ბოლო სტრიქონის შემდეგ, მცირე ინტერვალით ერთხელ კიდევ მიუწერია: შოთა, ილია, აკაკი...). ამ ლექსში მთავარია არა ის, რაც სწერია, არამედ _ რაც აშკარად იგულისხმება: ვაჟას შემდეგ ჩამოვარდნილი იძულებითი პაუზა, ინერციით გაგრძელებული რიტმი და შესაბამისი რითმებით გამართლებული მკითხველის ჩართვა (სხვათაშორის, რამდენიმე გამოცემაში ნაკლული რეფრენი გაშიფრეს და ლექსს მარილი დააკლდა).

პოეტმა არ დაამთავრა ლექსი და შთამომავლობას მიენდო. ეს ხერხი კი, ყველა შემთხვევაში, გალაკტიონისეულია, და იგი გადაწონის ყოველგვარ საავტორო უფლებას, რადგან წაშლის ნიჭი უფრო დიდი ნიჭია!

_ ამაღლებულის მისაღწევად უარყოფა უფროა საჭირო, ვიდრე გამოგონება (ედგარ პო).

ი. ა.

ერთი ქარაგმაც დაგვიტოვა: 1916-1917-1918 წლები უპირატესად მოსკოვში გაატარა და მეორე წიგნის ლექსების უმრავლესობაც რუსეთში დაწერა, მათ შორის _ «ი. ა.», რომლის ინიციალებიც დღემდე გაუშიფრავია:

ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავში
ნუკრის თვალებით, თმით _ მიმოზებით
და მწუხარების მალენიავში
მოფრინდენ ლურჯი ანგელოზები.

ამ სტროფის წაკითხვის შემდეგ ყურადღება მიიპყრო «ჯონ რიდის» სამმა სტრიქონმა:

წარწერა ერთი სახლის კედელზე:
«აქ იპოვეს ტყვიით მოკლული

5 წლის ოქროსთმიანი გოგონა».

კიდევ უფრო დაგვაინტერესა ვრცელმა ვარიანტმა:

სისხლის ძიებით სავსე უცნობი
ცარცით სწერს უცნობ სახლის კედელზე:
«აქ ვიპოვეთ ჩვენ სწრაფი ტყვიით
გულგანგმირული
5 წლის ბავში, ოქროსთმიანი გოგონა».

ხოლო 1917 წლის გახსენებათა ამ ორმა ეპიზოდმა ერთი დღიური გაგვახსენა: 1948 წლის 8 ივნისს შუაღამისას მოსკოვში ნაცნობ ხესთან აღმოჩნდა, რომელმაც 1917 წელი მოაგონა:

«დავემშვიდობეთ ახალგაზრდა განათლებულ დიასახლისს და წამოვედით მე და ამირეჯიბი.

_ როგორი ძეგლია, ა? _ მკითხა მან.

_ იშვიათია, დიდებულია!

ჩვენ შევჩერდით ერთ ხესთან და დიდხანს ვუცქეროდით ამ ძეგლს.

«წერილი გოგოლთან» გამახსენდა მე. ირაკლი დამეთანხმა. ამ დროს საიდანღაც გაისმა სროლის ხმა».

თუკი ამ ფინალის სროლის ხმას გავაგრძელებთ და გალაკტიონის იმღამინდელ თანამგზავრსა და «ჯონ რიდის» ორ ფრაგმენტს დამაინტერესებელ ინიციალებს დავუკავშირებთ, შეიძლება გასაიდუმლოებული ქარაგმა ამოვხსნათ: აქ უნდა იგულისხმებოდეს ირაკლი ამირეჯიბი (ჩვენი სახელოვანი ჭაბუა ამირეჯიბის მამა), რომელთან ერთადაც დააბიჯებდა გალაკტიონი საბედისწერო 1917 წლის მოსკოვის «შეშლილ» ქუჩებში.

P.S. «ოქროსთმიანი გოგონა» 1924 წელს არამარტო პოემაში გამოიტირა: «გავიდა კვლავ წელი შვიდი» და დაწერა «ალუჩა, შვიდი წლის ბავში»: შვიდი წლით ადრე «ქალაქში, მტვერში», წაქცეულ ბავშთან ერთად შორეული სოფლის აყვავებული ალუჩა დაგვანახვა, შვიდი წლის შემდეგ კი ეს ბავში ალუჩად წარმოგვიდგინა. მერე იმავე წლის ჩანაწერში ცოცხალი ალუჩაც გაგვაცნო: «ალუჩამ დახედა საათს... ალუჩა ნერვიულად დადიოდა ოთახში... ალუჩა ატრიალებდა საათს ხელში... ალუჩა აღებს ფანჯარას... ალუჩამ ფანჯარა მიხურა...».

ჰმ! ჰმ! ჰმ!

მეშვიდე ტომში დაიბეჭდა უსათაურო:

მზიან ქარად იქცა ცქერა,
ქარის ბგერა იქცა ქნარად,
წყნარად, წყნარად, მწამს და მჯერა,
ბედისწერა გვიხსნის მარად.
ჰეი, ჰე და ჭრელთვალა,
ჰეი, ჰეი, ჭრელთვალა,
ჰეი, ჰეი, ჭრელქუდა,

შენ გენაცვალე მუდამ.

მეორე სტროფი არა მარტო არითმიულია, შინაარსობრივადაც არ ესადაგება. ამ შორისდებულებიანი სტროფის ვარიაციები ხშირად გვხვდება სხვადასხვა მეტრით დაწერილ ავტოგრაფებში და აღრიცხულია ვარიანტებშიც. ზოგან დასაწყისშია, ზოგან _ ბოლოში, ზოგჯერ _ სტროფებს შორის. ალაგ წაშლილია, ალაგ _ არა. ერთგან ორჯერაა ლექსში ჩასმული, მეორეგან მხოლოდ ორი სტრიქონია. დაბეჭდილ ტექსტში არასოდეს შეუტანია.

როგორც ირკვევა, ეს იყო სტანდარტული საზომი, რომელზედაც ამოწმებდა ამა თუ იმ მეტრს და სმენას. იგი შპონივით იჯდა სტროფებს შორის და ალბათ შთაგონებაში ჩართვასა და შთაგონების შენარჩუნებაში ეხმარებოდა. ამიტომ ძირითად ტექსტში მისი შეტანა შეცდომაა.

დამატებით არგუმენტად შეგვიძლია წარმოვადგინოთ დღემდე გამოუქვეყნებელი ამავე ლექსის განსხვავებული მეტრი. ეს სამსტროფიანი არავითარ ჩანართს არ შეიცავს და უფრო სრულყოფილი ჩანს, შემდგენლებს კი ვარიანტებშიც არ შეუტანიათ:

ანკარა ქარად გადიქცა ცქერა,
ზეფირის ძგერა გადიქცა ქნარად,
იყავი წყნარად: ბავშვივით მჯერა,
რომ ბედისწერა გვიშველის მარად.

სარეცენზიო საზომს სხვა ფუნქციაც ეკისრებოდა. თორმეტსტრიქონიანი ლექსიც დაუწერია _ «ჰეი, ჰეი, ჭრელთვალა»:

ჰეი, ჰეი, ჭრელქუდა! ჰეი, ჰეი, ჭრელთვალა!
მსურდა შენთვის ამბავი წიგნით შემომეთვალა.

რამდენიმეჯერ პოემასაც ასახელებს ამ სათაურით. როგორც ჩანს, «დიდედას სათვალებს» გულისხმობს, რადგან ეს სტრიქონები გამოყენებულია დასახელებულ პოემაში, რომელიც რატომღაც დაუმთავრებელ პოემებში შეიტანეს, დამთავრებული კი ჩანს. «დიდედას სათვალები» მთავრდება მწყემსის სიმღერით. სიმღერის რვა სტროფში ოთხჯერ მეორდება განსხვავებულ სალექსო სინტაგმასთან გარითმული ჭრელთვალა და ჭრელქუდა. ერთგან მას შავთვალა და შავქუდა ენაცვლება. აქაც ეს რეფრენი, როგორც თვითონ უწოდებს, ეპილოგის ორგანულ ნაწილს შეადგენს.

_ მთელი გამოკვლევა შეიძლება დაიწეროს ქართულ რეფრენზე. იგი უძველეს დროიდან მოდის ჩვენს ლირიულ პოეზიაში.

საილუსტრაციოდ შეგვიძლია დავიმოწმოთ აგრეთვე არქივში შემონახული ავტოგრაფი «შავთვალა და ჭრელთვალა», რომლის ქვესათაური ჯერ ყოფილა «ხალხური მოტივებიდან», შემდეგ _ «ხალხური ლექსი». ეს არის პოემის ბოლო სტრიქონების ვარიანტი. მეორე გვერდზე რუსული ლექსის ერთი სტროფი დაუმარცვლავს და ყოველი სტრიქონისათვის ქართული მიუწერია ასევე მარცვალ-მარცვალ, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ამ ხერხის ძირითად დანიშნულებას:

Я _ в са _ ду _ её _ ви _ дал,
ҺЕИ _ ҺЕИ _ ДА _ ҺРЕЛ _ ТВА _ ЛА,
С ней _ о _ звёз _ дах _ го _ во _ рил,
ҺЕИ_ ҺЕИ _ ДА _ ҺРЕЛ _ ҚУ _ ДА,
Пе _ сни _ сла _ дко _ на _ пе _ вал,

მსურ _ და _ შე _ მო _ მე _ თვა _ ლა,
А _ при _ знать _ ся _ ей _ за _ был.
რომ _ შენ _ მიყ _ ვარ _ ხარ _ მუ _ დამ.

ერთიც დავიმახსოვროთ: აღნიშნულ სასინჯ საზომს უპირატესად 1922-1925 წლებში იყენებდა. შეიძლება ეს მომენტი გამოდგეს «დიდედას სათვალების» დასათარიღებლად. ციტირებული ლექსებიც ამ წლებში უნდა იყოს დაწერილი.

სარეცენზიო შორისდებულებიანის პარალელურად ხელნაწერებში ხშირად გვხვდება ილიას ცნობილი სტრიქონები: ისინიც კამერტონის ფუნქციას ასრულებდნენ:

აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები.

ამავე მიზნით აიჩემა აგრეთვე პარიზის ციკლში:

ულევი, უანგარიშო,
შიშით და ჟრჟოლით ამტანი,
შენს არემარეს, პარიჟო,
აშუქებს კაფე-შანტანი.

შორისდებულებს ზედმეტად ტვირთავდა. შორისდებულებზე მთელ ლექსებს აწყობდა:

ჭინკამ სტყორცნა ებგენს ქვა.
_ იმ ებგენმა რაღა სთქვა?
_ არ-რა! იდგა, როგორც ხე.
_ როგორც ხეო? ხე-ხე-ხე.
_ კიდევ მიაყოლეს მას.
_ კიდევ არ იღებდა ხმას?
_ ხმასო? იდგა, როგორც თხა.
_ ხა-ხა-ხა-ხა, ხა-ხა-ხა!
_ ხე-ხე-ხე-ხე, ხი-ხი-ხი!
_ ასე ეკუთვნოდა, კი!
_ არც არა სთქვა და არც ჰო.
_ ხე-ხე-ხე-ხე, ხო-ხო-ხო!
_ არც აზრი აქვს, არცა ფხა.
_ ხა-ხა-ხა-ხა! ხა-ხა-ხა!
_ იმას კი დაადგა დღე.
_ ხა-ხა-ხა-ხა! ხე-ხე-ხე!
_ ქვე-ჭი, ქვე მითხარი, ქვე,
ის კაცია თუ ბრმა ტყვე?
_ მაგრე, ძმაო, რატომ სჯი...
_ ქვე-ჭი, ქვე წამომცდა, ჭი!

რაჭველებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა. 1956 წლის 25 მარტს ერთმარცვალა რითმაზე აუწყვია _ «ქვე, ქვე»:

ადიოდა ზე
მშვენიერი ტყე,
შენ იყავი მზე,

მე ვიყავი ტყვე.
შენ სთქვი: ჭი, ჭი, ჭი,
მე ვსთქვი: ქვე, ქვე, ქვე,
და... მოჰყვები, კი _
რაც არ უნდა ჰყვე.

შემდეგ ნასვამს მიუწერია:

რაჭუნიკებო, არ გეწყინოთ ეს,
ხასიათზე ვარ ამნაირზე დღეს.
წინად ერისთავებს მსახურებდით თქვენ,
შემდეგ ბერიამ დაგხიათ ქვე, ქვე.
დროა წახვიდეთ ზე, ზე, ზე, ზე, ზე,
თორემ მთხლეები დაგესხმით თავზე.

1957 წლის 10 ნოემბერს ჩვენი რჩეულისათვის ახლადგადაბეჭდილი მერვე ტომის მასალები დაულაგებია და შემდეგ ორი ორსტროფიანი დაუწერია ექსპრომტად. არ მოსწონებია და ბოლოში მიუწერია:

ვითომ ესეც ლექსებია რაღა!
ხა-ხა-ხა-ხა, ხა-ხა-ხა-ხა, ხა-ხა!

გვეხუმრებოდა კიდეც:

ხვალ, ხვალ ხვალ,
ვიდრე ხვალ?
ხა, ხა, ხა,
რა ხახა _
ხო, ხო, ხუ!

დღიურები და ჩანაწერები სავსეა შორისდებულებით:

ხა, ხა, (Благодаря) ხა, ხა, ხა!
ბალაკატარია.

ერთგან ამგვარი ხანებით ტოლფერდა სამკუთხედი შეუდგენია:

ხა!
ხა! ხა!
ხა! ხა! ხა!
ხა! ხა! ხა! ხა!
ხა! ხა! ხა! ხა! ხა!
ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა!
ხა! ხა! ხა! ხა! ხა!
ხა! ხა! ხა! ხა!
ხა! ხა! ხა!
ხა! ხა!
ხა!

სხვაგან სამი ხმოვნისა და უკანასკნელი ასონიშნის ვარიაციებით ექვსი სტრიქონი შეუვსია: სიმეტრია არც აქ დაურღვევია და უცნაური რიტმი შემოუთავაზებია: 17-9-17-9-17-9 (თუმცა ბოლო სტრიქონი შუა გზაზე მიუტოვებია და საერთო თანაზომიერების ვარაუდით შევავსეთ):

ო, ოჰ, ოჰო, ოჰოჰო, ოო, ოოო, ოოჰ, ოოოჰ,
ჰო, ჰოო, ჰოჰო, ჰოჰოჰო, ჰოჰ,
ი, იჰ, იჰი, იჰიჰი, იი, იიი, ییჰ, ییییჰ,
ჰი, ჰიი, ჰიჰი, ჰიჰიჰი, ჰიჰ,
ა, აჰ, აჰა, აჰაჰა, აა, ااا, ااااჰ, ااااااჰ,
ჰა, ჰაა, ჰაჰა, ჰაჰაჰა, ჰაჰ.

ახლებსაც პოულობდა: ახავაი! ჰევუი! ჰიყ, ჰიყ!

1924 წელს ოთხკაციანი სუფრა დაუხატავს და დაუსათაურე-ბია _ «ყანწელები სლოკინით»:

_ ეს ღმერთმა გაუმარჯოს... იყ... ჩვენს არჩილ მიქაძეს... იყ... და ბესარიონ ლომინაძესაც... იყ...

შეიძლება ეს შორისდებული ძველმა ქართულმა შთააგონა:

_ არაყი არაბულად ოფლს ჰქვიან, ვინაიდან იგიცა ქვაბისა ოფლი არს, ხოლო ქართულად არაყსა სახელად იყი ეწოდების (საბა).

შორისდებული ფორმაუცვლელი სიტყვაა და ემოციას გამოხატავს, შვებას გაგრძნობინებს, გულს მოგაოხებინებს. ერთმარცვლოვანია ან რამდენიმემარცვლოვანი. პოეტის ლექსიკაში კი, როგორც ჩვენი აპოლოგიის მკითხველიც შეამჩნევდა, უმეტესად უნდობლობის გამომხატველი უხმოვნო სჭარბობს, თანაც ორმაგი და სამმაგი და ოთხმაგი და ხუთმაგიც: ჰმ! ჰმ! ჰმ! ჰმ! ჰმ! ეს დახშული თანხმოვნების წყვილები კიდევ უფრო ამძაფრებდნენ და აეჭვებდნენ ისედაც დაეჭვებულ სულს. წარმოსათქმელადაც ძნელია, მაგრამ წერის დროს ზუსტად შეესაბამება დაბოღმილ განწყობილებას. ირონიასაც გამოხატავდა:

_ გადმომიგდებენ ხოლმე ანკესს, მეც თითქო განგებ წამოვეგები ზედ... მთავარი ხაზი ჩემი, მე ვიცი, მათთვის უცნობია (ჰმ)... როგორ სცდებიან, როცა ფიქრობენ, რომ მე არა ვიცი რა... დადგება დრო, როცა ვიტყვი: «მე დავუკრავ, შენ კი იცეკვე!».

ეს ჩაკეტილი წყვილი თითქმის ყოველ დღიურში, თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვეღობება წინ:

_ საგულისხმო დიალოგია მეორე ოთახში! ჰმ! რას იზამ? რას იზამ?

_ დეევმა რომ დაინახა ფეხით ძლივს დავდიოდი, მითხრა წყალტუბოში უნდა წახვიდეო. მე ოთხჯერ ვარ ნამყოფი წყალტუბოშიო. ჰმ! ჰმ! ჰმ!

_ ჩემი სახელობის სალიტერატურო წრის ბიბლიოთეკის გამგე ქალი _ იქცევა... ძალიან... ძალიან... ძალიან _ ჰმ!

_ ნეტა რას შვება სანჩო-პანჩო? მგონი აფლავებს საქმეს. ჰმ! შევიხედოთ აკადემიაშიც... ჰმ!.. მოვლენ შენთანო. არავინ არ მოდის. აქ სხვა საქმეა. დიტუ! დეიკარგონ იქით...

_ ჰმ... ავად გაგხდიან, თუ მაგრად არ დაიჭირე თავი!

და ბოლომდე ასე მიაცილებს მთელი სიცოცხლის გზაზე, როგორც განუშორებელი დემონი, როგორც ზუსტი და ლაკონური სათაური მისი ცხოვრების დაუწერელი წიგნისა: ჰმ!

წითელი, ცისფერი, შავი

1925 წლის «მნათობის» მეათე ნომერში, ასი ლექსის ციკლში, პირველად გამოქვეყნდა «ორად გაიპო წითელი კლდე». იმავე სახით შევიდა 1927 წლის ზარნიშიან წიგნში. იგივე ტექსტი გაიმეორა თორმეტტომეულის მეორე ტომმა 1966 წელს. სამივე შემთხვევაში ლექსი იმდენად დამახიჯებულია, გეგონება: ავტორს არც ჟურნალის კორექტურა წაუკითხავს და არც წიგნისა.

არსებობს ლექსის სამი სრულყოფილი ავტოგრაფი. პირველის მიხედვით შეიძლება აშკარად ნაკლოვანი ტექსტის აღდგენა. მაგრამ უფრო შორს უნდა წავიდეთ: ორი ავტოგრაფი თანმიმდევრობითაა დაწერილი ერთ ფურცელზე, მესამე _ ცალკე. სამივე ლურჯი მელნითაა ნაწერი, ოღონდ შემდეგ წითელი მელნით გვერდიდან არაბულად დაუნომრავს სამივე, მწვანე მელნით კი უსწორებია და მეორესა და მესამეს დასაწყისში ერთი და იგივე სიტყვა ჩაუმატებია: შემდეგ. ჩვენი ვარაუდით, ეს სამი ხელნაწერი ერთი ლექსია და არა სამი ვარიანტი. მსგავსი სალექსო მოდელის სიუჟეტური ვარიაციებისა და სამი ფერის შენაცვლება საინტერესო ეფექტს ქმნის და მეტ შინაარსობრივ დატვირთვას ანიჭებს ლექსს. ჩვენს ვარაუდს გვიანდელი ავტორისეული ნუმერაცია და ჩასწორებაც ეთანხმება და მესამე ნაწილის ბოლო სტრიქონიც, რომელიც გამოყოფილია, როგორც სამი მიკროსიუჟეტის განუმეორებელი რეფრენი. შეიძლებოდა დამატებით ერთი არგუმენტიც დაგვემოწმებინა: არცერთ ავტოგრაფს სათაური არ გააჩნია, არც ძველია გამეორებული, რადგან იგი სამფეროვან ტრიადას უკვე აღარ შეესაბამება.

შეგვიძლია შემოკლებული სათაური აღვადგინოთ _ «ორად გაიპო...» _ და პოეტის თხზულებათა სრული კრებულის მომავალ შემდგენლებს ვარიანტის უფლებით მაინც შევთავაზოთ ფერადი:

ორად გაიპო წითელი კლდე, ავარდა რაში,
წითელი რაში, წითელი გზით, წითელ უნაგრით.
წითელი ალით გაედევნა კაცი მირაჟი,
ის, შემოსილი გრძელი თმების წითელი ძაგრით,
მოახტა მერანს, გაიარა შარა წითელი,
აჰა, გამოჩნდა ზღვა წითელი, როგორც მარჯანი,
შუა გააპო წითელი ზღვა მოავიტელი,
ჩაჰყო მის გულში სისხლისფერი ხის ყავარჯენი,
შემდეგ სიცილით ამოიღო წითელი გველი
და წითელ გზაზე გადაშხვართა უზარმაზარი.
ციდან წვეთწვეთად მოდიოდა შხამები მწველი
და მძლავრდებოდა დედამიწის ოხვრა საზარი.

შემდეგ გაიპო ცისფერი კლდე, გამოჩნდა რაში,
ცისფერი რაში, ცისფერი გზით, ცისფერ უნაგრით.
ცისფერი ალით გაედევნა ლურჯი რიჟრაჟი,
ლურჯი ხელებით, ლურჯი ღვინით, ლურჯი მინანქრით.
მოახტა მერანს, გაიარა შარა ცისფერი,
აჰა, გამოჩნდა ცისფერი ზღვის ლურჯი ფარჩანი,
შუა გააპო ცისფერი ზღვა, როგორც სიზმარი,
ჩაჰყო მის გულში ლილისფერი ხის ყავარჯენი,

შემდეგ სიცილით ამოიღო ცისფერი გველი
და ცისფერ ცაზე გადაწვართა უზარმაზარი.
ცას სილაჟვარდე ედებოდა ცივი და ნელი
და ლურჯდებოდა დედამიწა, როგორც ტაძარი.

შემდეგ შავი კლდე გაიბზარა: ავარდა რაში.
შავი მირაჟი, შავ ფაფარით _ შავი უნაგრით,
შავი თვალებით გაედევნა შავ კამარაში,
დაუშვით ფარდა! გზა ჩაკეტეთ! ცეცხლი ჩააქრეთ!
მოახტა მერანს, გაიარა რა შავი შარა,
აჰა, გამოჩნდა: შავი ზღვაა სხვა დანარჩენი.
შუა გააპო მან შავი ზღვა და ააჩქარა,
ჩაჰყო მის გულში ღამისფერი ხის ყავარჯენი,
შემდეგ სიცილით ამოიღო მან შავი გველი
და შავსა ცაზე გააწვინა ვით შავი ცქერა.
იყო დუმილი ქვეყანაზე ცივი და ძნელი...

ეს იყო მხოლოდ მოჩვენება და ეფემერა.

მაგიური პოეზიის ერთმა ნიმუშმა («თვალნაკრავისა») ამ ლექსის პირველწყაროსაკენ მიგვანიშნა:

_ გასკდა წითელი კლდე, გამოვიდა წითელი კაცი, გამოჰყვა წითელი ტანისამოსი, გამოჰყვა წითელი ცხენი, წითელი ლაგამ-უნაგირი დაადგა წითელ ცხენსა, ჩევიდა წითელ წყალსა. ჩაჰკრა ფორჩხი, ამოიღო წითელი გველი. ამოჰყვა წითელი რცემლი, გადააკრა ლიპის ქვაზედ. ისეცა დნება, ისეცა ჭკნება თქვენი ავი თვალით შემხედავი.

ხოლო მეორე ფოლკლორულმა წყარომ საბოლოოდ დაგვიდასტურა: სამი ფერის სიმბოლიკაც ხალხურიდან მომდინარეობს, თუმცა იქ შავი, თეთრი და წითელი დომინირებს, აქ კი თეთრი ცისფერმა შეცვალა. აგერ ახლახან ქვემო იმერეთში ჩაწერილი «ნათვალევის შელოცვა» შეეძლო თავისი «ხავერდის დედიკოსაგან» მოესმინა:

_ გასკდა შავი კლდე, გამევიდა შავი კაცი შავი ცხენით, შავი იარაღით, წავიდა შავსა ზღვასა, ჩაუყო შავი ხელი, ამოიღო შავი გველი, გადაკრა შავსა ქვასა, _ ისემც კვდება, ისემც გჯება შენი ავი თვალით შემხედვარე!

_ გასკდა წითელი კლდე, გამევიდა წითელი კაცი წითელი თოფ-იარაღით, წავიდა წითელსა ზღვასა, ჩაუყო წითელი ხელი, ამოიღო წითელი გველი, გადაკრა წითელსა სიპსა ქვასა, _ ისემც კვდება, ისემც გჯება შენი ავი თვალით შემხედვარე!

_ გასკდა თეთრი კლდე, გამევიდა თეთრი კაცი თეთრი ცხენით, თეთრი იარაღით, წავიდა თეთრსა ზღვასა, ჩაუყო თეთრი ხელი, ამოიღო თეთრი გველი, გადაკრა თეთრსა სიპსა ქვასა, _ ისემც კვდება, ისემც გჯება შენი ავი თვალით შემხედვარე!

როგორც გაუწყეთ, ლურჯი მელნით ნაწერი _ წითელი მელნით დანომრა და მწვანეთი ასწორა. ამ სამი ფერის შეხამებაც შემთხვევითი არ უნდა იყოს. ადრეც მოგახსენეთ: ფერად ლექსებს წერდა თუ ხატავდა, ფერად სტრიქონებსა და ფერად სიტყვებსაც კი. მაგრამ ვიზუალური მომენტი მხოლოდ ავსებს აზრობრივს და პოლიგრაფიაში გადატანა

თითქმის შეუძლებელია, თუმცა არაა გამორიცხული და ცხადია, ასეც ჰქონდა განზრახული. მთავარი მაინც «ფერისა და ფერვალის» თავისებური შეგრძნება და ამეტყველებაა: პოეტმა თითქოს თვალი აუხილა ძირითადი და მარტივი ფერებით მოწყენილ ქართველ მკითხველს, თითქოს ერთფეროვნების დალტონიზმისაგან განკურნა და ახალი საღებავები, ახალი ხაზები და ჩრდილები, ახალი ტონები და ნახევარტონები აღმოუჩინა. მაგრამ ასეთი ჰარმონიული ფერწერა ხანგრძლივი ანალიტიკური კვლევის ღირსია...

ერთი კი დაბეჯითებით უნდა ითქვას: ზოგიერთი მისი მეტაფორა თითქმის ნახატია, თითქმის ფერ-წერაა, ამ კომპოზიტის პირდაპირი მნიშვნელობით.

მარკ შაგალმაც თქვა ერთხელ: ჩემი ტილოები _ ლექსებიაო.

ათოვდა ზამთრის სასახლის ბაღებს

1927 წლის კრებულში დაიბეჭდა პირველად «ჭორები» და «იხდება ფარდა». თორმეტტომეულის შემდგენლებმა ეს ორი ლექსი ავტოგრაფის საფუძველზე გააერთიანეს საერთო სათაურის ქვეშ _ «გარდაიცვალა სარა ბერნარი». მეორე ტომში მერვე სტროფი ასე იკითხება:

რა ფერებია! გრძნობათ სეირად
და ისე, როგორც მწვანე სურათებს
ხატავს დჟორდანო და რიგეირა:
მწვანე ფერების კორიანტელი.

უხერხული _ «გრძნობათ სეირად», გამეორებული _ «მწვანე», და გაუმართავი მეორე-მეოთხე სტრიქონები აღნიშნულ სტროფს აშკარა დაუმუშავებლის ელფერს აძლევს. 1927 წელს ასე დაიბეჭდა:

რა ფერებია! თვალთა სეირად
ათასნაირი ელავს კანდელი,
ხატავს დჟორდანო და რიშეირა:
მწვანე ფერების კორიანტელი.

რა თქმა უნდა, შემდეგ პუბლიკაციებში უპირატესობა ავტორის ნებით გამოქვეყნებულ ამ სრულყოფილ ვარიანტს უნდა მიენიჭოს.

არც ორი ლექსის გაერთიანება შეიძლება გავამართლოთ: მართალია, ერთადერთ ადრეულ ვარიანტში განუყოფელია, მაგრამ შემდეგ გაჰყო და ისე დაბეჭდა, მეორე კი დამოუკიდებლადაც შეიტანა პირველ ტომში. ნუ შეგვაშინებს დასაწყისი: «მაგრამ იწყება. ასწიეს ფარდა»... შუადან დაწყება შეგნებული ხერხია: «მაგრამ მე რა ვქნა, მე, ვისაც სული მაქვს დაწეწილი მწარე ქარებით»... არც რუსთაველი იწყებს პირდაპირ, თუმცა დასაბამიდან იწყებს: «რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...»

ანგარიში უნდა გაეწიოს ავტორის საბოლოო ნებას და შემოქმედებით პრინციპს: კონკრეტულიდან _ ზოგადისაკენ: ხშირად დაწერის უშუალო საბაბს ლექსში აღარ ტოვებდა. სრულიად მოულოდნელი მოვლენების შთაგონებით ქმნიდა ლირიკულ შედევრებს და როდესაც მიუთითებდა, ისეთ ფაქტებს ასახელებდა, შეიძლება გაგაოცოთ კიდეც:

_ «როგორ ებრძოდენ ზარებს ზარები» დაწერილია მოსკოვის მოსახლეობის აღწერით გამოწვეული შთაბეჭდილების ქვეშ.

ამ თვალსაზრისით შეადარეთ ერთმანეთს: «ათოვდა ზამთრის ბაღებს» და «ათოვდა ზამთრის სასახლის ბაღებს».

გალაკტიონის შედევრებში ადამიანური ტკივილები ისეა გა-ზე-ადამიანურებული, რომ უმაღლესი პოეზიის განცდა ხელს გვიშლის სტრიქონებს შორის პოეტის უშუალო განწყობილებანი ამოვიკითხოთ და რეალურ ფაქტებს დავუკავშიროთ.

ასეთი ტენდენცია მაღალი ხელოვნების ნიშანია საერთოდ და ესეც ანალოგიური შემთხვევებია. ასეთ შემთხვევაში კი ძნელია კვალს გაჰყვეთ და პირველწყაროს მიაგნოთ. თვითონ აღიარებს:

_ მხოლოდ ხანდახან არის შესაძლებელი ბიოგრაფიული ხაზებიდან პოეზიის საფუძვლების ძიება. მე პირადად პოეზია მესმის, როგორც სხვა, არაჩვეულებრივი, სხვანაირი ცხოვრება. ბიოგრაფიიდან პოეზიის მიგნების ძიება ძველი მეთოდია, თუმცა არა... ხშირია ასეთი მეთოდები ეხლაც. ცხოვრება ყოველთვის დიდ მასალას აძლევს პოეტს.

ოციანი წლების დასაწყისამდე გალაკტიონის ლექსებში და ლექსიკაში და ლექსიკონში სიტყვა _ «ეფემერა» არ ჩანს, და უეცრად _ მთელი ციკლი შედევრებისა!

_ ჩემზე ჯეკ ლონდონმა მოახდინა უდიდესი გავლენა. «მარტინ იდენი» და «ზღვის მგელი» _ შესანიშნავი მოთხრობებია. «ცხენთა შეჯიბრებაზე» მისი გავლენით მაქვს დაწერილი:

მარტინ იდენის მეგობარმა როს ბრისენდენმა დაწერა გენიალური პოემა და დაარქვა «ეფემერა»:

_ ადამიანი უკანასკნელი ეფემერათაგანია, გაცოცხლებული მატერია, ქმნილება ტემპერატურის, რომელიც თერმომეტრის შკალაზე დაეძებს თავშესაფარს. აქ გამოიხატა ადამიანი და უკანასკნელ საზღვართა სულიერი ძებნა, გამოზომვა სივრცეთა უფსკრულებისა და მიახლოვება უშორეს მზეებთან. ეს იყო გიჟური ორგია მომაკვდავის წარმოსახვისა, ორგია, რომელიც ძლივს იკავებდა ქვითინს და სულს ღაფავდა. პოემის უდიდებულეს რითმებში ისმოდა პლანეტათა შეჯახება, ჭიდილი ვარსკვლავთა ლეგიონებისა, ჭახანი გაცივებული მზეებისა. დანისლულ წყვდიადში ელავდნენ ცეცხლოვანი ღრუბლები, _ და ამ კოსმიურ ქაოსში და მეტეორთა მსხვრევის კივილში ძლივს გაისმის საცოდავი კნავილი ადამიანისა, _ და ეს კნავილი განწირული ადამიანისა, რომელიც ამაოდ ცდილობს მიუწვდომელის მიწვდომას, ჰგავს მომაკვდავი კოღოს წივილს _ არეულს სპილოების ბღავილსა და ლომების ღრიალში. ეს ჭეშმარიტებაა _ შეშლილობამდე მისული. ეს გენიაა. ესაა მისი გედის სიმღერა.

ვიდრე «ეფემერა» დაიბეჭდებოდა, როს ბრისენდენმა თავი მოიკლა ისევე, როგორც მარტინ იდენმა, მარტინ იდენმაც თავი მოიკლა ისევე, როგორც ჯეკ ლონდონმა, ჯეკ ლონდონმაც თავი მოიკლა ისევე, როგორც გალაკტიონ ტაბიძემ, გალაკტიონ ტაბიძემაც თავი მოიკლა ისევე, როგორც როს ბრისენდენმა, _ და შეიკრა თანამზრახველთა ეფემერიადა:

ცაში ილულება მთები ხილულები,
თრთიან პლანეტების ეფემერიდები.

ოქრო ტალახშიაც ოქროა

თარგმანი არასოდეს გამოუქვეყნებია.

_ ოლოლ, ვთარგმნი ედ. პოს «ყორანს».

_ ჰომეროსის «ოდისეი» მესამედი გადავთარგმნე და ჯერჯერობით მიტოვებული მაქვს:

მიამბე, მუზა, იმ ჭირნახულ ადამიანზე,
რომელიც ტროას დანგრევის შემდეგ
ხანგრძლივად და ბევრს მოგზაურობს...

«ყორანიც» მიატოვა. ფარატინა ფურცელზე შემორჩენილი პირველი სტრიქონებიღა დაგვიტოვა საჭაშნიკოდ (არადა, კარგი პირი უჩანს!):

გარემოცულს მძიმე შხამით, მიმერულა ერთხელ ღამით
ფოლიანტზე, რომლის აზრი ნისლით იყო დანაფერი,
ვთვლემდი, თვლემდა ჩემი ბინა: უცებ კართან დაიგმინა
ვიღაც უცხომ...

რითმებიც დარჩა ცალკე მომარჯვებული:

_ არაფერი _ ანაფერი _ შაფერი _ დანაბერი _ ანაბარი _ დანაფარი _ დაიფარა ფერი. არასოდეს _ არა სოდეს _ დარაზოდეს _ და რა სცოდეს _ არ ათოდეს _ არ ასოდეს _ შარას ოდეს _ დაფასოდეს _ დღეის ამას ოდეს _ არ დასწოდეს _ გადასოდეს _ მამაწოდეს _ არ მახსოვდეს _ დანაზოდეს.

მოთხრობის თარგმნაც დაუწყია ედგარისა _ «გული მამხილებელი»:

_ დიახ! მე ძალიან ნერვებ-აშლილი ვარ, მაგრამ რად გინდათ თქვენ, დაამტკიცოთ, რომ მე შეშლილი ვარ? ავადმყოფობამ გაამწვავა ჩემი გრძნობები, მაგრამ სრულიადაც არ დაუსუსტებია იგი, სრულიადაც არ დაუჩლუნგებია უპირველეს ყოვლისა გრძნობა სმენისა...

რაც მოსწონდა და აინტერესებდა, ყველაფრის გადმოქართულება სწადდა. იწყებდა კიდეც, მაგრამ ვერ აგრძელებდა და ვეღარ ამთავრებდა. ფ. ნიცშეს «ვაგნერიანობის საკითხის» გარდა _ სხვადასხვა დროს უთარგმნია რუდოლფ შტაინერის «ხელოვნებათა საფუძვლების» პირველი ხუთი გვერდი, აგრეთვე ერთი გვერდი ოსვალდ შპენგლერის «ფილოსოფია ლირიკისა» და ასეთი შეკითხვაც დაუსვამს:

_ ლირიკის ფილოსოფია. ლირიკის ფილოსოფია შესაძლებელია?

ოციან წლებში ვრცელი ანკეტა შეუვსია. შეკითხვაზე _ ვინ შეგასწავლათ წერა-კითხვა? _ პასუხობს: დედამ: მეორე შეკითხვა-ზე _ რომელ პერიოდულ გამოცემებში გითანამშრომლიათ? _ მაგას ვინ დათვლის. დაბოლოს შეკითხვაზე _ ჩამოთვალეთ მწერლები, რომელთა ნაწარმოებებიც გითარგმნიათ, _ ასახელებს: ედგარ პო, ბოდლერი, ვერლენი, ტეოფილ გოტიე, ლაფორგი, ვერხარნი.

ამათ გარდა ლექსებში გაბნეული, გამოყენებული, გარდასახული, გადმოქართულებული, მოხსენებული ან ნაგულისხმევია აგრეთვე: გოეთე, მიუსე, ჰიუგო, ბაირონი, შელი, პუშკინი, ლერმონტოვი, ბალმონტი, ბლოკი, მაიაკოვსკი...

თითქოს თარგმანის ზღვარზე ვერ ჩერდებოდა, თავს ვეღარ იკავებდა. გენიის შთაგონებას ყველაფერი პოეზიის უმაღლეს ხარისხში აჰყავდა: თვით პოეზიაც კი!

გენიოსებს მეტი ძალმოსილებაცა აქვთ და მეტის უფლებაც. გენიოსებისათვის კანონი არ იწერება, გენიოსები თვითონ ქმნიან კანონებს და «კანონს არღვევს ის, ვინც კარგად იცის კანონი» (მიხეილ თუმანიშვილი).

_ ხელოვნებაში არსებობს წესები და არ არსებობს კანონები. წესები უნდა იცოდე და კანონები შეიძლება დაარღვიო. შემოქმედი ხშირად არღვევს კანონებს, მაგრამ ყოველთვის იცავს წესებს. _ ამბობს ჯორჯ ბალანჩინი და დასძენს: _ გენიოსი, საიდანაც მოესურვება, იქიდან იღებს.

ყოველგვარი ხელოვნება მიბაძვაა ბოლოს და ბოლოს. მთავარია, როგორ დაფარავ მიბაძვის კვალს. ზოგიერთები ამას ნაწილობრივ ახერხებენ, გენიოსები _ აბსოლუტურად ან თითქმის აბსოლუტურად.

_ ცუდ მიმბაძველობაზე საზიზღარი არრა არის რა.

_ ქართული პოეზია ისე ბაძავს რუსულ პოეზიას, როგორც ამას წინად ტფილისში ჩამოყვანილი მაიმუნი ტეკო ბაძავდა მის გამწვრთნელს რომელიღაც დუროვს.

ვინ არ იცის:

ო, ძვირფასო! ჯვარზე მაგეს, გაქრა გიჟი ოცნება.
ვკოცნი, ვკოცნი, მე შენ ბაგეს, მაგრამ რა მეკოცნება.

ანდა:

წყარო ხევში ვალალებს, გაჰქრა გიჟი ოცნება,
ვკოცნი მე შენს დალალებს, მაგრამ რა მეკოცნება?

და

შენი პატარა როდესაც ვნახე, ვსცან დამსხვრეული ჩემი ოცნება,
და მის მოღიმარ, მამის მსგავს სახეს ვაკოცე, თუმცა რა მეკოცნება! _

ეს კი ბაირონიაო, _ ამაოდ გვარწმუნებს მთარგმნელი და შეიძლება გულუბრყვილო მკითხველი დააჯეროს კიდეც.

_ მთლად ჩემი რითმებითაა და ჩემი წყობით, _ შენიშნავს თვითონ.

_ მთარგმნელები საზოგადოდ ხშირად სარგებლობდნენ ჩემი რიტმითა და რითმებით.

_ ყველაზე უფრო ჩემს დიდ გავლენას ვგრძნობ მაშინ, როდესაც რუსეთის ან ევროპის კლასიკოსების ქართულ თარგმანებს ვკითხულობ.

_ ჩემი გავლენა მთარგმნელებზე: ოქრო ტალახშიაც ოქროა.

აქვე, ალბათ, აკაკიც არ უნდა დავივიწყოთ:

გაჰქრენ ჟამნი ოცნების...
ბაგეთ არ ეკოცნების.

ხოლო რაკი ეს ინტერმედია თარგმანზე საუბრით დავიწყეთ, ჩვენი საუკუნის გერმანელი ექსპრესიონისტის იაკობ ვან ხოდისის გამოუქვეყნებელი ორი სტროფით დავასრულოთ:

ღრუბლები აგავს მაგიდის თეთრეულს,
კვამლის ხრჩოლაა, ქარს არ იკარებს, _
ერიდებიან რა ღმერთს შეთრეულს,
ანგელოსები მორიდებით სწევენ სიგარებს.
სერაფიმებმა მოიწვიეს სტუმრად ეშმაკი,
ამ ორში იგი მიუწვება ღამით ერთ მათგანს,
თუთუნის ბოლი ცხრა ცაზე წევს როგორც სიშმაგე,
მსუქან ცოდვილებს ცოცხლივ ხრაკვენ ცეცხლზე ვით ბატკანს...

ნეტარებათა ბაღნარი

1916 წელს ოლია და გალაკტიონი პირველად ესტუმრენ მოსკოვს.

გალაკტიონი უკვე ამზადებდა მეორე წიგნის ციკლს, რომლის სათაურიც ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოფიქრებული.

_ ვწერ ძალიან ბევრს. _ შეატყობინა ძმას 9 ოქტომბერს.

17 ნოემბერს კი დააზუსტა:

_ უკვე მზადა მაქვს მეორე წიგნი, რომლითაც ყალყზე დავაყენებ მთელ საქართველოს.

(ისემც ყველაფერი კარგად აგიხდეთ!).

ამავე წერილში სხვათაშორის აღნიშნა:

_ ვიყავი სამხატვრო თეატრში (ჩეხოვის თეატრი). ვნახე აქაური საუკეთესო მსახიობი ქალი კნიპერი (ჩეხოვის ცოლი). უკეთეს თეატრს ვერ ნახავს კაცის თვალი. არსად ისე მხატვრულად და მომხიბლავად არ სდგამენ პიესებს _ როგორც აქ.

გალაკტიონის მიერ მოწონებული მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეპერტუარში დიდი წარმატება მოიპოვა მორის მეტერლინკის პიესა-ზღაპარმა «ლურჯი ფრინველი», რომელიც მთელი საუკუნე არ ჩამოსულა სცენიდან. იგი 1908 წელს დაიწერა და იმავე წელიწადს დადგა სტანისლავსკიმ, რომელსაც საქვეყნოდ აღიარებულმა დრამატურგმა პირველი დადგმის უფლება მიანიჭა.

მეტერლინკის სახელსა და პიესებს გალაკტიონი ალბათ უკვე იცნობდა ქუთაისისა და თბილისის სცენებიდან. «ლურჯი ფრინველი» კი მხოლოდ მოსკოვში შეეძლო ენახა. და თუმცა არც ფეერიას და არც მის ავტორს ახსენებს, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სამხატვრო თეატრის «ლურჯი ფრინველის» წარმოდგენას გალაკტიონი დაესწრო. ასეთი განცხადების უფლებას გვაძლევს პოეტის სამსტროფიანი შედევრი, რომელიც იმ დღეებში დაიწერა და მეორე წიგნში შევიდა.

მორის მეტერლინკის ექვსმოქმედებიანი პიესა თორმეტ სურათს წარმოგვიდგენს. აქ ადამიანებთან ერთად მოქმედებენ ცხოველები, კონკრეტული საგნები და აბსტრაქტული ცნებები. მეცხრე სურათს ეწოდება «ნეტარებათა ბაღნარი». მთავარი გმირები და-ძმა ტილტილი და მიტილი ლურჯ ფრინველს დაეძებენ და ნეტარებათა ბაღნარში აღმოჩნდებიან. ერთ-ერთი ნეტარება სტუმრებს აცნობს და უხასიათებს სხვადასხვა ნეტარებებს. ბოლოს ეტყვის: თქვენი მოსვლის შესახებ ცის კარიბჭესთან დიად სიხარულებს უნდა შევატყობინოო, და მათთან აგზავნის ყველაზე მკვირცხლ ნეტარებას, რომელსაც ჰქვია _ ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა სირბილის ნეტარება.

ალბათ, გალაკტიონის შედევრის დასახელება აღარცაა საჭირო.

საჭირო კია დავძინოთ: ნეტარებათა შორის მოხსენიებულია აგრეთვე «ყველაზე მშვენიერი» _ ჩამავალი მზის ნეტარება, რომელმაც უმალ გაგვახსენა ამავე წიგნის «ჩამავალ მზეთა მელანქოლია» ანუ «ჩამავალ მზეთა მგლოვიარება» ანუ «როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი» და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, ვიდრე «ჩამავალ მზეთა უკანასკნელი და სისხლიანი გზა» არ «ჩაიშალა» და უკანასკნელად არ მოვკარით თვალი «ჩამავალ მზეს, ჩამავალს». ხოლო ამდენი ჩამავალი მზის ჩასვლის შემდეგ ჰორიზონტზე ერთხელ კიდევ გაიელვა სილუეტმა ფრანგი პოეტისა, რომელსაც ქართველი პოეტი ხშირად იგონებს, «როგორც დაღუპულ მამას».

ხშირად ვიგონებ ვერლენს

თორმეტტომეულის მეშვიდე ტომში პირველად გამოუქვეყნეს თარგმანები. რკალი იხსნება პოლ ვერლენის თორმეტი ლექსით. მათი გამოქვეყნება არ მიგვაჩნია გამართლებულად: ჯერ ერთი, ესაა დაუსათაურებელი და დაუსრულებელი თარგმანები (ეს შენიშვნა არა მარტო ვერლენს ეხება). მთავარი კი ის გახლავთ, რომ ამ თარგმანების მოტივებზე გალაკტიონმა დაწერა სრულიად ორიგინალური ლექსები და რაკი ისინი აღნიშნული ლირიკული ნაწარმოებების შთაგონების წყაროსა და პირვანდელ მონახაზებს წარმოადგენენ, შემდგენლებს შესაბამის ვარიანტებში უნდა გაეტანათ.

ვალდებულები ვართ აღვნიშნოთ: თორმეტტომეულის შენიშვნებში სამგზის მითითებულია კიდეც ამგვარ მსგავსებაზე. მაგრამ ეს ცოტაა: პოლ ვერლენის გამოძახილია არა მარტო «სიმების კვდომა», «სხვისი სისპეტაკე უფრო აგიჟებს» და «მეოცნებე მოსვენებაზე», _ არამედ აგრეთვე: «თბილისის ზეცა მოწამეა», «მთაწმინდის იქით», «უცნობი ქუჩის დასასრულთან», «მეტეხი იდგა რუხი, პიტალო», «როგორც კი დილა გათენდება», «მღელვარება», «გრძნობა, რომელიც დაკარგულია», «ჰაერი», «დაუმეგობრდა», «აწ კივილისთვის ირევიან», «ვით აფეთქება» და «როგორც სიზმარი», _ თხუთმეტი ათის მოტივებზე (ბოლო ორის კვალი არ ჩანს).

ამ მსგავსების გამო შემდგენლებმა თორმეტტომეულში არ შეიტანეს «სიმების კვდომა» და «მეოცნებე მოსვენებაზე». ვერ დავეთანხმებით: ჯერ ერთი, მათთვის ცნობილი _ «სხვისი სისპეტაკე უფრო აგიჟებს» რატომღა დატოვეს? და თუ ამ პრინციპს გავყვებით და გავაგრძელებთ, თხუთმეტივე უნდა ამოვიღოთ და თარგმნილებად გამოვაცხადოთ, რაც უხეში შეცდომა იქნებოდა. პირიქით, საჭიროა თარგმანები გადავიტანოთ ვარიანტებში და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

როგორც დავინახეთ, სათაურებიდანაც კი იგრძნობა, როგორ თავისუფლად მოეპყრო მოწონებულ და მონათესავე განცდებსა და განწყობილებებს. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ თარგმანები ორიგინალურებში მართლაც ორიგინალურადაა გათავისებული: ზოგან ორის თემა ერთშია ასახული, სხვაგან ერთის მოტივები რამდენიმე ლექსშია გადანაწილებული. კიდევ უფრო საინტერესო კი ერთი საოცარი კანონზომიერებაა, რომელიც Eშედარებისას გამოჩნდა.

ათი თარგმანი ორ თანაბარ ნაწილად დაუყვია: პირველი ხუთიც ოცდასამ სტროფს შეიცავს და მეორე ხუთიც. პირველი ხუთის ოცდასამი სტროფი ათ ლექსად გადმოუქართულებია, მეორე ხუთის ოცდასამი _ ხუთად, ოღონდ თარგმანისა და ორიგინალურის საზღვრები არასოდეს არ ემთხვევა ერთიმეორეს: პირველი და მეორე, მეორე და მესამე, მესამე და მეოთხე, მეოთხე და მეხუთე თარგმანების ბოლო და საწყისი სტროფები ერთმანეთს ერწყმიან და დამოუკიდებელ ლექსებს ქმნიან. ასევეა მეორე ხუთეულშიც. გარდამავალ ტაეპებს შორის დარჩენილი ფრაგმენტების ხარჯზე კი სხვა ორიგინალურებია მოჭრილი და მორგებული. ათივე თარგმანი მაქსიმალურადაა გამოყენებული. ყოველივე ეს უფრო თვალნათლივ ჩანს ჩვენს მიერ შედგენილ პარალელურ სქემაზე.

გასაოცარი შემთხვევაა: თითქოს ექსპერიმენტი ჩაატარა, თავისებური ხერხი გამოიყენა, რათა საწყის შთაბეჭდილებებს განშორებოდა და გაქცეოდა, კარტი აეჭრა და გავლენის კვალი წაეშალა. საკუთარი თავი შეამოწმა: მოერეოდა თუ არა, გაეჯიბრა და გაიშინაურა. ვერლენის ხილვები და განზომილებანი, სახეები და მეტაფორები

დაანაწევრა და განსხვავებული პოეტური განცდების შერწყმითა და შეჯვარებით _ ახალი განწყობილებანი შემოგვთავაზა. ერთხელ კიდევ შეცვალა და გაამძაფრა რიტმი: პირვანდელ წმინდა თოთხმეტმარცვლოვანს სტრიქონგამოშვებით ათმარცვლოვანი მოუნაცვლა.

არქივს რომ მისივე ხელით გარკვევით გადათეთრებული ეს ათი თარგმანი არ შემორჩენოდა და ათივეზე არ მიეწერა ავტორის სახელი და გვარი, ყოვლად წარმოუდგენელი იქნებოდა ორიგინალურ ლექსებში არაქართული კვალის შენიშვნა. თვითონ კი _ ათეული წლების მანძილზე _ თითქოს საგანგებოდ შემოგვინახა ასიმეტრიული გრადაციის ეს უტყუარი საბუთი, რათა ფრანგულ სიმბოლიზმთან მისი ურთიერთობით ტენდენციურად დაინტერესებული ოპონენტებისათვის სიკვდილის შემდეგ მაინც გაეცა საკადრისი პასუხი:

_ გალაკტიონმა ყველაზე უფრო პატიოსნად გაიარა გზა სიმვოლიზმისა.

არჩევანი სავსებით მოსალოდნელია: «ხშირად ვიგონებ ვერლენს, როგორც დაღუპულ მამას». ფრანგი «პოეტების მეფის» ცხოვრების წესსა და შემოქმედებით პრინციპებს ყველაზე მეტად ენათესავებოდა: ბოჰემა, ლოთი და ცინიკოსი, _ მაგრამ ბავშვი, უმწეო ბავშვი, დიდი ბავშვი. «შეუძლებელია განსაჯოთ იგი, როგორც საღად მოაზროვნე. მას აქვს იდეები, რომლებიც ჩვენ არ გაგვაჩნია, რადგან ჩვენზე ბევრად მეტიც იცის და გაცილებით ნაკლბიც. იგი შეუცნობელია და ამავე დროს ერთი იმათაგანი, რომლებიც საუკუნეში ერთხელ თუ მოგვევლინებიან. თქვენ ამტკიცებთ, რომ შეშლილია? მეც ასე ვფიქრობ. დიახ, შეშლილია. მაგრამ ფრთხილად, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ გიჟმა ახალი ხელოვნება შექმნა» (ანატოლ ფრანსი).

ვერლენის ლექსების ინტერპრეტაცია, ეტყობა, გარდამავალ საფეხურს და მოსამზადებელ პროცესს წარმოადგენდა. როგორც ირკვევა, იგი თავიდანვე ამ განზრახვით მომზადდა და არ იყო გამიზნული პუბლიკაციისთვის, რადგან ათივე თოთხმეტმარცვლოვანი ტაეპებითაა გაწყობილი, არაა დასათაურებული და ხშირად არ იცავს ორიგინალის სალექსო ზომას. მთავარი კი ის გახლავთ, რომ ეს თარგამანის თარგმანია: გალაკტიონმა თედორე სოლოგუბის თარგმნილები გადმოაქართულა. სოლოგუბის ვერლენმა თავის დროზე საერთო აღტაცება გამოიწვია: «ხორცშესხმული სასწაული» უწოდა 1908 წლის პირველ გამოცემას მაქსიმილიან ვოლოშინმა. გალაკტიონის ბიბლიოთეკაში ინახება 1923 წლის მეორე შევსებული გამოცემა, რომლის პირველი თერთმეტნახევარი ორი წლის შემდეგ ჯერ გადმოაქართულა თანამიმდევრობით, შემდეგ კი ამ თერთმეტნახევრის პირველი ათი ასევე თანამიმდევრობით ისე გააქართულა, შერჩევაც კი არ უცდია, რადგან მისთვის უცხოენოვანი ლექსებიც შთაგონების ისეთსავე წყაროს წარმოადგენდა, როგორც ჩვეულებრივი ყოფითი ფაქტები. ვერლენი _ სოლოგუბი _ ტაბიძე ამგვარი სამსაფეხურიანი ტრანსფორმაციის შედეგად მივიღეთ თხუთმეტი ორიგინალური. მათი დაწყვილება თარგმნილებთან იმითაცაა გამართლებული, რომ უკანასკნელთა მეშვეობით შესაძლებელია ორიგინალურ ტექსტებში გაპარული შეცდომების გასწორება.

შეგვიძლია თარგმნილი სავარჯიშოები თარიღების დასაზუსტებლადაც გამოვიყენოთ. ყველას ერთი თარიღი უზის: 1925. ზემოთ ნაგულისხმევი ლექსების უმეტესობა კი პირველი პუბლიკაციის მიხედვით დაათარიღეს: 1927 წლით. თვითონ ავტორმა სხვადასხვა დროს, გარკვეული მოსაზრებით, ზოგიერთებს სხვადასხვა წელი მიუწერა:

1916, 1917 და 1922. მაგრამ რაკი ყველა ეს თარგმანი ერთ ალბომშია მოთავსებული, ხოლო ლექსები ერთდროულად გამოქვეყნდა, _ ყველა 1925 წლით უნდა დათარიღდეს.

_ 1925 წელი უნდა იქნეს ჩემი.

გალაკტიონ ტაბიძე და ფრანგული პოეზია კი თავის მკვლევრს მოელის.

იქ, სადაც თოვლი შარშანწინდელი

ამავე მეშიდე ტომში დაიბეჭდა «წერილი», რომელშიც დასახელებულია პუშკინის გმირები და თანამედროვენი. დისონანსი შეაქვს მეათე სტრიქონში ჩამოთვლილ ფრანგულ სახელებს. ავტოგრაფმა დაგვიდასტურა: ეს არ გახლავთ ორიგინალური ლექსი. თავდაპირველად მას არც რუსულ თემატიკასთან ჰქონია რაიმე საერთო. იგი თარგმნილია მეთხუთმეტე საუკუნის გამოჩენილი ფრანგი პოეტის ფრანსუა ვიიონის «დიდი ანდერძიდან» და ეწოდება «ბალადა ძველ ქალბატონებზე». დიდი ფორმატის გაშლილ ორ გვერდზე მარჯვნივ ფანქრით წერია ცნობილი «ბოძთან ტრამვაის უცდიდა მგზავრი», რომელიც ნახევარ ფურცელს მთელ სიგრძეზე ავსებს და ასეთი სტროფით მთავრდება:

უფლება აქვს, რომ მკაცრ ბარიტონით, სორენტომ კვლავ რომ გახადა სადა,
სცენაზე დადგეს, როგორც ვიიონი და დაიმღეროს მისი ბალადა:

სტროფი ორი წერტილითაა დასრულებული, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამავე ფურცლის მარცხენა ნახევარზე ფანქრით დაწერილ ვიიონის ბალადას უნდა გაეგრძელებინა და დაესრულებინა ლექსი. მაგრამ, როგორც ჩანს, შემდეგ ბოლო სტროფი გადააკეთა, გამოიყენა ფრანგი პოეტის რეფრენი და ასე დაამთავრა:

უფლება აქვს, რომ შეხვდეს ძველ რუსეთს წლების სხვა წლებთან
გადამწინდველი.

იმის კითხვაზე: ის დრო სად არის _ თქვას: სადაც თოვლი შარშანწინდელი.

ვიიონის ბალადაში კი ეს რეფრენი ოთხივეგან მელნით გადაშალა, იმავე მელნით გაარუსულა ფრანგული სახელები (ოღონდ მეათე სტრიქონი გამორჩა) და სათაურიც წააწერა «წერილი».

არქივში აღმოჩნდა ბალადის პირვანდელი თარგმანიც. მართალია, იგი არაა დასრულებული, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ამ ორი ხელნაწერის შეჯერებით ვიიონის ბალადის გალაკტიონისეული თარგმანი აღვადგინოთ. ეს რესტავრირებული ტექსტი უნდა იყოს პირველი ცდა ფრანგი პოეტის გადმოქართულებისა:

მარქვით, სადაა რომის ასული, ფლორა ძვირფასი, მზის დასადარი?
სადაა ნაზი არქილლას სული, ანუ ტაიდა, მარქვით, სად არი?
ამწვანებული ტყის ბინადარი, ნისლით მარადის დაუბინდელი
და უზრუნველი ექო სად არი? იქ, სადაც თოვლი შარშანწინდელი!
სად, რომელ მხარეს არის წასული ელოიზასი ნორჩი ჭადარი,
აბელიარის ხანგადასული დღის მონასტერში გადამატარი?
ბურიდანისა მკაცრი ავდარი, მისი უღრმესი ჭით გამრინდელი,
ის დედოფალი ეხლა სად არი? იქ, სადაც თოვლი შარშანწინდელი!
სადაა ბლანკა, დასთა დასული, ჰანგთა მშვენიერთ შენაკადარი,

ალისა, ბიჩე, ბერტა დასული, მჩქეფარე, როგორც ნორჩი ჭადარი,
რწმენისთვის ცეცხლის ალში ნატარი, ის ძველი ქალი არაწინდელი _
ძვირფასი ჟანნა ეხლა სად არი? იქ, სადაც თოვლი შარშანწინდელი!
ჰოი, ბატონო! ასე, ამდარი, წლების სხვა წლებთან გადამწინდელი,
ყოველ სევდიან კითხვას _ სად არი? _
სდევს: სადაც თოვლი შარშანწინდელი!

შეგვიძლია დავუმატოთ: შარშანდელი თოვლის მეტაფორა გამოიყენა აგრეთვე გვიან ორსტროფიან უსათაურში: «რას ნიშნავს იყო ქართველი? ეს ნიშნავს პირველ ყოვლისა, მტრის გეშინოდს მომხდურის, ვით შარშანდელი თოვლისა...», ეტყობა მოსწონდა: ეგევე შედარება ერთხელ კიდევ შეგვხვდა ჩანაწერში, სადაც აკაკის მოლანდებას აღწერს: «მე კი ამათი იმდენი მეშინია, რამდენიც შარშანდელი თოვლისო».

კიდევ უნდა დავუმატოთ: ამავე მეშვიდე ტომის ერთსტროფიანი უსათაურო «მე დამესიზმრა მწარე სიზმარი» ბაირონის ვრცელი ლექსის («წყვდიადი») დასაწყისის თარგმანია.

ოციანი წლების რუსეთში პოპულარული იყო იმაჟინისტების ლიდერის ვადიმ შერშენევიჩის ლექსები, მათ შორის:

А мне бы только любви немножечко
И десятка два папирос.

ამ სტრიქონების გამოძახილია:

მე კი ვარჩევდი გზას უნაპიროს,
ცოტა სიყვარულს და ღერ პაპიროსს.

მარიეტა შაგინიანის წიგნში სტროფი მოსწონებია _ «Галка»:

Грудью к дереву припала, шелестят седые крылья:
Я пропала, я пропала, _ злобно каркнет в бессильи.

იქვე ჯერ პროზად უთარგმნია და მერე გაურითმავს:

ყორანს ცრემლით უმძიმს უპე _ როგორც შავი ყვავილი,
_ დავიღუპე, დავიღუპე, _ ისმის მისი ჩხავილი.

არსებობს საინტერესო ვარიანტი ლექსისა «წარწერა წიგნზე «მანონ ლესკო», რომელსაც შემოკლებული სათაური აქვს «წარწერა წიგნზე» და არსებობს აგრეთვე აბატი პრევოს გმირისადმი მიძღვნილი მიხეილ კუზმინის რონდო «Надпись на книге». გალაკტიონის რონდო გამარტივებულია და თავისუფალი, ხოლო ლექსის საბოლოო ვარიანტს უკვე აღარაფერი აქვს საერთო არც რუსი პოეტის ლექსთან და არც რონდოს ფორმასთან.

1956 წელს დაწერა ათმარცვლოვანი სონეტი _ «უბინაო პოეტის ხსოვნას». უკანა გვერდზე მიუწერია ივან ბუნინის «У птицы есть гнездо...». ცხადია, ამ ლექსმა მისცა ბიძგი, მაგრამ იქვე რომ არ მიეწერა, პირველი წყაროს მოკითხვისა და მიგნების არავითარი სურვილი არ გაუჩნდებოდა მკითხველს.

საერთოდ, როდესაც ორიგინალობაზე ვსაუბრობთ, არ უნდა ავჩქარდეთ: ვერლენის მაგალითმა დაგვარწმუნა, რომ სხვათა ლექსების მოტივებს თავისებურად იყენებდა (ამიტომაც არ აქვეყნებდა ალბათ თარგმანებს!). მისთვის ლიტერატურა _ პოეზია, პროზა, პიესა, პირადი წერილები, ადრესიც კი _ ისეთსავე ნედლ მასალას წარმოადგენდა,

როგორც ყოველდღიური ცხოვრების დეტალები, მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ფაქტები, ყურმოკრული ფრაზები:

_ კაცი მაშინ წერს კარგად, როცა კარგად კითხულობს.

ხოლო:

_ ვინც დამოუკიდებლად დაეძებს და არავისგან არაფერს სწავლობს, ეპიგონობაზე უარესი ხვედრი ელოდება: იგი თავის თავს ბაძავს (ენგრი).

ტენდენციური ოპონენტები ამაოდ დაეძებენ უცხო ხმებს: ყველგან გალაკტიონის ინტონაცია ჟღერს და ყოველთვის გალაკტიონის ხმა გაისმის:

_ ტალანტებს გავლენისა არ ეშინიათ (ანდრე ჟიდი).

ჩამავალ მზეს, ჩამავალს

პირველი ორი სტროფი სონეტისა «ათრობდა ხალხთა მწუხარება» ყველა გამოცემაში (გარდა 1954 წლის რჩეულისა) ასეა გარითმული: აუზი _ ნიკოლოოზი _ ქაოსი _ სასაფლაოსი. პოეტის ერთი ავტობიოგრაფიული ჩანაწერი «მნათობის» პერიოდი» შეიცავს ლექსის ავტოგრაფს. მეოთხე სტრიქონი ასე იკითხება: «და მედიდურად ხელს აწერდა ნიკოლაოზი», ხოლო გვიანდელ დღიურში ლექსს ასევე ასათაურებს _ «ნიკოლაოზი» და ასე უნდა გასწორდეს.

«გული» _ ამ სონეტის მეოთხე _ მერვე ტაეპები ასე ერითმება ერთმანეთს: გოდივა _ მივდივარ. თუ «არტისტული ყვავილების» საერთო დონეს გავითვალისწინებთ და თუ ინტუიცია არ მღალატობს, აქ თავიდანვე კორექტურული შეცდომაა გაპარული და მერვე სტრიქონი ასე უნდა იკითხებოდეს»: «ო, რანაირი გულდაწყვეტით ბაღში მოვდივარ!».

1923 წელს თავის ჟურნალში დაბეჭდა «ცისფერი». მეორე ტაეპი გაუგებარი და უხერხული სიტყვით მთავრდება: თდეცემა. აქაც კორექტურული შეცდომა უნდა იყოს: ეტყობა, კბილისმიერი თანხმოვანი მსგავსითვე ჩაასწორეს და ორივე დარჩა. უნდა იგულისხმებოდეს ათტაეპიანი სტროფი: «როგორც პოეტის ნაზი დეცემა».

«შეხედეთ!» ამ ლექსის მესამე სტროფის მეორე _ მეოთხე სტრიქონები გაურითმავია: მისდამი _ ახალი. ორივე ავტოგრაფში გარითმულია: მისდამი _ აჭარისტანი.

1946 წელს «მნათობში» ([1] N9_10) დაიბეჭდა «გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!» და შეცდომა გაიპარა: სანატორია _ ვრცელია. ეს შეცდომა გაიმეორა რვატომეულმა და თორმეტტომეულმაც. ექვსივე ავტოგრაფშია: სანატორია _ შორია.

«ის ინდოეთი, საქართველო, სპარსეთი, ტომი» _ ასე დაიბეჭდა 1928 წელს «მნათობში» (N5_6) «თქვენ, აჩრდილებო წარსულისა». ავტოგრაფი არ არსებობს, მაგრამ უყოყმანოდ უნდა ჩავასწოროთ: რომი.

პოეტის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებულთა შორის დაძაბული რიტმით გამოირჩევა სამსტროფიანი უსათაურო «ქარი დაცხრა სიბობოქრის». მეორე სტროფი ამგვარად დაიბეჭდა და იბეჭდება:

მე გიცქერი, როგორც ქარვას,
შორითშორად ფიქრით ნარვალს,
თან გაატანს ქართა ქარვას
ჩამავალ მზეს, ჩამავალს.

ერთადერთ ავტოგრაფში შეიძლება არქაული ფორმა ამოვიკითხოთ: ფიქრი წარვალს, და ამ შემთხვევაში მომდევნო სტრიქონებიც უფრო ლოგიკურად და დინამიურად აგრძელებენ მეორეს:

მე გიცქერი, როგორც ქარვას,
შორითშორად ფიქრი წარვალს,
თან გაატანს ქართა ქარვას
ჩამავალ მზეს, ჩამავალს...

თან სიბერეც გვეპარება

შეიძლებოდა ტექსტოლოგიური წიაღსვლები კიდევ გაგვეგრძელებინა. მაგრამ ჩვენ გველოდებიან.

როგორც იყო, რჩეულის კორექტურა დამთავრდა და ანაბეჭდებმა ჩემმამდე მოაღწიეს. უკვე დასაბეჭდად ვამზადებდით. ხშირად მოდიოდა. მაჩქარებდა.

ახლა, როცა კარგად ვიცნობ დღიურებსა და ჩანაწერებს, ვიცი, როგორ სულმოუთქმელად ელოდებოდა ყოველ მომენტს, როგორ მძაფრად განიცდიდა დაგვიანებას, როგორ უსწრებდა მოვლენებს... ალბათ ასეთ დროს წამოიძახა და, რაღა თქმა უნდა, ჩაწერა კიდეც:

_ ჰევუი! აბა მაგი როდის იქნება?

პირადად ასე აშკარად არ გამოხატავდა. ხშირად კი გვაკითხავდა. დირექტორთან შედიოდა. სტამბაში არეკვინებდა.

ერთ-ერთი ბოლო ვიზიტის შემდეგ (ექვს თებერვალს, როგორც მისი ჩანაწერიდან შევიტყვე) დირექტორმა დამიბარა და მისაყვედურა: ახლახან გალაკტიონი იყო და მითხრა: ჩემი რჩეული ორმოცი თაბახიაო, _ გეგმაში კი მხოლოდ ოცია... ავუხსენი: ორმოცი _ სასტამბო თაბახია, საავტორო კი ოცი-მეთქი. ახალი იყო და ჯერ კიდევ ვერ ერკვეოდა ამგვარ ნიუანსებში...

ამის შემდეგ ერთხანს არ ჩანდა: საავადმყოფოში იწვა.

ნოდარი მოდიოდა და კითხულობდა წიგნის ამბავს.

მარტი დადგა და ისევ გამოჩნდა _ ჩვეულებრივად არაჩვეულებრივი. მიუხედავად იმისა, რომ საიუბილეო წელიწადმა უკვე გაიარა, _ მაინც ჩქარობდა და მაჩქარებდა:

_ მე ვიცი, ძამიკო, შენი პატივისცემა, წიგნი რომ გამოვაო.

დაღლილი ჩანდა და შედარებით უხალისოდ გამოიყურებოდა.

სიყრმეს ბინდი ეფარება,
თან სიბერეც გვეპარება.

იქნებ ასაკმაც შეახსენა თავი:

დაფნის ნაცვლად გვილოცავენ ანწლებს,
ეჰ, ვაგორებთ და ვაგორებთ ამ წლებს.

იქნებ შეაშინა კიდეც:

და აი დგება ჩემს ცხოვრებაში
უსაზიზღრესი ხანა: სიბერე!

იქნებ...

მაღალ გორაზე დაუთოვია, გულს მოსვენება ვერ უპოვია.

იმ აივანზე კაცი რომ მოსჩანს, იცოდე, ჩემი მეკუბოვეა!

სინათლე, მეტი სინათლე!

უბის წიგნაკში ჩაუწერია:
«სინათლე, მეტი სინათლე!» _ ამბობდა გიოტე სიკვდილის წინ.
«რას სჩადიხართ?!» _ იყო ილია ჭავჭავაძის სიტყვები, უკანასკნელი სიტყვები.
«კასპის დიდი კლდე», _ იყო არსენას უკანასკნელი ამოძახილი.
თითქო დიდი ხალხის უკანასკნელ სიტყვებში ყოველთვის სჩანს მთელი მათი ცხოვრების შინაარსი და მისწრაფება...»
დაახლოებით ორმოცი წლის წინათ, ქუთაისში, ჩემი თანაკლასელი მეგობრის მამიდა გარდაიცვალა _ ფრანგული ენის ახალგაზრდა მასწავლებელი. მახსოვს: მეგობარმა საიდუმლოსავით გამანდო: სიკვდილის წინ მამიდაჩემმა ლექსი წარმოთქვაო: «ეხლა, რა თქმა უნდა, ძლიერ გვიანაა, გულში მწუხარებამ ღამე გაათია... მაინც არ მასვენებს მწარე სინანული, რომელი საათია? რომელი საათია?..» და ასე ბოლომდე...
_ როგორ სრულიად უბრალოთ ამბობენ უკანასკნელ სიტყვებს ადამიანები?!
დიდი ბავშვი

ჩვენი მკითხველი შეამჩნევდა ერთ სამწუხარო ნიშადობლივ თვისებას, რომელიც საკმაოდ ადრე გამომჟღავნდა, წლების მანძილზე დაეუფლა და თანდათან ეძალებოდა: ეჭვი.
საზოგადოების გულგრილობამ და გულცივობამ ჯერ ადამიანებისადმი რწმენა დაუკარგა:
_ აქ ყველა ჩემი მტრებია!
მერე ზედმეტად ფრთხილი გახადა:
_ დიდი სიფრთხილეა საჭირო.
და ბოლოს მოჩვენების სამყაროში გადაასახლა:
_ სიზმარი უკეთესია, ვინემ სინამდვილე.
გააბოროტა კიდეც:
_ მე მინდა ვუთხრა ჩემს უსინდისო მტრებს: წყნარად, გაიძვერებო! თქვენ არავითარი უფლება არ გაქვთ _ ხმამაღლა მელაპარაკოთ! მე ყოველთვის მზადა ვარ სიკვდილისათვის.
ხშირად იყო გაბრაზებული და გაბოროტებული. გაბოროტებული კი ობიექტურად ვერ იმსჯელებს. არც უნდა მოვთხოვოთ, მით უფრო _ თუ ჩვენ თვითონ გავანაწყენეთ და გავამწარეთ!
მოულოდნელი და გასაოცარიც კი აღარაა ის ავადმყოფური ზმანებები, რომლებიც აწუხებდნენ და რომელთა უნებლიე მოწმეც მისი დღიურების მკითხველია.
ძნელია გამიჯნო საფუძვლიანები და უსაფუძვლონი. ერთიცაა: რაკი დღიურების სახით თავისი ფიქრისა და ოცნების განუწყვეტელი ენცეფალოგრამა დაგვიტოვა, იქნებ ამიტომაც გვეჩვენება უფრო ეჭვიანი?!
თავიდანვე უცნაური ჩანდა _ მარტოობისაკენ მიდრეკილი და საეჭვოდ ჩაფიქრებული.

თვითონ დედას საყვედურობდა:

_ მე შენ სულელათ მთვლი.

დედა ძმას აფრთხილებდა:

_ მაგი ნამეტანი გაწყრომით თლათ ჩერჩეტდება.

ძმა ცოლს სთხოვდა:

_ ბევრი რამ უნდა ვაპატიოთ, თუ იგი გვიყვარს.

ცოლი თანაუგრძნობდა:

_ შენ ბავშვივითა ხარ... ბავშვივით მოვლას და ყურადღებას საჭიროებ.

თვითონ გულწრფელად აღიარებდა:

_ მე უსინდისოდ ვსარგებლობდი იმ გარემოებით, რომ მასწავლებლებს სულიერ ავადმყოფად მივაჩნდი...

სხვათაშორის, სულით ავადმყოფობის ანუ შეშლილობის სიმპტომებს გენიალობის მახასიათებლად აღიარებენ და ამან არ უნდა გაგვაკვირვოს: გენიოსი ხომ სწორედ იმით გამოირჩევა ჩვენგან, რომ ნორმის ჩარჩოებში ვერ თავსდება, არსებულ ნორმებს არ იცავს და არღვევს, ესე იგი, არა-ნორმალურია. სიტყვა მივცეთ ართურ შოპენჰაუერს:

_ გენიალობა და შეშლილობა რომ ერთმანეთს ესაზღვრებიან და რომ ამ საზღვრებს ხშირად არღვევენ კიდეც, _ ამის შესახებ ბევრჯერ შენიშნეს და პოეტური აღმაფრენა შეშლილობის თავისებურ გამოვლინებად გამოაცხადეს. ჰორაციუსი მას «სასიამოვნო შეშლილობას» უწოდებს, ვილანდი _ «ნეტარ შეშლილობას». არისტოტელემაც კი, როგორც სენეკა გვიდასტურებს, განაცხადა: «არ არსებობს არავითარი დიდი მოაზროვნე შეშლილობის მინარევის გარეშე». პლატონი «ფედრაში» პირდაპირ გვეუბნება, რომ ვერცერთი ჭეშმარიტი პოეტი გვერდს ვერ აუვლის გარკვეულ სიგიჟეს. ციცერონიც გვიმოწმებს: «დემოკრიტეს აზრით, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, დიდი პოეტი წილნაყარი არ იყოს შეშლილობასთან». დაბოლოს პოპი ამბობს:

გენიოსი შეშლილს ენათესავება
და მათ შორის სიფრიფანა კედელია...

ცნობილი იტალიელი ფსიქიატრი ჩეზარე ლომბროზოც გვარწმუნებს, რომ აღგზნებულ შეშლილსა და შთაგონებულ გენიოსს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს, და გენიალური ესპანელი მხატვარი სალვადორ დალიც აღიარებს: ერთადერთი განსხვავება ჩემსა და შეშლილს შორის ისაა, რომ მე არა ვარ შეშლილი.

გალაკტიონი კი გვეკითხება:

მშვენიერია ზღვა მთვარეული!
შუქი ზვირთებზე მიდის ლივლივით,
მე კი, რისთვის ვარ გადარეული,
რად ვიყურები შორს შეშლილივით?

ხოლო ერთ ადრეულ წერილში მეგობარს აუწყებს: ვწერ განუწყვეტლად, ავადმყოფივითო (ვან-გოგიც სწერდა ძმას: შეპყრობილივით ვმუშაობო).

თუ არ დაგავიწყდათ, საკუთარი «თანაბრად ძლიერი გრძნობების» ჩამოთვლისას თვითონვე გამოჰყო: თანდაყოლილი მორცხვობა. ნატიფი მგრძნობელობა. ტანჯვის ღრმად განცდის უნარი.

სამივე დაეჭვების ხელშემწყობი ფაქტორია.

«ჩემს საიუბილეო საღამოზე ჩამოვარდა ლაპარაკი:

_ ძალიან მორცხვად ჰკითხულობდი ლექსებს.

მე ვუთხარი, რომ საზოგადოდ მორცხვი ვარ მართლა, იმ დღეს კიდევ ხომ ვღელავდი.

_ გასაგებია, გასაგებია! პოეტს შვენის კიდეც მორცხვობა.

_ არა ყოველთვის, ჩემო მიშა!».

გრიგოლ რობაქიძეც აღნიშნავს:

_ იყო მორცხვი (ეს მორცხვობა გვარეული თუ იყო: ტიციანიც მორცხვი იყო, მისი ბიძაშვილი, დანარჩენში მისი ანტიპოდი). მორცხვობა კიდევ უფრო ამძაფრებდა მისს უხერხულობას.

აბესალომიც სწერს:

_ არ ვიცი რა მიზეზით (აღზრდა თუ მემკვიდრეობა), მეტად მგრძნობიარენი ვართ.

დიახ, ზედმეტად მგრძნობიარე გახლდათ, ემოციური, მუდამ აფორიაქებული და აჩქარებული, განსაკუთრებით _ საზოგადოებაში, კიდევ უფრო განსაკუთრებით _ არასასიამოვნო საზოგადოებაში:

_ მუდამ დაძაბულ ნერვიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. არ შეეძლო ადამიანთან ხანგრძლივი საუბარი. შეხვდებოდა კარგ ნაცნობს, ერთი-ორი შეძახილის შემდეგ მიეჩქარებოდა სადღაც... მივიდოდა მწერალთა კავშირში კრებაზე ხანდახან, მაგრამ გაიხსნებოდა კამათი რაიმე საკითხზე თუ არა, ის უკვე აღარ იყო დარბაზში (ლ. მეგრელიძე).

_ საღამოთი დავესწარი მწერალთა პლენუმს. მომხსენებელს დიდხანს ვერ ვუსმინე. დავბრუნდი ბინაში.

ხანგრძლივ და ხალხმრავალ სუფრასაც გაურბოდა, თავს ვერ იჭერდა, ვერ ისვენებდა, ნერვიულობდა:

_ ასეთ საზოგადოებაში მოხვედრა პოეტისათვის სასჯელს უდრიდა (ლ. მეგრელიძე).

ფხიზელი იშვიათად იღიმებოდა:

_ იმ ხანებში მე უკვე აღარ ვიცოდი რა იყო უდარდელი ღიმილიც კი. ამისათვის საჭირო იყო ისეთი პოეტი, რომელიც უფრო მსუბუქად უყურებდა ცხოვრებას და არც ისე ხშირად მიმართავდა რჩევისათვის საკუთარ სინდისს.

სიცილზე ლაპარაკიც ზედმეტი გახლდათ:

_ მაგრამ ყოველივე ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც მე დავკარგე სამუდამოდ, სამუდამოდ. არა სიმდიდრე, არა საყვარელი ქალი, არა დედა, არა მამა, _ არამედ სიცილი, მხიარული, ბავშური სიცილი დავკარგე.

ხანდახან თვითონვე შეჰქონდა თავის ეჭვებში ეჭვი:

_ მაგრამ ხომ არ ვაზვიადებ ყოველივე ამას?

_ ადგილი აქვს ჩემთვის გაუგებარ პროვოკაციას. კარგი, შეიძლება მომეჩვენა მხოლოდ და ეს ასე არ არის. მაინც გარშემო საშინელი უდაბნოა! უნდა ვერიდო ხალხს, რომელსაც ჩემთან იდეური კავშირი არა აქვს.

პატარა ჩანაწერიც დაუსათაურებია: «გამარჯობა, უდაბნო!».

აუჩქარებლად მსჯელობდა, სათანადო წინდახედულებას იჩენდა, საკუთარ თავსაც აფრთხილებდა:

_ თავი და თავია გარჩევა მტრისა და მოყვარის. მტერი ხანდახან მოყვრის ქურქში ეხვევა. მოყვარე და სასარგებლო კაცი კი მტრად გეჩვენება.

ზურაბ კიკნაძემ მიამბო:

_ «ზარია ვოსტოკას» რედაქციასთან შეგვხვდა მე და ჩემს მეგობრებს ერთ საღამოს. გამოგველაპარაკა. გავთამდი და ვუთხარი: ამ გაზეთს «Заря востока» კი არა _ «Тьма востока» უნდა ერქვას-მეთქი. სიტყვა არ მქონდა დამთავრებული, რომ გაუჩინარდა.

თანდათან გროვდება:

_ ინტრიგები. _ დევნისა და შურისძიების მომენტები. _ შეთქმულება. _ დაჯგუფებები გალაკტიონის წინააღმდეგ.

იძაბება სიტუაცია:

_ ნიღაბი მოიხსნა... _ გაიძვერა ყოფილა... _ ტიპიური პროვოკატორი აღმოჩნდა... _ ვინმეს მოგზავნილია. _ ჯერჯერობით ისევ თარეშობს... _ ტერორის ქვეშ მაყენებს.

_ რაღაც მოძრაობის შექმნას ცდილობენ ჩემს წინააღმდეგ... _ დაიწყო თავდასხმებიც ან მტრული გამოსვლები შიგნიდან და გარედან.

_ საქმე გვაქვს დიდი მასშტაბით ლიტერატურულ შეთქმულებასთან (და ეს უნდა გამომჟღავნდეს)... _ უნდა გამოვლინდეს ყველაფერი... _ საჭიროა ნიღაბი აეხადოს უსინდისობას!!!.. _ ხალხმა უნდა იცოდეს, მე მოვალ და ყველაფერს ავხდი ფარდას.

_ ალბათ დადგა ანგარიშების გასწორების დრო... _ უბრალოდ არ ჩაუვლით... _ რაკი გადავეშვი ომში, უკან დახევა არ იქნება.

იბადება სახიფათო შეკითხვები:

_ ხომ არ არის ხაფანგი? _ ხომ არ მზადდება რაიმე ინტრიგა? _ ჩაითვლება თუ არა ეს გარემოება ჩემს წინააღმდეგ პირველ ნაბიჯებად?

პირდაპირ აცხადებს:

_ ო! მე ვეჭვიანობ!

აშკარად ეჭვიანობს:

_ აქ რაღაც ხლართია.

ძნელი გასარჩევია, როდის აჭარბებს:

_ ამით გამოირკვა: 1. ისინი ჩემთან არ არიან, როგორც მეგობრები. 2. მოღალატეები არიან. ამიტომ: ყველა ღონისძიება, რომ დღევანდელი ამბავი იყოს უკანასკნელი! უკანასკნელი! უკანასკნელი!

აშკარად აჭარბებს:

_ მისი ტერორია: არ წაუსვლელობა სახლიდან. იცის, რომ ხვალვე, როგორც ფეხს გადადგამს სახლიდან, იგი აქ არ იქნება. უნდა გადავადგმევინოთ ფეხი სახლიდან. უნდა! უნდა! მე იგი არ მჭირდება, მყავს უკეთესი მეგობრები! მაგრამ როგორ?

ოლიასაც აღარ ენდობა:

_ მღალატობენ მეგობრები, მღალატობენ ნათესავები, მღალატობს, საზოგადოდ, ბედი, მიღალატა ოლიამაც და მთელ ჩემს ცხოვრებაში ეს არის ყველაზე უფრო უსასტიკესი ღალატი!

და რაკი ოლიას შეეხო, რუსულად გალექსა:

_ Не было ли вредительство, что сделала Оля?!

ქართულ-რუსულადაც აუხირდა ერთხელ, ნასვამი, საღამოს რვა საათზე:

_ მისი მოვალეობაა მოსვლა დღეს სასწრაფოდ... მაგრამ არა სჩანს... უკვე რვა საათია. ეხლა მე დავწვები და დავიძინებ. როცა მოვა, ხმას არ გავცემ. თუ იყო? წერილის დატოვება განა ძნელია? მაგრამ არ ყოფილა. Она идёт давно на авантюристический путь. Завтра я всё узнаю.

ადრეული ეჭვიანობის ორი ეპიზოდი ხუთი წლის შემდეგ გაიხსენა: 1916 წელს ახლადდაქორწინებულები მოსკოვისაკენ მიემგზავრებოდნენ მატარებლით. თანამგზავრი ჯარისკაცი გაიცნეს. ოლია ზედმეტად გამხიარულდა და გალაკტიონისათვის ეს საკმარისი აღმოჩნდა: ჯარისკაცი ვაგონიდან გააძევა. მოსკოვში ოლიამ ახალგაზრდა ქართველი მამაკაცი გაიცნო. მერე თანამემამულე სახლში მიიწვიეს. გალაკტიონმა ისევ იეჭვიანა და გაოცებული სტუმარი აიძულა იქაურობას გასცლოდა.

_ ეს მოვიდეს, აბა, შენთან... მოვიცდი... _ ამ ხუთ სიტყვას მოჰკრა ყური და: _ (ხმა იყო ან ქალის ან ახალგაზრდა, ძალიან მკაფიო, ვაჟის). ეს (ვინ ეს?), მოვიდეს (როდის, რისთვის, სად?), აბა (რას ნიშნავს აბა?), შენთან (და არა თქვენთან), მოვიცდი (დაცდა... ვინ მიცდის? ვის უცდის? რას უცდის? რატომ უცდის?).

ოთახშიც დაძაბულია:

_ ხშირი გასვლა-გამოსვლა სამუშაო ოთახიდან არ შეიძლება. ზარის დარეკვაზე ნუ გადის.

_ ზარის შეცვლა (ძალიან ხმაურობს და მოქმედებს ნერვებზე).

კონკრეტულ ფაქტზე მიუთითებს:

_ საჯაიას წიგნიდან ამოუღია ლექსი ჩემს შესახებ... ადგილი აქვს დაჯგუფებებს.

მწერალთა კავშირში მასალებს აგროვებენ კრებულისათვის:

_ მაინც, ეს მემარცხენეები სად იყვნენ აქამდის, რატომ დროზე არ შემატყობინეს (შეტყობინებით არც ეხლა შეუტყობინებიათ, მე სრულიად შემთხვევით გავიგე)... შეიძლება დიდი ხანია ჩუმად ემზადებიან და არავის კი არ უმხელდენ. ეხლა კი... რა სიბინძურეა! რა საზიზღრობაა! ეხლა ცხადია შეიძლება ვერც მოვასწრო და იტყვიან ასე და ისეო. დღეს აფხაზეთში მივდივარ უსათუოდ. თავი ქვისთვის უხლიათ! არ უნდათ და არც მე მინდა მაინც და მაინც! არ ვაძლევ არც ერთ სტრიქონს. შეიძლება ძალით მიწყობენ ინტრიგას? მაშ, რას ნიშნავს ეს, რომ ამას მატყობინებენ? რას ნიშნავს, თუ არა _ ინტრიგას! აი შეხედეთ, გალაკტიონი შეგნებულად არ იღებს მონაწილეობას ჩვენს გამოსვლაშიო!!!

მწერალთა კავშირის მდივანს უჩივის:

_ ის სხვა პროპაგანდას ეწევა. ჩქმალავს ახალგაზრდობას. ფაკტიურად ჩაშლის ახალგაზრდათა მოძრაობას, თუ ხელი არ შევუშალეთ. იგი ჩაშლის გამოფენასაც. იგი ჩაშლის მიტინგსაც. იგი ჩაშლის მასიურ მოძრაობასაც. კონტროლი უნდა გაეწიოს სასტიკზე უსასტიკესი. საიუბილეო კომიტეტი გადაიქცევა მტრების მოქმედების ცენტრად. ალბად იკრიბებიან ჩუმად სადმე. გაგება ყოველივე ამისი საჭიროა.

მწერალთა კავშირის საქმეთა მმართველისაგან მეტ ყურადღებას მოითხოვს:

_ იწყებს ძველებურად თავის აგდებას. როდესაც მე ვუთხარი დეპეშის შესახებ, მან ყურადღება არ მომაქცია. აიღო ქაღალდები ყუთიდან და გასწია. არად ჩამაგდო. ამის შემდეგ მოსამსახურე ქალმა ირიბად დამიწყო ყურება. უნდა გადავაჩვიოთ. ამ მოკლე ხანში ბევრი რამაა მასზე დამოკიდებული, მაგრამ თავს იგდებს.

წყნეთში ინტრიგების თუ ინტრიგანების შვიდეული გამოუვლენია და დაუნომრავს:

_ 1. ინტრიგები, თითქო ჩემს ტერიტორიაზე გაჰყავთ გზა, მოჰყავთ ვიღაც დილიძე, რომელიც ასობს პალოებს ჩემს ეზოში (აკტიურობენ: არტო და სტიოპა). 2. ინტრიგები წყლის გარშემო: ვანუა არ თანხმდება. იგი საიდუმლოდ ინახავს სათავეს ამ წყალისას. წყალი ხშირად ამღვრეულია. 3. ინტრიგები გზის პირას მდებარე კრანის გარშემო (ცილს

მწამებენ, საზიზღრად ილაშქრებენ). 4. ინტრიგები მოსამსახურეებისა და შოფრების საშუალებით (დუქნის ისტორია). 5. ინტრიგები ელექტროსანთლის გამოყვანის დროს. გადამიჭრეს სინათლე არტუას მითითებით. 6. ინტრიგები «სახელმწიფოს სესხზე» ძალდატანებით ხელის მოწერის ცდის სახით. 7. ინტრიგები სახლზე მომუშავე ხელოსნებთან ჭორიკანობის სახით.

ბევრ ინტრიგასა და ბევრ ინტრიგანს შეხვდა ცხოვრებაში. ბოლოს და ბოლოს მინიატურული დიალოგი დაუწერია 1955 წლის 19 მარტს:

_ თქვენ დიდი ინტრიგანი ჰყოფილხართ, _ მიმართა მან მომსვლელს და გაოცებული სახე მიიღო. კიდევ დახედა ქაღალდს, კიდევ შეხედა სტუმარს. სათვალეები მოიხსნა და ბუდეში ჩადო, _ ეხლა ეს გასაგებია, _ გაიმეორა მან, _ მე მხოლოდ ერთი რამ მაოცებს...

_ მომისმინეთ, მომისმინეთ... _ შეაწყვეტინა სიტყვა მომსვლელმა, _ როგორ, რა სწერია ჩემს შესახებ მაგ ქაღალდში, ხომ წაიკითხეთ, ხომ გაიგეთ.

_ რა უნდა წავიკითხო, რა თქმა უნდა, გავიგე, რომ თქვენ დიდი ინტრიგანი ჰყოფილხართ. პირდაპირ ასე სწერია.

_ მერე? მერე... დაფასება უნდა თუ არა ამ მდგომარეობას?

_ პირდაპირ სწერია: დიდი ინტრიგანი არისო.

_ მერე? ვინ დაგიფასა ეს დიდი ღვაწლი.

_ რა? ინტრიგანობა?

_ დიახ, ინტრიგანობა!

_ თქვენ ეს ქება გგონიათ, გეტყობათ. ხა, ხა, ხა, ხა!

_ ჰო, იმას ვამბობ, ვინ დაგიფასა, ბატონო, ინტრიგანობა.

ერთ ინტრიგანს აბანოში გადაჰყრია. ამ ინციდენტს ოციანი წლების ბლოკნოტში მოგვითხრობს: ეტყობა, გამგემ იცნო გალაკტიონი და «სპეციალურად ცაკის წევრებისათვის დაჯავშნული» ნომერი შესთავაზა. ერთი ვარ და პატარა ნომერიც საკმარისი იქნებაო _ განუცხადა და ნომერი შეუცვალეს. მიუხედავად ამისა, გამგეს მივარდა ვიღაც «უცნობი სუბიექტი» და კატეგორიულად მოსთხოვა არ მიეცა «ამ ვაჟბატონისათვის» აღნიშნული ნომერი:

_ მან ამ დროს ირონიულად დამხედა ღარიბულ ტანსაცმელზე და ცოტაოდნად შელანძღულ ფეხსაცმელზე. თვითონ ის გამოწყობილი იყო კოვერკოტში და ფეხსაცმელიც, რა თქმა უნდა, ჩემზე უკეთესი ჰქონდა.

«კოვერკოტმა» ცაკის მანდატი მოსთხოვა და დაემუქრა. ნომრიდან გამოსულს კი ისევ წინ დახვდა და შეუტია:

_ თან ხელში ეჭირა და, როგორც ძველი პრისტავი მათრახს, ისე ატრიალებდა თავის პარტბილეთს.

ნააბანოვარი სახლში დაბრუნდა და შეკითხვები დანომრა: სად მუშაობს? რომელ დაწესებულებაში? რომელ რაიკომში? არის თუ არა ცაკის წევრი? არის თუ არა ცეკას წევრი? არის თუ არა აკტიური მუშა, კულტურული მუშა? იცის თუ არა გ. ტაბიძე? ვინაა მისი მეგობრები? ვინაა შთამომავლობით? სად ცხოვრობს?.. და ბოლოს:

_ ხომ არ იყო ამ გამოსვლაში წინდაწინვე მოფიქრებული რაიმე აკტი?

იქვე უპასუხა:

_ იყო უსათუოდ მოფიქრებული მომენტი.

მივყვეთ მოვლენათა ქრონოლოგიას:

1928 წლის 13 იანვარი გათენდა და სოფელში კრიმინალი აღმოაჩინა: ოდის ქვედა ნაწილში ერთ-ერთი ოთახის კარებს ბოქლომი აღარ ედო. წაღებული კი არაფერი იყო. აღძრა საქმე _ «ბოქლომის ისტორია». შეადგინა ნახაზი: შუაში ოდა და ირგვლივ: გრიშას დუქანი, აკაკი, იუსტინესანი, ივლიანესანი, ეგვენიესანი, რომანოზისანი. დაკითხა დედა და მეზობლის ბავშვები. დაათვალიერა ღობეები, ოთახი, ოდა, სარდაფი. რამდენიმე ვერსია გადასინჯა, რამდენიმე გამორიცხა. გამოცდილი დეტექტივის ალღო გამოამჟღავნა. შეეცადა ასანთის ღერის ნამწვავის მიხედვით დაედგინა:

_ მე არასდროს ასანთს ბოლომდე არა ვსწვავ პაპიროსისათვის.

არადა, მოსალოდნელია, ბოქლომის საკითხი სულ მარტივად გადაწყდეს:

_ შეიძლება აბესალომმა წაიღო ქუთაისში გასაკეთებლად.

1930 წლის ოქტომბერში მწერალთა ბრიგადები ჩამოაყალიბეს და ფაბრიკა-ქარხნებს მიამაგრეს. ბრიგადების შემადგენლობა პრესაში გამოაცხადეს:

_ რას ნიშნავს «კომუნისტში» ჩემი სახელისა და გვარის ბრიგადებში გამოცხადების შეგნებული დისკრედიტაცია? ყოველივე ამას გაგება უნდა. ვინ ადგენს განცხადებებს: ვისი მეოხებით, ან ვის ხელში ვარ ჩავარდნილი? განმეორება ყოველივე ამის უდრის... განა არ ვიცი რას უდრის? მე ვიცი რაზე ვმუშაობ. ამის გამო საჭიროა ზომები. არსებობს მთელი ორგანიზაცია, რომელიც მოქმედობს დისკრედიტაციისათვის.

ამავე დროს «მნათობის» მორიგი ნომერი იგვიანებს:

_ «მნათობის» საქმე ძალიან მაკვირვებს. რაღაც საიდუმლო მოსაზრებით ამდენი ხანი არ გამოდის, თუმცა ეს აგვისტოს და სექტემბრის ნომერია (8_9), მაგრამ დღეს 11 ოქტომბერია. არაფერი მის გამოსვლას ხელს არ უშლის. ხომ არ ვარ მე მიზეზი ამისა? ხომ არ უნდათ ძალიან შეაგვიანონ იგი, რომ პროლეტ. მწერლობის ყრილობას მეტი ეფექტი მიეცეს _ გამარჯვებული ჯგუფის სიმღერის შემოსაძახებლად?

1935 წლის 9 მაისის ჩანაწერიდან:

_ გამოსარკვევია: რატომ წავიდა მოსკოვში? როდის დაბრუნდება? ხომ არა აქვს კავშირი იმ ჩემს წიგნთან, რომელიც ეხლა იბეჭდება?

ამავე წლის 5_6 სექტემბრის ღამე:

«ღამის 2 საათზე მეტია. მე გამაღვიძა ჩვენი ეზოს წინ ქუჩაში მიმავალი მთვრალის ხმამაღალმა ძახილმა: Но я лично не признаю Галактиона... Галактиона взяли за хвост... და მეტი არაფერი... შეწყდა ხმა (ეს ისე ხმამაღალი ძახილი იყო, რომ ალბად სახლში ყველას გამოეღვიძა და გამომეღვიძა მეც). გავიდა ცოტა ხანი. მე გავიხედე ფანჯარაში. ეზოში იდგა და ირყეოდა თეთრ პიჯაკში, თეთრ შარვალში და ტილოს ქუდიანი კაცი. რამდენიმე წუთის მერე მას შეუერთდა კაცი შავს ბლუზა-შარვალში და შავს კეპკაში...

აკცენტი არ იყო მაინცა და მაინც ინტელიგენტური. ხშირად სათანადო სიტყვას ვერ პოულობდა და იბნეოდა. ეტყობა ქართველი იყო. «წავიდეთ», _ უთხრა მეორემ ქართულად და მკლავში ხელი გაუყარა. ისინი დაიძრენ ვერის ხიდის მიმართულებით. წასვლამდე კი უცნობი მაინც ღრიალებდა: Мопсики поэзий და სხვ. და სხვ. ვერც ერთი, ჩუმად რომ გავიხედე, ვერ ვიცანი...

ეს ამბავი დიდი სახელის გასატეხად მოგონილი ამბავია, ან მოწყობილია საბ. საკითხთან დაკავშირებით მეზობლების მიერ. ისინი მოვიდენ 3_4 საათზე (ტრამვაის სვლა შეწყვეტილია). ეს ჰგავს თავდასხმას, დაშინების ცდას, პროვოკაციას, შურისძიებას... საინტერესოა: 1. ისინი, ეზოში რომ იდგენ და იგინებოდენ, ხომ არ

მოსულან კარებთან ჩემთან (მე ხომ მეძინა?)... 2. თუ პირდაპირ დიდი ეზოდან გამოვიდენ? ეს ამბავი ასე არ ჩაივლის... ცხადია, იგი მოწყობილია, «ორგანიზაციულია».

1936 წლის 25 თებერვალს აივანზე ქაღალდი იპოვნა. ქაღალდზე ერთადერთი სიტყვა ეწერა, ნეტარებისა და სიხარულის გამომხატველი სიტყვა. მაინც ეეჭვება:

«კარები მძლავრად დაირახუნა...

_ რა იყო? _ იძახის მეორე ოთახიდან ვიქტორია.

_ არაფერია, დაიძინე! _ გამოეხმაურა ოლია.

მე გავედი... აივნის კარები ღია იყო: შუშებში ეგდო ეს ქაღალდი _ «Счастье». საიდან გაჩნდა? სამი თვის შემდეგ (თითქმის სამი თვის) მე პირველად გავედი ჩვენს აივანზე. და დამხვდა ეს «ბედნიერება»... დარიგება, რომ უნდა დაკმაყოფილდე იმით, რაც გიყვარს, და ეს არის ბედნიერება. არა, კი არ უნდა დაკმაყოფილდე, უნდა გასწიო წინ, ყოველი ახალი დღე უნდა იყოს რაიმე ახალი მიღწევით, და ბედნიერება არის მხოლოდ ეს. მართლაც, რა არის ბედნიერება? _ შრომა და შრომით მოპოვებული სიმშვიდე, სულიერი წონასწორობა, უშაროება, იმედი ურყევი, იმედი გამარჯების, რწმენა უკეთესის...

P.შ. რა უნდოდა, საიდან გაჩნდა ჩემს აივანზე ეს ქაღალდი? იგი დაკეცილი არაა».

იმავე წლის შემოდგომაზე ბორჯომში ისვენებდა. 28 სექტემბერს ჩაუწერია:

_ გაჰქრა შედარებით ნერვიულობა (ექვს სექტემბრამდე მეშინოდა ტფილისის ქუჩებში გავლა, მეგონა თუ ვინმე მომდევს. სანატორიუმშიაც: ერთხელ კარები დაკეტილი იყო. მე შემიპყრო შიშმა რაღაცნაირმა, მეგონა, რომ ვიღაცა შინჯავს ჩემს ოთახს და სხვ. ასეთები). გაჰქრა ადამიანისადმი შიში (ყოველ ადამიანში რაღაც მხეცი მელანდებოდა). მე თანდათან დაუახლოვდი მათ და ვიგრძენი, რომ შეპყრობილი ვიყავი დევნის მანიით.

1938 წლის 26 მარტს 12 საათზე ხმაურმა გამოაღვიძა:

_ მესმის კარებზე იდიოტური რახუნი (ო, მე ამ გარემოებას ვიცნობ).

საბინაო სამმართველოს თანამშრომელმა თითქმის ძალით გააღებინა კარი. პირველ სართულზე ლაბორატორიაში წყალი ჩასულა და სველი წერტილების შესამოწმებლად მოვიდა.

_ თქვენ მწერალი ტაბიძე ხართ?

_ დიახ, _ ვუთხარი. მან რაღაც ორაზროვნად გაიღიმა.

_ თქვენი გვარი? _ ვკითხე.

_ რა საჭიროა ჩემი გვარი! _ სთქვა მან, _ წავიდეთ ქვევით, შევამოწმოთ.

წავიდნენ და შეამოწმეს. გამოვიდნენ კორიდორში.

_ თქვენი გვარი?

_ სულერთია.

გვარი ვერასგზით ვერ ათქმევინა და:

_ საეჭვო პოროვნებაა.

ახალი 1939 წელი დადგა და 4 იანვარს «ახალი მტერი გაჩნდა»:

_ მწერალთა კლუბში მერი მიქელაძემ აღელვებით მიამბო: «შეიძლება გეწყინოსთ, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ ინციდენტი, რომელიც მომხდარა რკინისგზის შკოლაში. გამოსულა მასწავლებელი მშვენიერაძე და დაუმუშავებიხართ. რა ორგანიზაციაა მწერალთა კავშირიო, რომ კაცმა ლენინის ორდენი დაჰკარგა და იუბილეის უხდიანო. ვერავინ ვერაფერი უთხრა, ვინაიდან ეს სრულიად მოულოდნელი იყო ყველასთვისო». მერი გაოცებით ამბობდა: ნუთუ იქ არ იცოდენ, რომ იუბილეი ცენტრალური კომიტეტის

დასტურით მოეწყოვო?.. მე განვაცხადე, რომ ამ ინციდენტის გახმაურება არ ჰღირს, რომ თავისთავად ცხადია _ აქ პროვოკატორია, გამოსვლაც პროვოკაციულია-მეთქი... მართლაც, ვინ არის ეს მშვენიერაძე, რამ აიძულა ბავშების წინ ამნაირი განცხადებით გამოსვლა? (მშვენიერაძე!) აი ახალი მტერიც გაჩნდა. პროვოკატორი... ვინ გამოიყვანა იგი? ვინ უმაგრებდა ზურგს?

1940 წლის ზაფხული მეუღლესთან ერთად საგურამოში გაატა-რა _ ილიას მამულში. 1 აგვისტოს დილით აივნის კარები ღია დახვდა. დილის საუზმეზე მეზობელმა კოლეგამ განაცხადა: წუხელ გარეთ მეძინა, გაწვიმდა, სახლში შესვლა გადავწყვიტე, მაგრამ ცოლს ღრმად ეძინა და კარები ვერ გამიღოო. შეეძლო მხოლოდ გალაკტიონის ოთახის გავლით შესულიყო. ღიად დახვედრილი აივნის კარები ეჭვს აღძრავს, ხოლო მეუღლის დუმილი ამ ეჭვს აძლიერებს:

_ რა მოხდა შემდეგ? _ საიდუმლოა, რადგან ოლგა იურიევნა არაფერს ამბობს. გამოსარკვევია: კარები შიგნიდან იკეტება თუ გარედან? ყველაფერი დაკვირვებების _ და არა დაკითხვის _ საშუალებით შეიძლება.

1941 წლის 4 აპრილს ნაძალადევში, პლეხანოვის სახელობის კლუბში, დიდი საღამო ჩაუტარეს:

_ თეატრი გაიჭედა ხალხით. ჩემს გამოჩენასთანავე, როგორც კი აიხადა ფარდა, მთელი აუდიტორია ფეხზე ადგა. ეს კარგის მაჩვენებელი იყო (ხალხი მეორეჯერაც ადგა ფეხზე). საღამო ძლიერ კარგად ჩატარდა: ფოიეში იყო გამოფენილი ჩემი წიგნები. სცენაზე მოიტანეს ყვავილები, კითხულობდენ ჩემს ლექსებს, ამბობდენ სიტყვებს ჩემს შესახებ... მეტად კარგი საღამო გამოვიდა.

და მაინც:

_ ... და მაინც: რატომ ასე სწრაფად მოეწყო საღამო? (აფიშა გაიკრა წინადღით). პროგრამა წინასწარ არ იყო შედგენილი და ჩვენ შევადგინეთ სცენაზე. მე მგონია მწერალთა კავშირში რაღაცა ამბავია. საღამო მწერალთა კავშირთან წინასწარ შეთანხმებით იყო მოფიქრებული, მდივანი კი არ გამოცხადდა... აშკარადა სჩანს თეთრი ძაფებით ნაკერი პოლიტიკა.

იმავე გაზაფხულზე მოსკოვში ქართული პოეზიის საღამო უნდა ჩატარებულიყო:

_ ვაპირებ მოსკოვში გამგზავრებას, მაგრამ როდის? ვინ არის ის კაცი, რომელიც მოსკოვიდან ჩამოვიდა და იქ ჩვენს საღამოს აწყობს? მოხერხდება თუ არა იმ კაცის ნახვა? (არასგზის კაჩალოვი და ტრეტიაკოვსკაია ამ საქმეში არ უნდა ჩაერიოს). რა საჭიროა ორი პოეტის (რევოლუციამდელის და თანამედროვის) ცალკე საღამოები? თითქო რევოლუციამდელი სხვა იყოს რევოლუციის შემდეგ. თითქო რევოლუციის შემდეგ პოეტი სჯობდეს რევოლუციამდელს, და პირველმა, რევოლუციამდელმა, დაასრულა თავისი შემოქმედებითი გზა. ალბათ დიდიხანია ემზადებოდენ სხვები ჩუმ-ჩუმად. მე კი სრულიად მოუმზადებლად მიხდება წასვლა.

1946 წლის ნოემბერში მორიგი მეოთხე ტომის რედაქტირება დაუგვიანეს:

_ გამომცემლობის სალიტერატურო განყოფილების გამგემ მითხრა, რომ რედაკტორი გულდასმით სინჯავს წიგნს, რომ იგი დიდი მცოდნეა მხატვრული ლიტერატურის, რომ თვითონაც სწერს მოთხრობებს და სულ ზეპირად იცის მხატვრული ლიტერატურა, ხალხური პოეზია ხომ იცის და იცისო. შენს პირს შაქარი-მეთქი, ვიფიქრე, თუ მართლა ასეთი რედაკტორი ხვდა ჩემს წიგნს, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს-მეთქი. ეგ არაფერი,

რომ ოცი დღე წიგნის გადათვალიერებას უნდება, ალბათ სერიოზულ რჩევებს მივიღებ და მეც მეტი რაღა მინდა-მეთქი. გავიდა კიდევ ერთი კვირა. წიგნზე არავითარი პასუხი არაა. ცოტა კი შევფიქრიანდი: ეს ჩემი რედაკტორი ალბათ სხვა საქმეებშია გართული და ჩემი წიგნის ბედი, შეიძლება, ნაკლებ აინტერესებს-მეთქი. ეს ჩემი შიში საფუძვლს მოკლებული არ აღმოჩნდა: თურმე გ. ლეონიძის კარგა მოზრდილი წიგნის რედაკტორიც ყოფილა... ის კოჭლიტარა რედაკტორი, ის ბატი გამგე, ის მუტრუკი დირექტორი შეგნებულად მავნებლობენ ჩემი წიგნის საქმეში: პირველი ამახინჯებს წიგნს, მეორე ხელს უწყობს წიგნის დამახინჯებული სახით გამოსვლას, მესამეს უხარია, რომ წიგნი იაფად უჯდება _ სტრიქონების სიმცირის გამო, თან შურსაც სძიობს, ძველი შეურაცხყოფის გამო.

1947 წლის 20 იანვარს მეზობელი პოეტი გარდაიცვალა:

_ აქ რაღაც დიდი საიდუმლოა. ვინ უთევდა ღამეს სიკვდილის წინად? რა უნდოდათ იმ ოჯახში ისეთ საეჭვო ქალებს იმ ღამეს?.. რისთვის ჩვენ, სხვა მეზობლებს არ შეგვატყობინა ეს?.. «ოჯახი» _ ამიერიდან საქართველოში მე არ მეგულება არც ერთი პატიოსანი «ოჯახი»! რა უნდათ მათ, რისთვის იჭრებიან ოჯახებში?

იმავე წლის 13 თებერვალს პლაკატის გამოფენა დაათვალიერა მხატვართა კლუბში: ორიოდე ნახატზე თანამედროვე ქართველი პოეტების სტრიქონები ამოიკითხა და:

_ გამოფენა საცოდავზე საცოდავ შთაბეჭდილებას ახდენს. არც ერთი პლაკატი ხეირიანი არაა. შეყრილან უბადრუკი, ყოველგვარ ნიჭსა და გემოვნებას მოკლებული ახალგაზრდობა და უსაქმობით, გაიგე, რასა ჯღაბნიან. ამას ზედ ერთვის საზიზღარი, წინასწარგანსაზღვრული ჯგუფობრივობა. აქაც ჩუმად ტრიალებს «მავნე ხელი». ხუთი თუ ექვსი პლაკატიდან _ ჩემი სიტყვებით _ გამოფენილი არ არის არცერთი. ეს წინასწარმოფიქრებული ჯგუფობრივობაა.

1948 წლის 4 ივლისს მწერალთა კავშირიდან დაურეკეს და ლიტერატურულ საღამოზე გორში გამგზავრება შესთავაზეს:

_ მე გორში უნდა გამიტყუონ, აქ თავიანთი საქმეები აკეთონ.

პირველ აგვისტოს რადიოთი სამი სიმღერა მოისმინა («ღამეა ბნელი», «ისევ შენ და ისევ შენ» და «სულიკო») და სასიამოვნო მელოდიებშიც კი ავი განზრახვა ამოიცნო:

_ რაღაცა პროვოკაციასა ჰგავდა ეს შესრულება. ხომ არ არის ეს «ფორმალისტების» მორიგი ხრიკი? რადიოში ხომ ხელშეუშლელად მოღვაწეობს ფუტურისტი (გვარი აღარ მახსოვს). იქ მიმალულია და ისე ატრიალებს ჭახრაკს. უნდა გამომჟღავნდეს.

18 აგვისტოს ერთხელ კიდევ შემოესმა ყვირილი ქუჩიდან და ისევ ფუტურისტები გაახსენდა:

_ «წყეულიმც იყოს ჩემი სამშობლო, რომელმაც გასწირა ქართველი კაცი», _ მიჰყვირის ვიღაც ქუჩაში. ან მთვრალია ან პროვოკატორია. არავინ არაფერს ეუბნება. ის კი, რაღაც მიზნით, რაღაც მისთვის, მხოლოდ მისთვის ცნობილ მოსაზრებით ჰყვირის: «წყეულიმც იყოს, წყეულიმც იყოს ჩემი სამშობლო». უმთავრესად იგი გრძნობს: ამას გაიძახის ჩვენს (მწერლების) სახლთან. დიდზე უდიდესი პროვოკაციაა. ეს გამოსვლა ჰგავდა _ ერთხელ საავადმყოფოში რომ უვლიდენ ველური ყვირილით ჩემს ოთახს ფუტურისტები.

1949 წლის მარტი მთლიანად კარდიოლოგიის ინსტიტუტში გაატარა:

_ დღეს 24 დღე სრულდება, რაც კარდიოლოგიის ინსტიტუტში ვარ. მე სრულიად აქ მოსვლა არ მაინტერესებდა, და ჩემი დაეჭვება სავსებით სამართლიანი გამოდგა:

ჰიპერტონია აქ არაფერ შუაშია, და არც არავითარი ექიმობა აქ არ ჩაუტარებიათ. ნამდვილი მიზანი აქაური «ექიმობისა» იყო არა ჩემი გამოჯანმრთელება, არამედ რაღაც სხვა. ისახავდენ სხვა, უფრო დიდ მიზნებს... გამოსვლისას მე მომაწერინეს ხელი ჩემს «შრომისუნარიანობის დაკარგვაზე». ალბად ასე აწერინებენ ხელს ყველას, ვისაც «ექიმობენ». რად სჭირდებათ ეს? ჩემთვის ყველაფერი გასაგებია. ეს დოკუმენტი სჭირდება მას, ვინც ჩემი ლიტერატურული მტერია, არ სურს, რომ მე მწერალთა კავშირში ვმუშაობდე! აი, სად იხელთეს დრო! აი, სად დამიგეს ხაფანგი!!!

1950 წლის 17 დეკემბერს ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ჩატარდა. მეორე დღეს «ზარია ვოსტოკამ» რეპორტაჟი დაბეჭდა ერთ-ერთი საარჩევნო უბნიდან:

_ Одними из первых голосуют... выдающиеся писатели Грузии _ Галактион Табидзе и Ило Мосашвили, Демна Шенгелая.

შეურაცხყოფილმა საბრალმდებლო შეკითხვების ცეცხლი დაანთო, ამხილა დანაშაული და დამნაშავენი, საქმე აღძრა და ასეც დაასათაურა და დანომრა: საქმე [1]N1:

_ ვინ განაგებს არჩევნების განყოფილებას «ზარია ვოსტოკა»-ში? თვითონ იყო ის გამგე თუ კორესპონდენტები? რომელია ის კორესპონდენტი? (ესაა გასაგები. ესაა თავი და თავი). ვისთან იყო კავშირში ის კორესპონდენტი? თუ მან სთქვა, რომ საარჩევნო კომისიიდან მიიღო ცნობა, პირადათ ვისგან? იცოდა თუ არა მან, რომ მე სახალხო პოეტი ვარ? იცოდა თუ არა კორესპონდენტმა ეს? იცოდა თუ არა «ზარია ვოსტოკას» არჩევნების განყოფილების გამგემ ეს? იცოდა თუ არა რედაქციის მდივანმა ეს? იცოდა თუ არა რედაქტორმა ეს? გვაქვს თუ არა საქმე აქ ლიტერატურულ «ჟულიკობასთან»? აქვს თუ არა ამ საქმეს კავშირი მომავალ ანტოლოგიებთან? რა ლექსებია რუსულ ანტოლოგიაში, ეხლა რომ გამოდის? რა ლექსებია ქართულ ანტოლოგიაში, ეხლა რომ გამოდის? მოსალოდნელია კინოშიც ასე გავიდეს. გაგება კორესპონდენტის სახელის და გვარის. მისამართები. Нивелировка? ბრძოლა ნიველიროვკასთან! სანამ გვიან არ არის, ზომების მიღება!!! (აქ მთელ სისტემასთან გვაქვს საქმე). საქმე უნდა მივიდეს ცეკამდე??!! (კვლევა-ძიება მეტის სიფრთხილით!). დაახლოება «ზარია-ვოსტოკა»-სთან, რომ იქ ადგილი არ ექნეს შემდეგში ასეთ გამოხდომებს! ყურადღება წვრილმანებს! ყურადღება წინასიტყვაობებს! მუშაობს ალბათ იგივე ჯგუფი?! დამნაშავეები უნდა დაისაჯონ! მტყუანს კარამდე!

1951 წლის 21 მაისს საქართველოს სკოლებში გამოცდები ჩატარდა სიმწიფის ატესტატზე. ქართულ ენასა და ლიტერატურაში სამი თემა გამოაცხადეს: აკაკი წერეთლის შემოქმედების ძირითადი მოტივები, ლეო ქიაჩელის შემოქმედება და თავისუფალი თემა _ «მშობლიურო ჩემო მიწავ». მეორე დღეს «ზარია ვოსტოკამ» (ისევ «ზარია ვოსტოკამ» და ისევ მეორე დღეს!) გვაუწყა: თბილისის ვაჟთა პირველ სკოლაში მოსწავლეთა უმრავლესობამ პირველი და მეორე თემა აირჩიაო (თავისუფალ თემას, როგორც წესი, ერთეულები წერენ, რაც შემიძლია პირადად დავადასტურო _ იმ გამოცდების უშუალო მონაწილემ). 29 მაისს განაწყენებული გალაკტიონი საპროტესტო წერილს წერს განათლების მინისტრის სახელზე, თანაც დასძენს: გაზეთში ორი მწერლის სახელი სრულადაა მოხსენიებული, ჩემი კი _ მხოლოდ ინიციალითო.

1952 წლის 6 ივლისს რადიომ მისი საღამოს ჩანაწერი გადმოსცა:

_ ვინ მისცა ნება ჩემდა დაუკითხავად რომ ჩაუწერიათ ჩემი გამოსვლა?.. განა წარმოსადგენია, რომ ამგვარად ჩაწერილი ხმა ფირზე რაიმე შთაბეჭდილებას მოახდენს?

რასა ჰგავს აპლოდისმენტები? სად, რომელ თეატრშია ამნაირი აპლოდისმენტები? ეს დაცინვასა ჰგავს. საინტერესოა ვისი ინიციატივით მოხდა ყოველივე ეს. სად გაგონილა, რომ პოეტის დაუკითხავად მის ხმასა სწერდნენ? ხომ არ არის ეს პროვოკაცია?

იმავე დღეს ერთი ქართველი პოეტის საიუბილეო წერილი წაიკითხა იანკა კუპალაზე და შორსგამიზნულ პირად შეურაცხყოფად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ავტორმა არ აღნიშნა ორი უმნიშვნელოვანესი წოდება ბელორუსი პოეტისა _ სახალხო პოეტობა და აკადემიკოსობა:

_ განა დასაშვებია სწერდე დიდი პოეტის ბიოგრაფიას და არ ახსენებდე ასეთ მომენტებს. აქ რაღაც ჟულიკობასთან გვაქვს საქმე.

ზუსტად ოთხი თვის შემდეგ _ 6 ნოემბერს _ მიიწვიეს ხაშურის მასწავლებელთა სახლში, რომლის გამგეობის თავმჯდომარეც ქალბატონი ზოია ჩიქოვანი ბრძანდებოდა:

_ მე ძალზე მაინტერესებს თქვენი წინანდელი ლექსები, მაგრამ ვერსად ვშოულობო, _ გამომიცხადა ერთმა მასწავლებელმა ზოიას კაბინეტში (ნონიკაშვილს აქვს პოემა «ზოია»). რა ამბავია? ზოია კოსმოდემიანსკაია, ზოია რუხაძე, ზოია ჩიქოვანი... რაღაც საიდუმლოებითაა მოცული ეს ამბავი... ხომ არ იღებს ნონიკაშვილი რაიმე მონაწილეობას ხაშურელების ჩემთან შეხვედრაში? რად აქვს ზოიას დიდის ამბით შენახული მინის ქვეშ ნონიკაშვილის მოსაწვევი ბარათი? როდის იყო აქ ნონიკაშვილი?

1953 წლის 29 მარტს სამკურნალო კომბინატში სრულიად შემთხვევით კულტურის მინისტრს შეხვდა:

_ ეს საკითხი ჯერ კიდევ მოხსნილი არ არის, _ სთქვა ვ. ჭიაურელმა ლეჩკომბინატში (აქ ფარჟის გარშემო ტრიალებს). (საკითხი ჩემი 60 წლისთავის აღნიშვნისა). ჰმ! (ვიღაც მუშაობს თავდადებით. სიფხიზლე გვმართებს!). რისთვის უნდა ყოფილიყო «მოხსნილი»?

1954 წლის პირველ მარტს საავადმყოფოდან გაწერა შესთავაზეს და ამ წინადადებიდან ასეთი მოულოდნელი და შორეული დასკვნა გამოიტანა:

_ «შეიძლება, თუ სურს, გაეწეროსო» _ უთქვამს ქირურგს ღვამიჩავას. მისი ამ სიტყვებიდან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ყოველგვარი პოლიტიკური და ლიტერატურული კამპანიები ჩატარებულია ტფილისში.

1954 წლის 18 ოქტომბერს თავის თავი გააფრთხილა:

_ არასოდეს არ დაივიწყო სალიტერატურო საღამო. 1954 წ. 18 ოქტომბერი. შეთქმულება?

იმავე წლის 27 დეკემბერს მოსკოვის სასტუმროში ცხოვრობდა:

«ამ დროს დამირეკა ვიღაცამ ტელეფონით და მეძახის:

_ Галактион Алмасханович!

დააკაკუნა ვიღაცამ კარებზე და იძახის: «ტელეგრამა». გააღო ვიღაცამ კარები და პირდაპირ ოთახში შემოვარდა... ფანჯარაც ამ დროს თავისით გაიღო, კედელს დაეჯახა და ახლად ჩასმულმა მინებმა წკრიალი მოიღეს. ოთახში შემოვარდა ქუჩის ხმაურობა, ავტომობილების ხათქანი და ტროლეიბუსების, ტრამვაების... რადიო პირდაპირ აყრუებს არე-მიდამოს.

_ რა გნებავთ? ვინა ხართ? _ ვეკითხები ოთახში შემოჭრილ უცნობს, ჯერ ისევ კარებში მდგარს, მედიდურს, სახეზე აუწერელი მუქარით...

_ თ... თ... ქვეეენ... _ ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობს ის და მოიწევს».

ჩვენ უკვე აღვრიცხეთ 1955 წლის ერთი ქრონიკა:

_ 27 იანვარი. პირველად მივედი მწერალთა კავშირში და დავიკავე მაგიდა პოეტების სექციის თავმჯდომარისა.

მაგიდა კი დაიკავა, მაგრამ:

_ ჩემს მაგიდას მას არ დავუთმობ!

რაშია საქმე?

_ იერიში მოაქვს ფეიგინს... როდესაც მე შემოვედი სექციების ოთახში, ჩემს მაგიდასთან ჩემს სკამზე იჯდა ელსნერი. _ «თქვენ აქ ზიხართ? _ გაოცებით მეკითხება ელსნერი, _ წინედ აქ ტატიშვილი იჯდა. ეს მაგიდა მისია»... როგორც სჩანს, ტატიშვილის მაგიერ გაუყვანიათ ფეიგინი, ე.ი. აქ ჩემს მაგიდას მიუჯდება ფეიგინი... ძალიან სცდებიან, მაგიდა მათ არ დაეთმობათ. მაგიდა მე ჩამაბარა პარტკომმა _ მწერალთა კავშირისამ. ამჟამად ჩემს ოთახში ოთხი რუსია. რას ნიშნავს ეს?.. როგორც სჩანს, ფეიგინი აქ აპირებს დაფუძნებას, საფუძვლიანად ჩაჯდომას რაღა. ვერ მიართვეს... საჭიროა გადამწყვეტი ზომების მიღება, ჩემი აქ დაფუძნება... ჩემი მაგიდა კი ჯერჯერობით არავის დაეთმობა. ამხ. ფეიგინ, თვალებს სულ ტყუილად უშტერებთ ჩემს მაგიდას!.. კიდევ მოვიდნენ «ფეიგინელები». ხომ არ აგზავნიან მათ ჩემთან განგებ?

1955 წლის 12 თებერვალს სამუშაო მაგიდაზე ცარიელ ფურცელზე მიწერილი ორი სიტყვა დახვდა:

_ კადნიერობა = 10. თავხედობა = 9.

სხვაც დაეჭვდებოდა. მითუმეტეს _ გალაკტიონი. იწყება მსჯელობა, ვარაუდები, კვლევა:

_ ეს შესანიშნავი ქაღალდი დამხვდა ჩემს სამუშაო მაგიდაზე, მწერალთა კავშირში, 12 თებერვალს დილით (შაბათს). მოსულა ვიღაც და... რას ნიშნავს: «კადნიერობა = 10» ან «თავხედობა = 9»? ვისი დაწერილია? ვის ეხება? ვისი დაწერილი იქნება, თუ არა რომელიმე შეურაცხმყოფელისა ან ჩემგან, ან ვინმესგან? დაწერილია არა-კულტურული ადამიანის მიერ. იგი სწერს «კადნიერობას» და არა კადნიერებას. ხელწერაც ძალზე დამაფიქრებელია. მოწმობს დამწერის ჩემდამი აღშფოთებულ მდგომარეობას: მიწოდებს კადნიერს, თავხედს. რისთვის? რა მოხდა ასეთი? ის, რომ დამოუკიდებელი მაგიდა მიჭირავს? _ მაგრამ მე ხომ ამით არავის ხელს არ ვუშლი. პირიქით, ვეხმარები, როგორც შემიძლია. მაგრამ აქ მხოლოდ მაგიდის საკითხი არ უნდა იყოს... მივყვეთ კვალდაკვალ ამ ფურცელს.

მივყვეთ: კადნიერობა ათ ასო-ნიშანს შეიცავს, თავხედობა _ ცხრას. ეს არ შეიძლება არ შეემჩნია, რადგან ანალოგიურ გათვლებსა და აღრიცხვებს თვითონ ყველაზე ხშირად აწარმოებდა. მისი სტილია და ხერხი. არაა გამორიცხული, ეს ორი სიტყვა წინადღეს მისივე დაწერილი იყოს. დავიწყებით არ დაავიწყდებოდა, მაგრამ შეიძლება თავის თავს იწვევს და ეთამაშება, ანდა _ ჩვენ გვეხუმრება. უფრო მოსალოდნელია მესამე ვარაუდი: მისივე ანალოგიური განტოლება იპოვნა ვინმემ და გაეხუმრა.

იმავე წლის 21 სექტემბერს წყნეთიდან ჩამოვიდა მწერალთა კრებაზე და კრება გადატანილი დახვდა:

_ რას ნიშნავს ეს? რატომ მაინცდამაინც 29 სექტემბერი აირჩიეს, როდესაც მე სახელგამში მაქვს შეხვედრა ასოთამწყობებთან?.. აშკარაა, აქ რაღაც ინტრიგაა!.. აშკარად ჩემთან შეხვედრის ჩაშლის სურვილია... ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი.

1956 წლის 22 იანვარს «მშვიდობის წიგნის» ხელნაწერის ერთ-ერთ გვერდზე მიუწერია:

_ თვალების წვეთები ხუთი დღის წინათ უნდა მოეტანა. ცინკის წვეთები მოიტანა დღეს 22 იანვარს. წვეთების თვალში ჩასხმისთანავე ვიგრძენი, თვალთა ცქერა უფრო დამისუსტდა. რას ნიშნავს ეს? ხომ არ იყო წვეთებში გარეული სხვა რაიმე? ხომ არ მაბრმავებს ეს ქალი? ან რატომ დააგვიანა ხუთი დღე? რაიმე შეთქმულებას ხომ არა აქვს ადგილი?

ორი დღის შემდეგ კომპლიმენტი მოისმინა, მაგრამ:

_ «თქვენი მუშაობა კარად იქნა შეფასებულიო». მაშ რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ დრო შემირჩიეს (ავადმყოფობა). საქმე იმაშია, რომ სურთ შემდეგაც განაგრძონ შეტევები ჩემს წინააღმდეგ.

იმავე წლის დეკემბერში მოსკოვში ჩემოდნით ჩაიტანა _ თარგმნილები და სათარგმნელები:

_ Что вы, что вы. _ დაიძახა დეევმა, _ В таком большом виде мы даже Аветика Исакияна не смогли издать. _ მინდოდა მეკითხა: А разве Аветик Исакиян король-поэт? მაგრამ თავი შევიკავე. ავეტიქა, მე რომ პარიზში ვიყავი, მუხლმოყრილი მეხვეწებოდა, როგორმე სომხეთში წამომეყვანა. ეხლა? მას ჩემზე მაღლა აყენებს დეევი. აქ რაღაც სომხური შეთქმულებაა...

1957 წლის 25 თებერვალს რადიოში ქართველი პოეტების ლექსები მოისმინა საქართველოზე:

_ არც ერთი ჩემი ლექსი არ წაკითხულა... აქ რაღაც პროვოკაციაა, ისე როგორც «კომუნისტის» პოზიცია (გაზეთში არ იყო ჩემი ლექსები). მაგრამ... კარგი მასწავლებელნი არიან ჩემნი მტერნი _ ჩინური ანდაზისა არ იყოს. ასეთ გამოსვლებს უნდა ველოდეთ მომავალშიაც.

8 მარტს, დილის 11 საათზე, მთვრალი მეგრელი მოადგა კარებს: ადრეც ვყოფილვარ და სხვებთან ერთად ღვინოები მომიტანიაო. მეუღლემ არ შემოუშვა. შეედავა და უკან გააბრუნა. თვითონ ოთახიდან ისმენდა:

_ მოგზავნილია, ეტყობა... ისევ სდგას კარებთან და აწვება კარებს. აწვება და აწვება კარებს. სჩანს მოგზავნილია. იგი დიდის ენერგიით მოითხოვს ოთახში შემოსვლას. არ გვეშვება... ჰმ... დიდი სიფრთხილეა საჭირო... მოსალოდნელია შემოტევის გაგრძელება. მოქმედებენ ეტყობა ორგანიზაციები.

27 მარტს მეორე მეგრელმა დაურეკა:

_ ჯერ დარეკა მწერალთა კავშირიდან. ხმაზე ვიცანი, რომ მეგრელი იყო. შალვა დადიანი მიცნობსო. შეიძლება თქვენი ნახვაო?

ნახევარ საათში მოვიდა კიდეც. მაგრამ ამ ოცდაათ წუთში მომლოდინემ მოასწრო და ცხრამეტპუნქტიანი კითხვარი შეადგინა, სავარაუდო პასუხებიც იქვე მიუწერა _ მარცხნივ:

არა 1 _ ან აქვს რაღაც ნაწარმოები!
ჰო 2 _ ან წერილი უნდა ვინმესთან!
ჰო 3 _ ან ადგილს დაეძებს!
არა 4 _ ან რომელიმე რედაქციისაგანაა!
არა 5 _ ან ვისიმე რაღაც დავალებით!

არა 6 _ ან მზვერავადაა მოგზავნილი!
არა 7 _ ან პროვინციაში მიწვევენ!
არა 8 _ ან არანორმალური ვინმეა!
არა 9 _ ან პატრიოტია ჩემი (რაც საეჭვოა)!
არა 10 _ ან ახალი რამ უნდა ჩემი ნაწერი!
არა 11 _ ან წერილი აქვს ჩემთან ვისიმესი!
აბა! არა 12 _ ან ადგილს მთავაზობს რაიმეს!
არა 13 _ ან თანამშრომლობას მთხოვს!
უადგილოდაა 14 _ ან საქმე არაფერი აქვს და დაეხეტება!
არა 15 _ ან სულელი ვგონივარ და მასხრად მიგდებს!
არა 16 _ ან რამე რჩევა-დარიგებას მთხოვს!
არა 17 _ ან შურის საძიებლადაა მოსული!
არა 18 _ ან უბრალოდ გაცნობა უნდა ჩემი!
არა 19 _ ან მხსნელადაა მოვლინებული!

ფინალი საოცრად მოულოდნელი აღმოჩნდა:

_ მოვიდა ნახევარი საათის შემდეგ. ცოცხალი ბავშია ძალიან.

13 ნოემბერს მწერალთა კავშირის მდივნის გამოსვლამ გააღიზიანა:

_ «ჩვენ დეკადაზე მივდივართ არა პოეზიით, არამედ პროზითო» და ამას ისეთივე გამარჯვებულის ტონით ამბობდა, თითქო დიდად გასახარელი ამბავია, თითქო _ რას მიჰქარავთ აქ თქვენ, რისი პოეზია, რისი მოეზია, საქმე პროზაა და გამარჯვებაც იქ იქნება, სადაც პროზა გაიმარჯვებსო. ჰმ! არსად ასეთი გულახდილი გალაშქრება პოეზიის მიმართ მე არ მსმენია... ხაზი აქ აშკარაზე აშკარაა! სურთ ორ ბანაკად გაჰყონ ქართული მწერლობა დეკადის განმავლობაში და ამით სურთ შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოება, თითქო ორი ხაზი უპირისპირდება ერთი მეორეს: პოეზია და პროზა! თან ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ პროზა სჯაბნის პოეზიასო!!!.. მაშასადამე, ქართული მხატვრული მწერლობა მიდის დეკადაზე არა მთლიანი სახით, არამედ გათიშული... (განზრახ, შეგნებულად, თორემ ნამდვილად ქართული მწერლობა მთლიანია! თუ ხარისხზე მიდგება საქმე, ქართული პოეზია ხარისხობრივად არ ჩამორჩება პროზას, პირიქით, გაუსწრებს მას...). აქ საჭიროა ნიღაბი აეხადოს ყველა ასეთ უსინდისობას!!!.. მაშასადამე, არის დაჯგუფება, რომელიც ჩემს წინააღმდეგ მუშაობს ფაკტიურად და სურს არ სჩანდეს ჩემი სახე დეკადაზე.

27 ნოემბერს ვინმე ჟორდანიამ დაურეკა და გამოეცნაურა: შენთან ერთად ვიწექი საავადმყოფოში და ახლა მინდა ჩემი ნაწერები წაგიკითხოთო:

_ ერთი კვირაა, სახლში სულ უცნაური ხალხი მოდის (ისეთები, რომლებიც არასდროს ჩემს სახლში არ ყოფილან, რომ იტყვიან, ფეხი არ დაუდგამთ). მიწყობენ რაღაცას, ფაკტია. ჰმ! ჰმ! ჰმ! ჰმ! ჰმ!

1958 წლის 21 მარტს მოსკოვის სასტუმროში კარების გაღება გაუჭირდა:

_ რაღაც საიდუმლოებაა ჩემი სასტუმროს ოთახის კარები: ვერც ვაღებ და ვერც ვკეტავ. მოვა კელნერშა, კიდევაც აღებს და კიდევაც კეტავს.

17 მაისს სოხუმის სასტუმროში პასპორტი დაუწუნეს:

_ სასტუმროში გამომიცხადეს, პასპორტი არ გივარგაო. ჰმ... ხომ არაა დასაწყისი?

გაგვენდო _ განიცადა _ გალექსა:

_ ადრე ვბერდები. _ საშინლად დავბერდი სოფელში. _ მე სიბერის დამტრიალებს ძერა.

და მთელი ეს უნდობლობა, ორჭოფობა, მერყეობა, ყოყმანი, ეჭვიანობა, შავი და თეთრი ფერების გამოცხადება და მოძალება, უცხო ხმების მოჭარბება და უცნობი აჩრდილების მოლანდება _ დაასრულა სასოწარკვეთილი შეძახილით:

_ ოჰ, რომ იცოდე, როგორ მწყურია სიკვდილი!

ისევ მეძახის ჩემი დემონი

სიკვდილის პირად ოდეს ვიქნები,
მე ჩემს დემონებს
ვსთხოვ, რომ დახურონ ყველა წიგნები...

თავისებური იყო მისი სიკვდილიც: მოულოდნელი (ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო), ბუნებრივი (ტრაგედია თუ ბუნებრივად ჩაითვლება) და ლამაზი (თუ შეიძლება თვითმკვლელობას ლამაზი ეწოდოს).

მისი ტრაგედია _ გენიის ტრაგედია იყო. სხვაგვარად ვერც მისი პოეზია აიხსნება, ვერც პიროვნება და ვერც სიკვდილი.

იგი ლაპარაკობდა, როგორც კაცობრიობის შვილი, როგორც პლანეტის მოქალაქე:

_ ადამიანი თავისუფალი იბადება, დამოუკიდებელი, უზრუნველი. ამავე დროს ადამიანი ბორკილებში სცოცხლობს და ბორკილებშივე ჰკვდება... იგი ქვეყანაზე მოდის, ქვეყანა მისგან იქმნება, მაგრამ ქვეყანა მას ვერა სცნობს და არის ასე დასაბამიდან დღემდე. ჩვენ მუდამ ვსცდილობთ ვიყვეთ ის, რაც არა ვართ და ვერასდროს ჩვენ ის ვერ შევიქნებით, რაცა გვსურს. ჩვენი სული ამის გამო მუდამ ბორკილებშია, ისე როგორც სხეული.

_ მე ვიცი, რომ ვერ ავცილდები იმ საზღვარს, რომელშიაც კაცობრიობაა მომწყვდეული.

_ მე მთელ დედამიწას დუელში ვიწვევ.

აშკარად გრძნობდა და მძაფრად განიცდიდა ცხოვრების ამაოებას:

_ «რაც უფრო სცდება ადამიანი, მით უფრო თავისუფლდება». მაგრამ როდის ხდება ეს? 1. როდესაც ღრმად მორწმუნე ემხობა ხატის წინ და დიდხანს, დიდხანს ლოცულობს (მე წამიკითხავს ძალიან ხშირად მათ სახეებზე ასეთი ექსტაზი, ცრემლები სათნოების). 2. როდესაც მთვრალია, არა, როდესაც ჯერ კიდევ არაა მთვრალი, ზარხოშადაა, თვალები უბრწყინავს უდიადეს ბრწყინვალებით. 3. როდესაც ოცნებები გაიტაცებს. 4. როდესაც სძინავს. 5. როდესაც შორდება შორეულ არეებს და მიდის შორს, სტოვებს რა ყველაფერს, ყველას, რაც მას აჯაჭვავს ერთ ადგილს. 6. როდესაც აღწევს მიზანს და ჰგონია, რომ ამით დაიძლია ყველა სიძნელეები. 7. როდესაც ჰგონია, რომ ის, ერთადერთი ის შეიყვარა მისმა თინათინმა, და ყველასთვის გული დაიხშო. 8. როდესაც იუბილიარია და ჰგონია, რომ მთელი ქვეყანა მასზე ლოცულობს. ეს წარმოდგენა ანიჭებს მას უდიდეს ბედნიერებას, რომელიც მოჩვენებითია. ყოველივე ამით ადამიანი კი არ თავისუფლდება, უფრო ღრმად ტოპავს შეცდომის მორევში. და მხობილმა ხატის წინ _ დიდხანს, დიდხანს მლოცველმა, არ იცის, რომ მისი სულიერი თავისუფლებაც

მოჩვენებითია. ღვინოდალეულმა არ იცის, რომ მას ელის შეიძლება საშინელზე საშინელი გამოფხიზლება!

მთელი სიცოცხლე ეძება და ყველაზე ორიგინალური ვარიანტი მოძებნა:

_ ფრთები, ფრთები გვინდა!

ძნელი წარმოსადგენი კი იქნებოდა მ-ო-მ-ა-კ-ვ-დ-ა-ვ-ი გალაკტიონი. იგი არ კ-ვ-დ-ე-ბ-ო-დ-ა. იგი მოკვდა.

სიკვდილითაც დიდი კითხვის ნიშნის წინაშე დაგვაყენა. მთელი თავისი ცხოვრებით იყო მომზადებული ასეთი სიკვდილისათვის.

_ დიდი ხნიდან დავეძებ მე ამ სკვდილს.

_ მე ყოველთვის მზადა ვარ სიკვდილისათვის.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი პიროვნების ანგარიშგასაწევი მოსაზრება: უკანასკნელ წლებში მის ჭერქვეშ ცხოვრობდა. უკანასკნელ დღეებშიც თან ახლდა. იმ დღესაც საავადმყოფოში მიაცილა, დაელოდა, გამოეთხოვა და დატოვა. ოცდაორი წლის შემდეგ დაბეჭდილ ინტერვიუში იმოწმებს მაშინდელ დღიურებს, დეტალურად აღადგენს ორი დღის მოვლენებს და კატეგორიულად ასკვნის:

_ ვერავინ დამარწმუნებს, რომ III სართულიდან გადმოხტომა შეგნებული აქტი იყო... დიახ! ეს არ ყოფილა თვითმკვლელობა.

ეს ინტერვიუ დიდი სიფრთხილითა და სიზუსტითაა ნაკარნახევი, ახლოდან და ობიექტურად ახასიათებს და ხსნის პოეტის მეტად თავისებურ პიროვნებას, იგი სანიმუშოდ გამოადგება ყველას, ვინც გალაკტიონზე დაწერს... და, მიუხედავად ამისა, მაინც უნდა აღინიშნოს რამდენიმე საპირისპირო მომენტი:

პირველი: «გადმოხტომა» ყოველთვის შეგნებული ქმედებაა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ასკვნის:

_ გ.ვ. ტაბიძის სიკვდილის მიზეზი არის ტრავმული შოკი.

ქალაქის პროკურატურა ადასტურებს:

_ აღნიშნული მკვლელობა წარმოადგენს თვითმკვლელობას.

აქვე უნდა დავაზუსტოთ ერთი არცთუ უმნიშვნელო დეტალი: მეოთხე სართულიდან გადმოხტა, და არა მესამედან: შენობა ქუჩიდან სამსართულიანია, ეზოდან _ ოთხიანი, და ასეცაა დანომრილი. ხოლო მანძილი საბედისწერო ფანჯრიდან მიწის ზედაპირამდე 13 მეტრია!

პირველები იქვე აღმოჩნდნენ: ავადმყოფის სანახავად მოსული უცნობი ვაჟი, პარიკმახერი და ასირიელი ელექტრომექანიკოსი. თხუთმეტი წუთის შემდეგ, როცა შენობაში შეასვენეს, მესამემ საათს დახედა: შვიდის ხუთი წუთი იყო. გადაიანგარიშა: რომ დაეცა, უთუოდ ექვსის ორმოცდაათი წუთი იქნებოდაო... მაშასადამე _ ათას ცხრაას ორმოცდაცხრამეტი წლის ჩვიდმეტი მარტის ჩვიდმეტ საათსა და ორმოცდაათ წუთზე... წვიმიანი სამშაბათი იდგა.

მეორე: ახალგაზრდობიდანვე აედევნა თვითმკვლელობის დემონი:

_ გადაწყვეტილებას აქვს დიდი ხნის ისტორია. ეს იდეა დამდევდა ყოველთვის, რაც თავი მახსოვს (რატომ არ დაიქცა ის დღე, რა დღესაც მე დავიბადე). ვერ ვიტყვი, რომ ჩემს სულში ერთბაშად, უეცრად დაბნელდა. არა, ამ სულიერ სიცარიელეს აქვს დიდი, ძალიან დიდი ხნის ისტორია. ყველაფერი ეს დიდი ხნის ამბავია. და იმ ღამიდან მე მტკივა გული.

_ ჩემი ტვინი დაიღალა გამოცანებით, ჩემი სხეული დაიღალა სიცოცხლით, იდეა სიკვდილის, რომელიც განადგურებას ნიშნავს, ჩემთვის ტკბილია. მე მიხარია, რომ ჩემივე საკუთარი ნებით მე შემიძლია შევაჩერო ეს მოუსვენარი გულის ცემა, ეს აღელვებული და მხურვალე სისხლი, ეს მტანჯველი ტკივილები ნერვების. მე ახალგაზრდა ვარ, მაგრამ სურვილი არსებობისა აღარა მაქვს, მე ვერაფერს ვერ ვხედავ, ჩემი დემონის ცეცხლიან თვალებს გარდა.

_ ისევ მაწვალებდა თვითმკვლელობის ფიქრი, რომელიც მეგონა, რომ სამუდამოდ ჩამოვიშორე.

_ სოხუმში მივდიოდი, რომ ღამით გემიდან გადავვარდნილიყავი ზღვაში.

_ თავს მოვიკლავ და ის იქნება, მობეზრებული მაქვს მაინც ცხოვრება! _ სწერდა დედას თვრამეტი წლისა, 1909 წლის 14 აგვისტოს, ორმოცდაათი წლით ადრე.

მაგრამ საკუთარი დიდების შეგნებამ, შემოქმედებითმა წარმატებებმა და გამარჯვებებმა, ხალხის სიყვარულმა და პატივისცემამ თითქმის სამოცდაათი წლის ასაკამდე შეინახეს:

_ არავის არ ვუყვარვარ ქვეყანაზე! უკეთესია, რომ მოვკვდებოდე! სიკვდილი კი თითქო ამბობს: გალაკტიონ ტაბიძე, შენ ჯერ არ მოკვდები, კიდევ ბევრ რამეს გააკეთებო!

_ მესმოდა ქება და დიდება. მე ეხლა ძალიან სახელგანთქმული ვარ.

_ ყოველივე, რაც კი საამაყოდ დამრჩენია, შეძენილია არა მარტო კაბინეტური შრომით, არამედ ხალხში ყოფნით. იქ მე ვარ გენიალური, საყვარელი, ძვირფასი ყველასთვის... მაგრამ მე არასოდეს არ ვყოფილვარ მთვრალი ამ გარემოებით იმგვარად, რომ არ მცოდნოდა, სადაა ნამდვილი სიმართლე და სადაა სიყალბე. თავბრუდახვევა ჩემთვის უცნობი იყო ყოველთვის. ყოველივე ემორჩილებოდა ანალიზის გრძნობას (თუმცა არა ყოველთვის).

პოეტების მეფედ აღიარეს, საქართველოს სახალხო პოეტის პირველი და ერთადერთი საპატიო წოდება მიანიჭეს, ლენინის ორდენით დააჯილდოვეს, აკადემიკოსად აირჩიეს, საყოველთაო სახალხო სიყვარულით იყო გარემოსილი, მთელი საქართველო კითხულობდა და მღეროდა მის ლექსებს, რვა ტომი პოეზია გამოსცა, მხოლოდ სახელითაც აწერდა ცოცხალი კლასიკოსის სრული უფლებით, სიცოცხლეშივე ლეგენდარულ პიროვნებად იქცა, ბევრი ჰქონდა აღტაცების დღეები და დღესასწაულები, ხალხის სიყვარული და მთავრობის ყურადღება არ აკლდა, _ მაგრამ რაც უფრო მეტ აღიარებას იმსახურებდა, მით უფრო აქტიურად და დაუნდობლად უტევდნენ ლიტერატურული ოპოზიციონერები. თანაც სიჭაბუკეში დაღდასმულმა სულმა მაინც ბოლომდე ვერ მოიშორა თანამდევი აჩრდილი მეფისტოფელისა, რომელიც დროდადრო გამოეცხადებოდა და თავს შეახსენებდა ხოლმე:

მე მსურს დემონი გავდევნო ლოცვით,
ის ჩემთან ერთად ლოცულობს მაინც.

ორჯერ სცადა: თავის მოწამვლა _ სიჭაბუკეში და თავის დახრჩობა _ სიჭარმაგეში (ორივეჯერ შემთხვევით გადარჩა თუ გადაარჩინეს). პირველი ცდა _ 1909 წელს, უკანასკნელი _ 1959 წელს! ზუსტად ნახევარი საუკუნე სიკვდილს ეთამაშებოდა: როგორც თვითონ დაიანგარიშა, «სხვადასხვა დროს 15-ჯერ გადარჩა აუცილებელ სიკ-ვდილს». და რაკი სიკვდილს ეთამაშებოდა, კილავდნენ კიდეც: თვითმკვლელობას

თამაშობსო, ვიდრე არ გათენდა (თუ არ დაღამდა) 17 მარტი და ვიდრე მეოთხე სართულიდან არ გადმოხედა კოლეგებს!

_ თუკი ადამიანი თავისი ნებით ირჩევს გემს, რომლითაც უნდა გასცუროს და სახლს, სადაც უნდა იცხოვროს, რატომ არ უნდა ჰქონდეს უფლება, ასევე აირჩიოს საკუთარი სიკვდილის საშუალება? _ იკითხა ორი ათასი წლის წინათ სენეკამ და... თავი მოიკლა (ოღონდ _ იმპერატორ ნერონის ბრძანებით!). ხოლო ვიდრე თავს მოაკვლევინებდნენ, განმარტა: სიცოცხლეს ერთი შესასვლელი აქვს, გამოსასვლელი კი _ მრავალი და, როცა ამაყი ადამიანი დამცირებას ვერ აიტანს, ღირსეულ გამოსასვლელს (გამოსავალს) პოულობსო.

მესამე: 1922 წლის რვეულში ერთ-ერთ თავისუფალ ფურცელზე მკრთალი ფანქრით, გაქცეული ხელით ჩაუწერია:

_ ძალიან გაიტანჯები... ჯერ ადრეა, გალაკტიონ... ეხლა გვიანაა.

1954 წლის დეკემბრის ბოლოს მოსკოვ-თბილისის მატარებლით ბრუნდებოდა. გზაზე უბის წიგნაკში ჩვეულებრივ ინიშნავდა შთაბეჭდილებებს. ლექსიც დაუწერია და ჩაუწერია... უკმაყოფილებასაც გამოთქვამს. ფრაგმენტულ დღიურებს შორის ყურადღებას იპყრობს ერთი:

_ ეხლავე?.. ჯერ ადრეა, გალაკტიონ. ცოტახნის შემდეგ... აა. ეხლა უკვე გვიანაა, გალაკტიონ... გახსოვს? ა? ხომ გახსოვს?.. ვაჰ, რა დრო იყო! სადაა ნეტავ ეხლა ის კაცი?

დიდი დაკვირვება არაა საჭირო, აიხსნას რას აპირებდა და რას გულისხმობდა ოცდათორმეტი წლით დაშორებულ ამ დაშიფრულ და ჩემს მიერ ხაზგასმულ სტრიქონებს შორის:

_ როგორც თვითმკვლელი დღიურს, შლიდა ლაჟვარდი ყანებს.

იმავე 1954 წელს ვერის ხიდზე (დღევანდელ გალაკტიონის ხიდზე) შეგვხვდა სტუდენტებს:

_ რა ლამაზია მტკვარი, ქალიშვილო! _ მიმართა ჩემს თანამგზავრს, _ ბარათაშვილს უყვარდა მტკვრის პირას ხეტიალი... _ და უცებ მოჭრა: _ კარგია მტკვარში თავის დახრჩობა.

მაშინ ეს ბოლო სიტყვები ლირიკულ გადახვევასავით მომესმა, ახლა ვიცი: მთელი სიცოცხლე თვითმკვლელობაზე ფიქრობდა.

შვიდი წლით ადრე მოულოდნელად აღმოაჩინა:

_ მე თვითონ ვიგრძენი, რომ ხიდის მოაჯირზე ვდგევარ და... ამბავი.

ხოლო ასი წლით ადრე, ადრეული დროის ფრანგმა სიმბოლისტმა ჟერარ დე ნერვალმა პირველად რომ დუნაი დაინახა, წამოიძახა: «რა ლამაზია! რა შესანიშნავია თვითმკვლელობისათვის!» _ და სიცოცხლე მართლაც თვითმკვლელობით დაასრულა.

მეოთხე: 1929 წლის რვეულში ერთ გვერდზე ამღვრეული ხელით დაწერილი დაუმთავრებელი ლექსია _ «ცხოვრება პათოსს დაშორებული»:

რაა ჩემი ცხოვრება?
მარტო გამათხოვრება,
ზოგიერთს კი ჰგონია
. . . . . .
ვიყავ დიდი პოეტი,
ეხლა ვარ «უცხოეთი».

შენ ავარა, ავარა,
გულში რამ გაგიარა?
ჰკოცნი ხელებს ვისასა?
მხოლოდ იუდისასა!
სიკვდილია, განა სხვა,
ამნაირი განზრახვა.

მომდევნო ფურცელზე კი თოთხმეტჯერ, აქა-იქ, იგივე ხელითა და კალმით, განსხვავებული სასვენი ნიშნებით დასრულებული ორად ორი სიტყვა დაუწერია: ეხლა შემიძლია? ეხლა შემიძლია! ეხლა შემიძლია...

რამდენიმე წლის შემდეგ კი უკიდურესად სასოწარკვეთილი კვნესა აღმოხდა, სინანულისა და საყვედურის მინორი:

შენი დიდება, სამშობლოო, მითქვამს ათასჯერ,
არავინ ჩემებრ არ ტანჯულა ცხოვრების მიერ,
აწ ჩემთვის ვეღარ მოიგონებ იმნაირ სასჯელს,
რისგანაც გული გაიტანჯოს ამაზე ძლიერ.

ხოლო ოციან წლებში თავისებურად გაამართლა თუ თავი გაიმართლა წინასწარ:

_ შეხედეთ: ქართველი პოეტი თვითმკვლელობით ათავებს თავის სიცოცხლეს, რადგან მის ძარღვებში ფეთქს წმინდა ქართული სისხლი. რასიულად ამაყი _ იგი ჩვეული არ იყო დამცირებისა და დამონების ატანას.

დიახ: სენეკას ენაზე რომ გადავთარგმნოთ, ამაყმა დამცირება ვერ აიტანა და ღირსეული გამოსავალი მონახა.

მეხუთე: სიკვდილისა და თვითმკვლელობის დემონი ლექსებშიც ხშირად გაიელვებს ხოლმე:

მზის სადღეგრძელოს მარადი ჭიქით ვსვამ, მიხარია ცეცხლის კდემანი,
სამშობლოს იქით, სიმშვიდის იქით ისევ მეძახის ჩემი დემონი!

თორმეტიც არ იკმარა:

ჩააწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია,
ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი!

მაგალითები შორს წაგვიყვანს... ერთი დაუმთავრებელი და გამოუქვეყნებელი ნახევარი სტროფიც დავიმოწმოთ _ საგულისხმო და მოსაბოდიშებელი ნახევარი:

მოვიკლავდი თავს, მაგრამ ამით, ჩემო სამშობლოვ,
არ მინდა მძიმე მოგაყენო შეურაცხყოფა...

ერთიც _ დასრულებული და სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებული დავიმოწმოთ:

დრო აღარაა ბოდვის და მეოცნებე მკერდის.
არ მეშინია ცოდვის, არ მეშინია ღმერთის.
გულში დაგროვდა ზიზღი და ბნელი ღამის ბინდი,
არ მეშინია სისხლის, არც თვითმკვლელობა მინდა.

_ თვითმკვლელობა არის ლაჩრობა. _ მიუწერია ამ ორსტროფიანის დასაწყისში და ხაზიც გაუსვამს.

მეექვსე: რვა თვით ადრე, 1958 წლის 9 ივლისს ჩაუწერია:

_ წყნეთის არქივი. ნაპოვნია მოწმობა მოცემული 1908 წლის 17 ივნისს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობის მიერ. დაბადების წელი აღნიშნულია 1891 წლის 5

ნოემბერი (მაშასადამე, მე ეხლა ვარ 68-ში). თუ... 1961 წლის 5 ნოემბერს ვიქნები სწორედ 70 წლისა. ჰმ, ჯერჯერობით სრულიად არა ვგრძნობ სიბერეს...

დავიმახსოვროთ ეს მრავალწერტილიანი «თუ» და ეს ჩვენი ძველი ნაცნობი «ჰმ!» (ისევ ჰმ!).

მეშვიდე: რამდენიმე თვით ადრე საკუთარი სახლის პირველ სართულზე შეიარა _ სააფთიაქო სამმართველოს ლაბორატორიაში და ერთ-ერთ თანამშრომელს საწამლავი სთხოვა.

_ არა გვაქვს, მაგრამ კიდეც რომ გვქონდეს, თქვენ როგორ მოგცემდითო, _ უპასუხეს.

მერვე: რამდენიმე კვირის წინ წიგნის სასახლის მესამე სართულზე ერთ თანამდებობის პირს ესტუმრა კაბინეტში. აივანზე გავიდა და ცოტახნის შემდეგ აღელვებული შემობრუნდა:

_ აქ არა... აქ არა... აქ წმინდა ტაძარია...

მეცხრე: 1959 წლის მარტში გამოვიდა «მნათობის» პირველი ნომერი. ამ ნომერში დაიბეჭდა ვითომ საიუბილეო წერილი-პასკვილი, რომელსაც ჩვენ უკვე გავეცანით. აღნიშნულმა პუბლიკაციამ თუ გადამწყვეტი დარტყმა არ მიაყენა, აქტიური კატალიზატორის როლი მაინც შეასრულა.

_ პოეტი რომ მოკლა, ამისთვის ტყვია არ არის საჭირო. _ ამბობდა თვითონ, ხოლო მისი უსაყვარლესი ედგარ პო ერთ თავის ნოველას ასე იწყებს:

_ კიტსი მოკლა რეცენზიამ.

მეათე: 17 მარტს პრესაში გამოქვეყნდა ოფიციალური ინფორმაცია, რომ შალვა დადიანი მთაწმინდაზე დაიკრძალებოდა. უნდა ვივარაუდოთ და ეს ვარაუდი სარწმუნო ჩანს: აღნიშნული ინფორმაცია წაიკითხა და ამან უბიძგა.

მეთერთმეტე: ვინც კი იმ დღეს იხილა, წინასწარ შეთანხმებულივით _ ყველა ნოდარის მოსაზრებას იმეორებს: ექიმები, ავადმყოფები, ნაცნობები:

_ მშვიდ მდგომარეობაში იყო.

_ წყნარი, დამშვიდებული სახე ჰქონდა.

_ თვითმკვლელობის შესახებ ფიქრიც არ შეიძლებოდა.

ვერავინ ვერაფერი შეატყო: ისევ და ისევ ჩვეულებრივი მოკვდავის ნორმებით აფასებდნენ «უცნაურ ვარსკვლავზე დაბადებულს».

თვითონ კი კვლავ აკაკის სიტყვებს იმეორებდა: თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარო. როგორც დაბეჯითებით გვარწმუნებდა, უკვე ზედმეტად იყო გაშინაურებული და გათამამებული სიკვდილთან, რომელსაც «მარადი მეგობარი» შეარქვა. რაღა შორს მივდივართ:

_ სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა.

_ ვინა თქვა შენი გარდაცვალება? არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე.

_ ვინა თქვა შენი უბედურება? არა, სწორედ დღეს ხარ ბედნიერი.

სასაფლაოს გვერდით გაიზარდა და ეს ფაქტიც არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ.

სიკვდილს სხვა თვალით უყურებდა და ზომავდა, სიცოცხლეც თავისებურად და უცნაურად უყვარდა, მათ შორის საზღვარსაც ვერ ამჩნევდა თითქოს:

_ სიცოცხლე ისე ძლიერ მიყვარს, რომ შეიძლება სიცოცხლის სიყვარულის გამო თავიც გავწირო, თავიც მოვიკლა, _ უთქვამს ერთ კერძო საუბარში 1941 წელს...

ამიტომ გარეშე თვალისათვის, ახლობლის თვალისათვისაც კი, ძნელი წარმოსადგენი და შესამჩნევი აღმოჩნდა ტრაგედიის მოახლოვება.

როგორც ცოტა ქვემოთ შევიტყობთ, იმ დღეს უფრო ყურადღებიანი, თავაზიანი და ხალისიანი ჩანდა: ნაცნობებს თვითონ ასწრებდა და ესალმებოდა, უღიმოდა, კოცნიდა კიდეც...

_ ყველასთან ზრდილობიანი ვიყავი, რადგან ყველა მეზიზღებოდა გულში. _ ეს მწარე სიტყვები და მწარე სიმართლე 1932 წლის 25 ნოემბერს ჩაუწერია დღიურში, მაგრამ 1959 წლის 17 მარტის განწყობილებასაც შეესაბამება.

_ თავი ეჭირა გაცილებით უკეთ, ვიდრე წარსულში, _ შენიშნა საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა, რომელიც კარგად იცნობდა და რომლის კაბინეტშიც გალაკტიონის იმდღევანდელ განსაკუთრებულ თავაზიანობაზე საუბრობდნენ, როცა ტრაგედია მოხდა.

_ ვინც შეხვდებოდა, ესალმებოდა, ელაპარაკებოდა. _ შეამჩნია კარისკაცმაც.

_ არავითარი სიმპტომი მოსალოდნელი ქარიშხლისა, _ ნოდარის ამ სიტყვებს მკურნალი ექიმის დასკვნაც აბათილებს:

_ გუნება-განწყობილების ხშირი ცვალებადობა ახასიათებდაო.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, განწყობილების შესამჩნევად შეცვლა არც დასჭირდებოდა: მთელი სიცოცხლე სიკვდილის მხარეს უფრო იყო, ყოველთვის მზად იყო და _ მიუხედავად ასაკისა, მიუხედავად ახოვანი აღნაგობისა, მიუხედავად შენობის სიმაღლისა და მიუხედავად ყოველივესი _ ეტყობა, ყველაფერი უფრო ბუნებრივად და ჩვეულებრივად მოხდა, ვიდრე წარმოგვიდგენია:

_ მიდიხარ... ისე მიგაქვს წვალება, თითქოს ზღვის პირად თივას თიბავდე.

ჩანს, ყველა დეტალი წინასწარ და ზუსტად გაიანგარიშა, და თუ მართლა ნიღაბს ატარებდა, რასაც მრავალი მოწმე ადასტურებს, ეს იყო დიდი ტრაგიკოსის მიერ ბრწყინვალედ გათამაშებული უკანასკნელი როლი.

შეშურდათ კიდეც:

_ სიკვდილშიც გვაჯობაო! _ აღიარა სიმონ ჩიქოვანმა.

_ თავი შეიძლება მოიკლას სრულიად ჯანმრთელმა და სრულიად მხიარულმა ადამიანმაც კი, თუ ტანჯვის ანდა გარდაუვალი უბედურების სიმძიმე დასძლევს სიკვდილის შიშს (ართურ შოპენჰაუერი).

მეთორმეტე: არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი:

_ ათ საათზე მივიდა და პირველზე დააწვინეს. სამი საათი ალოდინეს (დირექტორის მოადგილემ კი რესპუბლიკის პროკურორს მოახსენა: «პირველ საათზე მოიყვანესო»).

_ ორსაწოლიან პალატაში, რომლის ფართობიც 16 კვადრატულ მეტრს შეადგენდა, მესამე საწოლი ჩაუდგეს დამატებით, რის გამოც ერთ-ერთი ავადმყოფის ცოლმა პროტესტი გამოთქვა: შეგვავიწროვესო.

_ შევიწროვებულები დაამშვიდა: პალატიდან გამოვიდა და უკან აღარ შებრუნებულა: ოთხი საათი კორიდორში გაატარა.

_ განყოფილების გამგემ, მკურნალმა ექიმმა და შემდეგ _ მორიგე ექიმმაც განყოფილების გამგის ოთახში გასინჯეს და არა პალატაში.

_ არსებობს მემასაჟე ქალის ცნობა: იმჟამად პალატა-ლუქსში იმყოფებოდა ცენტრალური უნივერმაღის დირექტორი, რომელიც იმ ღამესვე სასწრაფოდ გაწერეს საავადმყოფოდან(!). ნახევარლუქსებიც დაკავებული აღმოჩნდა თუ ვერ გაიმეტეს...

და თუმცა, გასაგები მოსაზრების გამო, ასეთ მნიშვნელოვან დეტალებზე გამოძიებამ ყურადღება არ გაამახვილა, ხოლო ნოდარმა მაშინვე უპასუხა: არ მახსოვს არცერთი შემთხვევა, რომ საავადმყოფოს დირექციას, თუ კი ეს შესაძლებელი იყო, მისვლისთანავე არ მოეთავსებინოს ბიძია პალატაში, არ გაემხნევებინოს და არ ენუგეშებინოსო, _ შესაძლებელია, სწორედ ზემოთჩამოთვლილი გარემოებანი გახდა მიზეზი საბედისწერო გადაწყვეტილებისა.

გარეთდარჩენილს თითქოს სხვა გზაც აღარ დაუტოვეს:

_ თავს მოვიკლავ და ის იქნება, მობეზრებული მაქვს მაინც ცხოვრება!

აღნიშნულ ვერსიაზე ნოდარის გვიანდელი რეპლიკაც მიგვანიშნებს:

_ ამ დღის დეტალური აღწერისაგან თავს შევიკავებ.

და _ ჩვენს მიერ ხაზგასმული _ სხვათაშორის ჩართული: _ ...თუU კი ეს შესაძლებელი იყოო.

ხოლო იქვე ხაზგასმულ «მისვლისთანავეს» _ იმდღევანდელი სამსაათიანი ლოდინი უარყოფს.

წინადღესაც ძლივს მიიყვანა ნოდარმა საავადმყოფოში. მთავარმა ექიმმა _ დირექტორის მოადგილეს დაელოდეთ, «ალბათ მოგიხერხებთ რამესო». მიუხედავად ნოდარის მცდელობისა, არ დაელოდა: «მაინც არ ექნებათ ადგილიო»!

ანგარიშგასაწევია ნოდარის იმდილანდელი კატეგორიული გაფრთხილებაც:

_ დღეს აუცილებლად უნდა წავიდეთ, თორემ შეიძლება შემდეგ საავადმყოფოში ადგილიც არ აღმოჩნდეს.

ამ მტკივნეულ და სახიფათო შენიშვნებს განზრახ აუარეს გვერდი და ყველა მაშველი რგოლივით ალკოჰოლს ჩაეჭიდა, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად ფხიზელი გახლდათ. ერთგვერდიან სამედიცინო დასკვნაში, რომელსაც ხუთი თანამდებობის პირი აწერს ხელს, ხაზგასმულია: დიპსომანია (პერიოდული ლოთობა), სპირტიანი სასმე-ლების ბოროტად გამოყენება, ქრონიკული ალკოჰოლიზმი, ალკოჰოლური დეგრადაცია, ალკოჰოლური შიმშილი, ხელების კანკალი, და ის ფაქტი, რომ უკანასკნელ ხუთ დღეს სვამდა, _ მაგრამ არაა აღნიშნული მთავარი: რომ იმ დღეს ფხიზელი იყო. ძირითად დაავადებად დასახელებულია ქრონიკული ალკოჰოლიზმი და თანმხლებ დაავადებად _ არტერიოსკლეროზი და ჰიპერტონია. მაშინ როცა 19 იანვარს შევსებულ ავადმყოფის ისტორიაში ალკოჰოლიზმი საერთოდ არაა ნახსენები, 17 მარტის ისტორიაში კი ერთგანაა მითითებული და ამ პუნქტს მკურნალი ექიმი ხელს არ აწერს, რაც გვაფიქრებინებს: რამდენიმე საათის წინ შევსებული პირველი ფურცელი შეიძლება გამოცვალეს. ასეთ ბრალდებას მეორე ფაქტი გვაბედვინებს: მესამე ბოლო ფურცელზე დასკვნის სახით მხოლოდ ჰიპერტონია და არტერიოსკლეროზია დასახელებული და მკურნალი ექიმიც იქვე აწერს ხელს.

ძიებაც ამ სასურველ ვერსიას გაჰყვა:

_ ტაბიძე უჩიოდა ქრონიკულ ალკოჰოლიზმს... უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში სვამდა მაგარ სასმელებს... საავადმყოფოში მიყვანისას კვლავ შეეცადა

მიეღო ალკოჰოლური სასმელი, მაგრამ ძმისშვილმა არ დაანება და არ გაუშვა დასალევად.

ეს დასკვნა ემყარება ნოდარის ჩვენებას:

_ მხოლოდ ერთხელ სცადა ქვედა სართულზე ჩასვლა, ალბათ, ალკოჰოლის მისაღებად (იქ, მგონი, ბუფეტი უნდა იყოს), მაგრამ არ გავუშვი.

ალბათ და მგონი _ ვარაუდებია, ძიება კი იმითაც არ დაინტერესდა, იყო თუ არა საავადმყოფოს ბუფეტში სპირტიანი სასმელები, რაც თავისთავად აშკარა ეჭვს იწვევდა!

რა თქმა უნდა, ქრონიკული ალკოჰოლიზმით იყო დაავადებული, მაგრამ იმ დღეს წვეთი არ დაულევია და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაშიც ხაზგასმულია: «გვამის გაკვეთის დროს ალკოჰოლის სუნი არ შეიგრძნობოდაო». ამავე დროს ყველა დაკითხული აღიარებს: ფხიზელი იყო და არაფერი ეშლებოდაო. მაინც აქცენტი ალკოჰოლზე გადაიტანეს და შეგნებულად მოარიდეს ყურადღება არსებითი ხასიათის ფაქტორებსა და შეკითხვებს, რომლებიც დღესაც უპასუხოდაა დარჩენილი.

ჩანს, სახალხო პოეტისა და აკადემიკოსის რეგალიები საკმარისად არ ჩაუთვალეს. მაგრამ პოეტს ლექსის დაწერის ელმენტარული პირობა ხომ მაინც უნდა ჰქონოდა. დირექტორის მოადგილემ ორი წლის შემდეგ მოიგონა: მთხოვდა და ყოველთვის გამოვუყოფდი ხოლმე მყუდრო კუთხეს, სადაც ექიმების წასვლის მერე _ ოთხი საათიდან მუშაობდაო (მოიცდის კი შთაგონება ოთხ საათამდე?!). იმ დღესაც განყოფილების გამგის ოთახი გამოვუყავიო (საბედისწერო ოთახი!). ორი წლით ადრე კი თავის ახსნა-განმარტებაში ამის შესახებ არაფერი თქვა, ამ თემაზე საუბარს მოერიდა, ვერ გაამხილა.

საყურადღებოა ერთი დეტალი: ქირურგიული განყოფილების ექიმი, გალაკტიონის პატრიოტი, დაინტერესდა, გავიდა ამავე სართულის მოპირდაპირე დერეფანში _ ნერვულ განყოფილებაში და ექიმს ჰკითხა: მართლა მესამე საწოლი ჩაუდგეს გალაკტიონს პალატაშიო? კოლეგამ დაუდასტურა და, თითქოს თავის გასამართლებლად, დასძინა: გალაკტიონს ხმა არ ამოუღია, ოღონდ ეგაა, გამოვიდა და პალატაში აღარ შედის, დერეფანში დადის წინ და უკანო. რასაკვირველია, არც ნერვული განყოფილების ექიმს და არც საავადმყოფოს არცერთ თანამშრომელს ჩვენებებში ამ ფაქტზე კრინტიც არ დაუძრავთ. ქირურგიული განყოფილების ექიმი კი არ დაკითხეს, თუმცა იმ დღეს მორიგე იყო, იქვე ტრიალებდა და შემთხვევის ადგილის დათ-ვალიერების ოქმზე გამომძიებელმა თერთმეტ მოწმესთან ერთად მასაც მოაწერინა ხელი. ეს ქალბატონი ყველაზე გულწრფელად განიცდიდა: ჩვენი უყურადღებობით დაიღუპაო.

გამოძიების ტენდენციურობა აშკარაა: არ დაკითხეს მეშვიდე პალატის ორი ავადმყოფი და ერთის მეუღლე, მაშინ, როცა ნოდარ ტაბიძე ორჯერ დაკითხეს და დაკითხეს აგრეთვე ივანე გვინჩიძე, რომელსაც შემთხვევასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, მაგრამ ძიებისათვის სასურველ ჩვენებას იძლეოდა. მეოთხე დღეს გამოცვალეს გამომძიებელი. საქმეში ჩაერია რესპუბლიკის პროკურორი. მან _ ნაცვლად დაკითხვისა _ ახსნა-განმარტებანი ჩამოართვა მთავარ ექიმსა და დირექტორის მოადგილეს, იმ პირებს, რომელთა პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დამდგარიყო, თუ ძიება სწორად წარიმართებოდა. საქმიდან ამოღებული უნდა იყოს ერთი ან ორი არასასურველი ჩვენება: საქმე შეიცავს 72 ფურცელს და აკლია ორმოცდამეცხრამეტე და

მესამოცე ფურცლები, სწორედ ის ნაწილი, სადაც მეორე გამომძიებელმა მოწმეთა დაკითხვა დაიწყო...

ერთი ცხადია: რამდენიმე კვირით ადრე წიგნის სასახლეში «წმინდა ტაძარი» გაახსენდა და თავი შეიკავა, ამჯერად კი?!

მეცამეტე და უკანასკნელი: დილით ნოდარმა თითქმის ძალით მიიყვანა საავადმყოფოში. ნოდარს დავალებები მისცა და გამოისტუმრა.

_ ბიძას არავითარი ტრაგიკული განწყობილება არ გამოუმჟღავნებია.

საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალს, რეჟიმსა და ოთახების განლაგებას კარგად იცნობდა: სამწუხაროდ, ბოლო დროს ამათი ხშირი სტუმარი გახლდათ. წინა წელიწადს ოთხჯერ იწვა, ოთხჯერვე ამავე განყოფილებაში, ნერვულ განყოფილებაში. იმ წელსაც პირველი სამი თვის უმეტესი დღეები მეოთხე სართულზე გაატარა. ხუთ მარტს გაწერეს და თერთმეტი დღის შემდეგ იძულებული გახდა მობრუნებულიყო.

ექიმებისათვის ის მაინც იყო პაციენტი გალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძე, დაბადებული 1891 წლის 17 ნოემბერს, მცხოვრები ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩა N 4-ში, ჰიპერტონიისა და არტერიოსკლეროზის დიაგნოზით, რომელსაც 1959 წლის 17 მარტს მაჯა ჰქონდა რითმული _ 84, გულის ტონები მიყრუებული, სისხლის წნევა 180/80, უჩიოდა გულის არეში ტკივილებს და საერთო სისუსტეს, შეკითხვაზე იძლეოდა სწორ პასუხს, როგორც ავადმყოფი, იყო წყნარი და დამჯერე, და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

პირველ საათზე დააწვინეს (უფრო ზუსტად _ პირველს ათი წუთი აკლდა). ტრაგედია ექვსზე მოხდა (უფრო ზუსტად _ ექვსს ათი აკლდა). ხუთი საათი საკმაო დროა. შეგვიძლია მიახლოებითი თანამიმდევრობით აღვადგინოთ ეს უკანასკნელი დათვლილი საათები და წუთები, თვითმკვლელობისათვის მზადების საათები და წუთები.

მეოთხე სართულის მეშვიდე პალატაში ორი მოქალაქე დახვდა, ორივე თბილისელი.

ორის ნახევარზე განყოფილების გამგესთან მივიდა ოთხმოცდამეთორმეტე ოთახში. განყოფილების გამგემ და მკურნლმა ექიმმა გასინჯეს.

_ ისეთი მძიმე მდგომარეობა არ ჰქონდა, რომ გვეფიქრა ასეთ მძიმე შედეგზე, _ აღნიშნავს პირველი.

_ არავითარი საეჭვო მდგომარეობა არ იყო მოსალოდნელი, _ ადასტურებს მეორე.

სამის ნახევარზე მედიცინის დამ შენიშნა ვესტიბიულში: პაპიროსს ეწეოდა და ბოლთას სცემდა. მიესალმა. ძალიან თავაზიანად უპასუხა, ჰკითხა კიდეც _ როგორ ბრძანდებითო («დღეს უნდა გადავვარდე!»).

სამი საათი მიიწურა, წყნარი საათი დაიწყო: ექიმები წაბრძანდნენ, პაციენტები ისვენებდნენ.

ისევ ოთხმოცდამეთორმეტე ოთახთან იდგა, მორიგე ექიმმა რომ მოაკითხა. მოიკითხეს ერთმანეთი. შეკითხვაზე _ ახალი ხომ არაფერია, უპასუხა: წიგნი გამოდისო ჩემი _ ჩვენს რჩეულს გულისხმობდა. მორიგე ექიმმაც ოთხმოცდამეთორმეტე ოთახში შეიყვანა და ერთხელ კიდევ გასინჯა. ერთად გამოვიდნენ. საღამოს კიდევ გინახულებო, _ შეჰპირდა მორიგე ექიმი და მესამე სართულზე ჩაბრუნდა:

_ სულ ღიმილით მელაპარაკებოდა, თავაზიანად... არავითარი განსაკუთრებული მე მისთვის არ შემინიშნავს.

ოთხ საათზე ექთანიც ფოიეში შეხვდა და მოიკითხა: ცერის აწევით ანიშნა _ ყოჩაღად ვარო.

_ არავითარი აღელვება არ ეტყობოდაო, _ განაცხადა ექთანმა მეორე დღეს.

_ ადამიანი თავის მოკვლას გადაწყვეტს ხოლმე ჩვეულებრივად გამოუვალი უკმაყოფილების გამო და მაშინ ამას აკეთებს ისეთი გულგრილი განზრახვითა და შეუპოვარი გამბედაობით, რომ თუნდაც ავადმყოფივით უმეთვალყურეონ, სარგებლობს პირველივე შემთხვევით, რათა განახორციელოს თავისი ჩანაფიქრი, ამჯერად მისთვის შვების მოპოვების ბუნებრივი და სასურველი საშუალება (ართურ შოპენჰაუერი).

ხუთი საათისთვის დირექტორის მოადგილემ გამოიარა და ჰკითხა, როგორ მოეწყვეო. პირდაპირ არ უპასუხა (!). მხოლოდ ეს უთხრა: ძალიან კმაყოფილი ვარ ყველასიო, და რამდენიმეჯერ აკოცა («ჯერ ადრეა, გალაკტიონ!»)...

რამდენიმე საათით ადრე კონსტანტინე გამსახურდია შენიშნა საავადმყოფოს ფოიეში და იმასაც საკოცნელად მიაშურა...

გრიგოლ რობაქიძესაც შეუმჩნევია ძალიან ადრე და დამახსოვრებია:

_ საინტერესო იყო მეტად შეხვედრა მასთან... შემოგეფრქვეოდა ხალისით, გადამეტებული ხალისით _ «მეტი» აქ გამოწვეული იყო ალბათ ნდომით უხერხულობის დაფარვისა...

იმდღევანდელი უჩვეულო და განსაკუთრებული თავაზიანობა კი ექვსი საათის შემდეგ გაიხსენეს და აღმოაჩინეს, თორემ მანამდე ვის ეცალა მისთვის!

ექვსის ნახევარზე ქირურგიული განყოფილების გამგე შეხვდა კვლავ ოთხმოცდამეთორმეტე ოთახის კარებთან. პირველი თვითონ მიესალმა და დიდი პატივისცემით მოიკითხა. როცა ამ უკანასკნელმა მადლობა გადაუხადა და თავის მხრივ ჰკითხა _ თვითონ როგორ ბრძანდებითო, _ დაბეჯითებით უპასუხა: ძალიან კარგადო («დღეს უნდა გადავვარდე!»).

ცოტახნის შემდეგ სკამი აიღო და აივანზე გასვლა დააპირა (პირველი ცდა!). მედიცინის დამ, რომელსაც სამის ნახევარზე ესაუბრა, ურჩია, აივანი სველია და გასვლა არ ღირს. თუ გნებავთ, კარებს გავაღებ და აქვე დაბრძანდითო. გაუღიმა, დაეთანხმა, აივანი ნამდვილად სველია და გასვლა მართლაც არ ღირსო. მექანიკურად, სიტყვა-სიტყვით გაიმეორა თანამოსაუბრის ნათქვამი, რადგან სხვა საწუხარი აწუხებდა და სხვა საფიქრალს ფიქრობდა. სკამი დადგა («ჯერ ადრეა, გალაკტიონ!») და კორიდორში გაისეირნა.

_ არც სამისნახევარზე და არც ექვსისნახევარზე მის განწყობილებაში უჩვეულო არაფერი შემინიშნავსო, _ გულწრფელად აღიარებს მედიცინის და.

დაახლოებით ამ დროს მოვიდა მასთან მესამე სართულიდან ერთი ნაცნობი ლიტერატორი და ლექსების წასაკითხად მიიწვია. დათანხმდა: პროცედურიდან რომ დაბრუნდები, გამომიარეო. დერეფნის კარებამდე მიაცილა («დღეს უნდა გადავვარდე!») და ჰკითხა: რას კითხულობო. როგორც ჩანს, ეს იყო მისი უკანასკნელი შეკითხვა და საუბარი.

მერე ერთხანს ბოლთას სცემდა და პაპიროსს ეწეოდა. ხალათის ჯიბეში თავის განუყრელ უბის წიგნაკთან და ფანქრის ნამლევთან ერთად, ერთი კოლოფი «რეკორდი» და სამი კოლოფი ასანთი ედო. კოლოფში ექვსი ღერი ეწყო. სამის მოწევა მოასწრო, სანახევროდ მოსწია: ნერვიულობდა, ნამწვავები იმავე კოლოფში ჩააბრუნა...

_ ჯერ ადრეა, გალაკტიონ, ცოტახნის შემდეგ...

კვლავ ბოლთას სცემდა და ისე მძიმედ ხვნეშოდა, რომ მახლობელ პალატაში ერთი ახალგაზრდის ყურადღება მიიპყრო. ეს უკანასკნელი წიგნს კითხულობდა. იცნო, ვინც სწუხდა კარებს იქით, მაგრამ ყოყმანობდა, გამბედაობა თუ სითამამე არ ეყო, გამოსულიყო და გასაუბრებოდა (დღესაც ნანობს!).

მეექვსე საათი იწურებოდა... იწურებოდა უკანასკნელი წუთები, უკანასკნელი წამები...

_ დღეს უნდა გადავვარდე, თორემ ცუდ ხასიათზე ვარ...

იქნებ უბრალო შეკითხვას ან შეხმიანებას გამოეფხიზლებინა?!

მაგრამ არა: ექვსი საათისთვის შეეხმიანა სანიტარი, რომელმაც პირველ საათზე საავადმყოფოს ტანსაცმელი ჩააცვა, ხელი ჩაჰკიდა, ბავშვივით აიყვანა მეოთხე სართულზე და მეშვიდე პალატაში შეაცილა. ახლა ვესტიბიულს ასუფთავებდა და სთხოვა, წასულიყო და პალატაში დაწოლილიყო, დაესვენა, რადგან, ჩანს, შეამჩნია განუწყვეტლივ დერეფანსა და ვესტიბიულში რომ ტრიალებდა და წრიალებდა. იდგა და შეჰყურებდა ნაცნობ სანიტარს, მაგრამ უკვე აღარ უპასუხა თუ აღარაფერი ესმოდა...

_ დღეს უნდა გადავვარდე, თორემ ცუდ ხასიათზე ვარ. დღეს. დღეს. უსათუოდ...

სანიტარი სააბაზანოში შევიდა, ცოცხი დადო და, როცა შემობრუნდა, ვესტიბიულში აღარ დახვდა...

ამ დროს დაპირებულმა ნაცნობმაც მოაკითხა მესამე სართულიდან და რაკი პალატის ნომერი არ იცოდა, კორიდორში დაელოდა. მაგრამ («სად არ გამოტყვრება ეს წყეული მაგრამ») უკვე გვიან იყო: ერთი ნაბიჯით გაასწრო...

_ ეხლა შემიძლია!

მესამედ და უკანასკნელად შევიდა ოთხმოცდამეთორმეტე ოთახში, უაივნო თავისუფალ ოთახში, განყოფილების გამგის კაბინეტში:

_ ისევ მეძახის ჩემი დემონი!

მიხურა კარი, გაიხადა ავადმყოფის ხალათი, დადო ტახტზე:

_ ისევ მეძახის ჩემი დემონი!

_ ისევ მეძახის ჩემი დემონი!

აიღო ვენური სკამი, მიიტანა ფანჯარასთან, გამოაღო ფანჯარა, ორმაგი ფანჯარა:

_ ისევ მეძახის ჩემი დემონი!

_ ისევ მეძახის ჩემი დემონი!

_ ისევ მეძახის ჩემი დემონი!

ავიდა ჯერ სკამზე, მერე ფანჯრის რაფაზე და...

_ მე ვერაფერს ვერ ვხედავ, ჩემი დემონის ცეცხლიან თვალებს გარდა!..

დასკვნები მკითხველმა გამოიტანოს:

_ სარკმელს გააღებს ამღვრეული გალაკტიონი და ქვაფენილებს დაენარცხება (მიხეილ ქვლივიძე).

_ გალაკტიონმა, ვიცით, თვითონ გაშალა ფრთები (მურმან ლებანიძე).

_ პოეტისათვის კარგი სიკვდილი უკანასკნელი კარგი ლექსია (გიორგი შატბერაშვილი).

ერთი სიტყვით რომ შევაფასოთ, ეს იყო: პროტესტი! პროტესტი ყველასადმი, ყველაფრისადმი, ყველაფრისათვის! სწორედ ამ პროტესტმა შეკრიბა უპირატესად გრანდიოზული პროცესია ოთხი დღის შემდეგ. შეთქმულებივით განაბულ პროცესიას

მაშინ არ შეეძლო აშკარად გაეცნობიერებინა დანაშაულის სიმძიმე, მაგრამ «მასსა, რომელმაც იცის საიდუმლო», მიხვდა, რომ მოხდა რაღაც უჩვეულო: ტრაგიკული და ლოგიკური, გაბედული და რაინდული, _ რაც საყოველთაო თანაგრძნობას იმსახურებდა და პასუხს მოითხოვდა. დღესაც მოითხოვს!

ერთმა ოპონენტმა კატეგორიულად გამისწორა:

_ ვიყოთ ბოლომდე თანმიმდევრულნი _ ეს არ იყო თვითმკვლელობა, ეს იყო მკვლელობა. ნახევარი საუკუნის შემდეგ საქართველოში გასროლის გარეშე განმეორდა წიწამური. კონკრეტული დამნაშავე არ უძებნიათ, არც ობელისკი აღუმართავთ მკვლელობის ადგილზე. 1959 წლის 17 მარტი ყოველთვის უნდა ქენჯნიდეს ქართველ საზოგადოებრიობას, თუ ის სინდისთან კომპრომისზე არ წავა (თ. დოიაშვილი).

მართლაც, სამკურნალო კომბინატის კედლისა და კიბის კუთხე, სადაც გალაკტიონმა სიცოცხლე დაასრულა, წიწამურის გამოძახილივით გვაფრთხილებს და ამ საბედისწერო ადგილის უყურადღებოდ დატოვება დანაშაულში თანამონაწილეობის ტოლფასია: აქ ვეება ლოდი მაინც უდა დავდოთ და შთამომავლებს მეორე წიწამური შევახსენოთ!

სხვათაშორის, როცა თენგიზ აბულაძე აპირებს, ილიაზე და გალაკტიონზე განზრახული ორი ფილმი ერთმანეთს დაუკავშიროს, _ ალბათ სურს ილიას მკვლელობა და გალაკტიონის თვითმკვლელობა საერთო ეროვნულ ტრაგედიად წარმოიდგინოს და წარმოგვიდგინოს...

მკაცრი ბრალდებაც დაიწერა და დაიბეჭდა ოცდათოთხმეტი წლის შემდეგ _ «როგორ მოვკალით გალაკტიონი?!»:

_ გალაკტიონ ტაბიძე ჩვენ მოვკალით. მოვკალით ავბედითი, უბრალო იარაღით, _ გულცივობით, უყურადღებობით, შეურაცხყოფით, მოვკალით ვერაგულად (ვ. გურგენიძე).

იურისპრუდენციამაც სასტიკად დაჰგმო გამოძიება ოცდაცამეტი წლის შემდეგ:

_ აღნიშნული საქმის გამოძიების კანონიერება, ხარისხი და კულტურა მძიმე შთაბეჭდლებას სტოვებს. თითქმის ყველა საგამოძიებო მოქმედება ჩატარებულია ზერელედ, დაუდევრად, არაკვალიფიციურად, კანონით დადგენილი ნორმების უხეში დარღვევით... გამოძიებას ფაქტიურად არაფერი დაუდგენია, არცერთი შესაძლო ვერსია არ შეუმოწმებია... საქმის ასე გამოძიება კი უბრალოდ არ თავსდება სადისციპლინო დებულებისა და კოდექსების ჩარჩოებში (ა. შუშანაშვილი).

ასევე გვიან, მაგრამ სამართლიანად გაკიცხეს გამომძიებელი:

_ რატომ არ გაარკვიეთ საკადრის პალატაში გალაკტიონის მოუთავსებლობის მიზეზი, რატომ არ დაკითხეთ მის პალატაში მწოლიარე ავადმყოფები, არ გაარკვიეთ, ვისთვის და ვისი ბრძანებით იყო დაჯავშნული მაღალი კლასის პალატები?.. როგორ შეიძლება, თქვენ არ იცოდეთ, რატომ ჩამოაცილეს ამ საქმეს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი. რა დახმარება გაუწიეთ ხელისუფლებას, რა თავსატეხი გაუჩინეთ დღევანდელ და მომავალ თაობებს? ნუთუ ან მაშინ ან დღეს არ გსმენიათ არცთუ უსაფუძვლო ხმები, გალაკტიონი ხელისუფალთა გულგრილობამ და უდიერმა მოპყრობამ იმსხვერპლაო? (ა. შუშანაშვილი).

ხელისუფლებამ მაშინვე დაუმალა სიმართლე ხალხს:

_ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს

სახალხო პოეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძე.

თვით პროკურატურამაც არ აღიარა სრული ჭეშმარიტება:

_ 1959 წლის 17 მარტს 18 საათზე საქ. ჯანდაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს საავადმყოფოს მე-4 სართულიდან გადმოვარდა ავადმყოფი გალაკტიონ ვასილის-ძე ტაბიძე, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

მწერალთა კავშირმა და მეცნიერებათა აკადემიამ თითქოს სხვათა შორის მიგვანიშნეს: მიზეზი ალკოჰოლი იყო და სხვა არაფერიო:

_ უკანასკნელ წლებში გ. ტაბიძე მძიმედ იყო დაავადებული, რამაც გამოიწვია მისი ცხოვრების ტრაგიკული დასასრული.

ექიმებმაც თავი დაიზღვიეს.

_ Табидзе Г. В. в течение длительного времени злоупотреблял спиртными напитками. В результате хронического алкоголизма у него наблюдалось изменение личности в форме алкогольной деградации.

თვითონ ძალიან ადრე ივარაუდა და გაგვაფრთხილა: ღვინოს დააბრალებენ!..

1985 წელს დაბეჭდილ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც კი არაფერია ნათქვამი გალაკტიონის არათუ თვითმკვლელობაზე, არამედ ტრაგიკულ აღსასრულზე, თუმცა იმავე ენციკლოპედიაში შავით თეთრზე სწერია, რომ ვლადიმერ მაიაკოვსკიმ, სერგეი ესენინმა, მარინა ცვეტაევამ თავი მოიკლეს.

ეს ჩვენი აპოლოგიაც, რომლის კითხვასაც თითქმის ამთავრებ, ჩემო სულგრძელო მკითხველო, საბეჭდი მანქანიდან ჩამოიღეს და აკრძალეს თავის დროზე, თუმცა ცენზორის მიერ ნებადართული გახლდათ. კარგახნის შემდეგ მოვახერხეთ და მშობლიური ქუთაისის ჟურნალში გავაპარეთ: ასე რომ დაინტერესებული კოლეგები ჯერ კიდევ ცდილობენ მიჩქმალონ სიმართლე და აქეთაც გვედავებიან:

_ ზოგ-ზოგები, ვინც დღეს გაკვირვებული და ხშირად აღშფოთებულიც კია იმის გამო, რომ გალაკტიონ ტაბიძეს რომელიმე ყრილობისა თუ კრების პრეზიდიუმში არ ირჩევდნენ, ან უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ხელახლა აღარ აირჩიეს, ან რომელიმე ჯილდო დააკლეს, ამით მის ხსოვნას ჩრდილსაც კი აყენებენ.

არა და არა, ბატონებო! ჩვენ ყველაფერი გვაინტერესებს პოეტების მეფისა, და გვაინტერესებს არა იმდენად ცნობისმოყვარეობის გამო: თუკი ოდესმე განგება კვლავ გადმოგვხედავს მოწყალე თვალით და გალაკტიონისთანა უმწეო გენიას გვაღირსებს, ჩვენ აღარ უნდა გავიმეოროთ საბედისწერო შეცდომა, მეტი გულისხმიერება უნდა გამოვიჩინოთ, მოვეფეროთ, მოვეალერსოთ, გავუფრთხილდეთ, გავაძლებინოთ, ჩვენი წილი სიყვარული არ დავაკლოთ, _ და თუ ამას ვერ შევძლებთ, გავჩუმდეთ მაინც და თავად ბედის რჩეულის უჩვეულო ხასიათითა და მარტოობით ნუ გავამართლებთ ჩვენს გულგრილობას, უფრო მკაცრად რომ არ ვთქვათ.

დიახ, სიცოცხლეშივე მოვასწროთ და მოვეფეროთ, თორემ სიკვდილის შემდეგ დიდება და უკვდავება უჩვენოდაც მონახავს წუთისოფლის ამგვარ იშვიათ სტუმარს.

ჩვენ კი პოეტის თვითმკვლელობამაც ვერ გამოგვაფხიზლა და ჭკუა ვერ გვასწავლა.

როგორც ჩანს, სიმართლე არავის აინტერესებდა, უფრო სწორად _ არ აწყობდა, რადგან მასთან არავინ აღმოჩნდა მართალი, უფრო მეტიც _ ყველანი დამნაშავენი იყვნენ მეტ-ნაკლებ.

ალბათ არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტსაც, რომ არავინ ჩიოდა, არც ახლობელთაგან და არც ოფიციალურად. ცალკეული პიროვნებანი კი გვიან, ძალიან გვიან დაინტერესდნენ და გამოიდეს თავი.

სამი წლით ადრე საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გენერალურმა მდივანმა მოიკლა თავი: ფადეევის თვითმკვლელობაც ალკოჰოლს დააბრალეს. მწერალს მწერალი გამოესარჩლა: შოლოხოვმა ვოროშილოვს დაურეკა _ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს _ და სასტიკი პროტესტი განუცხადა კოლეგის შეურაცხყოფისათვის. მაგან საშინელი წერილი დაგვიტოვა და ჩვენ გვადანაშაულებსო, _ გათქვა თავი სახელმწიფოს მეთაურმა. გალაკტიონს არც წერილი დაუტოვებია და არც არავინ გამოქომაგებია. კონკრეტული დამნაშავე არ უძებნიათ და არც არსებობდა («პოეტი რომ მოკლა, ამისთვის ტყვია არ არის საჭირო»). ყველამ ხელი დაიბანა და მშვიდად დაიძინა იმ ღამეს. მაგრამ ხომ იგულისხმება უხილავი ხელიც, და თუ იმ ხელმა საბედისწერო ფანჯრისკენ არ მიაბრუნა და არ უბიძგა, შეჩერებით მაინც არ შეუჩერებია, როდესაც უკანასკნელ ნაბიჯებს დგამდა:

_ საშინელებაა, როცა გარშემო მიიხედ-მოიხედავ და არსაიდან მშველელი არ არის.

როგორც გვახსოვს, ერთხელ ესენინი გაიხსენა და, ცხადია, თავისი ბედისწერაც იგულისხმა და იწინასწარმეტყველა:

_ ჩამოიხრჩობ თავს, მიდიხარ მოლიპული გზით, იცი თვითონვე ყოველივე ეს, იცის მთელმა რუსეთმა, რომ შენ თავი უნდა მოიკლა... და არსაიდან ამავე დროს თანამგრძნობი თვალები არ სჩანდეს, ეს დიდი უბედურებაა, ეს პირდაპირ წყევლაა.

ყველამ იცის, რომ შენ თავი უნდა მოიკლა და არსაიდან თანამგრძნობი თვალები არ სჩანს! არსაიდან მშველელი არ არის!

_ არის ადამიანის ცხოვრებაში: შორდები ქვეყანას, რომელიც გძულს, ძალიან გძულს: არა, უფრო მეტი: გეზიზღება! კიდევ უფრო მეტი: ცდილობ საჩქაროდ წახვიდე, რადგან გეშინია... გეშინია, გძულს, გეზიზღება, და კიდევ მეტი: გეშინია, გეშინია, გეშინია...

და ყველა შეაშინა და დააფრთხო კიდევ ერთმა შეკითხვამ: დაეკრძალათ თუ არა თვითმკვლელი მთაწმინდაზე?! პასუხისმგებლობა ვერავინ იკისრა, რადგან რესპუბლიკის ხელმძღვანელი უცხოეთში იმყოფებოდა. დაურეკეს საზღვარგარეთ და, საბედნიეროდ, ბეწვზე გადავურჩით მოსალოდნელ შერცხვენას! მაგრამ გადავურჩით არა ვისიმე კეთილშობილების გამო: თვითმკვლელობის აღიარებას და ხაზგასმას მოერიდნენ!

კიდევ ერთმა გარემოებამ აიძულა ხელისუფალნი და გამორიცხა სხვა ვარიანტი: უკვე გამოცხადებული ჰქონდათ და ორი დღით ადრე შალვა დადიანი დაკრძალეს მთაწმინდაზე!

ერთმა: ვაითუ, ხალხი არ მოვიდესო?!

მაგრამ (ვენაცვალე ქართველ ხალხს!) მოვიდა, მაგრამ რა მოვიდა!

ეს იყო არა მარტო პოეზიის დღე-სასწაული!

_ ხალხმა სტიქიურ კატასტროფასავით განიცადა პოეტის სიკვდილი (თ. ჭილაძე).

თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს,
მე მოვკვდები _ როგორც პოეტს შეჰფერის!

თუმცა არც სიკვდილში ჰქონია «ვარდისფერი გზა»: როდესაც კრძალავდნენ, გაჭრილი სამარე ვიწრო აღმოჩნდა: ერთხელ კიდევ შეგვახსენა: თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარო...

და ამიერიდან მეორე მარადიული მეზობელიც შეგვახსენა: თვითონ სამარეც მევიწროოსო...

იმ დღეებში მაგიდაზე დასაბეჭდად ხელმოწერილი ანაბეჭდები მეწყო.

იმ საბედისწერო დღესაც, რამდენიმე საათით ადრე, ნოდარს დაავალა, ჩვენთან შემოევლო და წიგნის ამბავი ეკითხა...

წიგნი ერთი თვის შემდეგ დაიბეჭდა: ვერ მოესწრო. ვერ მოესწრო თავისი გაორებული და გატანჯული ცხოვრების უკანასკნელ სიხარულს.

მაგრამ მშობელი ხალხისა და მშობლიური ქვეყნის უმადური მაინც არ დარჩა, არ გაბოროტდა:

იმ ჯოჯოხეთის ვიგონებ ვარვარს,
ბევრჯერ რომ იმის კარებთან ვმდგარვარ,
და დაგიხსნივარ მზიური დღისთვის...
გმადლობ, სამშობლოვ, სიყვარულისთვის!

ყრმობის დღიდანვე ბედი მხვდა ცხარე,
გზა განუხრელი და თავმოყვარე,
სხვა წააგებდა, მე ოქროს ვადნობ...
მფარველობისთვის, სამშობლოვ, გმადლობ!

აღვიგე ძეგლი, მზისა მსგავსება,
დავიწყებით რომ არ იხავსება,
საიმსოფლიო და საამსოფლო
დაფასებისთვის, გმადლობ, სამშობლოვ!

სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა

ჩვენ აღარ გველოდებიან. აღარ გვაჩქარებენ:

_ სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა...

ყველა ნაცნობს საერთო Oსინანული დაუტოვა: მეტი სიახლოვის ილუზია. გამოუყენებელ შესაძლებლობათა ილუზია! დიახ, ილუზია! _ რადგან მასთან უფრო დიდხანს ყოფნა შეიძლებოდა, უფრო ახლოს _ არა!

ერთხელ ერთ ოჯახში პუშკინის სადღეგრძელო წამოიწყო:

_ ის იყო ოქროს გული, ვეფხი მეცხრამეტე საუკუნის უდაბნოში... _ და როგორც კი მასპინძელმა ფანქარი მოიმარჯვა, სიტყვა აღარ გააგრძელა.

დისტანცია ყოველთვის უცვლელი რჩებოდა _ უხილავი და მარადიული.

მაინც მეტი დაკვირვება იყო საჭირო, მეტი გულისხმიერება, მეტი ცნობისწადილი. ღვთის ნაბოძები განძივით ახლოს იყო და ყოველთვის იყო. გვეგონა, მუდამ იქნებოდა: ხვალაც, ხვალაც და ხვალაც.

პირად შემოქმედებით კომფორტს გადაგებულნი გვიან გაოცდნენ.

უფრო კეთილშობილებმა ნაგვიანევად შემოირტყეს თავზე ხელი.

თუმცა ეპიზოდურად, ოფიციალური თუ არაოფიციალური გამოხდომები დღემდე გრძელდება.

ერთ-ერთ ანთოლოგიაში მხოლოდ ოციანი წლების შემდეგ დაწერილი ლექსებით წარუდგინეს მკითხველს.

ერთმა დრამატურგმა, რომელსაც თვითონ «ფუძემდებელთაგანი» უწოდა, რამდენიმე წლის შემდეგ, ახალგაზრდა რეპორტიორებთან საუბარში, გალაკტიონის პოეზიის გადაფასების აუცილებლობაზე ჩამოაგდო სიტყვა, თუმცა ოფიციალური პასუხიც მალე მიიღო (ამ ახირებულს არც «ვეფხისტყაოსანი» მოსწონდა: რუსთაველის გმირები განუწყვეტლივ ქალებივით ტირიანო, _ და ეს ახირებული პავლე ინგოროყვამ რედაქციიდან გააძევა: სადაც მე ვარ, იქ შენ რუსთაველის ხსენებას გიკრძალავო).

ოთხმოციან წლებში რესპუბლიკის ადრინდელმა ხელმძღვანელმა მემუარები დაწერა და უსაყვედურა: საზოგადოებრივ საქმიანობაში ვერ ჩავაბითო, სვამდაო, ლენინის ორდენი დაკარგაო... მე, როგორც გამომცემელმა, შევნიშნე: გალაკტიონი სულაც არ გახლდათ საქმის კაცი, უკეთეს პირობებს საჭიროებდა და მეტ შედევრს დაწერდა-მეთქი. დამიჯერა და ხელნაწერიდან ეს პასაჟი ამოიღო. არადა, სჯობდა დაბეჭდილიყო.

აგერ, ახლახან, არაპირდაპირ შეედავნენ: კატეგორიული ტონით დაიწერა და დაიბეჭდა, რომ მეოცე საუკუნის «ქართული ლექსის რეფორმა», «ეს ისტორიული მომენტი ჩვენი პოეზიის განვითარებისა», არ შეიძლება ჩაეთვალოს «განცალკევებულ პიროვნებას».

უფრო მოკრძალებულადაც გაიმეორეს:

_ გულუბრყვილობად მეჩვენა, როცა მეოცე საუკუნის ქართული ლირიკის თვისობრივ გადახალისებას, ფერისცვალებას, მხოლოდ ერთ პიროვნებას მიაწერენ.

წიგნიც დაიწერა _ «გალაკტიონი თუ ცისფერყანწელები»:

_ გალაკტიონი უკვე ათიოდე ლირიკული შედევრის ავტორი იყო, როცა ცისფერყანწელები თავიანთ ჯგუფს აყალიბებდნენ. ქართულ ლექსში გარდატეხა მანამდე მოხდა, ვიდრე «ცისფერყანწელთა» ლიტერატურული გაერთიანება გაფორმდებოდა... გ. ტაბიძე პირველი კრებულის გამოცემისთანავე გამოეყო თავისი თაობის პოეტებს, ამაღლდა მათზე და სათავეში ჩაუდგა ლექსის განახლების პროცესს (ა. ხინთიბიძე).

1961 წელს ცისფერყანწელების მისამართით დაიწერა და დაიბეჭდა:

_ სიჭაბუკის განთიადზე ისინი ქართული ლექსის განახლებაზე ოცნებობდნენ, მაგრამ გალაკტიონმა დაასწრო მათ (დ. ბენაშვილი).

თვითონ დააზუსტა:

_ «ცისფერი ყანწები» გამოვიდა 1916 წელს! _ და თუ ოდნავ იოტისოდენა რამ სიახლე იყო მასში, ეს იყო გალაკტიონ ტაბიძის გავლენა მათზე და არა მათი გავლენა გალაკტიონ ტაბიძეზე.

«არტისტული ყვავილები» კი გახლავთ წიგნი, რომლის დასაწერადაც თავიანთი მგზნებარე მანიფესტებით კარგახანს ემზადებოდნენ ცისფერყანწელები და რომელიც მოულოდნელად დაწერა არა-ცისფერყანწელმა. ცხადია, ეს რიგითი წიგნი არ გახლავთ და ისიც ცხადია, რომ ამ სიურპრიზით გაოგნებულ ცისფერყანწელებს ქვეცნობიერი პრეტენზიები გაუჩნდათ, რომელიც ვერა და ვერ მოინელეს (თუმცა, ცხადზე ცხადია

ისიც, რომ ასეთი ჩანაფიქრის განსახორციელებლად მარტო მგზნებარე მანიფესტები და საკუთარი სახელების გადაკეთება არ კმარა).

ერთი ლეგენდა გამახსენდა: ძველ ათენში ახალი ტაძრის აშენება განიზრახეს და ორი სახელგანთქმული ხუროთმოძღვარი მოიწვიეს. პირველმა დიდხანს ილაპარაკა, დაწვრილებით დაახასიათა მომავალი შენობის ცალკეული დეტალები და ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ მეორეს, სხვათაშორის, ზრდილობის გამო ჰკითხეს: შენ რაღას შემოგვთავაზებო. მეორემ: კოლეგამ რომ დაგიხატათ, ზუსტად ასეთ შენობას აშენებულს ჩაგაბარებთო. აგაშენა ღმერთმა, ჩვენც ეგ გვინდაო! _ უპასუხეს ათენელებმა.

მაშასადამე, მთავარია შედეგი და არა ჩანაფიქრი, საქმე და არა სიტყვა (თვით სიტყვის ხელოვნებაშიც კი!).

_ «ცისფერი ყანწებით» იწყება ახალი პერიოდი ქართულ მწერლობაში. _ განაცხადა ერთმა ლიდერმა.

_ ჩვენ ფარული თრთოლვით უარვყოფთ საყვარელ დიდების ტახტს, როდესაც დავინახავთ, რომ სხვა მაღლობზე გაიხარა ახალი განახლების კოცონმა. _ დასძინა მეორემ.

მაგრამ, როდესაც ჭეშმარიტად «სხვა მაღლობზე გაიხარა ახალი განახლების კოცონმა», ტახტის დათმობა არც ისე იოლი აღმოჩნდა: თვალებზე ხელები აიფარეს, და, სხვა რომ ვერაფერი მოუხერხეს, «не вижу» გაუკეთეს (ბარბარიზმისათვის ბოდიში!) და სრული მარტოობისათვის გაწირეს ისედაც მარტოობისაკენ მისწრაფებული («ე ოჯახდაქცეული, თუ ვერ მხედავს, ფეხი მაინც ვერსად წამომკრაო», _ მწარედ იხუმრა ერთხელ).

თუმცა ესეც უნდა ვიკითხოთ: იყვნენ კი დაბადებულები «არტისტული ყვავილების» მკითხველები 1919 წელს? _ როდესაც ამ მოულოდნელი წიგნის სათაურიც კი ზუსტად ვერ ითარგმნება, თუ საერთოდ არ ითარგმნება?

_ ჩვენ რომ აკლებული გვქონდა რუსთაველის პროსპექტი, სად იყო მაშინ გალაკტიონი? _ შემომიტია ერთხელ ერთმა ნახევრად ცისფერყანწელმა («ყანწელობს, თან არ ყანწელობს!»).

_ როდესაც მე მოველ, _ არავინ არ ჩანდა! _ თითქოს ჩემს მაგიერ უპასუხა და დაუმატა: დღემდე ვერავინ ვერ დამაჯერა, რომ მე მჯობნიან ჩემი ტოლები!

1933 წელს რუსულად შეახსენა საკუთარ თავს:

_ Ты пришел в нежеланный момент для многих.

უფრო ადრე, 1926 წელს კი, გაზეთი «კომუნისტი» გამოექომაგა ოპერატიულად და ოფიციალურად:

_ მზათ ვარ, მზათ, გალაკტიონი მილიონჯერ გავიმეორო: «სადღაც ისმის დაირა და სიცილის წვეთება, საქართველო! _ აი რა არის შემოქმედება!..» ნეტავი აქ მომცა რუსთაველის პროსტექტის მოლაყბენი! ნუთუ კიდევ არ შეინძრევა მათი გაყინული ტვინი! (გ. მუშიშვილი).

ისღა დაგვრჩენია, განვმარტოთ: შედევრებს ქმნიან არა ქუჩაში გამოსული დემონსტრანტები, არამედ სანთლის შუქთან გახიზნული გენიოსები! ხოლო სანთელს რაც შეეხება, მართლაც სანთლის მკრთალ ნათელს ამჯობინებდა ატომის საუკუნეში, რადგან სანთლის წრე მეტ ინტიმს ქმნიდა და კიდევ უფრო განამარტოვებდა. ხშირად დღისითაც არ აღებდა დარაბებს და ისე წერდა, ანდა სრულ წყვდიადში იჯდა და ოცნებობდა. საწერ მაგიდაზე სანთლები ეწყო და ბაზრის შპარგალკაშიც საგანგებოდ

ინიშნავდა: «შანდალი. სანთლები (შესაფერისი). კარგი სამაგიდო სანთელი. სანთელი შანდლისა...»

დაბოლოს, ესეც აკადრა ოთხმოცდაცამეტი წლის ცისფერყანწელმა:

_ «ლურჯა ცხენები» ბოდვაა. ქრიან ბოდვები და აბდაუბდები.

ეს ის კოლეგა გახლავთ, 1920 წელს რომ შედევრი უწოდა «ლურჯა ცხენებს» და «ასი ლექსის» კომენტარები დაგვიტოვა.

«აბდაუბდებს» რაც შეეხება, დიახაც ეს გახლავთ სწორედ ის «უშესანიშნავესი აბდაუბდა», რომელზედაც სალვადორ დალიმ მიუთითა პაბლო პიკასოს _ როგორც მისი ორიგინალობის იმ მახასიათებელზე, რომელმაც მეოცე საუკუნის ხელოვნება გადაარჩინა, და რომელიც ჩვენ შეგვიძლია გალაკტიონის ერთი სტრიქონით გავამართლოთ: «ოცნება _ ნახაზი საგანთა უარით». მსგავს ხილვებს მხოლოდ გენიოსის წარმოსახვა მოიხელთებს ხოლმე და შურით დაბნეული გონება ვერასდროს ჩაწვდება და ვერასდროს შეიცნობს.

გადაჭარბებული თუ ნაადრევი კომპლიმენტებიც ბლომად დაიმსახურა:

_ ხანდახან ასე მგონია, რომ ვერც რუსთაველი, ვერც ვაჟა გალაკტიონის უფაქიზეს ლირიკულ შედევრებს ვერ დასწერდნენ. მე პირადად, ასე თუ ისე, ვიცნობ მსოფლიო პოეზიას და უნდა მოგახსენოთ: გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც საქართველოს და არც ჩვენს პლანეტას არ მოეპოვება... გალაკტიონზე სიჭაბუკეში განსაზღვრული ზეგავლენა მოახდინეს ვერლენმა და ედგარ პომ, მაგრამ სრულიად მიუდგომლად ვამბობ: გალაკტიონმა გადააჭარბა თავის მასწავლებლებს. მე ვიტყოდი: შორს გადააჭარბა (კონსტანტინე გამსახურდია).

_ XX საუკუნის მსოფლიოში არ არსებობს გალაკტიონზე დიდი პოეტი (ტოლძალოვანი _ კი) (მუხრან მაჭავარიანი).

_ მეოცე საუკუნის ჩვენი პლანეტის სულ ათიოდე ელვარე პოეტურ სახელთა შორის, რომელთაც აამაღლეს და დაამშვენეს ჩვენი დრო, ერთი სახელი ქართულია _ გალაკტიონ ტაბიძე (ირაკლი აბაშიძე).

_ გალაკტიონის დაბადების დღიდან დედამიწის ზურგზე მისი სიმაღლის პოეტს არ გაუვლია (ნოდარ დუმბაძე).

_ მოვა დრო, როცა კაცობრიობა გალაკტიონ ტაბიძეს გენიალურ პოეტად აღიარებს (გურამ ასათიანი).

_ ჩვენი დროის ყველაზე დიდ პოეტად მე ვთვლი გალაკტიონ ტაბიძეს (ბულატ ოკუჯავა), _ ეს უკანასკნელი აღიარება იტალიელი კორესპონდენტის საპასუხოდ ითქვა და იტალიაში დაიბეჭდა: თითქოს და თითქმის მთელი ევროპის გასაგონად.

ზემოთმოყვანილი ყველა ციტატა 1959 წლის 17 მარტის შემდეგ დაიწერა (თითქოს შეთქმულებივით ელოდებოდნენ ამ დღეს!).

_ პუბლიკა უპირატესობას მკვდარ პოეტს ანიჭებს და ამაში ის მართალია. პოეტი, რომელიც ჯერ არ მომკვდარა _ ანაქრონიზმია (ჟან კოკტო).

პოეტის სიცოცხლე უშლის ხელს პოეტის აღიარებას.

_ Они любить умеют только мёртвых! _ ძალიან დიდიხნის წინათ წამოიძახა პუშკინმა.

ხოლო ჩვენი დროის ნაფიც კრიტიკოსს მეორე დღესვე წამოსცდა:

_ ამიერიდან გალაკტიონ ტაბიძე ხალხის მიერ სამუდამოდ აღიარებულია ჩვენი დროის უდიდეს ქართველ პოეტად, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ეროვნული მწერლობის

უდიდესი კლასიკოსების ღირსეულ მემკვიდრედ, ჩვენი საუკუნის ქართული პოეზიის ფუძემდებლად, მის პირველ კლასიკოსად... ამიერიდან მისი სევდიანი ჰანგი იქცა ხალისიან, აღმაფრთოვანებელი საგმირო საქმეებისათვის, სულიერი რაინდობისავის მომწოდებელ მომხიბლავ სიმღერად.

არადა, შეიძლებოდა ეს ტირადა ზუსტად ორმოცი წლით ადრე დაწერილიყო, როცა «არტისტული ყვავილები» გამოიცა.

ბატონმა კონსტანტინემ კი ბრძანა: გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა ჩვენს პლანეტას არ მოეპოვებაო, _ მაგრამ ოთხი წლის შემდეგ ბრძანა. რამდენიმე საათით ადრე კი, საკოცნელად გამოშურებულს _ პირი მოარიდა. სამწუხაროდ, არა მარტო კონსტანტინე გამსახურდიამ მოარიდა პირი, არამედ ყველამ, ვისი ყურადღების, სიყვარულის, პატივისცემის და თაყვანისცემის ღირსიც იყო.

მწერალთა კავშირის ერთმა მაშინდელმა თავკაცმა აგერ ახლახან გულწრფელად (თუ არაგულწრფელად?!) გამიმხილა: ამხელა თუ იყო, ნამდვილად არ მეგონაო.

1946 წლის 25 მაისს გერონტი ქიქოძემ მწერალთა სასახლეში სრულიად უცნობი ანა კალანდაძის ლექსები მოისმინა და ბრწყინვალე დებიუტის მეორე დღეს დღიურში ჩაწერა:

_ ვაჟა-ფშაველას შემდეგ პირველი დიდი პოეტი მოგვევლინა.

გერონტი ქიქოძემ გამოტოვა გალაკტიონი, თუმცა, როგორც პირადად მისწერა ოთხი წლით ადრე და როგორც ჩვენს მკითხველს უკვე მოვახსენეთ, _ მშვენივრად უწყოდა მისი სიდიდე და სიდიადე.

თვითონ გალაკტიონმა კი, თითქოს ეს ჩანაწერი წაიკითხაო, იმავე წლის 8 სექტემბერს ჩაინიშნა და რეპლიკა მესამე პირს მიაწერა:

_ საკვირველი იყო ის სენსაციები, რომელიც წინდაწინ მოუწყვეს ახალგაზრდა მწერალს ანა კალანდაძეს და ეს მაკვირვებს მით უფრო, რომ ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც იყო ილია, ვაჟა და სადაც არის გალაკტიონი.

ვით ბალახი ღერომდინი,
თრთის გერონტი გერონტინი.

1926 წლის 9 აპრილს ცვეტაევამ რილკეს მისწერა პასტერნაკის შესახებ:

_ Он _ первый поэт Росии. Об этом знаю я, и еще несколько человек, остальным придется ждать его смерти.

ქართველთა შორის კი, სამწუხაროდ, ერთეულებიც არ აღმოჩნდნენ და ყველა პოეტის თვითმკვლელობას დაელოდა, თუმცა იოსებ იმედაშვილი ჯერ კიდევ 1927 წელს გაცხარდა და განაცხადა:

_ ვერც ერთი სინდისიერი ქართველი პოეტი ვერ იტყვის, რომ გალაკტიონ ტაბიძის გავლენა აეცილებინოს. გალაკტიონ ტაბიძის სტილისა და ფორმის ექსპლუატაცია ხდება ქართულ პოეზიაში ყოველ ნაბიჯზე და დროა ეს სიმართლე ითქვას გადაჭრით.

მხოლოდ მესამე თაობის პოეტებს ეყოთ გამბედაობა:

_ ეს წიგნი დაწერილია პოეტის მიერ, რომელმაც თუ რამ საიდუმლო იცის, ოთხი მეხუთედი გალაკტიონისაგან და მხოლოდ ერთი მეხუთედი _ დანარჩენი მსოფლიოსაგან (მურმან ლებანიძე).

«არტისტული ყვავილების» შემდეგ ოთხი ათეული წელი იცოცხლა და მაინც ვერ ვიცანით, ვერ შევიცანით.

იქნებ მეორე გალაკტიონი იყო საჭირო _ პირველის შესაცნობად და შესაფასებლად.

_ Какая радость, что существует и не выдуман Маяковский (Борис Пастернак).

იქნებ პატივმოყვარეობის ბრალია? ადამიანურ ნაკლოვანებათა შორის ერთიც უნდა ვამხილოთ: ჭირს თანამედროვის აშკარა და დიდი უპირატესობის აღიარება. ეს დაუწერელი კანონი ხელოვანთა შორის უფრო მკაცრად მოქმედებს, ერთი თაობის ხელოვანთა შორის _ უმკაცრესად.

_ თუ გსურთ თანამედროვეებმა თქვენი სიდიადე აღიარონ, ეცადეთ დიდად არ აღემატებოდეთ მათ (ამბროზ ბირსი).

_ თუ გსურთ მტრები შეიძინოთ, აჯობეთ მეგობრებს (ფრანსუა დე ლაროშფუკო).

თვითონ მარტივად ახსნა:

_ ადამიანებს შენი არა ესმით რა, ან შეიძლება ძალიან კარგად ესმოდეთ, მაგრამ ადამ და ევადან მოყოლებული სენი _ შური უშლით ხელს.

ჩვენი დროის გენიალურმა მხატვარმა სალვადორ დალიმ, რომელიც სხვათაშორის ლექსებსაც წერდა და რომლის «რბილი საათები» გალაკტიონმა პარიზში იხილა და აღწერა კიდეც, ყოველგვარი მოკრძალების გარეშე განაცხადა:

_ 1929 წელს დავრწმუნდი, რომ გენიოსი ვიყავი და მას შემდეგ ერთხელაც არ დავეჭვებულვარ.

იმ დროს სალვადორ დალი ოცდახუთი წლისა გახლდათ.

ოცდახუთი წლის გალაკტიონ ტაბიძემ დაწერა:

_ როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი!

ექვსი წლის შემდგ გაიმეორა:

_ ვწუხვარ: ერთადერთი ვარ!

არ აპატიეს! აშკარა უპირატესობა არ აპატიეს!

_ აშკარა უპირატესობის გამომჟღავნება ადამიანის წინაშე, და თანაც მოწმეთა თანდასწრებით, რა თქმა უნდა უდიდესი სითავხედეა, რაც ნაცვალგებას მოითხოვს; თავმოყვარეობაშელახულიც, რასაკვირველია, დაუყოვნებლივ დაიწყებს საბაბის ძებნას, რომ შეურაცხყოფა მოგვაყენოს და სამაგიერო გადაგვიხადოს; მაშინ ის გონიერების სფეროდან ნებელობის სფეროში გადადის, სადაც ჭკუა-გონების მხრივ ყველა თანასწორია (ართურ შოპენჰაუერი).

თვითონ გაგავაფრთხილა:

_ საზოგადოება ვერ ითმენს ადამიანს, რომელიც მას არა ჰგავს.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, სხვებს არ ჰგავდა და დიდად აღემატებოდა სხვებს, რის გამოც ბევრი მტერი შეიძინა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან სუსტი მოწინააღმდეგე გახლდათ («და მებრალება მე ჩემი მტრები: არ ვიცი მტრობა»).

ერთხელ პირდაპირ მიმართა საკუთარ თავს:

_ არავის არ გამოსჩენია იმდენი მტერი, რამდენიც შენ, რადგან არავინ ისე ძლიერი და ორიგინალური არ არის, როგორც შენ.

(შეადარეთ პოლ ვალერის: «ჩვენი მტრების რიცხვი ჩვენი გავლენის ზრდასთან ერთად იზრდება»).

მეორედ თავისი თავი იგულისხმა:

_ ესაა ძლიერი პოეტი, რომლის სიდიადეს აღიარებენ თვით მისი მოწინააღმდეგენიც კი, თუმცა ასეთები ძლიერ ცოტა მოიპოვებიან.

ასეთები მართლა ცოტანი მოიპოვებოდნენ, ძალიან ცოტანი!

მესამედ თავის თავს მოეფერა რუსულ-ქართულად: ჯერ უსაყვედურა, მერე დაუყვავა, გაამხნევა, გაამართლა, წააქეზა, დააიმედა:

_ Смело, ясно, приветливо нужно смотреть всем в глаза! Всему и всем! შენ არავის წინაშე დამნაშავე არ ხარ. შენი სული სავსეა იმ მარგალიტებით, რომლისთვისაც სხვა თავს მოიკლავდა. შენ კი გაჩერებულხარ და სრულიად არ აფასებ მას. ასე არ შეიძლება. ეს ნამეტანია. ეს არ გეკადრება შენ. შენ ისეთი დიდი ხარ და იმდენად წარმოუდგენლად დიდი, რომ არც კი გინდა შეამჩნევინო ეს ვისმეს... სულო, რამდენი რამ დაჰკარგე. მაგრამ ნუ შეშინდები... Смело, ясно, приветливо нужно смотреть всем в глаза და სამაგიერო ჯილდოსაც მიიღებ... რამდენია განადგურებული და ობოლი სული, ყველას ნუგეში უნდა, ეს აუცილებელი ნუგეში უნდა მოიფინოს ყველგან შენ მიერ და შენ მიიღებ სამაგიეროს, უმთავრესია смело, ясно, приветливо!

ეს გამამხნევებელი შეგონება კონსერვატორიის დარბაზში ტოლსტოის შესახებ მოსმენილმა ლექციამ შთააგონა 1921 წლის 21 აპრილს: მოწვეულმა ლექტორმა გამოარჩია და ამოიჩემა:

_ თავის ლექციის დროს მიყურებდა მხოლოდ მე.

საერთოდ კი დაჟინებულ მზერას გაურბოდა, ვერ იტანდა, ვერ უძლებდა:

_ ამ კაცს აქვს ძლიერ ცუდი ჩვეულება: საზოგადო ადგილას, რესტორანში, ქუჩაში, ტრამვაიში, ავტობუსში დაჯდეს და ვისმეს მიაშტერდეს თვალებში განუწყვეტლად. გავა ათი წუთი, ოცი, ოცდაათი, იგი ზის და გიყურებს. აკვირდება შენს სახის გამომეტყველებას, შენს ყოველ მოძრაობას. მოგჩერებია, მოგჩერებია, მოგჩერებია და გრძნობ, რომ ეს უტიფრობა, უზრდელობა, უკულტურობაა. ეს ცდაა მოთმინებიდან გამოგიყვანოს, ცდაა იმისი, რომ მკაცრი სიტყვა წამოგაცდევინოს, სილაც გამოგტყუოს და ეს იქნება მისთვის უდიდესი სიამოვნება: ხომ გამოგიყვანა მოთმინებიდან, ხომ გამოგტყუა სილა და მას რაც უნდოდა.

არადა, პოპულარული პიროვნება გახლდათ, ყველას ყურადღებას იპყრობდა, უცნობების ყურადღებასაც კი, და ამაოდ გაურბოდა მოდარაჯე მზერას.

სამწუხაროდ, მისი პიროვნება უფრო იყო პოპულარული. უცნობი პიროვნება! უცნობი ნაცნობი!

_ ვცდილობდი, ძე-კაცს არ გაეგო ჩემი სურვილი.

ნიღაბს ატარებდაო. არაფერი შემიძლია ვთქვა ამის შესახებ, ისე ბუნებრივად ჰქონდა მორგებული (თუ ჰქონდა). სხვა გალაკტიონი მე არ მინახავს. არ მახსოვს.

სალვადორ დალის (ისევ სალვადორ დალი!) ერთმა ახლობელმა გაიხსენა:

«ერთხელ დალის ვესაუბრებოდი მხატვრის სახელოსნოში. უცებ ზარი დაირეკა და შემოსასვლელიდან ლაპარაკის ხმები მოისმა. დალი უცებ წამოხტა და მე ვიხილე მსახიობი სცენაზე გასვლის წინ:

_ მაპატიე, _ მითხრა მან, _ დალის ნიღაბი უნდა ავიფარო».

გალაკტიონმა 1914 წლის 6 იანვარს ოლიას მისწერა:

_ არავითარ სულიერ ნათესაობას არ ვგრძნობდი მათთან, მხოლოდ შენმა მათში ყოფნამ მაიძულა სახეზე ნიღაბი ამეფარებინა.

უფრო გვიან, ფოტოზე წლოვანების დაფარვის მიზნით, შენიშნა:

_ აქ საჭიროა ნიღაბი.

კიდევ უფრო მოგვიანებით ჩაინიშნა:

_ გრიმასები, რომ არ გიცნონ.

ძმის გარდაცვალების შემდეგ კი წვერი მოუშვა და უფრო სრულჰყო საკუთარი ნიღაბი.

ნოდარ ტაბიძემ მოიგონა:

«არასოდეს დამავიწყდება 1954 წლის დეკემბერი. გალაკტიონი და მე სასტუმრო «მოსკვაში» ვბინადრობთ. კარზე მორიდებული კაკუნი ისმის. შემოდის მაღალი კაცი და გალაკტიონს გადაეხვევა. პოეტი სდუმს.

_ ნუთუ ვერ მიცანით, ვასილი ვარ ოკუჯავა.

_ ვასიოკ! _ უცნაური ხმით ყვირის გალაკტიონი.

ნიღაბი სახიდან ჩამოცურდა და ნამსხვრევებად იქცა».

ეტყობა, ემოციები რომ მოერეოდა, თავს ვეღარ იკავებდა: რევაზ თვარაძე გადმოგვცემს ერთი ძველი ცენზორის ნაამბობს: ერთხელ გაცეცხლებულმა გალატიონმა კვლავ ძველებური ბოხი ხმით შემომიტია და ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის, უეცრად კიდეც შემეშინდაო.

ელგუჯა მაღრაძე მოგვითხრობს:

«1951 წლის მარტი იდგა. პლეხანოვზე რომ სარდაფი-სასაუზმეა, იქ დავლიეთ გალაკტიონთან ერთად მე და ოთარ ჭელიძემ. ზედმეტი მოგვივიდა და ჩავთვლიმეთ. მალე უცნაურმა ხმამ გამომაფხიზლა. გალაკტიონი სრულიად სხვა ხმაზე ლაპარაკობდა, უფრო სწორად _ ღმერთს ელაპარაკებოდა თუ ესაყვედურებოდა. გაოცება რომ შემატყო, ძველი ხმა დაიბრუნა:

_ თქვენ, როგორი ხმის ღირსიცა ხართ, იმ ხმაზე გელაპარაკებითო».

ერთხელ, 1932 წელს, ოლიაც გაუბრაზდა: არა, შენ არასოდეს მოიხსნი მაგ წყეულ ნიღაბსო.

ისე, თითქოს ეტყობოდა კიდეც თავისი ხმით რომ არ გველაპარაკებოდა: ხმა აღნაგობას აშკარად არ შეესაბამებოდა. ჩანს, ცხოვრებამ აიძულა და ჩვევა თვისებად ექცა.

როგორც ემილ მიშელ ჩორანი შეგვახსენებს, ადამიანს ასაკთან ერთად ყველაფერი ეცვლება, გარდა ხმისა. იგია ყოველი ჩვენგანის პირადობის ერთადერთი დამადასტურებელი და საჭიროა ხმის ანაბეჭდები ავიღოთო.

დიახ, ხმა არ იცვლება, თუ, რა თქმა უნდა, კაცი მსახიობივით თვითონ არ ალაპარაკდა სხვა ხმაზე.

_ ვინ იყო იგი? _ პასუხის სიცხადისათვის წუთით წარმოვიდგინოთ ქართული პოეზია უგალაკტიონოდ! ამ ძნელად წარმოსადგენი ვარიანტის ვარიანტებიც თვითონ წარმოუდგენია:

გალაკტიონი ჩვენ რომ არ გვყავდეს,
ჩვენ რომ არ გვყავდეს გალაკტიონი,
გალაკტიონი რომ არ გვყავდეს ჩვენ.

არადა, შეიძლებოდა მართლა არ გვყოლოდა:

_ შენ თუ არ იქნები, ერთი ბავშიც მეყოფოდა, სხვა რაღად მინდოდა? _ შესჩივლა დედამისმა მამამისს გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე და ასე გაუმხილა, მეორე შვილს რომ ელოდებოდა. მომაკვდავმა ღვინო მოითხოვა და უკვდავი დალოცა:

_ ეს გაუმარჯოს პატარა ადამიანს, რომელიც შვიდი თვის შემდეგ დაიბადებაო...

და მაინც: ვინ იყო იგი?

_ რომანტიკოსთა სკოლის პირველი კლასის მოსწავლე! _ ირონიულად პასუხობს თვითონ.

_ უცნაური ბავშვი! _ ახასიათებს დედა.

_ დიდი ბავშვი! _ ეთანხმება მეუღლე.

_ უცნაურ ვარსკვლავზე დაბადებული დიდი ადამიანი და გულუბრყვილო ბავშვი! _ აზუსტებს ძმა.

მისი ცხოვრება დასაწერია, მისი პიროვნება ასახსნელი, მისი საიდუმლო _ ამოსაცნობი.

მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურს

სხვა იყო:

_ მე ხომ სხვა ვარ.

სხვაგვარად გრძნობდა თავს:

_ თავს არასოდეს ისე არ ვგრძნობ, ვით გრძნობენ სხვები.

სხვანაირ სიზმრებს ნახულობდა:

_ მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურს.

სხვა ხმები ჩაესმოდა:

_ ყურებში ხმაურობა მესმოდა: შუმანი, ბეთხოვენი, ჭიანური, როიალი _ სულ ერთად იყვენ არეულნი! ხან კი თითქო კოღო დამწივოდა ყურთან. როდესაც ყოველივე ეს ვუთხარი ექიმს, მან თვალები ფართოდ გააღო გაოცებისაგან. მის სახეზე წავიკითხე: შეშლილაო საწყალი გალაკტიონი.

სხვაგან იყო:

«არ ვიცი რის გამო, შეიძლება იმიტომ, რომ თითქმის გათენებამდის გატაცებით ვკითხულობდი დიკკენსის «დიდ იმედებს», გამეღვიძა გვიან. მზე კარგა მანძილზე განშორებოდა ჩვენი სახლის აღმოსავლეთით მწყობრად ჩამწკრივებულ მაღალ ალვის ხეებს. მზე მთელი თავისი ახალი და დიადი ელვარებით პირდაპირ ჩემს ფანჯარაზე მომდგარიყო. არასდროს არ დამავიწყდება მისი იმდღევანდელი შუქი: რაღაც აუწერელმა სიხარულმა ამიტაცა და მთელ სხეულში ჟრუანტელად დამიარა, და ისიც ასე უმიზეზოდ, ასე უეცრად, ასე მოულოდნელად. ანგარიშმიუცემლად მივვარდი ფანჯარას, საიდანაც მზის შუქი შემოდიოდა და დავუწყე კოცნა ფანჯრის მინებს, თითქოს გონებადაკარგული _ ვკოცნიდი დიდხანს მზის შუქს.

_ შვილო, შვილო, შვილო! _ შემომესმა გაოცებული დედის ხმა, _ გადაირიე, შვილო?

მე შევკრთი. იმ წუთშივე უდიდესი სიხარული უფრო დიდი დარცხვენის გრძნობად შემეცვალა. ან რატომ ვერ გავიგე, რომ ოთახში დედა შემოსულიყო, კარები ხომ უხმაუროდ არასდროს არ იღება. და კიდევ ეს გადარევა, შეშლა... ყოველ ნაბიჯზე გადარეული, შეშლილი, _ და ყოველთვის, ყოველთვის _ ასე.

ვიდექი დედის წინ, როგორც უდიდესი დანაშაულობის ჩადენაზე წასწრებული. დიდხანს თავი მაღლა ვერ ამეღო. ნელა, ცალი ხელით ნიკაპზე, მეორეთი კეფაზე

დადებული ხელით, ვიგრძენი როგორ მიწევდა ზევით თავს დედაჩემი, სურდა ჩემს თვალებში ჩაეხედნა.

_ შემომხედე, გატუნია! შვილო, რა მოგივიდა? _ ალერსიანად მეუბნებოდა დედა, მაგრამ მე ხმას ვერ ვიღებდი. რა უნდა მეთქვა? განა შეიძლებოდა სიტყვებით იმის გამოთქმა, რასაც განვიცდიდი და რისი გამოხატვაც სრულიად არ შემეძლო? ბოლოს ძლივასა ვთქვი:

_ «დიდი იმედები».

_ რაო? რას ამბობ, შვილო!

_ «დიდი იმედები», დედა, «დიდი იმედები».

დედას იმ წამსვე გული შეუწუხდა, მკერდზე მიიდო ხელი და ტახტს მიესვენა. ასე ემართებოდა ყოველთვის, როდესაც რაიმეს მძლავრად განიცდიდა.

«გული შეუწუხდა, მიზეზი მე ვარ», _ გავიფიქრე. გავხედე ფანჯარას: მზის შუქი ეხლა აღარ მეჩვენა ისე მიმზიდველად.

გასცდა ჩვენს ფანჯარას ის მზის შუქიც.

ვინ იცის, დაბრუნდება ისევ თუ არა!».

ნუ დაგავიწყდებათ: ეს ეპიზოდი 1929 წლის 1 თებერვლითაა დათარიღებული და «გატუნია» უკვე _ არც მეტი, არც ნაკლები _ ოცდაჩვიდმეტი წლისა გახლავთ!

სხვა იყო და სხვაგან იყო. ეცადა, მაგრამ ძირს ვერ ჩამოვიდა. მიწაზე ვერ დაადგა ფეხი. ვერ დაგვემსგავსა.

ოცნება, ნახაზი საგანთა უარით

წამით გავიხსენოთ ჩვენი საუკუნის დასაწყისის კლასიკური მელოდიები:

_ ისევ შენ და ისევ შენ, ჩემო ციცინათელა!

_ ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?

_ მემღერება და ვიმღერი, _ გულზე მჭირს სამი იარა.

_ სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი.

_ რამ დაგაშრო, შე ოხერო, ღარიბების ბედის წყარო.

და უცებ:

_ ბაღში შეშლილივით კვდება თებერვალი.

_ ოცნება, ნახაზი საგანთა უარით.

_ საღამო იწვა ხავერდის ყდაში.

_ ის მიდის, თითქოს სიცივეს ვარცხნის.

ზუსტად 1915 წლიდან, როცა აკაკი და ვაჟა ფიზიკურად გაგვშორდნენ და ქართული კლასიკური პოეზიის დიდი ალაყაფი დაიხურა, გალაკტიონ ტაბიძემ პოეტური სიტყვის უხილავი საგანძურები გახსნა და თვალისმომჭრელი მარგალიტები ამოყარა მზეზე. თითქოს ერთ მშვენიერ დღეს ალქიმიკოსის ჯადოსნური კვერთხი იპოვნა. თითქოს საუკუნოვან ნაკრძალში შეუშვეს. თითქოს თავადაც იგრძნო:

_ საკმარისია, ხანდახან სულ უბრალო აზრმა გამიელვოს თავში, რომ უეცრად გამოვთქვა ეს სრულიად გაუჭიანურებლად. ამდენი ხანი ასე არ იყო, დიდი დრო მინდოდა აზრის მშვენიერ ფორმაში ჩამოსხმისათვის.

იგრძნო და დაიჯერა:

_ დგება გაზაფხული! რაღაც იდუმალი, გამოუთქმელი და ტკბილი სიხარული იმონებს მთელ ჩემს არსებას. მგონია, თითქო, არასდროს ამისთანა გაზაფხული არ ყოფილა; ჩემთვის, რასაკვირველია, არც გაზაფხულია ნამდვილათ ახალი და მოულოდნელი... გაზაფხული ისეთივეა, როგორიც იყო შარშან და შარშანწინ... იგი არ შეცვლილა, მარამ შეიცვალა ჩემი ცხოვრება. რაღაც ახალი მოხდა. ან უნდა მოხდეს... ველი... ნუთუ ამ გაზაფხულთან ერთად იწყება ჩემი სიცოცხლის ვრცელი, უსაზღვრო და დაუმონებელი გაზაფხული? დღეს მე მთელი ქვეყანა მიყვარს... დღეს ჩემს თვალში არ არსებობს არავისი დანაშაული და უბედურება. მე დღეს ბედნიერი ვარ!

დაიჯერა და გათამამდა:

_ მე მთელ დედამიწას დუელში ვიწვევ!

გათამამდა და დახარბდა: ყველა და ყველაფერი დაივიწყა და პირველაღმომჩენის სრული უფლებითა და გატაცებით შეუდგა საქმეს. მივიწყებული პოეტური ინსტრუმენტები მომართა და ააწყო, ახლებიც მიუმატა. არანჟირებას უცებ მორჩა და ისე ერთბაშად და მოულოდნელად ააჟღერა განახლებული და გაცოცხლებული რიტმები, ლირიკული საკრავების ისეთი გრანდიოზული ორკესტრი ააწკრიალა, _ მიწიერს აღარ ჰგავდა და კოსმიური შეარქვა.

საოცრად ნაყოფიერი წლები დაუდგა. თითქმის ყოველდღე შედევრს პოულობდა. ისინი ცა და მიწასავით განსხვავდებიან წინა წლების ლექსებისაგან.

«არტისტული ყვავილები» გახლავთ წიგნი, რომელმაც განაჩენივით გამოაცხადა: ძველებურად წერა აკრძალულია: «მერანს» _ «ლურჯა ცხენები» წამოეწივნენ:

_ ჩვენს საუკუნეს გაქანებული მერნები _ ლურჯა ცხენები სჭირდება.

1914 წლის წიგნი სხვისი დაწერილია. გენიოსები, უმეტეს შემთხვევაში, მეორე წიგნიდან იწყებენ. განსხვავება იმდენად ხელშესახები და თვალშისაცემია, რომ შეცდომით დათარიღებულების გამორჩევა ადვილია და აუცილებელიც: იგი ასახავს მთელი საუკუნის პოეტიკის ევოლუციას (და რევოლუციასაც!).

ისე პერმანენტულად იყო შთაგონებული, გამოქვეყნებას ვეღარ ასწრებდა:

_ ვწერ დღე და ღამე განუწყვეტლად, ავადმყოფივით.

მათემატიკის ენაზე შეიძლება ზუსტი სურათი დაიხატოს: 1919 წელს გამოვიდა მეორე წიგნი, მეორე ტომი (ფაქტიურად _ პირველი, საუკუნის პირველი წიგნი, წიგნი-შედევრი!): დღემდის აღრიცხული ბიბლიოგრაფიული მონაცემებით _ ოთხმოცდაექვსიდან სამოცდაცამეტი ლექსი, ანუ უმეტესი ნაწილი, პირველად წიგნში დაიბეჭდა და ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაამძაფრა საერთო ეფექტი:

_ ახალი ქართული პოეზია ზეიმობს თავის ფერისცვალებას (ივ. იოსელიანი).

თუკი ვერსიფიკაციული ტექნოლოგიით და შემოქმედებითი ქრონოლოგიით დავინტერესდებით, აუცილებლად უნდა გავმიჯნოთ 1915-1927 და 1928-1959 წლები. პირველი გახლავთ ზეშთაგონების პერიოდი, რომელსაც ვარიანტები თითქმის არ გააჩნია. მეორე პერიოდში ქვეცნობიერი შესუსტებულია და ამდენად ტექნიკური ნოვაციები უფრო აშკარავდება. ეს ორი პერიოდი კონკრეტულმა თარიღმა გამიჯნა («ვინაც გადაურჩება ათას-ცხრაას-ოცდა-რვას»). შედევრების მკაცრი რჩეული რომ შევადგინოთ, მეორე პერიოდისა წიგნში მხოლოდ მეათედი აღმოჩნდება, თუმცა ხანგრძლივობით იგი თითქმის სამჯერ აღემატება პირველს.

1915-1927 წლები ქართული ლირიკის განუწყვეტელი დღესასწაულია, აღორძინების, გარდატეხის და განახლების წლები: მეორე რენესანსი.

შემდგომი სამი ათეული წლების მანძილზეც მრავალი შედევრი და თითქმის შედევრი აღმოაჩინა, განსაკუთრებით გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა ვერსიფიკაციის სფერო, მაგრამ ძირითადი შენობა უკვე დამთავრებული ჰქონდა. მერე და მერე რამდენიმე ისეთი აუცილებელი დეტალი დაუმატა, რომლის საჭიროება ადრე არც კი იგრძნობოდა.

წარმატება იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ მავანი და მავანი აცდუნა კიდეც: იყო რამდენიმე ცდა კლასიკური პოეზიის გადაფასებისა და იგი შეეხო მისსავე კერპებს: აკაკის და ვაჟას!

მეორე მხრივ ადგილი ჰქონდა საპირისპირო რეაქციასაც: სხვა რომ ვერაფერი მოუხერხეს, ფრანგული პოეზიის ეპიგონად გამოაცხადეს (ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერებშიც დაეძებდნენ ერთ დროს «ვეფხისტყაოსნის» პირველწყაროს!). ეს აზრი უმეტესად პროფესიულ წრეებში ბოგინობდა და იგი მიზნად პირადი მიღწევების განდიდებას უფრო ისახავდა, რადგან როგორც ბატონმა კონსტანტინემ ბრძანა, «გალაკტიონმა გადააჭარბა თავის მასწავლებლებს, შორს გადააჭარბა» და ოპონენტები ერთბაშად მის ჩრდილში აღმოჩნდნენ, ისეთებიც კი, რომლებსაც რამდენიმე წლით ადრე მისი მოძღვრის საფუძვლიანი პრეტენზიები ჰქონდათ: ოსტატებმა შეგირდის შეგირდობა ითაკილეს (თუმცა არც თვითონ იკლავდა თავს: «მეწყინება კიდეც ვინმემ რომ იგი ჩემს მოწაფედ ჩათვალოს»).

_ გენია თავისი ინტელეკტუალური ძალღონით, იმ ძალღონით, რომელიც მხოლოდ მისი თვისებაა, გადაამუშავებს გარეგან შთაბეჭდილებებს ხელოვნების ნაწარმოებად, ყველა დანარჩენ ხალხისთვის გასაგებ ნაწარმოებად. დაუყოვნებლივ, ამის შემდეგ იბადება ხროვა პარაზიტებისა, უპირველეს ყოვლისა, ჩნდებიან მიმბაძველები. ისინი იმეორებენ და ცვლიან ვარიანტებად პირველად ნაწარმოებს, ცოტად თუ ბევრად ხელოვნურად. ეს თავისებური ბუზები და ჯღიბები არიან (მაქს ნორდაუს აქ მხედველობაში აქვს დარვინის მაგალითი. დარვინი აღწერს ატლანტიის ოკეანეზე არსებულ წმ. პავლეს ხრიოკებს, სადაც პირველად ჩნდება ფრინველი. საკმარისია ამ ფრინველის გამოჩენა, რომ მასთან ერთად კუნძულზე გაჩდენ პარაზიტები, ბუზები, ჯღიბები, მიკრობები და უნაყოფო კუნძული სიცოცხლით აფუსფუსდება). ეს თავისებური ბუზები და ჯღიბები არიან, _ განაგრძობს ნორდაუ _ რომლებიც ფრინველებს სისხლს სწოვენ. ამის შემდეგ ფუძნდებიან კრიტიკული და ესთეტიკური შკოლები, რომელნიც ვერასგზით ვერ ახერხებენ რა, მიიღონ რამე შიშველი ბუნებისაგან, ამიტომ სარგებლობენ გენიისა და მისი მიმბაძველების საჭმელის მონელებით. ისინი შეიძლება შევადაროთ ობობებს, რომლებიც ბუზებს დადარაჯებიან, და ნეხვის მწერებს, რომლებიც ფრინველის ექსკრემენტებით საზრდოობენ (ისევე დარვინი). და ბოლოს გამოდიან სცენაზე ლიტერატურის ისტორიკოსები, რომლებიც დიდის გაჭირვებით ჰყვებიან, თუ როგორ მოხდა ყოველივე ეს. მათთან შესადარებლად მე ვერ ვნახულობ ცხოველ ორგანიზმებს წმ. პავლეს მწვერვალებზე, ვინაიდან მე ძალიანაც არ მინდა შევადარო ისინი მიკრობებს. ამნაირად ჩვენ უკვე გვაქვს ბედნიერება გვქონდეს მთელი ეროვნული ლიტერატურა, მეორეხარისხოვან მწერალთა რიგით, ესტეტიური სისტემებით, გონებამახვილი კრიტიკული ნაწარმოებებით, ლიტერატურის ისტორიით და მონოგრაფიებით.

ეს ვრცელი ციტატა ავსტრიელი მწერლისა და მეცნიერის წიგნიდან უთარგმნია 1941 წლის 2 აპრილს და კომენტარებიც დაურთავს, თანაც იქვე დასძენს:

_ ამ წიგნში ბევრი რამაა ისეთი, რაც პირადათ მე მეხება.

დიახ! არ არსებობს მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში პრობლემა, მას რომ არ ეხებოდეს. თანამედროვე ქართული ეპოსი რომ დღემდე ძიების სფეროში ტრიალებს, ესეც გალაკტიონის ბრალია: იგი წმინდა წყლის ლირიკოსია. თუმცა ერთი-ორჯერ წამოსცდა:

_ გენიალური პოემა გამოვიდა... _ მანქანაზე გადაბეჭდილია წიგნი, რომელიც მსოფლიო სახელს მოიპოვებს... _ «ელგუჯას დაბრუნების» ავტორი პოემას ვერ დასწერსო, ვინა სთქვა?

მაგრამ ესეც მისი სიტყვებია:

_ ეპოსი _ ვერ შეიქმნება. «დიდი ტილოების» ამბები მიქარვაა და შანტაჟი.

მისი გენია ყველაფერს ლექსად გარდაქმნიდა. მისი პროზაული ტექსტები უფრო ფაქტებით, უმეტესად მაინც შინაარსობრივადაა საინტერესო.

_ ეს ოხერი ყველაფერი ლექსად მადგება ყელზე, _ უთქვამს კიდეც ერთხელ ქუთაისში.

რასაც აზრი ჰქონია, მხოლოდ ლექსი ყოფილა,
უიმისოდ ყოველი უსულგულო მგონია,
ვერვინ ვერ იყოფინა პროზა სისხლის მწოველი,
იგი უკმაყოფილო ძველი გრამაფონია.

დღიურები და პირადი წერილებიც მიგვანიშნებენ: ნერვები უკიდურესად ჰქონდა გაშიშვლებული:

_ მე მთლად ნერვებად ვარ გადაქცეული.

_ უნდა დავწერო წერილი: «მე, როგორც პიროვნება», იქ შიგადაშიგ ნახსენები იქნება მხოლოდ ნერვები...

_ ნერვები, ნერვები, ნერვები.

ერთადერთი თავშესაფარი, გამოსავალი, ამოსუნთქვის უკანასკნელი საშუალება _ იყო ლექსი და მხოლოდ ლექსი.

_ დიდებულია იგი, როცა მაღლა დაფრინავს, მხოლოდ სასაცილოა, როდესაც ძირს ეშვება და ჩვეულებრივ ადამიანის სახეს იღებს, _ ზუსტად ახასიათებს ძმა.

_ მისი ცხოვრება შეფერადებას კი არ საჭიროებს, არამედ ახსნას, _ დროულად გვარფრთხილებს ძმისწული.

გალაკტიონოლოგია

როგორც მოგახსენეთ, საწერ მაგიდასთან კედელზე ჰქონდა გაკრული მსხვილი მთავრული შრიფტით დაბეჭდილი ერთადერთი სიტყვა. ჩანაწრებშიც ხშირად გვხვდება. რუსულადაც. რუსულ-ქართულადაც. ფრანგულადაც. იმასაც ამბობდა: სხვამ მოიგონაო. გაზეთიც გამოვაო ამ სათაურით:

_ წიგნის პალატა გამოცემს გაზეთს «გალაკტიონოლოგია».

ჟურნალიცო!

ოცნებობდა:

«_ თქვენ ერთ-ერთ საუბარში გითქვამთ, რომ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში არსებობს დარგი «გალაკტიონოლოგია». არ შეიძლება მოკლეთ, სულ მოკლეთ გვითხრათ რამ ამის შესახებ?

ხმა დარბაზიდან: დიაღ, ძალიან გვაინტერესებს ეს საკითხი: რაა საფუძვლები გალაკტიონოლოგიის?

შეძახილი დარბაზიდან: გაუმარჯოს გალაკტიონოლოგიის ფუძემდებლებს!

ხმა დარბაზიდან: მაშასადამე, გალაკტიონოლოგია ისეთი დარგია, რომლითაც უნდა დაინტერესდეს მთელი მსოფლიო».

ზრუნავდა:

_ ჩვენ ვიბრძვით: უნდა დაფუძნდეს გალაკტიონოლოგია.

_ «გალაკტიონოლოგია» ისეთი მცნებაა, რომელიც მოიცავს მთელ თანამედროვე მეცნიერებასა და ხელოვნებას.

დაიმედებულა კიდეც:

«სტამბაში მიტანილ იქნა და მაშინვე დაიბეჭდა (საოცრად სწრაფად) წარწერა საგამოფენო სტენდისათვის, ახალი ლიტერატურული მოძრაობისათვის, დიდი მოძრაობისათვის, სახელწოდებით:

გალაკტიონოლოგია
ГАЛАКТИОНОЛОГИЯ

ვაშა! დაიწყება მალე და დამკვიდრდება ისეთი დიდი მოძრაობა, რომელიც შესძრავს კაცობრიობას.

_ რას ნიშნავს გალაკტიონოლოგია? _ მეკითხება სტამბის ზედამხედველი ქალი, ძალიან სიმპათიური ქალი.

_ რას ნიშნავს გალაკტიონოლოგია? _ მეკითხებიან ასოთამწყობები.

იწყება, მაშასადამე! დიდებული დღეა!»

ლექსიც აღმოჩნდა.

ნუღარ გაგვიკვირდება და ნუღარ გვეხამუშება:

დგომა ერთ ადგილს _ კვდომაა და შემბოჭველი თოკია!
თუ წინ წაგვიყვანს _ მხოლოდ ეს: გალაკტიონოლოგია.
ნუ ეტყვი ყოველ სიახლეს: დამეხსენ, შენ ვერ მოგიარ!
პირიქით: მაღლა ავსწიოთ გალაკტიონოლოგია.
ვაშა მას, ვისაც ცოდნისთვის ძალა არ დაუზოგია:
გაბრწყინდეს მეცნიერება _ გალაკტიონოლოგია.
გვიყვარდეს, რაც ნათელია, აღმოვფხვრათ, რაც ხრიოკია,
ჩვენ დროშად მაღლა ავსწიოთ გალაკტიონოლოგია.
მეხრე-ტეტია სიმონა და ღვიტიკელა გოგია
მალე გაიგებს, რაც არის გალაკტიონოლოგია.
ამბობენ: აი პარიზი, იქ კიდევ ნიუორკია,
ბრწყინავს აქ, საქართველოში გალაკტიონოლოგია.
ჩვენ პოეზია მაღალი რომ შევისწავლოთ, დრო კია,

მარადის წინ მიგვიძღვოდეს გალაკტიონოლოგია!

გალაკტიონის შემდეგ

გალაკტიონის შემდეგ ქართული პოეზია წავიდა და მიდის გალაკტიონის გზით. თითქოს სხვა გზა არც ჩანს. თითქოს გალაკტიონმა მაქსიმალურად ამოწურა თანამედროვე პოეტური სიტყვის შესაძლებლობანი, თავისუფალი ლექსიდან _ ვიდრე ვირტუოზულად აჟღერებულ სტრიქონებამდე, თვით პალინდრომამდე.

მაგრამ აქ იგულისხმება არა მარტო განუსაზღვრელად მრავალხმიანი რიტმი: ღრმა ქვეტექსტიც და დიდი სინათლეც, ვაჟკაცური ომახიც და ლირიკული სინაზეც, ამაღლებული ტონიც და ზომიერი ირონიაც, მსოფლიო ლირიკის გამოძახილიც და ქართული კლასიკის გამოცდილებაც, ხალხური პოეზიის სურნელიც და ზეპირი მეტყველების მადლიც, უახლესი ლექსიკაც და დროული არქაიზმებიც, ურბანიზმიც და იდილიაც, პირადი განცდებიც და საკაცობრიო იდეალებიც...

გალაკტიონის შემდეგ ქართულ პოეზიაში თვისობრივ სიახლეებზე ლაპარაკი შეუძლებელია. შეუძლებელია ლაპარაკი ისეთ დიდ ორიგინალობაზე, რომელიც მოიტანა ვაჟა-ფშველამ აკაკი წერეთლის შემდეგ, ანდა _ თვითონ გალაკტიონმა აკაკისა და ვაჟას შემდეგ.

ჩვენი საუკუნის ყოველი საინტერესო პოეტი გალაკტიონის მრავალწახნაგოვანი ლირიკის ამა თუ იმ მხარეს აგრძელებს და ავითარებს თავისებურად. ეს წახნაგები თვით გალაკტიონთან ისე გამოკვეთილად არც შეიმჩნევა. სხვათაშორის, ნაგულისხმევი პოეტები შესამჩნევად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და სამართლიანად ითვლებიან ორიგინალურ ლირიკოსებად, იმდენად ორიგინალურებად, რომ მათ მიმდევრებიცა ჰყავთ, მაგრამ ეს მიმდევრები უკვე ეპიგონები არიან.

_ არ მეგულება ჩვენს თანამედროვეობაში მეტნაკლები შესაძლებლობის, განათლებისა და გაქანების პოეტი (რა თქმა უნდა, ჩემი ჩათვლით), გალაკტიონის გავლენა რომ არ განეცადოს (ოთარ ჭილაძე).

გალაკტიონის შემდეგ თანდათან იზრდება მანძილი გალაკტიონსა და დანარჩენებს შორის. საერთოდ, ცოცხალი ხელოვანის შეფასებისას ყოველთვის აჭარბებენ, ცოცხალი გენიოსის შეფასებისას კი _ პირიქით. ამიტომ სიცოცხლეში გენიოსები აშკარად არც გამოირჩევიან. დიდად აღმატებულს თანამედროვენი ღირსეულად ვერც შეაფასებენ და ვერც დააფასებენ. მაგრამ დრო და სიკვდილი ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს ხოლმე: შესამჩნევად იზრდება მანძილი გალაკტიონსა და დანარჩენებს შორის, და მისი პოპულარობაც დისტანციის პროპორციულად იზრდება.

მეოცე საუკუნის ქართული პოეზია უკვე გაყოფილია ორ მკაფიო ბანაკად: გალაკტიონი და სხვები, გალაკტიონი და დანარჩენები, გალაკტიონი და გალაკტიონის შემდეგ.

ამაღლებული გალაკტიონის ჩრდილში ბევრი რამ გაუფერულდა და გადაფასდა. გალაკტიონის პოეზიამ თანდათან მოიპოვა მეტრის უფლება და ახლა მასთან მიმართება განსაზღვრავს ამა თუ იმ პოეტის ღირსებას. თვითონაც ასე ვარაუდობდა:

_ ყოველმა პატიოსანმა ქართველმა მწერალმა საბოლოოდ უნდა გაარკვიოს თავისი დამოკიდებულება გალაკტიონ ტაბიძისადმი, ვინაიდან ამით იგი გაარკვევს თავის დამოკიდებულებას მეოცე საუკუნის ქართული მწერლობისადმი.

მთელი საუკუნის პოეზია გალაკტიონის ინტონაციითაა გამსჭვალული: ვისაც გალაკტიონის სხივი არ გაჰკარებია, ღირსეულიც არაფერი შეუქმნია, ანუ როგორც აბრაამ ლინკოლნი იტყოდა: უნაკლო ადამიანებს ძალიან ცოტა ღირსება გააჩნიათ (ამიტომაც ვერ ასცდა მეცხრამეტე საუკუნის ეპიგონთა დონეს ქართული ემიგრანტული პოეზია).

გალაკტიონის შემდეგ გამომჟღავნებული და დამკვიდრებული სიახლეებიც გალაკტიონის სახელს უკავშირდება (ლირიკული პოემა, ვერლიბრი, თეთრი ლექსი, ირონიული ლირიკა...). კვლავაც დაუკავშირდება.

ალბათ დადგება დრო, როცა გალაკტიონისაგან განსხვავება განსაზღვრავს ხარისხს. შეიძლება მსგავსი სიმპტომები შეინიშნებოდეს კიდეც უკანასკნელი ათწლეულების ქართულ ლირიკაში. მაგრამ ნუ ავჩქარდებით: საუკუნის მეოთხედი არც ისე დიდი დროა.

ხვალის პოეზია გამოსავალს ეძებს გალაკტიონის იქით, გალაკტიონის გარეთ, გალაკტიონის შემდეგ. მომავალ ქართველ კლასიკოსს ერთი სახელი ერქმევა: ანტიგალაკტიონი.

გალაკტიონის შემდეგ ქართულ მწერლობას დარჩა გალაკტიონის მწარე გაკვეთილი: პოეზია უდიდეს მსხვერპლს მოითხოვს! ჭეშმარიტმა პოეტმა უნდა დაივიწყოს მიწიერი ინტერესები და არასოდეს არ უნდა გამოეთიშოს შთაგონების წამებს. ვინც პირადად იცნობდა, დამეთანხმება: ამ თვალსაზრისით _ გალაკტიონი ყველაზე მეტად «შეწირული» ლირიკოსია.

გალაკტიონის შემდეგ დაიწყო და დღემდე გრძელდება გალაკტიონის საერთო აღიარების პროცესი.

_ თქვენ დიდი პოეტი ხართ, ისე დიდი, რომ მხოლოდ მომავალი თუ შესძლებს დაგაფასოთ. _ ეს მრავალმხრივ საგულისხმო ქათინაური ტელეფონით მოუსმენია 1945 წლის 26 ივნისს ერთი ცნობილი მანდილოსნისაგან და მაშინვე ჩაუწერია.

გალაკტიონის დაფასებისა და შეფასებისას ხარისხის საკითხი აღარ დგას. მთავარია ის პრინციპები და სტრუქტურა, ის მოდელი, რომელიც მან აღმოაჩინა და დაამკვიდრა, და რომელმაც განსაზღვრა და შემოსაზღვრა კიდეც ორიენტირები _ ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას _ მთელი საუკუნისა და განა მარტო ერთი საუკუნისა?!

_ ასეთი პოეტი საუკუნეში მხოლოდ ერთხელ იბადება.

გალაკტიონ ტაბიძემ უმდიდრეს ცხრაკლიტულებს მოარგო გასაღები და პოეტური აზროვნების უმაღლეს ნეტარებას გვაზიარა.

მან გვასწავლა, როგორ უნდა დავარღვიოთ პოეზიის კანონები _ პოეზიის სასარგებლოდ! ალბათ _ ცხოვრების კანონებიც!

ბევრი საიდუმლო ამოგვიხსნა.

კითხვის ნიშნებიც ბლომად დაგვიტოვა.

მისი მკითხველები ჯერ არ დაბადებულან!